

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# მარია ლორთქიფანიძე

85



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

კრებული ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის – მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლის იუბილეს.

კრებულში შესულია პროფესორ-მასწავლებელთა, ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა სამეცნიერო სტატიები, აგრეთვე მ. ლორთქიფანიძის მეგობრების, კოლეგებისა და ასპირანტების მოგონებები.

The collection is dedicated to the 85<sup>th</sup> anniversary of birth and 60<sup>th</sup> anniversary of scientific activities of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professor and the Academy of Sciences of Georgia Academician– Mariam Lordkipanidze.

The volume comprises articles and memoirs of professors, young scientists, friends, colleagues and post graduates of the noted historian.

შემდგენლები: **ოლენა აბრამიშვილი**  
**ლევან კიკვიძე**  
**გიორგი ასტაშვილი**

რედაქტორი: პროფ. **ვალერი სილოგავა**

Compilers: **Olena Abramishvili**  
**Levan Kikvidze**  
**Giorgi Astashvili**

Editor: Prof. **VALERI SILOGAVA**

© თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლო აა, 2007


ISBN 978-9941-13-015-1

ედღენება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლის იუბილეს.

The publication is dedicated to the 85 anniversary of the birth and 60 anniversary of undertaking scientific – pedagogical activities of Mariam Lordkipanidze, academic of the Academy of Sciences, honored scientist, doctor of the historical sciences, professor.



Jimmy



კლასელები: მარიაკა, უუუუნა, ირა  
„კანარა“ (1935 წ.)



დედა – ნინო მიქელაძე-ლორთქიფანიძისა,  
მამა – დავით ლორთქიფანიძე



მარიამ ლორთქიფანიძე, სერგო  
ზაქარიაძე, ნათელა ვაჩნაძე  
(ქართული კულტურის დღეები,  
გდრ, 1969 წ.)



მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე



შეხვედრა ლადო გუდიაშვილთან  
მხატვარ-კერამიკოს ნანა ბოტკოველის სახელოსნოში



შეხვედრა გენშერთან



მარია და გიგა




შვილიშვილებთან 80-წლის იუბილეზე (2002 წ.)



შეხვედრა ორჯონიკიძეში ოს  
კოლეგა ზინა გაგლოვეასთან



ოთარ ჯაფარიძე,  
მარია ლორთქიფანიძე,  
ირაკლი ციციშვილი



გიორგი ჩიტაიასადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა მუზეუმში ლია  
ცის ქვეშ. სხედან, მარცხნიდან: ირაკლი აბაშიძე, გიორგი ჩიტაია,  
ანდრია აფაქიძე. სიტყვას ამბობს მ. ლორთქიფანიძე



მარიამ ლორთქიფანიძე, ნინო რამიშვილი



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II,  
მარიამ ლორთქიფანიძე, შოთა ძიძიგური,  
გურამ შარაძე, ირაკლი მენაღარიშვილი



I რიგი

მარცხნიდან: მზექალა შანიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ლევან კიკვიძე, დურმიშხან ცინცაძე, ავთანდილ ტყეშელაშვილი, ნათია შეყილაძე.

II რიგი

მარცხნიდან: გიორგი ასტამაძე, გივი ბარამიძე, შალვა ურიადმყოფელი, ირაკლი უორუოლიანი, გიორგი აფხაიძე.

2006 წ. ივ. ჯავახიშვილის 130 წლის იუბილე



მარცხნიდან: ირინე ასათიანი, ოთარ ჯაფარიძე, ლევან კიკვიძე, კოტე ჩოლოყაშვილი, გიორგი ასტამაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ოლენა აბრამიშვილი, გიორგი ოთხმეზური (2007 წ.)

**წინამდებარე** წიგნი აკად. მარიამ ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულია. მისი დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი 2007 წლის შემოდგომაზე ფართოდ აღნიშნა ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც მას მიეძღვნა საიუბილეო სხდომა, სამეცნიერო კონფერენცია, ფოტოგამოფენა, გაიხსნა მისი სახელობის კაბინეტი. წინამდებარე კრებულის გამოცემაც საიუბილეო ღონისძიებაში ივარაუდებოდა, მაგრამ იგი ოდნავ დაგვიანებით გამოდის – ამის მიზეზი წიგნის დიდი მოცულობა და დროის სიმცირეა. თუმცა, უნივერსიტეტის საიუბილეო ღონისძიებები პუბლიკაციის გარეშე მაინც არ დარჩენილა – გამოიცა და იუბილეს დღეს, 11 ოქტომბერს, გავრცელდა მ. ლორთქიფანიძის ღრმამინაარსიანი, მეტად საინტერესო მოგონებების წიგნი – „ჩემი გზა“.

ცხადია, წინამდებარე საიუბილეო კრებული მთლიანად მას ეძღვნება – მასზე მოგონებებით, მისი სამეცნიერო ინტერესებით, მისდამი პატივისცემით, მოკრძალებით და სიყვარულითაა გამსჭვალული. წიგნის შესავალი ნაწილი, მოიცავს ოფიციალურ მასალას – მათ შორის, თსუ რექტორის, პროფ. გიორგი ხუბუას მიერ საიუბილეო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვას და ქალთა რესპუბლიკური საბჭოს მიმართვას იუბილარისადმი, რომელშიც მოკლედ, მაგრამ შთაბეჭედავადაა აღნიშნული მარიამ ლორთქიფანიძის – მეცნიერის, ქალის, ოჯახის დედის – დამსახურება და ღირსებანი. აქვეა ბ-ნ ოთარ მიმინოშვილის პუბლიცისტური ყინით გაჟღერებული მიმართვა-სიტყვა მარიამ ლორთქიფანიძისადმი – „ნუ გეშინია, დედა“ და ორი სამადლობელი წერილი, რომელთაც ქვემოთ დავუბრუნდებით.

საიუბილეო კრებულის შედგენისა და გამოცემის დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წიგნის პირველი ნაწილი, თუ გნებავთ, მას შეიძლება კარიც ვუნოდოთ – „ცხოვრების და შემოქმედების დიდი გზა“, შეიცავს ორი სახის მასალას – პირველი მიძღვნილია მარიამ ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი (ავტორი – თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი *ლევან კიკვიძე*) და მეორეა „მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია“ (შემდგენლები – პროფ. *ნათელა ვაჩნაძე* და *ლევან კიკვიძე*). 2001 წელს, მისი დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ ისტორიულ-ფილოლოგიურ ძიებათა კრებულში (*Dedicatio*, თბ., 2001), რომელიც ხუთი წლის დაგვიანებით გამოიცა, ერთხელ უკვე გამოქვეყნდა „აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია“ (შემდგენელი – პროფ. *ნათელა ვაჩნაძე*), მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი ბიბლიოგრაფია ათეულობით ახალი სამეცნიერო ნაშრომითა და საგაზეთო სტატიითაა შევსებული, რაც იმის საწინდარია, რომ მ. ლორთქიფანიძე კიდევ არაერთი პუბლიკაციით გაამდიდრებს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას.

კრებულის მეორე ნაწილი – „მოგონებები“ – შეიცავს იშვიათი სიტობითი და სიყვარულით გამსჭვალულ წერილებს, სადაც მარიამ ლორთქიფანიძის ახლობლები,

მეგობრები, თანატოლი და უმცროსი კოლეგები იგონებენ თავიანთი ცხოვრების მასთან დაკავშირებულ ტკბილ და ბედნიერ დღეებს, შემთხვევებს, ეპიზოდებს, ფაქტებს და, ამასთანავე, პატივს მიაგებენ მის ჭეშმარიტ ღირსებებს, მოქალაქეობრივ პოზიციასა და ურყევ ცხოვრებისეულ პრინციპებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კრებულის ეს ნაწილი იწყება ქ-ნ მარიამის ძმის, ჩვენი თანამედროვეობის ასევე შესანიშნავი მოღვაწისა და შემოქმედის, ბ-ნ გიგა ლორთქიფანიძის მოკლე, მაგრამ გულწრფელი სიტოთი სავე სიტყვით თავის ძვირფას დაზე. საიუბილეო დღეებში, ისევე როგორც სხვა დროსაც, არაერთხელ აღინიშნა და, ვფიქრობ, აქაც უნდა ითქვას იმ სულიერი და ფიზიკური არისტოკრატიზმის შესახებ, რომელიც ასე გამოარჩევდა და გამოარჩევს ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძეს თანამედროვეთა შორის. ეს კარგად ჩანს აქ წარმოდგენილ მოგონებებშიც.

კრებულის მესამე ნაწილი, რომელიც, ბუნებრივია, მოცულობით სხვებს სჭარბობს, მთლიანად სამეცნიერო სტატიებისგან შედგება. მათი თემატიკა მრავალფეროვანია და შეესატყვისება მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო ინტერესებს, კვლევის მიმართულებათა დიპაზონს. კრებული იშვიათად მრავალფეროვანია – პოლიტიკური ისტორია, სოციალური ისტორიის საკითხები, წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია, ქრონოლოგია და გენეალოგია, არქეოლოგია და ეთნოგრაფია, ეპიგრაფიკა, პროსოპოგრაფია, ისტორიული გეოგრაფია, საქართველოს ეკლესიის ისტორია, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია. ფართოა ამ კვლევათა ქრონოლოგია – ძვ.წ. XVI-XV საუკუნეებიდან თითქმის ჩვენს დღეებამდე და ფართოა კვლევის არეალიც – მთელი ისტორიული და თანამედროვე საქართველოთი დაწყებული და მისი ახლო და შორეული მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების ისტორიით დამთავრებული. ვფიქრობ, დაინტერესებული მკითხველი კარგად დაინახავს ამ სტატიებში როგორც კვლევის სიღრმეს და პროფესიონალიზმს, ისე ინტერესთა ფართო თვალსაწიერს.

წინამდებარე საიუბილეო კრებულს ახასიათებს ერთი თავისებურება, რომლის აღნიშვნა არათუ საჭიროა, არამედ აუცილებელიც – მისი მეოთხე ნაწილი „მონაფეხები უძღვნიან ძვირფას მასწავლებელს“ მთლიანად შედგება სტუდენტთა და ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძის მონაფეხ ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო შრომებისგან. ეს ნიშანდობლივია და სიმბოლურიც – მასწავლებლებისა და უმცროსი კოლეგების შემდეგ სამეცნიერო კვლევების ესტაფეტა გადადის ახალგაზრდებზე, ქართული ისტორიული მეცნიერების მომავალზე; შეიძლება მომავალში ყველა მათგანისგან დიდი მეცნიერი არ დადგეს, თუმცა, ეს ძალზე სასურველია, მაგრამ დიდი იყო თითოეული მათგანის სურვილი, სამეცნიერო შემოქმედების პირველი მოკრძალებული ნაყოფი მიეძღვნა ძვირფასი მასწავლებლისადმი, რომელიც ყოველთვის დარჩება მათთვის მოქალაქეობრივი ზნეობის ნიმუშად და იმის იმედად, რომ ისინიც მიაღწევენ ცხოვრების ხანგრძლივ ასაკს და მასავით ბოლომდე შეინარჩუნებენ კვლევის უნარსა და ნათელ გონებას. ძალზე სასიამოვნოა რომ, მთელ კრებულს გასდევს სტუდენტების კვალი, განსაკუთრებით ლევან კიკვიძის და გიორგი ასტამაძისა. ისინი (ოღენა აბრამიშვილთან ერთად) კრებულის შედგენისა და გამოცემის

ორგანიზატორები, მოგონებათა და შთაბეჭდილებათა, ასევე, სამეცნიერო სტატიათა ავტორები არიან. ხოლო გიორგი ასტამაძემ შეადგინა სტატიების რეზიუმე და ქ-ნ ნანა კაჭაბავეასთან ერთად მთლიანად მოაწესრიგა ინგლისურენოვანი მასალა.

ბოლოს, იმ ორი სამადლობელი წერილის შესახებ, რომლებითაც მთავრდება კრებულის შესავალი ნაწილი – პირველის ავტორია ქ-ნი მარიამ ლორთქიფანიძე, ხოლო მეორისა – თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების IV კურსის სტუდენტები – ლევან კიკვიძე, გიორგი ასტამაძე და ოლენა აბრამიშვილი. სტუდენტების წერილიდან კარგად ჩანს, ერთი მხრივ, თუ როგორ იყო ჩართული უნივერსიტეტის მთელი ადმინისტრაციული და შემოქმედებითი ხელმძღვანელობა ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძის საიუბილეო ღონისძიებათა ორგანიზებაში და, მეორე მხრივ, ამ სტუდენტების მაღალი პასუხისმგებლობა ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში და მადლიერების გამოხატვის უნარი უფროსებისა და ხელმძღვანელებისადმი მათზე განეული ამაგისა და დახმარებისათვის. დღეს ეს – პასუხისმგებლობა და მადლიერება – იშვიათი თვისებებია.

პირველი წერილი – ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძის „დიდი მადლობა ყველას“ – სისადავის იშვიათი ნიმუშია. ამ პატარა სამადლობელში არაფერია დავინწყებული და არაფერია ზედმეტი. იგი ისეთივეა, როგორც მისი ავტორის მიერ განვლილი ხანგრძლივი ცხოვრება – სადა, ნათელი, ღრმაშინაარსიანი. ბუნებრივია, რომ სამადლობელიც ასეთივე უნდა ყოფილიყო.

ვ. სილოგავა  
23 ნოემბერი, 2007

## მადლობის ნაწილი

ჩვენ, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები – ლევან კიკვიძე, გიორგი ასტამაძე და ოლენა აბრამიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოსა და სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორები, აღნიშნული ღონისძიების მომზადებისა თუ კრებულის გამოცემის საქმეში თანადგომისათვის მადლობას მოვახსენებთ:

რექტორს – ბ-ნ გიორგი ხუბუას.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელს – ქ-ნ გულნაზი გალდაეას.

განსაკუთრებული მადლობა ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს – ბ-ნ შოთა მინდელს.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანს – ქ-ნ დარეჯან თვალთვაძეს.

თსუ კინო-ტელესტუდიას, თსუ კულტურისა და სპორტის ცენტრის თანამშრომლებს, ანსამბლ „მართვეს“ და ბ-ნ ანზორ ერქომაიშვილს.

თსუ სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების სპეციალისტს – ბ-ნ დავით გაბრიაძეს.

საფინანსო სამსახურის უფროსს – ბ-ნ რომან ხარბედიას.

მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს – ბ-ნ თამაზ კრავეიშვილს.

მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის, მომარაგების განყოფილების თანამშრომლებს – ბ-ნ ალექსანდრე ჭილაძეს, ბ-ნ ნიკოლოზ (ნუკრი) ხატიამეილს, ბ-ნ დავით გამრეკელს.

სამეურნეო განყოფილების უფროსს – ბ-ნ ვასილ მურჯიკენელს.

სამშენებლო სარემონტო-საექსპლუატაციო სამსახურის უფროს სპეციალისტს – ბ-ნ ზაზა შიშინაშვილს.

საერთო განყოფილების უფროსს – ქ-ნ ნუნუ ოსიანიკოვას.

თსუ კინო-ტელესტუდიას ფილმისთვის: მარიკა ლორთქიფანიძე – 85. ისტორიის კვლადაკვალ.

თსუ გამომცემლობას, პირადად ბ-ნ ნუგზარ ნიკლაურს (დირექტორს) და ქ-ნ ხათუთა ბადრიძეს, რომელმაც თავიდან ბოლომდე გულდასმით დააკაბადონა წინამდებარე კრებული და მისცა მას წიგნის სახე.

## სიტყვა მარიამ ლორთქიფანიძეზე

ქალბატონო მარიამ, ძვირფასო სტუმრებო, მინდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე, თქვენი სახელოვანი იუბილე და გისურვოთ დიდი ხნის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, წარმატებები პირველი ქართული უნივერსიტეტის სასახელოდ; ჩვენი სტუდენტების, ჩვენი პროფესორ-მასწავლებლებისათვის დიდხანს ყოფილიყავით მაგალითის მიმცემი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მთელი ეს ღონისძიება ჩატარდა სტუდენტების ინიციატივით, სტუდენტების უშუალო მონაწილეობით და მათ ამისთვის ძალიან დიდ მადლობას ვუხდით. აქვე მივუთითებ, რომ ამ საქმეში შედარებით უფრო მოკრძალებული იყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამსახურება. ვფიქრობ, ყველაზე დიდ სიხარულს, ყველაზე დიდ ბედნიერებას, დღეს ქ-ნ მარიამს სწორედ სტუდენტების ესოდენ დიდი სიყვარული ანიჭებს. ეს არის გულწრფელი სიყვარული ახალგაზრდობის ჯანსაღი ნაწილისა, ალბათ, დამეთანხმება როგორც ქ-ნი მარიამი, ისე თქვენც და ყველა ჩვენი კოლეგა – ყველა მასწავლებელი, თუ როგორი რთულია მოიპოვო ასეთი სიყვარული სწორედ სტუდენტების მხრიდან. ეს, რა თქმა უნდა, თქვენი ძალიან დიდი შრომის, თქვენი ნიჭიერების, თქვენი მეცნიერული კეთილსინდისიერების, თქვენი მრავალწლიანი აკადემიური საქმიანობის შედეგია. ის ფაქტი, რომ ასეთი დიდია სტუდენტების ინტერესი თქვენი ლექციების მიმართ, ქ-ნო მარიამ, არის ყველაზე დიდი ბედნიერება, რაც შეიძლება ისურვოს პროფესორმა, რომ არაფერი ვთქვათ იმ უდიდეს სამეცნიერო დამსახურებაზე, რაც თქვენ მიგიძღვით ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე. თქვენ პირველი ქართული უნივერსიტეტის ისტორიის ბევრი ისეთი ფაქტი გახსოვთ, რომლითაც, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ დავიკვივებით და შეიძლება მხოლოდ თეთრი შურით შეგვეშურდეს – თქვენ იყავით მონაფე, იყავით კოლეგა ქართული მეცნიერების ცნობილი კორიფეებისა. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ გაგვანდობთ ბევრ მოგონებას მათ შესახებ. ზოგადად, უნივერსიტეტი არ შეიძლება იყოს განყენებული ცნება, ის, პირველ რიგში, დაკავშირებულია პროფესურასთან, დაკავშირებულია იმ მეცნიერებთან, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს და შემდგომ განავითარეს იგი, რადგან უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ აკადემიური დანესებულება. იშვიათია, ალბათ, სხვა ერი, რომელიც უნივერსიტეტს მოიხსენიებს, როგორც ცოდნის ტაძარს და ამ თვალსაზრისით დებს მასში რალაც მისტიკურს. ამ კუთხით გამორჩეული მისია აკისრია ჩვენს უნივერსიტეტს. ამაში დიდია თქვენი წვლილი. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ თქვენი დამსახურების გამო. თქვენი შემოქმედება, სამეცნიერო მოღვაწეობა სულ სხვა ამბიციასა და სითამამეს გვმატებს. არის ბევრი რამ, რაც არ მოდის მხოლოდ წიგნის კითხვით და მხოლოდ სამეცნიერო კვლევებით მოპოვებული წარმატებებით, ისევე როგორც არის ბევრი რამ, რაც მოდის მხოლოდ გამოცდილებით და რომელსაც ვერც ბიბლიოთეკაში იპოვი და ვერ წიგნში ამოიკითხავ. თქვენი გამოცდილება, ამ შემთხვევაში, ძალიან გვჭირდება და მოხარული ვარ და დარწმუნებულიც, რომ ჩვენი ურთიერთობა – უნივერსიტეტის რექტორატისა და თქვენი, როგორც მრჩეველთა საბჭოს ღირსეული წევრისა – სწორედ რომ აუცილებელია. აუ-

ცილებელია, რომ არ მოხდეს თაობათა შორის წყვეტა. ის რიდი და მოკრძალება, რაც ახლავს პროფესორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობას, თქვენი ხელშეწყობით უნივერსიტეტში უნდა შევინარჩუნოთ და მომავალში განვაერთაოთ კიდევ. მე მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მოგახსენოთ და დიდი მადლიერება დაგიდასტუროთ ყველაფრის გამო, რაც თქვენ გააკეთეთ უნივერსიტეტისთვის და არა მარტო მისთვის. ცხადია, უნივერსიტეტი არ არის რალაც ლოკალური მნიშვნელობის ინსტიტუტი საქართველოსთვის, ქართული მეცნიერებისა თუ ქართული საზოგადოებისთვის.

დღეს აქ წარმოდგენილია რჩეული საზოგადოება – ახალგაზრდობა და სრულიად დამსახურებული უფროსი თაობა. პირველ რიგში, მათ მინდა მოგახსენო მადლობა მობრძანებისათვის, ხოლო ქ-ნ მარიამს იმისთვის, რომ ასეთი საზოგადოება შეიკრიბა მის საპატივცემულოდ აქ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს არის აღიარება დიდი დამსახურების, ეს არის ყველაზე დიდი ჯილდო დღევანდელი დღისათვის, ქ-ნო მარიამ. დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ ბევრი ჯილდო და აღიარება გველის თქვენთან ერთად. იცოცხლეთ დიდხანს, იყავით მხნედ, ჯანმრთელად, რამეთუ თქვენთან ერთად ჩვენი უნივერსიტეტი გაცილებით ძლიერი იქნება. ჩვენ ყველანიირად შევეცდებით, რომ თქვენ გაგიფრთხილდეთ.

კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩვენგან ძალიან დიდი მადლობა და დიდი სიყვარული.

**გიორგი ხუბუა, რექტორი**

11.10.2007

## ქვირუასო ქალბატონო მარიამ!

ქალთა რესპუბლიკური საბჭო გულწრფელად გილოცავთ დაბადების 85-ე წლისთავს. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი მრავალმხრივი მოღვაწეობის კვლავ დიდხანს განგრძობას.

თქვენი მეცნიერული მუშაობა მიმართული იყო საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლაზე. ამას მონაწილეობს თქვენი მრავალრიცხოვანი ნაშრომები. მაგრამ თქვენი მოღვაწეობა კაბინეტური მუშაობით შემოფარგლული არასოდეს ყოფილა. თქვენ აქტიურ მონაწილეობას იღებდით საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ქვეყნისათვის საჭიროებო პრობლემათა შესახებ ყოველთვის გქონდათ სათქმელი. თქვენ ყოველთვის გტკიოდათ ქვეყნის სატკივარი და მის შესახებ ყოველთვის გითქვამთ პირუთენელი სიტყვა. როგორც ქალი და ოჯახის დედა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდით იმ საკითხებს, რომლებიც ქალთა ცხოვრებასა და ყოფას შეეხება; ამას ამტკიცებს თქვენი მრავალწლიანი თანამშრომლობა ქალთა რესპუბლიკურ საბჭოსთან. კიდევ ერთხელ გულით გილოცავთ დღევანდელ დღეს.

ქალთა რესპუბლიკური საბჭოს სახელით:

ქალთა რესპუბლიკური საბჭოს საპატიო თავმჯდომარე

აკად. *ნ. ჯავახიშვილი*

ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე

პროფ. *მ. შანიძე*

2007. 16 სექტემბერი

## ნუ გეშინია, დედა!

წერილის სათაური რომ არ შეესაბამება სინამდვილეს, ყველასათვის ნათელია, მაგრამ... ინტრიგა რომ შევმატო ტექსტს, სპეციალურად – საზგასმით გამოვყავი... თანაც თქვენც რომ ჩაიცინოთ, გახალისდეთ... განა უნახავს ვინმეს, გაუგია მავანს, თქვენი შიში თუ შეშინება, ჩვენო სათაყვანებლო ქალბატონო მარიამ?!  
სწორედ ასე, ამ აზრით, გულწრფელად, გულმხურვალედ ვულოცავთ დაბადების დღეს აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს!

ქართული ისტორიოგრაფიის გვირგვინოსან დედოფალს და ამავე დროს რკინის ქალამნებში გამოწყობილ დედაკაცს, დედაბატონს, ქვეყნისა და უნივერსიტეტისათვის იმდენი უღვანია, უშრომია-უბრძოლია ყმანვილქალობიდან დღემდე, რომ მისი საზოგადოებრივი და მეცნიერული მოღვაწეობის შეფასება-დახასიათებას, მე, ჩვეულებრივი რიგითი გულშემატიკივარი – უმცროსი კოლეგა კი არა, მთლიანად დღევანდელი საზოგადოების ფართო სპექტრიც, ვგონებ, ვერ შეძლებს... ქალბატონი მარიკას ცხოვრება ხომ თვით ისტორიაა, ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილი – სივრცეა და მომავალში უფრო მეტად აისახება ცნობილ მოღვაწეთა წერილებსა თუ შრომებში... მერწმუნეთ, წარმოუდგენელია, დაუჯერებელია, ჩვეულებრივმა გონიერმა ქართველმა თუ სხვა ქვეყნის მეცნიერმა, რაც მთავარია, მისმა კოლეგებმა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სტუდენტებმა თუ, საერთოდ, ახალგაზრდა თაობამ არ იცოდეს, ან ოდესმე დაივიწყოს მისი ბრწყინვალეობის – მარიამ ლორთქიფანიძის თეატრალურ ხელოვნებასთან გაჯერებული, სიტყვაკაზმული, მაღალპროფესიული ლექციები, ინტელექტუალური საუბრები, საჯარო გამოსვლები ყველა თემაზე, ყველა დროსა და ყველა დონეზე – პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე... რა თქმა უნდა, ისტორიაზე და, რაც მთავარია, ყველაფერი ეს გაუღენთილი, ანთებული, მხოლოდ ერთადერთი გრძნობით – სამშობლოს უზომო სიყვარულით... და ყველაფერი ეს შთამბეჭდავად გადმოცემული მის აურაცხელ წერილებში, ასეულობით სამეცნიერო ნარკვევსა და მონოგრაფიაში...

სწორედ ამისათვის არის დღემდე ასე შემართებული, პრინციპული, ენერგიული, მებრძოლი... ვერც მეოცე საუკუნის ისტორიულმა ქართველებმა, ვერც ახალი საუკუნის კატაკლიზმებმა ვერ შეცვალეს თეთრი ქალბატონი... თანაც, მისი ლამაზი და დიდი ოჯახის უზარმაზარ დარდს, ტკივილს დაატარებს... და მინც... ყველაფერს უძლებს და გაუძლებს დიდხანს! განა ტყუილადაა თავადთა ასული – მიქელაძეებისა და ლორთქიფანიძეების შთამომავალი, დიდი წინაპრებისა და დიდი, უსაყვარლესი ოჯახის პატრონი?!

ამიტომაც შევძახით თამამად – ნუ გეშინია, დედა! თქვენ, უშიშარო და ბოლომდე მებრძოლო დედაბატონო! სიმბოლურია მარიამობის თვეს და დღეს რომ ბრძანდებით დაბადებულნი! სიმბოლურია თქვენი ცხოვრებაც ჩვენთვის!

გილოცავთ, თეთრი ტაძრის თეთრო ქალბატონო!

თქვენი მრავალრიცხოვანი და სხვადასხვაასაკოვანი  
უნივერსიტეტული კოლეგა-ისტორიკოსების სახელით  
*ოთარ მიმინოშვილი*

## დიდი მადლობა ყველას

უნივერსიტეტი ჩემთვის სამსახური არასდროს ყოფილა. იქ გავატარე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება, ვემსახურე, რითაც შემეძლო და როგორც შემეძლო.

საერთოდ, არასდროს მქონია უკმარისობის გრძნობა, კმაყოფილი ვიყავი ოჯახის წევრების, ნათესავების, კოლეგების, მეგობრების დამოკიდებულებით. ვთვლიდი, რომ სათანადოდ მაფასებდნენ. 80 წელი რომ შემისრულდა, უნივერსიტეტში ჩემი საიუბილეო თარიღი დიდი ამბით აღინიშნა. გამოიცა ჩემდამი მიძღვნილი კრებული, ყველასი ძალიან მადლობელი ვარ. საზეიმოდ აღინიშნა ჩემი იუბილე ქუთაისში. არასდროს დამავინწყდება. ახლაც, როდესაც 85 წელი შემისრულდა, დიდი პატივი დამდო ქალთა საბჭომ, დიდად ამაღელვებელი შეხვედრა მომიწყვეს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩემთვის სტუდენტების დამოკიდებულებას, ეს სულ სხვა რამეა: მათ ეკუთვნით თარიღის საზეიმოდ აღნიშვნის ინიციატივა. ბოლომდე ცდილობდნენ დაემალათ, რას აპირებდნენ, ხანდახან რალაც წამოსცდებოდათ. როდესაც მითხრეს, რომ კაბინეტზე გააკეთებენ წარწერას „მარიამ ლორთქიფანიძის სახელობის კაბინეტი“, რაზეც კატეგორიული უარი ვუთხარი, ასეთი წარწერა მხოლოდ ჩემი ამ ქვეყნიდან ნასვლის შემდეგ შეიძლება გაკეთდეს-მეთქი, დამიჯერეს\*.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს სტუდენტებს: ოლენა აბრამიშვილს, ლევან კიკვიძესა და გიორგი ასტამაძეს. ამ იუბილეს აღნიშვნის ინიციატორები და ორგანიზატორები ისინი არიან, ყველაფერი მათ გააკეთეს. დიდი მადლობა სტუდენტებს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, კოლეგებს, მეგობრებს, თავი ზღაპარში მგონია.

იმის მცირედ ნაწილს მაინც თუ ვიმსახურებ, რაც ჩემ შესახებ ითქვა და დაინერა, ვთვლი, რომ ჩემი ვალი მოვიხადე.

*მარია ლორთქიფანიძე  
თბილისი, 2007*

---

\* შენიშვნა: ქ-ნ მარია ლორთქიფანიძის კატეგორიული უარის მიუხედავად, ჩვენი ორგანიზატორების ინიციატივითა და რექტორატის მხარდაჭერით, თსუ I კორპუსში 85-ე კაბინეტს მიენიჭა მისი სახელი: „აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის კაბინეტი“ (ლ. კიკვიძე).



**ცხოვრების და შემოქმედების  
დიდი გზა**



## მარიამ ლორთქიფანიძე

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე დაიბადა 1922 წლის 28 აგვისტოს ქ. ბათუმში, ნინო მიქელაძისა და დავით ლორთქიფანიძის ოჯახში.

მარიამ ლორთქიფანიძის ოჯახიც, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა ოჯახიც, საბჭოთა სისტემის მსხვერპლი გახდა.

მარიამ ლორთქიფანიძის დედა – ნინო მიქელაძე გენერლის ქალიშვილი გახლდათ, მუსიკალური განათლებით. მამას – დავით ლორთქიფანიძეს – გიმნაზია და მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. ამიტომ ოჯახში რუსულ-ევროპული კულტურის ტრადიცია მძლავრობდა.

დედას პატარა მარიამი ხშირად დაჰყავდა ოპერაში, თეატრში, კონცერტებსა და სადამოებზე. ხელოვნებისა და მუსიკის სიყვარულს ხელს უწყობდა ოჯახის ნათესაური გარემოც. ცნობილი ქართველი დირიჟორი ევგენი მიქელაძე დედის – ქ-ნ ნინოს მკვიდრი ბიძაშვილი იყო, მამის მხრიდან კი ასეთი პიროვნება მარიამის ბიძაშვილი, თეიმურაზ ლორთქიფანიძე გახლდათ, ის ქალაქ ფოთის თეატრის რეჟისორი იყო.

ამ დიდებულმა ოჯახმა საქართველოს კარგი და დიდებული მეცნიერის (ქ-ნი მარიკას) გარდა, კიდევ მეორე შვილიც მისცა, მარიკას ძმა – გიგა ლორთქიფანიძე, ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწე, სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო, შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი.

1930 წელს მარიამ ლორთქიფანიძე ქ. თბილისის 25-ე საშუალო სკოლაში მიიყვანა ქ-ნ ნინო მიქელაძემ, სადაც ის პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. მას – ნინო მიქელაძეს, მონაწიეების დიდი სიყვარული დაუმსახურებია და მოყვრებით „დეიდა ნინოს“ ეძახდნენ თურმე.

მარიამ ლორთქიფანიძე გამორჩეული მონაწეე ყოფილა, იგი პირველი ყოფილა როგორც კლასში, ასევე მთლიანად სკოლაში. აი, როგორ იგონებენ მარიამ ლორთქიფანიძეს მისი კლასელები, აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე და ენათმეცნიერი ირინე ასათიანი.

„...1930 წლის 1 სექტემბერს 25-ე შრომის სკოლის II კლასში ჩვენმა დამრიგებელმა, შესანიშნავმა პედაგოგმა ნინო მიქელაძემ... შემოიყვანა სხვა სკოლიდან გადმოსული გამხდარი, დაღეული გოგონა...“

ჩვენ... ცოტა აღმაცერად შევხვდით ახლად გადმოსულ გოგონას, მაგრამ მარიკა სულ მალე კლასის პირველი მონაწეე გახდა და ასეთად დარჩა სკოლის დამთავრებამდე“ (ო. ჯაფარიძე).

საინტერესოა ენათმეცნიერის ირინე ასათიანის პირადი მოგონება, სადაც დიდი სიყვარულით საუბრობს მარიკა ლორთქიფანიძეზე.

„მარიკა მაშინდელ 25-ე სკოლაში მოვიდა და კოსტა, ლამაზმა გოგონამ, გარეგნობით, თავდაჭერილობით, თანაკლასელებთან ურთიერთობით, და, რაც მთავარია, სწავლით პირველი ადგილი დაიკავა მყარად... ნიჭიერი, ბეჯითი, მონესრიგებული, თავმოყვარე ბავშვი იყო... ჩვენი კლასი „მარიკას კლასი“ იყო. კითხვაზე: „ვისთან სწავლობდი, ვის კლასში?“ პასუხი იქნება „მარიკა ლორთქიფანიძის“ (ირინე ასათიანი).

სკოლაში მარიკა ლორთქიფანიძეს თავის მეგობრებთან ირინა (ირა) ასათიანსა და უუჟუნა ლეჟავასთან ერთად ტრიოც კი ჩამოუყალიბებია, რომელსაც „კა-ნა-რა“ რქმევია (მარი-კა, უუჟუნა, ი-რა).

სკოლაში სწავლის პერიოდს დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს ქ-ნი მარიამ ლორთქიფანიძე: „სკოლის წლებმა ბევრი რამ მომცა, მინდა დიდი სიყვარულით მოვიგონო ნინო მიქელაძე, ცნობილი ქართველი მწერლის დავით მეველის ქალიშვილი, რომელიც ოთხი კლასის ჩათვლით ყველა საგანს გვასწავლიდა, ხოლო შემდეგ – რუსულ ენასა და ლიტერატურას. ის კი არ გვასწავლიდა, გვზრდიდა, გვაძლევდა ყველაფერს, რაც შეიძლება სკოლამ მოგვცეს. მინდა აქვე მოვიგონო ქართული ენის მასწავლებელი ონოფრე ნიკოლეიშვილი, რომელიც გვაჩვენებდა მეცნიერულ აზროვნებას, ყოველდღიურად ანრთობდა ჩვენს გონებას. მათთან ერთად ღრმად ჩამრჩა მებსიერებაში უაღრესად მკაცრი და მომთხოვნი გეოგრაფიის მასწავლებელი ოლია ჭიშვილი. ის სწვდებოდა ყველა კუთხეს მეცნიერებისა, რაც დაკავშირებული იყო გეოგრაფიასთან, მშვენივრად იცოდა მსოფლიო ისტორია და, რასაკვირველია, საქართველოს ისტორია... სწორედ ამ ხანებში გადავწყვიტეთ მე და ჩემი კლასის ამხანაგებმა, ამჟამად ცნობილმა მეცნიერებმა – ოთარ ჯაფარიძემ, გივი კილურაძემ და სხვებმა, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლა, ხელოვნებისმცოდნეობის სპეციალობით“ („საქართველოს ქალი“, 10, 1989წ.). 1939 წელს, ოქროს მედალზე სკოლის დამთავრების შემდეგ, მარიამ ლორთქიფანიძე სწავლას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე – ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით აგრძელებს. უნივერსიტეტში გამორჩეული და პირველი ყოფილა. ქ-ნ მარიკას სტუდენტობის პერიოდს დაემთხვა მეტად მძიმე ხანა – დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ამ დროის ქ-ნ მარიკას ოჯახი უმამოდაა დარჩენილი და მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქ-ნ მარიკას დედას – ნინოს მუშაობა დაუწყია, სამუშაო მარიკასთვისაც გამოჰკონდა. „მე და მარიკა ერთად ვმეცადინებოდით, უპირატესად მე ვკითხულობდი, მარიკა კი ამ დროს ცხვირსახოცებს ქარგავდა, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია და, ჩემგან განსხვავებით, გამოცდებზე უმაღლეს ნიშანს ღებულობდა“ (ო. ჯაფარიძე).

1943 წელს მარიამ ლორთქიფანიძემ, ისევე როგორც მისმა თანაკურსელებმა, უნივერსიტეტის ისტორიის ფილოსოფიის ფაკულტეტი ომის გამო საჩქაროდ, სწრაფი ტემპით დაასრულა – ხელოვნების ისტორიის მხოლოდ ზოგადი კურსი წაეკითხათ, ისიც შემოკლებით. სწავლის დროის სიმცირის მიუხედავად, ქ-ნ მარიკამ თავიდანვე მიიპყრო ლექტორების ყურადღება. იმ დროისათვის ისტორიის ფაკულტეტ-

ზე დიდებული პროფესორები მოღვაწეობდნენ – სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ნიორაძე, გიორგი ჩიტაია და სხვები.

მარიკა ლორთქიფანიძესთან ერთად 100-ზე მეტი სტუდენტი სწავლობდა, თუმცა ყველა მათგანმა ვერ მოახერხა უმაღლესის დამთავრება, ბევრი ჯარში გაიწვიეს, ბევრიც გაჭირვებასა და უსახსრობას უჩიოდა.

მარიკა ლორთქიფანიძისათვის პირველი კურსიდანვე ყურადღება მიუქცევია სიმონ ჯანაშიას, რომელიც მოგვიანებით, როცა ქ-ნი მარიკა ასპირანტურაში ჩაირიცხა, მისი ხელმძღვანელი ხდება.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დიდი სიყვარულით იხსენებს ყოველთვის მარიამ ლორთქიფანიძე. „ძალზე ბედნიერი ვიყავი, – გვიამბობს მარიამი, – სამი წლის განმავლობაში, კვირაში ერთხელ ვხვდებოდი ჩემს ხელმძღვანელს – მასწავლებელს, ბატონ სიმონს, რომელთანაც წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში ვმუშაობდი. ბატონი სიმონი იყო შესანიშნავი ადამიანი, პრინციპული და მომთხოვნი ხელმძღვანელი, ცოდნასთან ერთად მოითხოვდა პრინციპულ პოზიციას სადისკუსიო და სადავო პრობლემების მიმართ. დიდ ყურადღებას იჩენდა თავისი მოწაფეებისადმი“.

სიმონ ჯანაშიას სიმკაცრემ და დაჟინებულმა თხოვნამ მოსწავლეების მიმართ, პრინციპული პოზიცია დაეკავებინათ სადისკუსიო და სადავო საკითხებთან დაკავშირებით, ნაყოფი გამოიღო. ამის დასტურია მარიამ ლორთქიფანიძის გამოსვლა ე. შევარდნაძესა და რაზუმოვსკისთან შეხვედრაზე 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით. მაშინ ქართველმა საზოგადოებამ აშკარად აიმაღლა ხმა საბჭოთა კავშირის მთავრობის წინააღმდეგ. გამომსვლელთა შორის იყო ქ-ნი მარიკაც. მან რუსულად წარმოთქვა სიტყვა, რომელიც, ფაქტობრივად, საბრალდებო დასკვნა იყო მთავრობის წინააღმდეგ.

ქ-ნი მარიკა დღემდე დიდი სიყვარულით იხსენებს თავის მასწავლებელს ბ-ნ სიმონ ჯანაშიას. ამის დასტურად შეიძლება ერთი მაგალითიც მოვიყვანოთ. ქ-ნი მარიკას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ჩვენი ორგანიზატორების თხოვნითა და თსუ ადმინისტრაციის თანხმობით, 85-ე კაბინეტს, რომელიც მდებარეობს თსუ I კორპუსის II სართულზე ეწოდა „აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის კაბინეტი“. აღნიშნულ კაბინეტში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა, ქ-ნი მარიკას ბატონ სიმონის სურათი ეკიდა კაბინეტში, რომელიც რემონტის დროს ჩამოვსხენით, გარემონტების შემდეგ, როდესაც ქ-ნი მარიკა მოვიდა კაბინეტის სანახავეად, პირველ რიგში სურათი მოიკითხა.

ქ-ნი მარიკას საკანდიდატო დისერტაცია უკანასკნელი ნაშრომი იყო, რომელსაც მან ვიზა მისცა...

1947 წელს მარიკა ლორთქიფანიძემ მუშაობა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

1948 წელს დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1963 წელს – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საკანდიდატო სადისერტაციო თემა გახლდათ „თბილისის საამირო“, სადაც მან ქართული, სომხური და არაბული წერილობითი წყაროების საფუძველზე

მონოგრაფიულად შეისწავლა არაბთა ბატონობის შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური ერთეულის – თბილისის საამიროს ისტორია VIII-XI სს-ში.

ამავე წლიდან მუშაობას იწყებს თბილისის უნივერსიტეტში ისტორიის კათედრაზე დოცენტად, შემდეგ – პროფესორად, ხოლო 1972 წლიდან 1997 წლამდე – აღნიშნული კათედრის გამგედ.

„1972 წელს, თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის, დიდებული პიროვნების პროფესორ შოთა მესხიას გარდაცვალებს შემდეგ, კათედრის გამგის დანიშვნის საკითხი დადგა, არჩევანი უყოყმანოდ მარიკაზე შეჩერდა“ (ო. ჯაფარიძე).

მარიკა ლორთქიფანიძის სადოქტორო დისერტაციის თემა – „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“. იგი ფუნდამენტური გამოკვლევაა ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის შესახებ.

მ. ლორთქიფანიძეს წილად ხვდა ბედნიერება მოესმინა დიდი ივ. ჯავახიშვილის ლექციები. თუმცა, იმხანად ბ-ნი ივანე ისტორიკოსებს არ უკითხავდა ლექციებს. „ივანე ჯავახიშვილს ჩვენთვის ლექცია არ წაუკითხია. მიუხედავად ყველაფრისა, მას ჯერ კიდევ არ ანდობდნენ ლექციებს ისტორიის ფაკულტეტზე. ჩვენ მის ლექციებს, შეიძლება ითქვას, „კუდში მოვუსწარი“, ვესწრებოდით ლექციებს იურიდიულ ფაკულტეტზე“ (ო. ჯაფარიძე).

ბევრი რამის მომსწრეა ქ-ნი მარიამი, იგი დიდი ქართველი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის დაკრძალვაზე იმყოფებოდა. ბ-ნი ექვთიმე 1953 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა. სამწუხაროა, რომ ქართველმა ერმა მასთან დამშვიდობება ვერ მოახერხა, ვერ მიაგო სათანადო პატივი. საბჭოთა უშიშროების თანამშრომლები ცდილობდნენ, დიდი მამულიშვილის დაკრძალვას რაც შეიძლება ცოტა ხალხი დასწრებოდა. ისინი – უშიშროების თანამშრომლები – დადიოდნენ ინსტიტუტებსა და სხვადასხვა დაწესებულებებში და აფრთხილებდნენ – უკრძალავდნენ ექ. თაყაიშვილის დაკრძალვაზე მისვლას. მიზანს მიაღწიეს.

ექ. თაყაიშვილის ბიოგრაფის, პროფესორ იოსებ მეგრელიძის თქმით, დაკრძალვას სულ 48 კაცი ესწრებოდა, მათ შორის გახლდნენ: ქ-ნი მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, ნიკო ქანთარია, კოტე ჩოლოყაშვილი და ზურაბ კიკნაძე.

აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მუშაობის სფეროა შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურის ისტორიის საკითხები. ის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, აქედან 10 მონოგრაფიაა: „ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში“, „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“, „ნარკვევები საქართველოს გლეხობის ისტორიიდან“, „საქართველო XI-XII საუკუნეებში“, „ადრინდელი ფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა“, „საქართველო რუსთაველის ეპოქაში“, „მეფე ბაგრატ მესამე“ და სხვა.

მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი დიდი წვლილი საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულის შექმნაში. აქედან იგი II და III ტომების თანაავტორია. II ტომში გადმოცემულია IX-X სს. საქართველოს ისტორია, III ტომში – საქართველოს

პოლიტიკური ისტორია XI ს-ის დასაწყისიდან XII ს-ის 80-იან წლებამდე. აღნიშნული ნაშრომებისთვის მ. ლორთქიფანიძეს და სხვა ავტორებს მიენიჭათ სახელმწიფო პრემია.

მარიამ ლორთქიფანიძემ რუსულად თარგმნა ძველი ქართულიდან XI ს-ის ქართული ისტორიოგრაფიის ისეთი ძეგლები, როგორცაა: „მატიანე ქართლისაი“ და „სუმბატ დავითის ძის ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“, აღნიშნულთათვის 1981 წელს მიენიჭა ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემია.

1983 წელს მისი თაოსნობით თსუ საქართველოს ისტორიის კათედრასთან დაარსდა სოფლების ისტორიის შემსწავლელი ლაბორატორია, რომელიც რეფორმის შედეგად გაუქმებულია.

1983 წელს ქ-ნი მარიკა აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1993 წელს კი ამავე აკადემიის აკადემიკოსად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1975 წელს კადრების აღზრდისა და მეცნიერების დარგში წარმატებისათვის მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ნოდება. მეცნიერმა დიდი მუშაობა გასწია როგორც საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულის რუსული ვარიანტის II ტომის თანაავტორმა და თანარედაქტორმა.

1987 წელს ინგლისურ ენაზე გამოიცა ქ-ნ მარიამის ნაშრომი: „საქართველო XI-XII სს-ში“. იგი არის „თბილისის ისტორიის“ სამტომეულის თანაავტორი (IV-X სს თბილისის ისტორია).

მ. ლორთქიფანიძე არის თსუ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო „შრომების“ (სერია – ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა) მთავარი რედაქტორი, ქართულ-გერმანული ერთობლივი ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური გერმანულენოვანი სამეცნიერო ჟურნალ „გეორგიკას“ რედაქტორი საქართველოს მხრიდან, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე, თსუ აკადემიური საბჭოს წევრი და სხვა.

მინიჭებული აქვს ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიები, არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი.

მისი სახელი შეტანილია აშშ ბიოგრაფიულ ლექსიკონში „ვინ არის ვინ?“ (Who is who), დაჯილდოებულია ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის (The American Biographical Institute of Honor) მედლით, შეყვანილია კემბრიჯის მიერ გამოცემულ გამოჩენილ ადამიანთა ლექსიკონში, დასახელებულია 2001 წლის გამოჩენილ ქალად (Women of Year).

უნივერსიტეტში მუშაობის დაწყების დღიდან მ. ლორთქიფანიძე ისტორიის ფაკულტეტზე კითხულობდა და დღესაც კითხულობს საქართველოს ისტორიის ზოგადკურსს, ისტორიოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობას.

მ. ლორთქიფანიძის საინტერესო წერილები, ლექციები, საუბრები რადიო-ტელევიზიაში მუდამ იმსახურებს მსმენელთა დიდ ყურადღებას და მოწონებას.

იგი დაუცხრომელი ენერჯით ეწევა საქართველოს ისტორიის აქტუალური საკითხების პროპაგანდასა და პოპულარიზაციას. მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენასა და ღონისძიებაში.

ხშირია მისი მხრიდან მონაწილეობა ისტორიკოსთა, ბიზანტიოლოგთა, კავკასიოლოგთა რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფორუმების მუშაობაში.

ხშირად ლებულობს მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

ქ-ნი მარია დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობს როგორც სამეცნიერო საზოგადოებაში, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდებში.

ქ-ნ მარიას ჰყავს სამი შვილი, 6 შვილიშვილი, რვა შვილთაშვილი...

ნელს ქართულმა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა მისი დაბადების 85 წელი – საიუბილეო სხდომები გაიმართა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრში და სხვ.

LEVAN KIKVIDZE

## MARIAM LORDKIPANIDZE

### (LIFE AND ACTIVITIES)

#### Summary

A noted Georgian scientist, academician Miriam Lordkipanidze was born on 28 August, 1922, in Batumi. After graduating from the Faculty of History at Tbilisi State University, she was a post-graduate of the Georgian History chair between 1943 and 1946. From 1947 till 2006 she worked at Ivane Javakhishvili Institute of History under the Georgian Academy of Sciences.

In 1948 she defended a thesis for candidate's degree and in 1963 – for doctor's degree. During 1972-1997 she was the head of Georgian history chair.

She is the author of more than 100 scientific works, a number of monographs, textbooks and supplementary textbooks.

In 1983 she was elected a corresponding member of the Academy of Sciences of Georgia and in 1993 – an academician of the Academy.

She received Iv. Javakhishvili and N. Berdzenishvili rewards. She is a respectful citizen of Tbilisi, a holder of the order of dignity.

Her works have been published in Georgian, Russian, German, French and English languages.

Mrs. Mariam Lordkipanidze has three children, six grandchildren and eight great-grandchildren.

აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომთა  
ბიბლიოგრაფია

BIBLIOGRAPHY OF THE WORKS OF  
ACAD. MARIAM LORDKIPANIDZE

შემდგენლები: ნათელა ვაჩნაძე  
ლევან კიკვიძე

Compilers: Prof. Natela Vachnadze  
Levan Kikvidze

1. შაბიზ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 29, თბ. 1951.
2. თბილისის საამიროს ისტორიიდან. „მომომხილველი“, II, თბ. 1951.
3. ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან (სოლდებილი). მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30, თბ. 1954.
4. ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში (არაბული სახელწოდების მოხელენი). მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30, თბ. 1954.
5. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო VIII – XI სს). მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 31, თბ. 1954.
6. ფეოდალური საქართველოს კარის მოხელენი (ვაზირი). მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 32, თბ. 1955.
7. თბილისის ციხე. თბ. 1955.
8. აწყურის ციხე. თბ. 1955.
9. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, ტ. I, თბ. 1955.
10. დისკუსია საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, ტ. I, 1955 (თანაავტორი ზ. ანჩაბაძე).
11. სომეხი და ქართველი ხალხის ბრძოლა არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, ტ. IV, ნაკვ. I, თბ. 1958.
12. ადრეფეოდალური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, ტ. IV, ნაკვ. 2. თბ. 1952.
13. ბოლშევიკური პრესა 1905-07 წწ. რევოლუციის შესახებ საქართველოში. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, ტ. III, თბ. 1959.
14. ათას ზუთასი წლის ისტორია (რეცენზია), ჟურნალი „კომუნისტი“, №11. თბ. 1959.
15. ძირითადი საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა IX-X სს. საქართველოში. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მომამბე“, 2, თბ. 1960.

16. Абхазия в эпоху раннего феодализма. Нигнში: Очерки истории Абхазской АССР, т. I, Сухуми, 1960.
17. მინათმფლობელობის ფორმების საკითხისათვის IX-X სს. საქართველოში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ. 1962.
18. არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, თბ. 1963.
19. რეცენზია ა. ბოგვერაძის ნაშრომზე „ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან“. სსსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მომბე“, №2. თბ. 1963.
20. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ. 1963.
21. რამდენიმე შენიშვნა პ. ინგოროყვას „რუსთაველიანას“ და „რუსთაველიანას ეპილოგის“ გამო, „მაცნე“ (სერია: ისტორია...), №6, თბ. 1964.
22. Грузия в эпоху феодализма. Нигнში: Страницы из истории Грузии, Тб. 1965.
23. ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა. თბ. 1966.
24. Эпоха Руставели, Тб. 1966.
25. საქართველო რუსთაველის ეპოქაში. თბ. 1966.
26. Грузия (Краткий исторический очерк), Тб. 1966 (თანაავტორები: ნ. ლომოური, ზ. ანჩაბაძე, ა. ბენდიაიანიშვილი, მ. ნათმელაძე).
27. სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს-ის საქართველოში. კრებული: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ. 1966.
28. ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ. კრებული: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ. 1966.
29. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ. 1967 (თანაავტორები: გ. აკოფაშვილი, დ. მეგრელიძე, ო. სოსელია).
30. К вопросу о надписях храма Джвари в Мцхета. „მაცნე“, 4, თბ. 1968.
31. საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან. კრებული: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თსუ „შრომები“, №126, თბ. 1968.
32. ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან XII ს-ის საქართველოში. კრებული: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, I, თბ. 1970.
33. დიდგორის ბრძოლა. „მაცნე“, №3, თბ. 1972.
34. Из истории грузино-византийских взаимоотношений (70-ые годы X в.). კრებული: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის ნარკვევები, II, თბ. 1972.
35. ცვლილებები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში IX-X საუკუნეებში. ნიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თავი VI (გარდა § 3-ისა), თბ. 1973.
36. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. ნიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თავი მეშვიდე, თბ. 1973.
37. ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა. ნიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თავი მერვე, თბ. 1973.
38. История Грузии, XI – нач. XIII в. Тбилиси, 1974.

39. Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X-XI вв. Actes des XIV-e Congrès International des Etudes Byzantines II, Editure Academiei Republicii Socialiste Romania, 1975.
40. ივანე ჯავახიშვილი. თბ. 1976.
41. Матиане Картлиса (Русский перевод, вступительная статья, примечания М.Д. Лордкипанидзе), Тбилиси, 1976.
42. И.А. Джавахишвили, журн. История СССР. Москва, 1977.
43. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს სოციალური ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თსუ „შრომები“, №194. თბ. 1977 (თანაავტორი გ. მამულაია).
44. Сумбат Давитис-дзе. История царского рода Багратиони (Русский перевод, вступительная статья, примечания М.Д. Лордкипанидзе). Тбилиси, 1978.
45. მიხეილ თამარაშვილის დაბრუნება. უფრნალი: ისტორია, საზოგადოება-მცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, 1978, №4.
46. Из истории грузино-византийских взаимоотношений (70-ые годы XI в.). Византийский временник. Москва. 1979.
47. ქართლი V ს-ის მეორე ნახევარში. თბ. 1979.
48. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს-ის 80-იანი წლებიდან XI ს-ის 80-იან წლებამდე. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თავი მეორე, თბ. 1979.
49. საქართველო XI ს-ის ბოლოსა და XII ს-ის პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თავი III. თბ. 1979.
50. საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თავი მეოთხე. თბ. 1979.
51. ისევ ქართული წყაროების რუსულად თარგმნის შესახებ, „მაცნე“ (სერია: ისტორია...), 1979, №4.
52. Zur Geschichte und Historiographie Georgiens, უფრნალი "Georgica", იენა. 1980.
53. К вопросу об использовании античных и византийских историков в грузинской средневековой историографии. კრებული Историико-филологические разыскания, т. I. Тбилиси, 1980.
54. IX-XII საუკუნეების საქ. ისტორიის საკითხები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. მაცნე, №1. თბ. 1981
55. О византийско-грузинских культурных взаимоотношениях в VII-XII вв. Византийские очерки, Москва. 1982.
56. Zur periodisierung des byzantinisch-georgischen Kulturellen – Wechselbeziehungen, უფრნალი "Georgica". იენა. 1982.
57. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების ისტორიული ფონი, უფრნალი: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. №1. თბ. 1983.

58. К истории Нагорной Картли в V-XVIII вв. კრებული: საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში (თანაავტორები: მ. დუმბაძე, ბ. ლომინაძე). თბ. 1983.
59. Un peu d' histoire de la Géorgie (თანაავტორი ი. კაჭარავა). 1975.
60. A. Glimps of Georgian History (თანაავტორი ი. კაჭარავა). 1983.
61. ცხოვრება იოვანესი და ეფთემესი გიორგი მთანმიდელის და ცხოვრება იორგი მთანმიდელის გიორგი მცირესი, როგორც საისტორიო წყარო, თსუ შრომები, ტ. 246. თბ. 1984.
62. "Das Leben des Jowane und des Eptvime" von Georgi Mtazmindeli und "Das Leben des Giorgi Mtazmindeli" von Georgi Mzire als Geschichtsquellen. ჟურნალი "Georgica". იენა, N1984.
63. Der Politik Davit des Erbauers und siene "Reuegesange" ჟურნალი "Georgica", იენა, 1986.
64. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. წიგნში: ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში. თბ. 1986.
65. Georgia in the 11<sup>th</sup>-12<sup>th</sup> centuries, Tb., 1987.
66. საქართველოს ისტორია. VIII-IX კლასების სახელმძღვანელო. თბ., 1988 (თანაავტორი ნ. ასათიანი). მეორე შესწორებული გამოცემა, თბ., 1990.
67. საქართველოს ისტორია. VIII კლასის სახელმძღვანელო. მესამე შესწორებული გამოცემა (თანაავტორი ნ. ასათიანი). თბ. 1993.
68. Изменения в социальной и экономической жизни в IX-X вв. Очерки истории Грузии, т. II, гл. V (кроме § 3), Тбилиси, 1988.
69. Возникновение новых феодальных государств, в книге: Очерки истории Грузии, т. II, гл. VI. Тбилиси, 1988.
70. Образование грузинской феодальной монархии, в книге: Очерки истории Грузии, т. II, гл. VI. Тбилиси, 1988.
71. რა არის „ქართლის ცხოვრება“. თბ. 1989.
72. თბილისისათვის ბრძოლის ისტორიიდან. კრებული: დავით აღმაშენებელი. თბ. 1990.
73. ქალაქ თბილისის წარმოშობა და პოლიტიკური განვითარება X საუკუნის ბოლომდე. თავი II წიგნში: თბილისის ისტორია, I. 1990.
74. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება. თავი III. წიგნში: თბილისის ისტორია, I, თბ. 1990.
75. აფხაზები და აფხაზეთი (ქართულად, რუსულად, ინგლისურად). თბ. 1990.
76. Introduction – წიგნში: The Georgian chronicle. Translated by Katharine Vivian. Amsterdam, 1991.
77. Тбилиси. Исторический очерк (IV- нач. XII в.), Тб. 1991.
78. Bagrationi Vakhushti; Georgian Anonym; Historian of David. წიგნში: Greit Historians from Antiquity to 18 c. An International Dictionary. New York, Westport, Connecticut, London, 1992.

79. Heidentum in christlichen Georgia. უურნალი "Georgica", 1993 (თანაავტორი ნათელა ვაჩნაძე).
80. Anfänge der georgischen Geschichtsschreibung. კრებული: "Brücken". Festgabe für Gert Hummel. თბილისი, 1993.
81. Essays on Georgian History, Tbilisi, 1994.
82. ვახტანგ გორგასლის დიპლომატიური მოღვაწეობის ისტორიიდან. ქართული დიპლომატია. წელიწდეული, №1, თბ. 1994.
83. ქუთაისი, უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე (თანაავტორები: ო. ლანჩავა, ო. ლორთქიფანიძე). თბ. 1994.
84. ქართული ჰაგიოგრაფიული ჟანრის თავისებურებანი (თანაავტორი ნათელა ვაჩნაძე). ინგლისურ ენაზე. თბ. 1994.
85. Mokcewaj Kartlisaj. Nawrocenie Kartlii. Ze starogruzinnskiego przetozut i przupisami opatizut Dawid Kolbaja. Wst ep Mariam Lordkipanidze, Warszawa, 1995.
86. ქუთაისის აღორძინება დასავლეთ საქართველოს დედაქალაქად (VII-VIII სს). ქუთაისის უნივერსიტეტის „მოამბე“, №4, ქუთაისი, 1995.
87. Абхазия – неотъемлемая часть Грузии, კრებული: Распятая Грузия, Санкт-Петербург. 1995.
88. The History of Georgia. შესავალი წერილი ნიგნისათვის: Georgian Architecture. ააპენის უნივერსიტეტის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის გამოცემა, 1995.
89. საეკლესიო რეფორმა აფხაზთა სამეფოში. უურნალი „ჯვარი ვაზისა“, №1, თბ. 1995.
90. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების პოლიტიკური მნიშვნელობა. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, №3, თბ. 1996.
91. История Грузии. Учебник VIII класса для русских школ /соавтор Н. Асатиани/, Тбилиси, 1996.
92. შიდა ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის. უურნალი „ჯვარი ვაზისა“, №1, თბ. 1997.
93. ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა V ს. II ნახევარში. ვახტანგ გორგასლის დიპლომატია. ნიგნში: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. I, თბ. 1998.
94. არაბთა სახალიფოს გავლენის დამყარება ქართლში. ქართულ-არაბული ურთიერთობები VII-VIII სს-ში. ნიგნში: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I, თბ. 1998.
95. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობაში. საშინაო დიპლომატია (IX ს. – Xს-ის I ნახევარი). ნიგნში: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I, თბ. 1998 (თანაავტორი ზ. პაპასქერი).

96. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა (თანაავტორი ზ. პაპასქირი). წიგნში: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I, თბ. 1998.
97. საქართველოს სახელმწიფო საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში (თანაავტორი ზ. პაპასქირი). წიგნში: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1998.
98. Образование грузинского феодального государства, Caucasicca, №1, 1998.
99. К вопросу кавказского единства, Caucasicca, №2, 1998.
100. პოლიტიკური თეორია სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიის შესახებ. იხ. ქართული დიპლომატია, წელიწდეული. №6, თბ., 1999.
101. History. წიგნში: Georgian Culture, თბ. 1999.
102. ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან (ისევ სოლდებილის შესახებ). კრ. ენათმეცნიერების საკითხები, 4, თბ. 1999.
103. Абхазское царство. წიგნში: Разыскания по истории Абхазии (Грузия), Тбилиси, 1999.
104. ქართული სახელმწიფოს არსებობის უწყვეტი ხაზი. კრებული: ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან. თბ. 2001.
105. საქართველოს ისტორია. სახელმძღვანელო X კლასისათვის (თანაავტორები: რ. მეტრეველი, ნ. ასათიანი). თბ. 2001.
106. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის. გელათის აკადემიის „შრომები“, № 10. 2003.
107. კავკასიის ხალხთა შორის ერთიანობის ტრადიციის არსებობის შესახებ. აკად. კ. წერეთლის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ. 2003.
108. სასჯელი და გზა. წიგნში: ნათელი ქრისტესი, საქართველო, თბ. 2003.
109. „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის. კრებული: „ოჩხარი“, ჯ. რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიურ-ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი. თბ. 2003.
110. ადრე შუა საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობის ზოგი საკითხი. კრებული: ვალერიან გაბაშვილი. თბ. 2003.
111. თანამოსაყდრეობის საკითხისათვის საქართველოში. კრებული: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV, 2005.
112. მარი ბროსე და „ქართლის ცხოვრების“ ზოგი საკითხი. მეოთხე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბ. 2005.
113. აფხაზეთის სტატუსის შესახებ საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები „ანალები“, IV, 2005.
114. რამ გადაგვარჩინა? ყურნალი „მნათობი“, №3. 2006.
115. საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის), მთავარი რედაქტორი, თანაავტორი. თბ. 2006.

116. იყო თუ არა ხუთჯვრიანი დროშა შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო სიმბოლო, კრებული: შოთა მესხია 90, თბ. 2006.
117. სახელოვანი მეცნიერი და მამულიშვილი. ჟურნ. „ხიდი“, 2006, №4.
118. აუცილებელი რეფორმა, ჟურნალი „გზა“. 2006. 29/VI-5/VII.
119. „აფხაზთა მეფეთა დივანის“ და იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის შრომაში აფხაზთა მეფეების შესახებ არსებულ ცნობათა შედარებისათვის. თსუ „შრომები“, №328. 1999.
120. უდროოდ გარდაცვლილი კოლეგის ნათელ ხსოვნას. კრებული: მშვენიერება მოსილი სევდით. თამარ გამსახურდია 70, თბ. 2007.
121. ჩემი გზა, თბ., 2007.
122. ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა (შედარების ცდა). კრ. „ანამკი“. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2002.
123. საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგია მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო. პარლამენტის უწყებანი, 2, 2002.
124. რატომ ვჩქარობთ? პარლამენტის უწყებანი, 10, 2002.
125. ბაგრატიონები – საქართველოს სახელმწიფოს გარანტი, ნიგნში: ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, თბ., 2002.
126. ქართული დიპლომატიის ისტორია უძველესი დროიდან XX ს-ის ბოლომდე (თანაავტორი), 2003.
127. ქრისტიანობის როლი საქართველოს ისტორიაში, კრ. ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში. თბ., 2004.
128. ქართველთა ერთიანობისათვის, აღმანახი „ეროვნული ღირსებისათვის“, თბ., 2006.
129. საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივები. კრ. Pro et Contra, თბ., 2006
130. სახელმწიფოებრიობის საკითხისათვის საქართველოში, მნიგნობარი, თბ., 2006.
131. ქართული ეროვნული თვითშეგნების საკითხისათვის. კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბ., 2007.
132. პატრიარქი და მორწმუნენი, კრ. სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს, თბ., 2007.
133. towards the Origin and continuity of statehood Georgia, Bulletin Georgian National of sciences, საქართველოს ეროვნული აკადემიის, მოამბე ტ. I (175), № 2007.
134. Осетины в Грузии (თანაავტორი გ. ოთხმეზური), Кавказ и глобализация, том I (a), 2007. Швеция (ინგლისური ვარიანტი: The Caucasus and Globalization, 2007, Швеция).

### საგაზეთო სტატიები

1. თბილისი V-XII სს-ში. „კომუნისტი“, 1958. №136.
2. თბილისი XIII-XVIII სს-ში. „კომუნისტი“ 1958. №150.
3. მრუდე სარკეში (თანაავტორი შ. მესხია). „კომუნისტი“, 1969 წ. №10.
4. ქართული პაგიოგრაფია დიდი ლიტერატურაა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1968, 4/VII.

5. Неизгладимый след (к 80-летию С. Н. Джанашиа), „Заря Востока“, 15.X. 1980.
6. სახელოვანი მეცნიერი, მამულიშვილი (ს. ჯანაშიას 80 წ.) „სახალხო განათლება“, 21.X.1980.
7. თაობათა მასწავლებელი (გიორგი ჩიტაია 90 წლისაა). გაზ. „უნივერსიტეტი“, 1980, 19. XII.
8. ღვანლმოსილი მეცნიერი (ნ. ბერძენიშვილი), „სამშობლო“, 1985, 1.1.
9. ჩემი ახალგაზრდობის ერთი სიხარული (ანა კალანდაძე), „კომუნისტი“ 1985, 1.III.
10. დიდი ვარძიის ეპოქა. „ლიტერატურული საქართველო“, 1986, 3.X.
11. დაბლა ვხრი თავს (აკაკი შანიძის გარდაცვალების გამო), „თბილისის უნივერსიტეტი“, 1987, 3.IV.
12. ბატონო ლერი (პასუხი კინორეჟისორ ლერი სიხარულიძეს). „ქართული ფილმი“, 1988, 29. VI.
13. История, время, гражданский долг, „Вечерний Тбилиси“, 1988, 27.X.
14. Некомпетентность – в ранг истины. „Заря Востока“, 1989, 23.VII.
15. Распространение христианства в Грузии, „Вечерний Тбилиси“, 1989, 15. VIII.
16. Время Вахтанга Горгасали, „Вечерний Тбилиси“, 1989, 6.IX, 7.X.
17. Арабы в Грузии, „Вечерний Тбилиси“, 1989, 13.X, 14.X.
18. Объединение Грузии, „Вечерний Тбилиси“, 1989, 13. X, 14.X.
19. Грузия в XI веке, „Вечерний Тбилиси“, 1990, 10.I-11.I.
20. „ინყო აღმოცისკრობად მზემან ყოველთა მეფობათაგან“, „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 10. XI.
21. ისტორია მომავალ თაობებს სჭირდება, „თბილისი“, 1989, 24. II.
22. ბრძოლა თბილისისათვის, „თბილისი“, 1989, 7. II.
23. ლონდონი – „ქართველოლოგიის დღე“, „ლიტერატურული საქართველო“, 1990, 1. VI.
24. „არ უწყიან თუ“, „ლიტერატურული საქართველო“, 1990, 16. II.
25. აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, გაზ. „მედიცინა“, 1996.
26. როდიდან მოვდივართ, საიდან მოვდივართ, „საქართველოს რესპუბლიკა“ (თანაავტორები: რ. მეტრეველი, ო. ჯაფარიძე), 1997, 26.IX.
27. ქართველი მეცნიერების მონაწილეობის საკითხისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997, 28. V.
28. დიდი ქართველი (თანაავტორი რ. მეტრეველი), „ლიტერატურული საქართველო“, 1997, 24-31.X.
29. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ (თანაავტორები: პ. ზაქარაია, რ. მეტრეველი, ნ. შოშიაშვილი, გ. ჯამბურია, ო. ჯაფარიძე), „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998, 10.III.
30. ჯავახეთი (თანაავტორი ნ. შოშიაშვილი), „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998, 18-19.X.
31. იოანე მარუშის-ძე „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998, 29. XI.

32. კვლავაც გაამდიდრებს ქართულ მეცნიერებას. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999, 7. XII.
33. სახელმწიფოებრიობის საკითხისათვის საქართველოში, „საქართველოს რესპუბლიკა“. 1999, 26-27. XII.
34. ქართველმა ხალხმა არ უნდა დაუმეას ეროვნული ტრადიციების ხელყოფა „ქართული უნივერსიტეტი“, 2004, 29. IX, 5. X.
35. ზოგი რამ განათლების სისტემასთან დაკავშირებით „თბილისის უნივერსიტეტი“, 2004, 1.X.
36. ყოველი ქართველი წირვა-ლოცვას მუდამ ქართულად ისმენდა, ახლა კი მეგრულად და სვანურადაც ვილოცოთ? ქართველმა აკადემიკოსებმა ერთხელ უკვე გადაარჩინეს ამისგან საქართველო – ეს იყო ნახევარი საუკუნის წინ. „ქართული გაზეთი“, 13-14 ოქტომბერი, 2005, 13-14. X.
37. რა დაბრუნებაზეა ლაპარაკი, როცა აფხაზებს ჩვენი დანახვაც არ უნდათ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2005, 21. VII.
38. ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს (გვარების გამოცვლის გამო), 29 ხელმოწერა. „რეზონანსი“, 2005, 16. VI.
39. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები აქციებით იმუქრებიან. „ახალი თაობა“, 2005, 29. IX.
40. უნივერსიტეტს ფაქტიურად აუქმებენ. „ახალი თაობა“, 2005, 18-24 IX.
41. ჩემ თვალწინ უნივერსიტეტს მარხავენ. „მთელი კვირა. საქართველოს ამბები“. 2005. 4 VII.
42. ახალი რუბრიკა, „თბილისის უნივერსიტეტი“, 2005, 21 IV.
43. საქართველოში ანტისომხური განწყობა არ არის, ნურც სხვები დათესენ, „ჯორჯიან თაიმსი“, 2005, 14-21 XII.
44. ისტორიული აფხაზეთი უძველესი დროიდან ქართული მხარე იყო (ბ.ნ ანზორ შონიას სტატიის გამო), „საქართველოს რესპუბლიკა“, 2005, 2-3 VI.
45. გავუფრთხილდეთ საკუთარ ისტორიას, „ახალი 7 დღე“, 2005, 20-26. X.
46. კონფლიქტების მოგვარების საქმეში საზოგადოებაც უნდა აქტიურობდეს, „ახალი თაობა“, 2005. 21.VII.
47. უნივერსიტეტს თავისი უფლებები უნდა აღუდგეს. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2006, 4.VII.
48. ღია წერილი რუსეთის პრეზიდენტს ვ. პუტინს. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2006, 7 XI.
49. Дезинформация идет от недоброжелателей (письмо Путину), 11 ноября, 2006 г.
50. ამერიკაში მიხვდნენ, რომ 65 წელი მეცნიერისათვის საპენსიო ასაკი არ არის. „ახალი თაობა“, 2006, 12-18 III.
51. აუცილებელი რეფორმა – უკომპრომისო ხელისუფლება და მწვავე კითხვა – ქუჩა სჯობს თუ საუნივერსიტეტო მერხი. „გზა“. 2006, 29. V-5. VII.
52. დავით გარეჯის ხელყოფა სარწმუნოების ხელყოფაა. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2007, 29, III.

53. დავით გარეჯი სამონასტრო რესპუბლიკად უნდა გამოვაცხადოთ. „ახალი თაობა“, 2007, 11 IV.
54. რექტორის დაუნერული კონცეფცია, უზუცესთა მოსმენა. „თბილისის უნივერსიტეტი“, 2007. 15. I.
55. მისთვის სამშობლო „ივერია“ საქართველო იყო – გიორგი შარვაშიძე, 160. აფხაზეთის მთავრობის სპეციალური გამოშვება. 2007, 14 მაისი.
56. Открытое письмо мэру Москвы господину Лужкову Ю.М. Газ. "Свободная Грузия", 11 декабря, 2007.
57. „ბრძანება ზემოდან“ უნივერსიტეტში ვერ გატარდა, „თბილისის უნივერსიტეტი“, 2007.

**საენციკლოპედიო სტატიები  
დიდი სააჭოთა ენციკლოპედია  
II გამოცემა  
(БСЭ)**

- |                |                        |
|----------------|------------------------|
| 1. Багратионы. | 3. Кахети.             |
| 2. Картли.     | 4. Летописи Закавказья |

**სააჭოთა ისტორიული ენციკლოპედია**

- |                           |                       |
|---------------------------|-----------------------|
| 1. Вахтанг VI.            | 6. Георгий Мерчуге.   |
| 2. Вахтанга законы.       | 7. Давид Строитель.   |
| 3. Вахушти Багратиони.    | 8. Джавахишвили И. А. |
| 4. Вахтанг I Горгасали.   | 9. Джанашиа С.Н.      |
| 5. Давид III (Куропалат). |                       |

**ქართული სააჭოთა ენციკლოპედია  
(ქსე)**

- |  |   |
|--|---|
| 1. არაბობა საქართველოში.               | 13. თბილისის საამირო.   |
| 2. აბულ კასიმის ლაშქრობა საქართველოში. | 14. „მატიანე ქართლისა“.   |
| 3. აბუსერიძე ტბელი.                    | 15. ორბელთა აჯანყება 1177-1178.   |
| 4. აფხაზთა სამეფო.                     | 16. ჯანაშია სიმონ.  |
| 5. გიორგი I.                           | 17. ჯაფარ ალის ძე.  |
| 6. გობრონი.                            | 18. ჯაფარიანები.  |
| 7. დავით II ქართველთა მეფე.            | 19. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის დამატებითი ტომი. საქ. სსრ, თბ., 1981. |
| 8. დავით III დიდი.                     | ა) ქართულად: საქართველო IV-X სს.  |
| 9. „დაცვის სიგელი“.                    | ბ) რუსულად: Грузия в IV-X вв.   |
| 10. დემეტრე უფლისწული (დემნა).         |   |
| 11. თამარი.                            |   |
| 12. თბილელი ბერები.                    |   |

- |  |                          |
|--|--------------------------|
| 1. აბულ კასიმის ლაშქრობა საქართველოში. | 4. ანისი.                |
| 2. აბუსერიძე ტბელი.                    | 5. არაბობა საქართველოში. |
| 3. ამირა.                              | 6. აფხაზთა სამეფო.       |

ენციკლოპედირი ლექსიკონი „ივანე ჯავახიშვილი“, თბ. 2002

- |   |   |
|---|---|
| 1. აბაშიძე დავით.                                     | 31. მასული.                                     |
| 2. აბულ-კასიმი.                                       | 32. „მატიანე ქართლისაჲ“.                        |
| 3. ალი შუაბის ძე.                                     | 33. მეგოდრე.                                    |
| 4. ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“.               | 34. მეკომრე.                                    |
| 5. აღმწერელი ჰამბავისა.                               | 35. მირზაშვილი.                                 |
| 6. აღრიცხვა.  | 36. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.                       |
| 7. ახალგაყრილი.                                       | 37. მოხელე.                                     |
| 8. ახო.   | 38. მუავია.                                     |
| 9. ბაგრატიონები.                                      | 39. მუშელი.                                     |
| 10. ბასილი ეზოსმოდღვარი.                              | 40. ნასყიდი.                                    |
| 11. გამოსაღები.                                       | 41. ორბელიანი რევაზ.                            |
| 12. გარსევანიშვილი ტეტია.                             | 42. ორთალი.                                     |
| 13. დავით პეტრინონელი.                                | 43. საგოდებელი.                                 |
| 14. დაზგა.  | 44. სადიასპანო ცხენი.                           |
| 15. ვახტანგ I გორგასალი.                              | 45. საკუთრება სამეფო.                           |
| 16. ზოდები.   | 46. საპირფარეშოს იარაღი.                        |
| 17. ზრო.  | 47. სარკინოზი.                                  |
| 18. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი.                   | 48. საური.                                      |
| 19. ივერიის თემი-საკატაპანო.                          | 49. „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“.          |
| 20. ისტორიოგრაფია.                                    | 50. „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები“. |
| 21. იჯინტონის წიგნი.                                  | 51. „საქართველოს სამოთხე“.                      |
| 22. კაი კვამლი.                                       | 52. სამობაო.                                    |
| 23. კვეცენი.  | 53. სესხი.                                      |
| 24. კვირტი.   | 54. სუმბატ დავითის ძე.                          |
| 25. კიკორაძე.   | 55. ალ-ტაბარი.                                  |
| 26. კოსტანტაძე.                                       | 56. ტბელები.                                    |
| 27. კრებულნი.   | 57. უსტაბაში.                                   |
| 28. მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“.                  | 58. უშენი.                                      |
| 29. მარკვარტი.  | 59. ფადლა II.                                   |
| 30. „მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის“. | 60. ფადლონ I.                                   |
|   | 61. ფადლონი.                                    |
|   | 62. ფადლუნი.                                    |

63. ქავთარ ბარამის ძე.
64. ქალდეველნი.
65. „ქართლის ცხოვრება“.
66. ქერელი.
67. ქერქმაგარი და ქერქრბილნი.
68. ქუბა.
69. ქუზიხანა.
70. ლერო.
71. შეშთაობა.
72. შიო.
73. შურტა.
74. „ცხოვრებაჲ ვახტანგ გორგასალისა“.

75. „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“.
76. „ნელინადი განსუენებისაჲ“.
77. წყაროთმცოდნეობა.
78. ჭალაშვილი ერაჯ.
79. ხაზინა. ხოჯა აზიზი.
80. ჯუანშერი.
81. ჯუანშერი.
82. ჰაბიბ იბნ მასლამა.
83. ჰერეთი.

**მომზადებული**



**ჩემი და მარიკა!**

ჩვენი შორის განსხვავება 5 წელია, ის 85 წლისაა. მე 80-ის ვხდები. ამას წინათ ვეხუმრებოდი, რა გვაქვს დასანანი, ერთად 165 წლისა ვართ-მეთქი. 5 წელი განსხვავება ახლა არაფერს ნიშნავს, მაგრამ ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ჩვენ ერთად გავიარეთ გრძელი, რთული და საინტერესო ცხოვრება. მარიკა ჩემთვის მარტო უფროსი და არ არის, ის ჩემთვის მაგალითია, თავისი მაღალი ზნეობით, დიდი პროფესიონალიზმით და, რაც მთავარია, ფანატიკური პატრიოტიზმით.

მარიკა შესანიშნავი დედაა, გაზარდა სუფთა და ნათელი შვილები და შვილიშვილები. სულ ახლახანს გაუჩნდა მერვე შვილთაშვილი, პატარა მარიამი. ბევრ სიხარულთან ერთად, ბევრი ტკივილიც არგუნა ბედმა. ყველაფერს გაუძლო, როგორც ნამდვილმა ქართველმა ქალმა.

ჩემო სიცოცხლე, ჩემო უსაყვარლესო დაო, გისურვებ სიმტკიცეს, ჯანმრთელობას, შენ ჯერ კიდევ დიდხანს გეჭირდები ჩვენ ყველას, როგორც მაგალითი და იმედი.

გკოცნი,

*შენი გიგა*

## სიტყვა სიყრმის მებოპარზე

პაპად. მარიამ ლორთქიფანიძეს 2007 წლის მარიამობის დღეს ოთხმოცდახუთი წელი შეუსრულდა. ძნელია დაიჯერო, რომ ამ უაღრესად მოქმედმა, ენერგიულმა პიროვნებამ ცხოვრების ასეთი დიდი გზა განვლო და დღესაც დაუღალავად, უანგაროდ ემსახურება თავის სამშობლოს. მარიკამ თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით დიდი ღვაწლი დასდო ქართულ მეცნიერებას და საზოგადოებრივი საქმიანობით ბევრი სიკეთე მოუტანა თავის ქვეყანას. მისი განსაკუთრებული ხიბლი ისაა, რომ იგი გამოირჩევა თავისი ადამიანური თვისებებით, ხალხთან კეთილი ურთიერთობით, მეგობრების უანგარო სიყვარულით. მეც მქონდა ბედნიერება ეს სითბო და სიყვარული მეგრძნო; ჩვენ ხომ თითქმის რვა ათეული წელი გვაკავშირებს და ამ წლების მიღმა ბევრი გვაქვს მოსაგონარი როგორც სასიხარულო, ისე, საუბედუროდ, არანაკლებ სამწუხარო. ჩვენ ხომ უმძიმეს დროს მოგვიხდა ცხოვრება.

ზუსტად 77 წლის წინ, 1930 წ. 1 სექტემბერს, 25-ე შრომის სკოლის II კლასში ჩვენმა დამრიგებელმა, შესანიშნავმა პედაგოგმა ნინო მიქელაძემ, დავით მეველეს უფროსმა ქალიშვილმა, შემოიყვანა სხვა სკოლიდან გადმოსული გამხდარი, დაღეული, შეუხედავი გოგონა. სწორედ დეიდა ნინოს (როგორც სიყვარულით ვეძახდით მონაფეები) გამო გადმოიყვანეს მარიკა მშობლებმა ჩვენს სკოლაში. დღესაც მისი შემორჩენილი ნამონაფარები დიდი სიყვარულით ვიგონებთ „ნინა დავიდოვნას“, რომელიც უფროს კლასებში რუსულ ენას გვასწავლიდა, და მასთან ერთად სხვა დიდებულ მასწავლებლებს, რომლებსაც სრულიად განსაკუთრებული როლი მიუძღვით ჩვენს აღზრდაში.

ჩვენ, უკვე პირველკლასგამოვლილნი, ცოტა აღმაცერად შევხვდით ახლად გადმოსულ გოგონას. მაგრამ მარიკა სულ მალე კლასის პირველი მონაფე გახდა და ასეთად დარჩა სკოლის დამთავრებამდე. ცოტა რომ წამოვიზარდეთ და სწავლა უფრო გართულდა, ვცილობდით მარიკას გვერდით ან მის უკან დაემსხდარიყავით, რომ მისგან გადაგვეწერა საკონტროლო დავალება. მაგრამ მარიკა მარტო სწავლით კი არ გამოირჩეოდა, არამედ თავის თანაკლასელებთან კეთილი ურთიერთობით, ყველას დაუზარებლად უმართავდა ხელს. კლასში მის ირგვლივ უახლოესი მეგობრების ვინრო, ძალიან შეკავშირებული წრე ჩამოყალიბდა. ჩვენს სიახლოვეს ისიც აძლიერებდა, რომ კარგად ვგრძნობდით, თუ რა ქვეყანაში, რა პირობებში გვინევდა ცხოვრება. ჩვენ ვენდობოდით ერთმანეთს, სრულიად გულწრფელნი ვიყავით და თავისუფლად გამოვთქვამდით აზრს იმ ნყოფის შესახებ, რომელშიც ვარსებობდით. რა თქმა უნდა, იმ საშინელი დროს ეს არცთუ ისე უსაფრთხო იყო, მაგრამ ჩვენ ერთმანეთის იმედი გვქონდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ დავინწყეთ რაღაც გამოსავლის ძიება არსებული რეჟიმიდან თავის დასაღწევად. აქაც თავი და თავი

მარიკა იყო. ვიკრიზებოდით, ვმსჯელობდით და ვხედავდით, თუ რა უსამართლობა ხდებოდა ჩვენ ირგვლივ. ეს ხომ საშინელი წლები, დაპატიმრებების, უსამართლო ბრალდებების, ოჯახების ანიოკების და სხვა უბედურებების ხანა იყო. რა თქმა უნდა, ეს შეკრებები ახალგაზრდული გატაცების ბრალი იყო. აკი ემსხვერპლა კიდევ მას ზოგი ჩვენი მეგობარი, მაგრამ მათმა ვაჟუცობამ და უდიდესმა გამძლეობამ სხვები ხიფათს გადაარჩინა.

ჩვენი შეკრების ხშირი ადგილი მარიკას ოჯახი იყო და, მიუხედავად დიდი სივინროვისა, იქ დიდი სიყვარულითა და სითბოთი გვხვდებოდნენ მისი დიდებული მშობლები – შესანიშნავი დეიდა ნინო და არაჩვეულებრივი პიროვნება, ბრწყინვალე ქართველი დავით ლორთქიფანიძე. იგი ვერაფრით შეეგუა არსებულ წყობას, კომუნისტური აზროვნების წესს და ამ რეჟიმის მსხვერპლი გახდა. სწორედ ამ ოჯახში აღიზარდნენ მარიკა და მისი ძმა გიგა, დიდებული პიროვნება. ალბათ, მშობლებისგან გამოჰყვათ მათ კეთილი გრძნობები თავის ახლობლებისა და მეგობრების მიმართ, სამშობლოს სიყვარული.

1939 წელს დავამთავრეთ საშუალო სკოლა, მარიკამ, რა თქმა უნდა, ნაჩინებით და უმაღლესისაკენ გზა ხსნილი ჰქონდა. მე კი უმაღლესში მისაღები გამოცდები უნდა ჩამებარებინა. მაშინ, სიმღერის გარდა, ყველა საგანი ბარდებოდა. მაგრამ მთლად გააზრებული არ გვექონდა, მომავლის რა გზა აგვეჩრია. იმ დროს მშობლები ნაკლებად ერეოდნენ შეილების ცხოვრებაში და თვითონ უნდა შეგვეჩრია ჩვენი მომავლის ბედი. სწორედ იმ ხანებში თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე გამოცხადდა მიღება ხელოვნების ისტორიის სპეციალობაზე. მაგრამ სწორედ ისტორიაში გამომყვა ყველაზე ნაკლები ცოდნა სკოლიდან. ფაქტობრივად, სკოლაში ისტორია არ გვისწავლია. გვასწავლიდნენ რალაც გაუგებრობას – „საზმეცს“, არც თვით ისტორიის მასწავლებლები გამოირჩეოდნენ მაინცდამაინც ცოდნით. ნამდვილ ისტორიის მასწავლებლებს ეკრძალებოდათ ისტორიის სწავლება და გეოგრაფიას გვასწავლიდნენ. ასეთი იყო ევგენია კალანდაძე, რომელიც პროფ. ალ. წერეთლის ასისტენტი იყო და მისი დაპატიმრების შემდგომ გამოაძევეს უნივერსიტეტიდან და საშუალო სკოლაში გეოგრაფიას ასწავლიდა. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია უბრწყინვალესი მასწავლებელი ოლია ჭიიშვილი, რომელიც განათლებით ისტორიკოსი იყო, მაგრამ, იძულებით, სკოლაში გეოგრაფიას გვასწავლიდა. ისე დავამთავრეთ სკოლა, რომ ჩვენი დიდებული მოღვაწეების, მეფეების – დავითის, თამარის, ერეკლე II-ის და სხვ. სახელებიც კი არ გაგვიგონია. ზოგი მათგანის შესახებ უჩუმრად თუ გვეტყოდა რამეს ქართული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი მასწავლებელი ონოფრე ნიკოლეიშვილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რამდენიმე მეგობარმა მაინც გავებედეთ ისტორიის განხრით სწავლის გაგრძელება. არც ვნანობ ამ არჩევანს, რაშიც მარიკას უნდა ვუმაღლოდე და დღეს რომ კვლავ დავდგე არჩევნის წინაშე, ალბათ, იმავე გზას დავადგებოდი.

ისტორიის ფაკულტეტის II კურსს ვამთავრებდით, მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო. უმამოდ დარჩენილი მარიკას ოჯახი ძძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მარიკას დედამ რალაც არტელში დაიწყო მუშაობა, საიდანაც მარიკასათვისაც გამოჰ-

ქონდა სამუშაო. მე და მარია ერთად ვმეცადინებოდით. უპირატესად მე ვკითხულობდი, მარია კი ამ დროს ცხვირსახოცებს ქარგავდა, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია და, ჩემგან განსხვავებით, გამოცდებზე ყოველთვის უმაღლეს ნიშნებს ლებულობდა.

1943 წ. დავამთავრეთ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ომის გამო საჩქაროდ, სწრაფი ტემპით დავასრულეთ სწავლა. ხელოვნების ისტორიის მხოლოდ ზოგადი კურსი წაგვეკითხა, ისიც შემოკლებით. სწავლაზე ვილა ფიქრობდა, უნივერსიტეტში ძირითადად საქმლის ტალღების მისაღებად თუ მივდიოდით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მარია მაინც გამორჩეული იყო და თავიდანვე მიიპყრო ლექტორების ყურადღება. ისტორიის ფაკულტეტზე იმხანად დიდებული პროფესორი მოღვაწეობდა – ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ალ. ნამორაძე, გ. ნიორაძე და სხვა. ერთხანს ჩვენს ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა დიდებული პიროვნება, სტუდენტების უსაყვარლესი პროფესორი კოტე ბაქრაძე, რომელსაც ყველა სიყვარულით „ბატონ კოტე“ უწოდებდა. ივანე ჯავახიშვილს ჩვენთვის ლექცია არ წაუკითხავს. მიუხედავად ყველაფრისა, მას ჯერ კიდევ ისტორიის ფაკულტეტზე ლექციებს არ ანდობდნენ. ჩვენ მის ლექციებს, შეიძლება ითქვას, „კუდში მოვუსწარი“, ვესწრებოდით ლექციებს იურიდიულ ფაკულტეტზე. მარია ბეჯითად ესწრებოდა მის ლექციებს, რამდენადაც იურისტი სტუდენტები არ უსმენდნენ მაინცადამაინც დიდი ყურადღებით.

უნივერსიტეტი დავამთავრეთ „მსოფლიო ისტორიის“ სპეციალობით და მოგვაკუთვნეს ისტორიკოსის კვალიფიკაცია. პირველი კურსის ასზე მეტი სტუდენტიდან უნივერსიტეტი ექვსმა კაცმა დავამთავრეთ, ბევრი ჯარში გაიწვიეს, ბევრმაც გაჭირვების გამო სწავლა ველარ გააგრძელა. მარიკასათვის მომავალი უკვე ნათელი იყო. აკად. ს. ჯანაშიამ პირველ კურსიდანვე დაადგა თვალი მარიკას და 1943 წ. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი ხდება საქართველოს ისტორიის სპეციალობით. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, მარია წარმატებით ამთავრებს ასპირანტურას, დროულად იცავს საკანდიდატო დისერტაციას და მუშაობას იწყებს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, რომლის სათავეში მისი მასწავლებელი აკად. ს. ჯანაშია იდგა. ამავე დროს ს. ჯანაშიამ ანდო მარიკას ლექციების კურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც მას საკმაოდ რთული საგნების კურსი მიჰყავდა – აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, ნყაროთმცოდნეობა და სხვა სპეციალური საგნები. ამიტომ, როცა 1972 წელს, საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის, დიდებული პიროვნების, პროფ. შოთა მესხიას გარდაცვალების შემდეგ, კათედრის გამგის დანიშვნის საკითხი დადგა, არჩევანი უყოყმანოდ მარიკაზე შეჩერდა. ამიერიდან იწყება მისი უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა უნივერსიტეტში, სადაც იგი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე საქართველოს ისტორიის კათედრას ედგა სათავეში. მართალია, დღეს უნივერსიტეტში მხოლოდ მრჩეველთა საბჭოს წევრები ვართ, მაგრამ მარია ისევე ისეთივე სიბეჯითით აგრძელებს სტუდენტებთან მუშაობას, ლექციების კითხვას.

სკოლის წლები, უნივერსიტეტის სტუდენტობა, ასპირანტურა, შემდეგ ისევ უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია – ცხოვრების ეს გრძელი გზა მე და მარი-

კამ ერთად გავიარეთ. ბავშვობიდან წამოსულები, ღმერთის წყალობით, სიბერეშიც არ დავცილებულვართ. ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩვენი ურთიერთობა არასდროს შენელებულა და ისეთივე იყო, როგორც სკოლის წლებში ჩაისახა. მარიკა დღესაც ჩვენი სამეგობროს ბურჯია. მას არასოდეს ავინწყდება თავისი მეგობრები არც სიკეთეში და არც მწუხრის ჟამს. ვაი რომ, დღეს ცოტანილა შემოვრჩით და ცხოვრების ამ დიდ გზაზე რამდენიმე უახლოესი მეგობარი უდროოდ გამოგვაკლდა, რაც დიდი ტკივილით განვიცადეთ და მათი ნათელი დღემდე თანა გვდევს. ღმერთმა აცხონოს მათი სულები ზეციერ საქართველოში.

მარიკას ცხოვრების მანძილზე რამდენისათვის გაუნოდებია დახმარების ხელი და არა მარტო ახლობლისათვის. ყოვლად უშიშრად, როდესაც ეს არცთუ ისე უსაფრთხო იყო, წერილებით თუ სიტყვიერად გამოუთქვამს თავისი აზრი სხვის დასაცავად და ასეთი ნამდვილად არაერთი შემთხვევა იყო. დღესაც მარიკას მშფოთვარე სული არ ცხრება და ისევ ისეთივე შემართებით რეაგირებს ჩვენი ქვეყნის როგორც დადებით, ისე უარყოფით მოვლენებზე. ღმერთმა კიდევ დიდხანს ასეთად ამყოფოს სიმართლის მაძიებელი, ყველასათვის იმედის მამტანი, საყვარელი მარიამ ლორთქიფანიძე.

მარიკას ამდენი სიკეთე უთუოდ იქიდან მოდის, რომ იგი დიდებულ, მარიამობის, დღეს მოევლინა ამქვეყნად. ღმერთმა კიდევ მეტ მარიამობას მოასწროს და კიდევ ბევრი სიკეთის მოტანას შეძლებს თავისი საყვარელი სამშობლოსათვის.

## მარიკა ლორთქიფანიძე

მარიკა ლორთქიფანიძეზე ლაპარაკი რამდენადაც ადვილია, იმდენადვე ძნელია. მისი, როგორც პიროვნების, მოღვაწის შესახებ ბევრი კარგი, განსაკუთრებული ითქმის. კარგის თქმას რა სჯობია, მაგრამ კარგის თქმას კარგი მითქმელი უნდა, ასეთი მარიკას არაერთი გამოუჩნდება, ხოლო მე ჩემს სათქმელს ვიტყვი, როგორც ბავშვობის, ახალგაზრდობის მეგობარზე, თანაკლასელზე, შემდეგ ერთი დროის სტუდენტზე, ასპირანტზე და ბოლოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელზე.

მარიკა მაშინდელ 25-ე სკოლაში მოვიდა და, კოხტა, ლამაზმა გოგონამ, გარეგნობით, თავდაჭერილობით, თანაკლასელებთან ურთიერთობით და, რაც მთავარია, სწავლით პირველი ადგილი დაიკავა მყარად. მარიკამ მასწავლებლის დასმულ კითხვას პასუხი ვერ გასცა, საშინაო დავალება არ შეუსრულებია, საგანში უმაღლესი ნიშანი ვერ მიიღო – ასეთი შემთხვევა არ ყოფილა მთელი სწავლის პერიოდში. ნიჭიერი, ბეჯითი, მონენსრიგებული, თავმოყვარე ბავშვი იყო. ისეთი სრულყოფილი მეტყველების პატრონი მონაფეობაში კი არა, მერეც ცოტა თუ შემხვედრია.

ერთი სიტყვით, პირველ მონაფეობას ყოველმხრივ იმსახურებდა კლასში, სადაც არაერთი შემდეგში ცნობილი მეცნიერი სწავლობდა: გოგი ფუთურიძე, გივი კილურაძე, სანდრო ტაბლიაშვილი, ოთარ ჯაფარიძე, მანიკო თაბორიძე, ნუგეშა მაყაშვილი, კოლია შარმაზანაშვილი; შემდეგში თავისი დარგის საუკეთესო პროფესიონალები: ყუყუნა ლეჟავა, რეზო ჩხეიძე, დარეჯან იოსელიანი, ია ნივნივაძე... მარიკას არაერთხელ უთქვამს საჯაროდ: პირველი მონაფე ირა ასათიანი იყო. მარიკას ყალბი თავმდაბლობა არ ახასიათებს. ალბათ, კეთილგანწყობილება უკარნახებს ამის თქმას, რაც ნაკლებად შეეფერება სინამდვილეს. საერთოდ კეთილგანწყობილება მისი დამახასიათებელი თვისებაა.

ჩვენი კლასი „მარიკას კლასი“ იყო. კითხვაზე: „ვისთან სწავლობდი, ვის კლასში?“ პასუხი იქნება: „მარიკა ლორთქიფანიძესთან“. მარიკას ინიციატივით III კლასელმა გოგოებმა: მარიკამ, ყუყუნა ლეჟავამ – ჩემი ბავშვობის უსაყვარლესმა მეგობარმა და მე „ტრიო“ დავაარეთ: „კა-ნა-რა“ (მარიკა, ყუყუნა, ირა). მერე ძალიან გვამხიარულებდა ამ „ტრიოს“ გახსენება. მარიკა დღესაც განაგრძობს თანაკლასელებთან მეგობრობას: ყუყუნა ლეჟავასთან, ნუგეშა მაყაშვილთან, ოთარ ჯაფარიძესთან, დათო ტავლაშვილთან.

მარიკა საიმედო მეგობარია. როცა ჩვენ, მის მეგობრებს, რაიმე პრობლემა შეგვექმნება, მარიკას იმედი გვაქვს, ის მოაგვარებს! ნუგეშა მაყაშვილი მოიგონებს ხოლმე, რა განსაკუთრებული გულისხმიერება გამოუჩენია მისთვის კრიტიკულ სიტუაციაში, ასევე, მარიკას და ოთარ ჯაფარიძეს – ერთმანეთისათვის.

პირადად მე მარიკასთან ნათესაობაც მაკავშირებს, რაც ჩვენი ოჯახისათვის უმნიშვნელო არ იყო. დედაჩემი – თამარ ახვლედიანი და მარიკას დედა – ნინო მიქელაძე ლეჩხუმელი თავადის ანტონ ახვლედიანის ჩამომავლები იყვნენ. ახვლედიანების ეს შტო ლეჩხუმში მოწინავე თავადებად ითვლებოდა, სილამაზითაც გამოირჩიოდნენ ქალაც და ვაჟიც. ანეტა მიქელაძეზე – მარიკას ბებიასზე – მღეროდნენ თურმე: „იას ვარდი მირჩვენია, და ფაეტონს – კარეტაო, ყველა ქალებს მირჩვენია – მიქელაძის ანეტაო!“ ანეტას მოვესწარი – „ბებია და ასე ახალგაზრდა და ლამაზი!!“ – მიკვირდა. მისი ქალიშვილს, ნინოს – მარიკას დედას – სხვა ტიპის სილამაზე ჰქონდა – დახვეწილი, სათნო და ალერსიანი. ბებიჩემი ხშირად იხსენებდა მათთან ერთად ცხოვრებას ქუთაისში ე. წ. ახვლედიანების გორაზე, აგრეთვე ზემო ლეჩხუმში ახვლედიანების სოფელ ზოგიშში გატარებულ ზაფხულის დღეებს, დანანებით იხსენებდა მარიკას დედის ძმას, მგრძნობიარე ყმანვილს, ადრე გარდაცვლილს.

მარიკას დედ-მამას სტუმრიანი ოჯახი ჰქონდა. მათთან თავს იყრიდნენ თბილისის საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები, ლამაზმანები: მიქელაძე-ლორთქიფანიძე-გელოვან-ციციშვილები... მათ სახლთან რომ გავივლიდით, ფანჯრებიდან ისმოდა სიმღერა, მოქეიფეთა ხმა.

მარიკას, როგორც მისი ოჯახის შვილს შეეფერებოდა, არც სილამაზე აკლდა, არც ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი, არც დროსტარებას აკლებდა ხელს. ჩვენს მონაფეოებაში თბილისში თუ ვინმე იყო გამოსარჩევად მოსაწონი გოგო, მარიკაც მათ რიცხვში იყო. მარიკა მაშინ ყველაზე ელიტარულ კაფე „ორიანტში“ დადიოდა ტანგო-ფოქსტროტის საცეკვაოდ. მე სულ ერთხელ ვიყავი იმ კაფეში, დედამ და მამამ წაგვიყვანეს ბავშვები. ჩვენმა მშობლებმა მასწავლებელი მოგვიჩინეს ევროპული ცეკვების შესასწავლად. ვისწავლე, მაგრამ ორჯერაც არ მიცეკვია.

მარიკა წარმატებული მეცნიერი, მეცნიერების ორგანიზატორი (მარტო საქართველოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი ლაბორატორიის დაარსება რად ლირს), მარიკა – მრავალი თაობის ისტორიკოსთა აღმზრდელი, ხელმძღვანელი – განზე არ გასდგომია მის ქვეყანაში მიმდინარე არც ერთ დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ, პოლიტიკურ მოვლენას. რაც უნდა რთული ვითარება შეიქმნას, იგი გასაოცარი ტაქტით ართმევს თავს ყოველგვარ სირთულეს, დაძაბულობას, ტაქტიანობის დიდოსტატია. მარიკა ყოველთვის ქვეყნის ინტერესით ხელმძღვანელობს. მარიკა ჭირსა თუ ლხინში ყოველთვის პოსტზეა მისთვის დამახასიათებელი რესპექტაბელობით.

რად უღირს ეს ყველაფერი მარიკას, როგორ უძლებს ამ ყველაფერს ერთი ადამიანის ფსიქიკა?!

რაც მთავარია, დიახ, მთავარია, მარიკა დიდი ოჯახის დედაა. მესამე თაობას მოესწრო. ამაზე დიდი გამარჯვება რა უნდა იყოს! და რა კარგად დაინახა მისი პორტრეტის დამხატვამა მარიკას თვალებში დიდი სევდა, სევდა გამონეწეული თავს დატეხილი უბედურებით და მარიკა აქაც მარიკაა. „მის მკვლელს ადამიანი აღარასოდეს გაენიროს მოსაკლავად!“ გასაოცარია, ამის თქმა მხოლოდ მარიკას შეუძლია!

ჩემო მარია, შენს ოჯახს დღეღღეზე შეემატება კიდევ ერთი სული<sup>1</sup>. ღმერთმა გამრავლოთ, გაგახაროთ! შენმა შეილებმა, შეილთაშვილებმაც არ დაივინყონ, „ვისი გორისანი“ არიან. არ დაივინყებენ, მჯერა!

---

<sup>1</sup> უკვე შეემატა პატარა მარიაში, მერვე შვილთაშვილი (ლ. კიკვიძე).

## მარიამ ლორთქიფანიძე სტუდენტის თვალით

ნიჭი უთუოდ განგების მიერ მომადლებული სასწაულია, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებდა ყოველთვის ამა თუ იმ ერის დანიანაურებაში, აღმასვლასა და სხვადასხვა სახის წარმატებებში. წარმოდგენილია დღევანდელ სამყაროში წარმატების მიღწევა უნიჭოდ, დიდი მონდომების, შრომისა და ჯაფის გარეშე, ეს ერთგვარ აბსტრაქციასაც კი წარმოადგენს. საბედნიეროდ, ეს შეუფასებელი განძი არ დაუშურებია ჩვენთვის უფალს და საკმაოდ დიდი დოზით მოუმაღლებია კიდევც. აბა, რად ღირს მხოლოდ იმ ქართველი ჰაგიოგრაფების თუ ჰიმნოგრაფების, მწერლებისა თუ პოეტების, მეფეებისა თუ საზოგადო მოღვაწეების ჩამოთვლა, რომელთაც საკუთარი მხრებით ზიდეს უმძიმესი ჭაპანი ყოველივე ზოგადქართულის გადასარჩენად სხვადასხვა დროში, გარემოებასა და ვითარებაში. იცვლებოდა დრო, იცვლებოდნენ თაობები და არც ერთ თაობას საქართველოში, ნიჭმომადლებული ადამიანები არ დაკლებია, ალბათ, ნამდვილად მან იხსნა ჩვენი ქვეყანა ჟამთა სიავის მწარე გამოწვევებთან შერკინებაში.

1918 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც ქართველმა ერმა აისრულა წადილი და კავკასიაში პირველი უნივერსიტეტი დააარსა თავისი მოწინავე შვილების მეცადინეობით, ქართული ინტელექტუალიზმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, ამ უნივერსიტეტის გარშემო მოიყარა თავი, სწორედ ამ ინტელიგენციის თავზე გადაიარა საბჭოთა იმპერიის მსახვრალმა ხელმა, რომელმაც უამრავი მათგანის სიცოცხლე შეინირა, უღმობლად სხებდა ის ნიჭიერი ადამიანების წუთისოფელს, მაგრამ მათმა თავდადებათ თავისი ქნა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა ადგილად, სადაც ყველაზე მეტად ღვიოდა ეროვნული სული, სადაც იჭედებოდნენ კადრები, რომელთაც უნდა ეთქვათ გადამწყვეტი სიტყვა – სიტყვა ქართული სრულიად მსოფლიოს, სრულიად საერთაშორისო საზოგადოების წინაშე. ამ ყოველივეს იდეის მიმცემი და სულის ჩამდგმელი კი ბრწყინვალე ქართული პროფესურა იყო, პროფესურა, რომელიც დიდი მეცნიერების – ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, კორნელი კეკელიძის, პავლე ინგოროყვას, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილისა და სხვა შესანიშნავი მამულიშვილების ნაკვალევზე აღიზარდა და დაიწყო სამეცნიერო საქმიანობა, სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი დროის დიდი და ღვანლმოსილი მეცნიერი, ისტორიკოსი ქ-ნი მარიამ ლორთქიფანიძე.

ჯერ კიდევ სკოლის მოწაფეობისას, ხშირად ვხვდავდი ქ-ნი მარიამს ტელევიზორის ცისფერ ეკრანზე და ყოველთვის განსაკუთრებულად მოხიბლული ვრჩებოდი მისი დამაჯერებელი, დოკუმენტურ პრინციპებზე გამოთქმული მოსაზრებებით და თეორიებით, განურჩევლად იმისა, თუ რა საკითხზე იქნებოდა დისპუტი. ასევე აღტაცებას იწვევდა მისთვის დამახასიათებელი მტკიცე, მაგრამ თავშეკავებული საუბრის მანერა და ჩუმი ღიმილი, თოვლივით თეთრი თმა და კლასიკური მანერები, ასე ტიპური და

მოხდენილი ნამდვილი, ღირსეული აკადემიკოსისა და ინტელიგენციისათვის. თითოეული ასეთი გადაცემის შემდეგ მიჩნდებოდა სურვილი, რომ მე მისი სტუდენტი გამზნადარიყავი და ეს ნატვრა სკოლის დამთავრების შემდეგ ამიხდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ქ-ნი მარიამის მიერ ჩატარებული პირველი ლექცია, რაც გახდა ერთ-ერთი ფაქტორი თავად უნივერსიტეტისადმი ინტერესისა, ქ-ნი მარიამის დიდი პატივისცემით და სიყვარულით გამოწვეული. შემდეგ კი, შეიძლება ითქვას, დანიყო დაუვიწყარი შეხვედრები თსუ ისტორიულ ფაკულტეტში, სადაც, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, ლეგენდარული ქართველი მეცნიერები კითხულობდნენ თავის ლექციებს. ქ-ნი მარიამის დახმარებით ჩვენ დეტალურად ვეცნობოდით, თუ სად დაიწყო ქართული ცივილიზაციის აკვანი, თუ როგორ იბრძოდნენ სამშობლოსათვის ათრთოლებული გულები ხმლის ქარქაშში ჩაუგებლად წინაშე მტერთა და „თუ როგორ იწრთობოდა ხელმწიფობა საქართველოში“. იწყებოდა ლექცია და ჩვენ ვიძირებოდით ისტორიის სიღრმეში, მის იდუმალ ზვირთებში და ვრწმუნდებოდით, რომ ნებისმიერი ადამიანის ჭეშმარიტ მოქალაქედ ჩამოსაყალიბებლად უპირველეს ყოვლისა საკუთარი ქვეყნისა და შემდგომ მსოფლიო ისტორიის ცოდნაა საჭირო. აი, რა შედეგი მოიტანა - დიდი ისტორიკოსის სიტყვის ოკეანისებურმა ძალამ.

უდავოა ფაქტი, რომ დროის ცვალებადობასთან ერთად იცვლება მეცნიერის მოღვაწეობის გარემოც. მხოლოდ განსაკუთრებულთა ხვედრია ერთნაირად გაუძლოს და შეეტოქოს სხვადასხვა დროებათა გამოწვევებს. შემიძლია ვთქვა, რომ ქ-ნი მარიამი სწორედ ამ უკანასკნელთა შორისაა. ბოლშევიკთა მიერ რეპრესირებული ოჯახის შვილი, არც მათი მმართველობის დროს და არც მისი დასრულების შემდეგ არ უშინდებოდა სიმართლის თქმას სხვადასხვა ჯურის შოინისტიებისთვის, რაც ისევ და ისევ დოკუმენტური პრინციპებისა და სამეცნიერო დასკვნების გათვალისწინებით ხდებოდა. ის ყოველთვის პირველი გამოდიოდა მათ წინააღმდეგ, რომელიც აბსოლუტურად უაზროდ აყენებდნენ კითხვის ქვეშ საქართველოს სახელმწიფო საზღვრებისა თუ კულტურულ-ისტორიული ძეგლების კუთვნილების საკითხს და არაგუმენტირებულ პასუხს სცემდა მათ. დრო იცვლება-მეთქი, ვახსენე წელან და დავამატებ, რომ თუკი საუკუნეთა მანძილზე ქართველი ქალი მორალურ, ხოლო, საჭიროებისამებრ, ფიზიკურ დახმარებასაც კი უწევდა ქართველ ვაჟკაცს სამშობლოსათვის ბრძოლაში, დღეს მას ამის გაკეთება გონებით შეუძლია და ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ქალები, ქალები, რომლებიც ყველაზე ბასრი იარაღით - გონებით და ცოდნით აღუდგებიან მტერს.

სულ ცოტა ხნის წინ ქ-ნი მარიამს 85 წელი შეუსრულდა, დიდებული იუბილეა მართლაც ადამიანისთვის, რომელმაც თავისი ცხოვრების და მოღვაწეობის 85 წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიუძღვნა, უნივერსიტეტს, რომლის დამაარსებელთა უშუალო მონაფე თავად იყო კიდევც. ამ მხრივ შეუძლებელია არ ვახსენოთ ბ-ნი სიმონ ჯანაშია, ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მესაძირკველი და კორიფე, რომელიც ქ-ნი მარიამის მასწავლებელი იყო და რომ მის სურათსაც უკვე ათეული წლების მანძილზე თავისი სამუშაო ოთახიდან არ იშორებს ერთგული მონაფე. და აი, უკვე, მისი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარიამ ლორთქიფანიძის კაბინეტის გახნის შემდეგაც, ბ-ნი სიმონის სურათი კვლავ რჩება მისი მონაფის კაბინეტის კედელზე.

ნამდვილად აქვს უფლება ქ-ნ მარიამს თქვას – ღირსეულად მიცხოვრიათ. სხვა რა შეიძლება ვთქვათ ადამიანზე, რომელიც ავტორია ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, რედაქტორი და რეცენზენტი აუარებელი სამეცნიერო ლიტერატურის, მფლობელი ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიების, ადამიანზე, რომელიც არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი, ადამიანზე, რომლის სახელი შეტანილია აშშ ბიოგრაფიულ ლექსიკონში „whoiswho“, რომელიც შეყვანილია კემბრიჯის მიერ გამოცემულ გამოჩენილ ადამიანთა ლექსიკონში და ადამიანზე, რომელიც დასახელებულია 2001 წლის გამოჩენილ ქალად – ნამდვილად შთამბეჭდავი მონაცემებია, ვერაფერს ვიტყვით.

უკვე არაერთგზის ვახსენე 85 წელი, დიდებული თარიღი მართლაც, მაგრამ ვუყურებ ქ-ნ მარიამს – დაუშრეტელი ენერჯის და ახლის ძიების სურვილი გამოსჭვის მასში და ეს სავსებით ბუნებრივია, ქვეყანაზე ხომ არაფერი დიდებული და შთამბეჭდავი არ ძველდება, მარადიული ფასეულობები ხომ არასდროს ძველდება, ყველაფერი მარადიული, რაოდენ ძველიც არ უნდა იყოს, ახლად რჩება ყველა დროში, ეპოქასა და სივრცეში. ათეული ათასი წლების წინ ინერებოდა „გილგამეშანი“ შუამდინარეთში და „ილიადა“ საბერძნეთში, რვაასი წლის წინ იქმნებოდა რუსთაველის, კრეტიენ დე ტრუასა და ვოლფრამ ფონ ეშნებახის საგმირო-სარაინდო ეპოსები, რამდენიმე ასეული წლის წინ ქმნიდნენ სერვანტესი, შექსპირი, დანტე და გოეთე თავის უკვდავ შედეგებს, მაგრამ ეს ყოველივე ისეთივე ახალი და ხშირ შემთხვევაში უფრო ფასეულია კაცობრიობისათვის, ვიდრე თანამედროვეობაში შექმნილი ტექნოლოგიური საოცრება, რადგან მარადიული – სულიერი ღირებულებები – ყოველთვის ერთია და არ იცვლება, მისთვის ასაკი, დრო და სივრცე არ არსებობს. სწორედ ამიტომ, ქ-ნი მარიამის მიერ დაწერილი და გამოქვეყნებული თითოეული წიგნი და ბროშურა, სტატია და ნარკვევი ისეთივე ღირებულებისა იქნება ქართული ისტორიოგრაფიისათვის, როგორც ყველა წინა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ქ-ნი მარიამი კიდევ ძალიან, ძალიან ბევრს შექმნის. ამის თქმის საშუალებას მისი შემართება და კვალიფიკაცია, საქმისადმი მისი ერთგულება და მარადიული განახლებისკენ სწრაფვის სურვილი მაძლევს.

დაბოლოს, სიამოვნებით აღვნიშნავდი, რომ ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო ორგანიზატორი, ვმონაწილეობდე ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოში, იმ ადამიანისადმი მიძღვნილ საღამოში, რომელსაც უშუალოდ მოუსმენია დიდი ივანე ჯავახიშვილის და მის თანამედროვეთა ლექციები და იმ ადამიანისა, რომელიც ჩემთვის და ჩემი თაობის წარმომადგენელთათვის ცოცხალ ლეგენდადაა ქცეული, სახელოვან, დაუფინყარ ლეგენდად. კიდევ აურაცხელი სიტყვისა და წინადადების მოხმობა დამჭირდება, რათა მეტ-ნაკლებად სრულად გადმოვცე ჩემი თვალით დანახული დიდი აკადემიკოსი, ამიტომ თავს ავარიდებ მაღალფარდოვანი სიტყვების გამოყენებას და ლაკონურად დავამთავრებ: ღმერთმა უმრავლეს მარიამ ლორთქიფანიძის მსგავსი შვილები საქართველოს!

## ღვანულადი მაცნიერი და პედაგოგი

1970 წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. ამ დროისათვის ტოტალიტარულ-ბოლშევიკური, კომუნისტური სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტის დანაგვიანების პროცესი უკვე გვარიანად შორს იყო წასული, რომლის ათვლის წერტილად 1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან დიდი ივანე ჯავახიშვილის განთავისუფლება უნდა ავიღოთ. და მაინც, მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიარო, რომ მიუვსნარი უნივერსიტეტის „ოქროს ხანის“ კუდს, ბოლო მონაკვეთს.

უნივერსიტეტში ასწავლიდა არაჩვეულებრივად ერუდირებული, ბრწყინვალე ლექტორების მთელი პლეადა, რომლებიც დიდი ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, ალექსანდრე წერეთლის, ალექსანდრე ნამორაძის აღზრდილები იყვნენ. საქართველოს ისტორიას მასწავლიდნენ შოთა მესხია, გია გელაშვილი, შოთა ხანთაძე, ნოდარ ასათიანი, არქეოლოგიას – ოთარ ჯაფარიძე, ეთნოლოგიას – გერცელ ჩაჩაშვილი, ძველ ისტორიას – გიორგი მელიქიშვილი, ნოდარ ლომოური, გივი გამრეკელი, შუა საუკუნეების ისტორიას – გივი ყორღანია, კუკური ლილუაშვილი, გურამ კუტალია, ახალ ისტორიას – გივი კილურაძე, კოტე ანთაძე, ვარლამ დონაძე, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიას – გოგი ფუთურიძე. ამ ჭეშმარიტ ტალანტთა საკრებულოში, უდავოდ, ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ფიგურა იყო ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძე.

მე საქართველოს ისტორიის სპეციალისტი არ გახლავართ და ქალბატონ მარიკას მონაწიეების რიცხვს არ ვეკუთვნი, მაგრამ, როგორც ისტორიკოსსა და უნივერსიტეტის თანამშრომელს, გარკვეული შეხების წერტილები ქ-ნ მარიკასთან, ცხადია, მეც მქონია და სიამოვნებით, მაღლიერებით, მინდა გავიხსენო ეს ყველაფერი.

პირველად მას შევხვდი მეოთხე კურსის პირველ სემესტრში, როდესაც გვასწავლიდა ძალზე საჭირო და საინტერესო კურსს „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია“. იყო ერთი გარემოება, რომელიც ქ-ნ მარიკასადმი, როგორც ლექტორისადმი, ჩემს კეთილგანწყობილებას ედო საფუძვლად. ვიცოდი, რომ ის ჩემი მასწავლებლის, პროფ. გივი კილურაძის ახლო მეგობარი იყო. მისი ლექციები ერთ-ერთი საუკეთესო იყო, რომელიც მომისმენია უნივერსიტეტში. ამ ლექციებზე ძალიან ბევრი რამ ვისწავლე ისტორიული ნაშრომის შეფასების თვალსაზრისით. ეს ლექციები ჩემს მეხსიერებაში კარგად ჩაიბეჭდა და დღემდე ცოცხლად შემომრჩა.

მეორედ მას შევხვდი, როგორც კოლეგა, როდესაც ის უნივერსიტეტის „შრომების“ რედაქტორი იყო, ხოლო თქვენი მონა მორჩილი ერთ-ერთი ავტორი. მე ყოველ-

თვის ვგრძნობდი მის თანადგომას, კეთილმოსურნე დამოკიდებულებას, რომელსაც საფუძვლად ედო წმინდა პროფესიული მიდგომა, აქ ის არაფერს არ დაგითმობდა.

ჩემი სადოქტორო დისერტაციის ერთი მოზრდილი მონაკვეთი საქართველოს ისტორიას ეხებოდა და მიზნად ისახავდა ცნობილი ისტორიკოსის გრ. ნათაძის შეხედულებების განხილვას. ჩემმა კონსულტანტმა კ. ანთაძემ, რომელსაც ძალზე თბილი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ქ-ნ მარიკასთან, სთხოვა მას გაცნობოდა ნაშრომის ამ მონაკვეთს, როგორც ამ საკითხის კომპეტენტური სპეციალისტი. მართლაც, მან გულდასმით წაიკითხა ნაშრომი და ერთ დღეს დამიბარა. ეს იყო 1997 წლის 13 თებერვალი. მე ველეავდი და ველოდი ქ-ნ მარიკას ვერდიქტს. ქ-ნ მარიკამ მკაცრ მეცნიერულ ფილტრში გაატარა ჩემი ნაშრომი. ყველა დებულება დაწვრილებით განიხილა. მომცა საინტერესო შენიშვნები, რომელიც დიდად დამეხმარა ამ მონაკვეთის შემდგომ დახვეწაში, სრულყოფაში. ეს იყო წმინდა პროფესიული გარემო და მას დავინყება არ უწერია.

ქ-ნ მარიკას მაღალი პროფესიული თვისებების საილუსტრაციოდ გავიხსენებდი კიდევ ერთ ფაქტს. 2004 წლის 12 ნოემბერს უნივერსიტეტში აღვნიშნავდით ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, პროფესორ უშანგი სიდამონიძის დაბადების 75-ე წლისთავს. მოწვეულ სტუმრებს შორის იყო აკად. მარიამ ლორთქიფანიძეც, როგორც სამეცნიერო საბჭოს წევრი, მაგრამ ზუსტად ორი კვირით ადრე ქ-ნ მარიკას უდიდესი ტრაგედია შეემთხვა, შვილიშვილი დაეღუპა. ვიფიქრეთ, რომ, ალბათ, ის სიტყვით აღარ გამოვიდოდა, თუმცა მოსაწვევი ბარათი მაინც დაუუტოვეთ. გულის ძალიან გვწყდებოდა, რომ ქ-ნ მარიკა სიტყვით ვერ გამოვიდოდა, მაგრამ რას ვიზამდით, სხვა გზა არ იყო.

12 ნოემბერს სხდომაზე ქ-ნ მარიკა მობრძანდა. მაშინვე ძალზე მორიდებულად ვკითხე, ხომ არ გამობრძანდებით-მეთქი, აუცილებლად, მომიგო, შვებით ამოვისუნთქეთ. საღამომ თავისი ხიბლი დაიბრუნა. მან ძალზე საინტერესოდ გაიხსენა ის აჟიოტაჟი, რომელიც უშანგი სიდამონიძის სადოქტორო დისერტაციის ირგვლივ ატყდა და მეცნიერულ პაექრობაში სამართლიანად მოპოვებული სამეცნიერო ხარისხი პარტიულმა ორგანომ, თბილისის ცკ-მ ჩამოართვა. ეს იყო მეცნიერებაში უხეში ადმინისტრაციული ჩარევის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში. საქმე ის იყო, რომ უ. სიდამონიძემ ორიგინალურად, არატრაფარეტულად, გააშუქა საქართველოს უახლესი ისტორიის მთელი რიგი საკვანძო საკითხები, ხაზი გაუსვა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის პროგრესულობას და ეს მას არ აპატიეს. ძალიან მორიდებით ქ-ნ მარიკას სასწრაფოდ ვთხოვეთ დაენერა მოგონებები. მან ორ კვირაში მოგვანოდა საინტერესო მოგონებები, რომელიც შევიტანეთ ჩვენს ნიგში უშანგი სიდამონიძეზე.

ჩემი სადოქტორო დისერტაციის ორი მონაკვეთი თავიდანვე მკაფიოდ იყო გამოკვეთილი, იგი ეხებოდა გრ. ნათაძისა და ალ. ნამორაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. რაც შეეხება მესამე მონაკვეთს, გვქონდა სხვადასხვა ვერსიები. მუშაობის პროცესში ყურადღება მიიპყრო ნიკოლოზ დუბროვსკის საინტერესო პიროვნებაში. ჩემს მეცნიერ-კონსულტანტს, პროფ. კოტე ანთაძეს გაგონილი ჰქონდა დუბროვ-

სკის გვარი, მაგრამ მის შრომებს არ იცნობდა. ამიტომ ბ-ნ კოტემ მირჩია მეკითხა ქ-ნ მარიკასთვის, თუ იცოდა რამე ნ. დუბროვსკიზე. მაშინვე მივმართე ქ-ნ მარიკას. გამოირკვა, რომ ნ. დუბროვსკი ქ-ნ მარიკას ასწავლიდა. ამიტომ სასწრაფოდ ვთხოვეთ მას დაენერა მოგონებები მასზე, რაც მან ჩვეული გულმოდგინებით შეასრულა და ეს მოგონება შევიტანეთ ჩვენს მონოგრაფიაში. ქ-ნ მარიკამ კარგად დამაკვალინა და მითხრა, რომ ნიკოლოზ დუბროვსკი იყო აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მეუღლის, ქ-ნ ნატო ფალავანდიშვილის მამინაცვალი. მე დაუყოვნებლივ დავუკავშირდი ბ-ნ ვახტანგს და ბედნიერება მქონდა სამჯერ შევხვედროდი მას. ეს იყო არაჩვეულებრივად ლამაზი წუთები, რომელსაც დავინყება არ უნერია. როდესაც ბ-ნი ვახტანგი გარდაიცვალა მცირე მოგონება გამოვაქვეყნე „საქართველოს რესპუბლიკაში“.

ქ-ნო მარიკა, გულწრფელად გილოცავთ საიუბილეო თარიღს და, უპირველეს ყოვლისა, გისურვებთ ჯანმრთელობასა და მეცნიერულ წარმატებებს.

## ისტორიისთვის დაბადებული ისტორიკოსი

ბული მწყდება, რომ უფრო დიდხანს სტუდენტი არ ვიყავი, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მისი ლექციებიდან ჩემი ქვეყნის ისტორიას უფრო ხატოვნად დავინახავდი. როცა ის აუდიტორიაში შემოდიოდა, ყოველთვის განსაკუთრებული გარემო იქმნებოდა: სიჩუმე, სავსე ოთახი, მომზადებული სტუდენტები და მოლოდინით სავსე თვალები... ვერ დავმაღავ და იმასაც ვიტყვი, რომ მის ლექციაზე შესვლამდე ჩვენს ჩაცმულობასაც ყურადღებას ვაქცევდით. ეს არავის დაუვალებია, უბრალოდ, შინაგანი ხმა გვკარნახობდა, რომ შენი ქვეყნის სახელოვანი წარსული საღებო რეზინით, თინეიჯერის ფორმაში გამოწყობილს არ უნდა გესმინა. ერთი სიტყვით, მარიამ ლორთქიფანიძის ლექციები ჩვენთვის, სტუდენტებისთვის გამორჩეული მოლოდინის საგანი იყო.

მე ის გაბრაზებული არასოდეს მინახავს, არასოდეს გამიგონია ფრაზა „მომისმინეთ!“, პირიქით, ცვდილობდით, მისი ლექციისთვის სხვა კურსზე და სხვა აუდიტორიაშიც მოგვესმინა. არასოდეს ყოფილა მონოტონური, დამლელი. ჩვენ და მას შორის ლექცია დიალოგის, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა და ახლა ვხვდები, რომ ეს ის ხელოვნება იყო, რომელსაც უნივერსიტეტში მხოლოდ მარიამ ლორთქიფანიძემ გვაზიარა.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მიუკერძოებელი იყო, ერთი სისუსტე მაინც ჰქონდა, მისი დაფარვა ქალბატონ მარიამს არასოდეს უცდია: რენესანსის ხანის საქართველოზე საუბარი, დავითი, გიორგი III, თამარი, ყუთლუ არსლანი, აფრიდონი, სხვანი და სხვანი, კონსპექტების ფურცლებზე გარინდული ეს სახელები, მისი ლექციების დროს ცოცხლდებოდნენ, თანადროული ეპოქის განწყობა მოჰქონდათ.

ისტორიული ფაქტების შეფასების დროს ცდილობდა, მოვლენისთვის იმ დროის თვალთ შეგვეხედა, მოგვეძებნა უარყოფითიც და დადებითიც. სწორედ ასე იყო ერთხელ, როცა რუსუდან მეფეზე გვიყვებოდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში უარყოფითად შეფასებული ეს პოლიტიკოსი, სულ სხვანაირად აღმოვაჩინეთ: მასში ფუფუნებით აღზრდილი დაობლებული გოგონა, და დედა და უიღბლო პოლიტიკოსი დავინახეთ... მას შემდეგ რუსუდან მეფისადმი თანაგრძნობა არ გამწვანდება.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებისადმი ჩემი დამოკიდებულება სწორედ მის ლექციებზე ჩამოყალიბდა, სწორედ მისი წყალობით გამიჩნდა სურვილი, მენახა ოშკი და დოლისყანა, მეძებნა თამარის რუ და სოლომონყალა, მეფიქრა ნალენჯიხასა და დადიანების სასახლეებზე.

დრო ისტორიისთვის უსუსურია, დიახ, დროს ებრძვიან მემატთანენი, ხოლო ყველაზე გამორჩეული ისტორიკოსნი თავად ისტორიაში იმკვიდრებენ ადგილს. ჩემი მასწავლებელი, ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე მათ რიცხვს ეკუთვნის, მან დროის ყველა შემოტევას ღირსეულად გაუძლო და ცოდნის დაუფლების უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა. ამიტომ დიდ მეცნიერს დიდხანს სიცოცხლეს გულწრფელად ვუსურვებ, მის სიტყვას ჯერ კიდევ ბევრი ახალგაზრდა ელის.

## მარიამ ლორთქიფანიძე – მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე

მარიამ ლორთქიფანიძეზე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორზე, პროფესორზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრზე, საზოგადო მოღვაწეზე, პედაგოგზე, ბრწყინვალე ლექტორზე, გამოჩენილ ისტორიკოსზე, მეგობარზე, დიდი ოჯახის დედასა და ბებიასზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი. მე პირადად ქ-ნ მარიამთან ორმოცდაათწლიანი ნაცნობობა მაკავშირებს, ამიტომაც თავს უფლებას ვაძლევ, რამდენიმე მოგონება შევთავაზო მკითხველს.

1947 წ. ვერცხლის მედლით დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლა და აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის რჩევით, სწავლა გავაგრძელე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, სპარსული ენისა და, ლიტერატურის სპეციალობით, მაგრამ 1948 წლის გაზაფხულზე მძიმედ გავხდი ავად და დროებით მოვენყდი სწავლას. მეგობრები მოდიოდნენ ჩემს მოსანახულებლად და მანვდიდნენ ახალ-ახალ ამბებს უნივერსიტეტის ცხოვრებიდან; მიყვებოდნენ პროფესორ-მასწავლებლების შესახებაც; განსაკუთრებით ხშირად ახსენებდნენ ახლო აღმოსავლეთის ისტორიისა და სახალიფოს ისტორიის ლექტორს, ახალგაზრდა, მომზიბვლელ ქალბატონს, რომელმაც მთელი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ვაჟებს შეაყვარა თავი. ეს ახალგაზრდა ქალბატონი ბრძანდებოდა მარიამ ლორთქიფანიძე, რომელიც მაშინ საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი იყო.

ეს იყო ჩემი პირველი დაუსწრებელი ნაცნობობა ქ-ნ მარიკასთან.

1955 წ. დავამთავრე უნივერსიტეტი ახლო აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობით. 1956 წ. ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ფეოდალური ხანის საქართველოს და ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში სამუშაოდ მოსამზადებლად (ხელმძღვანელო პროფ. ვ. გაბაშვილი).

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების ერთ-ერთი წევრი ქ-ნი მარიკა ლორთქიფანიძე იყო.

ასპირანტურის დამთავრებისა და საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში ვიყავი ამ განყოფილების წევრი, ასე რომ, ქ-ნ მარიკას ხშირად ვხვდებოდი განყოფილების სხდომებსა თუ დისკუსიებზე.

გასული საუკუნის 50-60-იანი წლები იყო იდეოლოგიურ ფრონტზე დისკუსიების წლები (კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, დისკუსია ლოგიკის, ფილოსოფიის ისტორიის, ფსიქოლოგიის, მედიცინის, ენათმეცნიერების საკითხებთან დაკავშირებით და სხვა).

განსაკუთრებით დამამახსოვრდა საქართველოში სახელმწიფოსა და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობასთან დაკავშირებით გამართული დისკუსია: ქართველ ის-

ტორიკოსებს, ივ. ჯავახიშვილის სკოლას მარქსისტული პოზიციებიდან უტყვევდნენ პროფ. ილარიონ ტალახაძე და პროფ. გიორგი სოსელია (იურისტები). ქართველმა ისტორიკოსებმა ხმა აღიმალღეს ჭეშმარიტების დასაცავად. სხვებთან ერთად, ქ-ნი მარიკა ხმალამოღებულნი იცავდა თავისი დიდი მასწავლებლის, აკად. ს. ჯანაშიას მოსაზრებებს, ფაქტობრივად, გამოდიოდა ი. ტალახაძისა და გ. სოსელიას წინააღმდეგ. ეს იმ დროს გმირობის ტოლფასი იყო: ილარიონ ტალახაძე, ძველი კომუნისტი, 1924 წლის აჯანყების ჩაქრობის აქტიური მონაწილე, რესპუბლიკის პროკურორად ნამუშევარი კაცი იყო. ყველაფერთან ერთად, იგი მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მყავანაძის მასწავლებელი იყო (ქართული ოფიცერთა სკოლის უფროსი თუ კომისარი. ეს სკოლა ჰქონდა დამთავრებული ვ. მყავანაძესაც).

ქართველმა ისტორიკოსებმა თავიანთი ლოგიკური გამოსვლებით საქართველოს ისტორიის სწავლება გადაარჩინეს.

70-იან წლებში მოვიდა ინსტრუქცია სპეციალური საგნების ქართულ ფაკულტეტებზე რუსულად წაკითხვის შესახებ. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა პროტესტი განაცხადეს ამ ინსტრუქციის შესრულებაზე. ამ საპროტესტო აქციის ძირითადი მოთავე ქ-ნი მარიკა იყო.

მახსოვს ქ-ნი მარიკას გამოსვლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თურქეთის პრეზიდენტ დემირელის სტუმრობასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი ზარ-ზეიმით შეხვდა საპატიო სტუმარს: სტუდენტები და თანამშრომლები თურქულად გამოდიოდნენ, რომ თურქეთსა და საქართველოს შორის ოდითგანვე მეგობრული ურთიერთობა იყო.

დარბაზი შეიმშუშნა, მაგრამ ხმა არავის ამოუღია. უცებ წამოიჭრა ფეხზე ქ-ნი მარიკა (იგი პირველ რიგში იჯდა, ჩემ წინ), მივიდა პრეზიდენტის მაგიდასთან (პრეზიდენტის იმ ახსულა) და ხმამაღლა განაცხადა: ხალხო, რა გვემართება?! ის მაინც ვთქვათ: ადრე მტრები ვიყავით, ახლა მეგობრები ვართ! დემირელს გაელიმა.

მახსოვს აგრეთვე ქ-ნი მარიკას გამოსვლა ე. შვეარდნაძესა და რაზუმოვსკსთან შეხვედრაზე 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით. მაშინ ქართულმა საზოგადოებამ აშკარად ხმა აღიმალღა საბჭოთა კავშირის მთავრობის წინააღმდეგ. გამომსვლელთა შორის იყო ქ-ნი მარიკაც. მან რუსულად წარმოთქვა სიტყვა, რომელიც, ფაქტობრივად, საბრალდებო დასკვნა იყო მთავრობის წინააღმდეგ.

ქ-ნი მარიკას არაერთი გამოსვლა მაგონდება, მაგრამ ერთი მათგანი განსაკუთრებით ჩამებეჭდა მეხსიერებაში და მინდა მის შესახებაც მოვუთხრო მკითხველს. 1978 წ. გაზაფხულზე აფხაზურმა სეპარატიზმმა კვლავ იჩინა თავი. სხვა მოთხოვნებს შორის იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრებიდან მუზეუმებში გადმოტანილი ძვირფასი ნივთების აფხაზეთისათვის დაბრუნება (რა თქმა უნდა, ამ ნივთების ქართული წარმოშობა ეჭვს არ იწვევდა. კიდევ მეტი, ეს ნივთები ქართული კულტურის უნიკალური ძეგლებია: მაგ., ბედიის ბარძიმი). ამის შესახებ ქართულმა საზოგადოებრიობამ სამართლიანი გულისწყრომა და პროტესტი გამოთქვა. ვითარება დაიძაბა.

1978 წლის 29 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიდი საბჭოს“ სხდომაზე მოვიდა ბ-ნი ე. შევარდნაძე. დარბაზი ცივად შეხვდა, როგორც იტყვიან, „ავი დუმილით“: არც ტაში, არც ფეხზე ადგომა. რექტორმა, პროფ. დავით ჩხიკვიშვილმა გამოაცხადა: ბატონი ელუარდი სიტყვას ითხოვსო. რა თქმა უნდა, მისცეს სიტყვა.

ბ-მა ელუარდმა ორსაათ-ნახევარი ილაპარაკა აფხაზეთში შექმნილი ვითარების შესახებ. მან აფხაზეთის საკითხი ისტორიულ ჭრილში განიხილა, აღნიშნა, რომ ეს საკითხი ადმინისტრირებით არ მოგვარდება, მოჰყავდა ადგილები ნ. ლაკობას, ე. ეშბას გამოსვლებიდან, მიგვანიშნა, რომ ეს საკითხი ასე ადვილად მოსაგვარებელი არაა (აფხაზებს ზურგს უმაგრებენ თურქეთი და რუსეთი).

ე. შევარდნაძემ მოუწოდა ქართველ მეცნიერებს, უფრო მეტი სინათლე შეეტანათ ქართველ-აფხაზთა ურთიერთობის საკითხების კვლევაში. ამასთანავე, საზოგადოებრიობას მოუწოდა შემჭიდროებისაკენ. კარგად მახსოვს, ასე თქვა: „ნუ დაგყოფთ ხალხს გამარჯვებულებად და დამარცხებულებად!“

ე. შევარდნაძე ზეპირად ლაპარაკობდა, ყოველგვარი ჩანაწერების გარეშე. როგორც ჩანს, ამანაც (ისევე როგორც შინაარსიანმა სიტყვამ) გარკვეული ზეგავლენა მოახდინა დარბაზზე: როდესაც მან სიტყვა დაამთავრა, დარბაზში ტაშმა იქუხა.

რექტორმა დარბაზს მიმართა: ასეთი შინაარსიანი სიტყვის შემდეგ კამათი ზედმეტად მიმაჩნია, მაგრამ წესია და მოგმართავთ – ვის სურს, კამათში მონაწილეობის მიღებო?! დარბაზი ჩუმად იყო. როგორც ჩანს, კამათში მონაწილეობის მსურველი არ არის, ისლა დაგვრჩენია ბ-ნ ელუარდს მაღლობა ვუთხრათ ასეთი შინაარსიანი მოხსენებისათვის და გადავიდეთ დღის წესრიგის მორიგ საკითხზე!

აი, მაშინ გაისმა ქ-ნ მარიკას ხმა: მე მეგონა, ჩემი მასწავლებლები და უფროსი თაობის წარმომადგენლები გამოვიდოდნენ სიტყვებით და ამიტომაც არ გამოვთქვი პირველად გამოსვლის სურვილი, მაგრამ რადგან არავინ არ გამოდის, მე მათქმევი-ნეთ სიტყვა! რა თქმა უნდა, სიტყვა მისცეს.

დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო?! ქ-ნ მარიკას საჯარო გამოსვლები მრავალჯერ მიწახავს და მომისმენია, მაგრამ ასეთ ვაცხარებულ მარიკას მე პირველად ვხედავდი. მან ილაპარაკა იმაზე, რომ ბრალდება – თითქოს აფხაზებს ავინრობენ, სიმართლეს არ შეეფერება: ქართველები არავის ავინრობენ, მათ შორის აფხაზებსაც; შეეხო აკად. ნიკო ბერძენიშვილის ნაშრომის მაღალმეცნიერულ დონეს და ხელი-სუფლების მხრიდან ამ ნაშრომის უსაფუძვლო კრიტიკას; შ. ინალ-იფას წიგნის დაბალ დონეს; მთავრობასაც დასდო ბრალი ქართველ-აფხაზთა შორის დაძაბულობის შექმნის საქმეში და სხვა.

ქ-ნ მარიკამ, თუ შეიძლება ითქვას, „მწვანე შუქი“ აუნთო კრიტიკულ გამოსვლებს: ზომიერი კრიტიკით გამოვიდნენ: აკად. ვ. კუპრაძე, პროფ. აკ. სურგულაძე, პროფ. გ. ჭანუყვაძე, პროფ. ვ. ადვაძე.

მე მგონი, საინტერესოა ე. შევარდნაძის რეაქცია ამ გამოსვლებზე. ბ-ნ ელუარდს არც ერთი გამომსვლელი რეპლიკით არ შეუჩერებია, მხოლოდ რალაც-რალაცებს ინიშნავდა. სხდომის დამთავრების შემდეგ ქ-ნი მარიკა და მე ერთად გამოვედით დარბაზიდან. ბ-ნი ელუარდი დერეფანში ფანჯარასთან იდგა და სტუდენტებს

ელაპარაკებოდა. ჩვენი დანახვისთანავე წამოვიდა, მარიკას იდაყვში ხელი შეახო და ცალკე გაიყვანა, რაზე ილაპარაკეს, არ ვიცი. რამდენიმე წლის შემდეგ, მისაღები გამოცდების დროს, შესვენებაზე, უნივერსიტეტის მალლივი კორპუსის სკვერში ერთად ვისხედით და ვბაასობდით ქ-ნი მარიკა, ჩემი ბავშვობის ამხანაგი ნანა მურულულია და მე. მაშინ ვიხელთე დრო და შევეკითხე ქ-ნ მარიკას: ქ-ნო მარიკა, თუ საიდუმლო არაა, გთხოვთ, ორ კითხვაზე მიპასუხოთ: 1. როგორ გაბედეთ ასეთი კრიტიკული გამოსვლა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნინაალმდეგ? (არ დაგავინწყდეთ 1978 წელია! კომუნისტები ჯერ კიდევ მაგრად არიან!); 2. რა გითხრათ ბ-მა ედუარდმა, ცალკე რომ გაგიყვანათ?

გიპასუხებ, რაა საიდუმლო?! – მითხრა ქ-ნმა მარიკამ. როგორ გავბედე და რალაც შინაგანმა ძალამ გამომაგდო. კათედრაზე რომ ავედი და დარბაზში თანაგრძნობის სახეები დავინახე, ველარ გაეჩერდი. მერე, ცოტა რომ გამიცვიდა გონება, ვიფიქრე, ჩემი საქმე წასულია, ამას როგორ შემარჩენს. რუსულად დააყოლა: **Всё, он секрет меня.** ცალკე რომ გავედი, მაშინ მითხრა: ქ-ნო მარიკა, დიდი მადლობა, ყველაფერი დაუფარავად რომ მითხარი!

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ქ-ნი მარიკას დამოკიდებულება როგორც უფროსი თაობის, ისე მისი თანამედროვე მეცნიერებისადმი, ამ მხრივ აღსანიშნავია მისი გამოსვლები სიმონ ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, ვ. გაბაშვილის, ირ. ანთელავას, გ. ყორდანიას, შ. მესხიას, გ. კილურაძის, დ. გვირიტიშვილის, ო. ლორთქიფანიძის, ი. კიკვიძის და სხვათა ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოებზე.

ქ-ნი მარიკა ერთგული მეგობარია. არ დამავინწყდება: 1962 წლიდან ვმუშაობ უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ისტორიის კათედრაზე, რომლის ერთ-ერთი წევრი, ან განსვენებული პროფ. გიორგი ფუთურიძე ამავე დროს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი იყო. ყოველწლიურად 25 თებერვალს, გოგის დაბადების დღეს მის ოჯახში თავს იყრიდნენ მისი უახლოესი მეგობრები, თანაკლასელები: მარიკა ლორთქიფანიძე, ნუგეშა მაყაშვილი, ირა ასათიანი, ფაცია პაიჭაძე, ოთარ ჯაფარიძე, გივი კილურაძე, გიზი ფაშალიშვილი, რეზო ჩხეიძე... ეს იყო დაუვინყარი საღამოები: იგონებდნენ მასწავლებლებს (ონოფრე ნიკოლეიშვილს, ნუცა მიქელაძეს, გენო ყიფშიძეს...), ახალგაზრდობის ოინებს და იყო ერთი სიცოცხლ-ხარხარი. გოგის გარდაცვალების შემდეგაც (1998 წლის 28 ნოემბერი) ტრადიცია გრძელდება: მისი მეუღლე ქ-ნი ბაია ფუთურიძე და ქალიშვილი მაია 25 თებერვალს თავს უყრიან ტრადიციული შეხვედრების მონაწილეებს (სამწუხაროდ, ყველა აღარ არის ამქვეყნად); ქ-ნი მარიკა აქაც პირველობს; ხანდაზმულ მეგობრებს დაუცაცხანებს ხოლმე: მივდივართ, კი არ მოვდივართ! მოდი თ შევიკრიბოთ, უარი არ ვთქვათ!

ქ-ნი მარიკა, მიუხედავად საპატიო ასაკისა, მაინც ძველებურად მხნედ არის, ლექციებს კითხულობს, მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ვუსურვოთ ქ-ნ მარიკას დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ახალგაზრდული შემართება თავისი დიდი ოჯახისა და ქართული საზოგადოებრიობის საკეთილდღეოდ.

**ქვირფასი მასწავლებელი დღესაც  
ახალგაზრდული შემართებითა!**

1949 წელი...

თბილისის ი.ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი... უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი – ერისკაცი და ჩინებული ორგანიზატორი.

სასწავლებლის უჩვეულოდ გარინდული შენობა. მის კედლებში დასადგურებული სიმკაცრე, მაგრამ წესრიგი და პატიოსნება. განათლებას მოწყურებული ახალგაზრდობა ყველა ლექტორის ღირსეული შემფასებელი იყო.

ისტორიის ფაკულტეტის პირველივე კურსზე იკითხებოდა საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, მსოფლიოს ხალხთა ხელოვნების ისტორია, ქართული ხელოვნების ისტორია, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია. ისტორიის ფაკულტეტის ოთხ ჯგუფად დაყოფილი პირველკურსელები ვიკრიბებოდით საერთო ლექციების მოსასმენად მეორე კორპუსის ამფითეატრის მსგავს დიდ დარბაზში.

ქ-ნი მარიკა მაშინ 27 წლისა გახლდათ. რამდენი სიტბო შემოჰქონდა ახალგაზრდა ქალს ამ ხალხმრავალ აუდიტორიაში. მის მონათხრობს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაზე, საქართველოს ავბედიტობის ჟამზე ყოველთვის თან სდევდა ლოგიკური, გამოკვეთილი, თანმიმდევრული აზროვნება. იგი დინჯი მიხრამოხრით მოსიარულე კითხულობდა ლექციებს. სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ ერთი უსინათლო სტუდენტის (პირველ მერხზე რომ იჯდა) მუყაოს დაფაზე ანაბეჭდების ხმაური. მახსოვს, ქ-ნი მარიკა შესაბამისად შერბილებული ტონით ცდილობდა არ დაერღვია ლექციის საერთო მსვლელობა.

რაოდენ სასიხარულოა, რომ, მიუხედავად ასაკისა, ცხოვრების სირთულეებთან შერკინებისა, ქ-ნმა მარიკამ 58 წლის შემდეგაც შეინარჩუნა ახალგაზრდული სიმხნევე, ხმის ჩვეული ტემბრი, კეთილშობილება.

## მეცნიერის შრომა

ისტორიობრაფიული ძიებების დროს აუცილებელ პირობას წარმოადგენს მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლა, რადგან ზოგადად მეცნიერების და კონკრეტულად ისტორიული მეცნიერების განვითარება, ისტორიული შემეცნების ხარისხი ვერ იქნება პიროვნების გარეშე პროცესი. ამ პროცესში მონაწილეობენ გამოჩენილი მკვლევრები, რომლებიც, როგორც თავიანთი ეპოქის წარმომადგენლები, უფრო ადეკვატურად გადმოსცემენ ეპოქის იმ საზოგადოებრივ-კულტურულ სისტემას, რომელიც აყალიბებს კონკრეტული მკვლევრის შემოქმედებით პოტენციალს. ყოველი მნიშვნელოვანი ისტორიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა ამავე დროს წარმოადგენს და განმარტავს ისტორიული მეცნიერების მაგისტრალური საკითხების განვითარების პროცესს. ვფიქრობთ, სწორედ მეცნიერთა ამ კატეგორიას მიეკუთვნება აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე. მისი შემოქმედების შესწავლა საკმაო ძალისხმევას მოითხოვს, რაც მომავლის საქმეა. ამჟამად, გვსურს, ჩვენი თვალთახედვით, მოკლედ დავახასიათოთ მისი, როგორც ისტორიკოსის მიერ განეული შრომა.

ისტორიას, როგორც მეცნიერებას, ბევრი ფუნქცია აკისრია. მას აქვს უდიდესი აღმზრდელი მნიშვნელობა – საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიო ისტორიის ცოდნა აყალიბებს სამოქალაქო თვითშეგნებას, პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს; საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ მორალური ფასეულობანი; გავერკვეთ ისეთ კატეგორიებში, როგორც არის ღირსება, ვალდებულება ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე; დავინახოთ ადამიანისა და საზოგადოების მანკიერებანი, მათი გავლენა ადამიანთა ბედობაზე. ისტორიის სწორედ ამ ფუნქციის გათვალისწინებით, მარიამ ლორთქიფანიძემ საკმაოდ დიდი შრომა გასწია საქართველოს ისტორიის სწავლებისა და პოპულარიზაციის საქმეში. იგი სკოლისა თუ უმაღლესი სასწავლების მრავალი სახელმძღვანელოს თანაავტორი და რედაქტორია. მან დაწერა წიგნი „რუსთველის ეპოქა“ (1966), რომლის წინასიტყვაობაში წერია: „ავტორის მიზანია, არსებული მეცნიერული გამოკვლევებისა და საისტორიო წყაროების საფუძველზე შეადგინოს ახალგაზრდობისათვის საკითხავი წიგნი... რადგან ეს არის საქართველოს პოლიტიკური სიძლიერის, ფეოდალური ურთიერთობის მონიფულობის და ქართული ფეოდალური კულტურის განვითარების უმაღლესი საფეხურის ეპოქა“. მას აქვს სტატია სათაურით „ყველამ კარგად უნდა იცოდეს თავისი ვინაობა“ (სკოლა და ცხოვრება, 1987), სადაც განხილულია საქართველოს ისტორიის სწავლებისა და სახელმძღვანელოს შექმნის პრობლემები.

ისტორიას პრაქტიკულ-პოლიტიკური ფუნქციაც აკისრია, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ისტორიული მეცნიერება, ისტორიული ფაქტების თეორიული გააზრების ხარჯზე, ავლენს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს. ეხმარე-

ბა მეცნიერულ საფუძველზე პოლიტიკური კურსის გამომუშავებას, რაც სუბიექტური გადანაცვებების შეზღუდვის გარკვეული გარანტია.

მარიამ ლორთქიფანიძის მეცნიერული მემკვიდრეობა ისტორიის ამ ფუნქციასაც ითვისებდა. იგი დანტერესებული იყო პრობლემებით, რომელიც აქტუალურია არა მხოლოდ ისტორიულ, არამედ პოლიტიკურ კონტექსტშიც. ამის საუკეთესო მაგალითია მისი შრომა „აფხაზები და აფხაზეთი“ (1990), სადაც ქართული და უპირატესად უცხოური წერილობითი წყაროების საფუძველზე განმარტებულია ცნებების „აფხაზები“ და „აფხაზეთის“ მნიშვნელობა. ლოკალიზებულია ისტორიულ სივრცეში მათი საცხოვრისი. აქვს სტატია „აფხაზეთის სტატუსის საკითხისათვის საქართველოში“ (ანალები, 2005 №1), სადაც მოთხრობილია აფხაზეთის შესახებ, რომელიც ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში სხვადასხვა სტატუსით შედიოდა. ფრიად აქტუალურია თემა – „ქართველთა ერთიანობისათვის“ (ალმანახი „ეროვნული ღირსებისათვის“, 2001 №1), სადაც განხილულია ქართველთა გენეტიკური ერთიანობისა და ეროვნული თვითშეგნების ისტორიული საწყისები, რომლის გათვალისწინება სახელმწიფოს წარმატებით მშენებლობაში აუცილებელია.

ისტორიას აქვს მსოფლმხედველობითი დატვირთვა. რადგან იგი ქმნის დოკუმენტურ მოთხრობებს წარსულის მნიშვნელოვან მოვლენებზე. საზოგადოებრივ განვითარებაში ისტორიული ფაქტები ობიექტური რეალობაა. ფაქტოლოგიური მხარე წარმოადგენს ფუნდამენტს, რომელზეც დგას მეცნიერება საზოგადოების შესახებ. ისტორიული ფაქტების დადგენა მეცნიერულ კეთილსინდისიერებას, ფართო ცოდნასა და ნებისყოფას მოითხოვს. მოძიებული ფაქტების ანალიზის საფუძველზე კი ხდება წარსულის რეკონსტრუქცია. ეს ძალიან დიდი და შრომატევადი საქმეა. მით უფრო, როდესაც ისტორიკოსი მუშაობს მედიევინტიკაში. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ისტორიოგრაფიაში შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლას, რომლის ფუძემდებელი აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილია, ხოლო ამ საქმის გამგრძელებლები აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი. მარიამ ლორთქიფანიძის, სიმონ ჯანაშიას მონაწილე, სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი სფეროა ქართული შუა საუკუნეები. თავის კვლევებში იგი ეხება შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა დარგს: პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ეთნიკურ და კულტურის ისტორიას. მას აინტერესებს საქართველოს ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან, ბიზანტიასთან, არაბთა სახელმწიფოსთან და სხვ.

მეცნიერმა საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა მეფე ვახტანგ გორგასალს („ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში“, 1979), სადაც ახლებურადაა გააზრებული ამ მეფის მოღვაწეობა. საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენის პრობლემა შესწავლილი მის მონოგრაფიაში – „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“ (1963), სადაც წარმოჩენილია ამ გაერთიანების თავისებურებანი, მოთხრობილია VIII-IX სს-ის საქართველოში წარმოქმნილი სამეფოების ისტორია და მათი ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, ხაზგასმულია ქართული ეკლესიის როლი საქართველოს გაერთიანების საქმეში. მეკვლევარმა სერიოზული შრომა გასწია შუა საუკუნეების საქართველოს სოციალური ისტორიის საკითხების

შესწავლისათვის („ძირითადი საზოგადოებრივი კლასები IX-X საუკუნეების საქართველოში“ (1960), „სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII საუკუნის საქართველოში“ (1962) და სხვ.), მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ურბანისტიკის განვითარებაში, განსაკუთრებით კი თბილისის ისტორიის შესწავლაში. მან მრავალი ნაშრომი მიუძღვნა არაბთა პერიოდის ბატონობას საქართველოში.

ისტორიის შინაარსს წარმოადგენს ისტორიული პროცესი, რომელიც გამოიხატება კაცობრიობის ცხოვრებაში. ამის შესახებ ცნობები შემორჩენილია ისტორიულ ძეგლებსა და წყაროებში. ამდენად, ისტორიკოსის კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნას. წყაროების გამოვლენას, დამუშავებას, შესწავლას, თარგმნასა და გამოცემას.

მარიამ ლორთქიფანიძემ არაბულიდან თარგმნა და გამოაქვეყნა (არაბული ტექსტი და ქართული თარგმანი) ქართულ-არაბული ურთიერთობის ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი: ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი“ (სათანადო გამოკვლევითა და შენიშვნებით, 1951), რუსულად თარგმნა, კომენტარები დაურთო და გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ ორი თხზულება: „მატიანე ქართლისა“ და სუმბატ დავითის ძეს „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“. შეისწავლა V-IX საუკუნეების ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები („ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა“ (1966), გიორგი მთაწმინდელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“ და გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, როგორც საისტორიო წყარო“ (1984).

ისტორიოგრაფიის, როგორც მეცნიერების, სავალდებულო ნაწილია მკვლევრის მემკვიდრეობის შესწავლა, რომელიც განიხილება იმ საკითხების ფონზე, რომელი საკითხებითაც იგი იყო დაინტერესებული. პიროვნების მემკვიდრეობისა და საკითხის ისტორიოგრაფიის შესწავლა საშუალებას იძლევა კარგად წარმოჩინდეს აზრის განვითარება. აზრის განვითარების წარმოჩენა აუცილებელია, რადგან მეცნიერული კვლევა მხოლოდ გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება იყოს წარმატებული. კვლევის წარმატებულობა კი მეცნიერების წინსვლის გარანტიაა. სწორედ ამიტომ მარიამ ლორთქიფანიძემ საინტერესო შრომები მიუძღვნა მარი ბროსეს, როგორც წყაროთმცოდნეს (მასალები, 2005) და ივანე ჯავახიშვილს, სადაც დახასიათებულია მეცნიერის მდიდარი და მრავალმხრივი მემკვიდრეობა (1976).

მარიამ ლორთქიფანიძის კვლევის მეთოდი, ვფიქრობთ, დიალექტიკურ-მატერიალისტურია, რომლის მიხედვითაც საზოგადოების განვითარება ხდება, როგორც ბუნებრივი ისტორიული პროცესი, რომელიც განპირობებულია ობიექტური კანონზომიერებითა და სუბიექტური ფაქტორებით. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ იგი ერუდიტია, ფლობს საკვლევი საკითხის შესახებ ინფორმაციას როგორც ისტორიული, ასევე ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით, ახდენს საკითხის შესახებ არსებული წყაროებისა და ლიტერატურის ანალიზს, მაღალი პროფესიული კეთილსინდისიერებით უდგება კვლევის პროცესს. კამათის დროს ყოველთვის ინარჩუნებს მეცნიერულ ეთიკას.

ზემოთ წარმოდგენილის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის მიერ განწეული მეცნიერული შრომა საინტერესო და ფასეული იქნება მომავალი თაობებისათვის.

## ზოგიერთი შტრიხი მარიამ ლორთქიფანიძის პორტრატისათვის

მარიამ ლორთქიფანიძე 85 წლისაა. ნამდვილად ძნელია დაიჯერო ეს უცილო-ბელი ჭეშმარიტება. ძნელია იმიტომ, რომ ქალბატონ მარიკას ოდნავადაც არ დას-ტყობია ეს საპატიო ასაკი. ის დღესაც, გარეგნულ მომხიბვლელობასთან ერთად, ინარჩუნებს მაღალ ინტელექტუალურ პოტენციალს და შესაშური ენერჯითა და შემართებით მუხლჩაუხრელად ემსახურება მშობლიური ქვეყნის ისტორიის მეცნი-ერული შესწავლისა და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის მისი მაღალკვალიფიცი-ურად მიწოდების საქმეს. ძნელია, მცირე მოცულობის წერილში სრულად წარმოვა-ჩინოთ მარიამ ლორთქიფანიძის მეცნიერული და პედაგოგიური ღვაწლი. ამ წერილს არც შეიძლება ჰქონდეს ამის პრეტენზია. ჩვენი ამოცანა ბევრად უფრო მოკრძალებულია – ყურადღება გავამახვილოთ მეცნიერის მოღვაწეობის მხოლოდ ცალკეულ ასპექტებზე. უპირველეს ყოვლისა, მის წვლილზე აფხაზეთის ისტორიის შესწავლის საქმეში.

მ. ლორთქიფანიძე, როგორც ცნობილია, სამეცნიერო ასპარეზზე XX საუკუნის 40-იან წლებში გამოვიდა, როდესაც აკად. ს. ჯანაშიას რეკომენდაციით, ჩაირიცხა ასპირანტურაში და შეუდგა შუა საუკუნეების ხანის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი და, ფაქტობრივად, შეუსწავლელი პრობლემის – თბილისის საამი-როს ისტორიის დამუშავებას. ახალგაზრდა მეცნიერის მიერ ამ მიმართულებით ჩა-ტარებული კვლევა შეჯამდა მის საკანდიდატო დისერტაციაში, რომელიც მან წარ-მატებით დაიცვა 1948 წ.

მ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობის მომდევნო ეტაპი ძირითადად მიეძღვნა VIII-IX სს. მიჯნაზე წარმოქმნილი ახალი ქართული სამეფო-სამთავროე-ბის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხების ფუნდამენ-ტურ კვლევას. ეს იყო პირველი ცდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური წინამძღვრების ყოვლის-მომცველი, მონოგრაფიული შესწავლისა. ამ ნაშრომისათვის, რომელიც ცალკე წიგ-ნად გამოქვეყნდა 1963 წ. სათაურით: „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“, მ. ლორთქიფანიძეს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სა-მეცნიერო ხარისხი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მ. ლორთქიფანიძის ეს გა-მოკვლევა დღემდე რჩება საეტაპო ნაშრომად ამ პრობლემატიკაზე.

უაღრესად ნაყოფიერი იყო მ. ლორთქიფანიძისათვის 70-90-იანი წლები. 1972 წ. გამოჩენილი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს-პონდენტის, პროფ. შოთა მესხიას გარდაცვალების შემდეგ, ის სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრას და

მეოთხედი საუკუნის მანძილზე უნარიანად უძღვებოდა მას. მეცნიერის მიერ ამ პერიოდში შექმნილი ნაშრომებიდან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ 8-ტომულის მე-2 და მე-3 ტომებისათვის დაწერილი თავები, რომლებშიც ამომწურავადაა გაშუქებული IX-XII ს. I მეოთხედის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის პრობლემები. აღსანიშნავია, რომ ამ სამუშაოსათვის მას, სხვა კოლეგებთან ერთად, მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

1974 წ. მ. ლორთქიფანიძემ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ძალზე საჭირო წიგნი: «История Грузии. XI – начало XIII в.», რომელშიც, ქართული ისტორიული მეცნიერების მიღწევების სრული გათვალისწინებით, საფუძვლიანად იყო გაანალიზებული გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარება XI-XII საუკუნეებში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაშრომი იმთავითვე იქცა სამაგიდო წიგნად საქართველო-კავკასიის ისტორიით დაინტერესებული რუსი და უცხოელი სპეციალისტებისათვის. 1987 წ. გამოიცა ამ წიგნის ინგლისური თარგმანიც («Georgia in the 11-th–12-th Centuries»), რითაც კიდევ უფრო ფართო წრისათვის გახდა ხელმისაწვდომი საქართველოს ე.წ. „ოქროს ხანის“ ისტორია.

ამასთან დაკავშირებით, საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მ. ლორთქიფანიძემ, გარდა აღნიშნული წიგნისა, რუსულ და სხვა უცხოურ (გერმანული, ინგლისური) ენებზე გამოაქვეყნა ათეულობით ნაშრომი, რითაც მნიშვნელოვნად წასწია წინ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის საქმე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდია მნიშვნელობა მის მიერ გამოცემული ქართული ქრონიკების („მატიანე ქართლისაჲ“, სუმბატ დავითის ძის თხზულება) რუსული თარგმანებისა. აქვე არ შეიძლება არ მივუთითოთ იმ წვლილზე, რომელიც მ. ლორთქიფანიძემ შეიტანა, საერთოდ, საქართველოს ისტორიის წყაროების მეცნიერული შესწავლის საქმეში, რისი დადასტურებაა თუნდაც მისი ნაშრომი: „რა არის „ქართლის ცხოვრება“, რომელშიც მოკლედ, მაგრამ საკმაოდ ამომწურავად არის გაშუქებული საქართველოს ისტორიის ამ დიდი წიგნის წყაროთმცოდნეობითი პრობლემები. ასევე აღსანიშნავია მ. ლორთქიფანიძის მუშაობა არაბულ წყაროებზე, კერძოდ, მის მიერ ე.წ. ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელის“ თარგმნა და გამოცემა.

მ. ლორთქიფანიძე წარმატებით იკვლევდა ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემებსაც. 1966 წ. გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია „ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა“, ხოლო 1976 წ. – „ივანე ჯავახიშვილი“, რომელშიც სკრუპულოზურადაა განხილული დიდი მეცნიერის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა. მასვე აქვს გამოქვეყნებული არაერთი საინტერესო ნარკვევი (მათ შორის, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე), რომლებშიც გაანალიზებულია როგორც შუა საუკუნეების პერიოდის, ისე თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ცალკეული პრობლემები.

მ. ლორთქიფანიძემ საგანგებოდ შეისწავლა ვახტანგ გორგასლის ეპოქა, რომელსაც მიუძღვნა მონოგრაფია: „ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში“ (გამოიცა

1979 წ.). დიდა მეცნიერის ღვაწლი თბილისისა და ქუთაისის ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში. მის მიერ მომზადებული ნარკვევები შესულია „თბილისის ისტორიის“ პირველ ტომში (1990), ხოლო 1991 წ. რუსულ ენაზე გამოქვეყნდა მ. ლორთქიფანიძის წიგნი: „Тбилиси. Исторический очерк (IV—нач. XIX в.)“. მანვე 1994 წ., ო. ლანჩავასა და ო. ლორთქიფანიძესთან ერთად, გამოსცა წიგნი: „ქუთაისის უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე“.

მ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის პრობლემები. მას გამოქვეყნებული აქვს შრომები საქართველო-სომხეთის, საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების საკითხებზე. ის არის ერთ-ერთი ავტორი 1998 წ. გამოცემული „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“ ორტომეულისა და აგრეთვე „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოსი, რომელიც გამოიცა 2003 წელს.

ცალკე უნდა აღინიშნოს მ. ლორთქიფანიძის წვლილი საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაში. ის არის საქართველოს ისტორიის ახლახან გამოცემული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს | ტომის რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორი.

მარიამ ლორთქიფანიძე არის დიდი პედაგოგი, ისტორიკოსთა მთელი თაობების აღმზრდელი. ის არის ბრწყინვალე ლექტორი. ძნელია, მოიძებნოს სტუდენტი, რომელსაც მოესმინოს მისი თუნდაც ერთი ლექცია, საუბარი და არ მოჯადოებულიყოს მისი, როგორც იტყვიან, რკინისებური ლოგიკით, მაღალი ორატორული ხელოვნებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქ-ნი მარიამი ჭეშმარიტად ორატორული ხელოვნების ნამდვილი მეტრია და არა მარტო მშობლიურ ენაზე. ის შესანიშნავად ფლობს რუსულ ენას. მისი გამოსვლები რუსულად არანაკლებ დახვეწილი და ეფექტურია. ამასთან, ქ-ნი მარიამი რამდენიმე ევროპული ენის (გერმანული, ინგლისური) მცოდნეცაა. მას არაერთხელ წაუყვანია ისტორიკოსთა და ბიზანტინოლოგთა მსოფლიო კონგრესებზე შესაბამისი სექციების სხდომები ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

ამასთან დაკავშირებით, თავს უფლებას მივცემ, გავიხსენო ერთი ეპიზოდი. 1975 წ. მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში (იმჟამად მე იქ ვსწავლობდი ასპირანტურაში) ტარდებოდა ისტორიის კათედრების ხელმძღვანელთა საკავშირო თათბირი, რომელშიც, როგორც თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, მონაწილეობას იღებდა მ. ლორთქიფანიძეც. ერთ-ერთი სხდომის დამთავრებისას, მე ვისარგებლე შემთხვევით და რამდენიმე ჩემთვის საინტერესო კითხვით მივმართე ქ-ნ მარიამს. ჩვენი საუბრისას მოგვიახლოვდა ერთი საკმაოდ ასაკოვანი პროფესორი შუა აზიისა თუ ყაზახეთის რომელიღაც უნივერსიტეტიდან, დიდი პატივისცემით მიესალმა ქ-ნ მარიკას და მოაგონა მას ავსტრიაში, ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესზე ყოფნა, სადაც, მისი თქმით, ქ-ნი მარიკა კონგრესზე საბჭოთა ისტორიკოსების ერთ ჯგუფს თარჯიმნობას უწევდა.

რადგან ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესების თემას შევეხე, არ შეიძლება არ მოვიგონო კიდევ ერთი ფაქტი. იმავე 1975 წლის ზაფხულში, აშშ-ში, ქ. სან ფრანცისკოში ჩატარდა ისტორიკოსთა მორიგი მსოფლიო კონგრესი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მ. ლორთქიფანიძეც. კონგრესიდან დაბრუნების შემდეგ მისი მონაწილეები მოსკოვის უნივერსიტეტიდან ერთგვარ ანგარიშს აბარებდნენ შესაბამის კათედრებს. ერთ-ერთი ასეთი „ინფორმაცია-ანგარიში“ მოსკოვის უნივერსიტეტის სსრ კავშირის (ფეოდალური ხანის) ისტორიის კათედრის (მე სწორედ ამ კათედრის ასპირანტი ვიყავი) სხდომაზე გააკეთა კათედრის გამგემ, პროფ. ანატოლი სახაროვმა. უდიდესი სიამაყის გრძნობა დამეუფლა, როდესაც ა. სახაროვმა საგანგებოდ გამამხვილა ყურადღება კონგრესზე გამართული ერთ-ერთი დისკუსიისას მ. ლორთქიფანიძის გამოსვლაზე. მან სიტყვაასიტყვით თქვა: „Прекрасно выступила Мариам Лордкипанидзе“. დაახლოებით იგივე უთქვამს მ. ლორთქიფანიძის იმავე გამოსვლის შესახებ მოსკოვის უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრაზე (ამის თვითმხილველია ამჟამად თსუ ასისტენტ-პროფესორი აკაკი გეთიაშვილი, რომელიც მაშინ გადიოდა სტაჟირებას მოსკოვის უნივერსიტეტის აღნიშნულ კათედრაზე) გამოჩენილ რუს მეცნიერს, აკად. ზინაიდა უდალცოვას, რომელიც წლების განმავლობაში იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი. აქ ხაზი მინდა გავუსვა ერთ გარემოებას: ა. სახაროვმა ქ-ნი მარიკა ახსენა ყოველგვარი რეგალიების გარეშე და მან ეს გააკეთა სრულიად ბუნებრივად, რითაც აგრძნობინა აუდიტორიას, რომ ისტორიკოსთა წრეში მარიამ ლორთქიფანიძის სახელი ისედაც ცნობილი იყო.

იმის დასტურად, თუ რა ურყევი ავტორიტეტი ჰქონდა მ. ლორთქიფანიძეს მოსკოვის მეცნიერ-ისტორიკოსთა წრეებში (საერთოდ მთელი სსრ კავშირის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთაც) მინდა მოვიყვანო კიდევ ერთი ფაქტი. 1978 წლის აპრილში მე ვიცავდი საკანდიდატო დისერტაციას მოსკოვის უნივერსიტეტის სსრ კავშირის ისტორიის სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. იმჟამად, სრულიად შემთხვევით, რომელიღაც საკავშირო ფორუმზე მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში ჩამოსული იყო ქ-ნი მარიამი. მე დავეკავშირდი მას და მორიდებით ვთხოვე სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დასწრება. ის მართლაც მობრძანდა. სხდომა უკვე დაწყებული იყო, როდესაც ქ-მა მარიკამ შემოაღო უკანა კარი და აუდიტორიაში შემოვიდა. მთელი დარბაზი ერთიანად შემობრუნდა და წამიერად გაირინდა, მთელი ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი. არასოდეს დამეაინყდება ის აღფრთოვანება და მონინება, რომელიც ამოვიკითხე მოსკოვის უნივერსიტეტის წამყვან ისტორიკოსთა თვალეებში. მაგრამ მის მოსვლას დაცვაზე ჩემთვის სხვა დატვირთვაც ჰქონდა. მართალია, ჩემი სადისერტაციო ნაშრომი მონონებული იყო უნივერსიტეტის შესაბამისი კათედრის მიერ და ოპონენტთა დასკვნებიც (მათ შორის ე.წ. „წამყვანი ორგანიზაციის“ – თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის დასკვნაც, რომელსაც ხელს ნ. ასათიანთან ერთად კათედრის გამგე მ. ლორთქიფანიძეც აწერდა) დადებითი იყო, მაგრამ მე მაინც მემინოდა, რომელიმე ახირებული და მოკირკიტე პროფესორი (ასეთები იმ საბჭოში წამდვილად იყვნენ) არ ამდგარიყო

და უადგილო ჭკუის სწავლება არ დაენყო. უადგილო იმიტომ, რომ, ცნობილი მიზეზების გამო, სადისერტაციო საბჭოს წევრებს შორის, ფაქტობრივად, არ იყო ისეთი მეცნიერი, რომელსაც შეიძლებოდა პქონოდა კომპეტენტური აზრი ჩემ მიერ დასაცავად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე (იგი ეძღვნებოდა საქართველოს ურთიერთობებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, ყივჩაყებთან და ძველ რუსეთთან XI-XII საუკუნეებში). ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ მ. ლორთქიფანიძის გამოჩენამ აუდიტორიაში მოუკლა „ზედმეტი აქტიურობის“ ყოველგვარი სურვილი არამკითხველ ოპონენტებს და მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩემთვის სამეცნიერო ხარისხის ერთხმად მონიჭება.

ცალკე თემაა მარიამ ლორთქიფანიძე და აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. პირველი შეხება ქ-ნ მარიკას აფხაზეთის ისტორიის საკითხებთან მოუხდა 50-იანი წლების მიწურულს, როდესაც მას, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერს, აკად. ნ. ბერძენიშვილის რეკომენდაციით, დაევალა მეტად საპასუხისმგებლო სამეცნიერო სამუშაოს – „აფხაზთა“ სამეფოსადმი მიძღვნილი თავის დაწერა „აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევებისათვის“, რომელსაც 50-იან წლებში ამზადებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. აღნიშნული გამოცემა, მიუხედავად მასში არსებული ცალკეული ხარვეზებისა, მთლიანობაში აფხაზეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში უდავოდ სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ „Очерки истории Абхазской АССР“-ში აფხაზეთის ისტორია განიხილებოდა არა დანარჩენი საქართველოსაგან მონყვევით, როგორც ამას აკეთებდნენ XXს. 20-იან წლებში აფხაზეთის ისტორიაზე გამოცემული „შრომების“ ავტორები (ს. ბასარია, ს. აშხაცავა, კ. კუდრიავეცივი), არამედ საერთოქართული ისტორიის ჭრილში და მასთან ორგანულ კავშირში. თუმცა ეს მთლად ადვილი მისაღწევი არ ყოფილა. სწორედ ამიტომ, ქ-ნი მარიკა დღესაც ხშირად ამბობს კიდევ: „ეს წიგნი სისხლითაა დაწერილი“.

დაწყებული ამ დროიდან მ. ლორთქიფანიძე მუდამ მედგრად და შეუპოვრად იბრძოდა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის გაყალბების ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, რაც კომუნისტური რეჟიმის პირობებში არცთუ უხიფათო იყო. სეპარატისტულად განწყობილ აფხაზთა შესაძლო საპროტესტო გამოსვლების შიშით, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა არ მიეცა ზედმეტი საბაბი სეპარატისტებისათვის და მაქსიმალურად აჩუმებდა ქართულ მხარეს. ყველაზე მკაფიოდ ეს გამომჟღავნდა ისტორიოგრაფიაში. ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსებს 60-70-იან წლებში, ფაქტობრივად, აკრძალათ, ჩაბმულიყვნენ კამათში აფხაზ „კოლეგებთან“. ვინც ამ „აკრძალვას“ არ დაემორჩილებოდა მას ხელისუფლების რისხვა ატყდებოდა.

ასეთ სიტუაციაში, ბევრი ნამდვილად ვერ ბედავდა „ხმის ამოღებას“ და დუმილს ამჯობინებდა. მხოლოდ ცალკეული პიროვნებები არ უშინდებოდნენ არსებულ კონიუნქტურას და, ასე თუ ისე, მაინც ახერხებდნენ, საკადრისი პასუხი გაეცათ აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგთა „თარეშისათვის“ ისტორიოგრაფიაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი პირველთაგანი ამ მხრივ სწორედ მ. ლორთქიფანიძე იყო. საყოველთაოდაა ცნობილი, თუ როგორ აღუდგა ის წინ თავის კოლეგებთან (მ. მესხია, ირ. ანთელავა და სხვები) ერთად 1967წ. საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობის მცდელობას აეკრძალათ ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ III წიგნი, მხოლოდ იმის გამო, რომ მასში დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში განვითარებულმა შეხედულებებმა სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენციის გაღიზიანება გამოიწვია. მ. ლორთქიფანიძე იყო იმ თითო-ოროლა ქართველ მეცნიერთა შორის, რომელმაც 1977წ. გაბედა სწორი და ობიექტური დასკვნის მიცემა აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მამამთავრის პროფ. შ. ინალ-იფას გახმაურებულ მონოგრაფიაზე აფხაზთა ეთნოგენეზისისა და ეთნიკური ისტორიის საკითხებზე. როგორც ცნობილია, სწორედ შ. ინალ-იფას აღნიშნული წიგნის კრიტიკა ქართველი მეცნიერების მხრიდან იქცა ერთ-ერთ საბაბად აფხაზთა სეპარატისტული გამოსვლებისა 1977-1978 წლებში.

მ. ლორთქიფანიძის „ზომაზე მეტმა“ აქტიურობამ მას სეპარატისტულად განწყობილ აფხაზობაში „აფხაზების მტრის“ იმიჯი შეუქმნა. არადა, ძველი და შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის მ. ლორთქიფანიძისეული ხედვა, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდებოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული და მიღებული თვალსაზრისისაგან და, რაც მთავარია, ის შორს იყო პ. ინგოროყვას გახმაურებული კონცეფციისაგან. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მეცნიერთაგან, პ. ინგოროყვას შემდეგ, ყველაზე მეტად აფხაზურ მხარეს სწორედ მ. ლორთქიფანიძე აღიზიანებდა. ამასთან დაკავშირებით, მინდა გავისხენო ერთი ჩემი საუბარი გამოჩენილ აფხაზ ისტორიკოსთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნეერ-კორესპონდენტთან, პროფ. გიორგი ძიძარიასთან (ეს საუბარი შედგა 70-იანი წლების მიწურულს, აფხაზთა „მორიგი რევოლუციის“ ფონზე). მე მას ერთგვარი გაკვირვებით ვკითხე, თუ რატომაა, რომ აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლები „ვერ იტანენ“ მ. ლორთქიფანიძეს, ხოლო არავითარ პროტესტს არ გამოთქამენ, მაგალითად, აკად. გიორგი მელიქიშვილის მიმართ, თუმცა რაიმე პრინციპული განსხვავება აფხაზთა ეთნო-კულტურული ისტორიის საკითხების გაშუქებისას მათ შორის არ არის. ბ-მა გ. ძიძარიამ, რომელიც, სხვათა შორის, ქ-ნ მარიამისადმი ყოველთვის ამჟღავნებდა მოწინებასა და პატივისცემას, თავი აარიდა ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემას. მოგვიანებით, მე ამ ფაქტს ასეთი ახსნა მოვუძებნე. აკად. გ. მელიქიშვილი, რომლის შრომებში იყო ბევრი რამ ისეთი, რომელიც აფხაზებისათვის ნამდვილად მიუღებელი იყო (მაგ. სანიგ-ჰენიოხთა ტომების ქართველურობის მტკიცება), სამწუხაროდ, არასოდეს გამოკამათებია აფხაზ „კოლეგებს“ და არ უცდია საქართველო-აფხაზეთის მართალი ისტორიის საჯარო დაცვა, მაშინ, როდესაც მ. ლორთქიფანიძე ყოველთვის მედგრად იდგა ეროვნული ისტორიის სადარაჯოზე და ყოველთვის საკადრის პასუხს სცემდა ცალკეულ აფხაზ მოღვაწეთა მხრიდან საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსულის გაყალბების მცდელობებს. აი, ამიტომ ატყდებოდა მას სეპარატისტების რისხვა.

ეს განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა 1989 წლიდან, როდესაც პერიოდულ

პრესაში გამოქვეყნდა მ. ლორთქიფანიძის არაერთი წერილი აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე. ქართული ისტორიოგრაფიის მხრიდან სეპარატისტების წინააღმდეგ, აქტიური მეცნიერული კონტრპროპაგანდის თვალსაზრისით, უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო 1990 წელს მარიამ ლორთქიფანიძის ნარკვევის: „აფხაზები და აფხაზეთის“ გამოცემა, რაც იმანაც განაპირობა, რომ ის ერთდროულად (ერთ ნიგნში) მიენოდა მკითხველს ერთბაშად სამ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ) ენაზე. ნარკვევი მოკლედ, მაგრამ სათანადო სისრულით იყო ნაჩვენები აფხაზთა და აფხაზეთის ისტორიული განვითარების მეცნიერულად გამართული ობიექტური სურათი, რომლითაც ერთნიშნად მტკიცდებოდა, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, იქ მოსახლე ტომებით (განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა), ისტორიულად ყოველთვის საერთოქართული ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

წამრობში განვითარებული სწორედ ეს თვალსაზრისი, ანუ ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული თანაცხოვრების აღიარება კატეგორიულად მიუღებელი იყო სეპარატისტებისათვის. ამიტომაც, მათ სასწრაფოდ გაამზადეს რეცენზია-პასკვილი აღნიშნულ ნიგნზე და გამოაქვეყნეს რუსულენოვან გაზეთ „Абхазия“-ში (16.07.1991) მეტად გამომწვევი სათაურით: „Рядовитые уроки госпожи Мариаи“. წერილის ავტორი იყო აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი, არქეოლოგი იური ვორონოვი. გაზეთ „Абхазия“-ს პუბლიკაცია იყო პოლიტიკური სპეკულაციის იშვიათი ნიმუში, რომელშიც ნათლად გამომჟღავნდა ავტორის (ანუ ი. ვორონოვის) სრული არაკომპეტენტურობა. ეს მკაფიოდ აჩვენა კიდევც ქ-მა მარიამმა საპასუხო წერილში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „Заря Востока“-ს 7 და 8 აგვისტოს (1991წ.) ნომრებში<sup>1</sup>.

მარიამ ლორთქიფანიძისთვის უმძიმესი დარტყმა იყო აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია. ის ხშირად აღნიშნავს კიდევ როგორც საჯაროდ, ისე პირად საუბრებში, რომ, ამიერიდან მისი ცხოვრების მთავარი საფიქრალი, ცხოვრების მიზანი აფხაზეთის დაბრუნება და ქვეყნის გამთლიანება გახდა. 90-იან წლებში მ. ლორთქიფანიძემ არაერთი წერილი მიუძღვნა აფხაზეთის თემას, მათგან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ მისი ვრცელი ნარკვევი „Абхазское царство“, რომელიც დაიბეჭდა ქართველ მეცნიერთა მიერ რუსულ ენაზე მომზადებულ ფუნდამენტურ გამოცემაში: „Разыскания по истории Абхазии/Грузия“ (Тб., 1999).

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე არ ჩატარებულა აფხაზეთის პრობლემისადმი მიძღვნილი მეტ-ნაკლებად სოლიდური არცერთი სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოლიტიკური ხასიათის ფორუმი, რომელშიც აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს და თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას ქ-ნ მარიამს. მისი ყოველი გამოსვლა

<sup>1</sup> ი. ვორონოვის აღნიშნულ წერილს ოპერატიულად გამოვეხმარეთ ჩვენც. იხ.: ინტერფრონტის ლიდერის ახალი „გმირობანი“. ანუ იმის შესახებ, თუ როგორ გააკრიტიკა ი. ვორონოვმა პროფ. მ. ლორთქიფანიძის ნიგნი: „აფხაზები და აფხაზეთი“. გაზ.: „აფხაზეთის ხმა“, 16, 17 აგვისტო, 1991; იხ. აგრეთვე: ზ. პაპასქირა აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998, გვ. 56-75.

უდიდეს ინტერესს იწვევს აფხაზეთიდან დევნილებში, რომლებიც სახელოვან მეცნიერში სრულიად დამსახურებულად ხედავენ თავიანთ დიდ გულშემატკივარს და ქომავს. მათთვის მარიამ ლორთქიფანიძე არის არა უბრალოდ გამოჩენილი მეცნიერი, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ბურჯი, არამედ ეროვნული მოღვაწე, აფხაზეთზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი.

აფხაზეთის ისტორიკოსთა კორპუსი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია, მისი სამეცნიერო გამოცემის – „საისტორიო ძიებანის“ – სარედაქციო კოლეგია, ახლად გახსნილი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა ულოცავენ ქართული ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთ უბრწყინვალეს წარმომადგენელს, სასიქადულო მამულიშვილს, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს სახელოვან იუბილეს და უსურვებენ დიდი ხნის სიცოცხლეს, ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს, და, რაც მთავარია, მისი ყველაზე სანუკვარი ოცნების – საქართველოს ძირძველი და განუყოფელი ნაწილის, აფხაზეთის ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში დაბრუნების – აღსრულებას.

## მოგონება

მარიამ ლორთქიფანიძეს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან ვიცნობ როგორც მომხიბლველ ქალბატონს, შესანიშნავ პედაგოგს, სახელგანთქმულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ახალგაზრდებზე დიდად მზრუნველ, ფრიად კეთილშობილ ადამიანს.

ჩვენ, ლორთქიფანიძეებისა და მიქელაძეების ხაზით, ახლობლები ვართ. ქალბატონ მარიკას დიდი ოჯახის წევრთაგან ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასი არიან უმცროსი ვაჟი გიორგი ოთხმეზური და მისი მეუღლე მანანა მაისურაძე, ყველასთვის საყვარელი ადამიანები, რომლებთანაც ერთად საკმაოდ დიდხანს ვთანამშრომლობდი კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, რომელსაც ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ეწოდება. მე, ჯერ კიდევ მოსწავლეს, ჩემს ოჯახში არაერთხელ მსმენია სტუდენტ მარიკა ლორთქიფანიძის წარმატებული სწავლისა და სტუდენტთა სამეცნიერო წრეში აქტიური მოღვაწეობის შესახებ.

1949-1954 წლებში ვსწავლობდი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, საქართველოს ისტორიის ჯგუფში.

ისტორიის ფაკულტეტის I კურსის ოთხ ჯგუფს (ძველი ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, საქართველოს ისტორია, პარტიის ისტორია), 100-ზე მეტ სტუდენტს. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ლექტორად გამოგვეცხადა სრულიად ახალგაზრდა, მომხიბლველი ქალი, რომელმაც თავიდანვე მიიპყრო ჩვენი ყურადღება საინტერესო საუბრითა და მჭევრმეტყველებით. ეს ქალბატონი გახლდათ მარიკა ლორთქიფანიძე.

როდესაც მან დაამთავრა ჩვენთან მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის კურსის ლექციების კითხვა, ძალიან გული დაგეწყდა, მაგრამ გულწრფელად გაგვამხნევა და დაგვაიმედა, რომ მომავალშიც შეგვხვდებოდა და განაგრძობდა ჩვენთან ურთიერთობას.

ქალბატონი მარიკა ყოველთვის ძალიან გულისხმიერი, ახალგაზრდების მოყვარული და მათი საქმიანობის ხელისშემწყობი პიროვნება გახლდათ ახალგაზრდობაშიც და ამჟამადაც. მე, პირადად ყოველთვის ვგრძნობდი მის მხარში დგომას მთელი ჩემი სწავლისა თუ შემდგომი მოღვაწეობის პერიოდში. მან გასულ წელს დიდი დახმარება აღმომიჩინა მომესწრო სადოქტორო დისერტაციის დაცვა სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს მუშაობის დასრულებამდე. ქალბატონი მარიკა ამ საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ და არაერთ დისერტანტს აღმოუჩინა სათანადო დახმარება.

ქალბატონი მარიკა ყოველთვის ამართლებდა თავისი დიდი მასწავლებლის, ბატონ სიმონ ჯანაშიას ნდობას და მის უსაყვარლეს მოწაფედ ითვლებოდა. სიმონ ჯა-

ნაშობის უდროოდ გარდაცვალების შემდეგაც იგი სიყვარულსა და ყურადღებას არ აკლებდა მის ოჯახს (მეუღლეს ქ-ნ მარიამს, შვილებს ლაშას და რუსუდანს) და ყოველთვის, დღემდე გვერდში უდგას მათ.

მე და ლაშა ჯანაშია ბავშვობიდან ვმეგობრობდით და ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში. ლაშას მეგობრებს, მათ შორის მეც ყოველთვის აღგვაფრთოვანებდა ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძის დიდი პატივისცემა, სიყვარული და უშურველი გვერდში დგომა თავისი საყვარელი მასწავლებლის ბ-ნ სიმონ ჯანაშიას ოჯახისადმი.

მე ახლაც მახსოვს მთელი ჩვენი ქართული საზოგადოების, მათ შორის განსაკუთრებით ქართველი ისტორიკოსებისა და ფილოლოგების გლოვა, გამონეწეული დიდი ს. ჯანაშიას უდროოდ გარდაცვალებით. იმ წლებში ჯანაშიების ოჯახში აუარებელ ხალხი მოვიდა პანაშვიდებსა და დაკრძალვაზე. ლაშას მეგობრებიც შეძრწუნებულები ვიყავით. ქალბატონ მარიკასაც იქ ყოველდღე ვხვდებოდი დიდად დამწუხრებულს.

ქალბატონი მარიკა შემდგომში ლაშა ჯანაშიასთან ერთად კარგა ხანს მოღვაწეობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. იგი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა და ყოველმხრივ ეხმარებოდა ლაშა ჯანაშიას ვაჟს, უმცროს სიმონ ჯანაშიას. მარიკა ლორთქიფანიძის მიერ მარტო ს. ჯანაშიას ოჯახისადმი ასეთი ყურადღებისა და მზრუნველობის გამოვლენაც კი საკმარისია მისი დიდი კეთილშობილების წარმოდგენისათვის.

ჩვენ, ყველანი, მარიკა ლორთქიფანიძის მონაფეები, მისი უმცროსი კოლეგები – ისტორიკოსები ყოველთვის ვესწრებოდით იმ დისკუსიებს, კონფერენციებსა და სხდომებს, რომლებშიც ხშირად მონაწილეობდა ქალბატონი მარიკა და საქართველოს ისტორიის ბევრ საჭირობოროტო საკითხების გარკვევაში, დაზუსტებასა და გაბედულად დაცვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

ჩვენ, მის მონაფეებსა და ამჟამად შედარებით უმცროს კოლეგებს, ყოველთვის გვახსოვს მისი გულისხმიერ დამოკიდებულება ყველა ჩვენგანისადმი (რომელთაგან ამჟამად ბევრი გარდაცვლილია) და ვუსურვებთ მას და მის მრავალრიცხოვან კეთილშობილურ ოჯახს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიკეთეს, სიხარულსა და დიდ წარმატებებს.

## დიდაგული მოქალაქე

ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე ცნობილი ქართველი ისტორიკოსია. მე ისე არ ვაგვიცნობდა, რომ მისი ნამოღვანარი შევაფასო, არა, ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის. ამას სათანადო დრო და მისი სადარი შემფასებელი სჭირდება. მე მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ მასთან ურთიერთობიდან.

უნივერსიტეტში 1949-1954 წლებში ესწავლობდი, საქართველოს ისტორიის ჯგუფში ვირიცხებოდი. ჩემთან ერთად იყვნენ შემდეგში უკვე გამოჩენილი მკვლევრები: ლაშა ჯანაშია, იაზო კიკვიძე, ზანდი ბოცვაძე, მარინე ცინცაძე, გივი ჯავახიშვილი, გურამ ზედგინიძე, კიაზო ფიცხელაური, ნოდარ ასათიანი, ანტონ ლეჟავა, თემურ საყვარელიძე, ნანა ხაზარაძე, ნანა ცაგარეიშვილი, მედეა ქანთარია, ელენე მაჭავარიანი და მანანა დოლაძე. 1951 წელს, მეორე კურსზე, ლექციებს აღმოსავლეთ ქვეყნების ისტორიაში გვიკითხავდა ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე, იმავედროულად ჩვენ გვასწავლიდა ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის თანაკურსელი და მეგობარი აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე.

თამამად შეიძლება ვთქვა, რომ მაშინდელი ისტორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა რჩეულთა შორის რჩეული იყო. ჩემი ნათქვამის დასტურად აქვე დავასახელებ მათ სახელს და გვარს: ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ჩიტაია, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ნიორაძე, იასე ცინცაძე, გიორგი გოზალიშვილი, კოტე გრიგოლია, ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, მაქსიმე ბერძენიშვილი, ვარლამ დონაძე, მათე ალექსიშვილი, გიორგი ტივაძე, შოთა მესხია, დავით გერიტიშვილი, აბელ კიკვიძე, აკაკი სურგულაძე, იასონ ხუციშვილი, ილია ტაბალუა, ზურაბ ანჩაბაძე, გივი კილურაძე და თინა ყაუხჩიშვილი.

ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ასპირანტი გახლდათ. ბატონ სიმონის ვაჟი, ლაშა ჯანაშია, ჩემი თანაჯგუფი იყო. ყოველი წლის ნოემბრის თვეში ჯანაშიების ოჯახი აღნიშნავდა ბატონ სიმონის გარდაცვალების დღეს. მთაწმინდის პანთეონში ბატონ სიმონ ჯანაშიას კოლეგები და ახლობლები იკრიბებოდნენ. მათ შორის: არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, კონსტანტინე გამსახურდია, შოთა ძიძიგური, ანდრია აფაქიძე, პროკოფი რატიანი, მარიამ ლორთქიფანიძე, ედიშერ ხოშტარია-ბროსე და სხვები. კარგი იქნებოდა, მაშინ იქ ნათქვამი მოგონებები – აზროვნებისა და მჭევრმეტყველების საინტერესო შეჯიბრი – დაფიქსირებულიყო. მათ შორის ერთადერთი მანდილოსანი – მარიამ ლორთქიფანიძე – ცისკრის ვარსკვლავივით გამოირჩეოდა.

ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე მეტად მომთხოვნი და საქმის ერთგული კათედრის გამგე ბრძანდებოდა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს ისტორიის კათედრაზე შესრულებული საკურსო თუ სადიპლომო ნაშრომები მაღალ დონეზე იწე-

რებოდა. აღარაფერს ვამბობ იმავე კათედრაზე შესრულებულ საკანდიდატო და სა-  
დოქტორო დისერტაციებზე.

სალ, სულიერ ატმოსფეროს ქმნიდა ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე უნი-  
ვერსიტეტში მისაღები გამოცდების დროს. ის, დიდ ცოდნასა და გამოცდილებას-  
თან ერთად, ამყლავნებდა იმ ადამიანურ თვისებებს, რაც აუცილებლად უნდა ჰქონ-  
დეს ათასობით აბიტურიენტის ცოდნის შემფასებელს. ქალბატონ მარიამ ლორთქი-  
ფანიძეს სალი მეხსიერება და ამბავის გადმოცემის საშური უნარი გააჩნია. არაფერს  
ვამბობ მის მიერ დიდებული ქართულით დანერილ ნიგნებსა და სამეცნიერო ნაშ-  
რომებზე.

ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე ბევრ საერთაშორისო სიმპოზიუმში იღებდა  
მონაწილეობას. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, მოსკოვში, ორიენტალისტთა მორი-  
გი საერთაშორისო სიმპოზიუმში ჩატარდა. სიმპოზიუმზე საქართველოდან ერთ-ერთი  
დელეგატი ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე იყო. ამ სიმპოზიუმს ესწრებოდა  
აგრეთვე ცნობილი ინგლისელი მეცნიერი დევიდ ლენგი.

როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის 50-იან წლებში, მოსკოვში, რუსმა ისტო-  
რიკოსმა მარკოვამ დაბეჭდა ნიგნი კახეთში 1812 წლის გლეხთა აჯანყების შესახებ  
ყოველგვარი შეფასებისა და ანალიზის გარეშე. და, რაც მთავარია, ბევრი საჭოჭმა-  
ნო ფაქტი მიჩქმალა და ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე ერთი სიტყვაც  
არ თქვა. როგორც ჩანს, დევიდ ლენგი ამ საკითხს ძალიან კარგად იცნობდა. მან  
დრო შეარჩია და მოსკოვში რუს მკვლევარს სათანადო საყვედური საჯაროდ, პირში  
უთხრა, რომლის უშუალო მონაწილე ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე გახდა. ამის  
შემდეგ, 1999 წელს მე მოვახერხე კახეთის 1812 წლის გლეხთა აჯანყების დოკუმენ-  
ტების გამოქვეყნება, რითაც მოხერხდა რუსი მკვლევრის შეცდომების გასწორება  
და ამ აჯანყების რეალური სურათის გაგება.

როგორც ცნობილია, დიდი ქართველი მამულიშვილი ექვთიმე თაყაიშვილი 1953  
წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა. სამწუხაროდ, ამ შეუდარებელი მამულიშვილის  
დაკრძალვა და მასთან გამომშვიდობება მისმა მშობლიურმა ერმა ისე ვერ მოახერ-  
ხა, როგორც მას ეკადრებოდა. მაშინ საბჭოთა უშიშროების თანამშრომლები ყოველ  
ღონეს მიმართავდნენ, რათა რაც შეიძლება ცოტა ხალხი მისულიყო მის დასაფლა-  
ვებაზე. ისინი მოურიდებლად დადიოდნენ უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერ-  
ო-კვლევით ინსტიტუტებში და ხალხს აფრთხილებდნენ, რომ დაკრძალვაზე არ  
მისულიყვნენ. როგორც ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფი, პროფესორი იოსებ მეგ-  
რელიძე წერს: სასაფლაომდე 48 კაცი მოვედითო, პროფესორი ზურაბ კიკნაძე კი  
ამბობს: ჩვენ, სკოლის მოსწავლეები, სხვა პროცესიაზე ვიყავით, მაგრამ, როგორც  
კი ყური მოვკარით, ექვთიმე თაყაიშვილი მოასვენესო, მაშინვე იმ პროცესიას შევეუ-  
ერთდით და მცირე პროცესია უცბად ხალხმრავალი გახდაო. იმ მცირერიცხოვანი  
ქართველებიდან, ვისაც პატივი ხვდა უკანასკნელ გზაზე გაეცილებინა ბატონი ექ-  
ვთიმე თაყაიშვილი, ამჟამად ცოცხლები არიან: აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანი-  
ძე, აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე, პროფესორები: ნიკო ქანთარია, კოტე ჩოლოყაშ-  
ვილი და ზურაბ კიკნაძე.

აი რა გვიამბო ამ დასამახსოვრებელი ფაქტის შესახებ ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ: ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის დაკრძალვის წინა დღით, 23 თებერვალს, ისტორიის ინსტიტუტში მოვიდნენ ორგანოს თანამშრომლები და ინსტიტუტის კოლექტივი კატეგორიულად გაგვაფრთხილეს, რათა არც ერთი ჩვენგანი არ დავსწრებოდით ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის დასაფლავებას. დაკრძალვის დღეს იყო ცუდი ამინდი, სიცივე, ქარი და თოვლჭყაპი. დაკრძალვაზე ისტორიის ინსტიტუტიდან წავედით ოთხნი: მე, ტარიელ ჩუბინაშვილი, ოთარ ჯაფარიძე და ნიკო ქანთარია. ვაშლოვანის ქუჩაზე, სადაც ექვთიმე თაყაიშვილი ცხოვრობდა, ჩვენთან მოვიდა სამოქალაქო ტანსაცმელში ლამაზად ჩაცმული პიროვნება და ასე მოგვმართა: «Молодые люди, вы отдали честь покойному, расходитесь».

უამინდობის გამო ჩვენ შეიძლება მართლაც შინ წავსულიყავით, მაგრამ ამ პიროვნების საქციელმა ისე გაგვაღიზიანა, რომ პროცესიას ბოლომდე, ვაკის სასაფლაომდე გავეყვით. ბატონ აკაკი შანიძეს ექვთიმე თაყაიშვილის საფლავთან ხელში სჭერია ახლად გამოსული სქელტანიანი მონოგრაფია განსვენებული მეცნიერისა „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“ და უთქვამს: ძმო ექვთიმე, შენ არც მიტინგი გჭირდება, არც ძეგლი, შენი ძეგლი შენი წიგნებია, ძალიან გული მწყდება, ცოცხალს რომ ვერ მოგისწარი ამ წიგნით“.

ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე მარჯვე რიტორია. ერთი სიტყვით, ჩვენი საპატივცემულო იუბილარი ქართველი ერის რჩეული შვილია.

## აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე

საქართველოში არ არსებობს დარგი, რომ ლორთქიფანიძეებს თავისი გადამწყვეტი სიტყვა არ ეთქვათ. მათ შორის გამოირჩევიან და-ძმა – ისტორიკოსი, აკადემიკოსი მარიამი და რეჟისორი გიგა, რომლებთანაც ერთად ყოფილ 25-ე, დღევანდელ 53-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. ქალბატონი მარიამი ისტორიკოსი, დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სამი შვილის დედა, ექვსი შვილიშვილისა და რვა შვილთაშვილის დიდედა ბრძანდება.

ქალბატონი მარიამის განვლილ გზას ჩვენი საზოგადოება დიდად აფასებს, იუბილარს მადლობას მოახსენებს და მრავალყამიერ სიცოცხლეს უსურვებს ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მასწავლებლები რეპრესირებულთა შვილებს საგანგებოდ, ფარულად გამორჩეულად გვეპყრობოდნენ. ხოლო 1937 წლიდან ახალდაობლებულეებზე დაიწყეს ზრუნვა, რათა ისინიც გადაერჩინათ შემდგომში. ჩვენი კლასის დამრიგებელს, ნინო დავითის ასულს მეველეხ, და მის დას, რომლებიც ჩვენ დავკრძალეთ, ჩვენი ექიმი თანაკლასელები მკურნალობდნენ. შემდეგ ქალბატონ მარიამთან ერთად მეც დავდიოდი მაღალ ინსტანციებში და მოვითხოვდით ნინო მიქელაძის ბინა მემორიალურ კაბინეტად გვექცია. მიუხედავად ქალბატონი მარიამის დამსახურებისა, ჩვენ ამას მაინც ვერ მივალწიეთ. ქალბატონ მარიამს ვუსურვებ მრავალ გამარჯვებას ქართველი ერის საკეთილდღეოდ.



**ქვეყნის კოლეგებისგან**



# საქართველოს არქეოლოგია და ეთნოგრაფია

ოთარ ჯაფარიძე

## ქსნის ხეობაში 1986 წელს ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების ანგარიში

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია არქეოლოგ ნოე აფხაზავას ხელმძღვანელობით წლების მანძილზე ფართო სამუშაოებს აწარმოებდა მდ. ქსნის ხეობაში, სადაც ძირითადად ფეოდალური ხანის ძეგლებს იკვლევდა.<sup>1</sup> სოფ. ალევთან ექსპედიციის მუშაობის დროს, 1985 წელს, სოფ. კორინთოსთან ლარგვისისაკენ მიმავალი გზის გაფართოებისას, ადგილ „საკირეებთან“ ადრეფეოდალური ხანის ქვაყუთები აღმოჩნდა. ექსპედიციის მიერ ამ ადგილის შემოწმების დროს ერთ-ერთ ქვაყუთის ქვეშ გამოვლინდა სამარხი-ორმო, რომელსაც ზემოდან ქვაყრილი ფარავდა. სამარხ-ორმოში საქართველოსათვის და საერთოდ სამხრეთ კავკასიისათვის უჩვეულო ხასიათის ნივთიერი მასალა აღმოჩნდა. სამარხეული ინვენტარი კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებული ე.წ. ძველი ორმოსამარხების კულტურისათვის იყო დამახასიათებელი. ეს პირველი შემთხვევა იყო ამ კულტურის ნაკვალევის კავკასიის სამხრეთ ნაწილში აღმოჩენისა. აღმოჩენის ადგილის წინასწარი დათვალიერების დროს აქ დიდი რაოდენობით აიკრიფა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი შვებრიალა კერამიკის ფრაგმენტები. ეტყობა, საგზაო სამუშაოებისას ამ დროის არაერთი სამარხი დაზიანდა.

რაზმის ძირითადი მიზანი იყო სადაზვერვო ხასიათის სამუშაოების ჩატარება იმ მიდამოებში, სადაც წინა წელს ზემოაღნიშნული სამარხი აღმოჩნდა. ვიმედოვნებდით, რომ აქ ამ ხასიათის სხვა სამარხებიც გამოვლინდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინმა არ გაამართლა. იყო თუ არა ამ დროს „საკირეები“ მოქმედი სამაროვანი, გარკვევით თქმა ძნელია. იმ მონაკვეთზე, სადაც სადაზვერვო სამუშაოები მიმდინარეობდა, ამის ნაკვალევი შენიშნული არ იყო. გათხრების დროს ამ სამაროვანზე უფრო გვიანი შუა ბრინჯაოს ხანის სამარხები გამოვლინდა. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ „საკირეებზე“ პირველი მიცვალებულები უფრო ადრეც დაიკრძალნენ. საგულისხმოა, რომ მიგრანტების სამარხი კონსტრუქციულად თითქმის არ განსხვავდებოდა „საკირეებზე“ ექსპედიციის მიერ გათხრილ სამარხისაგან. აქაც ორმოსამარხი ზემოდან ქვაყრილით იყო დაფარული. როგორც ჩანს, მოსულეები ადგილობრივი წესის დაცვით დაიკრძალნენ. ამიტომ სავარაუდოა, რომ „საკირეების“ სამაროვანი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში უკვე მოქმედი უნდა ყოფილიყო.<sup>2</sup> ამ სამარხში ნაპოვნი ძვლის „ჩაქუჩისებრი“ საკინძეები ადრეულ ტიპს მიეკუთვნება.<sup>3</sup> ჩანს, ეს სამარხი ძვ. წ. III ათასწლეულის მინურულზე უფრო გვიანი არ უნდა იყოს. აქ ამ ადრეულ სამარხში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული, ჩანს, ქალი და მამაკაცი. შესაძლოა, მამაკაცს მსხვერპლად მეუღლე ჩააყოლეს, რომელ-

საც ჩრდილოური წარმომავლობის სამკაული ჩაატანეს – ძვლის „ჩაქუჩისებრი“ საკინძები და ძალის კბილებისაგან შემდგარი გულქანდა. მამაკაცის ჩონჩხთან კი ქვის ლახტის თავი და ადგილობრივი ხასიათის თიხის რამდენიმე ჭურჭელი იყო. სამარხში ინვენტარის განლაგების საფუძველზე ისიც კი ითქვა, რომ ქალი ეგებ ჩრდილოური წარმოშობისა იყო, მამაკაცი კი ადგილობრივი მკვიდრი.<sup>4</sup> მაგრამ ნაკლებ საყარაუდოა, რომ ეს შერეული ოჯახის წევრთა სამარხი ყოფილიყო.

რა გზით უნდა შემოსულიყვნენ მიგრანტები ქსნის ხეობაში. გარკვევით თქმა ძნელია. შიდა ქართლის ფარგლებში კავკასიონი შედარებით ნაკლები სიმაღლეებით ხასიათდება<sup>5</sup> და აქ რამდენიმე უფრო ადვილად გადასალახი უღელტეხილი არსებობს. ქსნის ხეობიდან გზა ჩრდილოეთით ძირითადად ორი უღელტეხილით გადადის – როკისა და ჯვრის. ჩანს, ეს გზა ადრიდანვე მოქმედი იყო და ფეოდალურ ხანაში მას „გზა ქსნისას“ უწოდებდნენ.<sup>6</sup> ამ გზით მოძრაობდნენ, ალბათ, მიგრანტები, რომლებმაც თავისი საბოლოო სასუფეველი კორინთოსთან, „საკირეების“ სამაროვანზე პოვეს.

ქსნის ხეობა არქეოლოგიურად შედარებით სუსტადაა შესწავლილი. აქ ადამიანის არსებობის ნაკვალევი ძველი ქვის ხანის საკმაოდ ადრეულ პერიოდიდან ჩანს.<sup>7</sup> ხეობაში ჩატარებული მცირე დაზვერვების შედეგად ადრე და გვიან ბრინჯაოს ხანის არაერთი ნამოსახლარი დადასტურდა<sup>8</sup>. ძვ. წ. III ათასწლეულში, მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქაში და მომდევნო ხანაში კულტურულ-ეკონომიკური კავშირები ქედს იქითა მხარეებთან საგრძნობლად აქტიურდება. ეს კარგად ჩანს ჩრდილო ოსეთში აღმოჩენილ სამარხებიდან, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, ალბათ, სამხრეთ კავკასიიდან გადმონაცვლებულ მოსახლეობას ეკუთვნოდა.<sup>9</sup> იზრდება ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი ნაწარმის იმპორტი ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ მხარეებში<sup>10</sup> და სხვ. ერთ-ერთი დამაკავშირებელი გზა, ალბათ, ქსნის ხეობაზეც გადიოდა.

ქსნის ხეობა ისტორიის მანძილზე ეკონომიკურად საკმაოდ ძლიერი უნდა ყოფილიყო. აქ მეურნეობის ორივე დარგისათვის, მინათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის, ხელსაყრელი გარემო არსებობდა. ქსნის ხეობის ზედა და ქვედა წელი მკვეთრად განსხვავებული ბუნებრივი პირობებით ხასიათდება. ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს ამ მხარეს – „ამ კლდეს ქვეით მტკვარამდე ქსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი... და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი...“<sup>11</sup> ხეობის ქვედა წელზე მინათმოქმედების განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობდა. მის ზედა ნაწილში კი მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი გარემო იყო<sup>12</sup>.

განსაკუთრებულ აღმავლობას ქსნის ხეობა ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში განიცდის, რასაც თვალნათლივ სოფ. საძიგურთან აღმოჩენილი ცნობილი ე. წ. „ახალგორის განძი“ მოწმობს, ე. თაყაიშვილმა რომ შემოუნახა შთამომავლობას.<sup>13</sup> აქვე სოფ. ყანაჩეთთან ამავე ხანის მდიდრული სამარხეული მასალა იყო ნაპოვნი.<sup>14</sup> ჩანს, ამ დროს ხეობას ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. განსაკუთრებით დანიშნულებულია მისი შუა წელი, სადაც მეურნეობის ორივე დარგის განვითარები-

სათვის ხელსაყრელი გარემო უნდა არსებულებო. მერც ფეოდალურ საქართველოში ქსნის საერისთავო თვალსაჩინო როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და საკმაოდ ძლიერ, ზოგჯერ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენდა.<sup>15</sup>

„საკირების“ სამაროვანზე მიცვალებულები შუა ბრინჯაოს ეპოქასა და ადრე ფეოდალურ ხანაში საკმაო ინტენსიურად იკრძალებოდნენ. გათხრების დროს აქ შუა ბრინჯაოს ხანის სამარხები გამოვლინდა და საგზაო მშენებლობისას ამ ხანის არაერთი საფლავი დაზიანდა. ეტყობა, ამ პერიოდში აქ საკმაოდ აქტიური ცხოვრება მიმდინარეობდა. ჩანს, ეს სასაფლაო შუა ბრინჯაოს ხანის მინურულს მიტოვებული იყო და კვლავ ადრეფეოდალურ ხანაში აღდგა. ამ დროის ქვაყუთები უშუალოდ ბრინჯაოს ხანის სამარხების თავზე იყო გამართული. გათხრილ ფართობზე ბრინჯაოს ხანის ორი სამარხი აღმოჩნდა ფეოდალური დროის ქვაყუთების ქვეშ. სამარხორმოებს თავზე ქვაყრილი ჰქონდა.

სამარხი I. რიყის ქვის ყრილის სიმაღლე – 0, 50მ, სიგრძე – 1, 20მ, სიგანე 1 მ; მიმართულება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით (სურ. 1). მიცვალებული მარცხენა გვერდზე იწვა ძლიერ მოკუნტული ფეხებით, თავით სამხრეთ-დასავლეთით. მარჯვენა ხელი მუცლის არესთან იდაყვიში მოხრილი იყო (სურ 2). სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში თავის ქალასთან 0,10 მ დაშორებით მსხვილფეხა საქონლის კიდურის ძელები და ორი კოჭი აღმოჩნდა. მიცვალებულის სახის წინ მოზრდილი ქილა იდო, შავპრიალა ნაკანრი ორნამენტით შემკული. ხერხემლის უკან სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დიდი ზომის ქილა აღმოჩნდა, რომლის ქვეშ ცალყურა სასმისი იდო. მუცლის არეში კიდურების ძელებთან ნაპოვნი იყო ბრინჯაოს სამაჯური. თავის ქალასთან გიშრის ერთი ბიკონუსური მძივი აღმოჩნდა.

მენჯის ძელებიდან 0,30მ დაშორებით ბავშვის სამარხი გამოვლინდა. სამარხის ზომები: სიგრძე – 1, 10მ, სიგანე – 0,40მ, მიმართულება სამხრეთიდან ჩრდილოეთით. ძლიერ დაღუნილი თავის ქალა სამხრეთ ნაწილში იდო. ბავშვის ჩონჩხიდან მხოლოდ ბარძაყის და წვივის ძელები იყო შემორჩენილი. ბავშვის თავის ქალასთან ძელის ორი საკიდი იყო ნაპოვნი, ფეხებთან კი თიხის ორი კოჭობი და ერთი ცალყურა ქოთან იდო.

სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მეორე ბავშვის ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი აღმოჩნდა. თავის ქალა, ჩანს, დასავლეთ ნაწილში იდო. ჩონჩხთან ნაპოვნი იყო პასტის წვრილი მძივები, ბრინჯაოს მავთულის რგოლი, გიშრისა და სერდოლიკის რამდენიმე მძივი. აქვე იდო შავპრიალა მოზრდილი ქილა კოპებით შემკული, რომელშიაც პატარა კოჭობი აღმოჩნდა. ცხვრის ყბა, რამდენიმე ძვალი და ობსიდინის მოზრდილი ნატეხი ბავშვის ჩონჩხთან გამოვლინდა. 1 სამარხი, ჩანს, ხანში შესული ქალისა უნდა ყოფილიყო. მას ქვედა ყბის კბილები ძლიერ მოცვეთილი ჰქონდა. მასთან ერთად სამარხში ორი ბავშვი დაუკრძალავთ.

1. ქილა, შავპრიალა თიხისა, ყელდაბალი, გადაშლილი პირით, მხრებდაქანებული, მუცელგამობერილი, რომელიც ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება. ყელის ძირზე და მხრის ბოლოზე მუცელთან ირიბი ხაზებით შევსებული ზოლები შემოუყვება,

რომელთა შორის მხარზე გეომეტრიული ფიგურებია გამოყვანილი – ტეხილი ხაზე-  
ბი, სამკუთხედები, კვადრატები, რომბები და სხვ.

სიმაღლე – 35, 6 სმ. ყელის სიმაღლე – 3,5 სმ, პირის დიამეტრი – 17, 5 სმ., მუც-  
ლის დიამეტრი – 30, 5 სმ., ძირის დიამეტრი – 11, 7 სმ. (სურ. 3).

2. ქილა, შავპრიალა თიხისა, ყელდაბალი, პირგადაშლილი, მხრებდაქანებული.  
მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილას ნიბო აქვს. ძირისაკენ თანდათან ვიწროვ-  
დება, ბრტყელი ძირით. ნიბოზედა ყელის ძირზე თანაბარი მანძილით დაცილებული  
კონუსური კოპების თითო მწკრივი შემოუყვება. წკრივებს შორის სამგან ვერტიკა-  
ლურად განლაგებული ორ-ორი კოპი ჩამოუყვება, რომლებიც ჭურჭლის ზედა ნა-  
წილს სამად ყოფს.

სიმაღლე – 36, 7 სმ, ყელის სიმაღლე – 3, 5სმ., ყელის დიამეტრი – 16, 0სმ, მუც-  
ლის დიამეტრი – 31, 0 სმ. ძირის დიამეტრი – 10, 8 სმ. (სურ. 4).

3. ქოთანის, შავი თიხისა, დაბალი ოდნავ გადაშლილი პირით, არამკვეთრად გა-  
მოზერილი მუცლით, ბრტყელი ძირით. მხარზე ცალი ყური ასხია.

სიმაღლე – 14, 0 სმ, ყელის სიმაღლე – 1, 0 სმ., პირის დიამეტრი – 10, 0 სმ., ძი-  
რის დიამეტრი – 8, 0 სმ. (სურ. 5).

4. ტოლჩა, მოყავისფრო თიხისა, ოდნავ გამოზერილი მუცლით, ყელდაბალი,  
ბრტყელი ძირით. ცალი ყური მხრის ქვემოთ მუცელზე ასხია.

სიმაღლე – 16, 0 სმ; პირის დიამეტრი – 39, 0 სმ., ძირის დიამეტრი – 5, 3 სმ. (სურ. 6).

5. სასმისი, მორუხო-მოშავო თიხისა, მონითალო ლაქებით, ყელმაღალი, გადაშ-  
ლილი პირით, გამოზერილი მუცლით, რომელზედაც ცალი ყური ასხია, ძირვიწრო.

სიმაღლე – 9, 5 სმ., ყელის სიმაღლე – 2, 0 სმ., პირის დიამეტრი – 6, 0 სმ; მუც-  
ლის დიამეტრი – 7, 0 სმ., ძირის დიამეტრი – 3, 2 სმ. (სურ. 7).

6. კოჭები, მოშავო-მოყავისფრო თიხისა, პირისაკენ ოდნავ შევიწროვებული,  
მცირედად გამოზერილი მუცლით, ფართო ძირით.

სიმაღლე – 5, 0 სმ., ძირის დიამეტრი – 6, 0 სმ. (სურ. 8).

7. სამაჯური ბრინჯაოს მრგვაღვანივკვეთიანი მავთულისა, ოდნავ ნანვეტილი  
თავეებით, თავებგადადებული.

დიამეტრი – 6, 0 სმ., მავთულის სისქე – 0, 3 სმ. (სურ. 9).

8. მძივები, მუქი სერდოლიკისა, ბრტყელი (სურ. 9).

9. მძივები, პასტისა, წვრილი, 21 ცალი თეთრი, 10 მომწვანო და 1 შავი (სურ. 10).

10. მძივი, პასტისა, ბრტყელი; დიამეტრი – 1, 1 სმ.

11. მძივები, გიშრისა, ბიკონუსური.

12. მძივი, გიშრისა, მრგვალი.

13. საკიდები, ძვლისა, ნახვრეტით (სურ. 9).

14. კაური (სურ. 10).

15. ნატეხები, შავპრიალა თიხის ჭურჭლისა, თხელკედლიანი. სამ ნატეხს კონუ-  
სისებრი მოყვანილობის კოპი აზის.

16. ორი ფრაგმენტი თიხის ჭურჭლის ყურისა, მონითალო ფერის.

სამარხი II. ზედაპირიდან 1, 50 მ. სიღრმეზე ნაგლეჯი ქვებისაგან შემდგარი ყრილი აღმოჩნდა. ქვაყრილის სიგრძე 4, 0 მ, სიგანე – 3, 0 მ, სიმაღლე – 0, 30 მ. (სურ. 11). შიგ ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში წერილფეხა საქონლის, ცხვრის, მთლიანი ჩონჩხი აღმოჩნდა. სამარხი-ორმოს ზომებია სამხრეთ-დასავლეთით 1, 70 მ ჩრდილო-აღმოსავლეთით – 1, 60 მ. მიცვალებული სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა, რომელიც, ჩანს, მარჯვენა გვერდზე იწვა, ძლიერ მოკუნტული ფეხებით (სურ. 12). მიცვალებულის პოზის დადგენას ართულებს ის, რომ ზედ ჩონჩხზე მსხვილფეხა საქონლის კიდურების ძვლები აღმოჩნდა, ერთი კოჭი კი თავის ქალაზე იდო. მსხვილფეხა საქონლის სამი კოჭი და კიდურების ძვლები მიცვალებულის მუცლის არეში აღმოჩნდა. ამ სამარხის ზომებია – 1,0 მX0,40მ.

ამავე სამარხ-ორმოში, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მეორე მიცვალებულის ნაშთი იყო ნაპოვნი, რომელიც მოკუნტული იწვა მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით. თავის ქალის ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს 1,5 ხვიის სასაფეთქლე რგოლი, ძვლის ერთი ბრტყელი მძივი და სპილენძის წერილი მძივები. თიხის ჭურჭელი სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ელავა, ერთიმეორის გვერდით. რამდენიმე ჭურჭელი სამარხის ცენტრში იდო. ჭურჭელთან წერილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩნდა. ცენტრალურ ნაწილში ჭურჭლების ქვეშ ჩვილი ბავშვის ქალა და სხვადასხვა ძვლები იყო ნაპოვნი. ჩონჩხთან აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის ექვსი კოჭი და ძვლები.

1. ქილა, თიხის, მონითალო-მოყავისფრო-მოშავო ფერის, არათანაბრად გამომწვარი, მოცილინდრო ფორმისა, პირისაკენ ოდნავ შევიწროვებული, მცირედად გამობერილი მუცლით, ძირისაკენ თანდათანობით ვიწროვდება, ბრტყელი ძირით. პირს ქვემოთ მხარზე მოგრძო შევიწროვი აქვს.

სიმაღლე – 33,0 სმ, პირის დიამეტრი – 20,5 სმ, მუცლის დიამეტრი 23,0 სმ, ძირის დიამეტრი – 12,0 სმ.

2. ქილა, თიხის, მონითალო-მოყავისფრო-მოშავო ფერის, არათანაბრად გამომწვარი, მოცილინდრო ფორმის, პირისაკენ ოდნავ შევიწროვებული, მცირედად გამობერილი მუცლით, რომელიც ძირისაკენ თანდათანობით ვიწროვდება, ბრტყელი ძირით. ეტყობა, პირს ქვემოთ აქეთ-იქით მოგრძო შევიწროვები ჰქონია.

სიმაღლე – 36,0 სმ, პირის დიამეტრი – 23,0 სმ, მუცლის დიამეტრი – 21,0 სმ, ძირის დიამეტრი – 14,3 სმ.

3. ქილა, მონითალო თიხის, ნაკლები, მობრტყელო. ძირის დიამეტრი – 11,5 სმ.

4. სასმისი, შავი თიხის, ცილინდრული ფორმის, ძირისაკენ ოდნავ შევიწროვებული.

სიმაღლე – 11,0 სმ, პირის დიამეტრი – 8,8 სმ, ძირის დიამეტრი – 6,0 სმ. (სურ. 13)

5. ქილისებრი ჭურჭლის ნატეხები, შავი თიხის, ყელდაბალი, ოდნავ გადაშლილი პირით, მხარზე შემოუყვება ვერტიკალურად ამოღარული ხაზები, რომლებიც ღრმად ამოკვეთილ მოზრდილ წერტილებისგან შემდგარ ხაზებს შორისაა მოქცეული. მხარზე პატარა ყური ჰქონია (სურ. 14).

6. ქილა, შავი თიხის, ოდნავ გადაშლილი პირით, ყელდაბალი, მუცელგამობერი-ლი, ბრტყელი ძირით; ნაკლული. ყელის ძირას ღრმად ნაკვეთი წერტილების ორი მწკრივი შემოუყვება. ასეთივე მწკრივი წერტილებისა მხარზედაც გადასდევს. ზედა და ქვედა მწკრივებს შორის სუსტად ამოღარული ფართო ხაზების გაურკვეველი სახის ორნამენტი მოქცეული. მუცლის დიამეტრი – 26, 0 სმ (სურ. 15).

7. მძივი სერდოლიკის, მუქი ფერის, ცილინდრული ფორმის, სიგრძე – 1,0 სმ, დიამეტრი – 0,6 სმ (სურ. 16).

8. მძივი, თეთრი პასტის, ბრტყელი, მრგვალი. დიამეტრი 1,1 სმ (სურ. 16).

9. მძივი, პასტის, დიამეტრი –/ 0,5 სმ (სურ. 16).

10. ეშვი (სურ. 16).

11. სასაფეთქელ რგოლი, ბრინჯაოსი, ნაკლული.

12. ბრინჯაოს წერილი მძივი.

13. გიშრის მძივის ნამტვრევები.

„საკირების“ სამაროვანზე ანაკრებ მასალაში ბლომად ჩნდებოდა შავი თიხის ნატყებები, ზოგჯერ სხვადასხვა ორნამენტით შემკული. გვხვდება უხეში წერტილებით ამოვსებული სამკუთხედები, ნაკანრი გეომეტრიული ორნამენტი, შედარებით უფრო ნაზი წერტილებით შემკული ფრაგმენტები და სხვ. (სურ. 17).

„საკირების“ სამაროვანზე გათხრილი ორივე სამარხი ერთნაირი ხასიათისა იყო. სამარხი-ორმო ზემოდან ქვაყრილით იფარებოდა. როგორც ჩანს, სამარხის ეს ტიპი დამახასიათებელი იყო შიდა ქართლისათვის შუა ბრინჯაოს ხანაში. ნულისა<sup>16</sup> და ქვასათალის<sup>17</sup> ამ დროის სამარხებს ზემოდან ქვაყრილი ჰქონდათ. მსგავსი ქვაყრილიანი სამარხები ცნობილია ხაშურის მახლობლად შესწავლილ ნაღვლის სამაროვნიდან,<sup>18</sup> გრაკალიდან<sup>19</sup> და სხვ. „დიდი მცხეთის“ ამ დროის თითქმის ყველა სამაროვნისათვის ქვაყრილიანი სამარხებია დამახასიათებელი.<sup>20</sup> შიდა ქართლში ყორღანული ტიპის სამარხები შედარებით იშვიათად გვხვდება. დღემდე ცნობილ ამ ტიპის სამარხებისათვის დაბალი ქვაყრილია დამახასიათებელი. სამთავროს სამაროვნის ყორღანული ტიპის სამარხების ქვაყრილი ერთ მეტრს არ აღემატებოდა.<sup>21</sup> არც მეტეხის ყორღანის ყრილი იყო ერთ მეტრზე მეტი.<sup>22</sup>

თუ არ ჩავთვლით ნულისა და ქვასათალის კოლექტიურ სამარხებს, სადაც უხვადაა წარმოდგენილი ლითონის იარაღ-სამკაული, შიდა ქართლის ამ დროის სამარხებში ლითონის ნივთები ნაკლებად გვხვდება. სამარხულ ინვენტარს ძირითადად თიხის ნაწარმი შეედგენს. ნაღვლის სამაროვანზე, სადაც ამ დროის თითქმის ასამდე სამარხია გათხრილი, ძირითადად თიხის ჭურჭელი გვხვდება, არაკერამიკული მასალა კი შედარებით ღარიბულადაა წარმოდგენილი. ლითონის იარაღიდან სატევარი, შუბისპირიანი ისრისპირი გვხვდება, სამკაულიდან უპირატესად საკინძეები.<sup>23</sup> დაახლოებით ასეთივე ვითარებაა „დიდი მცხეთის“ სამაროვნებზედაც. ნატახტრის I სამაროვანზე გათხრილ ოთხი სამარხიდან ბრინჯაოს მხოლოდ ერთი სატევრის პირი და საკინძი აღმოჩნდა.<sup>24</sup> მხოლოდ სამთავროს სამაროვნის ყორღანული ტიპის ორ სამარხში შედარებით უფრო მდიდარი ინვენტარი აღმოჩნდა. ერთ-ერთ მათგანში ნაპოვნი იყო ბრინჯაოს საძგერებელი მახვილი, რაპირა.<sup>25</sup> სადღეისოდ მას ძირითა-

დად თრიალეთის კულტურის გავრცელების სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში ვხვდებით. ამ იარაღის დასავლეთით გავრცელების უკიდურესი საზღვარი სადღეისოდ შუა და ქვემო ქართლის შეყრის ზღურბლზე გადის. საძგერებელი მახვილი შიდა ქართლში არ გვხვდებოდა და არც თრიალეთის „დიდ ბრწყინვალე“ ყორღანებშია იგი ცნობილი. მას ძირითადად თითქოს საშუალო შექლების პირთა სამარხებში ვნახულობთ. ჩვენში ეს იარაღი ლილოს ერთ-ერთ სამარხში<sup>26</sup> და ივრის ხეობაში გათხრილ ყორღანებში აღმოჩნდა.<sup>27</sup> ქვემო ქართლის მიმდებარე მხარეში, სომხეთის მინა-წყალზე რამდენიმე საძგერებელი მახვილია ცნობილი.<sup>28</sup> სტეპანავანთან ლორი ბერდის სამაროვანზე, სადაც თრიალეთური კულტურის საკმაოდ მდიდრული სამარხები აღმოჩნდა, ერთ-ერთში საძგერებელი მახვილი იყო ნაპოვნი.<sup>29</sup> ერთი მსგავსი იარაღი დაღესტანშიც<sup>30</sup> აღმოჩნდა, რომელიც სამხრეთ კავკასიიდან, ალბათ, საქართველოდან გავრცელდა.

„საკირეების“ სამაროვნის ორივე სამარხში სხვადასხვა ხასიათის თიხის ნანარმი გვხვდება. აღსანიშნავია I სამარხის ორი მოზრდილი შეპერიალა ყელდაბალი ქილა, შედარებით უკეთ ნანერნი. ერთ მათგანს მხარზე შემოუყვება საკმაოდ რთული ნაკანრი გეომეტრიული ორნამენტი. ფორმით და შემკობის ხასიათით ეს ჭურჭელი თრიალეთის კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკას უახლოვდება (სურ. 3). ამავე სამარხში ნაპოვნი მეორე მოზრდილი ქილა, რომელსაც მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილას მკვეთრი ნაწიბური აქვს, კონუსისებრი მოყვანილობის კოპებიტაა შემკული. წიბურზე და ყელის ძირზე მას კოპების თითო მწკრივი შემოუყვება. სამგან კი მხარზე ვერტიკალურად ორ-ორი კოპი ჩამოუყვება (სურ. 4). ჭურჭელზე კოპების ამგვარი განლაგება სხვაგან თითქოს ცნობილი არ არის. ფორმით ეს ქილა უახლოვდება „დიდი მცხეთის“ სამაროვნებზე აღმოჩენილ ჭურჭლებს, რომლებსაც მხარზე მსგავსი კოპების ერთი მწკრივი შემოუყვება.<sup>31</sup> თიხის ჭურჭლის სხვადასხვა სახის კოპებით შემკობის წესი საკმაოდ დამახასიათებელი იყო შუა ბრინჯაოს ხანაში, განსაკუთრებით თრიალეთის კულტურაში.<sup>32</sup> ამ სამარხში აღმოჩენილი სხვა ჭურჭელი შედარებით ტლანქადაა ნაძერნი. ცალყურა ქოთანის შავი ფერისაა, რომელიც ემსგავსება სამთავროს შუა ბრინჯაოს ხანის სამარხების ჭურჭლებს.<sup>33</sup> ცალყურა აგრეთვე I სამარხის ტოლჩა და სასმისი მორუხო-მოყავისფრო-მოშავო ფერისა. სასმისი ნააგავს ნატახტრის სამარხებში ნაპოვნი ანალოგიურ ჭურჭელს.<sup>34</sup>

II სამარხში აღმოჩენილი დიდი ზომის ორი ქილა უხეშადაა ნაძერნი, არათანაბრად გამოშვარი მოყავისფრო-მოშავო ფერისაა, ფართო პირით და მოცილინდრო ფორმის. მოყვანილობით და ძერწვის ხასიათით ისინი უახლოვდებიან ბ. კუფტინის მიერ ცხინვალის სატყეო კომბინატთან გათხრილ სამარხებში აღმოჩენილ ქილებს (სურ. 18), სადაც, „საკირეების“ მსგავსად, ძირითადად თიხის ჭურჭელია წარმოდგენილი. თრიალეთის კულტურისათვის ანალოგიური კერამიკა დამახასიათებელი არ არის. სატყეო კომბინატის სამარხების ზოგიერთ ჭურჭელს ეტყობა ჩარხის ნაკვალეები და ფორმითაც უფრო მომდევნო ხანის თიხის ნანარმს უახლოვდება.

II სამარხში გამოვლენილი მუცელგამობერილი მოზრდილი ქილა, ჩალარული ყელით ფორმით უახლოვდება თრიალეთურ ჭურჭელს. მას უხეშად ღრმად ნაკვეთი

წერტილები ამკობს ყელის ძირზე და მხარზე. ფორმით იგი უახლოვდება სამთავროს სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში ნაპოვნ ქურჭელს.<sup>35</sup> ანალოგიური ქილები ნალვლის სამარხებშიც აღმოჩნდა.<sup>36</sup>

როგორც ჩანს, „საკირეების“ სამარხებში სხვა ქურჭლები იმდენად იყო დაზიანებული, რომ მათ შესახებ რაიმეს თქმა ძნელია. აქ ნაპოვნ ცალკეულ ფრაგმენტებზე სხვადასხვა სახის ორნამენტი გვხვდება - სამკუთხედები ამოვსებული უხეშად დატანებული წერტილებით, სარტყლები მსგავსი წერტილებით გამოყვანილი ირიბი ხაზებით, ტლანქი, ვერტიკალური და ირიბი ხაზებით. შედარებით უკეთაა შესრულებული გეომეტრიული ორნამენტული სახეები და სხვ. თრიალეთური კულტურისათვის დამახასიათებელი უფრო ფაქიზი წერტილოვანი და ნაკანრი ორნამენტი ამ კერამიკაზე თითქმის არ გვხვდება. საერთოდ, ამ ხასიათის ორნამენტი შიდა ქართლის თიხის ნაწარმისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. როგორც ჩანს, აქ გავრცელებული ამ დროის თიხის ქურჭელი თრიალეთური კერამიკის ნაბაძვითაა ნაკეთები და ზოგჯერ ინარჩუნებს კიდევაც დამახასიათებელ ფორმას. მაგრამ მაინც მას უკვე დაკარგული აქვს ის სრულყოფილი სახე როგორც ძერნვის ხასიათში, ის, მოყვანილობასა და შემკულობაში, თრიალეთის კულტურისათვის რომა არის დამახასიათებელი.

„საკირეების“ ორივე სამარხში არაკერამიკული ინვენტარი მეტად ღარიბულადაა წარმოდგენილი. სხვადასხვა მასალის მძივები უპირატესად პასტისაა. გვხვდება თითო-ოროლა სერდოლიკის და გიშრის მძივი. ძვლის ორი გახვრეტილი საკიდი და ერთი ეშვი ბავშვების ჩონჩხებიანად აღმოჩნდა. ლითონის ნივთებიდან ნაპოვნი იყო სასაფეთქლე რგოლის ფრაგმენტები, რამდენიმე წერილი მძივი და ბრინჯაოს მრგვალგანივკეთიანი წერილი მავთულის თავგადადებული სამაჯური (სურ. 9). შიდა ქართლში შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში წერილი მავთულის თავგადადებული სამაჯურები შედარებით იშვიათადაა წარმოდგენილი. უპირატესად გვხვდება სხვადასხვა განივკვეთის თავგახსნილი სამაჯურები. ხაშურის ნაცარგორაზე ბოლოებგადადებული სამაჯური მხოლოდ ორი აღმოჩნდა. ნულისა და ქვასათალის სამაროვნებზე უპირატესად თავებგახსნილი სამაჯურები გვხვდება.<sup>37</sup> ძვირფასი ლითონის სამაჯურები თრიალეთის კულტურაში ცნობილი არ არის.

აღსანიშნავია, შიდა ქართლში თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის“ ხანაში ისეთივე ვითარება ჩანს, როგორც წინარე ბედენის კულტურის დროს გვხვდება. აქ არც ბედენის ხანაშია წარმოდგენილი დიდი ზომის ყორღანული სამარხები, რომელშიც საზოგადოების ელიტარული ნაწილი იმარხებოდა.<sup>38</sup> საგულისხმოა, რომ მესხეთში, სადაც შუა ბრინჯაოს ხანაში ძირითადად განსხვავებული ტიპის ყორღანული სამარხებია წარმოდგენილი და ინვენტარიც თავისებური ხასიათისაა, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება თრიალეთისათვის დამახასიათებელი ქვყრილიანი ყორღანები და ნივთიერი მასალა.<sup>39</sup> იგივე ჩანს აგრეთვე შიდა ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ივრის ხეობაში, სადაც ამ დროის საკმაოდ პრესტიჟული სამარხები აღმოჩნდა.<sup>40</sup> რატომ არ გვხვდება შიდა ქართლში ყორღანული კულტურის ხანაში ელიტარული სამარხები და რატომაა აქ უფრო მეტად

რიგით წევრთა საფლავები ნარმოდგენილი, გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. ეტყობა, შიდა ქართლი, მისი ვაკე და მთა თრიალეთელისათვის ნაკლებ მიმზიდველი იყო. იგი უფრო მეტად მცირე კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს ეტანება. შუა ბრინჯაოს ხანაში შიდა ქართლში სოფლის მეურნეობა, ჩანს, უფრო მინათმოქმედებაზე იყო დაფუძნებული; მცირე კავკასიონის მთიან პლატოებზე კი ეკონომიკაში მესაქონლეობა იყო, ალბათ, ნამყვანი, რომელიც მეტ ნაბატ პროდუქტს იძლეოდა. აქვე იყო ნედლეული რესურსები – სპილენძი, ოქრო და სხვ. ამან განაპირობა, ალბათ, ადგილობრივი ელიტის აღზევება. თითქოს ისე ჩანს, რომ როდესაც თრიალეთური კულტურა კარგავს თავის ბრწყინვალეობას, ამ დროიდან იწყება შიდა ქართლის უფრო ინტენსიურად ათვისება. თრიალეთის კულტურის დაქვეითების ერთ-ერთი მიზეზი ეგებ ეკოლოგიურ ცვლილებებთანაც იყო დაკავშირებული, რამაც მეურნეობის ხასიათზე იქონია გარკვეული გავლენა. ეტყობა, იზღუდება მცირე კავკასიონის მაღალმთიანი ველების საძოვრების შესაძლებლობა, რომლებიც, ჩანს, ველარ აკმაყოფილებდნენ მესაქონლეობასთან დაკავშირებულ მოთხოვნილებებს. შესაძლოა, ამანაც განაპირობა შიდა ქართლის უფრო ინტენსიურად ათვისება თრიალეთის კულტურის მიწურულ ხანაში.

როგორც ჩანს, შიდა ქართლში ყორღანული კულტურის არსებობის მთელ მანძილზე ეკონომიკასა და სოციალურ ორგანიზაციაში მაინცდამაინც საგრძნობი ცვლილებები არ შეინიშნება. აქ თრიალეთთან შედარებით ლითონის ნარმოება, მეტურნეობა და ხელოსნობის სხვა დარგები უფრო დაბალ დონეზე უნდა მდგარიყო. ძვირფას ლითონის ნაწარმზე მოთხოვნილება, ჩანს, ნაკლები იყო. საზოგადოების ელიტარული ფენა აქ ჯერ კიდევ, ეტყობა, ჩამოყალიბებული არ უნდა ყოფილიყო. სწორედ აღმატებულ რანგს მიღწეული მოსახლეობის ნაწილი ეტანება უფრო მეტად ძვირფასი ლითონის ნაწარმს.

ექსპედიციის მიერ „საკირეების“ სამაროვანზე გათხრილი ორივე სამარხი თანადროული უნდა ყოფილიყო და შუა ბრინჯაოს ხანის გვიანდელ პერიოდს, უფრო კი მომდევნო ხანაზე გარდამავალ საფეხურს მიეკუთვნება. ამის ვარაუდის საფუძველს თითქოს „საკირეების“ II სამარხში აღმოჩენილი ცხინვალის სატყეო კომბინატის სამარხების ანალოგიური ქილები იძლევა. სატყეო კომბინატში ამ ჭურჭელთან ერთად გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელი ჩარხზე დამზადებული კერამიკა იყო ნაპოვნი. ბ. კუფტინის, სამწუხაროდ, ამ სამარხების გამოქვეყნება აღარ დასცალდა, მაგრამ თავის საველე დღიურში ავნევის ყორღანის თარიღთან დაკავშირებით აღნიშნული აქვს, რომ იგი წინ უნდა უსწრებდეს სატყეო კომბინატის კომპლექსს და შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს უნდა მიეკუთვნებოდეს.<sup>41</sup> ალბათ, ამავე დროისა უნდა იყოს „საკირეების“ სამარხებიც. საგულისხმოა, რომ შიდა ქართლში შესწავლილი შუა ბრინჯაოს ხანის თითქმის ყველა ძეგლი გვიან საფეხურს მიეკუთვნება. შუა ბრინჯაოს გვიანი ეტაპით თარიღდება „დიდი მცხეთის“ თითქმის ყველა სამაროვანი.<sup>42</sup> ამავე დროისაა ნალელში შესწავლილი სამარხები.<sup>43</sup> თავის დროზე ბ. კუფტინმა ნულის კოლექტიური სამარხები შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის მიჯნას მიაკუთვნა, თრიალეთის გვიანდელ ყორღანებს გაუტოლა

და ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებით დაათარიღა.<sup>44</sup> თრიალეთის გვიანი, III ჯგუფის ძეგლებს, რომლებიც გარკვეულ მსგავსებას ავლენდნენ შიდა ქართლის შუა ბრინჯაოს ხანის მასალებით, ამ პერიოდის დასასრულს, ძვ. წ. 1600-1450 წწ. მიაკუთვნებენ.<sup>45</sup> შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულითაა დათარიღებული კასპის ყორღანი.<sup>46</sup> თურქის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხები გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნება.<sup>47</sup> სავარაუდოა, რომ „საკირის“ სამაროვნის სამარხები ალბათ ძვ. წ. XVI-XV საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

### ლიტერატურა

1. ნ. აფხაზავა, ქვემო ავლევი ადრე შუა საუკუნეებში, თბ., 1988, გვ. 7.
2. თ. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში, თბ., 1998, გვ. 165.
3. М. Б. Рысин, К проблеме синхронизации памятников среднего бронзового века Северного и Южного Кавказа. Между Азией и Европой, Кавказ IV-I тыс. до н. э., СПб. 1996, стр. 83.
4. К.Х. Кушнарева, М.Б. Рысин, Бедено-алазанская группа памятников Кавказа, Взаимодействие культуры и цивилизации, Санкт-Петербург, 2000, стр. 87.
5. საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1999, გვ. 148.
6. ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 64.
7. В.П. Любин, Нижнепалеолитические памятники Юго-Осетии, материалы и исследования по археологии СССР, 79, М-Л, 1960, стр. 10.
8. დ. მუსხელიშვილი, გ. ცეციტიშვილი, შიდა ქართლის 1955 წლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბილისი, ტ. I, 1960, გვ. 188.
9. В.А. Ростунов, Вопросы бытования куро-аракской культуры на Центральном Кавказе и их роль в этнокультурных процессах второй половины III – начало II тысяч. до н.э., Этнокультурные проблемы бронзового века Северного Кавказа, Орджоникидзе, 1986, стр. 36.
10. М.Г. Гаджиев, Из истории культуры Дагестана в эпоху бронзы, Махачкала, 1969, стр. 126; М.Б. Рысин, указ. соч., стр. 83.
11. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1897, გვ. 70.
12. ჯ. გვასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. III, თბილისი, 1967, გვ. 20.
13. Е.С. Такайшвили, Археологические путешествия, разыскания и заметки, Известия Кавказского отделения Имперского Московского археологического общества, IV, Тифлис, 1915. стр. 139; Я.И. Смирнов, Ахалгорский клад, Тифлис, 1934.
14. ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბილისი, 1964, გვ. 6.
15. ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბილისი, 1983, გვ. 78.
16. ბ. კუფტინის სამხრეთ ოსეთის 1949 წლის ექსპედიციის დღიური.
17. О.М. Джапаридзе, Кваспальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии, Краткие сообщения института материальной культуры, вып. 60, Москва, 1955, стр. 23.
18. აღ. რამიშვილი, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წალკაში, თბილისი, 2004, გვ. 110.
19. თ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, ქართველი ტომების ისტორიისათვის ძვ. წ. II ათასწლეულში, თბილისი, 1969, გვ. 97.

20. *В. Садрадзе*, Археологические памятники «Мцхета Великой» эпохи средней бронзы, Тбилиси, 1993, стр. 6, 15, 24, 29.
21. *ტ. ჩუბინიშვილი*, სამთავროს ყორღანული სამარხი 243, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 5.
22. *მ. ბარამიძე*, კასპის სამაროვანი, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. IV, თბილისი 1965, გვ. 57.
23. *ალ. რამიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.
24. *В. Садрадзе*, Указ. соч.; стр. 28.
25. *გ. ლომთათიძე*, ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, თბილისი, 1974; *ტ. ჩუბინიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 22; *ალ. კალანდაძე*, სამთავრო, წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა IV, თბილისი, 1980; გვ. 33.
26. *Э. М. Гогодзе*, Курганные погребения Лило, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXXII-B, თბილისი, 1976, გვ. 436.
27. *К. Pizchelauri*, W. Ozthmann, Der Kurgan, "Tetri kwebi" I, Georgica, 15, Konstanz, 1992; 15. Jan-Krzysztof Bertram, Konstantin Phicxelaury, Vorbericht zu den Ausgrabungsarbeiten in Udabno (Ostgeorgien) im Jahre 2005, Archaologische Mitteilungen aus Iran und Turan, Band 37, 2005; 351.
28. *А. А. Мартиросян*, Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964; стр. 70; *С. А. Есаян*, Оружие и военное дело древней Армении, Ереван, 1966, стр. 78.
29. *S. Devedjian*, Lori Berd, II, Erevan, 2006, стр. 412, рис. 83,1, табл. V, 1.
30. История Дагестана, I, Москва, 1967, стр. 65.
31. *В. Садрадзе*, Указ. соч., табл. XVI, 6; XXVIII, 10.
32. *ო. ჯაფარიძე*, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.
33. *В. Садрадзе*, Указ. соч., табл. XXXVII.
34. იქვე, ტაბ. XV, 3.
35. იქვე, გვ. 9, ტაბ. V, 5.
36. *ალ. რამიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 134, ტაბ. IX.
37. *О.М. Джапаридзе*, Указ. соч., стр. 27; *Б.А. Куфтин*, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, табл. XVII, 4.
38. *ო. ჯაფარიძე*, ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძე. 5. III ათასწლეულში, გვ. 94.
39. *ო. ჯაფარიძე*, *ი. კიკვიძე*, *გ. ავალიშვილი*, *ა. ნერეთელი*, მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, თბილისი, 1981, გვ. 161.
40. *შ. დედაბრიშვილი*, *რ. რუსეიშვილი*, სადულას ველის შუა ბრინჯაოს ხანის 2 გორასამარხი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, VII, თბილისი, 1984, გვ. 56.
41. *ბ. კუფტინის* სამხრეთ ოსეთის 1949 წლის ექსპედიციის დღიური.
42. *В. Садрадзе*, Указ. соч., стр. 20, 55.
43. *ალ. რამიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 41, 79.
44. *Б. А. Куфтин*, Указ. соч.; стр. 51.
45. *გოგაძე*, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბილისი 1972, გვ. 69.
46. *მ. ბარამიძე*, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.
47. თბილისი I, თბილისი, 1978, გვ. 67.


ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS  
IN THE GORGE OF THE RIVER KSANI IN 1986

Summary


IN 1985, while conducting the field operations near the village of Korinto, in the place called "Sakireebi" in the gorge of the river Ksani, a new grave of early feudal era was discovered. Under one of the clusters of stones was found a stone embankment covering a soil burial giving us extremely interesting material. For the first time in South Caucasus archaeologists discovered a burial complex with distinctive features of the culture of "old holes". In 1986 reconnaissance was run in "Sakireebi" but it didn't have appropriate results. However, a trace of the culture of "old holes" wasn't found on the site, scientists discovered two burials belonging to the later stage of Trialeti culture instead. The complex consisted mostly of soil dishes. The other materials were represented by various sorts of beads. According to the burial data these graves should have belonged to the end of Middle Bronze period.



სურ. 1.




სურ. 2.




სურ. 3.




სურ. 4.




სურ. 5.



სურ. 6.



სურ. 7.



სურ. 8.




სურ. 9.




სურ. 10.



სურ. 11.



სურ. 12.



სურ. 13.



სურ. 14.

## ანტიკური და ვახტანგ გორგასალის დროინდელი თბილისის არქეოლოგიისთვის

**თბილისის**, ქართლისა და შემდგომ მთელი საქართველოს დედაქალაქის ისტორიის, კერძოდ არქეოლოგიის ყოველი ახალი მონაცემი დიდ ინტერესს იწვევს. იგი, როგორც ცნობილია, უძველესი (ენეოლითი) ხანიდან არის დასახლებული, მიკვლეულია უფრო ადრეული – ქვის ხანის დასახლების ნაშთიც. შედარებით უფრო მნიშვნელოვან დასახლებათა ნაშთები ზოგადად გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანით არის განსაზღვრული. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თანამედროვე ქალაქის დილმის რაიონში, უპირატესად საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ შემალლებულ ბუნებრივ ბორცვზე („თრელიგორებზე“) და გავაკებულ ნაწილში სტაციონალური გათხრებით გამოვლენილი ამ ხანის მნიშვნელოვან დასახლართა და სამაროვანთა ნაშთები (1). აქვე, ამ დასახლარებზე დადასტურებული იყო ადრე შუა საუკუნეების ცხოვრების კვალი, ხოლო თანამედროვე კორპუსების მონაკვეთში ანტიკური აბანოს (?) და სხვა ნაშთები (1, იხ. გეგმა).<sup>1</sup> სტაციონარული გათხრებით შესწავლილ სხვა ადრეულ დასახლართაგან უნდა აღვნიშნოთ დელისის ენეოლითური დასახლების შესახებ, რომელმაც ასევე მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა (1) და უჩვენა, რომ თბილისის „ქვეყნის“ დასახლებებს“ ძველი და დიდი ტრადიცია აქვთ. მაგრამ ეს და სხვა მნიშვნელოვანი აღმოჩენები, მაგ. ღრმაღელის (2, 161, 163), ბრინჯაოს ხანის და მომდევნო დროისა მდ. მტკვრის, ანუ თბილისის ყველა დროის დასახლებათა მთავარი არტერიის, ორსავე ნაპირის მონაცემები უშუალოდ ვერ განსაზღვრავენ ანტიკური და ვახტანგ გორგასალის დროინდელი თბილისის, როგორც მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქის რაობის საკითხს. მხედველობაში გვაქვს იმდროინდელი თბილისის საქალაქო დასახლების და ე. წ. კალას მონაკვეთი. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკურ და ადრე შუა საუკუნეების დასახლებათა და თვით შემთხვევით მონაპოვართა ტოპოგრაფიას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ძველი ქალაქის ეკონომიკური რაიონის („ქვეყნის“) ხასიათისა და რაობის განსაზღვრის თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ინფორმაცია ამ მონაცემებზე ძალიან გაფანტულია, ზოგჯერ არასათანადოდ პასპორტიზებული, რაც მკვლევრის დღევანდელ ინტერესს ვერ აკმაყოფილებს.

ჩვენი სტატიის მიზანს, პირველ რიგში, ქ. თბილისში, მის ძველ ისტორიულ ნაწილში, განხორციელებული გათხრების შედეგების ძირითადი მონაცემების გადმოცემა წარმოადგენს, ამასთან, უპირატესად ანტიკური ხანის ფენებს შევხებით. აქვე

<sup>1</sup> სამწუხაროდ, ჩვენი თემისთვის ამჟამად საინტერესო მონაცემის შემცველი ფენების კვლევა შემდგომში არ გაგრძელდება.

აღნიშნავთ, რომ, რადგან ძირითადად ამ დროის ნაგებობების ნაშთებზე გვექნება საუბარი და გათხრების შედეგად, იშვიათ გამონაკლისს გარდა, არა გვაქვს ინფორმაცია საქალაქო ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან მხარეზე, როგორც სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებია ანუ იმპორტული ნაწარმზე (კერამიკა, მინა და ლითონის მხატვრული ნაკეთობანი და სხვ.), ჩვენი საკითხისთვის თითქმის შეუცვლელ არქეოლოგიურ მონაპოვარს მონეტები წარმოადგენს. ახალი გათხრების ისეთ მნიშვნელოვან ობიექტზე, როგორიცაა აბანოთუნის ორმოც სებასტიელთა ეკლესიის მონაკვეთი, მონეტები მხოლოდ ადრე შუა საუკუნეების მეორე ეტაპზე გვხვდება, ამიტომ ძველი თბილისის, როგორც ქალაქური (უფრო ადრე დაბური) დასახლების რაობის უკეთ გააზრებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ადრეულ (ძირითად ანტიკურ) მონაპოვართა ტოპოგრაფია.

ძველი აღმოჩენების შესახებ, ერთგვარად ეპიზოდურად, ინფორმაციას ვხვდებით როგორც იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში (მაგ. „ივერია“, „Кавказ“ და სხვ.), ასევე უკვე პროფესიონალ ისტორიკოსთა ნაშრომებში. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ისტორიკოსების პლატონ იოსელიანის (3) და დიმიტრი ბაქრაძის (4) ნაშრომები თბილისზე. მათ აქვთ, ასე ვთქვათ, ერთ-ერთი პირველი დაკვირვებანი წყაროების მონაცემებსა და ცალკეულ შემთხვევით აღმოჩენებზე, მიუთითებენ ქალაქის არქეოლოგიური შესწავლის მნიშვნელობაზე. კერძოდ, პლატონ იოსელიანი აღნიშნავდა, რომ მისი დროინდელი თბილისი მთლიანად ძველი ნაგებობების ნანგრევებზე არის აღმოცენებული, რომ ყველგან იგრძნობა ამგვარი ნაშთების არსებობა და რომ 2 საყენის სიღრმეზე ახალი სახლების მაშენებლებს ყველგან ხვდებოდათ ძველ ნაგებობათა და სხვა ნაშთები, რომლებიც განსაზღვრავენ ძველი თბილისის დასახლებათა დონესა და სიღრმეს (3, 268-269). მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის, ამჟამად ჩვენთვის საინტერესო მონაცემებთანავე ყურადღებას იქცევს ინფორმაცია ორთაჭალის მონაკვეთთან, სეიდაბადში გზის გაყვანისთვის საჭირო თხრილში აგურით ნაშენი მოზრდილი ნაგებობის აღმოჩენის შესახებ, სამწუხაროდ, მისი დანიშნულება მაშინ არ გარკვეულა. პ. იოსელიანის კიდევ ერთ მონაცემზე გავამახვილებ ყურადღებას ზემოთ აღნიშნული გარემოების გამო. ავტორი აღნიშნავს, რომ სოლოლაკში, 1859 წელს, მინის თხრის დროს ნახეს აგურის ქარხანა, თითქმის მთლიანად შემონახული, რომელიც სათანადო სამშენებლო მასალით ამარაგებდა როგორც გვიან, ასევე ადრეც თბილისის ციხის მშენებლობას. ეს ნაგებობა სოლოლაკის ქედის ძირთან არსებული სადრენაჟე არხის მონაკვეთში იყო გამოვლენილი, სადაც თხრის დროს სხვადასხვა დროის მონეტებს პოულობდნენ. სასანიდების ხანის 5 მონეტა სტეფანოზისა უპოვიათ თვით პ. იოსელიანის სახლისთვის საძირკვლის გაჭრის დროს (3, 2). ეს თვით ავტორის, ცნობილი ისტორიკოსის შემთხვევაში... ადვილი წარმოსადგენია ძველი ქალაქის ამ და სხვა უბნებშიც, როგორ განადგურდებოდა და დაიკარგებოდა მშენებლობის დროს ძველ ნაგებობათა ნაშთები და ნივთიერი მონაპოვარი, მათ შორის მონეტები, ძველად და, ზოგ შემთხვევაში, ალბათ, ახლაც.

თბილისის, „ქვეყნის“ ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მონაცემებზე ინფორმაციას არქეოლოგების: დ. ქორიძის (5), გ. ლომთათიძის (2, 6), რ. აბრამიშვილის (1), ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილის (8) და სხვათა ნაშრომებზე დაყრდნობით წარმოვადგენთ.

კერძოდ, ინტერესს იწვევს აღმოჩენები:

1. დიდუბეში (1930-1931 წწ.) მექანიკური ქარხნის მშენებლობის დროს. იგი წარმოდგენილია, როგორც ჩანს, დარღვეული და საკმაოდ დაზიანებული სამავროვნოდან (თუ სამაროვნებიდან) მომდინარე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალებით: ანტიკური თეთრკეციანი მოხატული ჭურჭლებით (ხელადები, კოჭბები); ფილებით, ყურმილიანი, შავადმომწვარი, ხელადით; ზარაკებით, ყუვნებით, სამაჯურებით, ბეჭდებით, ბრინჯაოს ქანდაკებით და სხვ. ჩვენს ინტერესს იწვევს ინვენტარის ის ჯგუფი, რომელთა თარიღი ზოგადად ელინისტური ხანითაც არის განსაზღვრული, თუმცა დ. ქორიძე ნელთალრიცხვათა მიჯნასაც გულისხმობს.<sup>1</sup> ზოგადად კი დიდუბის სამაროვნის მასალები ძველი ნელთალრიცხვის VI-I საუკუნეებით არის განსაზღვრული.

2. ღრმაღელეში (1936 წ. მიწის სამუშაოების დროს), შემთხვევით. წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით: მონითალო-ვარდისფერი ყელნიბოიანი, ჩანს, კოჭობი; ღია ფერის ხელადები; სამკაული: ბრინჯაოს სამაჯური, ბეჭედი, ავგაროზი „კამეა“; ავგაროზი „სკარაბეი“.

3. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორია (1919 წ.), სამარხი. წარმოდგენილია თიხის დოქით და მოზრდილი ყელნიბოიანი ჭურჭლით.

3<sup>1</sup>. უნივერსიტეტის მახლობლად, ვაკეში, 1922 წელს ნაპოვნია კიდევ ერთი დოქი (?).

4. ვერა, ბესიკის ქუჩა (1930 წ. სახლის მშენებლობის დროს). სამაროვანი სხვადასხვა ტიპის სამარხებით (ქვაყუთები, ხის კუბოები (?), ვრცელია ქრონოლოგიური დიაპაზონი. ავტორი ამ მასალის დიდ ნაწილს შუა საუკუნეებისად მიიჩნევს. ამათგან გამოიყოფა, ჩვენი აზრით, გვიანანტიკური ხანის მოზრდილი, ვარდისფრად გამომწვანი ყელნიბოიანი ჭურჭელი.

5. კოლექცია 3-33: 1-17 (1933 წ. უნივერსიტეტთან სამკურნალო კომბინატის შენობის ფუნდამენტის გაჭრის დროს, ჩ-1, 80 მ). გამოვლენილია „აკლდამა“, შედგენილი კრამიტის 5 ფილისაგან. სიგრძე 1,9 მ. მიცვალებული თავით აღმოსავლეთით. 1939 წელსვე სახელმწიფო მუზეუმს აქ გათხრა ჩაუტარებია. აკლდამის მარჯვენა მხარეზე ცხენის ორი ჩონჩხია ნაპოვნი და ავგუსტის (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14) ორი მონეტა. ნაპოვნია ხოირის ოქროს ფურცლები და ოქროს ბურთულები.

6. კოლექცია 8-13 (ყოფილი კავკასიის მუზეუმი. შენობის ქვეშ, მიწის ამოღების დროს). კოლექცია, როგორც დ. ქორიძე ფიქრობს, შედგება სხვადასხვა პერიოდის, მათ შორის შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალებისგან. სახელმწიფო მუზეუმის პუბლიკაციის მიხედვითაც ჩანს, რომ კოლექცია შეიცავს ფართო, არაერთი

<sup>1</sup> ჩვენი მონაცემები აღმოჩენების შესახებ ამ ნაწილშიც ძირითადად დ. ქორიძის ნაშრომს (5. 47. 83) ეყრდნობა. ამასთან მასალის აღწერილობის დროს ზოგ შემთხვევაში დაცულია ავტორის სტილი.

ქრონოლოგიური ჯგუფის მასალებს, ამათგან დ. ქორიძე განიხილავს მხოლოდ მისი განსაზღვრით ახალი წელთაღრიცხვის I-III სს-ით დათარიღებულ მასალას (5, 78-79). ამ მასალებიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს ღია ვარდისფრად გამომწვარი და ნითლად შეღებილი ჭურჭელი, აგრეთვე, მსგავსი კეცის მქონე, ტანზე წრიულად, რამდენიმე რიგად, წრიული კოპებით შემკული ჭურჭელი, უფრო კოჭბები; მსგავსი მასალის შემცველი კომპლექსები ზემო ავჭალიდან (ს. მაკალათიას გათხრები) და მცხეთიდან (ა. კალანდაძე) სწორედ ახ. წ. I-III სს-ით არის განსაზღვრული (5, 78-79). ეს თარიღი, უფრო სწორად, ზოგ შემთხვევაში, ახ. წ. I-III სს., მიღებულია მცხეთის ახ. წ. გვიანანტიკური სამაროვნებისთვის (9, 43-108)<sup>1</sup>. ჩვენი აზრით, ყურადღებას იქცევს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კატალოგის კოლექცია 67-15, ასევე 67-15/1 და კერძოდ 67-15/2, რომლებიც იქვე ნაპოვნ ვარდისფერი თიხის, თხელკედლიან, ტუჩიან ჭურჭლებს წარმოადგენენ (სამარხეული?) (1, 74-75) და იმავე კატალოგის №359 (42-13) – მინის სანელსაცხებლე, შესაძლოა, ახ. წ. პირველი საუკუნეებისა (11, 74). აქვე შეიძლება დასახელდეს კიდევ ერთი, თბილისთან დაკავშირებული და სინქრონული მასალების შემცველი პუნქტი:

7. ზემო ავჭალა (1923-1924 წწ. ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს, შემთხვევით). 1) აგურის ფილებით შედგენილი აკლდამა. ინვენტარი: მონეტა, გოტარზეს, ვერცხლის დრაქმა (40-51 წწ.); დოქი, ნითლად გამომწვარი, ტანზე ოთხრიგად, წრიულად გამოყვანილი კოპებით; სამკაული: ოქროს ბეჭედი, გემშიანი; ბეჭდები, თითო ცალი, რკინისა და ბრინჯაოსი; ოქროს საყურეები; მინის, გიშრის და ქარვის მძივები. 2) აგურის ფილებისაგან შემდგარი აკლდამა. ინვენტარი: ავგუსტეს ვერცხლის მონეტა – ორი ცალი, ასევე გოტარზესი (ახ. წ. 40-52 წწ.); თიხის ორი ჭურჭელი, მათ შორის ერთი ნითლადგამომწვარი, კოპებიანი („ხორკლებიანი წყებები“); მინის სანელსაცხებლე; მძივები რძისფერი პასტისა. აღნიშნული სამარხებიც ახ. წ. პირველი საუკუნეებით თარიღდება.

დასასრულ, სახელმწიფო მუზეუმს (აღრე კავკასიის) და მის მომიჯნავე მონაკვეთს უკავშირდება ამკარად სხვადასხვა დროის მასალებით (ძირითადად თიხის ჭურჭლით) წარმოდგენილი კოლექცია.

დაბოლოს, ზემოთ აღნიშნული მონაკვეთის მონაცემს ავსებს უაღრესად საინტერესო ინფორმაცია ისევე კავკასიის მუზეუმის მონაკვეთში ბაქტრიული მონეტების პოვნის შესახებ. ამის თაობაზე არაერთხელაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში. შევეცდებით ეს მონაცემები სრულად გავითვალისწინოთ. კერძოდ: თბილისში ქალთა გიმნაზიის შენობისთვის საძირკვლის გაჭრის დროს თანამედროვე მუზეუმის შენობის მომიჯნავე მონაკვეთზე, კეცხოველის ქუჩაზე ნაპოვნი იყო თიხის გამომწვარი ლამპადა (ანუ ჭრაქი) და 6 ბაქტრიული მონეტა (11, 10, №319). ჩვეულებრივ, ეს მონაცემი გამოყენებულია ელინისტური ხანის საქართველოს სა-

<sup>1</sup> აქ დროულად უნდა შევნიშნოთ, რომ ყოფილი კავკასიის მუზეუმის მონაკვეთში გამოვლენილი სხვა მასალების, კერძოდ ბაქტრიული მონეტების შესახებ დასახელებულ ნაშრომში არ არის აღნიშნული.

ვაჭრო გზებზე მსჯელობის დროს და ხშირად მითითებულია თარიღიც – ძვ. წ. II ს. ან III-III სს-ები. მკვლევართა ნაწილი კი თარიღს არ აკონკრეტებს და, თითქოს, ამგვარი კვლევისთვის პერსპექტივას ვერ ხედავს, რადგან უცნობია მათი (მონეტების) დღევანდელი ადგილმდებარეობა (12, 145).

ფვიქრობთ, როგორც პაქტირული მონეტების, ჭრაქთან ერთად, ასევე ზემოაღწერილი მთელი ჭურჭლების პოვნის გარემოება შესაძლოა მიუთითებდეს თბილისის აღნიშნულ მონაკვეთში ცალკეული სამარხების თუ სამაროვნის, ასევე დასახლების (გვიანელენისტური, ასევე რომაული ხანის) არსებობაზე. ცალკე დგება ამ დასახლების ძველ თბილისთან (ციხე-ქალაქთან) მიმართების საკითხი.

დასასრულ, ნუმიზმატური მონაცემების მეტ-ნაკლები სისრულისთვის, თანამედროვე, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით (12), წარმოვადგენთ დამატებით ინფორმაციას: ლუციუს ბრუტის დენარი, მოჭრილი რომში ძვ. წ. 59 წ., ნაპოვნია 1948 წ. ნიკოლაძის ჩიხთან; ოქტავიანეს დენარი, გამოშვებული ძვ. წ. 28-27 წ. 17 კმ-ზე თბილისიდან; ოროდ II-ის დრახმა. 1950 წ: მაგნიტოგორსკის ქუჩა; ოროდ II-ის დრახმა. 1958 წ. სახლის საძირკვლის ვაჭრის დროს (ადგილი არაა მითითებული).

ელინისტური და რომაული ხანის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაცემები იყო დაფიქსირებული თბილისის საბურთალოს რაიონში გასული საუკუნის 60-იან წლებში (2, 162). იმავე რაიონში შემდეგ თბილისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. მ. აბრამიშვილი) არაერთი მნიშვნელოვანი, ანტიკური, რომაულის ჩათვლით, ხანის არქეოლოგიური ძეგლი გამოავლინა (ძირითადად, ახალმშენებლობათა ობიექტებზე). ეს მასალები, ისევე როგორც ჩვენი განათხარი ისევე საბურთალოზე, პავლოვისა და გურამიშვილის ქუჩების გადაკვეთასთან (შინაგან საქმეთა სამინისტროს საცხოვრებელი სახლისთვის ღრმა ქვაბულის ამოჭრის დროს)<sup>1</sup>, ქალაქის ამ ნაწილში დასახლების (თუ დასახლებათა ცალკეული ჯგუფების) მნიშვნელოვან კონცენტრაციას მიუთითებს. ყველა სხვა შემთხვევაში, აღმოჩენის ადგილების არქეოლოგიური შესწავლელობის გამო, დასახლებების თუ ცალკეული ნასახლარების რაობის შესახებ მსჯელობა შეუძლებელია. ის კი უნდა ითქვას, რომ ის შემთხვევები მთელი ჭურჭლების და მონეტების პოვნისა, რომელთა შესახებ ზემოთ აღინიშნებოდა, გულისხმობს სამარხების, ასევე, ალბათ, მათთან ახლოს არსებულ დასახლებათა არსებობაზე (აქ ისიც უნდა ითქვას, რომ სრულიად არადაძმაყოფილებელია ამ შემთხვევით მონაპოვართა აღნუსხვისა და სამეცნიერო ინფორმაციის დონე).

<sup>1</sup> გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულის ამ მშენებლობის ობიექტის ქვაბულში მხოლოდ ორი სამარხის დაფიქსირების შესაძლებლობა მოგვეცა – ინჰუმაციური და თიხის სარკოფაგის (მოხატული ვარცლის); ეს უკანასკნელი ინვენტარს არ შეიცავდა. ინჰუმაციური სამარხი კი, გარდა მიცვალებულის უმნიშვნელო ნაშთისა, შეიცავდა თიხის კონუსურძირიან სასმისს, მძივებს და, რაც თარიღისთვის მნიშვნელოვანია, მინის მრავალწახნაგა საბეჭდავს. იგი განსაზღვრავს ორივე სამარხის თარიღს ზოგადად გვიანელენისტური ხანით.

ვახტანგ გორგასალის ეპოქის და მომდევნო ხანის ძეგლი, რომელიც თბილისში სტაციონარული არქეოლოგიური გათხრებით შეისწავლებოდა, ერეკლე მეორის მოედანს დაუკავშირდა (8). იგი მრავალფენიანი ძეგლი აღმოჩნდა, სადაც გათხრები არ დასრულებულა; ძირითადად წარმოდგენილი იყო ორმოებით, რომელთა ქვედა დონეები ადრეშუასაუკუნეებით (V-X სს) იქნა დათარიღებული (8. 43). ჩვენ აქ მონაცემებზე შეჩერების საშუალება არ გვაქვს. ვფიქრობთ, რომ ერთი მხრივ ავტორები სწორად იქცევიან, როცა ქვედა ფენის ძირითად მონაცემებს ახ. წ. VII ს. და მომდევნო ხანით განსაზღვრავენ, მაგრამ სცოდავენ, როცა თარიღებს ზოგადად ორმოების მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრავენ (ამის შესახებ სხვა დროს). მაინც, ინტერესს იწვევს სწორედ ერთი ორმოს (№5-1) ქვედა დონესთან დაკავშირებული ისეთი მონაცემი, როგორიცაა აქატის ქვის საბეჭდავი წარჩინებული პირის პორტრეტული გამოსახულებებით, რომლის ზედა ქრონოლოგიური თარიღი ახ. წ. V ს-ით განსაზღვრეს (8. 32, სურ. 2), ხოლო თვით ამ ორმოს ზედა დონის დათარიღება დამყარებულია ფრთებგაშლილი არნივის გამოსახულებიანი კერამიკის ფრაგმენტებზე, რომელიც ახ. წ. VII ს-ით თარიღდება. ამრიგად, ყველაზე ძველი ორმო ახ. წ. V-VII ს-ით არის განსაზღვრული (8, 32).<sup>1</sup> რაც შეეხება აღნიშნულ საბეჭდავს, მისი ზოგადი თარიღი ახ. წ. IV-V სს., უფრო V ს., ეჭვს არ იწვევს<sup>2</sup> (შესაბამისად, ამ დროით დათარიღებული მასალების გამოყოფის შესაძლებლობაც იგულისხმება). მსჯელობის სისრულისთვის იმასაც აღვნიშნავთ, რომ ორმო №5-1 დათარიღებისთვის გამოყენებული მასალები (მშვილდსაკინძები, ზანზალაკები, მონეტებიც კი) ზოგადად ახ. წ. V-X საუკუნეებით თარიღდება (8, 32). აქვე ისიც მიგვაჩინა მნიშვნელოვან გარემოებად, რომ ამ IV უძველეს ფენაში კერამიკული სახელოსნოების (თუ სახელოსნოს?) ნაშთებიც გამოვლინდა (8, 33).

ამ, ჩვენი აზრით, აუცილებელი ნაწილის შემდეგ წარმოვადგენთ ჩვენს დაკვირვებას ძველი თბილისის ერთი ყველაზე საინტერესო უბნის გათხრების შესახებ. ეს არის ე. წ. აბანოთუბანი, რომელიც დღემდე აქ არსებული, ჯერჯერობით გვიანი შუა საუკუნეებით დათარიღებული, აბანოებით იქცევადა ყურადღებას. უფრო ადრეული მასალების შესახებ კი, თითქოს, მონაცემები არც კი არსებობდა, მაგრამ იყო ინფორმაცია ახალმშენებლობის ზოგიერთ მონაკვეთზე. კერძოდ, აქვე მტკვრის პირთან, მდინარის პარალელურად, სანაპიროზე გაჭრილ ღრმა, გრძელ თხრილში, მნიშვნელოვნად ინტენსიური არქეოლოგიური ფენები იყო დადასტურებული.<sup>3</sup> სხვა ზე-

<sup>1</sup> ძველი გასაზიარებელია სხვა ორმოებში გამოვლენილი ისეთი საინტერესო მასალის, როგორიცაა მოჭიქული კერამიკა, ქვედა დონესთან დაკავშირება და მისი ზოგადად ვახტანგ გორგასალის ხანით განსაზღვრა (მდრ. გვ. 32, ილ. 66).

<sup>2</sup> თუმცა გამთხრელი სხვა მკვლევართა ადრეულ თარიღებზეც მიუთითებს (32, შენ. 3).

<sup>3</sup> მაშინ, რატომღაც, ძველი ქალაქის ამ ნაწილში არქეოლოგიური სამუშაოები არ დაიგეგმა და, შესაბამისად, არც განხორციელდა, ამჟამად სანაპიროს ეს და სხვა მონაკვეთებიც, კერძოდ ორთაჭალისა – ქალაქის სამხრეთის ზღუდის საფარაუდო გაგრძელებაზე, სადაც მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირთან ასევე იყო დადასტურებული ნაგებობის (კოშკის?) ნაშთები, არქეოლოგიური კვლევისთვის მოუნდომელია.

პირი ცნობით (არქეოლოგი ო. ტყეშელაშვილი), აბანოთუბნის ახალი გათხრების მონაკვეთის ჩრდილოეთით არსებულ ელექტროჯიხურთან ადრეუც (გასული საუკუნის 60-იანი (?) წლები), თითქოს, გამოვლინდა ვახტანგ გორგასლის დროინდელი ე. წ. უჯარმული წყობის კედლის (ალბათ, ზღუდის) ნაშთი, რომელიც არ დაფიქსირებულა.

სტაციონარული გათხრები აბანოთუბნის ორმოც სებასტელთა ეკლესიის მონაკვეთში 1998 წლიდან წარმოებს და, მეტ-ნაკლები წყვეტილებით, დღემდე გრძელდება.<sup>1</sup> გათხრებმა საერთო ჯამში 400 კვ. მ-ზე მეტი ფართობი მოიცვა. ამ უბანზე არქეოლოგებს ძველი თბილისის თითქმის ყველა ეპოქის, ანტიკურობიდან მოკიდებული თვით გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით, მატერიალური კულტურის ნაშთების გამოვლენის შესაძლებლობა მიეცათ. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ეტაპზე აქ ინტენსიური საქალაქო ცხოვრების მონაცემები (ნაგებობები, ფილაქნიანი მოედნები, წყალსადენების და კანალიზაციის სისტემები თუ ცალკეული ფრაგმენტები; მრავალრიცხოვანი მასიური მონაპოვარი, უპირატესად საყოფაცხოვრებო კერამიკა, მათ შორის იმპორტი, მაგ. ფაიფურის ნაწარმი; მრავალფეროვანი მინის ჭურჭელი და ლითონის ნაწარმი და სხვ.) იყო დაფიქსირებული (17, 85). სამწუხაროდ, ეს ზღვა მასალა ჯერ გამოუქვეყნებელია, მაგრამ წარმატებით მიმდინარეობს მისი ერთი ნაწილის აღდგენა.

ვიდრე ამჟამად ჩვენი თემისთვის საჭირო ქვედა ფენებსა და მასალებს შევხებოდეთ, აღვნიშნავთ, რომ აქ, წმინდა აბოს ნაშების ტრადიციულ ადგილზე, საეკლესიო ცხოვრების არაერთი ეტაპია დადასტურებული. გამთხრელის მერაბ ძნელაძის ვარაუდით, პირველი ეკლესია აქ, სავარაუდოდ, V-VII საუკუნეებში, არაბების თბილისში დამკვიდრებამდე (654 წლამდე) უნდა აეშენებინათ. ნაეკლესიარის მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც გამთხრელი აღნიშნავს, 1998 და 2001 წლებში ჩატარებულმა კვლევამ 10-11 კულტურული ფენა და 6 სხვადასხვა პერიოდის ეკლესიის ნაშთები გამოავლინა. ჩვენ ამ ტაძრების ყველა მონაცემებს გათხრების ადრეულ ეტაპზე დეტალურად ვერ გავეცანით.<sup>2</sup>

<sup>1</sup> საველე გათხრითი სამუშაოების პრაქტიკულ ხელმძღვანელობას ისტ. მეცნ. კანდიდატი მერაბ ძნელაძე აწარმოებდა. პირადად ჩვენ 2002-2005 წწ-ში გათხრების კონსულტაციას ვენეოდით და, როგორც ამ გათხრების სპეციალური ფონდის კომისიის წევრი, ვიღებდით მონაწილეობას საორგანიზაციო საქმიანობაში. წარმოდგენილი ტექსტი ძირითადად ჩვენს პირად დაკვირვებას და შთაბეჭდილებას ეყრდნობა, ამასთან გამთხრელმა გავვაცნო ადრეული გათხრების შესახებ არსებული ძირითადად საგაზეთო ინფორმაციები და კავკასიის არქეოლოგთა თბილისის სესიაზე ნაკითხული მოხსენების შინაარსი (15, 85-86, გეგმა, გვ. 87).

<sup>2</sup> ვიმედოვნებთ, რომ გათხრებში კვალიფიცირებული არქიტექტორის ბ-ნ მანუჩარ ყარაშვილის მონაწილეობა გარკვეულ გარანტიას იძლევა, რომ არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ფიქსაციას ხარვეზები არ ექნება; ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ამ უბნის გათხრები ახალი ეკლესიის მშენებლობას დაუკავშირდა, ხოლო ორივე ამ საქმიანობას საქართველოს საპატრიარქო მერვეთოს. სპეციალურ ფონდს მეურვეობს ორთაჭალის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარი მამა ბესარიონ მენაბდე, არქიტექტორი, ხოლო ახალი ეკლესიის მშენებლობის არქიტექტორია ბ-ნ რევაზ ჯანაშია. მათ, ცხადია, აქვთ თავიანთი დაკვირვება გათხრების, კერძოდ ტაძრის მონაკვეთის ნაგებობებზე.

თავდაპირველი ეკლესია, ალბათ, ბაზილიკის ტიპის ნაგებობა იქნებოდა. ამით არის განპირობებული, რომ, ახალი ეკლესიის პროექტით, ასეთივე ნაგებობის აშენება დაიგეგმა (რ. ჯანაშია). ინტერესს, პირველ რიგში, ამ ტიპის შესაბამისი კულტურული ფენის რაობა და სტრატეგრაფიული მონაცემები იწვევს, რადგან იგი უნდა დაუკავშირდეს ძველი ქალაქის ამ უბნის გათხრების უკიდურეს სამხრეთ ნაწილში გამოვლენილ ზღუდის (რადგან მისი სისქე 2,5-ს აღემატება) საძირკვლის ანუ იმდროინდელი ცხოვრების დონეს. თვით ზღუდის მონაკვეთში, როგორც ჩვენი რომაულ-ადრებიზანტიური ხანის გათხრების ხანგრძლივი გამოცდილებით ვიცით, დაუზიანებელი კულტურული ფენები იშვიათად ფიქსირდება. აღნიშნული ზღუდის თარიღი ზოგადად ვახტანგ გორგასლის ხანით არის განსაზღვრული. თხრილის მთელ ფართობზე ამდროინდელი ნაგებობები ყველგან არ ფიქსირდება. შესაძლოა იმიტომაც, რომ, ხშირ შემთხვევაში, სამუშაოების დასრულებამდე, ან ცალკეული მონაკვეთების შენარჩუნების აუცილებლობის გამო (კერძოდ, სავარაუდოდ სასახლის ეზოს საგულდაგულოდ გათლილი ქვების დონე – ფილაქანი), გათხრების ფართობი შეზღუდულია. მაინც, ვფიქრობთ, რომ ზოგადად ვახტანგის ან უშუალოდ მომდევნო ხანას შეიძლება დაუკავშირდეს თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გამოვლენილი სხვადასხვა დანიშნულების სათავსოთა კომპლექსი, რომლის კედლების ცალკეული მონაკვეთები და საფასადო ნაწილი აგურებით არის ნაშენი. აქ ჩვენ, მომავალში, სტრატეგრაფიული მონაცემების დაზუსტების გარდა, ამ სამშენებლო მასალის სტატისტიკური მონაცემების შესწავლა დაგვეხმარება. აღნიშნული ნაგებობის ხასიათის გარკვევას ხელს შეუწყობს უკვე გამოვლენილი მონაკვეთებისა და ცალკეული სამშენებლო დეტალების შემდგომი სამუშაოების ჩატარება, სათანადო ფიქსაციით. ეს მით უფრო სასურველია, რომ ნაგებობის დაზიანებულ ნაწილებში (იატაკი, ტიხრის კედლები) გაჩნდება შესაძლებლობა ქვედა ფენების კვლევისა და ზოგადი სტრატეგრაფიის დადგენისა. ამასთან, თხრის ობიექტად ქცეული ფართობის ერთ ნაწილზე გამოვლენილი ქვედა დონის მნიშვნელოვანი ნაგებობების შენარჩუნება გარდუვალ გარემოებას წარმოადგენს (მათ ჩვენ ქვემოთ შევხებით).

ზღუდის ზემოთ აღნიშნული კედელი ვახტანგ გორგასლის ხანისად არის მიჩნეული. იგი სწორხაზოვნად მიემართება ბორცვის თხემისკენ და, ცხადია, თხემზე არსებულ ციტადელს უკავშირდება, ხოლო მეორე კედელი, ჩრდილოეთისა, ასევე სწორხაზოვნად ეშვებოდა მტკვრისკენ დღევანდელი მეტეხის ხიდის მიმართულებით. ამრიგად, პროფ. ვახტანგ ცინცაძის გამოქვეყნებული გეგმა (13) ერთგვარად რეალურად ასახავს ვითარებას, ყოველ შემთხვევისთვის, შესაძლოა, უფრო მოგვიანო ციხისას. აქ იგულისხმება, რომ მკვლევარი ვახუშტის და სხვა ავტორების გვიანდელი გეგმების მონაცემებსაც ითვალისწინებს. ასევე, გაზიარებულია ვ. ცინცაძის მოსაზრება თბილისის ადრე შუა საუკუნეების ციხისა და უჯარმის გეგმების მსგავსების შესახებ. ვფიქრობთ, რომ აქ საქმე გვაქვს ოთხკუთხა გეგმარებასთან, ანუ კასტელუმის ტიპის ნაგებობებთან, თუმცა არ არის აუცილებელი მათი გენეზისი რომაულ-ბიზანტიურ სამყაროს დაუკავშიროთ, რადგან ასეთი გეგმარების უფრო ადრეული სასიმაგრო ნაგებობები დადასტურებულია აღმოსავლეთშიც, კერ-

ძოდ ირანში. ხოლო ელინისტური ხანის, ასევე გეგმაში კედლების სწორხაზოვნების დაცვით, ზღუდის კედელი გამოვლენილია სოფ. საზანოში (ზესტაფონის რ-ნი).

თ. ბერიძე თითქოს იზიარებს შ. მესხიას იმ აზრს, რომ სამხრეთის მოგვიანო ხანის კედელი მდ. „ნავკისის წყალის“ მარჯვენა ნაპირს ჩამოუყვებოდა (16, 41); ასეთი რამ არ დასტურდება ვახუშტის 1737 წ. გეგმაზე. მოგვიანო დროის ციხის ზღუდის ნაშთები დღეს, თითქოს, არსად დასტურდება გათხრებით გამოვლენილი ადრეული ზღუდის მონაკვეთში; ასეთი რომ არსებობდა, ეს აღნიშნულ რუკაზე ნათლად იკითხება.

ვ. ცინცაძისეულ გორგასალის დროინდელ გეგმარებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი ზედმინევით იმეორებს მოგვიანო ზღუდის და მისი ინტერპრეტატორების მონაცემებს ციტადელის მთიანი რელიეფის მონაკვეთში, როცა ზღუდე ერთ მხრივ მიუყვება „ნავკისის წყალის“ ხევის და შემოფარგლავს უფრო ვრცელ ტერიტორიას. იგივე ვითარება ნაწილობრივ შეინიშნება ზღუდის აღნიშნული კედლის მოპირდაპირე და ციტადელის შემთხვევაში. დღეს აქ, მიუხედავად 1966-68 წწ. განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოებისა<sup>1</sup>, არ გვაქვს მონაცემები ძველი ზღუდის შესახებ, ამიტომ, კასტელუმების გეგმარების პრინციპიდან გამომდინარე, ციხის ამ მონაკვეთისა და მასთან მიერთებული ზღუდის კედლების მიმართულება დასაზუსტებელია. საერთო გეგმიდან ერთგვარად ამოვარდნილია ციტადელის ოთხკუთხა (კვადრატული) კოშკი, რომელიც დღემდე შემორჩენილი და წარმოადგენს მასიური კედლების მქონე ნაგებობას, სისქით 3 მ-მდე (2,85 მ); ნაგებია თლილი, თანაბარი ზომის კვადრებით და აქვს სპეციფიკური წყობა დამახასიათებელი ადრე შუა საუკუნეებისათვის. ვ. ცინცაძე ამ კოშკის დროინდელ ციტადელს ზოგადად ადრეფეოდალური ხანით ათარილებს (13, 28). ჩვენ გვგონია, რომ ეს ნაგებობა, ისევე როგორც ზღუდის სხვა მონაკვეთები, საგანგებო კვლევას საჭიროებს, მით უფრო, რომ მას აქვს სათანადო პარალელები უფრო აღმოსავლურ სამყაროში.<sup>2</sup>

რაც შეეხება „ნავკისისწყალის“ ხევის მარცხენა ნაპირის ახალი გათხრებით გამოვლენილ ზღუდეს, უნდა ითქვას, რომ ეს კედელიც ფრიად მასიურია (2,8-მდე სისქის) და საკმაოდ მაღლივ არის შემორჩენილი. ის, რომ იგი მოგვიანო ხანაში აღარ ფუნქციონირებს, ამაზე მიუთითებს მის ნანგრევებზე ნაშენი მოზრდილი სამაფსიდიანი ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილი. ზღუდის კედლის თარიღებზე მსჯელობის დროს, ცხადია, პირველ რიგში, მის წყობაზე მახვილდება ყურადღება. ვახტანგისეულად საყოველთაოდ იგი მიიჩნევა მისი ეპოქის ძეგლების წყობებთან მსგავსების გამო. ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, სახელდება ციხე-ქალაქ უჯარმის ზღუდის კედლის ადრეული წყობები, რომელიც კლასიკურ იზოდომს წარმოადგენს, ანუ ნა-

<sup>1</sup> სტატიის ავტორს ჰქონდა შესაძლებლობა გარკვეული დროით მიეღო მონაწილეობა აღნიშნულ გათხრებში და მოპოვებულ მრავალრიცხოვან მასალებს გასცნობოდა.

<sup>2</sup> გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ირანის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ვ. კლაისმა ადგილზე სპეციალისტ-კოლეგების თანდასწრებით გაგივიზიარა აზრი აღნიშნული კოშკის წყობების ირანულ სამყაროსთან კავშირის შესახებ.

შენია შედარებით მომცრო, მეტ-ნაკლებად დამუშავებული, ოთხკუთხა, რიგებში ჰორიზონტალური რიგების დაცვით, უპირატესად კირქვის ქვებით. ამგვარი წყობა კედლების ზედაპირის დუღაბით შებათქაშებას ნაკლებად გულისხმობს. ხოლო თბილისის აღნიშნული ზღუდის კედლის წყობაში, მართალია, ერთგვარად დაცულია რიგების ჰორიზონტალობა, მაგრამ სამშენებლო ქვები არ წარმოადგენს სწორ კვადრებს და საძირე წყობაც არ აქვს სათანადოდ დამუშავებული. ჰორიზონტალური წყობაც, თითქოს, ამ შემთხვევაში უფრო ტექნიკური გარემოებით და, ალბათ, ეპოქის გარკვეული ტრადიციით არის განპირობებული, თორემ აშკარად ჩანს, რომ ხშირად ზედაპირი, განსაკუთრებით წყობების გადაბმის ადგილებთან, დუღაბის სქელი ფენით არის დაფარული; დუღაბითვე იფარება საფასადო ქვების არასწორი (ნაკლებად დამუშავებული) ზედაპირიც. ამგვარი წყობებიც არის დამახასიათებელი ადრეზინანტიური, და თვით რომაული, ხანისათვის, მაგრამ გვხვდება მოგვიანო ძეგლებზეც (ახ. ნ. IX-X სს.). ამრიგად, აღწერილი კედლის მონაცემები, მართალია, პირველ რიგში, ვახტანგ გორგასლის ეპოქასაც გულისხმობს, მაგრამ თარიღის საკითხი შემდგომ კვლევისა და დაზუსტებას საჭიროებს.<sup>1</sup> რაც შეეხება ადრე შუა საუკუნეების ციხე-ქალაქის ზღუდის ორ მნიშვნელოვან მონაკვეთს – ადრე ცნობილ, კვადრული წყობის ციხადელის კოშკს და შედარებით ახლად გამოვლენილ „ქვედა ქალაქის“ ზღუდეს, მათი ქრონოლოგიური თანაარსებობის საკითხი ასევე საჭიროებს ახსნას.

კიდევ უფრო საინტერესო და რთული სურათის წინაშე აღმოვჩნდით, როცა აბანოთუბნის არქეოლოგიური შესწავლის გარკვეულ ეტაპზე, თანამედროვე ეკლესიის მშენებლობის პარალელურად, არქეოლოგიური სტრატოგრაფიის შესწავლის მიზნით, ზღუდის კედლის გასწვრივ საძიებო თხრილი გაეჭვრით; აქ, ადრე გამოვლენილი ზღუდის საძირკვლის ქვემოთ, გარკვეული ინტერვალით, შავი ბაზალტის ფლეთილი ქვით ნაშენი ასევე მასიური კედელი გამოვლინდა. ნაშენია იგი დუღაბის გარეშე, თიხაზე და წყობაში, ჩანს, ზედა დონეზე ალიზის აგურების გამოყენებაც იგულისხმება, რადგან კედლის გასწვრივ ალიზის ნახანძრალი და ჩაშლილი, მათ შორის გამომწვარი აგურების ფრაგმენტების ფენა დადასტურდა.

აღნიშნულ მონაკვეთში არქეოლოგიური ნაშთები დიდი სიფრთხილით შეისწავლებოდა, რათა საფრთხე არ გასჩენოდა უდუღაბო წყობის კედელს, ასევე, მის ნანგრევ ფენაზე ნაშენ ზედა კედლის საძირკვლის წყობასა და თვით კედელს; ამით იყო განპირობებული თხრილის შემცირებული ზომები.

ახლად გამოვლენილი კედლის მიმართულება ზედმიწევნით ემთხვევა ადრე გამოვლენილი ზღუდის მასიურ კედელს და სწორხაზოვნად მიემართება ციხადელისკენ. ეს კარგად დადასტურდა თხრილის ამ მიმართულებით გაგრძელებულ ნაწილში; აქ, აშკარად შემალღებულ კლდოვან დედაქანზე, ქვების თითო-ოროლა წყობაა შემორჩენილი.

<sup>1</sup> სამწუხაროდ, საველე სამუშაოების დიდი მოცულობისა და სხვ. გარემოებათა გამო, დღემდე არ ხერხდება არქეოლოგიური მასალების გაშლა და დამუშავება.

ექსპედიციამ შეძლო ამ ქვედა კედლის სიგანეც დაედგინა (ტოლია – 2,8-3 მ-ს). იგი, თითქოს, აღმატება ზედა ზღუდის კედლის სისქეს. ამრიგად, აშკარაა, რომ ქვედა დონის ასევე მასიური და ციტადელისკენ მიმართული კედლის წყობა უძველესი ზღუდის ნაშთს წარმოადგენს. მისი დათარიღება, ცხადია, მოგვცემს ადრე გამოვლენილი ზღუდის თარიღის დაზუსტების შესაძლებლობას, რადგან აღნიშნული თხრილის მონაკვეთში კედლების ურთიერთმიმართების სტრატეგრაფია თვალნათლივია.

აქ ჩვენ, შეძლებისდაგვარად მოკლედ, შევხებით ამ, თბილისისთვის უძველესი, ზღუდის დათარიღების საკითხს. ის, რომ მისი წყობა ფლეთილი ქვისაა, ნაშენია დულაბის გარეშე და წყობებში იგულისხმება ალიზის აგურებიც, ჩვენი აზრით, უკვე მიუთითებს მის არქაულობაზე, ანუ ანტიკურ ხანაზე. კედელთან დაკავშირებულ ნახანძრალი ფენაში ნაპოვნი კრამიტები, ძირითადად ლარიანი და ქიმიანი, მსგავსია აქვე, ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებული თხრილების ქვედა დონეზე ნაპოვნი კრამიტებისა და ზოგადად ახ. წ. პირველი საუკუნეებით თარიღდება.<sup>1</sup>

ე. წ. ნგრევის ფენის ზედა დონისა და თხრილის შესაბამისი მონაკვეთის პრეპარაციის დროს ყურადღება მიიპყრო რამდენიმე ფრაგმენტმა.<sup>2</sup> კერძოდ, ეს არის ჭურჭლების მცირე ფრაგმენტები, თხელკედლიანი ღია მონითალო კეცის (თიხის), გლუვი ზედაპირის, შეღებვის (წერნაქი) კვალით. ინტერესს იწვევს ღია ფერის თხელკეციანი ჭურჭლის ასევე მცირე ფრაგმენტი, რომელზეც, გარეცხვის შემდეგ, სუსტად გამოხატული რამდენიმე (2-3) კოპისებური შვერილი იქნა შემჩნეული, სწორედ იმგვარი ჭურჭლისა, რომლის მსგავს მასალაზე ჩვენ საგანგებოდ ვამახვილებდით ყურადღებას სტატისის პირველ ნაწილში, თბილისის შემოგარენში ნაპოვნი მასალის აღწერის დროს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამგვარი ჭურჭელი ნაპოვნია ძველი თბილისის არქეოლოგიურად ისეთ მნიშვნელოვან პუნქტში, როგორცაა დღევანდელი ეროვნული მუზეუმისა (ყოფილი კავკასიის მუზეუმი) და მომიჯნავე (ყოფილი ქალთა გიმნაზია) შენობის მონაკვეთი.

ზემოთ საგანგებოდ დახასიათებული მასალის ზოგად თარიღად, სათანადო ანალოგიების მეშვეობით, ახ. წ. II-III სს. მიგვაჩნია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ჭურჭლების მოგვიანო ცალები ახ. წ. IV ს. პირველი ნახევრითაც თარიღდება.

და, რაც მთავარია, ეს მასალა კედლის მშენებლობის და მოქმედების დროინდელი არ არის, რადგან თხრილის ამჟამად ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში ნახანძრალი ალიზისა და კრამიტის ფენა პრეპარაციის დროს მოხსნილი არ იყო, რაც ფენების შერევის შესაძლებლობას გამოორიცხავს. თუ დავუშვებთ, რომ ნახანძრალი ფენის ზედა დონეზე, ერთგვარად ჰუმუსირებულ ფენაში ნაპოვნი ეს მასალა ციხე-

<sup>1</sup> მ. ძნელაძე, რომელიც ხანგრძლივად შეისწავლიდა იბერიის სამშენებლო კერამიკას, ამ მასალას ახ. წ. II-III სს ათარიღებს. ჩვენ, ზოგადად, ვიზიარებთ ასეთ თარიღს, მაგრამ ვითვალისწინებთ რა ციხე-ქალაქ შორაპნის და სხვა ძეგლების გათხრების მონაცემებს, თარიღად არც წელთაღრიცხვათა მიჯნას, ან, უფრო, ახ. წ. I ს. გამოვირიცხავთ.

<sup>2</sup> აქ, ჩვენი დავალებით, პრეპარაცია ჩაატარეს ასპირანტებმა ირმა ბერძენიშვილმა და ელისო ბალათურამ.

ქალაქის ცხოვრების მომდევნო ეტაპს განეკუთვნება და ზოგადად ახ. წ. II-III სს-ით თარიღდება, მაშინ, ჯერჯერობით, უძველესი ზღუდის ნაშთი ახ. წელთაღრიცხვის I-II სს-ითაც შეიძლება დათარიღდეს.<sup>1</sup> ამჟამად ამით ვწყვეტთ მსჯელობას ძველი თბილისის საფორტიფიკაციო ნაგებობების რაობასა და თარიღებზე.

აბანოთუბნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ისახლე გათხრების ცენტრალურ უბანს უკავშირდება. აქ, პირობით, არაბობის დროინდელი (?) ქვაფენილის დონე განსაზღვრავდა გათხრების გარკვეული ეტაპის დონეს. ამ დონიდან 5-6 მ-ის სიღრმეზე, ახალი ეკლესიის მშენებლობისთვის საჭირო ხიმინჯებისთვის გაჭრილ თხრილებში („ჭებში“) ნაგებობათა ნაშთები დაფიქსირდა. სამსუხაროდ, დიდი სიღრმეებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რამდენადმე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოს ჩატარება აქ, ჯერჯერობით, არ განხორციელებულა. მცირე განმედიითი სამუშაოებით გაირკვა, რომ აქ საქმე უნდა გვექონდეს მოზრდილ, შესაძლოა რამდენიმე განყოფილებიან, ნაგებობასთან, რომლის განმედილ ნაწილში კედლების სიმაღლე 1 მ-ს არ აღემატება, ხოლო სისქე – 0,5 მ-ს. როგორც კედლები, ასევე იატაკი, მტკიცე დულაბის სქელი ფენით არის დაფარული. ძნელი სათქმელია, რა მიმართებაშია ამ ნაგებობასთან, მის სავარაუდო ფარგლებში, ღრმა თხრილებში გამოვლენილი ის ადრეული, ქიმიანი კრამიტები, რომელთა მსგავსი ნაპოვნი იყო ძველი ზღუდის ალიზის ნახანძრალ ფენაში. თხრილის ჩრდილო ნაწილში, აღნიშნული კედლების დონეზე, კერემიკული მილსადენი გამოვლინდა, რომელიც, საფიქრებელია, უფრო კოლექტორის ფუნქციას ასრულებდა. ნაგებობების ინტერიერი საყოფაცხოვრებო მასალებს არ შეიცავდა, მხოლოდ ორგან, თხრილებში („ჭებში“) გამოვლინდა მოზრდილი ქვევრები.<sup>2</sup> ისინი ფუნქციით არ უნდა იყვნენ დაკავშირებული ნაგებობებთან: მათი ჩადგმის დროს ნაგებობები დაზიანებულია. ჩვენ გვგონია, რომ აღნიშნული ნაგებობა და ძველი ზღუდე ზოგადად თანადროულნი არიან, რადგან დღევანდელი მონაცემებით სტრატოგრაფიულად ქვედა ფენას განეკუთვნებიან.<sup>3</sup>

აქ მოკლედ შევხებით ნაგებობის დანიშნულების საკითხს. იმთავითვე შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ თხრილებში დაფიქსირებული კედლების ნაშთები არ უნდა განეკუთვნებოდეს ჩვეულებრივ სათავსებს, არამედ იგი, სპეციფიკური ხასიათის გამო, თერმულ წყლებთან დაკავშირებულ ნაგებობას შეიძლება წარმოადგენდეს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ როგორც რომაულ სამყაროში, ასევე საქართველოში, თითქმის ყველგან, სააბაზანო ნაგებობებში გამოყენებული კირხსნარი ჰიდრავლიკურია, რაც ჩვენს შემთხვევაში თითქოს დადასტურებული არ

<sup>1</sup> გარკვეული ოპტიმიზმით, სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, თარიღი, შეიძლება, არ გამოირიცხავდეს წელთაღრიცხვათა მიჯნას.

<sup>2</sup> მ. ძნელაძე მათ ანალოგიად მცხეთაში, კარსნისხევი (ვ. ნიკოლაიშვილის გათხრები) გამოვლენილ ქვევრებს ასახელებს, სადაც ისინი ახ. წ. III-IV სს-ით არის დათარიღებული.

<sup>3</sup> ეს თეორიულად არ გამოირიცხავს იმას, რომ მათი მშენებლობის დროს დაზიანდა უფრო ადრეული ნაშთები, რის მონაცემებიც სადღეისოდ არ გავაჩნია.

არის. ამავე დროს ანგარიშგასანევია ის, რომ აღნიშნულ შენობას თითქოს უკავშირდება თხრილში იმავე დონეზე გამოვლენილი კოლექტორის მიღები.

იმთავითვე გავეამახვილეთ ყურადღება ნაგებობაში გამოყენებული დულაბის მტკიცე ხსნარზე და იგი, პირობითად, რომაულ ბეტონს – „Opus caementicium“ – დავუკავშირეთ, რომელიც ნელთალრიცხვათა მიჯნაზე – ახალი ნელთალრიცხვის პირველი საუკუნეებიდან გავრცელდა, ისევე როგორც რომაული სამშენებლო ხერხები, მაგ. „Opus reticulatum“, რომელიც იბერიაშიც არის დადასტურებული (მცხეთა, არმაზციხის ორსენაკიანი ნაგებობა, ახ. ნ. I ს.). რაც შეეხება ზემოაღნიშნულ ნაგებობის დანიშნულების განსაზღვრას, ამჯერად დამატებითი არგუმენტების წარმოდგენისაგან თავს ვიკავებთ, რადგან ძველი ჯერ კიდევ გათხრის პროცესშია...

აქ ვამთავრებთ ძველი თბილისის აბანოთუბანში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების, კერძოდ, მისი ანტიკური და ვახტანგ გორგასალის დროინდელი არქეოლოგიური ძეგლების შესახებ მსჯელობას.

წარმოდგენილი და სხვა არქეოლოგიური მონაცემების ინტერპრეტაცია არსებული წყაროებისა და სპეციალური გამოკვლევების ავტორების [გ. ლომთათიძე (2;6), მ. ლორთქიფანიძე (15), ვ. ცინცაძე (13), თ. ბერიძე (16) და სხვათა] მოსაზრებების გათვალისწინებით, ჩვენს უახლოეს ამოცანას წარმოადგენს.

## ლიტერატურა

1. თბილისი, არქეოლოგიური ძეგლები, I, რ. აბრამიშვილის რედაქციით, თბილისი, 1978.
2. გ. ლომთათიძე, თბილისის არქეოლოგიური შესწავლილობა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკვ. I, თბილისი, 1960.
3. П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тифлис, 1866.
4. Дм. Бакрадзе, Тифлис в историческом и этнографическом отношении, Тифлис, 1870.
5. დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწილი მეორე, თბილისი, 1958.
6. Г. Ломтатидзе, Результаты и перспектива археологического изучения Тбилиси, Советская археология, №4, Москва, 1959.
7. Р. Абрамишвили, М. Абрамишвили и др., Археологические раскопки в Тбилиси. Полевые археологические исследования в 1986 г., Тбилиси, 1991.
8. ი. გვილიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბილისი, 1961.
9. გ. მანჯგალაძე, სამთავროს სამაროვნის გვიანატიკური ხანის სამარხები, მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. VII, თბილისი, 1985.
10. არქეოლოგიური მასალების კატალოგი, ტ. II, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 1955.
11. Е. Пахомов, Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа, вып. II, Баку, 1938.
12. Г. Дундуа, Нумизматика античной Грузии, Тбилиси, 1987.
13. В. Цинцадзе, Тбилиси, Тб., 1958.
14. Результаты и перспективы археологического изучения города Тбилиси, Советская археология, №4, Москва, 1959.
15. М. Лордкипანიძე, Тбилиси (IV-начало XII в.), Тбилиси, 1991.
16. თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბილისი, 1977.

VAKHTANG JAPARIDZE


## ON THE ARCHAEOLOGY OF TBILISI IN ANTIQUITY AND DURING THE REIGN OF VAKHTANG GORGASALI

### Summary

THE first part of the article represents materials regarding Tbilisi and its "Kvekana" (country, economic district of the city) in the period of antiquity procured by archaeological excavations, which more or less restores the topographic picture of the historical dwellings. There exists a possibility of grouping different monuments and defining the intensity of dwellings by taking chronology into consideration. For example, according to the data of the Roman era (coins, various discoveries), such settlements were located within the frames of the central building of Tbilisi State University and its surroundings. It is considered that a broader settlement of that period was on the territory of modern Saburtalo. The reminders of this era and the early Byzantine period throng both in the old districts of the city and in the section of Digomi.

The second part of the article discusses the results of the archaeological excavations in Abanotubani, near the church of 40 Sebastians. The remains of ancient churches were uncovered while building a new one. The oldest citadel erected on the high hill should have belonged to the same era. A great attention is paid to the ruins of the ancient wall discovered along the lower parts of the fence. It was desolated by the fire and like the later one, it stretched to the fictitious citadel and seems to have been a fence. According to the archaeological data, it can be dated to I-III centuries.

Thus, according to the results of the archaeological excavations, scientists discovered a fence belonging to the period of King Vakhtang Gorgasali's reign, as well as the remains of an earlier fence, which proves the fact that at the beginning of our era Tbilisi had already been a powerful city-fortress with a huge and solid fence all around it.



თბილისი, ორმოც სებასტელ მონამეთა ეკლესიის უბანი, გათხრების ქვედა ფენების გეგმა (საფუძველი-მ. ძნელაძის პუბლიკაცია (17, 87)

A - ვახტანგ გორგასლის დროინდელი ციხის კედელი.

B - ძველი, ახ. წ. I-III სს. კედელი.

C - ვახტანგ გორგასლის დროინდელ ნაგებობათა ნაშთები

D - ქვედა დონის ნაგებობათა ნაშთები.

**იდენტობის და რელიგიური შაქტორები ქართულთა  
კულტურული თვითიდენტიფიკაციის პროცესში  
(ისტორიული ასაქტი)**

იდენტობის პრობლემა იმ საკითხთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც ბოლო ათწლეულების მანძილზე სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის ყურადღების ცენტრში მოექცა. ეს ინტერესი თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა განაპირობა, რომლებშიც ერთმანეთს ერწყმის ინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის, გაერთვაროვნებისა და მრავალფეროვნების მანიფესტაციის რთული და წინააღმდეგობრივი ტენდენციები. ლოკალურ იდენტობათა გამოცოცხლება თანამედროვეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენაა.

შესაბამისად, დღეს „იდენტობა“ ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ტერმინია სოციალურ და ჰუმანტარულ მეცნიერებებში, უფრო მეტიც: როგორც როჯერს ბრუბაკერი და ფრედერიკ კუპერი აღნიშნავენ, ეს მეცნიერებები „იდენტობის“ ცნების ტყვეობაში მოექცნენ, ფარ-ხმალი დაყარეს მის წინაშე.<sup>1</sup> ამან თვით ცნებასაც ცუდი სამსახური გაუწია, რადგან, ჯორჯ ორუელის სიტყვით, ყველაზე უარესი, რაც შეიძლება ამა თუ იმ სიტყვას დაემართოს, მის წინაშე კაპიტულაციაა<sup>2</sup> („The worst thing one can do with words is to surrender to them“). სიტყვის შინაარსში დებენ ხან მეტისმეტად ბევრს, ხან მეტისმეტად ცოტას, ხან კი ის სრულიად უშინაარსოდ გამოიყენება. მიკუთვნებულობის, ერთობის, დაკავშირებულობის, თვითგააზრებისა და თვითიდენტიფიკაციის გამოცდილებათა, შეჭიდულობის ყველა ფორმის კონცეპტუალიზაციამ იდენტობის ცნებაში შედეგად მოიტანა ზედაპირული, ბუნდოვანი და არადიფერენცირებული ტერმინის ჩამოყალიბება<sup>3</sup>.

გამოყოფენ „იდენტობის“ მნიშვნელობის ორ ასპექტს: პრაქტიკულსა და ანალიტიკურს. პირველი დაკავშირებულია ადამიანთა და მათი ჯგუფების ყოველდღიურ პრაქტიკასთან – როგორ გაიაზრებენ ისინი საკუთარ ერთობას, რა აქვთ საერთო და რა განასხვავებთ სხვათაგან. მეორე მნიშვნელობა კი უფრო „იდენტობის პოლიტიკის“ სფეროს განეკუთვნება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება სამი ტერმინი – იდენტობა, იდენტიფიკაცია, თვითიდენტიფიკაცია, რომლებიც ერთი და იგივე შინაარსისაა და ერთმანეთისაგან განსხვავდება აქცენტებით: იდენტობა აღნიშნავს უკვე ფაქტის სახით

<sup>1</sup> Brubaker R. and Cooper F. Beyond „Identity“. [www.ceu.hu/nation/classics](http://www.ceu.hu/nation/classics)

<sup>2</sup> Orwell G. A Collection of Essays. N.Y., 1954, pp.169-170. ციტ.: Brubaker R. and Cooper F. Beyond „Identity“. [www.ceu.hu/nation/classics](http://www.ceu.hu/nation/classics)

<sup>3</sup> Brubaker R. and Cooper F. „Beyond“ Identity. [www.ceu.hu/nation/classics](http://www.ceu.hu/nation/classics)

არსებულ რეალობას, იდენტიფიკაცია კი პროცესია, რომლის შედეგი ამ რეალობის განსაზღვრაა; იდენტიფიკაცია და თვითიდენტიფიკაცია ერთი და იმავე პროცესის ობიექტური და სუბიექტური ასახვაა. თვითიდენტიფიკაცია და სხვათა მიერ იდენტიფიკაცია სიტუაციური და კონტექსტუალურია, იცვლება კონტექსტიდან კონტექსტში.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანი კულტურული იდენტობაა, რომელიც, თავის მხრივ, ეთნიკური და ნაციონალური იდენტობის საფუძველად გვევლინება. ენტონი სმითი ეთნიკურ და ნაციონალურ იდენტობებს კოლექტიური კულტურული იდენტობების მოდელებად მიიჩნევს.<sup>1</sup> ჩვენი მცდელობა მიმართულია იმის გარკვევისაკენ, თუ რა როლს ასრულებდა ეთნიკური და რელიგიური ფაქტორები ქართველთა კულტურული თვითიდენტიფიკაციის პროცესში ადრეულ შუა საუკუნეებში, უფრო ზუსტად, იმ პერიოდში, როცა ქართველთა თვითდადგინების, თვითგანსაზღვრის პრობლემა, წყაროების მიხედვით, პირველად ჩანს სრულად რეფლექტირებული. მეტიც – როგორც უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევები გვიჩვენებს, შესაძლებელია საუბარი კულტურული პროცესების მართვაზე ქართულ კულტურულ სივრცეში V-XI საუკუნეებში, რაც ხორციელდებოდა კულტურული გავლენების გააზრებული ლიმიტაციით, ინფორმაციის გადარჩევითა და, შესაბამისად, ისტორიული მეხსიერების განსაზღვრით, ქართული კულტურისა და კულტურული სივრცის მიზანმიმართული ფორმირებით, რაც საფუძველს უქმნიდა კულტურულ/ეთნიკურ იდენტობას.<sup>2</sup>

კულტურული იდენტობა არის ამა თუ იმ ისტორიული ერთობის ნევრ ინდივიდთა (თვით)გააზრება ამ ერთობის კულტურის ნევრად. კოლექტიური კულტურული იდენტობა მთელ საზოგადოებას მოიცავს, ახდენს რა შიდა სხვაობების მინიმიზებას გარე სხვაობათა მაქსიმიზების პარალელურად. კოლექტიური კულტურული იდენტობის საფუძველზე შექმნილი ერთობები (ეთნიკური ერთობები, რელიგიური დენომინაციები, ნაციები) სტაბილურია, მათი შემადგენელი ბაზისური კულტურული ელემენტები – ფასეულობები, სიმბოლოები, მითები, ტრადიციები, რომლებიც ხორცს ისხამს კოლექტიურ მეხსიერებაში, წარმოდგენებში ღირსებასა და სამართლიანობაზე, საკვებში, ტანისამოსში, რიტუალებში, ნეს-ჩვეულებებში – მეტ მდგრადობასა და ურთიერთობის უნარს ავლენენ, ისინი კოლექტიური მუდმივობისა და განსაკუთრებულობის განმეორებად ელემენტებს წარმოადგენენ.<sup>3</sup>

კოლექტიური კულტურული იდენტობების საფუძველზე აღმოცენებული ერთობები არ არიან ერთხელ და სამუდამოდ ფიქსირებულნი და სტატიკურნი. მართა-

<sup>1</sup> სმითი ე.დ. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტი-შვილისა. თბ., 2004, გვ.32-39.

<sup>2</sup> კაკიტელაშვილი ქ. კულტურული პროცესების მართვა V-XI საუკუნეების ავთოგრაფიული ტექსტების მიხედვით. – «ცივილიზაციური ძიებანი», 3. თბ., 2005, გვ.13-30.

<sup>3</sup> სმითი ე.დ. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტი-შვილისა. თბ., 2004, გვ. 43.

ლია, ისინი დროის ხანგრძლივ მონაკვეთში არსებობენ, მაგრამ მუდმივი არ არიან. „კულტურული იდენტობანი და ერთობები ისევე ექვემდებარებიან ცვლილებებს, როგორც ყველაფერი სხვა და ეს ცვლილებები შეიძლება იყოს როგორც თანდათანობითი და კუმულაციური, ასევე უეცარი და არაგანგრძობადი. მაგრამ ეს ისეთი ცვალებადობაა, რომელიც მოქმედებს მოცემული ნაციის კულტურისა და ტრადიციების, მისი განსაკუთრებული მემკვიდრეობის მკაფიო პარამეტრების სიმრავლის შიგნით. იდენტობა გულისხმობს გარკვეული ზომის სტაბილურობას, იგივეობას დროში. ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მკაფიოდ მოხაზულ საზღვრებში“.<sup>1</sup>

თვითდენტიფიკაცია წარმოადგენს პასუხს კითხვაზე: ვინ ვართ ჩვენ? როგორც ნაციონალიზმის თეორიის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი ერიკ ჰობსბაუმი აღნიშნავს, ნაციონალური იდენტიფიკაცია და ყველაფერი, რაც მას უკავშირდება, განიცდის ცვლილებებს დროში, თანაც საკმაოდ მკვეთრს.<sup>2</sup> შესაბამისად, დასმულ კითხვაზე პასუხი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად გაიცემა, თუმცა რჩება რაღაც ძირითადი, არსებითი, რომელიც ზემონახსენებ განგრძობადობასა და თვითშენახვის რესურსს განაპირობებს. პასუხების სხვადასხვაგვარობა კი რამდენიმე მომენტითაა გამოწვეული, პირველ რიგში, იმით, თუ რომელ ერთობასთან მიმართებაში ახდენს თვითდენტიფიკაციას მოცემული ერთობა (ამ შემთხვევაში, ქართველები). თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველთა (ისევე როგორც კავკასიის სხვა ხალხთა) ისტორიული განვითარება ცვალებად პოლიტიკურ, კულტურულ და ცივილიზაციურ გარემოში მიმდინარეობდა, გასაგები იქნება, რომ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში აქტუალური იყო თვითდენტიფიკაცია სხვადასხვა ერთობასთან მიმართებაში (ბერძნული და პართიული სამყარო, რომი, ბიზანტია, ირანი, ოსმალეთი, რუსეთი, დასავლური სამყარო), ამ ერთობებთან საკუთარი ერთობის მსგავსებათა და განსხვავებათა გამოკვეთა. აქედან გამომდინარე, იცვლებოდა იდენტობის მარკერებიცა და მათი თანაფარდობაც.

ამრიგად, კულტურული თვითდენტიფიკაციის შესახებ მსჯელობის დროს უნდა გავითვალისწინოთ, ვისთან მიმართებაში უხდებოდათ ქართველებს თვითგანსაზღვრა კონკრეტულ პერიოდში? ვისგან განსხვავებულობისა და ვისთან იდენტობის დამტკიცებას ცდილობდნენ და რა მახასიათებლებზე დაყრდნობით?

კოლექტიური იდენტობის საყოველთაოდ აღიარებული მარკერებიდან ამჟერად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მახასიათებლები, რომლებიც, თავის მხრივ, მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა მარკერთა მთელ წყებასთან.

ისევე როგორც მთელ ქრისტიანულ სამყაროში, ამ პერიოდის საქართველოშიც თვითდადგინების პროცესი განუყოფლადაა დაკავშირებული ქრისტიანულ სარწმუნოებასთან, ნებისმიერი აზრი ყალიბდება და გამოითქმის რელიგიური ფორმით,

<sup>1</sup> სმითი ე.დ. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა. თბ., 2004, გვ. 45.

<sup>2</sup> Хобсбаум Э. Нации и национализм после 1780 г. СПб., 1998, с. 18.

რელიგია კულტურული იდენტობის ძირითადი საფუძველია და სწორედ მისი მეშვეობით ხდება იდენტობის სხვა მარკერების (მაგალითად, ენის) აქცენტირება.

როგორც საისტორიო წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, ქართველთა თვითიდენტიფიკაცია უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში საკმაოდ მკაფიოდ განსაზღვრულ მარკერებს ემყარება. ნათლად ჩანს ერთიანი კულტურული ცნობიერებაც.

ამ პერიოდში ქართველთა კულტურული თვითიდენტიფიკაცია, უპირველესად, ბიზანტიასთან მიმართებაში ისაზღვრებოდა.

IV-X საუკუნეებში სიმბიოზური ელინისტური კულტურის ქრისტიანობასთან შერწყმით იქმნება ბიზანტიური კულტურული ტრადიციები, რომლის სფეროში შედიან აგრეთვე აღმოსავლური ქრისტიანობის არეალში მოქცეული ქვეყნები, მათ შორის, ისტორიული საქართველოც. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნების კულტურა ბიზანტიური კულტურის ძლიერი გავლენით ვითარდებოდა. მას შემდეგ, რაც საქართველოში ფეხი მოიკიდა ბიზანტიურმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ, დაიწყო ბიზანტიური კულტურის ათვისების პროცესი. მკაფიოდ გამოვლინდა მის მონაპოვართა ეროვნულ ნიადაგზე გადაამუშავება-გააზრების ტენდენცია, რომელსაც კ. კეკელიძე „ქრისტიანულ-ბიზანტიური კულტურის ნაციონალიზაციის ტენდენციას“ უწოდებდა. აღიარებულია, რომ სწორედ ქრისტიანიზაციის შემდეგ აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში შეიქმნა ეროვნული დამწერლობები, დაიწყო ღვთისმსახურება ეროვნულ ენებზე.<sup>1</sup>

ეს პროცესი კავკასიაშიც – საქართველოსა და სომხეთში – ინტენსიურად წარიმართა, თუმცა მკაფიოდ გამოიკვეთა ამ ორი ხალხის კულტურული და პოლიტიკური ელიტის ორიენტაციათა სხვადასხვაობაც. სომხეთში ეთნიკური და კულტურული თვითდამკვიდრება სარწმუნოებრივი განსხვავებულობითაც განმტკიცდა – სომხეთის ეკლესია უნივერსალურ ქრისტიანულ ეკლესიას გაემიჯნა და მცირე აღმოსავლურ ეკლესიათა რიგში ჩადგა (ეგვიპტის, სირიის, ნუბიის, ეთიოპიის ეკლესიებთან ერთად). უკვე IV საუკუნიდან თავი იჩინა ავტოკეფალიისაკენ ლტოლვამ, რაც გაგრძელდა სომხების მიერ ქალკედონური მრწამსის მიუღებლობით და მონოფიზიტიზმისაკენ გადახრით. ის გარემოება, რომ ეს არ იყო წმინდა დოქტრინალური განხეთქილება და ეხმიანებოდა პოლიტიკურ და კულტურულ ტენდენციას – ბერძნულ-ელინისტური სამყაროსაგან ემანსიპირებას, დასტურდება V საუკუნის დასაწყისში მესროპ მაშტოცის მიერ სომხური ეროვნული დამწერლობის შექმნის, ლიტერატურული აღმავლობის, სომხეთში ეროვნული ნელთადრიცხვის დაწყების (551 წ.) ფაქტებით.<sup>2</sup>

<sup>1</sup> *გამყრელიძე თ.* საქართველო ვეროპა თუ აზია? – „Academia“ (ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი). ტ. 1. თბ., 2001, გვ. 6; *პატარიძე ლ.* ქართული იდენტობა (ისტორიული ხედვის პრობლემები). – საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბ., 2005, გვ. 223.

<sup>2</sup> *პატარიძე ლ.* ქართული იდენტობა (ისტორიული ხედვის პრობლემები). – საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბ., 2005, გვ. 223.

საქართველოში პროცესები სხვაგვარად განვითარდა. აქ ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება, ეთნიკური და კულტურული თვითდამკვიდრების პროცესი არ წარმართულა საეკლესიო იზოლაციონიზმისა და ბერძნულ-ბიზანტიური კულტურისაგან ემანსიპაციის ნიშნით. პირიქით, საისტორიო წყაროები ადასტურებენ ქრისტიანული უნივერსალიზმის აღიარებას ქართველთა მიერ.<sup>1</sup>

ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროსთან ქართველთა დამოკიდებულებას თავისუფლად შეიძლება მიესადაგოს ვ. ბოედერის მოსაზრება საერთოდ გარესამყაროსთან ქართველთა დამოკიდებულებაზე, რომელიც მან საქართველოს ისტორიის ლაიტ-მოტივად მიიჩნია: ეს იყო „ქართველთა მცდელობა, შეგუებოდნენ კუთვნილებისა და არა-კუთვნილების ამბივალენტობას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პრაქტიკულად და სიმბოლურად გამოხატონ თავისი ერთობა დანარჩენ მსოფლიოსთან და, იმავდროულად, მტკიცედ იდგნენ საკუთარ იდენტობაზე“.<sup>2</sup> ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ამის გამოსახატულებაა ქართული ორიგინალური დამწერლობის შექმნა; ბიბლიის თარგმნა ქართულად, თან კი იმაზე ზრუნვა, რომ ენა, შეძლებისდაგვარად, წმინდა ქართული დარჩეს (რელიგიური ტერმინოლოგიის ქართული შესატყვისების მოძებნა); ლვთისმსახურების ენად ქართულის აღიარება, მაგრამ მართლმადიდებლურ სამყაროსთან ერთობის ნიშნად, როგორც გიორგი მერჩულე ამბობს, „კვირიველლეისონი ბერძნულად ითქუმის“; ბერძენ ეკლესიის მამათა და ფილოსოფოსთა თხზულებების თარგმნა, რომელსაც უფრო ვადმოქართულების სახე აქვს და საუკუნეების შემდეგ ქართულ კლასიკად აღიქმება, საიდანაც, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონის მასალას მოიძიებს; ქართველი გრიგოლ ბაკურიანის სამსახური ჯარის სარდლად ბიზანტიის იმპერატორთან, ამავე დროს, მის იმპერიაში პეტრინონის მონასტრის დაარსება; გრიგოლის მიერ შედგენილი ტიპიკონით, მონასტერში საღვთისმსახურო ენა ქართულია და იქ ერთადერთი ბერძენი ბერია, რომელიც წარმართავს ურთიერთობას ადგილობრივ საერო ხელისუფლებასთან.

ახლა რაც შეეხება თვითიდენტიფიკაციას. V-XI საუკუნეების ქართული აგიოგრაფიული თხზულებები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ერთ ჯგუფში შედის ტექსტები („შუშანიკის წამება“, „ვესტათი მცხეთელის წამება“, ნანილობრივ, ასურელ მამათა ცხოვრებები, „ცხოვრება და მოქალაქობა სერაპიონისი“, „კოლაელ ყრმათა წამება“, „გობრონის მარტივლობა“, „კონსტანტინე კახაის წამება“, „დავით და კონსტანტინეს წამება“), რომლებშიც კულტურული და ეთნიკური ასპექტები აქცენტირებული არ არის, განმსაზღვრელია მხოლოდ რელიგიური მახასიათებელი, მეორეში („აბოს წამება“, „ცხოვრება და მოქალაქობა გიორგი მთანმდიელისა“, „ილარიონ ქართველის ცხოვრება“, „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“) კი თვალსაჩინოა რელიგიური და კულტურული ფაქტორების – ენა, ეთნიკურობა – ურთიერთგადაკვეთა; რელიგია, ამ თვალსაზრისით, კულტურული იდენტობის საფუძველია, ინდივი-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 224.

<sup>2</sup> *ბოედერი ვ. ფიქრები ქართული ენის წარსულსა და აწმყოზე*. – საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბ., 2005, გვ. 54-55.

დის იდენტიფიცირება ხდება არა ზოგადად ქრისტიანულ სამყაროსთან, არამედ სივრცესთან, რომელიც სწორედ კულტურული თვალსაზრისით გამოიყოფა ამ ერთიან ქრისტიანულ სივრცეში.<sup>1</sup>

აღნიშნულ პერიოდში ქართველები საკუთარ თავს ბიზანტიური კულტურული სივრცის ნაწილად აღიქვამენ. VIII საუკუნის ქართველი ჰაგიოგრაფი იოანე საბანისძე აღნიშნავს, რომ ქართველნი „ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა“, მეორეგან კი წერს: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაი ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩვენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა“.<sup>2</sup> აქ კულტურული იდენტობის, „ჩვენიანისა“ და „უცხო“ გამიჯვნის საფუძვლად სარწმუნოება გვევლინება: აბო „არა თუ პირველითგანვე ჩვენგანი იყო, არამედ უმეცარი სარწმუნოებისაგან ჩვენისა, უცხო უცხოითა შვეულითა...“.<sup>3</sup>

ამრიგად, ქართველები თავს გარკვეული ერთობის (სამყაროს, მთლიანობის) ნაწილად, კერძოდ, მის პერიფერიად მოიაზრებენ. რომელია ეს ერთობა, ამაზე პასუხსაც იოანე საბანისძესთან და უფრო ადრინდელ ერთ წყაროში ვპოულობთ. საბანისძე მკაფიოდ შემოსაზღვრავს საქართველოს გარესამყაროს: „ქუეყანა მას ჩრდილოისასა, სადა-იგი არს სადგური და საბანაკე ძეთა მაგოგისთაი, რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელ შვეული არა აქუს“; აღმოსავლეთით – არაბები, აგრესიის სათავე და წყარო; დასავლეთით – „საზღვარ მათდა არს ზღუაი იგი პონტოისაი, სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთაი... და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებლად ქრისტეს მსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინეპოლისასა“.<sup>4</sup> ნათელია, რომ ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით საქართველოსათვის უცხო კულტურული სამყაროა, დასავლეთით კი – სწორედ ის ერთობა, რომლის ნაწილად (განაპირად, პერიფერიად, ანუ, საბანისძის სიტყვით, „ყურედ“, „შორიელად“) ქართველები თავს მოიაზრებენ და რომლის ცენტრი კონსტანტინოპოლია.

მეორე, უფრო ადრინდელი წყარო, რომელიც ბიზანტიურ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცესთან ქართველთა თვითიდენტიფიკაციაზე მიუთითებს, გახლავთ ფარტაძის სიტყვა კოლხ წარჩინებულთა ცნობილ კრებაზე, რომლის ჩანაწერი აგათია სქოლასტიკოსის თხზულებამ შემოგვინახა. აქაც მკაფიოდ ჩანს ქართველთა მიერ ბიზანტიურ სამყაროსთან ერთობის გაცნობიერების ფაქტი. ეს ერთობა ემყარება ტრადიციას, ანუ, წყაროს მიხედვით, „მშობლიურ წესებს“; საერთო „საზოგადოებრივ კანონებს, სახელმწიფო წყობილებასა და ცხოვრებას“; „მართლმორწმუ-

<sup>1</sup> *კაიტილაშვილი ქ.* კულტურული პროცესების მართვა V-XI საუკუნეების აგიოგრაფიული ტექსტების მიხედვით. – *„ცივილიზაციური ძიებანი“*. თბ., 2005, გვ. 15.

<sup>2</sup> *იოანე საბანისძე*. წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოისი. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1978, გვ. 60-61.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 64.

ნეობას და წმინდა საიდუმლოთა უმნიცველობას“; „აზრთა ერთიანობას“ ბიზანტიელებთან.<sup>1</sup>

ქართული შაგიოგრაფიის მონაცემებს განამტკიცებს ბერძნული წყაროებიც, რომლებიც ბიზანტიურ პოლიტიკურ სივრცეში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ყოფნას ადასტურებს (ბიზანტიური ტიტულების მინიჭება მმართველებისა და მეფეებისათვის – პრისკუს პანელის, იოანე მალალას, თეოფანეს, პროკოპი კესარიელის ცნობების მიხედვით), ხელისუფლების ნიშნების მიღება ბიზანტიის იმპერატორისაგან).<sup>2</sup>

ბიზანტია, ერთგვარად, ეტალონის როლს ასრულებდა აღმოსავლურ ქრისტიანულ ქვეყნებში. არც საქართველო იყო გამონაკლისი. რამდენიმე ციტატა XI ს. ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის თხზულებიდან: „მოიყვანა მღვდელი ჭეშმარიტი საბერძნეთით“<sup>3</sup>; „უბრძანა, რათა... აღაშენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილნეს მონასტერნი საბერძნეთისანი“<sup>4</sup>; „ბერძენნი ნათესავნი ღმრთისანი არიან“<sup>5</sup>; „სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ“.<sup>6</sup> „ჩუენცა ვართ სჯულისა სჯულსა ზედა ბერძენთასა აღმსარებელ ქრისტესსა“<sup>7</sup> და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი – ვახტანგ გორგასალის სიზმარი, რომელშიც ბიზანტიის იმპერატორი გადასცემს ვახტანგს სამეფო გვირგვინს: „და მიჰყო ხელი კეისარმან, და მიიღო გვირგვინი ჯუარისაგან, და დაარქუა ვახტანგს თავსა“.<sup>8</sup>

ნიშანდობლივია, რომ „მოქცევაი ქართლისაი“, რომელშიც ქართლის გაქრისტიანების ამბავია მოთხრობილი და რომლის შექმნის თარიღად IX საუკუნე მიიჩნევა, გადმოგვცემს მირიან მეფის მიერ სასულიერო პირთა ჩამოსაყვანად კონსტანტინოპოლში ელჩების გაგზავნის ფაქტს: „წარავლინა მოციქული და წიგნი ნინოისი საბერძნეთსა, მეფისა კონსტანტინეს თხოვად მღვდელთა. ხოლო იგინი მსწრაფლ მიიწინეს. და მოსცა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ერთი დიაკონი და წიგნი ელენე დედოფლისაი და ხატი მაცხოვრისაი და ძელი ცხოვრებისაი ნინოისათვის“. კონსტანტინოპოლიდან საქართველოში ჩამოვიდა არა მხოლოდ მოძღვარი, არამედ ხუროთმოძღვარიც.<sup>9</sup>

<sup>1</sup> ქართული მჭევრმეტყველება. ძეგლები და მასალები. შეკრიბა, ნარკვევი წაუმძღვარა და საძიებლები დაურთო ნ. კახდელაკმა. თბ., 1958, გვ. 111-114.

<sup>2</sup> იხ.: ვაჟაბია ბ. ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო). თბ., 2005, გვ. 100-102.

<sup>3</sup> ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 145.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 177-178.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 165.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 203.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 160.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 168.

<sup>9</sup> მოქცევაი ქართლისაი. შაბტერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გვიგინი-შვილმა და და ელ. გიუნაშვილმა. თბ., 1979, გვ. 322.

ამავე წყაროს თანახმად, ვახტანგ გორგასალი, ეკლესიის ავტოკეფალიის მიხედვით, ისევე კონსტანტინოპოლს მიმართავს: „ხოლო მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთად და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოზი“.<sup>1</sup>

ცხადია, ბიზანტიური კულტურული სივრცის ნაწილად თავის მოაზრებას საფუძვლად რელიგიური ერთობა ედო. სარწმუნოება კულტურული იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარკერია. ქართული იდენტობისათვის ასეთ მარკერს მართლმადიდებლობა წარმოადგენდა. ზოგი სხვა მარკერისაგან (მაგალითად, ენისაგან) განსხვავებით, იგი ტრანსნაციონალური მახასიათებელი იყო, სწორედ იგი აკავშირებდა ქართველებს ბიზანტიურ კულტურულ და პოლიტიკურ სივრცესთან. ამავე დროს, იგი ნაციონალური მარკერის როლს ასრულებდა სომხებთან მიმართებაში. ძნელი სათქმელია, რა უფრო დიდ საფრთხეს შეიცავდა კულტურული იდენტობისათვის – სარწმუნოებრივი ერთობა თუ სხვაობა. როგორც წყაროებიდან ჩანს, ეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ქართველ საეკლესიო მოღვაწეებს და ცდილობდნენ მოეძებნათ მახასიათებლები, რომლებიც ხაზს გაუსვამდა ბიზანტიელთაგან მათ განსხვავებას, აგრეთვე საკუთარ მნიშვნელობას მართლმადიდებლურ სამყაროში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, V-XI სს. ქართული ტექსტები – როგორც საისტორიო, ასევე აგიოგრაფიული ლიტერატურა – საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ ბიზანტიურ კულტურულ სივრცეში ქართული კულტურის, როგორც დამოუკიდებელი და თვითკმარი ერთეულის, არსებობის დასაბუთებისათვის მოხმობილ არგუმენტებს („ჩვენ“ – ქართველების, „ნათესავით ქართველის“ ხაზგასმა და მოხსენიების სიხშირე, ქართული ენის, როგორც იდენტიფიკაციის საფუძვლის, მნიშვნელობის გამოკვეთა, კულტურული გავლენების გააზრებული ლიმიტაცია).

„არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაი ესე ღმრთისამიერი მოიპოეს, არამედ ჩვენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა... აჰა, ესერა ქართლისაცა მკვიდრთა აქვს სარწმუნოება და ნოდებულ არს დედად წმიდათა“,<sup>2</sup> ჯერ კიდევ VIII საუკუნეში აცხადებდა იოანე საბანისძე.

ექვთიმე ათონელის „ნამუშავეი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკობება, ვითარცა ნესტვი ოქროისა ხმამალალი, ოხრის ყოველსა ქვეყანასა არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა“.<sup>3</sup>

ექვთიმემ „სიმაღლითა ღმრთივ-თარგმნულთა წმიდათა წიგნთა მისთათა ნაკულუევანება ენისა ჩვენისა აღავსო, და რომელნი ესე ბარბაროზ ნოდებულ ვიყვე-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 325.

<sup>2</sup> იოანე საბანისძე. ნამუშავეი წმიდისა და ნეტარისა მონაწიისა ქრისტესისა ჰაბოისი. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1978, გვ. 60-61.

<sup>3</sup> გიორგი მთაწმიდელი. ცხორება იოანესი და ფთვიმესი. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1978, გვ. 224.

ნით ელენათ მიერ უსწავლელობისათვის და უმცირებისა ჩვენისა, მათთანავე აღგერაცხნა ღმრთისა მიერ მოცემულითა მით სიბრძნითა თვისითა".<sup>1</sup>

ამავე მიზანს ემსახურებოდა ნაციონალური განმანათლებლის იდეის ხაზგასმა ზემოთ ნახსენებ თხზულებაში „მოქცევაი ქართლისაი“. აქ ნახსენები არ არის საქართველოში ანდრია პირველწოდებულის ქადაგების ფაქტი, სამაგიეროდ, ხაზგასმულია ქართლის განმანათლებლის წმინდა ნინოს კაპადოკიელობა და ის გარემოება, რომ იგი ქართლში იერუსალიმიდან მოვიდა, და არა კონსტანტინოპოლიდან (როგორც რუფინუსი და გელასი ეკსარიელი მოგვითხრობენ). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამას საფუძვლად ედო ქართველთა სურვილი, წინ აღდგომოდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მცდელობას, ჩარეულიყო ანდრიას მიერ გაქრისტიანებული ხალხების საეკლესიო საქმეებში: IX საუკუნის დამდეგს ბერძნულ ენაზე დაინერა „მოსახსენებელი მიმოსლვათათვის და ქადაგებათა მოციქულთა ანდრეასი“, რომელშიც მოთხრობილია საქართველოში ანდრიას მისიონერული მოღვაწეობის ისტორია. იმდენად, რამდენადაც ანდრია აღიარებული იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პატრონად (357 წელს იმპერატორმა კონსტანტინემ მისი ნეშტი კონსტანტინოპოლს გადაასვენა), კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, ამის საფუძველზე, ცდილობდა თავისი ვაჟუნის განმტკიცებას ანდრიას ქადაგების არეალში. ალბათ, ამიტომ, „მოქცევის“ ავტორი ანდრიას სახელს საერთოდ არ ახსენებს და საესებით დამოუკიდებელი მისიონერის – ნინოს – მოღვაწეობაზე საუბრობს.

ამავე თხზულებაში ხაზგასმულია ქართლის მნიშვნელობა ქრისტიანულ სინმინდეებთან მიმართებაში: საქართველოში ინახება უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული სინმინდეები – „ძელი ცხოვრებისაი“-ს (ქრისტეს ძელის, ჯვრის) ნაწილი, აგრეთვე „სამსჭუალნი“ და „ფერხთა ფიცარი“. თუ ბიზანტიელთა სატახტო ქალაქი ღვთისმშობლის საგანგებო მფარველობის ქვეშაა, ქართლი (იბერია) ასევე ღვთისმშობლის ნილხვედრია. უფრო მეტიც, ქართლის როლი ქრისტიანულ სამყაროში ჯერ კიდევ გაქრისტიანებამდე განისაზღვრა, როცა მას ქრისტეს კვართი ერგო.

ამრიგად, ბიზანტიასთან საერთო რელიგიური მახასიათებლის არსებობის ხაზგასმასთან ერთად (ქართველებსაც, და არა მხოლოდ ბერძნებს, აქვთ „სარწმუნოებაი ღმრთისამიერი“), ქართველები ბიზანტიური სამყაროსაგან განსხვავებულობის აღნიშვნას სხვა მახასიათებელთა მოშველიებით ცდილობდნენ: ეს იყო ნაციონალური განმანათლებელი, ქრისტიანული სინმინდეები და ღვთისმშობლის ნილხვედრობის იდეა.

ერთი საუკუნით გვიან ქართველმა მოღვაწეებმა უკვე მოციქულის სახელი დაუუკავშირეს იდენტობას, რამდენადაც „ქრისტიანულ ოიკუმენაში მოციქული ნაციონალური ერთობის ინდივიდუალობის გამოკვეთისათვის ყველას მიერ აღიარებულ და ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა“.<sup>2</sup> ისტორიულ წყაროებში საქართველოში

<sup>1</sup> იქვე, გვ. 275.

<sup>2</sup> *ჩხარტიშვილი მ.* ნიდა მამა გიორგი მთაწმინდელი და ქართული იდენტობის სამანები XI საუკუნეში. – კრებ.: ქართული წყაროთმცოდნეობა. XI. თბ., 2006, გვ. 91.

ქრისტიანობის მქადაგებლად რამდენიმე მოციქული იყო დასახელებული (ბართლომე, სიმონ კანანელი, ანდრია). აქცენტი სწორედ ანდრიაზე გაკეთდა. საქართველოში მისი ქადაგების ფაქტის მოშველიებით, „ანდრიას მიმოსლვაზე“ დაყრდნობით, ათონელმა ბერმა გიორგიმ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის უფლება წარმატებით დაიცვა ანტიოქიის პატრიარქთან კამათში.

გიორგი მთანმინდელმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა: ბერძენთა ქედმაღლურ დამოკიდებულებას ქართველთა მიმართ, რომელიც პატრიარქის მიერ მის შეფასებაშიც მყლავნდებოდა – „დალაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩუენივე სწორი ხარ“,<sup>1</sup> დაუპირისპირა მართლმადიდებლობის დაცვაში ქართველთა გამორჩეული ღვანლის ხაზგასმა: „იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაი არაი იპოვებოდა და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა“,<sup>2</sup> შეახსენა მან პატრიარქსა და მის მრჩეველებს. და ქართველთა უპირატესი ღვანლის კიდევ ერთი ხაზგასმა: „ესე არს საწმუნოება მართალი ნათესავისა ჩვენისა და, რაჟამს ერთი გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხულ გინა მარჯულ და არცა მიედრებით“.<sup>3</sup>

ამავე პერიოდში ქართველები ცდილობდნენ ბიზანტიისაგან განსხვავებულობის გამოკვეთას სხვა მიმართულებებითაც. IX-XI სს. მათ შექმნეს სახარების საკითხავების საკუთარი, ქართული „ნესი და განგება“,<sup>4</sup> თუმცა უკვე ჰქონდათ „განგებაი სახარებისაი ბერძნულსა ნესსა ზედა“. შემუშავდა ნელთაღრიცხვის ქართული სისტემა, რომელსაც, ბერძნულისაგან გასარჩევად, „ქართუელთა სათუალავი“ ეწოდებოდა.<sup>4</sup>

კოლექტიური კულტურული იდენტობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მარკერი ენაა. ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის მიხედვით, ენა ნაციონალური თვითშეგნების წარმოქმნისა და განმტკიცების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად მიიჩნევა. კულტურულ ერთობად თვითგაცნობიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო ენობრივი ნორმის ჩამოყალიბებას, ადგილობრივი სალაპარაკო ენის სტანდარტიზაციას. ეს ყოველთვის ჯგუფის კულტურული ელიტის შეგნებული მოღვაწეობის შედეგია, განსხვავებით დიალექტების განვითარებისაგან, რაც ხალხის წიაღში სტიქიურად ხდება.

საკუთარი ენა ვინაობის დადგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. უმეტეს შემთხვევაში, მისი განსხვავებულობის შეცნობა ძნელი არ არის. თუმცა,

<sup>1</sup> გიორგი მცირე. ცხოვრება და მოქალაქეობა გიორგი მთანმინდელისა. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978, გვ. 308.

<sup>2</sup> გიორგი მცირე. ცხოვრება და მოქალაქეობა გიორგი მთანმინდელისა. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978, გვ. 309-310.

<sup>3</sup> გიორგი მცირე. ცხოვრება და მოქალაქეობა გიორგი მთანმინდელისა. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978, გვ. 328-329.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ.1. თბ., 1980, გვ.53-54.

როგორც ვინფრიდ ბოედერი აღნიშნავს, იმისათვის, რომ ენა ვინაობის მიმცემად მოგვევლინოს, განსაკუთრებული ისტორიული პირობებია საჭირო.<sup>1</sup>

ქართველთა კულტურული სახის გამოკვეთა სწორედ ასეთ პირობებში მიმდინარეობდა – გარემოში, სადაც ასწლეულების განმავლობაში ბერძნული ენა დომინანტად რჩებოდა ორ ძირითად ასპექტში: რელიგიისა და კულტურის სფეროში.

ქართველთა კულტურული ელიტის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო მთარგმნელობითი საქმიანობა, რაც ენის, როგორც იდენტობის საფუძვლის, მნიშვნელობის გაცნობიერებაზე მიუთითებს. აი, როგორ ფასდება მთარგმნელობითი საქმიანობის მნიშვნელობა XI საუკუნის ქართველ მოღვაწეთა მიერ: „თარგმანება ნიგნთა აქენდა ნამეტნავად ყოველთა სათნობათა და გვირგვინად და განმანათლებლად ნათესაებისა ჩვენისა“;<sup>2</sup> „საღმრთო ესე ტალანტი... რომელ არს თარგმანება ნიგნთა საღმრთოთა ბერძნულისაგან ქართულად“;<sup>3</sup> გიორგი მთაწმინდელმა დატოვა წინამძღვრობა, რადგან „ღმრთივ-მონიჭებული იგი ტალანტი არა აღორძნდებოდა, რომელ არს ღმრთივ-სულიერთა ნიგნთა თარგმნა“.<sup>4</sup>

ინტენსიური მთარგმნელობითი საქმიანობა ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქის თანმდევი მოვლენაა. ჯერ კიდევ X საუკუნემდე ქართულ ენაზე უკვე თარგმნილი იყო აგიოგრაფიული ლიტერატურა საქრისტიანო მწერლობის ყველა ენიდან, პირველ რიგში – ბერძნულიდან. ბერძნულიდანაა ნათარგმნი ქართული ჰიმნოგრაფიის პირველი ნიმუშები (VII-VIII სს.), შემდეგ იწყება ორიგინალური ქართული თხზულებების შექმნა. ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ციტატები ბერძენი, რომაელი და ბიზანტიელი ავტორების თხზულებებიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია უცხოეთის სამონასტრო ცენტრებში მოღვაწე ქართველ ბერ-მონაზონთა მთარგმნელობითი საქმიანობა, რომლის წყალობით უაღრესად დაიხვეწა თვით ქართული ენა.

ენის, როგორც ქართველთა იდენტობის მთავარი მარკერის საკითხმა საინტერესო განვითარება პოვა X საუკუნიდან, ბიზანტიურ კულტურულ სივრცეში გაბატონებული ტრილინგვიზმის თეორიასთან დაპირისპირებისას, როცა მწვავედ იდგა ადგილობრივ ენათა ლეგიტიმურობის საკითხი. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნება, ენის საკითხმა პოლიტიკური დატივრთვა შეიძინა და ეს დატივრთვა მომდევნო საუკუნეებშიც შეინარჩუნა. ქართული საიტორიო მწერლობა და ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა ამ თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. VIII საუკუნიდან XI საუკუნემდე სულ უფრო თვალსაჩინოა მშობლიური ენის

<sup>1</sup> *ბოედერი ვ. ფიქრები ქართული ენის წარსულსა და აწმყოზე*. – საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბ., 2005, გვ. 54.

<sup>2</sup> *გიორგი მთაწმინდელი*. ცხორება იოანესი და ეფთვიმესი. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978, გვ. 260.

<sup>3</sup> *გიორგი მცირე*. ცხორება და მოქალაქეობა გიორგი მთაწმინდელისა. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978, გვ. 287.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 301.

მნიშვნელობის ღრმა გაცნობიერება. როგორც ქ. კაკიტელაშვილი აღნიშნავს, ზოგიერთ ნაწარმოებში „ენა, როგორც კულტურული იდენტობის საფუძველი, იმდენად ნათლადაა დანახული და გადმოცემული (მაგალითად, „ილარიონ ქართველის ცხოვრება“), რომ პირდაპირ კულტურის თანამედროვე მკვლევრისათვის არის გამზადებული. ხაზგასმულია ენისა და ენის მატარებელთა უმჭიდროესი კავშირი (გიორგი მთაწმინდელი, გიორგი მცირე)“.<sup>1</sup>

ქართულის, როგორც ღვთისმსახურების ენის მეშვეობით განსაზღვრა საქართველოს (ქართლი) ტერიტორია გიორგი მერჩულემ X საუკუნეში: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ყამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.<sup>2</sup>

ტრილინგვიზმის თეორიას მკვეთრად დაუპირისპირდა იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელმაც ქართული ენა მეორედ მოსვლის ყამს განკითხვის ენად გამოაცხადა.

ქართული ენის ბერძნულთან თანასწორობის აზრი ხაზგასმულია X საუკუნის აგიოგრაფიულ ძეგლში „ილარიონ ქართველის ცხოვრება“, რომელშიც მოთხრობილია, რომ ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ II თავისი ვაჟები აღსაზრდელად მიაბარა ილარიონის ქართველ მონაფეებს და უთხრა: „ლოცვა ყავთ ამათთვის, ნმიდანო მამანო, და ასწავეთ ამათ ენაი და ნიგნი თქუენი, რათა შვილნი ლოცვისა თქუენისანი იყვნენ ეგენი“.<sup>3</sup>

„იოანესა და ექეთიმეს ცხოვრებაში“ გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, რომ კონსტანტინოპოლში „გაბერძნებული“ ქართველი ექეთიმე, ღვთისმშობლის ნებით, არა მხოლოდ ამეტყველდა ქართულად, არამედ ქართული ენის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნედ იქცა და დიდი ღვაწლი დასდო მთარგმნელობით საქმიანობას ათონის მთის ქართულ მონასტერში. ეს რელიგიური მოქცევა მაშინდელი დროისათვის ლეგიტიმაციის ძლიერი ფორმა იყო.<sup>4</sup>

ენასთან ერთად, თვითიდენტიფიკაციისა და სხვათაგან განსხვავებულობის ხაზგასასმელად, წყაროებში, არცთუ იშვიათად, ეთნიკური კუთვნილების აღმნიშვნელი ტერმინებიც გვხვდება: „ნათესავი ჩვენი“, „ნათესავით ქართველი“. მ. ჩხარტიშვილი მიიჩნევს, რომ სწორედ ამ პერიოდში „ქართველი“, რომელიც მანამდე სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენდა („ნათესავით ქართველი“), ეთნოტერმინად იქცა, ანუ აქცენტმა სისხლით ნათესაობის იდეიდან ტერიტორიული ერთიანობის იდეაზე გადაინაცვლა. ეს კი, მკვლევრის აზრით, ნაციონალური

<sup>1</sup> კაკიტელაშვილი ქ. კულტურული პროცესების მართვა V-XI საუკუნეების აგიოგრაფიული ტექსტების მიხედვით. – „ცივილიზაციური ძიებანი“. თბ., 2005, გვ. 22.

<sup>2</sup> გიორგი მერჩულე. შრომა და მოღვაწეობა გრიგოლისი. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978. გვ. 182.

<sup>3</sup> ილარიონ ქართველის ცხოვრება. – ძველი ქართული მოთხრობა. თბ., 1979, გვ. 457.

<sup>4</sup> ბოდერი ე. ფიქრები ქართული ენის წარსულსა და აწმყოზე. – საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბ., 2005, გვ. 54-55.

კონსოლიდაციის ახალი ეტაპის მანიშნებელია, როცა „ჯგუფს უჩნდება შინაგანი რესურსები, განახორციელოს (უკვე ჩამოყალიბებული) იდენტობის საზღვრების ნაწილობრივ გახსნისა და ჩვენ-ჯგუფის ნევრებად სხვების უმტკივნეულოდ მიღების ურთულესი პროცესი.<sup>1</sup>

ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებაში (XI ს.),<sup>2</sup> რომელიც, ჩვენი აზრით, საქართველოს მაშინდელი მდგომარეობისა და სამომავლო განვითარების ლეგიტიმაციის მეტად საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს, გადმოცემულია, თანდათანობით (ბიბლიური დროიდან დაწყებული) როგორ ყალიბდება ქართული ენა სახელმწიფო, მნიგნობრობისა და ლეთისმსახურების ენად.

ლეონტი მროველის თხზულება იდენტობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი კუთხითაა საინტერესო: იგი წარმოადგენს ისტორიული მეხსიერების ფორმირების საინტერესო ნიმუშს. აღიარებულია, რომ ნაციისა და ნაციონალური იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარკერი საერთო მემკვიდრეობაა. საერთო წინაპრები აერთიანებს ნაციის წევრებს. იდენტობის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს ე.წ. ეთნოისტორიული მითები,<sup>3</sup> რომლებიც ამა თუ იმ ერთობას აძლევს წინაპრებთან იდენტიფიცირების საშუალებას და მნიშვნელოვან როლი ენიჭება ჯგუფური ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში.<sup>4</sup> საკუთარი ერთობის ისტორიისადმი ინტერესი ეთნიკური თვითშეგნების კომპონენტია. პიტერ ბერკის სიტყვით, ისტორია სოციალური მეხსიერებაა. სოციალური ჯგუფები განსაზღვრვენ, რა არის დასამახსოვრებელი წარსულიდან და როგორ უნდა იყოს ისინი დამახსოვრებული.<sup>5</sup>

XI-XII საუკუნეები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია საქართველოს ისტორიაში. მიმდინარეობს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი და ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამ პროცესის წარმატება საბოლოოდ გარანტირებული არ არის, ისახება ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს იდეა. ლეონტი მროველის თხზულებაში ჩამოყალიბებულ კონცეფციას უნდა დაესაბუთებინა კავკასიური სამყაროს ერთობა და საქართველოს მმართველთა კურსის საფუძვლიანობა, რომელიც კავკასიის გაერთიანებისკენ იყო მიმართული. სწორედ ეს მიზანმიმართულება ვლინდება წარსულის ფაქტების გადმოცემასა და ინტერპრეტაციაში (მითი წარმოშობის შესახებ – კავკასიელ ხალხთა საერთო წარმომავლობა, ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება მრავალი სხვადასხვა ხალხის მონაწილეობით, ურთიერთობა მეზობლებ-

<sup>1</sup> ჩხარტიშვილი მ. ქართული იდენტობის მთავარი მარკერი. – საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბ., 2005, გვ. 238.

<sup>2</sup> ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. – ქართლის ცხოვრება, I. თბ., 1955.

<sup>3</sup> ტერმინი „მითი“, როგორც ვ. შნირელმანი მიუთითებს, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მათში გადმოცემული მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია (Шнирельман В. А. Миф о прошлом и национализм. [http://semitology.lugovysa.net/elephanths/myth\\_of\\_past.htm](http://semitology.lugovysa.net/elephanths/myth_of_past.htm))

<sup>4</sup> Smith A. D. Ethnic Origins of Nations. Oxford: Blackwell, 1986.

<sup>5</sup> P. Burke, History as Social Memory. History, Culture and the Mind, Edited by T. Butler, New York 1980, p. 97.

თან, ქართული ენის ჩამოყალიბება და სახელმწიფო სტატუსით აღჭურვა, დამწერლობის შექმნა, წარმართული ღვთაებანი და ქრისტიანიზაცია).

ისტორიული მესხიერების მიზანმიმართული ფორმირების მცდელობაზე მიგვანიშნებს ამავე პერიოდის ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ზოგიერთი ნიმუშიც. ავტორები თავად აღნიშნავენ თავიანთი შრომის მიზანს – უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შენახვასა და გადაცემას შთამომავლებისათვის: „დაინეროს... და დაიდვას ... ნმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსახსენებლად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩვენსა“;<sup>1</sup> „სახილველად მომავალთა ნათესავთა“;<sup>2</sup> „...ქვეყანასა მას ქართლისასა დაშქირდეს მისთვის, ... ვიდრე ნათესავით ნათესავამდე უკუნი-სამდე მოთხრობად ყოველთა“;<sup>3</sup> „არა დავიწყებულ იქმნას და კვალად შემდგომად ჩვენსა მომავალნი ესევითარსავე ჭირსა არა შთაცვივენ“;<sup>4</sup> „მიუთხრობდენ მამანი მათნი შვილთა თვისთა“.<sup>5</sup> და კიდევ ერთი საყურადღებო ახსნა იმისა, თუ რისთვის იღვნიან ავტორები: „ვინაითგან სიგრძე ჟამთა ყოველსავე დავიწყებად მოიღებს“.<sup>6</sup>

საყურადღებოა ისიც, რომ ქართველი მოღვაწენი ცდილობდნენ ბიზანტიის გავლენის ლიმიტაციას. საერო ხელისუფლის, გუარამ მამფალის კითხვაზე – „ნმიდანო ღმრთისანო, უკეთუ ქვეყანისა ჩვენის ერისკაცი ვინმე ნიგნთა საღმრთოთა მეცნიერი და ენათაცა წურთილი მიინიოს იერუსალემად, ანუ სხვათა ნმიდათა ადგლთა და იხილოს რაიმე კეთილი წესი, რომელ ქრისტიანობასა შევნოდის და ჩვენ შორის არა იყოს, გინათუ ნიგნთაგან ნმიდათა გულისხმა-ყოს და თავით თვისით ერსა უსწავლელსა აუნყებდეს, კეთილ არსა ანუ არა?“ – ბერების პასუხი ასეთია: „წერილ არს: „ტვირთი განწესებული ეყოფინ ნავსა: უკეთუ დაუძიძიო, დაინთქას და, უკეთუ სუბუქად იყოს, ქართა და ღელვათა წარიტაცონ“. ეგრეცა ტვირთი შჯულისა და წესი ქრისტიანობისა რომელი ან ქვეყანასა ჩვენსა უპყრიეს, ფრიად კეთილ არს და ღმერთი დაჯერებულ არს და ამისთვის ჩვენ ვართ თავს-მდებნი“.<sup>7</sup>

დაბოლოს, ჩვენ მიერ განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

---

<sup>1</sup> *იოანე სამანისძე*. ნამება ნმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტიანისა ჰაბოისი. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978, გვ. 57.

<sup>2</sup> *გიორგი მცირე*. ცხორება და მოქალაქეობა გიორგი მთაწმინდელისა. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978, გვ. 294.

<sup>3</sup> *გიორგი მერჩულე*. შრომა და მოღვაწეობა გრიგოლისი. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978, გვ. 126.

<sup>4</sup> *გიორგი მთაწმინდელი*. ცხორება იოანესი და ეფთვიმესი. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978, გვ. 264.

<sup>5</sup> *გიორგი მცირე*. ცხორება და მოქალაქეობა გიორგი მთაწმინდელისა. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978, გვ. 271.

<sup>6</sup> *გიორგი მთაწმინდელი*. ცხორება იოანესი და ეფთვიმესი. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978, გვ. 262.

<sup>7</sup> *გიორგი მერჩულე*. შრომა და მოღვაწეობა გრიგოლისი. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978, გვ. 180.

• ადრეულ შუა საუკუნეებში ქართველთა კულტურული თვითიდენტიფიკაციის საფუძველი ბიზანტიურ სივრცესთან მიმართების განსაზღვრა იყო; ამ სივრცეში ისინი საკუთარ თავს ამ დიდი „ჩვენ-ჯგუფის“ ნაწილად („განაპირად“, „ყურედ“) განიხილავდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ აღმოსავლური მახდენური და შემდეგ მუსლიმური პოლიტიკური და კულტურული სივრცე მათ მიერ აღიქმებოდა როგორც „უცხო“, „სხვა“: „უმეცარი სარწმუნოებისაგან ჩვენისა, უცხო უცხოითა სჯულითა“, „აღვერიენით ერსა, უცხოსა სჯულითა, განდგომილსა ქრისტიანსაგან, ნათესავსა საწუთროისა ამის მოყვარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩვენისა მაგინებელთა“ (იოანე საბანისძე).

• ამგვარი იდენტიფიკაციის საფუძველი, პირველ რიგში, რელიგიაა: „ვინანი ხართ, ანუ რომელი რჩული გიპყრიენ?“ „მამა ჩემი მოგვ იყო“, „მამულსაღა ზედა რჩულსა ვიყენით, სპარსთა რჩული ვიცოდეთ“, „ძე მოგვისა ... და წარმართი იყო იგი“ („ევესტათი მცხეთელის წამება“); „რომლითა სჯულითა ცხონდებოდე?“ „ბუნებით სარკინოზ, შობილი მას შინა მამულად და დედულად; განსწავლულ ვიყავ შჯულითა მათ მაჰმედისითა“ (იოანე საბანისძე); თუმცა ეთნიკური კუთვნილებაც არაერთხელაა აღნიშნული: „ესე ნაშობი იყო აბრამეანი, ძეთაგან ისმელითა, ტომისაგან სარკინოზთაისთა და ყოვლადვე არაბიელთა თესლი“ (იოანე საბანისძე); „ესე ნეტარი მამა ჩვენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი“ (გიორგი მთაწმინდელი); „ესე წმიდა მამა ჩვენი გიორგი იყო ნათესავით ქართველი“ (გიორგი მცირე); „ესე წმიდაი ჩვენი ილარიონ იყო ნათესავით ქართველი“ („ილარიონ ქართველის ცხოვრება“).

• ბიზანტიურ კულტურულ სივრცესთან თვითიდენტიფიკაციის პარალელურად, ქართველები ცდილობენ ბიზანტიელთაგან საკუთარი განსხვავებულობის ხაზგასმას, ამ სივრცეში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოლექტიური იდენტობის ისეთ მარკერებს, როგორიცაა ენა, საერთო წარსული და მემკვიდრეობა. ქართულ წერილობით წყაროებში ჩანს ბიზანტიის კულტურული გავლენის ლიმიტაციისა და ისტორიული მესხიერების მიზანმიმართული ფორმირების მცდელობაც.

## ლიტერატურა

1. *ბოდერი ვ.* ფიქრები ქართული ენის წარსულსა და აწმყოზე. – საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბ., 2005. გვ. 53-59.
2. *გამყრელიძე თ.* საქართველო ევროპაა თუ აზია? – „Academia“ (ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი). ტ.1. თბ., 2001. გვ. 3-8.
3. *გიორგი მერჩულე.* შრომა და მოღვაწეობა გრიგოლისი. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978. გვ. 125-222.
4. *გიორგი მთაწმინდელი.* ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978. გვ. 222-270.
5. *გიორგი მცირე.* ცხოვრება და მოქალაქეობა გიორგი მთაწმინდელისა. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978. გვ. 270-352.

6. ილარიონ ქართველის ცხოვრება. – ძველი ქართული მოთხრობა. თბ., 1979. გვ. 448-460.
7. იოანე საბანისძე. ნამებია წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოისი. – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1978. გვ. 57-86.
8. კაკიტელაშვილი ქ. კულტურული პროცესების მართვა V-XI საუკუნეების აგიოგრაფიული ტექსტების მიხედვით. – „ცივილიზაციური ძიებანი“. თბ., 2005. გვ. 13-30.
9. კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ., 1980.
10. ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბ., 1955.
11. პატარიძე ლ. ქართული იდენტობა (ისტორიული ხედვის პრობლემები). – საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბ., 2005. გვ. 217-226.
12. სმითი ე.დ. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა. თბ., 2004.
13. ქართული მჭევრმეტყველება. ძეგლები და მასალები. შუკრიბა, ნარკვევი წაუმძლვარა და საძიებლები დაურთო ნ. კანდელაკმა. თბ., 1958 გვ. 111-114.
14. ჩხარტიშვილი მ. ქართული იდენტობის მთავარი მარკერი. – საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბ., 2005. გვ. 227-241.
15. ჩხარტიშვილი მ. წმიდა მამა გიორგი მთაწმინდელი და ქართული იდენტობის სამაგები XI საუკუნეში. – კრებ.: ქართული წყაროთმცოდნეობა. XI. თბ., 2006. გვ. 87-101.
16. ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955.
17. P. Burke, History as Social Memory. History, Culture and the Mind, Edited by T. Butler, New York 1980.
18. Brubaker R. and Cooper F. Beyond "Identity. www.ceu.hu/nation/classics
19. Smith A.D. Ethnic Origins of Nations. Oxford: Blackwell, 1986.
20. Хобсбаум Э. Нации и национализм после 1780 г. СПб.. 1998, с.18.
21. Шнирельман В.А. Миф о прошлом и национализм. [http://semitology.lugovsa.net/elephants/myth\\_of\\_past.htm](http://semitology.lugovsa.net/elephants/myth_of_past.htm)

NINO CHIKOVANI

## ETHNIC AND RELIGIOUS FACTORS IN THE PROCESS OF GEORGIANS' SELF-IDENTIFICATION (HISTORICAL PERSPECTIVE)

### Summary

THE problem of identity has become the subject of interest of different scientific disciplines during the last several decades. Nowadays, the term "identity" is the most widespread concept in social and humanitarian sciences. Various experiences and types of unity, connectedness, self-estimation and self-identification are conceptualized in it.

The main topic of the paper is cultural identity which serves as a basis for ethnic and national identities. Our analysis deals with the role of ethnic and religious factors in the cultural

self-identification of Georgians in the early Middle Ages – the period when, according to the historical sources, the problem of self-determination seems to be fully reflected. As the current researches have revealed, we can talk about the management of cultural processes in the 5<sup>th</sup> - 10<sup>th</sup> centuries.

The analysed materials and sources can serve as a basis for the following conclusions:

- In the Early Middle Ages cultural self-identification of Georgians was determined by the definition of their correlation with the Byzantine space. Georgians considered themselves as the *edge* (thus forming the part) of this vast unit. The Eastern political and cultural space of fire-worshippers and later of Muslims was seen as "alien" and "different".
- Religion serves as the main basis for identification, although the ethnic affiliation is stressed quite frequently.
- While striving for self-identification with Byzantine cultural space, Georgians aspire towards stressing their difference from Byzantines, aiming at finding their own place in the space. In this respect, language, common, past and heritage were the most important markers of collective identity. Various attempts of limitation of Byzantine cultural influence and purposed formation of historical memory are also depicted in the Georgian written sources.

## მარიამ ლორთქიფანიძე და ქართული ეთნოგრაფია

დღეს თუ უფლებას ვაძლევ თავს გამოვთქვა ჩემი დამოკიდებულება ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის მოღვაწეობის შესაფასებლად და ერთი შტრიხი შევმატო მის მდიდარ ბიოგრაფიას, მხოლოდ ერთი მოკრძალებული სურვილის გამო, რათა ჩვენი მადლიერება შეუერთო მისდამი საერთო მადლიერების გრძნობას ქართული ეთნოგრაფიის მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. იგი იმ რჩეულ მოღვაწეთაგან ერთ-ერთია, რომელთაც მუდამ ესმოდათ და მხარს უჭერდნენ ქართული ეროვნული ტრადიციული კულტურის შემსწავლელი დარგის აღორძინება-განვითარებას, რომელსაც ბედმა მძიმე ჯვრის ზიდვა არგუნა.

მარიამ ლორთქიფანიძის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველოლოგიურ მეცნიერებასთან. ყველგან, სადაც უჭირს მეცნიერებას, მსხნელად თუ იმედად მარიამ ლორთქიფანიძე გვევლინება. ამიტომაც იქცა იგი თაობებისათვის საამაყო და მისაბაძად ანალიტიკური აზროვნებით, პრინციპული, უკომპრომისო დისკუსიების წარმართვის უნარით, არაჩვეულებრივი ორატორული ნიჭით და მასთან შერწყმული კეთილშობილური თვისებებით. მისგან ვერ გაიგებთ ფუჭ, მაღალფარდოვან სიტყვებს, ყოველი გამოსვლა ეფუძნება მართალ და სწორ პოზიციას და როდესაც საქმე მოითხოვდა, არასოდეს დაუთმია მოქალაქეობრივი და მეცნიერული პრინციპები. მარიამ ლორთქიფანიძე ყოველთვის წინ იდგა საქართველოს ისტორიის, ქართული ენის და კიდევ რამდენი ერისათვის საჭირობოროტო პრობლემის გადანყვეტიასას. მან შეძლო ქვეყნისათვის უმძიმეს პირობებშიც შეენარჩუნებინა ზნეობრივი ღირებულებები, სულიერი სიმაღლე, გრძნობა მოვალეობისა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. იშვიათად ღირსებია თანამედროვეობისაგან მეცნიერს ისეთი პატივისცემა და სიყვარული, როგორც მარიამ ლორთქიფანიძეს.

სადღეისოდ სათანადოდაა შეფასებული მ. ლორთქიფანიძის შემოქმედების მრავალმხრივობა, მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ნაღვანი, მაგრამ მთლიანად გამოვლენილი არ უნდა იყოს მის მიერ ცალკეულ სფეროში ჩატარებული მუშაობის სიღრმე, კერძოდ შემოქმედებითი ურთიერთობა ქართული ეთნოგრაფიასთან.

მ. ლორთქიფანიძე ახლო იდგა ეთნოგრაფიულ მეცნიერებასთან და ეს არაა შემთხვევითი. ივ. ჯავახიშვილის იდეებზე გაზრდილი, ს. ჯანაშიას ერთგული მოწაფე თავიდანვე აღიზარდა იმ კონცეფციაზე, რომ ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში „ეთნოგრაფიული პირველწყაროები ახალ და მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა უძველესი კულტურულ-ისტორიული მოვლენების ასახსნელად“. ამ კონცეფციის შუქზე შესწავლილი და გადანყვეტილი პრობლემა ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შესახებ ძირითადად ქართულ ეროვნულ წყაროებს ემყარება.

მ. ლორთქიფანიძეს ბრწყინვალედ ესმის ეთნოგრაფიული წყაროს ისტორიული მნიშვნელობა და მისი როლი საქართველოს ისტორიაში. თავის ნაშრომებში იგი საქართველოს ისტორიას განიხილავს ხალხის ყოფითი კულტურის მოვლენებთან კავშირში.

ახლახან გამოქვეყნებულ მის საყურადღებო წერილში „რამ გადაგვარჩინა“, ახლებურადაა გააზრებული და შეფასებული საქართველოს ისტორიის ის მნიშვნელოვანი ეტაპები, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ქვეყნის გადარჩენის საქმეში. აქ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და ეკოლოგიური პირობების დახასიათებისას სათანადო ადგილი აქვს მინიჭებული ქართველი ხალხის ეთნოკულტურას; შეფასებულია ტრადიციული კულტურა, ზნეობრივ-მორალური ნორმები და სამეურნეო-კულტურული მიღწევები, რომელსაც განიხილავს არა მარტო როგორც ისტორიულსა და ტრადიციულს, არამედ როგორც თანამედროვეობისა და მომავალი განვითარების საფუძველს.

ქალბატონ მარიამის მეცნიერული მუშაობის კრედო – მკაცრი მოქალაქეობრივი და მეცნიერული პრინციპების დაცვაა და დღემდე არ უღალატია მისთვის. ამიტომაც არა მარტო მეცნიერული ინტერესით, არამედ დარგის განვითარების სურვილითაც ყოველთვის იყო ეთნოგრაფიის წარმატებების გამოზიარებელი და საჭიროებისამებრ მისი ავტორიტეტის დამცველიც. მან ბრწყინვალე სამეცნიერო წერილები მიუძღვნა ვ. ბარდაველიძის, გ. ჩიტაიას, რ. ხარაძის, ალ. რობაქიძის და სხვათა შემოქმედებას, გამოავლინა მათი ღვაწლი კულტურულ-ისტორიული ღირებულებების თვალსაზრისით. მისი გამოსვლები ეთნოგრაფიულ სამეცნიერო თუ სტუდენტთა კონფერენციებზე, დისერტაციების ოპონირებისას გამოირჩეოდა ქართველოლოგისა და ისტორიკოსის ფართო თვალსაზიერით და კულტურის ისტორიის ღრმა ცოდნით. მაგონდება, მისი სურვილები ეთნოგრაფთა ნაშრომების მიმართ, შეეხებოდა უპირველესად პრობლემის აქტუალიზაციას, ეთნოგრაფიული წყაროს კულტურულ-გენეტიკური ღირებულების დადგენას და ა.შ.

ეთნოგრაფიასთან მის მუდმივ და უცვლელ სიახლოვეზე მეტყველებდა ქალბატონ მარიამის ურთიერთობა გიორგი ჩიტაიასთან. იმ მრავალწლიან მუშაობაში, რომელსაც ეთნოგრაფიის დარგის დაფუძნებისათვის ენეოდა გიორგი ჩიტაია, ბოლომდე ერთგულად მხარში ედგა, არ შეუშინდა შურის, დამბეზღებლის ზეობას და თავისი პირდაპირი, სწორი პოზიციის დაცვით პირნათლად მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი ეთნოგრაფიის მეცნიერების წინაშე; ქალბატონი მარიამი ყოველთვის გ. ჩიტაიას გვერდით იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეროვნული კათედრის ცალკე დაარსებისათვის ბრძოლაში, რომელიც ოცი წლის მანძილზე მიმდინარეობდა; წლების მანძილზე იყო ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ენეოდა ეთნოგრაფიის პოპულარიზაციას ცალკეულ კონგრესებზე, სიმპოზიუმებსა თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის სხდომებზე.

გ. ჩიტაიას სიცოცხლის ბოლო წლებში, როდესაც ხანდაზმულ მეცნიერს გაუჭირდა მოზღვავებული უარყოფითი ტალღის მოგერიება, კვლავ მის გვერდით მტკიცედ დადგა მარიამ ლორთქიფანიძე. გ. ჩიტაია არაჩვეულებრივად მაღლიერი

იყო ამ ფაქტით, რაც გამოიხატა კიდევ თავის უკანასკნელ, გამოსათხოვარ წერილში. "ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბევრი გაჭირვება მინახავს, მაგრამ, არ მალაატობდა ბედი, გვერდში მედგნენ კეთილშობილი ადამიანები. არ შემოძლია არ გავიხსენო დღეს მარიამ ლორთქიფანიძე – მართალი, პირდაპირი, კარგი მეცნიერი, ბრწყინვალე ორატორი, სამი შვილის აღმზრდელი დედა. მარიამი სულ მხარში მედგა უღალატოდ. მე ძალიან ვაფასებ ადამიანში სიკეთის დანახვის უნარს. აი, ეს ძალიან არის მასში გამოხატული და კარგადაც გამოავლინა თავის აღმზრდელ მასწავლებელთა მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შორის არაერთხელ უცდიათ [შურობა], ერთხელაც არ უგრძობინებია, ყველაზე მეტი გაჭირვების უამს მუდამ ჩემ გვერდით იდგა. გადაეცით ჩემი უკანასკნელი სამადლობელი. ღმერთმა სულ ღირსეულად ატაროს წინსვლის გზაზე (1986 წ., გ. ჩიტაია, შრომები, ტ. V, 2000).

სწორედ ეს, ურთიერთთანადგომის, პატივისცემის თვისება გამოარჩედა ჩვენს ეროვნულ ინტელიგენციას, ანიჭებდა მათ უბრალოებასა და კეთილშობილებას. სწორედ ეს თვისებები არის ქალბატონ მარიამის ეროვნულობის, დიდი ავტორიტეტის საფუძველი.

ძალზე ძნელია ასეთ მცირე დროში, ამ პატარა წერილში მეტ-ნაკლები სისავსით აღწერო ის მოქალაქეობრივი მოვალეობა, რომელიც ქალბატონმა მარიამმა შეასრულა ქართველოლოგიური მეცნიერების წინაშე. მისი მრწამსი შეუვალია, იგი დღემდე ქართული ეთნოგრაფიის გულშემმატიკივარია.

### **მიწაწერა**

როდესაც ამ წერილზე ვმუშაობდი, თავისდაუნებურად ამომიტივტივდა ერთი ხალხური ბრძნული გამოთქმა:

„კარგი ქენი, ქვას დადევნი,  
გაივლი და წინ დაგხვდება“.

რაც სავსებით შეეფერება ქალბატონ მარიამის მოღვაწეობას, იმ ამაგს, რაც უშურველად და უანგაროდ გასწია ეთნოგრაფიის განვითარებისათვის საქართველოში.

**TAMILA TSAGAREISHVILI**

## **MARIAM LORDKIPANIDZE AND GEORGIAN ETHNOGRAPHY Summary**

THE name of academician Mariam Lordkipanidze is closely connected with Kartvelological sciences and among them with ethnography. In her works she discusses the history of Georgia in connection with monuments of material and daily culture. An important role is given to the ethnical culture of the Georgian people; the equivalent estimation is given to traditional culture, to moral norms and agricultural achievements. She discusses them not only from historical and traditional point of view, but as a background of modern and future development. On her close relations with ethnography bespeaks her attitude towards the founder of the Georgian ethnographic school G. Chitaia. They cooperated with each other for many years.

აქემენიანთა პირველი მგრძანებელი კიროსი  
და „ქართლის ცხოვრების“ ნაბროთი

ისტორიოგრაფიაში ითვლება, რომ კიროსი (აქემენიანთა პირველი შაჰი) შუა აზიაში მდ. ამუ-დარიზე (ოქსოსი) სკვითურ ტომებთან, მასაგეტებთან (თუ საკებთან, თუ ორივესთან ერთად) ბრძოლისას დაიღუპა. ანტიკური ხანის ისტორიკოსებიდან, რომლებიც ამ ბრძოლის შესახებ მოგვითხრობენ, ყველაზე ადრინდელი ჰეროდოტეა. მისი ინფორმაციის ანალიზით კი განსხვავებულ და ფრიად საინტერესო დასკვნამდე მივდივართ. განვიხილოთ ეს ინფორმაციები.

„როდესაც კიროსმა ხალხი დაიმორჩილა, მოინდომა, რომ მასაგეტები თავის ქვეშევრდომებად გაეხადა. ამბობენ, რომ ეს ხალხი მრავალრიცხოვანია და მამაცი, ხოლო სახლობენ ისინი აღმოსავლეთისაკენ, მზის აღმოსავლისაკენ, მდინარე არაქსის გადაღმა, ისეღონელთა პირდაპირ. ზოგიერთები ამბობენ, რომ მასაგეტთა ტომი სკვითური ტომიაო“.<sup>1</sup>

„ზღვას, კასპიისად ნოდებულს, დასავლეთის მხრივ კავკასოსი ესაზღვრება, ხოლო აღმოსავლეთით, საიდანაც მზე ამოდის, თვალუნდენელი დაბლობი ეკვრის. ამ დიდი დაბლობის არამცირედი ნაწილი უჭირავთ მასაგეტებს, რომლებზედაც კიროსს განზრახვა ჰქონდა ელაშქრა“.<sup>2</sup>

დღევანდელი გაგებით, კასპიის ზღვის აღმოსავლეთი, რა თქმა უნდა, ყაზახეთი და თურქმენეთია, ასეთ შემთხვევაში გამოთქმაში – „არაქსის გადაღმა“, მდ. არაქსი ამუ-დარიად (ოქსოსი) უნდა მივიჩნიოთ და მის გადაღმა მცხოვრები მასაგატები კი სადღაც ამუ-დარიის ან სულაც სირდარიის მიდამოებში უნდა მოვიაზროთ. როგორც ჩანს, სწორედ ჰეროდოტეს თხზულების აღნიშნულმა ადგილმა დაუდო სათავე თვალსაზრისს, რომ კიროსმა მასაგეტებთან თავისი საბედისწერო ომი და ბოლო ბრძოლა მდ. ამუ-დარიასთან (ოქსოსი) გადაიხადა. ეს თვალსაზრისი მით უფრო განმტკიცდა ელინისტურ და რომაულ პერიოდში, ვინაიდან, თუ ჰეროდოტესა და კიროსის ხანაში მასაგატები და სხვა სკვითური ტომები (საკები ...) მრავლად სახლობდნენ საკუთრივ სამხრეთ კავკასიაშიც, მოგვიანებით, უკვე ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შემდგომ ხანაში, სკვითები მხოლოდ კავკასიის ჩრდილოეთითა და შუა აზიის სტეპებში ჩანან, ხოლო სამხრეთ კავკასიაში ნაკლებად. თუმცა აღსანიშნავია, რომ გვიან ანტიკურ ხანაშიც კი (ახ. წ. I-III სს.) მასაგეტებს, იმავე მასკუტებს ჯერ კიდევ ვრცელი სამეფო ჰქონდათ კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე (დღევანდელი დაღესტნისა და აზერბაიჯანის აღმოსავლეთი ნაწილი) და ამის შესახებ ანტიკური ხანის არაერთი წყარო (მათ შორის სომხურიც) გვამცნობს.

მინც როგორც ესმოდა თვით ჰეროდოტეს, სად ცხოვრობდნენ ის მასაგეტები, რომლებმაც ომი გადაიხადეს აქემენიან კიროსთან? ამისათვის საჭიროა დანვრებით განვიხილოთ ჰეროდოტესეული გეოგრაფია.

უპირველეს ყოვლისა, რას შეიძლება ნიშნავდეს კასპიის ზღვასთან მიმართებაში ჰეროდოტეს დასავლეთი და აღმოსავლეთი? ჰეროდოტესა და ზოგადად ძველი ბერძენების ნარმოდგენით, მათთვის ცნობილი ხმელეთი გარშემორტყმული იყო ოკეანით, რომელსაც ისინი პირობითად ჰყოფდნენ ორ, ჩრდილოეთის, იმავე ატლანტიის და სამხრეთის ზღვებად, „სამხრეთის ზღვას“ ჰეროდოტე „მენამულის ზღვასაც“ უწოდებს. მენამული ზღვა, ფაქტობრივად, უდრის ინდოეთის ოკეანეს, რომლის უბეებადაა გააზრებული არაბეთის ზღვა, სპარსეთის ყურითა და ნითელი ზღვით. ამგვარად, სპარსეთის ყურე ჰეროდოტესათვის მენამული ზღვაა, ანუ იმ ოკეანის ნაწილია, რომელიც მისთვის ცნობილ ხმელეთს გარს უვლის: „... მდინარე, რომელსაც სახელად ჰქვია ევფრატესი, ხოლო მოედინება ის არმენიელთაგან; დიდია, ღრმა, სწრაფი და ერთვის მენამულ ზღვას.

*„...ტიგრესი კი ქალაქ ოპისთან მიმდინარეობს და ერთვის მენამულ ზღვას.“<sup>3</sup>*

ჩრდილოეთის ზღვა, ანუ ატლანტიის შემოდიოდა ხმელეთის შიგნით დღევანდელი გიბრალტარის სრუტით (ჰერაკლეს სტელები) და ქმნიდა „ბერძენთა (ჩვენ) ზღვას“, ან „შიდა ზღვას“ (ხმელთაშუა ზღვას), თავისი უბე-ზღვებით: პროპონტიდა (მარმარილოს), ექესინის პონტო (შავი ზღვა) და მაფეტისის ტბა: (აზოვის ზღვა). „სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც უწოდებენ მენამულს. ამით ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელების ზემოთ სასპირები, სასპირების ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდ. ფაზისი“.<sup>4</sup> ამდენად, აქ შავ ზღვას ჩრდილოეთის ზღვა თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო კი არ ეწოდება, არამედ იმიტომ, რომ ის ზოგადად „ჩრდილოეთის ზღვის“, როგორც ერთიანი ოკეანის, ნაწილია. ამ თვალსაზრისით, ერთნაირად ჩრდილოეთის ზღვებია ხმელთაშუა ზღვაც და შავი ზღვაც. ასევე, მენამული ზღვაც აქ ზოგადად სამხრეთის ზღვას ანუ დღევანდელ არაბეთის ზღვას ნიშნავს, რომლის ნაწილია უკვე მენამული ზღვა, როგორც სპარსეთის ყურე.

ჰეროდოტესათვის კასპიის ზღვა ტბაა, უფრო ზუსტად, ის გარშემოსაზღვრულია ხმელეთით და არა ჩრდილოეთის ზღვის ნაწილი, როგორც ეს ბევრად უფრო გვიან სტრაბონს ნარმოუდგენია<sup>5</sup>, მაგრამ მის სიგრძეზე მას საკმაოდ ბუნდოვანი ნარმოდგენა აქვს.

*„... კასპიის ზღვა დამოუკიდებელია, არ უერთდება სხვა ზღვას, ხოლო მთელი ის ზღვა, რომელზედაც ელინები ცურავენ და ის, რომელიც ჰერაკლეს სვეტებს გარეთაა (ატლანტიისად რომ იწოდება) და მენამული ზღვა, არსებითად ერთია; I. 203 ... მისი (კასპიის ზღვის – მ. ს.) სიგრძის გადალაზგვას ნიჩბიანი ნავი უნდება 15 დღეს, სიგანისა კი, სადაც ის ყველაზე უფრო ფართოა, 8 დღეს“<sup>6</sup>*

სრულიად აშკარაა, რომ ჰეროდოტეს ნარმოდგენით, კასპიის ზღვის სიგრძე მისი ყველაზე ფართო ნაწილის გაორმაგებაზე მოკლეა. კასპიის ზღვის სიგრძე აშუა-

მად 1200 კმ.-ია, შესაძლოა ის ჰეროდოტეს პერიოდში მეტიც კი იყო. სიგანე კი 320 კმ. ნიზბიანი ნავი ანტიკურ ხანაში დაახლოებით დღეში 30-40 კმ.-ს გადიოდა. აქ ჰეროდოტეს, როგორც ჩანს, 40 კმ. აქვს ნავარაუდები. მართლაც, ასეთი სიჩქარით მოძრაობის შემთხვევაში, 8 დღეში მეზღვაურები 320 კმ. დაფარავდნენ, 15 დღეში კი დაახლოებით 600 კმ.-ს ამგვარად, აშკარაა, რომ ჰეროდოტეს წარმოდგენით კასპიის ზღვა მისი ამჟამინდელი სიგრძის დაახლოებით ნახევარი იყო. რაც იმას ნიშნავს, რომ კასპიის ზღვა მისთვის კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებთან, სადღაც დერბენდთან, თავდებოდა.

ყოველივე ამის შემდეგ გავარკვიოთ, როგორია ჰეროდოტესათვის მის ირგვლივ მყოფი მსოფლიოს გეოგრაფიული აღქმა. ის აღნიშნავს: „... ესაა აზიის სამფლობელოები, რომლებიც მდებარეობენ სპარსელებისაგან დასავლეთით, ხოლო სპარსელების, მიდიელების, სასპერიების და კოლხების ზემოთ აღმოსავლეთისაკენ და მზის აღმოსავლისაკენ, აი აქ მდებარეობს მენამული ზღვა, ხოლო ჩრდილოეთისაკენ არის კასპიის ზღვა და მდინარე არაქსი, რომელიც მიედინება მზის აღმოსავლისკენ“.<sup>7</sup>

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, ესაა მსოფლიოს გეოგრაფიული აღქმა იმ ადამიანის მხრიდან, რომლისთვისაც ჩრდილოეთი და, შესაბამისად, აღმოსავლეთ-დასავლეთი კასპიის ზღვასთან მიმართებაში ფრიად განსხვავდება დღევანდელი წარმოდგენისაგან. ის უყურებს კასპიის ზღვას და მას თვლის ჩრდილოეთად, ამ ზღვას დასავლეთის მხრიდან ეკვრის კავკასიონი და აზიის უკიდურეს დასავლეთში სახლობენ კოლხები. ამის საპირისპიროდ, აღმოსავლეთის მიმართულებით უკიდურეს ნერტილს სპარსეთის ყურე (მენამული ზღვა) წარმოადგენს.

ყოველივე ეს „მდ. არაქსის გადაღმა მცხოვრები“ მასაგეტების საცხოვრისის სულ სხვანაირად ლოკალიზების საშუალებას იძლევა: დაახლოებით კასპიის ზღვის სამხრეთ დასავლეთი, ისტორიული ატროპატაკანი.

იმის გასარკვევად, თუ სად გადაიხადა კიროსმა ომი მასაგეტებთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია განსაზღვრა, თუ რომელი მდინარე იგულისხმება მდ. არაქსის სახელწოდებაში? გარდა ზემოთ მოყვანილი ტექსტისა (I. 201), არაქსი ჰეროდოტესთან შემდეგ კონტექსტებში მოიხსენიება:

„ხოლო არაქსის შესახებ ზოგი ამბობს, რომ დიდია ისტროსზე, ზოგი კი ამბობს, რომ უფრო პატარააო. ამბობენ, რომ აქ ბევრი კუნძულებია, სიდიდით ლესბოსის ოდენა. .... ხოლო მდინარე არაქსი მომდინარეობს მატეინთაგან (საიდანაც მოედინება გინდესიც) ... მას აქვს 40 შესართავი, ამათგან ყველა, ერთს გარდა, იკარგება ქაობებში... არაქსის შესართავთაგან ერთი მიმდინარეობს გაშლილ ადგილებზე კასპიის ზღვისაკენ“.<sup>8</sup>

„.... კიროსი, ამის შემდეგ, რაკილა არ გაუვიდა ეშმაკობა, ნავიდა არაქსისაკენ და აშკარად გაილაშქრა მასაგეტების წინააღმდეგ, ხიდები გასდო მდინარეზე ლაშქრის გადასასვლელად და კომკები ააგო ხომალდებზე, რომელთაც მდინარეზე გაჰყვდათ ჯარი“.<sup>9</sup>

„როდესაც კიროსი გადავიდა არაქსის მეორე ნაპირას და დადგა ღამე, მან, მასაგეტების ქვეყანაში რომ ეძინა, ასეთი სიზმარი ნახა“ ... „კიროსი წავიდა არაქსიდან ნინ ერთი დღის სავალ გზაზე და გააკეთა ის, რაც კროფსოსმა ურჩია. ამის შემდეგ კიროსი და სპარსელთა ჯარის ვარგისი ნაწილი უკან გაბრუნდა არაქსისაკენ, ხოლო გამოუსადეგარი ნაწილი ადგილზე დარჩა“.<sup>10</sup>

„მასაგეტები.....არაფერს თესენ, საზრდოობენ შინაური ცხოველებითა და თევზით, ხოლო თევზი უხვად მოიპოვება მდინარე არაქსში“.<sup>11</sup>

გაბრაზებული კამბისე, კიროსის ფაუი, ეუბნება კროფსოსს: „შენ მიბედავ რჩევა-დარიგებას, შენ, რომელმაც ასე კარგად მოუარე შენს სამშობლოს და ასე კარგად ურჩიე ჩემს მამას: გადადი მდინარე არაქსზე და თავს დაესხი მასაგეტებსო?“<sup>12</sup>

„.... მდინარე არაქსი, რომელიც მიედინება მზის აღმოსავლისკენ“.<sup>13</sup>

„ მომთაბარე სკვითები ცხოვრობენ აზიაში. ომში მასაგეტების მიერ შევიწროვებულებმა, გადაიარეს მდ. არაქსი და მივიდნენ კიშირიელების ქვეყანაში (რადგან ეს ქვეყანა, სადაც ახლა სკვითები ცხოვრობენ, ამბობენ კიშირიელებისა იყო-ვო).“<sup>14</sup> „.... კიშირიელები სულ ზღვის გასწვრივ გარბოდნენ, ხოლო სკვითებს კავკასოსო მარჯვნივ ჰქონდათ, ისე მისდევდნენ“.<sup>15</sup>

თ. ყაუხჩიშვილი, რომელსაც ჰეროდოტეს ტექსტის ქართული თარგმანი ეკუთვნის, არაქსს, საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ამუ-დარიასთან და სირდარიასთან აიგივებს და მხოლოდ ერთ შემთხვევაში უშვებს, ისიც ვარაუდის სახით, მის თანამედროვე არაქსთან გაიგივების შესაძლებლობას (I. 202), რაც შეეხება ბოლო ორი აბზაცს (IV. 11; IV 12), ის ვარაუდობს, რომ ამ კონტექსტში არაქსი მდ. ვოლგას უნდა ნიშნავდეს<sup>16</sup>.

საქმე ისაა, რომ ჰეროდოტე მდ. ვოლგას არც იცნობდა და არც ვარაუდობდა მის არსებობას. რაც მთავარია, აღნიშნულ ტექსტში (IV. 11; IV 12) სკვითებს, კავკასიის ჩრდილოეთით რომ ემოდრავათ კასპიის ზღვისა და ვოლგის შესართავიდან დასავლეთით აზოვისპირეთისაკენ, კავკასიონის ქედი მარჯვნიდან კი არა მარცხნიდან ექნებოდათ. ისე რომ, აქაც საუბარი იმაზეა, რომ სკვითებმა, რომლებიც, როგორც ჩანს, დარუბანდის გზით შემოვიდნენ სამხრეთ კავკასიაში, არაქსი გადალახეს და შემდგომ უკვე კოლხეთის მიმართულებით მოძრაობდნენ. სკვითებისაგან შევიწროებული კიშირიელები კი ზღვის გასწვრივ ორივე მიმართულებით (როგორც მცირე აზიის სანაპირო ხაზით – სინოპე, ისე ჩრდილო-დასავლეთით კოლხეთი--დნესტრისპირეთის ხაზით) გაქცეულან. რა გვაძლევს ასეთი მტკიცების საფუძველს? უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ტექსტის მხოლოდ ასეთი გაგების შემთხვევაში ყველაფერი ჯდება თავის ადგილას: თუ სკვითები თანამედროვე მდ. არაქსს გადალახავდნენ და შემდეგ შავი ზღვისკენ იმოდრავებდნენ, მათ კავკასიონი მართლაც მარჯვნივ ექნებოდათ. ჩრდილო კავკასიაში იმავე მიმართულებით მოძრაობის შემთხვევაში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ კავკასიონი მარცხნიდან ექნებოდათ. როგორც ვხედავთ, ციტირებულ ადგილებში (IV. 11; IV 12) არაქსი მხოლოდ თანამედროვე არაქსს შეიძლება ნიშნავდეს. განვიხილოთ არაქსის შესახებ ჰეროდოტეს თხზულების ყველა დანარჩენ, ზემოთ მოყვანილ ადგილას დაცული ინფორმა-

ცია. ის შემდეგია: ავტორმა არ იცის დანამდვილებით არაქსი ისტროსზე (დუნაი) დიდია, თუ მცირე. იცის, რომ მდინარეში არის დიდი კუნძულები, მისი სათავეა მატინენთა ქვეყანაში, საიდანაც სათავეს იღებს აგრეთვე მდ. ტიგროსის მარცხნიდან მესამე შესართავი მდ. გინდესი, არაქსს აქვს 40 შესართავი, ამათგან ყველა, ერთის გარდა, იკარგება ჭაობებში; არაქსის შესართავთაგან ერთი მიმდინარეობს გაშლილ ადგილებზე კასპიის ზღვისაკენ. არაქსი მიედინება აღმოსავლეთის მიმართულებით. ყველა აქ მოცემული გეოგრაფიული ნიშნულის ერთი თვალის გადავლენაც კი აშკარად ხდის, რომ ჰეროდოტესმიერი მდ. არაქსი შავ, კასპიის ზღვებსა და სპარსეთის ყურეს შორის მდებარე სივრცეში მოიაზრება და არა ჰინდი ქუშსა და კასპიის ზღვას შორის სივრცეში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, სად მდებარეობს ჰეროდოტესეული მატინენ? ამ ქვეყნის შესახებ ჰეროდოტეს ცნობების ორად დაჯგუფება შეიძლება: პირველი რიგის ცნობებით ის მცირე აზიაში კაპადოკიის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანაა.

„კაპადოკიელები ელინთა მიერ სირიელებად იწოდებიან; ხოლო ეს სირიელები უნინ, ვიდრე სპარსთა მმართველობაში გადავიდოდნენ, მიდიელთა ქვეშევრდომები იყვნენ, ახლა კი კიროსის. მიდიის საგამგებლოსა და ლიდიას შორის საზღვარი იყო მდინარე ჰალისი, რომელიც არმენიის მთებიდან გამოსული კილიკიაზე მოედინება, ხოლო ქვემოთ, მის მარჯნივ სახლობენ მატინენები, მეორე მხარეს კი – ფრიგიელები. ამ ქვეყნებს რომ ჩაუვლის, ჰალისი მიედინება ზემოთ, ჩრდილოეთისაკენ და იქ საზღვრავს სირიის კაპადოკიელებს, რომლებიც მარჯნივ არიან მარცხნივ მოსახლელე პაფლაგონელებისაგან. ამრიგად, მდინარე ჰალისი გამოჰყოფს აზიის თითქმის მთელ ქვეყნთა მხარეს, რომელიც კიპროსის პირდაპირ მდებარე ზღვიდან ექსინის პონტომდე აღწევს. ხოლო ეს არის მთელი ამ ქვეყნის ყელი. ამ გზას მსუბუქად შეიარაღებული კაცი ხუთ დღეს მოუწდება“.<sup>17</sup>

„მატიენებს, სასპურიებსა და ალაროიდებს შეწერილი ჰქონდათ 200 ტალანტი, ესაა მეთვრამეტე სატრაპია“.<sup>18</sup>

„პაფლაგონიელები ლაშქრობდნენ ისე, რომ თაეზე მონწილნი მუზარადები ეხურათ, ... ლიგიები, მატინენები, მარიანდინები და სირიელები ისევე იყვნენ სალაშქროდ მონყობილნი, როგორც პაფლაგონიელები. ამ სირიელებს სპარსელები კაპადოკიელებს უწოდებენ. პაფლაგონიელებსა და მატინენებს დოტოსი განაგებდა ... ხოლო მარიანდინებს, ლიგიელებსა და სირიელებს – გობროსი“.<sup>19</sup>

მეორე რიგის ცნობებით, მატინენე სადღაც ურმიის ტბის სამხრეთით, ისტორიულ ატროპატაკანში მდებარეობს:

„ როდესაც კიროსი მიდიოდა ბაბილონზე, მივიდა მდინარე გინდესთან, ამისი სათავეები არის მატინენთა ქვეყანაში, ხოლო მიედინება ის დარდანელთა მიწანყალზე, ერთვის მეორე მდინარეს, ტიგრესს“.<sup>20</sup>

„ხოლო მდინარე არაქსი მომდინარეობს მატინენთაგან (საიდანაც მოედინება გინდესიც)“.<sup>21</sup>

„ .... იონიელების მეზობლად არიან ლიდიელები, ... ხოლო ლიდიელების აღმოსავლეთით ... არიან ფრიგიელები, ... ფრიგიელების მეზობლად არიან კაპადოკიელები, რომელთაც ჩვენ სირიელებს ვუნოდებ, ... ხოლო ამათ მეზობლად არიან კილიკიელები, რომლებიც აღწევენ ამ ზღვას (იგულისხმება ხმელთშუა ზღვა – მ. ს. ) იქამდე, სადაც მდებარეობს კუნძული კიპროსი. ... კილიკიელების მეზობლად არიან არმენიელები, ... ხოლო არმენიელების მეზობლად არიან მათიენები ... მათ მეზობლად არის კასიის ქვეყანა, რომელშიც მდინარე ქოასპესთან მდებარეობს სუსა, სადაც ცხოვრობს დიდი მეფე“.<sup>22</sup>

„ ... კილიკიისა და არმენიის საზღვარი მოდის სანაოსნო მდინარეზე, რომლის სახელიც არის ევფრატესი. არმენიაში არის 15 დასასვენებელი სადგური ორმოცდათექვსმეტნახევარი ფარსანგის მანძილზე ... ამ ქვეყანაზე მიედინება ოთხი სანაოსნო მდინარე, რომელთა გადაცურვა აუცილებელია: პირველი ტიგრესი, შემდეგ მეორესა და მესამეს ენოდება ძაბატოსი, მაგრამ ეს ერთი და იგივე მდინარე არაა და არც ერთი და იგივე ადგილას არა აქვთ სათავე, რადგანაც პირველი მათგანი არმენიელთაგან მოედინება, ხოლო მეორე მათიენთაგან. ამ მდინარეთაგან მეოთხეს სახელად ჰქვია გინდესი ... ამ არმენიიდან შევდივართ მათიენს ქვეყანაში, აქედან კასიის ქვეყანაში გადავდივართ. აქ 11 სადგურია, სულ 42 ნახევარი ფარსანგი მდინარე ქოასპემდე, რომელიც აგრეთვე სანაოსნოა. ამ მდინარესთან არის აგებული ქალაქი სუსა“.<sup>23</sup>

ჰეროდოტესთან მათიანეს ამ ორი განსხვავებული ლოკალიზაციიდან, რაც, რა თქმა უნდა, მის განსხვავებულ წყაროებზე მიუთითებს, მომდინარეობს, როგორც ჩანს, არაქსის სათავესთან დაკავშირებული შეცდომაც: ერთ წყაროში მას ეძლეოდა მათიენეს პირველი ლოკალიზაცია კაპადოკიის აღმოსავლეთით და იქვე, ალბათ, ნათქვამი იყო, რომ ამ ქვეყნიდან იღებს სათავეს მდ. არაქსი, რაც, მათიენეს ქვეყნის ასეთი ლოკალიზაციის შემთხვევაში, სწორი ინფორმაცია იქნებოდა. მეორე წყაროში კი მას ეძლეოდა ინფორმაცია მათიენეს კასიეს (სუსას ქვეყანა) ჩრდილოეთით მდებარეობისა და ამ ქვეყნიდან ტიგროსის მესამე შენაკადის მდ. გინდესის, ისევე როგორც ორი მდ. ძაბიტოსიდან ერთ-ერთის მომდინარეობის შესახებ. ამგვარად, ჰეროდოტემ ეს ორი ინფორმაცია გააერთიანა და მიიღო, რომ მათიენედან მომდინარეობს როგორც არაქსი, ისე გინდესი. რაც, რა თქმა უნდა, უაზრობაა. ანუ, მათიენე ან კაპადოკიის აღმოსავლეთითაა და ასეთ შემთხვევაში მისი ჩრდილო განაპირა ნაწილიდან გამოდის მდ. არაქსი, ან კიდევ ეს ქვეყანა მდებარეობს სუსას ჩრდილოეთით და მისგან გამოდის ტიგროსის მესამე მარცხენა შენაკადი გინდესი. საინტერესოა, რომ ჰეროდოტეს შემდგომი ხანის ბერძენმა მწერლებმა, როგორც ჩანს, ჰეროდოტეზე დაყრდნობით, უკვე ორი არაქსი გაიაზრეს: ერთი სომხეთში და მეორე სადღაც ურმიის ტბის სამხრეთით, ამიტომ ამ მათთვის ცნობილ „ნამდვილ“ არაქსს, მეორესაგან გამოსარჩევად, „არმენიის რაქსი“ უწოდეს.

მიუხედავად ასეთი აღრევისა, აშკარაა, რომ ჰეროდოტესთან მდ. არაქსი სწორედ ის მდინარეა, რომელსაც დღესაც არაქსი ჰქვია. ოღონდ ჰეროდოტე არ იცნობს მდ. მტკვარს (კოროს/კიროსს), ან მას მიიჩნევს არაქსის შენაკადად (რაც ტიპური

შეცდომაა იქნება ანტიკური ხანის მწერლისათვის) და, შესაბამისად, კასპიის ზღვა-საც მდ. არაქსის უერთებს. ამავ ეკონტექსტში საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ არაქსის დინების მიმართულებაზეც. აქაც უნდა ვაღიაროთ, რომ სრულიად გამორიცხულია მისი ამუ-დარიად გაგება, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში მისი დინება დასავლეთისაკენ ან სამხრეთ-დასავლეთისაკენ (რა თქმა უნდა, იმის დაშვებით, რომ ამუ-დარიას პეროდოტე, ისევე როგორც ბევრი სხვა ანტიკური ავტორი, კასპიის ზღვაში ჩამდინარედ გვიხატავს და არა არალის ზღვაში) იქნებოდა მიმართული და არა აღმოსავლეთისაკენ. როგორც ვხედავთ, აქაც, ისევე როგორც მათიენეთა ქვეყნის ორი სხვადასხვა ლოკალიზაციის შემთხვევაში, პეროდოტე წინააღმდეგობრივ ინფორმაციას იძლევა, თუმცა საკუთრივ მისთვის ეს წინააღმდეგობა შეუძმჩნეველი რჩება: პეროდოტესათვის კასპიის ზღვა ჩრდილოეთია და სპარსეთის ყურე აღმოსავლეთი, მაგრამ იმ ავტორისათვის, საიდანაც ის იღებს ინფორმაციას არაქსის დინების მიმართულების შესახებ (ეს იგივე წყარო უნდა იყოს, ვისთვისაც მათიენეთა ქვეყანა მცირე აზიის „ყელზე“ მდებარეობს), კასპიის ზღვა აღმოსავლეთშია და არაქსიც აღმოსავლეთისაკენ მიედინება. პეროდოტე, როგორც ეს ხშირად ხდება ანტიკურ და შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში, საკუთარი და წყაროს ინფორმაციების გაერთიანებისას ვერ ამჩნევს წარმოქმნილ ანაქრონიზმს.

ამგვარად, პეროდოტეს ინფორმაციების კვლევამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ადგილი, სადაც მოხდა ცნობილი ბრძოლა მასაგეტებსა და კიროსს (საკებსა და კიროსს შორის სტრაბონის მიხედვით) შორის, რომელიც კიროსის დაღუპვით დამთავრდა, იყო ჩრდილოეთ ადარბადაგანი, სადღაც სევანისა და ურმიის ტბებს შორის ტერიტორია. კიროსის მოკვლა ძველი მსოფლიოსათვის სრულიად არაორდინალური მოვლენების რიგს განეკუთვნებოდა და არაა გასაკვირი ის დიდი რეზონანსი, რაც მას მოჰყვა. ეს ამბავი მრავალრიცხოვანი ვერსიის სახით იყო შემორჩენილი ჯერ კიდევ პეროდოტეს პერიოდისათვის. აკი პეროდოტე ამბობს კიდევ: *კიროსის ცხოვრების აღსასრულის შესახებ ბევრ ამბავს მოგვითხრობენ, ის, რომელიც მე გადმოგვცით, ყველაზე სარწმუნოდ მიმაჩნია.*<sup>24</sup>

სკეითების ბრძოლას კიროსთან „არმენიის არაქსთან“ გაიაზრებს სტრაბონიც, რომელიც მასაგეტების ყოფის აღწერისას პეროდოტეს მისდევს, მაგრამ საკებთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციას გვანდის: „*საკები კიმირიელებისა და ტრერების მსგავსად აწყობდნენ ლაშქრობებს, ზოგს შორეულს და ზოგს ახლოს. მათ დაიპყრეს ბაქტრიანა და მოიპოვეს არმენიის საუკეთესო მინა (როგორც ვხედავთ, საკები, ისინი კი ერთ-ერთი სკეითური ტომია, თანაბრად ფლობენ როგორც ბაქტრიას, ისე სამხრეთ კავკასიას – მ. ს.), რომელსაც თავისი სახელის მიხედვით მისცეს სახელწოდება – საკასენე. ისინი აღწევდნენ კაპადოკიელებამდე და განსაკუთრებით ექესინის მცხოვრებ ხალხებამდე, რომლებსაც ახლა პონტოელები ეწოდებათ.*“<sup>25</sup>

საინტერესოა, რომ სტრაბონი შემდეგნაირად აკრიტიკებს პეროდოტეს არაქსის სათავესთან დაკავშირებით: „*ამბობენ, რომ მთებიდან ჩამოსული არმენიის არაქსი ძველად ფართოდ იშლებოდა და ქვემოთ მდებარე დაბლობებს ნალექავდა ხოლ-*

მე..... ეს ნათქვამი არაქსის შესახებ რამდენადმე სანდოა, ხოლო ჰეროდოტესი – სრულებით არა, რადგან ის ამბობს: (არაქსი) მოედინება მატინებისაგან, განიყოფება 40 მდინარედ და ჰყოფს სკვითებსა და ბაქტრიანებსო, კალისტენეც მას მისდევს“.<sup>26</sup>

არაქსის სათავესთან დაკავშირებით, ჩვენ უკვე ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ჰეროდოტეს შეცდომა მატინეს ქვეყნის ორი სხვადასხვა ლოკალიზაციიდან მომდინარეობს, რაც შეეხება იმას, რომ ის ვითომდა ამბობდეს, „არაქსი ჰყოფს სკვითებს და ბაქტრიანებსო“, აქ სტრაბონი აშკარად სცოდავს, არსად ჰეროდოტეს თავის თხზულებაში ასეთი რამ არა აქვს ნათქვამი. შესაძლოა, ამას ამბობდა კალისტენე, მაგრამ არა ჰეროდოტე. სტრაბონთან მატინეს ქვეყნის მხოლოდ ერთ (მიდიის დასავლეთით, ატროპატაკანის სამხრეთითა და არმენიის დასავლეთით, ურმიის ტბის სამხრეთით) ლოკალიზაციას ვხვდებით. თუმცა, სავარაუდოა, სტრაბონი სხვა მატინესაც იცნობდეს, ვინაიდან ზაგროსის მთებთან მდებარე მატინეთა ქვეყანას ის დამატებით „მიდიის მატინესაც“ უწოდებს, რაც გაუგებარი იქნებოდა სხვა მატინეც (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰეროდოტე ორ სხვადასხვა მატინეს აკვილენერს) რომ არ ეგულეობდეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტრაბონი იცნობს მეორე არაქსსაც, რომელიც პარაიტაკიდან (ზაგროსის მთიანეთი) მომდინარეობს, ისევე როგორც სხვა მდ. კიროსს (XV, 3,6.). ამ არაქსისაგან განსხვავებით, ის კავკასიის არაქს „არმენიის არაქსს“ უწოდებს. სტრაბონს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ჰეროდოტესთან არაქსში სწორედ „არმენიის არაქსი“ იგულისხმება, ამიტომაც აკრიტიკებს მას, – „სათავე მატინეტა ქვეყანაში არა აქვსო“, თორემ ეს მეორე არაქსი, რომელიც ზაგროსის მთებიდან გამოდის, სწორედაც რომ სტრაბონისეულ მატინეთა ქვეყანაზე მოედინება, და სტრაბონის თვალსაზრისით, ამ არაქსს რომ გულისხმობდეს ჰეროდოტე, გასაკრიტიკებელიც სათავესთან დაკავშირებით არაფერი ექნებოდა.

როდესაც სტრაბონი შუა აზიის მასაგეტებზე საუბრობს, ყოველთვის იხსენიებს მდ. ოქსოს (ამუ-დარია) ან იაქსარტეს (სირ-დარია). ყოველივე ამის მიუხედავად, სტრაბონს თავშიც არ მოსდის გააკრიტიკოს ჰეროდოტე კიროსისა და მასაგატების ომის ლოკალიზაციის საკითხში და არსად არ ამბობს იმას, რომ ეს ომი არაქსის კი არა ოქსოსის გადაღმა მოხდა, ანდა ჰეროდოტე არაქსსა და ოქსოს ურევსო. უფრო მეტიც, ის, რასაც ჰეროდოტე ყვება კავკასოსში, ანუ კავკასიის მთიანეთში მცხოვრებთა მიმართ, ამას სტრაბონი მოგვითხრობს მასაგეტებთან მიმართებაში, რადგან თვლის, რომ ჰეროდოტეს აღნიშნული ინფორმაციაც „კავკასიის მასაგეტებს ეხება“: ჰეროდოტე მოგვითხრობს: „ადამიანთა მრავალი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს კავკასოსის მთებში, ..... ამბობენ, რომ ამ ფოთლებს ნაყავენ, ურევენ ნამალს და ამით ხატავენ ტანსაცმელს, ხოლო ეს ნახატები კი არ ხუნდება, არამედ ცვდება დანარჩენ შალთან ერთად, თითქოს ჩაქსოვილია მასში. ამ ადამიანებს, ისევე როგორც ცხოველებს კავშირი აშკარად აქვთ“.<sup>27</sup> ცხადია, ჰეროდოტე „ინდოეთის კავკასიას ჯერ კიდევ არ იცნობდა. როგორც ცნობილია, ასეთი ტერმინი უკვე ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შემდეგ ჩნდება. ისე რომ, ის კავკასოსში სწორედ თანა-

მედროვე კავკასიონს გულისხმობდა, სტრაბონთანაც კონტექსტიდან სრულიად ამკარაა, რომ ისიც იმავე რეგიონს გულისხმობს.

ამავე ინფორმაციას სტრაბონი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „მასაგეტების შესახებ ამასაც იტყვიან, რომ ზოგი მათგანი ცხოვრობს მთებში, ზოგი მათგანი დაბლობებში .... აქეთ ურთიერთობა ერთმანეთის ცოლებთან და არა დაფარული..... ტანსაცმელს იჭრელებენ, უსვამენ ზედ წამლებს, რომლებიც დიდხანს სძლებს და რომლებსაც ყვავილებისაგან აკეთებენ“.<sup>28</sup> და ა. შ..

საერთოდ, მთელი აღნიშნული ტექსტი (XI. 8. 6-7) სტრაბონთან გადმოღებულია პეროდოტესაგან და ამკარაა, რომ ის იზიარებს მის ინფორმაციას კიროსის მასაგეტებთან, „არამენიის არაქსთან“ დამარცხებისა და იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ბრძოლას მასაგეტებთან ადგილი ჰქონდა სადღაც სამხრეთ კავკასიაში ან ჩრდილოეთ ადარბადაგანში.

კიროსთან სკვითების ბრძოლის თავისებური ვერსია, ჩვენი აზრით, შემოგვინახა ძველმა ქართულმა და სომხურმა მწერლობამაც.

„ქართლის ცხოვრებაში“ დაცული საქართველოს უძველესი ისტორიის (ძვ. წ. VIII – ახ. წ. IV სს) ამსახველი ინფორმაციების კვლევამ გვიჩვენა, რომ თარგამოსისა და მისი ვაჟების სამხრეთ კავკასიაში მოსვლისა და დამკვიდრების ამბავი ქართველთა, სომეხთა და სხვა კავკასიელ ხალხთა წარმოშობის ბიბლიურ სქემაში გააზრება-მოთავსების მექანიკური მცდელობა კი არ არის, არამედ წარმოადგენს მითიზირებულ ვერსიას ძვ. წ. VI ს-ის I ნახევარში რეალურად მომხდარი ხალხთა დიდი გადმოსახლებისა, რომელსაც მიდიის მეფის ყიყსარის მიერ გამოდევნილი სკვითური ტომები („სახლები“) მოუძღოდნენ.<sup>29</sup> ამავე ისტორიული მოვლენის სხვადასხვა ვერსიებია აზოს მოსვლა „ქართველებით“, ჰაიკის ბაბილონიდან გადმოსახლება და დასახლება ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე<sup>30</sup>, კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მოთხრობილი იბერთა იერუსალიმიდან გადმოსახლებისა და მათ ისტორიულ სამშობლოში მოსვლის ამბავი, რომლებსაც დავითი და სჰსნდიატ რვალი მოუძღოდნენ;<sup>31</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცული მოთხრობა „ქალდეველთაგან დევნილ ჰონთა“<sup>32</sup> „ქართლის ცხოვრების“ მიერ „თარგამოსიანთა მოსვლის“ პარალელურად შემონახული ინფორმაცია „ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილ ჰურიათა“, თუ „სპარსთაგან დევნილ თურქთა“<sup>33</sup> შესახებ, ძველ ბერძენ ისტორიკოსთა გადმოცემა „ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვე იბერთა პონტოსპირეთში დასახლების“ თაობაზე და სხვ. მსგავსი.

ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII ს-ის მინურულში კავკასიის გადმოსასვლელით ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილი და წინა აზიის სიღრმეში გაჭრილი სკვითური ტომების ძვ. წ. VI ს-ის I ნახევარში სამხრეთ კავკასიაში უკან მობრუნებას იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია თანამედროვეებზე, რომ ის სხვადასხვა ხალხებმა სხვადასხვა ვერსიების სახით შემოგვინახეს. სკვითების ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობის შესახებ მრავლად მეტყველებს არქეოლოგიური მონაპოვრებიც, თუმცა რატომღაც ქართული ისტორიოგრაფიისათვის დიდი ხნის მანძილზე სრულიად მიუღებელი იყო სამხრეთ კავკასიის მათ ხანგრძლივ

საცხოვრებლად მიჩნევა. ძირითადად ითვლებოდა, რომ სკვითებმა აქ მხოლოდ გზად გაიარეს.

აღსანიშნავია, რომ ანტიკურ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში არსებობდა საკ-ა-ს-(მ)ენეს სახელით ცნობილი რეგიონი დღევანდელი აზარბაიჯანის ტერიტორიაზე, სევანის ტბის (სომხეთში) ჩრდილი-აღმოსავლეთით, რომლის სახელიც, როგორც ჯერ კიდევ სტრაბონმა სამართლიანად აღნიშნა, სკვითური წარმომავლობის საკების ტომს უკავშირდება. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დღევანდელი დაღესტნისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ახ. წ. I-III სს-შიც არსებობდა მასაგეტების სამეფო ... უნდა ვაღიაროთ, რომ ქედებს და მთელ ისტორიულ პროვინციებს თუ ხალხს სახელს აძლევს, ასეთ შემთხვევებში ამ ხალხის აღნიშნულ ადგილებში მეტნაკლებად ხანგრძლივი ცხოვრებაა სავარაუდო. მართლაც, მეცნიერთა ერთი ნაწილი დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს, ალბანეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთის ტერიტორიაზე ვარაუდობს პეროდოტესეული „სკვითური სამეფოს“ არსებობას.<sup>34</sup> „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებზე დაკვირვებამ ფრიად საინტერესო დასკვნამდე მიიყვანა კოვალევსკაია. მისი თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიაში სკვითები არათუ ხანგრძლივად ცხოვრობდნენ, არამედ ერთიან კოალიციას ქმნიდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან სპარსელთა (მიდია, აქემენიანები) წინააღმდეგ ომში.<sup>35</sup>

მართლაც, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, თარგამოსიანები, იგივე თოგორმას სახლი, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მიდიის მეფე ყიაცსარისაგან დევნილი და კავკასიაში, უმთავრესად სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებული სკვითური ტომები იგულისხმებიან, ერთად იბრძვიან ნებროთის წინააღმდეგ, ნებროთი კი სპარსულ სამყაროს განასახიერებს: გამოთქმა „ნებროთის წიგნი“ „ქართლის ცხოვრებაში“ იხმარება „ავესტას“ მნიშვნელობით, მაგრამ სპარსულ სამეფო დინასტიებთან მიმართებაში „ნებროთიანთა“ მნიშვნელობა შეიძლება უფრო დავაკონკრეტოთ: „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ნებროთიანთა დინასტია აქემენიანებს, აჟღალანიანთა – პართიის არშაკიანებს და ხოსროიანთა – სასანიანებს შეესაბამება. თუ ამ მიმართულებით კვლევას განვაგრძობთ, საინტერესო დასკვნებამდე მივალთ. ერთი, რომ ნებროთი აქემენიანთა, მეორე, რომ ის არის, „ქართლის ცხოვრების“ სიტყვები რომ ვიხმაროთ, „პირველი მეფე ყოვლისა ქუყყანისა“, ანუ კიროსი, ვინაიდან სწორედ კიროსია პირველი აქემენიანი მბრძანებელი სპარსეთის ტახტზე და იმავდროულად პირველი მსოფლიო იმპერიის შემქმნელი პირი. შესაბამისად, ნებროთთან რვა ძმა თარგამოსიანის, ანუ თოგორმას სახლის, იგივე ნახევრად მომთაბარული ციცილიზაციის ბრძოლა, ეს სკვითების ცნობილი ბრძოლაა კიროსთან, რომელიც კიროსის, ანუ ნებროთის დამარცხებითა და მისი მოკვლით დასრულდა.

განვიხილოთ და ერთმანეთს შევადაროთ კიროსის სკვითებთან და თარგამოსიანთა ნებროთთან ომის პერიპეტეები.

ბრძოლა, პეროდოტეს მონათხრობის თანახმად, სამ ეტაპად წარიმართა: 1. კიროსი გამოგზავნის მენინაე ლაშქარს სპეციალური დავალებით (რომელიც უცნობია მონიშნულმდეგისათვის). სკვითები ამარცხებენ მას და მათ ხელში უფარდებთ

დიდი ალაფი; 2. გამარჯვებით გახარებულ და დამთვრალ სკვიტებს კიროსი მოულოდნელად დააცხრება თავს და ამოხოცავს; 3. გაბრაზებული სკვიტები მთელი მხედრობით შეებმებიან სპარსელებს. სპარსელები მარცხდებიან და ბრძოლა კიროსის მოკვლით მთავრდება. ქართულმა ხალხურმა ეპოსმა, რომელიც ისტორიული მოთხრობის სახით (თუმცა მას, როგორც ქვემოთაც დავრწმუნდებით, ამჟამად ამჩნევია ლექსური ნყობის კვალი) გადმოგვცა უკვე „ქართლის ცხოვრებამ“, ამ დიდი გამარჯვების ორი კულმინაციური მომენტი შემოინახა: კავკასიელთა კოალიციური ლაშქრის მიერ ნებროთის მიერ გამოგზავნილი 60 ბუმბერაზის დამარცხება (1 ეტაპი) და საბოლოოდ ნებროთზე გამარჯვება და მისი მოკვლა (3 ეტაპი), ხოლო შუალედური მარცხი, რომელიც, რა თქმა უნდა, თანამედროვეთათვის უმნიშვნელო იყო საბოლოო გრანდიოზული გამარჯვების ფონზე, ჩააგდო, გამოტოვა. საინტერესოა, რომ თვით ბრძოლას თავისი დაუნდობლობით, დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია თანამედროვეებზე და გადმოცემამაც ის ისეთი გრანდიოზულობით აისახა, რომ ერთი საუკუნის შემდეგაც, ამ ბრძოლის აღწერასთან გაცნობამ ჰეროდოტეს ათქმევინა: „ეს ბრძოლა ბარბაროსთაგან გადახდილ ბრძოლებში, რამდენადაც მე ვერკვევი, ყველაზე უფრო უღმობელი იყო და მე კიდევ შევიტყვე, ის თუ როგორ მომხდარა. აბობენ, რომ თავდაპირველად ისინი ერთმანეთისაგან დაშორებით მდგარან და მშვილდებიდან ესროდნენ ერთმანეთს, ხოლო შემდეგ, თითქოს ისრები ყველა დახარჯეს და ერთმანეთს დაერივნენ შუბებითა და მახვილებით. კარგა დიდხანს იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ მებრძოლები და არც ერთ მხარეს არ უნდოდა გაქცევა. ბოლოს მასაგეტებმა აჯობეს. სპარსელთა ჯარის მეტი წილი ამ ადგილას ამოწყდა. და თვით კიროსმაც აქ დაასრულა სიცოცხლე“.<sup>36</sup>

„ქართლის ცხოვრება“ ამ ბრძოლას შემდეგნაირად აღწერს: „იქნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა. რამეთუ მტუერი ფერხისა მათისა, ვითარცა ღრუბელი სქელი; ელვა აბჯრისა მათისა, ვითარცა ელვა ცისა; ხმა პირისა მათისა, ვითარცა ხმა ქუხილისა; სიმრავლე ისართა და ტყორცა ქვისა მათისა, ვითარცა სეტყუა ხშირი, და დატხევა სისხლისა მათისა, ვითარცა ღუარი სეტყუათა“.<sup>37</sup>

იმავე ბრძოლის ოდნავ სახეცვლილი ვერსია შემოგვინახა სომხურმა ისტორიოგრაფიამ (სებეოსი, მოვსეს ხორენაცი). მოვსესთან ვკითხულობთ: „როცა გმირები ორივე მხრიდან ეკვეთნენ ერთმანეთს, შეჯახებების შედეგად მინას ზანზარი გაჰქონდა, გაშმაგებული თავდასხმებით გოლიათები შიშის ზარს გვრიდნენ ერთიმეორეს. იქ არცთუ ცოტა ბუმბერაზი ორივე მხრიდან შეერგება მახვილის პირს, დაენარცხნენ მინაზე და ნარწყმდნენ, ბრძოლის ბედი კი არც ერთი მხარის სასარგებლო არ გადაწყვეტილა. ამგვარი მოულოდნელი შემთხვევის, გაურკვეველობის მონშე ტიტანი მეფე შემინდა, დაიხია უკან, გაემართა იმავე ბორცვისაკენ, საიდანაც დაეშვა. მან განიზრახა გამაგრებულიყო იქ თავისი ლაშქრით, ვიდრე მოალწევდა მთელი ჯარი და შემდეგ ხელახლა მომზადებულიყო ბრძოლისათვის. მშვილდოსანმა ჰაიკმა გამოიცნო ეს, გასწია წინ, მიუახლოვდა მეფეს, ბოლომდე მოზიდა ფართოკამაროვანი მშვილდი და სამფრთიანი ისარი მოახვედრა მას გულის ფიცარზე. ისარმა მის ზურგში გაატანა და ჩაერჭო მინაში. ასე

წარწყმდა ქედმაღალი ტიტანი, იგი დაენარცხა მინაზე და სულიც განუტევა. იხილა რა მისმა ლაშქარმა ჰაიკის ესოდენ საკვირველი სიმამაცე, ერთიანად თავქუდმოგლეჯილმა მოჰკურცხლა“.<sup>36</sup> აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა მოვსესი ნებროთის მაგივრად ტიტან ბელს ხმარობს, მაგრამ მისივე შენიშებიდან ამჟღავნაა, რომ მან იცის, რომ ბელი იგივე ნებროთია: „ბელის შესახებ, რომლის თანამედროვე იყო ჩვენი წინაპარი ჰაიკი, ბევრი მრავალ, სხვადასხვა ამბავს ყვებიან, მაგრამ მე ვამბობ, რომ კრონოსად და ბელად სახელდებული იგივე ნებროთია. ასევე, ეგვიპტელები, მოსეს მსგავსად ასახელებენ ჰეპესტოსს, არეგაკს და კრონოსს, რომლებიც არიან ქამი, ქუში და ნებროთი“.<sup>37</sup>

ამგვარად, წყაროების ანალიზის შედეგად, ჩვენ მივიღით დასკვნამდე, რომ „ქართლის ცხოვრებისეული“ თარგამოსიანთა ბრძოლა ნებროთთან, ისევე როგორც სომხური ისტორიოგრაფიის თარგამოსიანთა (ჰაიკიანთა) ბრძოლა ბელთან და ამ ბრძოლაში თარგამოსიანთა გამარჯვება, სხვა არაფერია, თუ არა კიროსის წინააღმდეგ სკვითებისა და სამხრეთ კავკასიელების საერთო ბრძოლის, ამ უკანასკნელთა კიროსზე გამარჯვებისა და კიროსის ბრძოლაში მოკვლის ლეგენდად ქცეული მოთხრობა.

წყაროების ჩვენ მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია მნიშვნელოვნად ახალ შუქს აჰყენს სამხრეთკავკასიის უძველეს ისტორიას და რეალურ ხაზებში წარმოგვიჩენს სკვითებისა და სამხრეთ კავკასიელი ხალხების (ქართველების, სომხებისა და ალბანელების) აქემენიანთა სპარსეთის წინააღმდეგ გარდახდილი ეპოქალური ბრძოლის პერიპეტივებს.

## ლიტერატურა

1. *პეროდოტი*. ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთოთ თ. ყაუხჩიშვილმა, ტომი I. გვ. 201, თბ., 1975.
2. იქვე, I. გვ. 204.
3. იქვე, I. გვ. 180.
4. იქვე, IV. გვ. 37.
5. თ. ყაუხჩიშვილი. სტრატონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1957, გვ. 90.
6. *პეროდოტი*. ტომი I, გვ. 202.
7. იქვე, IV. გვ. 40
8. იქვე, I. გვ. 202.
9. იქვე, I. გვ. 205.
10. იქვე, I. გვ. 211; 209.
11. იქვე, I. გვ. 216.
12. იქვე, III. გვ. 36.
13. იქვე, IV. გვ. 40.
14. იქვე, IV. გვ. 11.
15. იქვე, IV. გვ. 12.
16. იქვე, II. გვ. 591.
17. იქვე, I. გვ. 72.

18. იქვე, III. გვ. 94
19. იქვე, VII. გვ. 72.
20. იქვე, I. გვ. 189.
21. იქვე, I. გვ. 202
22. იქვე, V. გვ. 49
23. იქვე, V. გვ. 52.
24. იქვე, I. გვ. 214.
25. *სტრაბონი*. ნიგნი XI, თავი 8, 4.
26. იქვე, XI, გვ. 14.13
27. *პეროდოტი*. I. გვ. 203.
28. *სტრაბონი*. XI. გვ. 8. 6-7.

29. *სანაძე მანანა*. საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისასა“ მიხედვით. – კრებული: „ქართული წყაროთმცოდნეობა, IX, თბ., 2000 გვ. 30-47; *ალასანია გიული*. ქართული წერილობითი წყაროების ბუნთურქები (საკითხის ისტორიოგრაფია) – კრებული: ქართული წყაროთმცოდნეობა, IX, თბ., 2000. გვ. 18-23; *სანაძე მანანა*. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან შირიანამდე), თბ., 2002, გვ. 23-52.

30. *მოვსეს ხორენაცი*. სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ., 1984. გვ. 70-72; Պատմության Մեքենայի Աղյասասպիրտոյանկ Գ. Վ. Աբգարյանի. Երևան 1979, გვ. 48-50.

31. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვეთი II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანიურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952, გვ. 254-260.

32. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს *ბ. გვიგინიშვილმა* და *ელ. გიუნაშვილმა*, თბ. 1979, გვ. 320.

33. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ.: 15, 15-16.

34. Исторические карты Армянской ССР, редактор С. Т. Еремян – Атлас Армянской ССР. Главный научный редактор Багдасарян А. В., Ереван-Москва, 1961. გვ. 102.

35. *Ковалевская* В. Скифи, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьем по данным Леонтия Мровели – მაცნე. ისტორიის სერია, 1975. გვ. 64.

36. *პეროდოტი*. I. გვ. 214.

37. ქართლის ცხოვრება. გვ. 6-7.

38. *მოვსეს ხორენაცი*. გვ. 71.

39. *იქვე*.

**THE FIRST RULER OF ACHAEMENIANS' – CYRUS AND  
NIMROD OF „THE LIFE OF KARTLI“ (KARTLIS TSKHOVREBA)**

**Summary**

**AS** a result of detailed analysis of sources, we came to a conclusion that the well-known battle of the ancient world held between Cyrus, the first ruler of Achaemenid Persia and the Scythian tribes of Massagatae (which resulted in the death of the former) took place in North Adarbadagan, somewhere between Sevani and Urmia lakes and not - as it was universally accepted in Historiography – in Central Asia, in the vicinity of the River Amu Darya. The murder of Cyrus was among the most uncommon phenomena of the ancient world and the deep resonance that it brought about among the people of Middle East was quite natural. Hence, the event disseminated among the people in many different versions as early as in the epoch of Herodotus. In “Georgian Chronicles” a version of the combat is preserved in the story of the fight between the Thargamosids and Nimrod, while the old Armenian Historiography reserved it in the form of the battle of Thargamosids (haikids) against Bell.

ერთი ადგილის გაგებისათვის  
თამარის მეორე ისტორიაში

**თხზულება**, რომელსაც ჩვეულებრივ თამარის მეორე ისტორიას უწოდებენ, როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა ეგრეთ წოდებულ „ჭალაშვილისეულ“ ხელნაწერში (თბ. ხელნაწერთა ინსტ. -2007). გამოცემებში დათქმით ჩ) და ამ ნაშრომის სავარაუდო ავტორად ბასილი ეზოსმოძღვარი მიიჩნია (1). თხზულების ტექსტის ერთი ნაწილი ნაწერია XVI ს. ხელით, დაკლებული კი ერაჯ ჭალაშვილს შეუსია 1713 წელს. მონაკვეთი, რომელსაც წინამდებარე წერილში ვიხილავთ, ხელნაწერის ძველ ნაწილშია: „ამიერიდან რა ჯერ არს თამარისი თქუმად, გარნა მონაცვლეობა ღთისა სამეფოსა და ერისათვის? რამეთუ აღილო გონება მალადა და მდალბითა სულითა (+ და ჩ) განიცადა სიდი[ა]დუ საქმისა მისდა რწმუნებულისა, მიაყუნა მყუანებელსა თუისსა ხედვა და იწყო განგებად, ვითარ-იგი მობერვიდა სული (ჩ, 255წ-ვ). ე. წ. „მაჩაბლისეულ“ ხელნაწერში (H-2135), რომელშიც, როგორც ცნობილია, შემონახულია თამარის მეორე ისტორიის ძველი ტექსტის დასაწყისი ფრაგმენტი (2, 117), იგივეა განმეორებული (უმნიშვნელო ორთოგრაფიული სხვაობებით).

ზემოთ დამონებულ ტექსტობრივ მონაკვეთში ფორმისა და შინაარსის დაზუსტებას მოითხოვს სიტყვები: მიაყუნა მყუანებელსა ხედვა. უნდა შეინიშნოს, რომ ეს მონაკვეთი შეტანილია ტექსტის ვახტანგისეულ რედაქციაში (3, 279).

ტექსტის თარგმანებში ეს სიტყვები გაგებულია ასე: შეხედა თავის წამყვანს (ე.ი. წინამძღვარს). მარი ბროსეს თარგმანში ვკითხულობთ: ფხა სეს რეგარდს სურ სონ გუიდე (4, 405); ვ. დონდუას თარგმანში: направив свои взоры к своему небесному руководителю (5, 28).

მიაყუნა/მიაყენა დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს: თუ აქ მიყოფა ზმნის პირიანი ფორმაა ნაგულისხმევი, მაშინ ზედმეტია ქცევის ნიშანი ა, რადგან იგი ამ ფუძესთან მი- და მო- ზმნისნიშანი სიტყვა-ფორმებში ნაკლებ სავარაუდებელია; შდრ. მოყო ყური ფს. 114,2 (6), მიყო ფელი მ.8,3(7) და ა. შ. ზედმეტია აგრეთვე პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის მაჩვენებელი -ნ-, რადგან ამ კონტექსტში პირდაპირი ობიექტი (ხედვა) მხოლოდითის ფორმით არის წარმოდგენილი (შდრ. მიყენა ფელნი ი. 7,44 DEC). ამრიგად, ხელნაწერის ფორმა (რომელიც გამოცემებშიც განმეორებულია) ავტორისეული არ უნდა იყოს.

ჩვენი აზრით, დასაშვებია ვარაუდი, რომ ამ ადგილას პირვანდელი დანერილობა ზმნისა იყო მიაპყრა. ასეთი იკითხვისის არსებობა და მისი შემდგომი დამახინჯება გრაფიკულ ნიადაგზეც ადვილი ასახსნელია ნუსხურ დედანში გადაბმულ ა და პ გრაფემათა არასწორად ამოკითხვისა და რ გრაფემის ნ-დ ნაკითხვის შედეგად. მიაპყრა თამარის ეპოქის ძეგლებშიც გვხვდება: თუ რას ხელსა მიაპყრობდა (8, სტრ.

1014), თუმცა ძველ ქართულში და შემდეგაც უფრო ხშირია სასხვისო და სათავისო ქცევის ფორმები სხვადასხვა ზმნისწინებითან: მიუპყრეს ლ. 24, 42 (7), შევიპყარ (8, სტრ. 463) და ა. შ.

მი- და მო- ზმნისწინიანი ფორმები პყარ ფუძის შემცველ პირიან ზმნებში პოლი-სემიურია და სმენისა და ხედვის შინაარსის მქონე შესატყვისებშიც არის დადასტურებული: სასმენელნი თქუენნი საჩინოდ მომიპყრენით (9, 247); არა მიუპყრნეთ სასმენელმი თქუენნი ფანდურითა (10, 210); განიპყრნა ფელნი... და თუალნი ღმრთისა მიმარ (11, 139); აღიპყრნა ფელნი და თუალნი (12, 223). შესაბამისად, მიაპყრა ხედვა თამარის ისტორიის განსახილველ ტექსტობრივ მონაკვეთში დასაშვებ კონიუქტურად მიგვაჩნია.

მყვანებელ სიტყვა-ფორმის შესახებ შეიძლება შეინიშნოს შემდეგი: ყვან(ებ) ფუძიან ზმნებისათვის ძველ ქართულშიც და შემდგომაც უზმნისწინო ფორმები იშვიათია. მაგალითად, ისეთ ძეგლში, როგორცაა ოთხთავი (7), დადასტურებულია მხოლოდ ზმნისწინიანი ფორმები (აღ-, აღმო-, გან-, გამო-, თანა-, მი-, შე-, წარ-, წარმო-). X-XI სს. ძეგლებში აქა-იქ არის უზმნისწინო ფორმებიც; რამდენიმე მაგალითი დამონებულია ზ. სარჯველადის ლექსიკონში (13). მიმღეობა მყვანებელი (ან: მყვანი) მართლაც ნიშნავს წამყვანს, მიმყვანს, მაგრამ მსგავსი ფორმები რამდენადმე ხელოვნური ჩანს და ბერძნულის კვალობაზე უნდა იყოს შექმნილი; ასეთია, მაგალითად, ყრმათ-მყვანებელი =  $\mu\alpha\tau\acute{\alpha}\nu\alpha\gamma\alpha\varsigma$  (14, 116). ასევე, ზმნური ფორმა კალკს უფრო წააგავს: მოვალეთა მყვანებლობენ სამსჯავროდ (15, 144; არსენ იყალთოელის თარგმანი). რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის თამარის ისტორიკოსის მიერ მსგავსი, თუნდაც იშვიათი ფორმის ხმარების შესაძლებლობა. მაგრამ, ვფიქრობ, მყვანებელ სიტყვის ხმარება მოცემულ კონტექსტში მართებული არ უნდა იყოს ხელმძღვანელის, წამყვანის, გზის მაჩვენებლის მნიშვნელობით. შესაძლებელია ამ სიტყვის სხვაგვარი ინტერპრეტაცია და შესაბამისად მისი ფორმის შეცვლა. ეს მოსაზრება შემდეგ საფუძველს ემყარება:

ქრისტიანული მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა, რომ ღმერთი არის ყველაფრის – სამყაროსა და ადამიანის შემქმნელი. საყოველთაოდ არის ცნობილი სიტყვები, რომლებითაც იწყება ვეფხისტყაოსანი: რომელმან შექმნა სამყარო... (8, სტრ. 1) შემოქმედი, როგორც ღმრთის ეპითეტი, მრავლად გვხვდება როგორც ნათარგმნ ძეგლებში, ისე ქართულ ორიგინალურ თხზულებებში. ორიოდ მაგალითი: განვარისხეთ ღმერთი, შემოქმედი ჩუენი (16, 346); მაღლი ღმერთსა შემოქმედსა (8, სტრ. 1050)

თამარის ისტორიაში ტექსტის იმ ნაწილში, სადაც გადმოცემულია მისი სამეფო მოღვაწეობის დასაწყისი, სრულიად ბუნებრივი ჩანს ავტორის მიერ აღნიშვნა, რომ ახალგაზრდა მეფექალმა სწორედ ღმერთს მიმართა, როგორც ყოველისშემძლე შემოქმედს, მით უმეტეს, რომ მომდევნო სიტყვებიც, სადაც სულიწმიდაა ნახსენები, ისევე ავტორის აღზევებული განწყობის გამომხატველია.

შეიძლება თუ არა მყვანებელ სიტყვას (შემქმნელის, შემოქმედის) მნიშვნელობა ჰქონდეს? ეს შესაძლებლად მიგვაჩნია, ოღონდ საეარაუდოა, რომ ჩვენამდე მოლ-

წეულ ტექსტში ეს სიტყვაც დამახინჯებულია. ავტორისეული უნდა ყოფილიყო მომყვანებელი, რასაც გვიჩვენებს შემდეგი:

ძველ ქართულ მწერლობაში ღმერთი ხშირად იხსენიება, როგორც არა არსისაგან არსად მომყვანებელი. არა არსისაგან არსად მოყვანება/მოსლვა არის დაბადება — ე. ი. შექმნა? ეს გამოთქმები ბერძნულის კვალობაზეა შექმნილი და უპირატესად იმ მწერალთა ენაში გვხვდება, რომლებიც თავისი საქმიანობით ბიზანტიურ კულტურულ სამყაროსთან იყვნენ დაკავშირებული (ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი). არსი და არაარსი, როგორც საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ტერმინები, ახალ აღთქმაშიც გვხვდება: იყნენს არაარსსა მას ვითარცა არსსა ჰრომ: 4, 17 (17) შდრ. *καὶ τὸν* ბასილი კესარიელის ერთ-ერთ ჰომილიაში, რომელიც ეფთვიმე მთანმინდლის ნათარგმნით ვკითხულობთ: რამეთუ არაარსთაგან არსად მოვედით (18; 32). ხშირია ანალოგიური მაგალითები ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებაში (ხელნაწ. Q-37, 1091 წ.): იგივე არს არაარსთაგან არსად მომყვანებელი და დამბადებელი ცათა და ქუეყანისაი (ფს. 32,8 ათანასი); საქმედ უფლისა გულისმაჰყოფდ არსად მოყვანებასა ხილულთა და უხილავთასა (ფს 27,5 კურილე). ეფრემის მიერ არაარსის მნიშვნელობით ნახმარია არარად: განუცხადებს ყოველთა, ვითარმედ სხუად არს შემზავებელი და არარადსაგან არსად მომყვანებელი მისი (ფს. 18,5 ათანასი); რად-თამცა დაბადებული უმეცარ იყო დამბადებელსა და არარაისაგან არსად მომყვანებელსა მისსა (ფს. 32,8-9 ათანასი). ეფრემის თარგმანების ბერძნული წყაროები ჯერ კიდევ საძებარია, ამიტომ მოყვანილი მაგალითებისათვის სათანადო პარალელების მითითება ჭირს; მაგრამ მსგავსი მაგალითები სხვაგანაც გვხვდება — ეფრემისავე ნათარგმნ კომენტარებში, რომლებიც ერთვის არეოპაგიტულ თხზულებას „ზეცათა მღვდელმთავრობისათვის“: იგი თავადი თვთ ბუნებით არს და ყოველთა არსთა დამბადებელ და არაარსთაგან არსად მომყვანებელ არს (19, 127); შდრ. PG. IV, 40 CD. იქვე: არაარსისაგან მოიყვანნა ღმერთმან ყოველნი არსნი (19, 135); შდრ. PG. IV. 52D-53A. იოანე დამასკელის „დიალექტიკაში“, რომლის ერთ-ერთი თარგმანი ეფრემს ეკუთვნის, ნათქვამია: შობად არს არაარსისაგან არსად გამოსლვად. იგივე ადგილი, არსენ იყალთოელის თარგმანში ასე იკითხება: ვიდრემე არს არამყოფობისაგან მყოფობად მოსლვად (20, გვ. 162).

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ქართული ტერმინების შინაარსის, სიზუსტისა თუ ბერძულთან მიმართების კვლევა. ეს საკითხები სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის ყოფილა მსჯელობის საგანი. მაგალითები ზემოთ დასახელებულია მხოლოდ იმის საჩვენებლად, რომ არაარსისაგან არსად მომყვანებელი, როგორც ღმერთის ეპითეტი, ქრისტიანულ კულტურაზე აღზრდილი ისტორიკოსისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. მსგავსი სენტენცია (ოღონდ განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსით) ქართულ ორიგინალურ მწერლობაშიც გვხვდება: „ქართლის მოქცევის“ ჭელიშურ ვარიანტში მირიან მეფე სიკვდილის წინ თავის ანდერძში ამბობს: შეიცვალა ბნელი ჩუენი ნათლად და მწუხარებამ ჩუენი სიხარულად საუკუნოდ, რამეთუ არა-არსნი ესე არსად შევიცვალენით ძლიერებითა ქრისტეს ღმრთისათა (11, 162).

შესაბამისად, შინაარსეულად მისაღებად უნდა ვივარაუდოთ ამავე ტიპის გამოთქმა თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში. პარალელის გასაველებად შეიძლება აღინიშნოს, რომ „ისტორია და აზმათა“ ტექსტის დასაწყისშივეა ნახსენები ღმერთი, როგორც ყველაფრის შემქმნელი, შემოქმედი. ამ შემთხვევაში თხზულებაში ნახმარია სხვა ტერმინი, მაგრამ მას ზუსტად იგივე მნიშვნელობა აქვს: არსთ დამწყისაცა ფელით-ქმნულებით (21,1). თავის გამოცემაში კ. კეკელიძე აქ უმატებს ღმერთ სიტყვას (რომელიც ვარიანტებში არ არის): არსთ – დამწყისა ღმრთისა ფელთ-ქმნულებით (22,53).

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ხელნაწერებში დადასტურებული სიტყვები: მიაყუნა მყვანებელსა ხედვა გადამწერთა მიერ არის დამახინჯებული. თამარის მეორე ისტორიაში ავტორისეულ იკითხვისად უნდა ვივარაუდოთ შემდეგი: მია[ყურა (არაარსისაგან) არსად მო]მყვანებელსა თქსსა ხედვა.

### დამონეპუღლი ლიტერატურა

1. *ი. ჯავახიშვილი*, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება. თხზულებანი, ტ. VIII, თბ. 1977.
2. *კ. გრიგოლია*, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ. 1954.
3. ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეთცხრამეტე საუკუნემდის თარგმნილი და გამოცემული ლუანლითა *უ. ბროსე*. ნაწილი I, ს. პეტერბურღს, 1849.
4. Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX<sup>e</sup> siècle. Traduite du géorgien par *M. Brosset*. I-re partie. SPb., 1849.
5. Жизнь царицы царь Тamar. Перевод и введение. *В. Дондуа*. Исследование и примечания *М. Бердзенишвили*, Тб. 1985.
6. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა *მზექალა შანიძემ*, I, თბ. 1960.
7. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა *აკაკი შანიძემ*, თბ. 1945.
8. *შოთა რუსთაველი*, ვეფხისტყაოსანი, ა. *შანიძის* და ა. *ბარამიძის* რედაქციით, თბ. 1966.
9. სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. *შანიძის* რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით. თბ. 1959.
10. მამათა სწავლანი, გამოსცა *ილ. აბულაძემ*, თბ. 1955.
11. მოქცევა ქართლისად, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, *ილ. აბულაძის* ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ. 1963.
12. ცხოვრება და მოქალაქეობა შიოხის და ევაგრესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I... თბ. 1963.
13. *ზ. სარჯველაძე*, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1995.
14. *მზ. შანიძე*, სიტყუა ანთრონთათვის – ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990.
15. დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს *ე. გაბიძაშვილმა*, *ე. გიუნაშვილმა*, *მ. დოლაჭიძემ*, *გ. ნინუამ*. თბ. 1975.

16. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. გიუნაშვილმა. თბ. 1979.

17. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძონენიძემ და კ. დანელიამ. თბ. 1974.

18. ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთჳმე მთანმიდლისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა... ც. ქურციკიძემ. თბ. 1983.

19. ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ... ტექსტი... მოამზადა ა. ჭუმბურიძემ. თბ. 2001.

20. იოანე დამასკელი, დიალექტიკა... ტექსტი გამოსცა მიაი რაფაეამ, თბ. 1976.

21. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი... ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ. 19

22. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკველით. თბ. 1941.

**MZEKALA SHANIDZE**

## **ON THE MEANING OF ONE PASSAGE IN THE TEXT OF "SECOND HISTORY OF QUEEN TAMAR"**

### **Summary**

THE article aims to offer a correct reading for a passage in the text of "Second History of Queen Tamar." Written in the 13<sup>th</sup> century, this chronicle hasn't come down in its pristine form; several words and clauses were corrupted by later scribes. The present writer offers another reading for a passage in the manuscript, which in its present form makes no sense at all. The emended passage has the following form: "She turned her gaze towards him who brought her from nonexistence to existence". This conjecture is supported by the authority of similar passages in old Georgian literary texts. The words – "araraisagan arsad momkvanebeli" – "one who brings from non-existence" are often used by Ephrem Mtsire and other writers of philhellene orientation to denote "God the creator".

**მარიამ ლორთქიფანიძე –  
„ქართლის ცხოვრების“ მკვლევარი**

**ბკად.** მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ქართლის ცხოვრების“ თემატიკას. „ქართლის ცხოვრება“, ესაა შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი, სხვადასხვა ავტორთა მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი საისტორიო თხზულებების კრებული, რომელშიც საქართველოს ისტორია გადმოცემულია უძველესი დროიდან ჯერ XII ს-ის 30-იან წლებამდე, შემდგომ – XIV ს-ის 30-იან წლებამდე, ხოლო კიდევ უფრო შემდგომ – XVIII ს-ის 30-იან წლებამდე; მაშასადამე, საკუთრივ ამ კრებულის შედგენა დაახლოებით სამ ძირითად ეტაპად წარმოიდგინება.

უკანასკნელი, თითქმის 190 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მეცნიერული ქართველოლოგია ჩამოყალიბდა, *თეიმურაზ ბატონიშვილიდან* და *მარი ბროსედან* მოყოლებული დღემდე, „ქართლის ცხოვრების“ გარშემო რამდენიმე ასეული ნაშრომი – ტექსტის მთლიანი ან მისი ცალკეული თხზულებების გამოცემა, სამეცნიერო გამოკვლევა, საგაზეთო და საენციკლოპედიო სტატია შეიქმნა. ასევე, შეიქმნა ნაშრომები თვით „ქართლის ცხოვრების“ შესწავლელ მეცნიერთა შესახებ, რომელთა მიზანია ამ საქმეში მათი წვლილის წარმოჩენა, შესრულებული სამუშაოს დახასიათება, პრაქტიკული საკითხებისა და თეორიული მოსაზრებების გადანყვებტაში მათი დამსახურების განხილვა-შეფასება.

ყველა, ან თითქმის ყველა ამ საკითხის შესწავლაში თავისი წვლილი აქვს შეტანილი აკად. მარიამ ლორთქიფანიძესაც. იგი „ქართლის ცხოვრების“ საკითხებით თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ადრეულ პერიოდშივე დაინტერესდა – 1960 წელს „სსრკ ისტორიის ქრესტომათიისათვის“ (რედაქტორი – აკად. *მ. ტიხომიროვი*) მან რუსულ ენაზე თარგმნა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ნაწყვეტი – პროფ. *შოთა მესხიას* მიერ მომზადებული ტექსტი აკად. *ს. ყაუხჩიშვილის* გამოცემის მიხედვით<sup>1</sup>; ხოლო, ჯერჯერობით ბოლო ნაშრომი, რომელიც აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ „ქართლის ცხოვრებას“ მიუძღვნა, 2005 წლით თარიღდება<sup>2</sup>. მაშასადამე, მის სამეცნიერო მოღვაწეობას მთელს მანძილზე ინტერესი „ქართლის ცხოვრებისადმი“ ცალკე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად გასდევს. ეს მიმართულება, თავის მხრივ, რამდენიმე ნაწილად იყოფა:

1) „ქართლის ცხოვრების“ შესწავლასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები.

2) „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული თხზულებების რუსულ ენაზე თარგმნა.

3) საენციკლოპედიო სტატიების მომზადება ქართულ და რუსულ ენებზე „ქართლის ცხოვრების“ შესახებ და ამით მისი მნიშვნელობის წარმოჩენა და პოპულარიზება.

4) „ქართლის ცხოვრების“ შესწავლაში სხვათა წვლილის წარმოჩენა.

5) წლების მანძილზე უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის „ქართლის ცხოვრების“ შესახებ ლექციების სპეციალური კურსის კითხვა.

პირველი მნიშვნელოვანი განაცხადი მარიამ ლორთქიფანიძის მხრიდან „ქართლის ცხოვრების“ თეორიული საკითხებთან დაკავშირებით, იყო მისი მონაწილეობა დისკუსიაში, რომელიც გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში *ლეონტი მროველის* ისტორიულ კონცეფციასთან დაკავშირებით 1966 წელს. ეს ცნობილი დისკუსია შედგა 20 მარტს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში. იგი გაიმართა პროფ. პ. რატიანის მოხსენების გარშემო – „ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფციის საკითხისათვის“. მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ახსნა ლეონტი მროველის ე.წ. არმენოფილური შეხედულებებისა „ქართლის ცხოვრების“ შესავალ ნაწილში.<sup>3</sup> მომხსენებლის აზრით, „ამგვარი კონცეფცია შეიძლება დაბადებულიყო და დაიბადა კიდევაც საქართველოს გაძლიერებისა და სომხეთის სახელმწიფოს დაცემის პირობებში, როდესაც დღის წესრიგში „დიდი სომხეთის“ მემკვიდრეობის ათვისების საკითხი დადგა“.<sup>4</sup> მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: გ. მელიქიშვილმა, ს. ყაუხჩიშვილმა, ს. კაკაბაძემ, ზ. ანზაბაძემ, შ. მესხიაშვილმა, მ. ლორთქიფანიძემ, ა. სურგულაძემ, დ. გვრიტიშვილმა, მ. დუმბაძემ, ვ. დონდუამ, შ. ბადრიძემ, დ. მუსხელიშვილმა... ყველა გამომსვლელმა მკვეთრად უარყოფითად შეაფასა პ. რატიანის თვალსაზრისი და ავტორს საკითხის უფრო ღრმად შესწავლა ან საერთოდ გადახედვა ურჩია. საკითხთან დაკავშირებით თავისი დამოკიდებულება მ. ლორთქიფანიძემ ასე გამოხატა:

ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფცია ქართული ისტორიოგრაფიის ურთულესი და მნიშვნელოვანი საკითხთაგანია. ამ კონცეფციის გარკვევისათვის არაა საკმარისი ლეონტის ნაწარმოების მარტო დასაწყისი ნაწილის განხილვა, არამედ საჭიროა მთელი ნაწარმოებისა, რადგან ეს იდეა დასაწყისში განმარტოებით კი არ დგას, არამედ მთლიანად გასდევს მას. XI საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს რეალური მდგომარეობა არ უნდა ქმნიდეს საფუძველს ისეთი დიდმპყრობელური იდეების შექმნისათვის, რომელთაც პ. რატიანი ხედავს მროველის თხზულებაში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ დროს უაღრესად გამწვავებულია ქართველ-სომხთა სარწმუნოებრივი შუღლი ამ დროის საქართველომ ვერ შეძლო სომხური ეკლესიის შეერთება ქართულთან. „ქართლის ცხოვრების“ მკითხველი საზოგადოება ბიბლიაზე იყო აღზრდილი და საქართველოს ისტორიის ოფიციალური კრებული ბიბლიურ სქემას გვერდს ვერ აუვლიდა. აქ უკვე დაისმის ლეონტის წყაროების საკითხი – თვითონ თხზავდა ამ ისტორიას, თუ ითვალისწინებდა არსებულ წყაროებს. თუ აღნიშნული არ იქნა გათვალისწინებული, ლეონტის კონცეფციის გაგება ისევ სადავოდ რჩება, დაასკვნოდა ის.

უნდა აღნიშნოს, რომ სხვა გამოსვლებთან შედარებით ეს იყო რბილი, რამდენადაც ლიბერალური გამოსვლა, თუმცა, პრინციპული და ადგილ-ადგილ კატეგორიულიც საკითხის დასმის და მისი გადაჭრის გზების განხილვისას. აღსანიშნავია ისიც, რომ პრ. რატიანი საბოლოო სიტყვაში სულ ოთხი გამომსვლელის (12-დან) არგუმენტებს შეეხო და მათ შორის იყო მ. ლორთქიფანიძე. მან სწორად შეაფასა ამ გამოსვლაში საკითხის დასმის ორიგინალური მხარე და აღნიშნა – „უსათუოდ მნიშვნელოვანია ქართული ეკლესიის როლი, რაზედაც ყურადღება გაამახვილა მ. ლორთქიფანიძემ“, თუმცა, იქვე მოაყოლა – „ვერ დავეთანხმებით მის მოსაზრებას, რომ XI ს-ში სომხური ეკლესია „შემტვევი მხარის როლში გამოდიოდა“, ხოლო ქართულ ეკლესიას თავის დაცვა უზღებოდა. ასე ადრე იყო, XI ს-ში კი სულ სხვა სიტუაცია შეიქმნა“<sup>6</sup>. საკითხი რთულია, დღემდე რამდენადაც დამაკმაყოფილებლად შესწავლილი არ ყოფილა და კიდევ მოითხოვს დაკვირვებას.

თავის შეხედულებებს „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის სხვადასხვა თეორიული ასპექტების შესახებ მ. ლორთქიფანიძემ თავი მოუყარა 1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ ცალკე ნიგნად გამოქვეყნებულ ნაშრომში – „რა არის ქართლის ცხოვრება“.<sup>7</sup>

ნიგნში განხილულია და შესწავლილი საკითხები: „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საკითხისათვის; „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენისა და თანდათანობით შევსების საკითხისათვის; ვახტანგ VI-ის კომისიის საქმიანობა; „ქართლის ცხოვრების“ შემდგომი რედაქტირება-დამუშავება; „ქართლის ცხოვრების“ შეფასება; „ქართლის ცხოვრების“ გამოცემები და თარგმანები. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

პირველ მონაკვეთში გადმოცემულია „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორია ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიის მუშაობიდან დაწყებული და ს. ყაუხჩიშვილისეული კრიტიკული, აკადემიური გამოცემით დამთავრებული. აქ, მოკლედ, მაგრამ ძირითად მომენტებზე აქცენტირებით, მთავარ დამსახურებათა აღნიშვნით, გადმოცემულია ის წვლილი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ შესწავლაში შეიტანეს, ან მათეული შეფასება წარმოადგინეს: *ო. სენკოვსკიმ*, *მ. ბროსემ* („მარი ბროსემ აღნიშნა, რომ ვახტანგამდე არსებობდა არა მხოლოდ ცალკეული ცნობები საქართველოს შესახებ, არამედ იყო ქართული მატრიანეებიც, და არსებობდა მატრიანე, რომელსაც ეწოდებოდა „ქართლის ცხოვრება“<sup>8</sup>), *ქ. პატკანოვმა*, *ილია ჭავჭავაძემ*, *დ. ბაქრაძემ*, *ივ. ჯავახიშვილმა*, *ს. კაკაბაძემ*, *თ. ჟორდანიამ*, *ე. თაყაიშვილმა*, *ს. ბარათოვმა* (*ბარათაშვილმა*), *ევროპელმა მკვლევრებმა – ჟან სენ მარტენმა*, *ვივიენ დე სენ-მარტენმა*, *შარლ ვიქტორ ლანგლუამ*; ხოლო შედარებით მოგვიანებით – *ქ. კეკელიძემ*, *პ. ინგოროვამ*, *გიორგი მელიქიშვილმა*, განსაკუთრებით – *ქ. გრიგოლიამ*, *ს. ყაუხჩიშვილმა*. ცალკეა აღნიშნული *რ. კიკნაძის* წვლილი ჟამთააღმწერლის თხზულების შესწავლის საქმეში, „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონის ორი ნიგნის გამოცემა, „ქართლის ცხოვრების“ საკითხებზე 1969 წელს ისტორიის ინსტიტუტში ჩატარებული დისკუსიის და 1987 წელს მასთან დაკავშირებული პრობლემებისადმი მიძღვნილი რამდენიმე სადისკუსიო სტატიის გამოქვეყნების მნიშვნელობა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისათვის „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის მიზნით ჩატარებული მუშაობა მ. ლორთქიფანიძის მიერ შეჯამებულია შემდეგი სახით: „ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებულ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს გაეცა პასუხი, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე გადამწერთა თუ რედაქტორთა მიერ ძირითად ტექსტში შეტანილი კორექტურები, ჩანართები, შესწორებები, ნებსითი თუ უნებლიე შეცდომები, ძველ, XV საუკუნეზე ადრინდელ ხელნაწერთა არარსებობა დიდ სიძნელებს ქმნის და საფუძველს იძლევა რიგ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობისათვის“<sup>9</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგაც ეს დასკვნა ძალაშია და „ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებული საკითხები მომავალ კვლევა-ძიებათა ამოუწურავი თემაა.

წიგნის შემდეგი მონაკვეთი ისტორიოგრაფიული შინაარსისაა და მასში წარმოდგენილია სხვადასხვა მკვლევართა თვალსაზრისები და მათი განხილვა „ქართლის ცხოვრების“ კრებულის თავდაპირველი შედგენისა და მისი თანდათანობითი შევსების საკითხებზე. ცნობილია, რომ კრებულის თავდაპირველი შედგენის თარიღზე მეცნიერებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. ეს მოსაზრებები მ. ლორთქიფანიძის მიერ იმდენად კომპაქტურად და თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი, რომ მათი აქ განმეორება საჭიროდ მიგვაჩნია. იგი წერს:

„ქართლის ცხოვრების“ კრებულის თავდაპირველ შედგენას ვ. დონდუა VII-VIII საუკუნეებით ათარილებს, გ. მელიქიშვილი – VIII-IX საუკუნეთა მიჯნით, პ. ინგოროყვა – X საუკუნით, კ. გრიგოლია, ა. ნოვოსელცევი, ნ. ბერძენიშვილი – XI საუკუნის მიწურულით, შ. მესხია და ვ. გურჯა – XI-XII საუკუნეთა მიჯნით, ივ. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი – XII საუკუნით, კ. კეკელიძე – XII საუკუნის მეორე ნახევრით, რ. კიკნაძე – დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანით, საკუთრივ XII ს-ის პირველი მეოთხედით. გ. წულაია ვარაუდობს, რომ „ქართლის ცხოვრების“ შედგენა დაიწყო XII საუკუნეში და განახლდა არა უგვიანეს XIV ს-ისა, როდესაც კვლავ აღსდგა მონღოლთა მფლობელობის დროს შეწყვეტილი კულტურული ცხოვრება.<sup>10</sup>

ამის შემდეგ მ. ლორთქიფანიძე წარმოგიდგენს თავის თვალსაზრისს „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის შესახებ. იგი წერს: „ქართლის ცხოვრება რომ კრებული და ერთიანი თხზულებაა, რაც ჯერ კიდევ მარი ბროსემ აღნიშნა, ეჭვს არ იწვევს. არც ის იწვევს ეჭვს, რომ კრებული თანდათან იგესბოდა... აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი, ამ კრებულში შესული თხზულებები საგანგებოდ „ქართლის ცხოვრებისათვის“ ინერებოდა, არსებული საისტორიო თხზულებათაგან არჩევდნენ მასში შესატან თხზულებებს, თუ როდესაც ასეთი კრებულის შედგენა გადაწყდა, ზოგი უკვე არსებული თხზულება გააერთიანეს, ხოლო ზოგი საგანგებოდ დაწერეს ან დაანერინეს ამ კრებულისათვის. უდავოა, რომ XII საუკუნის შუა წლებისათვის არსებობდა „ქართლის ცხოვრება“, რომელიც დავით აღმაშენებლის ისტორიით მთავრდებოდა. ამის უტყუარი საბუთია ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიით მთავრდება „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანი, რომელიც XII ს-ის II ნახევარშია შესრულებული, და აგრეთვე ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის წინააღმდეგი ყველა ნუსხის შედგენილობა, და-

ვით აღმაშენებლის ისტორიის ჩათვლით, ერთნაირია. განსხვავებანი სხვადასხვა ნუსხების შემადგენლობაში დავითის ისტორიკოსის თხზულების შემდგომ იწყება. ასევე უდავოა, რომ არსებობდა XIV საუკუნის დამდეგს დამთავრებული „ქართლის ცხოვრება“, რასაც ადასტურებს როგორც ასეთი შედგენილობის ნუსხათა არსებობა, ასევე სწავლულ კაცთა მიერ ვახტაგისეული „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გიორგი ბრწყინვალეს მეფობით დანყება. მაგრამ, როდის შედგა კრებული პირველად, ან როგორ იცვებოდა ის თანდათან, ამაზე ეს ნუსხები პირდაპირ პასუხს ვერ იძლევიან“.<sup>11</sup>

მ. ლორთქიფანიძე დეტალურად, ძირითადი არგუმენტების მოტანით გადმოსცემს სხვადასხვა მკვლევართა (თ. ყორღანი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, კ. გრიგოლია, რ. კიკნაძე, ს. კაკაბაძე, ნ. შოშიაშვილი, ა. ბოგვერაძე, გ. არახამია, გ. ალასანიას...) თვალსაზრისს „ქართლის ცხოვრების“ კრებულის (ზოგი მოსაზრებით, ერთიანი ნაწარმოების – ნ. შოშიაშვილი) თავდაპირველი შედგენილობისა და მისი თანადათანობითი შევსების შესახებ. საგანგებოდ განიხილავს მ. ლორთქიფანიძე „ქართლის ცხოვრების“ ე.წ. მინანქრების პრობლემას – ძველ შენიშვნებს *ჯუანშერისა და ლეონტი მროველის* ისტორიოგრაფიული ნვლილის შესახებ და გადმოსცემს მკვლევართა თვალსაზრისებს ამ საკითხზე. საკუთრივ მისი მოსაზრება „ქართლის ცხოვრების“ უძველესი შედგენილობის, მისი ავტორებისა და შევსების შესახებ, აგრეთვე, დასახელებულ „მინანქრებზე“, ასეთია:

„VII-IX საუკუნეთა მიჯნაზე ჯუანშერმა, რომელსაც ხელთ ჰქონდა V საუკუნის ამბებამდე დაწერილი „ისტორია“, ის თავის დრომდე შეავსო, გააგრძელა. ალბათ ნიშანდობლივია, რომ „მინანქრი“ ჯუანშერის შესახებ არაფერს ამბობს მის მიერ წინა ნაწილების მიმართ განუღებ მუშაობაზე, განსხვავებით „მინანქრისაგან“ ლეონტის შესახებ, რომელიც საგანგებოდ აღნიშნავს ამას. ამიტომ, ჯუანშერი შეიძლება მხოლოდ ამ ნაწილის ავტორად მივიჩნიოთ; ხოლო XI საუკუნის 60-70-იან წლებში ლეონტი მროველმა „ქართლის ცხოვრება“ ხელახლა „აღწერა“ და მოიყვანა, თუ შეავსო ის, თავის დრომდე. რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის მომთხრობი თხზულებები და წყაროები ჰქონდა ხელთ, ეს დღეს დავას არ იწვევს“.<sup>12</sup>

დასასრულ, „ქართლის ცხოვრების“ რაობის, მისი შესწავლის ისტორიის, კრებულის შედგენისა და თანდათანობით შევსების საკითხების გარშემო სხვათა თვალსაზრისების გადმოცემისა და საკუთარი მოსაზრების წარმოდგენის შემდეგ, მ. ლორთქიფანიძე გვთავაზობს შემაჯამებელ დასკვნას, რომელიც როგორც წინა მკვლევართა არაერთი თაობის, ისე მის მიერ განუღებ მუშაობის ერთგვარი შეჯამებაა:

„ცნებას „ქართლის ცხოვრება“ ფართო მნიშვნელობა აქვს. „ქართლის ცხოვრება“ შეიძლება ეწოდოს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე დაწერილ თხზულებას. ამ ნიშნით იყო XIX საუკუნეში „ქართლის ცხოვრებაში“ რომ შეიტანეს XVIII საუკუნეში დაწერილი სხვადასხვა თხზულებები, მაგ.: სეხნია ჩხეიძის, პაპუნა

ორბელიანის და სხვა, თუმცა არც ერთი მათგანი არ იყო დანერვილი საკუთრივ „ქართლის ცხოვრების“ კრებულისათვის.

ცნებას „ქართლის ცხოვრება“ აქვს კონკრეტული მნიშვნელობაც, კერძოდ, ის ნიშნავს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორთა მიერ დანერვილ თხზულებათა გაერთიანება-რედაქტირების შედეგად შექმნილ საქართველოს ერთიან ისტორიას, ეს არის „ქართლის ცხოვრება“ ანუ „საქართველოს ისტორია“ თავისი თავდაპირველი გაგებით“.<sup>13</sup>

მაგრამ, წიგნის თემატიკა ამით არ მთავრდება და კიდევ რამდენიმე კარდინალური საკითხია მასში განხილული. მათგან პირველია – „ვახტანგ VI კომისიის საქმიანობა“ (გვ. 53-66). კომისიის მუშაობისა და მისი შედეგების შესახებ, როგორც მ. ლორთქიფანიძეც აღნიშნავს, სპეციალური მონოგრაფია გამოაქვეყნა პროფ. კ. გრიგოლიამ<sup>14</sup>, რომელშიც ეს საკითხები დანერვილებითაა შესწავლილი. მ. ლორთქიფანიძის დაკვირვებები ხშირად ამ ნაშრომს ემყარება, თუმცა, მას საკუთარი ორიგინალური მოსაზრებები და დასკვნებიც აქვს გამოთქმული.

ვახტანგ VI-ის კომისიის საქმიანობის დახასიათება-შეფასებას მ. ლორთქიფანიძე, სავსებით სწორად, იმ წინასიტყვაობის ანალიზით იწყებს, რომელიც კომისიამ წარუმძღვარა მის ნარედაქციევ „ქართლის ცხოვრებას“. ეს წინასიტყვაობა, თავის მხრივ, ორი რედაქციითაა მოღწეული – ერთი, რომელიც ხელნაწერთა უმრავლესობას ახლავს, დანერვილია მესამე პირში („პატიოსანნო და დიდებულნო ქართველონი, ... მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან... შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი...“), ხოლო მეორე, რომელიც მხოლოდ ერთ, *რუმიანცევისეული* ხელნაწერშია (H-2080) წარმოდგენილი, დანერვილია პირველ პირში („პატიოსანნო და დიდებულნო ქართველონი, ... მეფემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან... შევკრიბენ სწავლულნი კაცნი...“) და სწორედ მას ეწოდება „შესავალი“.

როგორც ცნობილია, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, თუ რას ეწოდება „ახალი ქართლის ცხოვრება“ და შინაარსობრივად როგორ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ახალი და ძველი „ქართლის ცხოვრება“. მ. ლორთქიფანიძე იზიარებს იმ მკვლევართა თვალსაზრისს, რომლებიც თვლიან, რომ „ახალი ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ VI-ის კომისიის ხელიდან გამოსული მთლიანი წიგნი, მათი შეესებულ-ნარედაქციევი, რომელშიც საქართველოს ისტორია გადმოცემულია უძველესი დროიდან XVIII ს-მდე, „ხოლო საკუთრივ XIV-XVIII სს. ისტორია „ძველი ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება“<sup>15</sup>.

მ. ლორთქიფანიძე ცალკე აღწუსხავს ვახტანგ VI-ის კომისიის მიერ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე ჩატარებულ სამუშაოებს და, ამასთანავე, წარმოადგენს ცალკეულ მკვლევართა მოსაზრებებს ჩატარებული სამუშაოს კონკრეტულ საკითხებზე. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ სამუშაოთა შესახებ, რომლებსაც მ. ლორთქიფანიძე, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა მკვლევარი, კომისიის შესრულებულად მიიჩნევს: კომისიამ მთელი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი დაყო და დაასათაურა მეფეთა ზეობის მიხედვით, რაც დიდად აადვილებდა წიგნით სარგებლობას; კომისიას ჩაუთვლია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ სათანადო სისრულით არ იყო წარმოდგე-

ნილი საქართველოს ეკლესიის და დიდ საეკლესიო მოღვაწეთა ისტორია და ტექსტში შეუტანია ძირითადად ცნობილ საეკლესიო პირთა – პეტრე იბერის, ასურელი მამების, დავით და კონსტანტინეს, გობრონის, ეფთვიმე მთანმიდელის და სხვათა მოღვაწეობის ამსახველი ჩანართები; კომისიას მის მიერ რედაქტირებულ ტექსტში რამდენიმე ცნობა შეუტანია „ქართლის ცხოვრების“ ანასეული ხელნაწერიდან ან, შესაძლოა, სხვა „ქართლის ცხოვრებიდან“, რომლებიც მას ხელით ჰქონდა, ხოლო დღეს არ ჩანს.

მ. ლორთქიფანიძის საცხებით სწორი მოსაზრებით, ცალკე უნდა აღინიშნოს იმ საგანგებო მუშაობის შესახებ, რომელიც ვახტანგ VI-ის კომისიას „ქართლის ცხოვრების“ კრებულის ერთ-ერთი თხზულების, XI ს-ის ავტორის, სუმბატ დავითის ძის ბაგრატიონთა გვარის ისტორიაზე ჩაუტარებია – ამ მუშაობის შედეგად თხზულების კვალი საერთოდ წაიშალა.

საქმე ის არის, რომ კომისიას, როგორც მ. ლორთქიფანიძე წერს, არაბუნებრივად და არამართებულად ჩაუთვლია სუმბატ დავითის ძის თხზულების ცალკე, ქრონოლოგიური რიგის დარღვევით ჩართვა „ქართლის ცხოვრებაში“ და იგი დაუშლია – უძველესი ნაწილი, VI ს-მდე ისტორიის გადმომცემი, საერთოდ მოუხსნია და VI ს-ის შემდეგდროინდელი ცნობები სუმბატის თხზულებიდან დანაწევრებულად შეუტანია სათანადო ადგილებში; კერძოდ, ჯუანშერის თხზულებაში ჩაურთავთ ცნობა ქართლის პირველი ერისმთავრის გუარამ კურაპალატის შესახებ, მოკლე მონაკვეთებად ჩაურთავთ „მატიანე ქართლისაში“ სუმბატის ცნობები ბაგრატიონებზე იქ, სადაც საჭიროდ ჩაუთვლიათ და სხვ.<sup>16</sup> ერთი სიტყვით, ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ სუმბატის თხზულების, როგორც დამოუკიდებელი საისტორიო ნაწარმოების კვალი არ ჩანს. ასეთი თხზულების არსებობა XIX ს-ის 80-იან წლებამდე – „ქართლის ცხოვრების“ მარიამიხეული ნუსხის აღმოჩენამდე – საერთოდ არ იყო ცნობილი“, – წერს მ. ლორთქიფანიძე.

კიდევ ერთი სერიოზული სამუშაო, რომელიც კომისიამ შეასრულა, ეს იყო თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებით, აგრეთვე, ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის ნაწარმოების მონაცემებით, შევსება. გარდა ამისა, დადგენილია, რომ კომისიას ხელთ უნდა ჰქონოდა თამარის ისტორიის ამსახველი დღეს უცნობი კიდევ სხვა თხზულება (შეიძლება არაერთი).<sup>17</sup>

კომისიამ თავისთავად დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა – „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილი შეავსო და გამართა, აგრეთვე, XIV-XVIII სს. ისტორია დაწერა; ამ ნამუშევარმა, როგორც მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, თანამედროვეთა სერიოზული კრიტიკა დაიმსახურა. „პირველი კრიტიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი იყო, რომელმაც უარყო მისი მამის, მეფე ვახტანგის მონაწილეობა კომისიისეული „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების შედგენაში“<sup>18</sup>. ხოლო, *ჯანაშვილისეული* ნუსხის (S-4770) ერთი მინაწერის მიხედვით, კომისიის მეთაურს, *ბერი ეგნატაშვილს* ბრალი ედება ფაქტების სიცრუით და მიკერძოებით გადმოცემაში („ამას ქვემოთ (გიორგი ბრწყინვალის ისტორიის მომდევნო ამბები – ვ.ს.) ამ წიგნში ყველა სწორედ

არ უნერიათ. ღმერთმან მიუტეოს ეგნატაშვილს ბერს იმდენი შურით და მტრობით სიცრუე. მაგრა, წერილის დაგდება მტერობით, მართალთა და უმჯობესთაგანი საქმე არ არის" – ქართლის ცხოვრება, I, გვ. 019. *ჯანაშვილისეულ ხელნაწერზე* უცნობი პირის ეს მინაწერი, ი. ჯავახიშვილის აზრით, 1779 წლით თარიღდება, – თხზ. ტ. VIII, გვ. 379).

კომისიის ყველაზე დიდ დამსახურებად მაინც XIV-XVIII სს. ისტორიის შედგენა ითვლება, რისთვისაც მათ „გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი“, აგრეთვე, რომელიმე სომეხთა და სპარსთა „ცხოვრებანი“ გამოუყენებიათ. საბოლოოდ, როგორც მ. ლორთქიფანიძე წერს, კომისიამ ტექსტი სანიმუშოდ გამართა. „რასაკვირველია ზოგი შეცდომა მათაც მოუვიდათ, მაგრამ ასეთი დიდი სამუშაოს უშეცდომოდ შესრულება შეუძლებელია. გასათვალისწინებელია ისიც, მიაჩნდათ თუ არა მათ შეცდომად ის, რაც ჩვენ დღეს ასეთად მიგვაჩნია“.<sup>19</sup>

ცალკე უნდა აღინიშნოს ვახტანგის კომისიის მუშაობის და მისი შედეგების კიდევ ერთი, ამჯერად, ასე ვთქვათ, იდეურ-პოლიტიკური ასპექტის შესახებ. საქმე შემდეგშია: ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც საერთოდ კრიტიკულად შეაფასა კომისიის მუშაობის შედეგები, თუმცა, მან აღნიშნა მისი დადებითი მხარეც („მომავალ მკვლევართ უვალი გზა გაუკაფეს და თითქმის მთელი მასალა შეუგროვეს" – საუბარია კომისიის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიის XIV-XVIII სს. მონაკვეთზე), საგანგებოდ მიუთითა, რომ „სწავლულ კაცთ განუზრახავთ და შეუდგენიათ კიდევ მთელი, სრულიად საქართველოს ისტორია და არა საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, ან ნაწილისა" და, მისი დასკვნით, რაც მთავარია, დაშლილ-დაქუცმაცებულ ქვეყანაში „საქართველოს ერთიანობის აზრი ძლიერი და ცხოველმყოფელი ყოფილა იმისდამიუხედავად, რომ პოლიტიკური ცხოვრება დაწვრილებული და დაქსახსული იყო“.<sup>20</sup> სინამდვილეში, ეს ეხება კომისიის მიერ მთლიანად „ქართლის ცხოვრების" მთელ ტექსტზე (უძველესი დროიდან) შესრულებულ სამუშაოს, ხოლო საკუთრივ მათი კოლექტიური ნაშრომი – XIV-XVII სს. ისტორია, ერთობ ცალმხრივი იყო და საქართველოს მხოლოდ ერთი კუთხის – ქართლის ისტორიას გადმოსცემდა<sup>21</sup>. ნიშანდობლივია ისიც, რომ კომისია ამას, როგორც ჩანს, თვითონაც კარგად გრძნობდა და ერთგვარი მობოდიშებით ისტორიის ნაკლულად დაწერას წყაროების სიმცირით და ხელმიუწვდომლობით ხსნიდა.

აქ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ ფაქტის მ. ლორთქიფანიძისეული ორიგინალური შეფასება, რომელიც წერს, რომ „ამ თავის მართლებას აქვს თავისი მნიშვნელობა – მათ ესმით და შეგნებულნი აქვთ, რომ მსგავსად წინა, ძველი ნაწილისა, ეს ნაწილიც საქართველოს მთლიანი ისტორია უნდა იყოს“<sup>22</sup>. მაშასადამე, ქვეყნის ერთიანობის იდეა, რომელსაც მაშინ, ისევე როგორც ყველა დროს, მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთელი საზოგადოების იდეოლოგიურ საფუძველს ქმნიდა.

ნაშრომის მომდევნო მონაკვეთია – „ქართლის ცხოვრების" შემდგომი რედაქტირება-დამუშავება" (გვ. 67-81). აქ მ. ლორთქიფანიძე დაწვრილებით განიხილავს „ქართლის ცხოვრების" ე.წ. გადაკეთებული გაგრძელების ისტორიოგრაფიულ სა-

კითხს – იგი მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერშია (ბარათაშვილისეული, დადიანისეული, ფალავადიშვილისეული და სხვითორეული) წარმოდგენილი, გამოცემული აქვს ს. ყაუხჩიშვილს და საგანგებოდ შესწავლილი კ. გრიგოლიას.<sup>24</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით შექმნილ შედარებით მრავალრიცხოვან გამოკვლევებზე დაყრდნობით, მ. ლორთქიფანიძე დაასკვნის, რომ „გაგრძელების ახალი ვარიანტების პარალელურად XVIII საუკუნეში ვახტანგისეული კომისიის შესრულებული სამუშაოს შემდეგ „ქართლის ცხოვრებაზე“ ინტენსიურად უმუშავნიათ, ახალი „ჩანართები“ დაურთავთ და რიგ შემთხვევაში ტექსტშიც შეუტანიათ ცვლილებები“.<sup>25</sup>

წიგნის ამ მონაკვეთშივე განიხილავს მ. ლორთქიფანიძე ლეონტი მროველის ე.წ. „არმენოფილურ“ კონცეფციას, რომლის თანახმადაც, საქართველოს უძველესი ისტორიის გადმოცემისას (თვით ქართველი ტომების ეთნოგენეზისა და ქართული ენის წარმოშობისა და გაგრძელების დონეზე) უპირატესობა ენიჭება სომხურ ეთნიკურ ელემენტს და სომხურ ენას. XIX-ს-დან მოკიდებული დღემდე ამ საკითხზე, უფრო ზუსტად, ამ უცნაური გამოვლინების ახსნის შესაძლო ვარიანტებზე, მრავალზე მრავალი ნაშრომია შექმნილი, მაგრამ, როგორც მ. ლორთქიფანიძე წერს, „ქართული ეროვნული ისტორიის მომთხრობი ეს ტენდენცია დღემდე გაურკვეველი საკითხია“.<sup>26</sup> „ჩვენს მიზანს ამ პრობლემის კვლევა არ შეადგენს – განაგრძობს იგი – საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ დღეს ქართულ ისტორიოგრაფიას ამ კითხვაზე გადამწყვეტი პასუხი არა აქვს“. ჩემი მხრივ დავძენ, რომ ამ სიტყვების დაწერიდან ოცი წლის შემდეგაც ეს დასკვნა ძალაშია; არც ერთი ახსნა ამ საკითხისა – წიგნური გზით შემოსვლა, შემდეგროინდელ სომხეთის მიწა-წყალზე ადრე ქართლოსიანთა მოსახლეობის არსებობა, XI საუკუნის პოლიტიკური სიტუაცია, ავტორის – ლეონტი მროველის მეთოდი, ბაგრატ IV-ის დედის მარიამ დედოფლის (წარმოშობით სომხის) მონაწილეობა, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები და სხვ., დამაჯერებელი და საბოლოო არაა – ისინი მხოლოდ ფაქტის ახსნის კერძო თვალსაზრისებად რჩება. ვფიქრობ, საინტერესოა და კომპრომისეული, ყოველ შემთხვევაში, კვლევის ამ ეტაპზე, ალბათ, ყველასათვის ერთნაირად მისაღები მ. ლორთქიფანიძის დასკვნა ამ საკითხზე – „ერთი რამ კი ცხადია, იმ დროს, როდესაც ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილი „მეფეთა ცხოვრება“ იწერებოდა, ქართლოსზე შაოსის უფროსობა, და გარკვეულ დროს ქართლოსიანთა სალაპარაკო ენად სომხურის აღიარება სათაკილოდ არ ითვლებოდა (გარკვეულ წრეებში მაინც)“.<sup>27</sup>

ნაშრომის შემდეგ მონაკვეთში – „ქართლის ცხოვრების“ შეფასება“ (გვ. 82-104) – გადმოცემულია „ქართლის ცხოვრების“ ძველ წყაროებში – დოკუმენტურსა და ნარატიულში, როგორც ქართულში, ისე სომხურში, დამონშებისა და მოხსენიების ისტორია; აღნიშნულია, რომ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას ინვეეს როგორც „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ თხზულებათა ავტორების ვინაობის, მათი მოღვაწეობის დროის, აგრეთვე ამ თხზულებათა შეფასების, ისტორიისათვის მათი ცნობების სანდოობის საკითხი (გვ. 83). მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანი მხარეებისა, რომელიც „ქართლის ცხოვრებას“ გააჩნია და რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება აღნიშნული, მთლიანობაში მას მ. ლორთქიფანიძე მაღალ შეფა-

სებას აძლევს: „ქართლის ცხოვრება“, – წერს იგი, – ქართული შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიის უნიკალური ძეგლია. ასეთი კრებულის შედგენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერის ისტორიისათვის, რადგან ქვეყნის ისტორია მასში მთლიანობაშია წარმოდგენილი“ (გვ. 84). „ქართლის ცხოვრება“, – განაგრძობს იგი, – დაწერილია მაღალი პატრიოტული სულისკვეთის პოზიციებიდან. სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა, ერისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებულთა საქებრად ავტორები სიტყვებს არ იშურებენ, ისევე როგორც სამშობლოს მოღალატეთა მიმართ დაუნდობელნი არიან. დიდია „ქართლის ცხოვრების“ მნიშველობა თაობათა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის ეროვნულ საქმეში“ (გვ. 91).

„ქართლის ცხოვრების“ კრებულის შექმნამ, როგორც ჩანს, არაერთი საისტორიო ნაწარმოები, მიძღვნილი რომელიმე ეპოქისადმი, რომელიც მასში არ მოხვდა, დაჩრდილა, ან საეროდ დავიწყების წყვდიადში ჩაძირა და დაკარგა. მეორე მხრივ, საინტერესოა მ. ლორთქიფანიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ამასთანავე, ქართლის ცხოვრების კრებულის შედგენით არაერთი ქართული საისტორიო თხზულება დაღუპვას გადაურჩა“ (გვ. 84). „საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, – წერს მ. ლორთქიფანიძე, – ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული თხზულებები, ფაქტობრივად, მასალის მხრივ მდიდარი და სანდონი არიან. ამ „ეროვნულ ისტორიაში“ მოთხრობილი მრავალი ფაქტი დადასტურებას პოულობს უცხოური წერილობითი წყაროების, მატერიალური კულტურის ძეგლების, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური და სხვა ისტორიული წყაროების მონაცემებით“ (გვ. 91). ჩამონათვალს უნდა დავმატოს ისტორიული საბუთები, ე.წ. „სიგელი-გუჯრები“, რომელთა გამოყენებაზე და ამით მათ მნიშვნელობაზე საგანგებოდაა აღნიშნული ვახტანგისეული კომისიის წინასიტყვაობაში („გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი“). სადღესოდ მათი საერთო რაოდენობა, როგორც ცნობილია, 65000 აღწევს.<sup>28</sup>

ამასთანავე, მ. ლორთქიფანიძის შეფასებით, და ეს, როგორც თვითონაც აღნიშნავს, არაერთგზის იყო სხვათა მიერაც ნათქვამი, „ქართლის ცხოვრებას“ არაერთი ფრიად მნიშვნელოვანი ნაკლი გააჩნია. მათ შორის, „დიდი ნაკლია ის, რომ ეროვნული ისტორია მასში ნაკლულადაა წარმოდგენილი, მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფაქტები საერთოდ არაა ასახული“ (გვ. 93). „მასში ნაკლებადაა წარმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ისტორია“; მრავლადაა ანაქრონიზმები; მცირედაა წარმოდგენილი თარიღები (გვ. 93) და სხვ.

ნაშრომის დასკვნითი მონაკვეთია „ქართლის ცხოვრების“ გამოცემები და თარგმანები“ (გვ. 105-110), რომლის ლოგიკური დასასრულია გამოყენებული ლიტერატურის ვრცელი სია – 139 დასახელება ქართულ, რუსული და ევროპულ ენებზე. ეს სია თავისთავადი ღირებულებისაა და „ქართლის ცხოვრების“ ბიბლიოგრაფიის შედგენის ერთგვარი პირველი ცდაა.

„ქართლის ცხოვრების“ გამოცემების და თარგმანების ისტორიის გადმოცემის (განსაკუთრებით დაწერილებით პირველი გამოცემების) შემდეგ მ. ლორთქიფანიძე დაასკვნის: „ქართლის ცხოვრების“ რუსულ და ევროპულ ენებზე თარგმნას მნიშ-

ვენელობა აქვს როგორც ჩვენი ეროვნული კულტურის ამ დიდად მნიშვნელოვანი ძეგლის საერთაშორისო ასპარეზზე გატანისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულთა წრის გაფართოებისათვის, ისე ზოგადად ისტორიული მეცნიერებისათვის, რადგან „ქართლის ცხოვრებაში“, საკუთრივ საქართველოს გარდა, დაცულია ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები ამიერკავკასიის, ჩრდილოკავკასიელი ხალხების, ბიზანტიის იმპერიის და, საერთოდ, მახლობელი აღმოსავლეთის რიგი ქვეყნების ისტორიისათვის“ (გვ. 110). ამას დავუმატებდი „ქართლის ცხოვრების“ ცნობების მნიშვნელობას შუა აზიის ხალხების (ხორეზმის სამეფოს და ჯალალ ედ-დინის) და მონღოლების (განსაკუთრებით, მათი დასავლური ლაშქრობების) შესახებ.

სწორედ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული ცალკეული თხზულებების სხვა, ამჯერად რუსულ ენაზე თარგმნაა მ. ლორთქიფანიძის მიერ „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის მიზნით ჩატარებული მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება. ლოგორც დასაწყისშივე აღინიშნა, მან სამეცნიერო შემოქმედების ადრეულ ეტაპზე თარგმნა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ნაწყვეტები გარკვეული მიზნით შედგენილ სპეციალური გამოცემისათვის (იხ. შენ. 1). მაგრამ, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია მის მიერ შესრულებული და ცალკე ნიგნად გამოცემული რუსული თარგმანები კრებულის ორი თხზულებისა – „მატიანე ქართლისა“<sup>29</sup> და სუმბატ დავითის-ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“.<sup>30</sup> „მატიანე ქართლისაას“ ამ გამოცემას, როგორც „წინასიტყვაობის ეპიგრაფიშია აღნიშნული, მ. ლორთქიფანიძე უძღვნის თავისი მასწავლებლის – აკად. ს. ჯანაშიას ნათელ ხსოვნას.

„მატიანე ქართლისაას“ ეს გამოცემა შედგება შესავალი ნარკვევისგან, ს. ყაუხჩიშვილის მიერ „ქართლის ცხოვრების“ I ტომში გამოცემული მის მიერ დადგენილი ტექსტის<sup>31</sup> რუსული თარგმანისგან, მისადმი დართული შენიშვნების (294 ერთეული) და პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლებისაგან. შესავალ ნარკვევში განხილულია შემდეგი საკითხები: საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების წინაპირობა; „ქართლის ცხოვრების“ შექმნის პირობები; „მატიანე ქართლისაას“ ადგილი „ქართლის ცხოვრების“ კრებულში („მატიანის“ შექმნის თარიღად მ. ლორთქიფანიძე, ივ. ჯავახიშვილის კვალდაკვალ, 1072-1073 წწ. მიიჩნევს<sup>32</sup>); „მატიანე ქართლისაას“, როგორც საისტორიო წყაროს, დახასიათება-შეფასება და საქართველოს შესახებ მისი ცნობების ანალიზი.

ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლის უცხო ენაზე პირველად თარგმნა და გამოცემა არ დარჩენილა სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების გარეშე. მას ორი რეცენზია მიეძღვნა<sup>33</sup>, რომლებშიც აღნიშნული იყო გამოცემის უდავო ღირსებები, მისი მნიშვნელობა ამ თარგმანით ძეგლის რაც შეიძლება ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის საქმეში. გამოითქვა ცალკეული კრიტიკული შენიშვნებიც, როგორც ერთი, ისე მეორე რეცენზენტის მხრიდან. ისინი ეხებოდა როგორც ტერმინებისა და ცნებების გადმოლებას, ისე ტექსტის ცალკეული ადგილების სავარაუდო გაგებასა და თარგმნას. მთლიანობაში გამოცემამ კარგი შეფასება დაიმსახურა და იგი დღესაც დიდ სამსახურს უწევს საქართველოს ისტორიით და, კერძოდ, „მატიანე ქართლისაას“ ტექსტით დაინტერესებულ არა მარტო უცხოელ, არამედ ქარ-

თველ მკითხველსაც. შესაბამისად, მ. ლორთქიფანიძემ სათანადო პასუხი გასცა რეცენზიაში გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს, განმარტა და კიდევ ერთხელ დაასაბუთა თავისი პოზიციები და ამით საკითხი ამოიწურა.<sup>34</sup>

სუმბატ დავითის-ძის თხზულების მ. ლორთქიფანიძისეული რუსული გამოცემა შედგება ვრცელი შესავალი ნარკვევისგან, ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილი ტექსტის რუსული თარგმანისგან, ტექსტის გარშემო კომენტარებისა (157 ერთეული) და სამეცნიერო-საცნობარო აპარატისგან (პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა და ტერმინთა საძიებლები). გამოცემის შესავალ ნარკვევში განხილულია შემდეგი საკითხები: X-XI სს. ისტორიული სიტუაციის მოკლე მიმოხილვა; „ქართლის ცხოვრების“ შექმნის დრო და პირობები, მისი შედგენილობა და თანდათან შეესება; სუმბატ დავითის-ძის ნაწარმოების განხილვა, მისი, როგორც საისტორიო წყაროს, ზოგადი შეფასება; ბაგრატიონთა ლეთაბრივი წარმომავლობის შესახებ ლეგენდის ანალიზი ქართული, სომხური და ბიზანტიური საისტორიო-წერილობითი წყაროების მონაცემების მოხმობით ამ საკითხზე; სუმბატ დავითის-ძის, როგორც შუა საუკუნეების ავტორის, ფეოდალური ეპოქის ისტორიკოსის შეხედულების – პროვიდენციალიზმის განხილვა. დასასრულ, შესავალ ნარკვევში ცალკე მონაკვეთი აქვს დათმობილი თხზულების გამოცემებს და მათ შორის თარგმანებს სხვა – რუსულ (*ე. თაყაიშვილი*) და ფრანგულ (*მ. ბროსე*) ენებზე. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ მან ისარგებლა სუმბატ დავითის-ძის თხზულების ე. თაყაიშვილისეული რუსული თარგმანით (1900) და იყენებდა, აგრეთვე, მარი ბროსესეულ ფრანგულ თარგმანს (1849). ყურადღების გარეშე არაა დატოვებული თხზულების მცირე ნაწყვეტის სომხური თარგმანი, შესრულებული *ლ. მელქისეთ-ბეგის* მიერ (1934). ვფიქრობ, ასევე ფრიად მნიშვნელოვანია და საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის უხვი ბიბლიოგრაფიული მასალა საკითხის გარშემო, რომელიც ვრცლადაა წარმოდგენილი სუმბატ დავითის-ძის ტექსტისადმი დართულ მრავალრიცხოვან შენიშვნებში.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულის თხზულებების უცხოენოვანი თარგმანების აღნიშვნისას, ცალკე უნდა ითქვას ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის ნაწარმოების ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილი ტექსტის<sup>35</sup> *ქეთრინ ვივიანისეული* ინგლისური თარგმანის შესახებ, რომელსაც ახლავს მ. ლორთქიფანიძისე წინასიტყვაობა<sup>36</sup>. ამ წინასიტყვაობით ინგლისურენოვან მკითხველს მიეწოდება ძირითადი ცნობები „ქართლის ცხოვრების“, მისი შექმნის და თანდათანობით შევსების, ვახტანგ VI-ის კომისიის საქმიანობის, „ახალი ქართლის ცხოვრების“, მისი ძირითადი გამოცემების შესახებ. შემდეგ აღწერილია და დახასიათებული „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობა, მისი ძირითადი ხელნაწერები, ძირითადი ფაქტებით გადმოცემულია დავითისა და თამარის დროინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა, XII-XIII სს. ქართველ მეფეთა ტიტულატურა, მასში შემავალი თითოეული კომპონენტის შინაარსობრივი მნიშვნელობა და პოლიტიკური არსი. შესავალი მთავრდება ცნობილი გამოთქმით სახარების, ქართლის ცხოვრებისა და ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობის შესახებ ქართული კულტურის ისტორიასა და ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

„ქართლის ცხოვრების“ პოპულარიზაციისა და ფართო ფენებისათვის გაცნობის მიზნით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ორ რუსულ ენციკლოპედიაში გამოქვეყნებულ მ. ლორთქიფანიძის სტატიას „Картица Чховерца“, რომლებიც, თითქმის, იდენტურია<sup>77</sup>. მის მიერ თუ რამდენად კომპაქტურად, ამომწურავად, ნათლად და გასაგებადაა წარმოდგენილი აუცილებელი ცნობები „ქართლის ცხოვრებაზე“ ამ სტატიებში, ნიმუშად მოვიყვან ერთ-ერთის ამონაწერს:

„ქართლის ცხოვრება“ ქართული მატრიანების კრებულია, რომელიც წარმოიშვა XII ს-ში და თანდათან (XIX საუკუნემდე) შეივსებოდა ახალი საისტორიო თხზულებებით. იგი პირობითად იყოფოდა „ძველ ქართლის ცხოვრებად“ და „ახალ ქართლის ცხოვრებად“. პირველი მოიცავს საქართველოს ისტორიას XIV ს-ის ჩათვლით, ხოლო მეორე XVIII ს-ის ჩათვლით. XIV-XVII სს. „ქართლის ცხოვრების“ კრებული არ შევსებულა. XVIII ს-ში მეფე ვახტანგ VI-ემ შეადგინა „სწავლულ კაცთა“ კომისია ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც შეავსო დანაკლისი და შეადგინა XIV-XVIII სს. საქართველოს ისტორია. „ქართლის ცხოვრებაში“ ძირითადად წარმოდგენილია საქართველოს პოლიტიკური ისტორია. მისი მონაცემები უმეტეს შემთხვევაში მტკიცდება ბერძენი და ლათინი ავტორების, სომეხი, არაბი, სპარსი და სხვა ისტორიკოსების ცნობებით, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ძეგლების მონაცემებით. „ქართლის ცხოვრებაში“ მოიპოვება ცნობები სომხეთის, კავკასიის ალბანეთის, ჩრდ. კავკასიელი და სხვა ხალხების შესახებ. „ქართლის ცხოვრება“ სომხურ ენაზე ითარგმნა ჯერ კიდევ XII ს-ში“ (СИЭ, т. 7, с. 76). БСЭ-ში დამატებით აღნიშნულია, რომ „შემონახულია ძველი ქართლის ცხოვრების რამდენიმე ხელნაწერი (მე-15, მე-16 და მე-17 საუკუნეებისა)“ (გვ. 468).

2002 წელს, პირველ ქართულ პერსონალურ ენციკლოპედიაში – „ივანე ჯავახიშვილი“, გამოქვეყნდა მარიამ ლორთქიფანიძის სტატიების სერია; ისინი ეძღვნება „ქართლის ცხოვრების“ მთელ კრებულს („ქართლის ცხოვრება“, „ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრება“, „მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“), მის ცალკეულ თხზულებებს („ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, „მატიანე ქართლისაჲ“), ავტორებს (ბასილი ეზოსმოდვარი, თამარის პირველი ისტორიკოსი, სუმბატ დავითის ძე, ჯუანშერი) და „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ხელნაწერის მფლობელს (ერაჯ ჭალაშვილი). მართალია, საკითხები მათში განხილულია ივ. ჯავახიშვილის პოზიციებიდან, მისი თვალსაზრისის მიხედვით, რაც სავსებით ბუნებრივია – ამას მოითხოვდა სწორედ ენციკლოპედიური ლექსიკონის მიზანი და დანიშნულება, მაგრამ მ. ლორთქიფანიძე ასეთ შემთხვევაშიც წარმოგვიდგენს ორიგინალურ მიდგომებს ყოველი საკითხის განხილვისას, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით ამ სერიის ერთ-ერთი განმარტავადგებელი სტატიის – „ქართლის ცხოვრების“ განხილვისას.

არა მარტო „ქართლის ცხოვრების“, არამედ მთელი ადრეშუასაუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობის სწორი მეთოდოლოგიური შესწავლისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს მ. ლორთქიფანიძის ბოლო ხანს გამოქვეყნებულ სპეციალურ სტატიას, რომელიც ვალერიან გაბაშვილისადმი მიძღვნილ კრებულში დაიბეჭდა<sup>78</sup>. მ. ლორთქიფანიძე წერს:

„XI ს-ის ქართულმა საისტორიო თხზულებებმა („მეფეთა ცხოვრება“ და „ცხოვრება მეფისა ვახტანგისი“) რომ უფრო ადრინდელი ხანის საისტორიო თხზულებათა ექსცერპტები შემოგვინახეს, ეს დღეს სადავო აღარ უნდა იყოს. აღნიშნული გარემოება იძლევა საფუძველს თვალსაზრისისათვის, რომ ადრეშუასაუკუნეებში არსებობდა ცალკეული ისტორიული თხზულებები, რომელნიც ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე ან სხვადასხვა ისტორიულ პიროვნებებზე მოგვითხრობდა. შემდეგ ეს ცალკეული თხზულებები შეიტანეს და გააერთიანეს ქვეყნის ერთიან ისტორიაში, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ეწოდა. ამან შეამცირა მათი მნიშვნელობა და მათდამი ინტერესი და ობიექტურად ხელი შეუწყო მათი, როგორც დამოუკიდებელი საისტორიო თხზულებების დაკარგვას“<sup>39</sup>. ცხადია, ეს ერთი თვალსაზრისია პრობლემის შესწავლის გზისა (სხვა თვალსაზრისების განხილვას აქ ვერ გამოვუდგებთ), მაგრამ იგი იმდენად მწყობრია და ლოგიკური, ძნელად თუ შეირყევა რაიმე ახალი მნიშვნელოვანი მასალის მიკვლევის თუ აღმოჩენის გარეშე. სხვა სიტყვებით, ეს თვალსაზრისი დამყარებულია ადრეშუასაუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობაზე.

მ. ლორთქიფანიძე ვალში არ დარჩენილა „ქართლის ცხოვრების“ ისტორიოგრაფიის წინაშე და სპეციალური წერილები უძღვნა ქართული საისტორიო მეცნიერების კორიფეების – მ. ბროსესა და ივ. ჯავახიშვილის მიერ „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საკითხებს.

1989 წლის აპრილში განზრახული იყო აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის ჩატარება თბილისში, სახელწოდებით – „ძველი ქართლის ცხოვრება“. ქვეყანაში გართულებული პოლიტიკური სიტუაციის გამო, სესია არ ჩატარებულა, მაგრამ დაიბეჭდა და გავრცელდა სესიის პროგრამა<sup>40</sup> და მოხსენებათა თეზისები<sup>41</sup>.

სესიაზე წარდგენილ 26 მოხსენებას შორის ერთ-ერთი იყო მ. ლორთქიფანიძის – „ივანე ჯავახიშვილი – „ქართლის ცხოვრების“ მკვლევარი“. მოხსენების თეზისებს, ცხადია, აქ არ მოვიყვან, მაგრამ მათი შინაარსი შემდეგზე დაიყვანება:

„ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული შესწავლა XVIII საუკუნეში დაიწყო (ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისია). ბევრი გააკეთეს XIX-XX სს. მკვლევრებმა მის შესასწავლად. მათ შორის განსაკუთრებულია ივ. ჯავახიშვილის წვლილი. მან დიდი მუშაობა გასწია როგორც მთლიანად კრებულის, ისე მასში შემავალი თხზულებების შესასწავლად. მართალია, ივ. ჯავახიშვილის ცალკეული მოსაზრებანი ამ მიმართულებით (თხზულებათა მოცულობა, ავტორთა იდენტიფიკაცია...), „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარე, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, მაგრამ ივ. ჯავახიშვილისეული ეტაპი აუცილებელი იყო ამ კრებულის დანიშნულების და მნიშვნელობის დასადგენად. ანგარიშგასწავლია ისიც, რომ მთლიანობაში ეს ძველი მხოლოდ ივ. ჯავახიშვილს აქვს შესწავლილი“.<sup>42</sup> განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ბოლო დაკვირვება – მართლაც, მიუხედავად „ქართლის ცხოვრების“ გარშემო შექმნილი ზღვა ლიტერატურისა (მათი საერთო რაოდენობა სადღეისოდ 850-ზე მეტია), მთლიანობაში ეს ძველი მხოლოდ ივ.

ჯავახიშვილს აქვს შეფასებული თავის „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“ შესულ ნარკვევებში,<sup>43</sup> რომლის ბოლო გამოცემის რედაქტორია მ. ლორთქიფანიძე.

ეს მოსაზრება მ. ლორთქიფანიძემ კიდევ უფრო განამტკიცა და გაიმეორა ივ. ჯავახიშვილის პერსონალურ ენციკლოპედიაში გამოქვეყნებულ სპეციალურ სტატიაში „ქართლის ცხოვრების“ შესახებ,<sup>44</sup> რომლის მიზანი იყო ამ ძეგლის შესწავლაში ივ. ჯავახიშვილის წვლილის წარმოჩენა. ამასთან დაკავშირებით, მ. ლორთქიფანიძე წერს, რომ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, „ქართლის ცხოვრების“ კრებული შედგენილია XII ს-ის II ნახ-ში, შემდეგ ხდება მისი თანდათან შევსება. ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა (უმეტესწილად პირობითად) ცალკეულ თხზულებათა მოცულობა, სათაურები, თხზულებათა დაწერის დრო და ავტორები. მან აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხელნაწერი – ანა დედოფლისეული, რომელიც დაახ. 1479-1495 წწ. დაათარიდა; ცალკე თხზულებად გამოყო თამარის მეორე ისტორიკოსის ნაწარმოები – მისი პირველი ნაწილი (ბასიანის ბრძოლამდე) შემონახულია *ჭალაშვილისეულ* ნუსხაში, ხოლო მეორე ნაწილი მან აღადგინა თხზულების *ვახტანგისეული* რედაქციის ტექსტით. მანვე გამოსცა ეს ნაწარმოები, რომელიც 1202-1213 წწ. დაათარიდა. მანვე ცალკე გამოსცა ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანის თხზულება (1927) და ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (1940). და კვლავ – ივ. ჯავახიშვილი დღემდე ერთადერთია, ვინც წარმოადგინა „ქართლის ცხოვრების“, როგორც კრებულის მთლიანი, ერთიანი შეფასება.

ბოლო ხანს მ. ლორთქიფანიძე დაუბრუნდა „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ძირებს და სპეციალური წერილი უძღვნა „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის მესაძირკვლეს – აკად. *მარი ბროსეს*<sup>45</sup>. ეს თემა ვრცელი, ცალკე მონოგრაფიის საგანია და ქართული ისტორიოგრაფია ჯერაც ვალშია მარი ბროსეს წინაშე (სხვათა შორის, შეუსწავლელია და არ არის შეფასებული ის მრავალრიცხოვანი და ნებისმიერი თვალსაზრისით მეტად ღირებული „*დამატებები და შენიშვნები*“, რომლებიც მარი ბროსემ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს დაურთო. XIX საუკუნის ბოლოს ზოგი რამ აქედან ითარგმნა ქართულად, ზოგი გამოქვეყნდა კიდევ და ზოგიც ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ინახება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ქართული ისტორიოგრაფია უუნარო აღმოჩნდა ამ საქმისათვის თავის მოსაბმელად). დასახელებულ წერილში აკად. მარი ბროსეს ღვაწლი მ. ლორთქიფანიძემ ასე წარმოადგინა:

მარი ბროსეს შრომათა უდიდესი ნაწილი მიზნად ისახავს „ქართლის ცხოვრების“ ანალიზს და შევსებას, ე.ი. „ქართლის ცხოვრების“ („საქართველოს ისტორიის“) შექმნას ამ ცნების ფართო გაგებით. მ. ბროსემ აღნიშნა, რომ ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრება“ ემყარება ძველ ქართულ საისტორიო წყაროებს, რომ XVIII საუკუნემდე არსებობდა მატთან „ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებით. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის, ე.წ. „სომხური ქრონიკის“ აღმოჩენას. ცნობა მის შესახებ მ. ბროსეს მიაწოდა პლ. იოსელიანმა 1838 წ. 1845 წ. მან თვითონ მიაკვლია ამ „ქრონიკის“ მეორე ნუსხას ვენეციაში, 1848 წ. მ. ბროსემ ამ ქრონიკის მესამე ნუსხა მოიპოვა სომხეთში, რომე-

ლიც დაათარილა 1279-1311 წლებით. 1851 წ. მ. ბროსემ გამოსცა ამ „სომხური ქრონიკის“ ფრანგული თარგმანი სათანადო გამოკვლევით. მ. ბროსე პირველი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ქართლის ცხოვრება“ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორთა თხზულებების კრებულაა. მას მიაჩნია, რომ ამ თხზულებათა ავტორები (ფარნავაზის, ადერკის, მირიანის, ვახტანგ გორგასლის „ისტორიები“) მათ მიერ აღწერილი მოვლენების თანამედროვენი არიან. „ქართლის ცხოვრების“ გამოცემისას მარი ბროსეს ხელთ ჰქონია სამი ნუსხა – *ფალავანდიშვილისეული* (1761), *თეიმურაზისეული* (XVIII ს. I ნახ), *რუმიანცევისეული* (1703), ყველანი *ვახტანგისეული* რედაქციისა. ყველაზე ვრცელი მათ შორის *ფალავანდიშვილისეულია* და მ. ბროსემ ტექსტის საფუძვლად იგი მიიღო. მასში მექანიკურად ჩართო ცალკეული ადგილები დასახელებული ორი სხვა ნუსხიდან მითითებათა გარეშე და შეიქმნა კომპილაციური ტექსტი, ე.წ. „ქართლის ცხოვრების“ *ბროსესეული* ვარიანტი. მარი ბროსე ახალი ეტაპია „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერულ შესწავლაში, მანამდე იყო ვახტანგისეული, და ადრე XI-XII საუკუნეების ეტაპი“. ასეთია მ. ლორთქიფანიძის დაკვირვებები, არა მარტო მ. ბროსეს მეცნიერული შემოქმედების, არამედ მთლიანად „ქართლის ცხოვრების“ შესახებ.

დასკვნა ერთია – მნიშვნელოვანია და მრავალფეროვანი აკად. მარიამ ლორთქიფანიძის წვლილი „ქართლის ცხოვრების“ პრობლემების შესწავლაში – კრებულის ცალკეული თხზულებების გამოცემით დაწყებული და ისტორიის და მეთოდოლოგიის საკითხებით დამთავრებული.

## ლიტერატურა

1. Царствование Давида IV (из «Истории царя Давида»), წგნ.: Хрестоматия по истории СССР с древнейших времен до конца XV века, Под редакцией М.К. Тухомирова. Составили: Л. В. Милов, В.И. Рогов, акад. М.Н. Тухомиров, М., 1960, с. 354-358.
2. მ. ლორთქიფანიძე, მარი ბროსე და ქართლის ცხოვრების ზოგი საკითხი, *მეოთხე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები*, თბ., 2005, გვ. 15-18 (რეზ. ინგლისურ ენაზე).
3. ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფციის საკითხისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1, 1969, გვ. 316-335.
4. იქვე, გვ. 319.
5. იქვე, გვ. 325-327.
6. იქვე გვ. 334.
7. მ. ლორთქიფანიძე, რა არის ქართლის ცხოვრება, თბ., 1989.
8. იქვე, გვ. 7-8.
9. იქვე, გვ. 19.
10. იქვე, გვ. 20-21.
11. იქვე, გვ. 21.
12. იქვე, გვ. 42.
13. იქვე, გვ. 52.
14. კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954.

15. მ. ლორთქიფანიძე, რა არის ქართლის ცხოვრება, გვ. 56.
16. იქვე, გვ. 59.
17. იქვე, გვ. 60.
18. იქვე, გვ. 65.
19. იქვე, გვ. 60.
20. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული სისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), იხ. მისი, თხზ., ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 319.
21. კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, გვ. 274.
22. მ. ლორთქიფანიძე, რა არის ქართლის ცხოვრება, გვ. 66.
23. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 443-540.
24. კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, გვ. 447-955.
25. მ. ლორთქიფანიძე, რა არის ქართლის ცხოვრება, გვ. 68. იქვე, საკითხის ლიტერატურა.
26. იქვე, გვ. 71.
27. იქვე.
28. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, IX-XIII სს. ისტორიული საბუთები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს: თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 10.
29. Матиане Картлиса (Перевод, введение и примечания М.Д. Лордкипанидзе) (სერია – ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები), თბ., 1976, გვ. 106.
30. Сумбат Давитис-дзе, История и повествование о Багратионах, Перевод, введение и примечания М.Д. Лордкипанидзе (Источники по истории Грузии, 13; Памятники грузинской исторической литературы, III), Тб., 1979, გვ. 70 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).
31. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 249-317.
32. Матиане Картлиса, с. 15.
33. Г. Пайчадзе, Древнегрузинская рукопись на русском языке, Литературная Грузия, №11, 1978, с. 92-94; იდ. ხომტარია-ბროსე, ქართული საისტორიო წყაროების რუსულ ენაზე თარგმანის შესახებ, მაცნე, ისტორიის ... სერია, 1, 1979, გვ. 150-171.
34. მ. ლორთქიფანიძე, კვლავ ქართული საისტორიო წყაროების რუსულად თარგმნის შესახებ. „მატიანე ქართლისა“, მაცნე, ისტორიის... სერია, 4, 1979.
35. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 272-386.
36. იქვე, I, გვ. 365-371.
37. M. Lordkipanidze, Introduction, წგნ.: The Georgian Chronicle, The Period of Giorgi Lasha, Text edited by S. Qaukhchishvili, Translated by Katharine Vivian, Preface by Anthony Bryer, Amsterdam, 1991, p. XXV-XLVII.
38. М.Д. Лордкипанидзе, Картлис Цховреба, Советская историческая энциклопедия, т. 7, М., 1965, с. 76. Большая Советская энциклопедия, т. 11, М., 1973, с. 468.
39. მ. ლორთქიფანიძე, ადრეშუასაუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობის ზოგი საკითხი, კრ. „ვალერიან გაბაშვილი – 90“, თბ., 2003, გვ. 356-366.
40. იქვე, გვ. 363-364.

41. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო სესია „ძველი ქართლის ცხოვრება“, *მოსაწვევი ბარათი და პროგრამა*, თბ., 1989.

42. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო სესია „ძველი ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 1989 წლის 25-27 აპრილი, *მოსხენებათა თეზისები*, თბ., 1989.

43. იქვე, გვ. 30-31.

44. *ივ. ჯავახიშვილი*, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), *მისი*, თხზ. ტ. VIII, თბ., 1977.

45. *მ. ლორთქიფანიძე*, „ქართლის ცხოვრება“, ივანე ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2002, გვ. 660-661.

46. *მ. ლორთქიფანიძე*, მარი ბროსე და ქართლის ცხოვრების ზოგი საკითხი, *მეოთხე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები*, თბ., 2005, გვ. 15-18.

VALERI SILOGAVA

MARIAM LORDKIPANIDZE –  
AN EXPLORER OF "KARTLIS TSKHOVREBA"  
Summary

ACADEMICIAN Mariam Lordkipanidze has been interested in profound scientific study of „artlis Tskhovreba" (Life of Kartli or History of Georgia) from the early period of her scientific activities. Later, she dedicated numerous articles to this item, the most distinguished and significant of which are the encyclopedic articles in Georgian and Russian languages. Mariam Lordkipanidze devoted a special monograph to this issue as well. Special attention was paid to a couple of texts of „Kartlis Tskhovreba" – „Matiane Kartlisa" (the „History of Kartli") and „Tskhovreba da Utskeba Bagrationianta" (the „History of the Bagrations" of Georgia) by Sumbat Davitisdze. She interpreted these two historical sources into Russian with commentaries and notes and, thus, made them available for wider masses of intellectual society.

# საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები

ზაზა ალექსიძე

## „სიყვარულსა ზარქანთასა ნუ დაუტყვევებთ“

1. 1. ევროპასა და აზიას შორის გაცნობიერებული არჩევანი ქართულმა ისტორიოგრაფიამ პირველად მაშინ გააკეთა, როდესაც ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემით დაინტერესდა (XI ს.). შუა საუკუნეებში ასეთი პრობლემის გარკვევა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ბიბლიის საფუძველზე შეიძლებოდა. მას უნდა აერჩია, ნოეს შვილების ჩამომავალთაგან, ვისთვის უნდა მიეკუთვნებინა თავი: იაფეტის, სემისა თუ ქამისათვის.

ცხადია, ასეთი რთული საკითხის მეცნიერულად გასარკვევად ქართველ ისტორიკოსებს საკმარისი ლინგვისტური ცოდნა არ შეიძლებოდა ჰქონოდათ. ან როგორ უნდა მოეთხოვოთ მათ ასეთი სირთულის პრობლემის თანამედროვე დონეზე გადაწყვეტა, როდესაც XIX საუკუნის ბოლოს ნ. მარიც კი ქართველებს სემიტურ მოდემასთან აკავშირებდა.

1. 2. მიუხედავად ამისა, ქართულმა მოაზროვნე საზოგადოებამ მაინც თეორიულადაც სწორი არჩევანი გააკეთა: თავი ბიბლიური ნოეს შვილის, იაფეტის ჩამომავალად გამოაცხადა („ცხოვრება მეფეთა“) და არა სემისა ან ქამისა. ეს იყო პირველი სერიოზული, მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმარისი განაცხადი ქართველთა დასავლური ორიენტაციის თეორიულად გასამართლებლად.

მართალია, ქართველების იაფეტიდებად გამოცხადება უკვე მაშინ დასავლური არჩევანის მაუწყებელი იყო, მაგრამ იაფეტის ჩამომავალთა შორის დასავლურთან ერთად საქართველოსთვის ამკარად აღმოსავლური ხალხიც იგულისხმებოდა, მაგალითად, ირანელები ან ინდოელები, რომლებსაც დღეს ინდოევროპული მოდემის ხალხებს ვეძახით. მაგრამ ამ არჩევანს ქართველი ისტორიკოსი (ლეონტი მროველი) აკეთებდა მაშინ (XI ს.), როდესაც ირანი არ იყო ქვეყნისთვის მთავარი პრობლემა. მთავარ პრობლემად ჯერ კიდევ სემიტური მოდემის არაბები რჩებოდნენ და ამოცანა იყო მათგან გამიჯვნა. სემიტებისგან (სემის ჩამომავალთაგან) გამიჯვნა კი საქართველოსთვის დასავლური ორიენტაციის არჩევას უდრიდა.

2. 1. კიდევ უფრო ადრე ქართველთა (იბერიელთა) ეთნოგენეზისის შესახებ თეორიები შეიქმნა ბერძენ და ლათინ ისტორიკოსთა (ოლიმპიადორე) შორის, რომელიც მოგვიანებით დაამუშავეს სომეხმა ისტორიკოსებმა (მოსე ხორენელი, უხტანესი). ეს არის თეორია ქართველთა პირენეის ნახევარკუნძულიდან ნაბუქოდონოსორის მიერ გადმოსახლების შესახებ:

„ის ივერია არის ქვეყნის კიდემი დასავლეთში, ხოლო ეს ივერია არის პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზეო“, განმარტავენ ოლიმპიადორეს მიმდევრობით სომეხი ისტორიკოსები.

სომეხთა დაინტერესება ამ თეორიით ადვილი ასახსნელია. ისინი თავს თვლიდნენ ავტოქტონებად, ბიბლიური წარმოშობისად, ანუ იაფეტის ძის თარგამოსის შთამომავლებად, რომელიც არარატის ძირას დასახლდა, ხოლო ქართველებს – გვიან მოსულებად, უკიდურესი დასავლეთიდან იძულებით გადმოსახლებულებად.

არ არის გამორიცხული, რომ ლეონტი მროველის თეორია ქართველთა ასევე იაფეტის ძის თარგამოსის შთამომავლებად გამოცხადებისა, სხვა გარემოებათა გარდა, ამ თეორიის საწინააღმდეგოდ დამუშავდა.

2. 2. უკვე ანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში გაჩნდა პირენეელი იბერების წარმომავლობის შესახებ სხვა თეორიაც, რომ ისინი კავკასიიდან არიან ნასული დასავლეთში. ასეა თუ ისე, ქართველთათვის ცნობილი იყო, რომ მათ ნათესავები ჰყავთ ევროპაში და საჭიროა მათთან კავშირების აღდგენა. ეს ინტერესი ქართველთა შორის განსაკუთრებით გაძლიერდა X-XI ს-ში, უშუალოდ იმის წინ, როდესაც ქართლოსის იაფეტური წარმომავლობის თეორია უნდა შექმნილიყო, როდესაც ქართველებმა თავისი წარმომავლობის ძიება დაიწყეს. გიორგი მთაწმიდლის მონათხრობიდან ვიცით, რომ იოანე მთაწმიდელი, ექვთიმე ათონელის მამა, თავისი მონათხრობით ემზადებოდა კიდევ ნასასვლელად დასავლეთში ქართველთა მოძებნათან კავშირების აღსადგენად.

საინტერესოა ახლა ის არის, თუ როგორ შემზადდა თეორია ქართველთა დასავლური წარმომავლობის შესახებ და რამდენად გაემიჯნა იგი თავის აღმოსავლურ ფესვებს.

3. 1. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს, ქართლის სახელწოდებით, ჩამოყალიბების პროცესი ლეონტი მროველს ასე აქვს აღწერილი:

ქვეყანაში არეულია სხვადასხვა ხალხი: სომეხები, ბუნთურქნი, ხაზარები, ასურნი, ებრაელები, ბერძენნი. ყველანი ესენი თავისი ქვეყნიდან გამოქცეულან სხვადასხვა გარემოების გამო და ქართლისთვის შეუფარებიათ თავი, ყველა მათგანს თავისი ენა, სარწმუნოება და ცხოვრების წესი შემოუტანია ქვეყანაში, ქართლის ციხეებიც კი მათ (ბუნთურქებს) უკავიათ. ამის გამო ქართლოსიანთ უჭირთ გაერთიანება და სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლა. ხსნა დასავლეთიდან, მაკედონიიდან (ქართველთათვის – საბერძნეთიდან) მოდის:

ალექსანდრე მაკედონელი „გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა“, „განძლიერდა“, „დაიპყრა ყოველი ქართლი და მოსრნა ყოველნი ნათესავნი აღრეულნი, ქართლს მყოფნი... და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი“.

ალექსანდრე მაკედონელის წყალობით საქართველო მონოეთნიკურ ქვეყანად ყალიბდება.

3. 2. მონოეთნიკურ ქვეყანაში ალექსანდრე მაკედონელს შესაძლებლობა ეძლევა ახლებურად მოაწყოს ქვეყანა და ერთღმერთიანობა შემოიღოს. მან დატოვა ქართლის მმართველად აზონი და უბრძანა:

„რათა პატივსცემდნენ მზესა და მთვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა, და ჰმსახურებდნენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა. რამეთუ მას ჟამსა არა იყო წინასწარმეტყველი და მოძღუარი სჯულისა ჭეშმარიტისა, რომელმანცა ასწავლა და ამხილა, არამედ თვთ მოიგონა სჯული ესე“.

ლეონტი მროველი გვარწმუნებს, რომ ალექსანდრე მაკედონელის წყალობით, ქართლი უკვე ქ. წ. IV-III სს-ის მიჯნაზე მზად იყო ახალი აღთქმის, მაცხოვრის სჯულის მისაღებად. ასე მხოლოდ იმიტომ არ მოხდა, რომ ჯერ არსად იყო წინასწარმეტყველი და სჯულის მოძღვარი, რომ მისთვის მართალი სჯული ესწავლებინა. ერთი სიტყვით, ქართლი უკვე მაშინ განუდგა ყველა აღმოსავლურ საწმენოებას.

3. 3. მაგრამ აზონი, რომელიც ალექსანდრემ რომაული მხედრობით ქართლის მმართველად დატოვა, ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ გადაუხვევს მის გზას:

„დაუტევა სჯული ალექსანდრეს მოცემული, იწყო კერპთმსახურებად“.

დადგა ქართლოსიანთა ოცდაშვიდწლიანი ძნელბედობის ხანა.

3. 4. ამასობაში დაჯავჯაცდა ფარნავაზი, მცხეთის მამასახლისთა შთამომავალი, მამით ქართველი, ხოლო დედით სპარსი. ფარნავაზმა გააერთიანა აღმოსავლეთი და დასავლეთი (ეგრისის ერისთავი ქუჯი) საქართველო. ათასმა რჩეულმა რომაელმა მეომარმა მიატოვა აზონი და ფარნავაზის მხარეს გადმოვიდა. აზონი დამარცხდა. შეიქმნა თავისუფალი, ერთიანი საქართველო მეფე ფარნავაზით სათავეში.

3. 5. ფარნავაზმა დაიწყო ქვეყნის პოლიტიკური მოწყობა. მან დაყო საქართველო საერისთავოებად, ჩაუყენა სათავეში ერისთავები (ცხადია, ქართველები) და ყველა საერისთავოდან შემოუდიოდა „ხარკი სამეფო და საერისთავო“. ამ რეფორმის შესახებ ლეონტი მროველი ამბობს:

„ესრეთ განანესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“.

მაგრამ სად წავიდა ის ათასი რჩეული რომაელი, რომელმაც მიატოვა აზონი და ფარნავაზს დიდი სამსახური გაუწია:

„ხოლო იგი ჰრომნი ათასნი მხედარნი... განყენა ჳევთა და ქუეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისსა მხნედ იყენეს, და უწოდა მათ აზნაურნი“.

ამრიგად, ლეონტი მროველის თვალსაზრისით, ფარნავაზმა საერისთავოები დაყო უფრო მცირე ერთეულებად, სამართავად ჩააბარა რომაელებს და მათგან შექმნა მეფის დასაყრდენი სოციალური ფენა, ის ფენა, რომელმაც მოგვიანებით საქართველოში ფეოდალიზმი უნდა ააშენოს. ერთი სიტყვით, ფარნავაზმა შექმნა სამეფო, რომლის სახელმწიფო (პოლიტიკური) წყობა აღმოსავლურია – სპარსული, ხოლო სოციალური – დასავლური (რომაული).

ეს არის სიმბოლური სახე საქართველოს მთელი შემდგომი განვითარებისა, ყოველ შემთხვევაში, მონღოლთა ბატონობამდე მაინც. ეს არის ის მთავარი თავისებურება, რაც საქართველოს გეოპოლიტიკურსა და გეოკულტურულ სიტუაციას ამი-

ერკავკასიის სხვა ქვეყნებისაგან მკვეთრად განასხვავებს მთელი ისტორიის მანძილზე.

საინტერესო და რთული სურათი დახატა ლეონტი მროველმა: ფარნავაზი არის ერთიანი საქართველოს პირველი ქართველი მეფე, თუმცა დედით სპარსია. იგი ქართულ ენას აცხადებს ერთადერთ (სახელმწიფო) ენად. ქმნის ქართულ მნიგნობრობას (დამწერლობას), სახელმწიფოს ადმინისტრაციულ სისტემას აყალიბებს აღმოსავლურს (სპარსულს), ხოლო სოციალურს – დასავლურს (რომაულს).

4. 1. საქართველოს სოციალური სისტემის მსგავსება ევროპულთან და ამ ინსტიტუტების განვითარების გზები განსაკუთრებით თვალსაჩინოა მონღოლთა შემოსევამდე, მანამდე, ვიდრე საქართველო ბუნებრივი გზით ვითარდება. მონღოლთა ბატონობამ შეაფერხა განვითარების გზა და შემდეგში გააადვილა აღმოსავლური (თურქული, სპარსული) სისტემების დანერგვა. შუა საუკუნეების ქართული ინსტიტუტები თავისუფლად და უდანაკარგოდ ხასიათდება ევროპული ინსტიტუტების აღმნიშვნელი ტერმინებით: სიუზერენი, ფეოდალი, ფეოდალიზმი, სენიორი და სენიორია, ვასალი და ვასალიტეტი, იმუნიტეტი, ლენი, თუმცა ყველა მათგანისათვის არის საკუთრივ ქართული ტერმინები: ხელმწიფე, აზნაური, პატრონ-ყმობა და ბატონ-ყმობა, სამთავრო და სათავადო, საკარგავი და ა.შ. ყველაფერი ეს ევროპაში ფარნავაზის ხანაზე გაცილებით უფრო გვიან ყალიბდება, მაგრამ ლეონტი მროველმა რაღაც იცის თავისი დროის ევროპის სოციალური მოწყობის შესახებ, როდესაც უნდა დავგარანმუნოს, რომ ქართლის აზნაურები წარმოშობით რომაელები არიან.

5. 1. ქართველებს ახსოვთ, რომ ალექსანდრე მაკედონელმა მათ უბრძანა დამბადებელი ღმერთის მსახურება. ქრისტიანობა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ დევნილი რელიგიაა რომში (III ს. ქ. შ.), როდესაც საქართველოში მეფობს რეე მართალი, რომელიც:

„დალაცათუ იყო წარმართი, არამედ მოწყალე და შემწე ჭირვეულთა, რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლის ჩუენისა იესო ქრისტესი, და აქუნდა რამე სიყუარული ქრისტესი“.

ასე თანდათან ამზადებს ლეონტი მროველი მკითხველს იმის მისახვედრად, თუ რატომ აირჩია ქრისტიანობა საქართველომ სახელმწიფო რელიგიად მთელს იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა; რომ ეს არჩევანი არ იყო შემთხვევითი.

5. 2. დადგა ქ. შ. IV საუკუნე. დაილუპა სპარსელებთან ბრძოლაში უკანასკნელი ფარნავაზიანი მეფე ასფაგური. დაპყრობილია სომხეთი. „აღუღია პირი სპარსთა მეფესა შთანთქმად ქუეყანისა“. ქართველებს წინააღმდეგობის განევა აღარ შეუძლიათ, ვინაიდან დარჩნენ „ვითარცა ცხოვარნი უმწყესონი“. და აი, მათ გადაადგეს პარადოქსული ნაბიჯი, რომელმაც ეროვნული თვალსაზრისით სასურველი შედეგი მოიტანა. ქართლის აზნაურებმა მიმართეს ირანის შაჰს თხოვნით: მისცენ მეფედ თავისი ძე მიჰრანი, მიჰრანმა ცოლად შეირთოს ფარნავაზის ჩამომავალი (ფარნავაზიანი) ასფაგურის ასული, ქართველებმა შეინარჩუნონ მამა-პაპის რჯული, ქართველი აზნაურები არ გაითქვიფონ სპარსელ წარჩინებულებში და შეინარჩუნონ თავისი

სოციალური პრივილეგიები. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მზად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ და უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპონ.

ირანის შაჰმა შეინყნარა ეს თხოვნა. ამით ქართველებმა მთელი თავისი ცხოვრების წესი შეინარჩუნეს, ანუ შეინარჩუნეს ქართული სოციალური სისტემა. ერთადერთი ქართული, რაც მათ ვერ შეინარჩუნეს, იყო სამეფო ხელისუფლება. მაგრამ რა მოხდა? როდესაც მთლიანად ქართულ გარემოში მოხვდა, მიჰრანი იქცა მირიანად, „შეიყუარა ქართველნი, და დაივინყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული... და შეამკო საფლავი ფარნავაზისი“, ანუ გახდა ქართველი მეფე და აღიარა თავისი ფარნავაზიანობა. ასე, დღეს რომ ვიტყვი, ვირტუალურად აღდგა ფარნავაზიანთა დინასტია.

თხუთმეტი წლის მირიანს გარდაეცვალა ფარნავაზიანი მეუღლე. წარმოშობით სპარსმა მირიანმა, ვინაიდან ქართველთა სიკეთე სურდა (!), მოიყვანა მეუღლედ ბერძენი ქალი ნანა. ესენი გახდნენ პირველი ქრისტიანი მმართველნი ქართლისა: სპარსი მეფე მირიანი და ბერძენი დედოფალი ნანა – ორივენი სრულიად გაქართველებულნი პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით.

წნორედ ეს იყო ფუნქცია ორ იმპერიასა და ორ ცივილიზაციას, სცილასა და ქარიბდას შორის მოქცეული საქართველოსი: ამ ორი ცივილიზაციის შერიგება. თვითონ საქართველო კი თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით უნდა გამხდარიყო ამ შერიგების პოლიგონი. სხვათა შორის, ასეთი ფუნქცია ამიერკავკასიაში არც ერთ სხვა სახელმწიფოს თავის თავზე არასოდეს არ აუღია.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში ერთმანეთს შეეჯახა რამდენიმე ძლიერი რელიგია: იყო ქრისტიანობა, მაზდეანობა და, ბოლოს, მაჰმადიანობა. სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით ქრისტიანობა დასავლური ღირებულების მატარებლის – ბიზანტიის რელიგია იყო. თავდაპირველად ამიერკავკასიის ყველა ქვეყანამ (ქართლმა, სომხეთმა და ალბანეთმა) დასავლური (ბიზანტიური) ორიენტაცია აირჩია. ამის დასტურად ქართლმა სამღვდელოებაც საბერძნეთიდან მოიყვანა, თუმცა შეეძლო, და ვალდებულიც იყო, მოეყვანა ანტიოქიდან ან იერუსალიმიდან, მით უფრო, რომ ქართლი ანტიოქიის სამწყსოდ ითვლებოდა. ქართლმა ეს პრობლემა ასე გადაწყვიტა: ანტიოქიის პატრიარქს დაამტკიცებინა საბერძნეთიდან მოყვანილი სამღვდელონი. ასე გაგრძელდა VI ს-ის შუა ხანებამდე, სანამ უმაღლესი იერარქების საყდრები თვითონ ქართველებმა არ დაიკავეს.

6. 1. მაგრამ ასეთი იდეოლოგიური ჰარმონია ამიერკავკასიაში დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ მსოფლიო ქრისტიანული ეკლესია და მთელი მაშინდელი ახლო აღმოსავლეთი და დასავლეთი შეაზანზარა დოგმატიკის საკითხებში პოლემიკამ. დღის წესრიგში ახლა უკვე ქრისტიანობის შიგნით არჩევანის გაკეთება დადგა. ყველაზე მთავარი იყო დაპირისპირება დიოფიზიტობასა და მონოფიზიტობას შორის. ქრისტიანებს შორის არსებულ მიმდინარეობებს დიდი იმპერიები თავის სასარგებლოდ იყენებდნენ. ირანი მხარს უჭერდა იმ სარწმუნოებას, რომელსაც ებრძოდა ბიზანტია. ირანის მხარე დაიკავა სომხეთმა, ხოლო ბიზანტიისა – ქართლმა. ამიტომ მონოფიზიტობამ სახელად სომხური სარ-

წმუნობა მიიღო, ხოლო დიოფიზიტობამ – ქართული. მიაქციეთ ყურადღება: მთელს ახლო აღმოსავლეთში საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც პრობიზანტიური, დიოფიზიტური მრწამსი აირჩია. წინა მონათხრობით ლეონტი მროველმა თავისი მკითხველი უკვე შეამზად ასეთი არჩევანის ბუნებრივად აღსაქმელად.

6. 2. საქმე ის არის, რომ ამიერკავკასია, გეოგრაფიული თვალსაზრისით, ერთი სახელმწიფოსათვის არის შექმნილი: ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, სამხრეთით ანატოლიის ზეგანი, დასავლეთითა და აღმოსავლეთით შავი და კასპიის ზღვები. ამიტომ იყო, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმპერიებს კავკასიაში გაბატონებისათვის სამივე ქვეყანა ერთად სჭირდებოდათ. პოლიტიკური გაბატონების გზაზე საუკეთესო საშუალება იყო მათი ერთი სარწმუნოების ქვეშ ყოფნა და ამ სარწმუნოებისათვის მხარის დაჭერა. მეორე მხრივ, ამიერკავკასიის ქვეყნებიც, ხან ერთი, ხან მეორე, ცდილობდნენ ჰეგემონობისთვის მიეღწიათ და ხელსაყრელ პირობებში გეოგრაფიული საზღვრები პოლიტიკურისათვის დაემთხვიათ, ამიერკავკასია ერთ სახელმწიფოდ ექციათ. ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად იმ პერიოდში უფრო ძლიერი ქვეყნისათვის სასურველი იყო სამივე ქვეყანას ერთი სარწმუნოება ჰქონოდა, რომ ერთიანი სულიერი და ხორციელი მართვისათვის მიეღწია. ამიტომ, როგორც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოს, შექმნილ პირობებში ამიერკავკასიის ქვეყნების ერთ სარწმუნოებაზე დგომა დამლუპველი იქნებოდა გარეშე მტრის საფრთხის წინაშე ყველასთვის და ამავე დროს ერთმანეთთან მიმართებაშიც საფრთხეს შეიცავდა თვითმყოფადობის დაკარგვისა. როდესაც ირანი მოდიოდა კავკასიაში სომხურ სარწმუნოებაზე დაყრდნობით, მას ქართლი ელობებოდა წინ ქართული სარწმუნოების (დიოფიზიტობა) დროშით, ხოლო, როდესაც ბიზანტია მოდიოდა კავკასიაში გასაბატონებლად, მას სომხეთი ულობავდა გზას სომხური სარწმუნოების (მონოფიზიტობა) დროშით. მხოლოდ ერთს, ალბანეთს ვერ მოუპოვებინა განსვავებული მრწამსი. იგი ხან ქართულ სარწმუნოებას (დიოფიზიტობას) ემხრობოდა, ხან სომხურს (მონოფიზიტობას) ასეთივე თანმიმდევრობით და ამიტომაც გაქრა იგი მეთაე საუკუნდან ამიერკავკასიის პოლიტიკურ რუკაზე.

7. 1. მთელი შუა საუკუნეები ბიზანტიის დაცემამდე და ქრისტიანული სამყაროსგან იზოლაციამდე საქართველოსთვის არის მუდმივი ბალანსირების პერიოდი ევროპისა (საბერძნეთი, რომი, ბიზანტია) და აზიის (აქემენიდური და სასანური ირანი, არაბთა სახალიფო, თურქ-სელჩუკები) იმპერიებს შორის. საქართველოს დაშლის შემდეგ ბალანსირების საჭიროება რჩება, მაგრამ მას დასავლეთითაც და აღმოსავლეთითაც აზიური იმპერიები ერტყმის და ბალანსირება ამ დროს მხოლოდ პოლიტიკური შეიძლება იყოს. რომ დავითვალოთ, სად დგანან ქართველები და სომხები ბიზანტიასა და ირანს შორის კონფლიქტში, ვნახავთ, რომ უმეტესად ქართველები ბიზანტიის მხარეს იკავებენ, ხოლო სომხები ირანისას. თუ ასეთი პოლიტიკური და იდეოლოგიური არჩევანის თვალთ შევხედავთ შუა საუკუნეების ქართულსა და სომხურ კულტურებს, შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად დავინახავთ, რომ განსხვავებულმა არჩევანებმა მასაც თავისი დაღი დაასვა.

8. 1. ქართლში გამეფდა ვახტანგ გორგასალი. ფარნავაზის მსგავსად ისიც მამით ქართველია, ხოლო დედით – სპარსი, რანის (ალბანეთის) განმგებლის ბარზაბორდის გაქრისტიანებული ასულის შვილი. ვახტანგი მცირეწლოვანია. ირანის შაჰი ცდილობს საქართველოში მარადეანობა გააგრძელოს. ვახტანგის დედა, სპარსი საგდუხტ დედოფალი სთხოვს თავის ძმას ვარაზ-ბაკურს, რომელიც მამამისის ადგილზე დაყენებული, ძალა არ გამოიყენოს. ირანის შაჰი აგზავნის ცეცხლის მსახურ ეპისკოპოსებს, რათა ქართლი მოაქციოს მარადეანობაზე. არც ერთმა ქართველმა წარჩინებულმა არ მიიღო ცეცხლთაყვანისმცემლობა. შეგახსენებთ, რომ „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, მათ, ძირითადად, საშუალო ფენას ქმნიან რომაელ მხედართა ჩამომავალნი, რომლებსაც ფარნავაზმა აზნაურობა უბოძა. მხოლოდ „წერილი ერი“ (დაბალი ფენები) „მიქცა მრავალი ცეცხლმსახურებასა“. და აი, საგდუხტ დედოფალი, წარმოშობით სპარსი, ხედება, რომ გამარადეანებით ქართველთა ქართველობას საფრთხე ექმნება და საბერძნეთიდან მოჰყავს „მღდელი ჭეშმარიტი“ მიქაელ, რომელიც ეპისკოპოსად დასვა და ამით მოახერხა „წერილი ერის“ უდიდესი ნაწილის კვლავ დაბრუნება ქრისტიანობის წიაღში.

8. 2. ვახტანგი დაჭაბუკდა. საქართველოს ტერიტორიაზე სამი მხრიდან არის უცხო ძალა შემოჭრილი: დასავლეთიდან ბერძნები, აღმოსავლეთიდან სპარსელები და ჩრდილოეთიდან ოვსნი. თხუთმეტი წლის ვახტანგი შეკრებს წარჩინებულებს და მიმართავს მათ სიტყვით, რომელშიც განსაზღვრულია ქართლის საგარეო პოლიტიკა მოცემულ მომენტში, შექმნილ სიტუაციაში. მოკლედ ვახტანგის მიმართვა წარჩინებულთადმი ასე შეიძლება გადმოვიცეს:

თუმცა ჩვენ სპარსთა და ბერძენთაგან იგივე გეჭიკრს, რაც ოვსთაგან, მაგრამ დღეს ეს უნდა მოვითმინოთ. მაგრამ ოვსთაგან შეურაცხყოფას კი სიკვდილი გვირჩევნია. ისინი უნდა გავდეინოთ.

ჯუანშერ სპასპეტმა ვახტანგის გადანყვეტილება შეაფასა როგორც უმაღლესი სიბრძნე, „უმჯობესი ყოველთა ქართლის მეფეთა“. ქართველებს არ შეუძლიათ სამ ფრონტზე ბრძოლა. ამიტომ ვახტანგი ქვეყნის გასანთავისუფლებლად მოქმედების დასაწყებად ირჩევს ყველაზე სუსტს. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს ოვები და განდევნეს თავისი ტერიტორიიდან.

8. 3. ვახტანგი ოცდაორი წლისა გახდა. დადგა დასავლეთი და სამხრეთი დასავლეთი საქართველოს ბერძენთაგან განთავისუფლების ჟამი. მის ჯარში არიან ალბანელებიც, სომეხნიც და სპარსნიც. ვახტანგმა დაამარცხა ბერძნები და დაიბრუნა წართმეული მიწები. მაგრამ შეამჩნია, რომ სპარსელნი არა მარტო ბერძენ მეომრებს, არამედ ეკლესიის მსახურთაც ხოცავდნენ. ეტყობა, ამასვე აკეთებდნენ მონოფიზიტი სომეხნიც. ამიტომ მან შეკრიბა სომეხთა და სპარსელთა სპა და აუკრძალა მონესეთა კვლა:

„ჩვენცა ვართ სჯულსა ბერძენთასა აღმსარებელ ქრისტესი“.

ვახტანგმა ბრძანა ყველა სამღვდელო პირისა და მონაზვნის განთავისუფლება. ამან ბერძნებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ვახტანგთან მივიდნენ ბერძენი

პეტრე მღვდელი, გრიგოლ ნაზიანზელის მონაფე (შემდგომში საქართველოს პირველი მამამთავარი), და სამოელ მონაზონი. მათ ასე მიმართეს ქართლის მეფეს:

„მნებაეს, რათა შენ მიერ აგზებული ესე ცეცხლი შენვე დაშრიტო და მეგობარ იყო კეისრისა, ვითარცა დღესამომდე იყავ სპარსთა“.

შესაძლოა, ეს მიმართვა საკმარისი არც ყოფილიყო, ვახტანგს ძილში, წმ. ნინო და კონსტანტინე დიდი კეისარი რომ არ გამოცხადებოდა თხოვნით, რათა დატოვოს საბერძნეთის ტერიტორია. ვახტანგმა შეასრულა მოციქულთა სწორის თხოვნა. თავის მხრივ კეისარმაც დაუბრუნა ყველა მიტაცებული ქვეყანა ვახტანგს და ცოლად შესთავაზა თავისი ასული. მაგრამ ამასთანავე კეისარმა შესთავაზა მას, საიდუმლოდ გადავიდეს მის მხარეზე და ერთად მოსრან მასთან მყოფნი სპარსელნი. ამაზე ვახტანგი ღირსეულ პასუხს შეუთვლის:

„რომელი არა შეენის შენსა ღმრთისმოყუარეობასა, რომელი შენ არა ჰყო, სხუასა ნუ ანუევე, რამეთუ ღადრობა არა ჳელ არს კაცთა პატიოსანთა. დაღათუ აქ მიგცნე სპარსნი, არა უკუე განცრუედესა სახელი ჩემი?“

8. 4. მიუხედავად ამისა, სპარსელებმა ეჭვი აიღეს, რომ ვახტანგი ბერძენთა მხარეს იკავებდა და სპარსმა ერისთავმა, ვახტანგის დედის ძმამ უშვერი სიტყვებით აგინა თავისი დისწული. ვახტანგმა მოკლედ უპასუხა: „აჰა შენ და აჰა ბერძენნი“ და გავიდა ბრძოლის ველიდან. სპარსელებთან დარჩენ სომეხნი და მეფე დარუბანდისა. სპარსელები სასტიკად დამარცხდნენ. დაილუპა ვახტანგის დედის ძმა ვარაზ-ბაკური. ვახტანგმა ასე შეაფასა მომხდარი:

„არა რომელი ჩვენ გვინდა, გარნა რომელი ღმერთსა სთინდა, რამეთუ ჩვენ ვიტყვოლით მშველობასა“.

როგორც ვხედავთ, ვახტანგ გორგასლის მთავარი ამოცანაა, მიაღწიოს მშვიდობას ბერძენთა და ირანელთა შორის, რადგან კარგად ესმის, რომ დიდ იმპერიებს შორის მშვიდობაზეა დამოკიდებული მის პატარა სამეფოში მშვიდობაც.

8. 5. მაგრამ ახლა უკვე თავს გავიდა სპარსელებთან ბრძოლაში გამარჯვებულ ბერძენთა სპასპეტი, კეისრის დისწული პალეკარპოს, რომელმაც ვახტანგი ორთაბრძოლაში („თუთბრძოლაში“) გამოინვია. ვახტანგმა კარგად იცის, რომ მეფეს არ შეშვენის თავისზე რანგით დაბალთან ორთაბრძოლა („არ მეკუთვნის შენთან შერკინება, ისე როგორც ღომს ხართანო“), მაგრამ მაინც იღებს გამონგევას. მეფემ მოკლა პალეკარპოს და ქართველთა არმიამ სასტიკად დაამარცხა ბერძნები.

აი, ამის შემდეგ ხდება შუა საუკუნეებისთვის გასაოცარი ამბავი. ქართველები დაიტირებენ დაღუპულ სპარსელებსაც და ბერძნებსაც. ვახტანგმა ბიზანტიის კეისარს ტყვეები დაუბრუნა და დიპლომატიური თვალსაზრისით ბრწყინვალე წერილი გაუგზავნა. წერილი უფრო ვრცელია, ვიდრე მე აქ მოვიტან, მაგრამ მისი კვინტესენცია შემდეგ სიტყვებშია:

„მე უწყი, რამეთუ არა არს ნება შენი საქმესა ამას, რომელი-ესე იქმნა პალეკარპოსისგან. არცა იყო ნება ჩემი, რომელი-ესე ქმნა დედის ძმამან ჩემმან და ორნივე ესე ძურისმოქმენი ძურმანვე მოინადირნა“.

ამ სიტყვების შემდეგ ვახტანგი გამოთქვამს ნუხილს თავისი დედის ძმისა და კეისრის ძმისწულის დალუპვის გამო. კეისარი და ვახტანგ გორგასალი ნეიტრალურ ადგილზე ხედებიან ერთმანეთს. ბიზანტიის კეისარი უკან უბრუნებს ვახტანგს წართმეულ მიწებს და პირველ რიგში აფხაზეთს იმ პირობით, თუკი მის ასულს შეირთავს ცოლად.

8. 6. გავიდა დრო და გარდაუვალი გახდა ომი ბერძენთა და სპარსელთა შორის. ორივეს უნდა ვახტანგი თავის მხარეს მიიმხროს, რადგან ომის პოლიგონი, ფაქტობრივად, ისევ საქართველოა და გამარჯვების მეტი შანსი აქვს იმას, ვისაც ქართველთა მეფე დაუჭერს მხარს. ვახტანგ გორგასალი და ირანის შაჰი ხოსრო ერთმანეთს შეხვდნენ რუსთავის ახლოს. მისი გულის მოსაგებად შაჰი მიმართავს ვახტანგს:

„ითხოვე ჩემგან რაცა გნებავს თავისა შენისათვის ანუ სხვსა, ვისთვისაც გნებავს“.

ვახტანგის პასუხი ლაკონურია:

„მნებავს რაითა იყოს მშვიდობა შენ შორის და კეისრისა“.

ვახტანგმა დაიყოლია ირანის შაჰი და ჯერი ახლა ბიზანტიის კეისარზე მიდგა, რომელმაც განაცხადა:

„სთნავს ღმერთსა მშვიდობა სამთავე ამათ მეფეთა. და იქმნაცა ეგრე“.

დაიდო ძალიან საინტერესო ზავი, რომელიც ისტორიკოსის მიერ გააზრებულია, როგორც მშვიდობა სამ სახელმწიფოს (ბიზანტიას, ირანსა და საქართველოს) შორის, მიუხედავად იმისა, რომ ომი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის მიმდინარეობდა. ზავის განსამტკიცებლად ვახტანგმა შეირთო ცოლად ბიზანტიის კეისრის ასული, ხოლო ირანის შაჰს ცოლად გაატანა თავისი და მირანდუხტი.

აი ამ სიტუაციაში ხედავ მე, და როგორც ჩანს, ხედავდა ისტორიკოსი ჯუანშეერი, განცხადებულს საქართველოს გეოპოლიტიკურ ფუნქციას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და ქართველ მეფეთაგან ყველაზე ბრწყინვალედ ამ ამოცანას თავი გაართვა ვახტანგ გორგასალმა. ფიგურალურად რომ ვთქვათ, მის დროს და მისი შემწეობით შეხვდა ერთმანეთს ევროპა და აზია.

ყველაფერი ეს იყო ბრძენი, დიპლომატი მეფის ქმედება, ვახტანგი ზრუნავდა თავისი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის. ასეთი განვითარება კი შეუძლებელი იყო ბიზანტიასა და სპარსეთს შორის მშვიდობის ზავის გარეშე.

9. 1. მაგრამ ვახტანგ გორგასალს თავისი ქვეყნისა და სამეფო სახლისათვის უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა პოლიტიკურად და კულტურულად დასავლური ორიენტაცია. სიკვდილის წინ მისი ანდერძი ასეთი იყო:

„თქუნენ მკვდრნი ქართლისანო... სახლსა ჩვენსა ნუ შეურაცხყოფთ და სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტყეებთ“.

„ბერძენთა სიყვარული“ ანუ დასავლური ორიენტაცია ვახტანგ გორგასალმა დასაბამიდანვე ფარნავაზიანთა დინასტიის სახელმწიფო პოლიტიკად გამოაცხადა. ასე ორგანულად ებმის ერთმანეთს ორიენტაციის თვალსაზრისით „ქართლის ცხოვრების“ ორი სანყისი ნაწილი.

9. 2. „ქართლის ცხოვრებამ“, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ნაწილებმა, საკვირველად ლაკონურად და ერთსულოვნად ჩამოაყალიბა მირიანიდან ვახტანგ გორგასალამდე ქართველ მეფეთა ოთხი ტიპი მათი საგარეო და საშინაო პოლიტიკის, კულტურული და სარწმუნოებრივი პოზიციის გათვალისწინებით:

1. „მორწმუნნი“ და „უშფოთველად მცხოვრებნი“. 2. „ურწმუნონი“ და „მოშიშნი“. 3. „ურწმუნონი“ და „მხედარნი შემმართველნი“. 4. „მორწმუნნი“ და „მხედარნი შემმართველნი“.

ქვეყნის მეთაურთა მრწამსი სახელმწიფოს პოლიტიკისა და ორიენტაციის გამონახულება იყო, ხოლო ქვეყნისათვის მშვიდობის მოპოვება მხოლოდ მხედრული შემართებით შეიძლებოდა. ამიტომ პროგრესულად ჩაითვლებოდა ის მეფე, რომელიც იყო „მორწმუნე“ (ორთოდოქსი ქრისტიანი) და „მკვედარი შემმართველი“. ამ თვალსაზრისით, საქართველოს იდეალური მეფე იყო ვახტანგ გორგასალი. ამიტომ ეძიებდა ერთიანი საქართველოს მესამე დიდი მეფე (ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასლის შემდეგ) დავით აღმაშენებელი ისტორიულ წიგნებში წინაპართა გამოცდილებას ქვეყნის მართვისათვის.

ZAZA ALEXIDZE

## “DON'T BETRAY THE LOVE OF GREEKS”...

### Summary

THE work casts light on the choice of Georgia between the East and the West from old Georgian historians' point of view. They consider the Georgian royal dynasty to be of Eastern origin, or mixed with the East, but they regard Georgian cultural-political orientation as the Western one. Thus, the system of governance and rule is Eastern in the country, while social and religious values evidently belong to the West.

## საქართველოს ეკლესიური გაერთიანების ისტორიიდან (X ს.)

IX საუკუნის მიწურულს (დაახლ. 80-90-იან წლებში), აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოქმნის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი – ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოს) ანუ მცხეთის და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ანუ ბიჭვინტის საკათალიკოსოები აღმოჩნდა. წყაროებში არ არის ასახული, თუ რა დამოკიდებულება არსებობდა მათ შორის და არც ის, თუ როდის მოხდა მათი გაერთიანება. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს თვალსაზრისი, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესია ბიზანტიის ეკლესიისაგან გათავისუფლებისთანავე დაექვემდებარა ქართლის საკათალიკოსოს. ეს თვალსაზრისი სწორი არ უნდა იყოს. ჩანს, აფხაზეთის საკათალიკოსო მისი არსებობის საწყის ეტაპზე (IX ს. ბოლო – X ს. პირველი ნახევარი) დამოუკიდებელი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში აფხაზეთის მეფეთა წარმატებული მცდელობა ბიზანტიის ეკლესიის დაქვემდებარებიდან გამოსვლის შესახებ აზრს დაკარგავდა და დასავლეთ საქართველოს გათავისუფლებული საეკლესიო კათედრები, აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნის გარეშე, უშუალოდ შეუერთდებოდა ქართლის საკათალიკოსოს.

აფხაზეთის მეფეთა მოღვაწეობიდან ჩანს, რომ მათი საეკლესიო პოლიტიკის მიზანი დამოუკიდებელი ქართული ეკლესიის – აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნა იყო, რასაც მიაღწიეს კიდევ, მაგრამ პოლიტიკური მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა. საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლას გარკვეულ პერიოდში (X ს-ის 70-იან წლებამდე) „აფხაზთა“ მეფეები ედგნენ სათავეში. მომნიფდა ეკლესიური ერთიანობის (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს) საკითხიც, რაც ქვეყნის გაერთიანების ქვაკუთხედი უნდა ყოფილიყო. ამიტომ აფხაზეთის მეფეებმა პოლიტიკურთან ერთად ქვეყნის ეკლესიური გაერთიანებისათვის ბრძოლა წამოიწყეს, მათი აქტიური თანამებრძოლები კი ქართლის კათალიკოსები აღმოჩნდნენ, რომლებიც, თავის მხრივ, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანებისაკენ მიილტვოდნენ. მოხდა პოლიტიკურ ინტერესთა თანხვედრა – „მცხეთა ლიხთ-იმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შემოერთებისათვის მიიწვედა, აფხაზი მეფეები კი იმერ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს. აფხაზთა მეფეები პოლიტიკურ მთლიანობას ქმნიდნენ, მცხეთა კი ამ პოლიტიკურ მთლიანობას ერთს და მთლიან კულტურულ შინაარსს აძლევდა“ (1, 50).

ქართლის საკათალიკოსო დასავლეთ საქართველოში შეღწევისას ჯერ კიდევ იქ ბიზანტიური ეკლესიის ბატონობის პერიოდში ცდილობდა. ცნობილია, რომ „ბიზანტიის ეკლესია ღვთისმსახურებას დასავლეთ საქართველოში ბერძნულ ენაზე აწარ-

მოებდა. მცხეთის ტახტს კი ქართული ენა შემოჰქონდა. აღნიშნული გარემოება დიდად უწყობდა ხელს მცხეთის ტახტისა და ეგრის-აფხაზეთის მეფეების ერთობლივ საქმიანობას, რადგან დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის ქართული ეროვნული ენა იყო და ამდენად ბევრად უფრო მისაღები, ვიდრე ბერძნული“ (2, 425-426).

ს. ჯანაშია აფხაზეთში ქართული ენის გაბატონებას IX ს-ით ათარიღებდა და აღნიშნავდა: „უკვე IX ს. დამდეგიდან (თუ არა უფრო ადრე) აფხაზთა სამეფოში მნივნობრობის, სამეფო კანცელარიისა და ეკლესიის ენა არის ქართული“-ო (3, 306). ნიშანდობლივია, რომ ქართულ ენაზე შესრულებული უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სწორედ IX ს-დან გაჩნდა<sup>1</sup> და ისინი აღმოჩენილია საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც ისტორიულად უფრო ძლიერი იყო ბერძნული გავლენა. ყველაზე ადრინდელი მათ შორის მსიგზუას (გუდაუთის რ-ნი) ეკლესიის ასომთავრული წარწერებია, შესრულებული კრამიტის კერამიკული კალიპტერების ანტიფეიქსებზე (აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად). პალეოგრაფიული და საამშენებლო სტილის მიხედვით მსიგზუას წარწერები ვ. სილოგავამ IX-X საუკუნეებით დაათარიღა (4, 30-31), ხოლო ლ. ახალაძემ – IX ს-ით (5, 95; 6, 364). ყოველ შემთხვევაში, წარწერის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი IX ს-ით განისაზღვრა.

მსიგზუას წარწერები მიუთითებენ, რომ აღნიშნულ ეკლესიაში ქრისტიანული მსახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო მისი მშენებელი ოსტატი ან ქტიტორი ქართულ ეთნოკულტურულ სამყაროს ეკუთვნოდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დაახლ. IX-X საუკუნეებიდან ქართული ენა და ქართული დამწერლობა აფხაზეთში წამყვან როლს ასრულებდა.

IX ს-ის ბოლოდან დაიწყო, აფხაზი მკვლევრის ხ. ბლაჟუბას აზრით, დასავლეთ საქართველოში მანამდე ბერძნულ ენაზე არსებული დამწერლობისა და საეკლესიო ღვთისმსახურების შეცვლა ქართულით (7, 5). IX-X სს-დან მოყოლებული კი აფხაზეთში ქართულ ენაზე შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლები სულ უფრო და უფრო მატულობს.

ამავე პერიოდში მოხდა „ქართლის“, როგორც პოლიტიკური ცნების, შინაარსის გაფართოება და ამ ტერმინის გავრცელება დასავლეთ საქართველოზეც, რასაც ადასტურებს ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა. X ს-ის მწერლის გიორგი მერჩულეს თვალსაზრისით, „... ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ყამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კურილესონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა ყავ“, გინა თუ „უფალო, შეგვწყალებ“ (9, 290).

<sup>1</sup> ლ. მარუაშვილმა ახალი ათონის ანუ გუმბაზი – ფსირცხას კირქულ მასივში მდებარე ანუხვის მღვიმეში აღმოჩენილი ქართული წარწერები V-VIII სს-ით დაათარიღა (8, 241). აღნიშნული დათარიღება სამეცნიერო წრეებში ჯერჯერობით გაზიარებული არ არის, წარწერების შესწავლა კი ადგილზე ჩასვლასა და დათვალიერებას საჭიროებს.

„ქართლის“ ასეთი ფორმულირება თხზულებაში უშუალოდ IX ს-ში მომხდარ ფაქტს – მცხეთის ტახტის მიერ მირონის ხარშვის უფლების მოპოვებას მოსდევს.

რომელი ქვეყნის ეკლესიისათვის იყო სავალდებულო მცხეთას ნაკურთხი მირონი? გიორგი მერჩულეს განმარტებით, ასეთი ქვეყანა „ქართლია“. „ქართლი“ კი არის არა ეთნოგრაფიული ქართლი – იბერია, არამედ „ფრიადი ქვეყანა“ – მთელი საქართველო, ანუ ის ქვეყანა, სადაც ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობს.

ქართულმა ენამ ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა X ს-დან მოიპოვა. ამიტომ „ქართლის“ მერჩულესეული განმარტება უფრო მისი თანამედროვე ეპოქისთვის (X ს.) დამახასიათებელი მოვლენა უნდა იყოს. მეცნიერთა ერთი ნაწილის (პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი) აზრით კი, „ქართლის“ აღნიშნული ფორმულირება სწორედ აფხაზეთთან (დას. საქართველოს) მიმართებაში ჩამოყალიბდა (10, 244; 1, 50-51, შენ. 43). საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოში სწორედ X ს-დან გაჩნდა ქართული მნიგნობრობისა და კულტურის კერები. აქ მოღვაწეობდნენ X ს-ის ცნობილი მთარგმნელი და ჰიმნოგრაფი ჭყონდიდელი სტეფანე სანანოსძე (მარტვილის ტაძარი) (11, რნა; 12, 158-161), ქართველი ჰიმნოგრაფი იოანე მინჩხი, რომელიც აფხაზთა მეფის გიორგი II-ის (922-957 წწ.) განსაკუთრებული მფარველობითა და მხარდაჭერით სარგებლობდა. დასავლეთ საქართველოში დაინერა აფხაზეთის „მეფეთა დივანი“, ანუ VIII-X სს-ში მოღვაწე მეფეთა ისტორია (10, 221-222) და სხვ., რაც სხვა ფაქტორებთან (დასავლეთ საქართველოში IX-X სს-ში ქართულ ენაზე შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლები) ერთად ადასტურებს, რომ X ს-ში დასავლეთ საქართველოში ოფიციალურ (სახელმწიფო კანცელარიისა და საეკლესიო ღვთისმსახურების) ენად ქართული მტკიცედ დამკვიდრებული იყო. ის ქვეყანა კი, სადაც საღმრთო ლიტურგია ქართულად წარმოებდა, გიორგი მერჩულეს კონცეფციის თანახმად, „ქართლია“, ხოლო „ქართლში“ ყველგან მცხეთას ნაკურთხი მირონია სავალდებულო. რადგან აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულად ტარდება, ისიც „ქართლია“, მისი ეკლესია კი მცხეთის სამწყსოა, რადგან იქ ნაკურთხი მირონით მადლმოსილია. ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისით, „მცხეთის საკათალიკოსოს მხრით ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით“ (1, 50-51, შენ. 3).

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ X ს-ში, კერძოდ, 951 წელს, როდესაც გიორგი მერჩულემ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ დაასრულა, საქართველოს ეკლესია უკვე ერთიანი იყო, ამ ეკლესიის საჭეთმპყრობელი კი – ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოს) კათოლიკოსი. ამ ფაქტის დამადასტურებელია ის, რომ სწორედ მცხეთაში (ქართლში) ნაკურთხი მირონი ვრცელდებოდა „ქართლში“ (საქართველოში), ანუ მთელ ქართულენოვან სამწყსოში.

X საუკუნეში ერთიანი საქართველოს საეკლესიო იერარქიის შექმნას ადასტურებს აღნიშნულ პერიოდში ამ იერარქიის უმაღლესი მეთაურის კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულით მოხსენიებაც. ვის უნდა მიეღო ახლად გაერთიანებულ ორ ქარ-

თულ საეკლესიო ორგანიზაციის საქეთმპყრობელთაგან პატრიარქის ტიტული? ცხადია, უძველესი ქრისტიანული ტრადიციების მქონე ქართლის კათოლიკოსს, რომელმაც კათოლიკოსის ტიტული აფხაზეთის კათოლიკოსზე გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ V ს-ში მიიღო და რომლის ეკლესიაც უშუალოდ უფლის კვართზე იყო დაფუძნებული.

ქართლის ეკლესიის მეთაურის ტიტულში მომხდარი ეს ცვლილება მომასწავებელი იყო ქართული ეკლესიის პოლიტიკური და სტრუქტურული განვითარების ახალი ეტაპის დაწყებისა; ეს იყო ერთიანი ეკლესიის არსებობის ხანა, რომელმაც ხუთ საუკუნეს გასტანა. ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთის კათოლიკოსმა პატრიარქის ტიტული მხოლოდ მას შემდეგ შეითავსა, რაც დასავლეთ საქართველოს ეკლესია – აფხაზეთის საკათალიკოსო გამოეყო ერთიანი საქართველოს ეკლესიას და დამოუკიდებლად არსებობის უფლება მოიპოვა (ჩვენთვის ცნობილი აფხაზეთის პირველი კათოლიკოსი, ვინც პატრიარქის ტიტულს ფლობდა, XVI ს-ის 20-30-იან წლებში მოღვაწე მალაქია I აბაშიძეა).

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული თვალსაზრისის მიხედვით, საქართველოში პატრიარქის ტიტულის მქონე პირველი მღვდელმთავარი ქართლის კათოლიკოსი მელქისედეკ I-ია (1010-1033 წწ.).\* მეცნიერთა ერთი ნაწილი (ნ. ბერძენიშვილი, ბ. კუდავა, გ. მამულია) მის მიერ პატრიარქის ტიტულის შეთავსებას ქართული ეკლესიის გაერთიანებით ხსნის და ამ მნიშვნელოვან მოვლენას მისი მოღვაწეობის წლებით ათარიღებს.

მაგრამ საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ პატრიარქის ტიტულის მქონე ქართლის კათოლიკოსი X საუკუნეში უკვე არსებობდა. ნ. მარი მიუთითებდა, რომ „კათოლიკოსი პატრიარქად („მამათ-მთავრად“) იხსენიება ჯერ კიდევ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ („Патриархом („мамат–мтавари“) назван католикос еще в „Житии Григория Хандзтийского“) (15, 136-137). ამ შემთხვევაში იგი, ალბათ, მცხეთის ტახტს თუ გულისხმობდა, რომელიც აღნიშნულ თხზულებაში იხსენიება, როგორც „საყდარი მამათ-მთავრობისაჲ“ (9, 290).\*\* მასში ნათქვამია: „არამედ ძუელი ხანძთისა ეკლესიაჲ არსენი კათალიკოსმან (იგულისხმება არსენ I დიდი (საფარელი) – 860-887 წწ. – თ. ქ.) აკურთხა და ქართლისა ეკლესიათა ყოველთა სიხარული მოჰფინა, რამეთუ საყდარი მამათ-მთავრობისაჲ შეამკო სრულიად და შეიმკო მადლითა“ (9, 290). აღსანიშნავია, რომ ნ. მარმა მის მიერ რუსულად თარგმნილ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოტანილი ეპიზოდის ჩვენთვის საინტერესო ტერმინი – „საყდარი მამათ-მთავრობისაჲ“ თარგმნა როგორც „патриарший престол“ (16, 123). აღსანიშნავია, რომ თხზულებაში მოხსენიებული IX ს-ში მოღვაწე ქართლის კათოლიკოსები პატრიარქის ტიტულით ჯერ კიდევ არ იწოდებიან, ავტორი მხოლოდ მცხეთის ტახტთან მიმართებაში ამბობს, რომ ის სამამათმთავროა, ანუ საპატრიარქოა, რადგან იცის, რომ მისი მოღვაწეობის, და არა მის

\* მელქისედეკ I კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულით იხსენიება 1031-1033 წლებში შედგენილ საბუთში – დანერგილ მელქისედეკ კათალიკოსისა მოკსენებული მცხეთის საყდრისადმი (13, 22).

\*\* მამათმთავარი იგივე პატრიარქი – იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული (14, 431).

მიერ აღწერილ, ხანაში ეს ასეა. თხზულებაში მცხეთის ტახტის ამგვარი განმარტებიდან გამომდინარე, ძნელია გადაჭრით რაიმე დასკვნის გაკეთება. შესაძლოა, ავტორი აღნიშნულში სწორედ იმას გულისხმობდა, რომ მის ეპოქაში (X ს. 50-იანი წლები) საქართველოს ეკლესია უკვე ერთიანი იყო.

X საუკუნის დამლევის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი თავის თხზულებაში „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ აღნიშნავს : „ ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ვერიას უწოდებდნენ, აქ [კი] ქართველნი ეწოდებათ. ტომითაც, ენითაც, დამწერლობითაც, მამამთავრობითაც და მეფობითაც განმტკიცდნენ . . . “ (17, 67). ზ. ალექსიძემ აღნიშნული თხზულების სომხურ ტექსტში მოხსენიებული ტერმინი „მამამთავარი“ თარგმნა როგორც „პატრიარქი“. მისი აზრით, თხზულების ამ მონაკვეთში უხტანესი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მის თანამედროვე ეპოქაში ანუ X ს-ის მიწურულს ქართველებს ჰქონდათ თავიანთი ეროვნება, ენა, დამწერლობა, ჰყავდათ საკუთარი პატრიარქი და მეფე, ანუ სახელმწიფო ყველა აუცილებელი ნიშნით და საზღვრებით (18, 271).

აღსანიშნავია, რომ ტერმინ „მამამთავრის“ შინაარსი სწორედ ამ პერიოდში შეიცვალა და თუ ადრე ის ზოგადად მღვდელმთავრის მნიშვნელობით იხმარებოდა, X საუკუნეში თანდათანობით ძირძველი ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობელის აღმნიშვნელ ცნებად იქცა.

X საუკუნეში საქართველოს ეკლესიურ ერთიანობაზე მიუთითებს ამავე საუკუნის მეორე ნახევარში აგებული პარხლის ტაძრის წარწერა. მასში კათოლიკოსი იოვანე „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქის“ ტიტულით იხსენიება (19, 95; 20, 68; 21, 303). ექ. თაყაიშვილმა იგი XV-XVI სს-ის მიჯნაზე მოღვაწე ქართლის კათოლიკოს-პატრიარქ იოვანე VIII-დ (1497-1507), ხოლო თვით წარწერა მისივე თანამედროვე ეპოქაში შედგენილად მიიჩნია, რაზედაც, მეცნიერის აზრით, მიუთითებდა წარწერის „პალეოგრაფიული ხასიათი“ (19, 96).

თანამედროვე გამოკვლევების შედეგად მოხდა წარწერის გადათარიღება. კერძოდ, კ. დანელიამ და ზ. სარჯველაძემ ტექსტის ენობრივი და ლექსიკურ-გრამატიკული მონაცემების საფუძველზე პარხლის აღნიშნული წარწერა X საუკუნით დაათარიღეს (20, 68).

ვ. სილოგავამ, ადგილზე შესწავლის შედეგად, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, პარხლის წარწერა ტაძრის აგების თანადროულად, ანუ X ს-ის მეორე ნახევრით დაათარიღა. მისი აზრით, წარწერაში მოხსენიებული „ქ(ართლისა) და ყ(ოვ)ლისა აღმ(ო)სავლ(ე)თისა პატრიარქი“ იოვანე არის არა იოვანე VIII, როგორც ამას ექ. თაყაიშვილი ფიქრობდა, არამედ იოვანე I ოქროპირი (980-1001 წწ.), რომელიც ქართლის პირველი კათოლიკოსი იყო, ვინც პატრიარქის ტიტულს ფლობდა (21, 301, 303). მასვე მიაჩნია, რომ ქართლის კათოლიკოსისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭება დავით III კულაპალატის (X ს-ის მეორე ნახევარი) ეპოქაში მოხდა და ქვეყნის საერთო პოლიტიკური განვითარების შედეგი იყო (21, 302-303). ვ. სილოგავას დაკვირვებით, X-XI სს-ში ბიზანტიურ და ქართულ წყაროებში საქართველოს ეწოდება „აღმოსავლეთი“ და „ყოველი აღმოსავლეთი“ (21, 303). აქედან გამომდინარე, პარხლის

წარწერაში მითითებული კათოლიკოს იოვანეს ტიტული „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი“ მიანიშნებს, რომ იგი თავის იურისდიქციას ავრცელებდა არა მარტო ქართლზე, არამედ აფხაზეთზეც, ანუ მთელ საქართველოზე. რაც მის მიერ პატრიარქის ტიტულით მოხსენიებასთან ერთად იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში საქართველო ეკლესიურად უკვე ერთიანი იყო.

მართლაც, სწორედ ეკლესიური გაერთიანების შემდეგ უახლოეს პერიოდში უნდა მომხდარიყო ერთიანი ეკლესიის საჭეთმპყრობელისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭება, რასაც ადასტურებს პარხლის ზემოაღნიშნულ წარწერაში მითითებული კათოლიკოს იოვანეს ტიტული.

საქართველოს ერთიანი ეკლესიის შექმნის პროცესი ქართლის კათოლიკოსისათვის პატრიარქის ტიტულის მინიჭებით დასრულდა. ძნელია იმის თქმა, იყო თუ არა პარხლის წარწერაში მოხსენიებული იოვანე ქართლის პირველი კათოლიკოს-პატრიარქი. პირდაპირი ცნობების არარსებობის გამო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჭირს, თუმცა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იოვანე თუ პირველი არა, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ამ ტიტულს ფლობდა.

ასე რომ, X ს-ის მეორე ნახევარში საქართველოს ერთიანი საეკლესიო იერარქია ქართლის კათოლიკოს-პატრიარქის მეთაურობით უკვე არსებობდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესიის გაერთიანებამ რამდენიმე ათეული წლით წინ გაუსწრო ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. *ბერძენიშვილი*, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966.
2. *ლორთქიფანიძე*, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, ეგრის-აფხაზეთი, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
3. *ჯანაშია*, აფხაზთა სამეფოს ისტორიიდან, თეზისები, შრომები, ტ. II, 1952
4. ქართული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა *ვალერი სილოგავამ*, თბ., 1980.
5. *ლ. ახალაძე*, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები აფხაზეთში IX-XVII სს-ში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., სახ. უნ-ტი, 1998.
6. *Ахаладзе Л.*, Эпиграфические памятники Абхазии, в кн.: Разыскания по истории Абхазии/Грузия. Тб, 1999.
7. *Бгажба Х. С.*, Из истории письменности в Абхазии, Тб., 1967.
8. *ლ. მარუაშვილი*, მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები (ზოგადი სპელეოლოგია), თბ., 1973.
9. *გიორგი მერჩულე*, შრომა და მოღუანება ღირსად ცხოვრებისა და წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანციხისა და შატბერდისა აღმამენებელისაჲ და მისთანა უსუნებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. I (V-X სს.), ილია აბულაძის რედაქციით, თბ., 1963.
10. *პ. ინგოროყვა*, გიორგი მერჩულე – ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურისა და სახელმწიფო ცხოვრების ისტორიიდან, თბ., 1954.

11. პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ნ. I, VIII-X საუკუნეები, ტფ., საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, №16, 1913.

12. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, ძველი მწერლობა, ტომის სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი), სოლ. ყუბანეიშვილი, მიხ. ჩიქოვანი, თბ., 1960.

13. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

14. სულბან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ნ. I, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1991.

15. Марр Н., Исторический очерк грузинской церкви с древнейших времен, თურნ. „Церковные ведомости“, №3, 1907.

16. Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийсаго, грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшетию и Кларджию (65 рисунков), в кн: Марр Н., Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, т. VII, СПб. 1911.

17. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ. 1975.

18. ზ. ალექსიძე, ჯვავახეთი და გუგარეთი ძველ სომეხ ისტორიკოსთა გეოპოლიტიკურ ცნობიერებაში, უხტანესი, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XXI, თბ. 2005.

19. Такашвили Е., Археологическая экспедиция 1917–го года в южные провинции Грузии, Тб., 1952.

20. კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.

21. ვ. სილოგავა, პატრიარქი X საუკუნის საქართველოში (პარხლის წარწერა), ნგნ.: „ნათელი ქრისტიანი. საქართველო“, ნ. I, თბ., 2003.

TAMAR KORIDZE

## FROM THE HISTORY OF UNIFICATION OF THE GEORGIAN CHURCH (X C.) Summary

**AT** the end of IX century after the establishment of the Abkhazian catholicosate, there were two patriarchates – one in Kartli (East Georgia) and the other in Abkhazia (West Georgia).

From the reign of Abkhazian kings, it becomes apparent that their aim in the church policy was to found the independent Georgian church (Abkhazian catholicosate), which was finally achieved. Though everything happened differently. In the process of unification of the Georgian kingdom the problem of the church became actual. That is why the Abkhazian kings, simultaneously with the political processes, started fighting for the church rights. It so happened that the Catholicos of Kartli and the kings had the same interests, so they started fighting together.

It is a fact that in West Georgia the Byzantine Empire held divine services in Greek, while in Mtskheta they were performed in Georgian. According to Mariam Lordkipanidze “the above-mentioned circumstances were favorable for both Mtskheta's throne and Egrisi-

Abkhazian kings, so they united their activities, as for the majority of people in West Georgia, Georgian was the national language, much more intelligible than Greek."

From IX-X centuries, in Abkhazia the epigraphic monuments written in Georgian are quite frequent, especially in the churches, which means that from then on divine liturgy was accomplished in Georgian.

During this period the political concept "Kartli" widened and spread to Western Georgia, which is confirmed by Georgian epigraphic inscriptions. According to Giorgi Merchule, X century writer, Kartli or Georgia is the place where divine services are held in Georgian.

Such a notion of "Kartli" derives from the fact that Kartli catholicosate gained the right to boil the myrrh in the X century and this fact had great importance, as according to Giorgi Merchule, "Kartli" in this case should not have been the ethnographic country - Iberia, but all Georgia, the country where the mass is held in Georgian. According to the same concept Abkhazia belongs to the Georgian cultural space because the masses in Abkhazia were held in Georgian, thus, Abkhazia is under the subordination of the Mtskheta throne.

All the above-mentioned facts make clear, that by X century (951), when Giorgi Merchule wrote „The Life of Grigol Khandzteli“, the Georgian Church had already been a single institution, with the Catholicos of Kartli (East Georgia) as its head. The existence of Georgian church hierarchy in X century is confirmed by the fact that the head of church is named Catholicos Patriarch.

According to Georgian historical sources, the first Catholicos who owned this title was Melkisedek I (1010-1033), but as a noted Georgian scientist N. Mari considered, there was someone else in "The Life of Grigol Khandzteli" bearing the title of Catholicos Patriarch. The author, Giorgi Merchule, might have meant the throne of Mtskheta mentioned in the book and called "The Church of the Creator", which is more characteristic of the writer's lifetime and not of the period (VIII-IX c.c.) described in the book.

It should be noted that on the inscription of Parkhali church (X c.) Catholicos Iovan is referred to as "the Catholicos of Kartli and all East Georgia." This inscription was incorrectly dated by E. Takaishvili to XV-XVI centuries.

After visiting the place, a Georgian explorer V.Silogava dated the Parkhali inscription to the second half of X century, thus, to the time when the church was erected. According to him „the Catholicos of Kartli and all East Georgia“ - Iovan, is not Iovan VIII (XV-XVI c.c.), as E. Takaishvili had suspected, but Iovan I Gold mouth (980-1001y.y.), who appears to be the first Catholicos among those who bore this regalia.

The Parkhali inscription shows that the power of Catholicos Iovan - "the Catholicos of Kartli and All East Georgia" was spread not only to Kartli but also to Abkhazia, because in the Byzantine and Georgian historical sources of the X-XI centuries Georgia is referred to as "East" and "All East".

The process of establishment of the independent Georgian church ended when the regalia "Patriarch" was added to the title of Catholicos

Finally, we can say that the Georgian church hierarchy was formed in the second half of X century under the leadership of Catholicos Patriarch, which means that the unification of the Georgian church preceded the political unification of the country by several decades.

## ეკლესიის „შეუვალობის“ ნესი საქართველოს ტრადიციულ ყოფაში

საქართველოს ტრადიციულ ყოფაში შემონახულია ძველქართული ფეოდალური ხანის საერო და საეკლესიო სამართლიდან მომდინარე ეკლესიის „შეუვალობის“ ზოგიერთი პლასტი. ცნობილია, რომ ეკლესია-მონასტრები მნიშვნელოვანი „შეუვალობები“ სარგებლობდნენ: მათ გააჩნდათ მეტ-ნაკლები მოცულობის სასამართლო შეუვალობა; ეკლესია-მონასტერს შეეძლო დევნილისათვის თავშესაფრის მიცემა; განსაკუთრებული სიმკაცრით ისჯებოდა ეკლესია-მონასტრის ხელყოფა და მის მიდამოებში დანაშაულის ჩადენა; არსებობდა საგადასახადო შეუვალობის წესიც და ა. შ. ეკლესიის „შეუვალობის“ წესის ზოგიერთი დანაშრევი საქართველოს მთის ტრადიციულ ყოფაში ბოლო დრომდე მენტალობის აუცილებელ მახასიათებლად გვევლინებოდა. ეკლესიის „შეუვალობის“ წესის გვიანობამდე არსებობის მიზეზი, ცხადია, საერთოდ მთის ყოფის, მთის ბუნების კონსერვატულ ხასიათშიცაა საძიებელი და იმ გარემოებაშიც, რომ იგი ძველქართული საერო და სასულიერო სამართლიდან მომდინარე ჩვეულებაა, ძველქართული სამართალი კი ქართველ მთიელთა ტრადიციულ მსოფლმხედველობაში ღვთისგან დანესებულადაა მიჩნეული. შესაბამისად, მენტალობის ეს მახასიათებელი ასახულია ქართველთა ჩვეულებით სამართალშიც. ცნობილია, რომ საქართველოს ამა თუ იმ მხარის ჩვეულებითი სამართალი განვითარების რამდენიმე ეტაპის შემცველი ინსტიტუტია. ჩვეულებითი სამართლის საწყის პერიოდს საფუძვლად ადათობრივი სამართალი უდევს, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების შემდეგ ადათობრივი სამართალი ადგილს უთმობს სახელმწიფოს მიერ შექმნილ კანონებს, რომლებშიც, ცხადია, მრავალი ადათიცაა ასახული. ქვეყნის დასუსტებისა და პოლიტიკური დაქსაქსულობის შემთხვევაში კი ცენტრს მოწყვეტილ მხარეებში კანონი ჩვეულებით სამართალში გადადის [15, გვ. 12].

ეკლესიის „შეუვალობის“ ნესი მკაფიოდ მოჩანს სვანეთის სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებში [8; 3, გვ. 82-113], რომლებიც, მკვლევართა აზრით, ამ მხარეში მაღალგანვითარებული საერთო ქართული ფეოდალური კანონმდებლობის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს [8; 2; 4] და მათ სიცოცხლისუნარიანობა თვით ბოლო დრომდეც შემონახეს. ასევე, ეკლესიის (ჯვარ-ხატის) „შეუვალობის“ წესის გამოძახილი ფიქსირდება ხევსურეთის „რჯულშიც“, ხევის ჩვეულებით სამართალშიც და ა. შ.

ფეოდალური ხანის ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში ეკლესიის „შეუვალობის“ ნესი ხაზგასმით რამდენიმე დოკუმენტებშია დაფიქსირებული. ამ მხრივ საინტერესო ცნობებია დაცული 1470 წლის ძეგლში – ქსნის ერისთავის შალვა ქვენიფ-

ნეველის მიერ ბოძებულ სიგელში ლარგვისის მონასტრისადმი [17]. ლარგვისის მონასტერი ქსნის ერისთავთა საძვალე იყო. ამ მონასტრის წინამძღვარს ერისთავი ნიშნავდა. შალვა ერისთავმა განაახლა მონასტერი და სამი ახალი სოფელიც უწყალობა. ერისთავმა მონასტერს იმუნიტეტიც მიანიჭა. შალვა ერისთავი მონასტრისადმი შეწირული ქონების შესახებ აღნიშნავს, რომ ის შეუვალა ერისთავისა და მისი მოხელეებისათვის, რომ შეწირული სოფლები მონასტრის „შემოსავალია“, ე. ი. მონასტერს ეკუთვნის ამ სოფლების გადასახადები. ასევე, გარდა ამ ახალგაშენებული სოფლებისა, მონასტრის საკუთრებაში რჩება ყველა მიწა, რომელიც მონასტრისათვის ერისთავის წინაპრებს შეუწირავთ, და საერთოდ ყველა მამული, რომელიც მონასტერს მანამდე ჰქონდაო. ცნობილია, რომ შეუვალაობა ფართოდ გავრცელებული იყო ფეოდალურ საქართველოშიც. განსაკუთრებით დიდი შეუვალაობით კი ეკლესია-მონასტრები<sup>1</sup> სარგებლობდნენ. ცხადია, მეფის ხელისუფლების ძლიერების ხანაში ამგვარი იმუნიტეტის მიმნიჭებელი მეფე იყო, ამ სიგელის შედგენის დროისათვის კი აშკარაა, რომ დიდი ფეოდალები განკერძოებისაკენ ისწრაფვიან და ცდილობენ თავიანთ საგამგეოში ადმინისტრაციული, ფინანსური, სამხედრო და სასამართლო ფუნქციები თვითვე განახორციელონ [13, გვ. 30-45]. ეკლესიის „შეუვალაობის“ შესახებ მოგვითხრობს „ბიჭვინთის იადგარიც“.<sup>2</sup> ძეგლი განსაზღვრავს ბიჭვინთის ეკლესიის შეუვალაობას, მის იმუნიტეტს. დოკუმენტში ვკითხულობთ: საყდრის მამული „შემოსაზღვრითია“, ე. ი., რაც ბიჭვინთას ეკუთვნის, იმ საზღვრებში მამული, სოფლები, გლეხები... ანუ, რაც შეწირულია ბიჭვინთის მონასტრისათვის, ეკუთვნის მხოლოდ მონასტერს და „არა ჰელი შევიდოდეს“ იქ. ე. ი. მონასტრის მამული შეუვალაია, მას არც ბაჟი და არც რამე გამოსაღები არ მოეთხოვება (გარდა კათალიკოსის სასარგებლო გადასახადისა) [14, გვ. 194-209]. ხოლო მესამე საყუარადღებო ძეგლი, რომელშიც ასევე მკაფიოდ ასახულია ეკლესიის შეუვალაობა, სვანეთმა შემოგვინახა, ეს არის „სიგელი სასჯელის დადებისა ცხმარის ქვეზე მეფისა და დადიანის ბრძანებით ცაიშელ მთავარებისკოპოსის მიერ“ [7; გვ. 28]. არსებობს თუ არა მსგავსი პრეცედენტი საქართველოს ტრადიციულ ყოფაში? ცხადია, ეკლესიის „შეუვალაობის“ გამოძახილია საქართველოს მთიანეთში დღემდე დაცული საეკლესიო მიწები და ტყეები, ზოგიერთი ამჟამად მოქმედი „შეწირულობის“ და „ბეგარის“ სახეობა. მაგალითად, სვანეთში ჩვენს დროშიც არსებობს საეკლესიო ტყეები და მიწები, ამ ტყეებში ხის მოჭრა მხოლოდ და მხოლოდ მისი „მფლობელის“ – // „პატრონის“ – ეკლესიის საჭიროებისათვის შეიძლება (კალის წმ. კვირიკეს და ივლიტას მონასტრის ტყე, ლაბსყალდის მთავარანგელოზის ტყე, კაიშის მთავარანგელოზის ტყე...), ხოლო მიწაზე მონეული მოსავალი კვლავ ეკლესიას უბრუნდება,

<sup>1</sup> ეკლესია-მონასტრების „შეუვალაობის“ დარღვევას დიდი წინააღმდეგობა გაუწია ეკლესიამ. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 353-373.

<sup>2</sup> ბიჭვინთის იადგარს ზოგიერთი მკვლევარი ნაყალბევადა მიიჩნევს. იხ. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1965, გვ. 176-183.

ინარჯება სატაძრო დღეობებსა და სხვა დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე [3, გვ. 41-81]. ამავე დროს, ეკლესიის „შეუვალობის“ ნესი ასახულია ქართულ სამართალ-შიც. ცნობილია, რომ ფეოდალურ საქართველოში განსაკუთრებით მკაცრად ისჯებოდა საეკლესიო ქონების ხელყოფა. ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით, ქურდობისათვის დანესებული იყო მოპარული ქონების შვიდმაგი ღირებულების გადახდევინება [13, მუხ. 151, 154], ხოლო თუკი დაზარალებული ეკლესია ან მონასტერი იყო, მაშინ, გარდა ზარალის შვიდმაგად ანაზღაურებისა, დამნაშავეს „საუპატიო“ სასჯელიც ეკისრებოდა: „... თუ ვინ იპაროს, შედ ნაწილად ეზღვიოს და მონასტრისაჲ უპატიობაჲ დაებრჭობდეს“. საუპატიოს რაოდენობას კი სასამართლო განსაზღვრავდა [13, გვ. 43-44]. ამ მხრივ, საყურადღებოა, სვანური დოკუმენტი – „სიგელი სასჯელის დადებისა ცხმარის ქვეზე შეფისა და დადიანის ბრძანებით ცაიშელ მთავარეპისკოპოსის მიერ“. დოკუმენტში დაკონკრეტებულია ეკლესიისა და მისი შემოგარენის მანძილის მიხედვით საზღაურის რაოდენობის განსაზღვრა. ე. ი. მასში გამოკვეთილია ეკლესიისათვის საზღაურის გადახდა იმის მიხედვით, თუ რა მანძილის დაცილებით მოხდება საეკლესიო ქონების ხელყოფა და ეკლესიის ინტერესების შელახვა: „ცხმარისა ქვემან დაუნერეთ მთავარანგელოზსა ლაბსყელდაშისა საპატიჲოი: ზღუდესა შიგნით სამოცდაათი ათასისა თეთრი საპატიჲოი: მას გარე საპატიჲოი, სადა სარეკლისა კმაი ისმის, რვაი ათასისა თეთრისა მისი საპატიჲოი დაგვიცს, ჭიუხაშისა და ხანსარსა შვა ოთხი ათასისა თეთრისა საპატიჲოი დაგვიცს“ [7, გვ. 28]. ამავე დროს, საეკლესიო პირის, მსახურის შეურაცხყოფისათვის დამნაშავე, გარდა იმისა, რომ მან კუთვნილი საზღაური („სისხლი“) უნდა ზღოს, მოვალეა „დიდადაც“ შეეხვეწოს მონასტერს („შეხვეწნის“ შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ) და „ნახევარი სხვა“ – საუპატიო – ზღოს. ამ „უპატიობის“ განსჯა მონასტრის წინამძღვრისა და ძმობის პრეროგატივაა [13, გვ. 43-44]. მკაცრად ისჯებოდა ეკლესიის გამტეხი და ხატის მძარცველი. ქართული საკანონმდებლო ძეგლები კატეგორიულად მიუთითებენ: „ვინც ეკლესია გატეხოს და ხატი გაძარცვოს უკანონოდ ძელსა მიეცეს“ [17, გვ. 393]. სვანეთის საისტორიო დოკუმენტებშიც, „ეკლესიის გამტეხი“ „კლუასა და ამონყევდას“ ექვემდებარებოდა [11, გვ. 108]; „კრულმცა არს სული და ხორცი მისი“ [11, გვ. 109]. ისჯება არა მარტო დამნაშავე, არამედ მისი ჳევი და თემი: „ვინც ეკლესია გატეხოს, რომელსაც ქუეყანისა იყოს, იმ ქუეყანისა რა ეკლესიისა კმართებდეს, აგრე არ გაიღონ, იგი ქუეყანაჲ სეტისა მთავარმონამისაგან და მისისა შესაულისაგან გამოსრულ იყოს, და საუკუნოს ღმრთისაგან გამოსრულ იყოს“ [11, გვ. 111]. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია ის რისხვა, რაც „ეკლესიის გამტეხს“ თავს ატყდებოდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ასეთი დანაშაულის ფაქტი, სვანეთში ძალიან ცოტაა. ერთი ისტორია შემოგვინახა ე. გაბლიანმა: „ბალყარის ბატონი“ დევეთგერ მურზაყულოვი და მისი ბიძა ეკლესიების გაძარცვის მიზნით შეპარულან სვანეთში. დევეთგერს მართლაც გაუტეხავს უშგულის ეკლესია და შინაც მშვიდობით დაბრუნებულა. ბიძამისს კი „ლაგურკის“ გაძარცვის მცდელობა ჩაშლია და იგი უშგულელებს დაუჭერიათ. უშგულელებს დევეთგერის ბიძის ორი თანმხლე-

ბი „ბალყარში“ გაუშვიათ დევეთგერთან და მისთვის ნაძარცვის უკან დაბრუნება მოუთხოვიათ. დევეთგერს მართლაც ჩამოუტანია ეკლესიიდან მოპარული ნივთები, რომელთაც კლებია ერთი მძივი. უშგულელებს ბიძამისი გაუშვიათ, დევეთგერი კი მოუკლავთ. ცხადია, ბალყარელებსა და უშგულელებს შორის მტრობა ჩამოვარდნილა. დიდი ხნის შემდეგ ბალყარელები დაყაბულელებთან შერიგებაზე, საქმე 12 მედი-ატორს განუხილავს: უშგულელებისთვის დევეთგერის სისხლის საფასურად 200 ხარის ფასის გადახდა მიუხჯიათ, ოღონდ ამ 200 ხარიდან ეკლესიის გაძარცვისათვის 100 ხარი გამოუქვითავთ. დარჩენილი 100 ხარიდან უშგულელებს 70 ხარი მაშინვე გადაუხდიათ, 30 კი – შემდეგ [1, გვ. 24].

ქართული საკანონმდებლო ძეგლებით განსაზღვრული იყო ეკლესიის „შეუვა-ლობის“ სხვა გამოხატულებაც: ერთი და იმავე დანაშაულისათვის ბევრად უფრო მკაცრად ისჯებოდა ის პირი, ვინც დანაშაულს ეკლესია-მონასტრის მიდამოებში ჩაიდენდა. მაგალითად, იმავე 1470 წლის დოკუმენტით, მონასტრის ფარგლებში და-ნაშაულის ჩადენა მონასტრის შეურაცხყოფად ითვლებოდა და დამნაშავე მონას-ტრის სასარგებლოდ „საუპატიო“ ჯარიმას იხდიდა: *„თუ შულლი ვინმე იკადროს და მახელილი იხადოს მონასტერსა შინა, ანუ კაცი დაჭრას ანუ კიდე სისხლი ადინოს, მი-სი აბჯარი ეკლესიას შეიღებოდეს და თვით იგი კაცი ცემით და ჯლეხით განიძებო-დეს და რაი გინდა უმართლე იყოს, მისი სამართალი ნახდეს და თუ მოკლას მისი სისხლი გაცუდდეს და მოკლულისა სრული სისხლი დაუურვოს“* [18, გვ. 142]. რო-გორც ვხედავთ, არათუ დანაშაულის ჩადენა, არამედ უბრალოდ იარაღის მომარ-ჯვებაც კი მონასტრის ტერიტორიაზე უკვე დასჯას ექვემდებარება, რადგანაც იგი საკრალური ადგილის მყუდროებას არღვევს და მშვიდობიანობას საფრთხეს უქ-მნის. ამგვარი დამოკიდებულება საკრალური ადგილისადმი ქართველთა მენტალო-ბას ბოლო დრომდე შემორჩა: შეიარაღებული პირი, თუკი იგი ტრადიციულ ქარ-თულ ღირებულებებს არის ნაზიარები, ეკლესიაში შესვლამდე იარაღს აიყრის და სანდო პირს ჩააბარებს, ასევე ცნობილია, რომ საქართველოს მთაში სტუმარ-მას-პინძლობის ეტიკეტი მოითხოვდა, სტუმრისაგან თავისი იარაღის ოჯახის უფროსი მანდილოსნისათვის ჩაბარებას. ქართული სამართალი ამ მხრივ გამონაკლისი არაა, იგი მსგავსებას ავლენს დასავლეთ ევროპის ფეოდალური სამართლის ერთ ძველე-ბურ ინსტიტუტთან, რომელსაც „უმაღლეს მშვიდობიანობას“ უწოდებენ. ამ ინსტი-ტუტს უძველესი დროიდანვე საკრალური ხასიათი ჰქონდა. „უმაღლესი მშვიდობია-ნობის“ უფლებით სარგებლობდა ეკლესია-მონასტერი, მისი ეზო და სასაფლაო; ის ადგილები, სადაც იმყოფებოდა მეფე; სადაც იმართებოდა სახალხო თავყრილობა, სასამართლოს კრება... ყოველი ასეთი საკრალურად მიჩნეული ადგილის „მშვიდო-ბიანობის“ დარღვევა ბევრად უფრო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე ჩვეულებრივი და-ნაშაული“ [6, გვ. 35]. ქართული წყაროების თანახმადაც, ეკლესიის „მშვიდობიანო-ბის“ დამრღვევიც, *„რაი გინდა უმართლე იყოს, მისი სამართალი ნახდეს და თუ მოკ-ლას მისი სისხლი გაცუდდეს და მოკლულისა სრული სისხლი დაუურვოს“* [18, გვ. 142]. ე. ი. ქართული სამართლითაც ეკლესია-მონასტერი მიჩნეული იყო ისეთ ადგი-ლად, რომლის მყუდროების//მშვიდობიანობის დარღვევას მომეტებული სასჯელი

მოჰყვებოდა. მონასტრის მიდამოებში არათუ შულლი და შურისძიება, არამედ ხმლის ამოღებაც კი აკრძალული იყო. თვით მესისხლეც, რომელიც მონასტრის გალავანს შიგნით მიმართავდა შურისძიებას, საზღაურის უფლებას კარგავდა და მოვალე იყო, გადაეხადა სრული სისხლი.

ეკლესიის „შეუვალობის“ წესის შემადგენელი ნაწილია ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში დაფიქსირებული და საქართველოს ტრადიციულ ყოფაში შემონახული „შეკვეთის“ ჩვეულება. ტერმინი შეკვეთა//შეხვეთა მონანიებითი ხასიათის სასჯელია, ნიშნავს მონანიებას, შევედრებას, ბოდიშის მოხდას [5, გვ. 51]. ეკლესიამონასტრის წინაშე დანაშაულის ჩამდენი, მოვალეა „ვართა და ერთთა საპაღინთა პურ-ღვინითა. ეკლესიას შემოხუენებოდეს და მაშინღა გაიბრჭობოდენ“ [18, გვ. 142]. ანუ მხოლოდ ამ სახის „შეხვეთის“ შემდეგ შეიძლებოდა ეკლესიის „მშვიდობიანობის“ დამრღვევის გასამართლება. ე. ი. დამნაშავეს ჯერ უნდა მონანიებინა შეცოდება, „შეხვეთნოდა“ მონასტერს, რათა მისგან მიეღო სასამართლოში საქმის გარჩევის ნებართვა. სასამართლო, ცხადია, დამნაშავეს მონასტრის სასარგებლოდ „საუპატიოს“ გადაახდევინებდა, ე. ი. მონასტერი ორჯერ იღებდა დამნაშავესგან საზღაურს: ჯერ „შეხვეთისას“ – მონანიებითს, შემდეგ კი – საუპატიოს. ძველქართული სამართლის ეს პლასტი XIX ს-ის II ნახევრის სვანეთში ფიქსირდება – პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა ცოცხალი სახით შემოგვინახა საქართველოს მთამ: საინტერესო ისტორიაა დაცული უშგულის თემში: უშგულელ ჯამათა ჭელიძეს (XIX ს. სავარაუდოდ შუა ხანები) დახმარება აღმოუჩენია თავად გარდაფხადისათვის, ჩაუყვანია ნალჩიკში კავკასიის მთავარმართებელთან შესახვედრად. იქ კი ჯ. ჭელიძეს და მის ორ ამხანაგს, უშგულის თემის ნებართვის გარეშე, თავი უშგულის წარგზავნილებად დაუსახელებიათ და რუსეთის თვითმყოველობის ქვეშევრდომობაში მიღება უთხოვიათ. ასეთი გაუგონარი ღალატის შესახებ უშგულელებს შეუტყვიათ და მოლაღატეების სასტიკად დასჯა გადაუწყვეტიათ. ცხადია, სვანურ ადათ-წესებს ჯ. ჭელიძეც იცნობდა. ამიტომ იგი ღამით, ფარულად შეპარულა სოფელში და ღვით-სმშობლის ეკლესიის („ლაშარია“) კარებისათვის ხარები შეუბამს. „მეორე დღეს, ეს რომ ხალხმა შეიტყო, მთელმა უშგულმა ეკლესიის გალავანში მოიყარა თავი. ჯამათა და მისი ამხანაგები დახვდნენ დარქილნი ხალხის წინაშე და სთხოვეს პატიება. რადგანაც მათ ეკლესიის კარებზე ხარები მიაბეს. ამის შემდეგ სვანური ჩვეულება უშგულელებს ნებას არ აძლევდა დამნაშავენი დაესაჯა“ [1, გვ. 48].

ყოველივე ზემოთქმულს პარალელები ეძებნება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ ყოფაში<sup>1</sup>. რ. ხარაძე, განიხილავს რა ხევსურულ „რჯულს“, მიუთითებს, რომ მოკლულის ჭირისუფალს, რომელიც მიდის მკვლელის ოჯახის

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა მიუთითებს, რომ „ეს ჩვეულება დღესაც მოქმედებს მთის ხალხში. ხასიათი, შინაარსი ამ ჩვეულებისა ისაა, რომ დამნაშავე შეურაცხყოფილს საკლავს რომ უკლავს, პატარა ხატად მხადს. საკლავის შეწირვა, ხომ ღვთისა და ღვთისშვილების (ხატები) მოსამადლიერებელი საშუალებაა. საკლავით შეხვეთა დიდი ხვენაა, რომლითაც სისხლიც კი დაიურევინს“ (ვაჟა-ფშაველა, ლაშარობა, თხზულებანი, თბ., 1986. გვ. 576).

ასაოხრებლად, „მეკელეს მესამოენი რიგს დაუყენებენ. ერთს სამი წლის ბულას, სამწარეკიან სპილენძის ქვაბს, ორ საკლავს გ ზაში მიაგებებდნენ“ [21, გვ. 179-184]. ასეთივე წესით ხდება დედის გვარის შეჩერებაც. საკლავები მაშინვე იკვლებოდა, ხოლო ჯარს და ქვაბს მთავარ სალოცავს სწირავდნენ... „თუ მამკლავი იმავე ან მეზობელი სოფლიდანაა, საიდანაც მამკვდარი, მაშინ მეკელე მთელი თავის ოჯახით უნდა აიყაროს და ამანათად წავიდეს.. მას უცხო გვარი და სოფელი შეიხიზნავს. ხევსურული რჯულის მიხედვით, ამანათად მიღებაზე უარის თქმა არავის არ შეუძლია... თუ კი მოკლულის ჭირისუფალი მეკელესთან შერიგებაზე უარს აცხადებს, მეკელეს შეუძლია ჯვარჩი შაუჯდეს. მამკლავი შუაკაცებთან და ხუცესთან ერთად ღამით მივა ჯვარში. თან წაიყვანს სამი წლის მოზვერს, წაიღებს სპილენძის ქვაბს. ხუცესი იხუცებს, „მამკვდარი“-ს პატრონს დილითაა გააგებინებდნენ „ხატში შამოჯდომის“ ამბავს და ისიც იძულებულია დაეხმოდეს თემის და ხუცესის მოთხოვნებს: „ჯვარჩი მამამჯდარია და ჯვარსაც აპატიე და ჩვენც გვაპატიე“... ამის შემდეგ მოსაკლავად ველარ დასდევს მისი მესისხლე“ [21, გვ. 179-184].

როგორც ვხედავთ, სვანურ-ხევსურული პარალელები სახეზეა. ცხადია, გარდა ჯარის სიმბოლური მნიშვნელობის არსებობისა, ქართველ მთიელთა ტრადიციულ მენტალობაში ამ რიტუალს უდიდესი რაციონალური დატვირთვაც ჰქონდა – მოსახლეობა ჩვეულებითი სამართლის ამოქმედებით ებრძოდა სისხლის ალების წესს, ამყარებდა მშვიდობას და სამართლიანობას, კრავდა თემისა და სოფლის, ხშირად კი მთელი ქეობის ერთიან სულს.

საქართველოს მთიანეთის ტრადიციულმა ყოფამ შემოგვინახა ეკლესია-მონასტრის „შეუვალობის“ წესის ის დანაშრევიც, რომელიც გულისხმობდა ჩვეულებას, რომ „ეკლესიას ჰქონდა თავშესაფრის მიცემის უფლება“ [12, გვ. 213]. სწორედ ეკლესიის „შეუვალობის“ ზოგადქართული სამართლებრივი ნორმის გამოძახილია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა სვანეთის ერთ-ერთი მონასტრის შესახებ: „თუ შევიდეს მუნ სასიკუდირო ანუ ტყუე, ვერარაისალა უყოფენ, გარნა განუტევებენ თავისუფლად“ [16, გვ. 788]. ეკლესია-მონასტრის „შეუვალობის“ წესი ცოცხლობდა XIX საუკუნეშიც: სვანეთში „დამნაშავეს მტრის დევნისაგან იხსნიდა ეკლესია ან მის გალავანში შესწრება“ [10, გვ. 116]. ხევის მასალითაც, შიოლა ლუდუშაურის მეკელეს – მთრეხელს ეკლესიისთვის თავის შეფარება უცდია, რაც მას მღევრისგან დაიცავდა.

„მიმართა ეკლესიასა,  
ნაგებსა ბასრი ქვისასა,  
კარნი არ დახვდენ ღიანი,  
ვაჲ დედას მთრეხელისასა“.

ა6

„მიღმართა ყოვლისა-წმიდასა,  
დედა მშობლისა ხთისასა,  
კარი არ დახვდა ღიანი,  
ნაგებსა თლილსა ქვისასა“ [19, გვ. 336].

ანუ ქართულ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიულ მასალაში მოიპოვება საგულისხმო ინფორმაცია დევნილი პირის თავშესაფრის უფლებაზე, რომლის ძალითაც თვით დამნაშავესაც კი ჰქონდა ეკლესია-მონასტერში თავშესაფრის ძებნის უფლება. ამ უფლების ძალით ეკლესია-მონასტერში მისი ხელყოფა იკრძალებოდა. ქართულ ტრადიციულ ყოფაში, ეკლესიის პარალელურად, ასეთივე უფლება თავშესაფრის მოპოვებისა დევნილს შეეძლო მოეძიებინა ამა თუ იმ თემსა ან ოჯახში [9, გვ. 92]. ამავე დროს, დევნილს უფლება ეძლეოდა შეფარებოდა ამა თუ იმ თემის სასოფლო მოედანს, რომელიმე ოჯახს. ორივე შემთხვევაში მას მფარველებად თემი ან მასპინძელი ოჯახი მოველინებოდა, რადგან ტრადიციულ ქართველთა მსოფლალქმით „სტუმარი ღვთისაა“ [20; 9, 1981].

ამრიგად, ფეოდალური ხანის ქართული სამართლისათვის დამახასიათებელი ეკლესიის „შუუვალობის“ წესის შემონახულობას ქართულ ტრადიციულ ყოფაში, ჩეულებით სამართალში აპირობებდა ქართველ მთიელთა მენტალობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი და განმსაზღვრელი ნიშანი – რელიგიურობა. ქართული ჩეულებითი სამართლის სიცოცხლისუნარიანობას ასულდგმულებდა მისი მომდინარეობა ფეოდალური ხანის ქართული კანონმდებლობიდან, რომელშიც გვერდი-გვერდ არსებობდა // თანაარსებობდა საერო და საეკლესიო სამართალი და რომ რელიგია იყო მექანიზმი, რომელიც აყალიბებდა და კრავდა ქართველთა მენტალიტეტს, მათ მსოფლმხედველობას, ზნე-ჩვეულებებსა და სამართლებრივ ნორმებს საუკუნეების განმავლობაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927.
2. გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.
3. რ. გუჯგუჯიანი, ტრადიციული ყოფისა და რწმენა-წარმოდგენების ურთიერთმიმართება დასავლეთ საქართველოს მთიანეთში. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2005.
4. გ. დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2004.
5. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.
6. ალ. ვაჩიშვილი, წარკვეცილი ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1946.
7. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941.
8. მ. კეკელია, ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის საკითხები ადრისა და მესტიის ოთხთავების მინაწერთა მიხედვით (XII-XVI სს.) – თსუ შრომები B I (138) თბ., 1971.
9. მ. კეკელია, ფოლკლორი, როგორც წყარო ქართული სამართლის ისტორიისათვის – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერსია, I, თბ., 1981.
10. ბ. ნიუარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962.
11. ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბ., 1986.
12. ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში V-X საუკუნეებში, – კრ. ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973.

13. ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963.
14. ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბ., 1984.
15. ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 2000.
16. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
17. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963.
18. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965.
19. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. I, თბ., 1961.
20. ნ. ლამბაშიძე, სტუმარი ღვთისაა – მსე, XXV, თბ., 2005.
21. რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, – ანალები, I, თბ., 1947.

ROZETA GUJEJANI

## THE CHURCH "IMMUNITY" RULE (SHEVALOBIS TSESI) IN THE GEORGIAN TRADITIONAL MANNER OF LIFE Summary

IN the Georgian traditional manner of life some layers of the church "immunity" rule' (shevalobis tsesi) recognized from the medieval Georgia have been preserved, arising from the ecclesiastical and secular justice. It is well known that Georgian churches and monasteries of that old feudal period possessed important (influential, serious) immunity. To a certain extent they had a judicial immunity. They could give shelter to a refugee. Especially strictly were punished those who did not obey the monastery-church immunity rules, and those who committed a crime within their territory; there was a pay-free rule and so on. In the traditional manner of life of highland Georgians' these "rules" were obligatory attributes of mentality till late times. The reason for such a long existence of the church-monastery "immunity" rule (shevalobis tsesi) is quite clear. Firstly, it is recognizable in the conservative character of upland people's lifestyle and, secondly, it is conditioned by the fact (circumstance) that this custom arises from the old Georgian ecclesiastical and secular justice; and as for the old Georgian justice, in Georgian highland traditional world outlook it was established by God and the attributes of this mentality are revealed in Georgian custom law.

## ჯავახეთი არსებული „სალომეთის“ დარბაზული ეკლესიის კომპოზიციური თავისებურება

ქართული საკულტო არქიტექტურის ისტორიაში ისეთ ისტორიულ-კულტურულ რეგიონს, როგორც ჯავახეთი, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საინტერესოა, რომ გარდა თავისი გამორჩეული თვითმყოფადი სახისა, იგი არის როგორც ეპოქალური, ასევე მთლიანი საქართველოს, განსაკუთრებით კი მისი ცენტრის არქიტექტურის სტილისტური ნიშნების აშკარა მატარებელი, ზოგ შემთხვევაში წინამორბედიც. ქრონოლოგიურად ხუროთმოძღვრების აყვავება ამ ისტორიულ რეგიონში ძირითადად X-XIII საუკუნეებით შემოიფარგლება. თუმცა ამ პერიოდს წინ უსწრებდა ძეგლებით უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი მოსამზადებელი პერიოდი (VIII-IX სს.), რომელმაც შესანიშნავი საფუძველი შეუქმნა ამ რეგიონის ხუროთმოძღვრების აღზევებას.

როგორც ცნობილია, ჯავახეთი იყო პირველი სამი საზღვრისპირა რეგიონიდან (ჯავახეთი, კოლა, არტაანი) და მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ქართლთანაც. ჯერ კიდევ მეფე არშაკის დროს იგი უპირველესად იყო შემომტკიცებული ქართლის სამეფოს მიერ და ამ „ქვეყანაში ქართლის თანდათანობით შეღწევა-ათვისებამ განაპირობა ამ მხარის „ზემო ქართლად“ ქცევა“<sup>1</sup>.

ამ ისტორიულმა ვითარებამ წარმოქმნა ჯავახეთის არქიტექტურის მკვეთრი სტილისტური სახეც და გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთებში მისი პრიორიტეტიც სხვა რეგიონებთან შედარებით.

მრავალ ძეგლთაგან, რომლითაც მდიდარია ეს მხარე, ბევრია მხატვრულად გამორჩეული, იმ ღონიერი შემოქმედებითი ძარღვის მატარებელი, რომლითაც განსხვავდება ქართული შუა საუკუნეების არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნაწილი.<sup>2</sup>

ჯავახეთის პლატოზე, რომელმაც მრავალი საკულტო ნაგებობა შემოგვინახა, ვხვდებით საქართველოში გავრცელებულ სხვადასხვა არქიტექტურულ ტიპს, მათ შორის ისეთსაც, როგორც დარბაზული ეკლესიაა.

ჯავახეთის ნებისმიერ ეკლესიამდე მიმავალი გზა უკვე ქმნის გარკვეულ შთაბეჭდილებას მის აღსაქმელად. აქ ყველაფერი ერთმანეთს ეპასუხება, ზედმეტი არაფერია, ყველაფერი თავის ადგილზეა, სულ მცირე ზომის ქვაც კი თითქოს „შეგნებულად“ არის განთავსებული, მაგრამ არა ადამიანის მიერ. არის შთაბეჭდილება, თითქოს ეს ძეგლები არავის აუგია, თითქოს თავისთავადი, ბუნებრივია. თუმცა ეს


<sup>1</sup> დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. V. თბ., 1975, გვ. 84-85.

<sup>2</sup> თ. ელიზბარაშვილი, დანკალის ორნავიანი ეკლესია, ძეგლის მეგობარი, I, 1993, გვ. 17.

„თავისთავადობა“ მხოლოდ შორიდან აღქმისას შეიძლება ითქვას ტაძართა გარე მასებზე, რადგან მიახლოებისას და შიდა სივრცის აღქმისას უკვე ოსტატის ხელი იგრძნობა. მოულოდნელობას მხოლოდ შიდა სივრცე იწვევს. ტაძრის ექსტერიერი კი „ნაწილია მთლიანად ჯავახეთისა“. სწორედ ამ შთაბეჭდილების მაგალითია ქვემო ჯავახეთის მცირე დარბაზული ეკლესია – სალოშეთი, რომელიც დღეს სავალალო მდგომარეობაშია.

ქვემო ჯავახეთის მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშის შემდეგ, გზას აღაწიამდე მიეყავართ. ეს არის სოფლისაგან მოშორებით, მცირე კლდის ძირას მდგარი VIII საუკუნის ნაგებობა. ამ ეკლესიის შემდეგ გზა კიდევ უფრო მაღალ მთაში – ნიალას ველზე ადის, სადაც ნასოფლარ სალოშეთში ამავე სახელწოდების ეკლესიაა.

განსაკუთრებული ისტორიული მონაცემები სალოშეთის შესახებ არ მოგვეპოვება. ტაძარი მოხსენიებული აქვს ნ. ჩუბინიშვილს შალოშეთის სახელწოდებით და მას (VIII-IX) საუკუნეებით ათარიღებს.<sup>1</sup> ამ სახელწოდებას ვხვდებით ასევე გ. ბოჭორიძესთან<sup>2</sup> და ც. გაბაშვილთან, რომელიც ტაძრის ორთაღიან კარიბჭესთან დაკავშირებით იხსენიებს და მოტანილი აქვს თვით სალოშეთის კარიბჭის რეკონსტრუქცია.<sup>3</sup> ტოპონიმი სალოშეთი გვხვდება მხოლოდ დ. ბერძენიშვილთან, როდესაც საუბარი სალოშეთის ხეობას ეხება.<sup>4</sup>



<sup>1</sup> ნ. ჩუბინაშვილი. შაშიანის სამება. დანართი: ტაძართა ნუსხა. თბ. 1988.

<sup>2</sup> გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში. თბ. 1992. გვ. 9.

<sup>3</sup> ც. გაბაშვილი. ზედა ვარძია. სურ. 30. თბ. 1985.


<sup>4</sup> დ. ბერძენიშვილი. ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული V. თბ. 1975.

სალოშეთი წარმოადგენს დარბაზულ ეკლესიას სამხრეთისა და დასავლეთის გვიანი მინაშენით. ტაძარიც და მინაშენებიც ნაგებია უხეშად დამუშავებული საშუალო ზომის „მით მიჯრით მიწყობილ“ ქვითა „ჯავახური წყობით“. ქვის ბლოკებით დაცულია რიგების ჰორიზონტალობა. კუთხეებში, კონსტრუქციულ ნაწილებში თლილი ქვის კვადრებია გამოყენებული ისე, რომ იქმნება ჩარჩოს შთაბეჭდილება.

ძეგლი დაზიანებულია: კონქის ნაწილი ჩამოქცეულია; დაზიანებულია ნაწილობრივ კამარაც; კედლები ზედა წყობაში მორღვეულია; კარნიზის ფრაგმენტები მხოლოდ ჩრდილოეთის ფასადზეა შერჩენილი. მინაშენების გადახურვა მოშლილია. დაზიანებულია ფასადებიც. მინაშენის დასავლეთი შესასვლელი ამოშენებულია, სამხრეთისა კი დაზიანებული.

ტაძრის თითოეული ფასადი დამოუკიდებლად აღიქმება. დასავლეთით ჩანს თვით დარბაზის ფასადი ორფერდა სახურავით და დასავლეთ მინაშენი ცალფერდა სახურავით. მინაშენიდან შემავალი კარი (ამჟამად ამოქოლილი) არქიტავრით სრულდება. დასავლეთ მინაშენს შემორჩენილი აქვს კამარის ნაწილი, რომლის საფუძველზეც ხერხდება მისი სახურავის სიმაღლის წარმოდგენა. დარბაზის დასავლეთ ფასადზე ფრონტონის ძირში ერთი სარკმელია გაჭრილი. სადღეისოდ მის გარშემო წყობა ამორღვეულია და ამიტომ სარკმელის მოხაზულობის დადგენა არ ხერხდება. დასავლეთ ფასადის მინაშენის კედელი უფრო განიერია, ვიდრე დარბაზისა. კარი გაჭრილია მინაშენის ცენტრის ჩრდილოეთით და საგრძნობლად აცდენილია დარბაზული ეკლესიის ცენტრს, რაც ასიმეტრიულ შთაბეჭდილებას ტოვებს. წყობა მინაშენისა მსგავსია დარბაზული ეკლესიის წყობისა, თუმცა შედარებით მოუნესრიგებელია. დარბაზის ფასადზე რიგების ჰორიზონტალურობა მკაცრად არის დაცული. რაც შეეხება მინაშენის წყობას, იქ მეტი თავისუფლება იგრძნობა. ორივე მოცულობის კუთხეები თლილი ქვებით სრულდება (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად დაყენებული ქვის მონაცვლეობით). იგივე შეიძლება ითქვას კარის მორჩობებზე.

როგორც დასავლეთის, ასევე სამხრეთის ფასადიც ორ მოცულობად არის წარმოდგენილი. დაბალი მოცულობა სამხრეთ მინაშენისა ორთაღვდით იხსნებოდა. შერჩენილია თალის ერთი ნაწილი და ასევე ნაწილი პილასტრისა. პილასტრი, როგორც ჩანს, მოგვიანებით გადაუადგილებიათ – იგი ჩასმულია კარის ჭრილის მარცხენა მხარეს და აქვს მზიდი კონსტრუქციის დანიშნულება. სარკმელი აქ მხოლოდ ერთია – თვით დარბაზის ფასადზე აღმოსავლეთ მონაკვეთში, იგი თაღოვანია. მისი თავსართის დეკორი გადაბმული ტალღოვანი თაღებისაგან შედგება, რომელთა ბმაზე მოცემულია წვრილი ბურთულა. თაღებს ზემოდან ევლება რელიეფური რკალი, რომელიც სამკუთხედებით არის დამუშავებული. ეს თაღები ღრმად არის ჩაკვეთილი ქვაში, რაც საპირეს უფრო რელიეფურს ხდის.



რაც შეეხება ჩრდილოეთ ფასადს, იგი სრულიად სადაა, დაუნანვერებელი და ერთ სიბრტყედ აღიქმება.

ჩრდილოეთ ფასადის მსგავსად დაუნანვერებელია აღმოსავლეთის ფასადიც, თუმცა აქ ორი სარკმელია წარმოდგენილი. საკურთხევლის თაღოვანი სარკმლის თავსართის ქვაზე ამოკვეთილია ბოლოებში ჰორიზონტალურად გაშლილი თალი სამმაგი ლილვით. შემორჩენილია მეოთხე თალის კვალიც თაღების მხოლოდ ზედა ნაწილში. თავსართის ქვა თაღებს ზემოთ გამოქარულია, მაგრამ მაინც შეიმჩნევა მორთულობის კვალი.

დარბაზის მოცულობა მკვეთრად გამოიყოფა მინაშენისაგან. მათ შორის არის სამშენებლო ნაკერი.

აღმოსავლეთის ფასადზე მეორე სარკმელი მინაშენშია და ისიც თალით სრულდება. სარკმელთა გარშემო თლილი ქვა არის გამოყენებული.

ეკლესია მართკუთხედშია ჩანერილი და გართულებულია სამხრეთის ორნაწილიანი და დასავლეთის მინაშენებით (ტაძრის გარეთა ზომები: სიგრძე 9.7, სიგანე 5.1მ, შიდა ზომები: სიგრძე 8მ, სიგანე 3.2მ. კედლის სისქე 90სმ).<sup>1</sup>

დარბაზის სივრცე აღმოსავლეთით სრულდება ნახევარწრიული აფსიდით. დარბაზის კედლები კი ერთი ნევილი სადა პილასტრით ორ ნაწილად იყოფა. ამ პილასტრებს ეყრდნობა ერთი საბჯენი თალი, რომლითაც შემაგრებულია კამარა. კამარა ჩამოსხმულია, ხსნარში გამოყენებულია წვრილი კენჭები. პილასტრები პროფილირებული კაპიტელით გვირგვინდება. აქ წარმოდგენილი პილასტრების კაპიტელის ფორმა იდენტურია, ისინი შედგება თაროსა და ოდნავ შეზნექილი სიბრტყისაგან. საკურთხეველში, კონქის საზღვარზე ჩასმული იმპოსტებიც იმეორებენ ამ პროფილს, ოღონდ იმპოსტი დაბალი და ვიწროა.

დარბაზს ორი შესასვლელი აქვს – ერთი დასავლეთ კედლის ცენტრში მინაშენებიდან და მეორე სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში. შესასვლელების ფორმა იდენტურია ორივე მხრიდან და არქიტრავით სრულდება. დარბაზი განათებულია სამი სარკმლით: ერთი დასავლეთ მონაკვეთში, მეორე საკურთხეველში და მესამე სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში. დარბაზის ორი სარკმელი გარედან თაღოვანია, ინტერიერიდან კი ბრტყლად არის გადახურული. დასავლეთის სარკმლის მოხაზულობის დადგენა ვერ ხერხდება დაზიანების გამო.

შესასვლელის აღმოსავლეთ მხარეს მდებარე პილასტრის დასავლეთი მხარე თვით შესასვლელის წირთხლის გაგრძელებას წარმოადგენს. მთავარ სივრცეში, ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებზე შემორჩა მხატვრობის კვალი.

სამხრეთის მინაშენი შედგება ორი სათავისაგან – აღმოსავლეთის ეკვდერისაგან, რომელიც მართკუთხა მოყვანილობისაა და აღმოსავლეთ ნაწილში სწორკუთხა ფორმა აქვს, და თაღებით გახსნილი სტოასაგან.

---

<sup>1</sup> ძველი აზომილია ინსტიტუტ „საქრესტავრაციის“ თანამშრომლების: თ. ნემსაძის, რ. გურამიშვილის, ნ. შელიავას და მ. ზამთარაძის მიერ 1992 წელს.

დასავლეთ მინაშენი თაღოვანი გასასვლელია. თალი ჩრდილოეთით ეყრდნობა პილასტრს, სამხრეთით კი იმპოსტს. პლასტრის კაპიტელის პროფილი მაღალია და შედგება თაროსა და ჩაკვეთილი სიბრტყისაგან. საპირისპირო იმპოსტის პროფილი კი უფრო მოკლეა, შეცვლილია მასშტაბიც – თარო უფრო მაღალი და განიერია. ჩაკვეთილი სიბრტყე კი უფრო მოკლე. თალი ქვედა მონაკვეთში ნაწილობრივ ამოშენებულია, ეკვდერის შესასვლელის თავზე უხეშად დამუშავებული ტოლმკლავა ფორმის სწორკუთხა მოჩარჩოებაში ჯვარია გამოსახული.

მინაშენის გადახურვა კამაროვანია. შესასვლელი ორივე მინაშენშია. სარკმელი მხოლოდ სამხრეთის მინაშენს აქვს – აღმოსავლეთის მხრიდან. დასავლეთ მინაშენში დაცულია ასომთავრულ ნაწერიანი ქვა: „მე ამბროსი აღვაშენე [წმიდა] ესე ეკუდერი სამკვიდრებლად [ჩემ]თა მიცვალებულთა“.<sup>1</sup>

სალოშეთი თავისი პირველადი სახით წარმოადგენდა მხოლოდ დარბაზს, რომელსაც მოგვიანებით ორი მხრიდან მოუშენეს მინაშენი, რომელშიც მეორდება დარბაზში გამოყენებული წყობის ხასიათი და ამიტომ, ერთი შეხედვით, დღევანდელი სახე ეკლესიისა აღიქმება მთლიანობაში. დარბაზი გამოირჩევა მაღალი ზეაზიდული პროპორციებით, ვინაიდან შესასვლელი ეკლესიაში მხოლოდ სამხრეთიდან არის, ხოლო შესასვლელის აღმოსავლეთით წირთხლის გაგრძელებას საკმაოდ მოცულობრივი, მძლავრი პილასტრი წარმოადგენს. შესვლისთანავე მაყურებელი ექცევა ტაძრის დასავლეთ მონაკვეთში. სადა კედლები ყურადღების კონცენტრაციას აღმოსავლეთით მიმართავს, სადაც ერთიანი, მაღალი, ზეაზიდული სივრცე საკმაოდ ღრმა, ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდით სრულდება. კარის დასავლეთ მონაკვეთში „გაჭრა“ ხელს უწყობს აფსიდისა და დარბაზის აღმოსავლეთი ნაწილის ერთიანად აღქმას. ამ ნაწილზე ყურადღების გამახვილება ხდება განათების მეშვეობითაც (საკურთხევისა და სამხრეთ კედლის სარკმელები).

რაც შეეხება ეკლესიის ფასადს – თლილი ქვების ჩარჩოში მოქცეული, სწორ რიგებად დანაწობილი, სხვადასხვა ფერის ბლოკებით შედგენილი კედლები ცოცხალ და ფერწერულ შთაბეჭდილებას ტოვებს. დეკორატიული მორთულობა სარკმელთა თავსართებია, რომლებიც სადა კედლებზე აქცენტებად იკითხება.

ეკლესიის დათარიღებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაბუთებაა სალოშეთის სამხრეთ ფასადის სარკმლის თაღოვანი თავსართი, რომლის დეკორატიული მოტივი ასოციაციას იწვევს VIII საუკუნის ალანძიის სამხრეთ შესასვლელის ლუნეტის მოჩარჩოებასთან.

წყობის ხასიათი ანალოგიურია ხვილიშას (IXს.), გუნდეს (IXს.) და ყიზილდერისის (VIII-IXსს.) ეკლესიათა წყობისა.

ამავე IX საუკუნეზე მეტყველებს ტაძრის გეგმის კომპოზიცია – სადა, დაუნაწევრებელი სივრცე მძლავრი შვერილი კონსტრუქციული ნაწილებით – რაც გვხვდება როგორც გუნდეს (IXს.), ასევე დუშეილასა (IXს.) და ალანძიას (VIIIს.) ეკლესიათა კომპოზიციაში.

<sup>1</sup> მოხსენიებული აღმშენებელი ჩვენთვის უცნობი პირია.

ე.წ. გარდამავალ ხანაზე მოწმობს პილასტრი, რომლის ერთი გვერდი კარის ნივთხლის გაგრძელებას წარმოადგენს. ასეთივე გადაწყვეტაა შუადლის (IX-Xსს.), დუმელიას (IXს.), ყიზილდერესის (VIII-IXსს.) და ალანძიას (VIIIს.) ტაძრებში.

რაც შეეხება მინაშენს, იგი გვიანი დანამატი და მისი თარიღი, დ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, ამჟამად წართქესში დაცული ეკვდერის სააღმშენებლო წარწერის მიხედვით, XV-XVI საუკუნეებით თარიღდება.<sup>1</sup>

ქართულ ხუროთმოძღვრებაში ბევრია ისეთი ძეგლი, რომელიც თავისი მხატვრული სახით ძალიან საინტერესოა, მაგრამ თავისი ჩვეულებრივი ფორმებით ცოტა რთული დასათარიღებელია. სწორედ ეს შეიძლება ითქვას სალოშეთის ეკლესიაზეც. თუმცა ამ ეკლესიის სადა გეგმა, განსხვავება გარე და შიდა მოპირკეთებას შორის, მცირე სხვაობა დარბაზის მონაკვეთთა ზომაში აშკარად „გარდამავალი ხანის“ ნიშნებია, როდესაც ჯერ კიდევ შემორჩენილია კლასიკური სიმშვიდე, მაგრამ ხუროთმოძღვარი აქვე იძლევა ამ სიმშვიდის გამოცოცხლების მცდელობას.

ეკლესიის დათარიღებისათვის ყველაზე მეტად სარკმლის თავსართები გამოდგება. აღმოსავლეთი სარკმლის თავსართი სამმაგი რკალით, რომელიც მაღალი ქვის ქვედა ნაწილშია განთავსებული, ასოციაციას იწვევს IX-X საუკუნეების ისეთ ძეგლებთან, როგორცაა სნეკვი, პროსი, არბო. საყურადღებოა, რომ ერთმანეთის თავზე მოქცეული რამდენიმე წარბი ძირითადად IX-X საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ X საუკუნის ძეგლებში ფილის ზედა ნაწილს დაუმუშავებლად არ ტოვებდნენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ სარკმლის თავსართის სალოშეთისეული გადაწყვეტა ჯერ კიდევ IX საუკუნის ნიმუშს წარმოადგენს.

უფრო ზუსტად ათარიღებს ძეგლს სამხრეთი სარკმლის თავსართი. ამ ორიგინალური გადაწყვეტის მხოლოდ ერთი ანალოგი მოვიძიეთ. ეს არის IX საუკუნის შუა წლების ნირქოლის ეკლესიის სამხრეთი ორმაგი სარკმლის თავსართი. ასევე ტალისებური თაღოვანი თავსართი ევლება ალანძიის ლუნეტს, თუ გავითვალისწინებთ ამ ორი ეკლესიის ტერიტორიულ სიახლოვესაც, დასაშვებია ის მოსაზრებაც, რომ სალოშეთის ხუროთმოძღვარმა გადაამღერა ალანძიის ლუნეტის კომპოზიცია და მიუსადაგა სარკმლის თავსართს. აქედან გამომდინარე, სალოშეთის ეკლესია თავისი მხატვრულ-სტილისტური სახითა და დეკორატიული ელემენტებით IX საუკუნის შუა წლების საინტერესო ნიმუშია.

ამგვარად, „გარდამავალი ხანა“ ქართულ ხუროთმოძღვრებაში შემოქმედებითი ენერგიით დამუხტული, ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდია. იგი ფორმათა ნაირფეროვნებით, გადანყვეტათა უჩვეულობით გამოირჩევა. ჯვავხეთის ხუროთმოძღვრებაც გამონაკლისს არ წარმოადგენს, თუმცა ამ რეგიონის მხატვრულ სახეს თავისი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია. აქ სახეზეა ნაზავი ადრეული ხუროთმოძღვრების ელემენტებისა ე.წ. „გარდამავალი ხანის“ ცხოველხატულ სტილთან; დროის სუ-

<sup>1</sup> აუცილებელია ძეგლის განმენდა, რაც გამოავლენს მნიშვნელოვან დეტალებს (მაგ.: კარნიზი) და მისი სრული სახით წარმოდგენას განსაზღვრავს.

ლი ჯავახეთში განურჩევლად ყველა ეკლესიაში იგრძნობა. ამიტომაც არის, რომ ჯავახური ეკლესიები, ერთი შეხედვით, არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თუმცა შემცველნი არიან უაღრესად პროგრესული ელემენტებისაც. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნიშანს სალოშეთის ეკლესიაც ატარებს და სათანადო ყურადღების მიქცევის შემთხვევაში სალოშეთის სახით ქართულ საეკლესიო არქიტექტურას კიდევ ერთი საინტერესო ნიმუში შეემატება.

### ბამოყანაგული ლიტერატურა

1. *ე. ბერიძე*, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ. 1974.
2. *ე. ბერიძე*, სავანე. XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. ქართული ხელოვნება. ტ. 1. თბ. 1942.
3. *ე. ბერიძე*, მაღალანთ ეკლესია. ქართული ხელოვნება. ტ. 5 თბ. 1959.
4. *დ. ბერძენიშვილი*, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. V. თბ. 1975.
5. *გ. ბოჭორიძე*, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში. თბ. 1992.
6. *ც. გაბაშვილი*, ზედა ვარძია. თბ. 1986.
7. *ი. ელიზბარაშვილი*, დანკალის ორნაეიანი ეკლესია. „ძეგლის მეგობარი“. 1. 1993.
8. *ნ. ვაჩიშვილი*, დარბაზულ ეკლესიათა შიდა სივრცის მხატვრული გადანწყვეტის რამდენიმე თავისებურება. „ძეგლის მეგობარი“. 1 (96). 1997.
9. *ე. თაყაიშვილი*, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში. 1910 წელს. პარიზი. 1957.
10. *ს. მაკალათია*, ხევსურეთი ტფ. 1935.
11. *ი. მირიჯანაშვილი*, სამცხე-ჯავახეთის დარბაზული ეკლესიები (დუმეილა, ალანძა). „ძეგლის მეგობარი“ 3 (94). 1996.
12. *ლ. რჩელიშვილი*, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი: ქართული ხელოვნება. ტ. 2. თბ. 1948.
13. ქართლის ცხოვრება. ტ. I. თბ. 1955.
14. *გ. ჩუბინაშვილი*, ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. 1. ტფ. 1936.
15. *ვ. ცინცაძე*, კაცხის სვეტი. სსრ მეც. აკადემიის შობამე. ტ. VII. № 8. თბ. 1946.
16. *М.И. Джандиери и Г.И. Лежава*, Архитектура горных районов Грузии, М., 1940.
17. *Г.И. Лежава и М.И. Джандиери*, Архитектура Сванетии, М., 1938.
18. *Р. Мелисашвили, В. Цинцадзе*, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-карტი. Тб., 1975.
19. *Л. Сумбадзе*, Архитектура грузинского народного жилища Дарбази, Тб., 1984.
20. *Г.Н. Чубинашвили*, Архитектурные памятники VIII и IX вв. Ксанском устье, Вопросы истории искусства, т. I, Тб., 1970 ან ქართული ხელოვნება. ტ. I. თბ. 1942.
21. *Н. Чубинашвили*, Шашианис Самеба. Тб., 1988.
22. *Н. Чубинашвили*, Гударежи, Ars Georgica, ტ. 9, თბ. 1987.
23. *Р. Шмерлинг*, Древний Цвимоецкий храм близ сел. Хциси, Ars Georgica, ტ. 4. თბ. 1955.


**CREATIVE PECULIARITIES OF JAVAKHETI  
SALOSHETI HALL-TYPE CHURCH**

**Summary**

**JAVAKHETI** is one of the most significant historical – geographical parts of Georgia. The importance of the monuments of material culture on its territory are of huge importance and the range of numerous antiquities of Javakheti is too long - from ancient times till the end of the Middle Ages. Javakheti is reputed by multiplicity of relics of Georgian Christian architecture, most of which present hall – type (darbazuli) churches.

This work is an attempt to define the creative peculiarities and dating problems of Salosheti hall-type church. The exploration revealed the inventive specificity of erecting technologies and the artificial consideration of the "white spots" on the way to comprehensive study of Javakhian architecture will be partly replenished. Besides, this research will be of great help to those who are involved in the process of protecting and restoring the religious monuments of the region.

ზაქარია და ივანე მხარგრძელთა  
ჰორელიეზი ჰარიჭის ეკლესიაში



XII-XIII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა, ცნობილ ისტორიულ პირთა ზაქარია და ივანე მხარგრძელების პორტრეტული გამოსახულება უცნობია ქართული საისტორიო საზოგადოებისათვის. როგორც ირკვევა, სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ზაქარია და ივანე მხარგრძელების ქტიტორული ჰორელიეფი, რომელიც ამოკვეთილია ჰარიჭის (ჰარიჭავანჭის) ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის ნიშში.<sup>1</sup> ამ გამოსახულების თაობაზე ინფორმაცია დაცულია სომხურ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც.<sup>2</sup>

სოფელი ჰარიჭი (1946 წლამდე — ღვჩალი) მდებარეობს სომხეთის რესპუბლიკის ართიკის რაიონში, რაიონული ცენტრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 3 კილომეტრის დაშორებით.

ეს რეგიონი წარმოადგენს ისტორიული შირაკის ნაწილს (რომლის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი ანისი). სოფელ ჰარიჭში მდებარეობს შუა საუკუნეების სამონასტრო კომპლექსი ჰარიჭავანჭი, რომლის უძველესი ნაგებობა VII საუკუნის ეკლესიაა, ხოლო კომპლექსის მთავარი ფერის ტიპის გუმბათოვანი ეკლესია აგებულია 1201 წელს ზაქარია და ივანე მხარგრძელების ბრძანებით<sup>3</sup>, რასაც ვიგებთ ეკლესიის ფასადზე მოთავსებული ქტიტორული წარწერიდან: „მე ზაქარია მანდატურთუხუცესმა, ამირსპასალარმან, სომეხთა და ქართველთა, ძემან დიდი

<sup>1</sup> სომეხი ხალხის ისტორია, გვ. 539, 928; L'art decorative... გვ. 25.

<sup>2</sup> სომხური საბჭოთა ენციკლოპედია, III ტ. გვ. 672; VI ტ. გვ. 244.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 244.

სარგისისა, შეუქმენ სიმდიდრე ჰარიჭის წმინდა ძმობის განთქმულ მონასტერს... ჩემი უფლის სიცოცხლისათვის კეთილმსახურისა თამარ დედოფლისა და ჩემი ღვიძლი ძის იოანეს ცხოვრებისათვის და მემკვიდრეთა ჩვენთა შაჰან-შაჰისა და ავაგისა... და ავა-შენე მასში სიმაგრე და ტაძარი... და შევკაზმე ყოველი ნივთითა და სინმინდითა..." თუმცა წარწერაზე თარიღი არ იკითხება, მაგრამ კ. კოსტანიანცის და სხვა მკვლევართა მიერ წარწერა 1201 წლით თარიღდება.<sup>1</sup>

შოთა მესხიას ეჭვი შეჰქონდა ამ დათარიღებაში, რადგან ვარდან არეველცის ცნობით, ზაქარიას ძე შანშე მხარგრძელი მამამისის გარდაცვალებისას 5 წლის იყო (ანუ 1207-1208 წლის მიჯნაზე დაბადებულა), შესაბამისად, ჰარიჭის წარწერაც ამის შემდგომ უნდა იყოს შესრულებული, რადგან იქ შანშე იხსენიება.<sup>2</sup> პარუირ მურადიანის გამოკვლევით, შანშეს დაბადების თარიღად მიჩნეულია 1197 წელი. მისი აზრით, ხელნაწერში გადამწერის მიერ დაშვებულია შეცდომა და შანშე არა 5, არამედ 15 წლის უნდა ყოფილიყო მამამისის გარდაცვალებისას.<sup>3</sup> უნდა ითქვას, რომ ჰარიჭის ეკლესიის 1201 წელს აგების სასარგებლოდ შეიძლება მიუთითებდეს თვით ჰორელიფის ამოკვეთის ფაქტიც. ცნობილია, რომ ივანე მხარგრძელმა 1205 წლის ლორეს საეკლესიო კრების წინ მიიღო მართლმადიდებლობა. შესაბამისად, ამ ფაქტის შემდეგ შეუძლებლად გვეჩვენება მისი გამოსახულება ამოკვეთათ გრიგორიანული ეკლესიის კედელზე.

ყურადღებას იქცევს სოფელ ჰარიჭის ადრინდელი სახელწოდება ღვჩალი, რაც სომხურად ნიშნავს „ყივჩალს“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დავით აღმაშენებელმა ამ ადგილებშიც ჩაასახლა ყივჩალთა ერთი ნაწილი. სომხეთის ტერიტორიაზე ყივჩალთა დასახლების აკუმულირებაზე უნდა მიანიშნებდეს ამ რეგიონის, როგორც ამირსპასალარის საგანმგეოს, განსაკუთრებული სტატუსი. ჰარიჭის მონასტერი ღვჩლავანქის სახელითაც არის ცნობილი. თავის დროზე მახდევანური ირანი და ისლამური არაბთა სახალიფო ცდილობდნენ დაეპირისპირებინათ მონოფიზიტური სომხეთი დიოფიზიტური ბიზანტიისათვის. საფიქრებელია, ისლამური სამყარო ცდილობდა ქართველ-სომეხთა დაპირისპირებას XII-XIII სს-შიც იმის საფუძველზეც, რომ ქართველნი და სომეხნი ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობის აღმსარებელნი იყვნენ. საქმეს ართულებდა ისიც, რომ სომეხთა გარკვეული წრეები ფიქრობდნენ სომხური სახელმწიფოს აღდგენაზე სომხეთში და არა მარტო კილიკიაში სომხური სამთავროს (მოგვიანებით – სამეფოს) შექმნაზე. საქართველოს ხელისუფლებას კავკასიის გაერთიანება განეზრახა და სომხეთში სუსტი სამეფოს ან სამთავროს შექმნა არ აწყობდა. ამიტომ საქართველოს მეფენიც მომხრენი იყვნენ სომხეთის მოქცევისა. მათი აზრით, ამას მხარგრძელნი სხვა, სომხეთის დიდებულებზე უკეთ იზამდნენ, ამიტომაც ალაზევეს ძლიერ.

<sup>1</sup> შ. მესხია, გვ. 43.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> კ. მურადიანი, გვ. 104.

საქართველოს სამეფო კარზე მხარგრძელთა როლის განსაზღვრისათვის სასურველია რეტროსპექტიულად განვიხილოთ საქართველო-სომხეთის ურთიერთობის ხასიათი XI-XII საუკუნეებში. მას შემდეგ, რაც XI საუკუნის დამდეგს ბიზანტიის იმპერიამ მიიტაცა დავით კურაპალატის სამფლობელოს უდიდესი ნაწილი, ბიზანტიელები ცდილობდნენ დანარჩენი საქართველოს და მთელი სომხეთის დაპყრობას. საქართველომ შეძლო ამ ბრძოლაში თავის დაცვა და ამავე დროს ცდილობდა არ დაეშვა ბიზანტიის იმპერიის მიერ სომხეთის დაპყრობაც, რადგან ამ შემთხვევაში ბიზანტიას გაუადვილდებოდა საქართველოს ანექსიაც. როდესაც 1045 წელს ბიზანტიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა იმდროინდელი სომხეთის მთავარი პოლიტიკური ერთეულის ანის-შირაკის სამეფოს დაპყრობა, საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ შეძლო ანის-შირაკის სამეფოს უმაღლესი წრეების მიმხრობა და მათ თავისი ქვეყანა ბაგრატ IV-ს გადასცეს. ბიზანტიის ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა ბაგრატ IV-ს და ლიპარიტ ბაღვაშს შორის არსებული დაპირისპირება და ანისიდან გააძევა ქართველები.

დავით აღმაშენებლის მიერ თურქ-სელჩუკთა საქართველოდან განდევნის შემდეგ, ის ცდილობდა მათ გაძევებას სომხეთიდანაც, რადგან თურქ-სელჩუკები სომხეთს პლაცდარმად იყენებდნენ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. დავით აღმაშენებელს მიემხრნენ სომხური წრეები და სომეხთა დედაქალაქი ანისი საქართველოს შემოუერთდა 1124 წელს. ისლამური სამყარო არ ურიგდებოდა სომხეთის დიდი ნაწილის საქართველოს საზღვრებში მოქცევას და ყოველმხრივ ცდილობდა იქ თავისი ბატონობის აღდგენას. ამ მწვავე ბრძოლაში საქართველოსთვის აუცილებელი იყო სომხური მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება, ამიტომაც სამეფო კარი ცდილობდა სომხეთში სომხური მოსახლეობის დამაგრებას. იმ ხანებში ფართო მასშტაბი მიიღო სომეხთა ლტოლვამ ისტორიული სამშობლოდან სხვა რეგიონებში. მათ შორის მცირე აზიაშიც, სადაც 1080 წელს ჩამოყალიბდა კილიკიის რუბენიანთა სამთავრო.

სომხური ტერიტორიის შემოსვლამ საქართველოს ფარგლებში განაპირობა სამეფო კარის მცდელობა, დაენიანაურებინა იმგვარი მოხელენი, რომლებიც უფრო წარმატებით და იოლად განახორციელებდნენ სამეფო კარის პოლიტიკას სომხეთში. ამან განაპირობა მხარგრძელთა დანიანაურება XII ს. ბოლოსთვის.

XIII საუკუნის სომეხ მემატიანეთა ცნობებით, მხარგრძელები წარმოშობით ქურთები იყვნენ.<sup>1</sup> „ამ დროს ცხოვრობდნენ სახელოვანი მთავრები ზაქარია და ივანე, სარგისის ძენი – ქურთთა ტომიდან. ისინი ჩავიდნენ ძორაგეტის მეფესთან, რომელიც ბაგრატუნთა ტომიდანაა. მიიღეს ქრისტიანობა და პატივი. მისცეს მათ ხოჟორნი“.<sup>2</sup>

ორიგინალური თვალსაზრისი მხარგრძელთა წარმოშობის შესახებ გააჩნია აკად. სურენ ერემიანს. მისი აზრით, მხარგრძელები წარმოშობით იყვნენ დიდი სომ-

<sup>1</sup> ლ. მელქისეთ-ბეგი, გვ. 211.

<sup>2</sup> ვ. არველტი, გვ. 156.

ხეთის კორჭაიქის მხარის, კართუნიქის (ისტორიული სამხრეთ სომხეთი, ვანის ტბის მიდამოები – ა. ა. ბ. კ.) გავარიდან, ჩრდილოეთ სომხეთში ლტოლვილ არწრუნთა გაქურთებული შტოდან. 1048 წელს, მდ. დიდი ზავის ხეობაში ბიზანტიელთა მიერ თურქ-სელჩუკთა დამარცხების შემდგომ, მხარგრძელთა წინაპარი ხოსროვი თავისი საგვარეულოთი გადავიდა გუგარქში და აღიარა ტაშირ-ძორაგეტის მეფის კვირიკე I-ის უზენაესობა. 1965 წელს ამბერდში გამოვლენილ არაბულ წარწერაში სარგის დიდის შვილები ზაქარე და ივანე იწოდებიან არწრუნად. ეს აიხსნება იმით, რომ დედის მხრიდანაც (სარგის დიდმა ცოლად შეირთო მაჰკანაბერდის ანუ მანკაბერდის და ახპატის მფლობელის ვაჰრამ არწრუნის ასული საჰკადუხტი) და მამის მხრიდანაც მხარგრძელები არწრუნთა ჩამომავლები არიან. კართუნიქის არწრუნები თუმცა გაქურთებულნი იყვნენ, რჩებოდნენ ქრისტიანებად.<sup>1</sup>

მხარგრძელები სომხურ წყაროებში ბაგრატიუნებადაც იხსენიებიან,<sup>2</sup> მაგრამ ეს ხდება მათი განდიდების მიზნით, შესაძლოა, მათი არწრუნებად მოხსენიება ამავე მიზეზით აიხსნას. არწრუნები ვასპურაკანის (სამხრეთ სომხეთში) მეფეები იყვნენ X-XI საუკუნეებში. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი გარემოებაც – XIII საუკუნის საქართველოს ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს სადუნ მანკაბერდელს XIII ს-ის სომეხი მემბტიანე გრიგოლ აკნერცი (აკანელი) არწრუნად იხსენიებს. სომხურ ისტორიოგრაფიაშიც მისი არწრუნობა უეჭველად არის მიჩნეული. ამასთან არსებობს ცნობა, რომ სადუნ მანკაბერდელი გასომხებული ქურთის შთამომავალი იყო.<sup>3</sup> ამდენად, არწრუნთა მრავალრიცხოვანი საგვარეულოს ერთი თუ რამდენიმე შტო მართლაც ჯერ გაქურთებულა, შემდეგ ისევ გასომხებულა. ქართულ ისტორიოგრაფიაში სადუნ მანკაბერდელი გადაჭრითაა მიჩნეული გასომხებულ ქურთად.

პარუირ მურადიანის ცნობით: „სადუნის და საზოგადოდ მაჰკანაბერდის არწრუნთა შესახებ არსებობს აკად. ს. ტ. ერემიანის გამოუქვეყნებელი მონოგრაფია“.<sup>4</sup> ამ ნაშრომში ვრცლად უნდა იყოს საუბარი არწრუნთა გაქურთების და შემდგომ კვლავ გასომხების თაობაზე, მაგრამ ეს ნაშრომი ჩვენთვის ხელმიუწვდომელია. მხარგრძელთა წინაპრებიც იყვნენ თუ არა გაქურთებული სომხები, რომლებიც XI ს. II ნახევარში და XII ს. დასაწყისში ხელახლა გასომხდნენ, ამ საკითხის კვლევა სამომავლო საქმეა.

მხარგრძელების გაგელთა და თმოგველთა შტოები შედარებით ადრე იღებენ მართლმადიდებლობას. თამარი დარწმუნებული იქნებოდა, რომ ზაქარია და ივანეც გაატარებდნენ სომხეთში ქართულ საეკლესიო პოლიტიკას და ბოლოს მართლმადიდებლობასაც მიიღებდნენ თუ თვითონ არა, მათი შვილები მაინც. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს აკად. აშოტ ოვანისიანის მოსაზრება: „ზაქარე და ივანე

<sup>1</sup> ა. ოვანისიანი, გვ. 676.

<sup>2</sup> შ. დარჩიაშვილი, გვ. 207.

<sup>3</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, გვ. 69.

<sup>4</sup> ქართული მატრიანე, გვ. 203.

თავდაპირველად სომხური ეკლესიის მრევლში იყვნენ. ქალკედონიანთა მხარეს მხოლოდ შემდგომში გადავიდნენ – ზაქარე, ფაქტობრივად, თავისი მთელი რიგი შეხედულებებით, ხოლო ივანე... აგრეთვე ოფიციალურადაც<sup>1</sup>.

XII-XIII სს. სომეხ მემატრიანეს მხითარ ანეცის ჰარიჭის მონასტრის ვარდაპეტის (მოძღვრის) გრიგორის დაკვეთით დაუნერია „ისტორია“, რომელშიც თხრობა იწყება უძველესი დროიდან და მთავრდება XII ს. დასასრულის ამბებით. სამწუხაროდ, ამ „ისტორიის“ მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენამდე მოღწეული. ვარდან არეველცი და სტეფანოს ორბელიანი მონაშობენ, რომ მხითარი წერდა სომხების, სპარსელების, ქართველების და არაბების შესახებ.<sup>2</sup> ლევონ მელიქსეთ-ბეგის სიტყვით, მხითარ ანელი (ანეცი) ქალაქ ანისის საკათედრო ტაძრის დეკანოზი ყოფილა. „ისტორია ავტორს დაუნერია ჰარიჭის (ყიფჩალის) მონასტრის მამასახლისის (წინამძღვრის) გრიგოლ მოძღვრის დაკვეთით... როგორც XIII ს. ისტორიკოსები ვარდან აღმოსავლელი და სტეფანოზ ორბელიანი მონაშობენ, მხითარ ანეცის ისტორიაში დაწერილებით ყოფილა მოთხრობილი საქართველოს ზოგიერთი ამბავიც. იგი, მხითარი, თითქოს ქართულის მცოდნეც ყოფილა, ვინაიდან არც ერთ სომეხ ისტორიკოსს არა აქვს ისე ზედმიწევნით სწორად ტრანსკრიბირებული საქართველოს დედაქალაქის სახელწოდება, როგორც ამ მხითარს: „ტფლის“ ნაცვლად „ტფლის“ ანუ „ტფხის“-სა. „ტფლის“ კი იგივე ქართული „ტფილის“-ია შეკუმშული (რედუქციაქმნილი) ი-(თ),“<sup>3</sup> როგორც ჩანს, ანისის მსგავსად, ჰარიჭიც საქართველოს ორგანული ნაწილი გამხდარა XIII საუკუნისათვის.

ზაქარია და ივანე მხარგრძელები ფართო საამშენებლო საქმიანობას აწარმოებდნენ თავიანთ დომენში. მათ ააგეს და განაახლეს სანაინის, ჰორომაირის, მარმეტის, ზიჯნისის, იშხანავანქის, ანისის სურფსარქისის, აირივანქის, ჰორომოსის, ჰალარნისის, მოროდოროს, ჰოვჰანავანქის და ჰალბატის ეკლესიები.<sup>4</sup>

## ლიტერატურა

1. ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შიშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ. „არტანუჯი“. თბ. 2002.
2. შანშუ დარჩიაშვილი. სომხური ლაპიდარული წარწერები როგორც საქართველოს ისტორიის წყარო (XII ს-XIII ს. I მესამედი). სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1975.
3. ლევონ მელიქსეთ-ბეგი. ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა. ტფ. 1928.
4. ლეონ მელიქსეთ-ბეგი. ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია. თბ. 1941.

<sup>1</sup> ა. ოვანისიანი, გვ. 154.

<sup>2</sup> სომეხი ხალხის ისტორია, გვ. 805.

<sup>3</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, გვ. 127.

<sup>4</sup> შ. დარჩიაშვილი, გვ. 206-229.

5. შოთა მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თსუ გამომცემლობა. თბ. 1979.

6. პარუირ მურადიანი. სომხეთის ქართული ეპიგრაფიკა. ერევანი. 1977.

7. აშოტ ოვანისიანი. ნარკვევები სომხური განმათავისუფლებელი აზრის ისტორიიდან. I ტ. ერევანი. 1957 (სომხურ ენაზე).

8. სომხური საბჭოთა ენციკლოპედია. III ტ. ერევანი. 1977 (სომხურ ენაზე).

9. სომხური საბჭოთა ენციკლოპედია. VI ტ. ერევანი. 1980 (სომხურ ენაზე).

10. სომეხი ხალხის ისტორია. III ტ. ერევანი. 1976 (სომხურ ენაზე).

11. ქართული მატრიანე. პარუირ მურადიანის გამოცემა. ერევანი. 1971.

12. L'art decorative de l'Armenie medievale. „Aurore“. Len. 1971.

**ALEXANDRE ABDALADZE**

**BONDO KUPATADZE**

## **THE ALTO-RELIEVO OF ZAKARIA AND IVANE MKHARGRDZELI IN HARIDJ CHURCH**

### **Summary**

**T**HE article reviews some new facts regarding Zakaria and Ivane Mkhargrdzeli, the famous statesmen of XIII c Georgia. It analyses and estimates different aspects of their political and public life.

### აფხაზ-აბაზგების განსახლება, მათი სახელის და ტოპონიმ „აფხაზეთი“-ს გავრცელება საქართველოში

ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე აფხაზების (აბაზგების) სახელი წერილობით წყაროებში პირველად ახ.წ. II ს-ის 30-იანი წლებიდან ჩნდება. რომის იმპერიის მოხელემ ფლავიუს არიანემ, იმპერატორ ადრიანეს დავალებით, საგანგებოდ იმოგზაურა ახ.წ. 131 წელს შავი ზღვის სანაპიროთი (ტრაპეზუნტიდან სებასტოპოლ-ცხუმამდე) საინსპექციო მიზნით და აღწერა ისტორიულ კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების განსახლება და მათი დამოკიდებულება რომთან. ის წერს: „...ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისაგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მინაზე იმყოფება სებასტოპოლისი, სანიგთა მეფემ სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი“<sup>1</sup>. აფხაზებზე (აბასკებზე) უფრო ადრე, ახ. წ. I ს-ში, აფშილების სახელი გამოჩნდა წერილობით წყაროებში. ახ. წ. პირველი საუკუნის მწერალი პლინიუსის გადმოცემით: „კეგრიტიკის სანახების შემდეგ მდინარეებია: სიგანია, თერესი, ასტელფი, ხრისოროასი, აბსილები (absilae), ციხე სებასტოპოლისი 100000 ნაბიჯზე ფაზისიდან, სანიკების ტომი (sanicarum)“<sup>2</sup>.

ქართული წყაროების მონაცემებით ეგრისის (ლაზიკის) ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ეგრისწყალზე გადის, რომელიც გაიგივებულია მდ. ლალიძასთან.<sup>3</sup> ე.ი. ეგრისწყალ-ლალიძა ახ. წ. I საუკუნეში, ამავე დროს, წარმოადგენდა აფშილეთის სამხრეთ საზღვარს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მას სანიგები ესაზღვრებოდნენ. მაშასადამე, (I ს-ში) აფშილები მდ. ეგრისწყალ-ლალიძას და მდ. კლისურა-კელასურს, ანუ ლაზებსა და სანიგებს შორის მოსახლეობდნენ. გამოდის, რომ თუ ფლავიუს არიანესთან ჩამოთვლილ ტომებს, ზღვის სანაპიროზე, ისეთი თანმიმდევრობით მაცხოვრებლებად წარმოვიდგენდით, რა რიგითაც ეს მას აქვს დასახელებული, მაშინ, აფშილების შემდეგ, ახ. წ. II ს-ში, აბაზგები ჩამოსახლებულან და ისინი გამეზობლებიან სანიგებს სამხრეთიდან. ამას ასეც ფიქრობს მეცნიერების გარკვე-

<sup>1</sup> ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ქართული თარგმანი, კომენტარები და რუკა ნ. კეჭყაშაძისათ, თბ., 1961, გვ. 43.

<sup>2</sup> Плиний Секунд. Вестник Древней Истории, 1949, № 2, с.290-291.

<sup>3</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 128; ვ. В. Ачачбадзе. Из истории средневековой Абхазии, Сухуми. 1959, გვ. 7; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 77, 106-112.

ული ნაწილი.<sup>1</sup> მათი აზრით ორივე ტომი: აბაზგები და აფშილები ახ. წ. II საუკუნეში მართლაც მოსახლეობდნენ სანაპიროზე, – ახ.წ. I საუკუნეში აფშილების კუთვნილ სამოსახლოზე, – მდ. ეგრისწყალ-ღალიძგადან ვიდრე მდ. კლისურა-კელასურამდე. II ს-ის ან IV სს-ის დასასრულიდან კი გაძლიერებული ლაზებისაგან შევიწროებული აბაზგები და აფშილები გადაინევიან სანიგების ტერიტორიაზე სანაპიროს გაყოფებით, აბაზგები მთლიანად გადაადგილდებიან სანიგების საცხოვრისზე, მდ. გუმისთიდან ვიდრე თავიანთ თანამოსახლე მდინარე აბასკოს- ფსოუმდე ან ბზიფამდე, აფშილები კი ვიდრე სანიგების კუთვნილ ქალაქ სებასტოპოლ-ცხუმის ჩათვლით და შეინარჩუნებენ, აგრეთვე, თავის ძველ სამოსახლოსაც.<sup>2</sup> სრულიად სამართლიანად, თავის დროისათვის აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა ფლავიუს არიანეს ქართულად მთარგმნელმა და გამომცემელმა ნ. კეჭალმაძემ. მისი აზრით, ბასკები (აფხაზები) ახ. წ. II ს-ში არ მოსახლეობდნენ აფშილების გვერდით სანაპიროზე, – ისინი დღევანდელი აფხაზეთის მთიანეთში ცხოვრობდნენ.<sup>3</sup> ჩვენ ამ აზრს ვეთანხმებით.

1. რეალურად, მართლაც ძნელია წარმოიდგინო, რომ ისეთ ვიწრო ზოლში, სანაპიროზე (მდ., ეგრისწყალსა და კლისერას შორის), აფსილეთის კუთვნილ საცხოვრისზე, – ძირითადად დღევანდელ გულრიფშის რაიონში, II საუკუნისათვის აბასგებიც (აფხაზები) ჩამოსახლებულიყვნენ და ორივე ტომი დატყუილიყო იქ. 2. როგორ შეძლეს ამ პატარა ტომებმა (თუკი ისინი მითითებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ) შავი ზღვის სანაპიროზე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტომის, სანიგების, რომლის მინა-წყალი კლისურიდან მდ. აქეუნტა-შახემდე იყო გადაჭიმული, დამარცხება და მათი ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილის (კლისურიდან მდ. აბასკოს-ფსოუმდე) ისე დაპყრობა, რომ თავის საცხოვრისად აქციეს III ს-ის ან IV ს-ის დასასრულისათვის; 3. თუკი აფშილების და აბასკების (აფხაზების) გადაადგილებას სანიგების ტერიტორიაზე ლაზების გაძლიერებითა და მათი მიწოლით ავხსნიდით, როგორც ამას ფიქრობენ დასახელებული მეცნიერები, მაშინ, ამავე ლოგიკით, „მეშვიწროებელ“ ლაზებს აფშილების საცხოვრისი მაინც უნდა გაეთავისებინათ ისე, როგორც აბასგებმა და აფშილებმა გაათავისუფლეს სანიგების მინა-წყალი. ამას კი ადგილი არ ჰქონია, ვიდრე V ს-ის მეორე ნახევრამდე. ქართველი მემატრიანე ჯუანშერი არაერთხელ და დაბეჯითებით აღნიშნავს ეგრისწყალსა და კლისურას შუა მდებარე ქვეყნის (აფშილეთის) არსებობას თავისი საზღვრებით, რომელიც, მისი გადმოცე-

<sup>1</sup> Kiessling, „Ниссоф, RE, VIII, გვ. 73-74; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტფ., 1934, გვ. 106, იხ. შენიშვნა; М.П. Инаძე. К истории Грузии античного периода (Фл. Арриана и его сведения о Грузии), Автореферат... Тб., 1953, с. 18; ა. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 126, 140; 3. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959, с. В-11; Г.А. Меликушвили. К истории Древней Грузии, Тб., 1959, с. 371, 372; 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 503-504; Ш. Д. Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории Абхазов, Сухуми, 1978, с. 216-217; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბ., 1977, გვ. 117-119; მისივე, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2003, გვ. 132, იხ. შენიშვნა; Н. Помоур. Абхазия в античную и раннесредневековую эпоху. Тб., 1997, с. 24-26.

<sup>2</sup> Н. Помоур. დასა. ნაშრომი.

<sup>3</sup> ფლავიუს არიანე, დასახ. გამოცემა, იხ. შესავალი, გვ. 6.

მით, V ს-ის მეორე ნახევრიდანაა მოქცეული ქართულ სამყაროში. როგორც ითქვა, ჯუანშერი ეგრისის (ლაზიკის) ჩრდილო-დასავლეთ ეთნიკურ საზღვარს მდ. ეგრისწყალ-ლალიძგასთან დებს, რომლის შემდეგ სხვა „ქვეყანას“ გულისხმობს კლისურამდე (ცხუმ-სებასტოლისამდე). ემმატიანე ამას ასე გადმოსცემს: „... და დაუნერა ეგრის წყალსა და კლისურასა შუა ქვეყანა“ ... „და აღილო მირდატისაგან ეგრის წყალსა და კლისურასა შუა, მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა“ – და ასე შემდეგ.<sup>1</sup> მართალია, ჯუანშერი აფშილეთის სახელს არ ახსენებს, მაგრამ დასახელებულ „ქვეყანას“ იმავე საზღვრებში ათავსებს, რომელშიაც თავის დროისათვის აფშილების მოსახლეობას უთითებდა პლინიუსი. ეგრისის (ლაზიკის) ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს მდ. ეგრისწყალ-ლალიძგაზე აღნიშნავდა მოქცევაა ქართლისა<sup>2</sup> და ლეონტი მროველიც<sup>3</sup>. აქვე უნდა ითქვას, რომ პროკოპი კესარიელიც კი თავისი დროისათვის (VI ს-ში) ლაზიკის ჩრდილო დასავლეთ ეთნიკურ საზღვარს აფშილეთთან, ზუსტად თუ არა, მიახლოებით მაინც (ვგონებ ზუსტად), მდ. ეგრისწყალ-ლალიძგასთან დებს. ის წერს: „მონტო რომ თავდება აქ, ქმნის ნახევარმთვარის მსგავს ნაპირს. ამ ნახევარმთვარის გადასავალი უდრის ხუთასორმოცდაათ სტადიონს, ხოლო მის უკან მდებარე მთელი ქვეყანა არის ლაზური და ასეც იწოდება ... ნახევარმთვარის იმ ერთ დასაწყისში, რომელიც აზიისა არის, მდებარეობს ქალაქი პეტრა (ციხისძირი – დლ.), ხოლო მის პირისპირ, მეორე ნაპირას, ევროპის ნაწილში აფსილების ქვეყანაა“.<sup>4</sup> პროკოპის მიერ დასახელებული 550 სტადიონი, სტადიონის რომელი სახითაც არ უნდა ვიანგარიშოთ (ოლიმპიურით თუ ანტიკურით, რითაც შეიძლება ესარგებლა მას), პეტრა-ციხისძირიდან, ნახევარ მთვარის მსგავსი სანაპირო ტერიტორია, დაახლოებით მაინც მდ. ლალიძგასთან მოდის.<sup>5</sup> ნიშანდობლივია, რომ ლალიძგა მეგრულია და ნიშნავს: ლელე კიდისა, მდინარე საზღვრისა, მიჯნის წყალს.<sup>6</sup> 4. აღსანიშნავია, რომ პროკოპი კესარიელი თავისი დროისათვისაც კი (VI ს.) აბაზგებს, გარდა იმისა, რომ სანაპიროზე მცხოვრებ ტომად თვლის, ამავე დროს მთიანეთში მოსახლე ხალხადაც მიიჩნევს, - ზღვიდან კავკასიონამდე, ჩრდილო კავკასიელი ტომების მეზობლად. პროკოპი ამ აზრს ასე გადმოსცემს: „... პირისპირ კავკა-

<sup>1</sup> *ჯუანშერი*, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 177, 203, 205, 235, 242.

<sup>2</sup> მოქცევაა ქართლისა, ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნ. I (V-X ს.), *ილია აბულაძის* ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964, გვ. 81.

<sup>3</sup> *ლეონტი მროველი*, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 24.

<sup>4</sup> *პროკოპი კესარიელი*, გეორგიკა, II, პიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 126-128.

<sup>5</sup> იხ. დ. *ლეთოდიანი*, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII ს-ში, თბ., 1991, გვ. 185, იქვე სათანადო ლიტერატურა.

<sup>6</sup> ნ. *დადიანი*, ქართველთა ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962, გვ. 162; პ. *ინგოროყვა*, გეორგი მეჩრდელე, გვ. 128; დ. *მუსხელიშვილი*, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, გვ. 112.

სიის მთა თავდება. აქ ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს. მათ შორის აღანებიც და აბაზგებიც" ... „...ზღვის პირას აბაზგები მოსახლეობენ, რომელთა საბინადრო ადგილები კავკასიონის მთებამდე გრძელდება“. „... აბაზგების საზღვრების შემდეგ, კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობენ ბრუქები აბაზგებსა და აღანებს შუა“.<sup>1</sup>

ადრე შუა საუკუნეების ბიზანტიელ მწერლებს შორის პროკოპი კესარიელი ერთადერთი მწერალია, რომელიც პირველად და პირდაპირ აღნიშნავს თავისი დროისათვის აფხაზების (აბაზგების) შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლეობას ზღვიდან კავკასიონამდე. თუმცა, პროკოპი და არც სხვა ადრე საუკუნეების მწერლები არ უთითებენ, კონკრეტულად სანაპიროს რა ადგილას მოსახლეობდნენ ისინი. პროკოპი კესარიელის გადმოცემით: „... აფსილებისა და ნახევარმთვარა ნაპირის შემდეგ მეორე ნაწილში ზღვის პირას მოსახლეობენ აბაზგები, რომელთა საბინადრო ადგილები კავკასიონის მთებამდე გრძელდება“.<sup>2</sup> თუ ამ ცნობას პირდაპირ გავიაზრებთ (ან სხვა რა გზაა), მაშინ, აფსილების შემდეგ, პროკოპი კიდევ გულისხმობს ნახევარმთავარის მსგავს სანაპიროს, რომლის შემდეგ, ზღვის მეორე ნაწილში ყოფილან განსახლებულნი აბაზგები. სებასტოპოლ-ცხუმიდან ბიჭვინტის ჩათვლით მართლაც არსებობს ნახევარმთვარა ნაპირი. მოხმობილი ცნობის ასეთი გაგების შემთხვევაში, აბაზგები ბიჭვინტის დასავლეთით (დღევანდელი გაგრის რაიონში) უნდა ყოფილიყვნენ მაშინ დამკვიდრებულნი. ასეთ გააზრებას პროკოპის მეორე ცნობაც შეუწყობდა ხელს, სადაც აბაზგების ადმინისტრაციული ცენტრის, ციხესიმაგრე „ტრაქეა“-ს მიუვალ ადგილმდებარეობასა და სიმტკიცეზეა საუბარი. პროკოპი წერს: „აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგის შესავალში ასეთი ადგილია: მაღალი მთაა გადაჭიმული, რომელიც კავკასიის მთებიდან იწყება და თანდათან ეშვება, როგორც კიბე, და ექვსინის პონტოსთან თავდება. ამ მთის ძირში აბაზგებს ძველადვე აუშენებიათ უმტკიცესი სიმაგრე ღირსშესანიშნავი სიდიდისა, აქ შეხიზნულები მუდამ იგერიებენ შემოტევას მტრისა, რომელსაც არსად არ შეუძლია ამ ძნელი ადგილის გადალახვა. ერთი შესავალი გზა მიდიოდა ამ ციხეშიც და აბაზგების დანარჩენ მინა-წყალზეც და იგი წყვილ-წყვილად მიმავალთათვის ძნელად გასავლელი იყო. არავითარი შესაძლებლობა არ არის იქ გასვლისა, თუ არა კაცად-კაცად და ისიც ფეხით. ამ გზას ზედ ადგას ნაპრალი მეტად საზარი, რომელიც ციხიდან ზღვამდეა გადაჭიმული. თვით ადგილიც ამ ნაპრალის შესაფერ სახელწოდებას ატარეს: იქაური მცხოვრებლები ელინურად მას „ტრაქეა“-ს უწოდებენ“.<sup>3</sup>

ს. ჯანაშია პროკოპის ამ მონაცემის საფუძველზე წერდა: „ტრაქეა“ გაგრას იგივეობას თვალსაჩინოდ ამტკიცებს, ჩვენი აზრით, პროკოპის ტოპოგრაფიული აღწერილობა. ვინც აფხაზეთის ზღვის სანაპიროს იცნობს, ის დაგვეთანხმება, რომ მოცემული აღწერილობა მხოლოდ გაგრას გვაგულისხმებინებს – სხვაგან არსად ასეთი ადგილი არ მოიპოვება. გაგრის გასავლის ხასიათი ასევე აქვე აღწერილი XIX ს-

<sup>1</sup> პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 100, 133, 135.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 133.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 158-159.

ის (ვიდრე აქ გზატკეცილს გააკეთებდნენ) წყაროებს<sup>1</sup>. ს. ჯანაშიას ეს აზრი გაზიარებული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>2</sup>, თუმცა მეცნიერების გარკვეული ნაწილი „ტრაქეა“-ს ინდენფიკაციას ანაკოფიასთან (ახალ ათონთან) ახდენს<sup>3</sup> არცთუ ისე მყარი საფუძვლიანობით.

სანაპიროზე აფხაზთა ადგილსაცხოვრისის განსაზღვისათვის, მაშინ როცა ადრე შუა საუკუნეების მწერლობას არ მოეპოვება პირდაპირი და კონკრეტული მითითება მათი განსახლების ადგილმდებარეობაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროკოპისეულ ტოპოგრაფიულ აღწერილობას. მართალია, VII ს-ის სომხური ანონიმი გეოგრაფის გადმოცემით, აფხაზეთის (ავაზოვ ქვეყნის) სახელი სანაპიროზე ვრცელდება პიტიუნტ-ბიჭვინტასა და სებასტოპოლ-ცხუმზე<sup>4</sup>, რაც VII საუკუნის დასაწყისიდან მართლაც მოსალოდნელია, მაგრამ ვერც სომეხი ანონიმი ვერ ასახელებს კონკრეტულად აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს სანიგებთან (ის რომ სვანებს უწოდებს) და ვერც სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარს აფშილეთთან. რადგან სომეხ გეოგრაფთან დასახელებული აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი მოსაზღვრე სვანები იგივე სანიგებია<sup>5</sup>, ამ შემთხვევაში, V ს-ის ანონიმის (ფლავიუს არიანეს კომენტატორის) მონაცემების საფუძველზე, უმეტდომოდ შეგვიძლია სანაპიროზე გავავლოთ სასაზღვრო ხაზი აფხაზებსა და სანიგებს შორის. V ს-ის ანონიმის გადმოცემით, ალბათ, V ს-ის დასაწყისიდან: „აქეუნტის წყლიდან ვიდრე აბასკის წყლამდე ცხოვრობენ სანიგები“<sup>6</sup>. გამოდის, რომ სანიგების სამხრეთ აღმოსავლეთი საზღვარი სანაპიროზე მდ. აბასკოს-ფსოუზე გადის, ხოლო, რადგან VII ს-ის სომეხი ანონიმის ცნობით აფხაზებს (ავაზოვ ქვეყანას) ჩრდილო დასავლეთიდან სანიგები (მისი სიტყვით, სვანები) ემეზობლებიან, მაშინ მათ შორის სასაზღვრო ხაზი მდ. აბასკოს-ფსოუზე ყოფილა დადებული. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს სასაზღვრო მდინარის აბასკის (ფსოუს) და ტომი აბასკების (აფხაზების) თანამოსახლეობა, მაშინ, უეჭველად შეიძლება ითქვას, რომ ზღვის სანაპიროზე აფხაზების (აბასკების) სამოსახლო მდ. აბასკოს-ფსოუმდე ვრცელდე-

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, თბ. 1949, გვ. 73-74.

<sup>2</sup> М.Д. Лордкипანიძე. Абхазия в период раннего феодализма. Очерки истории Абхазской АССР, часть 1, Сухуми, 1960, с. 51. *ბოვერაძე*, ბრძოლა ირანელი და ბიზანტიელი დამპყრობლების წინააღმდეგ ეგრისში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., II, 1973, გვ. 258; В.А. Лекаинძე. О постройках Юстриинана в Западной Грузии. ВВР, № 34, 1973, с. 180-185 და სხვა.

<sup>3</sup> З.В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, დასახ. გამოცემა, გვ. 9, 27; *ბერძენიშვილი*, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 503-504. М.М. Гунба. К вопросу о локализации крепости Трахий, ТИИЯЛИ, т. XXXIII-XXXIV, Сухуми, 1963, с. 159, 167; თ. ბერაძე, "გაგარი" და "ულალის" განმარტებისათვის, მაცნე, I, ისტორიის... სერია, თბ., 1973, გვ. 123 და სხვა.

<sup>4</sup> Géographie de Moïse de coren d' après Ptolémée. Texte arménien traduit en français par le p. Arsène Mekhitariste, 1881, გვ. 25-26.

<sup>5</sup> З.В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, დასახ. გამოცემა, გვ. 65; დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, დასახ. გამოც., გვ. 104.

<sup>6</sup> V საუკუნის ანონიმი, გეორგია, II, დასახ. გამოცემა, გვ. 10.

ბა<sup>1</sup> და იქ ემიჯნება სანიგებს. აგრეთვე, მათი სამოსახლო სავარაუდოა მდ. აბასკოს-ფსოუს შესართავიდან მის ჩრდილო აღმოსავლეთ მთიანეთში, რასაც ცხადყოფს პროკოპი კესარიელის ზემოთ მითითებული ცნობები. ასე რომ, აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი სანაპიროზე V-VI საუკუნეებისათვის შეიძლება გამორკვეულად ჩაითვალოს. რაც შეეხება აფხაზეთის (აბაზგების) სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარს აღნიშნული დროისათვის, ამის შესახებ, სხვა მონაცემებთან შეჯერებით, V ს-ის ანონიმის ცნობებიც იძლევა გარკვეულ საფუძვლებს. მანამდე კი გარკვევით შეიძლება ითქვას, V ს-ის ანონიმი უკომენტაროდ იმეორებს ფლავიუს არიანეს ცნობებს სანაპიროზე ტომთა განლაგება-განსახლების შესახებ, დანყებული ლაზებიდან (ეგრებიდან) დამთავრებული პიტიუნტის ჩათვლით. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სებასტოპოლ-ცხუმიდან არსებულ ტერიტორიას პიტიუნტის ჩათვლით ის მხოლოდ სანიგების საკუთრებად აღიქვამს,<sup>2</sup> ხოლო ბიჭვინტიდან 240 სტადიონ მანძილზე სანაპიროს გაყოლებით, მდ. აბასკოს-ფსოუმდე დაუსახლებელ ადგილად მიუთითებს.<sup>3</sup> სანიგების ეთნოპოლიტიკურ გაერთიანებას კი, როგორც ითქვას, მდ. აბასკოს-ფსოუდან ჩრდილო-დასავლეთით ასახელებს.<sup>4</sup> მაშასადამე, სანიგების ეთნოპოლიტიკურ ერთეულში წყვეტილი გაჩენილა. თუ II საუკუნისათვის, ფლავიუს არიანე ცნობით, სანიგები ერთ ეთნოპოლიტიკურ ერთეულს, ერთი ხელი-სუფლების ქვეშ გაერთიანებულ მონოლითურ ტომს წარმოადგენდა, სებასტოპოლ-ცხუმიდან მდ. აქეუნტა-შახემდე, – ჯიქების მისაზღვრებამდე, IV ს-ის დასასრულიდან, V ს-ის ანონიმის გადმოცემით, პიტიუნტის დასავლეთიდან მდ. აბასკოს-ფსოუმდე, 240 სტადიონის მანძილზე სანიგები უკვე აღარ მოსახლეობენ. მათი ეთნოპოლიტიკური ერთეული მხოლოდ მდ. აბასკოს-ფსოუსა და მდ. აქეუნტა-შახეს შორის, ჯიქებამდე დომინირებს. ეს არის რეალობა.

აღსანიშნავია, რომ სანიგების ასეთ მდგომარეობაში მოქცევა და ეგრისის სამეფოს გაძლიერება, – მის სახელმწიფოებრიობაში მეზობელი და თანამეტომეების გაერთიანება, – დროში ერთმანეთს ემთხვევა და ეს მოვლენა სხვა არგუმენტებთან ერთად ქმნის შესაძლებლობას მითითებული რეალობის ახსნისათვის.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამორკვეულია, რომ ეგრისის (ლაზიკის) სამეფომ თავისი სახელმწიფოებრიობის არსებობის მანძილზე პოლიტიკური ძლიერების ზენიტს IV ს-ის დასასრულსა და V ს-ის პირველ ნახევარში მიაღწია.<sup>5</sup> გარდა იმისა, რომ ეგრისის სამეფოს გაძლიერება-აღმავლობას ხელი შეუწყო მთელმა რიგ-

<sup>1</sup> ამას თავის დროზე ასე ფიქრობდა კისლინგი. იხ. Klessling, RE, VIII, გვ. 274-275.

<sup>2</sup> V ს-ის ანონიმი, გეორგიაკი, II, დასახ. გამოცემა, გვ 8-9; რომ ასე არ ყოფილიყო, ანონიმი ამას აღნიშნავდა, როგორც აკეთებს კიდევაც სხვაგან სხვაობის შემჩნევისთანავე. იხ. თ. გვანცელაძე, აფხაზეთთან დაკავშირებული ჩანართები ჯუანშერის მატიანის ტექსტში, თბ., 1997, გვ. 22.

<sup>3</sup> იქვე, გვ 10.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 214-217; ნ. ლომოური, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 67; დ. მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში, დასახ. გამოც., გვ. 105.

მა ფაქტორებმა: მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, მასზე გამავალმა სავაჭრო-სამომოსვლო გზების არსებობამ, მისი ტერიტორიის ბარიანობამ, სამეურნეო საქმიანობისათვის ხელსაყრელმა პირობებმა<sup>1</sup> და სხვა, რომელიც ეგრისის პრივილეგირებულს ხდიდა ირგვლივ მყოფ გაერთიანებებს შორის, ეგრისის სამეფოს გაძლიერებას ხელი შეუწყო რომის (ბიზანტიის) იმპერიის დახმარება-მხარდაჭერამაც. რომის იმპერიას IV ს-ის მეორე ნახევარში ძალზე გაურთულდა საგარეო ურთიერთობები. რომსა და სპარსეთს შორის საომარი მოქმედებების გამწვავებამ,<sup>2</sup> ამ ომში რომის მარცხმა (რაც 365 და 387 წლის ზაფხვებში აისახა),<sup>3</sup> რამაც მისი პოზიციები შეარყია ამიერკავკასიაში, ჰუნებისა და სხვა ჩრდილო კავკასიელი ტომების მოძალებამ, მათი კავკასიონის ზეკარებით გადმოსვლის საშიშროებამ, აიძულა რომის იმპერია ხელი შეეწყო ეგრისის გაძლიერებისათვის, მთელი ისტორიული კოლხეთის მისი სამეფო ხელისუფლების ქვეშ მოქცევისათვის.

რომის ხელისუფლება ეგრისის სამეფოს გაძლიერებაში საიმედო გარანტს ხედავდა იმპერიის სახელმწიფო საზღვრების უშიშროების უზრუნველსაყოფად, არა მარტო ჩრდილოელი მომთაბარე ტომების თავდასხმებისაგან, არამედ სპარსელების მოსალოდნელი შემოსევებისგანაც. ეგრისის სამეფოს, IV ს-ის დამლევიდან მთელი მეხუთე საუკუნის განმავლობაში, სხვა ვალდებულება არც გააჩნდა რომისადმი: იცავდა რა თავის სახელმწიფო საზღვრებს, ამით უზრუნველყოფდა იმპერიის საზღვრების უშიშროებას ჩრდილოეთიდან.<sup>4</sup> ასეთ ვითარებაში, ეგრისის სამეფომ IV ს-ის დამლევს და V ს-ის 20-იან წლებში მთელი ისტორიული კოლხეთის ტერიტორია გააერთიანა თავისი ძალაუფლების ქვეშ მდ. აქეუნტა-შახედან (ჯიქების საზღვრიდან) ტრაპეზუნტამდე, აღმოსავლეთით ლიხის მთამდე, ხოლო ჩრდილოეთით კავკასიონამდე. აღნიშნულ პერიოდში ეგრისის მეფის ხელისუფლებას ემორჩილებოდა: აფშილეთი, სანიგეთი, აფხაზეთი (აბაზგია), სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, არგვეთი და ჭანეთი.<sup>5</sup>

მოსალოდნელია, რომ ეგრისის სამეფოს ყველაზე მეტი ძალისხმევა სანიგების შემოერთებისათვის ბრძოლაში დასჭირვებოდა, რადგან, როგორც ითქვა, სანიგების ეთნოპოლიტიკური ერთეული ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტომი იყო ზემოთ დასახლებულ გაერთიანებებს შორის. შესაძლოა, ერთი მთავარი ფაქტორი, – ბიჭვინტის დაცემისა, – რომელიც ასე გარკვევით ნარმოაჩინა არქეოლოგიურმა გათხ-

<sup>1</sup> *მარი ბროსე*, საქართველოს ისტორია, 1895, გვ. 87; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1930, გვ. 366-368; *ს. ჯანაშია*, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 262; *პროკოპი კესარიელი*, გეორგია, II, გვ. 194.

<sup>2</sup> ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, *ვ. ვაბაშვილის რედ.*, თბ., 1957, გვ. 28.

<sup>3</sup> *ს. ჯანაშია*, შრომები, II, დასახ. გამოცემა, გვ. 314-317; *ნ. ლომოური*, ეგრისის სამეფოს ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 72.

<sup>4</sup> *პროკოპი კესარიელი*, გეორგია, II, გვ. 72-73.

<sup>5</sup> *ს. ჯანაშია*, ეგრისის სამეფოს ნარმოშობა, შრომები II, დასახ. გამოცემა, გვ. 314-317; *ნ. ლომოური*, ეგრისი სამეფოს ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 72; *დ. მუსხელიშვილი*, საქართველოს IV-VIII სს-ში, დასახ. გამოცემა, გვ. 100-103.

რებმა და თარიღდება IV ს-ს დასასრულით,<sup>1</sup> ეგრისსა და სანიგებს შორის გამართული ცხარე ბრძოლების შედეგი ყოფილიყო.<sup>2</sup> მეხუთე საუკუნის ბიზანტიური წყაროების (თეოდორიტე კვირელის და V ს-ის ანონიმის) მონაცემებით, V ს-ის დასაწყისისათვის, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, ბიზანტიის იმპერიის უკანასკნელ სასაზღვრო პუნქტს ბიჭვინტა წარმოადგენდა.<sup>3</sup> იმპერიის პოლიტიკას კი მთელ ისტორიულ კოლხეთში მაშინ მისი ვასალი, ეგრისის სამეფო განახორციელებდა.

ბიჭვინტის არქეოლოგიურმა მონაპოვარმა ნათელყო, რომ ამ ქალაქს IV ს-ის დამლევებიდან, მთელი მეხუთე საუკუნე, ვიდრე VI ს-ის 20-იან წლებამდე, ნაკლები კონტაქტები ჰქონდა გარე სამყაროსთან, განსაკუთრებით ეს ბიზანტიის პროვინციებთან შეიმჩნევა,<sup>4</sup> მაშინ როცა IV ს-ის დასასრულამდე ბიჭვინტას მჭიდრო კულტურულ-რელიგიური, სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური კავშირურთიერთობები ჰქონდა დამყარებული აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის მნიშვნელოვან პუნქტებთან. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ეგრისის სამეფოს წილ ტერიტორიაზე, ცხოვრება ჩვეულებრივი რიტმით მიმდინარეობდა. როგორც აქ მოპოვებული არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ფიქრობენ, სოხუმში (ძველი ციხის ტერიტორიაზე) მიკველული მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი მასალა, რომლიდანაც წითელლაკიანი კერამიკა სრულ იდენტურობას ავლენს ბიჭვინტის წითელლაკიან ჭურჭელთან და თარიღდება IV-V საუკუნეებით, გვიჩვენებს, თუ როგორი ინტენსიური სამეურნეო ცხოვრება მიმდინარეობს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირო ქალაქებში ეგრისის სამეფოს გაძლიერების ხანაში.<sup>5</sup> ზოგიერთი კერამიკული ნაწარმი დამახასიათებელია მხოლოდ სებასტოპოლისს<sup>6</sup> და პიტიუნტისათვის,<sup>7</sup> იშვიათად გვხვდება სხვა ქვეყნებში, მათ შორის ჩრდილო შავიზღვისპირეთში.<sup>8</sup> წითელლაკიანი კერამიკა

<sup>1</sup> *ოთ. ლორთქიფანიძე*, ინიკიტის ტბის მიდამოებში ჩატარებულ სადაზვერვო-არქეოლოგიური მუშაობის წინასწარი ანგარიში, მსკა, III, 1963, გვ. 106; *რ. რამიშვილი*, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, მსკა IV, თბ., 1967, გვ. 120-121; *გ. ლორთქიფანიძე*, ბიჭვინტის ნაქალაქარი, თბ., 1991 გვ. 70-73.

<sup>2</sup> შეად. *გ. დუნდუა*, სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი, დიდ პიტიუნტი, I, 1975, გვ. 410-412; *ი. ცუხიშვილი*, ბიჭვინტის ბიზანტიური მონეტები, დიდი პიტიუნტი, II, 1977, გვ. 306; *გ. ლორთქიფანიძე*, დასახ. ნაშრ. გვ. 70-73.

<sup>3</sup> *თეოდორიტე კვირელი*, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს *ალ. გამყრელიძემ* და *ს. ყაუხჩიშვილმა*, თბ., 1961, გვ. 224; ანონიმი V საუკუნისა, გეორგიკა, II, გვ. 9-10.

<sup>4</sup> *ა. აფაქიძე*, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, დიდ პიტიუნტი, I, დასახ. გამოცემა, გვ. 27

<sup>5</sup> *ა. აფაქიძე*, *ო. ლორთქიფანიძე*, მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის, „მაცნე“ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო) 3, თბ., 1965, გვ. 117, 118; მათივე, Новые материалы к археологии Диоскурии-Севастополисов. ТАИЯЛИ, XXXIII-XXXIV, 1963, с. 222.

<sup>6</sup> *ა. აფაქიძე*, *ო. ლორთქიფანიძე*, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

<sup>7</sup> *ო. ლორთქიფანიძე*, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა (ძირითადი ტიპები და მათი დათარიღება), სმგმ, I, 1962, გვ. 247.

<sup>8</sup> *ა. აფაქიძე*, *ო. ლორთქიფანიძე*, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებიდანაც: პეტრე-ციხის-ძირიდან, ვარდციხის ნაქალაქარიდან და სხვა პუნქტებიდან.<sup>1</sup> ყოველივე ეს იძლევა იმის საფუძველს, ვივარაუდოთ წითელლაკიანი კერამიკის ერთი და იმავე სანარმოო ცენტრიდან წარმომავლობა და ამ სანარმოო ცენტრის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებობის შესაძლებლობაც.<sup>2</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ბიჭვინტაში მოპოვებული ტალღისებრი სახეებით შემკული კერამიკა (ჯამის ძირები, თევზები) IV-V საუკუნეებით თარიღდება<sup>3</sup> და ასეთივე შემკულობის მასალა მიკველეულია სოხუმშიც.<sup>4</sup> ამავე რაიონის სოფ. ოლგინსკოეს სამაროვანზე კი ასეთი სახის არა მარტო სამზარეულო, არამედ სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელიცაა (ქვევრები, დერგი, ამფორა და სხვა) აღმოჩენილი.<sup>5</sup> ფიქრობენ, ეს მასალაც შეიძლება IV-V საუკუნეებით დათარიღდეს.<sup>6</sup> ბ. კუფტინი ტალღურ ორნამენტს დასავლურ ქართულად მიიჩნევდა.<sup>7</sup> ბიჭვინტის ნაქალაქარზე ბოლოდროინდელმა ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ბიჭვინტას IV ს-ის დასასრულიდან, მთელი მესხეთე საუკუნის განმავლობაში არ აქვს კავშირ-ურთიერთობები ბიზანტიის პროვინციებთან<sup>8</sup> და ამ დროს, აქ აღარ დასტურდება ბიზანტიის ჯარის ნაწილის დგომაც.<sup>9</sup>

ნიშანდობლივია, რომ პროკოპი კესარიელს თავისი დროისათვის (VI ს.) სებასტოპოლ-ცხუმში და ბიჭვინტა ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ისეთივე საკუთარ ციხე-ქალაქებად აქვს აღქმული, როგორც არქეოპოლისი (ციხე-გოჯი), როდოპოლისი (ვარდციხე), სკანდა, შორაპანი და სხვა. ის, როცა მდინარე ფაზისის (რიონის) მარცხენა და მარჯვენა მხარის დასახლებებზე ლაპარაკობს, აღნიშნავს: „... მარჯვნივ მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე, ვიდრე იბერიის საზღვრებამდე, დასახლებულია ადგილობრივი მაცხოვრებლებით. ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთ ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველითგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სებასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც. ხოლო სკანდა და სარაპანისი იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე

<sup>1</sup> ნ. ინაიშვილი, ადრე შუასაუკუნეების კერამიკა პეტრა-ციხისძირიდან, სდსპ, 1981, X, გვ. 135; ვ. ჯაფარიძე, გზებისა და საეკტრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა საკითხისათვის ეგრისში (ვარდციხის არქეოლოგიური მასალების მიხედვით), ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, IV, 1982, გვ. 33-36.

<sup>2</sup> ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 117; ქ. ბერძენიშვილი, ბეჭვინტის წითელლაკიანი თიხის ჭურჭლის შესწავლისათვის (1952-1953 წწ. განთხარის მიხედვით), მსკა, III, 1963, გვ. 113, 117; რ. ფუთურძე, წითელლაკიანი კერამიკა სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიიდან, მსკა, ტ. IV, 1975, გვ. 138.

<sup>3</sup> ლ. ასათიანი, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, დიდი პიტიუნტი, II, თბ, 1977, გვ. 199.

<sup>4</sup> ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, დასახ. გამოცემა, გვ. 245.

<sup>5</sup> ქ. ბერძენიშვილი, წებელდის გვიანნატიკური ხანის კერამიკა, მსკა II, 1959, გვ. 105.

<sup>6</sup> ლ. ასათიანი, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, დიდი პიტიუნტი, II, გვ. 201.

<sup>7</sup> Б.А. Купфтин. Материалы к археологии Колхиды, I, Тб., 1949, с. 33-34, рис. 12.

<sup>8</sup> ლ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის ნაქალაქარი, დასახ. გამოცემა, გვ. 56-59, 172.

<sup>9</sup> იქვე.

შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი".<sup>1</sup> რა თქმა უნდა, ეს ლაზიკის ძლიერებისა და სანიგებზე მისი პოლიტიკურ ზეგავლენის შედეგი შეიძლება ყოფილიყო, თორემ პროკოპისათვის ისიც კარგად არის ცნობილი, რომ სებასტოპოლი და პიტიუნტი სანიგების საცხოვრისზე დაარსებული სიმაგრეებია, თუმცა აშკარად შეიმჩნევა, რომ მათ მიმართ ეგრისის სამეფოს განსხვავებული დამოკიდებულება უჩანს, ვიდრე ეგრისის სამეფოში შემავალი აფშილეთის, აბაზგეთის და მისიმიანეთის სიმაგრეებზე: ნიბილეზე (ნებელდაზე), ტრაქეა-გაგრაზე, ძახარსა (რკინის ციხე) და სხვაზე. ისე კი, იმ მოტივით, რა მოტივითაც პროკოპი აღნიშნული ქალაქებისა და სიმაგრეების სახელს ასხენებს (ფაზის – რიონის მარჯვენა მხარეზე მდებარეობის ნიშნით), ამავე მოტივით (თუკი მარტო პოლიტიკური ზეგავლენით ავხსნიდით ყოველივე ამას) შეეძლო დაესახელებინა მისთვის კარგად ცნობილი მნიშვნელოვანი სიმაგრეები; გაგრა, ნებელდა და ძახარი, ისინიც ხომ რიონის მარჯვენით იყვნენ განლაგებულნი? ... მაგრამ, როგორც ითქვა, სანიგების ტერიტორიის ნაწილი (სებასტოპოლიდან პიტიუნტის ჩათვლით) თავისი მოსახლეობით ისე გაითავისა ეგრისის სამეფომ, როგორც თავისი ხალხი და თავისი მინა-წყალი. შესაძლოა, ამ საქმეში გარკვეული როლი ეთამაშა იმას, რომ VI საუკუნისათვის სანიგების ეს ნაწილი კარგა ხნის შეერთებული ჰქონდა ეგრისის სამეფოს, და იმასაც, რომ ლაზები და სანიგები ერთი წარმომავლობისანი იყვნენ. სხვათა შორის, IV ს-ის მწერალი ამიანე მარცელინე (330-393 წწ.), ალბათ, IV ს-ის 70-იანი წლებიდან, დიოსკურია-სებასტოპოლისს კოლხიდის (ლაზიკის) ისეთივე საკუთარ ქალაქად მიიჩნევს, როგორც ფაზისს (ფოთს), ის წერს: კოლხიდაში „... სხვა ქალაქებს შორის არის მდინარის მიხედვით სახელმწიფოეული (ქალაქი) ფაზისი და ახლაც კი კარგად ცნობილი დიოსკურია“.<sup>2</sup>

ზემოთ მითითებული არაერთი სახის ფაქტობრივი მასალა იძლევა საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ეგრისის სამეფომ IV ს-ის დამლევს დაიპყრო სანიგების საცხოვრისის ნაწილი მდ. კლისურა-კელასურიდან ბიჭვინტამდე და გაითავისა როგორც საკუთარი პროვინცია. რადგან ასეა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში V ს-ის დასაწყისში უკვე ბიჭვინტა ეგრისის სამეფოს უკანასკნელი სასაზღვრო პუნქტია, ხოლო ამავე საუკუნის 20-30-იანი წლებიდან მაინც აბაზგების ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი სანიგებთან მდ. აბასკოს-ფსოუზე გადის, მაშინ აბაზგ-აფხაზები შავიზღვისპირეთის მხოლოდ ამ რეგიონში, – ბიჭვინტიდან აბასკოს ფსოუმდე, 240 სტადიონ მანძილზე (დღევანდელი გაგრის რაიონში) ჩამოსახლებულან მთიდან და დამკვიდრებულან აქ. მანამდე ეს ტერიტორია, როგორც ითქვა, სანიგების კუთვნილებას წარმოადგენდა, მაგრამ IV ს-ის დასასრულიდან ეგრისის ექსპანსიის შედეგად დამარცხებულ და დასუსტებულ სანიგებს შესაძლოა დაეკარგათ და დაეცა-

<sup>1</sup> პროკოპი კესარიელი, გეორგია, II, დასახ. გამოცემა, გვ. 100-101.

<sup>2</sup> ამიანე მარცელიანე, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგია, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 112.

ლათ კიდევ მათი საცხოვრისის ეს ნაწილი. აფხაზებს კი, აღნიშნული რეგიონი V ს-ის 20-30-იან წლებში მაინც, მხოლოდ ბიზანტიისა და ეგრისის ხელისუფლების დახმარებითა და მხარდაჭერით უნდა აეთვისებინათ. ამავე პერიოდში მოსალოდნელია ეგრისის სამეფოს მიერ სანიგების ეთნოპოლიტიკური ერთეულის (აბასკოს-ფსოუდან აქეუნტა-შახემდე, –ჯიქებამდე) დაპყრობა-შეერთება. ხოლო VI ს-ის 30-40-იან წლებში, ბიზანტიის ზედანოლითა და ძალისხმევით, ეს ეთნოპოლიტიკური ერთეული და აფხაზეთი ერთ ადმინისტრაციულ გაერთიანებაში მოექცა – ერთი ხელისუფალის ქვეშ და აფხაზეთის სახელით.<sup>1</sup> ასეთ რეალურ ვითარებაში გვესახება ჩვენ აფხაზების (აბაზგების) შავი ზღვის სანაპიროზე დამკვიდრება და მასთან დაკავშირებული საკითხები, და არა ისე, როგორც ფიქრობენ: თითქოს გაძლიერებული ლაზები აფშილებს, აფშილები აბაზგებს, ხოლო აბაზგები სანიგებს მიაწვნიენ და აფშილებმა და აბაზგებმა სანიგების საცხოვრისი II ს-ის ან IV ს-ის დამლევს დაიჭირეს და გაითავისეს მდ. ბასკოს-ფსოუმდე ან ბზიფამდე. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად II-V საუკუნეებისათვის არა მარტო არ მოიპოვება რაიმე წყარო, არამედ, პირიქით, საპირისპირო მტკიცებულებები არსებობს, როგორც მივუთითეთ ზემოთ. ამის შესახებ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, უფრო ვრცლად სხვაგან გვაქვს საუბარი,<sup>2</sup> აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „აფხაზი“-ს და „აფხაზეთი“-ს სახელის გავრცელება ჯერ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და შემდეგ მთელ დასავლეთ საქართველოში სხვა მიზეზებით და სხვანაირად შეიძლება აიხსნას.

VI ს-ის 20-იანი წლებიდან ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება ამკარად იჩენდა უნდობლობას ეგრისის (ლაზიკის) სამეფოსადმი, მათ საგანგებოდ, კიდევ უფრო დაამძიმეს თავისი დიდმპყრობელური პოლიტიკა იქ. საპასუხოდ ეგრისის მეფეებიც: ჯერ წათე I-ლი, შემდეგ კი გუბაზ II-ე, საკმაო გაბედულებით უპირისპირდებოდნენ ბიზანტიელთა აგრესიას. ირანის ძალებსაც იყენებდნენ მათ წინააღმდეგ. აკი, გუბაზ II-ემ 542 წელს ეგრისში შემოიყვანა ირანის შაჰი ხოსრო ანუშირვან I თავისი ჯარებით და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაუმართა ბიზანტიელებს. მართალია, გუბაზ მეფემ 6 წლის შემდეგ ზურგი შეაქცია ირანელებს და იუსტინიანე კეისარს შეურიგდა, ახლა მასთან ერთად შეუტია ირანელებს, მაგრამ ბიზანტიის ხელისუფლებამ კარგად უწყობდა, რომ ეს გუბაზს მათი ერთგულებისათვის არ გაუყეუებია (ირანელებს მისი მოკვლა და ლაზების თავისი საცხოვრისიდან აყრა ჰქონდათ განზრახული). VI ს-ის 30-40-იან წლებიდან ბიზანტიის ხელისუფლება ღიად იწყებს ეგრისის სამეფოსადმი სანინაღმდეგო მოქმედებას შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ეს იმაში გამოიხატა, რომ საკეისრომ ეგრისისაგან დამოუკიდებლად მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა ამ რეგიონში. კონსტანტინეპოლმა თავისი პოლიტიკის იქ განხორციელებისათვის საიმედო საყრდენად, როგორც ეს პროკოპის

<sup>1</sup> უფრო დანერვილებით იხ. დ. *ლეოდიანი*, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკურ დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან), თბ., 1991, გვ. 141-166. იქვე სათანადო ლიტერატურა.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 75-88, 140-179 და სხვაგან, იქვე ლიტერატურა.

მონაცემებიდან ჩანს, აბაზგები (აფხაზები) მიიჩნია.<sup>1</sup> ნიშანდობლივია, რომ იუსტი-  
ნიანემ თავისი სახელმწიფო საქმეების მოსაგვარებლად იქ საგანგებოდ მიავლინა  
იმპერატორის კარზე გაზრდილი აფხაზი ევზუქი ევფრატა, რომლის უშუალო ხელ-  
მძღვანელობითა და აფხაზთა (აბაზგთა) გარკვეული ნრეების აქტიური მხარდაჭე-  
რით გატარდა ბიზანტიის მთავრობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები: აიკრძალა  
აფხაზი ბავშვების დასაჭურისება და ტყვედ გაყიდვა, რასაც დიდი სიხარულით შეხ-  
ვდნენ დაბალი წრის აფხაზები, გავრცელდა და განმტკიცდა ქრისტიანული რწმენა,  
იუსტინიანემ მათ ეკლესიაც აუშენა, კეისრის ნებითა და ევფრატას მეცადინეობით  
მოისპო ადგილობრივი თვითმმართველობა აბაზგებსა და სანიგებში, შეიქმნა მათი  
პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გაერთიანება „აფხაზეთი“-ს სახელით და ევფრა-  
ტას ხელისუფლებით. ბიზანტიის საიმპერიო კარის მითითებითა და მათივე ხელ-  
მძღვანელობით, აღნიშნულ გაერთიანებაში დაიწყო ბიზანტიის საიმპერიო კარის  
უმეშვეო მმართველობის დამყარება.<sup>2</sup> „როდესაც მათ თავიანთი მეფეები მოსპეს,  
როგორც ეს ჩემ მიერ ახლახან იყო მოთხრობილი, – გადმოგვცემს პროკოპი კესა-  
რიელი, – რომაელთა ჯარისკაცები, კეისრის მიერ წარგზავნილები, მათ ქვეყანაში  
იდგნენ ხოლმე ძალიან ხშირად და მათ უნდოდათ ეს ქვეყანა დაემორჩილებინათ  
რომაელთა ძალაუფლებისათვის, და მათ ახალ-ახალ რაღაც წესებს უმყარებდნენ.  
ამ ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ“.<sup>3</sup>  
ბუნებრივია, ისეთ გაერთიანებას (სანიგების და აბაზგების), რომელშიც გარკვეუ-  
ლი ინციპტივები აბაზგების ზოგიერთ სოციალურ ნრეებს ეყრათ (რომელთა ინტე-  
რესებსაც პირველ ხანებში ბიზანტიის ხელისუფლებაც, გარკვეული მიზნით, ითვა-  
ლისწინებდა), რომლის პირველი ხელისუფალიც, ბიზანტიის ძალისხმევით, ტომით  
აბაზგი ევფრატა იყო, შერქმეოდა აბაზგია (აფხაზეთი). დამპყრობლებმა, როგორც  
უკვე ითქვა, უმეშვეო მმართველობის დამყარება მოინდომეს, აფხაზთა (აბაზგის)  
სახელით შექმნილ გაერთიანებაში, ამას კი აბაზგების აჯანყება მოჰყვა. .... იმის ში-  
შით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიყენეს  
თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისათვის ოფსიტე სახელად, ხოლო და-  
სავლეთისათვის სკეპარნა“.<sup>4</sup> ე.ი. ბიზანტიელების მიერ, იმდენად ძალდატანებით  
იქნა შექმნილი აბაზგთა და სანიგთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გაერთიანე-  
ბა, რომ იმის მაგივრად ისინი მტკიცედ გაერთიანებულყვნენ მტრის წინააღმდეგ, –  
ორად გაიყვნენ და პირველი პროტესტიც ამით გამოხატეს. ამ აჯანყებაში, რომე-  
ლიც 550 წელს გაიმართა, უფრო მეტად აბაზგები აქტიურობდნენ, ვიდრე სანიგები,  
მათი მთავარი სკეპარნა ხოსრო ანუშირვანთან იყო მიხმობილი ირანში და იქ იყო  
წასული.<sup>5</sup> აბაზგთა მთავარმა ოფსიტემ ყველა აბაზგი შეკრიბა და მედგარი წინააღ-

<sup>1</sup> პროკოპი კესარიელი, გეორგია, II, დასახ. გამოცემა, გვ. 134-135.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 157.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 158.

მდეგობა გაუნია ბიზანტიელებს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. დამპყრობლებმა აფხაზეთის ადმინისტრაციული ცენტრის გაგრა-„ტრაქეას“ „... ციხის გალავანი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწაწყალი უდაბნოთ აქციეს“.<sup>1</sup> აბაზგთა მთავარმა ოფსიტემ რამდენიმე კაცით მოახერხა ჰუნებში გაქცევა, „ხოლო დანარჩენები ან ფერფლად იქცნენ გადამწვარ სახლებთან ერთად, ან მტრის ხელში ჩავარდნენ“.<sup>2</sup> აბაზგთა (აფხაზთა) ტომი თითქმის გაანადგურეს ბიზანტიელებმა.

ბიზანტიელების მიერ აფხაზებისადმი ჩადენილ ასეთ სისასტიკეს ვერ მალავს იმპერიის ოფიციალური პირი და ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი. მაშინ, როცა, სხვა შემთხვევებში, ის ბიზანტიის მიერ გატარებული ყოველგვარი პოლიტიკის აპოლოგეტად გვევლინება. ყოველ შემთხვევაში, ეს ასე იკითხება მის ოფიციალურ თხზულებებში. ეტყობა, ბიზანტიელების მიერ აფხაზებზე მიყენებული დარტყმა იმდენად გამანადგურებელი და მასშტაბური იყო, რომ პროკოპი იძულებული შეიქნა ეს რეალობა ელიარებინა. ყოველივე ამის შემდეგ ბიზანტიის ხელისუფლებას თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის წინ რაღა დაუდგებოდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ რეგიონი ბიჭვინტის დასავლეთიდან, ვიდრე მდ. აქეუნტა-შახემდე, – ჯიქების საზღვრებამდე, ბიზანტიამ თავის პროვინციად გამოაცხადა და უწოდა „აბაზგია“ (აფხაზეთი). როგორც ვახუშტი ბატონიშვილი იტყვოდა, „გარნა უმეტეს საგონებელი არს, ... ეწოდა სახელი ესე (აფხაზეთი – დ.ლ.)“.<sup>3</sup> შესაძლოა, ეს სახელი იმიტომაც ეწოდა აღნიშნულ რეგიონს, რომ აჯანყების ჩახშობის შემდეგ სახელში „აფხაზეთი“ აღარ იგულისხმებოდა რაიმე კონკრეტული ძალა, რომელიც წინ აღუდგებოდა იმპერიის დამპყრობლურ ნებას. ასე რომ, აფხაზეთი (აბაზგია) და სანიგეთი, რომელნიც, პროკოპის გადმოცემით „ძველიდანვე“ ეგრისის სამეფოს ქვეშევრდომნი იყვნენ,<sup>4</sup> ბიზანტიამ შეიერთა. XI ს-ის დამლევის ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ზონარას ცნობით: იუსტინიანე I-დან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც მან აღნიშნული რეფორმები ჩაატარა „აფხაზეთის“ (აბაზგთა) სახელით შექმნილ (სანიგთა და აფხაზთა) გაერთიანებაში, „აბაზგებს არც ერთი მმართველი ადგილობრივად არ ენიშნებოდა, იქ რომაელთა მეფეები გზავნიდნენ არქონტებს და უკანასკნელნიც მეფეთა კარნახით მართავდნენ [სახელმწიფო] საქმეებს“.<sup>5</sup> ამას ქართული წყაროებიც ადასტურებენ, რომელზედაც ქვემოთ იქნება საუბარი.

სახელმა აფხაზმა (აბაზგმა) უკვე დაკარგა ტომის აღმნიშვნელი ფუნქცია: 1. რადგან ტომი თითქმის განადგურებული იყო აჯანყების ჩახშობის შემდეგ, როგორც

<sup>1</sup> პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 161.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 784.

<sup>4</sup> პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, დასახ. გამოცემა, გვ. 133.

<sup>5</sup> იოანე ზონარა, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 6, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1966, გვ. 130.

ეს პროკოპის ზემოთ მითითებული დოკუმენტიდან ჩანს; 2. აბაზგი (აფხაზი) კონკრეტული ტომის სახელიდან იქცა, უფრო სწორად, ბიზანტიის ხელისუფლებამ აქცია ზოგად პოლიტიკურ ტერმინად, რომელიც, პირველად, ბიზანტიამ ბიჭვინტის დასავლეთით, ჯიქების საზღვრებამდე გაავრცელა და ამ რეგიონს უწოდა სახელად „აფხაზეთი“. V ს-ის ანონიშის მონაცემებიდან კარგად არის ცნობილი, როგორც ითქვა, რომ მდ. აბასკოს-ფსოუდან, ვიდრე მდ. აქეუნტა-შახემდე, ჯიქების საზღვრებამდე, მხოლოდ სანიგების ეთნოპოლიტიკური ერთული დომინირებდა.<sup>1</sup> ეს პროკოპისათვისაც შესანიშნავად იყო ცნობილი,<sup>2</sup> თუმცა VI ს-ის 50-იანი წლებიდან აღნიშნულ რეგიონს უკვე აბაზგიას უწოდებს. ის ერთგან ასე წერს: „... პირისპირ კავკასიის მთა თავდება. აქ ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს. მათ შორის ალანებიც და აბაზგებიც ... აგრეთვე ზიქნიც და მათ შემდეგ ჰუნებიც“.<sup>3</sup> მეორეგან პროკოპი უფრო აზუსტებს აბაზგების და ჯიქების მეზობლობას... „კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობენ ბრუქები, აბაზგებსა და ალანებს შუა, ხოლო ექსინის პონტოს ნაპირას ზიქები არიან დამკვიდრებული“.<sup>4</sup> ასე გაფართოვდა პირველად სახელი „აფხაზეთი“-ს არეალი, რომლის ძირითად მოსახლეობას სანიგები წარმოადგენდნენ.

ჩვენი აზრით, მეორედ, „აფხაზეთი“-ს სახელი „ტრაქეა“-გაგრიდან გაფართოვდა და გავრცელდა აღმოსავლეთით, ვიდრე კლისურამდე, VII ს-ის დასაწყისში, რასაც შესანიშნავად ადასტურებს ზემოთ მითითებული VII ს-ის სომხური ანონიშური გეოგრაფიის მონაცემები. თუმცა ვახუშტი ბატონიშვილს თუ მის წყაროს მიაჩნია, რომ მისმა საზღვარმა მდ. ეგრისწყალ-ლალიძამდე მიაღწია. ვახუშტის წყარომ ისიც კარგად იცის, რომ მანამდე აფხაზეთის სახელი მხოლოდ ანაკოფიის დასავლეთით მდებარე მცირე მთის დასავლეთით ფიგურირებდა. „...დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლეთით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიიდან ჩამოსული ზღუამდე“.<sup>5</sup> ვახუშტის აზრით, მხოლოდ VII ს-ის დასაწყისში ჰერაკლე კეისრის (610-641 წწ.) ძალისხმევით მოხდა აფხაზეთის სახელის გავრცელება აღმოსავლეთით. „ხოლო შემდგომად სტეფანოზ ბაგრატიონის ჟამსა მიუღო ერეკლეს კეისარმან კუალად ეგრისის მდინარის იქითი. დასუეს ბერძენთა ერისთავი თჳსი ანაკოფიას და უწოდეს აფხაზთა ერისთავად, იყენენ აქა ერისთავნი ცვლილებითა“.<sup>6</sup> თუკი VII ს-ის დასაწყისში „აფხაზეთი“-ს სახელი მართლაც გავრცელდა მდ. ეგრისწყალ-ლალიძამდე, ეს მხოლოდ VII ს-ის 50-იანი წლებამდეა სავარაუდო, რადგან ჩვენ VII ს-ის მეორე ნახევრის სანდო ბერძნულენოვანი წყაროდან (თეოდოს განგრელიდან) დანამდვილებით ვიცით, რომ ეგრისწყალ-ლალიძგას ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო ადგილები ამ დროიდან

<sup>1</sup> ანონიში V საუკუნისა, გეორგიკა, ტ. II, დასახ. გამოცემა, გვ. 10.

<sup>2</sup> პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ. II, დასახ. გამოცემა, გვ. 136-137.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 100.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 135.

<sup>5</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, დასახ. გამოცემა, გვ. 783-784.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 795.

ეგრისის გაღვინის ქვეშა მოქცეული და არა ბიზანტია-„აფხაზეთი“-ს<sup>1</sup>, ხოლო ჯუანშერი დაბეჯითებით და არაერთხელ აღნიშნავს, რომ საბერძნეთსა (ბიზანტიასა) და საქართველოს (ეგრისს) შორის სასაზღვრო ხაზი კლისურაზე (მდ. კლისურა ან კლისურის ზღუდე) გადის V ს-დან და არა მდ. ეგრისწყალ-ლალიძგაზე.<sup>2</sup> მაშასადამე, აფხაზი ტომის თითქმის განადგურებისა და მისი ადმინისტრაციული ცენტრის „ტრაქეა“-გაგრის დანგრევის შემდეგ (550 წ.), VII ს-ის დასაწყისში, ჰერაკლე I-მა თავისი დაპყრობილი სამფლობელოს ადმინისტრაციულ ცენტრად ააშენა ანაკოფიის ციხესიმაგრე (ახალი ათონი), იქ დასვა თავისი მოხელე (არქონტი) და მთელ ამ ტერიტორიას, როგორც ვახუშტი იტყობდა, უწოდა აბასა, ხოლო ქართველებმა – აფხაზეთი. აღსანიშნავია, რომ ქართული წყაროები კლისურის დასავლეთს, ვიდრე ჯიქებამდე, რეალობის ადეკვატურად, საბერძნეთს (ბიზანტიას), ანუ „აფხაზეთ“-ს, ბიზანტიის მიერვე შერქმეულ სახელს უწოდებენ, ხოლო მათ მმართველებს „ბერძენთა ერისთავს“, „კეისრის ერისთავს“.<sup>3</sup> სხვათა შორის, აქვე შეიძლება ისიც ითქვას, რომ ეგრისის მეფე-მთავრები ბიზანტიის საიმპერიო კარის ვასალები იყვნენ, მაგრამ არც ერთ წყაროს არც ერთი მათგანი არ მოუხსენებია კეისრის ან ბერძენ ერისთავად, არქონტად, პატრიკიოზად ან ბიზანტიის სახელისუფლო კარის რომელიმე სხვა რანგის მოხელედ. ისინი იწოდებოდნენ მხოლოდ ლაზიკის მეფეებად ან ლაზიკის პატრიკიოზებად და სხვა (ახ. წ. II ს-დან მოკიდებული VIII ს-ის 70-იან წლებამდე). ასევე, ჯერ ქართლის, შემდეგ კი საქართველოს მეფე-მთავრები, VI ს-დან ვიდრე დავით აღმაშენებლამდე, ბიზანტიურ ტიტულებს ატარებდნენ, მაგრამ ისინი ქართული წყაროებისათვის (და არა მარტო ქართული წყაროებისათვის), ყოველთვის, ქართლის, შემდეგ კი გაერთიანებული საქართველოს დამოუკიდებელი ხელისუფალნი იყვნენ უპირველეს ყოვლისა. მაგრამ, ამ შემთხვევაში სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. როგორც ითქვა, VII ს-ის 10-იანი წლებიდან კლისურის დასავლეთი, ვიდრე ჯიქებამდე (მდ. აქეუნტა-შახემდე) ბიზანტიამ წაართვა ეგრისის სამეფოს, თავის უშუალო პროვინციად გამოაცხადა, იქ საკუთარი ადმინისტრაცია დაამყარა არქონტის ხელისუფლებით და მას „აფხაზეთი“, ხოლო მოსახლეობას „აბასკები“ („აფხაზები“) უწოდა. უკვე აღარ იგრძნობოდა საკუთრივ აფხაზური ტომის არავითარი ძალა 550 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, რაც, როგორც აღინიშნა, უნდა გამხდარიყო ბიზანტიის ხელისუფლებისათვის საფუძველი აფხაზეთის სახელის წინ ნამონევისათვის.

ბიზანტია ამ მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული რეგიონის ხელში ჩაგდებათ დაეპატრონა ჩრდილო კავკასიიდან გადმოსასვლელ ზეკარებს, და უკვე ამიერიდან, ეგრისისაგან დამოუკიდებლად, შეეძლებოდა დაეცვა თავისი სახელმწიფოს საზღ-

<sup>1</sup> თოდოს ვანგრელი, გეორგია, ტ. IV, ნაკ. I, ტექსტი ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941, გვ. 50.

<sup>2</sup> ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 177, 203, 205, 235, 242.

<sup>3</sup> ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 235; ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, დასახ. გამოცემა, გვ. 795.

ვრების უშეშრობა ხაზარების და ჩრდილო კავკასიური ზოგიერთი ტომის შემოსევებისაგან. იმპერიის ხელისუფლება მიღწეულზე არ შეჩერებულა, ის კვლავ დაუინებით აგრძელებდა აგრესიას ეგრისისადმი. კონსტანტინეპოლის ზენოლის შედეგი უნდა ყოფილიყო ის, რომ ეგრისის მეფის სტატუსი VII ს-ის 60-იანი წლებისათვის პატრიკიოზის ტიტულამდეა დამცრობილი<sup>1</sup>. ხოლო 697 წელს ბიზანტიის საკეისროსაგან შევიწროებული ეგრისის (ლაზიკის) პატრიკიოზი სერგი ბარნუკის ძე აუჯანყდა ბიზანტიელებს და მათ საპირისპიროდ არაბთა ჯარები შემოიყვანა ეგრისში და ჩააყენა თავის ციხესიმაგრეებში.<sup>2</sup>

ასე რომ, ეგრისის სამეფოში, მის სანინაალმდეგოდ გატარებული ბიზანტიის ხელისუფლების დიდმპყრობელური პოლიტიკის შედეგი იყო აფხაზეთის (აბაზგიის) სახელის გავრცელება-გაფართოება. ეს ფაქტია და ეს აზრი შესანიშნავად აქვს გამოხატული ვახუშტი ბაგრატიონს, რომელსაც ჩვენ სრულიად ვიზიარებთ. „დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი“.<sup>3</sup> VIII ს-ის 30-იანი წლების მიწურულს, ბიზანტიის კეისარმა მაშინდელი აფხაზეთის არქონტს (ერისთავს), ლეონ I-ს, ჯუანშერის ცნობით, მოხელეობა (არქონტობა) სამემკვიდრეოდ მისცა<sup>4</sup>. ალბათ, ამიტომ, როცა მოგვიანებით „აფხაზეთი“-ს სახელი დაეინროვდა, მხოლოდ ამ რეგიონს (კლისურის დასავლეთს) შერჩა ეს სახელი და არა მარტო როგორც პოლიტიკური, არამედ როგორც გეოგრაფიული სახელიც. ბუნებრივია, ვგულისხმობთ, როგორც უკვე ითქვა, რომ ამ მხარის მანამდელი (VII ს-ის დასაწყისიდან) პოლიტიკური და გეოგრაფიული სახელი „აფხაზეთი“ იყო.

მესამედ აფხაზეთის სახელის არეალი საქართველოში VIII ს-ის მეორე ნახევარში, კერძოდ 70-იან წლებში<sup>5</sup> ფართოვდება, როცა ბიზანტიის იმპერია თავის მიზანს აღწევს და იპყრობს ეგრისს (ლაზიკას), იქ ადგილობრივ ადმინისტრაციას აუქმებს და თავის მოხელეს აფხაზეთის არქონტს (ერისთავს), უკვე მთავრად აღიარებულ ლეონ II-ს აძლევს სამართავად. ამიერიდან მთელ დასავლეთ საქართველოს, დაწყებული ნიკოფსიიდან ქალდიის ჩათვლით სამხრეთით, აღმოსავლეთით ლიხის მთამდე, „აფხაზეთი“ ეწოდა.<sup>6</sup> იოანე საბანისძის აბო ტფილელის წამებიდან ვგებულობთ,

<sup>1</sup> თეოდოს განკრელი, დასახ. გამოცემა გვ. 47-50 და სხვაგან; ეგრისის მმართველი (მთავარი) პატრიკიოზად იხსენება.

<sup>2</sup> თეოფანე უამთაღმწერელი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ბერძნულიდან ქართულად თარგმნა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941, გვ. 105; ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, II 1952, გვ. 368.

<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, დასახ. გამოცემა, გვ. 784.

<sup>4</sup> ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 240.

<sup>5</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, დასახ. გამოცემა, გვ. 201.

<sup>6</sup> პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 210-213; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, მეორე გამოცემა, თბ., 1990, გვ. 563, 564-566; კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურა, ტფ., 1935, გვ. 28. მითითებული მეცნიერები თვლიდნენ, რომ ქალდეა აფხაზეთა სამთავროში შედიოდა, მეცნიერების მეორე ნაწილი ფიქრობდა, რომ მასში აფსაროსიც კი არ შედიოდა - ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 335-339; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური სა-

რომ გარდა იმისა, რომ ამ დროიდან ეგრისის სამეფოს ყოფილ სახელმწიფო ტერიტორიას „აფხაზეთი“ ჰქვია, ამავე დროს, ის იონიის (ბიზანტიის) მეფის საბრძანებელია,<sup>1</sup> რასაც კარგად ადასტურებს, როგორც ეს შემჩნეული აქვს ნ. ბერძენიშვილს,<sup>2</sup> არჩილის წამებაში დაცული ერთი საყურადღებო ადგილი, სადაც არჩილი ეუბნება ამირა ასიძს „... ხოლო მამამან ჩემმან და ძმამან დასხნეს ყოველნი საგანძურნი ციხესა მას, სადათ-იგი შეიქცა ყრუ ამირა და ან აქუს იგი ბერძენთა“.<sup>3</sup> ეს ციხე (უფრო სწორად ციხენი) კი, როგორც ეს მითითებული აქვს ჯუანშერს, არის ქუთაისი და ციხე-გოჯი.<sup>4</sup>

ასე რომ, როგორც მითითებული სანდო წყაროებიდან (განსაკუთრებით, იოანე საბანისძის აბო ტფილელის წამებიდან) ჩანს, ბიზანტიამ ჯერ დაიპყრო ეგრისი და შემდეგ გააერთიანა აფხაზეთი და ეგრისი თავისი ძალაუფლების ქვეშ, აფხაზეთის ერისთავის, შემდეგ კი მთავრის ხელისუფლებით და უწოდა „აფხაზეთი“ (აბაზგია). როგორც ითქვა, ეს სულაც არ ნიშნავს აფხაზი ტომის რაიმე უპირატესობას დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ რომელიმე ტომზე. ჯერ ერთი, ფლავიუს არიანეს დროიდან (ახ.წ. II ს-დან) დაწყებული აფხაზები (აბაზგები), აფშილებისა არ იყოს, დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ტომებთან შედარებით: სანიგებზე, ლაზებზე, სვანებზე, ქართვეზე, გაცილებით პატარა ტომი იყო რიცხოვნობით. მეორე, არც ეთნოკულტურულად და პოლიტიკურად შესწევდა იმისი უნარი, თავისი განვითარების მაშინდელი დონით რაიმე ზეგავლენა მოეხდინა ჩამოთვლილ ტომებზე. მესამე, 550 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ აღარც არსებობდა საკუთრივ აფხაზეთის (აბაზგიის) ეთნოპოლიტიკური ერთეული. ჩვენი აზრით, სწორედ აფხაზების (აბაზგების) ასეთი მდგომარეობა აძლევდა ხელს ბიზანტიის ხელისუფლებას, წამოეწია და გაეცრცელებინა ეს სახელი ჯერ კლისურის დასავლეთით, ხოლო შემდეგ მთელ დასავლეთ საქართველოში, სანიგებისა და ეგრების საპირისპიროდ. ასე დაკარგა „აფხაზმა“ ტომის აღმნიშვნელი სახელის ფუნქცია და იქცა ზოგადპოლიტიკურ სახელად, „აფხაზეთი“ კი გეოგრაფიულ ტერმინად ბიზანტიის ხელისუფლების ნებით.

მეოთხედ „აფხაზეთი“-ს და „აფხაზი“-ს სახელის სივრცე VIII ს-ის 90-იანი წლებიდან გაიზარდა, როცა გაძლიერებული „აფხაზეთი“ ბიზანტიის იმპერიისათვის ცენტრიდანულ ძალად იქცა, და მისმა მთავარმა ლეონ II-ემ, ხაზართა (დედუღეთის) ძალების დახმარებით, შეძლო გადაეგდო ბიზანტიის უღელი, დასავლეთ საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ გამოეცხადებინა, სატახტო ქალაქი ქუთაისი-

---

ქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს), თბ., 1963, გვ. 181-185; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 140-142; ნ. ლომოური, ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის, ჟურ. მაცნე, 5, თბ., 1968, გვ. 85.

<sup>1</sup> იოანე საბანისძე, აბო თბილელის მარტვილობა, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 59.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 582.

<sup>3</sup> ლეონტი მროველი, მეფე ქართლისა არჩილი, ქართლის ცხოვრება, I, დასახ. გამოცემა, გვ. 247

<sup>4</sup> ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 236.

ში გადმოეტანა და თავის თავისათვის აფხაზთა მეფე ეწოდებინა. „...დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ იდვა მეფე აფხაზთა“. <sup>1</sup> უკვე დამოუკიდებელი „აფხაზეთი“-ს მთავარმა ლეონ II-ემ, თავის თავს რომ „აფხაზეთი“-ს მეფე უწოდა, ამაში უჩვეულო არაფერი ჩანს, ის ხომ მთელი დასავლეთ საქართველოს, ანუ „აფხაზეთი“-ს მთავარი იყო. დამოუკიდებლობის შემდეგ მხოლოდ ხელისუფლების სტატუსი აიმაღლა. სახელმწიფოს სახელი კი იგივე („აფხაზეთი“) დატოვა. ამ საქმეში, ალბათ, გარკვეული როლი, გარდა აღნიშნულისა, იმანაც შეასრულა, რომ ლეონ II „აფხაზთა“ სახელისუფლო დინასტიის უშუალო მემკვიდრე იყო. რაც შეეხება მათიანე ქართლისაიძი ნახსენებ სიტყვა „დაიპყრა“-ს, როგორც გამორკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა, ბიზანტიისაგან დამოუკიდებელი, სუვერენული ხელისუფლების მოპოვებას, პყრობას. <sup>2</sup> X-XI სს-ში „აფხაზი“ „ქართველი“-ს, ხოლო „აფხაზეთი“, „საქართველო“-ს თანაბარი, მისი იდენტური სახელი გახდა. <sup>3</sup>

„აფხაზი“-ს და „აფხაზეთი“-ს სახელის გაფართოება-გავრცელებას საქართველოში, ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე, იმიტაც ხსნიან, რომ „აფხაზ“-ს იმთავითვე არ გააჩნდა კონკრეტულად შემოსაზღვრული ეთნიკური ტერიტორია, ისე, როგორც ეს ჰქონდა, მაგ., ეგრ-მეგრელს. <sup>4</sup> ჩვენი აზრით, შესაძლოა, ეს მართლაც ყოფილიყო ხელშემწყობი ფაქტორი, მაგრამ მხოლოდ VI ს-ის 50-იანი წლებიდან, როცა ეთნონიმმა „აფხაზ“-მა დაკარგა ტომობრიობის აღმნიშვნელი სახელის გამომხატველობა და იქცა პოლიტიკურ ტერმინად. მთავარი კი, როგორც აღინიშნა, იყო ბიზანტიის ხელისუფლების პოლიტიკური ნება.

---

<sup>1</sup> მათიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, დასახ. გამოცემა, გვ. 251.

<sup>2</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, დასახ. გამოცემა, გვ. 216; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 563-565; მ. ლორთქიფანიძე, ეგრის-აფხაზეთი, საქართველოს ისტორია, I, 2006, გვ. 208-209

<sup>3</sup> მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990, გვ. 18.

<sup>4</sup> ო. კახაძე, აფხაზ/აფხაზა ... ფუძის თაობაზე, კრებული - საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 562-563.

## THE SETTLEMENT OF ABAZG-ABKHAZIANS AND SPREAD OF THEIR NAME AND TOPONYM "ABKHAZIA" IN GEORGIA

### Summary

THE name "Abkhazeti" (Abazgia) first appears in historical Colchis in II century A.D. The localities of their settlement were the highlands of today's Abkhazia. Their lodgement on the Black Sea coast should have started at the end of IV or at the beginning of V century, namely, in the district of Gagra. All this was connected with the reinforcement of Egrisi (Lazika) Kingdom. The powerful Kingdom of Egrisi incorporates, first of all, Apsihleti, (territory between the rivers Egristskal-Ghalidzga and the city Sebastopolis – Sukhumi (Tskhumi)), and then a part of Sanigeti's land from Sebastopolis – Tskhumi to Bichvinta (Pitsunda). A part of oppressed and weakened Sanigeti was occupied by Abazgs from the West of Bichvinta to the river Phsou. Since the beginning of V century, Abazgs' and Sanigs' ethno-political unit was influenced by Egrisi Kingdom. The Byzantine Empire undertook the implementation of various political and religious measures to dominate in the strategic Caucasian region and chose Abazgian tribes as an ally. To run the Byzantine policy in the region, the Empire sent Evnuki Eparta (brought up on the royal court of Constantinople) under whose leadership and in cooperation with different Abkhazian political circles, a number of activities were carried out – castration and sale of children was prohibited in Abkhazia; Christianity was spread on the territory; Caesar Justinian I erected a church in Traqea-Gagra; self-government was abolished in Abkhazians and Sanigs and they were united in a single political unit called Abkhazia. The Byzantine Empire revealed its principal goal and occupied the territory with Byzantine troops to establish its governance and rule of law. Not to become the slaves of Empire, the inhabitants of Abkhazia conducted a riot in 550. The rebels were divided into two principalities of Sanigs' and Abazgs'. The prince of Sanigs became Skeparna and of Abazgs - Ophsite. Abazgs ran the rebellion in a more active way and Ophsite unified every Abkhazian against Empire. Prince Skeparna of Sanigs was summoned to Iran. Byzantium sent numerous troops against Abazgs, and despite their heroic resistance, the war was unequal and the Abazgs were defeated. After the utter defeat, the Empire punished the insurgents mercilessly, either annihilating or taking them into Byzantium in serfdom. A small group of rebels found shelter with Huns under the rule of Ophsite. Byzantine soldiers almost decimated the Abkhazian tribe. They took away Western lands from Bichvinta (Pitsunda) to the river Akuenta-Shakhe in Lazika, conquered them and declared as their own provinces. They established their administration there under the rule of the Byzantine official (Archont) and finally, they called the province Abkhazia (Abkhazeti). It was the first case when the tribal name "Abkhazia" turned into a term defining a political region. For the second time, the term "Abkhazia" spread eastwards to the river Klisura in the beginning of VII century. Caesar Hercules I of Byzantium conquered the territory from Bichvinta to the river Klisura, erected the fortress Anakopia in Akhali Atoni, gave power to the Byzantine official-Archont and called him Eristavi (Prince) of Abazgs (Abkhazians). For the

third time, the name of Abkhazians broadened in the 70-ies of VIII century, when Byzantium conquered the Kingdom of Egrisi, united it with the principality of Abkhazia, subordinated it to the power of Archont and called him prince of Abkhazia. For the fourth time the significance of the term "Abkhazia" widened in the 90-ies of VIII century, when prince of Abkhazia Leon II discarded the terrible yoke of Byzantine rule, released the entire Western Georgia from their governance, transferred the capital to Kutaisi and, as the Abkhazian dynast, declared himself King of Abkhazia. After that, the names "Abkhazia" and "Abkhazian" were identified with "Georgia" and "Georgian" and acquired the same meaning in X-XI centuries.

ტაოს ისტორიული გეოგრაფიიდან

**თორთომისწყალი** („თორთუმ ჩაი“) ჭოროხის მარჯვენა შემდინარე ოლთისის-წყალს ერთვის მარცხნიდან. შესართავის შემდგომ, ვინრო ხეობა თანდათან ფართოვდება და მოულოდნელად ტბით ივსება. ტბა აქ 1791 წელს გაჩენილა, როდესაც ძლიერმა მიწისძვრამ ხორსბაშ-დაღის მთის მწვერვალი ჩამოაზევა, შეაგუბა მდინარე და მაღალ, კლდოვან მთებს შორის წარმოიშვა ტბა – მისი სიგრძე 13 კმ. და 420 მ.-ია, სიგანე კი – 2 კმ და 170მ.<sup>1</sup>

თორთომისხევი ისტორიული ზემო ტაოს (იმიერტაოს) ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული იყო. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, „თორთომის მდინარეზედ არს ციხე თორთომისა, მაგარი, კლდესა ზედა დიდშენებული. ამის მიერ იწოდა ჴეობა ესე თორთომის ჴეობად. ამ ციხეს ზეით არს ხენძორეთი, დაბა დიდი და გზა აზრუმისა ... არამედ ამ თორთომის მდინარეს მიერთვიან ჴევენი თორთომისა და შიფაქლუს მთილამ და არიან დაბნები მათ ზედა შენნი, დიდ-მცირენი ... გარდავლენან გზანი ტაოს შინა ... და ისპირის ჴეობასა შინა. არამედ თორთომის მდინარის კიდე, ხახულს ზეითამდე, ანუ ციხემდე, ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, პირრუტყვიანი, ფრინველიან-ნადირიან-თევზიანი“.<sup>2</sup> ამავე ხეობაში იყო ცნობილი ეკლესია-მონასტრები, ხახული, ოშკი, ექექი, სოხთორეთი, ისი, კარგად შესწავლილი ხუროთმოძღვრების ისტორიკოსთა მიერ.

ექ. თაყაიშვილი დანვრილებით აღწერს ხახულისა და ოშკის მონასტრების გეოგრაფიულ გარემოს. მისი სიტყვით, „თორთომისწყლის მარცხენა შენაკადის ხახულისწყლის ხეობა ვინროა და თითქმის 7 კმ.-ზე გრძელდება. სოფ. ხახული მთელი ხეობის გასწვრივაა გადაჭიმული, მდინარის ორსავე ნაპირზე. მაშინ იგი 7 უბნისაგან შედგებოდა: ჯაფარ-ალა, დერდერისი, რადენსი, ოსმან-ალა, ჩირენსი, იოლუნი და სერთი. მთელი ხეობა ხეხილნარს წარმოადგენს, ქლიავ-ჭანჭურის, მსხლის, ვაშლის, თუთის და კაკლის ხეებისგან შემდგარს. ყოფილა ლეღვის, კომპის, ზღმარტლის ხეებიც, ზოგან ვაზიც კი. ხეხილისგან თავისუფალ ადგილებზე სიმინდი და ხორბალი ეთესათ აქა-იქ და ძალიან პატარა ყანებად (40 მ<sup>2</sup>). მოსახლეობა უმთავრესად ხილეულით ირჩენდა თავს: ზოგს ჰყიდდა არზრუმში, მეტ ნაწილს კი ჩირავდნენ და საზამთროდ ინახავდნენ. „ხახულისწყლის შესართავს ზემოთ, თორთუმისწყალს ერთვის მეორე მცირე მდინარე – კისხასწყალი („ქისხა-სუ“). ამ ადგილას შემორჩენილია თორთუმისწყალზე გადაებული

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960, გვ. 32.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ნ. ბერძენიშვილისა და თამ. ლომოურის რედაქციით, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1941, გვ. 141.

ძველი, მკვიდრი, თლილი ქვით ნაგები ხიდი, რომელსაც ერთი ისრული თალი აქვს. ამ ხიდის თავთან, გზის მარჯვნივ, ჩანს თითქმის მთლიანად შემონახული, ჩვეულებრივი რიგის მცირე ეკლესია, უხეშად თლილი ქვით ნაგები".<sup>1</sup> ცხადია, ეს ხიდი არზრუმისა და ისპირის გზებთან კავშირში უნდა წარმოვიდგინოთ.

ექ. თაყაიშვილს მოჰყავს ამონაწერი პორუჩიკ ნ. შუგუროვის წიგნაკიდან, სადაც ავტორი ახასიათებს ხახულის მკვიდრებს: „სამი წლის განმავლობაში ჩემი ფრონტზე ყოფნისას, მე კარგად დავუკვირდი ნამდვილ თურქებს, მაგრამ ხახულის თურქების სახეებში, ნამეტნავად ახალგაზრდებისა, აშკარად შევნიშნე ნამდვილი ქართული სახეები. მეტად თავისებურია დიდრონი შავი თვალები და ანაგები ტუჩისა.... განსაკუთრებით ხახულის „თურქთა“ (ე.ი. გამაჰმადიანებული ქართველების) შესახებ უნდა ვთქვა, ეს ხალხი რაინდულად პატიოსანია, სიმართლით გამსჭვალულია და ფრიად სტუმართმოყვარე. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ომით გაუბედურებულნი იყვნენ, მრავალჯერ შეურაცხყოფილი სალდათთა მიერ, მათ მაინც კეთილი განწყობილება დაიცვეს ჩვენდა... განსაკუთრებით ოფიცერთა მიმართ. მე არ ვიცი შემთხვევა, რომ მათ ბოროტისათვის ბოროტით მოეზლოთ. პირიქით, სულ მცირე კეთილისათვის გვიზღვნიდენ ნათელი გულის მაღლობით“.<sup>2</sup>

ასევე ზედმიწევნითაა ექ. თაყაიშვილისეული აღწერა ოშკის გარემოსი. ავტორის მიხედვით, თორთომის ტბის მახლობლად თორთომისწყალს ერთეის პატარა მდინარე, წარმოქმნილი ოშკისხევისა და მანუსორისხევის შეერთებით. ხეების შესართავთან კლდეები ისე უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, რომ გასასვლელი გზის სიგანე ორ მეტრს არ აღემატებოდა. „ამ გასასვლელის დახშვით, მთელი ვრცელი სამკუთხედი ფერდობი თავის მონასტრიანად, წარმოგვიდგება ძნელად მისასვლელ სიმაგრედ, ვინაიდან აღმოსავლეთით მას უელის მანუსორისხევის ხრამი, სამხრეთ-დასავლეთიდან – ოშკისხევის ხრამი, ჩრდილოეთიდან კი აღმართულია მაღალი ქედი სობათი და მისი კლდოვანი მწვერვალი ბალაბეთი. ეს მწვერვალი ისეა ღვარების მიერ დასერილი, რომ შორიდან დიდი ლოდებით ნაშენი ციხე ეჩვენება კაცს... ზაფხულობით ოშკისწყალი ბალების მოსარწყავად არის ხოლმე განაწილებული, რის გამოც მისი კალაპოტი მშრალია და გზად არის გადაქცეული... თორთუმისხევის ბალები, სადაც კი წყალი სწვდება, საუცხოოა. თუმცა მონასტერი დიდ მაღლობზეა აგებული, ახლოს ვენახიც ხარობს, ისე ცხოველია იქ სამხრეთის მზის სხივები... მთელი ხეობა მოცულია ბალებით, მდელლოთი, მწვანეულობით, ხოლო მისი მაღალი ქედების ფერდობები შემოსილია ტყით“.<sup>3</sup> ახლა მონასტრებთან მისასვლელი სამანქანო გზები კეთილმოწყობილია.

ექ. თაყაიშვილს თავისი წიგნისათვის დართულ ტაბულეებში, თორთომისხევის სამი ციხის ფოტოსურათი აქვს გამოქვეყნებული: „149. თორთუმის ციხე მაღალ კუნძულზე მდინარის შუაში. 150. აღჯა-ყალა – თორთუმის ხეობის მეორე ციხე.

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი, 1917 წლის... ტ. I. გვ. 57.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი, სამუსულმანო საქართველოს დაბრუნება, „მეცნიერება“, თბ., 1991, გვ. 225.

<sup>3</sup> ე. თაყაიშვილი, 1917 წლის... გვ. 32-33.

151. ერსეს-ყალა – მესამე ციხე, უკან ართვინის მთები მოჩანს".<sup>1</sup> ციხეთა აღწერილობა არაა. თუ მესამე ციხის უკან ართვინის მთებს ხედავდა ავტორი, უნდა ვიფიქროთ, წინა ორი ციხე უფრო სამხრეთით მდებარეობდა, ე.ი. ჯერ იყო თორთომის ციხე, მერე აღჯა-ყალა, შემდეგ კი ერსეს-ყალა, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ.

ბოლო ხანს გამოცემულ ვ. ჯობაძის წიგნს (ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, „უნივერსალი“, თბ., 2007) დართული აქვს ისტორიული ტაოს, კლარჯეთისა და შავშეთის ტოპოგრაფიული რუკა, სადაც „თორთუმკალე“ (Tortumcale) აღნიშნულია თორთომისწყლის სათავისაკენ, მის მარცხნივ. ავტორი ამ ციხეს ტექსტში არ იხსენიებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ ციხეთა აგების დროისა თუ აღმშენებელთა ვინაობის შესახებ ცნებები არ გაგვაჩნია, მაინც ცხადია, რომ მათი აგება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სტრატეგიულ მდებარეობასთან. საქმე ისაა, რომ აქ გადიოდა არზრუმის ზეგნისა და შავი ზღვის დამაკავშირებელი გზა თორთომისხევით, რომელიც იკვეთებოდა მცირე აზიიდან ამიერკავკასიაზე გავლით, აღმოსავლეთით მიმავალი გზით. ამ უკანასკნელს შუა საუკუნეებში ეწოდებოდა „გზა ქართლისა“, „საქართველოს ყელი“, თურქულად „გურჯობოლაზი“. ამ გზების არსებობა უძველესი დროიდან მოდის; ამიტომაც ვარაუდობენ, რომ თორთომის ციხის მიდამოებში უნდა ყოფილიყო ძველი ქართული გაერთიანების – დაიანის მეფის, ასიას სატახტო ქალაქი (ძვ. წ. XII ს.), ასევე დიაუნის ქვეყნის (შემდგომში – ტაოხი, ტაო) ადრეული ხანის დედაქალაქი – შაშილუ. ტოპონიმ სასირეს იქვე არსებობა ამისავე მონიშნავს მიაჩნიათ.<sup>2</sup>

თორთომისხევისა და მის ციხეს საერთოდ არ იხსენიებს ძველი სომხური გეოგრაფია – „აშხარაცუიცი“. იქ თორთომისწყლის ხეობაში ორი ერთეულია დასახელებული – აზორდაცვორი მდინარის ქვემო წელზე და ოქადე, რომელიც მის ზემო წელს უნდა გულისხმობდეს.<sup>3</sup> ს. ერემიანს „აშხარაცუიცისათვის“ დართულ რუკაზე უღელტეხილის სიახლოვეს აღნიშნული აქვს „ოქალებერდ“ (ოქაღეს ციხე), მაგრამ ასეთი სახელი წყაროებში არ ჩანს.

სამაგიეროდ, თორთომს უნდა იხსენიებდეს სტეფანე ბიზანტიელი (VI ს.): „ტორტომი, ქალაქი სირიასა და არმენიას შუა“. გამომცემელი შენიშვნაში წერს: „ეს ქალაქი სხვაგან არსად იხსენიება ბიზანტიურ მწერლობაში. მისი მდებარეობის განსაზღვრა (სირიისა და სომხეთის საზღვარზე) იქნებ მიგვითითებდეს იმაზე, რომ აქ „თორთომი“ იგულისხმება“.<sup>4</sup> სხვაგნით შეუმონებელ ამ ცნობას თუ ვენდობით, მა-

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი, 1917 წლის, ... გვ. 010.

<sup>2</sup> გ. ქავთარაძე, ტაოს უძველესი ციხე-ქალაქების ადგილმდებარეობის გამო, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XII, თბ., 2006, გვ. 97-99.

<sup>3</sup> ს. ერემიანი, სომხეთი „აშხარაცუიცის“ მიხედვით, ერ., 1963, 31 (სომხ. ენაზე); დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, „მეცნიერება“, თბ., 1980, გვ. 160-1.

<sup>4</sup> გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თსუ გამომცემლობა, ტფ., 1936, გვ. 286.

შინ უნდა ვირწმუნოთ ციხის, ქალაქისა და მისი ერთეულის სიძველეს, სომხურ წყაროში სხვა სახელებით რომ აისახა.

X საუკუნეში თორთომისხევი დავით კურაპალატის სამფლობელოა. აქ აშენებს იგი ორ დიდსა და მნიშვნელოვან გუმბათოვან ტაძარს, ქართული სამონასტრო ცხოვრების სახელგანთქმულ კერებს. „მატიანე ქართლისას“ სიტყვით, დავით კურაპალატი ყოფილა „პირველად ღმრთის-მოყუარე ... ეკლესიათა მამენებელი ... ფიჩოსანთ-მოყუარე... ამან აღაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა, წმიდა ეკლესია ხახულისა“. ოშკის ტაძრის მშენებლობას დავით კურაპალატის დროს ვიტყვობთ ეკლესიის ვრცელი წარწერებიდან. ორი დიდი სამონასტრო კომპლექსისათვის ადგილის შერჩევაც არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი. ისინი სწორედ თორთომისხევის ზემო და ქვემო წელზე განლაგდებიან, „აშხარაცუიცის“ ოქალესა და აზორდაცფორის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში. სახელწოდება ოქალე ახლა არსადაა და, ჩანს, ადრევე დაკარგულა. აზორტი კი სოფელია, თორთომისწყლის მარჯვენა შემდინარეზე, დაახლოებით შუა წელზე. სწორედ აქედან უნდა დაწყებულიყო აზორდაცფორი (ე.ი. აზორდისხევი) თორთომისა და ოლთისისწყლის შესაყარამდე.

ხახულისა და ოშკის მშენებლობა ძველი ცენტრებისაგან მოშორებულ ადგილებზე, თორთომისწყლის მარცხენა სანაპიროზე, მიგვითითებს ოქალესა და აზორდის პუნქტების მნიშვნელობის დაქვეითებაზე. შესაძლოა, აქ თავის როლს ასრულებდა გზების გააქტიურება თორთომისწყლის დასავლეთ უღელტეხილებზე, რაც ბიზანტიასთან ურთიერთობით იქნებოდა გამოწვეული. ამ პერიოდის სამხრეთ საქართველოში ძველი ცენტრების ადგილმონაცვლეობა სხაგანაცაა დამონმებული: დმანისხევში – ქვეში-დმანისი, ნოფისხევში – ნოფი-ხოყორნია, ჯავახეთში – წუნდა-ახალქალაქი.... იქაც ამ ახალ ერთეულებს სრულად ფარავს ახალი ცენტრის სახელწოდება. ამრიგად, ხახული და ოშკი მხოლოდ მონასტრებს კი არა, არამედ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს აღნიშნავდნენ, ძველისაგან განსხვავებული ცენტრებით. არც ისაა უჩვეულო, რომ ეს ერთეულები საკულტო პუნქტებითაა სახელდებული, შდრ.: მანგლისხევი, ბოლნისისხევი, ბანა... მთავარი კი ისაა, რომ ამ ახალ ერთეულებს ახლავთ თავისი ციხეები. ხახულის ციხე უნდა ყოფილიყო თორთომისწყლის მარჯვენა სანაპიროზე შემორჩენილი ციხესიმაგრე, ხუთვერსიან რუკაზე იუნგიუზიუ-კალა რომ აწერია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ იმავე რუკაზე ხახულსა და ციხეს შორის თორთომისწყალზე აღნიშნულია ხიდის ნანგრევები, რომელსაც თათარსან-კეპრი, ე.ი. თათარსანის ხიდი ჰქვია. მაშასადამე, ეს ხიდი აკავშირებდა ციხეს ხახულთან და კიდევ უფრო მეტად იმ გზასთან, რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირს მიუყვებოდა. ხახულისწყლის აყოლებით გზა დასავლეთითაც მიემართებოდა ისპირისაკენ, სადაც საყურადღებოა რუკაზე აღნიშნული ხიდი ბიუიკ-ბალჩესთან და შემდეგ ციხის ნანგრევი ხახულისწყლის მარცხენა სანაპიროზე. არაა გამორიცხული თორთომისწყლის მარჯვნივ მყოფ იუნგიუზიუ-კალას

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, გამოცემა ს. ყაუხჩიშვილისა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1955, გვ. 274. შემდეგ: ქ.ც.

ძველად ხახულის ციხე რქმეოდა. სწორედ მისი და არა მონასტრის მფლობელობიდან უნდა მოდიოდეს საერო პირის გვარსახელი ხახულარი. იგი, ისევე როგორც ხერთვისარი, ოთარი და სლესარი, ციხეთა მფლობელობიდანაა წარმომდგარი და ხშირია შემდგომ საუკუნეებში. ექ. თაყაიშვილი სურათების ზემოხსენებულ ტაბულაზე ამ ციხეს შეცდომით თორთომის ციხესთან აიგივებდა, რომელიც უფრო ზევით, თორთომისწყლის სათავეებშია.

ხახულის სახელი რომ ერქვა იუნგიუზიუ-კალას, ამას ქართული წყაროც გვიმონმებს: „... შავშეთის ლადოთა შინა გამოჩნდა კაცი ასპანის-ძე, გუარითა არა უაზნო... ამას ზაქარია ერქუა სახელი... მარტოდ იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა: აილო ბანა, ხახული და სხუანი მრავალნი სახელოვანნი ციხენი და ადგილნი“.<sup>1</sup> ცხადია, ბანა და ხახული აქ ციხეებსა და მათ დაქვემდებარებულ ადგილებს, „ციხე-ქვეყნებს“ გულისხმობს. ამ ტერმინს ხმარობს სუმბატ დავითის-ძე სწორედ ბასილიმპერატორისაგან გიორგი მეფისათვის წაყენებულ მოთხოვნებში: „ითხოვდა გიორგი მეფისაგან ციხე-ქუეყანათა“.<sup>2</sup>

ხახულისავე მსგავსი ვითარება უნდა ყოფილიყო ოშკის მონასტერთან დაკავშირებით. მართალია, თვით მონასტერი ძნელად მისასვლელ ადგილზე ყოფილა აგებული, მაგრამ თვით ოშკისხევისა და მეზობელი იუნგუზიუისხევის აყოლებით, ჭოროხის აუზში გადადის გზა. ამ გზაზე, ბეჯიგინის უღელტეხილის შემდეგ, საყურადღებოა ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნული ხიდი და ციხის ნანგრევი – კალა-ბოიუნი. თორთომისწყლის ქვემო წელზე ერთადერთი ციხე რუკაზე ამშემუენის ციხის ნანგრევიანია. ეს უნდა იყოს ექვთ. თაყაიშვილის ფოტოზე ასახული „ერსეს-ყალა – მესამე ციხე, უკან ართვინის მთები მოჩანს“ (იხ. ზევით). ასეთი დასახელება რუკაზე თორთომისხევი არაა. არსისი იქ ჭოროხის მარჯვენა შენაკადზეა აღნიშნული.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხახულის მსგავსად, ოშკის სახელწოდება აქაც ვრცელდებოდა ეშემუენის ციხეზე. ამის დასტურად გამოდგება ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატინის ცნობა: ბასიანის ომის „შემდგომად აილეს კარი, და ციხენი კარნიფორისა და ვანანდისნი და რაჭისს პირის ციხენი; და წინა ამისსა ხახული, ოშკი და ბანა წაელო“.<sup>3</sup> წინამაგალი წინადადების მსგავსად, აქაც ხახულის, ოშკისა და ბანას ციხეები იგულისხმება.

ელ. მეტრეველის ვარაუდით, ოშკის მონასტერი მისი აშენების დამთავრების დროიდანვე (973 წ.) ჩორდვანელთა დიდი სახლის საკუთარი მონასტერი ყოფილა. ჩორდვანელთა სახლი კი სამცხის ძველი ფეოდალური საგვარეულოს – ჩორჩანელთა განშტოებაა, რომელიც X ს-ის დამდეგიდან მკვიდრობს სამხრეთ ტაოში. ჩორდვანელთა მიერ ოშკის დასაკუთრებას ავტორი ასაბუთებს იქ გადაწერილი ხელნაწერის ანდერძით, სადაც გადამწერი – იოვანე ჩირაძე ხელნაწერის მომგებლებს – იოვანე-თორნიკეს და იოვანე-ვარაზვარჯეს უწოდებს „უფალთ“, ხოლო თავის თავს –

<sup>1</sup> ბასილი ეზოსმოდგარი, ქც., II, 1957, გვ. 130.

<sup>2</sup> ქც., I, გვ. 384.

<sup>3</sup> ქც., I, გვ. 368.

მათ მსახურს.<sup>1</sup> უნდა ითქვას, რომ თუ ამ „უფლებში“ მართლაც ოშკის ფლობა იგულისხმება (ეს ცნობა ერთადერთია), მაშინ ჩორდვანელებს ეს მონასტერი მალევე დაუკარგავთ: მას ჯერ ბიზანტიის იმპერატორები დაეპატრონენ, შემდგომში კი – მცხეთის საპატრიარქო.

კლარჯეთთან შედარებით ტაო უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული; გზებთან დაკავშირებული მცირე ქალაქებიც აქ მეტი იყო: ოლთისი, თორთომი, ხახული. თორთომის ტბის შემდგომ გზა საკმაო სიძნელის ვინრობებში გადის, შემდგომ შედარებით მეტია გაშლილი ადგილები. ტ.ა. სინკლერი ვარაუდობს, რომ რაკი დავით კურაპალატი ქვემო ტაოს არ ფლობდა, ამიტომ მისი მთავარი სადგომი თორთუმ კალეში უნდა ყოფილიყო. ამ არჩევანს ისიც განაპირობებდა, რომ ზემო ტაოში ქალაქისათვის ყველაზე ხელსაყრელი ადგილი სწორედ იქ იყო.<sup>2</sup>

სხვების გვერდით, თორთომისხევის ციხე-ქვეყნები – ხახული და ოშკი – თავისი მონასტრებით უნდა ვივარაუდოთ სუმბატ დავითის-ძის ცნობაში: დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდგომ, „აოკრდა იმიერ-ტაო; და გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე, და მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავითისათა, და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა“.<sup>3</sup> ხახულისა და ოშკის სამეფო მონასტრების დაპატრონება ბასილის მიერ ასახულია ოშკის წარწერებშიც; ერთი მათგანი გვაუწყებს: „წმიდაო სამეზაო, ადიდენ შენ მიერ გვრგვინოსანნი მეფენი ბასილი და კონსტანტი, რომელთა მიერ განსრულებულ იქმნა მეორედ დაბურვითა ტაძარი ესე ღმრთისაჲ მონაზონობასა გრიგოლისსა და დავითისსა. ქრისტე, შეინყაულე მონაჲ შენი გრიგოლ და წყალობით მოიხსენე გალატოზი იესე“. ეს მომხდარა 1022-25 წლებში; მეორე წარწერაში იკითხებოდა: „გარდაიცვალა თვითმპყრობელი წმიდაჲ მეფჲ ბერძენთა ბასილი ქრონიკონსა : სმე (1025)“; ოშკის ტაძრის მოხატულობის შესახებ კი გვამცნობს მესამე წარწერა: „... განვაშუენე და შევამეჲ ტაძარი წმიდისა წინამორბედისაჲ საფასითა სულკურთხეულისა ჯოჯიკი პატრიკისაჲთა, აკურთხენ ღმერთმან და ადიდენ! ქორონიკონსა სნე (1036) ბერძენთა...“ ამასთან დაკავშირებით ვ. ჯობაძე წერდა: „წარწერაში ნახსენები ჯოჯიკი, რომლის შემონიშნულობით მოიხატა ტაძარი, ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე და დორისტოლონის სტრატეგოსი იყო, ტაოს მეფისწული, თევდატის ძე და ბიძა ფერისისა, რომელთაც იხსენიებენ „მატიანე ქართლისა“ და XI ს-ის მემატინე სუმბატ დავითის ძე. მისი ნოდება – „პატრიკოსი“ მოწმობს, რომ იგი ბიზანტიელთა სამსახურში ყოფილა და რაღაც ადმინისტრაციული თანამდებობა ჰქონია ტაოს იმ ნაწილში, რომელიც დაისაკუთრა ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ე. მეტრეველი, წარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, „ნეკერი“, თბ., 1998, გვ. 23, 35-6, 57.

<sup>2</sup> T. A. Sinclair, Eastern Turkey: An Architectural and Archeological Survey, v. II, The Pinder Press, London, 1989, 36-6.

<sup>3</sup> ქც., II, 382.

<sup>4</sup> ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, „უნივერსალი“, თბ., 2007, გვ. 162, 163.

თორთომისხევი იმიერტაოსთან ერთად საქართველომ XI ს-ის II ნახევარში შემოიერთა და მის შემადგენლობაში დარჩა ის ოსმალთა მიერ სამხრ. საქართველოს დაპყრობამდე XVI ს-ში. XII-XIII საუკუნეებში ხახული და ოშკი სამეფო მონასტრებად უნდა ვიგულისხმოთ. თითქოს ამაზე უნდა მეტყველებდეს დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ომში მოპოვებული ძვირფასი მანიაკის შეწირვა ხახულის ღმრთისმშობლის ხატისათვის; ასევე თამარ მეფის მიერ ხახულისათვის შეწირვა შამქორის ომში მოპოვებული ხალიფას დროშისა; თამარის ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ შამქორის ომის მერე მეფემ „დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმა, წარგზავნა ეს მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღმრთისმშობლისასა, მსგავსად მამის პაპისა მათისა: მაშინ მას წარგზავნა მოძრციელი ქედისაგან დორბეზე სადაყაის ძისა, უამთა დიდგორთა გაქცევისათა, მანიაკი ოქროსა, შემკული თუალებითა ძურფასისათა“.<sup>1</sup> ხახულის სამეფო მონასტრის სიმდიდრეზე დამაჯერებლად მეტყველებს იქაური ღმრთისმშობლის მინაწერის ხატი (X-XII სს.), ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ტრიპტიხი. ამ პერიოდში აქ არსებული ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარების შესახებ ჩვენ წყაროების ნაკლებობას განვიცდით. მიუხედავად ამისა, ჩანს, თორთომის ციხე მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე. 1306 წელს მცირეაზიელ თურქთა შემოსევისას, აზატ მოსეს წინამძღოლობით 60 000 კაცი „მოინია ბასიანსა და ტაოს... მაშინ ერისთავი ტაოსა თაყა ფანასკერტელი უღონო იყო სიმცროსათვის ლაშქრისა, გარნა ეგრეცა მცირე წყობა ყო ციხისა თორთომისა თავსა, დიდად ავნო, გარნა სიდიდისათვის თურქთასა ქუეყანით მისით ვერ განასხნა“.

1401 წ. თემურ-ლენგს საქართველოში ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ტაოზე გამოუვლია. ამ ლაშქრობათა აღმწერი ნიზამ ედ-დინ შამი გვაუწყებს, რომ თემურისათვის მოუხსენებიათ თორთომის ციხის ამბავი: ამ ადგილების მბრძანებელი თაყა აქედან წასულიყო და თავის მონაცვლედ გორჯიკი დაეტოვებინა 200 ქართველით. ამ ციხეში გამაგრებულნი, ისინი ჯიზიას არ იხდიდნენ და მუსლიმანებს ავიწროებდნენ. დანებებაზე წინადადების პასუხად ისინი, „ციხის მიუვალობით გაამაყებულნი, საბრძოლველად გამოვიდნენ და ხუთი დღის განმავლობაში უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ. მეექვსე დღეს ურწმუნოები დამარცხდნენ და დაისაჯნენ, ხოლო ციხე საფუძვლამდე იქნა დანგრეული. ამის შემდეგ თაყა, იმ ადგილების მბრძანებელი, მისი უდიდებულესობის ფეხზე საკოცნელად მოვიდა. ლანგ-თემურმა მას სული აჩუქა და მისგან წყენა დაივიწყა“. თორთომის ციხისა და მისი მიმდგომი მხარის მფლობელი ეს თაყა ზემოხსენებული თაყა ფანასკერტელის მემკვიდრე უნდა იყოს, ტაოს იმჟამინდელი ერისთავი.<sup>2</sup> თორთომის ციხის დაცემის შედეგად დამარცხების აღიარება ტაოს ერისთავის მიერ ამ ციხის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

<sup>1</sup> ქც., II, გვ. 74.

<sup>2</sup> დ. ბერძენიშვილი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, „ნარკვევები“, „სამკალი“, თბ., 2006, გვ. 14-5.

თორთომისხევეში შექმნილ ვითარებაზე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის 1516 წლის საბუთი: „მცხეთის ეკლესიისა ძუელითგან საქონებელნი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი“; იქ იკითხება: "1. კავკასისძე მისითა მამულთა. 2. პარხალი მისითა შესავლითა და აზნაურიშვილებითა საყმოდ... 20. ხახულარნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა... 24. საყმოდ მონასტერი ოშკი მისითა შესავლითა"; ვარიანტული კითხვასხვაობა უმატებს: „ოშკი მისითა შესავლითა და თორმეტითა აზნაურშვილითა“.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, თორთომისხევიდან აქ ცალკე ერთეულადაა დასახელებული ხახულარი მონასტრითა, რაც ხახულს უნდა გულისხმობდეს. მეორე ერთეულია მონასტერი ოშკი მისი შესავლით და 12 აზნაურიშვილით. ეს იგივე ერთეულებია, ზემოთ ხახულის და ოშკის სახელით რომ გამოჩნდნენ, XII-XIII საუკუნეთა ციხე-ქვეყნები, თავისი მონასტრებით. მცხეთისადმი ამ ორი ერთეულის დამოკიდებულება განსხვავებული ჩანს: ოშკის მონასტერს, მის შესავალსა და აზნაურიშვილებს თავშივე აწერიათ – „საყმოდ“, ე.ი. ის მცხეთის „ძუელთაგან საქონებელში“ ითვლება, როგორც ეს სათაურშია განსაზღვრული. ხახულარებსა და მათ მონასტერს „საყმოდ“ არ მიიჩნევენ, ე.ი. ისინი „სამწყსონი“ არიან სვეტიცხოვლისა.

XVI ს-ის 20-იანი წლებისათვის ერთი თურქული დოკუმენტი აღნიშნავს, რომ წარმანის ოლქიდან, დაახლ. 25 კმ-ზე „თორთუმის ციხეა, ამ მხარეს ხახოს ხეობას უწოდებენ. ძალიან კარგი რაიონია. გარდა ამისა, რამდენიმე პატარა ციხეც არის, ერთს აღჯაყალას უწოდებენ. თორთუმის ციხე თავდაპირველად ყვარყვარესი იყო, მაგრამ დროებით ქურცინას ხელში გადავიდა. ქურცინას ძველი მთავარი ციხე კი აღჯაყალა იყო. ხსენებული ციხეები ამჟერად ხელთ აქვს ერთ ურჯულო აზნაურს, სახელად როსტომს. ხახოს მხარე იშხანის სახელითაც არის ცნობილი. აქ დაახლოებით 100 სოფელია. მათ შორის 20-30 დამოუკიდებელი წვრილი აზნაური ცხოვრობს... დასაწყისიდან აქამდე ხსენებული მიწები საქართველოს საზღვრებია და იმ შემთხვევაში, როცა ლაშქარი საქართველოში შეჭრას გადაწყვეტს, ხსენებული მიდამოებიდან თუ შევა“.<sup>2</sup>

ზემონსენებულ დოკუმენტში თორთომისხევის ზემო წელზე მდებარე ხახულზეა საუბარი, რომელსაც მაშინ ხახოს ხეობას უწოდებდნენ; ხახო ქართული ხახულის გადათურქებული ფორმაა. თურქთაგან აღჯაყალად წოდებული ციხე, ხახულის მახლობლად, თორთომისწყლის მარჯვნივ მდებარე ციხეა, ხიდი, რომ იყო დაკავშირებული მარცხენა სანაპიროს (იხ. ზევით); გ. ქავთარაძის ზეპირი ცნობით (რამდენჯერმეა იქ ნამყოფი), ადგილობრივები ამ ციხეს ახლაც „ახჩეს“ უწოდებენ, რაც აღჯაყალის გამოძახილი უნდა იყოს. ქურცინასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 1518 წელს, თურქული წყაროს მიხედვით, სულთან სელიმის კარზე „შეიკრიბა დივანი, ქურცინად სახელდებულ გიაურბეგს, რომელიც მოვიდა და ერთგულება გამოავლინა, საქართველოზე დაქვემდებარებული სანჯაყის სახით ვილაიეთის ბეგლარბეგობა უბოძეს. მოვიდა, სულთანს ხელზე ემთხვია და ბერათი

<sup>1</sup> ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, "მეცნიერება", თბ., 1970, გვ. 242, 244. შემდ: ქსძ.

<sup>2</sup> თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, ც. აბულაძის გამოც., „მეცნიერება“, თბ., 1983, გვ. 54.

მიიღო". აქ სანჯაყის სახელი მოხსენიებული არაა, მაგრამ ბუნებრივი იქნება ხახული ვივარაუდოთ. ქურცინას გვარი წყაროებში არ ჩანს. აზნაური, სახელად როსტომი, რომელსაც „დროებით“ ხელთ შქონია თორთომისა და აღჯაყალის ციხეები, ცის. აბულაძის დაკვირვებით, ამატაკისშვილი უნდა იყოს. ამ საგვარეულოს XVI ს-ის დასაწყისში ხერთვისართა მამულიც დაუკავებია („ხერთვისარნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ქაქაქაძისძისა ეულზედა არიან, ამატაკიანთა აქუს“<sup>1</sup>). როსტომთან დაკავშირებით, მართლაც ნიშანდობლივია, რომ 1578 წ. არფაქსად ამატაკიშვილმა ოსმალებს ხერთვისი და ხუთი ციხე „შესძლუნა“, მათ კი არფაქსადს „ხახული სასანჯაზოდ მისცეს“. „ჩვეულებრივ, სანჯაყებებს იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით თავიანთი მემკვიდრეობითი მამულები ეძლეოდათ საგამგებლოდ“.<sup>2</sup> აქ კარგად ჩანს, როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში ხახულართა სამფლობელო. თურქულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ხახოს მხარე იშხნის სახელითაც არის ცნობილი. აქ იშხნის საეპისკოპოსო კათედრალი უნდა იგულისხმებოდეს, ოლთისისწყლის მარჯვენე მდებარე. მართლაც, XVI ს-ის დასაწყისის სამცხე-საათაბაგოს მღვდელთმთავართა ნუსხაში სხვებს შორის დასახელებულია: „...იშხნელის სამწყსო: გურჯიბოლაზს აქეთ, სულ თორთომი, ტაოსკარს ქვემოთი, არტანუჯის-თავს საკრულავი შქვიან, იმას აქეთი; გაღმით ორჯოხის მთის აქეთი, სულ საკავკასიძო, ისპირ-ტრაიზოხის მთას გარდმობლმა... ამ ეპისკოპოსთა მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათალიკოსნი არის იმის ჳელთ არის ყოველივე“.<sup>3</sup>

აქ დასახელებული „სულ თორთომი“ თორთომისხევს აღნიშნავს ხახულისა და ოშკის ერთეულებიანად; საკავკასიძო – კავკასიძეთა მამულია, რომელიც, ჩანს, XI ს.-დან მოიცავდა ჭოროხ-ოლთისისწყლის შესართავის ზონას, ოთხთა ეკლესიას, პარხლის მონასტერს, კავკასიძეთა ციხე-რეზიდენციას და სამლოცველოს ოთხთა ეკლესიის სიახლოვეს, სადაც მურვან კავკასიძის XV ს-ის ფრესკული წარწერაა შემორჩენილი.<sup>4</sup>

ძალზე საინტერესო სურათს გვიხატავს ნავ-ყვარყვარე ათაბაგის 1532 წლის შეწირულობის წიგნი პორტაიტის ღმრთისმშობლისადმი ათონის ივერთა მონასტერში. ტექსტიდან ირკვევა, რომ ათაბაგის ურჩ ფეოდალებს – ქურცინასა და მის შვილებს აზანშერსა და იბაშერს დაუპყრიათ ყვარყვარეს „სახელმწიფო ... სრულიად ხახულის თემი; ესრეთა დაიპყრეს, ვითარმცა ყოვლადვე არა ყოფილი ჩუენი. და მრავალჯერ ეემოქენნით თუით თავითა, რომელ არა დაგვიშთა არა ეპისკოპოზი, არა თავადი, არა დარბაზის ერი... ვითარმედ: ნუ დაიპყრობ საჳელმწიფოსა ჩუენსა, ხოლო მან... სრულიად ექსორია გუყვნა ხახულის თემისაგან და დაიჭირნა ციხენი ჩუენნი“.<sup>5</sup> თურქული დოკუმენტების მიხედვით კი, 1518 წლამდე მათ შეუპყრიათ ზაქარიას შვილი ხახულარი

<sup>1</sup> *ქრ. შარაშიძე*, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., თბ., 1961, 34.

<sup>2</sup> თურქული წყაროები ..., გვ. 26-27, 44.

<sup>3</sup> ქსძ, III, გვ. 245, 246.

<sup>4</sup> *ე. ჯობაძე*, დასახ. ნაშრ., გვ. 199, 215.

<sup>5</sup> *ელ. მეტრეველი*, ნარ-ყვარყვარეს უცნობი დოკუმენტი „მრავალთავი“, IV, „მეცნიერება“, თბ., 1975, 203.

და მისი ხუთი აზნაური.<sup>1</sup> ისინი მცხეთის სამწყსოში ითვლებოდნენ, ხოლო პოლიტიკურად, ჩანს, ათაბაგს ექვემდებარებოდნენ. ზაქარიას შვილი ხახულარი აქ სახელად ქცეული საგვარეულო სახელი უნდა იყოს (მდრ.: თორელი, თმოგველი, ახალციხელი...)

ქურცინას შვილები ოსმალების მხარდაჭერით ისე მომძლავრებულან, რომ ყვარყვარესათვის უვნებლობის ფიცი ჩამოურთმევიათ: „...დღე ფიცი გუთხოვა; ჩუენცა დავმორჩილდითა და მივეცით ფიცი დიდისა მოჭირვებისათვის“<sup>2</sup> -ო, აღნიშნულია შენირულობის წიგნში.<sup>3</sup> 1521 წლის ერთ თურქულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ოსმალთაგან ყვარყვარე ათაბაგის დაქვემდებარება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე 100 აზნაურის დამორჩილება.<sup>3</sup> ჩანს, სულთნის კარზე ეს რჩევა გაუთვალისწინებიათ, ამით ისარგებლა ათაბაგმა და, როგორც თვითონ აცხადებს, „ქურცინას ძენი ჴელთა დავიჭირენ, და ჩუენგან მიცემული ფიცი გატყდა, და ფიცი გაუტეხეთა და ნაუხუენ ციხენი, სოფელნი და თემი სრულობითა ხახულისა“. რა ბედი ენიათ ამის შემდეგ ქურცინას ძეებს, არ ჩანს; ელ. მეტრეველი ვარაუდობდა, რომ ათაბაგი აღზევებულ ფეოდალებს დედაბუდიანად ამოადგებდა.<sup>4</sup> ფიცის გატეხა ყვარყვარეს რომ დიდ ცოდვად მიუჩნევია, ჩანს სიტყვებიდან: „გარდაეჴედით მცნებასა, ვითარცა პირველი იგი კაცი, მამა ჩუენი ადამი...“ სწორედ ამ დიდი ცოდვის შესანდობლად მას პორტაიტას ღმრთისმშობლისათვის შეუწირავს „მცირედი ესე ძლუენი ხახულს, თორთომს მარილის ბაჟათ გამოსავალი თეთრი სრულობით“.<sup>5</sup>

ქართული და თურქული წყაროების შეჯერებით ირკვევა, რომ არსებობს "სულთორთომი", ე.ი. თორთომისხევი; ის შედგება ორი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულისაგან: „აშხარაცუცის“ დროს ოქალე და აზორდაცფორი; შემდგომში ხახულის და ოშკის ციხე-ქვეყნები თავისი მონასტრებით; გვიან შუა საუკუნეებში გვხვდება „ხახოს ხეობა“, რაიონი, მხარე, „სრულიად ხახულის თემი“. ბერძნულიდან შემოსული ეს ტერმინი ცვალებადი შინაარსის იყო ქართულ სინამდვილეში. სამხრეთ საქართველოში ქართველი ისტორიკოსი ასახელებს „ქვაბულიანის თემს“ სამცხეში; ჟამთააღმწერელი გვამცნობს, რომ დავით ულუმ სარგის ციხისჯუარელს ჯაყელს „ქვაბულიანის თემი ერთი სამცხეს და საყდარი ტბეთისა შავემთს სიგლითა სამამულოდ მიუბოძა“.<sup>6</sup> ეს „თემი“ ქვაბლიანისხევის უნდა აღნიშნავდეს. ბექა-აღბულს სამართალში მიმართავენ „ხუთსავე თემსა სამცხისასა“,<sup>7</sup> რაც ასევე ხეებს უნდა გულისხმობდეს – ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გაგებით. ამასვე აღნიშნავს „სრულიად ხახულის თემი“; ეს იგივე უნდა იყოს, რაც ქურცინასათვის, შემ-

<sup>1</sup> თურქული წყაროები ..., გვ. 49.

<sup>2</sup> ელ. მეტრეველი, ნავ-ყვარყვარეს..., გვ. 203.

<sup>3</sup> თურქული წყაროები ..., გვ. 53.

<sup>4</sup> ელ. მეტრეველი, იქვე, გვ. 194.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 203.

<sup>6</sup> ქც. II, გვ. 247.

<sup>7</sup> ქც. I, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბ., 1963, გვ. 435.

დგომში კი არფაქსად ამბატაკისშვილისათვის სანჯაყად მიცემული ხახული. თურქულ წყარო იქ 100 სოფელს და 30-მდე აზნაურს ასახელებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე თემი იქნებოდა „მონასტერი ოშკი მისითა შესავლითა და თორმეტითა აზნაურშვილითა“ „სულ თორთომის“ შემადგენლობაში.

წყაროებით ირკვევა, რომ თორთომი ხახულის თემში შემავალი ციხე ყოფილა, რომელსაც საბაჟო ჰქონია. იქაური „მარილის ბაჟათ გამოსავალი თეთრი სრულობით“, ყვარყვარეს რომ შეუწირავს, საკმაოდ დიდი თანხა უნდა ყოფილიყო. ეს ჩანს იმ ვალდებულებებიდან, რომლებიც მონასტრის ძმობას უნდა ეკისრა შეწირულობის სანაცვლოდ: წლიდან წლამდე „თავსა საყდარში ერთი დაუესებელი კანდელი მაცხოვრის ხატის წინაშე ჩემ, პატრონის ყუარყუარეს სულის სახსრად და ყოვლად წმიდისა წინაშე ერთი დაუესებელი კანდელი პატრონის ანას სულის სახსრად და ორი კანდელი დაუესებელი ორთავესთუის პორტიცისა ღმრთისმშობლის წინაშე ენთებოდეს“. გარდა ამისა, მთელი წლის მანძილზე კარგალებული ალაპი უნდა გადაეხადათ ყოველი თვის პირველ შაბათს მღვდელთა წირვით, მონაზონთა ლოცვა-კურთხევითა და სხვ.<sup>1</sup>

ათაბაგის შეწირულობა პირველად დასახელებულია, როგორც „თორთომს მარილის ბაჟათ გამოსავალი თეთრი სრულობით“, შემდგომ კი ორჯერ – „თორთომს მარილის თუალი“ და „თორთომს მარილის თუალის გამოსავალი თეთრი“. ნიკო ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ „მარილის თუალი (ენოდება) მარილის ქვის ნატეხსა სპეტაკსა და გამჭურვალესა ... ამას ეწოდება ქვს მარილი, ხოლო ზღვათა და ტბათა ზედა მოგროვებულსა – ხაშური“.<sup>2</sup> დავით ჩუბინაშვილიც ქართულ-რუსულ ლექსიკონში „მარილის თვალს“ თარგმნის როგორც „прозрачный кусок каменной соли“.<sup>3</sup> ქართულ სიმღერაში ნათქვამი „აღზევანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო“, გულისხმობს ყალიზმანს – პუნქტს ყარსის ვილაიეთში, რომლის მიდამოებში ძველთაგან მოიპოვებდნენ ქვამარილს. უნდა ვიფიქროთ, ძირითადად აქედან მოტანილი ქვამარილი გაივლიდა თორთომის საბაჟოს. ძირითადად-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ რუსეთის გენშტაბის ხუთვერსიან რუკაზე, თორთომის ციხის სიახლოვეს, თორთუმ-დერესის მარჯვენა შენაკად რაბატ-დერესიზე აღნიშნულია მარილის სატეხი (солен. помка). აქვე საინტერესოა დასახელებული პუნქტი რაბათი, რაც აღმოსავლეთის ქალაქებში გარეუბანს აღნიშნავდა, ხოლო გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში – ციხესთან მყოფ სოფელს.

1549 წლის აგვისტოში ოსმალებმა დიდი ბრძოლის შედეგად თორთომის ციხე აიღეს, შემდეგ ნიხახის და ამილახორის ციხეები დანებდნენ. ახჩაყალაც ბრძოლით იქნა აღებული.<sup>4</sup> XVII ს-ის ოსმალთა ისტორიკოსი ქათიბ ჩელები ამ ამბებს 1548 წლით ათარიღებს და წერს: „ამ დროს აიღეს ნიხახი და ამირახორი – ორი პატარა ციხე თორთომის

<sup>1</sup> ელ. მებრეველი, იქვე, გვ. 201, 203-204.

<sup>2</sup> ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961.

<sup>3</sup> დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1984.

<sup>4</sup> იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გამოსცა ს. ჯიქიაშ, „მეცნიერება“, თბ., 1964, გვ. 27, 103.

მახლობლად. თორთუმი არზრუმიდან ორი დღის სავალზეა, პატარა ციხეა... ახჩა-ყალა ამ მიდამოებში ამალღებულ ადგილზეა აშენებული, მტკიცე ციხეა საქართველოს შესასვლელში... ეს ციხეც დასახლებულ წელს აიღეს... ლივანას, თორთუმსა და ქაშხისში თითო სანჯაყი დაანესეს". შემდეგ ავტორი აგრძელებს: „თორთუმი პატარა ქალაქია, არზრუმის ჩრდილოეთით, ორი დღის სავალზე ხევში. მის მახლობლად გეარჯილის საბაღოა. თორთუმში ჩამავალი ხევის მდინარე ახჩა-ყალის ნაპიეში შედის (ე.ი. „ჩაენდინება“ – დ.ბ.), შემდეგ საქართველოში და შავ ზღვას ერთვის".<sup>1</sup>

იმავე საუკუნის მეორე ისტორიკოსის ევლია ჩელების „მოგზაურობის ნიგნი“ ჩვენთვის საინტერესო ადგილებზე უფრო ვრცლადაა მოთხრობილი; იქ ვკითხულობთ: „ახჩაყალას *აღწერა*: თორთუმის სანჯაყში შედის; საქართველოს მინაზე მდებარეობს და იგი უღამა-ფაშას აუშენებია საქართველოს დასაპყრობად და ხელში ჩასაგდებად. მაგრამ დროთა მსვლელობით ციხე დანგრევის პირასაა. ციხისთავი და მეციხოვნეები არა ჰყავს. თორთუმის ჩრდილოეთით მდებარეობს: ექესასი სახლი, ჯამე, ფუნდუკი, აბანო, მცირე ბაზარი და სასულთნო ბაზარი აქვს. ბაიაზეთეელი უფლისწულობის დროს, ტრაპიზონში ვალის თანამდებობაზე რომ იყო, ამ ციხეს ალყა შემოარტყა და რადგანაც მისი დაპყრობა ძალიან გაუჭირდა, დაპყრობის შემდეგ მისი ზოგი ადგილი დაანგრევინა ... *თორთუმის ციხის ამბავი*: საქართველოს მეფის მამრულის აშენებულია. შემდეგ უზუნ-ჰასანის ხელში გადავიდა და მისგან კი – სულთან მეჰმედ II ფათიჰისა. მაგრამ შემდეგ ისევ ქართველებმა დაიპყრეს. სულთან სულეიმან-ხანმა როგორც კი შეიტყო მისი დაპყრობის ამბავი, მაშინვე მეორე ვაზირი აჰმედ-ფაშა კარგა დიდი ჯარის სარდლად დანიშნა და გაავზავნა. ისიც მოვიდა და სანგრებში რომ შევიდა, შვიდი დღისა და შვიდი საათის ბრძოლის შემდეგ ციხე დაიპყრო. შიგ საკმაო რაოდენობის მეციხოვნეები, ჯაბახანა, ზარბაზნები და სხვა მარაგი დატოვა. თავისი ჯარით ნიეჯახის ციხისკენ წავიდა და აქედან – ამირახორის ციხისაკენ. ციხეები დანებდნენ... იქიდან ახჩა-ყალეს მივიდა. შვიდ დღეში დაიპყრო და ციხის ბურჯებზე მაჰმადიანური ლოცვა აღავლინა".<sup>2</sup>

იბრაჰიმ ფეჩევისა და ქათიბ ჩელების ცნობებიდან წინ მოყვანილ ამონაწერებს თუ გავიხსენებთ, ევლია ჩელებისთან ნახსენები ნიეჯახის ციხე იგივე ნიხახის ციხე უნდა იყოს, ამირახორის ციხის წინ რომაა დასახლებული. ევლია ჩელებისთან შემდგომ იკითხება: „თორთუმის *ციხის აღწერა*: მაღალ გორაკზე ოთხკუთხა შენობაა. ერთი რკინის კარი აქვს. შიდაციხეში თვრამეტი სახლი და სულთან სულეიმან-ხანის მცირე ჯამეა. ერთი ამბარი აქვს. ქვედა გარეუბანში კეთილმოწყობილი და მშვენიერი შენობაა, რომელთა რიცხვი შვიდასს აღწევს. შვიდი უბანი და შვიდი მიჰრაბი აქვს. ორი აბანო, ორი ფუნდუკი, ათი ყმანვილების სასწავლებელი და სამოცდაათამდეც ყოველგვარი ხელობის სახელოსნო დუქანი აქვს. დახურული ბაზარი, საქ-

<sup>1</sup> ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გამოსცა გ. ალასანიძე, „მეცნიერება“, თბ., 1978, გვ. 136-7, 165.

<sup>2</sup> ევლია ჩელების „მოგზაურობის ნიგნი“, გ. ფუთურჩიძის გამოც., ნაკვ. 1, „მეცნიერება“, თბ., 1978, გვ. 318.

ველმოქმედო ნაგებობა, მდერესე და მისთანანი არა აქვს. ყოველ სახლს მრავლად აქვს ბალ-ვენახი. რადგანაც მშვენიერი ჰაერია, ხეხილი ბევრია, ყურძენი, მსხალი და ლალისფერი ატამი სანაქებოა. რადგანაც ქალაქი არზრუმიდან ორი დღის სავალზეა დაცილებული, ვაჭრებს ხილი ყუთებით გადააქვთ არზრუმში. არზრუმის ვილაიეთში ერზინჯანის შემდეგ ქალაქი თორთუმია სამოთხის ბალივით შემკული. მისი ხალხი სტუმართმოყვარეა, გულკეთილია. მშვიდი, მართალი ადამიანები არიან. თორთუმში გვარჯილასაც იღებენ. ქალაქი ერთ ხეობიან ადგილას მდებარეობს.<sup>1</sup> ამ დროიდან თორთომი არზრუმის ვილაიეთის ერთ-ერთი სანჯაყი იყო 29700 ახჩა შემოსავლიანი სახასო მამულით, 5 ზეამეთით და 29 თიმარით.<sup>2</sup>

საინტერესოა, რომ 1549 წლის დეკემბერში, ფერდინანდ I-დმი გაგზავნილ წერილში, სულეიმან კანუნი იუწყება ოსმალთა მიერ თორთომის ციხის, ალჯაყალისა და ნიჰაჰის აღებას. თორთომს ის ოსმალთა ხელში გადასულ სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილის დედაქალაქად მოიხსენიებს.<sup>3</sup> ამ ცნობაში ასახულია თორთუმის გაზრდილი მნიშვნელობა ოსმალთა თვალთახედვით. მიუხედავად ამისა, „მესხური მატიანე“ თორთუმის სანჯაყს ძველი ტრადიციით ხახულს უწოდებს: არფაქსად ამატაკიშვილს ხომ „ხახული სასანჯაახოდ მისცეს“ (იხ. ზევით).

„მესხური მატიანის“ ცნობით, 1579 წ. „პატრონი მანუჩარ მოვიდა კონსტანტინეპოლიდამ. ფაშაობამ ებოძა ხუანთქარსა და სრულად მისი მამული. ორ თვეს პატრონი ყრყრე თორთომს დაეყენებინა, არ გამოეშუა“.<sup>4</sup> აქედან ჩანს, რომ ადრე თორთომი ათაბაგთა ოჯახის სადგომი ციხე ყოფილა ოლთისის ციხის მსგავსად.

ოსმალთა აღწერილობებში თორთომის ქართული სახელწოდება (შდრ. წრომი, ბორჯომი, ბათომი...) გათურქებული თორთუმითაა შეცვლილი.<sup>5</sup> „ხახოს ხეობა“ თორთუმის სანჯაყით იცვლება. აქ ჩანს ძველი ცენტრის (თორთომი) აღორძინება და ხახულის მნიშვნელობის დაცემა. მართლაც, ხახული უკანასკნელად წყაროებში 1556 წ. იხსენიება;<sup>6</sup> ამ წელს მტბერად დამჯდარა „ხახულარი წყმედიძე, მამა საბა“. ხახულარობა აქ საბა წყმედიძის წარმომავლობაზე მიუთითებს, მაგრამ ხახულარი აზნაურიშვილის გვარი ჩანს 1615 წ.-ის წყალობის ნიგნშიც.<sup>7</sup> ხახულის განთქმულმა ღმრთისმშობლის ხატმა ოსმალთა დროიდან გელათში დაიგანა; ამავე ხანიდან განდებოდა ხახულის ღმრთისმშობლის ეკლესია კახეთში;<sup>8</sup> XVI-XVII სს.-ში საამილახვროსა და კახეთში ჩანან ამატაკიშვილებიც.<sup>9</sup>

<sup>1</sup> ევლია ჩელების ..., გვ. 321-3.

<sup>2</sup> თურქული წყაროები ..., გვ. 66.

<sup>3</sup> ც. აბულაძე, საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გ. პაიჭაძის რედ., „მეცნიერება“, თბ., 1993, გვ. 259-60.

<sup>4</sup> ქრისტ. შარაშიძე, მასალები..., გვ. 53.

<sup>5</sup> ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 316.

<sup>6</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის S კოლექცია, 252; ვ. ჯობაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 180, შუნ., გვ. 554.

<sup>7</sup> თურქული წყაროები ..., გვ. 61.

<sup>8</sup> С. С. Какабидзе. Грузинские документы Института Народов Азии. "Наука", М., 1967.

<sup>9</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, „მეცნიერება“, თბ., 1991.

ზემოთ მოყვანილი აღწერილობები ერთმანეთსა და ქართულ წყაროებს ემთხვევა, ეს უფლებას გვაძლევს ხუთეგრისიან რუკაზე შემონგებით განვსაზღვროთ ციხეთა მდებარეობა. ამის აუცილებლობა გამოწვეულია 1923 წ. გამოცემული საქართველოს ისტორიული რუკის (რედ.: ივ. ჯავახიშვილი) უზუსტობებით, რომლებიც შემდგომ თითქმის ყველგან მეორდება: იქ თორთომისწყლის სათავეებში აღნიშნულია „თორთომი“, ხახულის მონასტრის ადგილზე წერია „ხახუბი“, ალჯაყალის ადგილზე დატანილია „თორთომის ციხე“; ხახულის მონასტერი კი ოშკის ჩრდილოეთითაა გამოსახული. სინამდვილეში კი, თორთომის ციხე – ესაა ხეობის სათავეში თორთომ დერესის მარჯვენა ნაპირზე აღნიშნული ნანგრევები. მის ჩრდილოეთ ძირშივეა სოფ. თორთუმი (ნფეს თორთუმ), სადაც უნდა ყოფილიყო ქალაქი.

ციხის აღწერა ნახაზთან ერთად მოცემული აქვს ტ.ა. სინკლერს. მისი სიტყვით, ციხე დიდ, განცალკევებულ კლდოვან გორაზე ყოფილა გაშენებული. ოდესღაც აქ მოზრდილი ქალაქი უნდა ყოფილიყო. შიშველი ხეობის ფონზე ციხე მცირე ჩანს. სიმაგრის ყველაზე მაღალი ნაწილი გორის თხემის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერასაზეა, უდაბლესი კი – სამხრეთ-დასავლეთ ბოლოში. გვიანი, მცირე სადგომი უმაღლეს ადგილას შემორჩენილა. სიმაგრის ქვედა ნაწილში ჩრდილოეთის კედელი ქედის თხემზე გადის, მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს მოზრდილი ბურჯი აბოლოვებს. აქ იწყება კიდევ ერთი გალავანი, რომელიც დასავლეთით მიემართება მახვილი კლდის თავზე. ავტორის ვარაუდით, ეს კედელი დასახლების ნაწილსაც იცავდა, ზოლო ბურჯი XIX ს-ში რუსული ჯარის მიერ უნდა ყოფილიყო შეკეთებული.<sup>1</sup> ზოგიერთ რუკაზე დღევანდელი დასახლებული პუნქტი, თორთუმი, ზემოაღნიშნული ციხის აღმოსავლეთით, სხვა შენაკადის ნაპირზეა დატანილი, რასაც ძველ თორთომთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს.

თურქული წყაროების ალჯა-ყალა ხახულთან, მდინარის მარჯვნივ მდებარე ციხეა, რომელსაც რუკაზე იუნგიუზიუ კალა აწერია. ნიხახი რუკაზე სოფლადაა დატანილი მდ. კაზარენე დერეს მარცხნივ, თორთომის ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით. აქ უნდა ყოფილიყო თურქული წყაროების „პატარა ციხე“. ამილახორის ციხის სახელს რუკაზე ვერ ვპოულობთ, თუმცა ნიხახის ოდნავ ჩრდილოეთით, იმავე კაზარენე-დერეს მარჯვნივ სოფელს აწერია კალადიბი. სახელის პირველი ნაწილი (კალა) ციხეს ნიშნავს და, შეიძლება, აქ იყო ამილახორის ციხე, რომელიც ნიხახის ციხესთან ერთად, თურქულ წყაროებში თორთომის სიახლოვესაა დასახლებული.

აქ მოხსენიებული ამილახორის ციხე ტაოს ამილახორს უნდა გულისხმობდეს. ასეთად ჩანს 1536 წ. კოპასძეთა მოსახსენებელში სოილ კოპასძე: „ტაფოსა ამილახორისა და მხატვრობით კეთილად ჴელოვანისა და სიბრძნის-მეტყუელისა და საღმრთოთა წერილთა მართლად აღმასრულებელისა და თარგმანთა განმმართველისა, მრავალმცა არიან დღენი და ჟამნი სუფევისა მისისნი“. ქუთაისის მუზეუმში დაცული ხატის წარწერაში კი იკითხება: „დაიხატა და მოიჭედა წა ესე ხატი მას ჟამსა, ოდეს ოლთისთა ემთავრობდი, ქრონიკონსა რპი“, გვამცნობს სოილ კოპასძე. მო-

<sup>1</sup> T. A. Sinclair, დასახ. ნაშრ., გვ. 14-5.

სახსენებელში სოილი ოლთისის მთავრად აღარ იხსენიება, ის მხოლოდ „ტავოს ამილახორია“<sup>1</sup>. სწორედ ამ დროს შეეძლო მას დაპატრონებოდა ან აეგო ციხე, რომელსაც მისი სახელი შერჩებოდა, ოლთისის მეზობელ თორთომისხევში. არაა გამორიცხული, ამავე დროს, „მხატვრობით კეთილად ჳელოვანსა და ... საღმრთოთა წერილთა მართლად აღმასრულებელს“ ხახულის მონასტერშიც ელვანა.

თორთომისხევისა და მასზედ გამავალი გზის მნიშვნელობაზე, ცხადია, პირველ ყოვლისა იქაური ციხეების სიმრავლე მეტყველებს, მაგრამ არანაკლებ საყურადღებოა თურქულ წყაროებში დამონმებული ფუნდუკები თორთომის ქალაქსა და აღჯაყალის დასახლებებში. ასევე ხუთვერსიან რუკაზე დამონმებული სახელები *ხანის* აღნიშნით, რომლებიც საგზაო დასასვენებელ პუნქტებად იყო გამიზნული. გურჯიბოლაზის შემდეგ თორთუმამდე გზისპირზე სამი ასეთი სახელწოდებაა: ტაშ-ხანი, ოს-ხანი და ხან-აივაზოვა; თორთუმს ქვევით, მდინარის მარჯვენა: ხან-დავითა-ტაგი, კისხა-კაპუს ქვემოთ, იმავე ნაპირზე კი აღნიშნულია ქარავანსარაი.

ამრიგად, ცხადად იკვეთება თორთომისხევზე უძველესი დროიდან გამავალი გზის მნიშვნელობა სულ ბოლო ხანებამდე. უმნიშვნელოვანესი აქ იყო თორთომის ციხე და ქალაქი, რომლის სახელი გავრცელდა ხევზე. სომხური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ოქალესა და აზორდაცვორის (IV-VIII სს.) ადგილს შემდგომში იკავენს ხახული და ოშკი, რომლებსაც თავისი ციხეები ახლავს. ხახულისა და ოშკის სახელები მთლიანად ფარავს ახალ ციხე-ქვეყნებს, მდიდარსა და აყვავებულ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს ვიდრე ოსმალთა გაბატონებამდე.

გვიან შუა საუკუნეებში აქაური ციხეები, თავისი მცირე ქალაქებით, ისევ ინარჩუნებენ მნიშვნელობას, თორთუმი კი სანჯაყის ცენტრი ხდება.

DEVI BERDZENISHVILI

## FROM THE HISTORICAL GEOGRAPHY OF TAO

### Summary


THE article deals with the historical geography of Tortomistskali (modern Tortum-chay) valley. The valley got its name from the castle and town of Tortomi. The rise of this area was largely conditioned by the roads that have crossed the valley since distant past.

In the Early Middle Ages there were two administrative districts in the valley: Okaghe and Azordatspor. Later they were replaced by the provinces of Khakhuli and Oshki, which had homonymous castles as their centres. Khakhuli and Oshki were rich and flourishing lands with important cultural and political centres of the Georgian monarchy.

---

<sup>1</sup> ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 76-7.

In the 16<sup>th</sup> century, Tortomistskali valley, along with the other parts of Georgia, was conquered by the Ottomans. The valley was made into the sanjak of Tortum with Tortum-kale as its centre.



### გიორგი IV ლაშა

(ფსიქოლოგიური პორტრეტი)

**გიორგი IV ლაშა** ქართველ მეფეთა და ისტორიულ პერსონაჟთა გალერეაში გამორჩეული და არაორდინალური ფიგურაა. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა: „უეჭველია, ლაშა-გიორგი სამეფო ტახტის მპყრობელთა შორის თავისი ადამიანური თვისებებით არაჩვეულებრივ პიროვნებად მოჩანს“. მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა ეპოქამ, დაბადებისთანავე დააკისრა დიდი მისია. თვით ზედწოდება „ლაშა“ შეიძლება ამ მისიის თუ პასუხისმგებლობის ნაწილად ჩაითვალოს. იგი შესაძლებელია აღმოსავლური ეპითეტების გავლენით იყოს შექმნილი, როგორც მემატინანე აღნიშნავს: ლაშა, „რომელი ითარგმანების აფსართა ენითა ქუეყნის მანათობელად“. ეპითეტი „ქვეყნის მანათობელი“ საკმაოდ გავრცელებულია აღმოსავლურ ტიტულატურაში.

ლაშას დაბადება მხსნელის დაბადებად გაიაზრა ოფიციალურმა სახელმწიფო იდეოლოგიამ. „ვითარ იქნა სარას ზე, გინა თუ რაქაელისსა, ანუ თუ ელისაბედისსა და უფროსლა ანნასსა და ვიკადრო, მარიამისსა... ტაბახელისა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა“,<sup>1</sup> „თვით დედოფალმა რუსუდან და გაზრდილმან მისმან მეფემან დავით და დამან თამარისმან და ყოველთა მყოფთა ამის სამეფოსათა, მსგავსად მოგვთასა, ხელყვეს ძღვენებად და მინიჭებად“.<sup>2</sup>

გმირის უმანკოდ ჩასახვის მოტივი ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიასა და ფოლკლორში. ვ. პროზმა შეისწავლა ფოლკლორის ისტორიზმი და დაასკენა, რომ ასეთი წარმოდგენა მატრიარქატის პერიოდს უკავშირდება, როდესაც ოჯახის უფროსი ქალი ქმნის იმგვარ წარმოდგენას, რომ თითქოს უმანკოდაც შეუძლია შთამომავლობის შექმნა და ამდენად მამაკაცის გაბატონება ოჯახში გარდუეალი აღარაა. სასწაულებრივი წესით დაბადებული გმირი აფუძნებს ახალ სოციალურ ურთიერთობებს და ადათ-წესებს. სახელმწიფოსა და კლასიკური რელიგიის ჩამოყალიბების შემდგომ ასეთი დაბადება მეფეებისა და ღმერთების პრეროგატივა ხდება.<sup>3</sup> არცთუ იშვიათად სასწაულებრივად დაბადების მოტივი მზის კულტს უკავშირდება. ოსური თქმულებით, თამარ მეფე ფანჯარაში შემოჭრილი მზის სხივისგან დაორსულდა და მისი ვაჟი – მზის შვილი გამეფდა საქართველოში. დამახასიათებელია, რომ ამგვარი მოტივი ოსურ ფოლკლორშიც გავრცელდა და დავით სოსლანის ფიგურა დაჩრდილა.

<sup>1</sup> ისტ. და აზმანი, გვ. 56.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 57.

<sup>3</sup> ვ. ახვლედიანი, გვ. 159.

გიორგი-ლაშას პერსონა დაბადებისთანავე განსაკუთრებული შარავანდედით შეიმოსა, ამის ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი სწორედ თამარის, მეფე-ქალის მდგომარეობა იყო. თამარი თავის იამბიკოში „ცასა ცათასა“ საგანგებოდ უსვამს ხაზს დავითიან-ბაგრატიონთა უპირატესობას ეფრემიან-ბაგრატიონებზე და თავის აღმატებას დავით სოსლანზე. მეორე იამბიკოში „ქალწულებრივითა სისხლითა“ თამარი ალეგორიულად თავს ადარებს ღვთისმშობელს, ხოლო ლაშას – მაცხოვარს.

თამარი ღვთისმშობელია, მისი ძის დაბადება ქრისტეს დაბადებაა. ლაშა ნათელის, თეთრი გიორგის ასოციაციას იწვევს, იგი „მესიის მახელია“. „მოსრვა ნეფხვისა“ – ვეფხვი ისლამური სამყაროს სიმბოლოა და თამარის ბრძოლა მის წინააღმდეგ საღმრთო მისიაა.

განა შემთხვევითია, რომ ქართველ მეფეთაგან ასეთი „შეიარაღებული“ სხვა არც ერთი არ არის. მხოლოდ დემეტრე I არის ხმლით გამოსახული მაცხვარიშის ფრესკაზე. ისიც იმიტომ, რომ ფრესკაზე მეფედ კურთხევის რიტუალია ასახული და ერისთავები შეარტყამენ ხმალს. ლაშა კი ყრმობიდანვე „მესიის მახელია“, ფრესკებზეც ხმლითაა გამოსახული (ბეთანიისა და ბერთუბნის ფრესკები), რაც მის ვალდებულებას და პასუხისმგებლობას ზრდის საქრისტიანოს წინაშე.

გიორგი-ლაშას მიმართ, სახელმწიფო იდეოლოგიის მომთხოვნელობის გარდა, იგრძნობა თვით ქართული საზოგადოების უდიდესი მოლოდინი და იმედი. „შემდგომად გარდაცვალებისა თამარ მეფეთ-მეფისა, წარინრა სასოება ყოველმან ამან სამეფომან, გარნა ღმერთმან, გვიანმან მრისხანებისათვის და მოსწრაფემან მოწყალებისათვის, მოსცა მშობელისავე მსგავსი მისგანვე შობისა ლაშა“.<sup>1</sup>

ამგვარი ფსიქოლოგიური და მორალური ვალდებულებების გარემოში აღზრდილ უფლისწულს, ბუნებრივია, წინააღმდეგობრივი ხასიათი ჩამოუყალიბდებოდა. გიორგი-ლაშას პიროვნებას რადიკალურად განსხვავებულად გვისურათებს ორი ურთიერთსწინააღმდეგო წყარო: ლაშასდროინდელი მემატინე და ჟამთააღმწერელი. თუმცა მათ დახასიათებაში განსხვავებულია არა იმდენად ლაშას პიროვნული თვისებების აღწერა, არამედ თავად მემატინანეთა შეფასება ამ თვისებებისა.

„ნერგი კეთილ-მოზარდი, და ყუავილი ყოველთა ფერთაგან შემკობილი, ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყუარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, მთავართა მათითა პატივითა, მონაზონთა და მღვდელთა მათითა პატივითა. მშვიდი და განურისხებელი ბუნებითა, შვიდთა სამეფოთა მეფე მონისაცა ერთისა მათრახისა არამკრველი, მშვილდოსანი და ცხენოსანი გულოვანი და შემმართებელი, რომელ მისითა მკლავითა ომნი დასხნა და გარდაიხანდა სიმცროსავე შინა სწორნი დავით შაპის-შაპისა მისისანი... ბედნიერი ლაშქრობითა, ბედნიერი ქუეყანასა ნაყოფთა მოსლვისათვის, დაჭირებულთა განმკითხველი, ბჭე და მოსამართლე, დამხედვარი მეტად ჟამისა და ასაკისა მისისა“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ლაშასდროინდელი მატინე, გვ. 370.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 370.

ამ დახასიათებაში ჩანს ჭეშმარიტად მეფური თვისებები: კაცთმოყვარული და შემწყნარებელი ბუნება, დედისგან მემკვიდრეობით ბოძებული სათნოება. გავიხსენოთ, რომ თამარის მეფობაშიც არავინ დაუსჯიათ „თვინიერ გუზან ტაოელისა“. „შვიდთა სამეფოთა მეფე მონისაცა ერთისა მათრახისა არამკრველი“ სწორედ თამარისეული სათნოების პოლიტიკის გამგრძელებლად უნდა მივიჩნიოთ. მონის გამათრახება იმდენად ჩვეულებრივი და ხშირი მოვლენა იყო, რომ ვინც ამას არ ჩადიოდა, ეს „უმაღლეს სათნოებად“ ეთვლებოდა.<sup>1</sup>

ამავე დროს მემატინანე ხაზს უსვამს ლაშას „უმანკო გონებას“ ანუ მიმნდობ ხასიათს. თამარი ამ თვისებების მატარებელი, გამომდინარე მისი პოლიტიკური მოღვაწეობიდან, ალბათ, არ უნდა ყოფილიყო. სიტყვაძუნწობს მემატინანე დავით სოსლანის დახასიათებისას: „უხვი და მდაბალი და სიკეთე აღმატებული“.<sup>2</sup> გამომდინარე დავითის არცთუ აქტიური პოლიტიკური ფიგურებიდან, შესაძლებელია დაეფუძვით მის ხასიათში თავმდაბლობის გარდა მიაშიტობის შტრიხის არსებობა (მით უმეტეს ისეთი ნიჭიერი პოლიტიკოსი, როგორც რუსუდან დედოფალი იყო, იური ანდრიახ ძის მაგალითით გამოცდილი, შეეცდებოდა თამარის მეორე ქმრად სწორედ თავმდაბალი და გარკვეულწილად მიაშიტი ბუნების უფლისწული შვერჩია).

ყველა შემთხვევაში შეიძლება იმის დაშვება, რომ ლაშას ხასიათის ეს შტრიხი მემკვიდრეობითი რომც არ ყოფილიყო, სამეფო კარზე აღზრდის მანერა და ზოგადად საქართველოს ძღვევამოსილი მდგომარეობა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობდა ამ თვისების გაღრმავებას. სამაგიეროდ, ნარატიული ცნობებით ნათლად იკვეთება, რომ ლაშას ეს მიმნდობი ხასიათი იმდენად ჭარბად გადასცემია მის მემკვიდრეს დავით ულუს, რომ უმძიმესმა სიჭაბუკემაც (თითქმის ათწლიანი ტყვეობა და დამცივრება) კი ვერ შეძლო მისი ბოლომდე გაქარწყლება, თუმცა კი უარყოფითად შეუცვალა და ეჭვიანობად ჩამოუყალიბდა, „ხოლო იყო ესე ლაშას ძე დავით... უმანკო, ნრფელი, და მალე-მრწმენ, და შემნდობელ ბოროტის მყოფთა“.<sup>3</sup>

გიორგი-ლაშას ხასიათის სირთულეს და წინააღმდეგობრიობას თვით მისი მაქებარი ისტორიკოსიც ვერ მალავს და თავს იზღვევს მოსალოდნელი კრიტიკისგან შემდეგი სიტყვებით: „ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გურცხუენოდის“.<sup>4</sup>

უამთაღმწერელის დახასიათებით, გიორგი-ლაშა „იყო ტანითა ძლიერი, მხნედ მოისარი, ნადიმობათა შინა მოსწრაფე, ლალი და თვითბუნება; და უმეტეს ამისთვის განლაღებულ იქმნა, რამეთუ დაემორჩილნეს ყოველნი წინააღმდეგომნი მისნი კეთილად მოხსენებულსა და ღმრთის-მოყუარესა დედასა მისსა, და უშფოთველად და წყნარობით დაეტევა სამეფო თვისი და ყოველნი მახლობელნი მათნი მოხარაჯე შეექმნეს, ვითარ განძელნი და მიმდგომნი, ნახჭევნელნი და კარნუქალაქელნი და

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, გვ. 200.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, გვ. 100.

<sup>3</sup> უამთაღმწერელი, გვ. 228.

<sup>4</sup> ლაშასდროინდელი მატინანე, გვ. 370.

სხუანი მრავალნი ძლუნითა და ხარაჯითა მოვიდოდინ მისა. მას ჟამსა იშუებდა, იხარებდა და ყოველგნით იყო შუება და მხიარულება<sup>1</sup>.

გიორგი-ლაშას აღზრდაში, მისი პიროვნების და ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში უდიდესია „ვეფხისტყაოსნის“ როლი. თუ გავითვალისწინებთ, რომ, პოემის სიუჟეტიდან გამომდინარე, მისი დანერის ქრონოლოგია 1195-1205 წლებს შორის უნდა მერყეობდეს, უფლისწული იქნებოდა სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ მორალურ კოდექსზე გაზრდილი პირველი თაობა. მთელი შეხედულებები, მათ შორის სიყვარულის ნებელობაზე და ოჯახური კავშირის სიყვარულზე დაფუძნებაზე ეპოქისთვის რევოლუციური აზროვნებაა. შალვა ნუცუბიძე სავესებით მართებულად შოთას პოემაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ საქართველოში ადრეული რენესანსის პირველი კვალი ჩანს. რუსთველი არა უბრალოდ „ღვთის სწორ მონარქთა“ პანეგირიკს ქმნის, იგი მათში ადამიანურ ბუნებას ხსნის. რუსთველის აზროვნების თავისუფლება და გონის პრიმატი გრძნობაზე, რწმენაზეც... ტრადიციული სქოლასტიზმისთვის მიუღებელია. ქრისტიანული თვალსაზრისით რუსთველის გმირები სცოდავენ, ცოდავს ჩადიან და არ ინანიებენ მას. არ მონანიება – ეს არის ქრისტიანობის მთავარი ცოდვა.<sup>2</sup>

მხარგრძელებთან და სხვა დიდებულებთან გიორგი-ლაშას დაპირისპირების ერთი მიზეზი, გარდა პოლიტიკური ბრძოლისა, იყო მათ შორის დიდი მენტალური სხვაობაც. ლაშა და მისი თანამოდასენი, „თანამოჰასაკენი“, გაზრდილნი „ვეფხისტყაოსნის“ რაინდობის, სიყვარულისა და თავდადების, სათნოების პრინციპებზე, განსხვავებულად აფასებდნენ იმას, რაც მიზნის მისაღწევად ყველა საშუალების გამამართლებელი დიდებულებისათვის ცხოვრების ბუნებრივ ნესს წარმოადგენდა.

გიორგი-ლაშას პიროვნების ფსიქოლოგია ყველაზე ნათლად იკვეთება იმ სასიყვარულო ისტორიაში, რომელიც ჟამთააღმწერელთან არის გადმოცემული: „იხილა ქალი ფრიად ქმნულ-კეთილი და მყის აღტაცებულ იქმნა გულისთქმათა მიერ,.. მსწრაფლ თვისად მიიყვანა და შეიყუარა ფრიად“.<sup>3</sup> ცხადია, ეს ქალი განსაკუთრებული თვისებებისა და გარეგნული და შინაგანი სილამაზისა უნდა ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში მეფის ამგვარი ყურადღება უშუალოდ მის მიმართ ძნელი ასახსნელია. თვით ჟამთააღმწერელიც აღიარებს სუსანას „ქმნულ-კეთილობას“. შემდგომი ბრალდებები ლაშას მიმართ, რომ იგი სიძვის დიაცებს აყოლილი იყო, აშკარად გამუქებულია. პირიქით, ლაშამ საყვარელი ადამიანის მიმართ საოცარი ერთგულება და სიყვარული გამოამჟღავნა, იგლოვა მისი დაღუპვა, რაშიც შესაძლებელია საკუთარ თავსაც კი ადანაშაულებდა.<sup>4</sup>

ის ფაქტი, რომ გიორგი-ლაშამ არ მოისურვა კანონიერი ცოლის შერთვა, მეტყველებს მის უდიდეს სიყვარულზე სუსანას და ვაჟიშვილის – დავითის მიმართ, მეფეს არ სურდა, რომ დავითს ტახტის მემკვიდრეობაზე მოცილე გამოსჩენოდა. გა-

<sup>1</sup> ჟამთააღმწერელი, გვ. 151.

<sup>2</sup> გ. მჭედლიშვილი, გვ. 249.

<sup>3</sup> ჟამთააღმწერელი, გვ. 156.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, გვ. 293.

სათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ იმ ხანად მეფისთვის „ხარჭისა დასმა“ ითვლებოდა „ნორმად“. გიორგი III-ს სიძეის დიაცისგან შვილიც კი ჰყავდა, „რეცა სახელდებული შვილად მეფისა“. ამდენად, თვით გიორგი-ლაშა თვლიდა სუსანას კანონიერ ცოლად და მასთან ქრისტიანული წესითაც იკურთხა გვირგვინი.<sup>1</sup> თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ლაშამ არ დაუშვა „მოვალეობის ყალბი აღსრულება“ და სხვა ცოლის შერთვა, რომელსაც ეკლესია და სამეფო კარი უპრობლემოდ მიიღებდა.

გიორგი-ლაშას საყვარელი ადამიანის ნაგვრის შემდგომ, ბუნებრივია, პროტესტის, ამბოხის სურვილი უჩნდება, მით უმეტეს მძიმე მორალური მდგომარეობის ფონზე. პოლიტიკური საფუძვლის გარდა, მთავარი მიზეზი რინდებთან დაახლოებისა, როგორც ქართული წყაროები უჩვენებენ, ლაშას მძიმე ფსიქოლოგიური განწყობა იყო. ლაშას ურთიერთობა რინდებთან უდავოდ საყვარელი ქალის დაღუპვის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. ვინ იცის, ლაშა საკუთარ თავსაც ადანაშაულებდა სუსანას უდროო სიკვდილში. ჯვალალ ედ-დინ რუმის ერთგან ნათქვამი აქვს: „ტრფობისგან მთვრალი მივინდე რინდებს და მეც რინდი ვაგხდი“. გიორგი-ლაშაც ესწრაფვის თავის მსგავს მუამბოხეთა ჯგუფს. ღვინის სმა (ისლამისთვის „აკრძალული ხილი“. სპარსულ პოეზიაში ღვინის სმა გამოხატვის ფორმაა ფარისეველთა, ადამიანის ბუნების და გონების დათრგუნვის წინააღმდეგ) რინდებისთვის ამბოხის გამოხატულებაა, მჭმუნვარე მეფისთვის კი დარდის გაქარვების და თავდავიწყების საშუალება.

არაერთი ისტორიკოსი შეეცადა გიორგი-ლაშას ბუნების და მისი ცვალებადობის მიზეზთა ახსნას. „აშკარაა, რომ ლაშა, „ვეფხისტყაოსანზე“ გაზრდილი საქართველოს მეფე, პატრონი ქალაქებისა და სასახლეებისა, მბრძანებელი ყმათა და ლაშქართა, დათრგუნეს ფეოდალური საზოგადოების ულმობელმა კანონებმა, რომელთაც რინდები არაფრად აგდებდნენ. ამიტომაც არიან ისინი ლაშასთვის ასერიგად მისაბაძნი და სასურველნი, სამეფო კარზე მისთვის სულისშემხუთველი ატმოსფერო იქნებოდა...“

ლაშას რინდებთან ურთიერთობის შესახებ ორიგინალური თვალსაზრისი გამოთქვა აკაკი ბაქრაძემ, მან უამთააღმწერელთან მოყვანილი ფაქტები დაუკავშირა XIV ს-ის ბიზანტიაში გავრცელებულ ისიხასტების მიმდინარეობას. ამასთან მართებულად მსჯელობს ა. ბაქრაძე, უამთააღმწერლის ფრაზაზე („უკანასკნელ მიდრკა სობოროტედ“) დაყრდნობით, რომ გიორგი-ლაშა რინდებს მას შემდეგ დაუკავშირდა, რაც სიყვარულში დამარცხდა.<sup>2</sup>

მეფის ამ საქციელს დროებითი ხასიათი რომ ჰქონდა, იქიდანაც ჩანს, რომ მეფობის ბოლო პერიოდში იგი მტკიცე და ძლიერ ხელისუფლად გვევლინება. დროებითი სისუსტის დაძლევა „ვეფხისტყაოსანზე“ გაზრდილ უფლისწულს არ უნდა გაჭირებოდა (პარ: ავთანდილის დარიგება ტრფობისგან „ხელად“ ქცეული ტარიელისადმი – „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა“. ტარიელი აღიდგენს წონასწორობას. შესაძ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 297.

<sup>2</sup> ა. ბაქრაძე, გვ. 10.

ლებელია ლაშასაც ჰყავდა თავისი ავთანდილი, რომლის იდენტიფიცირება ისტორიულ პირთა გალერეის სიმწირის გამო ძნელია. იქნებ შალვა ახალციხელი?).

ლაშას დიდებულებთან ხასიათს აღნიშნავს იოანე ბატონიშვილი, რომელიც ვინმე იოსებ გამრეკელისძის თხზულებას ეყრდნობა. იოანე ბატონიშვილი უარყოფს ჟამთააღმწერლის ცნობას რინდების მიერ მეფისთვის თვალის ამოთხრაზე და ამის მიზეზად მიიჩნევს ჩოგანბურთის თამაშისას მეტოქის ჩოგნის თვალში მოხვედრას. ერთი თვე მკურნალობდნენ, მაგრამ თვალისჩინი მაინც დააკლდა. ამის მიუხედავად, მეფეს მეტოქისთვის ერთი ზედმეტი სიტყვა არ უკადრებია.<sup>1</sup>

ზურაბ ავალიშვილი გიორგი-ლაშას მიმართ შემდგომი ეპოქის, კერძოდ კი ჟამთააღმწერლის უარყოფით განწყობათა გამო აღნიშნავს: „ამგვარი შეხედულება უთუოდ შემდეგი მხარე გაჭირვების ნაყოფია და ქრონოგრაფის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ტენდენციით აიხსნება. ნამდვილად კი ეს იქნებოდა სიმდიდრესა და უზრუნველობაში გაზრდილი, განათლებული, ხელოვნებაში დანიხარებული, საკმაოდ თავისუფლად მოაზროვნე საზოგადოება; სწორედ ის, რომლის მგოსანია შოთა რუსთაველი... საქართველოს თანდათან დაცემის მიზეზები და საფეხურნი რთული რამეა, რომლის ახსნა ორიოდე ფორმულით არ შეიძლება“.

ლაშა-გიორგის განსაკუთრებულად ახასიათებს ფარსადან გორგიჯანიძე: „აქა სიკეთით ქებული თამარ მეფის შვილი გიორგი... მოუდგნენ ქართველნი და ერთგულად მსახურებდნენ და მორჩილობდნენ და ისიც კარგად ეპყრობოდა... და მრავალი წყალობა შეუმატა დედის ზედა მოცემულსა ზედა, დაიპყრა სახელმწიფო დედ-მამისა მისისა... იყო გიორგი მეფე ტანად ახოვანი, ხელძრიელი და მხნე კეთილათ, კარგ ცხენოსან, კარგ ცეროსან, ნადირობაში ფიცხელი, კარგად მკვლელი, თავმდაბალი, ლალი და მლთისაგან მოშიშარი, სამართლიანი, უხვი და უშურველი, ჭკვიანი და სიტყვამარჯვე, მაბუზლართ მძულველი და ყურის არმიმგდები... ვითაც დედამ დაანყნარა ქვეყანა და მეზობელნი დაიმორჩილა და ხარაჯა და წლის თავს ბეგარა აიღო, შვილმანც ისრე ქმნა. არაზს აქეთი აზრუმამდისინ და ამ ზღვით იმ ზღვამდისინ ზძღვნიდნენ და ბეგარას მოსცემდნენ“.<sup>2</sup>

ლაშას ხასიათის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა მის დაობლებას ყველაზე მნიშვნელოვან, პიროვნული ჩამოყალიბების ასაკში. 13 წლისამ დაკარგა მამა, ხოლო 18 წლისამ სათაყვანებელი დედა. ყმანვილობიდანვე დაანვა უდიდესი პასუხისმგებლობა და ტვირთი. ამდენად, ლაშა მართლაც გაცილებით შემბრალები და მიმნდობი ბუნებისა იქნებოდა. ლაშას აშკარად ეტყობა, რომ თავისი მეფობის დასაწყისში ძლიერ არის ივანე ათაბაგზე დამოკიდებული, ცნობს მის ავტორიტეტს. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში მოტანილი ვრცელი ვერსია განძის კამპანიის დროს წარმოქმნილი კონფლიქტისა, შეიძლება შეთხზულიცაა, მაგრამ რეალობასთან ძლიერ ახლოსაა და ავტორს ზუსტად აქვს დაფიქსირებული მეფის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. თავის პირველ ომში, სახელის მადიებელ და

<sup>1</sup> გ. მჭედლიშვილი, გვ. 96.

<sup>2</sup> რ. კიკნაძე, გვ. 95.

კარის ინტრიგებში ჯერ კიდევ გაურკვეველ მეფეს მოულოდნელად განუდგება ამირსპასალარი. რალა დარჩენია ყმანილ მეფეს, გარდა იმისა, რომ შენდობა ითხოვოს „უმეტრებით ქმნულისათვის“.

გიორგი-ლაშა გამეფებისთანავე წინდახედულ და შორსმჭვრეტელ მონარქად გვევლინება. განძის მოვლენებს იგი სწორი მეფური ფსიქოლოგიით ხსნის და მოსალოდნელ საფრთხეზეც მიაწინებს: „ან განძისა ათაბაგსა სანუნელ უქმნიეს და ხარკისა არღარა ნებავეს მოცემა,.. აღვიმხედროთ განძისა ზედა, რათა სხუათა მტერთაგან არღარა სანუნელ ვიქმნეთ“.<sup>1</sup> ამავე დროს ლაშამ კარგად იცის, რომ განძის კამპანია არა მარტო მისი საგარეო პოლიტიკური უნარის და მხედრული ნიჭის გამოცდაა, არამედ უპირველესად მისი საშინაო კურსისა. ახალი მეფის თითოეულ ნაბიჯს გაფაციცებით აკვირდებიან მტერ-მოყვარენი: აბა რას იზამს თამარის ძე?..

ლაშა ფსიქოლოგიურად ზუსტად თვლის, როდესაც დარბაზს იწვევს და ათაბაგს და ერისთავებს სიტყვით მიმართავს. ყოველგვარი ეჭვის გასაფანტად ხაზს უსვამს დიდებულთა თანადგომის დიდ მნიშვნელობას წინამორბედი მეფეების წარმატებაში და წინასწარ მათ პატივს უბოძებს („და ან მიიღეთ ჩემგან პატივი და ნიჭი“), ძველ სიქველესაც შეახსენებს, რადგან კარგად იცის, რომ განძასთან გამარჯვებას უპრინციპულესი მნიშვნელობა აქვს როგორც გარეშე მტრებთან და ყმადნაფიცებთან, ისე შინაურ მტერ-მოყვარესთან ურთიერთობაში. გიორგი-ლაშას უკვე ამ დროს თავის „თანამოჰასაკეთა“ (თანამოდასეთა) დიდი იმედი აქვს და ისინიც უდასტურებენ ამ იმედს, „სპანი მეფისანი, სიკუდილად განმწირველნი თავთა მათთანი, ეტყოდეს: „სიკუდილამდის ვილუანოთ, და დავდვით თავი სასიკუდილოდ, და არა ვარცხვინოთ პირველსა ომსა მეფობისა შენისა“.<sup>2</sup>

უმათაღმწერლისეული დახასიათება გიორგი-ლაშასი აშკარად წინააღმდეგობრივია. ერთის მხრივ, მეფეზე ამბობს: „იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვ და არავისთვის მოშურნე, მლოცველ, მმარხველ და განმკითხველ და მონყალე“.<sup>3</sup> სხვაგან კი ახასიათებს „ლალი, ამპარტავანი, თავხედი, თვითბუნება,.. სახიობის მოყვარე, ღვინის მოყუარე და გემოთ-მოყუარე“. ყოველივე ამის შემდეგ კი იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ლაშა „არამედ უკანასკნელ მიდრკა სიბოროტედ თანამიყოლითა უნესოთა კაცთათა,.. და მსმურთა თანა მიდრკა სიბოროტედმი“.<sup>4</sup>

ამკარაა, რომ ცოლის ნაგვრამ ლაშაზე გარკვეული ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა, ის მართლაც გარკვეულ წრეებში ეძებდა შევებას და დარდის გასაქარვებელს „უკანასკნელ“. მაგრამ მემატიანის მიერ გადაჭარბებულად არის ნაჩვენები, თითქოს მეფემ ყველაფერზე უარი თქვა. პირიქით, გამომდინარე ლაშას „ლალი და თვითბუნება“ ხასიათიდან, ეს დარტყმა, რაც ეკლესიის (ლაშას უდიდესი მოწინება ეკლესიისადმი დასტურდება იმითაც, რომ მან წინააღმდეგობა არ გაუნია ცოლის

<sup>1</sup> უმათაღმწერელი, გვ. 152.

<sup>2</sup> უმათაღმწერელი, გვ. 153.

<sup>3</sup> უმათაღმწერელი, გვ. 154.

<sup>4</sup> იქვე.

ნავგრას) საფარველით მას დიდებულთა ოპოზიციამ მიაყენა (პირველ ყოვლისა, ივანე ათაბაგმა, რომელიც ლაშას ტახტზე ასვლის დღიდან ცდილობს შეინარჩუნოს და კიდევ უფრო გაზარდოს თამარის მეფობის ბოლო წლებში მოპოვებული გავლენა), ჩვენი აზრით, ლაშას მხრიდან მძაფრი უკუურეაქციის საფუძველი გახდებოდა.

ზიგმუნდ ფროიდი აღნიშნავს, „თუ ვინმე დედის უდაო რჩეულია, მას მთელი ცხოვრების მანძილზე აქვს გამარჯვების გრძნობა, დარწმუნებულობისა და წარმატების შეგრძნება“.<sup>1</sup> სწორედ ასეთი რჩეული ტიპაჟი იყო გიორგი-ლაშა, „ლალი და თვითბუნება“. თუკი გამეფების პირველ წელს იგი ბოდბესაც კი უხდის ივანე ათაბაგს, შემდგომში სამაგიეროს მიუზღავს და ივანესაც და ვარამ გაგელსაც სამეფო კარზე იმგვარ პირობებს უქმნის, რომ მზუაობარი დიდებულები ვერ უძლებენ დამცირებას და „ნებაყოფლობით“ ტოვებენ სასახლეს.

მეფე გამორჩეული მხედრული შემართებისა და სიმამაცის ყოფილა: „უშიში გულითა,.. თვით მეფე ლაშა წინა მიეტევა მხნედ და ძლიერად, თვით გოლიათითა მკლავითა სვიანითა და ხელითა გოლიათითა“. ამას დარბაზისერიც სიხარულით აღნიშნავს: „დიდი ნუგეშისნიცემა მოგუემატა ღმრთისა მიერ, რამეთუ გპოვეთ ახოვანი და გოლიათი, გორგასლიანი და დავითიანი, მსგავსი მათი“.<sup>2</sup> მართლაც, ახალგაზრდა მეფემ თავისი ხანმოკლე, 30-წლიანი ცხოვრების მანძილზე არაერთი ბრძოლა გადაიხადა და ყველგან (გარდა მონღოლებთან საბედისწერო შეტაკებისა) გამარჯვებული გამოვიდა.

გიორგი-ლაშას ანდერძიდან აშკარად იგრძნობა, რომ მეფობის ბოლოს ახალგაზრდა მეფე უკვე აშკარად სამეფოს ბატონ-პატრონი თვითმპყრობელია. ლაშამ ხელისუფლების განმტკიცებისათვის დასაყრდენად დიდებულთა ერთი ნაწილი („ძირძველი გვარნი“) გაიხადა. ამას თამარის დროს დანიშნულებულთა უკმაყოფილება მოჰყვა. მეფეს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ან დავითის პოლიტიკა უნდა ენარმოებინა, ან თამარივით ვითარებას უნდა შეგუებოდა. მან პირველი აირჩია, მაგრამ შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ეს ურთულესი ამოცანა, დინების სანინალმდევოდ სვლის ტოლფასი იყო.

## ლიტერატურა

1. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. „ქართლის ცხოვრება“. ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. II ტ. თბ. 1959.
2. ლაშა-გიორგისდროინდელი მატთანე. „ქართლის ცხოვრება“. ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. I ტ. თბ. 1955.
3. უამთაალმწერელი. „ქართლის ცხოვრება“. ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. II ტ. თბ. 1959.
4. გივი ახვლედიანი. ქართული საისტორიო მწერლობა და ფოლკლორი (XI-XIX სს.). დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1992.

<sup>1</sup> ზ. ფროიდი, გვ. 36

<sup>2</sup> უამთაალმწერელი, გვ. 152.

5. აკაკი ბაქრაძე, რინდები თუ ისიხასტები. „ლიტერატურული საქართველო“. 17 აპრილი, 1984.

6. ნიკო ბერძენიშვილი. X-XVIII სს. საქართველოს ისტორია. საქართველოს ისტორიის საკითხები. VI ტ. „მეცნიერება“. თბ. 1973.

7. ბიჭიკო დიასამიძე, რენესანსული აზროვნების ხელისუფალი. „საისტორიო მაცნე“. XI ტ. ბათუმი. 2002.

8. კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი. ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა-გიორგის ისტორიისათვის. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. I ტ. თსუ გამომცემლობა. თბ. 1956.

9. რევაზ კიკნაძე, კიდევ ერთი წყარო ლაშა-გიორგის ისტორიისათვის. საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობის საკითხები. „მეცნიერება“. თბ. 1982.

10. მარიამ მამულაშვილი, თამარის კანონიზაციის საკითხისათვის. კრ: „კულტურის ისტორიის საკითხები“. II. „ირმისა“. თბ. 1996.

11. გიორგი მჭედლიშვილი, შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ძირითადი მიმართულებები და „ვეფხისტყაოსანი“. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2001.

12. თამაზ ნატროშვილი, მაშრიყით მალრიბამდე. „ნაკადული“. თბ. 1991.

13. ჯემალ სტიფნაძე, საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში. „მეცნიერება“. თბ. 1985.

14. ზიგმუნდ ფროიდი, ფსიქოანალიზი. თბ. 1995.

15. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. III ტ. „საბჭოთა საქართველო“. თბ. 1966.

GVANTSÁ ABDALADZE

## A PSYCHOLOGICAL PORTRAIT OF KING GIORGI IV LASHA (1210-1223)

### Summary

THE article surveys some personal qualities of king Giorgi IV Lasha, as well as his psychology and character. All the opposing views presented in the existing narrative sources are analyzed and it is concluded that the king was naive and kind, but at the same time strong, willful, self-confident...

The king's personal qualities significantly stimulated the development of the "Oriental Renaissance" processes in the Georgian society.

## გიორგი V ბრწყინვალის ოჯახური გიოგრაფიისათვის (გიორგი V-ის მეუღლის ვინაობის დადგენისათვის)

საქართველოში ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული მეფის გიორგი V ბრწყინვალის (1318-1346) შესახებ, სამწუხაროდ, ცოტა რამ ვიცით.

მისი ეპოქის ყველაზე სარწმუნო და მნიშვნელოვანი წყარო, ე. წ. ჟამთააღმწერლის ასწლიანი მატთანე სწორედ გიორგის რეალური, ფაქტობრივი გამეფების აღწერისას წყდება (1318). მემატთანე, რომელიც, ჩვენი აზრით, დემეტრე მეორის დასჯისას ამჟღავნებს თავს (1, დამატ. I) მოსე მღვდელ-მონაზვნის სახით, ასე ახასიათებს გიორგის გამეფებას: „და იწყო მთიებმან (დილის ვარსკვლავმა, ანუ პლანეტა ვენერამ, ვ. კ.) აღმოჭურვებად და მე ენა ვერ მიძრავს საკურველისა და საშინელისა (2; 41-47) თქუმად“ (3,325). ე. წ. ასწლიანი მატთანის ბოლო ნაწილის დაკარგვის გამო, სამუდამოდ დაიკარგა გიორგი V-ის ბიოგრაფიის მრავალი დეტალი. სრულიად უცნობია, მაგალითად, მისი მეუღლის ვინაობა და სახელი. გიორგი V-ის დედის, ნათელის შესახებ კი მხოლოდ ის ვიცით, რომ ის სამცხის დიდი სპასალარის, ბექა ჯაყელის ასულია (3, 282, 286). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბექას პირველი მეუღლისა (ვახახი) და ასულის – „ნათელის“ სახელები აბუსერიძეთა გვარშიც ყოფილა გავრცელებული. მაგალითად, აბუსერ III-ის მეუღლის სახელი „ვახახი“ იყო და მის ქალიშვილსაც „ნათელი“ ერქვა (4, 64-65). შესაძლოა, ეს გავრეობა ამ ორი დიდი ფეოდალური სახლის ნათესაობაზე მეტყველებდეს.

რაც შეეხება გიორგი ბრწყინვალის მეუღლეს, მის შესახებ არანაირი ცნობები არ შემონახულა. უცნობია მისი სახელი, ვინაობა, წარმოშობა-გვაროვნული კუთვნილება.

ერთადერთი წყარო, სადაც მეფე გიორგის მეუღლე იხსენიება (ოღონდ, როგორც აქამდე იყო მიღებული, სახელის გარეშე), იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპია. ეს არის ე. წ. ტიშენდორფისეული (5) ნუსხის აღაპი 69.

სანამ აღაპს და მის ჩვენულ წაკითხვას შემოგთავაზებდეთ, ორიოდ სიტყვა თვით ტიშენდორფისეულ ნუსხაზე და მის ამჟამინდელ ადგილმდებარეობაზე უნდა ითქვას. ეს ნუსხა არის ძირითადად აღაპების ცალკე ამონაკრები, რომელშიც მოსახსენიებლები განწესებული იყო განსაკუთრებით საპატიო მარხვა-ზატიკის კვირებზე (ხორციელის პარასკევიდან – „ყოველთა წმიდათა“ კვირამდე), ამას გარდა, ხელნაწერის მეორე ნაწილი წარმოადგენს საკუთრივ აღაპებს და მოსახსენიებლებს. ხელნაწერის პირველი ნაწილი და მისი დასრულების ვადა XIV საუკუნეს არ უნდა გადასცდეს (6, 15-17, 71). უნდა ითქვას, რომ ხელნაწერის პირველი ნაწილი წარმოადგენს არა მთლიანად აღაპების სიას, არამედ მხოლოდ აღაპიდან ამოღებულ ძირითად ინფორმაციას. იერუსალიმის ეს ხელნაწერი, ჯვრის მონასტრის არასრული და

გვიანდელი ნუსხის მიხედვით, პირველად გამოაქვეყნა ნიკო მარმა (7, XXV-XXVIII). მისი პუბლიკაცია, არასრულობასთან ერთად (102-დან მოტანილია მხოლოდ 56 ალაპი), არაზუსტია. ამასთან, ნ. მარმა უმრავლეს შემთხვევაში ვერ შეძლო ალაპთა დათარიღება და მათში ნახსენებ პირთა იდენტიფიცირება. მოგვიანებით ინფორმაცია ტიშენდორფისეული ორიგინალური ნუსხის შესახებ სამეცნიერო წრეებს მიანოდა გრ. ფერაძემ.

1936 წელს იგი წერდა: „ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ტიშენდორფის კოლექციაში ქართულ ხელნაწერთა შორის არის ამ მცირე დოკუმენტების (იგულისხმება ნ. მარის პუბლიკაცია, ვ. კ.) პერგამენტის ფურცლები“. შემდეგში გრიგოლ ფერაძე გვგვამედა მათ გამოქვეყნებას, რაც ველარ განახორციელა (8; 128-129; შენ. 387).

თვით პირველი ნაწილიც ერთგვაროვანი არ არის. იქ ზოგიერთი ალაპი ამოუფხეკიათ და მათ ადგილზე ახლები ჩაუნერიათ. ეს მოხდა, როგორც ჩანს, ახალი გარემოებების გათვალისწინებით. გარდაიცვალა ესა თუ ის მნიშვნელოვანი პირი, ან დიდი შეწირულობა გაიღო ახლად ჩაწერილი ალაპის ინიციატორმა და ა. შ. ალაპთა პირველი, უძველესი ნაწილი 74 ალაპს მოიცავს და აქედან ძირითადი ხელით ნაწერია 48. რაც შეეხება ხელნაწერის ადგილმდებარეობას, ამჟამადაც იგი დაცულია ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ტიშენდორფისეულ ხელნაწერთა კოლექციაში. ხელნაწერის მიკროფირი მხოლოდ 1954 წელს გახდა ხელმისაწვდომი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის, ის ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმში მიიღო, შემდეგ კი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს გადაეცა (მპ - 126). სამწუხაროდ, ეს მიკროფირები დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აღარ იძებნება.

მართალია, ელ. მეტრეველის ფუნდამენტურ გამოკვლევას თან სრული ფოტომასალაც ერთვის, მაგრამ ხელნაწერის დაზიანებული ადგილების უკეთ გასაცნობად ჩვენ მივმართეთ ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექციას. მართლაც, მათგან მივიღეთ ჩვენთვის საინტერესო საალაპე ჩანაწერის ახალი ფოტო.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო ალაპს. ელ. მეტრეველის პუბლიკაციაში იგი ასე იკითხება: „სულისა წმიდისა მოს[ლ]ვისა კურიაკესა წირვად და ალაპი ლ(მრ)თივ გურგუნოსნისა მეფეთ-მეფისა დიდის, გ(იორ)გის დედისა [და] მე[უ]ლლი[სა] მისსა მესად (!), შეუნდვენ ღმერთმან“ (6, 75:69).

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ალაპი არის ჩანაწერი ალაპი, ანუ იგი დაიწერა ადრე არსებული ალაპის ამოფხეკის ადგილას. ძველი ალაპის ნარჩენი რამდენიმე სიტყვა დღესაც იკითხება ალაპის ბოლოს დარჩენილ სივრცეზე. საალაპე ჩანაწერის მარცხენა კუთხე, რომელიც ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს და გიორგი V-ის მეუღლის სახელს უნდა ახსენებდეს, საკმაოდ ფერგადდასულია. თითქოს სითხის კვალიც ატყვია. ის, რომ ალაპში მოხსენიებული მეფეთ-მეფე გიორგი ნამდვილად გიორგი V-ეა რიგი გარემოებებით მტკიცდება. უპირველესად კი იმით, რომ ჩანაწერი ალაპების პირველი ნაწილი (26, 28, 45, 50, 56, 69, 72)

ქრონოლოგიურად ყველაზე ახლოსაა ამ ნუსხის ძირითად ფენასთან და მათი ჩანერის დრო XIV საუკუნით უნდა განისაზღვროს [6; 23, 24, შენ. 41].

ამასთანავე, 69 ალაპი დაწერილია 28 (მეფეთ-მეფე გიორგის მოსახსენიებლის) და 39 ალაპის (შანშეს მოსახსენიებლის) ხელით. ეს შანშე შანშე II მხარგრძელია, რომელიც, წყაროთა მიხედვით, გარდაიცვალა 1320 წელს [9, 175]. ამგვარად, 28 და 69 ჩანაწერი ალაპების მეფე გიორგი გიორგი V ბრწყინვალეა.

ამკარაა, რომ ჩანაწერი ალაპ 69-ის ჩამწერმა ვერ გაითვალისწინა ამოფხეკილი ალაპის ფართი და მთელი ტექსტი, ჩანაწერის მარცხენა მხარეს უკიდურესად შეამჭიდროვა, იმ დროს, როდესაც ბოლოში თავისუფალი არე დარჩა. უკიდურესად დაქარაგმებული ტექსტის ნაწილი მოთავსებულია ალაპის მეორე და მესამე სტრიქონებს შორისაც კი. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ჩამწერმა ალაპის მესამე სტრიქონის დასაწყისში გადააბა ორი სიტყვა „მისა“ და „მესა“ (რომელიც გიორგი V-ის მეუღლის სახელის დარჩენილი ნაწილია). ვფიქრობთ, რომ სიტყვა „მის(ი)სა“-ს (და არა „მისა“, როგორც ელ. მეტრეველთან) უშუალოდ მიბმული „მესა“ უნდა აღდგეს როგორც „სა(ლო)მესა“. აქედან „სა-“ წინა სიტყვის („მისისა“) ბოლო კიდურია, რომელიც ამავე დროს ქალის საკუთარი სახელის პირველ საწყის ასოებს წარმოადგენს. ასეთ აღდგენას მხარს უჭერს: ა) ამ საალაპე ჩანაწერი ტექსტის უკიდურესი და გაუთვალისწინებელი შემჭიდროება, ბ) ის გარემოება, რომ შინაარსობრივად შემორჩენილი სიტყვა „მესა“ ამკარად საკუთარი, თანაც ქალის საკუთარი სახელის ნაწილია და ახსნა-გაშიფვრას მოითხოვს. დღეს წარმოდგენილი სახით, ის უაზროდ გამოიყურება – „მესა“ (!). გ) გადაბმული სიტყვებიდან პირველის ბოლოსართი „სა“ პირდაპირ ერთვის „მესა“-ს და არაფრითაა გამოყოფილი. ამრიგად, ტექსტის მარცხენა მხარის უკიდურესი შემჭიდროების პირობებში, ის შეიძლება მივიჩნიოთ „მესისა“ საწყის ნაწილად. დ) ამ „სა“-ს თავზე ლაიფციგიდან მიღებულ ფოტოზე, ჩანს ქარაგმის გადასული ნიშანი. თუმცა, სხვაგან, ყველა დაქარაგმებულ სიტყვას ქარაგმის ნიშანი არც კი უზის.

უნდა ვივარაუდოთ, რომ გადაბმულ კომპოზიტი „სამესა“ დაქარაგმებულია ქალის სახელი „სა(ლო)მესა“. სხვაგვარად, „მესა“ ვერ გაიშიფრება. ამგვარი დაბოლოების ქალის სხვა სახელი არც გვევლება, თუ არ ჩავთვლით „რიფსიმე“-ს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს სახელი გამორიცხებულია, რადგან ადვილად გასაშიფრი და მისახვედრი უნდა ყოფილიყო. ამასთან ის „სა“-ზე უნდა იწყებოდეს.

ამგვარად, ჩვენი აღდგენის მიხედვით, ეს ჩანაწერი ალაპი ახლად მიღებული ფოტოასლის მიხედვით ასე უნდა წავიკითხოთ: „1) ს(უ)ლისა წ(მ)ი(დი)სა მოს(ე)ლისა კ(ვირია)კ(ე)სა წირვ(ა)ი და აღ(ა)პი საუკუნო, 2) ლ (ვ)თივ გვრგვონისსა მეფ(ე)თ მეფისა (აქ ქარაგმის ნიშანი ზედმეტია, ვ. კ.) დიდისა გ(იორ)გის დედისა (2-3) (და) მე(უ)ლლი(სა) 3) მის(ი)სა სა(ლო)მესაი შე(უნდვე)ნ ლ(მერთმა)ნ. ა(მინ)“.

ალაპის ჩამწერს იმისათვის, რომ დარჩენილი სივრცე შეეგსო, დაქარაგმებული სიტყვის „ლმერთმან“-ის და „ამინის“ შემდეგ დაუსვამს ფართო სამი წერტილი (:), მაგრამ ალაპის დასასრულს მაინც ჩანს ძველი ალაპის ფერმკრთალი ნაშთი: (ქარაგმების გახსნით) „წირვად და ალაპი საუკუნო გ.“ (6; 69).

ეს სააღაპე ჩანანერი, ალბათ, 1320 წლისთვის გაკეთდა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ამ წელს გარდაიცვალა შანშე II მხარგრძელი; გიორგი V-ის დედის და მეუღლის ალაპი კი იმავე ხელითაა ჩანერილი; როგორც ჩანს, შანშე II-ის გარდაცვალების შემდეგ ამოფხიკეს ერთ-ერთი ძველი ალაპი და მის ადგილას ჩანერეს შანშეს მოსახსენიებელი. ასევე მოიქცნენ გიორგი ბრწყინვალის დედისა და მეუღლის ალაპთან დაკავშირებით. შესაძლოა, ამ წელს გიორგი V-ის დედა გარდაიცვალა, მეუღლეს კი სიცოცხლეშივე გაუჩინეს ალაპი.

ორიოდ სიტყვა თვით სახელ სალომეს შესახებაც უნდა ითქვას. ქართულ სინამდვილეში, მე-18 საუკუნემდე, ქალის ეს სახელი, იშვიათია. ყველაზე უფრო კარგადაა ცნობილი სალომე უჯარმელის სახელი (IV ს.), შემდეგში კი ის თითქმის არ ჩანს.

სახელი „სალომე“ ორჯერ გვხვდება, კვლავაც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებში. ერთი მათგანია სალომე ქართველი, იერუსალიმელი მონამე, რომელიც XIII ს. დამდეგს იერუსალიმში აწამეს (6, 163; 197). ჩვენთვის უფრო საინტერესოა იმავე მონასტრის მეორე ალაპი, რომელიც განწესებულია „რუსუდანის გაზრდილი სალომესათვის“, რომელსაც მონასტრისათვის 1000 დრამა გაუღია. ალაპი, ხელის მიხედვით, ელ. მეტრეველის მიერ XIV-XV სს. თარიღდება (6; 143, (108); 167, (22).

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეს სალომე არის სწორედ გიორგი V-ის მეუღლე. მაშინ ამ ალაპის განწესება, სავარაუდოდ, XIV ს. 10-იან წლებს არ გადასცდება, ე. ი. იმ დროს, როდესაც სალომე ჯერ კიდევ არ არის გიორგი V-ის მეუღლე. სალომეს გვაროვნული კუთვნილების შესახებ, ბუნებრივია, არაფრის თქმა არ შეიძლება. ერთი კი ცხადია: XIII-XIV სს. ქართველ მეფეებს არა მარტო მეზობელი ქვეყნების გვირგვინოსნების ქალიშვილები, არამედ საკუთარი დიდგვაროვნების ასულებიც მოჰყავთ თანამცხედრეებად. ამაზე მეტყველებს დემეტრე II-ის (1270-1289) მესამე მეუღლის ნათელა ჯაყელისა და დავით IX-ის (1346-1360) მაგალითი (ამ უკანასკნელმა ქსნის ერისთავის ქალი შეირთო).

უნდა აღინიშნოს, რომ „გაზრდილობა“ ფეოდალური ინსტიტუტი იყო, რომელიც შედარებით დაბალი წრიდან გამოსულებს მეფის კართან აახლოებდა და მათი ერთგულებით ზრდიდა. „გაზრდილები“ მეფის კარზე ეუფლებოდნენ განათლებასა და ეტიკეტს. აღნიშნული ალაპის „სალომეს გამზრდილი რუსუდანი“, ალაპის ქრონოლოგიიდან გამომდინარე, რუსუდან დემეტრე II-ის ასული უნდა იყოს. რუსუდანი XIII ს. მიწურულსა და XIV ს. დამდეგის საქართველოს ისტორიაში საკმაოდ ცნობილი ფიგურაა. ის ჯერ მონღოლი ნოინის, ბუღას ვაჟზე იყო გათხოვილი (3, 281), 1289 წ. ბუღას და რუსუდანის მამის, დემეტრე II-ის სიკვდილით დასჯის შემდეგ კი მისი კვალი ქრება. მაგრამ XIV ს. დასაწყისში ის კვლავ ასპარეზზე გამოდის და უკვე თავა ფანასკერტელის მეუღლედ ჩანს. (6; 136, 170, 22, 105, 118, 131, 250).

რუსუდანი აშენებს ეკლესიებს და დიდ შემოწირულობებს აგზავნის იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის. ჯერ 7.000 თეთრს და შემდგომ კიდევ 1000 თეთრს პანაშვიდისათვის (6; 85(65)).

მართალია, XIV საუკუნის დასაწყისის წყაროებში სხვა „რუსუდანიც“ ჩანს; ესაა ლიპარიტ ქვეშელის მეუღლე და თმოგველთა ასული (10, 94), მაგრამ უფრო სავარა-

უდოა, სალომეს გამზრდელი „რუსუდანი“ დემეტრე II-ის ასული იყოს, რადგან გავლენისა და სიმდიდრის მხრივ ის აშკარად აღემატება რუსუდან ლიპარიტ ქვეშელის მეუღლეს. ამ უკანასკნელს მხოლოდ ღრტილას (იხტილას) ეკლესიის დამთავრებაში მიუძღვის წვლილი.

ამასთან, რადგან სალომეს გამზრდელი რუსუდანი 220 ალაპში დაზუსტების გარეშეა დასახელებული, იგი საკმაოდ ცნობილ პირად უნდა მივიჩნიოთ იმიტომ, რომ ღრტილას (იხტილას) ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული რუსუდანი თავისი თავის ორმაგ იდენტიფიცირებას ახდენს, კერძოდ წერს, რომ ის არის „ლიპარიტ ქვეშელის მეუღლე“ და „თმოგველთა ქალი“. სალომეს გამზრდელი კი არ თვლის საჭიროდ, უფრო დააკონკრეტოს თავისი თავი, რადგან მიაჩნია, რომ მის ეპოქაში ეს ისედაც ყველასათვის ცხადია.

ამგვარად, ვასკენით, რომ გიორგი ბრწყინვალის მეუღლის სახელი უნდა იყოს „სალომე“. ამასთანავე ვვარაუდობთ, რომ გიორგის მეუღლე სალომე რუსუდან დემეტრეს ასულის „გაზრდილია“.

ვფიქრობთ, როგორც თავის დროზე დავით სოსლანი აღიზარდა თამარის მამიდა რუსუდანის კარზე, ისე გიორგი V-ს შესაძლო მეუღლე სალომე იზრდებოდა მისი ნახევარი დის (რუსუდანი და უფროსი ვაჟი დავითი მეფე დემეტრეს ტრაპიზონელი მეუღლისგან ჰყავდა) კარზე.



## ლიტერატურა-წყაროები და შენიშვნები

1. *ვ. კიკნაძე*, საქართველო XIV ს-ში, „მეცნიერება“, თბ., 1989 (დამატება I, უამთაღმწერლის ვინაობისათვის).
2. ტერმინი „საშინელი“ ძველ ქართულში უპირველესად აღნიშნავდა საოცარს, სწორუოვარს, განუმეორებელს და ამიტომაც არის, რომ ამ ეპითეტით მოიხსენიება ქრისტე მაცხოვარი. იხ. *ვ. კიკნაძე*, საქართველოს ფეოდალური ხანის რამდენიმე სოციალური და ისტორიული ტერმინის შესახებ, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მასალები, მიძღვნილი ე. თაყაიშვილის ხსოვნისადმი (მოხსენებათა მოკლე შინაარსი), თბ., 2003.
3. *უამთაღმწერელი*, ასნლიანი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959.
4. *ტბელ აბუხერიძე*, ცხოვრება ქეთხუროისა ბასილისა, გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ი. სიხარულიძემ, ბათუმი, 1981.
5. კონსტანტინე ტიშენდორფს (1815-1874) ბიბლიური პალეოგრაფიის პროფესორის თანამდებობა ეკავა ლაიფციგის უნივერსიტეტში. მან რამდენჯერმე იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში, საიდანაც მრავალი უძვირფასესი ხელნაწერი წამოიღო. მათ შორის იყო უნიკალური ქართული ხელნაწერებიც. 1859 წ. ტიშენდორფმა აღმოსავლეთის უძველესი მონასტრები მოიარა რუსეთის მთავრობის დავალებით და დაფინანსებით. ამიტომ, იქ მოპოვებული ხელნაწერები მან რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას გადასცა. მათ შორის იოანე-ზოსიმეს ავტოგრაფიანი X ს. ხელნაწერიც. დღეს ზოგიერთი მათგანი პეტერბურგში, რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება (ყოფილი სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოთეკა). „ალაპი“ (ἀλαπί) – „სიყვარულის ტრაპეზი“, ამ შემთხვევაში, სულის მოსახსენიებელი ჩანაწერი.
6. *ელ. მეტრეველი*, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XIII), თბ., 1962.
7. *Н. Марр*, Синодик Крестного монастыря в Иерусалиме, грузинский текст с 16 палеографическими рисунками, С/Петербург, 1914 (Разыскания по Грузинской филологии, т. III).
8. *ვრ. ფურაძე*, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, გამოსაცემად მოამზადა შესავალი წერლით და შენიშვნებით გოჩა ჯაფარიძემ, თბ., 1995.
9. *А. Бабаян*, Социально-экономическая и политическая история Армении в XIII-XIV вв., Москва, 1969.
10. *ე. ციხკარიშვილი*, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959.

TO THE FAMILY BIOGRAPHY OF GIORGI V (AN ATTEMPT  
OF RECONSTRUCTION OF THE NAME OF KING GIORGI'S SPOUSE)

Summary

THE article is dedicated to the question of clarifying some moments from Giorgi V Brilliant's (1318-1346) family biography.

The attempt to reconstruct Giorgi the Brilliant's spouse's name – is "made for the first time in the Georgian historiography. According to the author, one memorial record of Synodicon from Jerusalem's St. Cross Monastery, S.C. Tishendorf's manuscripts (Dr. El. Metreveli, Tb., 1962, N69), has kept the name of Giorgi's wife and it can be reconstructed as "Salome".

The author thinks that she can be identified with the "Salome" of another memorial record of the same time and the same Monastery's Synodicon (dr. El. Metreveli, Tb., 1962, N220).

The latter was "brought up" by an unknown Rusudan, who is supposed to be the eldest daughter of king Demetre II (1270-1289).

# ქართული ფეოდალური საგვარეულოები

ალექსანდრე მარუაშვილი

## ზვიად II მარუშვიანის დიპლომატიური მოღვაწეობა

**მარუშვიანთა** ფეოდალური სახლის წარმომადგენლებიდან ივანე მარუშის-ძის გარდა X საუკუნის II ნახევარსა და XI საუკუნის 20-30-იან წლებში დასახელებულია ზვიად II მარუშვიანი. ზვიად II-ის მოღვაწეობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში. მისი მოღვაწეობის ამსახველ ცნობათა ურთიერთშეჯერების შედეგად ირკვევა, რომ ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) და გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) თანამედროვე ზვიად II მარუშვიანი შთამომავალია იმ ერისთავებისა (ვაჩე ← ზვიად I ← არაბად), რომლებიც „აფხაზთა მეფეების“ მიერ სამცხისა და ჯავახეთის საერისთავოებში მხარეთა ერისთავ-გამგებლებად ინიშნებოდნენ.

მარუშვიანთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა სიახლოვე ბაგრატ III-ის სამეფო კართან შემთხვევით მოვლენას ნამდვილად არ წარმოადგენს. მარუშვიანთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთ წარმომადგენელს, ივანე მარუშის-ძეს დიდი წვლილი მიუძღვის ერთიანი ცენტრალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ბაგრატ III ბაგრატიონის გამეფების საქმეში. ბაგრატ III-ის თანამებრძოლთა რიგებში დასახელებული ზვიად II მარუშვიანთა ფეოდალური სახლის მემკვიდრედ და ივანე მარუშის-ძის დაწყებული საქმის გამგრძელებლად შეიძლება მივიჩნიოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გაერთიანებამდე ქართული სამეფო-სამთავროების მართვა-გამგეობა ძველი ტრადიციების გაგრძელებას წარმოადგენდა. ქვეყნის ფეოდალური არისტოკრატია მტკიცედ იცავდა მმართველობის იმ ფორმებს, რომლებიც IX-X სს. ჩამოყალიბდა, როდესაც მათი სამფლობელოები მხოლოდ ციხესიმაგრის, ხევის ან საერისთავოს ფარგლებით განისაზღვრებოდა. ახალი ერთიანი სახელმწიფოს ინტერესებით წამოყენებულ მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებდა მმართველობის ვინრო ფეოდალური ინტერესებით ნაკარნახევი სისტემური წყობილება. მეფე-მთავრების ბრძოლა პოლიტიკური ჰეგემონობისა და პირველობისათვის გადამწყვეტ ფაზაში იყო შესული. საქართველოს გაერთიანების შემდეგ უმაღლესი სამეფო არისტოკრატის და დიდებულების პოლიტიკურ მოღვაწეობაში ზემოთ აღნიშნული კრიზისის დაძლევა-დარეგულირებაც იყო გათვალისწინებული. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა ბაგრატ III, თავის მომხრე დიდებულებთან ერთად, ახალი საერისთავოების ჩამოყალიბებას. ერთ სამეფოდ გაერთიანებულ ქვეყანაში უნდა გაზრდილიყო საერისთავოთა რიცხვი, რომლის ერისთავებად ან ერისთავთ-ერისთავებად ბაგრატ III თავის სანდო დიდგვარიან წარჩინებულებს ნიშნავდა.

წერილობითი წყაროების საერთო მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეტ-ნაკლებად ცნობილია იმ ერთგულ მოხელეთა ვინაობა, რომლებიც ბაგრატ III-ის თანამებრძოლებად ითვლებიან. ერთ-ერთი ასეთი თანამებრძოლი იყო ზვიად II მარუშანი, რომელიც პირველად 1014 წლის ამბებთან დაკავშირებით მოხსენიებულია „ქართლის ცხოვრების“ ანონიმი ისტორიკოსის „მატიანე ქართლისაჲ“-ს თხზულებაში: „წარმოიღო გუამი მისი (ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) – ა.მ.) ზუადმან ერისთავ-ერისთავმან, და დამარხა ბედიას“ (9. 283.). დამონმებული ცნობის თანახმად, გარდაცვლილი მეფის დაკრძალვის ცერემონიას ზვიად ერისთავთ-ერისთავი მეთაურობს. ცხადია, ზვიად მარუშანი ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის უახლოეს თანამებრძოლთაგან ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა იყო, რომლის დაწინაურება ბაგრატ III-ის სამეფო კარზე გაცილებით უფრო ადრეა საფიქრებელი, ვიდრე 1014 წელი. არ არის გამორიცხული, რომ ზვიადის დაწინაურების ერთ-ერთ განმამპირობებელ მიზეზად კლდეკარის ერისთავის, რატი ბაღვაშის პოლიტიკური დამცრობა მივიჩნიოთ, რომელიც ბაღვაშთა ფეოდალურმა სახლმა ბაგრატ III-ის წინააღმდეგ გამოსვლის შედეგად განიცადა.

ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის ბრძოლა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ბაგრატ III მიზანმიმართულად მოქმედებდა. მან დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლში პოზიციების გამყარების შემდეგ გადაწყვიტა კლდეკარის საერისთავოს შემოერთება. კლდეკარის საერისთავო თრიალეთის ქედის თხემზე, მდინარე თეძმისა და ალგეთის წყალგამყოფ უღელტეხილზე, ბუნებრივად წარმოქმნილ კლდეთა სისტემაში გაჭრილი კარის ადგილზე IX საუკუნის 80-იან წლებში შეიქმნა. საერისთავოს დაარსება ლიპარიტ ბაღვაშის სახელთან არის დაკავშირებული, რომელიც მანამდე დასავლეთ საქართველოში არგვეთის მთავარი იყო. ლიპარიტმა თრიალეთში გადასვლით გაძლიერებულ „აფხაზთა მეფეებს“ გააჩინა თავი. კლდეკარის საერისთავოს სტრატეგიულად მეტად მოხერხებული მდგომარეობა ჰქონდა. საერისთავო მოიცავდა ატენის ხეობას, თრიალეთს, მაგლისხევს და სკვირეთს. კლდეკარის საერისთავოს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა თბილისის საამირო, სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით – სამშვილდე და ძორაკეტი, სამხრეთ-დასავლეთით – ჯავახეთი, დასავლეთით – სამცხე, ხოლო ჩრდილოეთით – ქართლის საერისთავო. X ს. II ნახევრიდან კლდეკარის საერისთავოს განაგებდა რატი ლიპარიტის-ძე ბაღვაში. მან, სხვა დიდაზნაურების მსგავსად, ისარგებლა არეული პოლიტიკური სიტუაციით და მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლის მიწები, რომლებიც თრიალეთს ესაზღვრებოდა, თავის სამფლობელოდ გამოაცხადა. რატი ბაღვაშს თავი დამოუკიდებელ ერისთავად მიაჩნდა, რაც ბაგრატ III-ის პოლიტიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა (8. 112).

989 წელს ბაგრატმა ილაშქრა თრიალეთში და დაიმორჩილა კლდეკარის ერისთავი, ბაღვაშთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი რატი I ბაღვაში. როგორც ისტორიკოსი გვამცნობს: „მისცა ციხე თვისი ბაგრატს, და თვთ დაჯდა მამულსა თვისსა არგუეთს“ (9. 278). დამონებული ცნობის თანახმად ვიგებთ, რომ კლდეკარის ციხე ბაგრატ III-ის ხელში აღმოჩნდა, ხოლო კლდეკარის საერისთავოდან გან-

დევნილი რატი ბალვაში მამაპაპეულ მამულში – არგვეთში დაბრუნდა. ამით ბალვა-შებმა კლდეკარის საერისთავოსა და თრიალეთთან ურთიერთობა შეწყვიტეს და ეს ბუნებრივიც არის, რადგან ხელისუფლების ცენტრალიზაციის მონინაალმდევე დიდებულ-ფეოდალთა მიმართ ბაგრატი შემწყნარებლობით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. როგორც „მატიანე ქართლისას“ ავტორი გვაუწყებს: „ურჩნი თჳსნი შეცვალა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა“ (9. 278). ე.ი. მონინაალმდევე ერისთავებს ბაგრატი III თავის ერთგულ მოხელეებს უპირისპირებდა. როგორც მართებულად აღნიშნავს ნიკო ბერძენიშვილი: „ბაგრატი ყმადნაფიცებს, მთაერებს (ძამელი მთავრის მსგავსს) არ ითმენდა და მხოლოდ „მოსწრაფედ მორჩილებს“, ერისთავ-მოსაკარგავეებს სცნობდა. ეს იყო ის ახალი, რაც ბაგრატს შემოჰქონდა“ (5. 319).

ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო ის „ერთგული და მოსწრაფედ მორჩილი“, რომელსაც კლდეკარის საერისთავო გადასცა ბაგრატი III-მ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ერისთავი უნდა ყოფილიყო მარუშიანთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი, ზვიად II მარუშიანი. ამ მოსაზრებას სათანადო არგუმენტებით ასაბუთებენ: ანა ბაქრაძე (3. 59-60), ვასილ ცისკარიშვილი (18. 13), ნოდარ შოშიაშვილი (15. 26), გიორგი ოთხმეზური (11. 38-39), ქველი ჩხატარაიშვილი (16. 93-94), ვალერი სილოგავა (13. 223), მიხეილ ბახტაძე (4. 176-177). აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს ვასილ კოპალიანი (22. 14) და როინ მეტრეველი (10. 50).

მართალია, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი არ მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ ვის გადასცა ბაგრატი კლდეკარის საერისთავო და თრიალეთი, მაგრამ, როგორც მართებულად არის შენიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, ბალვაშთა ფეოდალური სახლის განდევნის შემდეგ, კლდეკარის საერისთავოსა და თრიალეთის მხარეში ბაგრატს მისი ერთგული მოხელე, მარუშიანთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი ზვიად II მარუშიანი უნდა დაენიშნა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მოსაზრების დასამტკიცებლად, ზემოთ წარმოდგენილი ისტორიული საფუძვლების გარდა, წერილობითი მონაცემებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიუანსის გათვალისწინებით უფრო ცხადი ხდება კლდეკარის საერისთავოსა და თრიალეთის მხარეში ზვიად II მარუშიანის ერისთავად დანიშვნის ფაქტი.

ზვიადი ერისთავთ-ერისთავის ტელთ მოხსენიებულია ლივადისის ეკლესიის წარწერაში: „წმიდაო თეოდორე, შეიწყალე ვარდა, ძე მონისა ზვიადისაჲ, ერისთავთ ერისთავი(საჲ)“ (23. 63).

აღსანიშნავია, რომ ლივადის ეკლესიის წარწერაში დასახელებულ ზვიად ერისთავთ-ერისთავს და მის შვილს – ვარდას არავითარი ნათესაური კავშირი არ აქვს ბალვაშებთან. ბალვაშთა საგვარეულოში საერთოდ არ გვხვდება სახელები ზვიადი, ვარდა, ვაჩე, არაბაჲ. აღნიშნული სახელები მამა-შვილების ერთად მოხსენიების, გენეალოგიური მემკვიდრეობის პრინციპით დადასტურებულია მარუშიანთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა ამსახველ დოკუმენტურ მასალებში და კონკრეტულად მარუშიანთა ფეოდალური სახლის იმ წევრებს გულისხმობს, რომლებიც

სამცხისა და ჯავახეთის საერისთავოებში „აფხაზთა მეფეების“ მიერ ერისთავ-გამგებლებად ინიშნებოდნენ (არაბაძე, ზვიად I, ვაჩე – ზარზმის ფერიცვალების ხატის წარწერისა და კუმურდოს ტაძრის საამშენებლო წარწერები), ხოლო მათი შთამომავალი და მემკვიდრე ზვიად II შვილთან – ვარდასთან ერთად თრიალეთის მხარეში (ლივადის ეკლესიის წარწერაში) ერისთავთ-ერისთავად არის მოხსენიებული.

სოფელი ლივადი და ლივადის ეკლესია თრიალეთში კლდეკართან ახლოს (წალკის რაიონული ცენტრიდან 16 კილომეტრის დაშორებით) მდებარეობს. ლივადის ეკლესიის წარწერის გარდა, ზვიად II, გვარად მარუშიანი, თრიალეთის ტერიტორიაზე, კლდეკარის საერისთავოს ფარგლებში, კიდევ ერთი ძეგლის წარწერაშია მოხსენიებული. ეს არის გომარეთის ეკლესიის საამშენებლო წარწერა, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

კლდეკარის საერისთავოს გამგებელ-ერისთავთა ნუსხაში მარუშიანთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა სახელების გაჩენა, ვფიქრობთ, ბაგრატ III-ის მიერ 989 წელს კლდეკარის საერისთავოდან ბალვაშების განდევნისა და მათ ნაცვლად ზვიად II მარუშიანის ერისთავთ-ერისთავად დანიშვნის ფაქტს უნდა გულისხმობდეს. როგორც ჩანს, ზვიად მარუშიანის, როგორც ამ მხარის ერისთავთა (არაბაძე, ზვიად I, ვაჩე) მემკვიდრე, სამოხელეო მმართველობა 989 წლამდე მოიცავდა სამცხისა და ჯავახეთის საერისთავოებს, ხოლო 989 წლიდან დაემატა კლდეკარის საერისთავო. ე.ი. ზვიად II-ის ხელში გაერთიანდა სამცხის, ჯავახეთისა და კლდეკარის საერისთავოები, ამიტომ იწოდება ზვიად II ერისთავთ-ერისთავად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გაერთიანების იდეის მომხრე, პროგრესულად მოაზროვნე არისტოკრატიული საზოგადოება, ქვეყნის პოლიტიკურ ძლიერებასთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობდა მმართველობით სისტემაში საერისთავოების მოდერნიზაციის საკითხს. ბაგრატ III-ის დამოკიდებულება ურჩი ერისთავებისადმი ნათლად ასახავს გაერთიანებული ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის ახლებურ გააზრებას. ერთიანობის იდეის ფართოდ გავრცელების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მეფის კარის პოლიტიკური ინტერესების მომხრე მოხელეებისა და ერისთავების დანიშვნის საკითხს. ბაგრატ III-ის მიერ სტრატეგიული ციხესიმაგრეებისა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული პუნქტების გამგებელ-ერისთავებად ან ერისთავთ-ერისთავებად წარჩინებული არისტოკრატის ის ნაწილი ინიშნებოდა, რომლებსაც კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალიზებული სისტემით მოწყობის პრინციპები.

ბაგრატ III-ის შემდეგ გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) თანამებრძოლთა შორის, სხვა დიდგვაროვან ფეოდალებთან ერთად, დასახელებულია ზვიად II მარუშიანი, რომელიც „მატიანე ქართლისაჲს“ თხზულებაში მოხსენიებულია საქართველო-ბიზანტიის 1021-1023 წწ. ომის ამბებთან დაკავშირებით: „გიორგი მეფემან წარავლინა ზუადი ერისთავი სპითა მისითა“ (9. 287).

ზვიად მარუშიანის მოღვაწეობა საქართველო-ბიზანტიის ომში როგორც ქართველთა ლაშქრის მთავარსარდლისა სხვა წყაროებითაც დასტურდება. სუმბატ დავითის ძე, ბაგრატიონიანთა მოღვაწეობის ამსახველ ქრონიკაში წერს: „ხოლო გიორ-

გი მეფემან განაწილნა ზუადი ლაშქრითა დიდითა უწინარეს თვისსა. და დალაშქრა ზუადმანცა ამიერ კიდესა ბასიანისასა, რეცა ზამთრის სახედ" (14. 55).

ქართული წერილობითი წყაროების გარდა, ზვიადის მონანილეობა საქართველო-ბიზანტიის ომში დასტურდება უცხოური წყაროებითაც. საინტერესო ცნობებია დაცული სომხურ საისტორიო მწერლობაში. მათი მეშვეობით ზვიადის მოღვაწეობის ბევრი ისეთი მხარე ხდება ცნობილი, რაც სხვა ავტორებთან არ გვხვდება. მაგრამ ვიდრე ამ ცნობებს განვიხილავთ, აუცილებელია გავარკვეოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა ზვიადს კლდეკარის საერისთავოსა და ბალღაშებთან. საქართველო-ბიზანტიის ომის (1021-1023 წწ.) ამბების აღწერისას, მათეოს ურჰაეცის (XI ს.), სამველ ანეცის (XII ს.) და სმბატ სპარაპეტის (XIII ს.) ცნობების მიხედვით, გიორგი I-ის მეომრებიდან ზვიადი, რატი და ლიპარიტი მოხსენიებული არიან, როგორც ძმები (17. 174-176, იხ. აგრეთვე: 24. 88, შენიშვნა 404). თუმცა სომხურ ხელნაწერთა ერთ ანდერძ-მინაწერში („ჰიშატაკარანი“), რომელიც იმავე ამბებს ასახავს რატი და ზოიატი (იგივე ზვიადი – ა.მ.) მოხსენიებულია, როგორც ქართველთა მხედართმთავრები (1. 30).

ზემოთ დასახელებულ ისტორიკოსთა ცნობების გარდა, არც ერთი საისტორიო წყარო არ აღიარებს ზვიადს რატის ან ლიპარიტის ძმად, ე.ი. ბალღაშთა ფეოდალური სახლის წევრად, ხოლო ლიპარიტი და რატი მამა-შვილი იყო და არა ძმები (9. 284; 14. 54), ეს ლიპარიტი და რატი შთამომავალია რატი I ბალღაშის, რომელიც ბაგრატ III-ის დროს 989 წ. კლდეკარის საერისთავოდან განდევნის შემდეგ დასავლეთ საქართველოში – არგვეთში მამაპაპულ მამულში გადავიდა და იქ დაფუძნდა. ცხადია, სომეხ ისტორიკოსებთან დასახელებული ზვიადის, რატის და ლიპარიტის ეგრეთ წოდებული „ნათესაური კავშირი“ (რომ თითქოს ისინი ძმები იყვნენ) ერთგვარ გაუგებრობას ემყარება. ადვილი შესაძლებელია, ზვიადთან მიმართებაში ისტორიკოსები შეცდომაში შეეყვანა კლდეკარის საერისთავოში 989 წელს ბაგრატ III-ის მიერ განხორციელებულ მონაცვლეობას, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კლდეკარის ერისთავად რატი ბალღაშის ნაცვლად ზვიად მარუშიანის დანიშვნას გულისხმობს. საქართველო-ბიზანტიის ომში მონანილე რატის და ზვიადს ერთმანეთთან სწორედ კლდეკარის საერისთავო აკავშირებს, იმ განსხვავებით, რომ ზვიადი რატი I-ის შემდეგ დანიშნული ერისთავი იყო, ხოლო რატი II ყოფილი კლდეკარის ერისთავის მემკვიდრე (რატი I ბალღაშის შვილიშვილი).

ბრძოლის ველზე რატი ლიპარიტის ძის გმირულად დაღუპვის ფაქტს აღიარებს ქართული, ბერძნული და სომხური საისტორიო წყაროები, ხოლო რაც შეეხება ზვიადს, XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, სამველ ანეცის ცნობის თანახმად, იგი ბიზანტიელებს ტყვედ ჩავარდნია ხელში (17. 174), გიორგი I კი ზვიადის გასათავისუფლებლად თავისი შვილი ბაგრატი (მომავალში მეფე ბაგრატ IV 1027-1072 წწ.) მიჰვლად გადაუცია ბიზანტიელებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო-ბიზანტიის ომის ამბების აღწერისას არც ერთი საისტორიო წყარო ანალოგიურ ფაქტს არ ასახელებს. ხოლო შედარებით უფრო ადრინდელ ქართულ წერილობით წყაროებში ბასილი იმპერატორისა და გიორგი

1-ის დაზავებასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „და ყვეს მშუდობა და დაიზავნეს, და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თუხი ბაგრატი წელინდისა სამისა“ (9. 288; 14. 56). მიუხედავად იმისა, რომ XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სამველ ანეცის ცნობები ზვიადის შესახებ საეჭვო შთაბეჭდილებას ტოვებს. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ქართულ, სომხურ და არაბულ წერილობით წყაროთა მონაცემების ერთმანეთთან შეჯერების შედეგად გავარკვიოთ, რამდენად რეალურად არსებობდა საფუძველი გიორგი 1-ის მიერ ზვიადის ტყვეობიდან განთავისუფლების შესახებ გადანყვეტილების მისაღებად.

„ქართლის ცხოვრების“ ანონიმი ისტორიკოსის „მატიანე ქართლისაჲ“-ს თხზულებასში ვკითხულობთ: „კულად შემოიქცა ბასილი, მოვიდა ბასიანს, ითხოვდა ქუეყანათა და ციხეთა, და აღუთქმიდა ზავსა და მშუდობასა. ცნა რა გიორგი მეფემან ნარავლინა ზვადი ერისთავი სპითა მისითა და უბრძანა, რათამცა ზავის მიპყრობითა მცირედ-ხან დაიმჭირეა ადგილსა, და თუთ ნარუდგა უკანა სპითა ძლიერითა. და განიზრახვიდა ესრეთ: „უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ; და უკეთუ ინებოს ომი, განემზადნეთ მისთვისცა“ (ხაზი ჩვენია-ა.მ.). ხოლო რომელთა არა უნდა ყოფად მშუდობისა, იწყეს განმზადებად ბრძოლად“ (9. 287).

დამონმებული ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ბასილი იმპერატორის ინიციატივა ზავისა და მშვიდობის სანაცვლოდ არაფერს ახალს არ ითვალისწინებდა. თავის მხრივ გიორგი 1-მა, არ ენდობოდა რა იმპერატორს, ორაზროვანი გადანყვეტილება მიიღო და ლაშქრის ორგანიზებას შეუდგა. ისიც აშკარად ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანი მისიის შესრულება ჰქონდა დავალებული ზვიად ერისთავს. მას ზავის პირობების შეთავაზებით უნდა შეეჩერებინა ბასილი იმპერატორი. ხოლო გიორგი 1-ის ჩანაფიქრი მოლაპარაკების ნარუმატებლად განახორციელების შემთხვევაში ბასილი იმპერატორის წინააღმდეგ ბრძოლის განახლებას ითვალისწინებდა. როგორც სუმბატ დავითის ძის ქრონიკიდან ირკვევა, „გარნა ორკერძოვე მზაკუარნი იგი აზნაურნი არა მიეშუნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდა მშვიდობაჲ, არამედ აზრახეს მას ბრძოლად“ (14. 55). ივანე ჯავახიშვილის აღნიშვნით, ზავის პირობებით ნამოყენებული მოთხოვნები მიუღებელი უნდა ყოფილიყო აზნაურთა ერთი ნაწილისათვის. ამიტომ გიორგი 1-ს ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ და ამ გზით ცდილობდნენ იმპერატორის მახეში გაბმას (20. 135; 6. 116-118).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს XI საუკუნის არაბი ისტორიკოსის იაჰია ანტიოქიელის ცნობები. ჩვენთვის საინტერესო ტექსტის როზენისეულ თარგმანში ვკითხულობთ: „И стало тогда ясным царю, что все, что делалъ аѳхазецъ, и переговоры его съ нимъ были лишь обманомъ. Дело въ томъ, что одинъ его визирь, Р-фад-с по имени, советовалъ ему пользоваться клятвами именемъ Божиимъ и обязательствами, данными имъ, какъ средствомъ для устройства западни царю Василію“ (21. 65).

დამონმებული ციტატის შესახებ ივანე ჯავახიშვილის შენიშვნაში ვკითხულობთ: „აჰჰა ანტიოქიელი ამბობს, რომ ამგვარ ხერხს გიორგი მეფეს მისი ვაზირი „რ-ფად-ს“ ურჩევდა. ვ. როზენი ფიქრობს, რომ ამ მოხელეს სახელი „ლიპა-

რიტი" უნდა ყოფილიყო, მაგრამ დედანში თავდაპირველად „ზჯადი“ ეწერებოდა: რომ აქეთგან „რფად“-ი წარმომდგარიყო, ამისთვის საკმარისი იყო პირველ ასოს წერტილი მერმინდელს გადამწერს მეორე ასოზე გადაეტანა, მაშინ ორთავ ასოების გამოთქმა შეიცვლებოდა. ვინც არაბული ანბანი იცის, იმას ამგვარი შეცდომა არ გააკვირვებს“ (20. 135).

ივანე ჯავახიშვილის შესწორებას, სახელ „რფად“-ის ნაცვლად ზვიადის ნაკითხვას იზიარებს ოთარ ცქიტიშვილი. იგი აღნიშნულ ადგილს თარგმნის შემდეგნაირად: „მაშინ ცხადი გახდა კეისრისათვის, რომ აფხაზის ყველა მოქმედება და მასთან მოლაპარაკება იყო მხოლოდ სიტყუე. სახელდობრ, მისმა ვეზირმა, სახელად ზვიადმა, ურჩია (გიორგის), რომ გამოეყენებინა მას ფიცი და ვალდებულება ღვთის სახელით როგორც ისეთი რამ, რომელიც ხაფანგში მოამწყვევდა ბასილი კეისარს“ (ხაზი ჩვენია-ა.მ.) (19. 130). დამონმებული ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ბასილი იმპერატორი მიხვდა, თუ რა საშიშროება არსებობდა მოლაპარაკების გამართვის შემთხვევაში. როგორც აღვნიშნეთ, „მატიანე ქართლისაჲ“-ს მიხედვით, გიორგისგან საგანგებო მისიით წარგზავნილ ზვიად ერისთავს მოლაპარაკება უნდა გაემართა ბასილი იმპერატორთან. იმავე ზვიად ერისთავს იაჰია ანტიოქიელი გიორგი I-ის ვეზირად იხსენიებს. საკითხის სხვა მხარეა, რამდენად იყო იგივე ზვიადი ბასილი კეისრის „ხაფანგში მომწყვედვის“ ინიციატორი, როგორც ჩანს, იაჰია ანტიოქიელის ზემოთ მოტანილ ცნობაში იგულისხმება ზვიად ერისთავის წარგზავნის ფაქტი, რითაც ქართული მხარე ბასილი იმპერატორის წინააღმდეგ გამოსვლის ახალ გეგმას ახორციელებდა: „რათამცა ზავის მიპყრობითა მცირედ-ხან დაიმჭირვა ადგილსა...“ (9. 287). ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ გიორგი I და დიდებულები რომ შეთანხმებულად მოქმედებდნენ, ამას მხარს უჭერს „მატიანე ქართლისაჲ“-ს და სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ცნობების ერთმანეთთან შედარების შედეგად გაკეთებული დასკვნები (აღნიშნულის შესახებ იხილეთ ზურაბ პაპასჭირის გამოკვლევა 12. 145-147).

მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. ბასილი იმპერატორმა შეიტყო თუ არა გიორგი I-ის და ქართველი მეომრების ჩანაფიქრის შესახებ, ატყდა სასტიკი ბრძოლა: „კუალადცა მეოტ იქმნნეს სპანი ქართველთანი და წარმოვიდეს მეოტად, მოისრნეს ურიცხუნი პირითა მახელისათა; და რომელნიმე ტყუე იქმნნეს“ (ხაზი ჩვენია-ა.მ.) (9. 287-288). ბრძოლის დროს მეომართა დაღუპვის ფაქტს სხვა წყაროებიც ადასტურებს, მაგრამ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობა „რომელნიმე ტყუე იქმნნეს“ კონკრეტულად ვის გულისხმობს და იყო თუ არა მათ შორის ზვიად ერისთავი, ძნელი გასარკვევია (გავიხსენოთ სომეხი ისტორიკოსის სამეველ ანელის ზემოთ დასახელებული ცნობა). მაგალითად, იაჰია ანტიოქიელი ზვიადის დატყვევების ფაქტს უარყოფს: „კეისარი შეებრძოლა, დახოცა აფხაზის მოლაშქრენი და დაატყვევა მრავალი ხალხი. აფხაზი, მისი ვაზირი (ე.ი. „რფად“-ი ანუ ზვიადი – ა.მ.) და მიმდევარი ქვეშევრდომნი გაიქცნენ უკანმოუხედავად“ (19. 130).

საქართველო-ბიზანტიის ომის დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. მეგრძოლი მხარეები საბოლოოდ ზავის გაფორმებაზე შეთანხმდნენ. ბასილი II-ის მოთხოვნას სადავო ტერიტორიისა და ციხეების გადაცემის თაობაზე უფლისწულის მძევ-

ლად წაყვანა დაემატა: „და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თჳსი ბაგრატ ნე-  
ლინდისა სამისა“ (9. 288; იხ. აგრეთვე: 14. 56; 19. 130; 2. 52). საქართველო-ბიზანტი-  
ის ომში გიორგი I-ის თანამებრძოლთა რიგებში დასახლებული ზვიად ერისთავის  
მოღვაწეობის ამსახველი წერილობითი წყაროებიდან, მართალია, ზოგიერთი მო-  
საზრების (სამველ ანელი) უარსაყოფად პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგ-  
რამ ზვიადის მოხსენიება ზემოთ აღნიშნული კონტექსტით ერთ-ერთ მნიშვნელოვან  
გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველო-ბიზანტიის ომში განახლებული  
ბრძოლის (1022/23 წ.) შეწყობის მიზანმიმართულად გიორგი I-ის მიერ და-  
ნიშნული ზვიად ერისთავი და უფრო ადრე სამცხის, ჯავახეთის, 989 წლის შემდეგ  
კი კლდეკარის საერისთავოს გამგებლად ბაგრატ III-ის მიერ დანიშნული ზვიად  
ერისთავთ-ერისთავი ერთი და იგივე პირია. მართალია, ქართული და უცხოური წე-  
რილობითი წყაროები პირდაპირ არ მიუთითებენ, მაგრამ მემატინანეთა ცნობებში  
წარმოდგენილი ზოგადი მსჯელობის საფუძველზე ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძ-  
ლება: კლდეკარის ერისთავად ბაგრატ III-ის ერთგულ თანამებრძოლთაგან ზვიად  
მარუშინის დანიშვნა საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ერთ-  
ერთი მსხვილი საერისთავოს ჩამოყალიბების პრეცედენტს უნდა გულისხმობდეს.  
ზვიადი, როგორც ერისთავთ-ერისთავი, ერთდროულად განაგებდა სამცხის, ჯავა-  
ხეთის და თრიალეთის მხარეს. მეფის კარის ცენტრალიზებული მმართველობის  
სისტემაზე აგებული პრინციპებით უნდა განეხორციელებინა ზვიად ერისთავს მთი-  
სა და ბარის მოსახლეობის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურუ-  
ლი კავშირურთიერთობები. უნდა ვიფიქროთ, რომ კლდეკარის საერისთავოდან  
ბალეაშთა ფეოდალური სახლის განდევნის შემდეგ ბაგრატ III-ის მიერ დანიშნულმა  
ზვიად ერისთავთ-ერისთავმა აღკვეთა მეფის კარისა და ქვეყნის ცენტრალიზაციის  
სისტემის წინააღმდეგ წარმოებული მოძრაობა, რითაც თავიდან ბაგრატ III-ის, მოგ-  
ვიანებით კი გიორგი I-ის ნდობა დაიმსახურა. ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის  
ბრძოლა ზემოთ აღნიშნული პრინციპების დანერგვითა და გატარებით უნდა განე-  
ხორციელებინა ზვიად ერისთავს, რომლის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისადმი  
ადვილი შესაძლებელია არაპოზიტიური დამოკიდებულება გასჩენოდა თუნდაც  
ისეთ ფეოდალს, როგორც კლდეკარის საერისთავოდან და თრიალეთიდან გაძევე-  
ბული და პოლიტიკურად დამცრობილი, ბალეაშთა ფეოდალური სახლის შთამომავ-  
ალი ლიპარიტ ბალეაში იყო. ლიპარიტის დაახლოება სამეფო კართან სწორედ მას  
შემდეგ დაიწყო, როცა მისმა წინაპარმა რატი II ბალეაშმა საქართველო-ბიზანტიის  
ომში გმირული თავგანწირვით გიორგი I-ს ერთგულება დაუმტკიცა. რატი II-ის შთა-  
მომავლის – ლიპარიტ ბალეაშის პოლიტიკური აღზევება და თრიალეთის მხარეში  
კლდეკარის ერისთავად დაბრუნება დოკუმენტური წყაროებით X ს. 20-30-იან წწ.  
დასტურდება (3. 60; 13. 222-223).

გამოდის, რომ თუ ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ცნობების ინტერპრეტაცია  
სწორია, მაშინ გიორგი I-სა და მისი მემკვიდრის ბაგრატ IV-ის თანამედროვე ლიპა-  
რიტის დროს უნდა დაებრუნებინათ ბალეაშებს თრიალეთი და კლდეკარის საერის-


თავო (7. 162; 11. 40). ე.ი. ლიპარიტ ლიპარიტის ძემ შეცვალა კლდეკარის ერისთავთ-ერისთავი ზვიად II მარუშიანი, რასაც თვალნათლივ ადასტურებს თრიალეთის ტერიტორიაზე (დმანისის რაიონული ცენტრიდან 7 კილომეტრით დაშორებული) დიდი გომარეთის ეკლესიის საამშენებლო წარწერა (იხილეთ სურათი), რომლის თანახმად, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზის გამო, გიორგი I-მა შეიპყრო ზვიად მარუშიანი. ქარაგმის გახსნით წარწერა იკითხება შემდეგნაირად: „სახელითა ღმრთისაათა მას ჟამსა ოდეს ძრიელმან და უძლეველმან გიორგი აფხაზთა მეფემან შეიპყრნა ზვიად მარუშიანი, მაშინ ესე ბალავარი დეა ჴელითა ცოდვილისა მიქელ ზუც(ეს) – გალატოზისათა“ (23. 83).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ექვთიმე თაყაიშვილი გომარეთისა და ლივადის წარწერაში მოხსენიებულ ზვიადს ერთსა და იმავე პირად მიიჩნევს (23. 63). არ არის გამორიცხული, რომ ზვიად II მარუშიანისა და გიორგი I-ის კონფლიქტი ინსპირირებული იყოს ლიპარიტ ბალავაშის მიერ. გავიხსენოთ თუნდაც სუმბატ დავითის ძის სიტყვები: „ღადრობითა (ე.ი. დაუნდობლობით – ა.მ.) აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი. მათ ქუეყანათა კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“ (14. 54). მართალია, სუმბატ დავითის ძე არ აკონკრეტებს, თუ ვის ეხება ზემოთ აღნიშნული ფრაზა, რომლითაც ავტორი ზოგადად გიორგი I-ის საშინაო პოლიტიკურ მდგომარეობას აღწერს, მაგრამ, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ანალოგიურ ვითარებას უნდა ჰქონოდა ადგილი ზვიად II მარუშიანის შემთხვევაში.

როგორც ვალერი სილოგავა აღნიშნავს: გომარეთის ეკლესიის წარწერის ტექსტში აღნიშნულია „საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი ფაქტი, სხვა წყაროებით უცნობი – გიორგი მეფის მიერ ზვიად მარუშიანის შეპყრობა. ხოლო ეს ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ ეკლესიის აშენების დრო ამითაა დათარიღებული“ (13. 223).

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ მარუშიანთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა – ზვიად II მარუშიანმა პოლიტიკურად აღზევება განიცადა ბაგრატ III-ისა (975-1014 წწ.) და მისი მემკვიდრის გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) მეფობის პერიოდში. თუმცა საქართველო-ბიზანტიის ომის შემდგომ გიორგი I-ის მიერ ზვიად მარუშიანის შეპყრობის ფაქტს ადასტურებს გომარეთის ეკლესიის საამშენებლო წარწერა. ზვიადის შეპყრობის შემდეგ დაბრუნდნენ ბალავაშები თრიალეთის მხარეში კლდეკარის ერისთავებად (4. 176-177). ზვიად მარუშიანის შეპყრობისა და დამარცხების შემდეგ ზვიადის შვილი ვარდა ანუ ვარდანი და, შესაბამისად, ვარდანისძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა მოღვაწეობა დასტურდება XI-XV სს. მანძილზე. ამ საგვარეულოში მარუშიანთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა აღმნიშვნელი ტერმინი ტრანსფორმირებული სახით დამკვიდრდა და აღნიშნავდა პირის სახელს – „მარუშიანი“.

აღსანიშნავია, რომ მარუშიანთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლებმა დიდი გავლენა მოახდინეს X საუკუნის დასაწყისიდან „აფხაზთა სამეფოს“, ხოლო X-XI სს. ერთიანი საქართველოს სამოხელეო წყობილების ფორმირება-ჩამოყალიბების, აგრეთვე, მეფისა და ერისთავის ხელისუფლების დაახლოებისა და ერთიანი მმართველობის სისტემის შემუშავების საქმეში.



გომარეთის ეკლესიის საამშენებლო წარწერა

### ლიტერატურა

1. *ალექსანდრე აბდალაძე*. სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 2005.
2. *არისტაკეს ლასტივერტეცი*. ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1974.
3. *ანა ბაქრაძე*. თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XX. თბ. 1959. გვ. 55-78.
4. *მიხეილ ბახტაძე*. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. „არტანუჯი“. თბ. 2003.
5. *ნიკო ბერძენიშვილი*. საქართველოს ისტორიის საკითხები [მეორე გამოცემა]. „მეცნიერება“. თბ. 1990.
6. *ვასილ კობალიანი*. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ. 1969.
7. *მარიამ ლორთქიფანიძე*. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი III. საქართველო XI- XV საუკუნეებში. თბ. 1979. გვ. 153-170.

8. *ალექსანდრე მარუაშვილი*. კლდეკარის საერისთავო. თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. II. თბ. 2004. გვ. 112-115.
9. *მატიანე ქართლისა*. ნგ.: ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955. გვ. 249-317.
10. *როინ მეტრეველი*. შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII საუკუნე). „საბჭოთა საქართველო“. თბ. 1973.
11. *გიორგი ოთხმეზური*. XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული ნარნერები როგორც საისტორიო წყარო. თბ. 1981.
12. *ზურაბ პაპასქირი*. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 1990.
13. *ვალერი სილოგავა*. ქვემო ქართლის ნარნერები. კრ. „დმანისი“. II. თბ. 2000. გვ. 214-313.
14. *სუმბატ დავითის ძე*. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ჩუენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოინივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით უამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ ძემან დავითისმან. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიაძე. თბ. 1990.
15. *ნოდარ შოშიაშვილი*. თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი. კრ. „ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“ („შოთა რუსთაველი“). ეძღვნება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. თბ. 1966. გვ. 7-74.
16. *ქელი ჩხატარაიშვილი*. აბულასან იობისძის წარწერა ნებელდიდან და მისი ისტორიული მნიშვნელობა. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები VI. თბ. 1990. გვ. 83-106.
17. *ელენე ცაგარეიშვილი*. „ქართველისა“ და „საქართველოს“ აღმნიშვნელი ტერმინები სომხურ წერილობით წყაროებში. ნგ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ. 1993. გვ. 153-209.
18. *ვასილ ცისკარიშვილი*. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. თბ. 1959.
19. *ოთარ ციტიშვილი*. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში. ჟურნ. „მაცნე“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო. 4. 1968. გვ. 115-133.
20. *ივანე ჯავახიშვილი*. ქართველი ერის ისტორია. წიგნი II. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბ. 1983.
21. *Император Василий Болгаробойца*. Извлечения из летописи Яхьи Антиохийского, издал, перевёл и обьснил В. Р. Розен. СПб. 1883.
22. *Копалиани В. У.* Клдкарское эриставство, Автореферат к диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб, 1949
23. *Такайшвили Е. С.* Археологические экскурсии, разыскания и заметки. Вып. IV. Тифлис. 1913 (ახალი გამოცემა: *ვ. სილოგავა*, ქვემო ქართლის ნარნერები, კრ. დმანისი, II, თბ., 2000, გვ. 242, №9, სურ. 11).
24. *Bibliothèque historique Arméniene. Chronique de Mattieu d'Edesse (962-1136).* Choix des principaux historiens arméniens traduits en Français par M. Edouard Dulaurier. Paris. 1858.

## THE DIPLOMATIC SERVICE OF ZVIAD II MARUSHIANI

## Summary

**AMONG** the representatives of the feudal house of Marushiani in the second half of the 10<sup>th</sup> century and in the 20s-30s of the 11<sup>th</sup> century, the source mentions Ivane the son of Marush and Zviad II Marushiani. Zviad II Marushiani was the contemporary of Bagrat III and Giorgi I. He was a descendant of those Eristavis (princes), who were appointed by ოკე Abkhazian Kings to the position of Eristavis in Samtskhe-Javakheti.

Close relationship of the feudal house of Marushiani with the royal court of Bagrat III was not accidental. Ivane the son of Marush together with the other members of the feudal house of Marushiani contributed greatly to the revival of the state, the establishment of the centralized government and the coronation of Bagrat III. In the list of the people having the same ideas as Bagrat III was mentioned Zviad II. We can consider him as the heir of the feudal house of Marushiani and the successor of the work undertaken by Ivane the son of Marush.

The fight for the state power was connected with great difficulties. That is why Bagrat III acted purposefully. After fixing his positions in West Georgia and Inner (Shida) Kartli he decided to join Kldekari lands (Saeristavos). After 989 Zviad II Marushiani was appointed Eristavi of Kldekari.

Progressive aristocratic society supporting the idea of the unification of Georgia, paid great attention not only to the political power of the country, but also to the modernization of "Saeristavos" in the governing system. The attitude of Bagrat III towards refractory Eristavis shows evidently new ideas of political establishment in the united country.

Except being on the list of the men supporting the ideas of Bagrat III, the name of Zviad Marushiani was mentioned in the "Chronicles of Kartli" in connection with the Georgian – Byzantine war (1021 – 1023). Zviad Eristavi – the Commander-in-Chief of the front army, appointed by King Giorgi I was the same person as Zviad II Marushiani.

So, we can see that the representative of the feudal house of Marushiani Zviad II had a great influence upon the Abkhazian Kingdo and on the process of establishment of the united government in Georgia from the second half of the 10<sup>th</sup> century and it lasted up to the end of his life.

## XI-XIII საუკუნეებში მოღვაწე დადიანთა გენეალოგია

საუკუნეების მანძილზე დადიანები ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ძლიერი ფეოდალური საგვარეულო იყო.

დადიანების წარმოშობის შესახებ, ქართულ ისტორიოგრაფიაში, რამდენიმე მოსაზრება არსებობს. პ. ინგოროყვას აზრით, გვარი დადიანი დადის-წყალზე მდებარე რეზიდენციის სახელის „დადის-ციხისაგან“ წარმოსდგება, ხოლო მეორე რეზიდენციას – ბედიას – უკავშირდება საგვარეულო სახელი ბედიანი (12; 641). ეს აზრი თავის დროზე სამართლიანად გააკრიტიკა ნ. ბერძენიშვილმა – „დასამტკიცებელია დებულება, იწარმოება თუ არა ქართულად ადამიანის გვარ-სახელი საგეოგრაფო პუნქტის სახელიდან „იან“, „ან“ სუფიქსით? თუ ამ სუფიქსის ქართულ ბუნებას გავითვალისწინებთ, ზემოთ დასმულ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ“ (8;342). თ. ბერაძე აღნიშნავს – „1963 წელს მოვიარეთ ენგურის მარჯვენა ნაპირის სამეგრელო და არსად არ გვინახავს და ვერ ჩავინერეთ ტოპონიმი დადისწყალი და დადის-ციხე“. მკვლევარი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომელიც პირველად ნ. ბერძენიშვილმა გამოთქვა და აღნიშნავს – „დადიანი სვანური წარმოშობის გვარი უნდა იყოს და იმხანავე დადის შთამომავლობას“ (7;152).

დ. ბაქრაძის აზრით: „როგორც გურიელები, ასევე დადიანების პირველი დინასტია წარმომავლობით ერთსა და იმავე ვარდანისძეების საგვარეულოს უნდა მივაკუთვნოთ“ (6;225). დადიანებთან დაკავშირებული ეს მოსაზრება საკმაოდ გავრცელებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში და მას მრავალი მკვლევარი იზიარებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისის დამამტკიცებელი პირდაპირი ცნობები წყაროებში არ მოიპოვება. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია, რომ დადიანთა საგვარეულოში გავრცელებული იყო ვარდანისძეთათვის დამახასიათებელი სახელები: ივანე და ვარდანი. ეს კი შეიძლება დ. ბაქრაძის მოსაზრების სასარგებლო არგუმენტად მივიჩნიოთ.

უკანასკნელად დადიანების წარმომავლობის საკითხს ი. ანთელავა შეეხო. მკვლევარი ეყრდნობა სოლომონ I-ის წერილს ეკატერინე II-სადმი, სადაც შემდეგი სახის ცნობაა დაცული: „პირველთაგან დადიანი ჩვენი თავადი ყოფილა, გვართი სალიძე“. შემდეგ აღნიშნავს: „როგორც ჩანს, XVIII ს-ის დასაველეთ საქართველოში იყო წერილობითი თუ ზეპირი ტრადიცია, რომელიც ძველ დადიანთა საგვარეულოს „სალიძეთა“ გვარს უკავშირებდა“ (3;16). მკვლევრის აზრით, სალიძე არის დამახინჯებული სალირისძე. სალირისძეები მართლაც ცნობილი გვარი იყო XII საუკუნეში. ისინი თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიალში იღებდნენ მონაწილეობას – „... და სრულ ყვეს მოხელეთა სვიანთა და დიდებულთა ვარდანის-ძეთა, სალირის-ძეთა და ამანელის-ძეთა მოღება და დადება ხრმლისა“ (11;27). ი. ანთელავას აზრით, რადგან ვარდანისძეები და

ამანელისძეები ერისთავები არიან, ამიტომ „ამ ცნობილ საგვარეულებთან საღირის-ძეთა მოხსენიება თვალნათლივ მოწმობს მათ როლს. საეჭვო არ უნდა იყოს ისიც, რომ ეს გვარი საერისთავო იყო ... ნიშანდობლივია, რომ თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიალში ... არ ჩანს დადიანთა საგვარეულო ... ასეთ დანიშნულებულ საგვარეულოს არ შეიძლება საპატიო ადგილი არ სჭეროდა მეფის კურთხევაზე. ვფიქრობთ, მათი მოუხსენიებლობა იმით აიხსნება, რომ ისტორიკოსი დადიანებს „საღირისძეებში“ გულისხმობს ... გვაქვს საფუძველი სოლომონ I-ის წერილში დაცული ცნობა დადიანთა ძველი დინასტიის „სალიძეობის“ შესახებ რეალურად მივიჩნით და დადიან – „სალიძეები“ დაუკავშირით საღირისძეთა საგვარეულოს“ (3;16-17).

რა შეიძლება ითქვას აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით? პირველი – დადიანთა მოუხსენიებლობა მეფედ კურთხევის დროს არ ნიშნავს მაინცდამაინც იმას, რომ ისტორიკოსი მათ სხვა გვარში გულისხმობს. თამარის მეფედ კურთხევის დროს არც ერისთავთ-ერისთავი შარვაშისძეები მოიხსენიებიან, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიკოსი მათაც სხვა გვარში გულისხმობს? რა თქმა უნდა, არა. არაა აუცილებელი, რომ „ხრმლის მოღების“ ცერემონიალში დასავლეთ საქართველოში არსებულ ყველა საგვარეულოს მიეღო მონაწილეობა. მეორე – დადიანთა საგვარეულოს პირველი რეალური (ანუ პირდაპირ არის დაფიქსირებული გვარი დადიანი – მ.ბ.) მოიხსენიება XI საუკუნის 40-იანი წლების ამბებს უკავშირდება. „მატიანე ქართლისაი“: „გამოიხყუნა (ლიპარიტ IV-მ) ანისით დედოფლისაგან აბუსერი ერისთავი არტანუჯისა .... და ივანე ერისთავი, *ივანე დადიანი* და გუარამ გოდერძის ძე, ბექის ციხის პატრონი“ (13;300). თამარის მეფედ კურთხევა, რომელშიც საღირისძეები მონაწილეობენ, 1184 წელს მოხდა. თუ გავიზიარებთ ი. ანთელავას აზრს, რომ ისტორიკოსი დადიანებს საღირისძეებში გულისხმობს, მივიღებთ ძალიან საინტერესო სურათს. გამოდის, რომ „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი საღირისძეებში გულისხმობს დადიანებს, რომლებიც სულ ცოტა 150 წლის გამოყოფილები მაინც უნდა იყვნენ საღირისძეებისაგან. ასეთი რამ ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია. „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი თამარის თანამედროვეა, მან კარგად იცის, რასაც წერს. დადიანებს ის არ იხსენიებს იმიტომ, რომ ისინი „ხრმლის მოღებაში“ არ მონაწილეობენ. დადიანებს ამ ცერემონიალში მონაწილეობა რომ მიეღოთ, ისტორიკოსი ამას აღნიშნავდა და არ იგულისხმებდა ამ მართლაც გავლენიან საგვარეულოს საღირისძეებში. შესამე – სრულიად აშკარაა, რომ გვარი საღირისძე მომდინარეობს სახელიდან საღირი, დადიანი კი სახელიდან დადი. მათ შორის არავითარი კავშირი არ უნდა იყოს.

დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული წყაროები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გადაჭრით ვამტკიცოთ დადიანების წარმომავლობის ამა თუ იმ მოსაზრების სისწორე. ჩვენი აზრით, ცხადია მხოლოდ ერთი რამ, გვარი დადიანი სახელ დადისაგან წარმოსდგება (შესაძლოა დადი ვარდანისძე იყო ამ გვარისათვის სახელის დამდები).

საუკუნეების მანძილზე დადიანები ოდიშის ერისთავები იყვნენ. ქართულ ისტორიოგრაფიაში მართებულად არის აღნიშნული, რომ ოდიშის საერისთავო წყაროებში პირველად თამარის დროს მოიხსენიება (3;12,18,149). იგულისხმება „ისტორიანი

და აზმანის" შემდეგი ადგილი – „და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს ... და ოდიშის ერისთავად ბედიანი“ (11;34). აღსანიშნავია, რომ მარიამ დედოფლისეულ ვარიანტში წერია არა ბედიანი, არამედ ბედანი (21;410). ჩვენი აზრით, ეს უფრო სწორი ფორმაა. რაც შეეხება იმას, რომ ვახუშტი იყენებს ფორმას „ბედიელი“, ჩვენ ვიზიარებთ თ. ბერაძის აზრს, რომ „ვახუშტის ბედიელი შეცდომით უნდა ჩავთვალოთ ... ბედიელი, როგორც ტიტული, ქართულ წყაროებში არაერთხელ მოიხსენიება, მაგრამ – როგორც წოდება ბედიის ეპისკოპოსისა“ (7;160). ასევე მართებულია თ. ბერაძის შენიშვნა ვახუშტი ბატონიშვილსა და ბერი ეგნატაშვილთან მოხსენიებული შანშე დადიანის შესახებ – „მათ ტექსტის შინაარსი ვერ გაუგიათ და შადადიანების ნაცვლად შანშე დადიანი დაუწერიათ“ (7;153).

ცხადია, რომ ბედანი, ალბათ, არ შეიძლება ოდიშის პირველ ერისთავად ჩათვალოს. ოდიშის საერისთავო თამარის მეფობამდე უნდა შექმნილიყო. ზუსტი თარიღის განსაზღვრა ძალიან ძნელია. ვახუშტის მიხედვით, ლეონ II-მ ერთ-ერთი თავისი ერისთავი „დასუა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთი ცხენის წყლამდე“ (4;796). ჩვენ ვენდობით ვახუშტი ბატონიშვილის ამ ცნობას. თუმცა ვთვლით, რომ X საუკუნის მერე ოდიშის საერისთავოს ცენტრი ბედიაში, ალბათ, ვეღარ იქნებოდა, რადგან ბედიას საეპისკოპოსო ცენტრი გახდა (საეპისკოპო ცენტრებისა და ერისთავთა რეზიდენციების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ურთიერთმიმართების საკითხი რთული გასარკვევია წყაროთა სიმცირის გამო). ცხადია ერთი რამ, საეპისკოპოსო ცენტრების რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ერისთავთა რეზიდენციებისა. რაც ვიცით, იქ დამთხვევა არ ხდებოდა).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი დადიანი, რომელიც წყაროებში მოიხსენიება, არის ივანე. ჩვენი აზრით, შ. მესხიამ ივანე დადიანი სრულიად მართებულად გააიგივა XI საუკუნის ერთ-ერთ მინანქარში მოხსენიებულ ივანესთან (14;149). მინანქარში ვკითხულობთ – „მეოხ ეყავ ნინაშე ღმრთისა ... ერისთავთ-ერისთავსა იოვანე დადიანსა“ (10;95).

თ. ყორღანია პირველ დადიანებად მარტვილის ხატის ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულ უდუს, ლელას, ზვიადისა და გიორგის თვლიდა (17;132). ამასთან დაკავშირებით სრულიად მართებულად წერს თ. ბერაძე: „სანამ დამატებითი რაიმე მასალა არ აღმოჩნდება, ხატის წარწერაში მოხსენიებული უდუ, ლელა და ზვიადი დადიანებად ვერ ჩაითვლებიან“ (7;161).

ბაგრატ IV-ის თანამედროვე ივანეს შემდეგ წყაროები ოდიშის ერისთავებს XII საუკუნემდე აღარ მოიხსენიებს. XII საუკუნის ბოლოს ერისთავია ბედან (I) დადიანი. საინტერესოა ზუგდიდის ეკლესიის წარწერა – „სამებაო სამთვისებაო და ერთარსებაო, შემწე ეყავ ორსავე ცხორებასა შინა ერისთავთ-ერისთავთა გიორგი, იოვანე, იოვანე, შვილი მათნი ...“ (18;144). ა. ტულუშს შესწორება შეაქვს ტექსტში და წარწერაში ბედან II დადიანის შვილების: გიორგის, ივანეს და ერშაპრის სახელებს კითხულობს (20;48). ვ. სილოგავას აზრით „წარწერის ტექსტის შესწორებისათვის ჩვენ საფუძველი არა გვაქვს. ხოლო პელეგოგრაფიული ნიშნებით წარწერა XII საუკუნეს განეკუთვნება“ (18;144). ასეთ შემთხვევაში გიორგი და ივანე XII საუკუნის ერისთავე-

ბად უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც ბედან I დადიანამდე მოღვაწეობდნენ.

თ. ბერაძის აზრით, XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში ოდიშის ერისთავები იყვნენ: ბედიანი (I), ჯუანშერი, ბედიანი (II), გიორგი (გარდაიცვალა 1323 წელს) (7;159-160). ი. ანთელავა თვლის, რომ ბედან I, ჯუანშერი, ბედან II და გიორგი არიან დადიანების ერთი შტო, ხოლო ვარდან I, ცოტნე I, ვარდანი (II), შერგილი და ცოტნე II მეორე შტო (2;15). მკვლევრის აზრით, ბედან I და ვარდან I ძმები არიან (3;17).

ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში მოხსენიებულია „ვარდან კოსტანტის ძე“ (1;258). თ. ყორღანია და პ. ინგოროყვა (17;131 და 12;577) ვარდან კოსტანტის ძეს ვარდან (I) დადიანთან აიგივებენ. ასეთ შემთხვევაში, თუ თან ი. ანთელავას აზრს გაითვალისწინებთ, კოსტანტი ბედან I-ის მამადაც უნდა მივიჩნიოთ. ნ. შოშიაშვილი „ვარდან კოსტანტის ძეს“ რაჭის დიდგვაროვან ფეოდალად მიიჩნევდა (22;127). უკანასკნელად ამ საკითხს შ. მესხია შეეხო. მან შესაძლებლად ჩათვალა, „ვარდან კოსტანტის ძისა“ და ვარდან დადიანის გაიგივება. აქ ერთ მომენტიც აღსანიშნავი, სახელი კოსტანტი დადიანთა საგვარეულოში ჩვენ მიერ დადასტურებული არ არის და შემდგომ საუკუნეებშიც (XIV-XV) ეს სახელი ამ საგვარეულოში არ გვხვდება. ეს კი შესაძლოა გაიგივებისათვის საწინააღმდეგო არგუმენტად გამოვიყენოთ. თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ XI-XV საუკუნეების ამსახველი წყაროები მეტად მცირეა და შესაძლოა, საგვარეულოში არსებული სახელი უბრალოდ არ დაფიქსირდა წყაროში. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ XIII საუკუნეში მოღვაწეობდა ჯუანშერ დადიანი. სახელი ჯუანშერი კი საერთოდ არ არის დამახასიათებელი დადიანთა საგვარეულოსათვის და არც მანამდე და არც მერე ის აღარ გვხვდება, ისევე როგორც სახელი ერშაპრი. ამდენად, თავისუფლად შეიძლება დავუშვათ, რომ კოსტანტი დადიანი ვარდანისა და ბედანის მამა იყო.

შ. მესხიას აზრით: „ვარდანი და მარუშიანი ძმები არიან“ (14;153). მკვლევარი „ისტორიანი და აზმანში“ მოხსენიებულ ვარდანსა და მარუშიანს გულისხმობს – „და კულად უბოძა მსახურთუხუცესობა ვარდანს დადიანსა, ჩუხჩარეხობა მარუშიანსა ძესა ჩუხჩარეხისასა“ (11;33). ჩვენთვის ეს მოსაზრებაც მისაღებია. გასათვალისწინებელია, რომ მსახურთუხუცესობის მიღებამდე ვარდან დადიანი ჩუხჩარხის თანამდებობას ფლობდა. რა თქმა უნდა, არაა აუცილებელი, რომ გამოთავისუფლებული თანამდებობა იმავე საგვარეულოს წარმომადგენელს ბოძებოდა, რომელსაც იგი მანამდე ეკავა. თუმცა ფეოდალური სამყაროსათვის დამახასიათებელია ამა თუ იმ თანამდებობის ცალკეული საგვარეულოების მიერ ფლობა. თუ ყოველივე ზემოთ თქმულთან დაკავშირებით მხედველობაში კიდევ ერთ ცნობას მივიღებთ – „უბოძა ჩუხჩარეხობა მარუშიანსა ძესა ჩუხჩარეხისასა“, შეიძლება დავუშვათ, რომ კოსტანტი დადიანი ოდიშის ერისთავობასთან ერთად ჩუხჩარხის თანამდებობასაც ფლობდა. მართალია, მარუშიანამდე ჩუხჩარეხის თანამდებობას ვარდანი ფლობდა, მაგრამ მისი მიჩნევა მარუშიანის მამად შეუძლებელია. „ისტორიანი და აზმანის“ ჩვენთვის საინტერესო ცნობა 1185-1186 წლის ამბებს განეუთვნება, როდესაც სამეფო ხელისუფლებამ ყუთლუ-არსლანის „დასის“ გამოსვლა ჩაახშო და თანამდებობებზე ახალი პიროვნებები დანიშნა: კახაბერ ვარდანისძე – მეჭურჭლეთუხუცესად, ვარ-

დანი – მსახურთუხუცესად, ხოლო მარუშინი – ჩუხჩარეხად. წყაროში აღნიშნულია, რომ თანამდებობებზე ახლად დანიშნული პიროვნებების მამები უკვე საკმაოდ ასაკოვანი იყვნენ. ეს კი თავისთავად გამოიწვევს ვარდანიას და მარუშინის მამა-შვილობას. შ. მესხიამ ისინი სრულიად მართებულად ძმებად მიიჩნია.

ბედან I-ის ვაჟი უნდა იყოს ჟამთააღმწერელთან მოხსენიებული ჯუანშერი – „ეგრეთვე დადიანი ბედიანი, *ჯუანშერის ძე* დადგა ერთგულებასა ზედა რუსუდანის ძისასა“ (16;243). გამომდინარე იმ პრინციპიდან, რომ შვილიშვილს ბაბუის სახელს არქმევდნენ და ჯუანშერის ვაჟს ბედანი ერქვა, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ჯუანშერი ბედან I-ის ძე იყო. მართალია, ჯუანშერი ერისთავად არ იხსენიება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ერისთავები იყვნენ მისი მამა ბედან I და მისი ძე ბედან II, მართებული უნდა იყოს თ. ბერაძის აზრი ჯუანშერის ერისთავობის შესახებ (7;160).

გამომდინარე იქიდან, რომ 1242 წლისათვის დასავლეთ საქართველოს დიდებულთა შორის უკვე ბედან II ჩანს – „მეფემან რუსუდან თანა წარიტანა ყოველნი მთავარნი ლიხთ იმერელნი დადიანი ცოტნე ... *ბედიანი*, რაჭის ერისთავი, გურიელი და ყოველნი წარჩინებულნი“ (16;195) – მამამისი ამ დროისათვის, ალბათ, უკვე გარდაცვლილია. ჯუანშერი შეიძლება XIII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის ერისთავად მივიჩნიოთ.

ბედან II მრავალჯერ არის ჟამთააღმწერლის თხზულებაში მოხსენიებული (16;215,229), მაგრამ მემატთანე მას არსად არ უწოდებს ერისთავს. ბედან II ერთხელ იხსენიება ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში – „... ეგრეთვე დადიანი ბედიანი, *ჯუანშერის ძე*, დადგა ერთგულებასა ზედა რუსუდანის ძისასა, რამეთუ იყო ესე ბედიანი კაცი წარმატებული ყოვლითა ზნითა ... *ამან დაანყო ოდიში*, რომელ მპარავი და ძვირის მოქმედი არა იპოვებოდა“ (16;243). ბოლო წინადადებიდან ცხადია, რომ ბედანი არის ოდიშის მმართველი, ე.ი. ის ოდიშის ერისთავია. ბედანი რამდენიმე ხატის წარწერაშიც მოიხსენიება: ხობის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში – „... მეოხ და მფარველ ეყავ გულისმოდგინედ მამკობსა ... ხატისა შენისს *ერისთავთ-ერისთავსა, მანდატურთუხუცესსა ბედანსა დადიანსა და დიოფალ დიოფალსა ხუვაშაქსა*“ (9;141); ხობის მაცხოვრის ხატის წარწერაში – „... და მასვე პირველ შემამკობელსა ხატისა ამის შენისასა ნათელს თანა მარჯვენით შენსა მდგრამდ დაანესე იგი და ძე მათი ვარდან დადიანი, *მანდატურთუხუცესი ბედანი დადიანი და ცოლი მათი, ბეგაისა ქართლის ერისთავის ასული, ხუაშაქი და ძენი მათნი ერაშაპრი, გიორგი და ივანე* ...“ (9;139); მარტვილის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში – „... ახლად მამკობი კნინთა მიერ, უღირსი *მანდატურთუხუცესი ბედანი დადიანი და მეუღლე, ვითხოვთ, მე უღირსი ხუაშაქი, ქართლისა ერისთავისა ასული ძითურთ გიორგით და ივანეთი გვიოხენ* ...“ (9;49). როგორც ვხედავთ, უფროსი ძე ერაშაპრი ამ წარწერაში არ მოიხსენიება. „ჩანს უფროსი ვაჟი ერაშაპრი ადრე გარდაიცვალა და ... ხატის წარწერაზე ბედანს მხოლოდ მეუღლითა და ორი შვილით ვხედავთ“ (7;159). წარწერებიდან ირკვევა, რომ ბედანი ოდიშის ერისთავობასთან ერთად მანდატურთუხუცესის მაღალ თანამდებობასაც ფლობს.

ბედან II-ის მერე ერისთავი მისი ძე გიორგი უნდა გამხდარიყო. ეს ნათლად ჩანს

წალენჯიხის ხატის წარწერიდან – „მონდობილი შენი მანდატურთუხუცესი დადიანი ბედანი და მე ძე მათი მეორედ მამკობი დადიანი გიორგი, და მე დადიანი შერგილ და მუღლუ ჩემი ნათელ მესამედ მამკობნი ხატისა“ (9;227). უამთაღმწერელი ბედან II-ს უკანასკნელად XIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში იხსენიებს (16;243). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბედან II XIII საუკუნის 60-იან წლებში გარდაიცვალა და ამ დროიდანვე უნდა ვივარაუდოთ გიორგის ერისთავობა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, გიორგი 1323 წელს გარდაიცვალა (4;901). თ. ბერაძე 1323 წელს გარდაცვლილ გიორგი დადიანს ბედან II-ის ძედ მიიჩნევს. ამ საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, ამჯერად კი გვინდა ვარდან დადიანისა და მისი შთამომავლების საკითხზე შევჩერდეთ.

ვარდან I XII საუკუნის ბოლო მეოთხედის მოღვაწე იყო. გიორგი III-ის გარდაცვალებისას, 1184 წელს, ვარდანი ჩუხჩარხის თანამდებობას ფლობს (11;25). საინტერესოა, რომ როდესაც მემატიანე სამეფო კარის მოხელეებს ჩამოთვლის, იგი ყველა „უხუცესს“ ასახელებს, გარდა მანდატურთუხუცესისა. ვაზირი ანუ მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელია ანტონი, ამირსპასალარი – ყუბასარი, მსახურთუხუცესი – აფრიდონი, მეჭურჭლეთუხუცესი – ყუთლუ-არსლანი. ორი მომენტის გათვალისწინებით, პირველი, XIII საუკუნეში დადიანები ხშირად ფლობდნენ მანდატურთუხუცესობას; მეორე, ვარდანის მამა კოსტანტი ასაკოვანი იყო და, ალბათ, აქტიურად აღარ მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში და ამიტომ წყაროები არ მოიხსენიებენ – ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გიორგი III-ის გარდაცვალების მომენტისათვის მანდატურთუხუცესი კოსტანტი დადიანია. დაახლოებით 1185-1186 წლებში, ყუთლუ-არსლანის „დახის“ გამოვლის ჩახშობის შემდეგ, ვარდან I მსახურთუხუცესის თანამდებობას იკავებს (11;33). ვარდანი გიორგი რუსის აჯანყების ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მონაწილე იყო. მემატიანე წერს – „ვარდან დადიანი, მსახურთუხუცესი, ლიხთ-იქით პატრონი ორბეთისა და კენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილობელად ქონებისა, და თვით ქუეშისა ციხესა მყოფი“ (11;49). დიდი ხანია, ისტორიკოსთა ინტერესს იწვევს, თუ რას ნიშნავს მემატიანის სიტყვები – „ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილობლად ქონებისა“. თ. ბერაძე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერს: „რატომ არის ვარდანი ლიხთ იქით ნიკოფსამდე უცილობელი მფლობელი? მას თითქოს საერისთავო არ აქვს დასავლეთ საქართველოში ... ამავდ დროს დასავლეთ საქართველოში მას დიდი უფლებები აქვს. შეუძლია მთელი ამ მხარის ჯარის შეკრება. მემატიანის გადმოცემით, ... თითქოს თამარ მეფის ბრძანებით, შეკრიბა დასავლეთ საქართველოს ლაშქარი. ეტყობა მას ამის უფლება ჰქონია, რაც გვაგულისხმებინებს, რომ ვარდან დადიანი დასავლეთ საქართველოს სხვა ერისთავებზე უზენაესი იყო“ (7;155). თვითონ ფაქტი, რომ ვარდანმა ჯარი მოტყუებით შეკრიბა, ჩვენ მემატიანის მიერ გამოგონილი გვგონია, რათა აჯანყებულთა რიცხვმრავლობა გაამართლოს. ერისთავები მართლაც მოტყუებით რომ ყოფილიყვნენ შეკრებილი, განა არ დაიშლებოდნენ მას მერე, რაც ვარდან დადიანმა გიორგი რუსი მეფედ გამოაცხადა? განა ერისთავებისთვის ნათელი არ გახდებოდა, თუ ვისი ბრძანებით შეკრიბა ისინი დადიანმა? მემატიანეს თხრობიდან კი ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოში შეკრებილი ჯარი არათუ არ დაიშალა გიორგი

რუსის მეფედ გამოცხადების შემდეგ, არამედ, პირიქით, აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. ცხადია, ერისთავები თავიდანვე ყველაფრის საქმის კურსში იყვნენ. შემდეგ მკვლევარი იზიარებს ივ. ჯავახიშვილის აზრს, რომ „ყველა ერისთავთ-ერისთავის საგამგეო ერთნაირი ღირსებისად არ ითვლებოდა. მათ შორის ზოგი უფრო საპატიოდ იყო ცნობილი, ზოგს კიდევ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. საერისთავთ-ერისთავთა ანუ სამთავროთაგან ყველაზე უფრო მეტი ხარისხი ეპყრათ და უალრესად საპატიოდ ისეთი ადგილები ითვლებოდნენ, რომელნიც წინათ მეფეთა საჯდომად და სამეფოებად იყვნენ“ (23;336). თ. ბერაძის აზრით: „აფხაზეთის სამეფოც დამოუკიდებელი ერთეული იყო ... ამიტომ, საგულისხმოა, აფხაზეთა მეფეთა ადგილზე მჯდომი ერისთავთ-ერისთავიც უნდა ყოფილიყო ... რადგან ვარდან დადიანი გამოდის დასავლეთ საქართველოს ყველა ერისთავთა უზენაესი, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ჩავთვალოთ იგი აფხაზეთა მეფეთა ადგილზე მჯდომ ერისთავთ-ერისთავად და მის საპატრონო ქვეყანად დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ვიგულისხმოთ“ (7;155).

ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას.

პირველი – ვარდან დადიანს დასავლეთ საქართველოს ერისთავების შეკრების უფლება იმიტომ ჰქონდა, რომ ის ამ მხარის სპასალარი იყო და არა იმიტომ, რომ აფხაზეთა მეფეთა ადგილზე იჯდა (ცნობილია, რომ სამცხის სპასალარს, როგორც მენინავე ჯარის სარდალს, ემორჩილებოდნენ სამხრეთ საქართველოს ერისთავები. ქართული ფეოდალური ლაშქარი საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვით იკრიბებოდა. მენინავე ჯარი – მესხეთში. დანარჩენი ნაწილები კი: დასავლეთ საქართველოში, კახეთ-ჰერეთსა და ქართლში. ყოველივე მათგანს ეყოლებოდა თავისი სარდალი, მსგავსად სამხრეთ საქართველოდან გამომავალი ჯარისა. ის, რომ საქართველოში რამდენიმე სპასალარი იყო, ცხადია ბასილი ეზოსმოდღერის სიტყვებიდან – „... ხოლო აღივსებოდა რა კრება, შემოვიდეს *ყოველნი სპასალარი* და ერისთავნი სამეფოსანი“ (5;119). ამკარაა, რომ სამეფო კარზე რამდენიმე სპასალარი იყო და არა ერთი. ამავე დროს სპასალარების მოხსენიება ერისთავებზე წინ იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ სპასალარობა უფრო დიდი „პატივია“, ვიდრე ერისთავობა. ეს ნათლად ჩანს ჯაყელეების მაგალითზეც, რომლებიც სპასალარობით უფრო ხშირად მოიხსენიებიან, ვიდრე ერისთავობით. სპასალარობის ასეთი დანინაურება შეიძლება მართლაც დავით აღმაშენებლის დროს მოხდა, როგორც ამას ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა. ვარდან დადიანი დასავლეთ საქართველოს სპასალარი იყო, ისევე როგორც იმავე პერიოდში მოღვაწე ასათ გრიგოლის ძე კახეთ-ჰერეთისა). ზ. ანჩაბაძის აზრით, დასავლეთ საქართველოს ერისთავები უშუალოდ მეფეს კი არ ემორჩილებოდნენ, არამედ მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ, რომელიც დასავლეთ საქართველოში მეფისნაცვალი იყო. მკვლევრის აზრით, ასეთ მეფისნაცვალად უნდა მივიჩნიოთ ვარდან დადიანი. ჩვენ არც ამ მოსაზრებას ვეთანხმებით. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, ვარდან დადიანი დასავლეთ საქართველოს სპასალარი იყო.

მეორე – რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, რომ ერთი ერისთავთ-ერისთავის „კელი“ უფრო საპატიო ყოფილიყო, ვიდრე მეორისა. მაგრამ წყაროები არ იძლევა იმის საშუალებას რომ ვამტკიცოთ – მეფეთა ადგილზე შეწყალებულ ერის-

თავთ-ერისთავებს, რეალურად უფრო მეტი უფლებები ჰქონდათ, ვიდრე „ჩვეულებრივ“ ერისთავთ-ერისთავებს. წყაროებიდან არ ჩანს, რომ გუზან ტაოელს უფრო მეტი უფლებები ჰქონდა, ვიდრე, ვთქვათ, რატი სურამელს (თავი რომ დავანებოთ თავად გუზანის ერისთავობის საკითხს).

მესამე – არსებობდა კი XII საუკუნეში სამოქალაქოს საერისთავო და მისი ერისთავთ-ერისთავი? ერთადერთი წყარო, რომელიც ასახელებს სამოქალაქოს საერისთავოს, არის ვახუშტი ბატონიშვილი, რომლის მიხედვითაც, ლეონ II-მ მერვე ერისთავი „დასუა ქუთათისს ვაკისა, ოკრიბისა და ხანის-წყლის დასავლეთისა გურამდე და რიონის დასავლით ცხენის წყლამდე“ (4;796). მთელი XI-XV საუკუნეების მანძილზე არც ერთი წყარო არ ასახელებს სამოქალაქოს ერისთავს. არც ერთი წყაროთი არ დასტურდება სამოქალაქოს საერისთავოს არსებობა. წარმოუდგენელია სამოქალაქოში მჯდარიყო ერისთავთ-ერისთავი, მით უმეტეს ისეთი უფლებებით, როგორსაც მას თ. ბერაძე მიაწერს და ის არც ერთხელ, ხუთი საუკუნის მანძილზე, წყაროებში ნახსენები არ იყო. მას „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი მაინც ხომ მოიხსენიებდა, როდესაც იგი თამარის დროინდელ ყველა ერისთავთ-ერისთავს ასახელებს. სამოქალაქო არ იყო საერისთავო „ქუყყანა“ და, ცხადია, მას არც ერისთავთ-ერისთავი ეყოლებოდა. აქედან გამომდინარე, ვერც ვარდან დადიანს მივიჩნევთ სამოქალაქოს ერისთავთ-ერისთავად. ვარდან დადიანის ერისთავობა წყაროებით არ დასტურდება.

ასევე არ იყო ერისთავი ცოტნე I დადიანიც. არც ერთი წყარო მას არ მოიხსენიებს როგორც ერისთავს. მართალია, ცოტნე დუმნისთავი იყო, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს ერისთავობას (დუმნისთავი იყო ვარამ გაგელიც. მაგრამ ის ერისთავი არასდროს არ ყოფილა). წყაროების მიხედვით, ცოტნე I-ის დროს ოდიშის ერისთავი ბედან II არის. არც ვარდან II იყო როდესმე ერისთავი. არც ერთი წყარო მას ამ პატივით არ მოიხსენიებს. ჩვენ ვიზიარებთ ი.ანთელავას მოსაზრებას, რომ ცოტნე ვარდან I-ის ძე და ვარდან II-ის მამა იყო.

ერისთავი იყო შერგილ დადიანიც. ის ამ ტიტულით რამდენიმე წყაროში მოიხსენიება: იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპში – „ერისთავთ-ერისთავის *შერგილ დადიანის*“ (15;90 ალაპი 102); ხობის ფრესკულ წარწერაში – „ერისთავთ-ერისთავი *შერგილ დადიანი, დედოფალთ დედოფალი ნათელა ძე მათი ცოტნე*“ (9;134); ხობის მაცხოვრის ხატის წარწერაში – „ხატო არსებისაო, უცვალებელ, მეოხ და მფარველ მექმენით აქა და საუკუნესა *ერისთავთ-ერისთავი დადიანი შერგილ და მეუღლე ჩემით დედოფალ დედოფალი ნათელით, ძითურთ ჩემით ცოტნეთურთ*“ (9;153). როგორც ვხედავთ, შერგილის ძეს ცოტნე ერქვა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავად შერგილი ცოტნე I-ის შთამომავალი იყო.

ერისთავი იყო შერგილის ვაჟი ცოტნე. ამას ადასტურებს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპი – „მანდატურთუხუცესისა და *ერისთავთ-ერისთავისა ცოტნე დადიანისა*“ (15;101 ალაპი 247).

თუ გავიზიარებთ თ. ბერაძის აზრს, რომ ბედან II-ის ძე გიორგი I 1323 წელს გარდაიცვალა, მაშინ XIII საუკუნის შუა ხანებიდან ოდიშის ერისთავები არიან ბედან II, გიორგი და შემდეგ მისი ძე მამია. ასეთ შემთხვევაში იბადება კითხვა, თუ რომელი მხარის

ერისთავები არიან შერგილი და ცოტნე II? თ. ბერაძის აზრით: „გამოდის, რომ XII-XIII სს. დადიანის გვარეულობის რომელიმე წარმომადგენლის ერისთავთ-ერისთავობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ის უსათუოდ ოდიშის ერისთავიც იქნებოდა“ (7;161).

ჩვენი აზრით, თ. ბერაძის მოსაზრება არ უნდა იყოს მართებული. შერგილ დადიანის მოხსენიება ხობსა და წალენჯიხაში სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ შერგილი ოდიშის ერისთავია. კიდევ ერთხელ მოვიტანთ წალენჯიხის ხატის წარწერას, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია ამ საკითხის გადასაწყვეტად: „მონდობილნი შენნი: მანდატურთუხუცესი დადიანი ბედანი და მე ძე მათი მეორედ მამუკობი დადიანი გიორგი და მე დადიანი შერგილ ... მესამედ მამუკობნი ხატისა“ (9;227). წარწერიდან ცხადია, რომ ხატი მეორედ ბედან II-ის ძემ გიორგიმ შეამკო. გიორგის მერე ხატი შერგილმა შეამკო. ხატის წარწერაში მოხსენიებული გიორგი, რომ 1323 წელს გარდაცვლილი გიორგი იყოს, მაშინ მესამედ ხატი უნდა შეემკო მის ძეს მამიას. მაგრამ ეს ასე არ არის. ხატს მესამედ შერგილი ამკობს. ე.ი. გიორგის შემდეგ ხატი შერგილის ხელში აღმოჩნდა. ეს კი ვერ მოხდებოდა, გიორგი რომ 1323 წელს გარდაცვლილიყო და ოდიშის ერისთავობა მამიას ხელში გადასულიყო. თავად ის ფაქტი, რომ შერგილს ოდიშის ერისთავების ნაქონი ხატი აქვს, მის ოდიშის ერისთავობას ადასტურებს. ჩვენი აზრით, ბედან II-ის ძე გიორგი და 1323 წელს გარდაცვლილი გიორგი სხვადასხვა პირები არიან.


ცხადია, რომ ბედან II-ის მერე ერისთავი მისი ძე გიორგი გახდა. გიორგის შემდეგ ერისთავობა შერგილის ხელში გადავიდა. შერგილი გიორგის ძე არაა. ეს წალენჯიხის ხატის წარწერიდან ჩანს. შერგილი რომ გიორგის ძე იყოს, იგი ამას ხატის წარწერაში აღნიშნავდა, როგორც თავად გიორგი აღნიშნავს, რომ ბედანის ძეა. ე.ი. გიორგის გარდაცვალების შემდეგ ერისთავობა დადიანების მეორე შტოს ხელში გადავიდა. თუ რატომ მოხდა ეს, ძნელი სათქმელია. წყაროები ამის შესახებ არაფერს იუწყებიან. შესაძლოა ბედან II-ის ძეებს მემკვიდრეები აღარ დარჩათ.

შერგილის მერე ერისთავი მისი ძე ცოტნე იყო. საინტერესოა, რომ ცოტნე ერისთავთ-ერისთავობასთან ერთად მანდატურთუხუცესის თანამდებობასაც ფლობდა, როგორც თავის დროზე ბედან II. როგორც ჩანს, ვარდან დადიანის შტომ, ერისთავობის პარალელურად, მანდატურთუხუცესობაც მიიღო. შესაძლოა გვევარაუდა, რომ შერგილიც ფლობდა მანდატურთუხუცესობას. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ იგი ამ ტიტულით არც ერთ წყაროში არ მოიხსენიება.

სწორედ ცოტნეს მერე ერისთავობდა ის გიორგი, რომელიც 1323 წელს გარდაიცვალა და რომელიც, ჩვენი აზრით, ცოტნე II-ის ძე იყო. გიორგის გარდაცვალების შემდეგ „დაჯდა მის წილ ძე მისი მამია“ (4;801). ო. სოსელია თვლის, რომ „მამია პირველი დადიანია, რომელიც მთავრის ყველა ატრიბუტით აღიჭურვა. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს, ვუწოდოთ მამიას მთავარი, ხოლო მისი დროის ოდიშს სამთავრო“ (19;176). მას შემდეგ რაც გიორგი V-მ დასავლეთ საქართველო შემოიერთა, ცხადია, მას მამია დადიანიც დაემორჩილებოდა. თუმცა, ნელ-ნელა, დადიანების ურთიერთობა სამეფო კართან სულ უფრო და უფრო ნაკლებად ემსგავსებოდა ერისთავის ურთიერთობას მეფის ხელისუფლებასთან. მართალია, XIV-XV საუკუნეებში (და მე-

რეც) დადიანები იწოდებიან ერისთავებად, „მაგრამ დადიანის ამ ტიტულით მოხსენიება ამ დროს მისი ოდესღაც მეფესთან დამოკიდებულების თეორიული მოგონება იყო და მას ახლა რეალური მნიშვნელობა აღარ ჰქონდა“ (19;182).

XII-XIII საუკუნეებში მოღვაწე დადიანების გენეალოგია ჩვენ შემდეგი სახით წარმოგვიდგენია:



## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ათონის ივერიის მონასტრის 1047 წლის ხელნაწერი აღაპებით, 1901.
2. ი. ანთელავა, დადიანთა საგვარეულოს გენეალოგიიდან XIII ს-ში. ჟურნალი „დროშა“, 7, თბ. 1986.
3. ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ. 1990.
4. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973.
5. ბასილი ეზოსმოძღვარი, „ცხოვრება მეფეთ მეფე თამარისა“. „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959.
6. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. თბ. 1987.
7. თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული III. თბ. 1967.
8. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II. თბ. 1965.
9. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. წ. II. 1914.
10. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წლებში. თბ. 1963.
11. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ – „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959.
12. პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი. თხზ. თ. I. თბ. 1963.
13. „მატიანე ქართლისაი“, „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955.
14. შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ. 1973.
15. ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. თბ. 1962.
16. უამთაღმწერელი, „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959.
17. თ. ყორღანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი. წიგნი II. თბ. 1897.
18. ვ. სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი II. ნაკ. I. თბ. 1980.
19. ო. სოსელია, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის. „მომომხილველი“ II. თბ. 1951.
20. ა. ტულუში, XIII-XIV სს. მიჯნის უცნობი წარწერა. ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, 45, თბ. 1977.
21. ქართლის ცხოვრება – მარიამ დედოფლის ვარიანტი. ექ. თაყაიშვილის რედაქციით, ტფ. 1906.
22. ნ. შოშიაშვილი, XII-XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი. ჟურნალი „ცისკარი“, 9, თბ. 1965.
23. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. თხზ. 12 ტომად, ტ. II, თბ. 1983.

**THE DADIANI  
FAMILY TREE IN XI-XIII CENTURIES**

**Summary**

**T**HE article reviews XI-XIII centuries Dadiani family tree. We consider that the first representative of this family was Ivane Dadiani - a public man living in XI century. In the second half of XII century the family tree divided into two branches - the first branch was initiated by Kostanti's son Bedan I and the second - by Kostanti's son Vardan I. The descendants of Bedan I were: Juansher, Bedan II and Giorgi, while the successors of Vardan I were: Tsotne I, Vardan II, Shergil, Tsotne II and Giorgi.

### შამქორის ბრძოლა

**ქართული** სამხედრო ხელოვნების ისტორიაში შამქორის ბრძოლას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე დიდგორისა თუ ბასიანის ომებს. ეს გასაგებიცაა, რამეთუ, დიდგორმა მთელი ეპოქა შექმნა, ბასიანის ველზე კი ქართველებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს. შამქორის ბრძოლა ამ ორ დიდ მოვლენას შორის ერთგვარად „დაიჩაგრა“ თუ „ჩაიკარგა“. დიდგორის ომს ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა აქვს მიძღვნილი. ბასიანის ბრძოლაც საფუძვლიანადაა შესწავლილი. რაც შეეხება შამქორის ბრძოლას, მის შესახებ ერთი მონოგრაფია და რამდენიმე სტატიაა გამოქვეყნებული. წინამდებარე გამოკვლევის მიზანი არ არის აბუბეკრის წინააღმდეგ მოწყობილი სამხედრო კამპანიის სრული აღწერა. ასეთი სახის სამუშაო შესრულებული იქნება ჩვენს მონოგრაფიაში, რომელშიც კომპლექსურად შევისწავლით შამქორის ბრძოლას, თავისი გამომწვევი მიზეზებითა და შედეგებით. ამჯერად, ამ ბრძოლის რამდენიმე დეტალის დაზუსტებას შევეცდებით, სახელდობრ, სად გაიმართა ბრძოლა და როგორი იყო ქართველთა სამხედრო სტრატეგია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში შამქორის ბრძოლის ესა თუ ის საკითხი შესწავლილი აქვს ი. გედევანიშვილს,<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილს,<sup>2</sup> ივ. შაიშმელაშვილს,<sup>3</sup> ჯ. სტიფნაძეს,<sup>4</sup> ალ. აბდალაძეს,<sup>5</sup> რ. მეტრეველს,<sup>6</sup> გ. ანჩაბაძეს,<sup>7</sup> ირ. ჯორჯაძეს<sup>8</sup> და სხვ. უცხოელ ავტორთაგან შამქორის ბრძოლას ყველაზე დანერვილებით ეხება ზ. ბუნიატოვი.<sup>9</sup>

შამქორის ბრძოლის ლოკალიზაცია და მისი სამხედრო თვალსაზრისით განხილვა, ძირითადად, ი. გედევანიშვილის, ივ. შაიშმელაშვილისა და ირ. ჯორჯაძის ნაშრომებშია მოცემული. ბრძოლის მსვლელობის დეტალები, სადრუდინ ებულ შასანის ცნობებზე დაყრდნობით, დაზუსტებული აქვთ ჯ. სტიფნაძესა და ზ. ბუნიატოვს.

ქართველ ისტორიკოსთა მიერ შამქორის ბრძოლის გამომწვევი მიზეზები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, ამიტომაც აქ ამ საკითხს მოკლედ შევეხებით.

<sup>1</sup> ი. გედევანიშვილი, სამხედრო ხელოვნება საქართველოში, ტფ., 1915.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 268.

<sup>3</sup> ივ. შაიშმელაშვილი, შამქორი, ბასიანი, თბ., 1981.

<sup>4</sup> ჯ. სტიფნაძე, საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობა XII-XIII საუკუნის მიჯნაზე, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1970; ჯ. სტიფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, თბ., 1974.

<sup>5</sup> ალ. აბდალაძე, შამქორის ბრძოლის დათარიღებისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია, 1973, 1.

<sup>6</sup> როინ მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991.

<sup>7</sup> Г.З. Анчабадзе, Источниковедческие проблемы военной истории Грузии, Тб., 1990.

<sup>8</sup> ირაკლი ჯორჯაძე, წარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1990.

<sup>9</sup> З.М. Бунятов, Государство Атабеков Азербайджана (1136-1225 годы), Баку, 1978.

აბუ-ბექრთან დაპირისპირება მხოლოდ სამხედრო აქცია როდი იყო, მას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ბრძოლით, ფაქტობრივად, დასრულდა და ახალ ფაზაში გადავიდა სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ ირანში მიმდინარე პროცესები. XII საუკუნის I ნახევრიდან, სამხრეთ აზერბაიჯანისა და არანის ტერიტორიაზე, ელდიგუზიანელთა დინასტიის მოთავეობით, მძლავრი პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა. ამ დინასტიის დამაარსებელმა შამს ად-დინ ელდიგუზმა ერაყზეც მოახერხა თავისი გავლენის გავრცელება.<sup>1</sup> ელდიგუზიანელთა დინასტიის ყველაზე ცნობილმა წარმომადგენელმა ყიზილ-არსლანმა ჰამადანთან ბრძოლაში მოახერხა სელჩუკთა სასულთნოს გამგებლის თოღრულ III-ის დამარცხება და თავი ერაყის სულთანად გამოაცხადა. ელდიგუზიანელთა პოლიტიკური ამბიციები მარტო სამხრეთით არ იყო მიმართული, ისინი აქტიურად ერეოდნენ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. წყაროების მიხედვით, უკვე შამს ად-დინ ელდიგუზს სურდა არანიდან ქართველთა საბოლოო განდევნა და თბილისის დაკავება.<sup>2</sup> 1163 წელს ათაბაგ ელდიგუზის სარდლობით მუსლიმურმა კოალიციამ სასტიკად დაამარცხა გიორგი III. არანისა და სამხრეთ აზერბაიჯანის მმართველებსა და საქართველოს შორის დაპირისპირება ამის შემდეგაც გაგრძელდა. 1165/1166 წწ. გიორგი III-მ არანი დალაშქრა, რომელიც ელდიგუზიანელთა საკუთრებაში ითვლებოდა. 1175 წელს მუსლიმურმა კოალიციამ, რომელსაც სულთანი არსლან-შაჰი და შამს ად-დინ ელდიგუზი ედგა სათავეში, ქვემო ქართლი, ჯავახეთი და თრიალეთი მოარბია.<sup>3</sup> ორბელთა აჯანყების დროს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ოპოზიცია ცდილობდა ელდიგუზიანელთა საგვარეულოსთან დაკავშირებას და მისგან სამხედრო დახმარების მიღებას. ქართული და სომხური წყაროები საგანგებოდ მიუთითებენ, რომ ივანე ორბელს მოციქულები გაუზზავნია არანისა და აზერბაიჯანის ათაბაგის წუსრათ ად-დინ ფაჰლევან მუჰამადის ძმისათვის, მუზაფფარ ად-დინ ყიზირ-არსლანისათვის.<sup>4</sup>

თამარის მეფობის დროს ათაბაგებსა და საქართველოს შორის პოლიტიკური კონფრონტაცია ახალ ფაზაში გადავიდა.

1191 წელს ყიზირ არსლანი მიგზავნილმა მკვლელმა გამოასალმა სიცოცხლეს.<sup>5</sup> ერაყში, აზერბაიჯანსა და არანში გაბატონებისათვის ბრძოლა დაიწყო ყიზირ არსლანის ძმისშვილებმა. ამ დაპირისპირებიდან გამარჯვებული გამოვიდა აბუ-ბექრი. 1192 წელს აბუ-ბექრმა თავრიზთან სასტიკად დაამარცხა თავისი ძმები ხუტლუ-ინანჯ მავჰუდი და ამირ-ამირანი (ქართული წყაროების მიხედვით ამირ მირმანი). ხუტლუ-ინანჯი ხორეზმშაჰთან გაიქცა, ამირ-მირმანი კი შირვან-შაჰთან.

<sup>1</sup> *გორა ჯაფარიძე*, ელდიგუზიანები ან ილდეგიზიანები, ილდენიზიანები, ისლამი, ენციკლოპედური ცნობარი, თბ., 1999, გვ. 56-57.

<sup>2</sup> *ჯ. სტეფანაძე*, მეფეთ-მეფე გიორგი III, თბ., 1999, გვ. 67-68.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 79-80.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 107.

<sup>5</sup> „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის მიხედვით, მკვლელი რადიკალურ ისლამისტურ ორდენს ეკუთვნოდა.


აბუ-ბექრმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე საქართველოს სამეფო კართან მტრული ურთიერთობა დაამყარა. დაახლოებით 1192/1193 წლებში მან თამარ მეფის მიერ დამარცხებული გიორგი რუსი კონსტანტინოპოლიდან წამოიყვანა და არანი უბოძა. ათაბაგის ლაშქრით ზურგგამაგრებულმა გიორგი რუსმა კამბეჩანის მხარე მოარბია, მაგრამ, მისი პარპაში დიდხანს არ გააგრძელებულა, ხორნაბუჯის ერისთავმა – საღირ მახატლის ძემ სასტიკად დაამარცხა მომხდურნი. გიორგი რუსი კი „ძლით-სამე გარდაიხვეუნა“.

ზემოთ მოტანილი ფაქტები მიუთითებს, რომ შამქორის ბრძოლამდე ელდიგუ-ზიანელ ათაბაგთა და საქართველოს შორის მრავალწლიანი დაპირისპირება არსებობდა. საქართველოს სამეფოს აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ზრდას სწორედ აზერბაიჯანის მმართველები უშლიდნენ, ვინაიდან ეს ტერიტორიები მათ ვასალურ მინებს წარმოადგენდა. 1194-1195 წწ. სამხრეთ კავკასიაში საქართველოსათვის ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. აბუ-ბექრის მოწინააღმდეგე ამირ-მირმანმა, აშკარად, პროქართული ორიენტაცია დაიკავა. იგი დასაწყისში შირვანშაჰ ალსართან I-ს ეწვია. ამ უკანასკნელმა დევნილი უფლისწული დიდი პატივით მიიღო და თავის ქალიშვილზე დააქორწინა. შირვანში ათაბაგ აბუ-ბექრის მოწინააღმდეგე ბანაკი ჩამოყალიბდა. როგორც ჩანს, ალსართან I-სა და ამირ-მირმანის კოალიციამ, დასაწყისში, დამოუკიდებლად სცადა პოზიციების გამაგრება არანში. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით, სიძე-სიმამრი ქალაქ ბელაყნის მიდამოებში დაბანაკებულან. აბუ-ბექრის ლაშქარმა „ბელაყნის კარსა ზედა“ სასტიკად დაამარცხა მოკავშირე შირვან-შაჰი და ამირ-მირმანი.<sup>1</sup> ამ დამარცხებას დაერთო ისიც, რომ შირვანში საშინელი მინისძვრა მოხდა, რომელსაც თვით ალსართან I-ის ოჯახიც კი შეეწირა, მათ შორის მემკვიდრე მანუჩიძრი და ამირ-მირმანის მეუღლე. ამ კატასტროფამ რამდენიმე ხნით გადადო აბუ-ბექრის წინააღმდეგ საერთო კავკასიური კოალიციის შექმნა. გარკვეული პერიოდი ალსართან I ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემების მოგვარებით უნდა ყოფილიყო დაკავებული. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ქალაქ შემახას დანგრევის შემდეგ, შირვანის ახალი პოლიტიკური ცენტრი ბაქოში გადაუტანიათ.<sup>2</sup> ბუნებრივია, ამ ღონისძიებას დრო სჭირდებოდა და აბუ-ბექრთან საბრძოლველად არავის ეცალა. 1195 წლისათვის ალსართან I-მა და ამირ-მირმანმა გადანყვიტა აბუ-ბექრის წინააღმდეგ საერთო კავკასიური კოალიციის შექმნის იდეა რეალობად ექციათ. მათ საქართველოს სამეფო კარზე მოციქული გამოგზავნეს, რომელსაც თამარისათვის უნდა მოეხსენებინა ალსართან I-ისა და ამირ-მირმანის გეგმის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე მიიღებდა ამ წინადადებას, დაგეგმილი იყო თავად შირვან შაჰისა და ელდიგუ ზელი უფლისწულის თამარის კარზე ჩამოსვლა და ერთობლივი ძალით აბუ-ბექრის წინააღმდეგ გალაშქრება. ალსართანი და ამირ-მირმანი საქარ-

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 2, თბ., 1959, გვ. 62-63.

<sup>2</sup> Сара Ашурбейли, Государство Ширваншахов (VI-XVI вв.), Баку, 1983, გვ. 142-143.

თველოს სამეფო კარს შემდეგ სთავაზობდა: 1 – არანისა და აზერბაიჯანის დაკავებას („ლაშქართა თქვენთასა აღებად ყოელისა სპარსეთისა“); 2 – აბუ-ბექრის მაგიერ ამ ტერიტორიაზე პროქართული ორიენტაციის ამირ-მირმანის გაათავაგებას და 3 – ელდიგუზიანელთა დინასტიასა და ბაგრატიონებს შორის მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით თამარის ასულის რუსუდანის (ამ დროს იგი ორი წლის იქნებოდა) ამირ-მირმანზე დანიდევას („მაშინ დასვით ასული თქვენი... პატრონად ყოველთა სპარსეთისა“). საქართველოს სამეფო კარმა ეს უკანასკნელი წინადადება უარყო, მაგრამ სამხედრო დახმარებაზე აღსართან I-სა და ამირ-მირმანს თანხმობა მისცა („მაშინ არა-მაღირსმან სიძობისამან უბრძანეს იმედი შველისა და ხელის აპყრობისა“). საქართველოს პასუხის მიღებისთანავე აღსართანი და ამირ-მირმანი თბილისისაკენ გამოემგზავრნენ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ავტორი დანერვილებით მოგვითხრობს უცხო სტუმრების თამარის კარზე მიღებას. ქართველებმა, მართლაც, პომპეზური შეხვედრა გაუმართეს მათ.<sup>1</sup>



შამქორის ციხე-ქალაქის ციტადელი

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, გვ. 65-66.

1195 წლის მაისის შუა რიცხვებში სამეფო კარზე მოვიდა ცნობა, რომ აბუ-ბექერი უკვე არანში იყო. ქართველთა ლაშქარი საბრძოლველად მოემზადა. ქვემო ქართლში ( მდინარეების მტკვრის, ალგეთის, ქციისა და ქურდვაჭრის ნაპირებთან) დაბანაკებულ ჯარს თვით მეფე თამარი ეწვია. მან რამდენიმე დღე დაჰყო ლაშქართან „ლოცვისათვის“. სწორედ აქ მიმართა მან მეომრებს სიტყვით, რომელიც მოხმობილი აქვს „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარის“ ავტორს. მაისის მინურულს ქართველთა ლაშქარი შამქორ-განჯისაკენ გაემართა. გასაველელი იყო დაახ. 140-150 კმ. ქართველები პირველად მდ. ელეკეტის ანუ ახლანდელი აღსტაფა-ჩაის ნაპირებთან დაბანაკდნენ. მეორე დღეს კი უკვე შამქორის ციხე-ქალაქის სიახლოვეს იყვნენ. მემბტიანის თქმით, ეს იყო 1 ივნისი. ბრძოლა კი 2 ივნისს, პარასკევს მოხდა.

ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც სამხედრო ხელოვნების კუთხით განიხილა შამქორის ბრძოლა, იყო გენერალი იოსებ გედევანიშვილი (1873-1939).<sup>1</sup> მისი მოსაზრებით, ბრძოლა ქართველებსა და აბუ-ბექერს შორის მდინარე შამქორის-წყალის ანუ, დღევანდელი, შამქორ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე გამართულა, ციხე-ქალაქ შამქორის მოპირდაპირე მხარეს. ი. გედევანიშვილი დასძენს: „დავით სოსლანს ჯარი ისე გაუშლია, რომ მარცხენა წვერი მტკვრისათვის და მარჯვენა – მთისათვის მიუბჯენია, ისე რომ მის ჯარს მთელი მინდორი გადაუკეტია და ამ ვინრო კარიდორით წამოსულა . . . იგი წესისამებრ წინა მებრძოლთ ჰგზავნის, რომელნიც პირველად უნდა ეკეთენენ მტერს და ბრძოლა დაიწყონ. მეორე ნაწილი ზაქარია მხარგრძელის სარდლობით მემარჯვენე-მცემელთა რაზმს შეადგენდა იმ შემთხვევისათვის, თუ თურქები წინა მბრძოლის მარჯვენა წვერს დაამარცხებდნენ და შემოუვლიდნენ, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა წინა მბრძოლ რაზმის მტკვრის ნაპირისაკენ მიგდება და სწორედ ამ შემთხვევაში ზაქარია სპასალარი მტერს ზურგით დაეცემოდა. თითონ დავით სოსლანი მესამე რაზმით, რა თქმა უნდა, უფრო ძლიერით და ნაცადით, შამქორს მხარმარჯვნივ სტოვებს და მტკვრის ნაპირით მიდის, გადავა მდ. შანქორს და თურქების მარჯვენა წვერს შემოუვლის. . . რადგან თურქები შამქორის წინ იბრძოდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ მეფის რაზმი ზურგით მოექცა მათ და ასეთი მოულოდნელი შემოვლა თურქებს ყოველთვის თავზარს სცემდა და ეხლაც ასე მოხდა“.<sup>2</sup>

შამქორის ბრძოლა მონოგრაფიულად შეისწავლა ივ. შაიშველაშვილმა. სწორედ მან მოგვცა აბუ-ბექერისა და ქართველთა ლაშქრის შეტაკების ყველაზე სრულყოფილი აღწერა. ივ. შაიშველაშვილმა თავის მონოგრაფიაზე მუშაობისას 1978-1979 წლებში რამდენჯერმე მოინახულა შამქორის ციხე-ქალაქი და მისი მიდამოები (ერთ-ერთი დათვალიერებისას ივ. შაიშველაშვილს თან ახლდა პროფ. ივ. ლოლაშვილი). ამანაც განაპირობა, რომ მის ნაშრომში დღემდე ყველაზე სრულყოფილადაა აღწე-

<sup>1</sup> ი. გედევანიშვილი ცნობილი ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე იყო. წერდა მოთხრობებსა და პიესებს. მას ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. ი. გედევანიშვილის შენიშვნები, როგორც პროფესიონალი სამხედროსი, მეტად საინტერესოა.

<sup>2</sup> ი. გედევანიშვილი, სამხედრო ხელოვნება საქართველოში, გვ. 89-90.

რილი შამქორის ბრძოლის მიმდინარეობის დეტალები. აშკარაა, რომ ავტორი კარგად იცნობს ტერიტორიას, სადაც ბრძოლა მოხდა. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ივ. შაიშმელაშვილმა, როგორც პროფესიონალმა სამხედრომ<sup>1</sup>, მოგვცა არაერთი საინტერესო დაკვირვება ქართველთა ჯარის მოძრაობისა და ბრძოლის ველზე განლაგების შესახებ.

ივანე შაიშმელაშვილის მოსაზრებით, შამქორის ბრძოლისას აბუ-ბექრის ჯარის ძირითადი ნაწილი მდინარე შამქორ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე იყო დაბანაკებული. რაც შეეხება ქალაქ შამქორს, ის მდინარის მარცხენა ნაპირზეა აგებული. მეცნიერის მოსაზრებით, აბუ-ბექრს მდინარე შამქორ-ჩაის მარცხენა ნაპირზე მხოლოდ ეს ერთი სიმაგრე ეკავა. ქართველები შამქორს სწორედ დასავლეთიდან მიაღდგებოდნენ. ამ შემთხვევაში, აბუ-ბექრის არმიასა და ქართველებს შორის გამყოფი იყო მდინარე შამქორ-ჩაის დინება. ივანე შაიშმელაშვილს შამქორის ბრძოლა შემდეგი სახით აქვს წარმოდგენილი: ქართველთა არმიის ცენტრსა და მარჯვენა ფრთას იერიში მიუტანია ციხე-სიმაგრე შამქორზე, ხოლო მარცხენა ფლანგს, რომელსაც დავით სოსლანი ხელმძღვანელობდა, გადაულახავს მდინარე შამქორ-ჩაი და ზურგიდან დაურტყამს ციხისათვის. იგი აღნიშნავს: „მეფე დავითს მიზანშეწონილად მიუჩნევია, რომ მდინარე შამქორ-ჩაის გადალახვის შემდეგ, მთავარი ძალებით მტკვარ-შამქორის უბანზე გამაგრებულ ციხე-ქალაქ შამქორის ზურგში შეჭრილიყო, შამქორ-განძის გზები გადაეჭრა“.<sup>2</sup> იქვე მეცნიერი დასძენს, რომ „ქართველები მათ (მტრის) ზურგში გადიოდნენ და ქალაქი ალყაში ექცეოდა“. ნაშრომზე დართულ სიტუაციურ გეგმაზეც ქართველების მთელი ეს სამხედრო ოპერაცია ასეა წარმოდგენილი.

ივ. შაიშმელაშვილის მოსაზრება გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.<sup>3</sup>

შამქორის ომს დანვრილებით შეეხო აგრეთვე ირ. ჯორჯაძე. მანაც ბრძოლის ველად მდინარე შამქორ-ჩაის მარჯვენა მხარე აირჩია, ოღონდ, მის მიერ ოდნავ განსხვავებულადაა წარმოდგენილი ბრძოლის მსვლელობა. იგი აღნიშნავს: „გარიჟრაჟზე დაიწყო შამქორის ბრძოლა. პირველად შეუტია მარჯვენა ფრთის ნაწილებმა, ანტონ ჭყონდიდელის სარდლობით. ცხარე ბრძოლა გაიმართა მდინარე შამქორ-ჩაის გადალახვისას ხიდისკენ მიმავალ ვიწრო გზაზე.“


აბუ-ბექრმა კონტრშეტევაზე გამოუშვა თავისი მთავარი ძალები ცხენოსანი ჯარიტურთ. ქართველების წინსვლა შეაჩერეს და გაიმართა უსასტიკესი ბრძოლა, რომელშიც მუსულმანთა მთელი ძალები ჩაერთვნენ. დავით სოსლანსაც ეს უნდოდა. იგი მხოლოდ ეკალ-ბარდებითა და ქვა-ღორღით მოფენილ ძნელადსაავალი გზის გამო კი არ ანელებდა თავისი მთავარი ჯარების წინსვლას, არამედ ელოდა იმ მომენტს, როცა მოწინააღმდეგე მთელ თავის ძირითად ძალას მარჯვენა ფლანგისაკენ გადაისროდა. როცა ეს მომენტი დადგა, დავით სოსლანმა გაშალა ვახტანგ გორგასლის შვიდასწლოვანი დროშა, რომელიც, მართალია, ჟამთაგულას გაეხუნებინა, მაგრამ ყველა

<sup>1</sup> ივ. შაიშმელაშვილს 1962 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის ნოდება.

<sup>2</sup> ივ. შაიშმელაშვილი, შამქორი, ბასიანი, გვ. 36.

<sup>3</sup> როინ მეტრეველი, მეფე თამარი, გვ. 170-180.

მებრძოლისათვის იმედის ვარსკვლავად აკიაფდა. დავითმა თავისი ძირითადი ჯარებით სწრაფად შეუტია მარცხენა ფრთიდან და ჭყონდიდელის რაზმთან ბრძოლით გართულმა აბუ-ბექრმა ღია ფალანგიდან გამანადგურებელი დარტყმა იწვნია<sup>1</sup>.




შამქორის ბრძოლის მიმდინარეობა  
ივანე შაიშველაშვილის მიხედვით

როგორც ვხედავთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში, მიუხედავად მცირე განსხვავებებისა, ერთსულოვნებაა შამქორის ბრძოლის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. მაგრამ მკვლევართა მიერ წარმოდგენილი ბრძოლის სქემა ბევრ კითხვას ბადებს. სწორედ ამ წინააღმდეგობებმა დაგვავიწყვა ბრძოლის იმ აღწერილობაში, რომელიც მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში<sup>2</sup>. შამქორის მიდამოების მონახუ-

<sup>1</sup> ირაკლი ჯორჯაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, გვ. 120.

<sup>2</sup> ივანე შაიშველაშვილის სქემის მიღების შემთხვევაში ერთი მომენტიცაა გასათვალისწინებელი. შამქორზე იერიშისას დავით სოსლანის მიერ მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლა რატომ უნდა გულისხმობდეს ქალაქის აღებაში მოქცევას. მართალია, შამქორის ციტადელი უშუალოდ ხეობას გადაჰყურებს, მაგრამ მდინარის კალაპოტი 50/70 მეტრია, ასე რომ, შამქორელებისათვის იმ კონკრეტულ მომენტში სოსლანის შემოვლითი დარტყმა დიდ ზიანს არ მიაყენებდა, ვინაიდან

ლებამ ჩვენი ეს ეჭვი კიდევ უფრო გაამძაფრა. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ჩვენთვის ის იყო, რომ ქართველი ავტორები საუბრობდნენ ბრძოლის დროს დავით სოსოლანის მიერ მდ. შამქორ-ჩაის გადალახვაზე. ამ მდინარის კალაპოტის ნახვამ დაგვარწმუნა, რომ დავითი ასეთი სახის მანევრს, უბრალოდ, ვერ განახორციელებდა. ჩვენ არ ვსაუბრობთ იმაზე, რომ სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ასეთი მოქმედება ყოვლად გაუაზრებელია. უბრალოდ, ქართველთა ლაშქარი, მძიმედ აღჭურვილი, მდინარის გადალახვას არ დაიწყებდა.



შამქორის ბრძოლის მიმდინარეობა  
ირაკლი ჯორჯაძის მიხედვით

ქართველთა ლაშქარს ორჯერ უნებედა მდინარის გადალახვა, ერთხელ, როდესაც გადავიდოდნენ მარჯვენა ნაპირზე და აქედან დაიწყებდნენ მარცხენა ნაპირზე აღმართული ციხადელის იერიშს. მაგრამ ყველაზე მთავარი ამ სქემაში გახლავთ ერთი საკითხი. მაშინ, როდესაც მდინარე შამქორ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე, განჯა-შამქორს შორის დაბანაკებული აბუ-ბექრის არმიის ძირითადი ნაწილი განადგურებული არ იყო, რატომ უნდა მიეტანათ ქართველებს იერიში ციხეზე ყველა მხრიდან? ამ შემთხვევაში დავით სოსლანის არმია სავსებით შესაძლებელი იყო, ალყაში მოქცეულიყო. ან რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ ქართველთა არმიის მარჯვენა ფრთა და ცენტრი ძირითადად შამქორის ციხის აღებით არის დაკავებული. გამოდის, რომ აბუ-ბექრის მთავარ ძალებს მხოლოდ დავით სოსლანი უპირისპირდება.

ბრძოლის განვითარების ის მოდელი, რაც ივანე შაიშუმელაშვილმა შემოგვთავაზა, იქნებოდა საუკეთესო ვარიანტი აბუ ბექრისათვის. მას გამაგრებული ჰქონდა მდინარის მარცხენა ნაპირზე შამქორის ციხე-ქალაქი თავისი ზიდითურთ და ეკავა მომგებიანი პოზიცია შამქორ-ჩაის მარჯვენა მხარეს. გამოდის, ქართველები რისკზე მიდიოდნენ. საეჭვოა, გადაწყვეტი ომის უამს დავით სოსლანს ასეთი გაუაზრებელი ნაბიჯი გადაეძგა.

შამქორ-ჩაის საკმაოდ განიერი კალაპოტის გადალახვის უამს მტერს, რომელიც მარჯვენა ნაპირზე იდგა, აშკარა უპირატესობა ეძლეოდა. არც ერთი გონიერი სარდალი იერიშისას არ დაინწყებს დიდი მდინარის გადასვლას, რომლის ერთ მხარეს შემალღებული პოზიციები მტერს უკავია. მდინარე შამქორ-ჩაის ორივე ნაპირს საკმაოდ მაღალი ბექობი გასდევს, რომლის დაძლევა ცხენოსნისათვის შეუძლებელია. არის რამდენიმე მონაკვეთი, სადაც მდინარის ეს ბექობი დადაბლებულია, მაგრამ ასეთი ციხესიმაგრე შამქორიდან, ვიდრე მტკვრამდე, მხოლოდ რამდენიმეა. და კიდევ ერთი დეტალი: მართალია, დღეისათვის შამქორ-ჩაის ხეობა თითქმის დამშრალია და აქ წყლის დონე მხოლოდ გაზაფხულზე იწევს, მაგრამ ასეთი რეალობა არ იქნებოდა XII საუკუნეში. საქმე ის გახლავთ, რომ ამჟამად შამქორ-ჩაის წყალუხვი დინება გამოყენებულია რამდენიმე ათეული სოფლის სარწყავად. სარწყავი არხები სათავეს მთებში იღებენ. წყლის ძირითადი მასა ამ გზით ნაწილდება, რაც იწვევს შამქორ-ჩაის ხეობის დაშრობას. ის ფაქტი, რომ მდინარე შამქორ-ჩაი საკმაოდ წყალუხვია, კარგად ჩანს რეგიონის ტოპოგრაფიულ რუკებზე, სადაც სარწყავი არხების სათავეებამდე მდინარე მძლავრი ნაკადით მოედინება. უნდა ვიფიქროთ, რომ XII საუკუნეში შამქორ-ჩაი საკმაოდ ძნელად გადასალახავი იქნებოდა. ამაზე მეტყველებს როგორც მდინარეზე გადებული ხიდი, რომელსაც საკმაოდ დიდი ბურჯები აქვს, ასევე თავად კალაპოტი, რომელიც მონაკვეთებში 50-70 მეტრს აღწევს.

იმ შემთხვევაში თუ ბრძოლას მდ. შამქორის მარჯვენა მხარიდან მარცხენა მხარეს გადმოვიტანთ ანუ შამქორის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბევრი წინააღმდეგობა ქრება. მაგრამ რამდენად შესაძლებელია ამ ვარაუდის დაშვება? ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ქართული და უცხოური წყაროების მონაცემებს?

რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი,“ რომელიც ყველაზე დაწვრილებით აღწერს ამ ბრძოლას, სწორედ ამ სქემას გვთავაზობს.

მემატიანის მიხედვით, ბრძოლა მომხდარა მდინარე შამქორ-ჩაის მარცხენა მხარეს, იმ ვრცელ ველზე, რომელიც ციხე-ქალაქ შამქორს ეკვრის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით. სამწუხაროდ, ეს დეტალი ჩვენს მეცნიერებს ყურადღების მიღმა დარჩათ. რატომღაც, შამქორის ომის განხილვისას, აბუ-ბექრის ბანაკი, მათ უყოყმანოდ მოპირდაპირე – მარჯვენა მხარეს გადაიტანეს. სწორედ ამან განაპირობა იმის აუცილებლობა, რომ სამხედრო მოქმედებების აღწერისას ქართველთა ლაშქარს ყველა შემთხვევაში უნდა გადაელახა შამქორ-ჩაი. მაგრამ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი საპირისპიროს წერს: „მაშინ ჰკრეს სპერმურთა და სცეს ზარი, დააწყუს რაზმი წესისაებრ; მიუწია წვერმან რაზმისამან მარჯუენითმან მთად და მარცხენითმან მტკურად. და წარემართნეს და წავიდეს სიახლესა შამქორისასა, გარდაეცნეს ზედა, და განყო რაზმი მიმასლებელმან ქალაქისამან და ომთამან“.<sup>1</sup> თუ ამ ციტატას ჩაუვყვირდებით, დავინახავთ, რომ აბუ-ბექრი დაბანაკებული ყოფილა ქალაქ შამქორის სიახლოვეს, მდინარის მარ-

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 2, თბ., 1959, გვ. 70.

ცხენა მხარეს. დასავლეთიდან მომავალ ქართველებს, შამქორის ციხე-ქალაქთან არ მისულთ, საბრძოლო წყობა მიუღია. შემდეგ, უკვე ფლანგებად განლაგებული ლაშქარი, შამქორის მიმართულებით მოძრაობდა და სწორედ აქ უხდება მას მტერთან შეხება („და წარმართნეს და წავიდეს სიახლესა შამქორისასა, გარდაეცნეს ზედა“). ამ შემთხვევაში შამქორის ციხე ჯერ კიდევ აღმოსავლეთითაა, რამეთუ ბრძოლის დაწყების შემდეგ განახორციელა დავით სოსლანმა თავისის ცნობილი სამხედრო მანევრი, როდესაც შამქორის ციხისაკენ გაიჭრა. მემატინანე დასძენს: „თვთ მეფე, რაზმითა დამგდებელი მარჯვენით შამქორსა, მოსწრაფე იქმნა განსვლად წყლისა შამქორისასა კერძოსა“.<sup>1</sup> მაშინ როდესაც დავითი შამქორის ციხეს უვლის გვერდს და ცდილობს მტრის ზურგში გასვლას, ქართველთა ძირითადი ლაშქრის მარცხენა ფრთა და ცენტრი უკვე მტერს ებრძვის. თუ წყაროს ამ ცნობას გავითვალისწინებთ, მაშინ გამოდის, რომ აბუ-ბექრს შამქორ-ჩაი უკვე გადმოლახული ჰქონია და მდინარის დასავლეთ სექტორში ყოფილა დაბანაკებული. ამდენად, ქართველთა მიერ მდინარის გადალახვის არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა. ჩვენი აზრით, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის შეცდომით გაშიფვრას უნდა წარმოემვა ეს ვარაუდი. მემატინანე აღნიშნავს, რომ დავითი „მოსწრაფე იქმნა განსვლად წყლისა შამქორისა კერძოსა“.<sup>2</sup> ვფიქრობთ, ამ წინადადებაში მისცა მკვლევარებს იმ ვარაუდის გამოთქმის უფლება, რომ დავით სოსლანმა მდ. შამქორ-ჩაი გადალახაო. და თუ, საქართველოს ჯარის მთავარსარდალი მდინარის მეორე ნაპირზე გადადის, მაშინ მტრის ძირითადი ნაწილიც იქ უნდა იყოს დაბანაკებული. მემატინანის მინიშნებაში რომ არ ყოფილიყო სიტყვა „კერძო“, მაშინ შეიძლება მართლაც გვეფიქრა, რომ დავით სოსლანმა გადალახა შამქორ-ჩაი, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, ისტორიკოსი აღნიშნავს – დავით სოსლანი მდინარე შამქორის-წყლის მხარეს – „კერძო“ გავიდა. დამეთანხმებით, აქ არ არის საუბარი მდინარის გადალახვაზე. ჩვენი ვარაუდით, მემატინანე მთავარსარდლის ყველაზე მთავარ ტაქტიკურ გადაწყვეტილებაზე საუბრობს – დავით სოსლანმა მდინარის ნაპირის გავლით შემოუარა მტერს.

მთელი ამ საომარი კამპანიის დროს აბუ-ბექრმა ორი მიუტყვევებელი შეცდომა დაუშვა: პირველი, რომ მან შამქორ-ჩაის ხეობის ბუნებრივი საფარი მიატოვა და გადმოვიდა დასავლეთ ნაპირზე და მეორე, გაზვიადებულად მიიჩნია ციხესიმაგრე შამქორის მნიშვნელობა. სხვათა შორის, ამის თაობაზე თავად „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი მიუთითებს, როდესაც აღნიშნავს, რომ აბუ-ბექრი იყო „იმედითა სიმრავლე-აურაცხელობისათა, მერმე ჴევისა და სიმაგრისა შეზღუდვილობით.“ აქ შემთხვევით არ უნდა იყოს აქცენტი გაკეთებული „სიმაგრისა შეზღუდვილობაზე“. შამქორის ციხე-ქალაქს მართლაც სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა აბუ-ბექრის სამხედრო გეგმებში. ჩვენი აზრით, ათაბაგის ლაშქარი მდინარის მარცხენა ნაპირზე იყო დაბანაკებული და აქ ელოდა ქართველებს. თავისი ჯარის განლაგებისას აბუ-ბექრმა შამქორის ციხის ფაქტორიც გაითვალისწინა.

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე.

შამქორის ციხადელი მუსლიმთა არმიის მარცხენა ფრთის დამცველად უნდა ქცეულიყო. შესაბამისად, თუ ქართველთა მარჯვენა ფრთა დააპირებდა ქალაქის გვერდის აელას, შამქორში მყოფი აბუ-ბექრის მეომრები ქართველთა ზურგში ექცეოდნენ და მათ ალყაში აქცევდნენ. ვფიქრობთ, არ იქნება გადაჭარბებული, თუ დავუშვებთ, რომ ათაბაგმა თავისი არმიის ძირითადი ნაწილების გადაჯგუფება მარჯვენა ფრთასა და ცენტრზე მოახდინა. მარცხენა ფრთაზე შამქორის ციხის არსებობა მას სერიოზულ ძალად მიაჩნდა, რაც ასე იყო კიდევ.

რა დაუპირისპირეს ქართველებმა ათაბაგის ამ სამხედრო გეგმას?

დავით სოსლანმა, თავის მხედართმთავრებთან ერთად, ზუსტად გათვალა აბუ-ბექრის გეგმები. ქართველები მიხვდნენ მონინალმდეგის სუსტ და ძლიერ მხარეებს. საქართველოს ჯარის სარდლობამ მტერს იქ უპოვა სუსტი ნერტილი, სადაც ყველაზე ნაკლებ მოელოდა აბუ-ბექრი. ეს იყო შეტევის განხორციელება შამქორის ციხის მიმართულებით ანუ მარჯვენა ფლანგიდან.

შამქორის მიმართულებიდან შეტევის განხორციელება იდეალური ვარიანტი იყო, ოღონდ მას ერთი ნინალმდეგობა ედგა ნინ, საჭირო იყო ციხეში მყოფი აბუ-ბექრის მეომრების განეიტრალება. ნინალმდეგ შემთხვევაში ქართველთა ეს მანევრი შეიძლება სავალალოდ დასრულებულიყო, თუ მუსლიმები მოახერხებდნენ მარჯვენა ფრთის ზურგში მოქცევას. ბრძოლის დაგეგმვისას ზუსტად ეს დეტალი იყო მთავარი.

დავით სოსლანს ჯარი სამ ნაწილად უნდა გაეყო. ცენტრს და მარცხენა ფლანგს ევალეობდათ იერიშის მიტანა, მაგრამ მონინალმდეგეზე მძლავრი დარტყმა მარჯვენა ფრთიდან უნდა განხორციელებულიყო – ქალაქ შამქორის მიმართულებით. ჯარის ძირითადი ნაწილი სწორედ მარჯვენა ფლანგზე იქნა დისლოცირებული, მაგრამ ეს არ იყო სტრატეგიის მთავარი შემადგენელი დეტალი. უპირველესი გახლდათ ის, რომ დავით სოსლანი ქალაქზე იერიშისას მოახდენდა ჯარის ძირითადი ნაწილის გამოყოფას და მარჯვნიდან აბუ-ბექრის ზურგში გაჭრას. მხოლოდ მარჯვენა ფრთის მეორე ნაწილი პარალელურად იერიშს მიიტანდა ციხეზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არ იქნებოდა იერიში პირდაპირი გაგებით. ამით ქართველი მეომრები გაანეიტრალებდნენ შამქორში მყოფ აბუ-ბექრის ჯარს, რომელიც შეეცდებოდა ზურგიდან დაერტყა დავით სოსლანის ჯარისათვის. სამხედრო ხელოვნების თეალსაზრისით, ეს იყო ბრძოლის მართლაც რომ საუკეთესო გადანყვება. მარჯვენა ფრთის ორ ნაწილად გაყოფა შეიძლება მივიჩნიოთ გენიალურ სამხედრო მიგნებად.

მარჯვენა ფრთა ამ სტრატეგიული ჩანაფიქრის მიხედვით ორნაწილიანი იყო. დასაწყისში ბრძოლას ისეთი იმიტაცია ჰქონდა, რომ ქართველები ქალაქ შამქორზე მოდიოდნენ საიერიშოდ. მემატთანე დასძენს: „ნარეშართნეს და წავიდეს სიახლესა შანქორისასა. . . და განყო რაზმი მიახლებელმან ქალაქისამან და ომთამან. თუთ მეფე, რაზმითა დამგდებელი მარჯვენით შანქორსა, მოსწრაფე იქმნა განსვლად წელისა შანქორისასა კერძოსა. და უმცირეს რაზმისასა კართა ზედა და ჳიდთა შეიქმნა ომი და სროლა“.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, დავით სოსლანი ერთიანი ძალით დაძ-

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, ქართლის ცხოვრება, გვ. 70.

რულა მარჯვენა ფრთიდან, მაგრამ შამქორის ციხე-ქალაქთან მიახლოებისას მეფეს თავისის რაზმი ორ ნაწილად გაუყვია – „განყო რაზმი მიახლებელმან ქალაქისამან“. ერთ ნაწილს ქალაქი მარჯვნივ მოუტოვებია და მდინარისაკენ გაჭრილა. ჯარის ამ ნაწილს უშუალოდ დავით სოსლანი სარდლობდა. სამხედრო გეგმის მიხედვით, ქართველები მდ. შამქორ-ჩაის მარცხენა ნაპირის გავლით აბუ-ბექრის არმიის ზურგში უნდა შეჭრილიყვნენ. ამასობაში, შამქორის ციხეში დაბანაკებული ათაბაგის მეომრების განაწილებლად დავითის ძირითად ნაწილს გამოეყო მცირე რაზმი, რომელმაც საშუალება არ მისცა შამქორის ციხე-ქალაქში თავმოყრილ ლაშქარს, ციტადელიდან გამოსულიყო და მდინარის ნაპირის გაყოლებაზე მიმავალი დავით სოსლანის არმიისათვის დაერტყა – „და უმცირეს რაზმისასა კართა ზედა და ჳიდთა შეიქმნა ომი და სროლა“. დავით სოსლანის ამ მანევრმა საბოლოოდ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი.

დავითის სარდლობით მოქმედმა სამხედრო ნაწილებმა აბუ-ბექრის ძირითადი ძალები გარემოიცივა. ის ფაქტი, რომ ათაბაგის არმია ქართველებმა ალყაში მოაქციეს, ამ მოვლენის ამსახველ საისტორიო თხზულებებშიცაა აღნიშნული. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ავტორი დასძენს: „გარნა ათაბაგი მხოლოდ განერა ერთითა მონითა“. <sup>1</sup> „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“ კი გვაუწყებს, „ხოლო ათაბაგმან აბუბაქრ აქო თვისი ღონე და ღონიერება, რამეთუ მიწვეულმან ჳნარცუსა სადმე მცირესა მინასა შინა დაფლა თავი თვისი“. <sup>2</sup> მართალია, ქართულ წყაროებში პირდაპირ მითითებული არ არის აბუ-ბექრის ალყაში მოქცევაზე, მაგრამ ის რეალობა, რაც თამარის ისტორიკოსებთანაა აღწერილი, გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სწორედ ქართველთა მიერ აბუ-ბექრის ჯარის გარემოცვაზე. სანამ ამ საკითხს უფრო დანვრილებით შევხებოდეთ, აქვე დავიმონმებთ კიდევ ერთ წყაროს. ეს არის თურქი ისტორიკოსის სადრუდინ ებულ ჰასან ალი იბნ ნაშირ იბნ ალი ელ ჰუსეინი. ქართული წყაროების შემდეგ სწორედ ამ ავტორს აქვს მოცემული შამქორის ბრძოლის ყველაზე დანვრილებითი აღწერა. აი, რას წერს იგი: „მასთან მყოფ (იგულისხმება აბუ ბექრი – ჯ.ს.) მეომართაგან ზოგი გაიქცა, ზოგი მკვდარი დაეცა მიწაზე. ებუ-ბექრს უნდოდა თავი დაენებებინა ომისთვის, მაგრამ ქართველთა და მუსლიმთა ჯარებმა მის ჯარებს ყოველი მხრიდან ალყა შემოართყეს. ამის გამო მან ვერ შეძლო უკან დაბრუნება... ებუ-ბექრი მოკლულთა შორის ეგდო, ამ დროს მას ეცა მოსაკლავად მისი ძმის (იგულისხმება ამირ მირმანი – ჯ.ს.) მონათაგანი, რომელიც მას იცნობდა. მაგრამ ებუ-ბექრმა ის იცნო და უთხრა: „მე ესა და ესა ვარო“. ამის შემდეგ მონა ცხენიდან ჩამოვიდა, ებუ-ბექრი ცხენზე შესვა, თვითონაც იქვე მყოფ ცხენს შეაჯდა და თან წაიყვანა. ვინც ეს დაინახა, მათ იფიქრეს, რომ ის როგორც ტყვე მიჰყავდათ სულთანთან, ის კი ბრძოლის ველიდან გამო-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>2</sup> *ბასილი ეზოსმოდვარი*, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 127; თამარ მეფის დროინდელი მატინაე („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და საძიებელი დაურთო მ. ქადაგიძემ, თბ., 2001, გვ. 167.


ვიდა. მას შემდეგ ის ბეილაქანში წაიყვანა.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, ალი ელ ჰუსეინისა და ქართველი მემატიანის ცნობები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. აბუ-ბექრი ბრძოლის დასრულებისას იმალებოდა – ქართული წყაროს მიხედვით მინაში დაიფლა თავი, ჰუსეინის თანახმად კი მკვდარ მეომართა შორის. ორივე ავტორს თითქოს რაღაც საერთო ინფორმაცია ჰქონდათ. თამარის ისტორიკოსის თანახმად, ათაბაგმა „მინასა შინა დაფლა თავი თვისი“. რა თქმა უნდა, მემატიანის ეს განცხადება პირდაპირ არ უნდა გავიგოთ, ბრძოლის ველზე აბუ-ბექრი მინის ამოთხრასა და თავის დაფლას არ დაინყებდა. უპრიანია ვიფიქროთ, რომ აბუ-ბექრი დახოცილი მეომრებით მოფენილ ველზე თხრილში დაიმალა. იგივეს გვეუბნევა ალი ელ ჰუსეინი. ასევე ძალიან ჰგავს ერთმანეთს „ისტორიანი და აზმანნი შარავანდედთანის“ ავტორისა და ჰუსეინის ცნობები. ქართველი მემატიანე დასძენს, რომ ათაბაგს ერთი მონის თანხლებით დაუტოვებია ბრძოლის ველი. თურქ ისტორიკოსთანაც ასეა: აბუ-ბექრი შამქორის ველს ერთი მონის თანხლებით ტოვებს. ამასთანავე, ეს უკანასკნელი აკონკრეტებს, თუ ვინ იყო ეს „ერთი მონა“. იგი ამირ მირმანის მსახური ყოფილა, რომელიც აბუ-ბექრს კარგად იცნობდა და ბოლო მომენტში მას უერთგულა. როგორც ვხედავთ, ქართული წყაროები ეთანხმება ალი ელ ჰუსეინის მონაცემებს. მაგრამ თამარის ისტორიკოსებთან პირდაპირ მითითებული არ არის, თუ რატომ ჩავარდა ამ დღეში აბუ-ბექრი. ჰუსეინის მიხედვით, შამქორის ველზე ათაბაგი ასეთ კრიტიკულ ვითარებაში აღმოჩენილა იმის გამო, რომ ქართველებს ალყა შემოურტყიათ მუსლიმური კოალიციისათვის. ამ დეტალის გათვალისწინების შემდეგ ლოგიკურად იხსნება ბრძოლის ველზე აბუ-ბექრის საქციელი.

რა შემთხვევაში შეიძლება ათაბაგი ალყაში მოქცეულიყო?

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მივიღებთ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბრძოლის მიმდინარეობის სქემას, აბუ-ბექრის ალყაში მოქცევა, პრინციპში, შეუძლებელი იყო. მდინარე შამქორის-წყლის მარჯვენა მხარეს დაბანაკებული ათაბაგისთვის დავით სოსლანს მარცხნიდან რომ შეეტია, აბუ-ბექრს ყველა შემთხვევაში ექნებოდა უკან დასახევი გზა – განძისაკენ. მაგრამ, როგორც დავინახეთ, წყაროებში სულ სხვა რეალობაა აღწერილი – აბუ-ბექრი ქართველთა რკალში მოქცეულა. მემატიანეთა მონათხრობი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ დეტალს, რომ მარცხნიდან დავით სოსლანის მანევრმა, რის შემდგომაც ქართველები მდინარის გაყოლებით მტერს ზურგში მოექცნენ, საშუალება მისცა საქართველოს არმიას ალყაში მოექცია მუსლიმთა ძირითადი ძალები. ამასთანავე, ქართველებმა აბუ-ბექრის მეომართა დიდ ნაწილს უკან დახვევის საშუალება მოუსპო. როგორც ჩანს, ათაბაგმა დასაწყისში ვერ მოასწრო გაქცევა. ამიტომ იგი ჯერ დახოცილ მეომართა შორის იმალებოდა, ხოლო შემდეგ ერთ-ერთმა მებრძოლმა ის ბრძოლის ველს გააცილა.

ასე ტრაგიკულად დასრულდა აბუ-ბექრის სამხედრო კამპანია. ათაბაგი ჯერ განჯაში, ხოლო შემდეგ ბაილაქანში წავიდა.

<sup>1</sup> ვ. სტეფანაძე, საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობა XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 124.



შამქორის ბრძოლის მიმდინარეობა

JABA SAMUSHIA

## SHAMKORI BATTLE

### Summary

**SHAMKORI** battle is an event of great importance in the history of the Georgian art of war. In 1195, on the territory of today's Azerbaijan, in the area of Shamkori fortress, the Georgian army fiercely defeated Abu-Bakr, the ruler of Azerbaijan and Iran. This conflict has deep roots.

Since the first half of the 12<sup>th</sup> century a strong political unit was formed on the territory of South Azerbaijan and Iran under the dynasty of Eldiguzian. Shams Ad-Din Eldiguz, the founder of this dynasty, managed to spread his influence over Iraq too. In the battle with Hamadan, Qizil-Arslan, a well-known representative of the dynasty of Eldiguzian, managed to defeat Togrul III, the ruler of Seljuk dynasty and his brother, Melik-Shak and declared himself as the ruler of Iraq. The political ambitions of Eldiguzian were not directed to the South only, they were actively interfering in the political life of South Caucasus – Georgia – Shirvani. According to the existing sources, Shams Ad-Din Eldiguz wanted to exile Georgians from Aran and conquer Tbilisi. In 1163 the Muslim coalition under Atabeg Eldiguz severely defeated Giorgi III. After this the confrontation among the rulers of Iran, South Azerbaijan and Georgia continued.

Under the reign of Tamar, the political confrontation between Atabeg and Georgia entered the new phase.

In 1191 Atabeg assassinated Qizir Arslan. His nephews began to fight for the reign in Iraq, Azerbaijan and Iran. Abu-Bakr managed to defeat others in this confrontation.

When he came to power, he established hostile relationship with the kingdom of Georgia.

The rulers of Azerbaijan prevented the kingdom of Georgia from expanding to the South or South-East, because these territories were their vassalage lands. In 1194-1195 a suitable political situation was created for Georgia in South Caucasus. In the beginning, he visited Shirvanshah Agsar I. The latter received the persecuted prince respectfully and married him to his daughter. In Shirvani a camp was formed against Atabeg Abu-Bakr.

In 1195 Agsartan I and Amir-Mirman decided to form a common Caucasus coalition against Abu-Bakr. The kingdom of Georgia gave its consent to the military assistance. In response Agsartan I and Amir-Mirman arrived in Tbilisi. The grand celebration was organized for the foreign guests in Tamar's Palace.

In 1195 in the middle of May, the kingdom received a notice that Abu-Bakr was already in Aran. The Georgian army was prepared for the battle. On June 1, the Georgians were near Shamkori fortress and the battle was fought on June 2, on Friday.

According to the established viewpoint in the Georgian historiography, the battle among the Georgians and Abu-Bakr was fought by the Shamkori-Tskali river, on the right bank of today's Shamkori-Chai, on the opposite side of Shamkori fortress. The centre and the right wing of the Georgian army attacked Shamkori fortress and the left wing under David Soslani crossed the Shamkori-Chai river and attacked the fortress from the back.

It is stated in the above-mentioned work that the battle took place not on the right side of the Shamkori-Tskali river, but on its left side, on the territory near Shamkori fortress.

Studies of the source showed that the commanders of the Georgian army precisely calculated the plans of Abu-Bakr. He found the weak point of the enemy, when Abu-Bakr expected it least of all. It was an attack launched towards Shamkori fortress from the right wing.

It was a great chance to launch an attack to Shamkori direction, but it had only one drawback, it was necessary to disarm the warriors of Abu-Bakr who were inside the fortress. Without this, such tactics of Georgia would have had a bad end if Muslims managed to oppress Georgians from the back of the right wing. It was a major detail to be considered while planning this battle.

The Georgians divided their army into three parts. The centre and the left wing took responsibility for the attack, but it was the accountability of the right wing to launch an attack on the enemy in the direction of Shamkori. Major part of the army was deployed on the right wing, but it was not the main point of the strategy. The primary thing was that during the attack on the city, a basic part of the army should have separated and attacked Abu-Bakr from the right. The second part of the right wing would attack the fortress. From the viewpoint of the art of war, it was the best resolution of the battle. David Soslani commanded the right wing of the army.

Due to this plan, the basic forces of Abu-Bakr were surrounded by Georgians. In the beginning Atabeg could not manage to flee. At first, he was hidden among the warriors, but then with the help of one of the warriors he managed to escape.

The military campaign of Abu-Bakr had such a tragic end. First, Atabeg went to Ganja, but then he changed his mind and went to Bailakan.

# საქართველო და რუსეთი

გურამ კუტალაძე  
გიორგი ყუყუნაშვილი  
ირმა ტალახაძე

## რუსეთის იმპერიული პოლიტიკა და მისი კათოლიკეები

ქართველობის რუსიფიკაციის მიზნით წარმოებული დენაციონალიზაციის იმპერიული პოლიტიკა, როგორც ცნობილია, მძაფრად გამოვლენდა საეკლესიო სფეროშიც. საეკლესიო რიტის (კონდაკის) პრობლემა, რომელიც XIX საუკუნეში მესხეთის ქართველ კათოლიკეთა წინაშე აღიმართა, პრაქტიკულად, ეროვნულ-კულტურული ვინაობის დაცვის პრობლემა გახლდათ. არსებითად, მესხი კათოლიკენი, რუსეთის სახელმწიფოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წახალისებულნი, იმ მოვლენის წინააღმდეგ იბრძოდნენ, რომელიც ფილეთიზმითაა სახელდებული და ეკლესიების ნაციონალური პრინციპით დაყოფას გულისხმობს. საზოგადოდ, ფილეთიზმის ნებისმიერი გამოვლენა, განსაკუთრებით კი ეკლესიის ცხოვრებაში, არასასურველ, ხშირად საშიშ ფორმებსაც იქნეს. იგი, როგორც ცნობილია, უმეტესად აღმოსავლეთის ეკლესიებში იყო ფესვგადგმული. ფილეთიზმის, როგორც საეკლესიო მოვლენის, მხილება და დაგმობა კონსტანტინეპოლის ადგილობრივმა, მაგრამ საკმაოდ წარმომადგენლობითმა გაფართოებულმა კრებამ იტვირთა 1872 წელს და ნაციონალური პრინციპით ეკლესიების დაყოფა ერესად, მწვალებლობად გამოაცხადა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისტორიულ-პოლიტიკური პირობების გამო სომხეთში სარწმუნოებამ ნაციონალური ხასიათი შეიძინა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა სომხური ნაციონალური ეკლესია. სახელმწიფოებრიობადაცარგული ერის ცხოვრებაში ეკლესიამ თავს იდო ეროვნული და პოლიტიკური ფუნქცია. მოკლედ რომ ვთქვათ, ის სომეხი ერის პოლიტიკური სახისა და სახელმწიფოებრივი არსებობის მასახიერებლადაც იქცა.

ეგვევ ფუნქცია იდო თავს სომეხ კათოლიკეთა ეკლესიამაც. მიზანი ამ შემთხვევაშიც იგივეა – ნაციონალური იდენტობის დაცვა, ნაციონალურ-პოლიტიკური სახის აღორძინება. ამდენად, სომეხ კათოლიკეთა სწრაფვა სომხური რიტის დანერგვისაკენ არასომხური კათოლიკური თემების საეკლესიო-ლიტურგიკულ პრაქტიკაში ეთნოპოლიტიკური შინაარსის მატარებელი იყო, ე.ი. საქმე სწორედ ფილეთიზმით სახელდებულ მოვლენასთან გვაქვს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ასეთ პირობებში ღვთის ანაბარა დარჩენილ მესხ კათოლიკებს გაოსმალება-გამაჰმადიანების საფრთხის სანაცვლოდ ახალი, არანაკლებ სახიფათო პრობლემა გაუჩნდათ. როგორც უკვე ვთქვით, გაჩნდა რუსიფიკაციის და იმავდროულად არმენიზაციის ამკარა საფრთხე. უნდა გავიმეოროთ, რომ ამ უკა-

ნასკნელს აშკარად ახალისებდა და ხელს უმართავდა რუსეთის იმპერიის უმაღლესი პოლიტიკური წრეები. ასეთი მხარდაჭერის მოტივსა და მიზანზე ბევრჯერ თქმულა და დანერილა, ამიტომ აქ ამაზე სიტყვას არ გაეაგრძელებთ. ქართველი კათოლიკეების სწრაფვა ქართულენოვანი რიტისაკენ ეროვნული თვითობისა და კულტურის დაცვა-განვითარებისათვის ბრძოლას წარმოადგენდა. ამდენად, ერთი შეხედვით საეკლესიო საკითხი მჭიდროდ ჩაეკავნა ქართველობის ნაციონალურ – გამათავისუფლებელ მოძრაობას, მის შემავსებლად და სისხლხორცეულ ნაწილად იქცა. ხაზგასმით ვიტყვი, რომ განათლებულ მესხ კათოლიკე მოღვაწეთა შეგნებაში სარწმუნოება არასოდეს ქცეულა ნაციონალური იდენტობის სიმბოლოდ, ანდა პირიქით. ამის დასტურად მაშინდელი ქართველი კათოლიკე მოღვაწის ეს თვალსაზრისიც გამოდგება: „სიტყვას „ფრანგს“ ახლაც ჰხმარობენ ახალციხის მაზრის კათოლიკეები, რომელთა აზრით, კათოლიკე და ფრანგი ერთი და იგივეა. ქ. ახალციხისა და უდეს, ვალეს, ხიზაბაერას და სხვა სოფლების... მცხოვრებთ რომ ჰკითხოთ, რა სარწმუნოებისა ხარო, ან უბრალოდ – ვინ ხარო, გიპასუხებთ: „მე ფრანგი ვარო!“ ხოლო არავინ არ იტყვის „სომეხ – კათოლიკე“, ან „რომის კათოლიკე ვარო!“ ამჟამადაც კი საქართველოში სიტყვა „ფრანგი“ კათოლიკესა ჰნიშნავს“.<sup>1</sup> ციტიტის ავტორი განმარტავს ტერმინებს: „სომეხი-კათოლიკე“, „ქართველი-კათოლიკე“, „რომის კათოლიკე“ და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ამ ტერმინებში სრულიად გასაგებადაა მოცემული სარწმუნოება, რომ ეროვნება აქ არაფერ შუაშია. თუ ტერმინებში „სომეხი-კათოლიკე“, „ქართველი-კათოლიკე“ იგულისხმება სომეხი და ქართველი კათოლიკეები, მაშინ გამოდის, რომ ევროპელი ყველა კათოლიკე რომაელად უნდა ჩავთვალოთ და არა ფრანგად, იტალიელად, პოლონელად და ა.შ., რადგანაც ისინი ყველა რომის კათოლიკენი არიან. ხოლო თუ სიტყვა „რომის კათოლიკე“ არ აღნიშნავს ეროვნებას, მაშინ რად უნდა ვიგულისხმოთ ეროვნება ამ სიტყვათშეთანხმებაში: სომეხ-კათოლიკე, ქართველ-კათოლიკე, და სხვა. ავტორი გაკვირვებულია „რადა ცდილობენ, რომ ქართველებს, რომელნიც კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებენ, უეჭველად მოახვიონ კისერზედ „სომეხ კათოლიკეთა წესები“, მაშინ როდესაც თვით კათოლიკობა ამ შემთხვევაში სრულს თავისუფლებას ანიჭებს კაცს ნება – დართულის წირვის ამა თუ იმ წესის ანუ ფორმის აღსრულების მხრივ“.<sup>2</sup>

შეხედულებათა და აზრთა არეგ-დარეგას, თანამედროვეთა აზრით, იწვევდა ის გარემოება, რომ არამცთუ უბრალო, გაუნათლებელი ხალხი, არამედ განათლებული საზოგადოებაც სარწმუნოებასა და ეროვნებას ერთმანეთისაგან არ არჩევდა. ფაქტი იყო, რომ XIX ს. ბოლოსათვის ქართული რიტის კათოლიკენი აღარც იყვნენ, მაგრამ მომრავლდა სომხურ რიტზე გადასული ქართული კათოლიკური მრევლი. განათლებული ქართველი კათოლიკე მამულიშვილი სვამს კითხვას: იმის გამო, რომ გვარად გვარამაძე სომეხ კათოლიკეთა სარწმუნოებას (იგულისხმება, ცხადია, რი-

<sup>1</sup> *ქ. იზაშვილი*. ქართველ კათოლიკეთა შესახებ, ტფ., 1898, გვ. 5.

<sup>2</sup> იქვე.

ტი) აღიარებს, როგორ შეიძლება იგი სომხად მივიჩნიოთ, ანდა თუმანიშვილები, მანისურაძეები და მრავალი სხვა.

ნათელყოფად იმისა, რომ საქმე რუსიფიკატორული შოვინიზმით წახალისებულ სომხურ-კათოლიკურ ფილექტიზმთან გვაქვს, ველის ქართველ კათოლიკეთა მაგალითის მოყვანაც იკმარებს. 1829 წელს დადებული ადრიანოპოლის ზავის შემდეგ სამცხე-ჯავახეთიდან თურქეთში 70-75 ათასი ქართველი მაჰმადიანი გადასახლდა, ქართული მოსახლეობისაგან დაცლილ ტერიტორიაზე კი თურქეთიდან შემოსული 30 ათასი სომეხი ჩაასახლეს არტანის ოლქიდან. იმავე დროს აჰყარეს და ჯავახეთის სოფლებში – ხულიგუმო, ბავრა, კარტიკამი და ტურცხი – ჩაასახლეს ველის ქართველები, სარწმუნოებით კათოლიკენი. მეფის ხელისუფლებამ განგებ, კულტურულ-ისტორიული სინამდვილისა და ველის ქართველთა სურვილის სანინააღმდეგოდ, ისინი სომეხ კათოლიკეებად გამოაცხადა. ამას ადასტურებს მათ მიერ ახალციხის უფროსი პატრისადმი გაგზავნილი წერილი – თხოვნა 20 კაცის ხელმოწერით: „ბატონს პატრი უფროსსა და უმთავრესს, მამას საღვთო სიბრძნით საესესა და საღვთო მოქალაქეობით აღზრდილსა ჩვენ ცოდვილნი ერნი ველის ზოგად კათოლიკეები, ქართველთა გვარისანი უმწყემსოდ დაცვივნულნი ცხოვარნი, პირველად ღვთისაგან რჩეულსა და მერმე წმინდა კრებისაგან აღმორჩეულსა. აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიის შეილებსზედ ზედამხედველად დადგინებულსა ჩვენ ცოდვილნი და რალირსაღ წოდებულნი კათოლიკე სარწმუნოებისა ქედდარეკით, დავრდომით, ხელაპყრობილნი საღვთოსა მას ფერხთა ანბიორებსა მიუძღვნით. ახლა ამას ვებვნებით და ვეუწჯებით, რომ ჩვენი რიგის მღვდელი ღმერთს გამოუგზავნია ჩვენთვის და ეგ ჩვენი კათოლიკე მამები აყოვნებენ ამ წყალობას. ვითხოვთ თქვენის მოწყალე გულისაგან, რომ თქვენის ბრძანებით, წყალობა უყოთ მაგ ჩვენს მღვდელსა, რომ ჩვენს საბრალო სულელებს მოუაროს ჩვენს ქართველ რიგზედა, არა თუ იმ შეჩვენებულის ვოციოს რიგზედა. მაგრამ იმ წმინდა მამის იოანეს, ოქრო პირის რიგზედა ახლა თუ იკითხოთ ჩვენი ნამყენობა, ლათინთ ნამყენი და ნაყოფნი დამონაფებულნი დამნადირებულნი ვართ, არა თუ სომეხთ გვარისაგან, და ესეც უწოდეთ ბატონო, თუ რომ მღვდელის წყალობას გვიხამთ დიადი“.<sup>1</sup> წერილში ველიდან გადმოსახლებულები პირდაპირ აღნიშნავენ, რომ ქართველთა ტომის ლათინური ტიპიკონის კათოლიკენი არიან და არა სომხური ტიპიკონისა. ცარისტული რუსეთის ანტიქართული პოლიტიკის შედეგია ისიც, რომ კათოლიკე მისიონერებს ოფიციალურად მოსთხოვეს საქართველოს დატოვება და იქ მცხოვრები ქართველი კათოლიკენი მღვდლების გარეშე დარჩნენ. სწორედ ამ დროს იწერება თხოვნა ველიდან გადმოსულებისა. 1844 წელს ისინიც სხვა ქართველ კათოლიკეებთან ერთად გადაიყვანეს სომხურ ტიპიკონზე. ამგვარად, ველელების სამართლიანი მოთხოვნის მიუხედავად, მთავრობის მიერ ისინი სომეხ კათოლიკეებად გამოცხადდნენ და სომეხი მღვდლები დაუნიშნეს, რითაც ხელოვნურად შეუქმნეს პირობები დენაციონალიზაციისა და გადაგვარებისა.

<sup>1</sup> წერილი იხილეთ: *ნ. ყრუაშვილი. ქართველი კათოლიკეები სამცხე-ჯავახეთში. თბ. 2005. გვ. 29.*

აღსანიშნავია, ისიც, რომ ძალიან მალე, 1886 და 1893 წლების აღწერისას, ყველა ქართველი კათოლიკე სომეხ ეროვნებას მიაკუთვნეს.<sup>1</sup>

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში არ ცხრება ბრძოლა ახალციხის თემში საეკლესიო რიტის (კონდაკის) თაობაზე ქართველ და სომეხ კათოლიკე მოძღვართა შორის. სტამბულის სომხურ-კათოლიკური საეპისკოპოსო კავკასიაში თურქთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე კათოლიკური მოსახლეობისათვის სომხური კათოლიკური რიტის შემოღებას და დაცვას მოითხოვდა. ეს მოთხოვნა მისაღები შეიქმნა როგორც თურქეთის პოლიტიკისათვის, ისე ვატიკანისათვის (თავისთავად ასეთი დამოკიდებულების მიზეზებზე საუბარს აქ ვერ შევუდგებით). რაც შეეხება რუსეთს, იგი საერთოდ არ ცნობდა ქართველ კათოლიკეებს და მათ სომხებად მიიჩნევდა. ეს ყველაფერი კი მიზანმიმართულ, ქართველთა გასომხების პროცესს კიდევ უფრო აღრმავებდა. პოლიტიკა, ქრთამი, ვატიკანის გაურკვეველობა საქმის არსში და აქედან მომდინარე უინიციატივობა, რუსეთის მთავრობის მიზანსწრაფული, უსამართლო პოლიტიკა ნელ-ნელა ნაყოფს იღებდა. ამ საქმეში განსაკუთრებით ეფექტურად იყენებდნენ ე.წ. „გასომხებულ ქართველობას“. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მამა პავლე ჭილიმუზაშვილი (შაჰყულიანი), თავისი დროის კვალობაზედ განათლებული, ამბიციური და გარკვეული ავტორიტეტის მქონე პიროვნება. მისი მიზანი ახალციხეში საეპისკოპოსოს გახსნა იყო, ამის მისაღწევად კი, არსებულ ვითარებაში, ერთადერთი გზა არსებობდა: სომხურენოვანი რიტის მხარდაჭერა. ამიტომ იგი, ნებისთუ უნებლიეთ, უპირისპირდება როგორც ქართულ, ასევე ლათინის ტიპის კათოლიკეებს ახალციხეში: მას „ქართველებისათვის მოუსპია თავიანთი ენით ნირვა-ლოცვის შესრულებლის ღონისძიება“.<sup>2</sup> თვითონ სომხური ტიპიკონის კათოლიკე შაჰყულიანი სასულიერო იერარქიულ კიბეზე აღმასვლისათვის იმასაც არ თაკილობდა, რომ ვატიკანისადმი წარდგენილ მოხსენებაში საქართველოს ყველა კათოლიკე – სომხად, ახალციხე კი – სომხეთად გამოეცხადებინა. პავლე შამყულიანი ძალებს არ იშურებდა ახალციხეში უცხოური მისიონის გაუქმებისათვის და სულ მალე იგი სამცხე-ჯავახეთის თემის კათოლიკეთა ერთადერთი სულიერი მოძღვარი ხდება. მისი წყალობით სომხურმა ენამ ისე მოიკიდა ფეხი და გაბატონდა, რომ ქართული საღმრთო წიგნები თითქმის აღარ იბეჭდებოდა. მიუხედავად ამისა, შაჰყულიანმის ცდამ ფუჭად ჩაიარა, ვერც ეპისკოპოსობა მიიღო და ვერც პატრების ეკლესია-მონასტრების დაპატრონება შეძლო, რადგან ქართველმა მრევლმა არ შეინყნარა სომხური ტიპიკონის მღვდლები. მორწმუნენი აღარ შედიოდნენ ეკლესია-მონასტრებში და მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი კათოლიკეები პაპს მისიონერთა კვლავ გამოგზავნას ევედრებოდნენ.

XIX საუკუნის II ნახევარში კათოლიკური ტიპიკონის გამო ატეხილი მწვავე დავა გაცხარდა. სარწმუნოებისა და ეროვნების ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით ორი დასი ჩამოყალიბდა: პირველი ამტკიცებდა, რომ ეროვნების განსაზღ-

<sup>1</sup> იქვე. გვ. 30.

<sup>2</sup> *მ. თამარაშვილი*. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ. 1902. გვ. 488.

ვრისას ტიპიკონს უნდა მიეცეს უპირატესობა, მეორე თვალსაზრისით კი – ტიპიკონს არ შეუძლია გავლენა იქონიოს ეროვნებაზე და სწორედ „ერობრიობამ“ უნდა განსაზღვროს მისი ტიპიკონის ენაც. შაჰყულიანისა და მის მსგავსთა ანტიეროვნულ მისწრაფებასა და საქმიანობას დაუპირისპირდა გონიერი, ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის შემართებული, ქართულენოვანი რიტისათვის დაუღალავი მბრძოლი პეტრე ხარისჭირაშვილი. მას კარგად ესმოდა იმპერიული პოლიტიკის არსი და მიზანდასახულობა.

XIX საუკუნის მიწურულს სომხურ გაზეთებში იბეჭდებოდა წერილები საქართველოს კათოლიკეთა და მათი ეკლესიების შესახებ, მათ გასდევდა აზრი, რომ „რომის-კათოლიკეთა“ ან „სომხის-კათოლიკეთა“ ქართველები არასოდეს ყოფილან არც ქართლ-კახეთში და არც ოსმალეთის საქართველოში; რომ ქართული კათოლიკური მოსახლეობა მესხეთში სომხური მოდგმის ხალხი იყო, რომელთაც ბოლო დროს გადავიწყობდათ „მშობლიური“ სომხური და ქართულ ენას შეთვისებოდნენ.

საქმე ისაა, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანთა შორის ხშირად ეროვნება და სარწმუნოება გაიგივებული იყო და პოლიტიკური ძნელბედობის დროს სარწმუნოების ნებისთ თუ უნებლიეთ შეცვლა ხშირად მათი ვინაობის გაბუნდოვანებასაც იწვევდა. ამ გაუგებრობის წყალობით, ბევრი მაჰმადიანი, ებრაელი, კათოლიკე თუ მონოფიზიტი (სომხობაზე შემდგარი) ქართველი იმ ზომამდე მიდიოდა, რომ ცდილობდა თავისი ნამდვილი ვინაობის უარყოფას და ახალ თვისტომობას იჩემებდა. ამგვარ საქმეში მ. თამარაშვილი ცრუ მწერალ-მეცნიერთა იმ გუნდის ღვანლს ხედავს, რომლებიც ისტორიულ ვითარებას აყალბებდნენ. ზოგიერთი სომხური გაზეთი ისეთი გულმოდგინებით ამტკიცებდა უმეცრებით მოხილ მოსაზრებებს, რომ საქმესა და ისტორიაში ჩაუხედავნი იოლად რწმუნდებოდნენ. რუსეთის საზოგადოებაში XIX საუკუნის მიწურულს მართლაც გავრცელდა აზრი იმის შესახებ, რომ ქართველი კათოლიკენი სულ არ არსებობდნენ და თუ კავკასიის ძველი მცხოვრები ვინმე კათოლიკეა, ის უეჭველად სომეხი უნდა იყოსო. მალე ევროპასაც მოედო სომეხთა „უტყუარი“ მტკიცებულებანი.

საჭირო იყო პასუხი, მართალი, მიუკერძოებელი პასუხი, რომელიც გასცდებოდა ახალციხისა და საქართველოს საზღვრებს და რეალურ ვითარებას გააცნობდა ამ საკითხით დაინტერესებულ უწყებებს. XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან „მესხი განმანათლებლები“: ივ. გვარამაძე, ი. ხუციშვილი, მ. თამარაშვილი, ვარძელაშვილი და სხვები. მათი გულმოდგინე, მძიმე შრომით იწყება ქართული კათოლიკური ეკლესიის გაძლიერება. მათ დინჯად, აუჩქარებლად, გონივრულად, ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით იწყეს ქართველ კათოლიკეთა არსებობის მტკიცება, ნათელჩენა დაფარული ისტორიული ჭეშმარიტებისა.

XIX საუკუნის მიწურულს ფართო პოლემიკა გაიშალა კათოლიკეთა საკითხზე. საგაზეთო წერილს წერილი მოჰყვებოდა, პასუხს – პასუხი. სომეხ-ქართველთა გამწვავებული პოლემიკის მასალებს მრავლად ვხვდებით XIX-XX საუკუნეთა მიჯნის პერიოდული პრესის ფურცლებზე. მეფის მთავრობის რეაქციული მოხელენი უფრო აღვივებდნენ ამ ბრძოლას და ერთიმეორის სანინაღმდეგო ათასგვარი დადგენი-

ლება გამოჰქონდათ. 1886 წლის დადგენილებით, კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენა ბრძანებით იქნა აკრძალული, მღვდელმსახურება მხოლოდ სომხურ ენებზე უნდა შესრულებულიყო, რამაც ქართველ კათოლიკეთა გულისწყრომა კიდევ უფრო გააღრმავა. არც რომის პაპის კურიას უცდია მღვდვარების და დაპირისპირების რაიმე ღონისძიებით გადაწყვეტა, პირიქით, 1894 წლის პაპ ლეონის დეკრეტით აღმოსავლეთის ქვეყნების კათოლიკეებს აეკრძალათ ლათინურ ტიპიკონზე გადასვლა. 1893 წლის მაისში გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, სადაც თბილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია მოხსენიებული იყო სომხურ ეკლესიად. ინსტრუქტორები ამონებდნენ ქართულ ენაზე ნირვა-ლოცვის შესახებ გამოცემული ბრძანების შესრულებას. „...სამინისტრომ მოსპო არა მარტო ჩვენს ახალციხის და გარეშე სოფლების ეკლესიებში ქართული ენა, სრულიად იგივე ერთიან საქართველოს ეკლესიებში რომის კათოლიკეთ არ შეეძლოთ ეკლესიაში ქართულად ხმის ამოღება“.<sup>1</sup>

„სომხის ტიპიკონი ჩვენ არასოდეს არ გაგვასომხებს, როგორც ქართველები და რუსები ბერძნის ტიპიკონით არ გახდებიან ბერძნებად და ნემცები, ფრანგები, სპანელები და ინგლიზები ლატინის რითით ლატინად“, – სამართლიანად ამტკიცებდა „ვინიმე მესხი“ და ცდილობდა ეს ჭეშმარიტება როგორმე შეესმინა როგორც გასომხებული ქართველებისათვის, ისე თვითონ სომხებისათვის.

რუსიფიკატორული შოვინიზმი და სომხურ-კათოლიკური ფილექტიზმი ქართულ ენასაც სერიოზულად დაემუქრა. ქართული ენა მახინჯდებოდა, სომხური სიტყვები ჯერ ბარბარიზმების სახით შედიოდა ქართულში, შემდეგ კი უშუალოდ შეერწყა ქართულს და მოსახლეობაშიც იკიდებდა ფეხს. არც ეს მოვლენა დარჩენიათ ყურადღების მიღმა ქართველ კათოლიკეებს და ივანე გვარამაძემ ლექსიკონის დაბეჭდვა გადაწყვიტა მესხეთის ქართული მოსახლეობისათვის. მანამდე, 1836 წელს კი იოსებ ხუციშვილმა დამოუკიდებლად ჩამოასხა ლითონის ასოები და შექმნა თავისებური ორიგინალური ქართული სტამბა. ამ ფაქტს მესხეთის კულტურული დანაშაურების საქმეში უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მესხ განმანათლებელთა თავდაუზოგავი შრომა მესხეთის ქართველობის ეროვნულობისა და სარწმუნოების შენარჩუნება-გაძლიერებას შეენირა. ივანე გვარამაძე მის ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით ახერხებს სომეხი შოვინისტების მძლავრობის შესუსტებას. იგი ყოველთვის რეალურად, შელამაზების გარეშე წარმოადგენდა არსებულ ვითარებას და ისტორიულ სინამდვილეს.

ივანე გვარამაძის წერილები იბეჭდებოდა 1860-1912 წლებში. მკვლევარი გმობდა „სიმდარესა და უსირცხვილობას“ და თვლიდა, რომ მხოლოდ მტკიცე სარწმუნოებრივ კავშირს შეეძლო ჭეშმარიტების გამომზევება. „თავთაგანვე დიად ყოფილან და ახლაც არიან ქართველ-კათოლიკენი“, დაასკენდა ავტორი.<sup>2</sup> რამდენადაც ივანე გვარამაძეს ხელი არ მოიუწვდებოდა უცხოეთის საარქივო მასალებზე (ესეთი მასალა კი უდავოდ საჭიროებას წარმოადგენდა), ყოველნაირად უწყობდა ხელს ვა-

<sup>1</sup> სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. 2376.

<sup>2</sup> სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. 2107.

ტიკანის არქივებში სამუშაოდ წასულ მიხეილ თამარაშვილს, რომელმაც მოიპოვა და შეკრიბა დოკუმენტები, მიამატა მის ხელთ არსებულ ისტორიულ ცნობებს და დასაბუთებულ პასუხებს სცემდა ცილისმნამებლურ პუბლიკაციებს. მან შექმნა „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, რომლითაც ყველას აცნობდა საქართველოში კათოლიკობის გავრცელების ნამდვილ, უტყუარ ისტორიას XIII – XIX საუკუნის 50-იან წლებში, დოკუმენტების ენით, მკაცრი სინამდვილის ენით“.<sup>1</sup> ტიპიკონის საკითხი მესხ კათოლიკეებში ორი-სამი საუკუნის პრობლემას წარმოადგენდა და მისი გადაწყვეტა იოლი არ იყო. გადამწყვეტი სიტყვა მაინც რომის პაპს ეკუთვნოდა და საჭირო იყო მოცდა, ვიდრე პაპი დარწმუნდებოდა ქართველთა სიმართლეში და შესაფერის დასკვნას არ შეიმუშაებდა. დაუცხრომელი მაძიებელი ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისა მიხ. თამარაშვილი ვატიკანის წრეებში განსაკუთრებული პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა. 1900-იან წლებიდან გამომზევებულმა დოკუმენტებმა, ნაბეჭდმა პუბლიკაციებმა, ფუნდამენტურმა კვლევებმა თავისი საქმე შეასრულა, ქართველი კათოლიკენი დასახულ მიზანს მიუახლოვა (1904 წელს ქველმოქმედ სტეფანე ზუბალაშვილის „წარსაგებლით“ და პ. მირიანაშვილის და ზ. ჭიჭინაძის აქტიური მონაწილეობით დაიბეჭდა ისტორიული გამოკვლევა მ. თამარაშვილისა „პასუხი სომხის მწერლებს“). დაიწყო პრაქტიკული მოსაქმეობაც ამ მიმართულებით; მესხმა განმანათლებლებმა სულისა და რწმენის ძალით აღვსილი, განათლებული სასულიერო პირების აღზრდა-განათლება დაუპირისპირეს სარწმუნოების მანტიამოსხმული შოვინიზმისა და ეკლესიური ფილეთიზმის შემოტევას. სტამბულის ქართველ კათოლიკეთა სასულიერო სასწავლებელში ახალციხიდან სპეციალურად ჩამოყვანილი ყმანეილების განსწავლა წარმოებდა.

მრავალწლიანმა დაულალავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, კიდევ უფრო გააქტიურდა ქართველ კათოლიკეთა საქმიანობა ქართულენოვანი ტიპიკონის მოპოვებისა და ქართველ კათოლიკეთა ეპარქიის დაფუძნებისათვის, ქართული კათოლიკური ეკლესია მომძლავრდა, მოგვიანებით კი კათოლიკურმა ეკლესიამ მოიპოვა „პაპის ბულა აღმოსავლეთის შეერთების შესახებ“. ამით სარწმუნოებრივი თავისუფლება მიიღეს მესხეთის კათოლიკეებმა. მართალია, ვერ მოხერხდა ქართული ეპარქიის აღდგენა, მაგრამ სომხური ტიპიკონი ლათინურით შეიცვალა – ყველა საეკლესიო ნესი ქართულ ენაზე სრულდებოდა (გარდა წირვისა).

ახალ საუკუნეში და ახალ ისტორიულ-პოლიტიკურ პირობებში მოქცეული ქართველობა არანაკლებ მძიმე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. განახლებული იმპერია ათასნაირ გზასა და მეთოდს იყენებდა და არავის ინდობდა. ბრძოლა, რასაკვირველია, გრძელდებოდა. საბჭოთა იმპერიის მზაკვრული პოლიტიკა და მისი შედეგები, რის ნაყოფსაც დღესაც ვიმკით, ცალკე განხილვას საჭიროებს.

---

<sup>1</sup> შ. ლომსაძე. მ. თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი. თბ. 1984, გვ. 60.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. 2107.
2. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. 2376.
3. *პ. იზაშვილი*. ქართველ კათოლიკეთა შესახებ. ტფ. 1898.
4. *ნ. ყრუაშვილი*. ქართველი კათოლიკეები სამცხე-ჯავახეთში. თბ. 2005.
5. *მ. თამარაშვილი*. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ. 1902.
6. *შ. ლომსაძე*. მ. თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი. თბ. 1984.

GURAM KUTALADZE  
GIORGI ZHUZHUNASHVILI  
IRMA TALAKHADZE

### IMPERIALISTIC POLICY OF RUSSIAN EMPIRE AND MESKHETIAN CATHOLICS Summary

THE Meskh Catholics were struggling against philetizm encouraged by Russian government and Russian Orthodox Church. The problem of church-ritha (kondak) arisen among Georgian catholics of Meskhethi in XIX century, was evidently a problem of preserving national – cultural identity.

Finally, the work of many years brought its results, the activities for obtaining Georgian statute and establishing Eparchy of Georgian catholics rolled up, Georgian Catholic Church grew stronger and soon it procurred „Bula of the Pope for Incorporating East“. In result, they received religious freedom. Despite Meskhs didn't manage to restore Georgian Eparchy, the Armenian statute was changed into Latin and all the religious rituals expect mass was accomplished into Georgian.

**რუსული ჯილდოები საქართველოში  
1918-1919 წლებში. წმინდა გიორგის ჯვარი**

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დაიწყო ეროვნული სახელმწიფო აპარატის ფორმირება, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს სამხედრო სამინისტრო წარმოადგენდა. მის ხელმძღვანელად დაინიშნა გრიგოლ გიორგაძე, ხოლო ქართული არმიის პირველ მთავარსარდლად – გენერალი გიორგი კვინიტაძე. ახალგაზრდა რესპუბლიკა ფეხს იდგამდა შინაურ თუ გარეშე მტერებთან გამუდმებული ბრძოლის პირობებში. ქართული საჯარისო შენაერთების ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა, სახალხო გვარდიელებთან ერთად, არაერთხელ ისახელეს თავი მომხვედური მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმ დროისათვის ახლად შექმნილ რესპუბლიკას არ ჰქონდა არც დრო და არც სათანადო შესაძლებლობანი ქართული ჯილდოების დასაწესებლად. შექმნილი ვითარება კი მოითხოვდა მეომართა საბრძოლო განწყობის სტიმულირებას. დღის წესრიგში დაისვა საბრძოლო დამსახურებისათვის ჯილდოების გაცემის საკითხი. საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამხედრო პირების დაჯილდოება ყოფილი რუსეთის იმპერიის ორდენებითა და მედლებით. ეს ჯილდოები იყო წმ. გიორგის, წმ. ელადიმირის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის ორდენები, წმ. გიორგის ჯვარი დაფნითურთ (ოფიცერთა გიორგის ჯვარი), წმ. გიორგის ჯვარი (ჯარისკაცთა გიორგის ჯვარი), წმ. გიორგის მედალი და ოქროს იარაღი.

ქართულ საზოგადოებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო ისტორიისა და მისი თვალსაჩინო წარმომადგენლებისადმი. ჩვენ დღემდე ვალში ვართ ამ ადამიანების ხსოვნის წინაშე. მით უმეტეს, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ნაკლებად შემორჩა გმირ მეომართა სახელები. წინამდებარე ნაშრომი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიისა და გვარდიის მეომართა საბრძოლო თავდადების ასახვის მოკრძალებული მცდელობაა.

ცნობები საქართველოს გიორგის ჯვრის კავალრების შესახებ გაბნეულია სხვადასხვა სახის მრავალრიცხოვან პუბლიკაციაში. ამ სახის წერილებში უმეტესწილად არ არის განმარტებული დაჯილდოების მოტივაცია და თარიღი. ავტორები ყურადღებას ძირითადად ამახვილებენ რუსეთის არმიის გიორგის ჯვრის კავალრებზე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების, მათ შორის წმინდა გიორგის ჯვრის საკითხი განხილული აქვს მკვლევარ ნიკო ჯავახიშვილს ნიგში „ქართული ფალერისტიკა“, რომელშიც მოხსენებულია გიორგის ჯვრის რამდენიმე კავალერი.<sup>1</sup> ბოლო დროს ამ პრობლემას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. მეტ-ნაკლები სისრულით დადგინდა წმინდა გიორგის ორდენისა<sup>2</sup> და წმინდა გიორგის ჯვრის კავალერთა ვინაობა.<sup>3</sup> დიდია ინტერესი ქართული ფალე-

რისტიკის ისტორიის საკითხებისადმი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც (რუსეთი, აშშ, ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, გერმანია).

საბჭოთა ხელისუფლების დროს ყველა ღონეს ხმარობდნენ ეროვნული მესხიერებიდან ნაეშალათ იმ ქართველი თავდადებული მამულიშვილების სახელი, რომლებიც იარაღით ხელში იცავდნენ საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და დემოკრატიის იდეალებს. მათი სახელები ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა სსრკ-ს დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხელახალი აღდგენის შემდეგ.

გიორგის ჯვრის კავალრებს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ როგორც რუსეთის იმპერიაში, ასევე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სამშობლოსათვის დაბრუნებულ გმირთა სახელებს შორის არის IV ხარისხის გიორგის ჯვრის კავალერი ნატალია ჩიჯავაძე, რომელიც მსახურობდა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ეკატერინოფელდის რაზმის მოწყალეების დად. იგი დაჯილდოვდა საქართველო-სომხეთის ომში გამოჩენილი საბრძოლო მამაცობისათვის.

დოკუმენტური მასალა საქართველოს გიორგის ჯვრის კავალერთა შესახებ მწირია. იგი პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დაეყოთ: 1. ოფიციალური ცნობები და სტატისტიკური მონაცემები პერსონალიზაციის გარეშე. 2. რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებები „სამხედრო ხარისხოსანთა“ შესახებ სამხედრო მინისტრის (თანაშემწის) ხელმოწერით. მათში მითითებულია კავალერთა გვარი და სახელი, ნოდება, სამხედრო ნაწილი, ჯილდოს ნომერი და დაჯილდოების მოტივაცია. 3. მემუარული და პუბლიცისტური ლიტერატურა. იმთავითვე უნდა ითქვას, რომ მათში გამოქვეყნებული მონაცემები აუცილებლად უნდა შეჯერდეს პირველწყაროსთან და მათი გამოყენება გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს.

რაც შეეხება პირველი ჯგუფის მასალას, ჯერ კიდევ 1918 წლის 4 ივნისს საქართველოს მთავრობამ წმინდა გიორგის ჯვრით დააჯილდოვა № 4 ჯავშოსანი მატარებლის 70 ჯარისკაცი, ხოლო 1918 წლის ივლისის ოფიციალური მონაცემებით – საჩხერე-ჭიათურის რაზმის 102 მეომარი (I ხარისხი – 1, III ხარისხი – 4, IV ხარისხი – 97).<sup>4</sup>

1918 წლის 3 სექტემბრის გაზეთ „სახალხო საქმის“ მონაცემებით, საქართველოს სამხედრო მინისტრის ბრძანებით, მომხდური მტრის წინააღმდეგ ბრძოლებაში გამოჩენილი მამაცობისათვის წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა ბათუმის პარტიზანული პოლკის 50 ჯარისკაცი. ამ სახის მასალების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, 1918 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით საქართველოში სხვადასხვა ხარისხის წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა არანაკლებ 222 მეომარი.

მოკლედ დავახასიათებთ მეორე ჯგუფის მასალებს. 1918 წლის 2 დეკემბრიდან მოგვეპოვება 5 სამთავრობო ბრძანება წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოების შესახებ.

1918 წლის 2 დეკემბერს, 194 ბრძანებით, წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა 27 მეომარი. 1918 წლის 7 დეკემბერის 207, 208, 209 ბრძანებებით დაჯილდოვდა 44 მებრძოლი, იმავე წლის 25 დეკემბერის 264 ბრძანებით – 1 ჯარისკაცი. ამ ბრძანებების შესაბამისად წმინდა გიორგის კავალერი გახდა 72 მეომარი.

1919 წელს გამოცემული ბრძანებებიდან მოვიპოვეთ მხოლოდ სამი. 20 ივლისის 441 ბრძანებით საქართველო-სომხეთის ომში გამოჩენილი საბრძოლო წარჩინებისათვის სხვადასხვა ხარისხის გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა 731 ჯარისკაცი, 18 აგვისტოს 494 ბრძანებით – 1, ხოლო 11 სექტემბრის 542 ბრძანებით – 1.

დასახელებული ბრძანებები პირველწყაროა საქართველოს წმინდა გიორგის ჯვრის კავალერთა ვინაობის დასადგენად, მაგრამ მათ აქვთ ხარვეზი. რიგ შემთხვევაში არ არის მითითებული კავალრის სახელი. ასე, მაგალითად, 1919 წლის 20 ივლისის IV ხარისხის გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა რესპუბლიკის არმიის საარტილერიო ბრიგადის მე-7 ბატალიონის ბომბარდირი-მომიზნე ალექსი-მესხიშვილი, რომლის სახელი დოკუმენტში არ არის მითითებული. იგივე ვითარებაა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ეკატერინოფელდის რაზმის გვარდიელის ფარნავასთან მიმართებაში, რომელმაც ჯილდო მიიღო საქართველო-სომხეთის ომში გამოჩენილი მამაცობისათვის. ამავე ბრძანებაში ოთხჯერ არ არის ნაჩვენები ჯილდოს ნომერი (მიხეილ ოქროპოროძე – II ხარისხი, აკაკი კელეპტარი – IV ხარისხი, ალექსი ბინიტაშვილი – IV ხარისხი, გ. ქართველიშვილი – IV ხარისხი). რიგ შემთხვევაში ერთი და იმავე ნომრის ჯილდოს მფლობელად დასახელებულია რამდენიმე მეომარი. მაგალითად, ჯილდო 264407-ით დაჯილდოვდნენ დავით გვარაბიშვილი (IV ხარისხი), ანტონ მესტიერიშვილი (IV ხარისხი) და ილიკო ჩაკლიაშვილი (IV ხარისხი); ჯილდო 325324 – პავლე მანჯავიძე და გიორგი ჩხეიძე, ჯილდო 325643 – აექსენტი პაპაეა და თერდოტე ხოლთასი, ჯილდო 325644 – ალექსი მაისურაძე და შიო ლაგოშვილი, 325645 – ბიქტორ ჟღენტი და ნიკოლოზ ჩაჩიძე (ყველა III ხარისხი), ჯილდო 264076 – კონ. გედევანიშვილი და ივანე სანაძე, ჯილდო 264108 – პროკოფი კახიანი და მამია მხეიძე, ჯილდო 264232 – ანდრო პაპინაშვილი და ნიკოლოზ სიყმაშვილი, 264241 – პავლე მაისურაძე და დავით ჭყონიძე, 264260 – ნიკოლოზ ჩახიაშვილი და სამოელ ბრეგვაძე, 264278 – ვარდენ აბრამიშვილი და პეტრე გედევანიშვილი, 264401 – კონსტანტინე გოგინავა და ვიქტორ მალლაკელიძე, 262402 – სტეფანე ახალკაცი და მიხეილ სტურუა, 264403 – თევდორე ასათიანი და ივანე დურგლიშვილი, 264404 – გიორგი რევიშვილი და იოსებ ცისკარიშვილი, 264405 – პავლე ბერიშვილი და დიმიტრი ელერდაშვილი, 264406 – ზაქარია ეპიტაშვილი და სიკო ნიბლაძე, 264408 – ილო ნიბლაძე და აბრამ ნუკრაძე, 264410 – ეფრემ ნიბლაძე და გრიგოლ სოფრონოვი, 264411 – მათე ბაღდასარაშვილი და ივანე იმედაშვილი, 264412 – გიორგი აკოფაშვილი და სიმონ ტიტიაშვილი, 264412 – ივანე ოდიშელიძე და შაქრო ნიბლაძე, 264440 – სიმონ კაშკაშიძე და ილარიონ ჯიბლაძე, 267282 – ვასილ ნიკელაშვილი და იოსებ ჩილაკაძე ( ყველა IV ხარისხი).

ბრძანებებში არ არის ნაჩვენები კავალერთა მამის სახელი, ამიტომ სახელისა და გვარის სწორი დამთხვევის გამო ძნელდება მათი იდენტიფიკაცია. მაგალითად, IV ხარისხის გიორგის ჯვრის კავალერთა შორის ორი ვასილ ანდლულაძეა. ორივე სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ეკატერინოფელდის რაზმის გვარდიელია. ერთმა მიიღო ჯილდო 264161, ხოლო მეორემ – 264168. ასეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე ივანე გველესიანთან მიმართებაში. ორივე კავალერი მსახურობდა ეკატერინოფელდის რაზმში. ერთს მიღებული აქვს წმინდა გიორგის IV ხარისხის

ჯვარი 264144, ხოლო მეორეს – იმავე ხარისხის 264350. ყოვლად დაუშვებელი იყო ერთი და იგივე პიროვნება დაეჯილდოებინათ ერთი და იმავე ხარისხის ორი ჯვრით, ამიტომ საფიქრებელია, რომ რაზმში მსახურობდნენ სეხნიები.

ბრძანება 441-ის მიხედვით, 325729 IV ხარისხის გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა ცხენოსანთა დივიზიონის მხედარი პროკოფი კარიანი. ჩვენი აზრით, ადგილი აქვს კორექტურულ შეცდომას, რადგან 325-იანი სერიით დაჯილდოებული არიან მხოლოდ III ხარისხის კავალრები. ამავე სახის შეცდომაა დაშვებული კონსტანტინე მგედრაძესთან მიმართებაში. ოფიციალურ დოკუმენტში იგი 266995 III ხარისხის გიორგის ჯვრის კავალერია, მაშინ როდესაც სერიით 266 დაჯილდოებული არიან მხოლოდ IV ხარისხის კავალრები.

ოფიციალური დოკუმენტების, მათ შორის ზემოჩამოთვლილი ბრძანებების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჯარისა და გვარდიის ზოგიერთი მეომარი საქართველოსომხეთის ომში გამოჩენილი განსაკუთრებული საბრძოლო დამსახურებისათვის წმინდა გიორგის ჯვრის ორგზის კავალერი გახდა. ესენი არიან: არტემ ანდლულაძე (II და IV ხარისხი), სერგო გრიგოლია (III და IV ხარისხი), გაბრიელ ოზიშვილი (II და III ხარისხი), გიორგი ფავლენიშვილი (III და IV ხარისხი).

პირველადი წყაროების შესწავლისა და შეჯერების შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ 1918 წელს წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა არანაკლებ 293 მეომარი. მათგან 66 კავალრის ვინაობა უშუალოდ პირველწყაროდან დგინდება. 1919 წელს წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა 740 მეომარი, მათგან 733-ის ვინაობა დადგენილია პირველწყაროების მიხედვით. ამრიგად, 1918-1919 წლებში წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა 811 მეომარი. დაჯილდოებულთა ჯამური მონაცემები ხარისხისა და წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:<sup>5</sup>

	1918 წელი	1919 წელი	ჯამი
I ხარისხი	1	12	13
II ხარისხი	1	30	31
III ხარისხი	11	75	86
IV ხარისხი	58	623	681
	---		---
სულ	71	740	811

დოკუმენტური მასალა ნათლად მეტყველებს, რომ ახლად შექმნილი სახელმწიფოს დასაცავად მამაცურად იბრძოდნენ საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები. მათი საბრძოლო გმირობა სათანადო ჯილდოებით აღინიშნა. გიორგის ჯვრის კავალერთა შორის არიან რუსები – ივანე ვენბამინოვი, თეოდორე სკაკოვი, პეტრე უშაკოვი, პეტრე ჩერნენკო, ალექსანდრე ეფიმოვი, მიხეილ უხოვი და სხვ., აფხაზები – რაფიელ შარვაშიძე, ნიკოლოზ შერვაშიძე, უკრაინელი ალექსანდრე იაკიმჩუკი, აზერბაიჯანელები – ივანე ისაყულოვი, შამილ ნავრუზ-

ოლლი, სომხები – სარქის მანთაშევი, არტაშეს კაშკარიანცი, მიხეილ ბალდასაროვი, არმაკ ტერ-აზაროვი და სხვები.

ამრიგად, ჩვენი კვლევის შედეგად დადგინდა საქართველოს არმიისა და გვარდიის 811 მეომრის ვინაობა, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩნენ ქვეყნის სამსახურში და სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი მამულის რჩეულ შვილთა შორის.

აქვე გთავაზობთ 1918-1919 წლების გიორგის ჯვრის კავალერთა სახელობით სიას.

## **წმინდა გიორგის ჯვრის კავალრები**

### **I ხარისხი**

#### **1918 წელი**

ჯილდო

№№

1. ამირიძე ნიკოლოზი 34297

#### **1919 წელი**

1. გუჯაბიძე პლატონი 34291	7. პეტრიაშვილი არჩილი 34290
2. იორამაშვილი ალექსანდრე 34237	8. ყლენტი საბიანე 34284
3. კალანდარიშვილი კლიმენტი 34208	9. სალუქვაძე გაბრიელი 34283
4. კერესელიძე რაჟდენი 34287	10. ცინცაძე გიორგი 34285
5. მუხაშაურია მელენტი 34289	11. ცინცაძე ნოე 34281
6. ნიბლაძე გიორგი 34296	12. ჯიჯაშვილი ილია 34295

### **II ხარისხი**

#### **1918 წელი**

1. გუგუშვილი იოსები 80240

#### **1919 წელი**

1. ანდლულაძე არტემი 80397	16. მგელაძე გიორგი 80415
2. არგანაშვილი გიორგი 80413	17. ნიკოლაშვილი ლავრენტი 80399
3. ბერძენიშვილი გრიგოლი 80401	18. ნინიძე ვლადიმერი 80410
4. გამყრელიძე გრიგოლი 80406	19. ოზიშვილი გაბრიელი 80396
5. გეცაძე მიხეილი 80408	20. ოქროპირიძე მიხეილი 80373
6. გვერდნითელი გიორგი 80395	21. სკორნიაკოვი ვასილი 80411
7. ვადაჭკორია პლატონი 80409	22. უჯმაჯურიძე სიმონი 80405
8. ზაალიშვილი ნიკოლოზი 80398	23. ქავთარაძე ნიკოლოზი 80400
9. თოფურაძე ბაბილოზი 80183	24. შალვაძე მინა 80248
10. იოსელიანი ნიკოლოზი უნომრო	25. ციტაიშვილი გრიგოლი 80412
11. კიკნაძე ლეონტი 80403	26. ჭანტურიძე დავითი 80414
12. კობახიძე კირილე 80402	27. ხარჭილაძე მიხეილი 80394
13. კუნჩულია ბეჟან 80328	28. ხუბუტია ილია 80371

14. ლაბაძე იაკობი	80329	29. ჯაში ვლადიმერი	80393
15. მასხარაშვილი ვლადიმერი	80407	30. ჯოხაძე დომენტი	80404

**III ხარისხი  
1918 წელი**

1. აბრამიძე ათანასე	325520	7. რიკემაძე ვიქტორი	325200
2. გომურაძე ვლადიმერი	325178	8. რცხილაძე დავითი	325506
3. თევუერი ალექსანდრე	325196	9. ლაშაშვიძე გიორგი	325503
4. კორძაძე სიმონი	325181	10. ჩოჩუა ლევანი	325515
5. მყავანაძე პავლე	325189	11. ჯიხვარიანი გერმანე	25155
6. პეტრიაშვილი გიორგი	325162		

**1919 წელი**

1. აბაშიძე შალვა	325628	31. კეჭაძე ტერენტი	325641
2. ალავერდაშვილი ივანე	325637	32. კუნჩულია ივანე	325314
3. ამირეჯიბი კონსტანტინე	325725	33. ლაგოშვილი შიო	325644*
4. ბარაბაძე გიორგი	325632	34. ლობაძე ამბერკი	325622
5. ბეზია ბესარიონი	325629	35. მაისურაძე ალექსი	325644
6. ბერიძე აბრამი	325747	36. მაისურაძე გიორგი	325638
7. ბოლქვაძე რაფუდენი	325607	37. მამაცაშვილი ილია	25750
8. ბოჭორიშვილი ტარასი	325335*	38. მანაგაძე იოსები	325204
9. ბუხრაშვილ იაკინთე	325617	39. მანტკავე ნიკოლოზი	325605
10. გაბიძაშვილი პავლე	325250	40. მანჯავაძე პავლე	325634*
11. გაბუნია ნესტორი	325342	41. მახარაძე გერონტი	325620
12. გერმესაშვილი პავლე	325635	42. მახარაძე ლეონტი	325603
13. გიუტაშვილი ივანე	325646	43. მგედრაძე კონსტანტინე	266995
14. გოგვაძე ვლადიმერი	325626	44. მეფარიშვილი ვლადიმერი	325357
15. გოგიბედაშვილი მიხეილი	325728	45. მორჩილაძე კალისტრატე	325611
16. გომელაური მიხეილი	325647	46. ოზიშვილი გაბრიელი	325724
17. გრიგოლია სერგო	325174	47. ორაგველიძე დავითი	325606
18. დანელია ილარიონ	325344	48. შაპავა აექსენტი	325643*
19. დვალისშვილი დომენტი	325610	49. პერტაია ილარიონი	325630
20. ვაშაკიძე ივანე	325648	50. ყლენტი ავერკი	325623
21. თევზაძე ვასილი	325642	51. ყლენტი ბიქტორი	325645*
22. თევზაძე სიმონი	325613	52. რამიშვილი დავითი	325614
23. თოფურია ვეტიხი	325310	53. სალიკაძე ნესტორი	325627
24. იაკიმჩუკი ალექსანდრე	325712	54. სახორულოძე ვლადიმერი	325356
25. ივანიძე სიმონი	325619	55. ტატიულაშვილი ნიკო	325615
26. ინგოროყვა ერეკლე	325601	56. ფავლენიშვილი გიორგი	325720
27. ინწკირველი ვეტიხი	325616	57. ქურდიანი ილიკო	325238
28. ისაკულოვი ივანე	325639	58. ლლონტი ალექსანდრე	325346

29. კაკაურიძე მიხეილი	325624	59. ლოლობერიძე ივანე	325602
30. კელეპტარი იაკინთე	325336	60. შელია იოსები	325726
61. ჩხაიძე გიორგი	325634*	69. ხოლთასი თერდოტე	325643*
62. ციხისთავი ლონგინოზი	325327	70. ხოფერია ტრიფონ	325612
63. ცხომელიძე ფილიპე	325608	71. ხუბულავა აკაკი	325631
64. წაქეპლაძე ვლადიმერი	325640	72. ხუცაიძე გიორგი	325727
65. ჭეიშვილი ივანე	325618	73. ხუციშვილი დავითი	325636
66. ხარჩილავა მიხეილი	325711	74. ხუხუნაშვილი არისტარხო	325621
67. ხაჩიძე ნიკოლოზი	325645*	75. ხუხუნაშვილი ნიკოლოზი	325604
68. ხმელიძე ამირანი	325609		

**IV ხარისხი  
1918 წელი**

1. აბაშვილი გრიგოლი	264894	30. მაკიაშვილი ივლიანე	264869
2. ბაკურაძე ილია	266850	31. მამალაშვილი გიორგი	264880
3. ბარათაშვილი სერგო	უნომრო	32. მასხარაშვილი ვლადიმერი	უნომრო
4. ბარათაძე ილია	266839	33. მარქველიანი პლატონი	264877
5. ბალდასაროვი მიხეილი	264890	34. მახარაძე ლავრენტი	266845
6. გაგნიძე ელიზბარი	266832	35. მახარაძე ტარასი	266846
7. გალენიძე კოსტა	უნომრო	36. მიქაძე ვლადიმერი	366821
8. გამყრელიძე ბორის	უნომრო	37. ნასყიდაშვილი დავითი	264893
9. გამყრელიძე გრიგოლი	უნომრო	38. პაილოშვილი გიორგი	264868
10. გიგლოშვილი გრიგოლი	264870	39. რცხილაძე ირაკლი	264891
11. გოგაძე ივლიანე	265817	40. სარალაძე ნიკოლოზი	266831
12. დაშნიანი ირაკლი	264884	41. უმიკაშვილი ვასილი	266840
13. დეკანელიძე ვარდენი	264897	42. უნგიაძე თეოფილე	264879
14. დვალისხვილი პროკოფი	264895	43. ფალავა მიხეილი	264886
15. ერისთავი ნიკოლოზი	264889	44. ქოქოლაშვილი იასონი	266847
16. ვადაჭკორია კასიანე	266835	45. ყარალოვი ივანე	264866
17. ვაშაკიძე გიორგი	266795	46. შარვაშიძე რაფიელი	264875
18. ზაქარიაშვილი დავითი	266834	47. შენგელია გიორგი	266842
19. თედიაშვილი დავითი	264898	48. ჩიჯავაძე მიხეილი	266844
20. თვალაძე პარმენი	264864	49. ჩუბინიძე დავითი	266843
21. თოდოშვილი ლევანი	264867	50. ჩულუხაძე ნიკოლოზი	264885
22. იაკობაშვილი კონსტანტ.	264860	51. ჩხეიძე ერმილე	266838
23. კალავიშვილი სერგია	264899	52. ცაგურია პავლე	264888
24. კაშკარიანცი არტაშეს	266836	53. ნიკლაური ვასილი	264862
25. კვარცავა გიორგი	266837	54. ჭკუასელი თომა	266833
26. კვიციანი ესტატე	264876	55. ხევცურიანი აკაკი	264878
27. კიკნაძე ნიკოლოზი	266848	56. ხმალაძე ივანე	264873
28. კობახიძე ისიდორე	264896	57. ხუციშვილი არჩილი	264887
29. კოპალიანი გრიგოლი	264883	58. ჯანელიძე არქიპო	264874

## 1919 წელი

1. აბაშიძე დავითი	266888	43. ბარამიძე ივანე	264397
2. აბაშიძე კონსტანტინე	264100	44. ბარამიძე იპოლიტე	263766
3. აბაშიძე მიხეილი	264447	45. ბარკაძია პავლე	264190
4. აბდუაშვილი ვასილი	264341	46. ბასილაშვილი ნიკოლოზი	267206
5. აბდუშელიშვილი გრ.	264205	47. ბატონისაშვილი თ.	264303
6. აბდუშელიშვილი ვასილი	264341	48. ბალაშვილი რომანოზი	264471
7. აბესაძე გიორგი	264436	49. ბალდასარაშვილი მათე	264411*
8. აბუანდაღია არქიპო	264213	50. ბახტაძე ვასილი	266871
9. აბრამიშვილი ვარდენი	264278	51. ბუბიაშვილი შალვა	264149
10. აბრამიძე აკაკი	264424	52. ბედენაშვილი სიმონი	264077
11. ადამია ვიქტორი	264378	53. ბელკანია კონდრატე	266886
12. ადეიშვილი ივანე	264425	54. ბეთანიშვილი კონსტანტინე	264370
13. აეკანაშვილი დიმიტრი	264236	55. ბეუიტაშვილი ვასილი	264339
14. აეკანაშვილი ნიკოლოზი	264235	56. ბერბიჩაიშვილი გიორგი	264257
15. ავრიღონიძე ნიკოლოზი	263754	57. ბერიშვილი პავლე	264405*
16. ათაბეგაშვილი ივანე	264118	58. ბერიძე დიმიტრი	264229
17. აკოფაშვილი გიორგი	264412*	59. ბერიძე ზაქარია	264244
18. ალავიძე ტარასი	264491	60. ბერიძე ივანე	264178
19. ალექსი-მესხიშვილი	266897	61. ბერიძე სოლომონი	264223
20. ამანათაშვილი ზალიკო	264343	62. ბუქალაღვა პანტელეიმონი	267205
21. ამიროვი ურუჩი	226972	63. ბინიტაშვილი ალექსი	უნომრო
22. ანდრიანოვი ივანე	264071	64. ბიცაძე გიორგი	264314
23. ანდრონიკაშვილი ადამი	264052	65. ბოლქვაძე შალვა	266887
24. ანდლულაძე არტემი	264097	66. ბორისოვი ვასილი	264486
25. ანდლულაძე ვასილი	264161	67. ბოცვაძე გიორგი	264305
26. ანდლულაძე ვასილი	264168	68. ბრეგაძე სამოელი	264260*
27. ანთაძე გრიგოლი	263773	69. ბუზალაძე ივანე	263759
28. ანთიძე გიორგი	264193	70. ბუთხუზი არჩილი	264123
29. არაბელიძე სევერიანე	266876	71. ბულიაშვილი დავითი	264356
30. არველაძე ვარლამი	266875	72. ბურაშვილი გრიგოლი	264470
31. ასათიანი ბარდია	264380	73. ბურჭულაძე სამსონი	263771
32. ასათიანი თევდორე	264403*	74. ბუხრიკიძე ლევანი	267297
33. ასათიანი ნიკოლოზი	264443	75. გაბაძე ილარიონი	264302
34. ასანიდია ლეონტი	264222	76. გაბიღაია იაკობი	264129
35. ასაშვილი ალექსანდრე	264381	77. გაბუნია გიორგი	266978
36. აღდგომელაშვილი ავქსენ.	264106	78. გადელაია პავლე	264423
37. ახალკაცი სტეფანე	264402*	79. გამყრელიძე აკაკი	264055
38. ახვლედიანი სიდ.	264069	80. გამყრელიძე ლონგინოზი	264207
39. ბაგატურია ბესარიონი	266983	81. განგენოვი ალექსანდრე	266989
40. ბალანჩივაძე ქიქვიკო	266999	82. გარდაფხაძე ბესარიონი	264094

41. ბალარჯიშვილი იოსები	264481	83. გაფრინდაშვილი გრიგოლი	266872
42. ბარაბაძე ივანე	264315	84. გეგენავა ვალერიანი	266987
85. გეგუჩაძე სილოვანი	264434	129. დევიძე ტერენტი	264385
86. გედგაშვილი გიორგი	264466	130. დეკანოზიშვილი ზაქარია	264245
87. გედევანიშვილი კონ.	264076*	131. დემუროვი გიორგი	265181
88. გედევანიშვილი პეტრე	264278*	132. დენამერიშვილი ლაზ.	264460
89. გეორგაძე ბენიამენი	264390	133. დოლიძე გიორგი	264139
90. გეცაძე ალექსანდრე	264441	134. დოლიძე ემელიანე	264184
91. გვარამბიშვილი დავითი	264407*	135. დოლიძე მელიტონი	266862
92. გველესიანი ივანე	264144	136. დოლიძე სიმონი	264185
93. გველესიანი ივანე	264350	137. დოლიძე სპირიდონი	264335
94. გვერდნითელი ალექსანდრ.	264098	138. დუგლაძე კონსტანტინე	264444
95. გვინეპაძე ბესარიონი	266885	139. დურგლიშვილი ივანე	264403*
96. გზილიშვილი ვარლამი	267279	140. ეგიაშვილი რომანოზი	264482
97. გზირიშვილი ზაქარია	267225	141. ევგენიძე ანდრია	264307
98. გობრაძე დომენტე	264174	142. ელიაშვილი დიმიტრი	264405*
99. გიგინეიშვილი ბარნაბა	266880	143. ელიაშვილი კაპიტონი	264279
100. გიორგაძე ვალაკტიონი	264504	144. ელიაშვილი ნიკოლოზი	264362
101. გიორგობიანი მაქსიმე	264061	145. ელიკაშვილი ალექსი	264242
102. გირიშვილი დავითი	267229	146. ელუაშვილი ილია	266992
103. გირკელიძე ვლადიმერი	264126	147. ენდელაძე კონსტანტინე	266994
104. გობერიძე ალექსანდრე	264291	148. ეპიტაშვილი ზაქარია	264406*
105. გობეჩია იოსები	264189	149. ერგველიძე სიმონი	266853
106. გოგავა იოსები	263765	150. ერგველიძე ნიკოლოზი	264256
107. გოგვაძე არონი	264226	151. ერისთავი ერეკლე	267286
108. გოგბერიძე გრიგოლი	264138	152. ერისთავი ნიკოლოზი	266973
109. გოგინავა კონსტანტინე	264401*	153. ერქომაიშვილი დავითი	264495
110. გოგინაშვილი ზაქარია	264493	154. ფეიშოვი ალექსანდრე	264344
111. გოგინაშვილი სტეფანე	264395	155. ფეიშოვა იონა	266882
112. გოგოლაძე ელევთერი	266868	156. ვადაჭკორია იორდანე	264290
113. გოგოლიშვილი ვასილი	264292	157. ვარდოსანიძე ივანე	264079
114. გოდალაძე გიორგი	263753	158. ვარტემოვი ალექსანდრე	266951
115. გონენაშვილი ს.	264304	159. ვასაძე ალექსი	264288
116. გრავჩინსკი გიორგი	264438	160. ვასილაშვილი გიორგი	267289
117. გრიგოლია სერგო	266896	161. ვაშაკიძე სილოვანი	264358
118. გუბაძე პავლე	264212	162. ვენიამინოვი ივანე	263764
119. გუგუშვილი მიხეილი	267217	163. ზაქარიაძე პორფირე	267262
120. გუნცაძე პროკოფი	264268	164. ზიზზიბაძე ვასილი	264456
121. გურდელაშვილი ილარიონ	264173	165. ზუბიაშვილი გიორგი	264251
122. გუჯაშვილი გიგო	264342	166. თავდიაშვილი გალაქ.	264232
123. დადიანი ვლადიმერი	264293	167. თავიშვილი ელისე	264289
124. დავითე ვლადიმერი	264220	168. თალაკვაძე იპოლიტე	264131
125. დათუნაიშვილი დიომიდე	264432	169. თედეშვილი ალექსანდრე	264346
126. დედანაშვილი ალექსანდრე	264253	170. თედორაძე პეტრე	266870

127. დევდორიანი ილია	264327	171. თევზაძე იოსები	264383
128. დევიძე ალექსანდრე	267268	172. თოთაძე მინა	264104
173. თოკაშვილი გრიგოლი	263770	217. კვანტალიანი ალექსანდრე	264328
174. თორაძე არსენი	264376	218. კვაჭაძე გაბრიელი	267272
175. თორდია ლავრენტი	264111	219. კვეზერელი-კოპაძე ლ.	266898
176. თოური გიორგი	264310	220. კვერნაძე პლატონი	264388
177. თოხაძე იპოლიტე	294170	221. კვეტაშვილი ალექ.	264096
178. თურმანიძე სერგო	264240	222. კვინიძე გიორგი	264465
179. თხელიძე ნიკოლოზი	264147	223. კვიცია მათე	264276
180. იაკობიძე ვლადიმერი	264075	224. კიზირია კარპეზი	266979
181. იაშვილი ბენედიქტე	264337	225. კიკვაძე ლუკა	266982
182. იგმალა პეტრე	264389	226. კიკნაძე გერონტი	264208
183. ივანიძე ვასილი	264102	227. კიკნაძე დავითი	264084
184. ივანიძე სპირიდონი	264051	228. კილაძე ალექსანდრე	264167
185. იღურაძე ალექსანდრე	264319	229. კინწურაიშვილი აკაკი	266975
186. იმედაშვილი ივანე	264411*	230. კინწურაიშვილი დავითი	266986
187. იმნაძე რომანი	264132	231. კინწურაიშვილი აკაკი	266891
188. ინაშვილი გიორგი	264086	232. კისელიძე ნიკოლოზი	264056
189. ინწკირველი ალექსანდრე	264169	233. კიტუაშვილი ქრისტეფორე	263775
190. იორამაშვილი ვასილი	267201	234. კობზიანიძე ალექსანდრე	264769
191. ირემაძე ანტონი	264202	235. კობიაშვილი კონსტანტინე	264082
192. კავთიაშვილი დავითი	263755	236. კოზლოვსკი ნიკოლოზი	267299
193. კავთიაშვილი ვასილი	263777	237. კოლოტილინი სერგი	264068
194. კაკაური მარკოზი	267281	238. კოპალეიშვილი დავითი	264070
195. კაკაურიძე ამბროსი	264218	239. კორახაშვილი ჭიტესა	264421
196. კაკაძე ივანე	264191	240. კოსროიძე იროდიონი	264300
197. კაკიაშვილი მიხეილი	264188	241. კოსტაშვილი მიხეილი	264372
198. კალავინი კონსტანტინე	264067	242. კოჭაშვილი იპოლიტე	267216
199. კაპანაძე ალექსანდრე	264368	243. კოჭეიშვილი ამბროსი	264198
200. კაპანაძე მიხეილი	264487	244. კოჭიაშვილი გრიგოლი	264468
201. კარანჯაშვილი ე.	264183	245. კოჭლამაზაშვილი ალ.	267398
202. კარიანი პროკოფი	უნომრო	246. კოჭლაძე კონსტანტინე	267290
203. კარიჭაშვილი დავითი	267218	247. კოჭოჭაშვილი შალვა	264451
204. კარკუსაშვილი გრიგოლი	264363	248. კუკულაძე არჩილი	264280
205. კაშია ვლადიმერი	264448	249. კუმხიაშვილი მიხეილი	264334
206. კაშკაშიძე სიმონი	264440*	250. კუპატაძე ლამპარი	264171
207. კაჭყაყმაძე ვესევი	264501	251. კუპრაძე აბო	264186
208. კაჭახიძე ზაქარია	264429	252. ლაბაძე შალვა	264159
209. კახელიძე გიორგი	264121	253. ლაზაშვილი გიორგი	264508
210. კახიანი არქიპო	264093	254. ლაილეშვილი მიხეილი	264101
211. კახიანი პროკოფი	264108*	255. ლამპარიშვილი მიხეილი	264349
212. კელენჯერიძე ანდრია	266971	256. ლამაქაშვილი ვლადიმერი	264066
213. კელეპტარი აკაკი	უნომრო	257. ლაფანიძე იოსები	264252
214. კელეპტარიშვილი თეე.	264484	258. ლაფერაშვილი გიორგი	264338

215. კერვალშივილი ილარიონი	264091	259. ლაში პარმენი	266866
216. კერვალშივილი მამონტი	266990	260. ლაცაბიძე სერგო	264214
261. ლეკიშივილი კონსტანტინე	264357	305. მეგრელაძე ალექსანდრე	264145
262. ლელაშვილი გიორგი	264054	306. მეგრელაძე პორფილე	264163
263. ლელაძე სერაპიონი	264452	307. მეგრელაძე სევასტი	264162
264. ლეფავა სვეერიანე	264064	308. მეგრელიძე ნოე	264166
265. ლობავა არტემი	264437	309. მეთეფშივილი ნიკოლოზი	264414
266. ლობაძე ტრიფონი	264217	310. მეიშივილი ისიდორე	264393
267. ლომაძე თეოფანე	264427	311. მელავა გაიოზი	266892
268. ლომუაშივილი ამბაკო	264477	312. მენაბდიშივილი გორია	264371
269. ლოსაბერიძე სამსონი	266856	313. მერმიშივილი დიმიტრი	264463
270. მადზუგესკი პავლე	263676	314. მესტირიშივილი ანტონი	264407*
271. მათიაშივილი ვასილი	264480	315. მესხი ზაქარია	264475
272. მაისაშივილი ნიკოლოზი	267284	316. მეთრეველი ნიკოლოზი	264417
273. მაისურაძე ვასილი	264250	317. მეცხვარიშივილი იოსებნი	264360
274. მაისურაძე თეოდორე	264294	318. მეძმარიაშივილი ნიკოლ.	264164
275. მაისურაძე თეოფილე	264237	319. მეძმარიაშივილი შალვა	266997
276. მაისურაძე პავლე	264241*	320. მეხაშვილი ვლადიმერი	264369
277. მაისურაძე სოლომონი	264483	321. მთიულიშივილი ალექსანდ.	267278
278. მამაგეიშივილი ივანე	266998	322. მიგელაშივილი ალექსანდრ.	264321
279. მამალაძე გიორგი	264197	323. მირიამიშივილი სიმონი	267276
280. მანთაშვილი სარქისი	264317	324. მირიანაშივილი მიხეილი	266895
281. მანტკეკვა დომენტი	264182	325. მიქანაძე ელისე	264382
282. მანჯგალაძე ბართლომე	264392	326. მიქანაძე კონსტანტინე	264384
283. მარიაშიძე მიხეილი	264478	327. მიქაუტაძე თომა	267275
284. მარლესივილი დიანოზი	264210	328. მიქაუტაძე სიმონი	264266
285. მარუაშივილი სამსონი	266869	329. მიქაძე გიორგი	264345
286. მარჯანიძე ივანე	267226	330. მიქაძე კონსტანტინე	264359
287. მალაკელიძე ვარლამი	264454	331. მიქელაძე გრიგოლი	264088
288. მალაკელიძე ვიქტორი	264401*	332. მიხელაძე სევერიანე	264057
289. მალრაძე ალექსი	264246	333. მომნაძე ონიფანტე	264391
290. მაჭავარიანი ივანე	264243	334. მორჩილაძე ვარლამი	264283
291. მაჭავარიანი კონსტანტინე	264080	335. მუკავია თეოფილე	264354
292. მაჭავარიანი მიხეილი	266893	336. მუმლაძე ლევანი	264494
293. მახარაშივილი მიხეილი	267296	337. მუმლიძე ნიკოლოზი	264455
294. მახარაძე ალექსანდრე	264120	338. მურმანიძე ბენიამენი	267628
295. მახარაძე დავითი	263758	339. მუხაშაურია ვლადიმერი	263780
296. მახარაძე ვასილი	244058	340. მუხაშაურია ალექსანდრე	264216
297. მახარაძე მელქისედეკი	264347	341. მუხიგული ზაქარია	264351
298. მგალობლიშივილი ა.	264124	342. მჭედლიშივილი ვასილი	264373
299. მგალობლიშივილი გრ.	264187	343. მჭედლიშივილი ივანე	264352
300. მგალობლიშივილი ევტ.	264143	344. მჭედლიშივილი მიხეილი	264492
301. მგალობლიშივილი მიტ.	264140	345. მჭეიძე მამია	264108*
302. მდევაძე მიხეილი	264435	346. ნადარაია ონიფანტე	264285

303. მდინარაძე ნიკოლოზი	264228	347. ნავერუზ-ოლი შამილი	266961
304. მებუჟე დავითი	266883	348. ნათაძე სიმონი	264099
349. ნატალიშვილი პლატონი	264194	393. რობაქიძე კალენიკე	264151
350. ნაცელიშვილი ნიკოლოზი	264469	394. როდინოვი ალექსანდრე	264366
351. ნახუცრიშვილი ილია	264420	395. როსტომაშვილი დავითი	264137
352. ნებერიძე კონსტანტინე	264449	396. როსტომაშვილი ყ.	264115
353. ნებერიძე ნიკოლოზი	264176	397. რუხაძე იასონი	264265
354. ნეწუაშვილი ფირანი	264464	398. სააკაძე პავლე	264489
355. ნიბლაძე ეფრემი	264410*	399. საბაიშვილი ნიკოლოზი	264180
356. ნიბლაძე ილო	264408*	400. საბაშვილი ამბროსი	264331
357. ნიბლაძე სიკო	264406	401. საგინაშვილი ალექსანდრე	264261
358. ნიბლაძე შაქრო	264419*	402. საგინაშვილი გიორგი	264095
359. ნიკოლაევი სერგო	264281	403. საგინაშვილი ნიკოლოზი	264277
360. ნიკოლაიშვილი ივანე	264330	404. საგინაძე ერმოლოზი	264221
361. ნიკოჭაძე ვარლამი	266860	405. სალაძე შალვა	267261
362. ნინუა ივანე	263763	406. სამსონაძე ვალერიანე	264112
363. ნინუა ნესტორი	264394	407. სამხარაძე აბელი	267266
364. ნიჭარაძე კონსტანტინე	266993	408. სამხარაძე დომენტი	264457
365. ნოზაძე გიორგი	267224	409. სამხარაძე ექტაოზი	263772
366. ნუკრაძე აბრამი	264408*	410. სანადირაძე მეთოდე	264430
367. ოდიშელიძე ივანე	264419*	411. სანაიძე ივანე	264076*
368. ოქმელაშვილი ნიკოლოზი	264089	412. სანაძე აკაკი	263756
369. ომიაძე სერგო	264254	413. სანიკიძე კაპიტონი	264110
370. ორთაწეზოვი ისაკი	264485	414. საპეიშვილი ნესტორი	266970
371. ორჩხიკიძე ესტატე	264309	415. სარალიძე კალენიკე	267269
372. ორჯოკიძე გრიგოლი	264479	416. სარიშვილი ვასილი	264318
373. ოსიშვილი დავითი	263778	417. საღარეიშვილი ვლადიმერ	266877
374. ოქროაშვილი არსენი	264249	418. საჯიბეკოვი ალექსანდრე	264152
375. ოქრომჭედლიშვილი გ.ა.	264458	419. სელიმაშვილი ბესარ.	264230
376. ოქრომჭედლიშვილი გ.პ.	264461	420. სელიმაშვილი დავითი	264234
377. ოქრომჭედლიშვილი დავით	264459	421. სელიმაშვილი იოსები	264225
378. ოქრომჭედლიშვილი დიმ.	264467	422. სვანიძე აპოლონი	264433
379. ოქროპირიძე ალექსანდრე	267227	423. სვანიძე დავითი	267287
380. პაიჭაძე დავითი	264063	424. სვიმონიშვილი გიორგი	267209
381. პანჩიკაძე იასონი	264340	425. სვიმონიშვილი ქრისტ.	264264
382. პაპიაშვილი არჩილი	264107	426. სიღამონ-ერისთავი ვ.	266899
383. პაპინაშვილი ანდრო	264332 *	427. სიღამონ-ერისთავი ნ.	267381
384. პარკოსაძე დავითი	264053	428. სიყმაშვილი ნიკოლოზი	264332*
385. პატარაია პეტრე	264286	429. სიხარულიძე ექვთიმე	264195
386. პერტაია გიორგი	266878	430. სიხარულიძე ისიდორე	267295
387. პიპიაშვილი ალექსანდრე	264141	431. სიხარულიძე ლეონტი	264199
388. ყორყოლიანი იასონი	264355	432. სიხარულიძე სამსონი	264200
389. ყლენტი ვლადიმერი	264142	433. სიხარულიძე შალვა	264172
390. რაკვიაშვილი ილიკო	264407	434. სიხარულიძე ძაკოს	264192

391. რევიშვილი გიორგი	264404*	435. სკაკოვი თევდორე	264323
392. რიჩინაშვილი პეტრე	264059	436. სოსელია მოსე	263781
437. სოფრომაძე გრიგოლი	267270	481. ქვეითაია კონსტანტინე	267267
438. სოფრონოვი გრიგოლი	264410*	482. ქვლივიძე ნიკოლოზი	264374
439. სტურუა ალექსანდრე	264204	483. ქლიბაძე ერმალოზი	264439
440. სტურუა მიხეილი	264402*	484. ქოქრაშვილი იოსები	264375
441. სულემანოვი ყურბანი	267300	485. ქუთათელაძე რუბენი	264453
442. სუხაშვილი ვასილი	264117	486. ღრუბელაშვილი აექსენტი	264365
443. სუხიტაშვილი ნიკოლოზი	267293	487. ყანჩაველი გიორგი	264085
444. ტაბატაძე აექსენტი	264496	488. ყანჩაველი ვასილი	264033
445. ტაბატაძე კონსტანტინე	264474	489. ყანჩაველი რომანოზი	264073
446. ტავლაბეიშვილი შიო	264431	490. ყულორდავა დოროთე	267271
447. ტატიშვილი მიხეილი	264473	491. შანიძე კონსტანტინე	264386
448. ტყენაძე ბესარიონი	267265	492. შარაშენიძე ისიდორე	264298
449. ტენიაშვილი ვლადიმერი	264238	493. შაფათავა ვლადიმერი	266854
450. ტერ-აზნოვი არმაკი	264297	494. შაფათავა რაფიელი	264267
451. ტიგიშვილი გიორგი	264296	495. შენგელია არტემი	264353
452. ტიტიაშვილი სიმონი	264412*	496. შერვაშიძე ნიკოლოზი	264062
453. ტორუაშვილი გაბო	267235	497. შოშიაშვილი ივანე	264413
454. ტულუში სიო	264136	498. შუბლაძე სპირიდონი	264379
455. ტყემელაშვილი გრიგოლი	266890	499. შუკაკიძე იოსები	267900
456. ულანოვსკი მიხეილი	267000	500. ჩავლეშვილი პოლიკარპე	267215
457. უნდელაშვილი ალექს.	264364	501. ჩალიგაევა აკაკი	266980
458. უშაკოვი პეტრე	264324	502. ჩალიგაევა ანდრია	266985
459. უხოვი მიხეილი	266889	503. ჩაჩაევა ალექსანდრე	266881
460. ფაელენიშვილი გიორგი	264072	504. ჩაჩაევა ხარლამპი	266976
461. ფანარავა	264399	505. ჩაჩანიძე იასონი	266865
462. ფანოზიშვილი ილია	264416	506. ჩერნენკო პეტრე	264325
463. ფარანიძე პავლე	264219	507. ჩივლაშვილი მელიტონი	264179
464. ფარნიშვილი პავლე	264367	508. ჩივლა კონსტანტინე	264209
465. ფალავა თეიმურაზი	266984	509. ჩივოგიძე დავითი	264287
466. ფერანიძე კირილე	264175	510. ჩიკვაიძე მიხეილი	266991
467. ფირცხალავა ისაკ	264308	511. ჩილიკაძე იოსები	267282*
468. ფირცხალაიშვილი სევერი.	264282	512. ჩიტაძე დიმიტრი	267212
469. ფოცხვერია ვასილი	264262	513. ჩიქოვანი ალექსანდრე	264490
470. ფრიდონაშვილი გრიგ.	263768	514. ჩიხიაშვილი ნიკოლოზი	264260*
471. ფურცელაძე შაქრო	264119	515. ჩიხლაძე ილარიონი	264320
472. ფხაკაძე ნიკოლოზი	266851	516. ჩიხონილიძე ვასილი	267292
473. ფხალაძე გიორგი	264446	517. ჩიჯავაძე ნატალია	264398
474. ქავთარაძე ალექსანდრე	264445	518. ჩოტარაძე შაქრო	264377
475. ქავთარაძე პავლე	266996	519. ჩოჩუა ბორისი	264306
476. ქათამაძე ამბროსი	264442	520. ჩუბინიძე შალვა	267273
477. ქათამაძე იაკობი	266867	521. ჩხაიძე ჯამბულეთი	264426
478. ქათამაძე მიხეილი	266861	522. ჩხიკვიშვილი პეტრე	264348

479. ქაიხოსროშვილი სოლომ.	264415	523. ჩხობაძე ერმალოზი	264263
480. ქართველიშვილი გ.	უნომრო	524. ცერცვაძე ვიქტორი	264156
525. ცეცხლაძე კალენიკე	264125	567. ხაჩიშვილი თევდორე	267294
526. ცილინდრაშვილი ვასილი	264078	568. ხაჩიძე ერასტი	266894
527. ციმაკურიძე დავითი	264233	569. ხეჩუაშვილი გრიგოლი	263752
528. ციმაკურიძე ნიკოლოზი	264231	570. ხეიჩია მათე	264081
529. ცინცაბაძე იაკინთე	264155	571. ხიზანაშვილი გიორგი	264396
530. ცინცაძე აკაკი	264133	572. ხიზანიშვილი ესტატე	264333
531. ცინცაძე გრიგოლი	264113	573. ხმელაძე არჩილი	264751
532. ცინცაძე ვლადიმერი	264134	574. ხმელაძე ვლადიმერი	264122
533. ცისკარიშვილი იოსები	264404*	575. ხომერკი ვასილი	264116
534. ციტაიშვილი აკაკი	264114	576. ხომრაძე დავითი	267291
535. ციციშვილი კონსტანტინე	264065	577. ხოსიაშვილი გაბრიელი	267288
536. ციციშვილი ლევანი	267508	578. ხოშტარია მეთოდე	266974
537. ციციშვილი დავითი	264215	579. ხუბუტია თევდორე	266879
538. ცომნიაშვილი გიორგი	267202	580. ხუმარაშვილი ივანე	267277
539. ცხვედიანი ილარიონი	264146	581. ხურცილავა ნიკოლოზი	266981
540. ცხოვრებაძე ვარლამი	264295	582. ხუციშვილი ივანე	264255
541. ძეხაძე ტარასი	264284	583. ხუციშვილი ივანე	264326
542. ძიძიგური მიხეილი	264074	584. ხუციშვილი მიხეილი	264313
543. ძონენიძე ივანე	266988	585. ხუჭუა ივანე	264311
544. ძონენიძე რაფდენი	266863	586. ხუხუნაიშვილი ე.	264128
545. წერილაშვილი იოსები	267213	587. ჯავახაძე ბარნაბა	266884
546. ნითელაშვილი თევდორე	264329	588. ჯავახი გიორგი	367208
547. ნიკელაშვილი ვასილი	267282*	589. ჯავახია ლეონტი	267264
548. ნიკლაური იოსები	264316	590. ჯავახიშვილი ალექსი	264418
549. ნულუკიძე ვლასი	264153	591. ჯავახიშვილი გიორგი	264092
550. ნუნკირიძე იასონი	264150	592. ჯავახიშვილი დიმიტრი	263276
551. ჭავჭავაძე ანდრო	264196	593. ჯავახიშვილი ივანე	262285
552. ჭალათაშვილი ალექსი	264227	594. ჯამიერაშვილი ე.	264301
553. ჭანიაშვილი გიორგი	267280	595. ჯანელიძე ვარდენი	264224
554. ჭანკვეტაძე გრიგოლი	266873	596. ჯანჯღავა კონსტანტინე	264387
555. ჭანტურია ვიქტორი	264203	597. ჯაფარიძე გიორგი	264090
556. ჭანტურია შალვა	264127	598. ჯაფარიძე თეოფანე	263779
557. ჭეიშვილი ერმალოზი	244211	599. ჯაფარიძე ივანე	264165
558. ჭელიძე გერონტი	264361	600. ჯაში აზის	264206
559. ჭელიძე ვიქტორი	264177	601. ჯაში არჩილი	264109
560. ჭიტაძე დიმიტრი	267207	602. ჯაში რაფდენი	264130
561. ჭუმბაძე აკაკი	264157	603. ჯვარშიაშვილი პარ.	264312
562. ჭყონიძე დავითი	264241*	604. ჯიბლაძე ილარიონი	264440*
563. ხარაძე გრიგოლი	264299	605. ჯიბუტი ვიქტორი	267274
564. ხარბედია იაკობი	264087	606. ჯიბუტი ივანე	264201
565. ხატელიშვილი ივანე	266874	607. ჯიგამაძე გედეონი	267298

566. ხატელიშვილი ტარასი	266808
609. ჯინჯარაძე სარდიონი	264158
610. ჯიქაძე პეტრე	264472
611. ჯიქიძე გიორგი	364462
612. ჯორბენაძე ავქსენტი	264135
613. ჯორჯაძე შერაბი	264960
614. ჯოხაძე ალექსანდრე	264154
615. ჯოჯუა იუსტინე	264422
616. ჯოჯუა რაჟდენი	267263
617. ჯულელი რაჟდენი	264148

608. ჯიკურიძე ანტონი 264259

**სავარაუდოდ 1919 წელს  
დაჯილდოებულნი  
IV ხარისხი**

618. ამირჯეიბი დიმ.	უნომრო
619. ალაძე დავითი	უნომრო
620. ელიავა ზურაბი	უნომრო
621. მალრაძე კონსტანტინე	უნომრო
622. მახარაძე შალვა	უნომრო
623. სიდამონ-ერისთავი შალვა	უნომრო

**ლიტერატურა**

1. ნიკო ჯგავახიშვილი. ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა). თბ., 1995, გვ. 37-42.
  2. ოთარ ჟორდანიას, მერი გაბედავა. საქართველოს წმინდა გიორგის ჯვრის კავალრები. თბ., 2001.
  3. ოთარ ჟორდანიას, მერი გაბედავა. ქართული ფალერისტიკის ისტორიისათვის. – ინტელექტი. თბ., 2004, 1(8).
  4. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 1969, აღ. 2, საქმე 9, ფ. 28-29.
  5. აღნიშნული ცხრილი შედგენილია საარქივო და ლიტერატურული წყაროების საფუძველზე: სცსსა, ფონდი 1969, აღ. 2, საქმე 9; ფონდი 1969, საქმე 98. გაზ. სახალხო საქმე, 1918, 26 ივლისი, 290; გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919, 17 იანვარი, 12.
- \* ჯილდოს ნომერი მეორდება.

**OTAR ZHORDANIA**

**RUSSIAN MILITARY AWARDS IN GEORGIA,  
1918-1919 ST. GEORGE'S CROSS  
Summary**

**GEORGIAN** people have been defending with arms in hands the independence and territorial integrity of their country since the first days of creation of the Georgian Democratic Republic. In order to boost morale of officers and soldiers of the newly established Georgian Army and Georgian Army National Guard, the state started to grant military awards of the former Russian Empire to the ones who distinguished themselves in the battles. One of the most popular awards at that time was the Russian St. George's Cross, which was awarded to the junior officers and soldiers for heroism shown in the war. According to the information we

have, 50 combatants of Batumi Guerilla Regiment (1 person received a St. George's Cross of the First Rank, 2 combatants - St. George's Cross of the Second Rank). The awards were also granted to a number of combatants of Sachkhere-Chiatura military unit. They distinguished themselves in the fight against internal enemies and their collaborators (Bolsheviks). Altogether 97 people were awarded; one of them received a St. George's Cross of the First Rank. Dauntless courage was shown in the fight against the external enemy by the combatants of the Armored Train №4. 70 of them were awarded with St. George's Crosses. As is generally known, at least 293 combatants were given different ranks of St. George's Cross in 1918.

Armenia provoked war against Georgia in 1918. During the war the Georgian Army and Georgian Army National Guard destroyed some units of Armenian Army. Over 600 combatants who took part in the hostilities were awarded with different ranks of St. George's Cross (12 received St. George's Cross of the First Rank and 30 - St. George's Cross of the Second Rank. For the first time in historiography the names of 811 cavaliers of St. George's Cross in 1918-1919 were verified. Along with Georgians, the cavaliers of St. George's Cross were Abkhazs, Azeris, Armenians, Jews, Russians, Ukrainians and representatives of other ethnic groups living in Georgia. The only woman who received a St. George's Cross of the Fourth Rank was Natalia Chijavadze, a war nurse.

## თეოკრატიული სახელმწიფო და გლობალიზაციური მოდელის ეპოლუცია რუსეთის იმპერიის მაგალითზე

საუკუნეების მანძილზე მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის იდეალურ ვარიანტად მიჩნეული იყო „სიმფონიის პრინციპი“, რომელიც მათ კავშირს არეგულირებდა. საერო და სასულიერო ხელისუფლების ამ ვარიანტის სამშობლოდ ბიზანტია მოიაზრება, სადაც, ფაქტობრივად, მართლმადიდებლური სახელმწიფო განხორციელდა. „სიმფონიის“ ტერმინში იგულისხმებოდა სახელმწიფოში რელიგიისა და პოლიტიკის შერწყმა, „ვითარცა ადამიანში ხეულისა და სულის ერთობლიობა“. ასეთი ტიპის სახელმწიფოში ორივე ხელისუფლება – საეროც და სასულიეროც – ერთ წმინდა მისიას – მართლმადიდებლური სახელმწიფოს აღორძინებას ემსახურებოდა და, მიუხედავად აღნიშნულისა, მათ მაინც მოქმედების თავიანთი არეალი გააჩნდათ და გარკვეულწილად ამ საქმეში შემოსაზღვრულნიც იყვნენ.

სახელმწიფო აქტიურად იყენებდა სოციალური მმართველობის ნაირგვარ საშუალებებს; სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ქრისტიანული მორალის დახმარებით ახორციელებდა, რის გამოც მფარველობდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, იცავდა მის მოძღვრებას, კულტს, სინმინდებს; ზრუნავდა ეკლესია-მონასტრების აღორძინებისათვის და უზრუნველყოფდა საზოგადოებაში საეკლესიო სამართლის ნორმათა რეალიზაციას. თავის მხრივ, გამოკვეთილი ფუნქცია-მოვალეობანი გააჩნდა ეკლესიას „სიმფონიურ მოდელში“. ის წარმოადგენდა სახელმწიფო იდეოლოგიის დამცველ-პროპაგანდისტს საზოგადოებაში და სახელმწიფო პოლიტიკურ კურსს ანაყოფიერებდა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსის იდეოლოგიით.

„სიმფონიური პრინციპის“ სამართლებრივი საფუძველი პირველად იმპერატორ იუსტინიანეს ნოველაში აისახა და მას შემდეგ ის აუცილებელ სამოქმედო დებულებად იქცა ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელსაც ამდაგვარი პრინციპის ათვისების პრეტენზია გააჩნდა. ნოველაში ვკითხულობთ: „აღამიანებზე ღვთაებრივი მადლი გადმოვიდა სამღვდელოებისა და მეფობის სახით, რომელთაგან პირველი ზრუნავს საღვთო, ხოლო მეორე საკაცობრიო საქმეზე... ამიტომ, არაფერია მეფისთვის ისე მშობლიური, როგორც სამღვდელოება, რომლებიც, თავის მხრივ, ღმერთს ავედრებენ კარს. და, თუ ღვთის ნებით, სამღვდელოებასა და ხელისუფლებას შორის სრული თანხმობა იქნება სახელმწიფოს მმართველობაში, ყოველივე მხოლოდ აღამიანთა მოდგმის სასიკეთოდ წარიმართება...“ (1,60).

სამეცნიერო ლიტერატურაში „სიმფონია“ მიჩნეულია თეოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ორი ძალაუფლების ურთიერთობის ერთ-ერთ მოდელად. აღნიშნული დებულება მიუღებელია მართლმადიდებლური ღვთისმეტყვე-

ლებსათვის, რის საფუძველზეც ეკლესია თეოკრატიულ წყობას შინაგანად მიუღებლად მიიჩნევს მართლმადიდებლური ქრისტიანობისთვის. ისტორია კი ცხადპყოფს, რომ „სიმფონიის“ შემთხვევა სახელმწიფოს დემოკრატიულ წყობაზე მიანიშნებს და, ფაქტობრივად, შლის ზღვარს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. მათი შერწყმა წარმოქმნის ეკლესიურ სახელმწიფოს, რომლის მაგალითიც ისტორიამ ბიზანტიის იმპერიის წარსულით შემოგვინახა.

მსოფლიოს ისტორიამ ცხადპყო, რომ თეოკრატიული სახელმწიფო მმართველობის მოდელი სამყაროს დიდი იმპერიებისთვის დამახასიათებელი თვისებაა, რომელთაც მსოფლიოში გაბატონების ამბიცია აწუხებთ; და, რაც მნიშვნელოვანია, ისინი ამ მიზნის მიღწევაში ეკლესიას რთავენენ და მართლმადიდებელი სარწმუნოების საბურველით მთელს მსოფლიოში ძალაუფლების მოპოვებას ლამობდენ. აღნიშნულის პიონერი ისეე ბიზანტიაა. რუსი მეცნიერი ა. დვორკინი აღნიშნავს: „ბიზანტიაში არსებობდა იმპერიის გაგება, როგორც საუკეთესო სახელმწიფოებრივი სხეულისა ორი თავით – მსოფლიო პატრიარქი და მსოფლიო იმპერატორი. მათ ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ეს სხეული მოიცავდა მთელ მართლმადიდებელ მსოფლიოს, უფრო ზუსტად, მსოფლიოს, რომელიც გახდებოდა მართლმადიდებლური“ (12,38). საამისოდ, ბიზანტიურმა გლობალიზაციამ თეორიული საფუძველიც შექმნა საერო ხელისუფლებისა და სასულიერო დასის ურთიერთობის სახით, ისეთის, როგორიც სულის და სხეულის ერთარსობაა. აქედან მოყოლებული, ბიზანტიამ დაიწყო თეოკრატიული იდეის განვრცობისათვის ზრუნვა, რითიც ის სამყაროს მართლმადიდებლური გლობალიზაციის პიონერი გახდა. თეოკრატიულ იდეას მზარდი, ახალგაზრდა სახელმწიფოები უნდა დაეინტერესებინა და ასეც მოხდა; რუსეთის სახელმწიფო, რომელიც ცენტრალიზაციის გზას ადგა, განსაკუთრებულ ყურადღებას ავლენდა თეოკრატიის იდეის მიმართ. თავის მხრივ, არც ბიზანტია იყო რუსეთის სახელმწიფოსადმი გულგრილი. ბიზანტია თავისი არსებობის დღეებს ითვლიდა და მართლმადიდებელი დიდი სახელმწიფოს თანადგომა მის ინტერესებში შედიოდა. აღნიშნულზე მეტყველებს 1393 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქის ანტონის წერილი მოსკოვის დიდი მთავრის ვასილი დიმიტრის ძისადმი იმპერიის დაცემაზე ნახევარი საუკუნით ადრე: „ყველგან, სადაც ქრისტიანია, მეფის სახელი მოიხსენიება ყველა პატრიარქის, მიტროპოლიტისა და ეპისკოპოსის მიერ. არ შეიძლება ქრისტიანებს ჰქონდეთ ეკლესია და არ ჰყავდეთ მეფე, რადგან ეკლესია და მეფე გაუმიჯნავნი არიან... მეფის კურთხევა ხდება მსოფლიო ეკლესიის მიერ და მხოლოდ მის სახელს იხსენიებენ ქრისტიანები და არა სხვისას“ (2,371). სწორედ ასეთი სახის ამბიციები გახდა 1054 წლის დიდი სქიზმის მიზეზი ეკლესიაში. ბიზანტია რუსეთის მიმართაც ცდილობდა „თეოკრატიულ-სიმფონიური“ პრინციპების განვრცობას და თავის გლობალიზაციის პროექტში განთავსებას, მაგრამ ბიზანტიამ დასახული მიზნის განხორციელება ვერ მოასწრო. XV საუკუნის შუა წლებში მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან გაჰქრა „მეორე რომი“, მაგრამ „სიმფონიური მოდელი“ და იმპერიულ-მართლმადიდებლური გლობალიზაციის იდეა არ გამქრალა; „მსოფლიო მართლმადიდებლური იმპერიის“ ამბიციით მსოფლიოს პოლიტიკურ ასპარეზს მოსკოვის სახელმწიფო მოევილინა (6,37).

ბიზანტიის იმპერიისაგან განსხვავებით, რუსეთი ფაქტობრივად თეოკრატიულ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა, და, ვერც კლასიკური სახე მიიღო „სიმფონიამ“, თუ გამოვრიცხავთ ისტორიის ცალკეულ პერიოდში სასულიერო იერარქიის მიერ დროებით პოლიტიკური ლიდერობის მიღწევას, მაგრამ საერო ხელისუფლებაზე გაბატონება მაინც ვერ შეძლო. რუსეთში ფაქტობრივად დადგინდა ცეზაროპაპიზმი, როდესაც საერო ხელისუფლებამ შეითავსა შიდასაეკლესიო მმართველობის ფუნქცია და საეკლესიო იერარქიაც დაიქვემდებარა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ხანგრძლივი დროის მანძილზე რუსეთის ეკლესიისათვის „სიმფონია“ ორიენტირი იყო საერო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში. შუა საუკუნეების რუსეთსაც თავის მხრივ ბიზანტიური პრინციპების დანერგვის უნარი არ შესწევდა, რამაც, ბუნებრივია, ასახვა პოვა რუსეთში თეოკრატიული მმართველობის დეგრადირებული სახით ჩამოყალიბებაში. რუსეთისათვის თეოკრატიული მმართველობის მოდელი მხოლოდ სააზროვნო საგნად დარჩა და მან პრაქტიკული განხორციელება კლასიკური სახით ვერ შეძლო.

ეკლესია-სახელმწიფოს იდეა შუა საუკუნეების რუსეთში სხვადასხვა ფორმაში გამოვლინდა: ფილოსოფოსთა და ღვთისმეტყველთა შრომებით, სოციალური უტოპიებით, ზღაპრებითა და ლეგენდებით. 1917 წლამდე რუსეთის სახელმწიფო დასაშვებია მივიჩნიოთ თეოკრატიული ტრადიციების მატარებელ ქვეყნად.

თეოკრატიული იდეის მკაფიო გამოვლინებას ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეების დოქტრინაში – „მოსკოვი – მესამე რომი“; ასევე საეკლესიო განხეთქილებაში და XIX–XX საუკუნეების რუს კლასიკოსთა შრომებში.

თეოკრატიული იდეის აღორძინება უკავშირდება მოსკოვის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფორმირებას, რომელშიც განხორციელება პოვა რუსული გლობალიზაციის პირველმა პროექტმა მცირე მასშტაბებით; შედეგად კი დასრულდა ცალკეული რუსული სამთავროების გაერთიანება და სამხედრო პოლიტიკურმა ძალებმა თავი მოიყარა ცენტრალიზებულ რუსულ სახელმწიფოში ცენტრით მოსკოვი. მართალია, იმ ეტაპზე გაბატონებულ რელიგიურ მსოფლმხედველობას უკეთესი იდეოლოგიის შექმნის უნარი არ შესწევდა, მაგრამ სახეზე მაინც იყო რუსეთის მზარდ სახელმწიფოში თეოკრატიული მმართველობის საფუძვლების დადგენისაკენ ლტოლვა.

დროთა ვითარებაში, რუსეთის სახელმწიფოში ჩამოყალიბდა თეოკრატიული მსოფლმხედველობის ყველა კომპონენტი: 1) ხილიაზმი – რუსეთის სახელმწიფოს ისტორიული მისიის სახით; 2) ესქატოლოგიზმი – „მესამე რომის“ თეორიის ისტორიული პროცესის დასრულების სახით, ანუ „მეთოხე რომი არ იქნება“; 3) მესიანიზმი – ღვთის რჩეული რუსი ერის სახით. ამ დროიდან მოყოლებული, მესიანისტური იდეა რუსული ნაციონალური აზროვნების განუყოფელი ნაწილი გახდა. რუსი სწავლული ნ. ბერდიაევი წერდა: „უძველესი დროიდან არსებობდა აზრი, რომ რუსეთი დიადი საქმეებისათვის არსებული განსაკუთრებული ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოს არც ერთ დანარჩენ ქვეყანას არ ჰგავს. რუსული ნაციონალური აზროვნება იკვებებოდა რუსეთის ღვთივრჩეულობის იდეით. ეს მომდინარეობს მოსკოვის, როგორც „მესამე რომის“ ძველი იდეიდან“ (1,57-59).

თეოკრატიული იდეის თეორიულმა ფორმირებამ ასახვა პოვა რუს მოაზროვნეთა შემოქმედებაში. აღნიშნულმა კი რუსეთის სახელმწიფოს იმპერიული პრინციპი მიანიჭა, და გვიანი შუასაუკუნეებისათვის სახეზე იყო ისეთი სახელმწიფო და მმართველობის სისტემა, რომელსაც ფაქტობრივად დღემდე არჩეული პოლიტიკური კურსიდან არ გადაუხვევია. რუსეთს ეკლესიისა და სახელმწიფოს იდეალურ ფორმად ყოველთვის მართლმადიდებლობის „სიმფონიური“ პრინციპი მიაჩნდა. ურთიერთობის ამ ფორმაში უპირატესობა ენიჭებოდა მეფის ხელისუფლების უზენაესობას ეკლესიაზე. ბუნებრივია, ეკლესიის იერარქთა მხრიდან „სიმფონიური“ პრინციპის მოქმედებას სერიოზული წინააღმდეგობაც ჰქონდა – „მეფის უმთავრესი მოვალეობაა ეკლესიის დაცვა, რადგან მეფის ხელისუფლება ვერასოდეს იქნება მტკიცე, თუ ძლიერი არ იქნება დედა-ეკლესია“, – აღნიშნავდა რუსეთის პატრიარქი ტიტონი. ეკლესიის სიმტკიცისა და სამღვდლოების ავტორიტეტის გაძლიერებისათვის სასულიერო იერარქები მეფის ხელისუფლებას სხვა ქვეყნების სახით მართლმადიდებლობის მტრის ხატს უქმნიდნენ და მის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. ზემონახსენები იდეა თანდათანობით თეზისად ჩამოყალიბდა რუსეთის სახელმწიფოებრივ მმართველობაში, მისი საფუძველი გახდა და მარად აქტუალური სახე მიიღო, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

„მესამე რომობაზე“ ამბიციამ და ამ იდეის დაფუძნებამ რუსეთის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში უცილობლივ მოითხოვა ქვეყნის მასშტაბებით საერო და საეკლესიო მრავალმიმართულებიანი რეფორმაცია. ამ შემთხვევაში საუკუნის სფეროში რეფორმის გატარებას და ეკლესიის საქეთმპყრობელის პოზიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა – რუსეთი ხომ თეოკრატიულ მმართველობაზე აცხადებდა პრეტენზიას! რუსეთმა მიზნად დაისახა ბიზანტიის ჩანაცვლება მართლმადიდებლობის დამცველ-გადამრჩენის სახელის დამკვიდრებით სამყაროში. საამისოდ, რუსეთში გაიშალა მუშაობა ბერძნულ და რუსულ ეკლესიებს შორის არსებული განსხვავებული საკულტო ტრადიციების მოშლის მიმართულებით – რუსული ეკლესია ბერძნულს უნდა მიახლოებოდა, რათა ის მსოფლიო ეკლესია გამხდარიყო, ხოლო რუსეთი – მართლმადიდებლური იმპერია. ხელისუფლებისა და ეკლესიის ამდაგვარმა კურსმა მორწმუნე საზოგადოებაში ძლიერი წინააღმდეგობა დაბადა, რამაც ამ უკანასკნელს სარწმუნოებრივი განხეთქილების სახე მისცა. მართალია, განხეთქილების მონაწილენი არ უარყოფდნენ „მოსკოვი – მესამე რომის“ იდეას, მაგრამ მათთვის არც გაბერძნებული რუსული ეკლესია იყო მისაღები. ამ უკანასკნელის მიზეზად ისინი მიიჩნევდნენ კონსტანტინოპოლის ეკლესიის მიერ „ნესის შეშლას“, ანუ ფერარა-ფლორენციის უნიაში მონაწილეობას, რითაც ბერძნულმა ეკლესიამ მსოფლიო ეკლესიის ტიტული დაკარგა. ამ ტიტულის ტარების ღირსად მოიაზრებდნენ რუსეთის ეკლესიას ნაციონალური ნიშნების აბსოლუტური შენარჩუნებით. ამრიგად, თეოკრატიული იდეის საფუძველი საეკლესიო განხეთქილება აღმოჩნდა, რამაც სერიოზული დაბრკოლება შეუქმნა საერო და სასულიერო ხელისუფლებას თეოკრატიულ სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. მიუხედავად მიმდინარე ვითარებისა, თეოკრატიული იდეის პრაქტიკული განხორციელებისათვის მა-

ინც მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა. საზოგადოებრივ აზრში გაძვირდა მესიანის იდეა, რომელსაც საფუძვლიანი ნიადაგი უნდა შეექმნა რუსეთის ლეთიურებისა და ლეთიერჩეულობისათვის. აღნიშნულმა ასახვა პოვა რუს მოაზროვნეთა: დოსტოევსკის, ბერდიაევის, კარსაინის, ილინის და სხვათა შემოქმედებაში. ამავედროულად, ისინი თეოკრატიული პრინციპების დადგინებას სახიფათოდ და რუსეთისთვის მიუღებელ მმართველობად მიიჩნევდნენ; თეოკრატიული კონცეფციის კრიტიკით გამოდიოდნენ და მესიანისტურ იდეას რუსი საზოგადოების ილუზიად მოიაზრებდნენ – „მცდარი, ყალბი მესიანისზმისგან განდგომით, ჩვენ უცილობლივ მივუახლოვდებით ნაციონალური პრობლემის ქრისტიანულად გადაჭრის საკითხს. ჩვენს ერში დავინახავთ არა ერთიან რჩეულ ხალხს, არამედ ერთ-ერთ იმ ერთაგანს, რომელიც, სხვა ხალხების მსგავსად, მონოდებულია ღვთის დიდი საქმეებისათვის და ამ საქმეში, სხვა ერების მსგავსად, იყენებს თავის სახასიათო ღირებულებებს“, – აღნიშნავდა ე. ტრუბეცკოი (17, 201-202). თეოკრატიული პრინციპების ნეგატიური შეფასება არგუმენტირებულად იყო დასაბუთებული ნ. ბერდიაევის, ს. ფრანკის ნაშრომებშიც. რუს მოაზროვნეთა დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მათ შეძლეს წინასწარ დაენახათ ოქტომბრის გადატრიალების ღრმა რელიგიური საფუძვლები და ამხილეს რუსეთში მოსალოდნელი კვაზითეოკრატიული მმართველობის სისტემის დადგინების საშიშროება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, თეოკრატიული იმპერიის ერთ-ერთი სახასიათო ნიშანი გლობალიზაციური მიზნები და მისი განხორციელებისათვის შესატყვისი პროექტების შემუშავება იყო. ასეთი პროექტები საგანგებოდ ითვალისწინებდა მართლმადიდებლური მრწამსის ფაქტორს, ეკლესიის როლს და სასულიერო კრებულის ფუნქციას გლობალიზაციის მიზნების რეალიზაციის საქმეში.

ბიზანტიური მემკვიდრეობის ამთვისებელმა რუსეთმა იმთავითვე გაითავისა ბიზანტიური გლობალიზაციის გამოცდილება და XV საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის იმპერიის დაცემის და „ოქროს ურდოს“ დაშლისთანავე (1480წ.) პირველმა შეიმუშავა გლობალიზაციის პროექტი. აღნიშნულმა მოვლენამ რუსეთი აქცია პოტენციურ, ახალ „უმადლესი რანგის სახელმწიფოდ“ აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში, ხოლო მისი ეკლესია „აბსოლუტური იმპერიის“ იდეოლოგიურ საყრდენად. რუსეთის თვითმპყრობელები დაუფარავად იყენებდნენ ეკლესიას საშინაო და საგარეო ველოკოდერჟავული პოლიტიკის გატარების იარაღად. ფართო ექსპანსიური იდეებით იკვებებოდა რუსეთი რამდენიმე საუკუნის მანძილზე, ვიდრე 1917 წლის სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდებოდა. რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერპროკურორი ა. ვ. კარტაშვი აღნიშნავდა: „მეფის ხელისუფლებამ თავად დატოვა პოლიტიკური ბრძოლის არენა“; გაქრა სახელმწიფო მმართველობის ის ფორმა, რომელსაც ბიზანტიური ტრადიციისამებრ ხელმძღვანელობდა რუსეთის ეკლესია და ახორციელებდა მმართველობას არა საერო, არამედ „წმინდა ეკლესიის“ ძალით (2, 1139). ამრიგად, 1917 წლამდე როგორც რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, ისე საერო ხელისუფლებას დასაშვებად მიაჩნდათ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის თუნდაც არასრულყოფილი „სიმფონიური“ მოდელის არსებობა; მაგრამ, მეფის ხე-

ლისუფლების დამხობის შემდეგ, რუსეთის ეკლესიის წინაშე დადგა საკითხი რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობის ახალი ფორმის ძიებისთვის.

თვითმპყრობელური მმართველობის მარნუხებისაგან განთავისუფლებამ მართლმადიდებელ ეკლესიას დადებითი შედეგები მოუტანა; ეკლესიამ თავისუფლება მოიპოვა, აღსდგა გაუქმებული პატრიარქობის ინსტიტუტი და გაიძალა დისკუსიები სამომავლოდ ეკლესიის სახელმწიფოსთან ურთიერთობის ფორმის ძიებაზე. ჩამოყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ ეკლესიასა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის არავითარი მოვალეობითი კავშირი არ არსებობდა და პირიქით, ასეთმა კავშირებმა ტრაგიკულ შედეგებამდე მიიყვანა როგორც ბიზანტიის, ისე რუსეთის სახელმწიფო. 1917-1918 წლების სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე გაცხადდა, რომ ეკლესიას სახელმწიფო მმართველობის არანაირ ფორმასთან არ უნდა ჰქონოდა კავშირი, რომ მისი საქმე მხოლოდ სარწმუნოება იყო და არავითარი პოლიტიკა: „არ არსებობს არავითარი უძლეველი კავშირი მართლმადიდებლობასა და ამა თუ იმ პოლიტიკურ წყობას შორის, ამიტომ მართლმადიდებლებს უფლება აქვთ ჰქონდეთ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები და სიმპათიები“, – აღნიშნავდა ს. ბულგაკოვი (16,49-50). მიუხედავად დიდი მცდელობისა, ოქტომბრის გადატრიალების წლებში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ახალი მოდელის შემუშავება ვერ განხორციელდა.

1917 წლის მოვლენებმა რუსეთში გლობალიზაციის ახალი პროექტი დაიბადა, რომელსაც თავისი გაქანებით კაცობრიობის ისტორიაში მანამდე არსებული ყველა მოვლენა უნდა დაეჩრდილა. და პირველ ეტაპზე, სახელმწიფოს ოფიციალურმა იდეოლოგიებმა თავდაუზოგავი ბრძოლა წამოიწყეს ზოგადად რელიგიის და კონკრეტულად მართლმადიდებლობის წინააღმდეგ – „ბოლშევიზმმა, ე.წ. საბჭოთა საზოგადოების კვაზირელიგიამ შეტევითი ომი გამოუცხადა ღვთისადმი რწმენას და მიზნად დაისახა „მინაზე სამოთხის მოპოვება“, – იუწყებოდა ემიგრანტული პრესა (7,14). ქვეყნის ახალმა მეპატრონეებმა, ლენინ-ტროცკი-ზინოვიევი, მართლმადიდებლურ-იმპერიული „მესამე რომის“ უტოპია შეცვალეს „მსოფლიო რევოლუციისა“ და „მესამე ინტერნაციონალიზმის“ ლოზუნგებით. ამ დროიდან ფაქტობრივად მართლმადიდებლობის იდეური ძიებანი სახელმწიფოსთან თანაცხოვრებისა ათწლეულით შეწყდა. მართლმადიდებელი ეკლესია განიცდიდა უმკაცრეს რეპრესიებს, რელიგიურად მოაზროვნე სწავლულები განდევნილ იქნენ ქვეყნიდან და ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ტრადიციულმა მოდელმა სიცოცხლე გააგრძელა რუს ემიგრანტთა აზროვნებაში.

საბჭოთა წყობილების დროს რუსეთში გატარდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნის რეფორმა, რომლის შედეგად ეკლესია სახელმწიფოს კიდევ უფრო მყარად მიეჯახჭვა, ვიდრე ეს მეფის ხელისუფლების დროს იყო.

საბჭოთა ეპოქის საწყის ეტაპზე მიმდინარე ანტისაეკლესიო პოლიტიკამ მორწმუნე საზოგადოების რადიკალური უკურეაქცია გამოიწვია და მართლმადიდებლობისა და ეკლესიის დაცვის ხასიათი შეიძინა. დროთა ვითარებაში, ხელისუფლებას საბჭოური იდეოლოგიის დამკვიდრებისათვის ბრძოლის გზაზე სერიოზული

დაბრკოლებები ექმნებოდა. მიმდინარე ვითარებამ აუცილებელ ამოცანად დასახა იმდაგვარი პოლიტიკური კურსის შემუშავება, რომელიც ტრადიციული მართლმადიდებლური რელიგიის მემკვიდრეობით თეოკრატიულ იდეას ხორცს შეასხავდა და საბჭოთა იმპერიის მშენებლობაში სერიოზულ როლს შეასრულებდა.

ახალი წყობის სახელმწიფოს ერთობ თავისებური ხედვა გააჩნდა სამყაროზე ბატონობისა და გლობალიზაციის პროექტის შედგენაზე, პარალელურად, ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებასაც ცდილობდა. საბჭოთა იმპერიამ სახეცვლილებით აითვისა რუსეთის ისტორიული მისია „მესამე რომობაზე“ და საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებაში, ერთი მხრივ, მისთვის მისაღები ეკლესია ჩართო და, მეორე მხრივ, ეკლესიის ავტორიტეტის დაცემისა და მის ადგილზე კომუნისტური იდეის დამკვიდრებისაკენ ილტვოდა. ხელისუფლების „ნამცხვარ-მათრახის“ ცნობილ პოლიტიკას უნდა დაეჩქარებინა ახალ იმპერიაში სოციალისტური იდეის გამარჯვება და დაესრულებინა ახალი ადამიანის ფორმირება.

XX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულისათვის ფაქტი გახდა, რომ სახელმწიფო მოხელე-ჩინოვნიკებმა, ხელისუფლების ნდობის მოპოვების მიზნით, ანტირელიგიური პროგრამის იმდენად უხეში მეთოდოლოგია შეიმუშავეს, რომ მორწმუნე საზოგადოების სოციალისტური იდეოლოგიისადმი დაპირისპირება მიიღეს სახეზე. ზემოაღნიშნული პოლიტიკა, გარდა იმისა, რომ აჭიანურებდა საბჭოთა ქვეყნის მშენებლობის პროცესს, მის ავტორიტეტსაც სცემდა მსოფლიო საზოგადოებაში.

საბჭოთა იმპერიის მშენებლობის პროცესს დაბრკოლებების გარდა რიგი სერიოზული ამოცანის გადაჭრა ესაჭიროებოდა: ინდუსტრიალიზაცია-მრეწველობის, საკოლმეურნეო მშენებლობის და, რაც მთავარია, ეკლესიასთან ურთიერთობის დარეგულირება.

ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლების წრეში გაჩნდა აზრი ეკლესიის რესურსების გამოყენებისა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, რამეთუ მართლმადიდებელი ეკლესიის თანადგომით, საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო დაერეგულირებინა ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო ურთიერთობანი.

XX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს ხელისუფლება აქტიურად შეუდგა საეკლესიო პოლიტიკის რაფინირების მიმართულებით მუშაობას. საბჭოთა მთავრობამ მიზნად დაისახა ე.წ. საბჭოური მართლმადიდებლობის შექმნა, რომელიც ისეთი სახის ეკლესიას შექმნიდა, რომ საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდისტული ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლებამ ყურადღება შეაჩერა თეოკრატიული იდეის აღორძინებაზე, რომელიც სოციალისტური წყობის სახელმწიფოს სასარგებლოდ იმუშავებდა, შედეგად კი თეოკრატიული სახელმწიფოს სოციალისტური ვარიანტის მმართველობას მიიღებდა. დასახული მიზნის განხორციელებისათვის მთავრობამ რუსეთის ახალი ეკლესიისადმი თავისი ინტერესი ოსტატურად შემოსა საბჭოური იდეოლოგიის საბურველით და მას სოციალიზმის მშენებლობის მისიის აღსრულება დაუკვეთა. რუსეთის ახალი ეკლესია მსოფლიო სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიოგრაფიაში „ცოცხალი ეკლესიის“, მოგიანებით კი „წითელი ეკლესიის“ სახე-

ლით შევიდა. როგორც თანამედროვე ისტორიკოსები მიიჩნევენ, ფაქტობრივად, იმ ეტაპზე განხორციელდა ეკლესიის მიყიდვა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

საეკლესიო პოლიტიკაში ახალი ტაქტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პირველ ნიშნად მოიაზრება 1936 წლის სახელმწიფო დეკრეტი, რომლის ძალითაც სამოქალაქო ომის წლებში ჩამორთმეულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება დაუბრუნდა სამღვდელოებს. მართალია, ეს უფლება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ საბჭოთა მთავრობის ეს ნაბიჯი სახელმწიფო ინტერესებს ითვალისწინებდა, რომელიც უცხოეთის ქვეყნებისათვის ოსტატურად იქნა შენიღბული. მალე მისი რეალური მნიშვნელობა ცხადი შეიქნა როგორც საბჭოეთის საზოგადოების, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის.

მართლმადიდებლური ეკლესიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ურთიერთობის ახალი მოდელის შემუშავება ხელისუფლებამ ეკლესიის გარდაქმნით დაიწყო. მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა ტრადიციული ეკლესიის მოდერნიზაცია. ეს პროცესი რომ სახელმწიფო აპარატისთვის სახიფათო და მტკივნეული იქნებოდა, მთავრობამ ეს კარგად უნყოდა, ამიტომ საჭირო იყო ისეთი გზის მოძიება, რომელიც ხელისუფლებას ნაკლებ პრობლემას შეუქმნიდა და ამ რთულ პროცესს ხანმოკლე დროში დაასრულებდა. ხელისუფლებამ არჩევანი შეაჩერა საეკლესიო განხეთქილებაზე, რომელსაც უნდა გაენადგურებინა ტრადიციული ეკლესია და მის სანაცვლოდ ფორმირებულ სასულიერო ორგანიზაციას სახელმწიფო ბიუროკრატიულ აპარატს მიაჯაჭვებდა ისე, რომ არ მოიშლებოდა პატრიარქობის ინსტიტუტი, პირიქით, ეს უკანასკნელი დამაკავშირებელი რგოლი გახდებოდა სახელმწიფო აპარატისა და სასულიერო კრებულის. აღნიშნული ამკარად იყო ეპოქის შესატყვისი ახლებური ვარიანტის, მოდერნიზებული ეკლესია, რომელიც „სიმფონიური“ პრინციპით უკავშირდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს.

XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულისათვის, საეკლესიო განხეთქილების ორგანიზატორმა, ე.წ. „განმაახლებელთა“ სამღვდლო ჯგუფმა მასზე დაკისრებული მისია ამონურა და თვითლიკვიდაცია განახორციელა. „განმაახლებელთა“ მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლებამ დაასრულა ეკლესიის მოდერნიზაციის პროცესი და ამით შექმნა ე.წ. „ცოცხალი ეკლესია“. ამის შემდგომ, მთავრობამ საეკლესიო პოლიტიკის მეორე ეტაპისთვის დაიწყო მუშაობა. მართლმადიდებელი ეკლესია უნდა გამხდარიყო საბჭოეთის რუპორი მთელს მსოფლიოში. ამ საქმეში კი უაღრესად დიდი როლის შესრულება შეეძლო პატრიარქობის ინსტიტუტს. სწორედ ამ უკანასკნელის მოსყიდვისათვის დაიწყო მთავრობამ მუშაობა და სულ მალეც, რუსეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელები საბჭოთა იდეოლოგიის დამცველ-აგიტატორები გახდნენ როგორც ქვეყნის შინგით, ისე მის ფარგლებს გარეთ. 30-იანი წლების ბოლოს სახეზე იყო მართლმადიდებელი ეკლესია, ანუ ე.წ. „წითელი ეკლესია“ – იგივე თეოკრატიული სახელმწიფოს საბჭოური მოდელი. ამ დროიდან ზემოაღნიშნული ხასიათის სახელმწიფომ დაიწყო საბჭოური გლობალიზაციის პროექტის შემუშავება და, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ საქმეში მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრა „წითელ ეკლესიას“.

მოსალოდნელი მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა სახელმწიფოსაგან მრავალი პრობლემატური საკითხის გადაჭრას ისახავდა. ხელისუფლებისთვის ამკარა გახდა „მსოფლიო საბჭოთა სახელმწიფოს“ შექმნის უტოპიურობა და დაიწყო ახალი გლობალიზაციის პროექტის სათუთი კონტურების მოხაზვა, რომელიც საიმედოდ გაასაიდუმლოებდა საბჭოთა ქვეყნის შორს მიმავალ გეგმებს. ეს უკანასკნელი კი სამყაროს მასშტაბით კომუნისტური იდეოლოგიის გამარჯვებას ითვალისწინებდა. ზემოაღნიშნული პროექტის რეალიზება გადაწყდა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის პროცესში. ამ პროექტის რეალიზაციაში ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კვლავინდებურად მართლმადიდებელ სარწმუნოებას და ეკლესიას დაეკისრა.

ახალმა საბჭოთა გეოსტრატეგიულმა გეგმამ, რომელიც მსოფლიოს ორ – სოციალისტურ და კაპიტალისტურ ბანაკებად გაყოფას უკავშირდებოდა, ხელისუფლებას უბიძგა ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაკენ: 1) დათხოვნილ იქნა მესამე ინტერნაციონალი და მასში შემავალ კომუნისტურ პარტიებს ფორმალური დამოუკიდებელი არსებობის საშუალება მიეცათ და 2) აღდგენილ იქნა მართლმადიდებლური მრწამსის ოფიციალური სტრუქტურები. ამკარა გახდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიზანი იყო მოსკოვის საპატრიარქოს „მართლმადიდებელ ვატიკანად“ ჩამოყალიბება.

სამყაროს პოლიტიკური გადანაწილება თავის მხრივ ითვალისწინებდა მის რელიგიურ გადანაწილებასაც; ურთიერთანტაგონისტურად განწყობილი ბანაკები ითხოვდნენ თავიანთ სარწმუნოებრივ იდეოლოგიას: სოციალისტურ ბანაკში გაბატონებული „მართლმადიდებლური ვატიკანი“ მოსკოვის საპატრიარქოს სასულიერო უწყებით და კაპიტალისტურში – რომის პაპი და კათოლიკური ცენტრი – ვატიკანი.

ახალ სტრატეგიულ კურსს ესაჭიროებოდა სანდო და ხელისუფლებისათვის ერთგული სასულიერო კრებული როგორც რუსეთის, ისე მოძმე რესპუბლიკების ეკლესიებში. ამით იყო განპირობებული საბჭოთა კავშირში მოქმედი ავტოკეფალური ეკლესიებისადმი ხელისუფლების განსაკუთრებულად კომპრომისული პოლიტიკა. 40-იანი წლების შუა ხანებში ფაქტობრივად დასრულდა საბჭოთა იმპერიის შიგნით არსებული ავტოკეფალური ეკლესიების გადაბირების საკითხი. კერძოდ, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოიპოვა რუსეთის ეკლესიისაგან თვითმონესეობის აღიარება და ქართული ეკლესიის გადარჩენის მიზნით ხელისუფლებასთან ლავირების პოლიტიკურ გზას დაადგა. ამავდროულად, სწრაფად გადაიჭრა ეკლესიებში საკადრო პრობლემაც და რეპრესირებული სამღვდელთა ხელისუფლებამ მთავრობის პოლიტიკური კურსის გამტარებელი სასულიერო კრებულებით ჩაანაცვლა. აქტიურად დაიწყო მეზობელი ქვეყნის სასულიერო იერარქიის გადაბირების პროცესი, რამეთუ სოციალისტური ბანაკის გაძლიერებისათვის საჭირო იყო ევროპის ქვეყნების კომუნისტებისა და სასულიერო კრებულის თანადგომა. სამისოდ, 1945 წლის მარტში რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. კარპოვმა სამოქმედო გეგმის შემუშავების ბრძანება მიიღო საბჭოთა ხელმძღვანელობისაგან. გეგმა ითვალისწინებდა რუსეთის საეკლესიო დელეგაციის ვიზიტებს ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთსა და იუ-

გოსლავიაში. ეკლესიათა „დიდი დაახლოების“ მიზნით ჩატარებულმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღო და მეორე მსოფლიო ომის დასასრულისათვის და 50-იანი წლების დასაწყისში ყველა ზემოაღნიშნულ სახელმწიფოში საბჭოური „სიმფონიის“ პრინციპი დამკვიდრდა.

თავის მხრივ, რუსეთის ეკლესიაც იძულებული იყო თავის გადარჩენისა და საეკლესიო ინტერესებისათვის გამოეყენებინა სახელმწიფოსთან თანამშრომლობა, რაც მას ფაქტობრივად 1917 წლის მოვლენების შემდგომ აღარ ჰქონდა. ეკლესიის მხრიდან ლაიერების პოლიტიკის გატარებისა და სახელმწიფო სამსახურში ჩართვის შედეგად, ომის შემდგომ წლებში გაიზარდა მოქმედი ეკლესია-მონასტრების რაოდენობა და მთელი საბჭოთა იმპერიის მასშტაბებით მათმა რიცხვმა 15 ათასს გადააჭარბა.

მოსტსაბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიაში, XX საუკუნის 20-50-იანი წლების „სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის „სიმფონიურ მოდელზე“ ორი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება არსებობს; თითოეული მხარე მეცნიერული დებულებებით ცდილობს ამ „სიმფონიური პრინციპის“ მნიშვნელობის ახსნას და მისი ობიექტური შეფასების გადმოცემას. საბჭოური იდეოლოგიური აზროვნებისაგან განთავისუფლებული ერთი მხარე, საეკლესიო ე.წ. აღორძინების სანაცვლოდ მოიაზრებს ეკლესიაზე ხელისუფლების წნეხს და მკაცრ რეპრესიებს; მეორე მხარე აიდეალებს საბჭოთა ეპოქის ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის მოდელს, როდესაც ოცნლიანი მტანჯველი მდგომარეობიდან გამოიხსნა ეკლესია და „აღსდგა ვითარცა ფენიქსი“. ასეთ მოაზროვნეთა შორის არიან როგორც სასულიერო იერარქები, ისე მეცნიერ-ისტორიკოსებიც, მაგრამ, ფაქტი იყო, რომ საბჭოთა საეკლესიო პოლიტიკის მეორე ფაზაში, დიდი მსხვერპლის შედეგად, ეკლესიაში სასიკეთო ძვრებიც მიმდინარეობდა. ეს იყო სწორედ ის ეპოქა, როდესაც ქართული საზოგადოებისა და სამღვდელთების თითქმის საუკუნე-ნახევრის ავტოკეფალური მოძრაობა ნარმატივებით დაგვირგვინდა. საქართველოს ეკლესიის მოქნილი პოლიტიკის წყალობით და საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე ვითარების გონივრული გამოყენებით, განხორციელდა ქართული ეკლესიის თვითმონესრიგების აღიარება რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ (1943 წ.).

თანამედროვე ეტაპზე, მართლმადიდებლური რუსეთის ეკლესია და სახელმწიფო ისევ დგანან ურთიერთობის ახალი ფორმების ძიების პრობლემის წინაშე. აღნიშნულზე ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრება არსებობს: *ერთნი* მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის ამერიკული ვარიანტია მისაღები, როდესაც სახელმწიფო უპირატესობას ანიჭებს ყველა კომფესიებთან კავშირს; *მეორენი* მოსაზრების მომხრეთათვის მისაღებია მხოლოდ რუსეთის ტრადიციული რელიგიები: მართლმადიდებლობა, იუდაიზმი, ბუდიზმი. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, უპირატესი პოზიცია უკავია მართლმადიდებლობას, როგორც ისტორიულად სახელმწიფოს იდეოლოგიის გამტარებლისას და ყველაზე მრავალრიცხოვანი მრევლის პატრონისას; *მესამენი* კატეგორიულად ითხოვენ სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობის დადგინებას.

თანამედროვე მეცნიერების – ეკლესიის ისტორიკოსთა, კულტუროლოგთა, პოლიტიკოსთა და სხვათა მტკიცებით, საზოგადოების ამდგავარ აზრობრივ გახლეჩას თავისი საფუძველი აქვს და იკვეთება ორ ტენდენციაში: 1) სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნაში და 2) სახელმწიფო-ეკლესიის ინსტიტუტის აღდგენაში. ასეთ ურთიერთსაწინააღმდეგო ვითარებაში, არ არის გამორიცხული რუსეთის იმპერიული მიდრეკილებების გამოვლენა, სადაც მნიშვნელოვან როლს მისი მართლმადიდებლური ეკლესია შეასრულებდა, თუნდაც მართლმადიდებლობის თეოკრატიული ტენდენციების გამოვლენით.

ზემოაღნიშნულის დასტურად მოვიაზრებთ 1990-იან წლებში თეოკრატიული იდეის მომხრე სამღვდელოების მიერ ორგანიზაცია „საყოველთაო რუსული საეკლესიო კრების“ დაარსებას, რომლის ფუნქციაც არის შუამავლის როლის შესრულება რუსეთის ეკლესიასა და საზოგადოებას შორის. ორგანიზაციამ თანდათანობით გაიმავრა ნიადაგი ცენტრსა და პერიფერიებში თავისი სტრუქტურების ამოქმედებით და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ორგანიზაციაში გაერთიანებულ სამღვდელოებისაგან განსხვავებული კურსი აიღო მოსკოვის საპატრიარქომ, რაც გამოვლინდა მისი კავშირით მსოფლიო ეკლესიათა საბჭოსთან, თუმცა საპატრიარქო ამავდროულად ცდილობს სახელმწიფო ხელისუფლების იდეოლოგიის გათავისებასაც და თანამშრომლობას ეწევა სხვადასხვა კომფსიებთანაც.

პარალელურად „საყოველთაო რუსეთის ეკლესიაში“ მიმდინარეობს თეოკრატიული იდეის პროპაგანდითი მუშაობა და გლობალიზაციის პროექტის შედგენის მიმართულებით საქმიანობა. ამ პროექტს თანამედროვე მეცნიერები უწოდებენ „ნეოიმპერიულ-მართლმადიდებლურს“, რომელიც თავის თავში სამ ძირითად დებულებას მოიცავს: 1) ძლევამოსილ მართლმადიდებლურ მესიანოზმს; 2) ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა უნივერსალობის უარყოფას (პიროვნების თავისუფლება – ქ.პ.); 3) „ცივილიზაციის დიალოგში“ არბიტრის როლზე რუსეთის პრეტენზიას.

**პირველში** გატარებულია აზრი რუსეთის განსაკუთრებულ ისტორიულ მისიაზე მართლმადიდებლობის დაცვა-გადარჩენის საქმეში, რომელშიც მართლმადიდებლობა მოიაზრება „თანამედროვე ცივილიზაციის ფუნდამენტად“ და კონკრეტულად რუსეთის „სახელმწიფო იდეად“. აღნიშნულის მომხრეებმა გაშალეს ფართო პროპაგანდისტული მუშაობა რუსეთის ეკლესიის „კანონიკური ტერიტორიული“ საზღვრების ფარგლებში ახალი უნივერსალური სახელმწიფოს შექმნის მიმართულებით. ნიშანდობლივია, რომ ამ პროექტში უპირველეს ყოვლისა მოექცა ყოფილი საბჭოთა იმპერიის ფარგლებში მოქცეული მართლმადიდებლური ეკლესიები. მათ შორის მოიაზრება ე.წ. აფხაზეთის ეკლესიაც, რომლის რუსეთში ყოფნის კანონიკურობასაც ეს უკანასკნელი ცარიზმის დროიდან ცდილობს დაამტკიცოს.

რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა 2000 წლის აგვისტოში საკმაოდ თავშეკავებული პოზიცია დააფიქსირა მიღებული დოკუმენტით – „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური კონცეფციის ძირითადი საფუძვლები“, სადაც დაფიქსირდა ისტორიამი პირველად, რომ „ეკლესიამ არ უნდა აიღოს თავის თავზე

სახელმწიფოს ფუნქციები, ხოლო სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს საეკლესიო ცხოვრებაში“. ერთი შეხედვით, აღნიშნული დოკუმენტით ეკლესია თავისუფლდებოდა სახელმწიფოზე დაქვემდებარების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისაგან, მაგრამ რეალობა განსხვავებულზე მეტყველებს, რამეთუ ამავე დოკუმენტით რუსეთის ეკლესიამ „ეროვნულობის“ სტატუსი აღიარა და კვლავინდებურად სახელმწიფოში ოფიციალური პოლიტიკური კურსის გამტარებლად დარჩა.

„ნეოიმპერიულ-მართლმადიდებლობის“ *მეორე* ნაწილში ფიქსირდება გლობალიზაციის პროექტის მიზანი – სამყაროს დაყოფის თეორია ტერიტორიალურ-რელიგიური პრინციპით და მისი გადაჭრის მიზნით იწყებს თანამოაზრეთა შექმნას საინააღმდეგო ბანაკში, მაგალითად, რომის ეკლესიასთან დიალოგის დაწყების მცდელობაში.

მესამე ნაწილი იუწყება, რომ „საყოველთაო სახალხო კრებამ“ შეიმუშავა გლობალიზაციის ორი თეორია: პირველი უკვე ისტორიულად გამოცდილი თეზისი, რომელიც ფიქსირდებოდა „ცივი ომის“ ხელშეკრულებებში (განსხვავებული სახელმწიფოებრივი წყობის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა, ევროპის გაყოფა „ინტერესთა სფეროს“ პრინციპით სსრკ-სა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის. ამ პრინციპმა შეაჩერა მათ შორის საომარი მოქმედება, მაგრამ, სამაგიეროდ, საშუალება მისცა ტოტალიტარული საბჭოთა სახელმწიფოს გაძლიერებას – ქ.პ.). *მეორე* თეზისია ს. ჰანთინგტონის ცნობილი ჰიპოთეზა „ცივილიზაციათა შეჯახების“ საშიშროებაზე, რომელსაც თეოკრატიკოსებმა პოლიტიკურ-სამართლებრივი შინაარსობრივი დატვირთვა მისცეს. მათი რწმენით, „აღმოსავლეთ-ქრისტიანული ცივილიზაცია აღმოცენდა მართლმადიდებლური რწმენის საფუძველზე და განსხვავებით დასავლეთისაგან, ერთგულია რელიგიური იდეალის“ (18).

ამრიგად, რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მოდელზე ერთიანი პოზიცია არ არსებობს. აღნიშნული ვლინდება იმაში, რომ რუსეთის საეკლესიო კრებული ორ ურთიერთგამომრიცხავ პოლიტიკას ატარებს, ეკლესია ხან სახელმწიფო სამსახურშია, ხანაც მისგან გამიჯვნას ითხოვს. რუსეთის ეკლესიის თანაგრძნობა სახელმწიფოს იმპერიული პრინციპებისადმი ნათლად ჩანს მისი კრებულის უდიდესი და ძლიერი რეაქციული ნაწილის ინტერესებსა და მოქმედების მეთოდებში. რუსეთის სახელმწიფო და მისი ეკლესია კვლავ ერთმანეთისაკენ ილტვიან, ურთიერთდაკმაყოფილებისათვის მეცადინეობენ და პოსტსაბჭოურ ეპოქაში ამ მიმართულებით განხორციელებული მუშაობა ამკარა დასტურია ამისა; არც რესპუბლიკათა და ნაციათა თვითგამორკვევის რთულ პროცესში არ აქვს რუსეთის ეკლესიას ნაკლები დატვირთვა; ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში ის კარგად ჩანს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ირგვლივ განვითარებული მოვლენებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Ученые записки общества для распространения Священного Писания в России. М., №1, 1994.
2. Карташев А. В. Очерки по истории Русской церкви. т. I, М., 1993.

3. *Ключевский В. О.* Курс Русской Истории, ч. V, М., 1937.
4. *Красиков А. Н.* Глобализация и Православие. М., 2005.
5. Выбор судьбы. Проблемы современной России глазами архиереев. СПЮБ, 1996.
6. *Салыгин Е. Н.* Теократическое государство. М., 2006.
7. Из истории христианской церкви на родине и за рубежом в XX столетии. М., 1995.
8. Газ. «Труд». 2004. 17.III.
9. Журнал «Русская мысль», 1996. 29.II-6.III.
10. «Журнал Московской Патриархии», №2, 1966.
11. Журнал «Вопросы философии». №1, 1994.
12. Журнал «Государство, религия, церковь в России и за рубежом», №2, 1997.
13. Журнал «Церковь и время», 4 (21), 2002.
14. Религия и глобализация на просторах Евразии. под ред. *А. Малащенко и С. Филатова*. М., 2005.
15. *Митрохин Н.* Религиозная конфессия в тоталитарном обществе: на примере Русской Православной церкви. М., 2004.
16. Церковь и претенденты на «симфонию», газ. «Независимая газета» (Религии). 1998. 23. I.
17. *Шахов М. О.* Клерикализация или «Синодализация» России? Свобода совести – важное условие гражданского мира и межнационального согласия. М., 2003.
18. *Фурман Д. Е., Каарийнен К. А.* Религиозная стабилизация. Сб.: «Свободная мысль XXI». №7, 2003.

KETEVAN PAVLIASHVILI

## THE THEOCRATIC STATE AND THE EVOLUTION OF GLOBAL MODELS ON THE EXAMPLE OF THE RUSSIAN EMPIRE

### Summary

THE following work investigates the essence and global value of the theocratic state. It characterizes the so-called "Symphonic principle" of churches, the stages of globalization, as well as the authority and some peculiar features of the first theocratic state - Byzantium.

The work presents parallels and theocratic signs on the examples of Russia and Byzantium. On the basis of scientific researches it is proved that Russia would not be able to reach the condition of the theocratic state in its classical form, because of the development of Tsezaro-Papism. In Russia the theocratic idea evolved in different ways – it started with centralized Russia followed by the establishment of Tsarism, which was later replaced by the Soviet Empire and finally substituted by the present stage.

The article characterizes all the components of Russia's theocratic outlook.

The work surveys mutually exclusive attitudes of modern society concerning „the Symphonic principle" of church and state. It also reveals the essence and value of "Neo-empire - Orthodox empire" in a comprehensive manner.

**პრორუსული ორიენტაციის ალტერნატივა**

**სამსაუქუმოვანი პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია XIX საუკუნის დამდეგს ქართველი ერისათვის დიდი კატასტროფით დასრულდა – ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიამ დაიპყრო. რატომ ცდილობდნენ ქართველი მეფეები, ქართველი დიპლომატები ასე დაუინებოთ, ასე ჯიუტად პრორუსული ორიენტაციის რეალიზებას – რუსეთის დახმარებით ირანისა და ოსმალეთისაგან საქართველოს დაცვას? არსებობდა თუ არა პრორუსული ორიენტაციის ალტერნატივა? ერთმორწმუნე რუსეთზე ორიენტაცია იყო ერთადერთი გამოსავალი თუ საბედისწერო სტრატეგიული შეცდომა? ამ კითხვებზე პასუხს ჩვენ მხოლოდ წარსულის ობიექტურად შესწავლის მიზნით არ ვეძიებთ. ყოველივე ეს მჭიდრო კავშირშია დღევანდელი მდგომარეობასთან.**

XVI საუკუნის დამდეგიდან დაიწყო ირანისა და ოსმალეთის ბრძოლა სამხრეთ კავკასიისათვის (ამიერკავკასიისათვის). სამეფო-სამთავროებამ დაშლილი საქართველო რეალური საფრთხის წინაშე დადგა. ეს საფრთხე კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ირანმა (სამხრეთ-აღმოსავლეთიდან) და ოსმალეთმა (ჩრდილო დასავლეთიდან) კავკასიის მთიანეთში შეღწევა შეძლეს და იქაური მოსახლეობა გამაჰმადიანეს. შავ ზღვაზე გაბატონდა ოსმალეთი, კასპიის ზღვაზე – ირანი. საქართველოს გარშემო შეიკრა მუსლიმური სახელმწიფოებისა და ხალხების წრე. ქართველი მეფეებისა და ქართველი დიპლომატების წინაშე მთელი სიმწვავით დაისვა მოკავშირის პოვნის საკითხი.

რუსეთის დახმარებით მუსლიმურ სახელმწიფოთა აგრესიის მოგერიების იმედი პირველად კახეთის სამეფო სახლს ჩაესახა. 1483 წელს (ზოგიერთი ცნობით 1491 წელს) კახეთის მეფე *ალექსანდრე I-მა (1476-1511)* მოსკოვის დიდ მთავარს *ივანე III-ს (1462-1505)* ელჩობა გაუგზავნა. რას ემყარებოდა კახეთის მეფის გათვლა და რატომ ჰქონდა მას მოსკოვის დიდი მთავრის დახმარების იმედი, ჩვენთვის ცნობილი არ არის. სამაგიეროდ, საკმაოდ კარგად არის ცნობილი მოსკოვის რუსეთის გარშემო შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება. მოსკოვის დიდ მთავარს *ივანე III-ს 1471-1479 წლებში* სერიოზული ომის გადახდა მოუწია ნოვგოროდის შემოერთების მიზნით. ნოვგოროდის მოკავშირედ გამოდიოდა პოლონეთ-ლიტვის (რეჩ-პოსპოლიტას) მეფე *კაზიმირ IV (1427-1492)*. ომი პოლონეთ-ლიტვასა და რუსეთს შორის შეიძლებოდა ნებისმიერ დროს დაწყებულიყო. 1485 წელს ივანე III-მ ტვერის სამთავრო შემოიერთა. ტვერის მთავარი ლიტვაში გაიქცა და ლიტვის დახმარებით ცდილობდა ტახტის დაბრუნებას. დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ივანე III-მ მოსკოვის სამთავროს გარშემო რუსეთის მიწების გაერთიანება ვერ დაასრულა – ვერ მოახერხა სმოლენსკის, ფსკოვისა და რიაზანის სამთავროების შემოერთება. რუსეთს

ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან (ბალტიისპირეთიდან) გამუდმებით ავინროვებდნენ გერმანელი რაინდები და შვეცია. უკრაინასა და ბელორუსიაში გაბატონებული პოლონეთის სამეფო და ლიტვის დიდი სამთავრო დასავლეთ რუსეთის მიწების მიტაცებას ცდილობდნენ. ომები ხან შეწყდებოდა, ხან ისევ განახლდებოდა. 1492-1494 წლებში ივანე III-ს ომი ჰქონდა ლიტვასთან. 1500-1503 წლებში რუსეთსა და ლიტვას შორის კვლავ ომი მიმდინარეობდა.<sup>1</sup>

დიდი საფრთხე ემუქრებოდა რუსეთს სამხრეთიდან. მართალია, 1480 წელს რუსეთი მონღოლთა (ოქროს ურდოს) ბატონობისაგან განთავისუფლდა, მაგრამ ვითარება კვლავ დაძაბული რჩებოდა. XVI საუკუნის დამდეგისათვის ოქროს ურდომ არსებობა შეწყვიტა, მაგრამ ამას რუსეთის მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია. მოსკოვის სამხრეთით, სამხრეთ-დასავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსეთის სახელმწიფოს საზღვრები დაახლოებით ემთხვეოდა დღევანდელი მოსკოვის ოლქის საზღვრებს და მოსკოვის ოლქის გარდა მოიცავდა დღევანდელი კალუგისა და ტულის ოლქების მხოლოდ ნაწილს. უფრო სამხრეთით უზარმაზარ ტერიტორიაზე – ვიდრე ასტრახანამდე, ჩრდილო კავკასიის მიწისწინეთამდე და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირამდე (ყირიმის ნახევარკუნძულის ჩათვლით) კვლავ მონღოლები ბატონობდნენ. ისინი სისტემატურად შეიჭრებოდნენ ხოლმე მოსკოვის რუსეთის საზღვრებში და ქვეყანას იკლებდნენ.<sup>2</sup>

ასეთ ვითარებაში 1483 წელს (ან თუნდაც 1491 წელს) კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის მიერ მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III-ის კარზე ელჩობის გაგზავნა და დახმარების თხოვნა, ცხადია, ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანდა. *რუსეთს თავისი საქმე უჭირდა და კიდევ რომ მოენდომებინა, საქართველოს მუსლიმურ სახელმწიფოებთან ბრძოლაში ვერ დაეხმარებოდა.*

ჰქონდა თუ არა რაიმე რეალური საფუძველი ქართველი მეფეებისა და ქართველი დიპლომატების პრორუსულ ორიენტაციას შემდგომ ხანებში? *მოვლენათა ანალოზი გვიჩვენებს, რომ პრორუსულ ორიენტაციას არც XVI-XVII საუკუნეებში ჰქონდა რეალური საფუძველი.*

XVI საუკუნეში, *ვასილ III-ის (1505-1533)*, განსაკუთრებით კი *ივანე IV მრისხანის* დიდი მთავრობისა და მეფობის პერიოდში (1533-1584), რუსეთის სახელმწიფო მნიშვნელოვნად გაძლიერდა. მიუხედავად ამისა, *რუსეთი სამხრეთ კავკასიაში კვლავ არარეალურ ძალად რჩებოდა.* ივანე IV-მ შეძლო ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ წარმოქმნილი ყაზანისა (1552 წ.) და ასტრახანის (1556 წ.) მონღოლური სახანოების ლიკვიდაცია, მაგრამ ვერაფერი დააკლო მესამე მონღოლურ სახანოს – *ყირიმის სახანოს*. ყირიმის ხანი 120-150-ათასიან ლაშქარს კრებდა და განუკითხავად არბედა უზარმაზარ ტერიტორიას აზოვისა და შავი ზღვისპირეთიდან მოსკოვამ-

<sup>1</sup> *К.В. Базилевич. Внешняя политика Русского централизованного государства второй половины XV в. Москва, 1952; Н.С. Борисов. Иван III. Москва, 2000.*

<sup>2</sup> *В.Е. Возгарин. Исторические судьбы крымских татар. Москва, 1992; А.А. Горский. Москва и Орда. Москва, 2000; И. Б. Греков. Восточная Европа и упадок Золотой Орды (на рубеже XIV-XV в.в.). Москва, 1975; А. В. Черепнин. Образование Русского централизованного государства XIV-XV в.в. Москва, 1960.*

დე. რამდენიმეჯერ ყირიმის ხანმა ყველა კორდონი გადალახა და მოსკოვის კედლებთან გამოჩნდა (ქალაქის ნაწილი გადაწვა). ასტრახანის დაპყრობის შემდეგ ივანე IV-მ სამხრეთში აქტიური სამხედრო ოპერაციების წარმოება შეწყვიტა. რუსეთის სახელმწიფოს სტრატეგიულ ამოცანად იქცა ბალტიისპირეთის დაპყრობა. ბალტიისპირეთისათვის წარმოებული, გაჭიანურებული და მარცხიანი *ლივონიის ომის (1558-1583 წწ.)* გამო რუსეთი კავკასიაში საერთოდ არარეალურ ძალად იქცა. რუსეთის აქტიურობას სამხრეთში ძალზე ზღუდავდა პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის ძლიერი პოზიციები უკრაინასა და ბელორუსიაში. XVII საუკუნის დამდეგს რუსეთს ერთდროულად ებრძოდნენ შვეიცია და პოლონეთი. ეს ომი რუსეთს ძვირად დაუჯდა – შვეციამ მიიტაცა ჩრდილო-დასავლეთ რუსეთის მიწები, ხოლო პოლონეთმა დასავლეთისა.<sup>1</sup> ბალტიისპირეთიდან შვეციის, უკრაინიდან პოლონეთის, ბელორუსიიდან ლიტვის, შავი ზღვისპირეთიდან ყირიმის სახანოს მუდმივი აგრესიის მომლოდინე რუსეთი საქართველოსთვის რომ მოკავშირე და მფარველი ვერ იქნებოდა, ეს ცხადად უნდა ეგრძნოთ კახთა მეფეებს *ალექსანდრე II-ს (1574-1605)*, *თეიმურაზ I-ს (1606-1648)*.

ცხადია, ქართველი მეფეების, კერძოდ, ალექსანდრე II-სა და თეიმურაზ I-ის პრორუსული ორიენტაცია გარკვეული მიზეზებით იყო გაპირობებული. ამ მიზეზთაგან უმთავრესი იყო: *პირველი*: დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების, კათოლიკური სამყაროს სრული ინერტულობა, დაუინტერესებლობა სამხრეთ კავკასიით; *მეორე*. საქართველოს ჩრდილოეთით მოსკოვის დიდი მთავრის მიერ რუსული მიწების გაერთიანების დანყება და მართლმადიდებლური სახელმწიფოს – რუსეთის გაძლიერება.

ქართველ მეფეებს, ქართველ დიპლომატებს ძალზე მცირე ინფორმაცია გააჩნდათ როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნების, ისე რუსეთის საშინაო ვითარებისა და საგარეო პოლიტიკის, სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის თაობაზე. ძალზე ზერელე და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ირან-ევროპის, ოსმალეთ-ევროპის, რუსეთ-ევროპის, რუსეთ-ირანის, რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობათა თაობაზე. ყოველივე ამან განაპირობა *საგარეოპოლიტიკური კურსის შემუშავებისა და შევებული დიდი სტრატეგიული შეცდომა – რუსეთზე ორიენტაცია*.

პრორუსულ ორიენტაციას შეენირა ალექსანდრე II (ირანის შაჰმა მოაკვლევინა თავისსავე გამაჰმადიანებულ შვილს) და თეიმურაზ I (ირანის შაჰის ტყვეობაში გარდაიცვალა). მარცხიანი პრორუსული ორიენტაციის შედეგი იყო ქართლის და კახეთის სამეფო ტახტებზე გამაჰმადინებული ბაგრატიონების *როსტომის (1632-1658)*, *ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675)*, *გიორგი XI-ის (1675-1709)*, *ერეკლე I ნაზა-*

<sup>1</sup> В.Д. Королюк. Ливонская война. Ленинград, 1984. Е.Н. Кушова. Народы Северного Кавказа и их связи с Россией. Вторая половина XVI – 30-е гг. XVIII века. Москва, 1963. А.А. Новосельский. Борьба Московского государства с татарами в первой половине XVII века. Москва- Ленинград, 1948; С.Ф. Платонов. Очерки по истории Смуты в Московском государстве XVI-XVII вв. Москва, 1995; Г.Л. Санин. Сношения России и Украины с Крымским ханством в середине XVII в. Москва, 1987; Б.Н. Флоря. Иван Грозный. Москва, 1999.

რალიზანის (1688-1709), ქაიხოსროს (1709-1711), დავით II იმამყულიზანის დასმა შაჰის მიერ.

პრორუსული ორიენტაცია თითქოს დავინყებას უნდა მისცემოდა. მიზეზი საკმარისზე მეტი იყო. მოხდა დაუჯერებელი რამ. 1703 წელს ქართლის სამეფოს ჯანიშინად (მმართველად) დანიშნულმა გამაჰმადიანებული გიორგი XI-ის ძმისშვილმა, მომავალმა მეფემ ვახტანგ VI-მ პრორუსული ორიენტაცია აალორძინა და მისი რეალიზებისთვის შეუპოვარი ბრძოლაც დაიწყო. ალექსანდრე II-სა და თეიმურაზ I-ის პრორუსულ ორიენტაციას ვინმემ კიდევ შეიძლება რაიმე გამართლება მოუძებნოს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ვახტანგ VI-ზე. ვახტანგ VI-ს, ალექსანდრე II-სა და თეიმურაზ I-თან შედარებით, გაცილებით უკეთესი პირობები ჰქონდა იმისათვის, რომ კარგად გაეაზრებინა პრორუსული ორიენტაციის ყველა დამლუპველი შედეგი, არ გაემეორებინა წინამორბედთა დამლუპველი შეცდომები. ვახტანგ VI-ს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდა ირანის, ოსმალეთის, რუსეთის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების საგარეოპოლიტიკური კურსის, საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ძალთა თანაფარდობისა და მოვლენათა შემდგომი განვითარების პერსპექტივის თაობაზე. გარდა ამისა, ვახტანგ VI იყო უაღრესად განათლებული ადამიანი, მრავალმხრივ საყურადღებო მოაზროვნე, მკვლევარი, მეცნიერი.

პროირანული ორიენტაციის უარყოფის თაობაზე გადანყვეტილება ვახტანგ VI-მ ირანში იძულებით ყოფნის პერიოდში (1712-1719 წწ.) მიიღო. ვახტანგ VI ახალი პოლიტიკური ორიენტაციის ორ შესაძლო ვარიანტს ამუშავებდა: დასავლეთ ევროპულსა და რუსულს. დასავლეთ ევროპის ქვეყნები იმხანად ირანის გაძლიერების პოლიტიკას ადგნენ. ასეთი პოლიტიკა განაპირობა ობიექტურმა ვითარებამ. ოსმალეთი, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, დიდ საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. ირანი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელსაც აზიაში აქტიური საბრძოლო მოქმედებებით შეეძლო ოსმალეთის ძალების მიზიდვა და ამით დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის მდგომარეობის შემსუბუქება.<sup>1</sup>

ცხადია, ასეთ ვითარებაში ირანის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში მოკავშირის ძებნა გულუბრყვილობა იყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ დასავლეთ ევროპაში დიპლომატიური მისიით მივლინებული სულხან-საბა ორბელიანი 1715 წელს სამშობლოში ხელცარიელი დაბრუნდა. ამ დროიდან ჯერ კიდევ ირანში მყოფი ვახტანგ VI პრორუსული ორიენტაციის რეალიზებაზე იწყებს ზრუნვას. პრორუსული ორიენტაციის რეალიზების გზაზე პირველი ნაბიჯი რუსეთის ელჩთან არტიომ ვოლინსკისთან ურთიერთობის დამყარება იყო. მეფედ დამტკიცების (1716 წ.) შემდეგ, 1719

<sup>1</sup> История Ирана. Под редакцией М.С. Иванова. Москва, 1977; История стран зарубежной Азии в средние века. Москва, 1970; ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა). ვ. გაბაშვილის რედაქციით. თბილისი, 1957; დავით კაციაძე, ირანის ისტორია III-XVIII სს. თბილისი, 2001.

წელს, ქართლში დაბრუნებული ვახტანგ VI აქტიურად იღვწის რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დასამყარებლად.<sup>1</sup>

შეეძლო თუ არა რუსეთს ამ პერიოდისათვის (1719-1722 წწ.) აქტიურად ჩარეულიყო სამხრეთ კავკასიის (აღმოსავლეთ ამიერკავკასიის) საქმეებში და ქართლის სამეფო ირანის ბატონობისაგან გაეთავისუფლებინა? ჩვენი აზრით, *რუსეთი მზად არ იყო სამხრეთ კავკასიაში ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად*. ეს გაპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით:

*პირველი*. ჩრდილოეთის ომში (1700-1721 წწ.) გამარჯვებით მართალია რუსეთმა ბალტიისპირეთი მიიღო, მაგრამ ხანგრძლივმა ომმა ქვეყნის ეკონომიკას ძლიერი დარტყმა მიაყენა. ახალი დიდი ომის დაწყება რუსეთს აღარ შეეძლო.

*მეორე*. რეალურად რუსეთის იმპერიასა და ქართლის სამეფოს ერთობლივი მოქმედებით აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ირანის განდევნა შეეძლოთ, მაგრამ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გაბატონებას არასგზით არ დაუშვებდა ოსმალეთი. ოსმალეთთან ომი კი რუსეთისთვის ძნელი და ხანგრძლივი იქნებოდა.

*მესამე*. სამხრეთ კავკასიაში დაწყებულ რუსეთ-ოსმალეთის ომს თავის სასარგებლოდ გამოიყენებდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია). ეს ომი დასავლეთის ქვეყნებს საშუალებას მისცემდათ შეესუსტებინათ რუსეთის პოზიციები ჩრდილო შავიზღვისპირეთში, ბალკანეთში და, რაც მთავარია, ბალტიისპირეთში.

*მეოთხე*. ჩრდილოეთის ომში (1700-1721 წწ.) გამარჯვების შემდეგ რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებებს შეადგენდა: ა) ბალტიისპირეთში განმტკიცება, ბ) მდინარე დნეპრის მარცხენა ნაპირის უკრაინაში დამკვიდრება და მარჯვენა ნაპირის უკრაინის ხელში ჩაგდება, გ) ყირიმის სახანოს ლიკვიდაცია და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში დამკვიდრება, დ) ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეჭრა. სამხრეთ კავკასია, უფრო ზუსტად, მისი აღმოსავლეთი ნაწილი, არ შედიოდა რუსეთის სტრატეგიული დაინტერესების სფეროში. 1722 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარების შეჭრა კასპიისპირეთში მხოლოდ ვითარების დაზვერვას ისახავდა მიზნად და არა რეგიონიდან ირანის განდევნას.

*ვახტანგ VI-ის მიერ პეტრე I-თან ირანის წინააღმდეგ სამხედრო პოლიტიკური კავშირის შეკვრა (1722 წ.) სტრატეგიული შეცდომა იყო. პროირანული ორიენტაცია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის პასიური პოლიტიკის პირობებში ერთადერთი სწორი ორიენტაცია იყო. ვახტანგ VI-ს თავის სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინა ავღანელების შეტევის შედეგად ირანში შექმნილი უმძიმესი ვითარება. ქართლის მეფე კი პირიქით მოიქცა. 1722 წლის მარტში შაჰმა ავღანელებთან ბრძოლაში დალუპული როსტომის (ვახტანგ VI-ის ძმის) ნაცვლად თავის გვარდიის*

<sup>1</sup> გიორგი პაიჭაძე. ვახტანგ მეექვსე. თბილისი, 1981, გვ. 105-114; *ალექსანდრე ფირცხალაიშვილი*. საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი, 2000, გვ. 12-61; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. თბილისი, 1973, გვ. 413-421.

სარდლად ვახტანგის ვაჟი ბაქარი დანიშნა და იგი ქართლის ჯართან ერთად სასწრაფოდ ირანში დაიბარა. ბაქარმა ჯარი შეკრიბა და ირანისკენ დაიძრა, მაგრამ ვახტანგ VI-მ შვილს შაჰისათვის დახმარების აღმოჩენა აუკრძალა. ბაქარი მამას კომპრომისულ ვარიანტს სთავაზობდა: ქართლის სამეფოს ჯარის ნაწილი, ვახტანგ VI-ისა და პეტრე I-ის მოლაპარაკების თანახმად, კასპიისპირეთში შეჭრილ რუსეთის ჯარს შეერთებოდა, ხოლო ნაწილი ავღანელების წინააღმდეგ ირანის შაჰს მიშველებოდა. სამეფო დარბაზის წევრთა ნაწილი რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს სახიფათოდ მიიჩნევდა და პროირანული ორიენტაციის შენარჩუნებას უჭერდა მხარს. ვახტანგ VI-მ რჩევა არ გაითვალისწინა. მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი პროირანული ორიენტაციის ერთხელ და სამუდამოდ უარყოფა. ამასობაში ავღანელებმა ისპაჰანი აიღეს. სეფიანი შაჰების დინასტია შეწყდა, თუმცა ქართლისათვის ამას შეება არ მოუტანია. 1722 წლის მიწურულსა და 1723 წლის დამდეგს ქართლის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ეს განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: *პირველი*. პეტრე I-მა კასპიისპირეთში დაწყებული ლაშქრობა მალევე, 1722 წელსვე, შეწყვიტა; *მეორე*. ირანის შაჰი ვახტანგ VI-ის დასასჯელად ჯარებს აგროვებდა; *მესამე*. რუსეთის გააქტიურებითა და პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის სამხედრო-პოლიტიკური კავშირით შემფოთებული ოსმალეთიც ქართლის სამეფოში შესაჭრელად ემზადებოდა. *მეოთხე*. პროირანული ორიენტაციის კახეთის მეფე *კონსტანტინე* ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა და ირანის შაჰის დახმარებით ქართლის ტახტის ხელში ჩაგდებას გეგმავდა; *მეხუთე*. თბილისში მდგარმა ირანის გარნიზონმა შაჰის ბრძანებით ქალაქს ცეცხლი დაუშინა; *მეექვსე*. 1723 წლის გაზაფხულზე, ირანის შაჰის თანადგომით, ლეკთა, განჯისა და ერევნის ხანების ჯარების დახმარებით, კახთა მეფე კონსტანტინემ თბილისი დაიკავა; *მეშვიდე*. 1723 წლის ივნისში ოსმალეთის ჯარები თბილისს მოადგნენ და ქალაქი აიღეს. კონსტანტინემ კახეთს შეაფარა თავი.

ვახტანგ VI-ს პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის დამღუპველი შედეგები სახეზე იყო. 1724 წელს ვახტანგ VI რუსეთში გადაიხვეწა. პეტრე I ამიერკავკასიის ახალ მფლობელს სწრაფად მოურიგდა. 1724 წლის 12 ივლისს, როდესაც ვახტანგ VI ჯერ კიდევ ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სტამბოლში რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმება დაიდო. რუსეთმა აღიარა ოსმალეთის უფლებები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. უფრო ადრე (1723 წ.) რუსეთი ირანსაც მოურიგდა.

ყველა პირობა არსებობდა იმისათვის, რომ ვახტანგ VI-ის შემდეგ საქართველოში პრორუსული ორიენტაცია დაეინყებინა მისცემოდა. ასეც მოხდა. 1744 წელს ირანის შაჰმა *ნადირმა (1736-1747)* ქართლის ტახტი კახთა მეფის კონსტანტინეს ძმას, თეიმურაზ II-ს, ხოლო კახეთისა თეიმურაზის ვაჟს, ერეკლე II-ს უბოძა. ნადირ-შაჰი ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო. შაჰის მიზანს შეადგენდა პრორუსული ორიენტაციის აღკვეთა: *მომავალში ქართლისა და კახეთის სამეფოები რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ფორტპოსტად არ უნდა ქცეულიყო*. ამიტომ იყო, რომ ნადირ-შაჰი დათმობებზე წავიდა. შაჰმა ქართლის სამეფო ტახტი კახეთის ბაგრატიონებს უბო-

ძა. ამასთან ერთად, თეიმურაზსა და ერეკლეს უფლება მისცა ტახტზე ქრისტიანული წესით ასულიყვნენ.

ნადირ-შაჰის შემდეგ, ადილ-შაჰისა და განსაკუთრებით კი *ქერიმ-ხანის* (გარდაიცვალა 1779 წ.) მმართველობის წლებში, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ პროირანული ორიენტაციის წყალობით დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მნიშვნელოვნად განმტკიცდა სამეფო ხელისუფლება, „ოსმალობისაგან“ და „ყიზილბაშობისაგან“ დაქვევული ქართლი და კახეთი წელში იმართებოდა. თეიმურაზმა და ერეკლემ პრაქტიკულად საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს ირანული სახანოები (განჯის, ერევნის, ყარაბაღის, ნახჭევნის, შუშის).

პროირანული ორიენტაციის წარმატების ფონზე XVIII საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან თეიმურაზ II და ერეკლე II რუსეთის იმპერიაზე იღებენ ორიენტაციას და მუსლიმურ სახელმწიფოებისა და ხალხების აგრესიისაგან ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვას რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური დახმარებით აპირებენ. ეს იყო დიდი სტრატეგიული შეცდომა, რომელიც ძვირად დაუჯდა ქართლ-კახეთის სამეფოსა და მთლიანად საქართველოს (კავკასიასაც!).

რამ განაპირობა თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის გადაწყვეტილება პროირანული ორიენტაციის პრორუსულით შეცვლის თაობაზე? ეს იყო სრულიად ალოგიკური, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. ისტორიოგრაფიაში ამ საბედისწერო გადაწყვეტილებას თავისი ახსნა აქვს, თუმცა ყურადღების გარეშე რჩება მეტად მნიშვნელოვანი, ჩვენის აზრით, განმსაზღვრელი მომენტი.

ქართლის დევნილმა მეფემ ვახტანგ VI-მ პოლიტიკური თავშესაფარი რუსეთში იპოვა. მეფეს რუსეთში გაჰყვა 1200 კაციანი ამალა, მათ შორის ცნობილი თავადური საგვარეულოების წარმომადგენლები და აზნაურები. მალე ცხადი გახდა, რომ ვახტანგ VI და მისი თანამებრძოლები რუსეთის საიმპერატორო კარს ჰაერით სჭირდებოდა.

თეიმურაზისა და ერეკლეს წარმატებული პროირანული ორიენტაცია დიდ შემფოთებას იწვევდა რუსეთში. ქართლისა და კახეთის სამეფოებზე რუსეთი სამხედრო-პოლიტიკურ ზემოქმედებას ვერ მოახდენდა, ეს ირანსა და ოსმალეთთან ურთიერთობის დაძაბვას გამოიწვევდა. თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ზე ზემოქმედებისათვის რუსეთის საიმპერატორო კარმა სხვა გზა არჩია. რუსმა დიპლომატებმა დაიწყეს თეიმურაზისა და ერეკლეს დაშინება ქართლის სამეფო ტახტზე მისი კანონიერი მფლობელის – ქართლის ბაგრატიონების დაბრუნების მუქარით. თეიმურაზმა და ერეკლემ კარგად იცოდნენ, რომ ქართლის თავადები ვახტანგ VI-ს დაჟინებით ურჩევდნენ ქართლში ან პირადად დაბრუნებას, ან ტახტის მემკვიდრის ბაქარის გამოგზავნას. რუსეთის საიმპერატორო კარი ვახტანგ VI-სა და ქართლის თავადების თხოვნას ბუნდოვანი დაპირებებით პასუხობდა და იმედროულად საქმის კურსში აყენებდა თეიმურაზსა და ერეკლეს.

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პოზიციებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ის, რომ 1744 წლიდან მცხეთის საპატრიარქო ტახტის საჭეთმპყრობელი – კათოლიკოს-პატრიარქი – იყო ვახტანგ VI-ის ძმის იესეს შვილი *თეიმურაზ ბაგრატიონი* (ან-

ტონ I). ახალგაზრდა კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I დიდი და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო, მიღებული ჰქონდა საფუძვლიანი განათლება. ანტონ I თავიდანვე აქტიურად ერეოდა ქვეყნის სამინაო საქმეებში და საგარეო პოლიტიკაში. მას იმედის თვალით შეჰყურებდნენ როგორც ქართლის თავადები, ისე რუსეთში გადახვენილი ქართლის ბაგრატიონები, ვახტანგ VI-ის ამალის ცოცხლად დარჩენილი წევრები და მათი შთამომავლები. ეს ძალზე აღიზიანებდა ერეკლესა და თეიმურაზს, განსაკუთრებით თეიმურაზს. თეიმურაზსა და ერეკლეს კარგად ახსოვდათ, რომ 1747 წელს, თეიმურაზის ირანში ყოფნის პერიოდში, ანტონ I-მა მხარი დაუჭირა ქართლის ტახტისთვის მებრძოლ საკუთარ ძმას – იესეს მეორე ვაჟს აბდულა-ბეგს. აბდულა-ბეგის დამარცხების შემდეგ ანტონ I-მა იგი სასაჯელისგან იხსნა და ერეკლესთან შეარიგა. გარდა ამისა ანტონ I-მა ირანიდან ჩამოიყვანა თავისი ნახევარძმა – იესეს მამამდიანი შვილი *ალექსანდრე (ისაყ-ბეგი)* თავისი ოჯახით, ყველანი მონათლა და ქართლში დაასახლა. თეიმურაზ II-ს ეჭვი ჰქონდა, რომ ანტონ I ალექსანდრე იესეს ძეს ქართლში გამეფებას უპირებდა.

თეიმურაზ II და ერეკლე II რუსეთში გადახვენილ ქართლის ბაგრატიონებს ვერაფერს დააკლებდნენ. სამაგიეროდ, ანტონ I-ის კათოლიკოს-პატრიარქობიდან გადაყენებას კი მიაღწიეს. 1755 წელს ანტონ I-ს ბრალი დადეს მართლმადიდებლობის ღალატში და სულიწმიდასთან დაკავშირებით კათოლიკური დოგმატის გაზიარებაში. ეს იყო სრული სიცრუე. *კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს მართლმადიდებლური ეკლესიისთვის არასოდეს უღალატია და სულიწმიდასთან დაკავშირებით კათოლიკური დოგმატი არასოდეს გაუზიარებია*. ანტონ I-ს ცილი დასწამეს თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მომხრეებმა. 1755 წლის საეკლესიო კრებამ ანტონ I კათოლიკოს-პატრიარქობიდან გადააყენა და მღვდელმსახურება აუკრძალა. საეკლესიო კრებაზე ანტონ I მედგრად იცავდა თავს და წაყენებულ ბრალდებებს უარყოფდა. მალე ანტონ I მიხვდა, რომ მას ქართლ-კახეთში აღარ დაედგომებოდა და ტაქტიკა შეცვალა. 1756 წელს საეკლესიო კრებაზე ანტონ I-მა აღიარა „მეცდომა“ და „მონიანი“. ამის სანაცვლოდ მას მღვდელმსახურების უფლება აღუდგინეს და რუსეთში წასვლის ნებაც დართეს. ჩაუდენელი შეცოდების აღიარებითა და მონანიებით ანტონ I-მა თავი იხსნა მოსალოდნელი დევნა-შევიწროებისაგან და უფრო მკაცრი სასაჯელისგან.

ანტონ I-ის კათოლიკოს-პატრიარქობიდან გადაყენება რუსეთმა საკუთარ მარცხად მიიჩნია. ქართლის ბაგრატიონების (ვახტანგ VI-ის შთამომავლების) რუსეთში ყოფნა და ქართლის ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენლის კათოლიკოს-პატრიარქობა თეიმურაზსა და ერეკლეზე ზემოქმედების (დაძინების) შესანიშნავი საშუალება იყო. რუსეთის საიმპერატორო კარი უკან დახევას არ აპირებდა. 1756 წელს ანტონ I-მა რუსეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო და მალე რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წინაშე თავიც იმართლა. ანტონ I-ს თავის მართლებაც არ სჭირდებოდა – რუსეთში კარგად უწყოდნენ მისი კათოლიკოს-პატრიარქობიდან გადაყენების ნამდვილი მიზეზი. რუსეთის ეკლესიის უწმიდესმა სინოდმა ანტონ I *არქიეპისკოპოსად გამოარჩია და ვლადიმირისა და იაროპოლის ეპარქიის მღვდელ-*

მთავრად დაადგინა. ცხადია, ყოველივე ეს პროირანული ორიენტაციის მომხრე თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის გამონწევვას ნიშნავდა.

რუსეთში ჩასული ანტონ I დიდი სიხარულით მიიღეს მისმა ნათესავეებმა – ქართლის ბაგრატიონებმა. თეიმურაზისა და ერეკლეს ოპოზიცია რუსეთში მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა.

თეიმურაზ II-ის ელჩობის (1761-1762 წწ.) შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარიკვლავ განაგრძობს ქართლ-კახეთის სამეფოს პრორუსულ ორიენტაციაზე საბოლოოდ დაყოლიებას. ერეკლე II-ს ამჯერადაც ქართლის ბაგრატიონების და ქართლის თავადების ოპოზიციით აშინებდნენ. *რუსეთის საიმპერატორო კარი ერეკლე II-ს არ ენდობოდა*<sup>1</sup>. პეტერბურგში ისიც აღიზიანებდათ, რომ თეიმურაზის რუსეთში ელჩობით შემფოთებულ ირანის მზრძანებელ *ქერიმ-ხანთან* ერეკლე II-მ ურთიერთობის მოგვარება შეძლო. ირანსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის კარგი ურთიერთობის შენარჩუნება რუსეთის გეგმებს ეწინააღმდეგებოდა. ერეკლე II რუსეთისათვის ადვილი სამართავი გახდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ქართლ-კახეთის სამეფოსა და ირანს შორის ურთიერთობა დაიძაბებოდა.

ერეკლე II პოზიციებს ადვილად არ თმობდა. 1765 წელს იგი დიდი სისასტიკით გაუსწორდა რუსეთის ფარული მხარდაჭერით ორგანიზებულ ქართლის თავადების შეთქმულებას (პაატა ბატონიშვილის შეთქმულებას).

რუსეთის საიმპერატორო კარიდან მომდინარე შანტაჟის პოლიტიკას თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ 20 წელი გაუძლეს. პირველ სერიოზულ დათმობაზე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ჯერ კიდევ 1764 წელს წავიდა – ანტონ I საქართველოში დააბრუნა. იმავე წელს ანტონ I საეკლესიო კრებამ უდანაშაულოდ ცნო და კვლავ კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია. მომდევნო წლებში ერეკლე II კიდევ უფრო მნიშვნელოვან დათმობებზე მიდის. *ქართლ-კახეთის პროირანული ორიენტაცია დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის პერიოდში რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირით.*

უნდა აღინიშნოს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირმა ქართლის თავადები ძალზე გააღიზიანა. 1770 წელს აპინძასთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ერეკლე II-ის მიერ რუსეთში გაგზავნილი თავადი *ზაალ ორბელიანი* რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებას ერეკლე II-ისთვის ტახტის ჩამორთმევას სთხოვდა. ერეკლე II-ისთვის ქართლის ტახტის ჩამორთმევას სთხოვდნენ გენერალ გ. ტოტლებენს *ზაალ ორბელიანი* და *დავით ქსნის ერისთავი*. ცხადია, ამგვარი აგრესიული პოლიტიკისაგან რუსეთი წინადაც და ახლაც თავს იკავებდა, მაგრამ ერეკლე II-ის დაშინების პოლიტიკას მაინც განაგრძობდა. სავარაუდოა, რომ ქართლის თავადებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარების მითითება საქართველოში გამოგზავნილმა რუსეთის ჯარის სარდალმა გ. ტოტლებენმა პეტერბურგშივე მიიღო. ერეკლე II-სა და გ. ტოტლებენს შორის

<sup>1</sup> *ვალერიან მაჭარაძე*. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III. ნაკვეთი II. თბილისი, 1997, გვ. 16-17.

ურთიერთობის დაძაბვაში წვლილი ქართლის თავადებმაც შეიტანეს. ყოველივე ეს კარგად უწყობდა ერეკლე II-მ და შესაბამის დასკვნებსაც აკეთებდა. ერეკლე II-ის წინაშე დადგა საკითხი: *ქართლ-კახეთის მეფეს ან პროირანული ორიენტაცია პრორუსულით უნდა შეეცვალა, ან რუსეთი კვლავინდებურად გააგრძელებდა ქართლის ბაგრატიონებისა და ქართლის თავადების მხარდაჭერას ერეკლე II-ის წინააღმდეგ. კახეთის ბაგრატიონებმა ქართლის ტახტი ირანის შაჰის წყალობით მიიღეს და გამორიცხული არ იყო ირანის დასუსტების შემთხვევაში რუსეთს ყველა ღონე ეხმარა ქართლის სამეფოს ტახტზე მისი ერთგული ვახტანგ VI-ის შთამომავლობის დასაბრუნებლად. ერეკლე II-მ პროირანული ორიენტაცია პრორუსულით შეცვალა.*

ერეკლე II-ის პრორუსულმა ორიენტაციამ კატასტროფამდე მიიყვანა ქართლ-კახეთი და მთელი საქართველო. ჰქონდა თუ არა ქართლ-კახეთის სამეფოს პრორუსული ორიენტაციის ალტერნატივა? ჩვენი აზრით, ალტერნატივა არსებობდა.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში რუსეთმა 20-წლიანი შანტაჟით, თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის ოპოზიციის (ქართლის ბაგრატიონები, ქართლის თავადები) მუდმივი ნაქეზებით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II აიძულა პროირანული ორიენტაცია უარეყო და პრორუსული ორიენტაცია მიეღო. პრორუსული ორიენტაციის რეალიზება, რუსეთისგან სამხედრო-პოლიტიკური დახმარების მიღება იმთავითვე (1770-1771 წლებიდან) ან თუნდაც 1783 წლამდე რომ დაწყებულიყო, შეიძლება ქართული სახელმწიფოებრიობა გადარჩენილიყო კიდევ. მაგრამ ამის თაობაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. სამხრეთ კავკასიაში გააქტიურება და ქართული სამეფო-სამთავროების ირანისა და ოსმალეთისაგან დაცვა დიდ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის ევროპულ პოლიტიკას, რომელსაც საფუძველი პეტრე I-მა ჩაუყარა და რომელსაც წარმატებით აგრძელებდა *ეკატერინე II (1762-1796)*. ამ პოლიტიკური კურსის განხორცილების პროცესში რუსეთმა შეიძწლიან ომში (1757-1763 წწ.) გაიმარჯვა და მნიშვნელოვნად დაასუსტა *პრუსიის* სამხედრო პოტენციალი; 1795 წლისათვის პოლონეთის მესამე დანაწილების შედეგად მიიღო პოლონეთის დიდი ნაწილი; საფუძვლიანად დამკვიდრდა ბელორუსიასა და უკრაინაში; გააუქმა ყირიმის სახანო (1783 წ.), 1768-1774 წლებისა და 1787-1791 წლების ომებში ოსმალეთის ორგზის დამარცხების გზით პოზიციები განიმტკიცა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, რითაც ულაცდარმი მოამზადა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეჭრისათვის<sup>1</sup>. ცხადია, ყოველივე ამას რუსეთი სამხრეთ კავკასიაზე არ გაცვლიდა. ამიტომ იყო, რომ *მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში (1771-1801 წწ.) რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს რეალურად არ დახმარებია, პირიქით, წინასწარ-*

<sup>1</sup> Н.Н. Молчанов. Дипломатия Петра Первого. Москва, 1986; А.Г. Некрасов. Роль России в европейской международной политике 1725-1739 г. Москва, 1976; О.А. Омельченко. Законная монархия Екатерины II. Москва, 1993; Н.И. Павленко. Петр Великий. Москва, 1994; Н.И. Павленко. Птенцы гнезда Петрова. Москва, 1994; Н.И. Павленко. Екатерина Великая. Москва, 1999; Н.С. Киняпина, М.М. Блиев, В.В. Дезоев. Кавказ и средняя Азия во внешней политике России. Вторая половина XVIII—80-е годы XIX в. Москва, 1984.

განზრახულად, გეგმა ზომიერად ასუსტებდა ქვეყანას, ამზადებდა მფარველობაში მიღებული სახელმწიფოს დაპყრობას.

ერეკლე II-მ, როგორც აღვნიშნეთ, ველარ გაუძლო რუსეთის ფარულ თუ აშკარა ზეწოლას და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ პრორუსულ ორიენტაციას დაადგა. პრორუსული ორიენტაციის რეალიზაციის პროცესში ერეკლე II-მ ბევრი მიუტყვებელი შეცდომა დაუშვა. უმთავრესი ამ შეცდომათაგან იყო შემდეგი. ერეკლე II-მ პრაქტიკულად უარი თქვა პროირანულ და პრორუსულ ორიენტაციებს შორის ლავირებაზე და ქართლ-კახეთის ხსნა მხოლოდ პრორუსულ ორიენტაციას დაუკავშირა. ეს იყო ის, რაზეც ოცნებობდა რუსეთის საიმპერატორო კარი, რუსული დიპლომატია. 1771 წლიდან 1783 წლამდე რუსეთის იმპერიას თითოც არ გაუძძრევია ქართლ-კახეთის დასაცავად. ამის მიუხედავად, ერეკლე II-ს ერთხელაც არ უგრძნობინებია ეკატერინე II-თვის, რომ თუ რუსეთი ქართლ-კახეთს არ დაიცავდა, იგი იძულებული გახდებოდა პოლიტიკური ორიენტაცია შეეცვალა. პირიქით, 1783 წელს ქართლ-კახეთი ყოველმხრივ კომპრომეტირებული რუსეთის მფარველობაში შევიდა და ისედაც შეშფოთებული მუსლიმური სამყარო საბოლოოდ აიძვებდა<sup>1</sup>. ერეკლე II-ს არც გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დადების შემდეგ გამოუჩენია სიფრთხილე. პირიქით, გეორგიევსკის ტრაქტატი ერეკლე II-მ თავის დამსახურებად მიიჩნია და რუსეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება გადაწყვიტა. რუსეთი ერეკლე II-ის გეგმებს მოჩვენებითი ყურადღებით ეპყრობოდა, რაც ქართლ-კახეთის მეფეს დამატებით სტიმულს აძლევდა. ერეკლე II-ის მისწრაფება, რუსეთი რაც შეიძლება მალე შემოსულიყო კავკასიაში, შეუმჩნეველი არ რჩებოდა ირანსა და ოსმალეთს. ორივე ისლამური სახელმწიფო ქართლ-კახეთის დასასჯელად ემზადებოდა. ირანი და ოსმალეთი მხოლოდ შესაფერის დროს ელოდნენ. მალე ცხადი გახდა, რომ რუსეთის იმპერია გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების შესრულებაზე არც კი ფიქრობდა. 1786 წელს ერეკლე II-მ პრორუსული ორიენტაციის შეცვლა გადაწყვიტა, მაგრამ საბოლოოდ თავი შეიკავა. 1783-1795 წლებში რუსეთმა მრავალგზის დაადასტურა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს არ დაიცავდა. ერეკლე II-მ არც ეს გაითვალისწინა და ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობის მოგვარება არ სცადა. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის სატელიტად იქცა, რაც ძალზე აღიზიანებდა ირანსა და ოსმალეთს. 1783-1795 წლებში ერეკლე II-ის დამლუპველი პოლიტიკური კურსი ასე შეიძლება განისაზღვროს: *სრული კაპიტულაცია რუსეთის წინაშე, სრული იზოლაცია ისლამური სამყაროდან (ირანიდან, ოსმალეთიდან)*. ალა-მაჰმად-ხანის ლაშქრობა (1795 წ.) იყო ისლამური სამყაროს პასუხი ერეკლე II-ის პრორუსულ პოლიტიკაზე. 1795 წლის შემდეგ ერეკლე II ქვეყანას პრაქტიკულად აღარ განაგებდა (დარჩენილი სიცოცხლე მან თელავში გაატარა, თბილისში აღარ დაბრუნებულა). 1795 წლის სექტემბრიდან (კრწანისის ბრძოლიდან) 1798 წლის იანვრამდე (ერეკლეს გარდაცვალებამდე) ქართლ-კახეთი, ფაქტობრივად, ერთი ცენტრიდან აღარ იმართებოდა, აღარ ფუნ-

<sup>1</sup> გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები *ე. მატარაძის*. თბილისი, 1983.

ქციონირებდა არც ერთი სახელმწიფო ინსტიტუტი. ალა-მაჰმად-ხანის მოულოდნელმა მკვლელობამ იხსნა ქართლ-კახეთი მეორე გამანადგურებელი ლაშქრობისაგან, რომლის დამლუპველი შედეგების წარმოდგენა ძნელი არ უნდა იყოს. გიორგი XII-ს (1798-1800) არანაირი საშინაო და საგარე პოლიტიკა არ გააჩნდა. ქართლ-კახეთს რუსი რეზიდენტები (დიპლომატები და სამხედროები) მართავდნენ.

თუ შევადარებთ ერთმანეთს ირანის პოლიტიკას ქართლ-კახეთში 1744-1769 წლებში და რუსეთის პოლიტიკას ქართლ-კახეთში 1770-1801 წლებში, ნათელი გახდება:

*პირველი.* პროირანული ორიენტაციის (1744-1769 წწ.) ქართლ-კახეთი წელში გაიმართა, განმტკიცდა მეფის ხელისუფლება, დაითრგუნა თავადური ოპოზიცია.

პრორუსული ორიენტაციის პერიოდში (1770-1801 წწ.) ქართლ-კახეთში დასუსტდა სამეფო ხელისუფლება, კვლავ იმძლავრა თავადურმა ოპოზიციამ, მოიპალა ისედაც სუსტი ეკონომიკა, დასუსტდა ჯარი, სახელმწიფო ინსტიტუტებმა, პრაქტიკულად, შეწყვიტეს ფუნქციონირება.

*მეორე.* პროირანული ორიენტაციის პერიოდში ქართლ-კახეთს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა ირანსა და ოსმალეთთან, ვერ მოგვარდა ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის მთიელებთან.

პრორუსული ორიენტაციის პერიოდში უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა ირანსა და ოსმალეთთან, კვლავ გრძელდებოდა ჩრდილო კავკასიის მთიელთა გამანადგურებელი თავდასხმები.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივად ისმის კითხვა: რამდენად რეალური იყო პროირანული ორიენტაციის გაგრძელება. ვფიქრობთ, რომ პროირანული ორიენტაციის გაგრძელება სავსებით რეალური იყო. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს:

*პირველი.* ერეკლე II-ს ირანის ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ირანულ სახანოებთან ურთიერთობის მოგვარების დიდი გამოცდილება ჰქონდა (რუსეთის საიმპერატორო კართან და რუსეთის სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის გამოცდილება ერეკლე II-ს არ გააჩნდა და იგი მხოლოდ გამოუცდელი ელჩების იმედად იყო);

*მეორე.* ერეკლე ფლობდა დიდ ინფორმაციას ირანში, ოსმალეთსა და საერთოდ მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების თაობაზე (რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების თაობაზე ერეკლე II-ს ძალზე მწირი ინფორმაცია ჰქონდა).

*მესამე.* კავკასიის მთავარი ქედის, კასპიისპირეთისა და ჩრდილო შავიზღვისპირეთის მიმართულებით რუსეთის გააქტიურების პირობებში ირანისა და ოსმალეთისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდებოდა პროირანულ ორიენტაციაზე მდგარი ქართლ-კახეთის სამეფო (პრორუსული ქართლ-კახეთის სამეფო სულ უფრო საშიში ხდებოდა ირანისა და ოსმალეთისათვის).

*მეოთხე.* პროირანული ორიენტაციის ქართლ-კახეთს ჰქონდა შანსი, ირანისა და ოსმალეთის მხარდაჭერით მოეგვარებინა ურთიერთობა ისლამის აღმსარებელ ჩრდილო კავკასიის მთიელებთან (პრორუსული ორიენტაციის ქართლ-კახეთის სა-

მეფოს წინააღმდეგ ირანი და ოსმალეთი მუდამ ეფექტურად გამოიყენებდა ისლამის აღმსარებელ ჩრდილო კავკასიის მთიელებს).

*მეხუთე.* პროირანული ორიენტაციის ქართლ-კახეთის სამეფო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ფორტპოსტად ვერ გამოდგებოდა და რუსეთის იმპერიას კავკასიის (ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის) დაპყრობის დაწყება ჩრდილო კავკასიის მთისწინეთიდან მოუწევდა (პრორუსული ორიენტაციის ქართლ-კახეთის სამეფომ რუსეთის იმპერიას საშუალება მისცა ჯერ სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებულიყო და შემდეგ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ერთდროულად დაეწყო ჩრდილო კავკასიის დაპყრობა).

*მეექვსე.* დაკნინების, სამხედრო-პოლიტიკური დასუსტების გზაზე დამდგარი, პრაქტიკულად დაშლილი, ირანი, ასევე დაღმავლობის გზით მიმავალი ოსმალეთი გაცილებით ნაკლებად საშიში იყო, ვიდრე ნაპოლეონის მძლველი, ოსმალეთსა და ირანზე მრავალგზის გამარჯვებული, „ევროპის ჟანდარმად“ წოდებული რუსეთი.

*მეშვიდე.* ირანი და ოსმალეთი მუსლიმური ქვეყნები იყვნენ, რუსეთი მართლმადიდებლური. თუ ობიექტურად შევაფასებთ ჩვენს ისტორიას, შეიძლება დავასკვნათ: 1801-1917 წლებში რუსეთმა გაცილებით დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკლესიას, ვიდრე ირანმა და ოსმალეთმა ერთად XVI-XVIII საუკუნეებში. ისლამმა ქრისტიანობაზე ვერ იმძლავრა. ეროვნებისა და მართლმადიდებლობის დაცვას უზრუნველყოფდა სამეფო ხელისუფლება (მეფე) და ეკლესია (კათოლიკოს-პატრიარქი). ამიტომ იყო, რომ ქართველთა გამაჰმადიანება მოხდა მხოლოდ საქართველოდან ჩამოცილებულ და ირანსა და ოსმალეთთან უშუალოდ შეერთებულ რაიონებში (ჭარ-ბელაქანში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში). ერთმორწმუნე რუსეთმა გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მიიტაცა საქართველოს ეკლესიის კუთვნილი უძრავი და მოძრავი ქონება, გაძარცვა ეკლესია-მონასტრები, აკრძალა ქართულ ენაზე ღვთისმსახურება, შეაგინროვა ქართველი სამღვდლოება.<sup>1</sup> მსგავსი რამ არც ირანსა და არც ოსმალეთს XVI-XVIII საუკუნეებში არ ჩაუდენია.

*მერვე.* ისლამურ სახელმწიფოთა გავლენის ქვეშ მოქცევა, ცხადია, ეროვნული და ეკლესიური თვალსაზრისით, დიდ საფრთხეს შეიცავდა. ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ პროირანული და პროოსმალური ორიენტაცია აუცილებლად დაგვაკარგვინებდა ენას, ეროვნებას, სახელმწიფოებრიობასა და ეკლესიას. ოსმალეთის ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში ბალკანეთის ხალხების ნაწილში ისლამი გავრცელდა, მაგრამ ოსმალებმა, ეროვნება და რელიგია ვერ დააკარგვინეს ბერძნებს, სერბებს, რუმინელებს, ბულგარელებს. ქართველები რატომ ვიქნებოდით გამონაკლისი? ჩვენ ხომ ეროვნების, სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის შენარჩუნებისთვის ბრძოლის დიდი გამოცდილება გვქონდა!

---

<sup>1</sup> *Н. Дурново. Судьбы Грузинской церкви (По вопросу Грузинской церковной автокефалии).* Москва, 1907; *Н. Дурново. Судьбы Грузинской церкви (По вопросу Грузинской церковной автокефалии).* Второе добавление. Москва, 1907; *Н. Дурново. Мутный источник.* Москва, 1909; *Н. Дурново. Исторический очерк автокефальных церквей: Иверской и Имеретинской.* Москва, 1910.

ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრიობისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გადარჩენა-არგადარჩენას, ქართველობის სულიერი და ფიზიკური სიმტკიცის და გამძლეობის გარდა, განსაზღვრავდა საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარება, დიდი იმპერიების პერმანენტული კვდომისა და აღორძინების პროცესი.

## დამონეგავული წყაროები და ლიტერატურა

1. *К.В. Базилевич*. Внешняя политика Русского централизованного государства второй половины XV в. Москва, 1952; *Н.С. Борисов*. Иван III. Москва, 2000.

2. *В.Е. Возарин*. Исторические судьбы крымских татар. Москва 1992; *А.А. Горский*. Москва и Орда. Москва 2000; *И. Б. Греков*. Восточная Европа и упадок Золотой Орды (на рубеже XIV-XV в.в.) Москва, 1975; *А. В. Черепнин*. Образование Русского централизованного государства XIV-XV в.в. Москва, 1960.

3. *В.Д. Королюк*. Ливонская война. Ленинград, 1984. *Е.Н. Кушева*. Народы Северного Кавказа и их связи с Россией. Вторая половина XVI – 30-е гг. XVIII века. Москва, 1963. *А.А. Новосельский*. Борьба Московского государства с татарами в первой половине XVII века. Москва- Ленинград, 1948; *С.Ф. Платонов*. Очерки по истории Смуты в Московском государстве XVI-XVII вв. Москва, 1995; *Г.Л. Санин*. Сношения России и Украины с Крымским ханством в середине XVII в. Москва, 1987; *Б.Н. Флоря*. Иван Грозный. Москва, 1999.

4. История Ирана. Под Редакцией *М.С. Иванова*. Москва, 1977; История стран зарубежной Азии в средние века. Москва, 1970; ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა). *ე. გაბაშვილის* რედაქციით. თბილისი, 1957; *დავით კაციტაძე*. ირანის ისტორია III-XVIII სს. თბილისი, 2001.

5. *გიორგი პაიჭაძე*. ვახტანგ მეექვსე. თბილისი, 1981, გვ. 105-114; *ალექსანდრე ფირცხალაიშვილი*. საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი, 2000; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. თბილისი, 1973.

6. *ვალერიან მაჭარაძე*. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III. ნაკვეთი II. თბილისი, 1997.

7. *Н.Н. Молчанов*. Дипломатия Петра Первого. Москва, 1986; *А.Г. Некрасов*. Роль России в европейской международной политике 1725-1739 г. Москва, 1976; *О.А. Омельченко*. Законная монархия Екатерины II. Москва, 1993; *Н.И. Павленко*. Петр Великий. Москва, 1994; *Н.И. Павленко*. Птенцы гнезда Петрова. Москва, 1994; *Н.И. Павленко*. Екатерина Великая. Москва, 1999; *Н.С. Киняпина, М.М. Блиев, В.В. Дегоев*. Кавказ и средняя Азия во внешней политике России. Вторая половина XVIII–80-е годы XIX в. Москва, 1984.

8. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები *ე. მაჭარაძისა* თბილისი, 1983.

9. *Н. Дурново*. Судьбы Грузинской церкви (По вопросу Грузинской церковной автокефалии). Москва, 1907; *Н. Дурново*. Судьбы Грузинской церкви (По вопросу Грузинской церковной автокефалии). Второе добовление. Москва, 1907; *Н. Дурново*. Мутный источник. Москва, 1909; *Н. Дурново*. Исторический очерк автокефальных церквей: Иверской и Имеретинской. Москва, 1910.

## THE ALTERNATIVE OF PRO-RUSSIAN ORIENTATION

### Summary

**T**HE Georgian kingdom-principalities, namely the kingdom of Kakheti, started the realization of their Russian orientation at the end of the 15<sup>th</sup> century. However, at the beginning of the 17<sup>th</sup> century it ended with failure – the Shah of Iran gave power to Muslim Bagratians in Kartli and Kakheti. In the 1720s the Kingdom of Kartli tried to choose the same course, but it ended with collapse as well. After that, the authorities of Kartli and Kakheti took orientation on Iran which lasted for about 20 years. From the seventies of the 18<sup>th</sup> century, the king of Kartli-Kakheti Erekle II was trying to save the country with his Russian orientation, which finally ended with the conquest of the Georgian kingdom of Kartli-Kakheti.

The analysis of the history of Russian-Georgian relations shows that the orientation on Russia during XV-XVIII centuries was pernicious for the country. It was quite possible to preserve Georgian statehood, language, mentality and Orthodox religion with the orientation on Iran and the Ottoman Empire.

## დასავლეთ საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში (1803-1810 წლებში)

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა (1801 წლის 12 სექტემბერი) და ქვეყნის ოკუპაციის (1802 წ.) შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარი იმერეთის სამეფოს დაპყრობისათვის მზადებას შეუდგა.

პეტერბურგში კარგად უწყოდნენ იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ანტირუსული განწყობილების შესახებ. გადაწყდა იმერეთის მეფის პოზიციების შესუსტების მიზნით სამეგრელოს მთავრის გამოყენება. რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა კარგად ისარგებლეს იმერეთის მეფის, სოლომონ II-ისა და სამეგრელოს მთავრის, გრიგოლ დადიანის დაპირისპირებით. მათი ინტერესები ლეჩხუმის გამო შეეჯახა. მართალია, სამართლებრივი თვალსაზრისით სამეგრელოს მთავარი იმერეთის მეფის ვასალი იყო, მაგრამ გრიგოლ დადიანი სოლომონ II-ს ლეჩხუმს ედავებოდა. რუსებმა გრიგოლ დადიანს იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომა აღუთქვეს, მაგრამ პირობა წაუყენეს: სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში უნდა შესულიყო. გრიგოლ დადიანი რუსების პირობას დასთანხმდა.

1803 წლის ნოემბერში საქართველოს მთავარსარდალმა გენერალმა პავლე ციციანოვმა (ციციშვილმა) პოლკოვნიკი მაინოვი სამეგრელოში გააგზავნა. მაინოვს სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანისათვის უნდა გაეცნო პავლე ციციანოვის მიერ შემუშავებული იმ „სათხოვარი პუნქტების“ შინაარსი, რომელიც სამეგრელოს მთავარს რუსეთის იმპერატორისათვის უნდა გაეგზავნა. 1803 წლის 1 დეკემბერს სოფელ ჭალადიდეში პოლკოვნიკი მაინოვი შეხვდა გრიგოლ დადიანს და „სათხოვარი პუნქტების“ შინაარსი გააცნო. „სათხოვარი პუნქტები“ სამეგრელოს მთავარმა და დედოფალმა მოიწონეს. 1803 წლის 4 დეკემბერს გრიგოლ დადიანმა, პოლკოვნიკ მაინოვისა და ცაიშის ეპისკოპოსის თანდასწრებით, ხელი მოაწერა „სათხოვარ პუნქტებს“ და რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის ქვეშევრდომობაზე დაიფიცა. აღსანიშნავია, რომ „სათხოვარ პუნქტებში“ სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი (ცხადია, რუსეთის თანხმობით) თავის თავს ასე იხსენიებდა: „Князь Григорий Дадиани, законный владетель одишской, лечхумской, сванетской, ахазской и всех земель, искони предкам моим принадлежащих“. დაფიცების შემდეგ გრიგოლ დადიანმა სამოსზე რუსეთის იმპერატორის მიერ ბოძებული წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენი მიიბნია (ორდენი პოლკოვნიკმა მაინოვმა ჩაიტანა სამეგრელოში).

სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შემდეგი პირობებით შევიდა:

1) სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის სამუდამო მფარველობაში შედიოდა.

2) სამეგრელოს მთავრის, გრიგოლ დადიანის, მემკვიდრეთა უფროს შტოს შეუნარჩუნდებოდა სამთავროს ტახტი, ახალი მთავრის ტახტზე ასვლა დადასტურდებოდა რუსეთის იმპერატორის სიგელით.

3) სასამართლო და სასჯელის აღსრულების უფლება რჩებოდა სამეგრელოს მთავრისა და მისი მემკვიდრეების გამგებლობაში.

4) სამეგრელოში მუდმივად უნდა მდგარიყო რუსეთის ჯარი.

5) თუ სამეგრელოში ახალი ქალაქი დაარსდებოდა, რუსეთის იმპერიის ხაზინა ამ ქალაქისაგან ისევე მიიღებდა გადასახადს, როგორც ღებულობდა რუსეთის ქალაქებისაგან.

6) თუ სამეგრელოში წიაღისეულის ახალი საბადოს დამუშავება დაიწყებოდა, მიღებული შემოსავლის ნაწილი რუსეთის ხაზინაში უნდა შესულიყო.

7) სამეგრელოს მოსახლეობა რუსეთის ხელისუფლებას უნდა დამორჩილებოდა.

8) სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარისათვის საცხოვრებელი შენობა (ყაზარმა) სამეგრელოს მთავარს უნდა აეშენებინა, მასვე უნდა უზრუნველყო შენობის გათბობა და განათება.

9) სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარი სამეგრელოს მთავარს უნდა გამოეყვება.

10) წიაღისეულის საბადოს დამუშავების მიზნით მონვეული მუშებისათვის ხელფასი უნდა აენაზღაურებინათ რუსეთის იმპერიის შესაბამისი უწყების მიერ დადგენილი ნორმის მიხედვით.

11) სამეგრელოს სამთავროდან გემთმშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყეს რუსეთი უფასოდ გაიტანდა.

12) თუ სამეგრელოს სანაპიროზე ნავსადგური აშენდებოდა, რუსეთიდან ჩამოსული ვაჭრები ამ ნავსადგურით სარგებლობისათვის ბაჟს არ გადაიხდიდნენ.

13) რუსეთის იმპერატორს ხელისუფლების სიმბოლოდ სამეგრელოს მთავრისათვის, ტრადიციისამებრ, უნდა ებოძებინა ხმალი და დროშა.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის „სათხოვარი პუნქტები“ შეიწყნარა და მის საფუძველზე სამეგრელოს სამთავრო ქვეშევრდომობაში მიიღო. 1804 წლის 4 ივლისს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა სიგელს სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მიღების თაობაზე. სიგელში აღნიშნული იყო, რომ, გრიგოლ დადიანის თხოვნის თანახმად, სამეგრელოს სამთავრო მიღებული იყო „в вечное подданство“. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე I-ის სიგელში გრიგოლ დადიანი მხოლოდ სამეგრელოს მთავრად იხსენიება და მის სამფლობელოში არ იგულისხმებოდა აფხაზეთი და სვანეთი. 1805 წელს რუსეთის იმპერატორის სიგელი სამეგრელოში ჩამოიტანეს და სამეგრელოს მთავრის მემკვიდრეს ლევან დადიანს გადასცეს (გრიგოლ დადიანი ამ დროისათვის გარდაცვლილი იყო). სიგელის გაცემის ცერემონიალს დაესწრნენ დიდებულები და სამღვდელოება. რუსეთის იმპერატორის სიგელი წაიკითხეს ეკლე-

სიებში. ლევან დადიანს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ქვეშევრდომობის ფიცის მიღების შემდეგ გადაეცა იმპერატორისაგან ბოძებული წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენი, ხმალი და დროშა.

იმერეთის მეფის ვასალის სამეგრელოს მთავრის ქვეშევრდომობაში მიღებით რუსეთის იმპერატორმა შელახა მონარქის, სოლომონ II-ის, უფლებები, ხელყო იმერეთის სამეფოს ტერიტორიული მთლიანობა.

\* \* \*

სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მიღებამ ძალზე გააძლიერა იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა. ალექსანდრე I-ის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ და ქვეყნის ოკუპაციამ სოლომონ II დაარწმუნა იმაში, რომ მალე იმერეთის სამეფოს ჯერიც დადგებოდა, რუსეთის საიმპერატორო კარი თავისი ანტირუსული განწყობილებით ცნობილ სოლომონ II-ს მეფობას დიდხანს აღარ შეუნარჩუნებდა. სოლომონ II იმასაც გრძნობდა, რომ რუსეთი იმერეთის სამეფოს მფარველობაშიც კი აღარ მიიღებდა და იმერეთის მეფეს ქვეშევრდომობას შესთავაზებდა. სოლომონ II-თვის ცნობილი იყო, რომ რუსი დიპლომატები და სამხედროები სამეგრელოს მთავრის შემდეგ გურიის მთავრის გადაბირებას ცდილობდნენ.

1804 წელს საქართველოს მთავარსარდალი გენერალი პავლე ციციანოვი ჯარით შეიჭრა იმერეთში და მოსახლეობის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება დაიწყო. სოლომონ II კარგად ხედავდა, რომ რუსეთის ჯარის შეტევას ვერ შეაჩერებდა. მეფე იძულებული გახდა, გენერალ პავლე ციციანოვთან მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო. ამასთან ერთად, სოლომონ II-მ მოლაპარაკების პირობად ლეჩხუმის იმერეთის სამეფოს ნაწილად აღიარება მოითხოვა. პავლე ციციანოვმა პირობა უსაფუძვლოდ ცნო. გენერალი იმერეთის მეფეს ომით ემუქრებოდა. სამაგიეროდ, პავლე ციციანოვმა სოლომონ II-ს დაუთმო გურიის საკითხთან დაკავშირებით – გურია იმერეთის სამეფოს ნაწილად იქნა ცნობილი.

1804 წლის 25 აპრილს სოფელ ელაზნაურში სოლომონ II-მ და პავლე ციციანოვმა ხელი მოაწერეს ტრაქტატს. ელაზნაურის ტრაქტატი იყო იმერეთის მეფე სოლომონ II-ის „სათხოვარი პუნქტები“ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი. ეს „სათხოვარი პუნქტები“ სინამდვილეში პავლე ციციანოვის მიერ იყო ნაკარნახევი. ელაზნაურის ტრაქტატი ასეთი შინაარსისა იყო:

1) ტრაქტატის ძალით, იმერეთის მეფე და იმერეთის სამეფო გადადიოდა რუსეთის ქვეშევრდომობაში („в вечное и верное рабство и подданство Высочайшей Всероссийской державе“).

2) იმერეთის სამეფოში შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო სამეფო დინასტია, რაც რუსეთის იმპერატორს სიგელით უნდა დაედასტურებინა.

3) სასამართლო და სასჯელის აღსრულების უფლება იმერეთის მეფის გამგებლობაში რჩებოდა.

4) იმერეთის სამეფოში განლაგდებოდა რუსეთის ჯარი, რომელიც დაიცავდა ქვეყანას გარეშე მტრებისაგან და უზრუნველყოფდა შინაგან წესრიგს.

5) იმერეთის სამეფოში ნიალისეულის ახალი საბადოს დამუშავებით მიღებული შემოსავლის ნაწილი რუსეთის იმპერიის ხაზინაში უნდა შესულიყო.

6) თუ იმერეთის სამეფოში ახალი ქალაქი დაარსდებოდა, რუსეთის იმპერიის ხაზინა ამ ქალაქიდან ისევე მიიღებდა გადასახადს, როგორც იღებდა რუსეთის ქალაქებისაგან.

7) იმერეთის მეფე რუსეთის ხელისუფლებას უნდა დამორჩილებოდა, როგორც ქვეშევრდომი („как верноподданный цар“).

8) რუსეთის ჯარისათვის იმერეთის მეფეს უნდა აეგო შენობები (ყაზარმები) და უზრუნველყო მათი გათბობა.

9) იმერეთის მეფეს რუსეთის ჯარი უნდა მოემარაგებინა სურსათითა და ფურა-უით.

10) თუ იმერეთის სამეფოში ნიალისეულის ახალი საბადოს დამუშავება დაიწყებოდა, მონვეული მუშებისათვის ხელფასი უნდა აენაზღაურებინათ რუსეთის შესაბამისი უწყების მიერ დადგენილი ნორმის მიხედვით.

11) იმერეთის სამეფოდან რუსეთი უფასოდ გაიტანდა გემთმშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყეს.

12) სამეგრელოს სამთავროს მიმართ იმერეთის მეფეს არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა. იმერეთის მეფეს სამეგრელოს მთავრისათვის უნდა დაებრუნებინა ტყვეები და დაეცალა საბრძოლო მოქმედებების დროს დაკავებული სამეგრელოს ციხეები.

13) იმერეთის მეფეს უნდა მოენესრიგებინა და დაეცვა ქუთაისიდან ვაჰანის ციხემდე მიმავალი გზა, ასევე ქუთაისიდან სამეგრელოსა და ფოთისაკენ მიმავალი გზა.

14) სოლომონ II-ს ტახტის მემკვიდრის, უფლისწულ კონსტანტინე დავითის ძისათვის უნდა მიეცა შემოსავალი საუფლისწულო მამულიდან.

15) ტახტის მემკვიდრე, უფლისწული კონსტანტინე დავითის ძე სოლომონ II-ის გარდაცვალებამდე დარჩებოდა ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ან რუსეთში, რათა მიეღო ტახტის მემკვიდრისათვის აუცილებელი განათლება.

16) რუსეთის საქონელი, რომლის გადატანა ხორციელდებოდა ქართლ-კახეთიდან შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ და პირიქით, არ უნდა დაბეგრლიყო.

17) იკრძალებოდა მოსახლეობის გადასვლა იმერეთის სამეფოდან ქართლ-კახეთში და პირიქით.

რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის ქვეშევრდომობაზე დაფიცების შემდეგ სოლომონ II-ს გადაეცა რუსეთის იმპერატორის მიერ ნაბოძები წმინდა ალექსანდრე ნეველის ორდენი.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა იმერეთის მეფე და იმერეთის სამეფო „სათხოვარი პუნქტების“ საფუძველზე ქვეშევრდომობაში მიიღო. იმერეთის სამეფოს ქვეშევრდომობაში მიღების სიგელს ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა 1804 წლის 4 ივლისს. სიგელში აღნიშნული იყო, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II და იმე-

რეთის სამეფო შედიოდა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში („в вечное подданство“). ალექსანდრე I-ის სიგელში სოლომონ II მხოლოდ იმერეთის მეფედ იწოდებოდა, მის სამფლობელოში არ იგულისხმებოდა სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი.

1809 წელს კავკასიის მთავარმართებელმა (მთავარსარდალმა) ალექსანდრე ტორმასოვმა, პეტერბურგიდან მიღებული მითითების თანახმად, დაარღვია ელაზნაურის ტრაქტატი და სოლომონ II ტახტიდან გადააყენა. 1810 წელს ალექსანდრე ტორმასოვმა სოლომონ II შეიპყრო, მაგრამ მეფემ ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა. 1810 წელს რუსეთის ჯარებმა იმერეთი დაიპყრო. სოლომონ II ოსმალეთში გადაიხვეწა.

იმერეთის მეფის ტახტიდან გადაყენებისა და დამარცხების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარმა უკან ნაილო დადებული პირობა გურიის სამთავროს იმერეთის სამეფოს ნაწილად ცნობის შესახებ. 1810 წელს, რუსეთის ნაქეზებით, გურიის მთავარმა დამოუკიდებლად ითხოვა რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღება. თხოვნა შეწყნარებულ იქნა – გურიის სამთავრო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შევიდა.

ასე გათელა ფეხქვეშ რუსეთის იმპერატორმა მეორე ქართველი მონარქის – იმერეთის მეფე სოლომონ II-ის უფლებანი, დაარღვია ელაზნაურის ტრაქტატი და იმერეთის სამეფო უთოფოდ დაიპყრო.

1804 წლის აპრილში დადებული ელაზნაურის ტრაქტატი რუსეთის საიმპერატორო კარს აღარ აკმაყოფილებდა. მზადდებოდა იმერეთის სამეფოს გაუქმება. კავკასიის ახალ მთავარსარდალს (მთავარმართებელს) გენერალ ალექსანდრე ტორმასოვს არ მოსწონდა, რომ სოლომონ II, ელაზნაურის ტრაქტატის მიუხედავად, თავს დამოუკიდებელ მონარქად გრძნობდა. ალექსანდრე ტორმასოვმა სოლომონ II-ის წინააღმდეგ იმერეთის თავადების გადაბირება დაიწყო. სოლომონ II-მ გადაწყვიტა, ელაზნაურის ტრაქტატი განეახლებინა ისე, რომ მისი უფლებების შემზღუდავი მუხლები ან საერთოდ ამოეღო, ან შეერბილებინა მაინც.

კავკასიის მთავარმართებელ გენერალ ალექსანდრე ტორმასოვისათვის იმერეთის მეფე სოლომონ II-ის მიერ გაგზავნილი ახალი ხელშეკრულების პროექტი რუსულ თარგმანში ასეა დასათაურებული „Пункты новой обязанности нашей“. დოკუმენტი 1810 წლის იანვარშია შედგენილი. იგი შემდეგი შინაარსისაა:

- 1) იმერეთის მეფე სოლომონ II ცნობდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის უზენაეს ხელისუფლებას იმერეთის სამეფოზე.
- 2) იმერეთის მეფე ხელახლა დებდა ფიცს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე.
- 3) ხელშეკრულების ხელმოწერისა და ფიცის დადების დღიდან იმერეთის მეფე და მისი მემკვიდრეები გადადიოდნენ რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეების ქვეშევრდომობით მფარველობაში („подданическое покровительство“).
- 4) იმერეთის სამეფო რჩებოდა სოლომონ II-ისა და მისი მემკვიდრეების მფლობელობაში. რუსეთის იმპერატორის მიერ გაცემულ ამ უფლების დამადასტურებელ სიგელში აღნიშნული უნდა ყოფილიყო, რომ გურია იმერეთის სამეფოს განუყოფელი ნაწილია.

- 5) იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე მომავალში მოპოვებული ოქროს, ვერცხლისა და სხვა ლითონებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი უნდა გადასცემოდა იმერეთის სამეფო კარს.
- 6) იმერეთის მეფეს უნდა შეესრულებინა რუსეთის იმპერატორის ბრძანებები და განკარგულებები.
- 7) იმერეთის სამეფოდან რუსეთი უფასოდ გაიტანდა გემთმშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყეს. ნავსადგურებამდე ხე-ტყის გადაზიდვი მუშების ხელფასი უნდა გაეცა რუსეთის ხაზინას.
- 8) იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე ტვირთის გადატანისათვის რუსი ვაჭრები ბაჟს არ გადაიხდიდნენ. სამაგიეროდ, რუსეთის ხაზინას იმერეთის მეფისათვის უნდა მიეცა ფულადი კომპენსაცია.
- 9) რუსეთის ჯარის ერთი ასეული (120 კაცი) იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე განლაგდებოდა იქ, სადაც მოისურვებდა იმერეთის მეფე.
- 10) იმერეთის მეფის კარზე მუდმივად უნდა ყოფილიყო რუსეთის მინისტრი (წარმომადგენელი).
- 11) თუ მტერთან ბრძოლის დროს იმერეთში განლაგებული რუსეთის ჯარის გადაადგილება იქნებოდა საჭირო, იმერეთის მეფე მას არ შეზღუდავდა, პირიქით, ყოველმხრივ დაეხმარებოდა.
- 12) სადღესასწაულო ღვთისმსახურების დროს ეკლესიებში მოიხსენიებდნენ რუსეთის მონარქ ალექსანდრე I-სა და სამეფო ოჯახს.  
ზემოთ ჩამოთვლილი თორმეტი პუნქტის შესრულების სანაცვლოდ იმერეთის მეფე სოლომონ II რუსეთის იმპერატორისაგან ითხოვდა:
  - 1) სამეფოს მართვა-გამგეობაში სრულ თავისუფლებას, მათ შორის ქვეშევრდომების დაქვეითებისა და დანიინაურების შეუზღუდველობას.
  - 2) რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა იმერეთის მონარქის მეფობის უფლება, ინვესტიტიურა და რეგალიები.
  - 3) თუ რომელიმე ქვეშევრდომი გამოვიდოდა იმერეთის მეფის წინააღმდეგ (ულაღატებდა მეფეს), რუსეთის საიმპერატორო კარი იმერეთის მეფეს მის დასჯაში უნდა დახმარებოდა და არ მიეღო მოლაღატებები რუსეთის სამსახურში (ჯარში).
  - 4) თუ იმერეთის მეფეს მტერთან საბრძოლველად რუსეთის ჯარის დახმარება დასჭირდებოდა, კავკასიის მთავარსარდალს (მთავარმართებელს) ქართლ-კახეთიდან იმერეთში დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნა ჯარი. ეს ჯარი ომის დამთავრების შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო ქართლ-კახეთში.
  - 5) არავის არ უნდა ჰქონოდა იმის უფლება, რომ იმერეთის მეფის მიერ რუსეთის იმპერატორთან წერილით გაგზავნილი კურიერი გზაში დაეკავებინა, ან შეეფერხებინა.
  - 6) უნდა აღდგენილიყო იმერეთის მეფის უფლება ლეჩხუმზე, რომელიც მას დაათმობინა გენერალმა პავლე ციციანოვმა.
  - 7) იმერეთის მეფის თანხმობის გარეშე არავის არ უნდა ჰქონოდა უფლება ქართლ-კახეთიდან იმერეთში და იმერეთიდან ქართლ-კახეთში მოსახლეობის გადასახ-

ლებისა. წინათ გადასახლებულნი კი უნდა დარჩენილიყვნენ იმ ადგილზე, სადაც ხელშეკრულების დადების დროს იმყოფებოდნენ.

„ახალ ვალდებულებათა პუნქტების“ ბოლოს იმერეთის მეფე სოლომონ II კვლავ ადასტურებდა, რომ სურდა რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობითი მფარველობა („подданическое покровительство“). ამის დასტურად სოლომონ II თავის ხელმოწერილ „ახალ ვალდებულებათა პუნქტებს“ რუსეთის იმპერატორს წარუდგენდა.

სოლომონ II-ის ცდა უშედეგოდ დასრულდა. რუსეთის საიმპერატორო კარს იმერეთის სამეფოს გაუქმება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. იმერეთის მეფის „ახალ ვალდებულებათა პუნქტები“ არც კი განუხილავთ.

1806 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. ცხადი იყო, რომ თუ რუსეთი ოსმალეთს დაამარცხებდა, რუსი დიპლომატები შეეცდებოდნენ აფხაზეთის ხარჯზე კავკასიაში რუსეთის იმპერიის სამფლობელოების გაფართოებას.

ომის დასაწყისისათვის აფხაზეთის მთავარი ქელემ-ბეი შერვაშიძე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აფხაზეთის მთავარმა ოსმალეთის ხელისუფლების მოთხოვნა არ შეასრულა და ოსმალებს არ გადასცა სულთნის მიერ შერისხული ტრაპიზონის ფაშა. ქელემ-ბეის ურჩობამ ძალზე გააღიზიანა სულთანი. რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამ აფხაზეთის მთავარს ოსმალეთის ბატონობისაგან თავის დაღწევის იმედი ჩაუსახა. ქელემ-ბეიმ გადაწყვიტა რუსეთისათვის ეთხოვა დახმარება. მთავრის გადაწყვეტილება მოიწონა აფხაზეთის სახალხო კრებამ. გადაწყდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლა.

რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის გადაწყვეტილება შეიძლებოდა ძვირად დასჯდომოდა ქელემ-ბეის. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთის მთავარი ძალზე ფრთხილობდა. 1806 წელს რუსეთის სარდლობამ ქელემ-ბეის წინადადება მისცა, აფხაზეთის ლაშქრით დაეკავებინა ფოთის ციხე (ფოთის ციხეში ოსმალეთის ჯარით იდგა ქელემ-ბეი შერვაშიძის ნათესავი ქურჩუკ-ბეი შერვაშიძე). აფხაზეთის მთავარმა ოსმალეთის წინააღმდეგ აშკარა ამბოხება ვერ გაბედა და ფოთის ციხეზე არ ილაშქრა. იმხანად ომის ბედი გაურკვეველი იყო. თუ ოსმალეთი რუსეთს დაამარცხებდა, ქელემ-ბეის ფოთზე ლაშქრობას ოსმალეთის სულთანი არ აპატიებდა. აფხაზეთის მთავარს არც რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება სურდა. ამიტომ იყო, რომ რუსეთის სარდლობას მან გარკვეული დახმარება მაინც გაუნია – ოსმალებს არ მისცა საშუალება აფხაზეთი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გამოეყენებინა. აფხაზეთის მთავრის ასეთმა მოქმედებამ ძალზე შეზღუდა ოსმალეთის ჯარების აქტიურობა დასავლეთ საქართველოში.

აფხაზეთის მთავარს, ქელემ-ბეის, სიცოცხლის ფასად დაუჯდა ოსმალეთის ურჩობა. მთავრის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო. 1808 წლის 2 მაისს ქელემ-ბეი მოკლა მისმა შვილმა ასლან-ბეიმ. ამ უკანასკნელმა სოხუმის ციხე დაიკავა და თავი აფხაზეთის მთავრად გამოაცხადა. ასლან-ბეის წინააღმდეგ გამოვიდა მისი ძმა საფარ-ბეი, მაგრამ მას იმდენი ჯარი არ ჰყავდა, რომ სოხუმის ციხე დაეკავებინა და მამის მკვლელი აფხაზეთიდან გაეძევებინა. საფარ-ბეის ერთადერთ რეალურ მო-

კავშირეს რუსეთის იმპერია წარმოადგენდა. საფარ-ბეი შერვაშიძემ დახმარებისათვის სამეგრელოს სამთავროს მმართველ ნინო ბაგრატიონ-დადიანს მიმართა (გრიგოლ დადიანი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო). მთავრის ქვრივს რუსეთის იმპერიის ხელისუფლებასთან უნდა ეშუამდგომლა, რათა აფხაზეთის სამთავრო რუსეთის მფარველობაში შესულიყო.

1808 წლის 12 აგვისტოს საფარ-ბეი შერვაშიძემ, რომელმაც ქრისტიანული წესით მონათვლის შემდეგ მიიღო სახელი გიორგი, აფხაზ თავადებთან ერთად ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატორისადმი „უშვერდომილეს სათხოველს“. საინტერესოა ამ დოკუმენტის შექმნის ისტორია. „უშვერდომილესი სათხოველი“ დაწერილია „სათხოვარი პუნქტების“ სახით. მისი თავდაპირველი ტექსტი რუსულად შეუდგენიათ რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. შემდეგ დოკუმენტი უთარგმნიათ ქართულად. ქართულმა ტექსტმა მიიღო ორიგინალის მნიშვნელობა. სწორედ ქართულ ტექსტზეა გიორგი შერვაშიძისა და აფხაზი თავადების ხელმოწერა, დასმული აქვს ბეჭედი. ხელმოწერის შემდეგ „უშვერდომილესი სათხოველის“ ქართული დედანი ხელმოწერებითა და ბეჭდით რუსულ თარგმანთან ერთად გაიგზავნა რუსეთში. დოკუმენტი შემდეგი შინაარსისაა:

გიორგი შერვაშიძე, აფხაზეთის მთავრის „მჯუღიერი მემკვიდრე და მპყრობელი აფხაზეთისა“ რუსეთის იმპერატორს სთხოვდა:

1) აფხაზეთის სამთავროს ქვეშევრდომობაში მიღებას („შევეკრაჲ და შემოვალ მონად და მსახურად ვითარცა ყმა...“).

2) ამიერიდან აფხაზეთის მთავარი და აფხაზეთის სამთავრო რუსეთის იმპერატორს ეცნო ქვეშევრდომად („მკვიდრად ყმად და მონად ტახტისა...“).

3) აფხაზეთის მთავარს მიეცეს ქვეშევრდომობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ანუ სიგელი („აღმინიშნოს მე ნიშნითა, ვითარცა სხვანი მთავარნი აღნიშნული არიან საიმპერიოსა ტახტისადმი მონად“).

4) აფხაზეთის მთავარს მიეცეს ტახტზე მემკვიდრეობის სამუდამოდ შენარჩუნების დამამტკიცებელი სიგელი („გარდმომეცეს მე მემკვიდრეობისა ჩემისა დამამტკიცებელი და დამადგინებელი გრამატა“).

5) აფხაზეთის სამთავროში განლაგებულ იქნეს რუსეთის ჯარი („შეიზღუდოს ქვეყანა ჩემი მხედრობითა... ხელმწიფისა ჩვენისა იმპერატორისათა“).

6) აფხაზეთის მთავარი რუსეთის იმპერატორს უნდა ჰყავდეს ისეთივე პატივი, როგორ პატივი იყო მამამისი – ქელემ-ბეი შერვაშიძე („... დაუკლებელი მექმნეს მე სარგებლობა და მონყალება რა იგი აქუნდა მემკვიდრესა და მფლობელსა აფხაზეთისა ქელაიშ აჰმად ბეგს, მამასა ჩემსა“).

7) აფხაზეთის მთავარი რუსეთს უსასყიდლოდ მისცემდა გემთმშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყეს, ასევე სამთავროს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის საბადოებიდან შემოსავლის ნაწილს.

გიორგი შერვაშიძე რუსეთის იმპერატორს აცნობებდა, რომ აფხაზეთის მთავრები და მისი ქვეშევრდომები წინათ ქრისტიანები იყვნენ („... წინაპარნი ჩვენნი ქრისტიანედ ბერძნითავე კანონითა სჯულისათა“).

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1810 წლის 17 თებერვალს დაამტკიცა გიორგი შერვაშიძის „სათხოვარი პუნქტები“. სამთავრო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შევიდა.

1810 წლის 10 ივლისს რუსეთის ჯარმა სოხუმი დაიკავა. 1810 წლის ოქტომბერში გიორგი შერვაშიძეს გადაეცა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის სიგელი აფხაზეთის სამთავროს რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების თაობაზე, ასევე ხელისუფლების სიმბოლოები. გიორგი შერვაშიძე ოფიციალურად გამოცხადდა აფხაზეთის მთავრად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. *Н. Дубровин. Закавказье от 1803-1806 года. С.-Петербург, 1866.*
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იანი წლებამდე. თბილისი, 1973.
3. *Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею. Под редакцией А. Берге. Том IV. Тифлис, 1870.*
4. *Г. Паичадзе. Абхазия в составе Российской империи. 1810-1917 гг. – Разыскания по истории Абхазии/Грузии. Тбилиси, 1999.*
5. *ჭურაბ პაპასჭირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი I. თბილისი, 2004.*

MERAB VACHNADZE

### ADOPTION OF WEST GEORGIA UNDER THE SUPERVISION OF THE RUSSIAN EMPIRE (1803-1810)

#### Summary

**AFTER** the conquest of the Kartli-Kakheti province (1801-1802) the Russian Empire prepared ground for invading Imereti, Megrelia, Guria and Abkhazia. The conquest was presented as taking Georgia under Russian "supervision", which was performed as if voluntarily. In fact, it was a usual annexation and occupation.

## საქკასიის არმიის გენერლები და ოფიცრები 1904-1905 წლებში

უკანასკნელ წლებში ქართულ ისტორიოგრაფიაში სპეციალური კვლევის საგანი გახდა რუსეთის არმიის ქართველი ეროვნების გენერლებისა და ოფიცრების მონაწილეობა 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში.<sup>1</sup> ამ საკითხის გარშემო არსებული მწირი ცნობები, მიმოფანტული იმდროინდელ სხვადასხვა გამოცემასა თუ პრესაში, არ არის შეკრებილი, სათანადოდ გაანალიზებული და შესწავლილი. ამ ომში მონაწილე არაერთი ქართველი გენერლის ღვაწლი აისახა ლევან დოლიძის<sup>2</sup> და მამუკა გოგიტიძის პუბლიკაციებში,<sup>3</sup> გამოქვეყნდა სპეციალური ნარკვევი ამავე ომის მონაწილე, გამოჩენილი გენერლის გიორგი კვინიტაძის შესახებ.<sup>4</sup>

პირველადი მასალების შესწავლამ გვიჩვენა, რომ 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის არმიის ქართველი ეროვნების არანაკლებ 12 გენერალი მონაწილეობდა. დადგინდა ამ ომში მონაწილე 40 ქართველი ოფიცრის ვინაობა, რომლებიც 1921 წლისათვის გენერლის წოდებამდე ამაღლდნენ. ამავდროულად, გამოირკვა, რომ რუსეთ-იაპონიის ომში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში კავკასიის სამხედრო ოლქის საჯარისო შენაერთები ნაკლებად იყვნენ ჩართულნი. საგანგებოდ შევისწავლეთ კავკასიის სამხედრო ოლქის გენერალთა და შტაბ-ოფიცერთა (პოლკოვნიკთა) კორპუსის შემადგენლობა, რომელთა შორის არაერთი ეროვნებით ქართველი გენერალი და ოფიცერია. ასეთი სახის სამუშაო დღემდე არ შესრულებულა ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

კვლევის შედეგები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. 1904 წელს კავკასიის სამხედრო ოლქში მსახურობდა 120 გენერალი: 3 – სრული გენერალი, 26 – გენერალ-ლეიტენანტი, 91 – გენერალ-მაიორი. სრული გენერლებიდან 2 იყო ინფანტერიის (თავადი გ. გოლიცინი, ა. ფრეზე), ხოლო ერთი – კავალერიის გენერალი (თავადი ივანე ამილახორი (ამილახვარი). გენერალ-ლეიტენანტებს შორის მხოლოდ ორი ქართველი იყო: თავადი გიორგი ხიმშიაშვილი, თავადი ივანე ჯამბაყურიან-ორბელიანი. გენერალ-მაიორის წოდება არც ერთ ქართველს არ ჰქონდა.

<sup>1</sup> *ჟორდანიას ოთარი, გაბედავა მერი*. ქართველები რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905 წწ.). საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, IX. თბ., 2006.

<sup>2</sup> *დოლიძე ლევან*. გენერალისიმუსი, მარშლები, გენერლები, ადმირალები – ჩვენი თანამემამულენი (1700-2000), თბ., 2000.

<sup>3</sup> *Госитидзе Мамука*. Грузинский генералитет (1699-1921). Биографический справочник. Киев, 2001.

<sup>4</sup> *ჟორდანიას ოთარი, გაბედავა მერი*. გენერალ გიორგი კვინიტაძის ბიოგრაფიისათვის. – ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ სოხუმის ფილიალის მოამბე. ტ. 2, სერია , თბ., 2004.

1904 წელს კავკასიის არმიის გენერალ-ლეიტენანტთა კორპუსის შემადგენლობა ასაკობრივი თვალსაზრისით ასე გამოიყურებოდა: 55 წლამდე იყო 2 გენერალი, 60 წლამდე – 6, 65 წლამდე – 8, 70 წლამდე – 5, 80 წლამდე – 2, 80 წელზე ზევით ასაკის – 3. მამასადამე, 26 გენერალ-ლეიტენანტიდან 18 გადაცილებული იყო 60 წელს, რაც ნათლად მტყველებს კავკასიის არმიის უმაღლეს ხელმძღვანელობაში არსებულ გერონტოკრატიაზე.

1904 წელს გენერალ-ლეიტენანტის წოდება 5 გენერალს მიენიჭა (დ. ოდინცოვი, ნ. აგაპევი, ზ. ტარნოვსკი, მ. რეშეტინი, ვ. ჟილიაევი), რომელთა საშუალო ასაკი 57 წელს შეადგენდა. მათ შორის 1 იყო კავკასიის ომის 1863-1864 წლების სამხედრო კამპანიის (ზ. ტარნოვსკი), 3 – რუსეთ-თურქეთის (1877-1878) ომის, ხოლო 1 – 1900-1901 წლების რუსეთ-ჩინეთის სამხედრო კონფლიქტის მონაწილე (ნ. რეშეტინი).

8 გენერალ-ლეიტენანტი წმინდა გიორგის ორდენის კავალერი იყო, მათ შორის – 2 ქართველი თავადი (გ. ხიმშიაშვილი და ი. ჯამბაკურიან-ორბელიანი).<sup>1</sup>

2. 1905 წელს კავკასიის არმიაში სამხედრო სამსახურს გადიოდა 108 გენერალი. მათგან მხოლოდ 1 იყო სრული გენერალი (ი. ვორონცოვ-დაშკოვი), 24 – გენერალ-ლეიტენანტი და 86 – გენერალ-მაიორი. გენერალ-მაიორთაგან ქართველები იყვნენ თავადი გიორგი ორბელიანი და ვარლამ თაყაიშვილი.

გენერალ-ლეიტენანტების საშუალო ასაკი 64 წელი იყო, ხოლო ამ წოდებას სამხედრო მოღვაწეობის საშუალოდ 58 წლის ასაკში აღწევდნენ. 1905 წელს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიიღეს ა. სამოილოვა, ნ. შიშკოვსკიმ და ნ. სვეტლოვსკიმ. გენერალ-ლეიტენანტი ა. სამოილოვი მონაწილეობდა კავკასიის ომის 1862-1863 წლების სამხედრო კამპანიაში, ნ. სვეტლოვი – რუსეთ-თურქეთის (1877-78) ომში, ხოლო ნ. შიშკოვსკის მონაწილეობა საბრძოლო ოპერაციებში, ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან, არ დასტურდება.<sup>2</sup> გენერალ-მაიორების საშუალო ასაკი 55 წელს შეადგენდა.

კავკასიის სამხედრო ოლქში, წინა წლებთან შედარებით, თვალში საცემია ქართველი ეროვნების გენერალთა და ოფიცერთა სიმცირე. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველებმა თავისი წვლილი შეიტანეს რუსეთის არმიის ისტორიაში.

კავალერიის გენერალი, თავადი ივანე გვიის ძე ამილახვარი (1829-1905) რუსეთის არმიის გამოჩენილი მხედარმთავარი იყო. მეთაურობდა კავკასიის საარმიო კორპუსს. მონაწილეობდა კავკასიის (1817-1864), ყირიმისა (1853-1856) და 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში. 1849 წელს სამხედრო ბრძოლებში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისათვის დაჯილდოვდა სამხედრო ორდენის წარჩინების წიშით (1913 წლიდან ეწოდება გიორგის ჯვარი), ხოლო 1852 წლის 20 სექ-

<sup>1</sup> 1904 წლის ყველა სტატისტიკური მონაცემი ჩვენია. გაანგარიშებები გაკეთებულია წიგნის – Список генералов и штаб-офицеров Кавказского военного округа. Исправлен по 1-е апреля 1904 г. Тифлис, 1904 – მიხედვით.

<sup>2</sup> 1905 წლის სტატისტიკური გაანგარიშებები გაკეთებულია წიგნის – Список генералов и штаб-офицеров Кавказского военного округа. Исправлен по 1-е сентября 1905 г. Тифлис, 1906 – მიხედვით.

ტემბერს ოფიცრის ჩინი ებოძა. 1873 წლიდან თავადი ივანე ამილახვარი გენერალ-მაიორია. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში განსაკუთრებული საბრძოლო წარჩინებისათვის დაჯილდოვდა წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით (1878). 1896 წელს მიენიჭა კავალერიის გენერლის, ხოლო 1901 წელს – გენერალ-ადიუტანტის ნოდებები.

გენერალ-ლეიტენანტი, თავადი ივანე ჯამბაკურიან-ორბელიანი (1845-1912) მონაწილეობდა კავკასიისა (1817-1864) და 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში. განსაკუთრებული საბრძოლო წარჩინებისათვის 1878 წელს დაჯილდოვდა წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით. 1893 წლის 30 აგვისტოს მიენიჭა გენერალ-მაიორის, 1901 წლის 1 იანვარს – გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო ნოდებები. თავადი ივანე ჯამბაკურიან-ორბელიანი 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილეა, სადაც სახელი გაითქვა როგორც მამაცმა გენერალმა.

გენერალ-ლეიტენანტი, თავადი გიორგი სპირიდონის ძე ხიმშიაშვილი (1836-1917) მონაწილეობდა კავკასიის, ყირიმის, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში. გამოჩენილი საბრძოლო წარჩინებისათვის 1878 წელს დაჯილდოვდა წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით. 1892 წლიდან გენერალ-მაიორია, ხოლო 1901 წლიდან – გენერალ-ლეიტენანტი. 1908 წელს, რუსეთის არმიის გამოჩენილ მოღვაწეს, თავად გიორგი ხიმშიაშვილს არტილერიის გენერლის ნოდება ებოძა.

გენერალ-მაიორმა, თავადმა გიორგი ილიას ძე ორბელიანმა (1853-1915) სამხედრო სამსახური 1873 წელს დაიწყო. ოფიცრის ნოდება მიიღო 1875 წლის აგვისტოში. მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა წმინდა ანას IV ხარისხის ორდენით წარწერით „მამაცობისათვის“ და წმინდა ვლადიმირის IV ხარისხის ორდენით ხმლებითა და ბაფთით (1877). 1896 წლიდან პოლკოვნიკია. ასრულებდა მთავრობის საპასუხისმგებლო დავალებებს საზღვარგარეთ. იყო ავღანეთის მეფის სამხედრო მრჩეველი. თავი ისახე-ლა რუსეთ-იაპონიის ომში. გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა ოქროს იარაღით წარწერით „მამაცობისათვის“ და წმინდა სტანისლავის I ხარისხის ორდენით. 1904 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის ნოდება. ომის დამთავრების შემდეგ მეთაურობდა მსხვილ სამხედრო შენაერთებს. 1910 წელს თავად გიორგი ორბელიანს გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო ნოდება ებოძა.<sup>1</sup>

გენერალ-მაიორ ვარლამ სიმონის ძე თაყაიშვილის სახელი არ აისახა უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ ლიტერატურაში. ჩვენ მიერ მოპოვებული ცნობები ამ პიროვნების სამხედრო ღვაწლის შესახებ მწირია, მაგრამ საკმაოდ საინტერესო. იგი დაიბადა 1857 წლის 11 თებერვალს. 1878 წელს მიიღო ოფიცრის, ხოლო 25 წლის შემდეგ გენერალ-მაიორის ნოდება (17. 04. 1905). 1905 წელს სამხედრო სამსახურს გადიოდა კავკასიის ოლქის სამხედრო შეტყობინებების უფროსის თანამდებობაზე. წარჩინებული სამსახურისათვის ვარლამ თაყაიშვილი დაჯილდოვდა წმინდა სტა-

<sup>1</sup> იხ. *Госитиძე Мамუკა*. დასახ. ნაშრომი, გვ. 21-24, 123-124.

ნისლავის III და II, წმინდა ანას III და II ხარისხების ორდენებით. შემდგომი პერიოდის მისი ცხოვრების ამსახველი ცნობები არ მოგვეპოვება.<sup>1</sup>

ამრიგად, 1904-1905 წლებში კავკასიის მოქმედ არმიის მსახურობდა 5 ქართველი ეროვნების გენერალი. მათ შორის, სამხედრო მიღებული ჰქონდა უმაღლესი სამხედრო ჯილდო – წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენი (თავადი ი. ამილახვარი, თავადი ი. ჯამბაკურიან-ორბელიანი და გენერალ-ლეიტენენტი, თავადი გ. ხიმშიაშვილი). ერთი მათგანი – თავადი ივანე გივის ძე ამილახვარი, ამასთანავე, დაჯილდოებული იყო ჯარისკაცის უმაღლესი ჯილდოთი – სამხედრო ორდენის წარჩინების ნიშნით (1851).<sup>2</sup>

საკითხის სისრულისათვის აღვნიშნავთ, რომ 1905 წელს წმინდა გიორგის ორდენის კავალერი იყო ინფანტერიის გენერალი, გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი (IV ხარისხი). ეს ჯილდო მიღებული ჰქონდა კავკასიის არმიის 4 გენერალ-ლეიტენანტს (ისმაილ-ხანს, ი. მალამას, ვ. იაცკევიჩს (ყველას IV ხარისხი), ს. ფადეევს (III ხარისხი) და 4 გენერალ-მაიორს (კ. გალერს, ი. კუსოვს, მ. მარტინოვს, მ. ალიხანოვს (ყველას IV ხარისხი). ჩამოთვლილი 9 გენერლიდან 7 – ეს ჯილდო მიღებული ჰქონდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში გამოჩენილი საბრძოლო წარჩინებისათვის.

3. 1904 წელს კავკასიის სამხედრო ოლქში გენერალ-ლეიტენანტთა შორის 5 იყო თავადი (გ. გოლიცინი, ი. ამილახვარი, ა. ბარიატინსკი, გ. ხიმშიაშვილი, ი. ჯამბაკურიან-ორბელიანი), 1 გრაფი (ი. ბორხი), 1 ხანი (ისმაილ-ხანი). 1905 წელს კავკასიის არმიის მსახურობდა 2 თავადი (ა. ბარიატინსკი, გ. ორბელიანი), 2 – გრაფი (ი. ვორონცოვ-დაშკოვი, ი. ბორხი), 1 – ხანი (ისმაილ-ხანი), 1 – ბეგი (ალი-ბეგ პენზულაევი) და 1 – პრინცი – ლ.კ. ლუი ნაპოლეონი.

4. გენერალ-ლეიტენანტების ომებსა და სამხედრო ექსპედიციებში მონაწილეობის შესწავლისას დადგინდა, რომ კავკასიის სამხედრო ოლქში 1904 წელს მსახურობდა კავკასიის, ყირიმისა და 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე 3 გენერალ-ლეიტენანტი, 2 – კავკასიის ომის, 3 – კავკასიისა და რუსეთ-თურქეთის (1877-78) ომის, 3 – ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის (1877-78) ომის, 4 – რუსეთ-თურქეთის (1877-78) ომის, 8 – რუსეთ-თურქეთის (1877-78) ომისა და სხვა სამხედრო კამპანიების, 1 – სხვა სამხედრო კამპანიების მონაწილე, ხოლო ერთი საერთოდ არ ყოფილა ბრძოლის ველზე.

1905 წელს კავკასიის არმიის მსახურობდა კავკასიის, ყირიმისა და 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე 1 გენერალ-ლეიტენანტი, 2 – კავკასიის ომისა და 1 – ყირიმის ომის მონაწილე. 2 იბრძოდა კავკასიისა და 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში, 2 – ყირიმისა და 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში. მხოლოდ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე იყო 5 გენერალი. 1877-78 წლების ომისა და სხვა სამხედრო ექსპედიციებში მონაწილეობდა 4 გენერალი, ხოლო სხვა სამხედრო ექსპედიციებში – 1. სამხედრო კამპანიებში საერ-

<sup>1</sup> Список, т.б., 1906, г.б. 32.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 6.

თოდ არ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული 1-ს. არ მოგვეპოვება ცნობები ორი გენერალ-ლეიტენანტის საბრძოლო საქმიანობის შესახებ.

ამრიგად, 1904 წელს 26 გენერალ-ლეიტენანტიდან 21 იყო 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. 1905 წელს 21 გენერალ-ლეიტენანტიდან 4 იყო კავკასიისა და ყირიმის ომების, ხოლო 14 – 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ვეტერანი.

5. 1905 წელს კავკასიის არმიაში 86 გენერალ-მაიორი მსახურობდა. მათი სამხედრო ბიოგრაფიის შესწავლამ გვიჩვენა, რომ 24 გენერალ-მაიორს არ მიუღია მონაწილეობა სამხედრო კამპანიაში. 4 გენერალ-მაიორი იყო კავკასიის ომის, 5 – კავკასიისა და 1877-1778 წლების რუსეთ-თურქეთის ომების, 40 – რუსეთ-თურქეთის (1877-78) ომისა და სხვა სამხედრო კამპანიის, 3 – სხვა სამხედრო კამპანიების მონაწილე, ხოლო 10-ზე ცნობები საბრძოლო საქმიანობის შესახებ არ მოგვეპოვება.

6. 1904 წელს კავკასიის სამხედრო ოლქში მსახურობდა 218 პოლკოვნიკი, ხოლო 1905 წელს – 221. 1904 წლის 1 აპრილის მონაცემებით, ქართველთაგან პოლკოვნიკის წოდება ჰქონდა მხოლოდ 15-ს (გ. გვათუა, თავადი ნ. ვახვახიშვილი (ვახვახოვი), თავადი ა. მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი), ს. ჯავრიშვილი (ჯავროვი), თავადი ს. ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი), ი. მაკარაშვილი (მაკაროვი), თავადი დ. მიქელაძე, თავადი მ. ციციშვილი (ციციანოვი), რ. ჩიკოძი, ნ. ბარათაშვილი (ბარათოვი), ვ. გაბაშვილი (გაბაევი), კ. ჭყონია, ი. ახვლედიანი, ა. ულენტი, თავადი ი. მაყაშვილი (მაკაევი). მათგან 1 იყო 40 წლამდე, 50 წლამდე – 2, 55 წლამდე – 6, 60 წლამდე – 4, 70 წელს გადაცილებული – 2.

ქართველი ეროვნების 10 ოფიცერს პოლკოვნიკის წოდება მინიჭებული ჰქონდა 1880-1900 წლებში, ხოლო 5-ს – 1904 წლის მაის-დეკემბერში. მათ შორის მხოლოდ ერთი იყო 50 წლამდე, დანარჩენები კი გადაცილებულნი იყვნენ ნახევარსაუკუნოვან ზღვარს.

1905 წელს კავკასიის სამხედრო ოლქში სამსახურს გადიოდა ქართველი ეროვნების 12 პოლკოვნიკი, რომელთაგან 3-ს ეს წოდება 1905 წელს ჰქონდა მიღებული (ი. დიდებულიძე, ი. ჯაიანი, თავადი დ. აბაშიძე).

1904-1905 წლებში კავკასიის არმიის ოფიცერთა კორპუსში საგრძნობლად იქლო ტიტულირებული თავადაზნაურობის წარმომადგენელთა რიცხვმა. მათი რაოდენობა 1904 წელს იყო 9 (3 ქართველი), 1905 წელს – 10 (3 ქართველი).

1904-1905 წლებში კავკასიის არმიის ოფიცერთა კორპუსში 6 პოლკოვნიკი გიორგის კავალერი იყო, მათ შორის – სამი ქართველი (ი. მაკარაშვილი, თავადი მ. ციციშვილი, თავადი დ. მიქელაძე).

ზემოთ ჩამოთვლილი ქართველი ეროვნების პოლკოვნიკებიდან მოგვიანებით გენერლები გახდნენ ი. ახვლედიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. გვათუა, ვ. გაბაშვილი, ტ. ჯავრიშვილი, ი. ჯაიანი, თავადი დ. აბაშიძე და თავადი ი. მაყაშვილი.

## GENERALS AND OFFICERS OF CAUCASIAN ARMY IN 1904-1905

### Summary

THE aspects of activities of the generals and officers (colonels) of Caucasian Army are being studied in historiography for the first time. It is established that in the Caucasian Army there were 120 generals (3 - full, 26 – lieutenant-generals and 91 – major-generals in 1904, and 108 generals (1 – full, 26 – lieutenant-generals and 86 – major-generals) in 1905.

The average age of lieutenant-generals in 1904-05 was 64 years and of major-generals – 55. In 1904 only 7 lieutenant-generals were from nobility. This number did not change in 1905. The generals of the Caucasian Army participated in different wars and military expeditions. In 1904 there were 21 lieutenant-generals of the Caucasian Army who took part in 1877-78 Russian-Turkish War, and in 1905 – 14. Twenty-four major generals, who were under military service in the Caucasian Army in 1905, had not participated in any military actions before.

Many generals distinguished themselves on the scenes of war and were given high awards. There were 8 generals, knights of St. George's Order in 1904 and 9 in 1905, out of them one was general of infantry, one general of cavalry (Georgian by nationality), 6 lieutenant-generals (2 of them – Georgians) and 4 – major-generals. 7 generals were granted this award for military distinction in 1877-78 Russian-Turkish War.

The generals of the Caucasian Army were of different nationalities. Five of them were Georgians (1 general of cavalry, 2 lieutenant-generals and 2 major-generals).

There were 218 colonels (among them 15 Georgians) in the Caucasian Army in 1904 and 221 (12 Georgians) in 1905. In 1904, 9 of the colonels were from nobility (among them 3 Georgians) and in 1905 – 10 (3 Georgians).

In 1904-05 6 officers of the Caucasian Army were knights of St. George's Order, among them 3 Georgians. Out of 15 Georgian colonels, who were under military service in the Caucasian Army in 1904-05, 8 were promoted to the rank of General.

## მეფე-ხუცესის ტრანსფორმირებული პარიანტი და გუას აპისტოლეში

XIII საუკუნის დასაწყისში წმინდა მინაზე მყოფი ჯვაროსნების მდგომარეობა კვლავ მძიმე იყო. იერუსალიმი ისევ ეგვიპტელი აიუბიანების ხელში რჩებოდა. ევროპელები იერუსალიმის სამეფოს მცირე სანაპირო ზოლს ფლობდნენ. მართალია, ლათინებმა ჯერჯერობით შეინარჩუნეს ამ სანაპირო ზოლზე არსებული მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეები, ასევე ანტიოქიას და ტრიპოლს კვლავ აკონტროლებდნენ, მაგრამ მაჰმადიანთა რევანშის საფრთხე კიდევ უფრო რეალური ხდებოდა. III ჯვაროსნულმა ლაშქრობამ (1189-1192) ლათინებს წმინდა ქალაქი ვერ დაუბრუნა.<sup>1</sup> IV ჯვაროსნულმა ლაშქრობამ კი უფლის საფლავისათვის ბრძოლის იდეას, შეიძლება ითქვას, ლახვარი ჩასცა. ჯვაროსნებმა ქრისტიანობის მტრებთან ბრძოლას კონსტანტინეპოლის ტახტის ინტრიგებში მონაწილეობა ამჯობინეს და აღმოსავლეთ რომის იმპერიას ფაქტობრივად სასიკვდილო დარტყმა მიაყენეს. ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული ლათინთა იმპერიას და მცირე აზიაში, კილიკიაში არსებულ სომხურ სამეფოს ჯვაროსანთათვის რაიმე სერიოზული დახმარების განევა არ შეეძლო. მათ იქით სჭირდებოდათ დახმარება ბერძენთა რევანშისა და მაჰმადიანთა შემოტევებისაგან თავის დასაცავად. ამავე დროს, კილიკიის სომხებსა და ანტიოქიის მთავრებს შორის დაძაბული ურთიერთობა არსებობდა, რაც კიდევ უფრო ასუსტებდა ქრისტიანთა ძალებს.

არსად ჩანდა აღმოსავლეთში მცხოვრები მითიური მეფის იოანე მეფე-ხუცესის (პრესვიტერი) ძლევა მოსილი არმია, რომელიც ევროპელთა წარმოდგენით იერუსალიმის დასახსნელად აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს მოდიოდა. ეს ყველაფერი ფუჭი იმედები იყო და ზღაპრულ ელფერს იძენდა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლეგენდა ამ მითიური მეფის შესახებ მეტად სიცოცხლისუნარიანი იყო და ჯვაროსნების წარმოდგენაში საუკუნეების მანძილზე ცოცხლობდა, როგორც წმინდა ომებში შესაძლო მოკავშირის სახე.<sup>2</sup>

<sup>1</sup> იერუსალიმის სამეფოდან ჯვაროსნებს მხოლოდ ფინიკია დარჩათ. იერუსალიმის დაკარგვის შემდეგ პოლიტიკურ და სამხედრო ცენტრად იქცა ციხე-ქალაქი სენ-ჟან და აკრი. ანტიოქიისა და ტრიპოლის სამთავრო-საგრაფო ერთ სამთავროდ გაერთიანდა. ედესის საგრაფო კი საბოლოოდ დაიკარგა. Эпоха крестовых походов. Под редакцией Э. Лаваса и. А. Рамбо. Санкт-Петербург. 1999. стр. 391-392.

<sup>2</sup> ლეგენდა იოანე ხუცესზე (პრესვიტერი, მეფე-ხუცესი, მეფე-მღვდელი) XII საუკუნის 40-იანი წლებიდან გავრცელდა ევროპაში, მაშინ როდესაც ედესის დასაბრუნებლად რომის პაპთან ევგენი III-თან აღმოსავლეთიდან დელეგაცია ჩავიდა, რათა მისთვის დახმარება ეთხოვათ ჯვაროსნული ომის ორგანიზებისათვის. სწორედ ამ ელჩობამ ჩამოიტანა ეს ამბავი უცნობი ქრისტიანი მეფის შესახებ,

ამ პერიოდისათვის აღმოსავლეთში ჯვაროსანთა ერთადერთ შესაძლებელ ქრისტიან მოკავშირედ თამარის დროინდელი ძღვეამოსილი საქართველოს სახელმწიფო რჩებოდა. საქართველოს სამეფო კარი XIII საუკუნის დასაწყისში ახორციელებდა შეტევით ოპერაციებს იკონიის, არზრუმის, ხლათის მიმართულებით, რაც გაჭირვებაში მყოფ ჯვაროსნებს სულის მოთქმის საშუალებას აძლევდა და იმედის ნაპერწკალს უღვივებდა. მართლაც, 1205-06 წლებიდან ქართველებმა დაიწყეს გამუდმებული იერიშები ხლათის სასულთნოს წინააღმდეგ, რომლის სათავეში ჯვაროსანთა მთავარი მტრის, ეგვიპტის აიუბიანთა წარმომადგენლები ისხდნენ. ჩანდა, რომ შაჰ-არმენთა მემკვიდრეობის საკითხში საქართველოს სამეფო კარმა შეიარაღებული კონფლიქტი წამოიწყო სალაჰ ად-დინის მემკვიდრეებთან და ხლათის დაუფლების შემთხვევაში (ვანის ტბის გარშემო მიწები) ხელის განვდენაზე იყო სირია, მაგრამ, რამდენად ახორციელებდა თამარის სამეფო ამ შეტევით ოპერაციებს ჯვაროსნული მიზნებისათვის, მხოლოდ ჰიპოთეზების სფეროა.

ჯერ კიდევ თავისი მეფობის დასაწყისში, თამარმა სერიოზული დიპლომატიური სულა გააკეთა. ეს კარგად ჩანს ჩვენამდე მოღწეულ „აფხაზთა ფიცის“ ნიგნში, რომელიც ისტორიულ მეცნიერებაში შესულია, როგორც „თამარის ფიცის ნიგნი სალაჰ ად-დინისადმი“. ამ პირობის ნიგნით თამარმა ფიცი დადო სალაჰ ად-დინის წინაშე, რომ არ დაესხმებოდა თავს მის ქვეყანას და ქვეშევრდომებს. ეს პირობის ნიგნი ისტორიოგრაფიაში დათარიღებულია 1185 წლით.<sup>1</sup> ამ ფიცით სავარაუდოა, რომ თამარმა თავისი მმართველობის გარიჟრაჟზე თავი აარიდა აიუბიანებთან კონფლიქტს და სალაჰ ად-დინის და ჯვაროსნების ურთიერთობაში ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. სავარაუდოა, რომ თამარის ფიცი სალაჰ ად-დინის მომართვის პასუხია, რადგან ეგვიპტის სულთანს აინტერესებდა იერუსალიმზე გადამწყვეტი შეტევების დროს საქართველო რა პოზიციას დაიკავებდა ამ საკითხში.<sup>2</sup> ლ. ტუხაშვილი ვარაუდობს, რომ შემთხვევით არ იქნა არჩეული ქართველთა დიდი ლაშქრობის მარშრუტად ირანი 1210 წელს. ქართველებს ორი ალტერნატიული ვარიანტი ჰქონდათ: ხორასანი ან ერაყი. ამ უკანასკნელზე უარი გამოწვეული იყო ეგვიპტისადმი

---

რომელმაც დამარცხა სპარსეთის და მიდიის მეფეთა კოალიცია და მოისწრაფოდა იერუსალიმის დასახმარებლად შემდგომში, მთელ XII საუკუნის II ნახევრის განმავლობაში, იოანე ხუცესზე მრავალ ზღაპრულ ამბებს ჰყვებოდნენ. მისი სამეფო, ჯვაროსანთა წარმოდგენით, არსებობდა ინდოეთში. ეს ინდოეთი კი მაშინდელ ევროპულ აზროვნებაში მთელ აღმოსავლეთად მოიაზრებოდა. იხ. *Л. Гумилев. В поисках вымышленного царства. Санкт-Петербург. 1994. а. გოგოლაძე*. იოანე პრესვიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ. თბ. 2005

<sup>1</sup> *ბ. თოდუა*. XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელები. ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, თბ. 1979. *გ. ჯაფარიძე* საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, თბ. 1995. ლ. ტუხაშვილის აზრით, „ფიცის ნიგნი“ შედგენილი უნდა იყოს 1190 წელს. ლ. ტუხაშვილი, ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. თბ. 1994. გვ. 206.

<sup>2</sup> *ბ. თოდუა*. დასახ. ნაშრომი.

ანგარიშის განვივით, რადგან ბალდადის ხალიფას პოლიტიკურ გარანტიად სალაპ ად-დინის ეგვიპტე-სირიის მამელუქთა სახელმწიფო გამოდიოდა.<sup>1</sup>

მართლაც, თამარის მმართველობის პერიოდში, საქართველოს სამეფო კარს ჯვაროსანთა დასახმარებლად ეგვიპტის წინააღმდეგ არც ერთ ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიუღია. ერთადერთი, ჯვაროსნული იდეების გამოვლინება იყო ის, რომ 1192 წელს თამარმა სალაპ ად-დინის კარზე ელჩობა გააგზავნა, რომელიც მიზნად ისახავდა წმინდა ჯვრის გამოსყიდვას. 1187 წელს ჰატინთა ბრძოლაში სალაპ ად-დინმა სასტიკად დაამარცხა ჯვაროსნები და ეს წმინდა ჯვარი (ჯვარცმის ჯვარი) ხელში ჩაიგდო.

მხოლოდ XIII საუკუნის დასაწყისში ეს ურთიერთობები გაცივდა და, როგორც ჩანს, „ფიცი“ ნაწილობრივ დაირღვა კიდევც, რადგან ქართველები აიუბიანებს ხლათის სასულთნოს ეცილებოდნენ.

მაგრამ ვითარება შეიცვალა თამარის მემკვიდრის, ლაშა-გიორგის გამეფების პირველივე წლებიდან. რით იყო ეს გამოწვეული, ძნელი ასახსნელია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ გამოწვევას თავისებური ბიძგი მისცა რომის პაპის ინიციატივამ ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობებში საქართველოს ჩასაბმელად. 1210 წელს იერუსალიმის სამეფოსა და აიუბიანებს შორის დადებულ ზავს ვადა გაუვიდა. ჯვაროსნებმა უარი თქვეს ზავის განახლებაზე და დაიწყეს ფიქრი ახალი ლაშქრობების მოსაწყობად. რომის პაპმა ინოკენტი III-მ დაიწყო ახალი მოკავშირეების ძიება. ვატიკანმა დახმარება სთხოვა საქართველოს მეფეს ლაშა-გიორგის. ამიტომაც პაპმა 1211 წელს საქართველოს მეფეს წერილი გამოუგზავნა. მას სათაურიც აქვს „საქართველოს ბრწყინვალე მეფეს მონოღება წმინდა მინის დასაცავად“.<sup>2</sup> ამ ეპისტოლედან ჩანს, რომ ინოკენტის წერილი პასუხია პაპისადმი გაგზავნილ საქართველოს მეფის წერილზე. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ლაშა-გიორგის ეს ეპისტოლე 1210 წელს უნდა გაეგზავნა პაპისათვის.<sup>3</sup>

ლაშა-გიორგის სამეფო კარი აიუბიანებთან ურთიერთობის საკითხში, თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, აქტიური კონფრონტაციის გზას დაადგა. როგორც აღვნიშნეთ, მართალია, თამარის მეფობის ბოლო წლებში,<sup>4</sup> ხლათის დაუფლების საკითხში საქართველოს სამეფოს და აიუბიანთა ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა, მაგრამ ლაშა-გიორგი, დედამისისგან განსხვავებით, ამჯერად, არა მარტო სალაპ ად-დინის მემკვიდრეების გავლენის სფეროებს ემუქრებოდა, არამედ მათ

<sup>1</sup> ლ. ტუხაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

<sup>2</sup> თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია 2, 1974. გვ. 188. დ. ნინიძე, საქართველო-ევროპის დიპლომატიური კონტაქტები XIII ს. I ნახევარში, ქართულ დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ნაწ. I თბ. 1998. გვ. 398.

<sup>3</sup> თ. ნატროშვილი გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

<sup>4</sup> თ. ნატროშვილის და გ. ჯაფარიძის აზრით, თამარი 1210 წელს გარდაიცვალა. გ. ჯაფარიძე ამ დასკვნას ნუმისმატიკურ მასალაზე დაყრდნობით აკეთებს – თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი. თ. ნატროშვილი, მაშრიყით მალრიბამდე. თბ. 1991. გვ. 51-57. თამარის გარდაცვალების თარიღი, როგორც ცნობილია, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

უმუშალო საბრძანებელსაც. იერუსალიმის გასათავისუფლებლად და ჯვაროსნებთან შესაერთებლად დაძრულ ქართველთა ლაშქარს არა მხოლოდ ხლათის სასულთნოს ტერიტორიების გადალახვა, არამედ თვით სირიაში შეჭრაც მოუწევდა. ამას შეიძლება ქართველების დამასკოს კედლებთან გამოჩენა მოჰყოლოდა. სირიას რომ ქართველები ემუქრებოდნენ, ამას იმ პერიოდის, კერძოდ, V ჯვაროსნული ლაშქრობის ხანის წყაროებიც ადასტურებენ.<sup>1</sup>

სწორედ ამ დროს საფრანგეთში ბეზანსონის არქიეპისკოპოსის ამედე დე ტრამლეს (1145-1220) სახელზე აღმოსავლეთიდან მოვიდა წერილი, რომელიც ჯვაროსანთა ქართულ იმედებს კიდევ უფრო რეალურს ხდიდა. ამ წერილის ავტორია ფრანგი რაინდი დე ბუა. იგი შედგენილი უნდა იყოს 1211 წელს.<sup>2</sup> ამ ცნობით, დე ბუა წინ უსწრებს მოვლენებს და ლაშა-გიორგის თანხმობას ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის შესახებ განხორციელებულ ამბად მიიჩნევს. ეპისტოლეში მოთხრობილია, რომ ლაშა-გიორგის მეთაურობით ქართველებმა დაიწყეს ლაშქრობა ეფრატის მიდამოებისაკენ, აიღეს მრავალი ციხე და ქალაქი, მათ შორის – ერთი დიდი და მთავარი, რომელიც ეფრატზე მდებარეობდა. ამ ქალაქის პატრონი იყო ბაბილონის სულთნის შვილი, რომელიც სიკვდილით დასაჯეს. წერილში ნახსენები ეს ლაშქრობა წარმოსახულია, როგორც იერუსალიმის გასათავისუფლებად დაწყებული წმინდა ომი. ავტორი თავის ნათქვამს ასაბუთებს ლაშა-გიორგის იმ სურვილით, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ჭაბუკ მეფეს უნდა შეესრულებინა დედის – თამარის ანდერძი. მისი ნეშტი უნდა დაეკრძალათ იერუსალიმში უფლის საფლავის გვერდზე.

დოკუმენტი საინტერესოა ინფორმაციით, თუ რა იცოდნენ საქართველოს სინამდვილის შესახებ აღმოსავლეთში მყოფმა ჯვაროსნებმა. მართლაც, ფრანგი რაინდი, როგორც ჩანს, ინფორმირებულია რომის პაპის და ქართველთა სამეფოს ურთიერთობების შესახებ. მართალია, მის ეპისტოლეში ერთი სიტყვაც არ არის ხსენებულ დიპლომატიურ კონტაქტებზე, მაგრამ დე ბუა ლაშა-გიორგის ამ გმირულ სახეს, თუნდაც შელამაზებულს, უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ არ შექმნიდა.

დე ბუას წერილის ამ ფრაგმენტს, კერძოდ, ქართველთა გამოლაშქრებას ეფრატისაკენ და ბაბილონის სულთნის შვილის სიკვდილით დასჯას, მკვლევრები თამარის დროინდელი ლაშქრობების ანარეკლად თვლიან. კერძოდ, ზ. ავალიშვილი ამ ფაქტს უკავშირებს ქართველთა მიერ ზემო ეფრატზე დიდი გამარჯვების ამ-

<sup>1</sup> ჟაკ-დე ვიტრის ცნობით, როდესაც დამასკოს სულთანმა კორადინმა თანამემამულეთა უიმედო მდგომარეობა დაინახა დამიეტაში, მან იერუსალიმის კედლები დაანგრია, რათა შემდგომში ქალაქი დაუცველი ყოფილიყო. ამან ძალიან აღაშფოთა ქართველები და დამასკოს სულთანს მუქარა შეუთვალეს.

<sup>2</sup> თ. ნატროშვილი. გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი. დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 401. ზ. ავალიშვილი ფიქრობს, რომ ეს წერილი შედგენილია 1207-08 წწ. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან. თბ. 1989, გვ. 99-100. 1211 წლით არის დათარიღებული ეს ძველი ქართული დიპლომატიის ისტორიის ქრესტომათიის კრებულშიც. თბ. 2004. გვ. 184. ამ წერილის შესახებ ევროპულ ისტორიკოგრაფიაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. რ. როერისტი თვლის, რომ იგი დაინერა 1213 წელს, რ. პენინგი კი 1220 წლით ათარიღებს.

ბავს. ეს დიდი გამარჯვება უნდა ყოფილიყო ბასიანის ცნობილი ომი და ეფფრატზე მდებარე დაპყრობილი სახელოვანი ქალაქი კი კარი (კარინ, ე.ი. ერზრუმი. ზ.ა.). მკვლევარს ამ აზრის განსამტკიცებლად ქართული წყაროც მოაქვს. თამარმა „უბრძანა ძესა თვისა გიორგისა რათა შევიდეს და თვით მიითვალოს ქალაქი და ციხე“. ეს ამბები უნდა მომხდარიყო 1207-08 წლებში და ამ წლებით ათარიღებს მეცნიერი დე ბუას წერილსაც. თუმცა, ზ. ავალიშვილმა ასევე ყურადღება მიაქცია ამ წერილის პროპაგანდისტულ ხასიათს და აღნიშნა, რომ გაგონილი ამბის გაზვიადებით ფრანგი ჯვაროსანი ცდილობდა საფრანგეთში საზოგადოებისათვის ახალი საჯვაროსნო ქადაგება მიეწოდებინა. ასეთ ეპისტოლეებს ევროპის ქვეყნებში ეკლესიებსა და კრებებში საჯაროდ კითხულობდნენ.<sup>1</sup>

თ. ნატროშვილის და გ. ჯაფარიძის აზრით, დე ბუას წერილში აისახა ქართველთა ხლათზე ლაშქრობების ისტორია, კერძოდ, 1210 წლის ლაშქრობა. ეს ის ლაშქრობაა ხლათზე, როდესაც ქართველთა ჯარს სარდლობდა ივანე მხარგრძელი, ხლათის სულთანი კი მელიქ ალ-აუშადი ქალაქში შეკეტილიყო და ცხვირს ვერ ჰყოფდა გარეთ. როგორც წყაროებიდან ვიცით, ეს ამბავი მოულოდნელად მარცხიანად შემოუტრიალდათ ქართველებს. ივანე მხარგრძელის წინდაუხედაობამ ქალაქის აღების თითქმის დამთავრებული საქმე ჩაშალა. ქართველი მხედართმთავარი მოულოდნელად ტყვედ ჩაუვარდა ალყაშემორტყმული ქალაქის მეციხოვნეებს. ამის გამო ქართველებმა ქალაქზე გადამწყვეტი იერიში ვეღარ გაბედეს სარდლის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების შიშით და დაუზავდნენ შაჰ-არმენს.<sup>2</sup>

თ. ნატროშვილი აღნიშნავს, რომ წერილში მოხსენიებული ეფფრატზე მდებარე უცნობი ქალაქი არის ხლათი და ხლათიდან ჩამოდის მდინარე მურად-სუ, რომელსაც სომხები ჭემმარიტ ეფფრატს ეძახიან. მურად-სუ სომხეთის შუაგულიდან იღებს სათავეს და უერთდება არზრუმიდან მომავალ ეფფრატს. სწორედ ეს მეორე ეფფრატი უნდა ჰქონდეს ნავარაუდევო დე ბუას. მკვლევარი ახსნას უძებნის დე ბუას სურვილს, თუ რატომ გააფერადა ფრანგმა რაინდმა ქართველთა ეს ლაშქრობა. ევროპულ წყაროებში ქართველები ჯვაროსანთა სავარაუდო მოკავშირეებად არიან წარმოდგენილი და მათი სამხედრო მოქმედებები ხლათის და სხვა მაჰმადიანების წინააღმდეგ წარმოიდგინეს ჯვაროსნული ომის ერთ-ერთ ეტაპად.<sup>3</sup>

თ. ნატროშვილის და გ. ჯაფარიძის მოსაზრებებს იზიარებს დ. ნინიძეც. თუმცა მან არ გამოიციხა, რომ დე ბუას წერილში შეიძლება ასახულიყო დიდი ლაშქრობა ირანში 1210 წელს, როდესაც ზაქარია ამირსპასალარის მეთაურობით ქართველებმა აიღეს მარანდი, თაერიზი, ზენჯანი, ყაზვინი და სხვა ქალაქები. ამავე დროს დ. ნინიძე გამოთქვამს საინტერესო ვარაუდს, რომ შესაძლებელია ამ პერიოდიდანვე ეყრებოდეს საფუძველი ახალ შეხედულებებს ლეგენდარულ იოანე პრესვიტერად ლაშა-გიორგის პიროვნების მიჩნევის შესახებ, რაც მეორე ეტაპზე, დამიეტის აღე-

<sup>1</sup> ზ. ავალიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 98-103.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 1965. გვ. 281.

<sup>3</sup> თ. ნატროშვილი. გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 168-189.

ბის შემდეგ პერიოდში უფრო ღვივდება. როგორც ჩანს, ფრანგი ჯვაროსნის მხრიდან გამოყენებულია ასევე გარკვეული დიპლომატიური ფანდი, კათოლიკეთა ნაწილის იმედები გააღვიძოს და დაანახოს დასავლეთს, რომ აღმოსავლეთში არსებობს ძლიერი ქრისტიანი მოკავშირე.<sup>1</sup>

რაც შეეხება ეპისტოლეში მოხსენიებული „ბაბილონის სულთნის შვილს“, თ. ნატროშვილი ფიქრობს, რომ ეს არის სალაჰ ად-დინის ძმისწული ალ-აუჰადი, რომელიც იჯდა ხლათში ივანე მხარგრძელის ცნობილი ისტორიის დროს. მის ბუნებრივ სიკვდილს დე ბუა თავისებურად ასხვავერებს და ქართველთა მიერ დასჯილად წარმოგვიდგენს.<sup>2</sup> ზ. ავალიშვილიც „ბაბილონის სულთანად“ ეგვიპტის აიუბიანებს მიიჩნევს.<sup>3</sup>

ასეთია ძირითადად მკვლევართა დასკვნები დე ბუას წერილის ამ ფრაგმენტთან დაკავშირებით. ისინი ფრანგი რაინდის ცნობაში ისტორიულ სინამდვილეს ეძებენ, თუმცა, აღნიშნავენ იმასაც, რომ ეს ამბავი მისი ჯვაროსნული ფანტაზიის ნაყოფიცაა. თუნდაც ავიღოთ ამ წერილის ბოლო ფრაგმენტი, სადაც მოცემულია თამარის „ანდერძი“ იერუსალიმში მის გადასვენებასთან დაკავშირებით. ზ. ავალიშვილი მიიჩნევს, რომ ჯვაროსანთა პოლიტიკურმა ნადილმა და დიდმა გაჭირვებამ აქაც თავისებური ზღაპარი ანუ მითი წარმოშვა.<sup>4</sup> მკვლევართა დასკვნები მეტად საინტერესო და საყურადღებოა, მაგრამ დე ბუას წერილში მოცემული ლაშა-გიორგის ლაშქრობის ისტორიული წყაროების შესახებ ჩვენ განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს.

მართლაც, საინტერესოა, რატომ აქცია სურვილი და იმედი ფრანგმა ჯვაროსანმა სინამდვილედ. იქნებ ჩვენთვის უცნობ ლაშქრობაზე საუბარი, რომლის შესახებ წყაროები დუმან. ვფიქრობთ, რომ ჯვაროსანი რაინდის წარმოსახვაში კვლავ ნამოტივტივდა ძველი ლეგენდების კვალი. იქნებ კვლავ გაცოცხლდა ჩამქრალი იმედი აღმოსავლეთში მცხოვრები უცნობი მოკავშირისა და აჰა, საქართველოს ქრისტიანი მეფის ლაშა-გიორგის ჯვაროსნობას ფრანგმა რაინდმა ხორცი შეასხა და სასურველი სინამდვილედ მიანოდა ევროპაში თანამემამულეებს.

მსგავსი რამ ერთხელ უკვე გავრცელდა ევროპაში XII ს. 40 წლებში, რომელიც II ჯვაროსნულ ლაშქრობისათვის მზადების პერიოდს ეხება. აღმოსავლეთიდან ჩამოსულმა ელჩობამ სირიის ქალაქ გაბალის ეპისკოპოსის მეთაურობით რომის პაპთან ევგენი III-თან ჩამოიტანა მეფე-ხუცესის ამბავი, რომელიც სწორედ ევროპაში მიმქრალი ჯვაროსნული იდეის გაღვიძებას ემსახურებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ისტორიამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. საუკუნეების მანძილზე კვებავდნენ წმინდა ომების პროპაგანდისტები იერუსალიმისათვის მებრძოლ რაინდებს, რომ შორს, აღმოსავლეთში ცხოვრობდა ქრისტიანი მმართველი, რომელიც დახმარებას გაუწევდა მათ უფლის საფლავისათვის ბრძოლაში. მართალია, დე ბუას წერილს ბე-

<sup>1</sup> დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 398-401.

<sup>2</sup> თ. ნატროშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 66-77.

<sup>3</sup> ზ. ავალიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 98-99. ბაბილონის სულთანს ეგვიპტის მბრძანებლებს უწოდებდნენ იმ ეპოქაში და „ბაბილონი“ კაიროს ნიშნავდა.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 102-106.

ზანსონის არქივის კოპოსისათვის ასეთი მასშტაბის რეზონანსის გამოწვევა არ შეეძლო, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს ეპისტოლეც პროპაგანდისტულ ელფერს ატარებს. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც რამდენიმე წლის წინ IV ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ამ წმინდა იდეას დიდი დარტყმა მიაყენა და თვით პაპის და ჯვაროსანთა ავტორიტეტიც ქრისტიანთა თვალში საკმაოდ შელახა.

როგორც ვხედავთ, დე ბუას წერილში ბევრი რამ ისტორიულ სინამდვილეს სცილდება. ამ პერიოდში ჯვაროსნებს ახალი იდეა, „ახალი საჯვაროსნო ქადაგება“ სჭირდებოდათ წმინდა ომების კვლავ წამოსაწყებად. იქნებ ფრანგი ჯვაროსანის ეპისტოლეში ჩანს სწორედ ძველი მითების კვალი, კერძოდ, იოანე მეფე-ხუცესის ლეგენდის ფრაგმენტები? იოანეს ლეგენდაშიც არარეალური ამბებია მოთხრობილი, თუ როგორ აიღო უცნობმა მეფე-ხუცესმა უკვე არარსებული ქალაქი ეკატანა, როგორ დაამარცხა მან მიდიელ-სპარსელ-ასურელთა კოალიციური არმია, როგორ მოადგა ტიგროსს და ესწრაფოდა იერუსალიმის ხსნას.<sup>1</sup> ამავე დროს, აღნიშნულია, რომ იოანე იყო ბიბლიაში მოხსენებული მოგვების ჩამომავალი, რომელსაც თავისი წინაპრების მსგავსად აღქმა დაუდევს იერუსალიმს ნასულიყო. იგი, ასევე, იმდენად მდიდარი ყოფილა, რომ თურმე ერთი ზურმუხტის სკოპტრით სარგებლობდა.<sup>2</sup>

ამ მითშიც ეძიებენ მკვლევრები ისტორიულ სინამდვილეს. ვის არ დაუკავშირეს მისი თქმულება, მაგრამ იოანეს პროტოტიპების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები მანაც ჰიპოთეზების სფეროს არ სცილდება.<sup>3</sup>

<sup>1</sup> რაც შეეხება „მიდიელ-სპარსელ-ასურელთა“ და ეკატანას მოხსენიებას, ეს ნომენკლატურები (XII ს.) ამ დროისათვის უკვე რეალურად აღარ არსებობდნენ. ეს ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგია აღებულია „ძველი აღთქმიდან“ და ჯვაროსანთა ცოდნიდან მაშინდელ აღმოსავლეთზე. ამ თქმულების გავრცელების პერიოდში (XII ს. 40-იანი წლები) იერუსალიმი კვლავ ჯვაროსანთა ხელში რჩებოდა და ისინი ჯერ კიდევ მტკიცედ ფლობდნენ ქალაქს.

<sup>2</sup> ეს ამბავი მოთხრობილი აქვს გერმანელ მემატიანეს, II ჯვაროსნული ომის მონაწილეს ოტო ფონ ფრაიზინგს. *G. Oppert. Der Presbyter Johannes in Sage und Geschichte. Berlin 1864.* გვ. 13-16. ა. გოფრალდე. დასახ. ნაშრომი, გვ. 3-5.

<sup>3</sup> იოანე მეფე-ხუცესის პროტოტიპებს ევროპული ისტორიოგრაფია ძირითადად ეძიებს XII ს. შუა ხანების ყარა-ხატაელების, კერაიტების, თათარ-მონღოლი ტომების და ეთიოპიის (აბისინია) ისტორიული მმართველების პერსონაჟებში. *G. Oppert.* დასახ. ნაშრომი. *П. Гумилев.* დასახ. ნაშრომი. *Fr. Zarncke.* „der Priester Johannes“. Leipzig 1879. *В.В. Бартольд.* Сочинения. Т. IX. М. 1977. ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად გამოთქმულია მოსაზრებები იოანე მეფე-ხუცესის დავით აღმაშენებლის, დემეტრე I-ის, იოანე ორბელის და ლაშა-გიორგის ისტორიულ პროვენებებთან გაიგივების შესახებ. *ზ. ავალიშვილი,* დასახ. ნაშრომი. *შ. ბადრიძე,* ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელზე და დემეტრე I-ზე, კრბ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. 1968. *შ. რევიშვილი.* საქართველო გერმანულ თქმულებაში იოანე პრესვიტერზე (XI-XVI სს.), ნარკვევები გერმანულ-ქართულ ლიტერატურის კავშირებზე. თბ. 1987. იოანე ორბელს იოანეს პროტოტიპად მიიჩნევს ევ. ბრუნი. *Ф. Брун.* „О странствованіях царя — пресвитера Иованна“ Иза Записок Императорскаго Новороссійскаго университета, Одесса, 1870. გ.ტიქიძის აზრით, იოანე ხუცესზე ლეგენდას საფუძველი მისცა ნამდვილად არსებულმა უნ-ხანმა ანუ ეან-ხანმა, რომელიც ქრისტიანი კერაიტების მმართველი იყო და ჩინგიზ-ხანის ამაღლებაზე უძლიერეს პიროვნებას წარმოადგენდა მონღოლეთში. *გ. ქიქოძე,* გულილიმ რუბრუკი. მოგზაურობა აღ-

უნახავი მეფე-ხუცესის ამბავი ჯერ კიდევ XII ს. 60-იანი წლებიდან კიდევ უფრო ზღაპრული ფერებით შეიმოსა. 1165 წლით დათარიღებულ „იოანე პრესვიტერის ეპისტოლეში“ იგი მინიერი სამოთხის მბრძანებლად არის დახატული.

მსგავსად იოანეს თქმულების ავტორისა, რომელმაც ეპისკოპოსის მიერ მოტანილი ისტორია გადმოგვცა, ფრანგი რაინდიც აღნიშნავს, რომ „ლაშა-გიორგის ამბავიც და „საქმის სიჭმბარიტე სანდო მოციქულისაგან“ გაუგია, რომ ივერიითაგან ვინმე ქრისტიანენი, გიორგანებად წოდებულნი ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთოვანებულ დახმარებით ძალათა ფრიად აღჭურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ და, აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგარნი დაიპყრეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი ევფრატზე მდებარე ყველა წარმართთა ქალაქთაგან უფრო წარჩინებული ყოფილა და დიდი. იმ ქალაქის პატრონი ბაბილოვნის სულთნის შვილი იყო და ზემონათქვამ ქრისტიანთაგან ტყვედ ქმნილს, თავი მოეკვეთა, თუმცა უზომო ოქროს განძის მიცემა აღუთქვა. კერძოდ რაღა მოგახსენოთ? ზემო აღნიშნულნი წმინდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ სანარმართოს დაიმორჩილებენ. მეფე მათი წარჩინებული თექესმეტი წლისაა, ალექსანდრეს ბადალი ძალითა და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით. ჭაბუკი ესე დედამისის დედოფლის უძლიერესის თამარის ნეშტს თან ატარებს, რომელმაც სანამ ცოცხლობდა იერუსალიმად წასვლის აღთქმა დასდვა, და შვილსა თვისსა სთხოვა, თუ მიიცვალეობოდა, რომ ძველები მისი უფლის საფლავთან წაესვენებინათ. მან კი დედის თხოვნათა ყურადღებულმა და დედის აღთქმის შესრულების მსურველმა დააპირა მისი (გვამის) წმინდა ქალაქში წამოღება წარმართთა ნებით თუ უნებლიეთ...“<sup>1</sup>

ამკარად ეტყობა ამ ცნობას ზღაპრული ელფერის კვალი. მსგავსად იოანეს ლაშქრობისა, რომელმაც იმ დროს უკვე არარსებული ეკატანა აიღო და ტიგროსს მოადგა, ასევე ლაშა-გიორგიმ ევფრატზე მდებარე რომელიღაც დიდი ქალაქი აიღო. ორივე ეს ლაშქრობა შეიცავს ზოგად ისტორიულ-გეოგრაფიულ ხაზებს.

ლაშა-გიორგი შედარებულია ალექსანდრე მაკედონელთან. ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრებები, რომ ალექსანდრეს ლეგენდა საფუძვლად დაედო იოანეს მითს და მის სამყაროს. ლაშა-გიორგიც თავისი ჯვაროსნული მიზნებით ამ ისტორიების – ლეგენდების თავისებურ შემკვიდრედ მიაჩნიათ ჯვაროსნებს.<sup>2</sup>

---

მოსავლეთის ქვეყნებში. თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. V. თბ. 1942. გვ. 182. ჩვენც განსხვავებული თვლსაზრისი გვაქვს ამ ლეგენდის წარმოშობის საკითხზე. ა. გოგოლაძე. დასახ. ნაშრომი.

<sup>1</sup> ზ. ავალიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 97-98. ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია). თბ. 2004 წ. გვ. 184-185.

<sup>2</sup> Александрия. Роман об Александре Македонском по русской рукописи XV века. Издание подготовили М. Ботвинник, Я. Лурье и О. Теорозов. Москва – Ленинград. стр. 154.-158. ამ საკითხთან დაკავშირებით იბეჭდება ჩვენი სტატია „ზოგიერთი მოსაზრება იოანე პრესვიტერის თქმულების გენეზისის შესახებ, კრბ. „მესხეთი“. ტ VII-VIII.

საინტერესოა ასევე, რომ ორივე დანყებულ ლაშქრობას გაგრძელება არ აქვს, თითქოს მათი კვალი სადღაც ქრება. არადა იოანეს და ლაშა-გიორგის სურვილი იერუსალიმის დახსნაა ურწმუნოთა ხელიდან. თუმცა, იოანეს ლეგენდაში ახსნილია მისი უკან გაბრუნების მიზეზი. მან ტიგროსი ვერ გადმოლახა, მაგრამ, აქაც, ეს მიზეზი ბანალურია. ორივე წყაროში დასახელებულია უკვე არარსებული გეოგრაფიული პუნქტები-ქალაქები – ბიბლიური ეკბატანა და ბაბილონი. მართალია, ბაბილონის ხსენება ახსნილი აქვთ მკვლევარებს, როგორც ქაირო, ეგვიპტე, მაგრამ აქაც ძველი, ბიბლიური მისტიკების კვალი ჩანს. ორივე მეფე აღქმას დებს და ანდერძს ასრულებს იერუსალიმში წასასვლელად. იოანე იმ მოგვების ჩამომავალია, რომლებმაც აკვანში იხილეს უფალი და მას აღქმა დაუდევს წინაპართა გზას გაჰყოლოდა. ლაშა-გიორგი კი დედამისის ანდერძს ასრულებს – თამარის ნეშტი უფლის საფლავის გვერდზე უნდა დაკრძალოს. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს იმ სურათს, რომელიც დახატეს ევროპელებმა XII საუკუნის შუა ხანებში უცნობ მეფე-ხუცესთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მკვლევართა ნაგარაუდევ ლაშქრობებში (ხლათზე ლაშქრობები, ირანზე ლაშქრობა) ლაშა-გიორგი არსად ჩანს. არათუ უცხოური, არამედ ქართული წყაროები ამის შესახებ არაფერს ამბობენ.<sup>1</sup> ლაშა-გიორგი ლაშქარს უკვე თამარის გარდაცვალების შემდეგ ერთპიროვნული მონარქის რანგში მიუძღვის. ხსენებული ომები კი თამარის ეპოქაშია წარმოებული. დე ბუას წერილში კი თამარი გარდაცვლილია. რაც შეეხება ლაშა-გიორგის მემატთანეს და უამთააღმწერლის ცნობებს ჭაბუკი მეფის მიერ ხლათის, კარნუ-ქალაქის, ნახჭევანის და სხვა ყმადნაფიცების დალაშქერის თაობაზე, ეს უფრო გვიან, დაახლოებით 1218-1219 წლებში მოხდა, დე ბუას გაგ ზავნილი ეპისტოლეს შემდეგ.<sup>2</sup>

ვფიქრობთ, რომ სწორედ იოანე მეფე-ხუცესის ლეგენდა საფუძვლად დაედო დე ბუას წერილის ისტორიას. XIII საუკუნიდან კვლავ გაცოცხლდა ჯვაროსანთა წარმოდგენებში თითქმის მივიწყებული მითიური მეფის სახე და ლაშა-გიორგის თანხმობამ, მონაწილეობა მიეღო ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობებში, ამ თქმულებას ახალი სიცოცხლე შთაბერა.

ზ. ავალიშვილიც დე ბუას წერილში მოთხრობილ ამბავს ჯვაროსნებში ადრე გავრცელებულ ლეგენდებს უკავშირებს და ამის გაგრძელებად მიიჩნევს. ამავე დროს, მკვლევარი აღნიშნავს, რომ იოანე ხუცესის და ახალი იოანე-დავითის სახეების შერწყმა ეხება დამიეტის ომის ხანას(1219-1221).<sup>3</sup>

<sup>1</sup> ზ. ავალიშვილი ეჭვობს, რომ ხლათის გარემოცვის ისტორია, სადაც ივანე მხარგრძელი ტყვედ ჩავარდა და ომი ნაადრევი დაზავებით დაშთავრდა, ყოფილიყო დე ბუას წერილში მოთხრობილი ქართველთა ლაშქრობის საფუძველი. დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

<sup>2</sup> ლაშა-გიორგის დროინდელი მემატთანე, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955. გვ. 370. უამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1959. გვ. 152-154. ეს ლაშქრობები ყმადნაფიცთა დასამორჩილებლად დათარიღებულია 1219 წლის შემდგომი ხანებით. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ. III. თბ. 1966. გვ. 12-13.

<sup>3</sup> ზ. ავალიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 96. 108

იოანე მეფე-ხუცესის მითიური სახე ამ დროისათვის დაკავშირებულ იქნა ვინმე დავით მეფესთან. რუდოლფ კოგეშალეს ცნობით, „1221 წელს მთელ საქრისტიანოში ხმა გაერცვლდა, რომ დავით მეფე, რომელიც იოანე მეფე-მღვდლად (პრესბიტერი) იწოდება, თავისი ჯარით დაიძრა ინდოეთიდან და გაანადგურა მიდიელები და სპარსელები“.<sup>1</sup>

ინდოეთის მეფე დავით-იოანეზე ცნობებს გვანწვდის ასევე ჟაკ დე-ვიტრი. იგი 1221 წლის წერილში რომის პაპ ჰონორიუსისადმი აღნიშნავს, რომ ინდოეთის მეფის დავითის ჯარები 15 დღის სავალზე იდგნენ ანტიოქიიდან და მოიჩქაროდნენ წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად.<sup>2</sup>

მაგრამ ჯვაროსანთათვის სამწუხაროდ, არც ლეგენდარული მეფეების იოანე მეფე-ხუცესის და ინდოეთის მეფის დავითის და, არც რეალური ისტორიული ფიგურის, საქართველოს მეფის ლაშა-გიორგის ჯარები იერუსალიმის კედლებთან არ გამოჩნილან. ყველაფერი ეს ოცნებად დაურჩა ჯვაროსნებს და ეს ფაქტიც ადასტურებს მათი ამბების ლეგენდარულ კვალს.

შ. ბადრიძე და დ. ნინიძე იოანეზე ახალი თქმულებების გავრცელების შესახებ ერთ-ერთი წყაროდ ლაშა-გიორგის V ჯვაროსნული ლაშქრობისათვის სამზადისს ვარაუდობენ.<sup>3</sup>

ინოკენტი III-ის (1198-1216) დაწყებული საქმე გააგრძელა ჰონორიუს III-მ. მასაც არ შეუწყვეტია ლაშა-გიორგის სამეფო კართან ურთიერთობა. ჰონორიუსმა ხორცი შეასხა მისი წინამორბედის სურვილს. 1217 წელს დაიწყო V ჯვაროსნული ლაშქრობა. ჯვაროსნებმა მთავარი დარტყმები მიიტანეს ეგვიპტეზე, კერძოდ, დამიეტაზე. სწორედ დამიეტაში შეხვდნენ ერთმანეთს საქართველოს მეფის და პაპის ლეგატის კარდინალ პელაგიუსის ელჩები. ამას მოწმობს რუსუდანის, ივანე მხარგრძელის და ჰონორიუს III-ის ეპისტოლარული მემკვიდრეობა. ქართველთა მონაწილეობა V ჯვაროსნულ ლაშქრობაში რეალური ხდებოდა.

მაგრამ, სწორედ XIII საუკუნის პირველ მეოთხედში შორეული აღმოსავლეთიდან მოვარდნილმა ქარიშხალმა მონღოლ-თათრების სახით ლაშა-გიორგის და მისი მემკვიდრეების გეგმებში დიდი ცვლილებები შეიტანა. საქართველოს სამეფო კარს წმინდა მიწის გასათავისუფლებლად აღარ სცალოდა და ჯვაროსანთა რეალური იმედები ქართველთაგან დახმარების მიღებისა ოცნებად დარჩა.

<sup>1</sup> კოგეშალეს ცნობა, მისი ლათინური ტექსტი პირველად გამოსცა რ. როერიხტმა. *ზ. ავალიშვილი* დასახ. ნაშრომი. გვ. 108.

<sup>2</sup> *П. Гуманош*. დასახ. ნაშრომი. გვ. 155.

<sup>3</sup> *შ. ბადრიძე*. დასახ. ნაშრომი. გვ. 395-396. *დ. ნინიძე*, დასახ. ნაშრომი, გვ. 400-401. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იოანეზე ახალი თქმულებების გავრცელების საფუძველი ასევე მონღოლთა გამოჩენის ამბებმაც განაპირობა. მონღოლთა ყაენს ჩინგიზ-ხანს ახალ იოანე პრესვიტერად თვლიდნენ და ევროპელთა იმედები XIII ს. 20-იან წლებში სწორედ ამ მეომარი ტომების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლას დაუკავშირდა. მათ ქრისტიანებადაც კი თვლიდნენ ევროპაში და მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეებად მიიჩნევდნენ. გავისხენოთ თუნდაც საქართველოს მეფის რუსუდანის წერილი რომის პაპ ჰონორიუს III-დმი.

**A TRANSFORMED VARIETY OF PRESBYTER  
(KING-PRIEST) IN THE EPISTLE OF DE BUA**

**Summary**

**T**HE article discusses a noted epistle of the French knight De Bua of the epoch of Crusade Wars. The letter dates to 1211. It gives information on Lasha-Giorgi's military campaign for releasing Jerusalem and also Queen Tamar's "will" of transferring her to the Holy Land after her death. According to some opinions, it describes successful combats of Tamar's Georgia against Ayubians and the Seljuk Turks of Iran and Asia Minor. The author considers them as Crusade Wars and makes his compatriots think so as well. We consider that this epistle has a kind of fairy mantle. It is an ode to Lasha-Giorgi and bears a propagandistic and ideological character. This epistle is an echo of the legends about an anonymous king-priest (presbyter), spread in Europe in the middle of the XII century and the historic figure of Lasha-Giorgi is a new image of this mythic king in the imagination of French knight De Bua.

ევროპა – 1832 წლის შეთქმულთა გეგმავში

ეს ის დრო გახლდათ, როცა ქართველი არისტოკრატიის უკეთეს ნარმომადგენლებს ჯერ კიდევ არ გადანუროდათ იმედი. სახალხო აჯანყებების ტალღები ჩამცხრალი იყო. 1804, 1812 და 1819-1820 წლების საყოველთაო გამოსვლები სისხლში ჩაახშვეს. ისინი ცალკე-ცალკე მიმდინარეობდა დროშიც და სივრცეშიც. ახლა თითქოს ერთიანი საერთო-ქართული აჯანყების უამი დამდგარიყო.

შეთქმულთა ერთ-ერთი თავკაცი ალექსანდრე ორბელიანი მოგვითხრობს: „საერთო შეთქმას შეუდგენ ქართველები, 1830-სა წელსა: ეს შეთქმა ისე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია შავი ზღვიდგან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ სრულიად მთებისა და ბარის ხალხი, უნდა გავერთებულიყავით და ერთიანი აღრეულობა მოგვეხდინა... სრულიად საქართველოს დიდი კაცნი და მცირედნი და ბევრი სასულიერო ნოდებანი, რომლებთაც, ხნიანი დედაკაცნი და ყმანვილ ქალთა ერთი აზრი ქონდათ ყველას ჩვენთან: ან უნდა გავწყვეტილიყავით სულ ერთიან ან არადა მამული გამოგვეხსნა, საშინელის ჩვენის მტრის რუსეთისაგან...“

მაგრამ შეთქმულები ორი ფაქტორის გამო აჯანყებას ერიდებოდნენ. პირველი იყო ძლიერი დამხმარე-მოკავშირე სახელმწიფოს მხარდაჭერის უქონლობა და მეორე, ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების დადგომა. შეთქმულები ორივე ამ ფაქტორზე ფიქრობდნენ, ეძებდნენ და ელოდნენ. ისინი მზად იყვნენ საკუთარი მიზნის განსახორციელებლად გამოეყენებინათ ირანის მხარდაჭერა, სადაც ალექსანდრე ბატონიშვილი იყო გაქცეული. ისინი მზად იყვნენ ესარგებლათ ჩრდილო კავკასიაში დანყებული ანტირუსული გამოსვლებით, იმამი ყაზი მოლას მეთაურობით. მაგრამ შეთქმულები უფრო ევროპაში განვითარებული მოვლენებით ინტერესდებოდნენ.

განსაკუთრებით აქტუალური ოცდათორმეტიანელებისათვის „პოლშაში“ 1830 წლის ნოემბერში დანყებული დიდი აჯანყება გახლდათ. შეთქმულები მრავალი პარალელთა ენათესავებოდნენ პოლონელ „ბუნტარებს“ და ცდილობდნენ მათი მაგალითისა და გამოცდილებისათვის მიეხატათ. აჯანყება თითქმის ერთ წელიწადს გრძელდებოდა, რის გამოც პოლონეთის მოვლენები ქართველ შეთქმულთა მუდმივი ბაასის საგანს წარმოადგენდა.

შემთხვევითი არაა, რომ ალექსანდრე ორბელიანი შეთქმულების რეალური დასაწყისის თარიღად 1830 წელს მიიჩნევს. უჩვენებს კიდევც: „ამ დროებში „პოლშის ამბავიც მოვიდა, რომ იბუნტესო“. მე ეს ამბავი იასე ფალავანდიშვილმა მითხრა, თან დააყოლა: „ეხლა მაინც გაახილეთ თვალები ქართველებმა, აგერა პოლონელებმა რა ქნეს.“ ამის შემდეგ იასე სხვა შეთქმულებთან მიდის პოლონეთის ამბების შესატყობინებლად, ხოლო ალექსანდრე ორბელიანთან ახლა სოლომონ დოდაშვილი მოდის იმავე ინფორმაციით და ეუბნება – აბა რა ვქნათო. ერთი სიტყვით, პოლონელების

ბუნტი ქართველი შეთქმულებისთვის კატალიზატორივით მოქმედებს, იწყება მოძრაობა, კონკრეტული გეგმების შემუშავება. მეორეგან ალექსანდრე ორბელიანი პირდაპირ წერს, რას ეუბნებოდა იგი თავის ახალგაზრდა თანამებრძოლებს: „მანამ გარემოება თავისთავად არ მოიტანს, საქმე არას გზით არ შეიძლება აღსრულებაში მოვიყვანოთ ეს განზრახვა ეხლანდელს ქართველებში. ამასობაში პოლშა აიძალა... და შეუდექით საქმეს დიდის გულმოდგინებით“.

პოლონეთი ქართველ შეთქმულთა მიერ შემუშავებულ პროექტებშიც ფიგურირებდა. როგორი იქნებოდა მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ნიშნობა? ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენებით, აჯანყების მეორე დღესვე განზრახული იყო დაეარსებინათ სეიმი, რომელიც მეფის არჩევამდე ხელისუფლების მთავარი ორგანო იქნებოდა. სეიმი პოლონური წარმომავლობის ნოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო იყო და, ამდენად, იზიდავდა იდეის ავტორებს.

ოცდათორმეტიანელები დაწვრილებით იცნობდნენ აჯანყების პერიპეტიებს, ჯარების გადაადგილებას, საომარ ოპერაციებს და აღფრთოვანებულები იყვნენ პოლონელი პატრიოტების ბრძოლით.

შეთქმულნი სადილად, ვახშამსა თუ ჩაიზე იკრიბებოდნენ ერთმანეთთან. ერთ-ერთ ამგვარ შეკრებაზე, ჩაიზე წვეულნი არიან: მასპინძელი ელიზბარ ერისთავი – შეთქმულების თავკაცთაგანი; ალექსანდრე ორბელიანი და მისი ძმა – ვახტანგი; კორნეტი გიორგი ერისთავი, ზაალ ავთანდილაშვილი და მისი მეგობარი დიმიტრი ყიფიანი. ავთანდილაშვილის მონათხრობით, ყველანი კორნეტ გიორგი ერისთავს შემოხვევიან. მას ხელში უჭირავს ფანქარი და ქალაღდი. ქალაღდზე აღნიშნულია აჯანყებული პოლონელებისა და რუსეთის ჯარის განლაგება, რომლის ჩვენებითაც გიორგი ჰყვება ვარშავის აღების ამბავს. ეტყობა, ეს ხდება 1831 წლის აგვისტო--სექტემბერში, როცა რუსეთის იმპერიის დამსჯელი არმია აჯანყებულ ვარშავას მიადგა, მაგრამ ჯერ კიდევ არ აეღო ქალაქი.

რუსთა ჯარებმა პოლონეთის დედაქალაქი 1831 წლის 8 სექტემბერს აიღეს. აჯანყებულთა დამარცხებამ დამორგუნველად იმოქმედა შეთქმულებზე. ზოგს ენთუზიაზმი გაუქრა, ზოგს იმედი, ზოგმა განზრახვაზე ხელის აღება გადანყვიტა ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე. ამ შემთხვევაშიც პოლონეთის მაგალითს იშველიებდნენ.

ოფიცერმა ზაქარია ჩოლოყაშვილმა მონაწილეობა მიიღო პოლონეთის ლაშქრობაში. იმავე ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენებით, იგი თურმე ფანქრით აღნიშნავდა რუსთა ჯარების დისლოკაციის ადგილებს საქართველოს ტერიტორიაზე და შეთქმულებს განუმარტავდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა აჯანყებას. ზაქარია ამბობდა, რომ, როგორც სამხედრო პირი, კარგად დააკვირდა პოლონეთში საომარ ოპერაციებს, რომ „პოლონეთმა, რომელიც დიდი მომზადებული იყო, ვერ შესძლო ჩამოსცილებოდა რუსეთს და მით უმეტეს ჩვენთვის არის ძნელი ამაზე ფიქრი... ბატონებო, მე მზად ვარ თქვენთან ერთად მოვეკედე, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ნავაგებთ, უნდა დავიცადოთ“.

საბოლოოდ, პოლონელთა მარცხმა შეთქმულების რამდენიმე თვით შეფერხება და კინალამ ჩაშლა გამოიწვია. ივანე აფხაზის ჩვენებით, ალექსანდრე ორბელიანი ირწმუნებოდა, რომ 1831 წლისათვის შეთქმულებს ყველაფერი მომზადებული ჰქონდათ აჯანყებისათვის და იმასლა ელოდებოდნენ, აილებდნენ თუ არა რუსები ვარშავას. როგორც კი მოვიდა ამბავი ვარშავის ალების შესახებ, ჩვენი განზრახვაც ჩაიშალაო, დაასკვნა ალექსანდრე ორბელიანმა.

შეთქმულები კარგად იცნობდნენ იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებას, ევროპის ქვეყნების განსხვავებულ ინტერესებს. ისინი აცნობიერებდნენ, რომ ევროპის სახელმწიფოებს იმხანად ნაკლებად აინტერესებდათ საქართველო. ამ მიზეზის გამო ევროპასაც მოკრძალებული ადგილი ეჭირა შეთქმულთა გეგმებში. 1827 წელს საფრანგეთმა და ინგლისმა ხელშეკრულება დადეს რუსეთთან საბერძნეთის მხარდაჭერის შესახებ თურქეთთან კონფლიქტში. მოკავშირეების გაერთიანებულმა ესკადრამ იმავე წლის ოქტომბერში ეგვიპტე-თურქეთის ფლოტი გაანადგურა. რუსეთს შემდგომ წლებშიც არ ჰქონია რაიმე განსაკუთრებული გაუგებრობა დასავლეთ ევროპის ნამყვან სახელმწიფოებთან, ყოველ შემთხვევაში, შეთქმულების ჩავარდნამდე მაინც. პირიქით, 1831 წელს იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, ავსტრიისა და პრუსიის მონარქებთან ერთად და ინგლისის თანხმობით, საფრანგეთში მიმდინარე რევოლუციის ჩახშობას აპირებდა. ასე რომ, ქართველ შეთქმულებს ევროპის სახელმწიფოების იმედი რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლისა არ უნდა ჰქონოდათ.

მიუხედავად ამისა, შეთქმულთა თავყრილობებზე ეპიზოდურად მაინც საუბრობდნენ ევროპელთა მხარდაჭერის შესაძლებლობებზე. ამ პრობლემისათვის გვერდის ახვევაც არ შეიძლებოდა. სწორედ ამიტომაც შეთქმულები ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარების გეგმებსაც აწყობდნენ.

ეს აზრი განსაკუთრებით ბატონიშვილების წრეში ტრიალებდა. შეთქმულების ერთ-ერთი ინიციატორი დიმიტრი იულონის ძე ბატონიშვილი თანამებრძოლებს თავიდანვე განუმარტავდა, საჭიროა ერთი ჩვენი ბატონიშვილთაგანი დახმარების სათხოვნელად საფრანგეთში წავიდესო. ძნელი საქმე იყო და ბატონიშვილი იქვე ამატებდა: ევროპაში გამგზავრების „გამბედაობა და საშუალება“ ჯერჯერობით არა გვაქვსო. როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ქართლ-კახეთისა და იმერეთის უკანასკნელი მეფეების: ერეკლე მეორის, გიორგი მეთორმეტის, სოლომონ პირველის, დავით გიორგის ძის და სოლომონ მეორის მრავალრიცხოვანი ოჯახები და შთამომავლობა რუსეთში გადაასახლა და სამშობლოში დაბრუნება აუკრძალა. ბატონიშვილებს ფიზიკლად უთვალთვალებდნენ და, ბუნებრივია, მათს ევროპაში გამგზავრებას იმპერატორის სამსახურები არ დაუშვებდნენ.

ევროპაში წასვლის იდეა ანუხებდა თამარ იულონის ასულ ბატონიშვილსა და სხვა შეთქმულებს. თამარის გეგმით და ჩაგონებით, ალექსანდრე ორბელიანი თავისი ცოლ-შვილით, ელიზბარ და დავით ერისთავები, ალექსანდრეს ძმა – ვახტანგ ორბელიანი და თავად – თამარ ბატონიშვილი „ხელმწიფე იმპერატორის ნებით“ იერუსალიმში უნდა წასულიყვნენ ქრისტეს საფლავის მოსალოცად. რაც მთავარია,

ამბობდა ალექსანდრე ორბელიანი, „იქიდგან ფრანციის პარიჟში უნდა მივსულიყავით, იქიდგან გვსურდა, და განძრახვა გვექონდა, რომ ანგლიაში გაგვეზავნა ვინმე და ჩვენი მისვლა პარიჟში ეცნობებინა, – შემდეგ ჯერ აქ პარიჟში უნდოდათ ეჩივლათ, რომ უსამართლოდ არის წართმეული საქართველო ბაგრატიონთაგან, – შემდეგ ანგლიაში უნდა გავსულიყავით, და იქაც ისე უნდა შეგვეჩვილა, და ყველგან შემწეობა უნდა გვეთხოვნა, რომ თავიანთი მამული ისე დაბრუნებოდათ, ესე იგი საქართველო, და განეთავისუფლებინათ რუსებიდან“. ვერ წავიდნენ. მიზეზი იგივე გახლდათ: ვერც თამარ ბატონიშვილმა გაბედა წასვლა, შეეშინდა, მთავრობა იეჭვებდა და რეპრესიებს დაატეხდა თავს, შეთქმულება ჩაიშლებოდა.

ევროპის სახელმწიფოებთან დაკავშირებას აპირებდა შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი წამომწყებ-ორგანიზატორი ოქროპირ ბატონიშვილი. პეტერბურგიდან თბილისში მიმავალ ზაქარია ჩოლოყაშვილს ოქროპირი ეუბნებოდა, რომ „ფრანციაში“ წასასვლელად ემზადებოდა. ქართველი ბატონიშვილის გეგმის მიხედვით, საფრანგეთს ფლოტი უნდა გამოეგზავნა შავ ზღვაში და დახმარებოდა აჯანყებულებს საქართველოს განთავისუფლებაში. მასთან ერთად თუ ცალკე, საფრანგეთში წასვლას აპირებდა ოქროპირის ძმა ალექსანდრე ბატონიშვილიც. ეს ინფორმაცია პეტერბურგიდან თბილისში ჩამოსულმა ზაქარია ჩოლოყაშვილმა ალექსანდრე ორბელიანს გადასცა.

შეთქმულების სხვა არაერთი მონაწილე ადასტურებდა, რომ ევროპასთან დაკავშირებას აპირებდნენ. საფრანგეთში ელჩები უნდა გაეგზავნოთ, რათა რუსეთისაგან განთავისუფლებაში დაგვეხმარონ – ეუბნებოდა ელიზბარ ერისთავი თავის ნათესავს ლუარსაბ ერისთავს. თამარ ბატონიშვილი, ეტყობა, იქამდე, სანამ თვითონ გადაწყვეტდა წასვლას, მანამდე შეთქმულებს ურჩევდა, „ფრანციაში ერთ-ერთი დიდი კაცი ვინმე“ გაეგზავნათ. ალექსანდრე ორბელიანი ირანში გადახვეწილ ალექსანდრე ერეკლეს ძე ბატონიშვილს წერდა, რათა ამ უკანასკნელს ინგლისისათვის მიემართა დახმარების თხოვნით.

ზოგიერთი ცნობით, შესაძლოა, შეთქმულებმა მოახერხეს კიდევ გარკვეული ურთიერთობის დამყარება ევროპის სახელმწიფოებთან. ყოველ შემთხვევაში, თაღია ჩოლოყაშვილი 1832 წლის ნოემბერში ორჯერ აჩვენებდა, საგამოძიებო კომისიას, რომ ოქროპირ ბატონიშვილს და კიდევ ერთ მონაწილეს „აქეთ მინერ-მონერა ფრანციაში და ანგლიაში საიდამაც ელოდენ შემწეობას“.

ერთი სიტყვით, სოლომონ რაზმაძის თქმისა არ იყოს, შეთქმულებს „თუ ინგლისი ან საფრანგეთი დაეხმარებოდათ, მაშინ, ეგონათ, რომ გაიმარჯვებდნენ“.

1832 წლის დეკემბერში შეთქმულება გასცეს. თბილისში და მის გარეთ დაპატიმრებები დაიწყო. საგამომძიებლო კომისიამ დამნაშავეებად მიჩნეული 145 კაცი ათ ჯგუფად დაჰყო. ამჯერად ჩვენს ყურადღებას ბრალდებულთა შერვე ჯგუფი იქცევს, რომელშიც შედიოდნენ ისინი, „ვისზედაც შეიძლება ეჭვის მიტანა, რომ მათ ან იცოდნენ შეთქმულების ამბავი, ან მას თანაუგრძნობდნენ“. ამგვარად მიჩნეულ 11 კაცს შორის იყო ორი უცხოელი – ერთი პოლონელი და ერთი – ფრანგი, თანაც ორივე დიდმოხელე.

პოლონელი პეტრე ზავილეისკი 1829 წელს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორად დაინიშნა. იგი დაახლოებული იყო და მეგობრობდა ქართველი არისტოკრატის არაერთ წარმომადგენელთან, მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ოქროპირ ბატონიშვილთან, სხვებთან. გამოძიების მასალები პირდაპირ მიუთითებენ ზავილეისკის კავშირს შეთქმულებთან. მასალების მიხედვით, რომელთა სანდოობა ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულად ითვლება, ზავილეისკი პირდაპირ მოუწოდებდა ალექსანდრე ორბელიანს „ბუნტი მოეხდინა,“ ხოლო სხვა შეთქმულებს არწმუნებდა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე ნუ გგონიათ რუსეთის სამსახურში, მას თავისი სამშობლო ძალიან უყვარსო. სხვები იმასაც კი ირწმუნებოდნენ, ზავილეისკი განგებ ავინროებს ხალხს, რომ მათში ბუნტი გამოიწვიოსო. ეს მაშინ ხდებოდა, როცა პოლონეთში აჯანყება მიმდინარეობდა. იმპერიის ხელისუფლებამ საეჭვო გუბერნატორი თანამდებობიდან გადააყენა და საქართველოს მოაშორა.

არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს შეთქმულებასთან დაკავშირებული მეორე უცხოელი. ესაა საფრანგეთის საკონსულოს მდივანი – ლეტელიე. ისიც ქართველი არისტოკრატის წრეებთან დაახლოებული კაცი გახლდათ, მეგობრობდა არაერთ მათგანთან, რომელთაგან ბევრი შეთქმულების მონაწილე იყო. პეტერბურგში ჩასული შეთქმული გიორგი რევაზის ძე ერისთავი ლეტელიეს მეუღლითურთ ნახულობს ფრანაოზ და თეიმურაზ ბატონიშვილებთან სტუმრად მყოფს. ლეტელიე ქართველ თავადს წერილებს ატანს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან.

რა თქმა უნდა, ამ ნაცნობობაში არაფერი იქნებოდა გასაკვირი, რომ არა ერთი უცნაური გარემოება. ფრანგი დიპლომატი ახალგაცნობილ ქართველ თავადთან უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლისათვის ერთობ შეუფერებელ და სახიფათო თემებზე აბამს საუბარს. ფრანგი დიპლომატისა და ქართველი შეთქმულის საუბრის თემა საქართველოს მძიმე მდგომარეობაა. „იგი ამჟამად საშინელ მდგომარეობაშია, რადგან დაჩაგრულია,“ – ამბობს საფრანგეთის საკონსულოს მდივანი. მისივე შეფასებით, საქართველო ისეთი „გაუნათლებელი არასოდეს ყოფილა, როგორც ეხლა“, რადგან რუსეთის ხელისუფლება „არ ცდილობს მის განათლებას და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას“.

ლეტელიეს თქმით, სრულიად საპირისპიროდ რუსეთისა, მოქმედებდა საფრანგეთი ალყირში, სადაც ის ცდილობდა ადგილობრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხალხის განათლებას, აარსებდა უნივერსიტეტებს და ა. შ.

კიდევ უფრო გაბედულად ელაპარაკებოდა ფრანგი დიპლომატი მეორე შეთქმულს დიმიტრი ორბელიანს, რომელსაც, შეიძლება ითქვას, პირდაპირ მოუწოდებდა გადამწყვეტი მოქმედებისაკენ: რუსეთი უსამართლოდ ექცევა საქართველოს და მისი დაქვეითება სურს. ამის გამო, „საქართველო უნდა ეცადოს თავი გაინთავისუფლოს“, – ეუბნება ლეტელიე ერთ-ერთ მთავარ შეთქმულს და თან აიძულებს: „ფრანგები კეთილი ხალხია და უშველიან ფულითა და ყოველგვარი საშუალებით“.

დაუჯერებელია, რომ ამგვარი სიტყვებით ფრანგ დიპლომატიურ წარმომადგენელს ესაუბრა ახალგაცნობილ ქართველ თავადებთან, წინასწარი რეკომენდაციის გარეშე. ცხადია, მას უთხრეს, რომ ორივე თავადი – გიორგი ერისთავიცა და დიმიტ-

რი ორბელიანიც, შეთქმულები არიან და მათი ნდობა შეიძლება. ამგვარი გაფრთხილების შემდეგ ლეტელიე თავისუფლად ურიგებს ქართველ განდობილებს რჩევებს და დახმარებასაც პირდება „კეთილი ფრანგი ხალხის“ სახელით. არც ისაა დასავინყებელი გარემოება, რომ ლეტელიესა და ქართველი შეთქმულების საუბარს ესწრებოდა „ვილაც პოლონელი“ და როცა ფრანგული საკონსულოს მდივანი „კიცხავდა რუსეთის მთავრობას“, ისიც „ეთანხმებოდა ბატონ ლეტელიეს მოსაზრებებს“.

ბუნებრივია, რომ როგორც კი შეთქმულთა დაპატიმრებები დაიწყო, ლეტელიე სასწრაფოდ გაეცალა საქართველოსაც, რუსეთის იმპერიასაც. არც მისი სამშობლო – საფრანგეთი და არც სხვა ევროპული სახელმწიფოები არ გეგმავდნენ იმხანად რუსეთს სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში დაპირისპირებოდნენ.

ოცდათორმეტიანელებმა თავისი მიუღწეველი მიზნები და ოცნებები შემდგომ თაობებს უანდერძეს.

DIMITRI SHVELIDZE

## EUROPE IN THE PLANS OF 1832 CONSPIRACY

### Summary

IN the 20s of XIX century, a group of aristocratic-intelligent youths with democratic ideas appeared on the social-political scene of Georgia. This group greatly influenced the plans of the conspirators of 1832 plot. According to one of the projects, constitutional-monarchy should have been the ruling system of independent Georgia.

At the same time, the members of conspiracy thought of keeping in touch with powerful Western European countries in order to win their support.

## სოფელი წინამძღვრიანთკარი (არჯაკალი)

ს. წინამძღვრიანთკარი მდებარეობს მუხრან-საგურამოს ვაკის აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 680 მ-ზე, თეზმის ხევის მარჯვენა მხარეს 1-2 კმ-ზე. იგი შედის გალავნის სოფლის საკრებულოში. ამჟამად წინამძღვრიანთკარი პირდაპირ მიბმულია სოფ. გალავანზე და მის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენს. სოფელი ამჟამად შედის მცხეთის რაიონში, ცენტრიდან დაცილებულია 20 კმ-ზე. გალავნის საკრებულოში, გარდა წინამძღვრიანთკარისა, შედის აგრეთვე თვით სოფ. გალავანი, სს. არაშენდა, ბინმენდი, ბურიანი, ზაქარო, კოტორაანთკარი, ნავდარაანთკარი, ჭილანთკარი და ჯილაურა.

ისტორიული გეოგრაფიის მიხედვით, წინამძღვრიანთკარი კახეთში იგულისხმება, კერძოდ გარეკახეთში, შედიოდა ეპისკოპოს რუსთველის სამწყსოში და რუსთველის სადროშოში.<sup>1</sup> XIX ს-ში სოფელი დუშეთის მაზრას დაუქვემდებარეს, ამჟამად კი, როგორც უკვე აღინიშნა, მცხეთის რაიონს განეკუთვნება.

საგურამოს მხარის უძველესი სახელი, ლეონტი მროველის მიხედვით, ზანავი ყოფილა. როცა „ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტოებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა, მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, ან ჰქვიან ხერკ ხარკისა მისთჳს“.<sup>2</sup>

ხერკის ეტიმოლოგია ხალხური ეტიმოლოგიის იერს ატარებს. ჩვენთვის აქ საინტერესოა ის, რომ ხერკის უძველესი სახელი ზანავი ყოფილა. ხერკის მხარე ჯუანშერთან და „მატიანე ქართლისაში“ რამდენჯერმეა მოხსენიებული როგორც დიდი ბრძოლების ადგილი. მაგალითად, V ს-ის მეორე ნახევარში, როცა 16 წლის ვახტანგ გორგასალმა ოსეთის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა, „მოუწოდა ყოველთა სპათა ქართლისათა და შემოკრბნეს ყოველნი და დაიბანაკეს მუხრანს და ხერკს, ამიერ და იმიერ არაგუსა“.<sup>3</sup>

VIII ს-ის II ნახევარში, როცა არჩილ მეფემ „მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა და მისცა ძმისწულნი მისნი... [ცოლად], მეექუსე მისცა ჯუანშერს ჯუანშერიანსა, რომელი იგი იყო ნათესავი მირიან მეფისა, შვილთაგან რევისათა და მისცა ჯუარი და ხერკი, და ყოველი მთიულეთი, მანგლისის კევი და ტფილისი“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დოლიძის რედ., გვ. 387.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., I, გვ. 16.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 150.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 242.

X ს-ში აფხაზთა მეფემ ლეონმა „კუალად ინყო მტერობად კვირიკესა და ძებნად კახეთისა; გაილაშქრა სპითა დიდითა, ჩადგა არაგვის პირსა, ასწყვდა მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი, და მასვე ლაშქრობასა დასწევულდა, შეიქცა გარე და მოუკუდა“.<sup>1</sup>

ხერკის ქვეყანას გვიანსაშუალო საუკუნეებში საგურამო ეწოდა. რადგან ამ მხარის ძირითადი მამულები თავად გურამიძეების (ზედგინიძეების) სამფლობელოში აღმოჩნდა. ვახუშტის სიტყვით, კუხეთის ანუ ზედაზნისა და ერწოს მთას „შორის [არს] ხერკი, არამედ ან საგურამო ანუ თეზმის ჳევი“<sup>2</sup>. ვახუშტისავე სიტყვით, „არს ესე საგურამო ნაყოფიერი ხილით, ვენახით, მარცვლით, თუნიერ ბრინჯ-ბამბისა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველთა, ტყითა, ველითა და მთით შემკობილი“.<sup>3</sup>

ს. ნინამძღვრიანთკარის ძველი სახელი არჯაკალი ყოფილა. ისტორიულ დოკუმენტებში იგი პირველად იხსენიება 1392 წ. ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში. იგი მოხსენიებულია დღევანდელი ნინამძღვრიანთკარის მეზობელი სოფლების გარემოცვაში: „სოფელი ქვემო ბინმენი, სოფელი ზემო ბინმენი, სოფელი არჯაკალი... საგურამოს ოთხი კომლი კაცი მეღალაუნი“.<sup>4</sup>

ს. არჯაკალი მოხსენიებულია კახთა მეფის ალექსანდრე II-ის სიგელში სვეტიცხოვლისადმი. ამ სიგელით ს. არჯაკალი და მათი მფლობელები აზნაურნი მინობელიძენი განთავისუფლებულია, სვეტიცხოვლის კახურ სხვა ყმა-მამულთან ერთად სახელმწიფო გადასახადებისაგან: „სოფელი ბინმენი და გიჯიყურლნი<sup>5</sup> ორნი სახლნი ... მეორე ბინმენი; სოფელი ბოკონინი;<sup>6</sup> სოფელი არჯაკალი და მინობელნი<sup>7</sup> ნაენიოს და გიორგი მისი განაყოფი და პა[ა]ტა მისი განაყოფი მათითა მამულითა...“<sup>8</sup> მეფემ სვეტიცხოვლის სოფლები „თარხნად და ჳელშეუალად“ უბოძა ეკლესიას: „ყოვლის ნივთისაგან რომ არაფერი არა ეთხოებოდეს-რა და არცა-რა ეწერებოდეს: არა მალი, არა სათათრო დიდი საურავი, არა სამასპინძლო, არა საჯინბო, არა საახორსარალო, არა შუისა და წყლის ზიდვა, არა მუახლე, არა ძიძა, არა ქორწილის ხარჯი და არც მიცვალებულისა, არაფერი, რაც მოიგონების და ან მწერლისაგან დაინერების, არც ბაზიერთა და არც მეურმეთა“.<sup>9</sup> საეკლესიო გლეხები არ თავისუფლდებოდნენ მხოლოდ მეფის „ლაშქარ-ნადირობისა და მტრის დარაჯობისაგან“.<sup>10</sup> აგრეთვე თუ ამ სოფლების გლეხები მცხეთის ეკლესიის სამსახურისაგან

<sup>1</sup> იქვე, გვ. 270.

<sup>2</sup> *ბატონიშვილი ვახუშტი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქ.-ც., ტ. IV, გვ. 536.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 537.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 181. საბუთის თარიღი: ქრწი 3 ეჭეს ინვეეს. იმ დროს ალექსანდრე მეფე არ ყოფილა. შესაძლოა ქენ პ-ს მაგივრად უნდა იყოს რ (1412 წ.). მაშინ იყო მეფედ ალექსანდრე.

<sup>5</sup> მცხეთის აზნაურებია.

<sup>6</sup> ახლანდელი ს. გალავანი.

<sup>7</sup> იგივე მინომლიძეები, მცხეთის აზნაურები.

<sup>8</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 200.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 201.

<sup>10</sup> იქვე.

„მოცლით იყუნენ, ციხე გვიმუშაონ და სასახლეც უმიზნოდ იმუშაონ“-ო-, დასძენს აღექსანდრე მეფე.<sup>1</sup>

XVIII ს-ში საგურამოს ანუ თეზმის ხევის სოფლების მდგომარეობა, მათ შორის არჯაკალისაც ძლიერ გაუარესდა. XVIII ს-ის 20-იანი წლებიდან, როცა ქართლ-კახეთის დასაპყრობად, ერთი მხრით, ირანი, ხოლო, მეორე მხრივ, ოსმალეთი იბრძოდნენ, გაძლიერდა ლეკთა დიდი შემოსევები მთელს კახეთში. ვახუშტის სიტყვით, „იყო მარადის ლაშქრობა ლეკთაგან და ოხრება კახეთსა შინა“.<sup>2</sup> „ლეკთა დაიპყრეს კახეთი, მაჰმადიან ჰყვნეს და დაუდგინეს მოლანი მათნი დაბნებთა, ციხე-სიმაგრეთა შინა“.<sup>3</sup> კახეთს თავს ესხმოდა როგორც ჭარ-ბელაქნის, ისე დაღესტნიდან გადმოსული ლეკები. ლეკებმა თელავის დაპყრობაც განიზრახეს და ალყა შემოარტყეს ქალაქს, რომელიც ერთი კვირა გაგრძელდა. ვახუშტის გადმოცემით, „მისჭირდათ თელაველთა და განწირნეს თავნი და... ეკუთნენ თელაველნი და მოსრნეს ბანაკნი მათნი. აოტნეს და აღიღეს ალაფნი მათნი. ამის მხილველთა კახთა მოსრნეს ყოველნი თვისთა შინ მყოფნი ლეკნი და განთავისუფლდნენ და კუალად სიმაგრეთა შინა მყოფნი დადგრნენ მტკიცედ“.<sup>4</sup>

ლეკთაგან თავდასაცავად უნდა იყოს აგებული ბოკონინის (ან გალავნის) ციხე-გალავანი ეკლესიითურთ, სადაც გადმოცემით, თავს აფარებდნენ არა მხოლოდ ბონოკინის, არამედ თეზმის ხევის სოფლების, და მათ შორის არჯაკალის მცხოვრებნიც. მიუხედავად ამისა, დიდად დაზარალდა მთელი თეზმის ხეობის ანუ საგურამოს მხარის, სოფლების მოსახლეობა. გადმოცემით, ლეკების დიდი რაზმი დაბანაკებული ყოფილა ზედაზნის მთაზე, საიდანაც ახდენდა ქურდულ თავდასხმებს სოფლებზე. მიჰყავდათ ტყვეები და მიჰქონდათ ქონება. ამისთვის მათ ცალკე რაზმი ჰყოლიათ, რომელსაც დაღესტანში გადაჰყავდა ტყვეები. ამის გამო თითქმის გადაშენებამდე მივიდა მხარის სოფლები. დღეს იქ ძირითადად XIX-XX სს-ში მოსული მოსახლეობა ცხოვრობს. მოსულების დიდი ნაწილი მთიელებია (გიგაურები, ჭინჭარაულები...), არიან შიდა ქართლიდან (ამირხანაშვილები) და დასავლეთ საქართველოდან (შენგელია, რაზმაძე) გადმოსულებიც კი.

სოფ. არჯაკალის მფლობელ მცხეთის აზნაურს მინობლიძეს მემკვიდრე აღარ ჰყოლია. XVIII ს-ის ბოლოს მას კათალიკოზის ნებართვით ყულულჩი მარკოსი აუყვანია შვილად<sup>5</sup>, მაგრამ შემდეგ უარი უთქვია შვილობილზე და უშვილებია ციციშვილების ყოფილი აზნაური წინამძღვრიშვილი გაბრიელ. მინობლიძის გარდაცვალების შემდეგ, როცა გ. წინამძღვრიშვილმა მოინდომა მინობლიძეთა ცმა-მამულის დაუფლება, კათალიკოზი წინააღმდეგი წასულა. მას განუცხადებია, რომ, რადგან მინობლიძე მცხეთის აზნაური იყო, მას კათალიკოზის ნებართვის გარეშე არ შეეძლო

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II.

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართვეოსა, ქ.ც. ტ. IV, გვ. 622.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 623.

<sup>5</sup> სცია, ფ. 1448, 2769; გ. აკოფაშვილი, სოც. ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. საქართველოში, გვ. 65.

ნაშვილობის აქტის გაფორმება.<sup>1</sup> საბოლოოდ სოფ. არჯაკალი მაინც წინამძღვრიშვილების სამფლობელოს წარმოადგენდა XIX-XX სს-ში. ამის გამო სოფელს წინამძღვრიანთკარი ეწოდა.

1863 წელს თავდგო გურამიშვილის სიძე გახდა ილია ჭავჭავაძე. დაახლოებით იმავე ხანებში გურამიშვილების სიძე გახდა მთავრობის დიდი მოხელე დიმიტრი სტაროსელსკი, რომელიც მეგობრობდა ილიასთან (დაკრძალულია საგურამოში). მათ, განსაკუთრებით, ილია ჭავჭავაძეს, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით საგურამოს ხეობის დანიშნულებაში, მაგრამ მაინც დიდად გამორჩეულია აქაური ღარიბი აზნაურის, გამორჩენილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ილია წინამძღვრიშვილის ღვაწლი სოფლისა და მთელი მხარის წინაშე იმით, რომ მან სოფელში, საკუთარ მამულში გახსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

ილია წინამძღვრიშვილმა (1836-1920 წწ.) პირველდანიებითი განათლება საკუთარ ოჯახში მიიღო, 1855 წელს კი მან წარმატებით დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია. იგი სწავლის გაგრძელებას აპირებდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, მაგრამ უსახსრობის გამო პეტერბურგში წასვლა ვერ შეძლო. იგი 1858 წლიდან სახელმწიფო სამსახურში შევიდა. სხვადასხვა დროს იგი იყო თბილისის გუბერნიის მმართველობის გადამწერი, მაგიდის უფროსი, სამიჯნო სასამართლოს წევრი და თავმჯდომარე. 1868 წლიდან თბილისის მესამე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იყო. ბოლო ხანებში კი ილია წინამძღვრიშვილი მსახურობდა უფროს ნოტარიუსად თბილისში.

ილია წინამძღვრიშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა XIX ს-ის 70-იან წლებში ბოლოს. იგი „ხორეშან გვერდნითელის“ ფსევდონიმით გაზეთ „დროებაში“ ხშირად აქვეყნებდა წერილებს, წარკვევებს, უმთავრესად სოცოფაცხოვრებო, ეთნოგრაფიულ, სოფლის მეურნეობისა და სოფლის ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე, აგრეთვე ქალთა საკითხზე, თეატრისა და „დრამატული საზოგადოების“ შესახებ. მან შეადგინა აგრეთვე რამდენიმე სახელმძღვანელო მის მიერვე დაარსებული სასოფლო-სამეურნეო სკოლისათვის. იგი იყო XIX ს-ის 60-იანი წლების მონიწივე ინტელიგენციის ერთ-ერთი გამორჩენილი მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის პირადი მეგობარი და თანამებრძოლი.<sup>2</sup>

იმის გამო, რომ საგურამოს მხარეში არც ერთი სკოლა არ არსებობდა და მთელს საქართველოში კი არც ერთი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, ილია წინამძღვრიშვილმა გადაწყვიტა სოფელში, თავის მამულში, გაეხსნა 6 წლიანი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი თავისივე ხარჯით. 1880 წ. გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნდა სკოლის პროექტი, რომლის სათაური იყო: „პროექტი წინამძღვრიშვილის პრაქტიკული სასოფლო-სამეურნეო სკოლისა, შემდგარი 24 მუხლისაგან“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

<sup>2</sup> რ. გედევანიშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, თბ., 1958; დავით ნავდარაშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, თბ., 1973.

<sup>3</sup> გაზ. „დროება“, 1880, გვ. 251.

სკოლა იხსნებოდა წინამძღვრიანთკარში, სწავლა უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე, ექვსი წლის განმავლობაში, მიიღებოდა ყველა წოდებისა და ეროვნების წარმომადგენლები, სკოლა გათვალისწინებული იყო 25 ბავშვზე, სწავლა და სასწავლო ნივთები უფასო უნდა ყოფილიყო; სკოლის შენობასა და სხვა ხარჯებს კისრულობდა თვით დამფუძნებელი, მხოლოდ იმედს გამოთქვამდა, რომ შემდეგ საზოგადოება და მთავრობა გარკვეულ დახმარებას გაუწევდნენ სკოლას. პროექტს გამოეხმაურნენ ქართველი მოღვაწეები, რის შედეგადაც პროექტი კიდევ უფრო დაიხვეწა და დამუშავდა. პროექტის შედგენაში მონაწილეობა მიუღია ქართველ მოღვაწეებს: ი. გოგებაშვილს, ი. ჭავჭავაძეს, ნიკო ცხვედაძეს და სხვ. 1881 წ. ბოლოს ი. წინამძღვრიშვილმა სკოლის საძირკველი ჩაყარა, მომავალ წელს კი მშენებლობა გაგრძელდა.

სკოლის წესდებას მთავრობა არ ამტკიცებდა. კერძოდ, სასწავლო ოლქის მზრუნველი იანკოვსკი წინააღმდეგი იყო სკოლაში საგნების ქართულ ენაზე სწავლებისა. როგორც ცნობილია, XIX ს-ის 80-იან წლებში გაძლიერდა რუსიფიკატორული პოლიტიკა კავკასიაში: სკოლებიდან ქართული ენა განდევნეს. ასეთ ვითარებაში ქართული სკოლის გახსნა ძალიან გაძნელდა. მაგრამ ი. გოგებაშვილის, ი. ჭავჭავაძის ენერგიული მოღვაწეობით და გურამიშვილების სიძის, კავკასიის მეფის ნაცვლის თანაშემწის დ. სტაროსელსკის დახმარებით, ამასთან, რადგან სკოლა კერძო იყო, მოხერხდა სკოლის ქართულ ენაზე გახსნის ნებართვის მიღება. დ. სტაროსელსკიმ, რომელიც იმ დროს ასრულებდა კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობას, 1883 წ. 19 მარტს დაამტკიცა სკოლის წესდება, ხოლო იმავე წლის 22 აპრილს იანკოვსკიც იძულებული გახდა დაემტკიცებინა სასწავლებლის პროგრამები და გეგმები.<sup>1</sup>

სკოლა გაიხსნა 1883 წლის 4 სექტემბერს საზეიმო ვითარებაში. სტუმრები ჩამოვიდნენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან და სოფლებიდან. მრავლად იყვნენ საგურამოს ხეობის გლეხობა, სკოლის გახსნას დაესწრნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვედაძე, პროფ. ილია ოქრომჭედლიშვილი, მოსე ჯანაშვილი, გენერალ-ლეიტენანტი დიმიტრი სტაროსელსკი და სხვ.<sup>2</sup>

საზოგადოებას სიტყვებით მიმართეს ილია წინამძღვრიშვილმა, დ. სტაროსელსკიმ, ი. ჭავჭავაძემ და სხვ. წინამძღვრიანთ სკოლის გახსნას ოდესიდან ტელეგრამით მიესალმნენ ცნობილი მეცნიერები, პროფესორები ვასილ პეტრიაშვილი და პეტრე მელიქიშვილი.<sup>3</sup>

სკოლაში სწავლა დაიწყო 1883 წ. 5 სექტემბერს. პირველ წელს სკოლაში ჩაირიცხა 22 ბავშვი. სასწავლებელში ლეზულობდნენ 10-12 წლის ბავშვებს. ი. წინამძღვრიშვილმა სკოლას გადასცა 50 დესეტინა (55 ჰა) მიწა და ტყე. სასწავლებლის შენობებს შეადგენდა სახლი კლასებისა და მუზეუმისათვის, სახლი მასწავლებლებისათვის ორ-ორი ოთახით, მონაფეთა საერთო საცხოვრებელი, ორი სასადლო

<sup>1</sup> დ. ნავდარაშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, გვ. 6-8.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

სამზარეულოთი და სარდაფით, ორი ოთახი საერთო საცხოვრებლის ზედამხედველ მასწავლებლებისათვის, ღვინის სარდაფი 20000 ლიტრის ტევადობით, სანახელით, პურის საცხობი და სახელოსნოები. რევაზ გედევანიშვილის სიტყვით: „ყველაფერი ეს იმ დროისათვის ღირდა 50000 მანეთი“<sup>1</sup>

სკოლის მეურნეობა (ვენახი, ხილის ბაღი, ბოსტანი და საყვავილე) გაშლილი იყო 10 დესეტინაზე, ყველა სამუშაო ტარდებოდა მოსწავლეთა მიერ. სკოლასთან მონყობილ სახელოსნოებში ბავშვებს ასწავლიდნენ დურგლობას, ზეინკლობას და მჭედლობას. სწავლება ექვსწლიანი იყო – ოთხი მოსამზადებელი განყოფილება და ორი კლასი. სწავლება უფასო იყო, მაგრამ ვინც საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა კვებისათვის 84 მან უნდა გადაეხადა. ღარიბები საკვები ფულისაგანაც თავისუფლდებოდნენ. სკოლაში ასწავლიდნენ ქართულ და რუსულ ენებს, ისტორიას, არითმეტიკას, გეომეტრიას, სამშობლოსმცოდნეობას, გეოგრაფიას, ზოოლოგიას, ბოტანიკას, მინერალოგიას, მინათმოქმედებას, მეტყვეობას, მესაქონლეობას, მეფუტკრეობას, ცხოველთა მეურნალობას და ჰიგიენას, ხატვა-ხაზვას და სიმღერა-გალობას<sup>2</sup>. სკოლადამთავრებულებიდან ზოგიერთი სწავლას აგრძელებდა ყირიმში ნიკიტის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში. სკოლისა და დამხმარე ნაგებობების მშენებლობაში უსასყიდლოდ მონაწილეობა მიუღიათ ინიცირ-მშენებელს მიხეილ ბებუთოვს, არქიტექტორებს ევგენ ბელოის და მიხეილ სალამბეგოვს. სკოლის პირველი მასწავლებლები იყვნენ აგრონომი ერმილე ნაკაშიძე, ისიდორე რამიშვილი, ევ. კანდელაკი, გ. ასათიანი და სხვ.<sup>3</sup>

ი. ჭავჭავაძის ინიციატივით (1886 წ.), საქართველოს საზოგადოებამ გაზეთების საშუალებით („ივერია“, „ნოვოე ობოზრენიე“, „მშაკი“) შეაგროვა და სკოლას გადაეცა 12682 მან. 1890 წ. კი კვლავ ი. ჭავჭავაძისა და ი. გოგებაშვილის ინიციატივით, სათავადაზნაურო ბანკმა სკოლას ყოველწლიური დახმარება გადაუწყვიტა 4000 მან ოდენობით. ამას გარდა, 10 ღარიბი მოსწავლის შესანახად წლიურად 1000 მან. გამოიყო, ე. ი. სულ 5000 მან.<sup>4</sup>

1889 წ. სასწავლებლმა კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადი გამოუშვა. სამი კურსდამთავრებული, ილია წინამძღვრიშვილის თაოსნობით, გაიგზავნა იალტაში ნიკიტის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში სასწავლებლად. 1921 წლიდან ნიკიტში სასწავლებლად ან პრაქტიკის მისაღებად გაიგზავნა სულ 50-ზე მეტი წინამძღვრიანთკარის მოსწავლე.<sup>5</sup>

1913 წ. 4.IX საქართველოს საზოგადოებრიობამ ზემოთ აღნიშნა წინამძღვრიანთკარის სკოლის დაარსების 30 წლისთავი. ზემოთ სიტყვები წარმოთქვეს ა. წერეთელმა, კ. აფხაზმა, სვ. ხუნდაძემ, გლეხმა გულბათაშვილმა და სხვ. იმ დროისათვის

<sup>1</sup> რ. გედევანიშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, გვ. 12-13.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> დ. ნავდარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

<sup>4</sup> რ. გედევანიშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, გვ. 20.

<sup>5</sup> დ. ნავდარაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 37.

სკოლაში უკვე 153 მოწაფე სწავლობდა. სულ 30 წლის განმავლობაში (1883-1913) სკოლაში სწავლობდა 623 მოსწავლე. აქედან გლეხთა შვილები – 400; თავადაზნაურთაგან – 171; სასულიერო წოდებიდან – 39; მოქალაქეთაგან – 13. ეროვნების მიხედვით ქართველნი 595, რუსი 3, სომეხი 23 და მუსლიმანი 2.<sup>1</sup>

1933 წლიდან სკოლა გადაკეთდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმად. მაგრამ 1940 წელს ტექნიკუმი გაუქმდა და იგი დამხმარე მეურნეობად აქციეს. შემდეგ დიდი სამამულო ომი დაიწყო. მეურნეობას ყურადღება მოაკლდა და დიდი ზარალი განიცადა სკოლის მეურნეობამ, დაიკარგა სკოლის მდიდარი არქივი, განადგურდა ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო ნივთები, ხელსაწყო-იარაღები.<sup>2</sup>

1947 წ., დ. რომელაშვილის ინიციატივით, დაარსდა მებაღეობის ორწლიანი სკოლა, 1957 წელს კი აღდგა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. 1961 წ. 24. IX-ს გაზ. „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა წერილი, რომლის ავტორები – გ. ლეონიძე, დ. რომელაშვილი, მ. მამულაშვილი, დ. ნავდარაშვილი – აყენებდნენ ი. წინამძღვრიშვილის სახელის უკვდავყოფის საკითხს.<sup>3</sup>

1963 წ. 2.XI-ს აღინიშნა სკოლის არსებობის 80 და ი. წინამძღვრიშვილის დაბადების 125 წლისთავი. 3. IX-ს ზემი იყო ს. წინამძღვრიანთკარში. მოხსენება გააკეთა ნ. კეცხოველმა, სიტყვით გამოვიდნენ გ. ლეონიძე, მ. მამულაშვილი, დ. რომელაშვილი, გ. ქანთარია და სხვ. გაიხსნა ი. წინამძღვრიშვილის ძეგლი. მისი სახელი ეწოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს<sup>4</sup>. ტექნიკუმი ამჟამადაც განაგრძობს არსებობას.

ს. წინამძღვრიანთკარში (არჯაკალში) არის რამდენიმე ისტორიული ძეგლი. ერთ-ერთი მათგანია ბერების საყდარი, რომელიც მდებარეობს სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ტყეში. ეკლესია დარბაზულია, ნაგებია აგურით, იგი გვიან შუა საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. მოგვიანებით ეკლესიისათვის სამხრეთით მეორე ეკლესია მიუშენებიათ, ხოლო უფრო გვიან – დასავლეთით კოშკურა ნაგებობა. ნაგებობანი ამჟამად ძლიერ დაზიანებულია. შემდეგია ე. წ. კლდეზე მიკრული ეკლესია, დგას ხევის განაპირას, ციცაბო კლდის ტერასაზე, გვიან საშუალო საუკუნეებს მიეკუთვნება, ნაგებია რიყის ქვით. ეკლესია დარბაზული ტიპისაა (ზომა 6,85X4,3 მ.). დარბაზი გადახურულია ნახევარწრის კამარით.<sup>5</sup>

სოფლიდან ჩრდილოეთით 700-800 მ. დგას ეკლესიის ნანგრევები, რომელსაც ორთვალას ეკლესიას უწოდებენ, ნაგებია რიყის ქვით, სახურავი ჩამონგრეულია (ზომაა 5,6X4 მ.), კედლები შემორჩენილია 2,5 მ-ზე.<sup>6</sup>

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ეზოში დგას ჯვრის ტიპის გუმბათიანი ეკლესია (ზომები 17,25X10,5 მ.), რომელსაც წინამძღვრიშვილების ეკლესიას უწოდებ-

<sup>1</sup> რ. გედევანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

<sup>2</sup> დ. ნავდარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 94-95.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 95.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 97-98.

<sup>5</sup> ძეგლების აღწერა, ტ. I, სტ. 242-243.

<sup>6</sup> იქვე, სტ. 243.

ბენ. იგი აგებული უნდა იყოს XIX ს-ის ბოლოს ადრე არსებული ხის ეკლესიის ადგილზე, ნაგებია ქვიშაქვის კვადრებით. ეკლესია შიგნით შელესილი და შეთეთრებულია<sup>1</sup>.

სოფლიდან ჩრდილოეთით 700-800 მ-ზე, ნაქვრიმის ხევის მარჯვენა მხარეს დგას წმ. გიორგის ეკლესია, თარიღდება გვიან საშუალო საუკუნეებით. ეკლესია დარბაზული ტიპისაა (ზომა 6,25X4,15 მ.), ნაგებია რიყის ქვით, კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია გათლილი შირიმის ქვა. შესასვლელი სამხრეთიდანაა.<sup>2</sup>

იმავე ნაქვრიმის ხევის მარჯვენა მხარეს, სოფლიდან 500-600 მ-ზე დგას წმ. ნიკოლოზის ეკლესია დარბაზული ტიპისა (7,6X4,8 მ.), ნაგებია ქვიშაქვითა და რიყის ქვით, აქა-იქ კრამიტიცაა გამოყენებული, ეკლესია ძლიერ დაზიანებულია.<sup>3</sup>

სოფლის ღირსშესანიშნავ ძეგლთაგან აღსანიშნავია აგრეთვე XIX ს. II ნახევარში აგებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ნაგებობანი – სასწავლო კორპუსი, საერთო საცხოვრებლები, სამეურნეო ნაგებობანი და სხვ., რომელთაც დაემატა გვიან აშენებული ახალი სასწავლო კორპუსი და სხვა შენობები. სკოლის ეზოში დგას ი. წინამძღვრიშვილის ბიუსტი (ავტორი მ. ბერძენიშვილი), სოფლის გარეთ, გორაკზე კი არის ი. წინამძღვრიშვილის საფლავი.

სოფ. წინამძღვრიანთკარს აქვს ბიბლიოთეკა და კლუბი, საშუალო სკოლა ს. გალავანშია.

GIVI JAMBURIA

## T SINAMDZGHVRIANTKARI VILLAGE

(ARJAKALI)

### Summary

THE village Tsinamdzhvriantkari is situated in the Eastern part of Mukhrani-Saguramo plain 680 metres above sea level. According to the sources of historical geography, the village belonged to Outer Kakheti. In XIX century it was subordinated to Dusheti district, but nowadays it belongs to the region of Mtskheta. Arjakali is the ancient name of the area. It was first mentioned in the documents in 1392. At that time it was a property of Mtskheta church, and the direct owner was a nobleman – Mitsobelidze. At the end of XVIII century, childless Mitsobelidze adopted a kid from Tsitsishvili – a nobleman Tsinamdzhvriashvili. At the beginning of XIX century the village was called Tsinamdzhvriantkari after the last name of the inheritant and the owner. A writer and publicman Iliia Tsinamdzhvriashvili established the agricultural school in the village with his personal means. It was a 6- year school and the teaching process was conducted in Georgian. The school was available for the

<sup>1</sup> იქვე, სტ. 245.

<sup>2</sup> იქვე, სტ. 246.

<sup>3</sup> იქვე, სტ. 247.

representatives of all ranks and nationalities. In 1933 the secondary school was converted into the technical school, which had a library and a club. The secondary school was handed over to the village of Galvani. There are a number of remarkable monuments in the village - the buildings of the agricultural school (a teaching corpus, the residential houses for teachers and pupils, a canteen, a marani (location for storing wine in special Georgian clay vessels – Qvevris), the school church and others. There is a bust of I. Tsinamdzghrshvili in the school yard (architect M. Berdzenishvili), three Late Medieval Georgian Churches in the village and the grave of I. Tsinamdzgvrishvili on the village hill.

### რამდენიმე წარწერა კახეთიდან

ქახეთის რეგიონიდან დღეისათვის 200-ზე მეტი ეპიგრაფიკული ძეგლია ცნობილი. ესენი ძირითადად ლაპიდარული და ქედური წარწერებია (თითოეული დაახლოებით 100-100). ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება ფრესკული (15-მდე), ხეზე (3), კრამიტზე (2) და ქსოვილზე (3) წარწერები.

კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა და გამოცემა XIX ს-ის შუა ხანებიდან დაიწყო, იმ დროიდან, როდესაც პირველი ნაბიჯები გადაიდგა საერთოდ ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის საქმეში. პირველი პუბლიკაციები განახორციელეს XIX ს-ის და XX ს-ის დასაწყისის მკვლევრებმა – პლ. იოსელიანმა, მ. ბროსემ, ა. ხახანაშვილმა, ე. თაყაიშვილმა, ლ. მელიქსეთ-ბეგმა და სხვ. დიდი ღვაწლი მიუძღვის კახეთის წარწერების შესწავლაში აკად. გ. ჩუბინაშვილს, რომელმაც თავის ნაშრომში „Архитектура Кახетии“ (1959 წ.) უყურადღებოდ არ დატოვა ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე მოთავსებული წარწერები, გააანალიზა ამ წარწერებში დაცული ცნობები და კვლევის შედეგებისას გაითვალისწინა მათი მონაცემები.

აღნიშნულ გამოკვლევებს მოჰყვა თ. ბარნაველის ნაშრომი „კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები“ (1961 წ.). დღემდე ეს არის ერთადერთი გამოცემა, სადაც კუთხოვრივი პრინციპით მონოგრაფიულადაა შესწავლილი კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლები – მოცემულია წარწერების პალეოგრაფიული ანალიზი, დათარიღება, მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ გამოცემას ახლავს გარკვეული ხარვეზები (არაა სრულყოფილი სამეცნიერო-ტექნიკური აპარატი, მცირე რაოდენობითაა ფოტოები, გრაფიკული მონახაზები და ანაზომები...), მას საეტაპო მნიშვნელობა აქვს კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის საქმეში.

ამის შემდეგ თითქოსდა შენელდა ინტერესი კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლები-სადმი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც იქნა შემოსული სამეცნიერო მიმოქცევაში რამდენიმე უცნობი წარწერა. უაღრესად საინტერესო მასალა იქნა გამოვლენილი XX ს-ის 80-90-იან წლებში ნეკრესში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად,<sup>1</sup> ქტიტურული წარწერის ფრაგმენტი დავით აღმაშენებლის მოხსენებით ალა-

<sup>1</sup> ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის უახლესი ქართული წარწერები, თბ., 2004 წ. ავტორი ნეკრესის წარწერებს არქიტექტურული და არქეოლოგიური მონაცემების, შინაარსისა და პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ათარიღებს ძვ. წ. IV-ახ. წ. IV ს-ით (წრფ. №2 – IV-II სს., №1, 3, 4, 5 – II-I სს., №7, 8 – I-II სს., №6 – II-III სს., №10 – III ს. და №9 – IV ს. – იხ. წარწერების ქრონოლოგიური სურათი, გვ. 87). ჩემი აზრით, წარწერათა პალეოგრაფიული ნიშნები არ იძლევა მათი ამგვარი დათარიღების საშუალებას. №9 წარწერა სხვა წარწერებისაგან განსხვავებული ხელით არის შესრულებული, VIII-IX სს-ისათვის დამახასიათებელი ნუსხურნარევი ასომთავრულით: ზღ – მარჯვენა მხარეს წრეგახსნილი, ასევე წრეგახსნილი ზღ, ჰმ – განივი ხაზი კვეთს წრეს, ნუსხური

ვერდის ტაძრიდან,<sup>1</sup> დემეტრე II თავდადებულის პერიოდის საამშენებლო წარწერა ბოდბის მონასტრიდან, X ს-ის ორი წარწერა ბოდბისხევის ეკლესიიდან<sup>2</sup> და სხვ.

VII-X სს-ის 27 ლაპიდარული წარწერა შევიდა ქართული წარწერების კორპუსის I ტომში (შემდგ. ნ. შოშიაშვილი, 1980 წ.).

1997-1998 წლებში კახეთის სამეცნიერო ცენტრის (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) ინიციატივით მოეწყო დაზვერვითი ექსპედიცია (წევრები თ. ბარამიძე, გ. ოთხმეზური) კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესასწავლად. ექსპედიციის მიერ მიკვლეულ იქნა უცნობი წარწერები როგორც კახეთის ეკლესიებზე (ალავერდი, ვაჭირი, ყვარელი, იხტილა, ვეჯინი, დეკანოზური, ჭერემი, აკურა, კუჭატნი, ოზანი), ისე თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ნაწილი ამ წარწერებისა წარმოდგენილია წინამდებარე სტატიაში, ხოლო ნაწილი საჭიროებს ადგილზე შესწავლას და ხელოვნური განათებით გადაღებას, რის შემდეგაც გახდება შესაძლებელი მათი ნაკითხვა და გამოცემა.

## უჯარმა

უჯარმა, როგორც ცნობილია, ადრეფეოდალური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი იყო. III ს-ში, ლეონტი მროველის ცნობით, უკანასკნელმა მეფემ ფარნავაზიანთა ნა-

---

ოო, არ – გაკუთხოვნებული მარჯვენა რკალი და სხვ. დანარჩენი ცხრა წარწერა, მართალია, სხვადასხვა ხელითაა შესრულებული (ზოგიერთი ერთი და იმავე ხელითაც), მაგრამ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ვფიქრობ, ყველა VII ს-ს განეკუთვნება: წრეების შეკრულობა, ქარაგმისა (N6 წარწერის გარდა) და განკვეთილობის ნიშნების და მარცხნივ გაზიდული დამატებითი ხაზების უქონლობა, ორხაზოვანი წერითი ბადის დარღვევა; მრგვალოვანი შესრულებულ წარწერებში (N3, 4, 5) ნუსხურის შერევა ასომთავრულში, თო – გაკუთხოვნებული, ხაზამდე დაშვებული ევრტიკალური ფხვი, ყელიანი აო, ძლიერ გადახსნილი ს; დანარჩენი წარწერების გრაფიკათა მიდრეკილება გაკუთხოვნება-განუსხურებისაკენ: ჳბ – გაკუთხოვნებული და წრეგახსნილი; ჴგ – გაკუთხოვნებული, დაგრძელებული ევრტიკალური ფხვი; ჴკ – წრეგახსნილი, მალალი ქვედა ფხვი; ჳმ – განივი ხაზი კვეთს წრეს; არ – ძლიერ გადახსნილი რკალებით; ს – ძლიერ გადახსნილი; ცც – ჩამოგრძელებული ქვედა კიდურით. N6 წარწერაში ცა-ს ზედა განივი ხაზი არ გადადის წრეზე. 7 წარწერის ხანმეტობა. იგივე შეიძლება ითქვას ამავე ნაშრომში განხილულ რუსთავეის ოთხ წარწერაზე (გვ. 51-57). ამასთანავე, რუსთავეის ერთ-ერთი წარწერის ჴჯ იდეენტურია დავით გარეჯის სტელა-ჯერის (VII ს.) იმავე გრაფემის, ისევე როგორც მსგავსია ცა, ჴე, ჴგ, თო, სს... გრაფემები. ნეკრესის წარწერებში ძირითადად წარმართული სახელების მოხსენიება და ქრისტიანული ძეგლებისათვის დამახასიათებელი ნიშნების (დასაწყისში უვარი ან ქანალი, მიმართვის ფორმები: „ქრისტე“, „უფალო“, „ღმერთო“, ლოცვა-ვედრების დაბოლოებანი: „ამენ“, „იყავნ“...) საცხებით უგულვებელყოფა, ჩემი აზრით, იმის მაჩვენებელია, რომ წარწერიანი ქვის ფილები არაქრისტიანული (ალბათ, მავღდანური) სასაფლაოდან არის გადმოტანილი.

<sup>1</sup> კ. სილოგავა, XII ს-ის ქტიტორული წარწერის ფრაგმენტები... მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 4, 1992.

<sup>2</sup> მ. კულდავა, X ს-ის ორი წარწერა ბოდბისხევის ეკლესიიდან, ჟურნ. „არტანუჯი“, 4, თბ., 1995, გვ. 28-32.

თესავისა ასფაგურმა „ალაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა“.<sup>1</sup> დაარსებულ ციხე-ქალაქში შემდგომ ძირითადი აღმშენებლობა ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება, რომელმაც „ალაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა“.<sup>2</sup> ამავე პერიოდს განეკუთვნება დღეისათვის შემორჩენილი ციხესიმაგრის ნანგრევები, ე. წ. „ზემო ქალაქის“ კომპლექსში ჩართული ეკლესია „ჯვარპატიოსანი“, სადაც აღმართული იყო სამიდან ერთ-ერთი „ნინოს ჯვარი“.<sup>3</sup> IX ს-დან უჯარმის, როგორც ქალაქის, დაცემა ხდება და იგი მხოლოდ ციხესიმაგრის ფუნქციას ინარჩუნებს.<sup>4</sup> მიუხედავად ამისა, როგორც ხუროთმოძღვრული მონაცემები ცხადყოფენ, სამშენებლო სამუშაოები უჯარმაში X-XI სს-შიც (დაახლოებით კვირიკე დიდის მეფობის პერიოდშიც) გრძელდებოდა.<sup>5</sup>

ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილი იყო (ამჟამად დაღუპულია) ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „† 7 3 1 6 7“ – „ქ(რისტე) შ(ეინყალ) თ(ევე-დორ)ე“, რომელიც დამწერლობის ხასიათით შეიძლება X ს. ან X-XI სს. მიჯნას მიეკუთვნოს და, ალბათ, შესრულებული უნდა იყოს ტაძრის რეკონსტრუქციის დროს.<sup>6</sup> 2007 წლის აგვისტოში უჯარმაში გამოვლენილ იქნა XI ს-ის უცნობი წარწერა – გრაფიტი.<sup>7</sup>

### [1039-1050 წწ.] მეფე გაგიკის მოსახსენებელი

„ჯვარპატიოსანი“-ს სამხრ. შესასვლის ტიმპანზე ამოკანრულია ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ტიმპანის ზომა: 71X50; წარწერის ფართობი: 25X20;

<sup>1</sup> *ლონტი მროველი*, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., 1955, გვ. 59; ასფაგურის მოღვაწეობას ზოგიერთი მეკლევარი IV ს-ით (368 წ. ახლო ხანები) ათარიღებს – მ. სანაძე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველის ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), 2001.

<sup>2</sup> *ჯუანშერი*, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 199.

<sup>3</sup> ეს საკურთხევისწინა ქედური ჯვარი 1924 წ-მდე იყო ს. ახმეტაში. ამ წელს განადგურდა ანტირელიგიური გამოსვლების დროს – იხ. *Г. Чубинашвили. Архитектура Кахетии*, 1959, გვ. 515, სქ. I.

<sup>4</sup> *დ. მუსხელიშვილი*, ციხე-ქალაქი უჯარმა, 1966.

<sup>5</sup> *Г. Чубинашвили*, დასახ. ნაშრ., გვ. 516.

<sup>6</sup> *თ. ბარნაველი*, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, 1961, გვ. 129. წარწერის დათარიღება X ს-ით გასაზიარებელია. დავამატებ მხოლოდ, რომ ეს პალეოგრაფიული ნიშნები („დამწერლობის ხასიათი“) წერის ოთხხაზოვანი ბადე, გრაფემების გაკუთხოვნება, 7 ე მარცხნივ გადაზიდული დამატებითი განივი ხაზით. წარწერაში „ე“ და „ე“ (ქრისტე) გრაფემებს შორის ჩამატებული კიდევ ერთი გრაფემა „ე“. თუ გავითვალისწინებთ, რომ წარწერა ამოკვეთილია ფრად თვალსაჩინო ადგილას და ტაძრის განახლების (ფაქტობრივად მეორედ აშენების, იმდენად საფუძვლიანადაა გაკეთებული) დროს, შეიძლება დაეუფათ, რომ ჩამატებული გრაფემა „ე“ აღნიშნავდა თვედორეს ტიტულს ე(ბისკოპოსი) და ვივარუდით მისი უჯარმელია. „თვედორეს მოსახსენებელი“ წარწერები, ასევე X ს-ის, აგრეთვე ამოკვეთილია ნინოწმინდისა და მანავის ეკლესიების ფასადებზე (*თ. ბარნაველი*, დასახ. ნაშრ., გვ. 112, 118), მაგრამ მათი გაიგივება უჯარმის წარწერის თვედორესთან მხოლოდ დროისა და რეგიონის (კახეთი) თანხვედრის საფუძველზე უადრესად სათუაო.

<sup>7</sup> წარწერაზე მიგვითითა და ფოტო მოგვანოდა უჯარმის ექსპედიციის ხელმძღვანელმა ქ-ნმა ქ. აბაშიძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.

გრაფემების სიმაღლე: 4-9; განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს. ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია „ქ“-ს დაგრძელებული მარცხენა განივი მკლავი. წარწერის I და II სტრიქონი სხვადასხვა დამწერლობითაა შესრულებული.<sup>1</sup>

**დაზიანება:** წარწერა გადაღესილია და მერე გადაფხეკილია, რის გამოც ძნელად იკითხება. I სტრ. ატყეჩილია „მ“-ს ზედა ნაწილი და „ფ“-ს ბუნის შუა ნაწილი. გადაფხეკის შედეგად აღარ იკითხება „ფ“-ს წრეში ჩანერილი გრაფემა. დაზიანებულია II სტრ. პირველი და მესამე გრაფემები.


წარწერას მიაკვლია საქართველოს ეკლესიის საპატრიარქოსა და კულტურის სამინისტროს ერთობლივმა უჯარმის ექსპედიციამ (ხელმძღ. ქ. აბაშიძე).



**უჯარმა.**  
მეფე გაგიკის  
მოსახსენებელი 1039-1050 წწ.



**ხირსა.**  
გაგიკ მეფის  
მოსახსენებელი 1039-1050 წწ.



**უჯარმა.**  
მეფე გაგიკის  
მოსახსენებელი 1039-1050 წწ.

**წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი:**

- 1) წარწერის შინაარსი – კახეთ-ჰერეთის მეფის გაგიკის მოხსენიება; 2) პალეოგრაფიული ნიშნები: I სტრ. შემორჩენილია ორივე გრაფემის (მ, ფ) მრგვლოვანი მოხაზულობა, წერის ოთხხაზოვანი ბადე, „ფ“-ს გრძელი ბუნი. II სტრ. სტილიზებული „გ“, „ე“. გრაფემები: მარცხნივ გადაზიდული დამატებითი განივი ხაზი ბუნთან ისრისებური ჩაჭრითაა დაკავშირებული. „კ“-ს ოდნავ მარცხნივ გადახრილი მოკლე ქვედა ფეხი.

<sup>1</sup> მსგავსი შემთხვევები გვხვდება ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში. მაგ. სიმონეთის ეკლესიის გრაფიტის I სტრ. შესრულებულია ასომთავრული დამწერლობით, ხოლო II და III სტრ. არდამავალი ნუსხურით. იხ. ქართული წარწერების კორპუსი, II, ლაპიდარული წარწერები, ვ. სილოვაკას გამოც., 1980, გვ. 115.

1. ჰფ[უ]

2. ლჰჴ[უ]

მ(ე)ფ[ე] /<sup>2</sup> გ(აგო)კ შ(ეინწყალ)ე ქ(რისტ)ე

კახეთ-ჰერეთის მეფე გაგიკი (1039-1059 წწ.), როგორც ცნობილია, იყო ტაშირ-ძორაკეტის მეფის დავით უმინაწყლოს შვილი და კახეთის და ჰერეთის უმემკვიდრო მეფის კვირიკე III დიდის (1010-1039 წწ.) დისშვილი და შვილობილი. მისი მოსახსენებელი წარწერა ამოკვეთილია სოფ. ხირსას (სიღნაღის რ-ნი) სტეფანწმინდის ეკლესიის აღმ. ფასადზე.<sup>1</sup> ქართულ წარატიულ წყაროებშიც მწირი ცნობებია მის შესახებ დაცული. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით, გაგიკის გამეფება მოხდა მას შემდეგ, რაც „მესისხლეობით მოიკლა კვირიკე მეფე ნადირობასა შინა, ფიდრაზის გორთა, ოვისსა მონისა მიერ“.<sup>2</sup> ეს ეპიზოდი ცნობილია ქართულ ისტორიოგრაფიაში. აქ მხოლოდ მინდა ყურადღება შევაჩერო „ფიდრაზის გორთა“-ს ლოკალიზაციაზე. ვახუშტი ბაგრატიონი ამ გეოგრაფიულ პუნქტს „ფიდართ გორა“-ს სახელით იხსენიებს.<sup>3</sup> ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს, ვახუშტის „აღწერით“, ქისიყის სამხრეთში მდებარე უფადარი.<sup>4</sup> ორივე დასახელება აშკარად ერთი ძირიდან უნდა იყოს წარმომდგარი (უ-ფადარ-ი და ფიდარ-თ გორა). ამასთანავე, ჩემს მოსაზრებას, ვფიქრობ, მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ უფადარში სამეფო რეზიდენცია იყო. 1631 წ. სიმონ ხანის მოკვლამდე ცოტა ხნით ადრე, თეიმურაზ I-მა ზურაბ არაგვის ერისთავს სწორედ უფადარიდან მისწერა წერილი.<sup>5</sup>

## ბოღბე

სოფ. ბოღბის (სიღნაღის რ-ნი) წმ. ნინოს სახელობის სამონასტრო კომპლექსი, საეპისკოპოსო ცენტრი, ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, აგებულია წმ. ნინოს დაქძალვის ადგილზე. კომპლექსის მთავარი ეკლესია, სამნავიანი ბაზილიკა, თავდაპირველად არქიტექტურული ფორმებით VII-IX სს-ის ბაზილიკების ჯგუფს განეკუთვნება.<sup>6</sup> ეკლესია მრავალჯერ იქნა შეკეთებული და რესტავრირე-

<sup>1</sup> თ. ბარნაელი, დასახ. ნაშრ., გვ. 149-150. ავტორს დაშვებული აქვს მცირე უზუსტობა მეორე სტრიქონში. ჰ (მ)-ს მაგვრად კითხულობს ა (ე) იოტას, ხოლო ფ (ფ)-ს მაგივრად -(მ)-ს. ამიტომ ლღჰჴჴ - „გ(ა)გ(ი)კ მ(ე)ფე“-ს ნაცვლად წაიკითხა ლღჰჴჴ - „გაგიკო მეფე“ (გრაფემა „ფ“, ისევე როგორც მისი წინა „ე“, სიტყვა „მეფე“-ს დაქარაგმებულ ნაწილში აქვს ნაგულისხმევი - მ(ე)ფე), რაც ენობრივი თვალსაზრისით არაა სწორი. უნდა იყოს გაგიკ მეფე (როგორც, ვთქვით, დავით მეფე, ლეონ მეფე...) და არა გაგიკი მეფე (ან დავითი მეფე, ლეონი მეფე...).

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისაჲ*, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 297.

<sup>3</sup> *ვახუშტი ბაგრატიონი*, საქართველოს ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. *ვახუშტიშვილის* გამოც., 1973, გვ. 562.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 541.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 437: ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, ს. *ვახუშტიშვილის* გამოც., 1959, გვ. 413.

<sup>6</sup> *Г. Чубинашвили*, Архитектура Кахети, გვ. 83-86.


ბული. ეკლესიის ფასადებზე ამოკვეთილი წარწერები გვანვდიან ცნობებს ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ XII, XVII და XIX სს-ში.

**[1125-1156 წწ.] საამშენებლო (განახლების) წარწერა დემეტრე მეფისა**

6-სტრიქონიანი ასომთავრული კიდურწერტილოვანი წარწერა ამოღარულია ბაზილიკის შუა ნაწიის დას. და სამხრ. კედლების შესაყარზე, აგურის წყობაში ჩართული ქვის დას. ნაწილზე. წარწერა ამოკვეთილი იყო ორ სვეტად (სამ-სამი სტრიქონი). ქვის ზომა: 50X26; წარწერის ფართობი: 36X20; გრაფემების სიმაღლე: 7-11; განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი: განივი, კლაკნილი ხაზი.



ბოდბე.  
წმ. ნინოს მონასტერი  
1125-1156 წწ.  
საამშენებლო წარწერა  
დემეტრე მეფისა



ბოდბე.  
ნინოს მონასტერი XVII ს.  
საამშენებლო (აღდგენის) წარწერა

ქქლ  
სს  
წრსს

ბოდბე.  
წმ. ნინოს მონასტერი  
საამშენებლო  
წარწერა დემეტრე  
მეფისა 1125-1156 წწ.

**დაზიანება:** წარწერის დასაწყისი დაღუპულია.

წარწერას მიაკვლია რესტავრატორების ჯგუფმა გასული საუკუნის 90-იან წლებში.<sup>1</sup>

წარწერის დათარიღება წინა გამოცემებში: 1125-1156 წწ. დემეტრე I-ის მეფობის ხანა. წარმოდგენილ ნაშრომში გაზიარებულია ეს დათარიღება წარწერის შინაარსისა (დემეტრე მეფის მოხსენიება) და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით. წა-ს ზედა განივი ხაზი ფაქტობრივად აღარ გადადის მარცხნივ; ჳბ-ს და ჳტ-ს ქვედა განივი ხაზი ქვემოთაა დაწეული; ჳმ-ს ზედა განივი ზევითაა აწეული, ხოლო მუცლის შემკვერელი ხაზი ოდნავ გადადის მარჯვნივ. ჳდ-ს ყელი გადმოცემულია ორმაგი ხაზით.

<sup>1</sup> ც. ჩაჩუნაშვილი, მ. ძნელაძე, ლ. ახალაია, ახალი მონაცემები ბოდბის წმ. ნინოს ეკლესიის შესახებ, სვეტიცხოველისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 11-13. X. 1995 (წარწერის წაკითხვა და დათარიღება ეკუთვნის ბ-ნ დ. ბერძენიშვილს).

1. [†CNYHC]
2. [҃҃҃C҃҃҃]
3. [҃҃҃]

4. ԶԳԸԸ
5. ԼԸ
6. ԾԸԼԸԸ

[†. აღ(ე)შ(ე)ნა /<sup>2</sup> ეკლ(ე)ს(ი)ამ /<sup>3</sup> [ესე] /<sup>4</sup> მ(ე)ფ(ო)ბა /<sup>5</sup> სა /<sup>6</sup> დ(ემე)ტ(რე)ს(ა)სა

ამავე ქვის დასავლეთ ნაწილზე ამოკვეთილია ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „†. მე გიორგი ავაგე ეკლესია ესე ვ (=6) თუე მსახურებითა ჩემითა“. <sup>1</sup> დ. ბერძენიშვილმა სწორად გაშიფრა ასოების ჯგუფი „ეთოე“ – 6 თვე (რაც ვერ ახსნათ. ბარნაველმა): „ე. ი. უნდა ვიფიქროთ, რომ ვინმე გიორგის ექვსი თვის მსახურებით ან მის სანაცვლოდ გასამრჯელოთი აუგია ეკლესია...“. <sup>2</sup> ოღონდ ვერ დავეთანხმებით პატ. მკვლევარს, რომ დემეტრე მეფის წარწერას (უფრო ზუსტად მის შემორჩენილ ნაწილს, 4-6 სტრიქონებს) გიორგის წარწერის გაგრძელებად მიიჩნევს. ჯერ ერთი, ქართული წერის ნორმების მიხედვით, ორ (ან სამ, ან მეტ) სვეტად წარმოდგენილი წარწერა უნდა დაწყებულიყო მარცხნივ და გაგრძელებულიყო მარჯვნივ და არა პირიქით, როგორც ესაა აღნიშნული გამოცემაში. და მეორეც, წარწერები პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ამკარად მიუთითებენ მათ შესრულებას სხვადასხვა ოსტატის მიერ სხვადასხვა ეპოქაში. გიორგის საამშენებლო (აღდგენის) წარწერა, ჩემი აზრით, XVII ს-ს განეკუთვნება. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს როგორც პალეოგრაფიული ნიშნები, ისე ისტორიული რეალიები და არქიტექტურული მონაცემები. ტაძრის ცალკეული ელემენტები მიუთითებენ მასში ჩატარებულ სარესტავრაციო სამუშაოებზე XVII ს-ის შუა ხანებში. <sup>3</sup> ამ მოსაზრებას მხარს უჭერს თეიმურაზ I-ის 1631 წლის სიგელი, რომლის ცნობითაც, საყდარი იმ დროს „მოშლილ იყუნეს და იავარ ქმნილიყო“. <sup>4</sup>

### **ყარაჯაანთ ეკლესია**

სოფ. გავაზის (ყვარელის რ-ნი) აღმოსავლეთით 7 კმ-ზე, მდ. ავანისხევისა და მდ. ალაზნის შესართავთან გადაკეთებული დარბაზული ტიპის ეკლესიაა, თავზე დაშენებული სამრეკლოთი. ეკლესია ძლიერ დაზიანებულია და სანახევროდ მიწითაა ამოვსებული. ჩრდ. შესასვლელის მარცხნივ და მარჯვნივ ჩასმულია ორი წარწერიანი ქვა. ორივე წარწერა ერთი ხელითაა შესრულებული და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XVIII ს-ით თარიღდება. Ըა – ქუდმობდილი, ხან მრგვლოვანი მოხაზულობის და ხან გაკუთხოვნებული; Ըბ, Ըგ, Ըტ – მარჯვნივ დახრილი ქვედა განივი ხაზით; Ըგ, Ըი, Ըმ – მარცხნივ აზიდული ზედა განივი ხაზით; ქუდიანი სს; Կწ – კუთხოვანი ფართე თავით და მომრგვალებული მუცლით.

<sup>1</sup> თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, 1961, გვ. 36 (№50).

<sup>2</sup> ც. ჩაჩხუნაშვილი, მ. ძნელაძე, ლ. ახალაია, დასახ. ნაშრ., გვ. 382.

<sup>3</sup> Բ. ԿԻՐԻԱՎԱՅԻՄԻ, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

<sup>4</sup> ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, IV, 1913, გვ. 18.



† ამ(ი)ს აღმშ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლსა [ფრიად] ც(ო)დვ(ი)ლსა უსტ(ამ)ს\* [შ(ე)უნდო]ს ღ(მერთმა)ნ, ამინ.

## კუჭატანი

### X ს. გიორგის მოსახსენებელი

სოფ. კუჭატანის (ყვერელის რ-ნი) ღეთისმშობლის ეკლესიის სამხ. მინაშენის სფერული კონქის სატრიუმფო თაღზე გამოქანდაკებულია 1 სტრ. ასომთავრული რელიეფური წარწერა. წარწერის ფართობი: 28X59; გრაფემების სიმაღლე – 20; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი – განივი, სწორი ხაზი.



კუჭატანი.  
X ს. გიორგის მოსახსენებელი

**დაზიანება:** ატმოსფერული ნალექების ჩამოსვლის შემდეგ სატრიუმფო თაღი გამსკდარია და წარწერის II და III გრაფემები დაზიანებულია.

**წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი:** პალეოგრაფიული ნიშნები: მარცხნივ გაზიდული დამატებითი განივი ხაზები უ და ლ გრაფემებზე, რელიეფურობა.

წარწერა მიაკვლია ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს პასპორტიზაციის განყოფილების (ხელმძღ. ლ. გიორგაძე) ექსპედიციამ.

„† 1 3 1 2 1“ – „ქ(რისტე) შ(ე)იწყალ)ე გ(იორგი)

## ვაძირი

### ეკლესია კვირაცხოველი

[XV ს.] ქვის დადების წარწერა ქებულაშვილისა

8 სტრ. ასომთავრულწარევი ნუსხური, ამოღარულია ეკლესიის სამხ. ფასადზე, შესასვლელის მარჯვნივ ჩასმულ ქვაზე. წარწერის ფართობი; 84X63; გრაფემების სიმაღლე: 2,5-8,4; განკვეთილობის ნიშნები არ იხმარება. ქარაგმის ნიშანი: განივი, მოკლე, სწორი ხაზი.

**დაზიანება:** წარწერიანი ქვა საამშენებლო მასალად იქნა გამოყენებული, ჩამომტვრეული აქვს მარჯვენა მხარე, რასაც წარწერის საკმაო ნაწილი გაპყოლია. გადარეცხვისა და გამოქარვისაგან გრაფემები გადასულია და ძნელად იკითხება. აღაგ-აღაგ ქვის ზედაპირი ატკეჩილია და ასოები ამომტვრეული.

**წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი:** პალეოგრაფიული ნიშნები: ასომთავრულწარევი ნუსხური.

\* წარწერაში გრაფემა „უ“ შეცდომით გადმოცემულია „უო“-თი.

1. ქანაქანი [1900...]
2. ქსეუნი [60 იმსადაც...]
3. უს ქა ბა ბა ბა [ქსეუნი]
4. უნი [აბ...]
5. უს ქანაქანი [სსსსსსსსსსსს]
6. უს ქანი [სსსსსსსსსსსს]
7. უსსსსს
8. ს



ვაქირი.  
XV ს. ქვის დადების  
ნარნერა ქებულაშვილისა


ქ(ო)რ(ო)ნ(ი)კ(ო)ნი [იყ(უ)ს]... /<sup>2</sup> + სახელი[თა ღ(მ)რ(თ)ი)სადათა]... /<sup>3</sup> ესე ქვ(ა)მ  
დ(ა)ვ(დ)ე(ვ) მე ქებ(უ)ლ(ა)შვ(ი)ლმ(ა)ნ... ა] /<sup>4</sup> ვლ[მ]ართე]... /<sup>5</sup> ამ(ა)თ კ(ა)რთ  
ეკლ(ე)სია[სა ზ(ე)და. ვ(ი)ნც შ(ე)ნ(დ)ოს ქ] /<sup>6</sup> ებ(უ)ლ(ა)შვ(ი)ლს[ა] დ(ლ)ესა  
გან[კ(ი)თხ(ვის)ა]სა შე[წყ(ა)ლ(ე)ბ(უ)ლ არს /<sup>8</sup> კ

### ალავერდი


ალავერდი კახეთის მეფეთა საძვალე იყო. ქართული წყაროების ცნობით, იქ არ-  
იან დაკრძალულნი კახეთის მეფეები (ალექსანდრე I, ალექსანდრე II, თეიმურაზ II...)  
და სამეფო ოჯახის წარმომადგენლები. ამჟამად ეკლესიაში შემორჩენილია XVII-  
XVIII სს-ის რამდენიმე საფლავის ქვა, რომელთა ეპიტაფიებში დაცული ცნობები  
აზუსტებენ კახეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს გენეალოგიისა და ქრონოლოგი-  
ის საკითხებს.

#### 1695 წ. ეპიტაფია დედოფალ ელენესი

ნარნერიანი საფლავის ქვა ინახება ალავერდის ტაძარში. ქვა სამ ნაწილად არის  
გატეხილი. ზომები: I ნატეხი – 65X70; II ნატეხი – 74X70; III ნატეხი – 59X70. გრაფი-  
კების სიმაღლე: 1-9-15; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმა – მხედრული  
„ო“-ს მსგავსი ნიშანი.



ალავერდი.  
1695 წ. ეპიტაფია დედოფალ  
ელენესი, I ფრაგმენტი



ალავერდი.  
1695 წ. ეპიტაფია დედოფალ  
ელენესი, II ფრაგმენტი



ალავერდი.  
1695 წ. ეპიტაფია დედოფალ  
ელენესი, III ფრაგმენტი

**დაზიანება:** მხედრული დამწერლობით შესრულებული წარწერა, როგორც ჩანს, 12 სტრ. იყო. დაკარგულია X სტრ. მთლიანად; VIII, IX და XI სტრ. აკლიათ ბოლო, ხოლო XII სტრ. – დასაწყისი გრაფემები.

წარწერას ახლავს თარიღი: ქორონიკონი ტჰგ – 1695 წ. (383+1312)

ეპიტაფია ეკუთვნის თეიმურაზ I-ის (1606-1648 წწ.) ძის, დავითის მეუღლეს და ერეკლე I-ის (1688-1703 წწ.) დედას დედოფალ ელენეს.

1. სამარხოსა ამას
2. მდებარე დიასამ
3. იძის ლუარსაბის
4. ასული, ლ(მრ)თ[ი]ვ გვ[ი]რგვ[ი]ნოს
5. ანის მეფის თეიმურ
6. აზის სძალი, ბატონის
7. შვილის დავითის თანამ[ე]
8. ცხედრე დ[ა] ქ[არ]თე]
9. [ელ]თა ჯელმ[ნიფის]
10. [ერეკლეს დედა, დედოფალთა]
11. დედოფალი ელ[ენე] მოი]
12. ხს(ენ)ე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტჰგ

თ. ბარნაველს (დასახ. ნაშრ., გვ. 17) გამოქვეყნებული აქვს დედოფალ ელენეს ეპიტაფია – 23 სტრიქონიანი, ასომთავრული დამწერლობით შესრულებული. იქ გარდაცვალების თვე და რიცხვიც არის მითითებული (წ.XII). როგორც ტექსტიდან ჩანს, ელენე დედოფალი მის შვილს, ერეკლე I-ს დაუკრძალავს: „... ჩვენ, კახთა მეფისა ძემან, მეფეთ-მეფემან, ქართველთა ხელმწიფემან პატრონმან ერეკლემ მივიღევით... სამაროვანსა ამას მეფეთასა ათთა მცნებათა უფლისათა დამარხვით წესებულით ფიცარსა ზედან დედოფლისა ელენეს გვაბი მდებარე ვქმენი...“

ამჟამად, თუ არ ვცდები, ეს ეპიტაფია ალავერდის ტაძარში აღარაა.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, კახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში მნიშვნელოვანი და საინტერესო ცნობებია დაცული და მათი მთლიანობაში შესწავლა და გამოცემა უაღრესად საშური საქმეა.

GIORGI OTKHEZURI

## A FEW INSCRIPTIONS FROM KAKHETI

### Summary

THERE are more than 200 epigraphic monuments from Kakheti the scientific study and publication of which has been carried out since the middle of the XIX century. Among the explorers of XIX-XX centuries a particular contribution into the scientific study of these epigraphic monuments was made by T. Barnaveli. His work "Inscriptions of Historic Monuments of Kakheti" represents the only publication to be studying the epigraphic monuments of Kakheti in monographic manner until now. After that, the study of the above-mentioned items bore an episodal character. In spite of this, some unknown inscriptions appeared in scientific circulation. Materials of enormous interest were exposed after the archaeological excavations in Nekresi and restorations in Alaverdi and Bodbe.

According to the initiative of the Scientific Centre of Kakheti (Chair K. Pitskhelauri), a reconnoitering expedition (members - I. Baramidze, G. Otkhmezuri) was conducted for complex study of epigraphic monuments of the region. The expedition researched and fixed a number of unknown inscriptions, both on Kakhetian churches and museums in Telavi and Gurjaani.

The article represents some unknown superscriptions from Kuchatani (X), Ujarma (XI) Vaqiri (XV), Alaverdi (1695) and the church of Karajas (1798-1800) – their archaeographic depiction, fixed texts, paleographic testimonial, dating criteria. The following research also observes a few inscriptions printed in earlier publications (Khirsi, Nekresi, Bodbe, Church of Karajas) and presents some new considerations regarding the reading and dating problems connected with these texts.

### სამეფოს ორად გაყოფის მცდელობა XII ს-ის II ნახევრის საქართველოში

XII ს-ის II ნახევარში საქართველოს სამეფო კარი სახელმწიფოს ორად გახლეჩის საშიშროების წინაშე დადგა, რომლის ინსპირირებაც ამ პერიოდში მომხდარმა ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ – ორბელთა აჯანყებამ გამოიწვია.<sup>1</sup>

ამ პრობლემის ძირები XII ს-ის I ნახევარში სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხში უნდა ვეძიოთ, რომელიც საკმაოდ ბუნდოვანია და იგი დამატებით კვლევას მოითხოვს. ზემოაღნიშნულ ცნობას მხოლოდ მცირე სომხური წყარო – დავით ქობაირეცის მოსახსენებელი გვაძლევს, რომელიც თავისთავად უმნიშვნელოვანესი ძეგლია ორბელთა აჯანყების შესასწავლად. ძეგლის მიხედვით, ქართველ დიდებულებს მეფისგან განდგომა დიდი ხანი ჰქონდათ განზრახული, რაც ნიადაგს უქმნიდა ზემოაღნიშნულ პრობლემას „და გამოძებნეს კიდევ შესაფერისი დრო თავიანთ ძველ ბოროტ ზრახვათა განსახორციელებლად“ (2, გვ. 223; 3, გვ. 262). როგორც ჩანს, აჯანყებაში მონაწილე პირები შეთქმულებას დიდი ხანია გეგმავდნენ. „ივანე სპასალარმა, მისმა ძმამ ლიპარიტმა, მათმა შვილებმა და ნათესაებმა გადაიბირეს... მეფის ძმისწული, მიიყვანეს აგარაკის სიმაგრეში და გაამეფეს, რათა ვერავის შეძლებოდა მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლა“ (2, გვ. 223; 3, გვ. 263). მათ კაენისა და კაენონის მმართველები მიიმხრეს. პირობის მიხედვით, შაქის, ჰერეთისა და კახეთის მმართველებიც აჯანყდნენ. ისინი „თავიანთ ადგილებში გამაგრდნენ და მათი მოსაზღვრე მეფის მომხრეები აიკლეს“ (2, გვ. 223; 3, გვ. 263). აქედან აჯანყებულებმა „ახალი მეფის (მეთაურობით) აიღეს მეფის გიორგის საჯდომი სოფელი, რომელსაც პარაპოვი ეწოდება. აქ შესაკრებად მოუწოდეს ყველა თანამზრახველს იმისათვის, რომ მეფე განედევნათ ან ძალით (შეპყრობილი) მოეყვანათ“ (2, გვ. 223; 3, გვ. 263). ამ ცნობას განსხვავებულად თარგმნის ალ. აბდალაძე: „ამბოხებულები ახალი მეფით აქედან (გამართნენ) და აიღეს სატახტო სოფელი, იმავე მარჯვე მომენტში (მოციქულები) გაგზავნეს ყველა თანამზრახველის იქ შესაკრებად, რათა მეფე ეოტებინათ ან შეეპყროთ“ (4, გვ. 37).

გიორგი III ივანესთან მოციქულებს გზავნიდა და „დაყვავებით ეხვეწებოდა დაზავებას“ (2, გვ. 224; 3, გვ. 264), მაგრამ იგი უპასუხოდა, „რომ არასგზით არ შეუძლია იხილოს იგი ცოცხალი იმის გარეშე, თუ ნახევარ სამეფოს მას არ დაუთმობს ისე, რომ პარაპოვისგანაც და სხვებისგანაც ნახევარი შეხედეს“ (2, გვ. 224; 34487, გვ. 264), რაზეც მეფე არ დათანხმებულა. ალ. აბდალაძე გ. მაისურაძის მიერ შესრუ-

<sup>1</sup> ორბელთა აჯანყებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს უფრო დანერვილებით შევხებით ჩვენს ნიგნში (1, გვ. 197-220).



ფის, გიორგი III სიკვდილს გამორიცხავდა. იგი დემნას გამეფებამდე მეფის დროებით დაკავებას, ძმისწულისადმი მორჩილებას და საუფლისწულო მამულში მის დაბრუნებას ფიქრობდა.

მოვლენათა განვითარების შემდგომ ივანე ორბელმა როგორც კი დაინახა, რომ გიორგი III შეპყრობა შეუძლებელი იყო, მეფესთან მოლაპარაკების დროს მას სამეფოს ორად გაყოფა შესთავაზა. ამ მნიშვნელოვანი ცნობიდან გამომდინარეობს, რომ ივანე ორბელი არც ამ შემთხვევაში ფიქრობდა მეფის სიკვდილს, არამედ საქართველოს სამეფო ტახტის ორად გაყოფას მოითხოვდა. საინტერესოა, როგორ პოზიციას დაიკავებდნენ ამ საკითხთან დაკავშირებით 1177 წლის აჯანყებაში მონაწილე ფეოდალები? აჯანყებაში ორბელთა საგვარეულოს გარდა მონაწილეობდა თორელთა, ჯაყელთა, მხარგრძელთა, გრიგოლისძეთა, კოლონკელიძეთა საგვარეულოების წარმომადგენლები და ასევე, სხვა „ქართლელნი, სომხითარნი, ტაშირელნი“, რომლებიც ივანე ორბელის ხელქვეითი უნდა ყოფილიყვნენ. როგორც ვხედავთ, აჯანყებაში მონაწილეობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს – ქართლის, მესხეთისა და ჰერეთის დიდგვაროვნები. მათი მიზანი ივანე ორბელის მისწრაფებას დაემთხვა, რომ გამოსულიყვნენ ძლიერი მეფის კონტროლიდან და მათთვის სასურველი პიროვნება აეყვანათ ტახტზე. რა თქმა უნდა, ისინი ამ ფაქტს მიესალმებოდნენ. მაგრამ იმათ, ვინც მოვლენებს თავიდანვე ალღო აუღეს და დაინახეს, რომ ამირსპასალარის საქმე წაგებული იყო, კრიტიკულ მომენტში მას ჩამოშორდნენ და პატიების თხოვნით მეფეს მიემხრნენ, რომელმაც, ორბელთა ბანაკის შესუსტების მიზნით, მედროვე დიდებულებს დაუთმო და მათ წყალობა უბოძა. დავით ქობაჩიძის ცნობა იმის შესახებ, რომ გიორგი III თავის ჯარის ერთგულებაში ეჭვი ეპარებოდა, იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ მეფეს მომხრეთა მცირე რაოდენობა ჰყავდა და აჯანყებულთა წინააღმდეგ პირდაპირ გალაშქრებას ვერ ბედავდა. აღნიშნულს ამტკიცებს ის, რომ გიორგი III აჯანყების მონაწილეთა გადმოსაბირებლად გარკვეულ ქმედებებს მიმართა. მას სჭირდებოდა, რომ „ორგულნი საეჭვონიც“ მის მხარეს დამდგარიყვნენ ამირსპასალარის ბანაკის შეესუსტების მიზნით. დიდგვაროვნთა თავისუფლად ლორის ციხიდან გამოპარვა და ივანე ორბელის მხრიდან მათ დასასჯელად ზომების მიუღებლობა იმაზე მიუთითებდა, რომ ამირსპასალარის ბედი გადანყვეტილი იყო. ერთ დროს ივანე ორბელის მომხრე დიდებულების ასე ერთსულოვნად მეფის მხარეს გადასვლა გარკვეულ მოსაზრებას ეფუძნებოდა და მარტო თავის გადარჩენის მიზნით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული. როგორც ჩანს, დიდებულთა ეს ჯგუფი დაუპირისპირდა ამირსპასალარს, ელდიგუზ ათაბაგის ან მისი სახლის წევრების სამხედრო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ, საინტერესოა სტეფანოს ორბელიანის ცნობა, რომლის მიხედვითაც, ივანე ორბელის მოყვარე და მომხრე დიდებულებს „ემინოდათ მოსულისა ელტიკოზ ათაბაგისა“ (მ, გვ. 49). როგორც ჩანს, მათი ინტერესები ამ საკითხზე ერთმანეთს არ დაემთხვა. არ არის გამორიცხული, რომ დიდებულებს ათაბაგთან ბრძოლები გიორგი III ხელმძღვანელობით ანისის თაობაზე მოებზრდათ, რაც ეკონომიკურად და სამხედრო კუთხით ასუსტებდა მათ. ამჯერად, თუკი ათაბაგის ჯარი საქართველო-

ში შემოვიდოდა, მაჰმადიანებთან ბრძოლის ახალი ტალღა აგორდებოდა, რომელსაც, შესაძლოა, სხვა გართულებები მოჰყოლოდა. მაგრამ „დიდებულები კარგად გრძნობდნენ, რომ გიორგი III და მაჰმადიანები ერთმანეთს არ დაუპირისპირდებოდნენ, რადგან იგი ამ უკანასკნელთ 1176 წელს ანისის თაობაზე დაუზავდა, გადასცა რა ქალაქი მაჰმადიან მფლობელს. ისინი მიხვდნენ, რომ ათაბაგის ჯარის დახმარება თავიდანვე წარუმატებელი გადაწყვეტილება იყო და მათ, როგორც კი ამირსპასალარის საქმე წაგებულად ჩათვალეს, მაშინვე მეფეს მიმართეს“ (1, გვ. 210).

საინტერესოა, გიორგი III და ივანე ორბელს შორის საზავო მოლაპარაკების დროს სამეფოს ორად გაყოფის შემთხვევაში თუ რომელი ტერიტორია იგულისხმებოდა. ზემოაღნიშნულ „პარაპოვს“ გ. მაისურაძე აგარაკების ერთობლიობად მიიჩნევს, რადგან იგი გამოირიცხავს, რომ საზავო მოლაპარაკებაზე საუბარი ერთი სოფლის შუაზე გაყოფის შესახებ ყოფილიყო. მისი აზრით, აქ უფრო მსხვილი გეოგრაფიული პუნქტი უნდა ვიგულისხმოთ. მან „პარაპოვი“ სოფელთა ჯგუფის სახელწოდებად მიიჩნია, რომელიც თბილისის გარეთ იყო და სამეფო კარი თავისუფალ დროს იქ ატარებდა. იგი ამ სოფლებად შინდისს, კოჯორსა და ტაბახმელას მიიჩნევს, რომელსაც ნ. ბერძენიშვილმა „აგარანი“ უწოდა (2, გვ. 159-160). მიუხედავად ამისა, ძნელი წარმოსადგენია, ივანე ორბელს ასეთი მასშტაბური აჯანყება ერთი ან რამდენიმე სოფლის, თუნდაც, მსხვილი გეოგრაფიული პუნქტის გაყოფისთვის მოეწყო. გარდა ამისა, „პარაპოვის“ სახელით არც ერთი წყარო სოფელს ან სოფელთა ჯგუფს არ აფიქსირებს.

თუ დავით ქობარეცის ცნობა სამეფოს ორად გაყოფის შესახებ ზუსტ ინფორმაციას შეიცავს, პირველ რიგში მასში ანისი უნდა ვიგულისხმოთ, რომლის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხთან დაკავშირებით ამირსპასალარსა და მეფეს შორის კონფლიქტი მოხდა. თავის დროზე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იგი ორბელთა აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რადგან გიორგი III მიერ 1176 წელს ანისის მაჰმადიანებისთვის გადაცემამ დააჩქარა ეს მოვლენა (9).<sup>1</sup>

<sup>1</sup> ქალაქ ანისისთვის ბრძოლა ფუნდამენტურად არის განხილული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ საკითხს თავის დროზე ივ. ჯავახიშვილი შეეხო (10), სპეციალური გამოკვლევა კი უძღვნა მ. ლორთქიფანიძემ (11). აღნიშნულ საკითხი ჩვენ მხოლოდ ორბელთა აჯანყებასთან მიმართებაში განვიხილეთ (1, გვ.212-220). გიორგი III 1161 წელს ანისი აიღო და ამირად დანიშნული ვინმე საღუნის შემდეგ ქალაქის გამგებლობა ივანე ორბელს გადასცეს. თუმცა იგი მალევე უნდა ჩამოეშორებინათ ამ საქმისთვის, რასაც გვაფიქრებინეს გაგის ციხესთან განვითარებული მოვლენები (12, გვ.49, 1,195). მხოლოდ გოშის ცნობით, როდესაც ელდიგუზ ათაბაგმა ანისსა და დეინთან მიღებული დამარცხების შემდეგ გაგის ველზე გამოილაშქრა, ივანე ორბელს მასთან საიდუმლო შეხვედრა ჰქონდა, როდესაც მან ათაბაგს გიორგი III საომრად მზადყოფნა ამცნო: „... მისმა მხედართმთავარმა ივანემ, სუმბატ ხლაგუჭვანის შვილმა, ფარულად უხმო და გააფრთხილა ათაბაგი და სულთანი, რადგანაც შეთქმული იყო მათთან და დაბრმავებული მათი საჩუქრები. იმ დამეს, როდესაც ემზადებოდნენ დილისთვის საბრძოლველად, ფარულად დატოვეს თავიანთი კარავი და გაიქცნენ“ (12, გვ. 49). გიორგი III დადევნებას აპირებდა, მაგრამ დიდებულთა ნაწილმა, მათ შორის, ჰერეთის ერისთავმა, ვარდან კოლონკელიძემ, მეფეს მხარი არ დაუჭირა, „ვინაიდან გაქცეულა სულტანი ყოვლითა სპითა მისითა. ნულარა აღზუავებულ

მკადრებლობ ღმთისა" (13, გვ. 11). გაგის ეელზე მომხდარი ფარული შეხვედრის მთავარი საკითხი ანისი უნდა ყოფილიყო, რადგან, მხითარ გომის ცნობით, გაგის შემდეგ ათაბაგი დაუყოვნებლივ ანისისკენ ილაშქრებს, კერძოდ მას ანისის მიღამობები, სოფლები ამნაჯი და თაღონი დაურბევია (12, გვ. 49). ვარდა ამისა, თამარის ისტორიკოსის თქმით, როდესაც ათაბაგმა ანისზე გაილაშქრა, თვალის ახვევის მიზნით, გიორგი III მოციქული გაუგზავნა, რომელიც ამ დროს გაგის ეელზე მომხდარი ამბის გამო მცირე ლაშქრით „მონადრე და მხიარული, დგა შორის მათა ლორისა და დმანისისასა“. სულთნის მოციქული ლაშქრის განლაგებისა და დგომის ნების მცოდნე ყოფილა. როდესაც ის გიორგი III ჯარის მცირერიცხოვნობაში დარწმუნდა, სულთანს დაუყოვნებლივ შეატყობინა თავდასხმის აუცილებლობის შესახებ (13, გვ. 13). ამის შემდეგ მაჰმადიანები ქართველებს მოულოდნელად თავს დაესხნენ, რომელთაც შეჭერა და ამხედრება ძლივს მოასწრეს, მაგრამ ივანე ორბელმა და სხვა დიდებულებმა, მათ შორის, კელაე პერეთის ერისთავმა, ვარდან კოლონკელიძემ, მეფეს ბრძოლის ველიდან თავის გარიდება ურჩიეს, რომ ძალები უფრო მოეკრიბათ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს წინასწარ გათამამებული ფანდი იყო. საინტერესოა, მტრის ჯაშუშს საქართველოს სამხედრო ძალების დახვეწვა როგორ უნდა მოეხერხებინა, საქმის კურსში ამირსპასალარი რომ არ ყოფილიყო? ივანე ორბელს სურდა, ანისი მაჰმადიანთა შემოსების მუდმივი საშიშროების ქვეშ დაეჩინებოდა, რომ მეფის ყურადღება ქალაქზე გადაეტანა და ამით მასზე გავლენა მოეპოვებინა. შესაძლოა, ივანე ორბელს ამ მოქმედებისკენ ის უბიძგებდა, რომ „მას ჟამსა შინა ანისსა, განამტკიცებდა თორელი დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე“ (13, გვ. 13). როგორც ჩანს, ამირსპასალარი ანისის საქმეებს ჩამოშორებული იყო. „იქნებ, მხითარ გომის ზემოაღნიშნულ ცნობაში ის რეალური საფრთხე უნდა ვიგულებსიმოთ, რომელიც გიორგი III იგრძნო თავისი ამირსპასალარისგან და, სამეფო ინტერესებთან დაკომბინარე, ანისის შემოერთების საკითხში მას ეხელა დაეყრდნობოდა“ (1, გვ.214). კრიტიკულ მომენტში გიორგი III ივანე ორბელისთვის ანისის საგამგეოდ ჩაბარებას, ისევე დადიანებისთვის ყმადნაფიცობის პირობით გადაცემას ამჯობინებდა (1, გვ.214).

ვარდანის თქმით, ანისზე მეორედ გალაშქრების ინიციატორი კელაე ივანე ორბელია, „რომელსაც სურდა თვითონ ჰქონოდა მასში თავისი ადგილსამყოფელი და დაებრუნებინა ტყვეობიდან ქრისტიანები“ (14, გვ. 158-159). 1174 წელს, მისი ჩაგონებით, გიორგი III ქალაქი აიღო. მეფემ შაჰინშაჰი თავისთან წაიყვანა, რასაც მაჰმადიანთა ახალი ლაშქრობა მოჰყვა. მათ მთლიანად გადაბუგეს შირაკის პროვინცია. ისტორიკოსის ცნობით, „ივანე მზად იყო დაეთმო ქალაქი თურქთათვის, მაგრამ მან ვერ შეძლო ეს, რადგან ქალაქმა გაიყო და ზომები მიიღო“ (14, გვ. 158-159). რატომ შეცვალა ივანემ გადაწყვეტილება? არ არის გამორიცხული, რომ ამირსპასალარს ჰქონდა ინფორმაცია ანისის მისთვის კელაე ჩამორთმების შესახებ. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საინტერესოა მოსაზრება აქვს გამოთქმული მ. ლორთქიფანიძის: „შესაძლოა ივანე ვერაულოდებოდა, რომ თუ ის გადასცემდა ანისს თურქებს, მათგან შეუძლებლობას პირობებით მიიღებდა ქალაქს სამმართველოდ ... თურქი მფლობელები ეგუებოდნენ ანისის საქართველოს საყმადნაფიცოდ ყოფნას და ისინი მხოლოდ მაშინ აქტიურობდნენ, როდესაც საქართველოს მეფე უშუალოდ სამეფოდ იკავებდა მას ... თურქებისათვის უფრო სასურველი იქნებოდა ივანე ორბელის მმართველობა ანისში, როგორც მათი ქვეშევრდომისა. ივანეს კი, ჩანს, გიორგის მხელეობას მაჰმადიანთა ყმობა ერჩია“ (11, გვ. 104). ივანე ორბელი მხოლოდ მაშინ იღებდა რადიკალურ გადაწყვეტილებას, როდესაც გიორგი III მას ანისის გამგებლობას ჩამოაშორებდა. ალბათ, ამით აიხსნება მხითარ გომის ცნობა საიდუმლო გარიგების შესახებ ამირსპასალარსა და ელდიგუზ ათაბაგს შორის. ივანე ორბელს სურდა ანისი მაჰმადიანთა თარეშის მუდმივი საშიშროების ქვეშ ყოფილიყო. მართლაც, მხითარ გომის ცნობით, „ქალაქი შევიწროებული იყო მტრის თავდასხმებით. სთხოვეს [გიორგის] მიეტყა უწინდელი მფლობელისათვის, რომელიც ტომით სპარსი იყო. კელაე გადადიოდა ის ერთიდან მეორეში. არ ჰქონდა შევიდობა ქალაქსა და ოქვს. შემდეგ ხელთ მისცა თავის მხედართმთავარს ივანეს, მაგრამ მაინც არ დაწყარდა სიმშვიდე, ვიდრე არ გადასცა მის უწინდელ მფლობელს“ (12, გვ. 48). ვარდანაც აღნიშნავს, რომ ელდიგუზ

ივანე ორბელი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ანისში გაბატონებულიყო. მაგრამ გიორგი III თავიდანვე ალლო აულო ამირსპასალარის მიზნებს. მეფეს არ სურდა ივანე ორბელისთვის დაეთმო, რადგან მისი მამულებისთვის (მასში შედიოდა ყოფილი ტაშირ-ძორაგეტის კვირიკიანთა სამეფო, ამ დინასტიის წარმომადგენელი კი ივანე ორბელს ჰყავდა ცოლად) ანისის შეერთების შემთხვევაში, შეიძლება სომხური სახელმწიფოს აღდგენის საკითხი დამდგარიყო, რასაც მხარს დაუჭერდა მთელი სომხური დიასპორა. მართლაც, ორბელთა აჯანყებაში სომეხი დიდგვაროვნებიც იღებდნენ მონაწილეობას. სტ. ორბელიანი ასახელებს სომეხ დიდგვაროვნებს „კაინელი ჰასან და ანელი გრიგოლ აპირატიანი“-ს (7, გვ. 46). თამარის ისტორიკოსი მათ ანანია დვინელს უმატებს (13, გვ. 19). ამრიგად, აჯანყებაში მონაწილე სომეხი დიდებულები იმ ქალაქების წარმომადგენლები იყვნენ, რომელთათვისაც გიორგი III განსაკუთრებით იბრძოდა. რაც შეეხება ჰასან კაენელს, იგი კაენის ციხის მფლობელი იყო, რასაც თვით სახელწოდება „კაენელი“ მიუთითებს. კაენის ციხე X-XII სს-ში ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტი, მის აღმოსავლეთ საზღვარს იცავდა.

ათაბაგს ოთხი წლის მანძილზე შიშისა და უბედურების ქვეშე ჰყავდა ქალაქი ანისი. „საბოლოოდ, ქართველთა მეფე გიორგიმ, შეებრალა რა ქალაქი, მოიწვია თავისთან სულთანი ასლან მაჰმუდის ძე და დაუთმო ქალაქი ანისი“ (14, ვგ. 156). მსგავს ინფორმაციას იძლევა მცირე სომხური ქრონიკა „მეფენი უკანასკნელ ბაგრატუნთა“, რომელიც ელდიგუზ ათაბაგის შემოსევას 1175 წლით ათარილებს, იმ განსხვავებით, რომ იგი ანისის გარდა ახალქალაქისა და ჯავახეთის დარბეჯასაც აღნიშნავს (9, გვ.124). ამრიგად, ზემოაღნიშნული ცნობებიდან ერთი შეხედვით ჩანს, რომ ანისის დათმობის მიზეზი იყო ქალაქზე და მის შემოგარენზე მაჰმადიანთა დამარტყველი ლაშქრობები და სამხედრო ზეწოლა იყო, მაგრამ წყაროებმა სხვა ქვეტექსტებიც შემოგვინახა, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ ანისის დათმობის შემთხვევაში სუბიექტური ფაქტორიც არსებობდა. აღნიშნულის საარგუმენტაციოდ გამოდგება გიორგი III მიერ ქალაქის დათმობასთან დაკავშირებით ვარდანის შემდეგი ცნობა: „ვინაიდან ის (გიორგი III) ხედავდა, რომ არ ჰქონდა შესაძლებლობა შეენარჩუნებინა იგი (ანისი, – ქ. ქ.) თავისთვის მრავალი არაერთგულის გამო“ (14, გვ. 156). თუ გავითვალისწინებთ ვარდანისავე ცნობას იმის შესახებ, რომ ივანე ორბელი ცდილობდა, თავისი ადგილსამყოფელი ჰქონოდა ანისში, მაშინ დაერწმუნდებით, რომ ამ „მრავალრიცხოვან არაერთგულთა“ დასში განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველოს ამირსპასალარს. როგორც ჩანს, გიორგი III ამირსპასალარისთვის ანისის ჩაბარებას არ აპირებდა, რათა ეს უკანასკნელი მეტისმეტად არ გაძლიერებულიყო, მით უმეტეს, რომ ივანე ორბელს ქალაქში დამკვიდრება სურდა. გიორგი III მომხრეთა ის რაოდენობა არ ჰყავდა, რომელთა ერთგულებას ანისის აღმინისტრაციული მოწყობის საქმეში სამეფო ინტერესების შესაბამისად გამოიყენებდა. როგორც მ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, „შესაძებელია 70-იან წლებში ანისისათვის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლა გიორგიმ იმიტომ წააგო, რომ დიდი ოპოზიცია ჰყავდა ქვეყნის შიგნით ივანე ორბელის მეთაურობით, რომელიც მხარს არ უჭერდა მეფის პოლიტიკას ანისის საკითხში“ (11, გვ. 118). მართლაც, ზემოაღნიშნული მცირე სომხური ქრონიკის მიხედვით, ანისის მეორედ აღებიდან ორი წლის შემდეგ, 1176 წელს გიორგი III ქალაქი თავის ძველ მფლობელს დაუბრუნა (9, გვ.), რასაც ერთი წლის შემდეგ ორბელთა აჯანყება მოჰყვა. დავით ქობაირეთის ქრონიკის მონაცემების მიხედვით კი ამ მოვლენამ მეფესა და ამირსპასალარს შორის მოლაპარაკების დროს სამეფოს ორად გაყოფის საკითხი წამოჭრა.

არ არის გამორიცხული, რომ მათ სომხური მხარეების ავტონომიური მმართველობის და შესაძლოა, სახელმწიფოებრიობის აღდგენის იმედი ჰქონდათ. გიორგი III მხრიდან ამ საკითხის სომეხთა სასარგებლოდ გადაწყვეტა გამორიცხული იყო, რადგან მეფე ყოველთვის ცდილობდა, განთავისუფლებული სომხური მიწები, თავისი პაპის – დავით აღმაშენებლის მსგავსად, უშუალოდ საქართველოსთვის შემოეერთებინა, რაც, მაჰმადიანთა დიდი წინააღმდეგობის გამო, ვერ შეძლო. საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, ტაშირ-ძორაგეტის პოლიტიკურად სომხური სახელმწიფოს ავტონომიზაციის ერთ-ერთი მოსურნე დავით V იყო, რომელსაც სურდა არაქართველ დიდებულებში დასაყრდენი ჰქონოდა, მაგრამ მან ეს ვერ განახორციელა, რადგან, სომხურ წყაროთა მონაცემებით, ორბელებისა და გიორგი III შეთქმულებით იგი მონამულ იქნა (15). ორბელებმა კვირიკიანთა ყოფილი სამფლობელოს დაკანონება დინასტიური ქორწინების გზით შეძლეს, როდესაც ივანე ორბელმა კვირიკე III ასული რუსუდანი შერთო ცოლად. ვფიქრობთ, უფრო მეტი გარანტიისათვის და სხვა გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ორბელთა საგვარეულო ბაგრატიონთა დინასტიასაც დაუმოყვრდა, როდესაც დავით V ძეს დემნას ცოლად შერთეს ივანე ორბელის ასული. მას შემდეგ, რაც ივანე ორბელი მეფეს ანისის თაობაზე დაუპირისპირდა, სომეხ დიდებულებს სომხური სახელმწიფოს აღდგენის იმედი კვლავ მიეცათ. ისინი საქართველოს მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო იყვნენ არა მარტო ანისის თაობაზე, არამედ ზოგადად სომხური მიწების სტატუსის გამოც, ამიტომ სომეხი დიდგვაროვნები მეფის მონინააღმდეგე ძალას მიემხრნენ. ისინი, ალბათ, იმით ინუგეშებდნენ თავს, რომ ივანე ორბელს ცოლად ჰყავდა ბაგრატუნთა შთამომავალი, კვირიკიანთა გვარის ქალი. მაგრამ ეს საქმე რომ განხორციელებულიყო (აჯანყების გამარჯვების ან სამეფოს ორად გაყოფის შემთხვევაში), ხელისუფალი, ორბელი იქნებოდა თუ ბაგრატიონი, სახელმწიფოს აღდგენას საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე განახორციელებდა, სომხურ მიწებს საკუთარ სამფლობელოდ და არა როგორც დამოუკიდებელ სამეფოდ განიხილავდა.

ივანე ორბელს საკუთრად რომ მიაჩნდა ანისი, მტკიცდება „ბასილი კაპადოკიელის სწავლანის“ 1172-73 წწ-ის მინაწერით, სადაც ანისი ორბელთა საგვარეულოს კუთვნილ ქალაქად არის მოხსენიებული (16, გვ. 207; 4, გვ. 33-34). ამას სტეფანოს ორბელიანის ერთი ცნობაც ადასტურებს: „ამან გიორგიმან აიღო ანის ქალაქი რიცხუსა ქი (1160-1161) და ყოველი ქუეყანა შირაქისა და უბოძა ამირსპასალარსა ივანეს ძესა დიდისა სუმბატ ორბელიანისა და დაუმკვიდრა მათ მამულად“ (7, გვ. 42-43). ვარდან აღმოსავლელის თქმით, 1174 წელს ანისზე მეორედ გალაშქრების ინიციატორი კვლავ ივანე ორბელია, „რომელსაც სურდა თვითონ ჰქონოდა მასში თავისი ადგილსამყოფელი და დაებრუნებინა ტყვეობიდან ქრისტიანები“ (14, გვ. 158-159). მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სომხური წყაროები ორბელთა გვარის განდიდებასაც ემსახურებოდეს, რადგან „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით, როდესაც გიორგიმ ანისი აიღო „დაიმჭირა სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად“. ქართული წყაროდან ჩანს, რომ მეფემ ანისი სამეფოდ დაიმკვიდრა. თუმცა უდავოა ის ფაქტი, რომ ივანე ორბელს ანისის სამა-

მულედ გახდომის პრეტენზია თავად ჰქონდა და როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ეს იყო ორბელთა აჯანყების ბიძგის მიმცემი. ზემოაღნიშნული ცხადყოფს, თუ რატომ ჩაებნენ სომეხი დიდგვაროვნები აჯანყებაში. ამრიგად, თუ ანისის საკითხი ივანეს სასარგებლოდ გადაწყდებოდა, რომელიც, როგორც ვთქვი, ბაგრატიონთა დინასტიის გვერდით შტოსთან – კვირიკიანთა გვართან იყო დამოყვრებული (კვირიკიანები, როგორც უკანასკნელი სომეხი მეფეები, ბაგრატიუნთა მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ თავს), იგი იმ მიზნის პატრონი აღმოჩნდებოდა, რომელზეც სომხური სახელმწიფოები არსებობდა.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი“ აჯანყების მონაწილეებად ორბელთა გარდა იხსენიებს: „სამცხეთართა, ჰერეთთა, კახეთთა“ (13, გვ. 18), ანუ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ სამცხისა და კახეთ-ჰერეთის მთავრები. სტ. ორბელიანის ცნობით, მათ ტაშირელებიც უნდა დაუმატოთ, რომლებშიც ივანე ორბელის ქვეშევრდომნი უნდა ვიგულისხმოთ. თუმცა მეფესაც ჰყავდა ერთგული „მესხნი, თორელნი, ქართლელნი, სომხითარნი“, რომელთაც ჭაბერ მანდატურთუხუცესთან ერთად ჰერეთში ლეკებით და მთიულებით დამხვდური ჰერეთის ერისთავი დაუმარცხებიათ (13, გვ. 19). ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვითაც, ორბელთა გარდა აჯანყებაში მონაწილეობდნენ ტაოელნი, სამცხელნი, ჰერ-კახნი“ (17, გვ. 169). მათ ასევე, ლეკნი და კაკასნი“ ეხმარებოდნენ (17, გვ. 170). ამრიგად, ლორე-ტაშირის გარდა თითქმის ყველა წყარო აფიქსირებს მესხეთისა და კახეთ-ჰერეთის მთავრების მონაწილეობას. სტეფანოსის მიერ მოხსენიებულ „*Записки*“-ში („ღავრღარიან“-ში) ლ. მუსხელიშვილი „ყვარყვარიანს“ გულისხმობს, რასაც ეთახმება მარგარიანი. მას დასაშვებად მიაჩნია, რომ ორბელთა აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა ჯაყელთა II შტო – ციხისჯვარელები (18, გვ. 162). მაგრამ ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელის მონაწილეობა აჯანყებაში საეჭვოა. შ. მესხია აღნიშნულ სახელწოდებაში, კითხვის ნიშნით, „ხოუორნელებს“ გულისხმობს (19, გვ. 19). დანარჩენ „სომხითარ, ტაშირელებში“, როგორც ვთქვით, ორბელთა ქვეშევრდომი საგვარეულოები იგულისხმება, მათ შორის სომხური ორიენტაციის, ქურთული წარმოშობის, გაგრიგორიანებული მხარგრძელები, რომლებიც, ვასალიტეტის მიხედვით, ვალდებულნი იყვნენ, ომის დროს თავის სიუზერენს თან ხლებოდნენ. სარგის მხარგრძელი ანისთან მიმართებაში ყოველთვის ივანე ორბელთან იმყოფება და მისი თანაშენეც არის. კვირიკიანთა ბატონობის დროს ქვემო ქართლში მოსულმა მხარგრძელებმა მათგან მამულად ხოუორნი მიიღეს და შესაძლოა დაექვემდებარნენ კიდევ. სამშვილდესა და ლორეში ორბელთა დამკვიდრების შემდეგ კი მათი ქვეშევრდომნი გახდნენ. მხარგრძელებისთვის აჯანყებაში მონაწილეობა მარტო სიუზერენ-ვასალის ურთიერთობიდან გამომდინარე არ უნდა ყოფილიყო განპირობებული. ისინი, როგორც ჩანს, მათთვის უკეთესი მდგომარეობისთვის იბრძოდნენ. ეს კარგად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ პირველად ლორის ციხედან სარგის მხარგრძელი ჩამოვიდა და ეახლა მეფეს. ორბელთა განადგურების შემდეგ მათ კარგად გამოიყენეს შექმნილი სიტუაცია და ფაქტობრივად ლორესა და შემოერთებული სომხური თემების ერთპიროვნული მმართველები გახდნენ.

აჯანყებაში მონაწილე პირთა ხელქვეით მყოფი სამფლობელოებით თუ ვიმსჯელებთ, გიორგი III საკმაოდ მნიშვნელოვანი და დიდი ტერიტორიების შენარჩუნების-

თვის მოუხდებოდა ბრძოლა. განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენეს, რომ აჯანყებულთა ძირითადი კერა ლორე-ტაშირი და კახეთ-ჰერეთი იყო. აჯანყების გამარჯვების და სამეფოს ორად გაყოფის შემთხვევაში, გიორგი III ქვეშევრდომობიდან გამოვიდოდა საქართველოს ტერიტორიის სამხრეთი, აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, შემოერთებული სომხური თემები, ანისი და დვინი. ფაქტიურად მეფის ხელში მხოლოდ ქართლი და დასავლეთ საქართველო რჩებოდა. ამრიგად, 1177 წლის ორბელთა აჯანყების დროს სამეფოს ორად გაყოფის საკითხის ძირითადი მიზეზი ქალაქ ანისის თაობაზე მეფისა და ამირსპასალარის ინტერესთა დაპირისპირება იყო. ივანე ორბელი ანისის მამულად დაქვედრებას ცდილობდა, გიორგი III კი ახლად შემოერთებული მიწების სამამულედ გაცემას ერიდებოდა. გიორგი III პოლიტიკით უკმაყოფილო ელემენტები, მეფის მთავარი მონინალმდგის, ივანე ორბელის გარშემო გაერთიანდნენ. მათ ყველას საკუთარი მიზნები ამოძრავებდა: სომეხ დიდებულებს სომხური სახელმწიფოს აღდგენის იმედი ჰქონდათ, კახეთ-ჰერეთის მთავრები, შესაძლოა, ცალკე სამეფოდ გასვლაზეც კი ოცნებობდნენ. აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში დემნა უფლისწულის ლეგიტიმური უფლებების დაცვას ამოფარებული დიდგვაროვნები თავიანთი მიზნების მისაღწევად მზად იყვნენ ქართული სამეფოს გახლეჩაზეც კი ნასულიყვნენ, რომელიც იმ პერიოდში მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლის სახეს წარმოადგენდა.

მიუხედავად გიორგი III მიერ ტახტის კანონიერად თუ უკანონოდ დაუფლების პრობლემატური საკითხის არსებობისა, რაც ძმისწულის ლეგიტიმური უფლებების დისკრედიტაციას უკავშირდება, სამეფოს ორად გაყოფა საქართველოს სახელმწიფოსთვის თავისთავად ნეგატიური მოვლენა იქნებოდა, განსაკუთრებით მაჰმადიანთა ბრძოლის ფონზე. ის ნიშნავდა უარის თქმას მაჰმადიანთა მიმართ ქართველი მეფეების (ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი) მიერ შემუშავებულ სწორხაზოვან პოლიტიკაზე, რამაც უზრუნველყო ქართული მიწების მუსლიმანთაგან საბოლოოდ განთავისუფლება და მათი გაერთიანება. ზემოაღნიშნული მოვლენის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების პროცესში იგი უკუსვლის და რეგრესის ტოლფასი იყო.

## ლიტერატურა

1. ქეთევან ქუთათელაძე, ქვემო ქართლი პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ. 2001.
2. ლაქინი ზვიადისძის ჩუათაყარაზის ბ. ი. ა. აქათაყარაზის ა. ა. შ. აქათაყარაზის, სტ. 1988.
3. გ. მაისურაძე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, კრებული სრ, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი, თბ. 1966.
4. აღ. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები, როგორც წყარო X-XIII სს-ის საქართველოს ისტორიისათვის. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 1973.
5. ჟ. ლაქინი, რაქსი ჩუათაყარაზის, „სტრუქტურა“, № 8, 1952.
6. ზ. აღუქსიძე, დავით ქობარიეცის მოსახსენებლის ერთი ადგილის განმარტებისათვის, „მაცნე“, ი. ს., 4, 1984.



# საღვთისმეტყველო და მხატვრული სისტემა ძველ საქართველოში

ნესტან ხულავა

## იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ საღვთისმეტყველო და მხატვრული სისტემის ურთიერთმიმართებისათვის

**წმინდა** შუშანიკ დედოფლის მოღვაწეობა ყველა ქრისტიანისათვის მისაბაძია, მაგალითის მიმცემია, რასაც ევანგელურ-აპოსტოლური მოძღვრება უდევს საფუძველად: „იყვენით უკუე მობაძაჲ ღმრთისა“ (ეფეს. 5,1). ჰაგიოგრაფიული სახისმეტყველებითი პრინციპების მიხედვით, ჰაგიოგრაფიის გმირს წმინდანობის მოპოვების გზაზე მასში სასწაულებრივი გარდატეხა ხდება, იგი ღვთის რჩეულია, ადამიანის პირველსახესთან მიახლოებული, ზნესრული პიროვნებაა. მას არა აქვს უარყოფითი თვისება. ადრეული შუა საუკუნეების მწერლობაში დახატულია ადამიანი-წმინდანი, როგორც მხოლოდ დადებითი თვისებებით შემკული. აქ არა გვაქვს ხასიათი, ინდივიდუალობა, რაც რენესანსულ მწერლობას ახასიათებს. ჰაგიოგრაფი თავის იდეალურ გმირს ხატავს შემფასებლური პოზიციებიდან.

ჰაგიოგრაფიაში გვაქვს ადამიანის ორი ტიპი: წმინდანი, რომელიც იდეალადაა ჩამოყალიბებული და მიწოდებული მსმენელ-მკითხველისათვის, და ცოდვილი, რომელიც რეალურად შეიძლება არც იყოს ისეთი უარყოფითი, როგორც მას ჰაგიოგრაფი მწერალი წარმოაჩენს. სწორედ ეს გარემოება ბადებს აზრს „შუშანიკის წამების“ პერსონაჟთა სახეების სხვადასხვაგვარად გააზრებისათვის. მით უმეტეს, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ყოველ ნაწარმოებს სხვადასხვა ეპოქის ადამიანი სხვადასხვაგვარად კითხულობს, ახლებურად, თავისი ეპოქის ლიტერატურული გემოვნებისა და შემოქმედებითი პრინციპების შესაბამისად. თავისთავად ცხადია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საინტერესოა ამგვარი ნაკითხვა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ადრეული შუა საუკუნეების ლიტერატურული ძეგლის შესასწავლად, მისი ჟანრული სპეციფიკის, სტილური და კომპოზიციური ნიშნების, სახეობრივი სისტემის, გამოსავლენად საჭიროა თავისი ეპოქის ლიტერატურის სპეციფიკის, მსოფლმხედველობის, ზნეობრივ-ეთიკური პრინციპებისა და ესთეტიკური ფენომენის გათვალისწინება. ეს ხომ ის პერიოდია, როდესაც გაუთიშავია რელიგიური, ეთიკურ-ზნეობრივი, ფილოსოფიური და ესთეტიკური კატეგორიები, ამ გაუთიშობის კვალობაზე აღიქმება სამყარო და ადამიანი, სხვაგვარად – მაკროკოსმოსი და მიკროკოსმოსი. ასევე, კომპოზიცია, გმირი და მისი იდეალი, გამომსახველობითი საშუალებები, ზოგადად სახეობრივი აზროვნებითი სისტემა, ამაღლებულისა და მშვენიერების შეზავებას გულისხმობს, რომელსაც პერსონაჟთა განსახოვნების უმთავრეს პრინციპად სახავენ.

ჰაგიოგრაფიაში განსაკუთრებულია ჰაგიოგრაფიული გმირის სამოქმედო გეოგრაფიული არეალი და დრო, მისი ნათლით მოსილი სახე. ამ მხრივ ქართულ ჰაგიოგრაფიას ნიმუშად, ბიბლიურ-ევანგელურ სწავლებებთან ერთად, მრავალეთნოსიანი ბიზანტიის სახელმწიფოს წიაღში აღმოცენებული და განვითარებული ჰაგიოგრაფიული მწერლობა აქვს.

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ წმიდა დედოფლის მოქმედება დროსივრცული თვალსაზრისით მთლიანად ქრისტიანულ სამყაროს უკავშირდება.

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების თემა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული ადამიანის წამება და მოღვაწის ცხოვრებაა, საღვთო მიჯნურობის ასახვაა; იდეა – ცოდვითდაცემული ადამის პირველსახის დაბრუნებაა, დაცემული ადამის ამალღება ყოველი ადამიანის მცდელობით, რაც ღვთის ნებით ხდება, წმინდანობის გზაზე შემდგარი ჰაგიოგრაფიული გმირის განღმრთობა, ღმერთშემოსილად ქცევაა. გზა ამ მიზნისაკენ ურთულესია – იგი ტანჯვითაა გასავლელი მიწიერების, ამქვეყნიურობის ზეციურად გარდამსახველი წმინდანის, უფალს მიახლოებული ადამიანის მიერ, რომელიც ჰაგიოგრაფიული გმირის ზოგადი მხატვრული სახის ნიშან-თვისებითაა შემკული.

ჰაგიოგრაფიული თხზულების ავტორი ეყრდნობა მზამზარეულ რელიგიურ სახე-ხატებს, ენობრივ-სტილისტურ ხერხებს, გამომსახველობით საშუალებებს, რომელთა სათავეები ბიბლიურ ნიგნებში დევს. ჰაგიოგრაფიისათვის ნიმუში, მაგალითი ბიბლიაა, უპირველესად – სახარება. ამიტომ წარმოჩნდება ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების გმირი მაცხოვარს, ქრისტეს მიმსგავსებულად, რასაც მწერალი ზოგად-ქრისტიანული ლიტერატურული სტილის, მეთოდის, ეტიკეტის, შემოქმედებითი პრინციპების შესაბამისად ქმნის. ჰაგიოგრაფიაში მთავარია გმირის სულიერი განვითარება, ამალღებული სახე.

იაკობ ხუცესი ერთდროულად აგრძელებს ჰაგიოგრაფიული მწერლობის ტრადიციებს და გვთავაზობს სიახლეს, ვინაიდან იგი, ერთი მხრივ, ჰაგიოგრაფიულ შაბლონს მისდევს დადებითი გმირისა და უარყოფითი პერსონაჟის წარმოსახვისას, მეორე მხრივ, დადებით გმირს დინამიკურად, განვითარების პროცესში წარმოაჩენს, რომლისთვისაც ადამიანური თვისებები, სისუსტეს რომ უწოდებს ზოგიერთი მკვლევარი, უცხო არ არის. შუა საუკუნეების ესთეტიკურმა აზროვნებამ ადამიანში შეინიშნა საკუთარი თავის წიაღში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ტენდენცია, რაც სინანულით, აღიარებით, მონამეობითა და სულიერი განწმენდით მიიღწევა. ყოველივე ეს წარმოაჩენს ჰაგიოგრაფიის მთავარ, დადებით გმირს ყოველივე ამქვეყნიურზე ამალღებულად, ამიტომაც მასში გამოკვეთილი ჰაგიოგრაფიული გმირის, როგორც სახის, ამალღებულობა.

წმ. იოანე ოქროპირის თხზულებაში „მონამეთათჳს“ ჩამოყალიბებულია ის თეორიულ-თეოლოგიური პრინციპები, რომლებითაც წარმოჩნდება წმინდანები, უმეტესად – მარტვილნი. აქ ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ნიშანია გმირის ნათელმოსილება.

იაკობ ხუცესის თხზულების მთავარი პერსონაჟი, გმირი, სოციალური თვალსაზრისით, უმაღლესი არისტოკრატიული ფენის წარმომადგენელია, ქვემო ქართლის პიტიახშის მეუღლე და სომეხთა მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანის ასული, რომელსაც მამისაგან სახელად ვარდან ერქვა, ხოლო სიყვარულით შუშანიკს უწოდებდნენ: „მამისაგან სახელით ვარდან, ხოლო სიყვარულით სახელი მისი შუშანიკ“ (ძეგლები, I, 1964: 11). შუშანიკი სომეხური წარმომავლობის სახელია და, როგორც არაერთგზის აღინიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში, შრომანს ნიშნავს; საღვთისმეტყველო ლიტერატურა შრომანს ყოველდღივად ღვთისმშობლის სიმბოლოდ სახავს, რის გამოც ქვემო ქართლის დედოფლის სახელი სახისმეტყველებითა და დატვირთული და წინასწარვე მონიშნავს მის სულიერ მისიას საქართველოსთვის. შრომანი სინმინდის, სინათლის სიმბოლოა, ამიტომ წმიდა შუშანიკის სახელშივე მყლავნდება მისი ნათლითმოსილობა.

ნათლის ტროპიკა საღვთისმეტყველო მწერლობაში სიმბოლურ ფუნქციას იძენს. ნათელი ორგვარია: 1. შუუქმნელი, მარადიული და 2. შექმნილი, დრო-ყამში განხორციელებული; წმიდა შუშანიკი მარადიული ნათლის დამკვიდრებისაკენ მიილტვის, იგი, თავად ნათლის მატარებელი, ყველგან ნათლის დამკვიდრებას ცდილობს. ღვთაებრივი ნათელი საფრთხეში აღმოჩნდა პიტიახშთა ოჯახში, ვარსკენის ღალატის შედეგად. ოჯახის ღირსება და მასზე გადმოსული ღვთაებრივი მადლი წმიდა შუშანიკმა უნდა შეინარჩუნოს.

იაკობ ხუცესის სიტყვით, წმინდა შუშანიკი ბავშვობიდანვე ღვთისმშობი და მოყვარულია, განსხვავებით მეუღლისაგან – ვარსკენ პიტიახშისაგან; იგი ბიბლიური სახისმეტყველებით წარმოჩნდება, რადგან შიში უფლისა დასაბამი არს სიბრძნისა. წმ. შუშანიკის ღვთისმშობიებაში ავტორი იმას უნდა გულისხმობდეს, რომ იგი ბავშვობიდანვე ეზიარა ქვეშარიტებას, ღვთის ამ ღიდ მადლს. ამით წინასწარვე თქმულია ისიც, რომ მას ვერავინ და ვერაფერი განაშორებს ქრისტიანულ ღმერთს, რწმენას არ უღალატებს. ღვთის შიში წარმართავს მის შემდგომ ქმედებასაც, როდესაც თავისი შვილებითურთ ღვთის მოშიშებით შედის ეკლესიაში და ლოცულობს, შვილებს ღვთის წინაშე წარადგენს, რათა მან დაიცვას ისინი მტრის ქმედებისაგან. დედოფლის გადაადგილება პიტიახშის სასახლიდან ეკლესიაში შვილებთან ერთად ადასტურებს იმას, რომ წმინდა დედოფალი სივრცულად ქრისტიანულ სამყაროსთანაა დაკავშირებული. წმიდა შუშანიკში ნათელია დავანებული, ის ღვთაებრივი ნათელი, რომელიც მას ნათლისღების შედეგად აქვს მოპოვებული. ღვთის შიში არა აქვს ვარსკენ პიტიახშს, რომლის შესახებ ავტორი გვაუწყებს, „არცა შიში ეხილვა“ ქრისტეს სჯულისთვისო.

„შუშანიკის წამების“ სიუჟეტი კომპოზიციურად ქრისტიანული დრო-სივრცისა და ნათლის ტროპიკის ასახვის თვალსაზრისით ორნაწილიანია: 1. პირველია შუშანიკის, ვითარცა დედოფლის, მონაშედ ქცევის რთული და დინამიკური პროცესი, როდესაც წმინდანი სულიერი ძლიერებით აღიჭურვება და ამალეებული სახით წარმოიდგინება; იგი იწყება წინადადებით: „და ან დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“ (ძეგლები, I, გვ. 11); წმიდა ღე-

დოფლის ყოველი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა ნათლითაა გაბრწყინებული; ამავე დროს, იგი ქრისტიანულ სივრცულ არეალშია წარმოსახული ავტორის მიერ; 2. მეორე ნაწილი უკვე ჩამოყალიბებული წმინდანი-მონამის სრულყოფილებას გვამცნობს. ესაა სისრულეს მიღწეული დედოფლის ტანჯვის ჩვენება, რაც განზოგადებულ იერსახეს იძენს და იწყება წინადადებით: „და მიერთგან განითქუა ყოველსა ქართლსა საქმს მისი“ (ძეგლები, I, გვ. 22), რაც, აგრეთვე, ნათლითაა განათებული და წარმართული, ვინაიდან მისმა მონამეობრივმა მოღვაწეობამ ღვთაებრივი ნათლით გააბრწყინა და გაამშვენებია ციხე, რომელშიც წმინდა დედოფალია დავანებული. მისი ქრისტიანული ცნობიერება ნათლის შემეცნებას ეფუძნება. ამიერიდან წმიდა დედოფალი დროსივრცულად განუმორებელია ქრისტიანული სამყაროსაგან.

ჰაგიოგრაფიულ სახე-პერსონაჟებს ორი მხარე აქვთ: 1. უმთავრესია მათი მისტიკურობა, რაც მათი სულიერი ცხოვრების ასახვას ეფუძნება; ისინი ამაღლებულის ნიშნით არიან აღბეჭდილნი; მისტიკური სიმბოლიკა კანონიკითაა განსაზღვრული და მხატვრული ელემენტის, ანუ გამონაგონის შეტანა დაუშვებელია, ყოველივე აისახება „ვითარცა იგი იყო“... ყოველივე არის „ჭეშმარიტი და უტყუელი“ და გამოითქმება „დამტიკიცებულად“, „სრულიად ჭეშმარიტად“; 2. მეორე მხარეა მხატვრულ-ესთეტიკური, რომელიც ადამიანის თავისუფალი, შემოქმედებითი აზროვნების შედეგია. მთავარი გმირი ამაღლებულის მშვენიერებით წარმოჩნდება, რაც მისი მხატვრულ-ესთეტიკური გააზრების საფუძველს ქმნის. ჰაგიოგრაფიული გმირი ზნეობრივი მაგალითია, გზის მაჩვენებელია თანამედროვე საზოგადოებისა და მომავალი თაობებისათვის. ჰაგიოგრაფიის მთავარმა პერსონაჟმა მაგალითი უნდა მისცეს მორწმუნე მრევლს, რაც მისი ღვანლის უმთავრეს მიზანდასახულობას გულისხმობს. ესაა აპოსტოლური მოძღვრებით გამოხატული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ წმინდანს მიმბაძველი უნდა გაუჩნდეს („კეთილ არს ბაძვაჲ კეთილისათუს მარადის“ – გალატ. 4, 18).

ქვემო ქართლის დედოფალს, წმინდა მონამე შუშანიკს, რომელიც მუდმივად თან დაატარებდა და კითხულობდა ევანგელესა და წიგნებს წმინდა მონამეთა შესახებ, სავსებით სწორად ჰქონდა გააზრებული თავისი სულიერი მისია, რეალურად განსაზღვრავდა რწმენისა და ერისადმი დამოკიდებულებას.

წმინდა შუშანიკის ხატ-სახის წარმოჩენისას, დროსივრცული თვალსაზრისით, საჭიროდ მიგვაჩნია მის გვარტომობაზე, ჩამომავლობაზე საუბარი. მამიკონიანები სომხეთის უწარჩინებულეს საგვარეულოთა რიცხვს განეკუთვნებოდნენ, ხოლო თანამდებობრივად მხედართმთავრები იყვნენ. ნ. ჯანაშიას დამონმებული აქვს სომეხი ისტორიკოსის ფავესტოს ბუზანდის ცნობა, რომ მამიკონიანები ჭენთა მეფეების ჩამომავლები იყვნენ (ჯანაშია, 55-56; 59); ნ. ადონციხისა და ნ. ჯანაშიას ვარაუდით, ჭანი//ჭენი პარალელური ფორმებია და ერთ-ერთ ქართველურ ტომს უნდა მიუთითებდეს (იქვე). ივანე ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა თხზულების სომხური თარგმანების სახელწოდებებზე, რომლებშიც ნახსენებია შუშანიკის წინაპრები. შუშანიკის მამა, ვარდან მამიკონიანი სომეხთა ცნობილი კათალიკოსის საჰაკის ქალიშვილის – საჰაკანუშის შვილიშვილი იყო. ვარდანის მამა ჰამაზას მამიკონია-

ნიც ცნობილი პიროვნება ყოფილა. ვარდან მამიკონიანი თავისი ქვეყნის ინტერესებინათვის მებრძოლი პიროვნება იყო. სპარსეთის შაჰმა იზიდგერდ მეორემ 449 წელს მას, აგრეთვე, არშუშა პიტიახშს და სხვა დიდებულებს, გამაზდენება მოსთხოვა. ისინი იძულებულნი გახდნენ შაჰის ეს მოთხოვნა აღესრულებინათ. მაგრამ 451 წელს სამშობლოში დაბრუნებულები სპარსელებს აუჯანყდნენ. ვარდანი ამ აჯანყებისას დაიღუპა, 26 მაისს. საინტერესოა „შუშანიკის წამების“ ავტორის, იაკობ ხუცესის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. მან შესანიშნავად იცის ვარდან მამიკონიანისა და არშუშა პიტიახშის გამაზდენების ამბავი, მაგრამ არსად ახსენებს, პირიქით, ვარდანი და არშუშა მისაბაძ პიროვნებებად არიან დასახულნი. ჩანს, ეს იმით იყო განპირობებული, რომ მათი გამაზდენება ოდენ მოჩვენებით ხასიათს ატარებდა, სინამდვილეში ისინი თავიანთი ერისა და ქვეყნის, აქედან გამომდინარე კი, რწმენის ერთგულნი რჩებოდნენ, რადგან ეს ის ეპოქა იყო, როდესაც მამული და რჯული ერთმანეთს გადაჯაჭვულად წარმოიდგინებოდა, რწმენის ერთგულება თავისთავად გულისხმობდა მამულის სამსახურს.

ვარდანისა და არშუშას თანამოაზრეობა ოჯახური ურთიერთობითაც იყო განმტკიცებული, არშუშა პიტიახში და ვარდანის ძმა ჰმაიკი ქვისლები იყვნენ. ვარდანისა და ჰმაიკის ომში დაღუპვის შემდეგ არშუშამ იზრუნა მათ ოჯახებზე, მათი შვილები თავისთან წაიყვანა ცურტავში და თავად ზრდიდა. ამას შუშანიკისა და ჯოჯიკის დიალოგიც ადასტურებს. „შუშანიკის წამება“ მიუთითებს, რომ შუშანიკი კარგად იცნობდა არშუშა პიტიახშის ოჯახს, მის თითოეულ წევრს. ცხადია, მან ყველაზე უკეთ იცოდა თავისი მეუღლის, ვარსქენ პიტიახშის ხასიათი, ბუნება, დამოკიდებულება რწმენისადმი, გარესამყაროსადმი. იგი ყოველთვის გრძნობდა და განიცდიდა ვარსქენის, თავისი შუგულიერი, „საწუთროული“ მეუღლის გულგრილობას ქრისტიანული სარწმუნოებისადმი, იგი თავადაც ბევრს ლოცულობდა და სხვებსაც ევედრებოდა, ელოცათ მისთვის, რათა „ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიერებასა ქრისტესსა“ (ქეგლები, I, 12). სწორედ ამიტომ სპარსეთში სამეფო კარზე წასული ვარსქენის სამშობლოში დაბრუნებისას დესპანად წარმოგზავნილ მონას ნინასწარმეტყველურად ჰკითხა: „უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვამ ეგე შენი შენდავე მოიქეცი“ (ქეგლები, I, 12). ნმ. შუშანიკ დედოფლის სიტყვების მიხედვით, ვარსქენის სივრცული არეალი სპარსულ-მაზდენურია, მისი დროითი აღქმაც სპარსულ-მაზდენურია, რადგან, იგი მაზდენური რელიგიის წესებს იცავს, მას ემორჩილება, სპარსეთში მიმოდის, მისი პოლიტიკური ინტერესების განხორციელებისათვის იბრძვის. თვით შუშანიკ დედოფალი ქრისტიანულ სივრცეში რჩება. „სულით სიცოცხლე“ ქრისტიანობის დაცვაა, „სულით სიკვდილი“ ქრისტიანობის უარყოფა და მაზდენობის მიღებაა, რჯულის ღალატია.

ამპარტავან ფეოდალს, ვარსქენ პიტიახშს, სპარსულ-მაზდენურ სივრცეში დამკვიდრებულს, განზრახული აქვს, რომ სპარსეთიდან დაბრუნებას საზეიმო ელფერი მისცეს და თანამედროვეთ მოველინოს, „ვითარცა ერთგული“. ამ ორ სიტყვაში დროსივრცულად მქლავნდება ვარსქენის პიროვნული თვისებები. იაკობ ხუცესი

არაფერს გვეუბნება ვარსკენის პოლიტიკურ ზრახვებსა და მიზანდასახულობაზე, ყურადღებას მის მიერ რწმენის უარყოფაზე ამახვილებს, მაგრამ ზემოხსენებული მრავლისმეტყველი ფრაზა უდიდეს გამომსახველობით ძალას იძენს და ვარსკენის სახეს ახალ შტრიხებს სძენს. მართალია, ავტორი ვარსკენთან შვილებისა და ქვე-შევრდომების შეხვედრის შესახებ არაფერს გვამცნობს, მაგრამ შინიდან ეკლესიაში გადასული დედოფლის საქციელს პატივმოყვარე პიტიახში უთუოდ უნდა გაელიზი-ანებინა, ვინაიდან მან შვილებიც თან წაიყვანა ტაძარში. ამიტომ, საფიქრებელია, რომ შვილები მამას არ უნდა შეგებებოდნენ, ისინი დედას ახლდნენ ეკლესიაში. აქედან გამომდინარე, წმიდა შუშანიკისა და ვარსკენის შვილების დროსივრცული არე-ალი ქრისტიანულია. მაგრამ შეძლებდნენ თუ არა მცირენლოვანი ბავშვები რწმენის დაცვასა და შენარჩუნებას? ამ საშიშროებას გრძნობდა დედოფალი და საბოლოოდ ასეც მოხდა. ნაწარმოებში წმინდანის სახის, როგორც იდეალური პერსონაჟის, წარ-მოჩენასთან ერთად დიდი ოჯახური დრამა იკითხება.

„შუშანიკის ნამებაზე“ საუბრისას ამიტომაც ხდება აუცილებელი ვარსკენზე ფიქრი, ვინაიდან შეუძლებელია მხოლოდ შუშანიკის სახის სრულყოფილად გააზრე-ბა, თუ იქვე არ იქნა ნაჩვენები ვარსკენი. შეპირისპირების მხატვრული ხერხი აღ-მოჩნდა უნიკალური, რომელმაც მკითხველს თვალწინ გადაუშალა მისაბაძი პერსო-ნაჟიც და მტარვალის ტიპიც. შევნიშნავთ, რომ ეს მხატვრული ხერხი საზოგადოდ გასდევს ლიტერატურულ ნაწარმოებებს. გავიხსენოთ, რომ ვარსკენი სპარსეთში ყოფნისას გამაზღვანდა და, ამ რელიგიის წესისამებრ, მეორე ცოლი შეირთო; გახა-რებულმა სპარსთა მეფემ მეფის ასული მიათხოვა. ეს ერთადერთი ცნობაა დაცული იაკობის თხზულებაში ვარსკენის მეორე ცოლის შესახებ, მაგრამ ფაქტი საგანგებო-დაა აღნიშნული. ეს ფაქტიც წარმოაჩენს ვარსკენის სრულ კავშირს სპარსულ-მაზ-დეანურ დროსივრცულ სამყაროსთან.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ვარსკენის ლალატს სამი მხარე აქვს: მან უღალატა ოჯახს, რწმენას და ერს. აქედან გამომდი-ნარე, მას შუშანიკის განცდათა სამი მხარე უპირისპირდება: პირადი, სარწმუნოებ-რივი და ეროვნული. ქვეტექსტებში ნათლად იკითხება, რომ შუშანიკსა და ვარსკენს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი მხოლოდ სარწმუნოებრივ საფუძველზე არ აღ-ძრულა. ვარსკენის სისასტიკე და დაუნდობლობა შუშანიკის მიმართ იმითაცაა გან-პირობებული, რომ გარეგნულად შეინარჩუნოს პიტიახშის, ანუ დიდგვაროვანი ფე-ოდალის ოჯახის ერთიანობა და მისი ცოლი „ზეპური დედის“ ფუნქციას აღასრუ-ლებდეს ოჯახში, ნაცვლად სენაკში განმარტობისა. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ნაწარმოებიდან ვერ დავიმოწმებთ ისეთ დეტალს, რომელიც ადასტურებდეს ვარსკენის მიერ წმიდა შუშანიკისაგან სარწმუნოების გამოცვლის პირდაპირ მოთხოვნას. ეგაა, ვარსკენი სპარსთა მეფეს დაჰპირდა: „რომელი იგი ბუ-ნებითი ცოლი არს და შვილი, იგინიცა ესრე მოვაქციინე შენსა სჯულსა, ვითარცა ეგე მე“ (ძეგლები, I, გვ. 12). ვარსკენი ამ დანაპირებს ვერ ასრულებს, რადგან იგი შუშანიკის უმტიციეს წინააღმდეგობას გადააწყდა და ვერა და ვერ დაიმორჩილა ოდესღაც სიყვარულით შერთული მეუღლე. „ბუნებითი ცოლი“ ვარსკენის ცხოვრე-

ბის ორ პერიოდს მიუთითებს: 1. მხოლოდ „ბუნებითი ცოლი“ რომ ჰყავს და 2. „ბუნებითი ცოლის“ გვერდით მას სპარსთა მეფის ასულიც უმშვენებს მხარს, რაც სრულიად მიუღებელი რამ არის ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის. ე. ი. ვარსკენის პირად ცხოვრებაში დროსივრცულად ორი პერიოდი გამოსაყოფი. ცხადია, ნმიდა შუშანიკი, ქრისტიანულ მოძღვრებაზე აღზრდილი, ვერ შეეგუება სჯულიერი მეუღლის გაორებულ ცხოვრებას, მას ღირსება შეუღახეს, ამიტომ მან უნდა გადადგას გადაამწყვეტი ნაბიჯი.

ჰაგიოგრაფიის მიზანია ყოველივე ამქვეყნიურზე ამაღლებული წმინდანის სახის ჩვენება, რისთვისაც აუცილებელია მისი მიმართებების წარმოსახვა უფლისადმი, ზესთასოფლური და სოფლური სამყაროსადმი, ირგვლივ მყოფთადმი. ყოველივე ამას, რასაკვირველია, თან სდევს წმინდანის სულიერი სამყაროს, პიროვნულ ღირსებათა და შესაძლებლობათა წარმოჩენა. მწერლის მიერ წარმოდგენილი წმ. შუშანიკი ძლიერი, მტკიცე, ურყევი პიროვნებაა, რომელმაც ამქვეყნიური პატივი და დიდება დათმო, ფიზიკური ტანჯვა-წამება და შეურაცხყოფა სამგზის გადაიტანა, შიმშილისაგან სიკვდილის პირას მყოფმა უმძიმეს განსაცდელს გაუძლო, უმკაცრეს ასკეტურ პირობებში ციხეში გაატარა ექვს ნელზე მეტი და აღესრულა, მისივე სიტყვების კვალობაზე, ვითარცა „უკუანასკნელი ესე მეთათრთმეტე მოქმედი ვენახისა“ (ძეგლები, I, გვ. 28).

წმ. შუშანიკი ნაწარმოების დასაწყისშივე ნეტარად და სამგზის სანატრელად მოიხსენიება; ცხადია, ეს ჰაგიოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელი ეპითეტ-განსაზღვრებებია, მაგრამ მთავარი ისაა, თუ როგორ გახდა იგი სანატრელი და ნეტარი. ნეტარი ავგუსტინეს მოძღვრებით, ნეტარი სულიერ ჭეშმარიტებას, სულიერ სიბრძნეს ჩამწვდარი ადამიანია, იგი ღვთის რჩეულია, რომელსაც ძალუძს სოფლის საზრუნავთაგან შორს დგომა და უზენაეს სიკეთესთან ზიარება, რაც მას სულიერ სიღამაზეს ანიჭებს. შუშანიკი, სამგზის სანატრელი წმინდანი, სულიერი მშვენიერებითაა შემკული. მაგრამ ეს მას შემდეგ, რაც თხზულების პირველ ნაწილში, პირველ ათ თავში გაივლის ტანჯვა-წამების, გვემის, ფიზიკური შეურაცხების მძიმე გზას. ეს გზა გოლგოთისაკენ მიმავალი მაცხოვრის გზას ჰგავს. იაკობ ზუცესი წმიდა შუშანიკს წარმოაჩენს, როგორც დედას და ქვეყნის დედოფალს, რაც მას უდიდეს მოვალეობას აკისრებს ოჯახისა და ქვეყნის წინაშე. ამ თვალსაზრისით მას მძიმე ხვედრი ხვდა წილად. თხზულების პირველ მონაკვეთში იგი ზრუნავს შვილებზე, რომლებიც ღვთის მიცემულნი არიან და რომლებსაც იმ საკურთხეველის წინ წარუდგენს ღმერთს, სადაც ისინი მოინათლნენ და ეზიარებოდნენ ქრისტეს სისხლსა და ხორცს. ეკლესია ღმერთთან დამაკავშირებელია, საკურთხეველის წინ მდგარი კონტაქტს ამყარებს ღმერთთან და სულიერ თანამოქალაქეებთან, ანუ მოყვასთან. ამით იგი შვილებს შეახსენებს, თუ როგორი მოთმინება და სიმტკიცის გამოჩენა ჰმართებთ, თუ მამისაგან რჯულის გამოცვლის საფრთხე დაემუქრებათ. ეს ეპიზოდი მოტივირებაა შემდგომში საპრობილეში მყოფი წმ. შუშანიკის რეაქციისა, როდესაც მან შვილების გამაზღვანების ამბავი შეიტყო. მან რწმენა და პიროვნული ღირსება დედობაზე მაღლა დააყენა და, მიუხედავად იმისა, რომ მძიმედ განიცადა

შვილების მიქცევა სხვა რჯულზე, მათი დროსივრცული სამყაროს შეცვლა, ამის შემდეგ მათი ნახვის სურვილი არ გასჩენია, ავტორის სიტყვით, „სახელიცა მათი სძაგდა სმენად“. წმ. შუშანიკმა წინასწარმეტყველურად იგრძნო მოსალოდნელი საფრთხე, რაც შვილებს მამისაგან ელოდათ. შვილებისათვის მისაბაძი, ზნეობრივი მაგალითი უნდა ყოფილიყო დედა, მტკიცე და ურყევი, შეუპოვარი და სულიერად ამაღლებული. თითქოს მოულოდნელია წმინდანისაგან შვილების „შეძაგება“, მაგრამ დედას მათი მიუღებელი, უღირსი საქციელის მიღება და გაზიარება არ სურს, ვინაიდან საქმე მათ სულიერ მომავალს ეხება, მათი ქრისტიანული ცნობიერების შეცვლას და გასპარსულება-გამაზღვანებას ეხება. მათი ღმრთივსულიერი სივრცე შეიცვალა, რაც წმიდა დედოფლის ქრისტიანულ ცნობიერებას ეწინააღმდეგება. თავად კი ღმერთს შესთხოვს: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვნეს-ვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვნეს. ვითარცა გნებაეს, იყავნ ნებაჲ შენი, უფალო, და მე დაბიციევ საქმეთაგან მტერისათა“ (ძეგლები, I, გვ. 23).

მწერლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შუშანიკის, როგორც ქვემო ქართლის საპიტიახშოს დედოფლის სახის წარმოჩენა, ვინაიდან იგი თავისი ერთგულებით ქრისტიანული სარწმუნოებისადმი მაგალითს აძლევს თანამემამულეებს – თანამოქალაქეებს. ვარსკენ პიტიახში მკაცრად განსჯის მის წასვლას სასახლიდან და საყვედურს უთვლის შუშანიკ დედოფალს: „რამაჲ ჴელ-ინიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ? ან მივედით და არქუთ, ვითარმედ შენ ჩემი ხატი დაამკუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსრულ ხარ“ (ძეგლები, I, გვ. 14). აქაც დრო და სივრცე იცვლება, დედოფალი ქრისტიანულ სივრცეში რჩება, პიტიახში სპარსულ-მაზდეანურს ეზიარება და იღებს. სწორედ აქ წარმოჩნდება წმიდა შუშანიკის ქრისტიანული მრწამსი, მსოფლზედვა და შეურიგებლობა სანუთროული მეუღლის ანტიქრისტიანული ქცევებისადმი. მან, ვარდან მამიკონიანის ასულმა და არშუშა პიტიახშის ოჯახის წევრმა, ძალიან კარგად იცის წინაპართა ღვანლის დაფასება ქვეყნისა და ერის წინაშე: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამკუ, ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სამარტულენი და ეკლესიანი აღაშენნა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი; მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჳსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუნენ; მან ღმერთი ცათაჲ და ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უფარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-იც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უფარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყავ. და თუ მრავალი ტანჯვაჲ მოანოი ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“ (ძეგლები, I, გვ. 15). ამ სიტყვებით გამოხატა თავისი მრწამსი წმიდა დედოფალმა. წმიდა დედოფლის სიტყვით წარმოაჩინა იაკობ ზუცესმა ურჩი შვილი, რომელიც წარსაწყმედელს მიეცა, მამა-პაპათა ღალატის გამო შეჩვენებულ იქნა. მაგრამ როდესაც მას ეპისკოპოსი აფოც, მაზლი ჯოჯიკი და მაზლის ცოლი ვედრებით აიძულებენ შინ დაბრუნებას, დედოფალმა გადანყვიტა სასახლეში მიბრუნება შემდეგი სიტყვებით: „უფალო ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკუდილდ მივალ“ (ძეგლები, I, გვ. 16). ამას იმიტომ ამბობს, რომ იგი ვერ გაიზიარებს მეუღლის საქმეს, ფიზიკურად დაბ-

რუნდება სასახლეში, მაგრამ სულიერად კვლავ ქრისტიანულ გარემოში დარჩება. მისი ღმრთივსულიერი და სათნო ბუნება ვერ შეეგუება მოლაღატე მეუღლის მახედვანურ რწმენას. ღვთის მგმობელთან რა საერთო უნდა ჰქონდეს ზემორე სიტყვათა მთქმელს, მაგრამ, ჩანს, გარეგნული ერთიანობის მოსაჩვენებლად. თუმცა შემდგომი ქმედება დედოფლისა აქარწყლებს მის ამ მოჩვენებითობას, ეინაიდან იგი „ა-რა დაჯდა თვსსა მას გალიაკსა, არამედ სენაკსა შინა მცირესა“ (იქვე). აქ შეიძლება წმიდა შუშანიკის ქცევაში წინასწარჭვრეტა მოვიხაროთ, ვინ იცის, იქნებ შეძლოს უბადრუკი და უგულისხმო მეუღლის შემობრუნება. თუმცა პურობის ეპიზოდი საბოლოოდ ადასტურებს, რომ შეუძლებელია შუშანიკისა და ვარსქენის შერიგება, მათ შორის სამუდამოდ განწყვეტილია ის კავშირი, რაც პიტიახსსა და დედოფალს, ცოლსა და ქმარს აკავშირებთ ერთმანეთთან. ნანამები, გვემული დედოფალი მეუღლისათვის სამკაულების გაგზავნას განიზრახავს, თავად პიტიახშიც ითხოვს ამას და წმ. შუშანიკ დედოფალიც ამქვეყნიური დედოფლობის სიმბოლოსაგან – სამკაულებისაგან განძარცვული წარმოდგება. მ. გიგინიშვილის დაკვირვებით, სამკაულებს იაკობ ხუცესის სახისმეტყველებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება; „გარდა იმისა, რომ იგი ნათელყოფს მწერლის შემოქმედებითი აზროვნების ფორმების მჭიდრო კავშირს ბიბლიურ სამყაროსთან, აგრძელებს გმირთა სახეების ჩამოქნას. ვარსქენის მიერ ამქვეყნიური პატივისათვის მცდელობას უპირისპირდება ამქვეყნიური პატივისაგან განმდგარი და სულიერი ღირებულებებისაკენ მიდრეკილი მონამის სულის მიმოხრა. სამკაულებით კავშირი მყარდება წამების კომპოზიციურ მონაკვეთებს შორის... ავტორის მიერ ქრისტეს სასძლოდ დასახული შუშანიკი ვარსქენს თავის „სანუთრო მეუღლეს“ უწოდებს: „უღმრთოსა მას სანუთროსა მეუღლესა“. ისიც ანგარიშგასანევია, რომ თხზულებაში შუშანიკი ვარსქენის „ბუნებით ცოლად“ იხსენიება. თითქოს ამითაც გამოკვეთს იაკობ ხუცესი იმ გარემოებას, რომ ვარსქენისათვის უცხოა სულიერი მისწრაფებანი და ამდენად – სულიერი ქორწინებაც. ამავე დროს „სამკაული“ აზრობრივად ეხმიანება ქრისტიანულ ზნეთსწავლულებაში გავრცელებულ სიმბოლოს – „საკრველს“, როგორც სულის შემბორკავ ცოდვათა მეტაფორას... ამქვეყნიური პატივის მომასწავებელ სამკაულთაგან განძარცვული და „ცოდვათა საკრველთაგან“ განთავისუფლებული შუშანიკი დაბორკილია და „ვითარცა სძალი, შემეკული საკრველთა მათგან“ (მ. გიგინიშვილი, გვ. 231-232). ამ სიმბოლიკაში ისიც უნდა დავინახოთ, რომ ძვირფასი სამკაულები, დროის პოეტისათვის გათვალისწინებით, მხოლოდ ამქვეყნიური პატივ-დიდების სიმბოლოა, ბორკილები – მარადიული სამყაროს ბინადარის სიმბოლოა, ე. ი. სამკაულებითა და ბორკილებითაც წარმოჩნდება წმ. შუშანიკის ქრისტიანული ცნობიერება და ქრისტიანული დროსიერცული სამყარო, რადგან წმ. შუშანიკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ორ პერიოდს მიუთითებს: 1. სადედოფლო სამკაულების ფლობისა; 2. მისგან განძარცვისა და ბორკილებით აღჭურვისა. ამას წარმართავს რწმენა იმისა, რომ სულიერი ქორწინება წმინდა დედოფლისა შესაძლებელია მხოლოდ ზესთასოფელში.

იაკობ ხუცესმა წმ. შუშანიკ დედოფალი თავად იხილა „ტარიგი იგი ქრისტისი შუენიერად, ვითარცა სძალი, შემკული საკრველთა მათგან“ (ძეგლები, I, გვ. 22), რაც თვით ავტორის ქრისტიანულ თვალთახედვასთან ერთად იმ უხილავ ესთეტიკურ ფენომენსაც მიუთითებს, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს „შუშანიკის წამებას“. წმ. შუშანიკი, დედოფალი არის „ტარიგი იგი ქრისტისი“, რომელიც „საკრველთა მათგან“ შემკული მშვენიერად და სძალივით წარმოდგება. მისი „შვენიერება“ მისი სულიერებაა, მისი ნათლითმოსილებაა, რომლითაც აღავსო და განამშვენა ჯერ სენაკი, სადაც მოათავსეს, და შემდეგ ციხე, სადაც ექვს ნელზე მეტი გაატარა უმძიმეს პირობებში.

წმ. შუშანიკი სულიერი დედოფალი გახდა, სულიერი დედოფლობა კი ნათელმოსილებაა, ღვთაებრივი ნათლით შემოსვლა. ეს ურთულესი გზა იყო მისი ცხოვრებისა, ვინაიდან მას საცსებით სწორად ესმის ქორწინების საიდუმლო და ამიტომ ცდილობდა სანუთოროული მეუღლის სულიერებაზე, სხვებსაც ევედრებოდა მის მოქცევას, მაგრამ „არა იყო მისგან გაგონება, არცა სმენა“. პაველ მოციქულის ეპისტოლეებში ნაქადაგები ცოლქმრული ერთგულება და სიყვარული შუშანიკის საქციელს განსაზღვრავს, მაგრამ წმიდა წერილის სწავლება ათქმევინებს: „არა დამონებულ არს ძმაჲ, გინა დაჲ, არამედ განეყენენ“. ქმარი ვალდებულია, უყვარდეს და პატივს სცემდეს ცოლს, ზრუნავდეს მასზე, არ შეურაცხყოფდეს. ქრისტიანული ზნეობისა და ქორწინების საიდუმლოს მიხედვით, ცოლ-ქმარს შორის არ უნდა ჩადგეს მესამე. კტეზიფინში მყოფმა ვარსკენმა კი „ბუნებითი ცოლის“ გვერდით სხვა ქალი შეერთო, თანაც საკუთარი სურვილით, პეროზისათვის ერთგულების დამტკიცების მიზნით: „ხოლო სანყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რაჲთამცა სათნო ეყო მეფესა“ (ძეგლები, I, გვ. 12). ეს ეპიზოდი იმის დასტურია, რომ ვარსკენმა ქორწინების საიდუმლო შეურაცხყო, შელახა. აქედან გამომდინარე, წმიდა შუშანიკი, ვითარცა წმიდა წერილისეული „ცოლი კეთილის“ განმასახიერებელი, ვარსკენს მიიჩნევს ქორწინების საიდუმლოს დამრღვევად სრულიად სამართლიანად და თავისი განდგომით, ოჯახიდან წასვლით გამოსხატავს სანუთოროული მეუღლის მიმართ პროტესტს. წმიდა შუშანიკის სულიერი დედოფლობა იმითაცაა წარმოჩენილი, რომ იგი სადედოფლო სამოსლის – ანტიოქიური პალეკარტის ქვეშ ძაძებს ატარებს I. ანტიოქიური პალეკარტის ტარება წმინდანი დედოფლის მიერ კიდევ ერთხელ მოწმობს მის ქრისტიანულ დროსივრცულ სამყაროსთან კავშირს, რადგან იგი მხოლოდ ქრისტიანული ცნობიერების ადამიანს შეუძლია ატაროს. ძაძების ტარებაც ქრისტიანულ ცნობიერებასა და დროსივრცულ გააზრებას ემყარება. ძაძები სულიერი გლოვის სიმბოლოა; ასევეა მატლების, რწყილების, ტილების უხვად დახვევა, რომლებიც მონამის ტანჯვის გამძაფრების მიზნითაა მოხმობილი. შეიძლება ამავე მიზნით საგანგებოდ გამკაცრებული ბუნების აღქმაშიც ქრისტიანული დროსივრცული ცნობიერება დავინახოთ. აგრეთვე, ქვეშაგებად ძველი გირჯაკი, სასთუმლად ალიზი, ლოცვისას მუხლთდრეკისათვის კილიკი, თვით წმიდა შუშანიკს მატლი ახვევია, ფეხები დასივებია და დაწყლულებია... ეს ყველაფერი ღვთისაგან ბოძებული სიკეთეა, რასაც აღნიშნავს კიდევ იაკობთან საუბრისას: „კეთილისა

ამისთვის სტირა, ხუცესი?" ან: „ნუ მიძიმე გიჩნ, ხუცესი“. რასაკვირველია, „კეთილი“ მარადიულობასთან ზიარებაა, წმინდან დედოფალს ყოველივე ეს სანეტაროდ და ღვთის მადლად ესახება. ეს ყველაფერი ჰაგიოგრაფიულია, წმინდანის სივრცული სამყაროა, დროის აღქმაც ჰაგიოგრაფიულია, კეთილისა და ბოროტის ბრძოლაა.

ჯოჯიკთან საუბრისას მომკვედავი წმ. შუშანიკის მიერ წარმოთქმული სიტყვები „ულმრთოსა მას სანუთროსა მეულღესა“ და იაკობის მიერ ქრისტეს შვენიერ სძლად დასახება, ჯოჯიკის მიმართვაში გამჟღავნებული მოწინება – „სძალო და მხევალო ქრისტისო“ – ერთდროულად მიუთითებს ამქვეყნიურობისა და ზესთასოფლის, მარადიულობისა და ყამიერების, სანუთროული მეულღისა და ღვთაებრივი (ზეციური) სიძის დაპირისპირებას, რითაც წმიდა შუშანიკი წარმოჩნდება მარადიულობაზე, ზესთასოფლურზე, ზეციურ სასიძოზე ორიენტირებულ წმიდა მოწამედ, რომლისთვისაც უმთავრესი ღირებულება სულიერებაა, ღვთიური ნათლით შემოსვაა. იგი სანუთროული ცხოვრების ნაცვლად მოიპოვებს სიხარულსა და ნეტარებას, წარმატებით დიდების ნაცვლად – საუკუნო დიდებას, წყალობას უფლისა. ცხადია, ყოველივე ამას ქრისტიანული დროსივრცული შემეცნება წარმართავს.

წმიდა შუშანიკი ერთხელ არჩეული გზის ერთგული რჩება სიცოცხლის ბოლომდე. იგი საკუთარ თავში ღვთის ხატს ხედავს და ატარებს. ამიტომაც ასე მოთმინებით, წონასწორობის შენარჩუნებით, კეთილმსახურებით, ქრისტიანული სიყვარულით ხვდება განსაცდელს, მზადაა ტანჯვა-წამებისათვის: „და მეცა დიდსა ღუნლსა განმზადებულ ვარ... ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისთა... უმჯობეს არს ჩემდა კელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრება და წარწყმედად სულისა ჩემისაჲ“ (ძეგლები, I, გვ. 13-14). ამიტომ აღარ გვიკვირს წმ. შუშანიკის წინააღმდეგობა ჯერ პურობაზე ნასვლისას, შემდეგ პურობისას საზრდელის მიღებაზე უარის თქმა, რასაც ვარსქენის მრისხანება და წმიდა შუშანიკის ფიზიკური ტანჯვა-წამება მოჰყვა. წმიდა შუშანიკი უკომპრომისოა სანუთროული მეულღის მიმართ, და ღვთის ნების გამოხატულებად მიიჩნევს მისგან გვემას. პურობიდან იწყება წმიდა შუშანიკის წამება, რაც სიმბოლური სახისმეტყველებით ემყარება ევანგელურ მონათხრობს საიდუმლო სერობის შესახებ. საიდუმლო სერობა იდეალურ პურობად, მონაწილეთა იდეალურ პურისმტეობად მიიჩნევა და, შესაბამისად, ამ დროს დაწესებული ექვარისტია ქრისტიანული მრწამსისა და ცხოვრების საფუძველთადასაფუძველია. წმიდა შუშანიკი ხომ, ყველა წამებულის მსგავსად, მაცხოვრის, იესო ქრისტეს მონამებრივი გზის გავლით ხდება მოწამე, იგი გაივლის სულიერი განვითარების ურთულეს გზას, რათა მიადნოს განღმრთობას. საგულისხმოა მწერლის მიერ წმიდა შუშანიკის მიერ პურობისას რძლისათვის ღვინიანი ჭიქის შეღვნა და ღვინის დაღერა, რაც საოცრად გამჭვირვალე სიმბოლიკით მიანიშნებს წმიდა შუშანიკის მოსალოდნელ წამებაზე. როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში (მ. გიგინიშვილი), ღვინის დათხვევა ერთგვარი წინასაფხურისაა იაკობის მიერ წამებული დედოფლისათვის ღვინოში დამბალი პურის მიწოდებისა, რაც, ფაქტობრივად, ზიარების მაუსყებელია. აქაც ქრისტიანული

დროსივრცული პოეტიკა იჩენს თავს. ზიარებაზე მინიშნება ახალ თვისებრიობაში გადასვლის მაუწყებელია, ე. ი. დრო ქრისტიანიზებულად წარმოჩნდება.

წმიდა შუშანიკი ერთბაშად არ ქცეულა მონამედ, თავდაპირველად ის უჩივის თავის მარტოობას, წუხს, რომ დიდი გასაჭირის გადატანა მოუწევს, მაგრამ ეს დროებითია, ვინაიდან ესმის, რომ მონამებრივი გზა თვითშემცნების ქრისტიანული გზაა, ინდივიდის, „მეს“ ქრისტეს კვალზე სვლისა და მასთან შეერთების, შერწყმის გზაა. საზოგადოდ, მონამის განცდა მოსალოდნელი წამების, გვემის, შეურაცხყოფის წინაშე ადამიანურია და იგი ჰაგიოგრაფიაში ევანგელური სახისმეტყველების კვალობაზე იჩენს თავს. სიკვდილის წინ წმიდა შუშანიკის მიერ თქმული სიტყვები ამას ადასტურებს. ჯოჯიკთან საუბრისას იგი აღნიშნავს მონამებრივი ხვედრის სიმძიმეს და ლვანლის სიდიადეს; აგრეთვე, ეს საუბარი იმასაც მოწმობს, რომ იგი ღვთისაგან მოელის განსჯას და ვარსკენისათვის შესაფერისის მიგებას: „ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო, შუენიერება სიკეთისა ჩემისა დააბნელა და დიდება ჩემი დაამდაბლა. და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის“ (ძეგლები, I, გვ. 26-27). ეს სიტყვები ადასტურებენ, რომ წმიდა შუშანიკისათვის ორი სივრცე და ორი დროა: ზესთასოფლური და სოფლური, მარადიული და ამქვეყნიური. წმიდა შუშანიკი „ნაყოფის მოსთულვისა“ და „ყუავილის დაჭნობის“, ანუ ამქვეყნიურობისა და სოფლურის, სანაცვლოდ ღვთის წყალობას, მარადიულსა და ზესთასოფლურს, მოელის. ყვავილი ბიბლიური მეტაფორა-სიმბოლოა, მისი ხანმოკლე ყვავილობა, ფურცელთა დაცვენა ამქვეყნიური დიდების ამაოებას, ნუთისოფლის წარმავლობას მიანიშნებს. თუ ვარსკენმა წმიდა შუშანიკის „ყვავილი დააჭნო“, „ნაყოფნი მოსთულნა“ და „სანთელი დაშრიტა“, ეს იმიტომ, რომ მას მხოლოდ ამქვეყნიურის ხელყოფა ძალუძს, მან დედოფალს წარსტაცა ის, რაც წარმავლობასთანაა დაკავშირებული, ვინაიდან თავად ვარსკენი წარმავლობისთვის მეზრძოლია, ამქვეყნიურ დიდებასა და სიამოვნებაზე მზრუნველია; მას, სულიერის ხელმყოფს, წმიდა შუშანიკის სულიერების წარტაცება არ ძალუძს. ნათლითმოსილი ღმრთივსულიერი დედოფალი სანუთროულზე მზრუნველი ვარსკენისათვის მიუწვდომელია. ვარსკენი ძლეულია, წმიდა შუშანიკი ღვთის ნებით მძლეა, ვინაიდან თავად ქართველთა დიდი სიყვარულისა და თანალმობის მოპოვება შეძლო, ხოლო მათთვის რწმენისა და მხნეობის მინიჭება შეძლო; ამიტომაც მიდიან მასთან ღვთისმოსიში „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“... „რომელნი-იგი გულს-მოდგინებით მონანილე ყოფილ იყვნეს შრომათა მათ სანატრელობით, ვითარცა ახოვანსა მკნესა მიჰვედრიდეს ქრისტესა“ (გვ. 27). ასევე მიდიან და ერთგულებას, თანალმობას, სიყვარულს უდასტურებენ ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები.

თანაგრძნობა წმინდა შუშანიკისადმი არაერთგზის გამოუხატავს თხზულების მრავალ პერსონაჟს. თუმცა ისიც აჩვენა მწერალმა, თუ რა წინააღმდეგობას აწყდებიან ისინი პიტიასშის მხრიდან, რომელიც თავის ირგვლივ მხოლოდ შიშს თესავს, თავისი საქციელით რიდისა და კრძალვის ნაცვლად სიძულვილს იძკის. ყოველივე ეს დროითაა განპირობებული.

თვით წმიდა შუშანიკმა თავისი ღვანლი უკნინესად მიიჩნია და საკუთარ თავს „მეთერთმეტე მოქმედი ვენაჰისა“ უწოდა.

წმიდა შუშანიკისათვის „მეთერთმეტე მოქმედად ვენახისა“ ქცევის გზაზე თვითშემეცნების საშუალებებია ფსალმუნთა გალობა, ევანგელესა და წმიდა მონა-მეთა შესახებ წიგნთა კითხვა, სასწაულთმოქმედება, მძიმე პირობებში ცხოვრება, მარადის მღვიძარება, მარხვა, უდრტვინველობა, სიხარული მოსალოდნელი ტან-ჯვის გამო („დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამე ესე“), წამებისას დაღვრილი სისხლის სულის განმწმენდად მიჩნევა („სისხლი ესე განმწმედელი არს ცოდვათა ჩემთა“), გულისხმიერება სხვათა მიმართ. წმიდა შუშანიკი სასწაულს არ ელოდება, იგი თავად ხდება ღვთის ნებითა და შემწეობით სასწაულთმოქმედი. წმიდა დედოფ-ლის ზემოთ დამონმებული სიტყვები ადასტურებენ, რომ თვით შუშანიკი ყოფს თავის ცხოვრებას ორ პერიოდად, ცოდვილთან თანაცხოვრებისა და წმინდანობის გზაზე დადგომისა, რაც საბოლოოდ წმინდანად ჩამოყალიბებით დასრულდა. წამე-ბის ღამე დროსივრცული გამყოფია ცოდვილთან თანაცხოვრებისა.

იაკობ ხუცესი თვალნათლივ წარმოსახავს ურთიერთსაპირისპირო პერსონა-ჟებს, რომლებიც განსხვავებული იდეალებით ცხოვრობენ და მიზანდასახულობაც განსხვავებული აქვთ. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომელიც ვარსკენის რეაბილიტაციას გეთავაზობს. დამამტკიცებელ საბუთად მო-აქვთ პურობის შემდგომი ეპიზოდი, როდესაც ვარსკენმა დილაბინდზე მოიკითხა წმ. შუშანიკი და თავადაც მოინახულა, როდესაც უთხრეს, ვერ გადარჩებაო. მაგრამ პიტიახშის მიერ დედოფლის მონახულებას განასრულებს მისი ბრძანება: „წუმცა ვინ შევალს ხილვად მისა“. ავტორი, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, ერთი მარ-ტივი წინადადებით გადმოსცემს მთავარ სათქმელს: „და თვით ნადირობად წარვი-და“. სხვას შეიძლება მთელი გვერდები დასჭირებოდა იმის გადმოსაცემად, რომ პიტიახში იმიტიომ კი არ ამდგარა დილაადრიან, რომ სინდისი ქენჯნიდა და დედოფ-ლის მდგომარეობა აწუხებდა, არამედ სანადიროდ მიეშურებოდა. ნადირობა კი ბრძოლის სამზადისად განიმარტება ლექსიკონებში. ავტორის პოზიცია ვარსკენის წარმოსახვისას საეცებით ნათელი და გასაგებია. მას არავინ თანაუგრძნობს, გარდა იმ სპარსი კაცისა, რომელიც, როგორც ჩანს, მზირად არის მიჩენილი სასახლეში მცხოვრებთათვის. თითქოს ოჯახის სიმტკიცეზე ფიქრობს, თითქოს წმ. შუშანიკის სიბრალულით ევედრება სპარსი კაცი ვარსკენს დედოფლის განთავისუფლებას ბორკილებისაგან, მაგრამ მისი პირველი გამოჩენისთანავეა ნათქვამი, რომ იგი იყო „ზრახვითა ვარსკენისითა და ზაკუევით იტყოდა ამას და უნდა მონადირება ნეტარი-სა მის. ხოლო წმიდამან ცნა ზაკუევითი იგი ზრახვა მისი და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ“ (ძეგლები, I, გვ. 14). წმიდა შუშანიკი დედოფლისა და ვარსკენ პიტიახშის სასახლეში სპარსი კაცი დაძრწის და მოჩვენებითი სიმშვიდის შენარჩუნებისაკენ მოუწოდებს ცალკე წმიდა შუშანიკს, ცალკე – მრისხანე და დაუნდობელ ვარსკენს. აშკარაა, ჟამი ბატონობს. სპარსი კაცის სახით იაკობ ხუცესი სპარსთა პოლიტიკის ხასიათს, მათი მხრიდან დიპლომატიურ სვლებზე ორიენტირებას გვიჩვენებს. ყვე-ლაფერი მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს, მონესრიგდეს და არა დაპირისპირებით,

მკვეთრი ქმედებით. სპარსი კაცის ყოფნა ქვემო ქართლის პიტიახშის სასახლეში დროსივრცულად სპარსულ-მაზდეანურ სივრცეს უკავშირდება.

იაკობ ხუცესი წმინდა შუშანიკსა და ვარსქენს სახე-სიმბოლოებით მკვეთრად მიჯნავს და აპირისპირებს ერთმანეთთან. ამიტომაცაა „შუშანიკის წამების“ ქრონოტოპი საყურადღებო. წმიდა შუშანიკი მთელი არსებით დროსივრცულად ქრისტიანულ სამყაროს უკავშირდება. მოკლედ რომ შევაჯამოთ, იგი ეკლესიის მახლობლად მდებარე სენაკში გადადის სასახლიდან, დიდმარხვის დღეებში კვლავ ეკლესიას მიაშურებს, ანდერძად დაიბარა, იქ დაასაფლავონ, საიდანაც პირველად გამოათრია ვარსქენ პიტიახშმა. წმიდა შუშანიკი ვარსქენმა პირველად ანამა ქრისტეს ნათლისღების დღესასწაულის შემდეგ, „თთუესა აზნისისასა, მერვესა თთუსასა და დღესა ოთხშაბათსა“, მეორედ – აღვსების მეორე დღეს, ხოლო მესამედ – ვარდობისთვის ცხრამეტს, ხოლო აღვსრულა წმიდა მონამეთა კოზმან და დამიანეს ხსენების დღეს, 17 ოქტომბერს, ე. ი. წმ. შუშანიკის დროსივრცული არეალი ქრისტიანულ წმიდა ადგილებს და კალენდარულ დღესასწაულებს მოიცავს, მის საპირისპიროდ, ვარსქენის სივრცული გარემო და დრო სპარსულთან ასოცირდება, ვარსქენი მიდის სპარსეთში, იგი ებრძვის ჰუნებს, რადგან ისინი სპარსელებს ებრძვიან, წმ. შუშანიკს ჩორში ან კარად წარგზავნიან ემუქრება, თუ მის ბრძანებას არ აასრულებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის აღინიშნა, რომ იაკობ ხუცესი კონტრასტული ფერებით წარმართავს თხრობას, რაც პერსონაჟთა განსახოვნებაში მუდავნდება. ავტორი ვარსქენის სისასტიკეს, ყვირილს, მხეცებერ ქცევას, ანუ ჟამის ბატონობას, უპირისპირებს შუშანიკის სიმშვიდეს, განონასწორებულობას, ანუ მარადიულობაზე ორიენტირებას.

„შუშანიკის წამების“ კომპოზიციურ-სიუჟეტური ხაზი წარმართულია იმგვარად, რომ ავტორი გამოარჩევს „მრავლისაგან მცირედს“, ყველაზე მნიშვნელოვანს, ყველაზე მეტყველს და მრავლისმთქმელს.

„შუშანიკის წამების“ სამეტყველო ენა სადაა, ღრმა და მეტყველი, საგსე სიმბოლურ-ალეგორიული ხატ-სახეებით. ავტორის ნარატივი – მონოლოგი და დიალოგი წარმმართველია მთელი თხზულებისა, მასში მუდავნდება პერსონაჟთა სრულყოფილი სახე; თხრობა – რიტმული, დინამიკური, ღრმა სიმბოლური აზროვნება, ევანგელური სისადავით გამორჩეული მეტყველება. ცხადია, ამგვარი ხატოვანი ენით შექმნილი ნაწარმოები ერთბაშად ვერ გაჩნდებოდა, მას უთუოდ წინ უძღოდა მდიდარი ლიტერატურული ტრადიცია, ხოლო მისი აღმქმელის დონე მაღალი კვალიფიციურობით გამორჩეული უნდა ყოფილიყო. იაკობ ხუცესი ამგვარ ტრადიციათა გამგრძელებლად გვევლინება და არა დამწყებად, ვინაიდან ქართულ სიტყვას ხელენიფებოდა მაქსიმალურად გამოევილინა რელიგიური, შემეცნებითი, ეთიკური და ესთეტიკური აზროვნება.

### ლიტერატურა

1. მ. გვიგინიშვილი, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, ჟ. „საუნჯე“, 1978. № 6.

2. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილია აბულაძის საერთო რედაქციით, თბ., 1963.

3. ლ. წერეთელი, ნ. ჯანაშია, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, თბ., 1980.

NESTAN SULAVA

REGARDING THE INTERDEPENDENCE OF DIVINE  
AND ARTIFICIAL SYSTEMS IN JACOB KHUTSESI'S  
"THE MARTYRDOM OF SHUSHANIK"

Summary

THE work of V century Georgian writer consists of two parts: 1. A complex and dynamic process of Queen Shushanik's formation as a martyr. Here the queen becomes inspired with spiritual dignity and is condemned to be blessed by the almighty God. 2. The perfection of holy-martyr is obvious. It reveals the sufferings of the queen standing at the edge of perfection. The fact that the queen of Lower Kartli usually carries and reads the Gospel (Evangel) and books on holy martyrs, is of crucial significance. She realizes her spiritual mission correctly and defines her belief and attitude towards the nation in a realistic manner. Jacob Khutsesi evidently seems to be a descendant and continuer of the old literary traditions. He is neither a beginner nor an amateur in his work, as in his creation a Georgian word is already capable of revealing a religious, scientific, ethical, and aesthetic thought in its wide scope.

## თამარ მეფის მონეტაზე გამოსახული ნიშანი და მისი სიმბოლიკა

ქართული მონეტები ადრეული შუა საუკუნეებიდან ეფუძნება ქრისტიანულ მსოფლმხედველობასა და სახელმწიფოს პოლიტიკურ იდეოლოგიას.

სიმბოლოება შუა საუკუნეების გამომსახველობითი ენაა და ერთნაირად არის განფენილი აგიოგრაფიაში, საისტორიო მწერლობაში, ზეპირსიტყვიერებაში, იკონოგრაფიასა და ნუმისმატიკაში. თითოეული ეს დარგი ერთ სარწმუნოებრივ მრწამსს განსხვავებული ფორმით გადმოსცემს.

სიმბოლიკის შესაცნობად უმთავრესია სწორედ საღვთისმეტყველო შინაარსის წვდომა.

თამარ მეფის ერთი მონეტა, რომელიც 1200 წლით თარიღდება, მარჯვნივ და მარცხნივ ასომთავრულად დაქარაგმებულია თამარისა და დავითის სახელებით. მონეტის ზურგზე არაბული წარწერაა „დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყანისა და სარწმუნოებისა, თამარი ასული გიორგისი, მესიის თაყვანისმცემელი“. მონეტის ცენტრში გამოსახული ნიშანი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში იწოდება ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნად, დღემდე „ამოუცნობ გამოსახულებად“ არის მიჩნეული (თ.ბარნაველის აზრით, ფიგურულ ნიშანში მოცემულია მონოგრამულად შერწყმული თამარისა და დავითის სახელები) („ქართული ნუმისმატიკა“, 2006:207).

ანალიზმა ცხადყო, რომ თამარ მეფის მონეტის გრაფიკული გამოსახულება იმ ძირითად საღვთისმეტყველო შინაარსს გადმოსცემს, რასაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ თხრობასა და თამარ მეფის „იამბიკოში“ ვკითხულობთ. გრაფიკული სიმბოლიკა გამომსახველობითად ეფუძნება მითოსურ აზროვნებას და „სამი სკნელის“, „ოთხი კიდის“ გააზრებას გულისხმობს.

განვიხილავთ თანამიმდევრულად სიმბოლოდქცევის გზას, მითოსური აზროვნების ქრისტიანულად გადააზრების ტრადიციას, სახელმწიფოს პოლიტიკურ იდეოლოგიას, რაც ამ სიმბოლიკით ცხადდება. სიმბოლური ნიშანი თამარ მეფის მონეტაზე კარგად გადმოსცემს „ქართლის ცხოვრების“ სარწმუნოებრივ მრწამსს და ვფიქრობთ, უმთავრესად დავით აღმაშენებლის მემკვიდრის სახისმეტყველებას ეფუძნება.

წარმოდგენილი ნაშრომი თამარ მეფის მონეტაზე გამოსახული ნიშნის სიმბოლიკის ნაკითხვის, საღვთისმეტყველო შინაარსით ახსნის პირველი ცდაა.

### *„აჩრდილსა ქუევი“*

დავით აღმაშენებლის მემკვიდრეანე განასახოვნებს ბიბლიური მეფე ნაბუქოდონოსორის ხილვას:

მეფე დავითის „აჩრდილსა ქუეშე შერებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოესეთისა და ყოჩაყეთისანი, სომხეთისა, ვრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი, ხილვისაებრ ნაბუქოდონოსორისა: ვხედვედიო იტყუს ხესა შორის ქუეყანასა სიმაღლედ ცისა მიმწდომსა და რტოთა მისთა კიდემდე ქუეყანისა, ფურცელნი მისნი შუენიერ და ნაყოფი მისი ფრიად და საზრდელი ყოველთა მის შორის, ქუეშე კერძო მისა დაიბკვდრეს მკვეცთა ქუეყანისათა და შორის რტოთა მისთა მკვდრობა-ყვეს მფრინველთა ცისათა, მისგან იზარდებოდა ყოველი ხორციელი“ („ცხოვრება“, 1992:219).

მემატიანე განასახოვნებს დანიელ ნინასწარმეტყველის ბიბლიურ ეპიზოდს (თ. 4, 9-21). მეფე ნაბუქოდონოსორმა სიზმარში იხილა ხე, რომლის ჩრდილქვეშ ყოველი მხრიდან მოდიოდნენ და საზრდობდნენ ფრინველები და ცხოველები. დანიელმა აუხსნა მეფეს სიზმარი: ეს ხე, რომელიც სიმაღლით ზეცასა სწვდება და მთელ დედამიწაზე მოჩანს, ნაყოფით ყველას ასაზრდოვებს, თავად შენ ხარ, მეფეო, განდიდებული და განმტკიცებული. შენი სიღიადე გაიზარდა და ზეცას მისწვდა, შენი ხელისუფლება დედამიწის კიდებამდე გავრცელდა.

ბიბლიურ თხრობას დავით აღმაშენებლის მემატიანე ამგვარად განმარტავს: „აჰა, სახე არა უმსგავსოა, არამედ ფრიადცა თანაშეტყუებული ჩვენის თვითმპყრობელისა და ყოვლად გამომსახველი სიტყვით საქმეთა თვალთა ჩუენთა ხილულთა, რამეთუ სიტკობებისა, სახიერებისა და სიბრძნისა მისისა ხილვად წყურიელნი კიდედ ქუეყანისადათა, შემოკრებოდეს ნინაშე მისსა“ („ცხოვრება“, 1992:219).

ეს არის, ფაქტობრივად, მემატიანის სახისმეტყველური კონცეფცია. ის გვიმონმებს, რომ ბიბლიური „სახე“ – ნაბუქოდონოსორის ხილვა მშვენიერად გადმოსცემს, ხატოვნად სრულქმნის დავით აღმაშენებლის ღვანლს, რაც ჩვენი თვალთაღებელი ვნახეთო. მემატიანისეულ თხრობაში ბიბლიურ ეპიზოდს ერთვის სახარებისეული კონცეპტი: „სიტყვა საქმიანი“ – ანუ ნათქვამი საქმით არის დადასტურებული. მემატიანის თვალსაწიერში დავით აღმაშენებელი სიმბოლურად წარმოდგება კოსმიურ ხედ, რომლის ჩრდილქვეშ შეებას პოუბენ „ერნი, ტომნი და ენანი“. მეფე სახიერებით, სიტკობით და სიბრძნით ასაზრდოვებს მათ. მის „აჩრდილსა ქუეშე“ მეფენი შემოკრებილან:

ამრიგად, დავით აღმაშენებელს მემატიანე „სიცოცხლის ხის“ ფუნქციით წარმოსახავს. ამ ბიბლიური ეპიზოდის განასახოვნებას თხრობაში თავისი ტრადიცია აქვს. ნაბუქოდონოსორის ხილვა სახისმეტყველებად არის ქცეული და დავით აღმაშენებლის მემატიანე ამ ტრადიციას ეფუძნება.

„სიცოცხლის ხის“ ფუნქციით „ეფრემ ასურის ცხოვრებაში“ ვაზი წარმოდგება და „ეფრემის სახედ“ ცხადდება:

„ვაზი აღმოხდა ენასა ზედა დიდი და აღორძინდა ფრიად და აღივსო მისგან ყოველი ქუეყანა და გამოიხუნა ტევანი ურიცხუნი და მოვიდოდეს ყოველნი ფრინველნი ცისანი და ჭამდეს ნაყოფისა მისისაგან და რავდენცა ჭამდეს, უფროისლა აღმოეცენებოდა.“ („ცხოვრება“, 1957:117).

„სიცოცხლის ხის“ მოტივი გულისხმობს მარადმწვანეობას, ფოთოლდაუცვენლობასა და ნაყოფის უღვეველობას, ანუ ღვთიურ საზრდოს.

აგიოგრაფი დანიელის ხილვას განასახიერებს თბრობაში – ენაზე ამოსული ვაზი ეფერემ ასურის ღვანლს აცხადებს. მისგან წარმოთქმული და თარგმანებული საღვთო სიტყვა კაცთათვის საზრდოდ იქცა.

სვიმეონ მესვეტე (უფროსი, ჰალაბიელი) ნაბუქოდონოსორის დარად სიზმარში იხილავს უხვნაყოფიერ ხეს:

„შუენიერი ფრიად ხედვითა და რტონი მისნი იყვნეს ვრცელ და სავსე ნაყოფითა და ფურცელი მისი სანადელ იყო სახილველად“. ხის ჩრდილქვეშ ფრინველნი და ცხოველნი ბუდობდნენ, ჭამდნენ ნაყოფს და „ნაყოფი უფროის განმრავლდებოდა“.

აგიოგრაფი განმარტავს, რომ ეს ხე განასახიერებს თავად წმიდა სვიმეონს: „ხე იყო იგი სახედ წმიდისა სვიმონისი“ (ცხოვრება და განგება, 1957:223).

ამ სახისმეტყველებას ეფუძნება „წმიდა ნინოს ცხოვრებაში“ დახატული ბაბილო-მალლარი ვაზი. საკვირველი ხე მარადმწვანეა, კეთილსურნელოვანი, ზამთარ-ზაფხულ ფურცელდაუცვენელი. თუ ისარცემული ნადირი თავს შეაფარებს მის ჩრდილქვეშ და იგემებს ნაყოფს ან თესლს, განიკურნება.

ნაბუქოდონოსორის ხილვას განასახიერებს აგიოგრაფი ასევე წმიდა ნინოს ხილვაში: „სამოთხეში“ ნაძვის ქვეშ, მოდიოდნენ ფრინველები, მდინარეში იბანებოდნენ, ბაბილოს ჭამდნენ, წმიდა ნინოს მუხლებზე სხდებოდნენ და გალობდნენ“...

აბიათარის ასული წმიდა ნინოს განუმარტავს, რომ ეს ადგილი განასახიერებს იერუსალიმსა და სამოთხეს, სადაც ყოველი მხრიდან შემოიკრიბებიან.

ამრიგად, დანიელის ხილვა სახისმეტყველებად არის ქცეული და განასახიერებს წმიდანის ღვანლს, რომელიც გარშემოიკრებს ყოველი მხრიდან მწყურვალთა და მძიერთ, ანუ ადამიანებს ასაზრდოებს ღვთიური მადლით. რტოვებაშლილი, მარადმწვანე, საჩრდილობელი ხე „სიცოცხლის ხეს“ განასახიერებს.

### **„სამი სკნელი“**

მითოსური აზროვნებით, ხე „სამ სკნელში“ მოიაზრება. ფესვებით იგი მიწისქვეშეთშია, „ქვე-სკნელს“ უკავშირდება, ხის ტანი აღმართულია „შუა-სკნელში“, წვერითა და ტოტებით „ზე-სკნელს“ სწვდება.

ხის სიმბოლიკაში გამთლიანებულია კოსმოგონიური იდეები, ასტრალური სიმბოლოები და სიცოცხლის ხის მოტივი. ხეთა უძველესი თაყვანისცემა საქართველოში, წინაქრისტიანული რელიგიური წარმოდგენები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სიღრმისეულად არის შესწავლილი. ვ.ბარდაველიძეს აღნუსხული და გაანალიზებული აქვს სიცოცხლის ხესთან დაკავშირებულ რწმენათა რთული ევოლუციური გზა („ხის კულტისათვის საქართველოში“, 1941).

გამოკვლეულია ასევე და დადგენილი, რომ საკულტო სიმღერები და ცეკვები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა დროშები, საახალწლო ჩიჩილაკი, ბატონებისათვის მისართმევი ხე და თავად დედაბოძი საცხოვრისში განასახიერებს „სიცოცხლის ხეს“ და „სამ სკნელში“ მოიაზრება (ი. სურგულაძე, 1993).

ხის გააზრებას (ნაძვი, კვიპაროსი, ალვა) ქართულ და კავკასიურ ხალხურ ორნამენტში თან ახლავს ასტრალური ნიშნები, რაც მას კოსმოგონიურ შინაარსს ანი-

ჭებს. ასტრალურ სიმბოლოებს შორის ყველაზე გავრცელებულია ბორჯღაღის გამოსახულება, რაც მზის განსახიერებაა (უვაროვი).

სიცოცხლის ხე გამოსახებოდა კერიის ჯვრებზე, ბუხრებსა და ხალხურ ნაკეთობებზე, ავეჯზე. სიცოცხლის ხის გარშემო გამოსახებიან ცხოველები და ფრინველები – ერთმანეთის პირისპირ მდგარი ლომები, კატისმსგავსი ძლიერი მხეცები, რომლებიც ნაყოფიერების ძალებთან და ადრესამინათმოქმედო კულტებთან არიან დაკავშირებული. მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებათა ძალით განმსჭვალული ეს ცხოველები და სხვა არსებები სიცოცხლის ხის ნიაღში არიან მოქცეულნი.

მატერიალური კულტურის ძეგლებზე ირმისა და ჯიხვის გამოსახულებები სიცოცხლის ხესთან რელიგიურ-კოსმოგონიურ კონტექსტში არიან მოაზრებული. ლაზური ხის ბუხრის შემკულობაში გამოსახულია ცხოველები და სიცოცხლის ხის მოტივი იკითხება (გ.ჩიტაია). სვანური ლიფანაღის მხატვრობაში დამონმებულია სიცოცხლის ხის ვერსია – „თხები ჭამენ ფიჭვს“ – ორივე მხარეს უკანა ფეხებზე შემართული ცხოველები ხის ტოტებს ეტანებიან.

ხალხურმა აზროვნებამ კარგად შემოინახა ხის კულტის უძველესი ნიშნები, სარწმუნოებრივი გადმონაშთები. სიცოცხლისა და ნაყოფიერების ეს ფორმები ფართოდ არის გავრცელებული მთელ საქართველოში: კერიაში ამოსული ხე ღვთაების გამოვლენად ცხადდება, ხატში ხე ოქროს შიბით ზეცასთან არის დაკავშირებული და ა.შ.

ზემონხობილი მსჯელობა, ვფიქრობთ, ნათელი დასტურია, რომ მითოსური აზროვნება საფუძველია და მას ახლებურად იაზრებს ბიბლიური თხრობა (ფრეზერი). კონკრეტულად, სიცოცხლის ხე – ძალის, განკურნების, განახლების, მადლის, ცხოველმყოფლობის წყაროა და უძველესი რწმენა-წარმოდგენებით არის ნასაზრდოები. ე.წ. „გენეალოგიური ხის“ გამოსახვის საზრისი სიცოცხლის ხის მოტივს გულისხმობს – „მამა შვილში ცხადდება და შვილი მამას აგრძელებს“ (გ.რობაქიძე). ნინაპართა ჯაჭვი, მემკვიდრეობითობა ხის არსით გამოიხატება და ღვთიურ კანონს ემორჩილება.

ქრისტიანობამ განმსჭვალა „სამი სკნელი“ – ჯვარი თითოეულს მოიცავს. უძველეს ქრისტიანულ ლიტერატურაში გოლგოთის „ძღვეის ჯვარი“ განხილულია როგორც ხე სიცოცხლისა, ცხოვრებისა. საქართველოში მრავალფეროვანია მასალა – აგიოგრაფიაში, იკონოგრაფიაში, ზეპირსიტყვიერებაში, ხუროთმოძღვრებაში, საისტორიო მწერლობაში და სხვადასხვა გამომსახველობითი ენით ერთსაზოგნება ცხადდება.

თავად „სეტი-ცხოველი“, „ძელი-ცხოველი“ – ხისა და ჯვრის, სიცოცხლის ხის საზრისს გულისხმობს. ჯვრით აქცენტირებულია არა სიკვდილი, არამედ სიცოცხლე, განახლება, აღდგომა. აქ საინტერესოა დავიმონმით ნ.მარის დებულება, რომლის თანახმად, ენობრივად „ხატი“ და „ჯვარი“ „ხისა“ და „ძელის“ იგივეობრივია.

სეტიცხოველის დასაველეთ ფასადზე ატოტილი ვაზი სინთეზია წმიდა ნინოს ვაზის ჯვრისა და სიცოცხლის ხისა. ვაზმა ქართულ ჩუქურთმასა და პოეტურ აზროვნებაში ყველაზე ნათლად შემოინახა „სამი სკნელის“, ჯვრისა და სიცოცხლის

ხის მთლიანობა. ის „ედემში დანერგულია“, მისი აღნაგი, მცენარეული სახეობა, ჭირ-ნახული ბუნება ყველაზე სრულად აცხადებს მაცხოვრის კაცთათვის ღვანლს. სი-ცოცხლის ხის განსახიერებად მოიაზრება ვაზის ჩუქურთმა, ვაზის ჯვარი საქარ-თველოში.

გერმანელმა მეცნიერმა ი.ფლემინგმა შეისწავლა ქართულ ხელოვნებაში სი-ცოცხლის ხის გამოსახულება და მისი მიმართება ბიზანტიურ ხელოვნებასთან. მეცნიერის დასკვნით, სიცოცხლის ხე და ჯვარი უკვე IV-V ს-ის ნიმუშებში ერთიან-დება ქართულ ხელოვნებაში.

### **„ძელი ცხოვრებისა“, დროშა და კვერთხი**

მთიელთა სალოცავებში დროშა წარმოდგენილია ხის ტარით, წვერზე ლითო-ნისჯვრიანი ბურთით ან შუბის პირით, რომელთა ქვემოთ მიმაგრებულია ზარები და ფერადი ოთხკუთხა ქსოვილის ნაჭრები. დროშას „აღვის ტანი“ ჰქვია, რაც მიუთი-თებს მის კავშირს ღვთაებათა კარზე ამოსულ მითიურ ხესთან. ცხადია, რომ მთი-ელთა დროშა „სამი სკნელის“ განზომილებაში მოიაზრება.

საყურადღებოა დავით კურაპალატის საწინამძღვრო ჯვარი (Xს) (მასთან დიდ სიახლოვეს ავლენს მთიელთა დროშა). შ.ამირანაშვილის მოსაზრებით, ჯვრის ძირ-ში წმიდა ნინო უნდა იყოს გამოსახული. ი.ფლემინგმა ეს მოსაზრება გაიზიარა და განავრცო. მეცნიერის დასკვნით, კურაპალატის საწინამძღვრო ჯვრის სახეით პროგრამაში ჩადებულია ქრისტიანობის გამარჯვების, ძლევის იდეა, რომელიც სა-თავეს საქართველოში სწორედ წმიდა ნინოს ღვანლიდან იღებს. საკვირველი ხე, რომელიც მოკვეთილ იქნა, ცხადდება ჯვარზე. ქრისტიანული ხე ცხოვრებისა, ანუ ძელი-ცხოველის გამოსახულება საწინამძღვრო ჯვარში ერის გამარჯვების იდეას გადმოსცემს.

საწინამძღვრო ჯვრების შესწავლას მიეძღვნა თ.საყვარელიძის სპეციალური გამოკვლევა. მეცნიერი ასკვნის, რომ X-XII ს-ში ძირითადად ჯვრის ერთი ტიპია ცნობილი, მსგავსი ფორმის ჯვარი სხვაგან ფართოდ არ ყოფილა გავრცელებული, მაგრამ მრავალრიცხოვანია მათი გამოსახულებანი სხვა დანიშნულების საგნებზე. მეცნიერთა მოსაზრებებს დავით კურაპალატის საწინამძღვრო ჯვართან დაკავში-რებით ქვემოთ კვლავ დავიმოწმებთ. აქ მხოლოდ დავძენთ, რომ „ძელი ცხოვრებისა“ ანუ ჯვარი, რომელსაც მეფეები ომებში თან იახლებდნენ და არსებობდა ჯვარის-მტვირთველის საგანგებო სამსახურიც, განსახიერებს ქრისტიანულ ჯვარს, მაგ-რამ მასში „სამი სკნელის“ და სიცოცხლის ფუნქციებია გამოთლიანებული.

„ძელი ცხოვრებისას“ დანიშნულება ომში მეზრძოლთა სარწმუნოებრივი გან-მტკიცება, ძლევის იდეით განმსჭვალვა, ღვთის ნების გამოხატულებაა. ბრძოლის ველზე მას იგივე ფუნქცია აკისრია, რაც „სვეტიცხოველს“ ქართული სარწმუნოებ-რივი მრწამსით და რასაც „სიცოცხლის ხის“ ცხოველმყოფლობა გულვობს.

თამარ მეფის ჯვარზე (XII-XIIIსს.), ისე როგორც ამ ეპოქის სხვადასხვა ძეგლზე, დასტურდება „სიცოცხლის ხის“ საზრისი. ი.ფლემინგის დასკვნით, ჯვრის ტანი მწვანე ზურმუხტის ქვევით არის შედგენილი და „სიცოცხლის ხის“ იდეას გულის-

ხმობს, ხოლო ნითელი – ლალი და იაგუნდი, ნაყოფს გამოხატავს, ანუ ცხოველყოფლობას გადმოსცემს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ხახულის ღვთისმშობლის კარედის ერთ-ერთ ფირფიტაზე გამოსახული ბაგრატი IV-ის ასული მარიამ (მართაყოფილი) ჯვრიანი კვერთხით (სამეფო ინსიგნია), რომელიც დედოფალს ხელთ უპყრია. კვერთხის დამაგვირგვინებელი ჯვრის ტანი მწვანე ფერისაა, ხოლო მისი განედლებული რტოები – ნითელი ფერის. ლ.ოსეფაშვილის მოსაზრებით, აქაც „ხე ცხოვრებისა“ ანუ „ძელი ცხოველის“ გამოსახულებას ვხედავთ: „ძელი ცხოვრებისა“ დაკავშირებულია სიცოცხლის ხესთან, რომელიც კოსმიური ხასიათისაა და არა ერთ ძველ ქრისტიან მწერალს აქვს ასახული (ოსეფაშვილი, 2005:41).

კვერთხი, როგორც სამეფო ინსიგნია, მეფის ხელში ღვთის ნებისადმი მსახურების გამოხატულებაა. „კვერთხის განედლება“ ბიბლიური ეპიზოდია: აარონის კვერთხი, რომელმაც ფესვები გაიდგა, ანუ ხედ გადაიქცა და მოსეს კვერთხი, რომელიც გველად იქცა, ანუ ღვთის ნება გამოვლინდა. „კვერთხის განედლება“ გულისხმობს „სიცოცხლის ხის“ გააზრებას, ცხოველყოფლობას. ამრიგად, ჯვრით დაგვირგვინებული კვერთხი ქრისტიანულად გარდასახული – „სიცოცხლის ხედ“ მოაზრებული სამეფო ატრიბუტია და განედლებული რტოებით გამოისახება. სკიპტრა-კვერთხისა საყოველთაოდ ცნობილი შუასაუკუნეობრივი მსოფლხატი „ძელი ცხოველის“ ფუნქციას გულისხმობს: ქართულ და ბიზანტიურ მონეტებზე სწორედ ამ სიმბოლიკით გამოისახება მეფეთა ხელში კვერთხი ჯვრით.

ქართული მონარქიის იდეოლოგიას კარგად გადმოსცემს „ისტორიანი და აზმა-ნი შარავანდედთანის“ თხრობა, სადაც ეს სიმბოლიკაა გამოთქმული:

„ძელი ცხოვრებისა მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა“.

ბრძოლათა აღწერილობიდან ნათლად წარმოჩნდება და „ქართლის ცხოვრების“ სარწმუნოებრივ მრწამსად ცხადდება საკრალურად დაწყვილებული სიმბოლოები – „ძელი ცხოვრებისა“, ანუ საწინამძღვრო ჯვარი, მეფეთა სკიპტრა, ანუ კვერთხი და დროშა.

ბასილი ეზოსმოდღვარი თამარის მეფედკურთხევას ამგვარად აღწერს:

„აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯვარისა და მისთანა დროშა დავითი-სი“...

დროშა „სუხანად ხმარებული“, წმიდა, საკრალური ნიეთია. მასში სიმბოლოურად მთლიანდება წინაპარ მეფეთა ღვანლი „ბაგრატიანურისა და უფროსილა გორგას-ლიანურისა“, – აღნიშნავს მემატიაწე.

თითოეული ეს საკრალურად მნიშვნელოვანი, სიმბოლოურად დატვირთული ნიეთი, საწინამძღვრო ჯვარი, კვერთხი და დროშა, ვფიქრობთ, ერთსახოვნად მოიაზრება, საკრალურ წყვილად არის წარმოდგენილი და ღვთის მადლის, მფარველობის, ძლევის სიმბოლოდ ცხადდება. მათში გამოვლიანებულია „სამი სკნელის“ მითოსური საზრისი, რაც მათ ფორმამიც არის მოაზრებული და სიცოცხლის ხის ფუნქცია აქვს მინიჭებული. მათზე მემატიაწენი კდემითა და თაყვანისცემით წერენ. ისინი სასწაულმოქმედი ძალით არიან წარმოდგენილნი და ბრძოლის ველზე აღიმართებიან

ვერტიკალით – „სამი სკნელის“ უძველესი მთლიანობის საზრისით, ნათლითმოსილ-ნი იხატებიან („მოსპეტაკობდა“) და ღვთის ნებას, მადლსა და ძალას მოაფენენ ქარ-თველთა ლაშქარს:

„იხილეთ აქაცა ძალი და ძლიერება ძელისა მის ცხოვრებისა“ („ისტორიანი და აზრანი შარავანდედთანი“).

შესაძლოა დავასკვნათ, რომ თავად მეფე განასახიერებს „ხე ცხოვრებისას; მისი კვერთხი „სიცოცხლის ხის“ ფუნქციით წარმოდგება. „ძელი ცხოველი“, ანუ სანი-ნამძღვრო ჯვარი და დროშა ასევე ცხოველმყოფელი, ღვთიური მადლის განმასახი-ერებელი საკრალური ნივთებია. ისინი მემპტიანეთა თხრობის თანახმად დანყვილე-ბულად წარმოდგებიან და ვერტიკალს, ანუ „სამ სკნელს“ განასახიერებენ, „სი-ცოცხლის ხის“ ფუნქციით იხატებიან ბრძოლის ველზე.

ტრადიციულ ყოფაში, მთიელთა საკულტო ცხოვრებაში, რომელიც შესაძლოა წარმოვიდგინოთ ქართული სამეფო იდეოლოგიის, სარწმუნოებრივი მრწამსის ხალ-ხურ ანალოგად, ყოფაში ამეტყველებულ საკრალურ მსახურებად, სწორედ ამ სიმ-ბოლურ საზრისს ვკითხულობთ. ეს გააზრება აქვს ჯვარ-ხატში დროშას, სანიამ-ძღვრო ჯვარს, კვერთხს, თავად მეფეს – ღვთიკუთხეულ შიროვნებას. თითოეუ-ლი „სამი სკნელის“ განსახიერებად არის წარმოდგენილი.

ამრიგად, მართებულია ნ.მარის მოსაზრება, რომლის თანახმად, ყოველი საგანი ქართულ ტრადიციულ აზროვნებაში კოსმოსთან მიმართებაშია განსახილველი და უნ-და მივიჩნიოთ ერთი მთლიანი სამყაროს ნაწილად. თვით სამყარო კი დაყოფილია სამ ნაწილად – ზედა (ცა), ქვედა (მიწა) და ქვესკნელი (ზღვა), სამყაროებად (მარი, 1930:75).

### „ოთხი კიდე“

საქართველოში, მსგავსად ძველი მსოფლიოს ხალხთა მითოსისა, ცა და ქვეყანა ოთხკუთხონად იყო წარმოდგენილი. მხარეთა აღმნიშვნელი ტერმინებიც ამას ადასტურებს – აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი. ეს ოთხი მხარე, ანუ „ოთხი კიდე“ ცაზე მზის მდებარეობას აღნიშნავს. მზის აღმოსავალია – აღმოსავლეთი, დასავალი – დასავლეთი. ძველი ხალხების რწმენით, მზე ცაზე მოგ-ზაურობს აღმოსავლეთიდან სამხრეთის გავლით დასავლეთისაკენ, ღამე ჩადის და ისვენებს მინისქვეშეთში (ქვე-სკნელში), საიდანაც დილით ხელახლა ამოდის. „ოთხი მხრიდან“ ქართული თვალთახედვით, სამი მზიანი მხარეა, ხოლო მეოთხე – უმზეო, ჩრდილისა. მზის ოთხი მდგომარეობა „ოთხი კიდე“ ორიენტირთა ის სისტემაა, რო-მელიც განსაზღვრავს საკოორდინაციო ჯვრის ბოლოების მიმართულებას. ოთხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომპოზიციაში და სამყაროს „ოთხი მხარის“, ანუ „ოთხი კიდის“ აღმნიშვნელია.

ჯვრის გამოსახულება – ვესატიკა ქრისტიანობამდელ ხანაში, ძველ სამყაროში არსებობდა და ძირითადად „ოთხი კიდის“ აღმნიშვნელი ფუნქცია ჰქონდა. ტოლ-მკლავა ჯვარი ქრისტიანობამდელი სამყაროს კუთვნილებაა, ხოლო ქრისტიანულ ხანაში ახალი ელფერი შეიძინა – კვადრიფოლიუმის სახით შეერწყა წრეს, რომელიც მარადიულობის, მუდმივობის, უნივერსუმის მოდელს წარმოადგენს.

„ოთხის“ საზრისი განუზომლად მრავალფეროვანია. იგი განმარტებულია, როგორც მსოფლიო რიცხვი – მახარებელთა რაოდენობა სიმბოლურად „ოთხის“ სემანტიკას ემთხვევა, ოთხი ქარი, ოთხი წელიწადის დრო, ოთხი სამოთხის მდინარე. ჯვარს ოთხი მკლავი აქვს, კვადრატს ოთხი კუთხე, არქიტექტურაში ტაძრის გუმბათი ოთხ სვეტს ეყრდნობა და ა.შ.

ქართული აზროვნება ერთობ მდიდარია „ოთხის“ სიმბოლიკით. თავად „სამოთხის“ სახელწოდებაში გაცხადებულია „სამისა“ და ოთხის“ საზრისი. ზღაპრული გზაჯვარედინი „ოთხი მხარის“ გადაკვეთის აღმნიშვნელი, სამყაროს შუაცენტრია. „ოთხი კიდე“ დასაზღვრულ სივრცეს, სამყაროს „ოთხ მხარეს“ აღნიშნავს, უ-კიდეგანო – დაუსაზღვრელობას. თვით ადამიანი წარმოდგენილია ჯვრის ფორმით: კიდურები – ხელები – და ფეხები „ოთხი კიდის“ აღმნიშვნელია. ქრისტიანულ ხანაში გაღრმავდა და მითოსურ პერიოდშიც ხელებაპყრობილი ადამიანი – ლოცვას გადმოსცემს. ხშირია „ოთხის“ გააზრება ქართულ გვარებსა და ეტიმოლოგიაში (ეკლესია – ოთხთა, გვარები – ოთხეანი, ოთხმეზური. . .).

გადახრილი ჯვარი X – „ოთხი კიდის“ აღმნიშვნელი, გამოსახებოდა დედაბოძზე, კერამიკულ ჭურჭელზე (ანტიკურ ხანაში) ფარსა და კერიის ქვებზე.

ამგვარი ჯვარი, სვასტიკა კარგად არის შესწავლილი წინაქრისტიანულ და ქრისტიანულ ხელოვნებაში ევროპელ მეცნიერთაგან და ძირითადად მიჩნეულია მზის, ცეცხლის ან ქარის გამოსახულებად.

ეგზეგეტიკა მრავალსახოვნად განმარტავს: ბიბლიური კიდობანი „ძელთაგან ოთხედლებათა“ (დაბად. 6.14), ოთხ ბეჭედს – „ოთხად ბეჭდად ოქროსად და ოთხთა კიდეთა ზედა ორნი ბეჭედნი ერთსა კიდესა ზედა და ორნი ბეჭედნი სხუასა კიდესა ზედა“ (გამოსვ. 25012), ოთხ სახარებას – „ოთხნი სახარებანი არიან, ვინაითგან ოთხნი არიან სულნი საყოველთაონი, ოთხსახეთა ცხოველთაებრ, რომელთა შორის მჯდომარე არს ყოველთა ღმერთი“ (წმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი, 2002:170), სამოთხის მსგავსად სამისა და ოთხის მთლიანობას გულისხმობს ჯვარცმის შემდგომ მაცხოვრის სამოსის დანაწილება – ოთხად გაყვეს მოსასხამი მაცხოვრისა და დანაწილეს, რაც „ოთხ კიდეზე“ ქრისტიანობის მოფენას აღნიშნავს, ხოლო კვართი განუყოფელია, ლვითური ბუნების განსახიერება, სამება-ერთარსების გამოხატულება. „ოთხი კიდე“ წარმოდგება თავისი სიმბოლიკით იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადებაში“:

„და შემდგომად ამისა ვიხილენ ღმრთნი ანგელოზნი, მდგომარენი ღმრთა კიდეთა ქუეყანისათა და ეპყრნეს ღმრთნი იგი ქარნი ქუეყნისანი“ . . . (იოანე, თ. 7,1).

ამრიგად „ოთხი კიდის“ მითოსური საზრისი ქრისტიანულად არის გადაზრებულ-ლი. ი.სურგულაძეს შესწავლილი აქვს დედაბოძის ორნამენტული გამოსახულებანი, რომელშიც „ოთხი კიდის“ სიმბოლურ ნიშანს, გადახრილ ჯვარს ცენტრალური ადგილი უკავია. მეცნიერის დასკვნით, იგი ლოკალური ნიშანია და კონკრეტულ-სივრცობრივ პუნქტს აღნიშნავს“ (სურგულაძე, 1994:80).

ს.მაკალათიას მიერ აღწერილ მთიულურ სკამ-ლოგინზე, დედაბოძზე გამოსახულია ამგვარი გადახრილი ჯვრები, სამყაროს „ოთხი კიდის“ აღმნიშვნელი, შუაცენტრის ნიშანი.

საინტერესოა გავიხსენოთ, რომ ეს გადახრილი ჯვარი წმ. ანდრია პირველნოდებულის ჯვრად იწოდება.

ქრისტიანული ჯვარი აერთიანებს „სამ სკნელსა“ და „ოთხ კიდეს“. მაცხოვრის თქმით, მოციქულებმა „ოთხ კიდეს“ უნდა მოჰფინონ ქრისტიანობის ქადაგება. მთავარანგელოზთა იკონოგრაფია გულისხმობს სფეროს, მთელ სამყაროს, რომელსაც ჯვარი ადგას, სფეროს ჰკვეთს ხშირად გადახრილი ჯვრის გამოსახულება – ⊗, და ჯვარი ადგას ⊕, ასევე კვერთხი, ჯვრის ნიშნით. ქრისტეს აღდგომის, „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის“ იკონოგრაფია მაცხოვრის ფერხთით ამ ნიშანს გამოსახავს, ანუ ამ სიმბოლურ ნიშანს შენარჩუნებული აქვს „ოთხი კიდის“ მნიშვნელობა და სამყაროს ხილულ ნაწილს, ჰორიზონტს აღნიშნავს. ამრიგად, ჯვარი, მაცხოვრის ჯვარცმის გამოსახულებით, „სამი სკნელისა“ და „ოთხი კიდის“, ვერტიკალისა და ჰორიზონტის გამთლიანებაა. მათგან ზე-სკნელი – ლეთიური სამყოფი და ქვე-სკნელი – ჯოჯოხეთი – კაცთა თვალისათვის უხილავი სამყაროებია, ხოლო ჰორიზონტი, „ოთხი კიდე“ განმსჭვალულია მაცხოვრის აღდგომის ძალით.

ცნობილია, რომ ოთხწვერიანი, რკალურგვერდებიანი ნიშანი ✨ აღმოცენდა ოთხი მხარის შესახებ არსებული წარმოდგენებიდან და ჯვრის ნაირსახეობას წარმოადგენს. ეს სიმბოლო უძველეს დროშივე გავრცელდა დიდ ტერიტორიაზე და დამკვიდრდა სხვადასხვა ეთნოკულტურული ჯგუფების ხელოვნებაში, განსაკუთრებით კერამიკის მხატვრობაში. იგი დაკავშირებულია ციურ სამყაროსთან და „ოთხი მხარის“ იდეას არასოდეს სცილდება.

ამ რკალურგვერდებიან ნიშანს, მის ფორმას უახლოვდება „ლომისის ხატი“, იგი (ს.მაკალათიას მიხედვით) რკალურგვერდებიანი ოთხწვერიანი ფიგურაა, რომლის თითოეული წვერო ბოლოვდება ბურთულით და მაღალ ტარზეა დამაგრებული, თავისი ფორმით ძალიან ჰგავს დავით კურაპალატის საწინამძღვრო ჯვარს ✨.

მართებულად მიგვაჩნია და ვეთანხმებით ი.სურგულაძის მოსაზრებას, რომლის თანახმად: „დავით კურაპალატის საწინამძღვრო ჯვრისათვის გამოყენებულია ტრადიციულად არსებული საკრალური ნივთის ფორმა, რომელიც დიდი პატივისცემისა და ყურადღების საგანი იყო“ (სურგულაძე, 1994:77).

თვალსაჩინოა, რომ ქართული საწინამძღვრო ჯვრის გამოსახულებებში „სამი სკნელის“, „ოთხი კიდისა“ და „სიცოცხლის ხის“ საზრისი მთლიანდება, მის ფორმაშიც უძველესი, ქრისტიანობამდელი საზრისი გამოსჭვივის, ცხადია, რომ ის წარმოადგენს ძველისა და ქრისტიანულის შერწყმას. საგულისხმოა, რომ ქართულ ტრადიციულ ყოფაში ეს მრავალსახოვნება, გარდასახვის საფეხურებრივობა მოჩანს.

მაგ.: ხევსურული ფარი და „გუმბათის ხატი“ კარგად გადმოსცემს უძველესი სიმბოლიკის ხსოვნას; ქრისტიანულად გადააზრების პროცესს: წრეები, რომბები, სამკუთხედები, „ოთხი მხარის“ ნიშანი, გადახრილი ჯვარი, რომლითაც შემკულია ხევსურული ფარი. „გუმბათის ხატი“ ჰქვია ოთხკუთხა რკინის ფირფიტას, რომელიც ხევსურული ფარის გარეთ არის გამოსახული. ფიგურას ნაგრძელელებული ბოლოები აქვს და ჯვრის ასოციაციას ქმნის (კ. ჩოლოყაშვილი, 1978:3).

ი. სურგულაძის დასკვნით, „გუმბათის ხატი“ წმინდა გამოსახულებად მიაჩნდათ, „ხატი“ უწოდეს, რაც ხევსურთათვის „ჯვრის“ ტოლფასი ცნებაა და ღვთაებას აღნიშნავს“ (სურგულაძე, 1994:73).

აქვე დავიმონუმებთ „ხელთუქმნელ ხატს“ – მანდილზე, ოთკუთხა ნაჭერზე, ჯვრის ფონზე მაცხოვრის სახეა გამოსახული, ანუ გამთლიანებულია „ოთხი კიდე“, „სამი სკნელი“, ჯვარი – „ხელთუქმნელი ხატი“ ყოველივეს ამთლიანებს.

საინტერესოა ხევსურული ტანსაცმლის ორნამენტში, ქართული შესამოსლის სიმბოლიკაში ჩართული ოთხი კიდის აღმნიშვნელი ნიშნების X, ჯვრების, ოთხკუთხედების და ა.შ. საზრისი, მეფე ხალხურ პოეზიაში წარმოდგება გვირგვინით, რომელსაც „ოთხკუთხივ ჯვარი სწერია“ და ა.შ.

აღვნიშნავთ, რომ ეს სიმბოლური ნიშანი, „ოთხი კიდის“ გამოსახულება – X უთუოდ იყო, „სამი სკნელის“ საზრისთან ერთად, ქრისტიანობამდელი ქართული ანბანური სისტემის უმთავრესი ლერძი. ბერძნულ და ლათინურენოვან სამყაროში ეს ნიშანი გადაიქცა ქრისტეს აღმნიშვნელად „X – ხრისტოს“, ხოლო ვერტიკალი | – იესუ. ქართულ ასომთავრულ და მხედრულ დამწერლობაში ეს ნიშანი ჯ –ჯვარს ეთანადება, ისე, როგორც ჯვარი † – ქრისტეს აღმნიშვნელი ასო-ბგერა. საფიქრებელია, რომ ქართული დამწერლობა, რომელიც უდავოდ ქრისტიანობამდელ ხანაში არსებობდა, ძირითადად „სამი სკნელისა“ და „ოთხი კიდის“ გრაფიკულ გამოსახულებებს ეფუძნებოდა და მნიშვნელოვანი ცვლილება ქრისტიანობის პერიოდში განიცადა. იმის თვალსაჩინოება, რომ „ოთხი კიდის“ აღმნიშვნელი ნიშანი ქრისტიანულ ჯვარს შეერწყა, სწორედ განედლებული ჯვრის გამოსახულებათა, – ჯვრის ოთხივე კიდე სუბაცენტრიდან ფოთლოვანი ნიშული, ყვავილები, ფოთლები გასდევს, რაც ჯვრის „სიცოცხლის ხედ“ მოაზრებას გულისხმობს, ხოლო ფორმით „ოთხი კიდის“ გამოსახულებას ინარჩუნებს. ამის ნათელი მაგალითია ქართულ ხუროთმოძღვრულ მქანდაკებლობაში „განედლებული ჯვრის“ ხშირი გამოსახვა ცარგვალის მიმანიშნებელი დავვირგვინებით, მას სამოთხის „ხე ცხოვრებისას“ ფუნქცია აქვს და უმთავრესად კარიბჭესთან ახლოს გამოისახებოდა (ვ.ჯობაძე, 2007: 125).

ამრიგად, ქრისტიანული ჯვარი „სიცოცხლის ხის“, „სამი სკნელისა“ და „ოთხი კიდის“ მთლიანობას გულისხმობს და ღვთიური მადლის, ძალის, სიცოცხლის მომფენია „ოთხი მხარის“ მიმართულებით. იგივე იკითხება ქართული დამწერლობის სისტემაში. ასო-ბგერათა „კვადრატში განლაგება“, ვფიქრობთ, ძირითადად „ოთხი კიდის“ მიმართებას თანხვედება, რაც სიმბოლურად ქართული დამწერლობის, ცხოველმყოფლობის დასტურია (მაჭავარიანი, 1989:20).

ძირითადად ამ სიმბოლიკას გულისხმობს „ოთხი კიდის“ საზრისი.

მრავალსახოვანია „ქართლის ცხოვრებაში“ „სამი სკნელისა“ და „ოთხი კიდის“ გააზრება.

განვიხილოთ თამარ მეფის მემკვიდრის თხრობა.

## „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს თხრობა სიმბოლურად დატივირებულია. როგორც კ.კეკელიძე აღნიშნავს, მისი „მაღალფარდოვანი, მოქარგულ-მოგვირისტიებული, მხატვრულ-პოეტური ენა რიტორული განვითარების უმაღლეს დონეზე დგას“ (კეკელიძე, 1938:135). თამარის სამეფო წარმოდგენილია „სამოთხედ“, სახისმეტყველურად მდიდარია „ოთხის საზრისი“.

თამარის დედის გარდაცვალების თხრობა: მეფეს გეგუთში აუწყეს ეს მოულოდნელი უბედურება. დედისგან „უმშობლოქმნილ“ ასულს მამა ცრემლებით შეეგება. თამარისა და მამის ცრემლთაგანა სამოთხის მდინარის ოთხ ნაკადთან არის შედარებული. „ნაკადნი ცრემლთანი ოთხთავე თვალთაგან, ერთურთს მოხუევესა შინა მსგავსად სამოთხისა მომცინარეობდეს, სახედ გეონისა“ („კეკელიძე“, 1941:70).

„ვეფხისტყაოსნის“ დარი მაღალპოეტური აზროვნებაა.

ბრძოლაში გამარჯვებულნი წარდგნენ თამარ მეფის წინაშე. მემატთანე მეფეს „ოთხი კიდის“ სიმბოლიკით წარმოსახავს:

„წინაშე მეფისა და დედოფლისა ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა“ (კეკელიძე, 1941:84).

„სუეუბედური“ რუსის „ექსორიაქმნა“ ანალოგიურია ხაკან-სკვითის ქმედებისა და სამოთხიდან გაძევებად არის წარმოსახული:

„ექსორიაქმნა პირველი იგი კაცი სამოთხით, ვითარ ესე ან, ხილულისა ამის სამოთხისა და უბრწყინვალესისა ედემისაგან შეუმზადებია ექსორია-ქმნა მისი, რომელი მისვე ძუელისა ხაკან-სკვითისა შემსგავსებულად მისდგომია აქაცა. მუნ თუ იგი მოადგა დედოფალსა ქალაქთასა, აქა ესე დედოფალსა დედოფალთასა და მეფესა მეფეთასა“ (კეკელიძე, 1941:85).

აქ აუცილებელია განვსაზღვროთ, რომ სარწმუნოებრივი საზრისის გარეშე საისტორიო მეცნიერებაში მეფეთა ტიტულატურა და მათი წარმოდგენა თხრობაში „ოთხი კიდით“ – „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა“ უმეტესად დიდმპყრობელური, იმპერიული სულისკვეთებით განიხილება, ანდა მკვდარ, ფეოდალურ ფორმულირებად მიიჩნევა. რეალურად კი „ოთხი კიდის“ საზრისით მეფის წარმოდგენა, „ოთხი მხარის“ ტიტულატურაში ასახვა, გულისხმობს არა მეფის ნადილს მსოფლიო ბატონობისა, „ოთხი კიდის“ ფლობისა, რაც თავისთავად შეუძლებელია, არამედ საისტორიო მწერლობაშიც იმავეს აღნიშნავს, რასაც ტრადიციულ აზროვნებაში – ლოკალურ ნიშანს, კონკრეტულ-სივრცობრივ არეალს, ამ შემთხვევაში საქართველოს, მოქცეულს „ოთხი კიდის“ რეალურ-ისტორიულ ცენტრში, თავისი დასაზღვრული ადგილმდებარეობით. ასევე აღინიშნება შუა საუკუნეებში ქრისტიანულ და არაქრისტიანულ სამყაროში თითოეული მეფის ადგილსამყოფი და სამყარო „ოთხი კიდით“. ამ შუასაუკუნეობრივ მოდელს ითვალისწინებს მემატთანე თხრობაში. ასევე სიმბოლურია და შეუძლებელია ფანტაზიად, ანდა გადაჭარბებად გავიზოროთ ედემად საქართველოს დასახვა. ესეც ტრადიციაა, შუასაუკუნეობრივი მოდელი, და გულისხმობს, რომ ქვეყანა მიმსგავსებულია

ღეთისაგან ადამიანისათვის შექმნილ და დასაზღვრულ მიწიერ სამყოფს. ედემად და სამოთხედ ქვეყანას გარდაქმნის „ღეთის ხატი“ მეფე. პირობითია და სიმბოლური ქვეყნის სამოთხედ დასახვა. კონკრეტული საზღვრები და „შუამფლობელობას“, „ოთხ კიდეს“ შორის მდებარეობას აღნიშნავს: „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა“.

უფრო საგულისხმოა მემატინის შემდეგი განსაზღვრა:

„გახდა შიში და ზარი და სახედ ოთხ-ბუნებათა და ოთხკუთხებათა სოფლისა ანგელოზობისაჲ, აღმოსავლეთით დასავლეთამდე, ჩრდილოეთით სამხრეთამდე“ (კეკელიძე, 1941:103).

„ოთხკუთხება“ – ქვეყნის ოთხ მხარეს აღნიშნავს, ხოლო „ოთხ-ბუნება“ თამარ მეფის ანგელოზებრივობას. ოთხი სტიქია – წყალი, ცეცხლი, მინა და ჰაერი, რომლისგანაც შედგება სამყარო და თვით ადამიანის სხეული, მეფეს დაუძლევია, ანგელოზებრივი სხეული შეუშოხავს. მიწიერ მყოფობაში ეს სასწაულს უდრის, „შიშს და ზარს“ იწვევს.

და ბოლოს „ოთხი კიდე“ თავად თამარ მეფის იამბიკოში:

„მე თამარ, მინაჲ შენი და მიერივეჲ,

ცხებულობასა ღირსმყავ და თუსობასა,

ედემს, ღადირთად, სამხრით და ჩრდილოით

შუამფლობელი, იავარს შენდა ვერთუმელოზ“ (ისტ. აზმ. 1941:109).

ედემი – აღმოსავლეთის აღმნიშვნელია, უკიდურესი დასავლეთი მხარე – ღადირი, სამხრეთი და ჩრდილოეთი. „შუამფლობელი“ – სწორედ „ოთხი კიდის“ შუაგულად გიღს, კონკრეტულად საქართველოს აღნიშნავს. ნ.სულავა განმარტავს:

„თამარი ღეთისმშობელს მაღლიერებით ევედრება, რომ იგი ღირსი გახადოს მისი ნათესაობისა („მიერივე“, „თუსობასა“). იგი, შუამფლობელი ყველა მხარისა, ხალიფას „ნატყუნავ“ დროშას მიართმევს, უძღვნის ხახულის ღეთისმშობლის ხატს თავისი დიდი წინაპრის – დავით აღმაშენებლის მსგავსად, რომელმაც ძვირფასი მანიაკი მიართვა დიდგორის ომში გამარჯვებისთანავე ხატს“ (სულავა, 2003:94).

ეს სიმბოლიკაა გაცხადებული სახისმეტყველებაში „სამებისა თანა ოთხად თანა-აღზევებული“. იგი არ გულისხმობს ჰიპოსტასურ სამებას, არამედ ნაბუქოდონოსორ მეფის ხილვას – „სამი ყრმა ცეცხლში“, „მეოთხემ“ დაიფარა (ამაზე ცალკე წერილში ვრცლად ვმსჯელობდით – წერეთელი, 2006).

„ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანის“ თხრობა სიმბოლურად მრავალსახოვნად განსაზღვრავს „ოთხისა“ და „სამის“ თანაარსებობას.

ვფიქრობთ, სწორედ ეს სიმბოლიკაა ასახული თამარ მეფის მონეტაზე.

### **გრაფიკული გამოსახულება თამარ მეფის მონეტაზე**

თამარ მეფის მონეტაზე გრაფიკული გამოსახულება რამდენიმე ელემენტის გაერთიანებას წარმოადგენს და სამეფო იდეოლოგიას გადმოსცემს.

ცენტრში გამოსახულია გადახრილი ჯვარი, ანუ „ოთხი კიდის“ აღმნიშვნელი ნიშანი -X, რაც „შუამფლობელობას“, ანუ კონკრეტულად გიღს – საქართველოს აღ-

ნიშნავს, მოქცეულს „აღმოსავლეთ – დასავლეთ – ჩრდილოეთ – სამხრეთს“ შორის. ეს ნიშანი ჰორიზონტის, ხილული მხარის აღმნიშვნელია.

„ოთხი კიდე“ რომ კონკრეტულ ხილულ მხარეს გულისხმობს, ადასტურებს დასაზღვრა: „ოთხი მხარის“ აღმნიშვნელი ნიშანი ზემოთ თაღისებრი, ცარგვალის მიმანიშნებელი დაგვირგვინებით, ნახევარწრით არის შემოხაზული X. ნახევარწრის ზემოთ, ცარგვალის ზედა მხარეს სამკუთხედი გამოსახული – „ზესკენლის“, უხილავი სამყაროს, ღვთიური საუფლოს აღმნიშვნელი. სამკუთხედის წვერი ზესწრაფვის მიმართულებას ქმნის – Δ.

„ოთხი კიდე“ ქვემოთ დასაზღვრულია მონაკვეთით, ხაზით, რომელიც „ქვესკენელს“ გამიჯნავს.

† ამ ღერძს არის დაყრდნობილი მთელი გამოსახულება.

სამკუთხედით ღვთიური არსის გამოსახვა ზოგადქრისტიანული მოვლენაა, რაც ბიბლიურ სიმბოლიკას ეფუძვნება. „დავითის ვარსკვლავი“ (რომელიც ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებსა და ფრესკებზე ხშირად გამოისახება, რაც ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისგან ჩამომავლობას აცხადებს) ორი სამკუთხედის თანხვედრით იქმნება. განმარტებულია, რომ სამკუთხედი წვერით ზემოთ Δ აღნიშნავს ადამიანის ღვთისკენ მიმართებას, ზესწრაფვას, ხოლო სამკუთხედი წვერით ქვემოთ – ღვთის მიმართებას ადამიანისადმი – ∇, „დავითის ვარსკვლავი“ გულისხმობს ღვთის ნებისა და ადამიანის ნების გამთლიანებას, რაც ჰარმონიას ქმნის ✠ – დავითის ვარსკვლავი გამოსახულია მაგ. ტბეთის (Xს) ტაძრის საძირკველთან, გარეთა მხარეს. დავითის ვარსკვლავის შუაში ჩასმულია ჯვრის ფორმის ოთხფოთლოვანი შროშანის ყვავილი. ნ. სულავა ამ გამოსახულებას უკავშირებს ღვთისმშობლის დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობას, ძველი და ახალი აღთქმის ერთიანობასა და ბაგრატიონთა ბიბლიურ ჩამომავლობას (სულავა, 2003:48).

თამარის მონეტის გრაფიკული გამოსახულება ცხადყოფს ბიზანტიის სახელმწიფო სიმბოლიკის სიღრმისეულ ცოდნასა და გათვალისწინებას, მედიევალური აზროვნების უმაღლეს დონეს საქართველოში.

თამარის მონეტაზე ღვთის სიმბოლოდ აღებულია Δ – ადამიანის მიმართება ღვთისაკენ. მითოსურ აზროვნებაში ამ სიმბოლოს თავისი ფუნქცია და დატირთვა ჰქონდა. ისრისპირის, მახვილისა და შუბის წანვეტებული ბოლოები სამკუთხედით აღინიშნებოდა, სამკუთხედები გამოისახებოდა ორნამენტში და ა. შ.

გრაფიკული გამოსახულების სიმბოლიკას შენარჩუნებული აქვს ვერტიკალის მითოსური საზრისი – „სიცოცხლის ხის“ ღერძი ზემოთ მახვილის მნიშვნელობას იძენს, ანუ „უსჯულო“ გარესამყაროს მიემართება, ცხადდება ძღვევის ძალად ღვთის შემწეობით. ისლამურ გარემოცვას, არაქრისტიანულ სივრცეს, რომელსაც მიემართება ეს მახვილი თავის სიმბოლიკასა და ტიტულატურაში ასევე ხაზგასმული ჰქონდა, ყურანშიც ჩანერილია, რომ „ალაჰს ეკუთვნის აღმოსავლეთი და დასავლეთი“.

ფაქტობრივად, მეფე თამარის მონეტის ეს გამოსახულება უნდა მოვიაზროთ სახელმწიფო იდეოლოგიის გაცხადებად, არაქრისტიანული სამყაროსადმი ზედა-

მართულ სარწმუნოებრივ ფარად. ამრიგად, ამ ნიშნის გამოყენება სასაზღვრო ფუნქციით ბუნებრივია.

ეს გრაფიკული გამოსახულება ზუსტად ეთანადება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ თხრობას, „ოთხება“ მონეტაზე „ოთხი კიდის“ აღმნიშვნელი ნიშანია, ხოლო „სამება“ – სამკუთხედის გამოსახულება. სამკუთხედით გრაფიკულად ცეცხლი გამოისახებოდა, ანუ „სამებისა თანა ოთხად თანაღზევებული“ განასახოვნებს, „სამ ყრმაზე“, იმავე მინიერ ამქვეყნიურ რეალობაზე (ნაბუქოდონოსორის ხილვაში „სამი ყრმა“) „ოთხბუნებით“, ანუ ანგელოზებრივი სხეულით აღმატებულ თამარ მეფეს. ის ოთხ სტიქიონს – ცეცხლს, მინას, ჰაერს და წყალს სძლევს და როგორც „სამი ყრმა“ ცეცხლში დაიცვა რწმენის ძალით ღმერთმა, ისე თამარი, დავით წინასწარმეტყველის „ოთხმოცდამეერთე“ შვილი და მაცხოვრის ნათესავი, აღმატებულია ადამიანურ სხეულზე.

ამრიგად, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ თხრობა, თამარ მეფის „იამბიკო“, თამარ მეფის მონეტა ერთ საღვთისმეტყველო შინაარსს გადმოსცემს და სიმბოლურ-გამომსახველობითად ერთსახოვანია, შუასაუკუნეობრივი აზროვნების სიმბოლიკის ცოდნას ეფუძვნება და ქართული სამეფო იდეოლოგიის გამომხატველია.

\* (სტატიაზე მუშაობის დროს ნუმიზმატიკის დარგში თანადგომისთვის მადლობას ეუხებით ბატონ კახაბერ თოდუას)

## ლიტერატურა

1. ცხორებამ მეფეთ-მეფისა დაეითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *მ. შანიძემ*, თბ., 1992.
2. ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკლევათ, საქ. მეცნ. აკად. 1941.
3. *ლ. მენაბდე*, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II, თბ., 1980.
4. *ე. ბარდაველიძე*, „ხის კულტისათვის საქართველოში“, სსმმ, ტ. 3, თბ., 1941.
5. *Март Н. О религиозных верованиях абхазов, Христианский Восток*, вып. IV. 1930.
6. *ი. სურგულაძე*, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1993.
7. *Амиранашвили Ш.*, Грузинская миниатюра, М, 1966.
8. *Flemming I.*, Der lebensbaum in der georgishchen Kunst und sein Verhaltnis zu Byzanz und zu einigen byzantinischen Einflussgebieten, თსუ შრომები, 162 (1975).
9. *თ. საყვარელიძე*, XII საუკუნის ქართული ჭედურობის ისტორიიდან, თბ., 1975.
10. *ე. მაჭავარიანი*, მნიგნობრობამ ქართული, თბ., 1989.
11. *Фрезер. Фольклор в Ветхом Завете*, М., 1990.
12. *კ. ჩოლოყაშვილი*. ქართული საბრძოლო იარაღები (ფარი), სსმმ, XV, 3, თბ., 1978.
13. *ს. მაკალათია*, მთის რაჭა, თბ. 1931.
14. *ლ. ოსეფაშვილი*, ქართულ ხელნაწერ ოთხთავთა თავფურცლის მინიატურების იკონოგრაფიული თავისებურებანი (ჯვარი, ვედრება – IX – XII სს), თბ., 2005.
15. *ლ. წერეთელი*, სამთა ყრმათა ბაბილონს (თამარ მეფის სამების მეოთხე ჰიპოსტასად ცნობის ათეისტური თეორია), შ. მესხიასადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2006.
16. *გ. ჩიტაია*, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, მოამბე, X, თბ., 1926.

17. ნ. სულავეა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003.
18. ნ. სულავეა, ისტორიულ სამშობლოში, „ლიტერატურული საქართველო“, 2003, 48.
19. Античная расписная Керамика, М, Искусство, 1958.
20. შპერლინგი რ. ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბ., 1953.
21. G. Garitte, Vies géorgiennes de S. Syméon stylite l'Ancien et de S. Éphrem: CSCO, vol, 171, Scriptorum Iberici, t. 7, Louvain, 1957.
22. ა. თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბ., 2004.
23. ნმ. გერმანე კონსტანტინეპოლელი, სახისმეტყველებითი განმარტება საღმრთო ლიტურგიისა, საქ. საეკლესიო კალენდარი, თბ., 2003.
24. ე. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბ., 2007.
25. კ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, თბ., 1941.
26. გ. დონდუა, თ. დონდუა, ქართული ნუმიზმატიკა, არტანუჯი, თბ., 2006.
27. დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969.

**LIA TSERETELI**

## **THE MARK AND SYMBOL ON THE COIN OF QUEEN TAMAR**

### **Summary**

THE article analyses a symbolical sign and its theological meaning depicted on one of the coins of St. Queen Tamar for the first time in scientific literature. It is confirmed that this coin reveals the state political ideology and religious belief in a symbolic way. The idea is given in the historical documents – “Histories and Praises of Majesties” and lambus of Queen Tamar.

მასალაზე სამეფო ხელისუფლების  
ისტორიისათვის ქველ ფრიგიასში

ერთ-ერთი ძირითადი წერილობითი წყარო, რომელიც ძველმოსავლური ხანის ფრიგიასში სამეფო ხელისუფლების ისტორიის რეკონსტრუქციაში გვეხმარება, ანტიკური საისტორიო მწერლობაა. ძვ. წ. V საუკუნის ავტორი ჰეროდოტე პირველია მათ შორის, ვინც ფრიგიის მეფეთა დინასტიური სახელები: „გორდიოსი“ და „მიდასი“ შემოგვინახა (Herodotus I, 14, 35, 45; VIII, 138).<sup>1</sup> საგულისხმო ისაა, რომ ეს ორი საკუთარი სახელი რიგრიგობით ერქვათ ფრიგიელთა მეფეებს. იგი, როგორც წესი, მამიდან შვილზე გადადიოდა, რაც სამეფო ხელისუფლების ისეთსავე მემკვიდრეობის წესის არსებობას გვაპარაუდებინებს, რომელიც სხვადასხვა მონაცემებით ძვ. წ. IX-VIII სს-ის აღმოსავლეთ ანატოლიაში დასტურდება.

მეორე ჩვენთვის საინტერესო ცნობა ფრიგიის მეფის შვილს ეხება. ჰეროდოტე გვამცნობს: „როდესაც კროსოსი შვილის ქორწილს აღნიშნავდა, სარდეში კაცი მოვიდა, რომელსაც უბედურება შემთხვეოდა და ხელები სუფთა არ ჰქონდა. იგი წარმოშობით ფრიგიელი იყო, სამეფო გვარიდან. მოვიდა იგი კროსოსის სახლში და განწმენდა ადგილობრივი წესების მიხედვით ითხოვა. კროსოსმა იგი განწმინდა (ლიდიელების განწმენდა ელინებისას ემსგავსება). მას შემდეგ, რაც კროსოსმა შეასრულა ის, რაც საჭირო იყო, გამოკითხა მოსულს, თუ საიდანაა და ვინაა: „ადამიანო, ვინა ხარ და სტუმრად ფრიგიის რომელი მხრიდან მოხვედი ჩემთან? რომელი მამაკაცი ან ქალი მოჰქალი?“ მოსულმა შემდეგი უპასუხა: „მეფეო, გორდიოსის, მიდასის ძის შვილი ვარ, ადრესტოსი მქვია და ჩემი საკუთარი ძმა შემომაკედა, უნებურად. მოვედი აქ მამის მიერ გამოძევებული. ყველაფერი დაეკარგე“. კროსოსმა უპასუხა: „შენ ჩემი საყვარელი ადამიანების შვილი ხარ და მოსულხარ მეგობრებში. აქ დარჩი ჩვენთან და აქ არაფერი გაგიჭირდება. ეს უბედური შემთხვევაა. რაც შეიძლება იოლად გადაიტანე. საბოლოოდ ეს დიდად გარგებს“ (Herodotus I, 35). მოყვანილ ნაწყვეტში ბევრია საგულისხმო. ჯერ ერთი, იგი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს იმ თვალსაზრისს, რომ „მიდასი“ და „გორდიოსი“ დინასტიური სახელები იყო. არანაკლებ გასათვალისწინებელია ტერმინის „სამეფო გვარის“ მოხსენიებაც. საინტერესოა ძმის მკვლელობის ამსახველი ინფორმაციაც. როგორც თავის დროზე სხვადასხვა ხალხების შესწავლის საფუძველზე ჯ. ფრეზერმა უჩვენა, ძმის მკვლე-

<sup>1</sup> ჰეროდოტე, ისტორია 9 წიგნად, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1975, ტ. I, გვ. 44-48, 51; ტ. II, გვ. 532.

ლობის თემა პირდაპირ კავშირშია სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესთან.<sup>1</sup>

ფრიგიაში არსებული სამეფო ხელისუფლების ისტორიის წარმოსაჩენად ჰეროდოტეს თხზულებაში კიდევ ერთ გასათვალისწინებელ ინფორმაციას ვხვდებით. მხედველობაში გვაქვს ბერძენი ავტორის მითითება დელფოსის ორაკულისადმი ფრიგიის მეფე მიდასის მიერ სამეფო ტახტის შეწირვის შესახებ. ჰეროდოტე გვამცნობს: „გიგესი პირველია ჩვენთვის ცნობილ ბარბაროსთა შორის, რომელმაც შესანიშნავები მიაართა დელფოს, ფრიგიის მეფის მიდასის, გორდიოსის ძის შემდეგ. მიდასმა დელფოს სამეფო ტახტი შესწირა, რომელზედაც თვითონ იჯდა და მოსამართლეობდა. ეს ტახტი ღირშესანიშნავი რამ არის. ის იქვე დგას, სადაც გიგესის კრატერებია“ (Herodotus I, 14).<sup>2</sup>

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებო ცნობები ძველმა ბერძნულმა მითოლოგიამ შემოგვინახა. მიუხედავად იმისა, რომ ძველბერძნულ მითებში მიდასისა და გორდიოსის შესახებ მთავარ როლში ფრიგიელთა ნახევრად ლეგენდარული მეფეები მიდასი და გორდიოსი გვევლინებიან, რომელთაც მითისათვის დამახასიათებელი ატრიბუტიკა ახლავს, ამ მითიური სიუჟეტების ანალიზს საგულისხმო დასკვნებამდე მივყავართ.

მიდასის ციკლის მითებში რამდენიმე საინტერესო მითითებას ვხვდებით ფრიგიაში სამეფო ხელისუფლების შესახებ. ერთ-ერთი მითის თანახმად, ხვნით გართული ფრიგიის მომავალი მეფის მიდასის (ვარიანტი – გორდიოსის) ხარებშებმულ უღელზე არწივი შემოჟდა. ამით არწივმა მომავალ მეფეს ღმერთების გადანყვებილება ამცნო. იგი მიდასის (ვარიანტი – გორდიოსის) მომავალ გამეფებას ეხებოდა (Arr., II, 3,3). ქურუმმა ქალმა ამ სასიხარულო წინასწარმეტყველების აღსანიშნავად მსხვერპლი შესწირა (Arr., II, 3,4). სხვა მითის მონაშობით, მიდასმა (ვარიანტი – გორდიოსმა) ქურუმი ქალი ცოლად შეირთო (Just, XI, 7, 8). ამავე მითის სხვა ვერსიის მიხედვით, მიდასმა ცოლად ფრიგიელების უზენაესი ღვთაება, „ღმერთების დედად“ ნოდებული კიბელა მოიყვანა. კიდევ ერთი მითი იმსახურებს ყურადღებას: უმეფობის ხანაში (სხვა ვერსიით, სამოქალაქო ომის დროს), ორაკულმა ამცნო ფრიგიელებს, რომ მეფედ ის გახდებოდა, ვინც მათ ურმით გამოეცხადებოდა, ხოლო მეფედ კურთხევა ან სახალხო კრებაზე მოხდებოდა, ან ტაძარში (Arr., II, 3, 5; Just, XI, 7, 11, 12). არანაკლებ საინტერესო ის ინფორმაციაცაა, სადაც ნათქვამია, რომ მომავალი მეფე ხალხს დედ-მამის თანხლებით მოევილინა. მითის ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მიდასს მამა გორდიოსი და დედა კიბელა ახლდნენ (Arr., II, 3, 5). დაბოლოს, კიდევ ერთი მითოლოგემა იმსახურებს ყურადღებას. იგი სხვადასხვა ვარიანტებითაა მოღწეული ჩვენამდე. მითებში ერთხმად აღინიშნება, რომ მიდასის სამეფო ურემზე კვანძი იქნა გაკეთებული, ცნობილი გორდიოსის კვანძი, რომელიც რიგი ავტორე-

<sup>1</sup> Фраппер Дж., Золотая ветвь, Москва, 1980, с.176-184 и сл.

<sup>2</sup> ჰეროდოტე, ისტორია 9 წიგნად, ტ. I, გვ. 41., იხ. აგრეთვე, Devries K., The Throne of Midas? The 103<sup>rd</sup> Annual Meeting, AJA, vol 106, №2, 2002, p. 275.

ბის: პომპეუს ტროგუსის, კურციუს რუფუსის, პლუტარქეს, არიანეს თანახმად, ძვ. წ. IV საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელმა ხმლით გაკვეთა. შემთხვევითი არ არის, რომ ძველ დროშივე აღნიშნული კვანძი სამეფო ხელისუფლების სიმბოლოდ იქნა გააზრებული. სჯეროდათ, რომ ის, ვინც ამ კვანძს გახსნიდა მთელი აზიის ან მსოფლიოს მპყრობელი გახდებოდა (Just., XI, 7, 4; Curt., III, 16; Arr., II, 2, 3, 6...)<sup>1</sup>

ზემომოყვანილი პირველი მითოლოგიის შესახებ ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებაა გამოთქმული. ერთი მიიჩნევს, რომ საქმე ეხება მინათმქმედთა წრიდან მეფის არჩევას. მეორე, რომლებიც, ჩემი აზრით, უფრო მართებულად ხსნიან მითის არსს, აღნიშნავენ, რომ მასში საუბარია საკრალურ ხვნაზე, საკრალური ხნულის გავლებაზე, რომელიც საკმაოდ გავრცელებულ რიტუალს წარმოადგენდა ძვ. წ. II-I ათასწლეულების ანატოლიაშიც და სამხრეთ კავკასიაშიც. გადმონაშთის სახით იგი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ბოლო დრომდე არსებობდა.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ხეთურ ტექსტებში ხშირადაა საუბარი საკრალური ხნულის გავლებაზე გარდაცვლილი მეფის საპატივცემულოდ. ძველ ბერძნულ სამყაროში რიტუალურ ხვნას ე. წ. თესმოფორიების დროს აწყობდნენ. ეს დღესასწაული მინათმქმედების, ქორწილისა და სამოქალაქო წესრიგის ღვთაება დემეტრას ეძღვნებოდა. საკრალური ხნულის გავლება ქურუმს ევალებოდა. არანაკლებ საინტერესოა ფრიგიის ძველ დედაქალაქ გორდიონში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალები. კერძოდ კი, ერთ-ერთ ყორღანულ სამარხში (Tumulus P) აღმოჩენილი უღლიანი ხარის გამოსახულება, რომელიც ავეჯის მოხატულობაშიცაა ფართოდ გამოყენებული.<sup>2</sup> როგორც აღინიშნა, ყურადღებას ქართული ეთნოგრაფიული მასალებიც იმსახურებს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ე. წ. „მეკვლეს“ ინსტიტუტი გავიხსენოთ, რომელიც „თედორობასთან“ (წმ. თედორეს დღესასწაულთან) ასოცირდება. მეკვლეს ფუნქციას სწორედ საკრალური ხვნა წარმოადგენდა, რაც მინაში პირველი კვალის გავლებაში გამოიხატებოდა. ს. მაკალათიას მიერ მოპოვებულ მასალებში საინტერესო ცნობებია დაცული იმის თაობაზეც, რომ ახალ წელს მეკვლე სახლში ხართან ერთად შედიოდა (წ. ბრეგაძე, ს. მაკალათია).

რაც შეეხება არნივს, შემდეგი შეიძლება ითქვას: ძველალმოსავლურ მითოლოგიაში არნივის, როგორც ღმერთების მაცნის ფუნქცია არაერთგზის დასტურდება. ე. გოლუბცოვას აზრით, არნივის კულტის არსებობაზე ფრიგიაში ახ. წ. I-III სს-ის საფლავის ქვებზე არნივების ხშირი გამოსახულებები მეტყველებს. როგორც წესი, ეს სტელები ზევსისადმი მიძღვნილი ტექსტებითაა წარმოდგენილი. ნიშანდობლივი ისიცაა, რომ რომაული ხანის ფრიგიულ ძეგლებზე არნივებს ხშირად თან უღლიანი

<sup>1</sup> მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1972, გვ. 69; Мифологический словарь, Москва, 1990, с. 159, 357.

<sup>2</sup> Otten H., Hethitische Totenritualen, Berlin, 1958, KUB XXXIX, 6. 14: ბაზარაძე ნ., გორდიონის ყორღანული სამარხები, კრებულში: ძველალმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2001, გვ. 10-16. იქვე იხ. მითითება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაზე; Simpson E., Spirydowicz K., Gubel E., Gordian. Wooden Furniture, AJA, vol 106, №4, 2002, p.617.

ხარების გამოსახულებები ახლავს. არანაკლებ საგულისხმოა ელიანეს მონათხრობიც, სადაც თავად მიდასი არნივის სახითაა წარმოდგენილი (Aelian, VH, IV, 17).

არნივთან დაკავშირებით ყურადღებას თელიფინუსადმი მიძღვნილი ხეთური ტექსტებიც იმსახურებს. მითის თანახმად, თელიფინუს უეცარი გაქრობის ჟამს მას დიდი და მცირე ღვთაებები ამოდ ეძებენ. მაშინ მზის ღვთაება უზენაესი ღვთაებასა და მეფეს შორის შუამავალს – არნივს იბარებს და თელიფინუს დაბრუნებას მაინცადამაინც მას ავალებს. ისიც ირკვევა, რომ არნივს სხვა საკრალური ფუნქციაც გააჩნდა. თელიფინუს მითი გვამცნობს: „თელიფინუს რისხვა ემატიებოდა, მორაკრაკე ნაკადულები შეაჩერა და მდინარეებს მიმართულება შეუცვალა, ნაპირზე გადმოადინა, სარკმელები დაღენა, სახლები დააქცია, ხალხი დაღუპა, საქონელი, ცხვარი ამოწყვიტა. და თქვეს ღმერთებმა: ვუხმოთ ადამიანს! დააბრუნოს ხათარას წყარო ამუნას მთაზე! არნივი მოფრინდეს და აამოძრავოს იგი! დაე, ადამიანებმა აღძრან სამოქმედოდ! არნივის ფრთებმა აღძრას სამოქმედოდ“.<sup>1</sup>

ამგვარად, მიდასთან ერთად არნივის გამოჩენა კანონზომიერი ჩანს, და სავსებით შეესაბამება ძველი ანატოლიის ხალხთა წარმოდგენებს მეფის ხელისუფლების წარმომავლობის შესახებ.

იგივე შეიძლება ითქვას მეფესთან ერთად ქურუმი ქალის გამოჩენასთან დაკავშირებითაც. ამ ასპექტით საინტერესოა ვ. ივანოვის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, ხურიტულ თემში ქურუმი ქალები „ქალმეფეებად“ იწოდებოდნენ, რაც მათ მაღალ სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებდა.<sup>2</sup>

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მითის ერთი ვერსიის თანახმად, მეფე მიდასის მეუღლე ღვთაება კიბელა იყო. იქვე იმაზეც მივუთითებდით, რომ კიბელა მიდასის დედა და გორდიოსის მეუღლე გახლდათ. როგორც ჩანს, ქალღვთაების გამოჩენა მიდასის გამეფების აღწერისადმი მიძღვნილ სიუჟეტში შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო, რადგან სამეფო ხელისუფლების წარმოშობა თითქმის ყველა ძველ საზოგადოებაში ღვთიურ საწყისთან ასოცირდებოდა. სამეფო ხელისუფლება განიხილებოდა, როგორც განსაკუთრებული სუბსტანცია, რომელიც ციდან ჩამოვიდა და ღვთაების ან ღვთაებათა ნება-სურვილს ემორჩილებოდა.<sup>3</sup>

არანაკლებ საყურადღებოა ზემოაღნიშნული ცნობები ორაკულის წინასწარმეტყველებისა და სამეფო ურმის შესახებ. ეს თემები საკმაოდ ცნობილი იყო სხვა ძველადმოსავლური ხალხებისთვისაც. სამეფო ურემს საკრალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამ მოსაზრების შესამაგრებლად ურისა და ქიშის სამარხებში ე. წ. „სამეფო ურმების“ დიდი რაოდენობით აღმოჩენაზე მიუთითებენ. ზოგიერთი

<sup>1</sup> ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990, გვ. 228, 230.

<sup>2</sup> *Иванов Вяч.*, Луна, упавшая с неба, Москва, 1978, с. 80 и сл.

<sup>3</sup> *Khazaradze N.*, Royal Power in the Hittite Political Entities, კრებულში: ძველადმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი, გვ. 75-84; მისივე, მეფე და ღვთაება, ძველადმოსავლური და ქართველოლოგიური ძიებანი, გვ. 164-171; მისივე, Hieroglyphic-Luwian Inscriptions About The Social Structure of Late Hittite Society. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „შრომები“, 2 (435), თბილისი 2001, გვ. 90-94, 149, 154, 159.

მკვლევრის აზრით, უკვე ადრეულ ხანაშივე ეს ურემები ორგანულად უკავშირდებოდა სამეფო ხელისუფლებას და როგორც ჩანს, ძალაუფლების სიმბოლოსაც წარმოადგენდა. ურემი, საბრძოლო ეტლთან ერთად, ხშირად ფიგურირებს ხეთი მეფეების რიტუალური ე. წ. „შემოვლების“ აღწერისას. არანაკლებ საინტერესოა კავკასიური არქეოლოგიური მასალებიც, კერძოდ, თრიალეთის ყორღანები, სადაც მიცვალებულებს (ბელადებს), როგორც წესი, ოთხთვალა ურემებზე ასვენებდნენ.<sup>1</sup>

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გვიანდელი ხანის მითებსა და ლეგენდებში მიდასთან დაკავშირებით ღვთაებრივი ეტლი იხსენიება და არა უბრალო ურემი. ამ ეტლს, ისევე როგორც ურემს, საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა. ისიც სამეფო ხელისუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა. ინტერესმოკლებული არ არის ის გარემოება, რომ ირანში ეტლს ან ზევსს („ზევის ღვთაებრივი ეტლი“), ან მეფეს უკავშირებდნენ. ჰეროდოტეს მოწმობით, ზევსის ეტლში რვა თეთრი ცხენი იყო შებმული, ხოლო ქსერქსეს ეტლში – განთქმული ნისეს ულამაზესი ცხენები. აქვე შესაძლოა გავიხსენოთ ჰელიოსისა (მზის ღვთაებისა) და სილენეს (მთვარის ღვთაების) ცხენ-შებმული ეტლები, რომელთა საშუალებითაც, ბერძნების წარმოდგენით, ეს მნათობები ცაზე მოძრაობდნენ.<sup>2</sup>

როგორც უკვე ითქვა, სამეფო ხელისუფლებასთან უნდა იყოს დაკავშირებული ე. წ. „გორდიოსის კვანძიც“. ამ მხრივ საინტერესო ისიცაა, რომ თავად სიტყვა „კვანძი“ ძველ ბერძნულშიც და ხეთურშიც „კვანძის“ გარდა „ძალაუფლებასაც“ აღნიშნავდა.<sup>3</sup>

კვანძი, როგორც მაგიური ობიექტი, ბევრი ძველი ხალხისათვის იყო ცნობილი. ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად იგი ნაყოფიერების კულტს უკავშირდებოდა. ხეთურ მითებში არაერთგზისაა საუბარი ბუნების „შეკვრასა“ და „გახსნაზე“. ამ რიტუალს ჩვეულებრივ გაზაფხულზე ასრულებდნენ.<sup>4</sup>

დაბოლოს, იმ ცნობაზეც შეეჩრდეთ, სადაც ნათქვამია, რომ მიდასი (ვარიანტი – გორდიოსი) მეფედ სახალხო კრების მიერ იქნა არჩეული. სახალხო კრების მიერ მეფის არჩევის წესი არაერთ როგორც არქაულ, ასევე უფრო განვითარებულ საზოგადოებებში იყო გავრცელებული. ირკვევა, რომ ბაბილონში ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულში, როდესაც სამეფო ხელისუფლებას აშკარად მემკვიდრეობითი ხასიათი ჰქონდა და იგი მამიდან შვილზე გადადიოდა, ყოველწლიურად გაზაფხულზე ტახტზე მეფის ასვლის ცერემონიალი სრულდებოდა. იგი საკმაოდ არქაულ ელფერს ატარებდა. მუხლმოდრეკილი მეფე ღვთაების ქანდაკების წინ დგებოდა, ფიცს დებდა, რომ წლის მანძილზე არაფერი დაუშავებია არც ბაბილონისათვის და არც რომელიმე სხვა ქალაქისათვის. შემდეგ, უმაღლესი ქურუმი მეფეს ძლიერ სილას

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბილისი, 1970, გვ. 208 და შმდ.

<sup>2</sup> *Мифологический словарь*, с. 144, 483.

<sup>3</sup> გორდიოსის კვანძის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით იხ. *Korte J., Korte A., Gordion*, Berlin, 1904, გვ. 12-16.

<sup>4</sup> *Иванов Вяч.*, *Луна, упавшая с неба*, с. 80 и сл.

ანწავდა და ყურებასაც ასეთივე ძალით ჩამოუქაჩავდა. თუ მეფეს თვალბეზე ცრემლები მოადგებოდა, ითვლებოდა, რომ რიტუალმა ღმერთების მოსაწონ დონეზე ჩაიარა. მეფეს უბრუნებდნენ კევრთხს, სამეფო ხელისუფლების მანიშნებელ სხვა ინსიგნიებს და კვლავ ტახტზე აპყავდათ. ვ. იაკობსონის აზრით, ამ რიტუალში იმ ეპოქის სიტუაცია იყო თავისებურად არეკლილი, როდესაც მეფეს ყოველწლიურად საჯაროდ ირჩევდნენ. ამავე საკითხზე საყურადღებო მონაცემები აქვს შეგროვილი ჯ. ფრეზერსაც.

ამგვარად, ზემოვანხილული მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ ბერძნულ მითებში მიდასის შესახებ საყურადღებო მინიშნებებია შემონახული ფრიგიაში სამეფო ხელისუფლების ისტორიისა და მასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ. ირკვევა, რომ, ისევე როგორც გვიანხეთურ საზოგადოებებში<sup>1</sup>, ასევე ფრიგიაშიც, სამეფო ხელისუფლება მამიდან შვილზე გადადიოდა. ფრიგიის მეფეებს „მიდასი“ და „გორდიოსი“ ერქვათ. როგორც წესი, „მიდასები“ „გორდიოსების“ ვაჟები იყვნენ და პირიქით. მართალია, ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით სადღეისოდ არსებული ცნობები ძალზე მწირია, მაგრამ თუ მათ ჩვენს ხელთ არსებული მთელი მასალის კონტექსტში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ფრიგიაში ძვ. წ. VIII-VII სს-ში არსებული სამეფო ხელისუფლება გვიანხეთური სამეფო-სამთავროებში არსებულის მსგავსი იყო. ფრიგიელები, ისევე როგორც გვიანი ხეტები, სამეფო ხელისუფლებას ღვთაებას უკავშირებდნენ. უკეთ კი, სამეფო ხელისუფლებას ღვთაების მიერ ბოძებულად იაზრებდნენ. როგორც დავინახეთ, მიდასის გამეფება ღვთაების მიერ გამოგზავნილი არწივის მოფრენით იწყება. მიახლოებით ასეთივე ვითარებას ვხვდებით ლუვიურ-იეროგლიფურ წარწერებშიც, სადაც თითქმის ყოველთვის ხაზგასმულია მეფესა და ღვთაებას შორის ორგანული კავშირის არსებობა. ამ კავშირს განსაკუთრებით მეფეთა წარწერების შესავალ ნაწილში ესმება ხაზი. აქ ხშირად ნათქვამი, რომ მეფე „მზის ღვთაების მიერაა შუქმოფენილი“, „ღვთაების მიერაა მიწაზე მოვლენილი“, „ღვთაების (ან ღვთაებათა) საყვარელი კაცია“, მისი (ან მათი) „ნება-სურვილის აღმსრულებელი“, „ღვთაების მსახური და მისი საქმის გამგრძელებელი“...<sup>2</sup>

ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლო მეოთხედის ფრიგიაში რომ ძლიერი სამეფო ხელისუფლება არსებობდა, სადაც სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის დაკანონებული წესი უნდა ყოფილიყო გაბატონებული, ზემოაღნიშნულთან ერთად, ფრიგიის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ე. წ. მიდასის ყორღანის გათხრების შედეგები. მიდასის ყორღანი XX საუკუნის 50-იანი წლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან აღმოჩენას წარმოად-

<sup>1</sup> ზაზარაძე ნ., სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესი გვიანხეთურ სამეფოებში (წყაროთა ცნობების ინტერპრეტაციისათვის), კრებულში: „ქართული წყაროთმცოდნეობა“, VIII, თბილისი, 1993, გვ. 9, 14.

<sup>2</sup> ზაზარაძე ნ., წერილობითი წყაროების კრულის შემცველი კონტექსტების ინტერპრეტაციისათვის, „კლიო“, 4, თბილისი, 1999, გვ. 3-17; მისივე, ლუვიური იეროგლიფების სამყაროში, თბილისი, 2006, გვ. 76-82, 93-115.

გენს. თავად ფაქტი ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედის ფრიგიაში ყორღანული სამარხების არსებობისა იმაზე მეტყველებს, რომ ფრიგიულ საზოგადოებაში სოციალური იერარქია აშკარად იყო გამოხატული. ჩემი აზრით, ამაზევე მიუთითებს ყორღანული სამარხებისა და კერძოდ, მიდასის ყორღანის ზომები და ინვენტარი, განსაკუთრებით მიცვალებული მეფის მდიდრული მორთულობა: მეფე ხის სარეცელზე ესვენა. მისი სამოსი ფერადი ქსოვილისაგან იყო დამზადებული, რომელსაც ბრინჯაოს სამკაული ამშვენებდა. მეფეს წელზე ტყავის ქაშარი ჰქონდა შემორტყმული, ხელფეხსა და მხრებს ბრინჯაოს ფიბულები ალამაზებდნენ. მიდასის ყორღანში ხელოვნების არაერთი შესანიშნავი ნივთი იქნა აღმოჩენილი. მაგალითად, დასაკრძალავი კამერის აღმოსავლეთ კედელთან არქეოლოგებმა ცხრა დეკორატიული მაგიდა, სამეფო სავარძელი, ორი ინკრუსტირებული შირმა, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში სამი დაბალი მაგიდა, ჩრდილოეთ კედელთან ორი მაგიდა, კამერის ცენტრალურ ადგილას ზუთი მაგიდა, სამხრეთ კედელთან ორ მაგიდას აღმოაჩინეს. ჩამოთვლილ ავეჯთან ერთად მიდასის სამარხში დიდი რაოდენობითა იქნა ნაპოვნი ლანგრები, კოვზები, ბრინჯაოს თასები, ცხოველთა მინიატურული ფიგურები და ა. შ.<sup>1</sup>

ფრიგიული საზოგადოების არსის გააზრებისათვის დიდი მნიშვნელობა არქეოლოგიურ სხვა მონაპოვარსაც აქვს. ირკვევა, რომ ძვ. წ. VIII საუკუნის ფრიგიაში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ხელოსნობამ, პირველ რიგში კი, ხის დამუშავებაში, საკუთარი ხის მასალის სრული უქონლობის პირობებში. გორდიონის ყორღანებში მრავლადაა დამონმებული ბზისგან და ურთხელისგან დამზადებული, ინკუსტირებული, გრავირებული, მოზაიკითა და ჩუქურთმით შემკული ხის ავეჯი და ჭურჭელი (ფინჯნები, კოვზები, დოქები, ლანგრები, თასები, ფიალები, ქვაბ-ქოთნები...), აგრეთვე მარაო, ქოლგის ტარი.<sup>2</sup>

ასეთივე მაღალ დონეს მიაღწია ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედის ფრიგიაში მეტუნეობამაც. ჭურჭელს უხვად ამკობდნენ გეომეტრიული ორნამენტებით, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით. სხვადასხვანაირი იყო ჭურჭლის ფორმაც. ფრიგიელები ჭურჭელს ცხოველის (მაგალითად, ცხვრის) ან ფრინველის (მაგალითად, ბატის) ფორმას აძლევდნენ. ფრიგიაში, თავდაპირველად, ნაცრისფერი კერამიკა იყო გაბატონებული (ამფორები, ღრმა თასები, ლარნაკები...). მოგვიანებით, მის ტერიტორიაზე მოხატული ჭურჭელი გავრცელდა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, აღმოსავლეთ ანატოლიას უკავშირდებოდა.<sup>3</sup>

ძვ. წ. VIII-VII სს-ის ფრიგია ბრინჯაოს და რკინის მეტალურგიის კერასაც წარმოადგენდა. ფრიგიის ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი ბრინჯაოს თასები, ფიალები, ქვაბ-ქოთნები და სხვა ნივთები. ბრინჯაოს დეკორატიული დანიშნულე-

<sup>1</sup> ბაზარაძე ნ., გორდიონის ყორღანული სამარხები, გვ. 10-21; Simpson E., Spirydowicz K, Gubel E., Gordion. Wooden Furniture, p. 617; Recent Archaeological Research in Turkey, AnSt, vol XXXIV, 1984, p. 214-5.

<sup>2</sup> Simpson E., Spirydowicz K, Gubel E., Gordion. Wooden Furniture, p.617; Bossert Eva-Maria, Phrygischer Zeit von Boğazköy, AJA, vol 107, №4, 2003, p. 676-7.

<sup>3</sup> Schaus G. P., Imported West Anatolian Pottery at Gordion, AnSt, vol XLVII, 1992, p. 153-154.

ბითაც იყენებდნენ. ამ მეტალიდან ამზადებდნენ ფიბულებს, ბალთებს, ქსოვილის, ტყავის, ხის მოსართავ დეტალებს, სათამაშოებს. ფრიგიელები რკინასაც ფართოდ იყენებდნენ (სამფეხები, ლურსმნები, მინიატურული ნივთები). საკვლევი ხანის ფრიგიაში მაღალ დონეს მიაღწია არქიტექტურამ, ქალაქთმშენებლობამ.<sup>1</sup> ფრიგიის საზოგადოების დანიშნულებაზე ისიც მეტყველებს, რომ მათ მცირე აზიაში მცხოვრებთა შორის ყველაზე ადრე გადაიღეს ფინიკიური დამწერლობა საკუთარ ენაზე წერილობითი ძეგლების შესადგენად.<sup>2</sup>

ამგვარად, მოყვანილი მონაცემების ანალიზის შედეგად შესაძლოა დავასკვნათ, რომ ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო მეოთხედის ფრიგიას სათავეში მეფე ედგა, სამეფო ხელისუფლება მემკვიდრეობით ხასიათს ატარებდა, იგი მამიდან შვილზე გადადიოდა. ტიპოლოგიურად სამეფო ხელისუფლების ინსტიტუტის ფრიგიული ვარიანტი დიდ მსგავსებას გვაჩვენებს ხანის (ძვ. წ. IX-VIII სს.) აღმოსავლეთ ანატოლიის სამეფო-სამთავროების ანალოგიურ ინსტიტუტთან ავლენს.

NANA KHAZARADZE

## THE MATERIALS FOR THE HISTORY OF THE AUTHORITY OF THE KING IN OLD PHRYGIA

### Summary

**ANALYSING** the rich data given in the article, the author comes to a conclusion that in the last quarter of the VIII century B.C., the king was at the top of the government in Phrygia and his power had hereditary character, transferring from the father to the son. Typologically the Phrygic version of the royal power shows great resemblance to the analogical institutions of the state-principalities of Eastern Anatolia of the era of Later Hittites (IX-VIII B.C.).

---

<sup>1</sup> უფრო დანერვილებით იხ. *ბაზარაძე ნ.*, მცირე აზია გვიანხეთურ ხანაში, ფრიგია, ნიგნში: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბილისი, 1971, გვ. 309 და შმდ. ; მისივე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984, გვ. 25 და შმდ. და 168-171.

<sup>2</sup> *ბაზარაძე ნ.*, ძველი ფრიგიული ანბანის გენეზისის საკითხისათვის, ძველი ისტორიის საკითხები (კავკასიურ-აზლოადმოსავლური კრებული), V, თბილისი, 1977, გვ. 86-97.

### „ცედაკა-ცადაკას“ ინსტიტუტი ებრაულ კულტურაში

2003 წლის შემოდგომაზე „ქართველ და ებრაელ ქალთა მსოფლიო ასოციაციის“ (პრეზიდენტი ქალბატონი ევა ბაბილაშვილი) საგანგებო სხდომა მიეძღვნა აკად. მარიამ ლორთქიფანიძის მრავალმხრივ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. სოლოლაკის ძველ უბანში, ასოციაციის მყუდრო ოფისში (ლერმონტოვის 12) შეკრებილმა ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა გულითადობისა და გულწრფელობის ვითარებაში განიხილეს ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ხიბლი, ორი ერის ძმობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, გაიხსენეს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ებრაელი სტუდენტები და პროფესორები; მათ შორის ცნობილი ეთნოლოგი გერცელ ჩაჩაშვილი. თავის ლექციებში კავკასიის ეთნოგრაფიაში ის საუბრობდა იმაზე, თუ რა ბევრი საერთო შეინიშნება ქართულ-ებრაულ ქველმოქმედების სისტემაში, ურთიერთდახმარების სწრაფვაში.

განსაკუთრებული ადგილი ებრაულ სულიერ კულტურაში უჭირავს „ცედაკა“-„ცადაკას“ საერთო სახელწოდებით ცნობილ უანგარო საქველმოქმედო კანონიკურ სისტემას. მას მიცვის ანუ ცნების ხასიათი აქვს. ებრაული ტრადიციული აღზრდის სისტემაში, ადამიანის ზნეობრივი სწავლა-აღზრდის პროცესში მას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ის ებრაული რწმენის საფუძველია.<sup>1</sup> შესაბამისად, ამ რელიგიურ-ზნეობრივ ღირებულებათა შეთვისება ადრეული ასაკიდან იწყებოდა. „ცედაკა-ცადაკა“ არ ეფუძნებოდა მხოლოდ ნებაყოფლობითობის პრინციპებს. ტრადიციული, ებრაული საოჯახო აღზრდიდან გამომდინარე, ზრუნვას ღარიბ თანამოქმედებზე ადრეული ასაკიდან აჩვენებდნენ. „ცედაკა“ იყო სამართლიანობის გამოვლენა, ერთიანი სოციალური თანადგომის კონცეპციური სისტემა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.<sup>2</sup> ის ითვალისწინებს: 1) უპოვართათვის თავშესაფარისა და საკვების მიცემას. 2) ქვრივ-ობლების აუცილებელ მოკითხვას. 3) მათხოვართა მოკითხვის წესს. 4) ღარიბ-გლახაკთა წყალობას. 4) ზრუნვას დავრდომილებსა და ავადმყოფებზე (მათ შორის კეთროვნებზე). 5) ავადმყოფთა მონახულების წესებს. 6) განსაკუთრებულ ყურადღებას. 7) გულისხმიერებას თორის შემსწავლელთა და მასწავლებელთა მიმართ. რათა „ცედაკას“ მყარი საფუძველი ჰქონოდა, ყოველი შრომისუნარიანი მორწმუნე ებრაელი ვალდებული გახლდათ თავისი შემო-

<sup>1</sup> З. Даварашвили. «Цдака» – основа еврейской веры. Сб. Археология, этнология, фольклористика Кавказа. Тб. 2004, с. 186-189.

<sup>2</sup> თანამედროვე ისრაელის კულტურის სპეციფიკაა ამ ძველი და ახალი ტრადიციების ტრანსფორმაცია. იხ. E. Katz. M. Guzewitch. Culture and Communication in London, 1976, pp. 28-43.

სავლის 1/10 ამ სახის ქველმოქმედებისთვის გამოყენებინა. გარდა ამისა, 20 წლის ასაკიდან 50 წლის ჩათვლით ძვ. წ. V ს-იდან ყველა შრომისუნარიანი ებრაელი, სადაც არ უნდა ყოფილიყო, იხდიდა სპეციალურ ე.წ. „სატაძრო გადასახადს“, რაც წელიწადში 2 დრაქმას (8 გრ. ვერცხლი) ანუ ნახევარ შეკელს შეადგენდა. ეს თანხა ხმარდებოდა პალესტინაში დარჩენილთა საჭიროებას, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას და იერუსალიმში იგზავნებოდა ყოველწლიურად. ამ მიზნით ყველგან, სადაც კი ებრაული გალუთი, დიასპორა არსებობდა, სინაგოგებში (ქართული წერილობითი წყაროების „ბაგინსა ჰურიანა“)<sup>1</sup> იდგა სპეციალური შესანიერი ყუთი – ყულაბა. იერუსალიმში ფული ყოველწლიურად ჩაჰქონდათ გალუთის ცნობილი ოჯახის წევრებს. „დიდი ტაძრის“ განადგურების შემდეგ კი შეგროვებული ფული იერუსალიმში მიჰქონდათ სპეციალურ ემისრებს ე.წ. „შლახიმებს“.<sup>2</sup> ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში, ასე იყო ქართველ ებრაელთა თემებში. ამასთანავე ყოველთვის უპირატესობა ქველმოქმედების პროცესში „თავისი ქალაქის ღარიბებს ეძლეოდა“. გალუთაში ებრაულ თემებში სოციალური ცხოვრების, ტრადიციული განათლების ცენტრებს სინაგოგები, ე.წ. „მცირე ტაძრები“, „სამლოცველოები“ წარმოადგენდნენ; ისინი წარმართავდნენ ამ ქველმოქმედების საერთო პროცესს – „ცადაკას“. ეს შენირულობა ყველა მორწმუნემ „ცედაკაში“ უნდა გასცეს, რაც „თორიდან არის დავალებული“.<sup>3</sup> ამის გამო მას კანონიკური ხასიათი აქვს. ებრაელები, ბიბლიური პერიოდიდან მოყოლებული, ოცნებობდნენ ისეთ საზოგადოებაზე, სადაც არ იქნებოდნენ გლახაკები და ღარიბები (დებარიმ, მეორე რჯული 15:4). თავად მათი არსებობა საზოგადოებაში უფლის მცნებათა გაუთვალისწინებლობით არის გამოწვეული.<sup>4</sup> ამასთან დაკავშირებით მოსე (მოშე რაბინუ) ამბობდა: „რადგან არ დაილევა ღარიბი ქვეყანაში, ამიტომაც გიბრძანებ, რომ ხელგაშლილი იყო შენი ძმის მიმართ, შენი ღატაკისა და ღარიბის მიმართ შენ ქვეყანაში“ (15:11). „თუ იქნება შენში გლახაკი, ერთი თქვენი ძმათაგანი, თქვენს ერთ ქალაქში, იმ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს უფალი, გულს ნუ გაიქვავებ და ხელმოჭერილი ნუ იქნები შენი ღარიბი მოძმის მიმართ (15:7). ის მოუნოდებდა ყველა ებრაელს: „გახსნით გახსენი შენი ხელი შენი მოძმისათვის, შენი ღარიბისა და შენი გლახაკისათვის; „ყოველი ქვრივი და ობოლი არ დაჩაგრო“.<sup>5</sup>

ქველმოქმედების აუცილებლობას განაპირობებს ზეპირი თორა, შალახა ანუ ებრაელი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების წესები, ისრაელის ადათები (მინაგი). შესაბამისად არსებობს „ცედაკის წესები“, რომლებსაც ბავშვობიდან აზიარე-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 88. თავად წმინდა ნინომ თავდაპირველი თავშესაფარი ურბნისის სინაგოგაში პოვა და იქ „დაყო მუნ თვე ერთი ენისათვის ებრაულისა“.

<sup>2</sup> ჯ. აჯიაშვილი, გამოილვიძე ქნარო. ისტორიული ესეი. თბ., 1992, გვ. 23-24.

<sup>3</sup> რაბი აარონ ელაშვილი, „შულხან ყარუხი შემოკლებით“, გამომცემლობა „მახონ ასეფერ“, იერუსალიმი, 2000, თავი 89,1, გვ. 310.

<sup>4</sup> ზურაბ კიკნაძე. ხუთნიგნეულის თარგმანება, თბ., 2004, გვ. 329.

<sup>5</sup> თორის ხუთნიგნეული. მთარგმნელი და რედაქტორი შალომ დავიდი, თელ-ავივი, 1996 გვ. 171.

ბენ და თაობიდან თაობაზე გადასცემენ: მათ საპატრიო ადგილი უჭირავთ ებრაულ ფოლკლორში, ანდაზებსა და იგავ-არაკებში. რადგან „ცედაკა-ცედაკა“ დიდი მადლია, შესაბამისად მისი გამცემი ადამიანი არასოდეს გალარობდება. ვინც შეიბრალებს ლარიბებს, მას ზემოდან შეიბრალებენ. უჭმურად გაცემული სიკეთე მადლს კარგავს. არასოდეს არ უნდა აგრძნობინო ცედაკას მიძღვებს მისი სოციალური მდგომარეობა. ყველაზე მართებულია, როდესაც ლარიბებს ანონიმურად უწევ დახმარებას (შეად. მათეს სახარება, VI თ). ქველმოქმედების ებრაული წესით მიღებული შემოსავლის 1/10 ცედაკაში გაცემისას (მაყასერ ქესავიმ) უნდა მოხმარდეს თორის შემსწავლელებს, მასწავლებლებს, ლარიბებს, სახელმძღვანელო წიგნების შექმნას, ობლებზე ზრუნვას. მშობლებზე, მოხუცებზე ზრუნვა ასევე ცედაკას გამოვლენაა, ისევე როგორც შვილებისთვის თორის სწავლებისათვის ხარჯების გაღება. ყოველი ლოცვის წინ რამდენიმე კაპიკის გაცემა ცედაკაში ცხოვრებისეულ ნორმად ითვლება. მინათმოქმედს ევალება გამოყოფოს მის მიერ მოწეული ჭირნახულის ნაწილი („მაყასერ ყანი“). მას ლარიბის მეთაედს უწოდებენ. თორის განანესით, მეშვიდე წლის ჭირნახულით ყველა ლარიბმა უნდა ისარგებლოს. არ შეიძლება მეშვიდე წლის ნაყოფებით დიდი მოცულობით ვაჭრობა, მცირე რაოდენობის პროდუქტების გაყიდვით მიღებული ფული კი ცედაკაში უნდა გაიცეს. ასევე ყოველი მორწმუნე ებრაელისათვის აუცილებელია მინდვრებსა და ბალ-ვენახებში მოსავლის მცირე ნაწილის დატოვების წესის აუცილებელი შესრულება. თორის მიხედვით, ის უპოვართათვის არის განკუთვნილი და დაუყვედრებლად სრულდება. საზოგადოებაში „ცედაკა-ცედაკას“ გულუხვი გამცემნი ყოველთვის იყვნენ დაფასებულნი, რაც არქეოლოგიური წყაროებითაც დასტურდება. ამ მხრივ საინტერესოა ეფესის, რომის, ანტიოქიის და სხვა I-III სს. ებრაული გალუთის სამაროვნის ეპიტაფიები, რომლებშიც მოხსენებულია ქველმოქმედებით გამორჩეული პირები, ზოგჯერ მათ „სინაგოგის დედის“ და „სინაგოგის მამის“ საპატრიო ნოდებებსაც ანიჭებდნენ.<sup>1</sup>

1976 წელს თურქეთში, აღმოსავლეთ ანატოლიაში, ქალაქ აფროდისიაში აღმოჩნდა კირქვის სტელა. ახ. წ. III ს. ბერძნულ 88 – სტრიქონიან წარწერაში საუბარია ლარიბთათვის სინაგოგასთან აგებულ სასადილოზე, ხესედზე ჩამოთვლილია ისინი, ვინც ქველმოქმედებისთვის ფული გაიღო.<sup>2</sup>

ნიშანდობლივია, რომ „მოქცევაი ქართლისაის“ (IX ს) თანახმად, მცხეთელ ებრაელებს მჭიდრო კავშირები, მიწერ-მოწერა ჰქონდათ რომის, ალექსანდრიის, ბაბილონის ებრაული თემის სასულიერო პირებთან, მოძღვრებთან და, შესაბამისად, ებრაელი სულიერების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ. ურბნისში, მცხეთაში და სხვ. არსებობდა არქიტექტურულად მოწყობილი სინაგოგები, ბაგენები („სტაოთ“) და საგანგებო „სამარხოთი“ ანუ გენიზათი,<sup>3</sup> სადაც წესისამებრ ხმარებიდან გამოსული თორის

<sup>1</sup> И. Левинская. Деяния апостолов на фоне еврейской диаспоры. С.Пб. 2000. с.253-273.

<sup>2</sup> იქვე. სრული ბიბლიოგრაფია.

<sup>3</sup> Обращение Грузии. Перевод с древнегрузинского Е.С. Такайшвили. Редакционная обработка, исследование и комментарии М. С. Чхартушвили, Тб., 1986, с. 41, 50.

გრაგნილები უნდა შენახულიყო, მათ ჰყოლიათ ხაზანები, კოინები, მთარგმნელები, თორის კომენტატორები. „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობებიდან გამომდინარე, რომლებსაც მართლაც „დიდი სიძველის იერი, ცისფერი დაჰკრავს“<sup>1</sup>, მცხეთის ებრაული თემის სულიერი ცხოვრების ცენტრს სალოცავი სინაგოგა წარმოადგენდა.<sup>2</sup>

ებრაული ტრადიციული საქველმოქმედო სისტემა, „ცედაკას-ცადაკას“ საერთო სახელით რომ არის ცნობილი, ქართველ ებრაელთათვის ყოველდღიური ცხოვრების ნორმას შეადგენდა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

GURAM LORDKIPANIDZE

## TZEDAKAH INSTITUTION IN JEWISH CULTURE

### Summary

IN Jewish culture special significance is attached to a universal canonical charitable system Tzedakah. Its fundamentals are defined in Moses' Pentateuch and are of national character. Traditional Jewish concept of charity mandatory for pious Jews, whose mastering took place in the process of upbringing, comprised all aspects of social life. Being characterized by national unrestrictedness, it represented a mandatory life norm for all Jewish communities. Charitable activities in Galut (diaspora), including Georgia, are directed by synagogues. They guide the community's spiritual life and establish moral norms of behaviour. According to "Moktsevai Kartlisai" (IX c.), when Saint Nino arrived in Georgia she lived in Urbnisi synagogue for a month. Mtskheta's Jewish community had close ties with Jerusalem, Babylon, Rome, etc. Archaeological discoveries in Rome, Antioch, Ephesus and Corinth are the evidences of the fact that almsgivers were held in respect in the Jewish society. The inscription on the so-called "Aphrodis Stella" (III c. A.D.) discovered in Turkey in 1967 speaks of a canteen opened by the synagogue for poor people – this establishment was similar to modern Hessed. The names of the people who issued Tzedakah are immortal.

The rules of disinterested charity have been formed over the centuries: 1) Giving food and shelter to needy people. 2) Taking care of widows and orphans. 3) Assistance to paupers. 4) Visiting sick and lonely people. 5) Special attention to scholars teaching Torah and young people studying it.

According to Torah, striving for justice and well-doing is characteristic of the whole posterity of Abraham: "To keep a fair way in doing justice and judgment" (Mishlei 21:3). Torah's justice is similar to that of Tzedakah.

Each able-bodied pious Jew considers himself obliged to hand over 1/10 of his annual income to Tzedakah, and even "professional" beggars are not released from that.

---

<sup>1</sup> *მ. ლორთქიფანიძე*, ქართლი ახ.წ. V საუკუნეში, თბ., 1979; *მ. ლორთქიფანიძის შესავალი წერილი „მოქცევაი ქართლისაის“ პოლონური გამოცემისათვის*. იხ. Nawrocenie Karti, Warszawa, 1995, pp. 5-10. (ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორის დ. ყოლბაიას თარგმანი და კომენტარები).

<sup>2</sup> *C.B. Lerner*. The wellspring of Georgian Historiography. The Early Mediaeval Historical Chronicle. The Conversion of Karti; and The Life of St. Nino. London, 2004. pp. 60-77.

**მონაწილეები უკლავნიან  
ქვირფას მასწავლებელს**



## დოლენჯიშვილების სათავედო

ქართლის სათავადოები XV საუკუნეში, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის პერიოდში წარმოიქმნა. ქვემო ქართლში წამყვან როლს დიდი ფეოდალური საგვარეულოს – ბარათაშვილების წარმომადგენლები ასრულებდნენ. საგვარეულოს გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ რეგიონს ხშირად საბარათიანოდ მოიხსენიებენ წყაროები. ქვემო ქართლის მცირე სათავადოები XV–XVIII საუკუნეებში ბარათაშვილების სათავედოს დაშლისა და მათ შტო-გვარებს შორის პირველობისათვის ბრძოლის პირობებში ჩამოყალიბდა, ამ ბრძოლაში უპირატესობა ყაფლანიშვილებმა მოიპოვეს, დანარჩენი საგვარეულოები – ბარათაშვილთა შტოები (გერმანოზიშვილები, ორბელისშვილები, გოსტაშაბიშვილები, იოთამიშვილები, აბაშიშვილები...) და სხვებიც (სოლოლაშვილები, დოლენჯიშვილები, გურჯი-რევაზიშვილები ...) მცირე სათავადოებად ჩამოყალიბდნენ.

განსხვავებით ბარათაშვილთა სათავედოს ისტორიისა, რომელზედაც რამდენიმე სოლიდური გამოკვლევა არსებობს [19; 25; 28] (მათ შორის განსაკუთრებით გამოვყოფდი პროფ. გ. ჯამბურისა მონოგრაფიას), ქვემო ქართლის მცირე სათავადოების ისტორია ჯერჯერობით ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებო კვლევის საგანი არასდროს გამხდარა.<sup>1</sup>

### 1. გვარის წარმომავლობა

როგორც ჩანს, დოლენჯიშვილები მესხეთიდან ყოფილან. ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს: „დოლენჯიშვილი ან ჩამოსულნი მესხიდაშ“ [3. 34]. იოანე ბაგრატიონიც ამასვე ადასტურებს. იგი აღნიშნავს, რომ „ესენიც არიან ძირით სომხითის (გულისხმობს ქვემო ქართლს. ალ. ბ.) თავადნი და მიიღეს გვარად სახელისა გამო დოლენჯისა მეფობასა ვახტანგისასა ქრისტეს აქეთ 1703 წელს (1703-1711 წლებში ვახტანგი ქართლის ჯანიშინი იყო, ვახტანგ VI მეფედ 1716-1724 წლებში იყო. ა. ბ.) და მუნიდგან იწოდებოდნენ დოლენჯის შვილებად. ამათნი წინაპარნი ცნობილნი იყვნენ დროსა მეფისა სვიმონისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1624 და მათი გვარნი, რომელნიმე არიან ახალციხის ნაწილთა შინა“ [4. 35].

დოლენჯიშვილების მესხურ წარმოშობას ადასტურებს „პარიზის ქრონიკაც“, სადაც 1576 წელს მესხეთში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიება დოლენჯიშვილი ყანდურალი [5. 43; 18. 46; 31. 97].

<sup>1</sup> შიდა ქართლის მცირე სათავადოები მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს პროფ. გ. ოთხმეზურს, იხ. გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მცირე სათავადოები, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.

სამცხეში XVI საუკუნეში რთული ვითარება იყო. მაშინ, როცა საქართველოს სამეფო-სამთავროებში სათავადოთა სენიორალური სისტემა ყალიბდებოდა, სამცხის სამთავრო შინაომებით იყო მოცული – ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თავადები და აქაური მთავრები, ჯაყელები. ქაიხოსრო II-ის (1545-1574 წწ.) გარდაცვალების შემდეგ ათაბაგი მისი შვილი ყვარყვარე IV (1574-1581 წწ.) გახდა, მაგრამ სამთავროს, ფაქტობრივად, დედამისი, ენერგიული პოლიტიკური მოღვაწე და ძალაუფლების მოყვარე დედისიმედი განაგებდა. ჯაყელების შემდეგ პირველები შალიკაშვილები იყვნენ, დედისიმედი ვერ ურიგდებოდა შალიკაშვილების ძლიერებას, ამიტომ ვარაზა ოთარის ძე შალიკაშვილი მოაკვლევინა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა ათაბაგსა და შალიკაშვილებს შორის. მალე შეთქმულებამ იჩინა თავი და 1576 წლის ივნისში აჯანყების ხასიათი მიიღო [22. 125-126]. თითქმის ოცთვიანმა ომმა აჯანყებულებსა და ათაბაგებს შორის გამოიწვია ის, რომ განადგურდა ადგილობრივი მეურნეობა, დაინგრა მნიშვნელოვანი ციხეები. ამას დამატა ისიც რომ ოსმალეთმა დაიპყრო და 1579 წელს დააარსა ახალციხის (ახისხის, ჩილდირის) საფაშო [27. 133]. დამარცხებული თავადები (ზოგი ოსმალების, ზოგიც ჯაყელების ნინაღმდეგ მებრძოლი) იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ სამცხე-საათაბაგო და აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსულიყვნენ, სადაც დააარსეს ახალი საგვარეულოები და სათავადოები, თუმცა ყველა თავადი ერთი რანგით დაბლად სხვებთან შედარებით (შალიკაშვილები, დიასამიძეები, დოლენჯიშვილები და სხვ.). უფრო ადრე, XV საუკუნეში, გადმოდინ ფანასკერტელ-ციციშვილები. კერძოდ ზაზა ფანასკერტელის დროს, რომელიც ყვარყვარე II-ს ებრძოდა, დოლენჯიშვილები ჯაყელების მხარეს იბრძოდნენ, ყანდურადი დალენჯიშვილმა ჯაყელებს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ამ დაპირისპირებაში.

როგორც ჩანს, ჯაყელების ერთგული დოლენჯიშვილები ოსმალო დამპყრობლებს გამოექცნენ სამცხიდან. ყანდურადი ან, შესაძლოა, მისი შვილი გადმოსულიყო ქართლში, მესხეთში ოსმალების გაბატონების გამო, სვიმონ II-ის მეფობის პერიოდში (1624 წ.), ხოლო მოგვიანებით, ვახტანგ VI-ის ჯანიშინობის დროს (1703 წ.) დოლენჯიშვილებმა თავადობა მიიღეს. ამას ეთანხმება ისტორიული საბუთები, რომელთა მიხედვითაც XVIII საუკუნის დასაწყისამდე დოლენჯიშვილები მაინცდამაინც არ ჩანან ქართლის წარჩინებულ საგვარეულოებს შორის.

## **2. დოლენჯიშვილების მოღვაწეობა, თანამდებობები**

დოლენჯიშვილების მოღვაწეობა საბუთთა სიმწირის გამო კარგად ვერ იკვეთება, ამასთან, სიგელებში, სადაც ჩანან, უმეტესად მოწმეებად მოიხსენიებიან. მაგ., 1703 წელს ორბელიანთა ნასყიდობის წიგნს ამოწმებს დოლენჯიშვილი დურმიშხანა [9. 205]; 1730 წელს დემეტრე ყაფლანიშვილის ნასყიდობის წიგნის მოწმეა ვახტანგ დოლენჯიშვილი [9. 395] და ა. შ.

რაც შეეხება თანამდებობებს, ქართლის სამეფოს მასშტაბით უმნიშვნელო იყო. 1686 წელს „ქ. ნებითა და შეწვენითა“ მეფე გიორგი XI (1675-1688; 1703-1709 წწ.) ზაალ დოლენჯიშვილს ყაიყულის მებალახეობას აძლევს [9. 103; 13. 230]. იმ დროს სა-

ქართველოში მეტად მძიმე სიტუაციაა, ვახტანგ V-ის (შაჰნავაზ I) გარდაცვალების შემდეგ (1675), კახეთში ყიზილბაში ბეჟან-ხანი დასვეს. ამის შემდეგ კახეთს ყიზილბაში ხანები ჩაუდგნენ სათავეში. ვახტანგის მიერ გაერთიანებული აღმოსავლეთ საქართველო დაიშალა, ქართლში მისი ძე გიორგი XI (შაჰნავაზ II) გამეფდა. ეს უკანასკნელი შაჰისადმი დიდ მორჩილებას არ იჩენდა, ამიტომ შაჰმა იგი გადააყენა და მის მაგივრად რუსეთიდან დაბრუნებული და ახლად გამაჰმადიანებული ერეკლე I (ნაზარალი ხანი) (1688-1703 წწ.) დანიშნა. სწორედ ნაზარალი ხანმა ჩამოართვა დოლენჯიშვილს ყაიყულის ბეთლემის მოურავობა და ქაიხოსრო საგინაშვილს გადასცა [20. 26].

შემდგომში ქაიხოსროს მეფისთვის უღალატია, ამიტომ „ჩამოერთვა ხასადრობა ხსენებული (ყაიყულისა) მხარისა და ტარულობა სოფლებისა ყიზილქილისისა და ურთულისა და ბოძებულია შეწყნარების თანაგრძობით ნარჩინებულთა შორის რჩეულთარ ბეგისადმი, სიდიადის საფარველ ასლან ბეგ ბარათაშვილის ძისადმი“ [20. 26]. თუმცა ნაზარალი ხანს დოლენჯიშვილები ამ მხარისთვის სულ არ მოუშორებია, 1692 წელს ყაიყულის ბეთლემის (სოფელია) მოურავობას იასე დოლენჯიშვილს აძლევს, „გქონდეს და გიბედნიეროს ღ-თნ ჩვენს ერთგულად სამსხურსა შინა“ [9. 359].

გიორგი XI რამდენიმე წლის განმავლობაში განაგრძობდა ტახტისთვის ბრძოლას, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ, იგი ირანში წავიდა, სადაც ყანდაარის ბეგლარბეგად დაინიშნა გურგენ-ბეგის სახელით. მას საეჭვოდ მოეჩვენა გილზაების ტომის ბელადისა და ქალაქ ყანდაარის მემკვიდრეობითი ქალანთარის – მირვეისის საქმიანობა და გავლენა ხალხზე, ამიტომ ავღანეთში, შაჰის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, მირვეისი დააპატიმრა და გასასამართლებლად შაჰთან გაგზავნა [23. 409]. მირვეისმა შაჰის კარზე ყველა მოქრთამა, მათ შორის, გურგენ-ხანის ძმა, ირანის მდივანბეგი ლევანიც. ამ უკანასკნელმა ძმას წერილი მისწერა, რომელშიც ცდილობდა დაესაბუთებინა მისთვის მირვეისის უდანაშაულობა. ამას დავმატა 1708 წელს სომეხი ისრაელ ორის რუსეთის ოფიციალური ელჩის სახით ირანში ჩასვლა, რის გამოც შაჰს ქართველებისა და სომხების ერთგულების მიმართ ადრე გარჩენილი ეჭვი კიდევ უფრო გაუძლიერდა. ამით ისარგებლა მირვეისმა და თავისუფლებას ადვილად მიაღწია.

მირვეისმა მალე აჯანყება დაიწყო. მისმა ჯარებმა დაიკავეს ყანდაარი, ამონყვიტეს შაჰის გარნიზონი, მოკლეს ბეგლარბეგი გურგენ-ხანიც [23. 409-410]. როდესაც გირშკის ციხე ალყაში იყო, აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი, „აქა იხილე ზაკულება, რამეთუ მირვეისი არსენს დოლენჯიშვილს უვლინებდა საკმაოსა ფქვილსა“ [3. 487]. 1711 წელს მირვეისთან ბრძოლას შეეწირა გიორგი XI-ის ძმა, სპარსეთის ამირსპასალარი ქაიხოსრო და ბატონიშვილი ალექსანდრე. მირვეისი ვერ დაამარცხეს, იგი სიკვდილამდე (1715 წ.) დამოუკიდებელ მმართველად დარჩა [23. 409-410].

გიორგი მეფესთან სამსახურზე საუბრობს თვითონ არსენ დოლენჯიშვილიც 1713 წლის 29 მარტის ღალის ამოკვეთის წიგნში, რომელშიც იგი მანგლისის ეპისკოპოსად გვევლინება და ადგილობრივ მოსახლეობას გადასახადებისაგან ათავისუფლებს: „დიდად სახელოვნის და წამებულის მეფეთ-მეფის გიორგის ნამსახურმა

და ყანდაარს თან ნახლმა საჭეთმპყრობელ მმართველმან, მანგლელ მთავარეპის-კოპოზმა დოლენჯისშვილმა ბატონმა არსენ ესე საბოლოოთ სითარხნის წიგნი გი-ბოძე თქვენ – მანგლისელებს მოყალნეებს" [14. 694; 19. 24-25; 29. 10; 30. 10].

1750 წლის პირობის წიგნი, რომელსაც ზაზა ზაზუნაშვილი დავით გოსტაძაძიშ-ვილს აძლევს, დეკანოზ მიქელ დოლენჯიშვილს დაუნერია [8. 143]. 1780 წლის 31 იანვარს გერმანოზიშვილი ერასტი უჩიოდა ყაფლანაშვილ ზაალს და ზურაბს. ერას-ტის ბიძას პაატას ყაფლანაანთვის მინა მიუყიდა. მოგვიანებით ნახევარი ერასტის ბებიას გუქას გამოუსყიდა, მაგრამ მოგვიანებით გაუძარცვავთ და სხვა ნივთებ-თან ერთად ეს საბუთიც დაუქარგავთ. მონმედ ყოფილა დეკანოზი მიქელ დოლენ-ჯიშვილი. ამ უკანასკნელმა დაიფიცა, რომ აღნიშნული საბუთი მართლაც არსებობ-და და ქალბატონი გუქა მისი დაკარგვის გამო დიდად სწუხდაო [8. 147-148; 15. 100].

1728 წლის რამაზაშვილის მიერ ზურაბ ზურაბიშვილისთვის მიცემული თავდახ-სნილობის წიგნში მონმედ მოიხსენიება იოანე დოლენჯისშვილი მოლარეთუხუცესი [10. 20-22].

1750 წლის ერთ სიგელში მოიხსენიება ანჩის კანდელაკი დოლენჯი [12. 272]. სა-ბუთში არ არის მითითებული, რომ ეს დოლენჯი დოლენჯიშვილია, მაგრამ სახელი საგვარეულოა და, გარდა ამისა, ამ პერიოდში ორი დოლენჯი ჩანს საგვარეულოში. 1681-1721 წლების საბუთებში მოიხსენიება დოლენჯი, რომელიც ყაიყულის მეზა-ლახე ზაალის სახლიკაცი იყო [9. 103; 11. 230] და მეორე, რომელსაც ჰყავს მამა იო-ბი, ძმები გივი და იოთამ დოლენჯიშვილები [9. 349].

ასე რომ, საერო თუ სასულიერო თანამდებობები (ყაიყულის მეზალახეობა, მო-ლარეთუხუცესი, მანგლისის მთავარეპისკოპოსი, კარის დეკანოზი...) სხვადასხვა დროს საგვარეულოს ცალკეულ წარმომადგენლებს ეკავათ და ისინი მემკვიდრეო-ბით არასდროს გადასულა.

1773 წელს ერეკლე II-მ და სოლომონ I-მა აღადგინეს თავიანთი კავშირი, ხოლო ხელშეკრულების ტექსტის ასლი რუსეთში გაგზავნეს, ამ ხელშეკრულების რუსეთის საიმპერატორო კარზე წასაღებად გაგზავნილი იყო თავადი დოლენჯიშვილი [24. 93].

### **3. სიგელები**

დოლენჯიშვილებს რამდენიმე საგვარეულო სიგელი აქვთ. გივი, დოლენჯი და იოთამ დოლენჯიშვილებს „ებყას ვენაჯის ნახევარი“, ბოლნისი და „ნაზარაშვილის მიწა ბანს უკან“ 1729 წელს თავიანთი მამისთვის – იობისთვის მიუციათ [9. 349].

1778 წელს მოლარეთუხუცესი იოანე დოლენჯიშვილი მეფეს არზით მიმართავს, რომ გურჯი-რევაზიშვილი ბოქოულიშვილი კიკოლა გარდაცვლილი გოგია დოლენ-ჯიშვილის მამულზე დაობდა. გოგია და იოანე ბიძაშვილები ყოფილან და არც გაყ-რილან, ამიტომ მეფემ „განაჩინა“: „აკაურთა თავეთი წილი დოლენჯიშვილს დარჩა, ამისთვის, რომ ბოქოულისშვილს არაფერი წიგნი არა ჰქონდა [15. 61-62].

1783 წლისათვის იოანე დოლენჯიშვილი გარდაცვლილი ჩანს, რადგან მისი ყო-ფილი ყმები იულონ ბატონიშვილს მიმართავენ, „გაუცემელი ჩვენ დავრჩომილ-ვართ... თქვენი ყმობა გვაღირსეთ, გვიშველეთ რამე და ნურავის მიგვცემთო“ [16.

659]. იოანეს მეუღლე მახია (რომელიც მოგვიანებით 1801 წ. სიძეს ომან ამილახვრის ძეს ნინიას უჩივის მზითვის თაობაზე) [17. 740] და ორი ასული დარჩა. ცნობილია იოანეს ასულის – ანას მზითვის წიგნი, სადაც უამრავი რამაა ჩამოთვლილი [7. 403-408].

რადგან იოვანე დოლენჯიშვილს მემკვიდრე არ ჰყავდა, იოანეს ოჯახის მოვლა-პატრონობა თავის თავზე პაპუნა საგინაშვილმა აიღო. პაპუნა 1785 წლის 31 დეკემბერს ერეკლე II-ს არზით მიმართავს, „იმისი (იოვანე დოლენჯიშვილის) ყმა და მამული მე მომბაბრეთ ოქმითა“. ახლა კი „ციციშვილი ამილამბარ მომედავო“. ერეკლე II-მ საგინაშვილს „ნება და ბრძანება“ მისცა ძველებურად განეკარგა დოლენჯიშვილის მამულები და ქონება [7. 401]. პაპუნამ 1786 წელს მამულის ნაწილის გაყიდვის უფლება ითხოვა, რათა „ობლებს გზა მისცეს“ [17. 776-677; 7. 401-402]. 1787 წელს მართლაც გაყიდა იოანეს გლეხები, „ასე რომ, მისის უმაღლესობისაგან მებძანა იმისი ყმისა და მამულის გასყიდვა და იმის ვალებში მიცემა“ [7. 402], იმავე წელს მილახვარ ბაბანაშვილს იოვანე დოლენჯიშვილის მემკვიდრე ყმები ლალაფეროზაშვილი ნასყიდა და ბერუა მიჰყიდა [7. 402].

დოლენჯიშვილებს დიდი ხნის განმავლობაში სამამულე დავა ჰქონდათ იოთამიშვილებთან. საიოთამიშვილო მათ მოსაზღვრე სათავადოს წარმოადგენდა. მაგ., 1676 წელს ბერ (აქ საკუთარი სახელია) დოლენჯიშვილს სახლის წინ მინა შეულობავს, რაზედაც ედავებოდნენ იოთამიშვილები. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას გადაეცა ტერიტორია გზის ზევით, ხოლო გზის ქვევით – იოთამიშვილებს [5. 86]. იმავე წლებში იოთამიშვილებს დოლენჯი და მისი სახლიკაცი ზაალიც ედავებოდნენ საზღვრებს [5. 86-87].

1741 წელს ვახტანგ დოლენჯიშვილი ლასურს ედავებოდა ახალშენის ვენაქს, „შენ, რომ ტფილელს მიგიყიდე“ ახალშენი, შენი სამკვიდრო არ იყო და ამიტომ არც გამიტანებიაო. სამართალმა ვახტანგს მისცა ახალშენი [15. 352].

#### **4. სამფლობელოები**

დოლენჯიშვილების სამფლობელოები დმანისის ხეობაში იყო. 1721 წლის მენინავე სადროშოს აღწერის მიხედვით, მებატონეებად ჩანან ზაალ და იოთამ დოლენჯიშვილები.

ზაალ დოლენჯიშვილს ყმები ჰყავდა სამღერეთსა და აკაურთაში, სულ 14 კომლი, ორი ბოგანო და ერთი აზნაური (აკაურთაში) შიომ ბუში მოლაშქრე [1. 71-72].

იოთამ დოლენჯიშვილს ყმები ჰყავდა სამღერეთში, ახალშენსა და აბულმაგში, სულ 6 კომლი და ერთი ბოგანო.

მთლიანობაში, სულ რაღაც ოთხ სოფელში, კერძოდ, აბულმაგში, აკაურთაში, ახალშენსა და სამღერეთში დოლენჯიშვილებს ჰყავდათ 20 კომლი გლეხი და 3 ბოგანო, 1 მოლაშქრე და 1 აზნაური [1. 71-72].

დოლენჯიშვილების გერბი ცნობილი არ არის.

ნაშრომში განხილული სათავადოს ისტორია, როგორც აღვნიშნეთ, აქამდე საგანგებო კვლევის საგანი არასდროს გამხდარა. დოლენჯიშვილების სათავადო ქვემო ქართლში არსებობდა XVI-XVIII საუკუნეებში. თავადი დოლენჯიშვილი 1783

წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ქართველ თავადთა სიებში მე-15 ადგილზე მოიხსენიება [2. 484], მაგრამ რუსეთის იმპერიის წარჩინებულ საგვარეულოებს შორის აღარ ჩანან [11]. იოანეს გარდაცვალების (XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი) შემდეგ დოლენჯიშვილების სათავედო ფაქტობრივად გაუქმდა, მისი მამულები და შემოსავალი საგინაშვილმა მიიღო, ნაწილი სიძეს – ნინია ამილახვარს დარჩა.

## წყაროები და ლიტერატურა

### წყაროები

1. აღწერა მენინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა, *ე. თაყაიშვილის გამოც.*, თბ., 1907.
2. გეორგიევსკის ტრაქტატზე დართული „ნუსხა ქართლ-კახეთის თავადების და აზნაურებისა 1783 წ.“, წგნ.: ქართული სამართლის ძეგლები, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965.
3. *ვახუშტი ბაგრატიონი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
4. *იოანე ბაგრატიონი*, შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, მასალა ისტორიისათვის, რედაქტორი და გამომცემელი ზ. კაცელაშვილი, თბ., 1997.
5. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, *მ. სურგულაძემ*, ტ. II, თბ., 1993.
6. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევა და საძიებლები *ქ. შარაშიძისა*, ნაწ. I, თბ., 1961.
7. საქართველოს სიძველენი, *ექ. თაყაიშვილის* რედაქტორობით, ტ. I, ტფ., 1899.
8. საქართველოს სიძველენი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, *ექ. თაყაიშვილის* რედაქტორობით, ტ. I, ტფ., 1920.
9. საქართველოს სიძველენი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, *ექ. თაყაიშვილის* რედაქტორობით, ტ. II, ტფ., 1909.
10. საქართველოს სიძველენი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, *ექ. თაყაიშვილის* რედაქტორობით, ტ. III, ტფ., 1910.
11. ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპირი გამოცემა ზ. ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 2005.
12. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ყორღანისა მიერ, ფოთი, 1903.
13. ქართული სამართლის ძეგლები, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965.
14. ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970.
15. ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. V, თბ., 1974.


16. ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო არზა ოქმები, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VII, თბ., 1981.
17. ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო არზა ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VIII, თბ., 1985.
18. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1980.
19. ალ. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთ., 1891.
20. მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და პოქმები, I, თბ., 1949.

#### ლიტერატურა

21. დ. გერიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ქართლის სათავადოები, თბ., 1955.
22. ვ. გუჩუა, საქართველო XVI -ის 50-70-იან წლებში, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
23. დ. კაციტაძე, ირანის ისტორია, თბ., 2001.
24. ი. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.), უურნ.: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი), ნაკვ. II, თბილისი, 1940 წელი.
25. გ. მჭედლიძე, ქვემო ქართლის სამონასტრო სენიორიების ისტორიიდან (გუდარეხი, ფიტარეთი), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2004.
26. გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII სს.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1999.
27. მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბ., 1971.
28. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სომხთ-საბარათიანოს სათავადოები, თბ., 1955.
29. Грузинскія крестьянскія грамоты, крепостные и судебные акты, составитель Д. П. Пурцеладзе, Тфл., 1882.
30. Грузинскія церковные гуджари (грамоты), составитель Д. П. Пурцеладзе, Тфл., 1881.
31. Парижская хроника, примечания и указатели Г. Г. Аласания, Тб., 1991.



## დოლენჯიშვილების გენეალოგია



1. დოლენჯიშვილი საბაქთარ (1696)
2. დოლენჯიშვილი ბერი (1676–1701)
3. დოლენჯიშვილი არსენი (1713) – მანგლისის არქიეპისკოპოსი
4. დოლენჯიშვილი მიქელი (1750–1780) – კარის დეკანოზი

## DOLENJISHVILI PRINCEDOM

## Summary

THE work "Dolenjishvili Principedom" studies the history of one of the principalities of Lower Kartli. Vakhushti Batonishvili provides information about them: "The Dolenjishvilis – those who arrived from Meskheta". They settled in Kartli in XVI century after leaving Samtskhe because of complicated political situation. (Some of the Meskh patrimonies were struggling against Ottomans and some – against the ruling clan of Jakelis). Dolenjishvilis founded their principedom in Lower Kartli at the beginning of XVIII century, during the temporary governance of Vakhtang VI in 1703. Prior to this, they had not acted openly on the political arena. They held unimportant posts in the kingdom of Kartli, but those posts were not of hereditary character. They had their estates in the Pankisi gorge. According to the depiction of 1721 of the "Advanced Sadrosho" (a military-political unit in Medieval Georgia) the Dolenjishvilis possessed 20 peasants, 3 boganoes (poor men), 1 soldier and 1 nobleman. At the beginning of 80s of XVIII century, the death of Ioane Dolenjishvili practically caused the abolition of the principedom. His estates and incomes were granted to Saginashvili and part of the property was left to Dolenjishvilis' daughter-in-law – Nina Amilakhvari. Prince Dolenjishvili is the 15<sup>th</sup> in the list of Georgian princes mentioned in 1783 Georgievski Treatise, but they are not noted in the lists of Georgian nobles of the Russian Empire in XIX century.

**მითაზი და ლეგენდები**  
**დავით აღმაშენებლის შესახებ**  
 (ლათინური, ებრაული და ეთიოპიური  
 წყაროების ანალიზის საფუძველზე)

**მითაზი** და ლეგენდები ძველი დროიდან ვრცელდებოდა. ისტორია მრავალ მსგავს ფაქტს იცნობს. საქართველო ანტიკური სამყაროსათვის სამი ძირითადი მითის საშუალებით გახდა ცნობილი:

1. ეს იყო მითი პრომეთეს შესახებ, რომელიც კავკასიის, კერძოდ კი იალბუზის ქედზე იქნა მიჯაჭვული, მას შემდეგ, რაც ღმერთებს მათი საიდუმლო იარაღი – ცეცხლი მოპარა და დედამიწაზე ჩამოიტანა.<sup>1</sup>

2. მითმა, რომელმაც საქართველოს სახელი გაუთქვა, იყო თქმულება არგონავტიების შესახებ, სადაც აღწერილია ელინური ხომალდის, არგოს, თავგადასავალი კოლხეთის სამეფოში და იქიდან ოქროს სანძისის მოპარვის ამბავი. აღწერილია არგოს წინამძღვრის იასონის სასიყვარულო ისტორია აიეტის – კოლხეთის მეფის ქალიშვილთან, მედეასთან, რომლის დახმარებითაც მოახერხა გმირმა იასონმა ოქროს სანძისის საბერძნეთში წაღება.<sup>2</sup>

3. თქმულება, რომელმაც ასევე გაუთქვა საქართველოს სახელი, გადმოცემულია ე.წ. „ფარსმანის წერილში“, რომელიც ერთ-ერთმა რომაელმა ავტორმა დაახლ. II-IV საუკუნეებში დაწერა. აქ იბერიის მეფის ზღაპრული სამეფოა აღწერილი და ის საკმაოდ პოპულარული იყო როგორც ანტიკურ პერიოდში, ასევე შუა საუკუნეებშიც და ითარგმნა კიდევც ძველფრანგულ და ძველინგლისურ ენებზე.<sup>3</sup>

ამ შემთხვევაში ჩვენ შევეცდებით გავცნოთ შუა საუკუნეებში შექმნილ მითებსა და ლეგენდებს საქართველოს შესახებ. ნაშრომში წარმოდგენილია პერიოდი, როდესაც საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი არსებობის მწვერვალს მიაღწია. ამ პროცესის სულის ჩამდგმელი და ხორცის შემსხმელი დავით IV აღმაშენებელი (1089-1125) იყო. დავითმა საქართველოს თურქთ-სელჩუკთა უღელი მოხსნა და თითქმის მთელი კავკასიის მასშტაბით განიმტკიცა მმართველობა. დავითის სა-

<sup>1</sup> *შვაბი გუსტავი*. ოქროს სანძისი. გერმანულიდან თარგმნა აკაი გელოვანმა. ნაკადული, თბ., 1979, გვ. 25-30.

<sup>2</sup> *აპოლონიოს როდოსელი*. არგონავტიკა. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ, გამოსცა, კომენტარები და საძიებელი დაურთო აკაი ურუშაძემ, თბ., 1970, გვ. 177-250.

<sup>3</sup> უცნობი რომაელი ავტორი (IV ს.). ფარსმანის წერილი. ფარსმანის წერილი ქართული თარგმანითურთ გამოსცა *ალექსანდრე თვარაძემ*. *akademia*, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი. 4, 2002, გვ. 43-52; თვარაძე ალექსანდრე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. თბ. 2004. გვ. 200.

ხელს უკავშირდება საქართველოს საერთაშორისო სტატუსის შეცვლა. დავითის შემდეგ ყველა ქართველი მეფე, ვიდრე სამეფოს დაშლამდე (XV ს.), თვითმპყრობელი ხდება და იმპერატორად იწოდება.<sup>1</sup> ის სამართლიანად ითვლება საქართველოს ყველა დროის საუკეთესო პოლიტიკურ მოღვაწედ, ამდენად თემა დავითის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის ამსახველი ცნობების შესახებ ყოველთვის აქტუალურია.<sup>2</sup>

ბოლო ხანებში (2006 წელს) გამოქვეყნდა ს. მარგოშვილის მონოგრაფია სათაურით „მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ“.<sup>3</sup> თემა ერთი შეხედვით ახლოს უნდა იყოს ჩვენს ნაშრომთან, თუმცა სიტუაცია სხვაგვარია. ს. მარგოშვილი თავის მონოგრაფიაში აკრიტიკებს მკვლევრების ერთ ნაწილში მიღებულ მოსაზრებას დიდგორის ბრძოლის მონაწილე ქართველებისა და მუსლიმური კოალიციის რაოდენობის შესახებ. ის არაფერს არ წერს იმის შესახებ, რომ შუა საუკუნეებში მიღებული გახლდათ არარეალური ციფრებით მანიპულირება. იმ პერიოდში მცხოვრები ადამიანის შეცდომების მიზეზი ხშირად მათ არაინფორმაციულობასთან ერთად ცრუმორწმუნეობაც გახლდათ (ანუ ყველაფრის ადვილად დაჯერება ინფორმაციის გადამოწმების საშუალების არქონის გამო). ამდენად, თუ წყაროთა ეს მონაცემები მკვლევართა ერთმა ნაწილმა გაიზიარა, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ აქ საქმე გვაქვს „მითებთან“ ანდაც ლეგენდასთან.

მითები და ლეგენდები დავითის შესახებ მართლაც იქმნებოდა. კარგად არის შესწავლილი ლეგენდები იოანე პრესბიტერის შესახებ, სადაც, როგორც მკვლევრები სამართლიანად ფიქრობენ, პოლიტიკური მოვლენების აღწერისას მრავალი რამ უნდა იყოს აღებული დავითის პერიოდის საქართველოს ცხოვრებიდან.<sup>4</sup> იოანე პრესბიტერის შესახებ ცნობები ლეგენდარულია, მაგრამ ტოტალური არაინფორმაციულობისა და სამყაროს ერთგვარი მისტიკური ხედვის პერიოდში სწორედ მსგავსი მითები აყალიბებდა შეხედულებებს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური წონის შესახებ. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ წარმოვადგინთ მითებსა და ლეგენდებს დავით აღმაშენებლის შესახებ, სადაც ქართული ისტორიოგრაფიისათვის ნაკლებად ცნო-

<sup>1</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: *თავაძე ლერი*. მართლმადიდებელი იმპერიის იდეა და საქართველო (ნარკვევები აღმოსავლეთ ევროპის საინტეგრაციო ზონის ისტორიისათვის, XII-XV საუკუნეები). სამაგისტრო ნაშრომი, შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ პუმანიტარული ფაკულტეტი, 20908 – საქართველოს ისტორია. თბ., 2007. გვ. 22-45.

<sup>2</sup> დავით აღმაშენებლის მოღვაწეობაზე ვრცელი ლიტერატურა არსებობს, მათ შორის, იხილეთ: *მეტრეველი როინ*. დავით აღმაშენებელი. თბ., 1986; *მარგოშვილი სოსო*. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. სიესტა. თბ., 2006.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იოანე პრესბიტერის მითისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ იხილეთ შემდეგი ლიტერატურა: *ბადრიძე შოთა*. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან. თბ., 1984; *თვარაძე ალექსანდრე*. დასახ. ნაშრ. გვ. 212-219; *რევიშვილი შოთა*. საქართველო გერმანულ თქმულებაში იოანე პრესბიტერზე (XI-XVI სს.), ნარკვევები გერმანულ-ქართული ლიტერატურულ კავშირზე. თბ., 1987; *ვოგოლაძე ანდრო*. იოანე პრესბიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ. მერიდიანი. თბ., 2005.

ბილ წყაროებს მოვყენთ ნათელს, რომლებიც ძირითადად დაცულია ებრაულ, ასევე მცირე დოზით ეთიოპიურ წყაროებში.

ჩვენს ხელთ არსებული ლათინური მასალებიდან აღსანიშნავია ის მრავალფეროვანი ლიტერატურა, რომელიც დაცულია იოანე პრესბიტერის შესახებ. იოანე პრესბიტერი შუა საუკუნეებში მცხოვრებ ტიპური დასავლეთ ევროპელის წარმოდგენაში აღიქმებოდა, როგორ მეფე-მღვდელი, რომელიც მართავდა უზარმაზარ ქრისტიანულ სახელმწიფოს და წარმოადგენდა ყველაზე სრულყოფილი მონარქის განსახიერებას.

ჩვენს ხელთ არსებულ ლათინურ წყაროებში იოანე პრესბიტერის პირველად 1145 წელს, ოტო ფრაიზინგელის ქრონიკაში ჩნდება. ეს არის პერიოდი, როდესაც ჯვაროსნებმა დაკარგეს ედესის საგრაფო, რომელიც იმად აღ-დინ ზენგმა 1144 წელს აიღო და იქიდან ჯვაროსნები სამუდამოდ გარეკა. ფრაიზინგელის ცნობის ჩვენთვის ყველაზე საინტერესო თარგმანი მოცემული აქვს შოთა ბადრიძეს:

„რამდენიმე წლის წინ იოანემ – მეფემ და ხუცესმა – რომელიც ცხოვრობს სპარსეთსა და არმენიის იქით უკიდურეს აღმოსავლეთში (იგი თავისი ხალხითურთ ნესტორიანულ ქრისტიანობას აღიარებს), ერთ-ერთ ბრძოლაში დაამარცხა სპარსეთისა და მიდიის მეფე-ძმები, სახელად შამიარდოები და აიღო მათი სატახტო ქალაქი ეკატანა“.

„ეს მეფეები შეეგებნენ იოანეს თავიანთი მხედრობით, რომელიც შედგებოდა სპარსელთა, მიდიელთა და ასურელთაგან... სამ დღეს გრძელდებოდა მათი ბრძოლა, ისე, რომ თითოეული მხარე სიკვდილს უფრო ირჩევდა, ვიდრე გაქცევას. მაგრამ ბოლოს მაინც სძლია იოანე ხუცესმა და მეტად სისხლიანი ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა“.

„ამის შემდეგ იოანე გაემართა საომრად, რათა დახმარებოდა იერუსალიმის ეკლესიას... [ის მდინარე] ტიგროსს მიადგა... ამინდების გამო იოანემ ბევრი დაკარგა თავისი ხალხიდან და იძულებული გახდა შინისაკენ დაბრუნებულიყო“.<sup>1</sup>

ეს არის იოანე პრესბიტერის ლეგენდის ერთ-ერთი პირველი ისტორიული ცნობა, სადაც, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად მიიჩნევენ, ბევრ პასაჟს ოტო ფრაიზინგელი, არც მეტი არც ნაკლები, დავით IV აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების ცხოვრებიდან იღებს.

არსებობს რამდენიმე საგულისხმო ფაქტი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს:

1) პირველი ეს არის გეოგრაფიული მდებარეობა. იოანე პრესბიტერის სამფლობელოები, ოტო ფრაიზინგელის მიხედვით, სპარსეთისა და არმენიის იქით მდებარეობდა ანუ უკიდურეს აღმოსავლეთში. აქ ამ შემთხვევაში ქვეყნის დასალიერი იგულისხმება, რომლის იქითაც ტრადიციული ევროპული მსოფლმხედველობა

<sup>1</sup> ბადრიძე შოთა. დასახ. ნაშრ. გვ. 153-154.

ალექსანდრეს მიერ ჩაკეტილ კარებსა და მის იქით მცხოვრებ გოგისა და მაგოგის აპოკალიპტიურ ხალხებს მოიაზრებდა.<sup>1</sup>

2) მეორე ეს არის მეფე-ძმების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც სპარსეთის, მიდიისა და ასურეთის ჯარებს მიუძღვებიან იოანე პრესბიტერთან საბრძოლველად. როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელს მართლაც უწევდა ბრძოლა ისეთ მეტოქეებთან, როგორებიც იყვნენ სულთანი მაჰმუდი და მისი ძმა, მომავალი სულთანი თორღულ-ბეგი, რაც, შოთა ბადრიძის აზრით, აისახა კიდევ იოანე პრესბიტერის ლეგენდაში.<sup>2</sup>

3) კიდევ ერთი მიზეზი იოანე პრესბიტერის გაიგივებისა ქართველ მონარქებთან გახლდათ ქრისტიანული მრწამსი იოანესი. იოანე ფრაიზინგელის ქრონიკიდან ვიგებთ, რომ იოანე პრესბიტერი, ნესტორიანელი ქრისტიანი იყო. მართალია, საქართველო ამ შემთხვევაში არ იყო ნესტორიანული, თუმცა იოანე სკილიცას მიხედვით ნესტორიანელობას საქართველოში ძლიერ ჰქონდა ფეხი მოკიდებული.

ნესტორიანელობის წინააღმდეგ ბრძოლის გამოძახილი უნდა იყოს არსენ იყალთოელის მიერ შედგენილი „დოღმატიკონიც“, რომლის ნაწარმოებების დიდი ნაწილი ნესტორიანელობის წინააღმდეგ არის მიმართული. ეს კარგად უჩვენებს XII საუკუნეში მათ წინააღმდეგ მიმართულ აქტიურ ბრძოლას, რაც ამ შემთხვევაში ნესტორიანელობის საქართველოში გააქტიურებით უნდა აიხსნას, რასაც მიუძღვნა კიდევ მისი პოლემიკური ნაწარმოები არსენ ვაჩესძე იყალთოელმა.<sup>3</sup>

4) სამი დღე-ღამის ბრძოლის მოტივი, რომლის მსგავსი მოვლენა დადასტურებულია დიდგორის ბრძოლის დროს, როდესაც ქართველებმა 3 საათში დაამარცხეს მეტოქე და სამი დღე-ღამე სდიეს მათ ბრძოლის შემდეგ.<sup>4</sup>

5) იერუსალიმის დასახმარებლად გალაშქრება და საერთოდ იერუსალიმის მოტივი იოანე პრესბიტერის ლეგენდაში. როგორც ქართული და სპარსული ცნობებით ირკვევა, დავით აღმაშენებლის ჯარი მართლაც იღებდა მონაწილეობას წმინდა მინაზე მიმდინარე ბრძოლებში. მართალია, ჯარის რაოდენობა უმნიშვნელო იყო, მაგრამ თვით ფაქტის დაფიქსირება მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანია, ამასთან საქართველოში ყოველთვის იყო სწრაფვა იერუსალიმის დაუფლებისკენ, რაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანწილად ეთანხმება ამ ლეგენდას.<sup>5</sup>

<sup>1</sup> თვარაძე ალექსანდრე. დასახ. ნაშრ. გვ. 214-216.

<sup>2</sup> ბადრიძე შოთა. დასახ. ნაშრ. გვ. 170.

<sup>3</sup> იქვე. 174-175.

<sup>4</sup> გოგოლაძე ანდრო. დასახ. ნაშრ. გვ. 56; როგორც ა. გოგოლაძე აღნიშნავს სამი საათისა და სამი დღის მოტივი შესაძლოა იყოს ზოგადად დამთხვევა, რადგან, იოანე პრესბიტერის სახელით შედგენილ ცნობილ ეპისტოლეებში ხშირად ფიქსირდება საკრალური რიცხვი სამი და შვიდი, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იოანე პრესბიტერის ლეგენდის მოტივები და საქართველოს ისტორიული რეალობიდან აღებული სიუჟეტები, ძალიან ხშირად ემთხვევა ერთმანეთს და, აქედან გამომდინარე, მსგავსი ზოგადი დამთხვევები, საბოლოოდ, საკმაოდ სერიოზულ სახეს იღებს.

<sup>5</sup> თვარაძე ალექსანდრე. დასახ. ნაშრ. გვ. 133.

არსებობს აგრეთვე არაბული წყაროების მონშობა ქართველების მიერ სირიის მიმართულებით გალაშქრების შესახებ, საიდანაც ვიგებთ, რომ მათ ისლამური ქვეყნები დაულაშქრიათ. არ არის გამორიცხული, რომ ლეგენდაში სწორედ ეს ლაშქრობა იყოს ასახული.<sup>1</sup>

6) ბოლო და, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მიზეზი ლეგენდის საქართველოსთან პირდაპირი კავშირისა არის თავად სახელი – იოანე პრესბიტერი, რომელიც, ა. თვარაძის მონშობით, ძლიერ უახლოვდება საქართველოში დაფიქსირებულ მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელს, რომელიც, მსგავსად იოანე მეფე-მღვდლისა (პრესბიტერი ლათინურად მღვდელს ნიშნავს), წარმოადგენდა როგორც სასულიერო, ასევე საერო პირს.<sup>2</sup>

ამასთან, XII საუკუნის I ნახევარში, საქართველოში სახელი იოანე არაერთ პიროვნებაზე ფიქსირდება: იოანე ბერი – დავით აღმაშენებლის მოძღვარი, იოანე კათალიკოსი, ივანე აბულეთისძე, ივანე ორბელი, იოანე მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და ა.შ.

აქვე უნდა დავამატოდ ისიც, რომ ლეგენდის გავრცელებას (1145) წინ უსწრებდა ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა: 1138/1139 წელს საქართველოს ამირსპასალარმა ივანე (იოანე) აბულეთისძემ დალაშქრა და აიღო ქალაქი განძა – ეს უკანასკნელი თავის დროს სელჩუკთა სულთნის რეზიდენცია იყო, რაც ეთანხმება ოტო ფრაიზინგელთან დაფიქსირებულ სპარსელი მეფე-ძმების რეზიდენციის აღების ამბავს.<sup>3</sup>

ყველაფერი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იოანე პრესბიტერის ლეგენდაში საქართველოს შესახებ გავრცელებულ მითებს დიდი ადგილი უკავია და რომ მათი გავრცელება, ძირითადად, დავით აღმაშენებლის ანდა მის პერიოდში მოვლანე პირების სახელს უკავშირდებოდა.

ეს რაც შეეხება ლათინურ წყაროებს. მაგრამ არსებობს ებრაული წყაროები, რომლებიც აგრეთვე გადმოგვცემენ არაერთ მითს დავით IV აღმაშენებლის შესახებ.

ამ შემთხვევაში ლაპარაკი გვაქვს ბენჯამინ ტუდელას მოთხრობილ ამბავზე, რომელიც, მისი თქმით, თავისი ე.წ. მოგზაურობის პერიოდში მოისმინა. თავად ბენჯამინ ტუდელა დაიბადა ესპანეთის ტერიტორიაზე – ნავარაში, კერძოდ ქალაქ

<sup>1</sup> *ჯაფარიძე გონა*. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბ. 1995, გვ. 44-45.

<sup>2</sup> *თვარაძე ალექსანდრე*. დასახ. ნაშრ. გვ. 217-219; *გოგოლაძე ანდრო*. დასახ. ნაშრ. გვ. 52-63; თვარაძის მოსაზრება არ გაიზიარა ა. გოგოლაძემ და აღნიშნა, რომ დავითის მიერ მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობის შემოღება სულ სხვა მიზანს ემსახურებოდა, ხოლო იოანე პრესბიტერის იდეა ახლოს იყო ჯვაროსნული ლაშქრობის დროს გავრცელებული ცეზაროპაპიზმის იდეოლოგიასთან – რაც პაპის ხელში საერო და სასულიერო ხელისუფლების გაერთიანებას ისახავდა მიზნად. ყველაფერი აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, თუ რატომ სცემდნენ ევროპელები იოანე პრესბიტერს უდიდეს პატივს, რადგან იდეა სრულყოფილი მონარქისა კარგად ესადაგებოდა მათ იდეალს ერთიანი კათოლიკური იმპერიის შესახებ.

<sup>3</sup> *გოგოლაძე ანდრო*. დასახ. ნაშრ. გვ. 56-60.

ტუდელში<sup>1</sup>. ის ებრაელთა რაბინი გახლდათ და დიდი გავლენით სარგებლობდა ებრაელთა შორის. მისი აღწერილობის მიხედვით ბენჯამინ ტუდელელს უმოგზაურია 1160(ან 1165/67)-1173 წლებში. მისი ნაწარმოები ჩვენამდე მოღწეულია უცნობი გადამწერის ხელით, შემორჩენილია მისი ნაშრომიდან მოყვანილი ციტატები, რომელიც დაცულია სხვა ავტორებთან და რომელთა ნაწილი განსხვავდება ჩვენამდე მოღწეული ბენჯამინ ტუდელას მოგზაურობის წიგნის ორიგინალისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობდა მისი სხვა რედაქციებიც, რომლებიც დღესდღეობით დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს.<sup>2</sup>

ცნობები ეხება ნახევრად ლეგენდარულ დავით აღროის, რომელიც თითქოს სელჩუკთა სულთან სანჯარს აუჯანყდა და დიდი ხნის განმავლობაში მიდიის მიმდებარე ტერიტორიებსა და ჩაფტონის მთებში მცხოვრები ებრაელების დახმარებით ებრძოდა მტერს.<sup>3</sup>

ბენჯამინ ტუდელასა და სხვა ებრაული წყაროების ცნობით, დავით აღროი ებრაელი იყო, ამასთან თორასა და სხვა ებრაულ წმინდა წიგნებში განსწავლული პიროვნება.<sup>4</sup> ერთ-ერთი ავტორის მიხედვით, ის თავის თავს დავით წინასწარმეტყველის შთამომავლად თვლიდა<sup>5</sup>. ბენჯამინ ტუდელას მის მოგზაურობაში აღწერილი

<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, ჩვენ მას ვუწოდებთ ბენჯამინ ტუდელას ანუ ბენჯამინ ტუდელელს. ბენჯამინი იყო ძე იონაპისა. იხ. Benjamin of Tudela. The Itinerary of Benjamin of Tudela. Critical text, translation and commentary by Marcus Nathan Adler, M.A. London Henry Frowde Oxford university press, Amen Corner, E.C. 1907. p. 1.

<sup>2</sup> ბენჯამინ ტუდელას ებრაული ტექსტის ინგლისური თარგმანი რამდენიმეჯერ იქნა შესრულებული, მათ შორის იხილეთ: Benjamin of Tudela. Travels of Rabbi Benjamin. Trans. R. Gerrans. London, 1783; Rabbi Benjamin of Tudela. The Itinerary of Rabbi Benjamin of Tudela. Translated and edited by A. Asher. Vol. I. London and Berlin, A. Asher & C<sup>o</sup> 1841; Rabbi Benjamin of Tudela. The Itinerary of Rabbi Benjamin of Tudela. Translated and edited by A. Asher. Vol. II. Notes and essays. London and Berlin, A. Asher & C<sup>o</sup> 1842; Benjamin of Tudela. დასახ. ნაშრ. by Marcus Nathan Adler. London 1907 (ქვემოთ, ყველგან ბენჯამინ ტუდელას ციტირების ჩვენ ვიყენებთ ადლერის 1907 წლის თარგმანს, ხოლო სქოლიოში მიუთითებთ მხოლოდ ავტორის გვარს – Benjamin of Tudela. p. \*\*\*) ბენჯამინ ტუდელას ტექსტის განმარტებები ამომწურავად აქვს მოცემული ა. აშერს. ამ პრობლემას მან თავისი ნაშრომის მეორე ტომი მიუძღვნა. იხ. Rabbi Benjamin of Tudela. დასახ. ნაშრ. Translated and edited by A. Asher. Vol. II. . London and Berlin, A. Asher & C<sup>o</sup> 1842.

<sup>3</sup> Benjamin of Tudela. p. 54-55.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 54-55.

<sup>5</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: Rabbi Benjamin of Tudela. დასახ. ნაშრ. Translated and edited by A. Asher. Vol. II. London and Berlin, A. Asher & C<sup>o</sup> 1842. p. 163; ეს ცნობა მომდინარეობს აბენ ვირგას-გან , არომლის ციტირებასაც ახდენს აშერი. იქ დავით აღროი დასახელებულია დავით ელ როიდ (David el Roy) ან კიდევ დავით ელ დავითად (David el David), სადაც ხაზი მის დაეითიანობას ესმევა. აშერის აზრით, მან მიითვისა დავითიანობა, რომ მისი ლეგიონური წარმომავლობა დაემტკიცებინაო, რამაც ის ბევრ წარჩინებულ ებრაელს გადაკიდა მტრად; იქვე. გვ. 163-164. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ებრაელების განაწყენების მიზეზი, ბენჯამინ ტუდელას მიხედვით, არა დავით აღროის წარმომავლობა, არამედ სპარსეთის მეფის წინააღმდეგ მისი გამოსვლა გახდა, რამაც დიდი საფრთხე შეუქმნა ყველა ებრაულ კონგრეგაციას სპარსეთში (Benjamin of Tudela. p. 55-56). აბენ ვირგას წყარო, მისივე განცხადებით, ბენჯამინ ტუდელა არის, რაც დასტურდება ჩვენს ხელთ არსებული ბენჯამინის მოგზაურობის წიგნში.

აქვს დავით აღროისა და სელჩუკთა სულთან სანჯარის საუბარი, სადაც სულთანი ეკითხება მას – „შენ ხარ ებრაელთა მეფე?“ პასუხად კი იღებს – „მე ვარ“. ამ ცნობიდან გამომდინარე დგინდება, რომ დავით აღროი თავს მეფედ თვლიდა. თუ ბენჯამინ ტუდელას ვენდობით – ამ შემთხვევაში ლაპარაკია ებრაელთა მეფობაზე.<sup>1</sup>

დავით აღროი, ბენჯამინ ტუდელას თქმით, ებრაელებს მოუწოდებდა აჯანყებისათვის და საკუთარ თავს ღმერთის გამოგზავნილ პიროვნებას უწოდებდა, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ღვთისგან განგება, გაენთავისუფლებინა იერუსალიმი და დაებრუნებინა ებრაელები ალექსანდრიის მიწაზე: „უწმინდესმა, კურთხეულმა იყოს იგი, გამოგზავნა მე იერუსალიმის დასაჭერად და თქვენს გასანთავისუფლებლად დამპყრობელთა უღელისაგან და ებრაელებმა“, – აგრძელებს ბენჯამინი, – „იწმინდესს მისი და უწოდეს მას თავისი მესია“.<sup>2</sup>

ებრაელებისათვის დავით აღროი მესიად იქცა ანუ ადამიანად, რომელიც მათ წმინდა მიწის გამოხსნას და იერუსალიმის დაბრუნებას დაჰპირდა. მაგრამ არის კი ბენჯამინ ტუდელას ინფორმაცია სანდო? მართლაც არსებობდა ქალაქ ამადიის მკვიდრი ცრუმესია სახელად დავით აღროი ?

სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, მანამდე აუცილებელია ბენჯამინ ტუდელას თხზულების იმ ნაწილის წარმოდგენა, სადაც დანერილებით არის მოთხრობილი დავით აღროის შესახებ. ამ შემთხვევაში ჩვენ ვეყრდნობით ადლერის მიერ 1907 წელს გამოქვეყნებულ წყაროს სათაურით „მოგზაურობა ბენჯამინ ტუდელასი“.

ბენჯამინ ტუდელას ნაწარმოები ყველაზე უფრო დიდი და ძველია იმ თხზულებათაგან, რომლებიც დავით აღროის შესახებ არსებობს. ბევრი ავტორი დავით აღროის აჯანყების აღწერისას, როგორც ჩანს, სწორედ ტუდელათი სარგებლობს, ამდენად ბენჯამინ ტუდელასეული ვერსია ამ შემთხვევაში ყველაზე კომპეტენტურ წყაროს წარმოადგენს აღნიშნული საკითხის შესასწავლად:

„იმ დროს სინჯარ შაჰ-ბენ-შაჰი (სულთანი სანჯარი, ლ.თ.) მართავდა სპარსეთის სამეფოს და ემორჩილებოდა მის უზენაესობას ორმოცდახუთი მეფე. მისი (სანჯარის) სახელი არის სულთან-ალ-ფარს-ხაბირი (არაბულად უბრწყინვალესი ხელმწიფე სპარსეთისა) და ის არის ის პიროვნება, ვინც მმართველობს მდინარე სამარიდან ქალაქ სამარყანდამდე და მდინარე გოზანამდე და მიდის ქალაქებსა და ჩაფტონის მთებამდე. ის ასევე მმართველობს ტიბეტზე, რომლის ტყეებშიც შეიძლება იპოვო ცხოველები, რომლისგანაც მუშკი მიიღება. იმპერიის სიგრძე ოთხი თვის სავალ მანძილზეა“.<sup>3</sup>

„[ბაბილონიდან] ხუთი დღის სავალზეა ამაღია [ქალაქი], სადაც დაახლოებით 25 000 ებრაელია. ეს არის პირველი იმ სამოსახლოებიდან ჩაფტონის მთებში, სადაც ასზე მეტი ებრაული სამოსახლოა. ეს არის სათავე მიდის ტერიტორიისა. ეს ებრაელები მიეკუთვნებიან პირველ დატყვევებულებს, რომლებიც მეფე შალმანაზარმა

<sup>1</sup> Benjamin of Tudela. p. 55.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 54-55.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 52.

წამოსახა. და ისინი საუბრობენ იმ ენაზე, რომელზეც ტარგუმი არის დანერვილი. მათ შორის არიან სწავლული კაცებიც. სამოსახლოები განლაგებულია ამადიის პროვინციიდან გილანის პროვინციამდე ოცდახუთი დღის სავალზე, სპარსეთის საზღვრებთან. ისინი ემორჩილებიან სპარსეთის მეფეს, და ის კრებს ხარკს მისი მოხელეების დახმარებით, და ხარკი, რომელსაც ისინი იხდიან ყოველ წელს, როგორც სულადობრივ გადასახადს, არის ერთი ოქროს ამირი, რომელიც ტოლია ერთი და ერთი მესამედი მარავედის [ეს არის გადასახადი, რომელიც უნდა გადაიხადოს ყოველმა მამაკაცმა ისლამის მიწაზე, რომელიც არის თხუთმეტი წლის ზემოთ]. ამ ტერიტორიაზე (ამადია) ათი წლის წინ აჯანყდა კაცი სახელად დავით აღროი ქალაქ ამადიიდან. ის სწავლობდა ქისდაის – ტყვეთა უზუცესის და ბაღდადის აკადემიის ხელმძღვანელის გაონ იაკობის მეთვალყურეობით. ის იყო კარგად გარკვეული ებრაულ კანონებში, ჰალაქაში და ასევე თალმუდში, და მუჰამედის ყველა სიბრძნეში, ისევე როგორც საერო ლიტერატურაში, მაგიურ მწერლობასა და წინასწარმეტყველებაში. მან წამოჭრა იდეა სპარსეთის მეფის წინააღმდეგ აჯანყებისა და ებრაელთა დარაზმვისა, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩაფტონის მთებში, რათა წასულიყვნენ წინ და ებრძოლათ ყველა ერის წინააღმდეგ და გაელაშქრათ იერუსალიმის დასაპყრობად. მან უჩვენა ნიშნები ფარისეველური საოცრებისა ებრაელებს და თქვა – უწმინდესმა, კურთხეულიმც იყოს იგი, გამომგზავნა მე იერუსალიმის დასაჭერად და თქვენს გასათავისუფლებლად დამპყრობლთა უღლისგან. და ებრაელებმა ირწმუნეს მისი და უწოდეს მას მათი მესია. როდესაც სპარსეთის მეფემ შეიტყო ეს, მან გააგზავნა კაცი მის მოსაყვანად და მასთან სასაუბროდ. აღროი გაემართა მასთან უშიშრად და როდესაც ის წარსდგა აუდიენციით მეფის წინაშე, ამ უკანასკნელმა ჰკითხა – შენ ხარ მეფე ებრაელთა. მან უპასუხა – მე ვარ. ამან მეფე განარისხა და ბრძანა, რომ ის შეეპყროთ და ჩაესვათ მეფის სატუსალოში, სადაც მეფის ტყვეები მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, სიკვდილამდე იხდნენ, ქალაქ ტაბარისტანში, რომელიც მდებარეობს მდინარე გოზანზე. სამი დღის შემდეგ, როდესაც მეფე საგანგებოდ განიხილავდა მთავრებთან ერთად აჯანყებული ებრაელების საქმეს, დავითი უეტრად წარსდგა მის წინაშე. ის გამოქცეულიყო ციხიდან ისე, რომ ამის შესახებ ვერავინ ვერაფერი შეიტყო. და მაშინ მეფემ დაინახა ის და ჰკითხა – ვინ მოგიყვანა შენობაში და ვინ გაგანათავისუფლა.

– ჩემმა საკუთარმა ნიჭმა და მოხერხებამ, – მიუგო მან. – მე არ მეშინია არც შენი და არც ერთი შენი მსახურის.

მეფემ ხმამაღლა უბრძანა მსახურთ შეეპყროთ ის, მაგრამ მათ მიუგეს – ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავის, მიუხედავად ამისა, ჩვენს ყურებს ესმის მისი.

მაშინ მეფე და ყველა მისი მთავარი განცვიფრდნენ მისი ვერაგობით; მაგრამ მან მიუგო მეფეს:

– მე წავალ ჩემი გზით.

ასე რომ, ის გაემართა წინ და მეფე გაჰყვა მას; და მთავრები და მსახურნი გაჰყვნენ თავიანთ მეფეს იქამდე, სანამ ისინი არ მიადგნენ მდინარის ნაპირს. შემდეგ აღროიმ მოიხსნა მისი მანტია, გადააფარა ის წყლის ზედაპირს, რათა გადასულიყო

მასზე. როდესაც მეფის მსახურებმა დაინახეს, რომ ის კვებდა წყალს მისი მანტიის გამოყენებით, დაედევნენ მას მცირე ზომის ნაკვებით, ამით მისი უკან დაბრუნება (შეპყრობა) სურდათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. და მათ თქვეს.

– არ არსებობს მისი მსგავსი ჯადოქარი მთელს დედამიწის ზურგზე.

იმავე დღეს ის გაუყვა 10 დღის სავალ გზას ქალაქ ამაღიამდე, ერთ გამოუთქმელი ძალის წყალობით [და] უამბო მან ებრაელებს ყველაფერი, რაც გადახდა თავს, და ისინი გაოცდნენ მისი ნიჭით. ამის შემდეგ სპარსეთის მეფემ მისწერა წერილი ამირ ალ-მუმინს, მუსლიმანთა ხალიფას ბაღდადში, თხოვნით, რათა გაეფრთხილებინა გადასახლებულთა უზუცესი და ბაღდადის აკადემიის ხელმძღვანელი გაონ იაკობი, რომ შეეჩერებინათ დავით აღროი მისი განზრახვის აღსრულებისგან. და ის დაიმუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ის დახოცდა ყველა ებრაელს მის იმპერიაში, ასე რომ, ყველა კონგრეგაცია სპარსეთის ქვეყნისა უდიდეს განსაცდელში ჩავარდა. ტყვეთა უზუცესმა და ბაღდადის აკადემიის ხელმძღვანელმა გაონ იაკობმა მისწერეს აღროის და უთხრეს:

– დრო ხსნისა ჯერ არ დამდგარა; ჩვენ არ მიგვიღია არანაირი ნიშანი, მის გარეშე კი ვერც ერთი სულიერი ვერ იბატონებს. ახლა ჩვენი პირობა არის, შენ უარი თქვა შენს განზრახვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შენ განკვეთილი იქნები ყოველი ისრაელისგან.

და მათ გაგზავნეს მიმართვა ზაქაი ნასისტან ასურეთის (მოსული) ქვეყანაში და რაბინ იოსეფ ბურჰან-ალ-მულქთან, ასტრონომთან, და ეხვეწებოდნენ მათ გაეგზავნათ წერილი აღროისთვის. გარდა ამისა, მათ თავადაც მისწერეს მას [აღროის] და გააფრთხილეს ის, თუმცა მან ყურად არ იღო მათი გაფრთხილება. შემდეგ აღსდგა მეფე სახელად სინ-ედ-დინი, მეფე თოგარმიმის და ვასალი სპარსეთის მეფისა, მან მისწერა დავით აღროის სიამამს და მისცა მას ქრთამად 10 000 ოქროს მონეტა, რათა მოეკლა აღროი საიდუმლოდ. ის (აღროის სიამამი – ლ.თ.) გაემართა აღროის სახლისკენ და მოკლა ლოგინში მძინარე. ასე რომ, მისი გეგმები განადგურდა. ამის შემდეგ სპარსეთის მეფე გაემართა ებრაელების წინააღმდეგ, რომლებიც ცხოვრობდნენ მთებში; და მათ მისწერეს ტყვეთა უზუცესს, რომ მოსულიყო მათ საშველად და მეფის დასამშვიდებლად. ის ბოლოს და ბოლოს დამშვიდდა იმ ძღვენით – 100 ტალანტი ოქროს ოდენობით, რომელიც გადასცეს მას (ანუ სპარსეთის მეფეს – ლ.თ.) და ქვეყანაში შემდეგ მშვიდობამ დაისადგურა.<sup>1</sup>

ეს არის ბენჯამინ ტუდელას ჩვენთვის საინტერესო ტექსტის ნაწილი. ბენჯამინ ტუდელას რომ არსად არ უმოგზაურია, ეს ფაქტი მის ნაშრომში დააფიქსირა რობერტ კერმა, რომელმაც ბრიტანეთის სამხედრო ფლოტში სამსახურის დროს აღწერა იმ მოგზაურობის სრული ნუსხა, რომელთაც ადგილი ჰქონდა ძველი პერიოდიდან დაწყებული XIX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით. მიუხედავად ამისა, რობერტ კერი, წყაროს მნიშვნელობიდან და ორიგინალურობიდან გამომდინარე, საკუთარ

<sup>1</sup> Benjamin of Tudela, გვ. 54-56.

ნაშრომში აფიქსირებს მრავალ დეტალს ბენჯამინ ტუდელას ე.წ. მოგზაურობის წიგნიდან.<sup>1</sup>

დავით აღროის თავგადასავალს,<sup>2</sup> რომელიც აღწერილია ბენჯამინ ტუდელას მოთხრობაში, თავად ავტორისვე ცნობით, სულთან სანჯარის მოღვაწეობის პერიოდში ჰქონდა ადგილი, სელჩუკთა დიდი სულთანი აჰმედ სანჯარი (1118-1153), როგორც ცნობილია, გარდაიცვალა 1157 წელს, ეს მაშინ, როდესაც ბენჯამინ ტუდელა, მის თხრობას თუ მიყვებით, სანჯარის სამფლობელოებში მოხვედრილა XII ს. 70-იანი წლების დასაწყისში. საერთოდ, ტუდელას მოგზაურობა, მისივე აღწერილობიდან გამომდინარე, თარიღდება 1160-1173 წლებით, რაც საერთოდ არ ემთხვევა სანჯარის მოღვაწეობის ხანას. აქედან და სხვა უამრავი ფაქტებიდან გამომდინარე. კარგად ჩანს, რომ ტუდელას მოგზაურობა ისტორიული ფაბრიკაციაა და თვითმარქვია მოგზაურს ეს უკანასკნელი აღწერილი აქვს იმ წყაროებზე დაყრდნობით, რომლებიც მისივე პერიოდის ევროპაში მოიპოვებოდა.

მიუხედავად ამისა, ტუდელას ნაშრომი შესამჩნევი ორიგინალობით გამოირჩევა, და იქ მოყვანილი ინფორმაციები ხშირ შემთხვევაში არც ერთ ევროპულ წყაროებში არ ფიქსირდება.

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: საიდან უნდა ჰქონოდა ბენჯამინ ტუდელას ესოდენ მრავალრიცხოვანი ინფორმაცია ებრაული კოლონების შესახებ მთელს ევროპასა თუ აღმოსავლეთში?

ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ტუდელას ინფორმაციის წყარო ის ებრაელი ვაჭრებია, რომლებიც მას შემდეგ, რაც აღდგა საზღვაო კონტაქტები წმინდა მიწასთან ჯვაროსნული სახელმწიფოების დახმარებით, მრავლად მოდიოდნენ ესპანეთში და, შესაბამისად, ცნობებიც მოჰქონდათ არა მარტო იქ არსებული ებრაული კოლონიების, არამედ იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების შესახებაც ახლო აღმოსავლეთში.

---

<sup>1</sup> Porter, Robert Ker. *Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia, &c. &c. during the Years 1817, 1818, 1819, and 1820.* 2 vols. London: Longman, Hurst, Rees, Orne, and Browne, 1821-22. Volume 1, Chapter 5.

<sup>2</sup> დავით აღროის შესახებ ვრცელი ლიტერატურა არსებობს, მათ შორის აღსანიშნავია: Adler, Michael. "Alroy, or Alrui, David (called also El David and Menahem ben Suleiman ibn Al-ru." *The Jewish Encyclopedia.* New York and London: Funk and Wagnalls, 1901; Baron, Salo. *A Social and Religious History of the Jews.* Volume III: *Heirs of Rome and Persia.* Volume V: *Religious Controls and Dissentions.* New York: Columbia University Press, and Philadelphia: The Jewish Publication Society of America, 1957; Basnage, Jacques. *The History of the Jews, from Jesus Christ to the Present Time: Containing Their Antiquities, Their Religion, Their Rites, The Dispersion of the Ten Tribes in the East and the Persecutions this Nation has Suffer'd in the West. Being a Supplement and Continuation of the History of Josephus.* Trans. Tho. Taylor. London, 1708; Ben-Sasson, H. H., ed. *A History of the Jewish People.* Cambridge: Harvard University Press, 1976; Boyle, J. A., ed. *The Saljuq and Mongol Periods.* Volume 5 of *The Cambridge History of Iran.* Cambridge: Cambridge University Press, 1968; Gibbon, Edward. *The History of the Decline and Fall of the Roman Empire.* 1776-88. 3rd. ed. J. B. Bury, ed. 7 vols.. London: Methuen, 1907; Malcolm, John. *Sketches of Persia, from the Journals of a Traveller in the East.* 2 vols. London: Murray, 1828; Pinkerton, John, ed. *A General Collection of the Most Interesting Voyages and Travels in All Parts of the World, Many of Which are Now First Translated into English. Digested on A New Plan.* 17 vols. London, 1818-14; Poliak, Abraham N. "Alroy, David." *Encyclopedia Judaica.* Jerusalem: Keter, 1972. 2:750-1.

ბენჯამინი, მისივე ნაშრომზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ინფორმატორებისგან რამდენიმე სახის ინფორმაციას იღებდა. მას აინტერესებდა ის გეოგრაფიული პუნქტები, სადაც მოსახლეობდა ებრაული სამოსახლოები, ასევე ის, თუ ვინ ხელმძღვანელობდა მათ (მართლაც, ბენჯამინს მის ნაშრომში დეტალურად აქვს დახასიათებული ის, თუ ვინ იყო ამა თუ იმ ებრაული კოლონიის რაბინი ანდაც გავლენიანი ლეთისმსახური და მეცნიერი). ბენჯამინ ტუდელას ინტერესის სფეროს ნარმოადგენდა ებრაელთა რაოდენობა და მათი სტატუსი ამა თუ იმ კონკრეტულ მხარესა თუ რეგიონში.

ჩვენი დაკვირვებით, ეს ცნობები იმდენად არის ტენდენციური, რამდენადაც მათი გეოგრაფიული მიმოხილვის არეალი სცილდება თავად ესპანეთის ტერიტორიას. კარგად თუ დავეკვირდებით ბენჯამინ ტუდელას ნარატივს, აღმოვაჩენთ, რომ რაც უფრო მეტად შორდება ბენჯამინი ესპანეთის ტერიტორიას, მით უფრო არარეალური და ბუნდოვანი ხდება მისი ცნობები. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ ციფრებში, რომელიც ამა თუ იმ ქალაქში ებრაელების რაოდენობის აღწერისას აქვს მითითებული ებრაელ ავტორს.

წმინდა მიწასა თუ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობას ბენჯამინ ტუდელა საკმაოდ რეალურ ციფრებში: ასეულებისა და ათასეულების ფარგლებში საზღვრავს, ეს მაშინ, როდესაც სპარსეთის ქალაქების ებრაული კოლონიების აღწერისას ავტორი იქ მოსახლე ებრაული მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისას ასეულებსა თუ ათასეულებს არ სჯერდება და ებრაელების რაოდენობას რამდენიმე ათეულ ათასებში საზღვრავს.

მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მისი ცნობები ებრაული სამოსახლოების რაოდენობის შესახებ:

ქალაქ ტვიროსში – 500 ებრაელი ცხოვრობდა, აკრაში – 200, ჯებალში (ჯუბაილი) 150 ებრაელი<sup>1</sup> და აშ. ეს რაც შეეხება პალესტინას. სამაგიეროდ, სპარსეთსა თუ სხვა მის მიმდებარე ტერიტორიებში სახელდება ისეთი ციფრები, როგორც არის 10 000 – ქალაქ ბასრაში<sup>2</sup>, ამაღიაში – 25 000<sup>3</sup>, სამარყანდში – 50 000<sup>4</sup>, რუდბარში – 20 000, ჰამადანში – 30 000<sup>5</sup>, შირაზში – 10 000, ისპაჰანში – 15 000, ლაზნაში – 80 000<sup>6</sup>. თილმასში, რომელიც ბენჯამინ ტუდელას სიტყვებით რომ ვთქვათ, უდიდეს ქალაქი იყო, მოსახლეობდა 100 000 ებრაელი<sup>7</sup>, რაც სხვა სპარსეთის ქალაქების მოსახლეობის მსგავსად გაზვიადებულია და არ შეესაბამება სიმართლეს.

რაც შეეხება დავით აღროისა და მის მოღვაწეობას, ის, ჩვენის აზრით, უნდა იყოს ასახვა იმ მოვლენებისა, რაც ხდებოდა XII ს. საქართველოში, კერძოდ დავით

---

<sup>1</sup> Benjamin of Tudela. p. 17-19.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 51.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 54.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 59.

<sup>5</sup> იქვე. გვ. 57.

<sup>6</sup> იქვე. გვ. 58.

<sup>7</sup> იქვე. გვ. 48.

IV აღმამენებლის ეპოქაში. რა თქმა უნდა, ბენჯამინ ტუდელას თხზულებაში აღროი წარმოდგენილია არარეალურ ფერებში და ავტორისათვის დამახასიათებელ ებრაული მესიანიზმის პრიზმაში.<sup>1</sup>

თავად დავით აღროი ბენჯამინ ტუდელასა და სხვა ებრაელ ავტორებთან<sup>2</sup> ეროვნებით ებრაელად არის წარმოდგენილი, რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ არის სწორი, რამეთუ ასეთი პიროვნება, ჩვენი აზრით, საერთოდ არ არსებობდა.

დავით აღროის თემა განსაკუთრებით პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის ებრაული წარმოშობის პრემიერ-მინისტრმა ბენჯამინ დიზრაელმა – ლორდ ბიკონსფილდმა გამოაქვეყნა ამავე სათაურის მოთხრობა, სადაც დავით აღროი თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირად იყო შერაცხული, იგი ლორდი ბიკონსფილდისთვის ერთგვარ პოლიტიკურ იდეალსაც წარმოადგენდა, როგორც ებრაული სახელმწიფოს აღდგენისთვის მებრძოლი გმირი. ამ მოთხრობაზე, ისევე როგორც აღროის თემაზე არაერთი კრიტიკული წერილი თუ სტატია დაინერა<sup>3</sup>.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ის, თუ ვინ იმალებოდა მისტიკური დავით აღროის ფარდის მიღმა, და თუ რა გახდა ამ მითის წარმოშობის მიზეზი.

<sup>1</sup> ებრაულ მესიანიზმთან დაკავშირებით იხილეთ შემდეგი ლიტერატურა: Schweid, Eliezer. „Jewish Messianism: Metamorphoses of an Idea.“ *Essential Papers on Messianic Movements and Personalities in Jewish History*. Ed. Marc Saperstein. New York: New York University Press, 1992. 53-70; Spector, Sheila A. *Jewish Mysticism: An Annotated Bibliography on the Kabbalah in English*. New York: Garland, 1984; Werblosky, R. J. Zwi. „Messianism in Jewish History.“ *Essential Papers on Messianic Movements and Personalities in Jewish History*. Ed. Marc Saperstein. New York: New York University Press, 1992. 35-52; Greenwald, Adam. Hark, the End is Nigh: Two Visions of Eschatological Messianism in Judaism in the Late Second Temple Period/*Quaestio* - The UCLA Undergraduate History Journal. Volume II, Editor-In-Chief, Armen Adzhemyan, June 2004. p. 1-7.

<sup>2</sup> ამ შემთხვევაში მეორადი წყაროებიდან შეიძლება გამოვარჩიოთ შემდეგი წყაროები: Gans, David Ben Solomon. *Chronologia Sacra-Prohana A Mundi Conditu ad Annum M.5352 vel Christi 1592, dicta xxi in German Davidis*. Tr. Guilielmum Henric Voustium. 1644; Solomon ibn Verga. *Shevet Yehudah*. Adrianople, 1553; აღსანიშნავია ასევე თანადროული ავტორების – მაიმონიდისისა და აბენ ვირგას მონაცემები. მათი ცნობები აღროის შესახებ იხილეთ: Rabbi Benjamin of Tudela. დასახ. ნაშრ. Translated and edited by A. Asher. Vol. II. London and Berlin, A. Asher & C<sup>o</sup> 1842. p. 162-165.

<sup>3</sup> ლორდი ბიკონსფილდის რომანი „დავით აღროი“ XIX საუკუნეში დაიბეჭდა და დიდი გამოხმაურება პოვა, იხილეთ: Disraeli, Benjamin. *Alroy*. London: Longmans, 1871; მისი თანამედროვე თუ მოკვიანო პერიოდის განხილვა, კრიტიკული წერილებითურთ იხილეთ აქვე: Abrahams, Israel. „A Masterpiece for the Week: Disraeli's 'Alroy.'“ *The Jewish World*. No. 3005 (11 Tamuz 5673 16 July 1913), 9-10. Rpt. *Beaconsfield Quarterly*, no. 3, 41-3; Braun, Thom. *Disraeli the Novelist*. London: George Allen & Unwin, 1981; Engel, Elliot and Margaret F. King. *The Victorian Novel before Victoria: British Fiction during the Reign of William IV, 1830-37*. New York: St. Martin's, 1984; Graham, Peter W. „Byron and Disraeli.“ *Victorian Newsletter* 69 (Spring 1986): 26-30; Holloway, John. *The Victorian Sage: Studies in Argument*. London: Archon, 1962; Levine, Richard A. *Benjamin Disraeli*. New York: Twayne, 1968; Machin, Ian. *Disraeli*. London: Longman, 1995; Nickerson, Charles C. „Benjamin Disraeli's *Contarini Fleming* and *Alroy*.“ *Journal of the Rutgers University Library* 39 (1977): 72-97; O'Kell, Robert. „The Autobiographical Nature of Disraeli's Early Fiction.“ *Nineteenth-Century Fiction* 31 (1976): 260-66; Schwarz, Daniel R. *Disraeli's Fiction*. New York: Macmillan, 1979; Spector, Sheila A. „Alroy as Disraeli's 'Ideal Ambition.'“ *British Romanticism and the Jews: History, Culture, Literature*. Ed. Sheila A. Spector. New York: Palgrave Macmillan, 2002. 235-48; Sultana, Donald. *Benjamin Disraeli in Spain, Malta and Albania, 1830-32: A Monograph*. London, 1976; Vincent, John. *Disraeli*. New York: Oxford University Press, 1990; Weeks, Richard G., Jr. „Disraeli as Political Egotist: A Literary and Historical Investigation.“ *Journal of British Studies* 28,4 (October 1989): 387-410.

არსებობს რამდენიმე ფაქტი, რაც გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ დავით აღროის უკან დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების რეალური ცხოვრების ანარეკლი დავინახოთ.

1) ეს არის სახელი დავით აღროი, ჩვენი აზრით, იგივე დავით ელროი ანუ მეფე დავითი<sup>1</sup>; ელ ამ შემთხვევაში ესპანური ენისთვის დამახასიათებელი არტიკლია, ხოლო ROI ფრანგულად ნიშნავს მეფეს. ამ შემთხვევაში რატომ იქნა აღებული ზედმეტსახელად ფრანგული ეკვივალენტი მეფისა, ძნელი სათქმელია<sup>2</sup>, მაგრამ დავით აღროის განმარტება, რომ მეფე დავითია, ეს სულთან სანჯარისადმი ბენჯამინ ტუდელასთან მოყვანილი მისი სიტყვებიდანაც ჩანს, რომელმაც პირდაპირ მიმართა აღროის – შენ ხარ ებრაელთა მეფეო, რაზეც სანჯარმა დავით აღროისგან დადებითი პასუხი მიიღო.<sup>3</sup> ამდენად, დავით აღროი ნიშნავს მეფე დავითს – მეფეს, რომელიც მოლ-

<sup>1</sup> სწორედ ამ სახელით (El Roy) არის დაფიქსირებული ის აბენ ვირგასთან (Rabbi Benjamin of Tudela. დასახ. ნაშრ. Translated and edited by A. Asher. Vol. II. London and Berlin, A. Asher & C<sup>o</sup> 1842. p. 164).

<sup>2</sup> ამ საკითხის გარკვევის კუთხით ერთი საინტერესო ცნობა აქვს მოყვანილი ა. აშერს. იგი წერს, რომ „მაიმონიდისი ასტროლოგიის შესახებ 1194 წელს დაწერილ და საფრანგეთში გაგზავნილ ნერილში აღნიშნავს, რომ 22 წლის უკან ის წერდა არაბეთში გამოჩენილი მესიის შესახებ (ა. აშერი თვლის, რომ ეს სხვა თვითმარქვია მესია უნდა იყო, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იგივე დავით აღროია, რომლის დისლოკაციის ადგილი არასწორად მითითა მაიმონიდისმა, რამეთუ ამ ე.წ. მესიის შესახებ არაფერი არ არის ცნობილი. ლ.თ.); საფიქრელია, რომ თარიღი *eggereth thaman* შედგენისა, სადაც ზემოთ ხსენებული პიროვნება არის ნახსენები, უნდა იყოს 1172 წ. ე.ი. 20 წლით გვიანი პერიოდი, როდესაც დავითი (ლაპარაკია დავით აღროიზე. ლ.თ.) ჩნდება სპარსეთში, რომლის შესახებაც მაიმონიდისმა, სავარაუდოდ, არაფერი იცოდა (აქ აშერი გამოთქვამს ფრთხილ ვარაუდს იმის შესახებ, რომ მაიმონიდისმა აღროის შესახებ არაფერი იცოდა და თითქოს ის სხვა მესიაა უაპარაკობსო, რაც მომდევნო თაობის მკვლევრების მიერ არ არის გაზიარებული, ამდენად ა. აშერს ვერც ჩვენ დაეთანხმებით, რაც აღვნიშნეთ კიდევ ზემოთ. ლ.თ.). ამას არ შეუძლია გაგვაკვიროს ჩვენ, თუ ვივარაუდებთ, რომ მონაცემები სხვა თვითმარქვიას შესახებ ჩნდება 85 წლით უფრო ადრე საფრანგეთში და არის სრულიად უცნობი რამზიდის დროინდელი ავტორების და ქვეყნისთვის (იგულისხმება ავეროესის დროინდელი ესპანეთი – XII ს. ლ.თ.)“. – Rabbi Benjamin of Tudela. დასახ. ნაშრ. Translated and edited by A. Asher. Vol. II. London and Berlin, A. Asher & C<sup>o</sup> 1842. p. 162-163; ამდენად, ცნობები ერთ-ერთი პირველი ცრუ მესიის შესახებ გაჩნდა საფრანგეთში, რაც უკვე აღარ ტოვებს კითხვებს იმის შესახებ, თუ რატომ ეწოდა დავით ელ როის ფრანგული ეკვივალენტი მეფისა (ROI), მითი დავით აღროის შესახებ გარკვეულწილად საფრანგეთიდან უნდა გავრცელებულიყო და ამდენად, მეფის აღნიშნული სიტყვაც იქაური დაფიქსირდა. ყოველ შემთხვევისათვის ეს საკითხი მაინც საჭიროებს შესწავლას და დასრულებული სახით მომავალში იქნება ჩამოყალიბებული.

<sup>3</sup> სულთან სანჯარისა და დავით აღროის შეხვედრა, რომელიც ფიქსირდება ბენჯამინ ტუდელასთან, არ პოულობს გამომავლის დავით IV აღმაშენებლისა და აშმედ სანჯარის პოლიტიკურ ურთიერთობაში. მათ, მართალია, ჰქონდათ ბრძოლა, მაგრამ ადგილი არ ჰქონია არანაირ შეხვედრას. სამაგიეროდ, 1083 წელს ერთმანეთს შეხვდნენ მათი მამები – დიდი სულთანი მალიქ-შაჰი – მამა აშმედ სანჯარისა და გიორგი II – მამა დავით აღმაშენებლისა. ამ შეხვედრაზე გიორგი II მალიქ-შაჰთან ზავის სათხოვნელად ჩავიდა და იქიდან საქართველოში თურქ-სელჩუკთა ჯარის თანხლებით დაბრუნდა (მეტრეველი როინ, სამუშია ჯგაბ. მეფეთ მეფე გიორგი II. თბ. 2003). ამდენად, ამ შეხვედრიდან გამომდინარე, ჩვენ ვუშვებთ იმის შესაძლებლობას, რომ ებრაელ ავტორს მამების ეს შეხვედრა ავტომატურად გამოეტიტანა მათ შვილებზე და ლეგენდაში

ვანებოდა სულთან სანჯარის დროს და, როგორც ზემოთ დავინახეთ, ებრძოდა მას. ასეთი დავითი მართლაც არსებობდა და ის იყო დავით IV აღმაშენებელი.

2) ეს არის ტერიტორია, სადაც მოღვაწეობდა დავით აღროი. ბენჯამინ ტუდელაც მიხედვით, ეს იყო არარეალური ქალაქი ამადია. ამადია იმ დროს არ არსებული ქალაქია და მასში შეიძლება ბევრი გეოგრაფიული არეალი მოვიხაზოთ, მათ შორის, ქუთისტანში არსებული ქალაქი იმადია, ანისი, ამიდი და ასე შემდეგ. თავად ეს ქალაქი ამ შემთხვევაში დავით აღროის ტერიტორიის დისლოკაციის კუთხით ნაკლებ ღირებულ ინფორმაციას გვანდის. უფრო ღირებულია ჩაფტონის მთების ლოკალიზაცია<sup>1</sup>, რომელიც მთავარი დასაყრდენი იყო აღროისათვის და მისი მხარდამჭერებისათვის.

ჩაფტონის მთები, თავად ტუდელას მიხედვით, იყო სანჯარის სამფლობელოების საზღვარი და ამასთან მიდიის ანუ ადარბადაგანის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია ანუ ამ შემთხვევაში კავკასიის მთები<sup>2</sup>, სადაც ბრძოლა მათი სიმაღლის გამო ბევრ დამპყრობელს უჭირდა. რეალურად, დავით აღმაშენებლის დროს სელჩუკთა სასულთანოს საზღვრები მართლაც კავკასიის მთებზე იდო, ყოველ შემთხვევისათვის, იქამდე, სანამ დავითმა ისინი მდინარე არაქსისა და ანისის სამხრეთით არ გადაარეკა. ასე რომ, ამ კუთხით დავით აღროის მოქმედების არეალი სწორედ ის ტერიტორიაა, სადაც მოქმედებდა დავით IV აღმაშენებელი და მისი მემკვიდრეები.

ყველაფერი ეს იმ არარეალურ ფერებში დაეხატა, როგორშიც გადმოგვცემს ბენჯამინი საკუთარ ნარატივს.

<sup>1</sup> ჩაფტონის მთების ლოკალიზაციას ა. აშერი ზაგროსის მთებს უკავშირებს – Rabbi Benjamin of Tudela. დასახ. ნაშრ. Translated and edited by A. Asher. Vol. II. London and Berlin, A. Asher & Co 1842. p. 158-162; ბენჯამინ ტუდელას ზოგზაურობას თუ მიყვებით, ეს თითქოს ასეც უნდა იყოს, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ბენჯამინს არსად უმოგზაურია და ჩაფტონის მთებსა და იქ მოსახლე ებრაელებს იგი აშეშად სანჯარის სამფლობელოს საზღვრებთან მცხოვრებ ხალხად წარმოადგენს, რომელიც მასვე ემორჩილება, ხოლო ზაგროსში მცხოვრები ხალხი ცნობილია, რომ ემორჩილებოდა არა სანჯარას, არამედ მის ძმას მაჰმუდს. საინტერესოა ასევე მდინარე გოზანის დისლოკაციის ადგილი. ა. აშერი თვლიდა, რომ ეს მდინარე არაქსი გახლდათ, რასაც არ ეთანხმება მ. ნ. ადლერი – Benjamin of Tudela. დასახ. ნაშრ. trans. by Marcus Nathan Adler. London 1907. გვ. 33.

<sup>2</sup> პრინციპში, კავკასიის მთებს ავტორი თვითონ აღწერს, თუმცა იგი რომ ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის, კავკასიის დახასიათებიდანაც ჩანს – „არარატის მთებისა და ალანთა მიწის ზემოთ, რომელიც გარშემორტყმულია მთებით და არა აქვს არანაირი გასასვლელი, გარდა ალექსანდრეს მიერ ჩაკეტილი რკინის კარისა, რომელიც ამის შემდეგ შეამტკირეს. აქ ცხოვრობს ხალხი სახელად ალანი“. ამის შემდეგ დასახელებულია ის დარჩენილი მიწები, რომელთა ტერიტორიაზე მოსახლე ებრაელებიც ემორჩილებიან ტყვეთა უზუცესს – მათ შორის საიბერიისა და თოგარმიის (Togarmim), ასევე ასევეის (Asveh) და გურგანის (Gurgan) მცხოვრებნი. ამ უკანასკნელთა სახელი, ტუდელას მიხედვით, გურგანიმები ყოფილა და ისინი თურმე მოსახლეობენ მდინარე გიპონტთან და იწოდებიან გირგაპიტებად. ისინი მისდევენ ქრისტიანულ მრწამსს (Benjamin of Tudela. გვ. 40-41). ყველა ზემოთ განხილული მასალიდან გამომდინარე, კარგად ჩანს, თუ რა ბუნდოვანი წარმოდგენა გააჩნია ბენჯამინს კავკასიისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის შესახებ, აქედან არც არის გასაკვირი, რომ მისი ერთ-ერთი წყარო არის ის ევროპული გადმოცემები თუ წყაროები, რომლებიც მრავლად შეიქმნა ალექსანდრეს რომანის გავლენით. ამ შემთხვევაში საინტერესო ის არის, რომ ალექსანდრე დიდის მიერ ჩაკეტილი კარი, ავტორის მიხედვით, უკვე გახსნილია, ხოლო კავკასიის მთების მცხოვრებთა შორის მართო ალანებია დასახელებული.

3) ეს არის სულთან სანჯარისა და დავით აღმაშენებლის ბრძოლის თემა, რომელსაც ადგილი ჰქონდა დიდგორის ომის დროს. ამ ომში ქართველები შეებნენ იმ მუსლიმურ კოალიციას, რომელსაც ქართველების წინააღმდეგ ჯიჰადის განხორციელების ლოზუნგით სულთანმა აჰმედ სანჯარმა ომისკენ მოუწოდა.<sup>1</sup>

4) ეს არის თავად დავით აღროის აღსასრულის ამბავი.<sup>2</sup> ბენჯამინ ტუდელას მიხედვით, მას მისი სიმამრი კლავს. აქაც ქართული რეალობა აღებული, კერძოდ კი დავით IV აღმაშენებლის შვილიშვილის დავით V მკვლელობა, რომელიც ძმებმა ივანე და სუმბატ ორბელებმა მოაწყვეს. სწორედ ივანე ორბელი იყო მთავარი ინიციატორი ამ მკვლელობისა. ივანეს, როგორც ირკვევა, საამისოდ მრავალი მიზეზი ჰქონდა.<sup>3</sup> იგი იყო სწორედ ის ივანე ორბელი, რომელიც მოგვიანებით დავით V შვილის დემნას სიმამრი გახდა და 1177-1178 წლებში აჯანყდა გიორგი III წინააღმდეგ. ეს აჯანყება დემნა ბატონიშვილის აჯანყების სახელით არის ცნობილი.<sup>4</sup>

ამ შემთხვევაში დავით V-ს მისი შვილის – დემნას მომავალი სიმამრი ივანე ორბელი კლავს, რაც, ჩვენი ვარაუდით, ლეგენდაში ოდნავ შევცლილი სახით აისახა.

5) მიზეზი იმისა, თუ რისთვისაც მივიჩნევთ დავით აღროის ლეგენდას ქართული ისტორიული მოვლენების ანარეკლად, არის თავად დავით აღროის წარმომავლობა. ის, მეორადი წყაროების მონაცემებით, დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი იყო და მის მომხრეებს იერუსალიმის აღებისაკენ და წმინდა მიწის განთავისუფლებისაკენ მოუწოდებდა.

როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელიც და მისი მემკვიდრე ბაგრატიონებიც დავითიანებად ანუ დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად იწოდებოდნენ, რაც ზედმინეებით ემთხვევა აღროის შესახებ გავრცელებულ ლეგენდარულ ცნობებს. რაც შეეხება იერუსალიმის განთავისუფლების თემას, ის საქართველოში არათუ დავით IV-ის დროს, არამედ შუა საუკუნეების თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე ძალზე აქტუალური იყო, რაც დამატებითი რგოლი აღმოჩნდა აღროის მითში.

საერთოდ საქართველოში იმ დროს საკმაოდ დიდი იყო ებრაული კოლონია, საიდანაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ არაერთი იმ-

<sup>1</sup> *ჯეფარიძე ვოჩა*. დასახ. ნაშრ. გვ. 47-48.

<sup>2</sup> აღროის აღსასრულის ამბავი განსხვავებულად არის მოთხრობილი სოლომონ იბნ ვერგასთან. იბნ ვერგა, მისივე ცნობით, ინფორმაციას იღებს ბენჯამინ ტუდელასგან, თუმცა გადმოგვცემს აღროის დაღუპვის განსხვავებულ ვერსიას. ა. აშერის აზრით, ის სარგებლობდა ბენჯამინის სხვა ხელნაწერით, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია. ამ ვერსიაში ნათქვამია, რომ მამინ, როდესაც აღროი წარსდგა სულთანის წინაშე, სანჯარმა მიმართა მას – „რით შეგიძლია შენ დაამტკიცო, რომ ღვთის მოციქული ხარო, აღროიმ მიუგო – მომჭერი თავი და მე მაინც ცოცხალი დაერჩებიო. მართლაც, მას მოჭრეს თავი და ამით დაასრულა კიდევ სიცოცხლე“ (Rabbi Benjamin of Tudela. დასახ. ნაშრ. Translated and edited by A. Asher. Vol. II. London and Berlin, A. Asher & Co 1842. p.164-165).

<sup>3</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: *ქუთათელაძე ქეთევან*. ქვემო ქართლი – პოლიტიკური ისტორიის საკითხები (ტაშირ-ძორაგეთის სამეფო, ორბელთა გვარის ისტორია). თბ. 2001. გვ. 147-148; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი III. თბ. 1979. გვ. 291-295; *ჯეაბიშვილი ივანე*. ქართველი ერის ისტორია. ტომი II. გვ. 239-243.

<sup>4</sup> დანვრილებით ამ აჯანყების შესახებ იხილეთ: *ქუთათელაძე ქეთევან*. დასახ. ნაშრ. გვ. 197-227.

ფორმაცია გადიოდა გარე სამყაროში,<sup>1</sup> რაც, ჩვენი აზრით, გახდა კიდევ დავით აღ-როის ლეგენდის წარმოქმნის საფუძველი.

ბაგრატიონთა დავითიან-სოლომონიანობა მითებისა და ლეგენდების სახით მარტო ბენჯამინ ტუდელას ნაწარმოებში არ ასახულა. საქართველოსა და ბაგრატიონი მეფეების შესახებ მითები იოანე პრესბიტერისა და დავით აღროის სახით გავრცელებული იყო ესპანეთსა თუ გერმანიაში, ასევე ევროპის მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ისლანდიურ საგებში.<sup>2</sup> ესპანეთსა და ევროპას რომ თავი დავანებოთ, გარკვეული ლეგენდარული ინფორმაცია ბაგრატიონი მონარქების შესახებ შორეულ ეთიოპიაშიც გავრცელდა.

ეთიოპიურ წყაროებში ბაგრატიონთა შესახებ მითების ასახვა მის ერთ-ერთი უნიკალური წყაროში – კებრა ნაგასტიში ხდება.<sup>3</sup> კებრა ნაგასტი ანუ ნიგნი მეფეთა დიდებისა შედგენილ იქნა XIV საუკუნის I ნახევარში, მას შემდეგ რაც ხელისუფლებას დაუბრუნდა ძველი – სოლომონიანთა დინასტია. ეს მოხდა მეფე იეკუნო ამლაკის, იმავე ტასფა იასუს (იესო) (1270-1285) დროს.

კებრა ნაგასტის მიხედვით, მსოფლიო ორ ნაწილად იყოფოდა: იერუსალიმის ჩრდილოეთით რომის იმპერია იყო (ანუ ბიზანტია, რომელიც მიიჩნეოდა რომანიად ანუ იმავე რომის იმპერიის გაგრძელებად), ხოლო სამხრეთით ეთიოპიის იმპერია. მსგავსი გაყოფა კებრა ნაგასტის მიხედვით იქიდან მომდინარეობდა, რომ ორივე მეფე – რომისაც (ანუ ბიზანტიის) და ეთიოპიისაც – იყვნენ დავითისა და სოლომონის შთამომავლები. ამასთან იმავე წყაროს ცნობით, ეთიოპიის მონარქები სოლომონის უფროსი ვაჟის – მენელიკის, ხოლო რომის იმპერატორები უმცროსის შთამომავლები იყვნენ.<sup>4</sup>

კებრა ნაგასტის ძირითადად ნაწილში აღწერილია ეთიოპიის ანუ სამხრეთის დედოფლის მაკიდას (შებეს დედოფალი, როგორც მას უწოდებენ ხოლმე ბიბლიიდან გამომდინარე, სადაც მისი სახელი დასახელებული არ არის) ურთიერთობა ისრაელის მეფე სოლომონთან, მათი საერთო ვაჟის მენელიკის დაბადება და მისი გამეფება ეთიოპიაში<sup>5</sup>, რომლის შთამომავლადაც აცხადებდნენ თავს 1270 წელს ხელისუფლებაში მოსული ეთიოპიის ახალი დინასტიის მმართველები.

<sup>1</sup> ბენჯამინ ტუდელას ერთგან პირდაპირ ჰყავს ქართველები დასახელებული, როგორც ქალაქ იერუსალიმის მოსახლეობის მოზრდილი ნაწილი. უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ პასაჟი უშუალოდ წყაროდან – „იერუსალიმი, რომელიც არის მცირე ქალაქი, შემოსაზღვრულია სამი კედლით. ის საეცა ხალხით, რომლებსაც *მუსლიმები ეძახიან* იაკობიტებს, სირიელებს, ბერძნებს, ქართველებს და ფრანკებს“. აქედან კარგად ჩანს, რომ ინფორმაცია იერუსალიმის შესახებ ებრაელ ავტორს მუსლიმთაგან უნდა ჰქონოდა – Benjamin of Tudela. p. 22.

<sup>2</sup> *მადრიდე შოთა*. დასახ. ნაშრ. გვ. 164-165; ნ. კაკაბაძე. საქართველო ისლანდიურ საგაში. გაზ. „თბილისი“. 7, 9.1, 1963, გვ. 1-4.

<sup>3</sup> ეთიოპიის ისტორიისა და კებრა ნაგასტის შესახებ იხილეთ შემდეგი ლიტერატურა: The KEBRA NAGAST. translated by E. A. Wallis Budge. London, 1932; Крачковский И. Ю. Предисловие. – Б. А. Турев. Абиссинские хроники XIV–XVI вв. М.–Л., 1936, с. 3–14; Taddese, Tamrat. Church and State in Ethiopia 1270–1527. Oxford: Clarendon press, 1972; Ullendorff E. The Ethiopians. An Introduction to the Country and People. L., 1960.

<sup>4</sup> KEBRA NAGAST. თავი. 20.

<sup>5</sup> KEBRA NAGAST. თავი. 25-39.

ახალ ხელისუფლებას, რომელიც XIII ს. ბოლოს მოვიდა ქვეყნის სათავეში, აუცილებლად ესაჭიროებოდა მათი ლეთიურობის დამამტკიცებელი თეორიის არსებობა და ამავე თეორიის ფარგლებში კებრა ნაგასტის შემდგენლებმა მსოფლიო წარმოადგინეს, როგორც ორ კანონიერ დინასტიას შორის გაყოფილი – ღვთისაგან ხელდასმული ორი დინასტიით სათავეში: ერთი ისრაელის სამხრეთით, ეთიოპიაში, ხოლო მეორე ჩრდილოეთის მხარეში მდებარე ბიზანტიის სამეფოში მზრძანებლობდა.<sup>1</sup>

ამ შემთხვევაში, იმავე კებრა ნაგასტზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ეთიოპიაში ნამდვილად იყო გაბატონებული მოსაზრება მმართველი დინასტიის დავითიან-სოლომონიანობისა, მაგრამ მსგავსი მოსაზრება არასდროს ყოფილა გავრცელებული მეორე ქვეყანაში – ბიზანტიაში. ამდენად, ბიზანტიის პოლიტიკური რეალობა არ ეთანხმება ეთიოპიურ წყაროებს.

ეთიოპიური წყაროები წარმოგვიდგენს საქართველოში გავრცელებულ გადმოცემას ბაგრატიონთა დავითიან-სოლომონიანობის შესახებ, რაც მათ, გაუგებარი მიზეზების გამო, ბიზანტიის დინასტიებს მიანერეს.<sup>2</sup>

ეს ფაქტი გარკვეულწილად დადასტურებას პოუვებს იმითაც, რომ საქართველო მსგავსად ბიზანტიისა, მდებარეობდა იერუსალიმის ჩრდილოეთში, რომელიც, კებრა ნაგასტის მიხედვით, სოლომონის უმცროსი ვაჟის სამფლობელო იყო. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ, კებრა ნაგასტის მიხედვით, ნაგრანი და სომხეთი, სადაც მოსალოდნელი იყო ებრაელთა განდგომა ჭეშმარიტი სარწმუნოებისაგან, ღვთის წყალობით, სარწმუნო ქვეყნების ხელშია, რომ მსგავსი აჯანყება ჩაშობილი იქნასო:

„რამეთუ სომხეთი არის რომის (ბიზანტიის ლ.თ.) სამფლობელო, ხოლო ნაგრანი – ეთიოპიის“.<sup>3</sup> აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ სოლომონის უმცროსი შტოს წარმომადგენლები, რომლებიც ჩრდილოეთში მეფობდნენ, ფლობდნენ სომხეთსაც. ამასთან, ამ ქვეყანაში ეთიოპიური წყარო ბიზანტიას გულისხმობს, ეს მაშინ, როდეს-

<sup>1</sup> KEBRA NAGAST. თავი. 117.

<sup>2</sup> საქართველოსა და ეთიოპიის ურთიერთობის შესახებ, ქართულ წყაროებში საქმოდ საინტერესო მასალა არის დაცული. საქართველო-ეთიოპიის ერთ-ერთი პირველი კონტაქტი VIII ს. მურვან ყრუს შემოსევის დროს ხდება, როდესაც მას საქართველოში აბაშნი ანუ აბისინიელები, იგივე ეთიოპიელები შემოუყვანია. აბაშების საქართველოში შემოსვლას და მათი ერთი ნაწილის სავარაუდოდ დამკვიდრებას უკავშირდება, ისეთი ტოპონიმები, როგორც არის აბაშა და აბაშისწყალი. აბაშისწყალის მიერ სახელის მიღებას „დავითისა და კოსტანტინეს ნაშების“ უცნობი ავტორი შემდეგნაირად აღწერს – „ხოლო ენია მუნ რისხვაი ღმრთისაი ურსა ხანასკა და ეტლებსა მისსა ზედა. რამეთუ აბაშთა ნათესავი იყო დაბანაკებული მდინარესა მას ზედა, რომელსა ან პრქვიან აბაშაი...და განაგდო მდინარემან აბაშისამან საზღვარი თვისი და მოექცა ნათესავი ზედა აბაშთასა და წარრღენა ყოველი ნათესავი აბაშთაი. და მიერთიან დაიდვა სახელი მდინარისაი მის აბაშაი“ (უცნობი ავტორი. დავითი და კონსტანტინეს ნაშება//ქართული პროზა. ტომი I. თბ., 1982. გვ. 177-178). გიორგი III დროს საქართველოს, ასევე ჰქონდა კონტაქტი ეთიოპიელებთან. „ისტორიანი და აზმანი შრაგანდედთანის“ ავტორის მიხედვით ერთ-ერთი იმ მეფეთაგანი, ვისთანაც გიორგის დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა იყვნენ აბაშთა მონარქები (ქართლის ცხოვრება, ტ. II., რედ. ს. ყაუხჩიშვილი. თბ., 1959 გვ. 22-23).

<sup>3</sup> KEBRA NAGAST. თავი. 116.

საც კებრა ნაგასტის შედგენის დროს (XIV საუკუნე) სომხეთი დიდი ხანია, რაც აღარ შედიოდა ბიზანტიის შემადგენლობაში და ის XII საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს ტერიტორია იყო.

აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში მყარდება მჭიდრო ურთიერთობა საქართველოსა და ეთიოპიას შორის, რაც ასახულია რომის არქივებში დაცულ საეკლესიო ანალებში. 1283 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ ცნობაში იხსენიებიან საქართველოს იმდროინდელი მეფეები დემეტრე II და დავით VI ნარინი, იქვე დაცულია ცნობები საქართველოს ურთიერთობაზე ეთიოპიასთან.<sup>1</sup>

ჩრდილოეთის მმართველად დავითიან-სოლომონიანთა დინასტიაში კებრა ნაგასტის ავტორები ბაგრატიონებს გულისხმობენ, ურევენ მათ ოდესღაც ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს, ბიზანტიის მმართველებში.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ლათინური, ებრაული და ეთიოპიური წყაროები, მიუხედავად მათი მითიური ელფერისა, საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციებს გვანვძიან დავით IV აღმაშენებლის ეპოქის საქართველოს შესახებ, რაც იმდროინდელი საქართველოს ძლიერების გამოძახილი უნდა იყოს.

**LERI TAVADZE**

## **MYTHS AND LEGENDS ABOUT DAVID THE RESTORER (ACCORDING TO LATIN, HEBREW AND ETHIOPIAN SOURCES)**

### **Summary**

**MYTHS** and legends about David IV the Restorer are very important. They include Latin, Hebrew and Ethiopian narrative sources referred to in the essay.

Concerning the Latin sources, the myths about Presbyter John date to the 40s of XII century. As numerous Georgian researchers point out, the legend originates from the powerful period of the Georgian history when David the Restorer (1089-1125) became the monarch of "All Georgia".

As for Hebrew sources, Rabbi Benjamin of Tudela provides information about a mysterious David Alroy. After studying this problem, we conclude that David Alroy never existed as a historical person. Legends about Alroy have direct connection with the political activity of David IV the Restorer and his successors. Conclusions are drawn concerning Alroy's name, origin, his relations with the Seljuk sultan Sanjar and his death. Many other issues are researched in relation to these questions.

Ethiopian sources include some interesting information about the Divine origin of the royal dynasty of Georgia – Bagrationi. These notes are preserved in "Kebra Nagast" whose authors misinterpreted the Divine origin of Bagrationi family with Byzantine rulers.

---

<sup>1</sup> ტაბაღლა ილია. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. თბ., 1984. გვ. 92.

## ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობათა შესახებ უძველესი დროიდან დღემდე

### *ქართულ-ოსური ურთიერთობები ოსების ქართლში ჩამოსახლებაზე*

**ქართველი** და ოსი ხალხების ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. პირველ ცნობებს ოსთა შესახებ ჩვენ ვხვდებით „ქართლის ცხოვრებაში“. „ქართლის ცხოვრებას“ ისინი, დანარჩენ სხვა ტომებისგან განსხვავებით, უფრო გვიან მოსულებად მიაჩნია და მათ „ხაზართა“ (ქართული წყარო სკივთებს გულისხმობს) შთამომავლებად მიიჩნევს. მართლაც, როგორც ცნობილია, ოსები გვიან მოსულ ირანულენოვან სკივთ-სარმატ-ალანთა ჩამომავლები არიან.

უძველეს დროში ოსთა განვითარების მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ქართლის სამეფოს მათთან ხშირი ურთიერთობა ჰქონდა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, აზოს განდევნაში ფარნაეაზს ეხმარებოდნენ „ოვსი და ლეკნი“ და დიდი წვლილი შეიტანეს ფარნაეაზის გამეფებაში. ასევე, ფარნაეაზი თავის დას მიათხოვებს „ოვსთა მეფეს“. ეს ორი ფაქტი ნათლად მეტყველებს ოსთა სიძლიერესა და განვითარებაზე. ამასთან, აღიარებულია მათთან ურთიერთობის სტრატეგიული სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა.

იბერია-ქართლის მეფეები განსაკუთრებით კარგად იყენებდნენ ოსთა სამხედრო ძალას დიდი გაჭირვების დროს. ამის საუკეთესო მაგალითია მეფე საურმაგ I ფარნაეაზის ძე, რომელიც მეფობდა ქრისტეს წინარე III საუკუნეში. საურმაგ I-ს ერისთავები აუჯანყდნენ. მან კავკასიონის გაღმიდან ოსებს და დურძუკებს მოუხმო და მათი დახმარებით ჩაახშო აჯანყება. ამის შემდეგ ეს ურთიერთობები გახდა დამპყრობლური, – ხან ოსები შემოესეოდნენ ქართლის სამეფოს დასაპყრობად, ხან პირიქით, – ქართველი მეფეები იპყრობდნენ ოსეთს.

III საუკუნის შუა წლებში, ქართლის სამეფოში მეფე ამაზასპის მეფობის დროს, სპარსეთის მეფე შაბურ I-მა მეფე ამაზასპს მოსთხოვა, რომაელებს გადაუდექი და მე შემომიერთდიო. რაზეც ამაზასპისგან კატეგორიული უარი მიიღო პასუხად. ამ დროს ოსთა ლაშქარი შემოიჭრა ჩრდილოეთიდან. ამაზასპმა ოსთა ლაშქარი დაამარცხა. ამის შემდგომ თვითონ გადავიდა ოსეთში და დაიმორჩილა ის. რომი კი „მოკავშირე მეგობრის“ პირობას არ ასრულებდა. ამიტომ ამაზასპმა რომს ზურგი აქცია და სპარსეთთან შეკრა კავშირი. მეფის ამ პოლიტიკამ ქართველთა პოლიტიკური ბანაკი ორად გაყო. ერისთავთა უმეტესობა მეფეს განუდგა და მტრად მოეკიდა. დასახმარებლად მოუხმეს რომაელებს, სომხებს, ოსებს. ამაზასპმა სპარსელთა ჯარები გამოიყვანა გუთნისხვევთან გამართულ ბრძოლაში. სპარსელები დამარცხდნენ, აქვე დაიღუპა მეფე ამაზასპიც.

ამ ამბიდანაც კარგად ჩანს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი მეფეებისთვის ოსებთან ურთიერთობას. ამაზასპმა ვერ შეძლო ფარნავაზისა და საურმაგის მსგავსად ოსებთან საერთო ენის გამოხატვა, რაც მას ძვირად დაუჯდა.

შემდგომში, უკვე V საუკუნეში, ოსებმა ილაშქრეს ჩვენს ქვეყანაში და მოიტაცეს ვახტანგ გორგასლის და მირანდუხტი, რის შემდეგაც ვახტანგ გორგასალმა მოაწყო ჩრდილოური ლაშქრობები ოსთა და კიდევ სხვა ხალხების დასასჯელად. ეს ყველაფერი მომხდარა 458-461 წწ. (ვახტანგ გორგასალი ამბობდა: „არა დათმენა ოსთა“).

V საუკუნის შემდგომ, IX საუკუნის შუა ხანებამდე, ქართულ წყაროებში ოსთა მოხსენიება დიდი ხნით წყდება.

შემდეგი ცნობა ოსთა შესახებ გვხვდება IX ს-ის შუა ხანებში. 853 წელს ბულა თურქს 100 ოსური ოჯახი ქვემო ქართლში, დმანისში, დაუსახლებია. ესაა პირველი ცნობა საქართველოში ოსთა შემოსვლა-დასახლების შესახებ. ეს ასი ოჯახი მალე ასიმილირებული აღმოჩნდა ქართულ მოსახლეობასთან.

ურთიერთობათა ახალი ეტაპი ამ ორ ხალხს შორის იწყება XI საუკუნიდან. ამ დროიდან საქართველოს მეფეებმა აღადგინეს ტრადიცია, გამოეყენებინათ ოსთა სამხედრო ძალა ქვეყნის სასარგებლოდ. ამ დროიდან მოყოლებული ოსებმა მონაწილეობა მიიღეს ქართველთა მიერ ჩატარებულ რამდენიმე დიდ და სახელოვან ბრძოლაში.

1070 წელს საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ მისი ძე გიორგი უსარდლა ქართველთა ლაშქარს ოსთა მონაწილეობით და დაავალა ქალაქ განძის აღება, რაც შესრულებულ იქნა კიდევც.

ოსთა სამხედრო პოტენციალი გამოიყენა ასევე დავით IV აღმაშენებელმა. ლეგენდარული დიდგორის ბრძოლის დროს მას თან ჰყავდა ოსთა 500-კაციანი დაქირავებული რაზმი.

XII საუკუნის ბოლოს, როდესაც საქართველოს სამეფოს ოქროს ხანა ჰქონდა და საქართველოში მეფობდა სახელოვანი თამარ მეფე, თამარ მეფეს მეორე მეუღლედ შერთეს საქართველოს სამეფო კარზე აღზრდილი, წარმოშობით ბაგრატიონი, ოსი დავით სოსლანი, მან თავისი წვლილი შეიტანა იმდროინდელი საქართველოს სიძლიერეში. სწორედ დავით სოსლანი იყო მთავარსარდალი შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში, რომლებში გამარჯვებამაც საქართველოს დიდი აღიარება მოუპოვა იმ ხანაში.

XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან, საქართველოს შემოესივნენ მონღოლები. სწორედ ამიტომ საქართველოს აღარ ჰქონდა იმის ძალა, რომ ოსებისათვის მიექცია ისეთივე ყურადღება, როგორიც თუნდაც თამარ მეფის მეფობის დროს.

იმ დროს საქართველო ჩავარდნილი იყო ძალიან დიდ გასაჭირში. საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწე ქართველებმა დაბრუნება დაიწყეს საქართველოში. დაბრუნდნენ ის მოღვაწეებიც, რომლებიც ოსეთში იყვნენ და ოსებს ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას და ბევრ სხვა ხელობას.

ზემოაღნიშნულმა ამბავმა ოსები ცუდ დღეში ჩააყენა, რადგანაც მათ არ გააჩნდათ ის კადრები, რომლებიც შეცვლიდა ქართველებს განათლების დარგში. ბავშვებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას ქართული ანბანის გამოყენებით.

შემდგომში ისე მოხდა, რომ ოსი ხალხის ბედი ცუდად წარიმართა – მათი ცხოვრების დონემ დაინია. ოსებმა ცოტა ხანი გაძლეს, მაგრამ როდესაც მათ ველარ შეძლეს ქერის პურის შოვნაც კი, დაიწყეს ქართლში გადმოსვლა და ქართველების ძარცვა, სახლების წართმევა, მთელი სოფლის მიტაცება, მოყვანილი მოსავლის მიტაცება და ასე შემდეგ.

ამ განუკითხაობას ბოლო მოუღო საქართველოს მეფემ გიორგი ბრწყინვალემ. მან ციგომბორის მთაზე გამართა ნადიმი, სადაც მიიწვია ყველა ის პირი, ვინც ხელს უშლიდა საქართველოს გამთლიანებასა და გაძლიერებას. მათ შორის გახლდათ ოსთა ბელადი, რომელმაც სახელი გაითქვა ძარცვითა და ყაჩაღობით და იყო მფარველი და ხელშემწყობი ყოველგვარი ცუდი საქმისა. გიორგი ბრწყინვალემ გასცა ბრძანება, რომ ყველა ეს პიროვნება სიკვდილით დაესაჯათ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ოსები ქართლში არ იშლიდნენ ქართველთა ძარცვას. გიორგი ბრწყინვალემ მათ შეატყობინა თავისი ბრძანება, რომ თუ არ დაიშლიდნენ ძარცვასა და ყაჩაღობას, მათ მკაცრად დასჯიდა. ამაზე ოსებმა თქვეს: გიორგი მეფემ ჩვენი ბელადი მოკლა და ამ ამბავს არ შევარჩენთ, ჩვენ სისხლის აღება ვიცითო. შეიტყო რა ეს პასუხი გიორგი ბრწყინვალემ, მაშინვე დაიწყო მზადება ქართლიდან ჩამოსახლებული ოსების გასასახლებლად.

ამის შემდგომ ქართლში ოსებს კიდევ უფრო ცუდი დღე დაუდგათ. მთელი ქართლის სოფლებიდან ოსები აყარეს, ქართველებისათვის წართმეული სახლები, რომლებიც ოსებს ჰქონდათ მიტაცებული, ჩამოერთვათ და ისევ მათ პატრონებს დაუბრუნდათ. ამის მერე შეყარეს ერთად ყველა ოსი და დიდი ჯარის მეშვეობით დააბრუნეს ოსეთში. ამ დროიდან მოყოლებული ქართლი დამშვიდდა.

მაგრამ გიორგი ბრწყინვალე მარტო ამ გაძევებას არ დასჯერდა. იფიქრა, ვაი თუ ოსები ისევ უკან მობრუნდნენო და ამიტომ ქართველთა ჯარით მათ შუაგულ ოსეთამდე მიჰყვა და იქ პირობა ჩამოართვა, რომ ქართლს აღარ შემოსეოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დასჯით დაემუქრა. ამის პირობა ოსებმა დიდი სიამოვნებით მისცეს და თქვეს, რომ დღეიდან ქართლში ჩვენი ფეხი აღარ იქნება, ოღონდ ერთი თხოვნა გვაქვს, გვიყავით სიკეთე და შეგვისრულეთო. თხოვნის შინაარსი ასეთი იყო: ჩვენს ქვეყანაში ოსებს არ გვყავს არც ხარაზი, არც მექალამნე, თერძი, ფეიქარი, დალაქი და სხვა ასეთი ხელობის ხალხი. ეგება გვიშველოთ და ყველა ამ ხელობის სამსამი კაცი გამოგვიყოთ, რომ ცოტა გვეშველოსო. გიორგი ბრწყინვალემ ამ თხოვნას დადებითად უპასუხა. შეკრიბა ზემოხსენებული ხელოსნები, ჩაიყვანა ოსეთში, გაუხსნა სახელოსნოები და ამგვარად შემოსა ისინი.

ამის მერე გიორგი ბრწყინვალე ეწვია თუშ-ფშავ-ხევსურ-მოსხვეეებს, აუწყა ოსების დამარცხება. თავად მოხვეეებს ბევრი წყალობა მიანიჭა და ამის სანაცვლოდ დაავალა, გზებზე დაეყენებინათ ყარაულები და გაეკონტროლებინათ, რომ ოსები აღარ გადმოსულიყვნენ ქართლში. ამის შესრულების ფიცი მისცეს მოხვეეებმა მეფეს. ამის შემდგომ, ანუ 1330 წლიდან, გავიდა ორი საუკუნე და ქართლში ერთი ოსის ფეხიც არ შემოდგმულა.

როგორც მოწმობს საქართველოს ისტორიის წყაროები, მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოსათვის ოსებს სოფლის მეურნეობა ძალიან სუსტად ჰქონიათ განვითარებული. პურის მოყვანაც კი არ სცოდნიათ, თურმე მარტო ქერს თესდნენ და მასაც მინის მოუხვნელად – ბართა და ნიჩბით მინას ჩიჩქნიდნენ და ასე მოჰყავდათ.

### **ოსების ჩამოსახლება ქართლში**

ამის შემდგომ მოხდა ისეთი რამ, რამაც შეცვალა ოსთა ცხოვრება უარესობისკენ. ოსეთის ერთ ნაწილში, მეტწილად კი ქართლის მოსაზღვრე ჩრდილოეთ რაიონებში, 1580 წლიდან გამუდმებით იკლო ქერის მოსავალმა. ამ მოუხავლიანობის მიზეზი ყოფილა სტიქიური უბედურებები.

ოსეთში დაიწყო დიდი შიმშილობა. ამ შიმშილობას ქართველი მემამულიანე ასე აღწერს: „1580 წელს, ოსეთში, იქნა სიყმილი ფრიად დიდი, მრავალნი სწყდებოდნენ სიყმილითა, ვინაიდან ოსნი იკვებებოდნენ მდელითი“.<sup>1</sup>

ამ დროიდან ოსებმა თავის სარჩენად დაიწყეს წაწნალი და მათხოვრობა. ზოგან მეტ სარჩოს შოულობდნენ, ზოგან ნაკლებს, მაგრამ ყველაზე მეტ სარჩოს ქართლში შოულობდნენ. ამიტომაც, სხვა ტერიტორიებზე წაწნალი და მათხოვრობა შეწყვიტეს და თავის მოყრა დაიწყეს ქართლში. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მატულობდა მათი რაოდენობა ქართლში.

საქმე იქამდე მივიდა, რომ არაგვისა და ქსნის ერისთავებმა ოსებს ჰკითხეს მიზეზი მათი მათხოვრობისა და გლახაკობისა. მათაც ყველაფერი გულწრფელად უამბეს. თავის მხრივ ყველაფერი დიდებულებმა ქართლის მეფე სიმონ I-ს მოახსენეს. სიმონ მეფემ ერისთავებს ურჩია, დაელაპარაკეთ ოსებს და თუ ისურვებენ, გადმოსახლდნენ ქართლში და თქვენსავე მამულებში ხიზნად ჩაასახლეთო. რა თქმა უნდა, ოსებმა ქართლში გადმოსახლებაზე თანხმობა განაცხადეს. ამ პერიოდიდან, ანუ XVI საუკუნის მინურულიდან, გაჩნდნენ ოსები ქართლში.

ოსები ჩაასახლეს ქსნის ერისთავის, არაგვის ერისთავის, მაჩაბლის, ფავლენიშვილის, ფურცელაძეების და ა. შ. მამულებში.

ოსები ქართლში ჩამოსახლების დროს იყვნენ ფრიად ლატაკნი, ამიტომ ქართლის მეფე სიმონ I-ს მიმართეს დასახმარებლად. თავისი მხრივ მეფემ მათი დახმარება ქართლის თავად-აზნაურებს დაავალა. ამ პერიოდში ოსების სასარგებლოდ იმოქმედა შემდეგმა გარემოებამაც: სიმონ მეფემ გორი გაანათავისუფლა ოსმალები-საგან და უფრო ამიტომ იწებეს ოსების დასახლება ქართლის თავად-აზნაურებმა.

ჩამოსახლებულ ოსებს გამოუყვეს სახლის ჩასადგმელი ადგილები და საჭირო მასალა. მალე ოსებმა სახლების ჩადგეს. რაც შეეხება დანარჩენ დახმარებებს, ეს მათ გაუწია ქართლის გლეხობამ. მათ ოსებს მისცეს სოფელში არსებობისათვის საჭირო ყველა ნივთი და საქონელი.

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში. გვ. 9.

ოსები და ქართველები კარგად შეეგუენ თანაცხოვრებას. მათ მალე დაიმსახურეს ქართველი ხალხის სიყვარული და თანაგრძნობა. ოსებმა ქართველი გლეხებისგან ისწავლეს პურის მოყვანა, მებაღეობა და მეღვინეობა.

ცოტა ხანში ქართლში ჩამოსახლებული ოსები მოლონიერდნენ, თუმცა გულში გაუჩნდათ იმის შიში, რომ იქნებ ქართლის თავადაზნაურებს აღარ მოუნდეთ ჩვენთან ერთად ცხოვრება და აგეყარონ, მაშინ სადღა წავიდეთო. ოსებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს შემდეგი: მივმართოთ ქართლის თავად-აზნაურებს და ვთხოვოთ, რომ გვიცმონ, თუ ყმად აგვიყვანენ, მაშინ ჩვენ აყრის საფრთხე აღარ დაგვემუქრებაო.

ამიტომაც ოსებმა თხოვნით მიმართეს ქართლის თავად-აზნაურებს გვიცმეთო. თავად-აზნაურებმა თავიდან უარი განუცხადეს: თქვენი ყმობა არ გვინდა, თქვენთვის იცხოვრეთ და უბატონოდ მზას ვერავინ გაცემთო, მაგრამ ოსები დაჟინებით ითხოვდნენ ყმად აყვანას და საბოლოოდ ქართლის თავად-აზნაურებმა ისინი ყმად აიყვანეს. ყოველივე ეს მოხდა XVI საუკუნის მიწურულს.

ამ ფაქტმა კიდევ უფრო დააახლოვა ერთმანეთს ქართველი და ოსი გლეხები. დაიწყო შერეული ქორწინებები ქართველებსა და ოსებს შორის, ხშირი იყო ასევე ნათელ-მირონობაც. ამის შემდეგ ოსთა და ქართველთა ურთიერთობები ისე განმტკიცდა, რომ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მათ შორის ღალატი და მტრობა არ ყოფილა. ოსები ქართველებთან ერთად იბრძოდნენ ბრძოლის ველზე და მათ ქართველებისთვის არასოდეს უღალატიათ.

ქართველებს და ოსებს ერთად მრავალი ბრძოლა აქვთ გადახდილი და მოგებულნი. აი რამდენიმე მათგანი:

1496 წელს შაჰ-ისმაილი ტფილისში ქართველებმა დაამხეს და გააძევეს. იმ ბრძოლაში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1536 წელს შაჰ-თამაზი საქართველოდან ქართველებმა განდევნეს, ტფილისის განთავისუფლებაში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1556 წელს სულთან სულეიმანი ქართველებმა დაამხეს და გააძევეს საქართველოდან ოსმალთა ჯარი, ამ ომში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1578 წელს ოსმალეთმა ააოხრა ქართლი; მერე ქართველებმა სძლიეს და ისინი განდევნეს. ამ ბრძოლაში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1583 წელს ქართლის მეფე სიმონ I-მა გორი აიღო, ოსმალები განდევნა; ამ ომში ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას.

1617 წელს შაჰ-აბასმა კახეთი აიკლო, ამ დროს ოსები ჩამოვიდნენ და ფიცი მისცეს კახელებს, რომ მათთან ერთად ერთგულად იბრძოლებდნენ მტრის წინააღმდეგ და ასეც მოიქცნენ.

1634 წელს ოსები შეუერთდნენ ქართველებს და ყიზილბაშთა წინააღმდეგ ერთად იბრძოლეს და ტფილისი გაანთავისუფლეს.

თვით ის ფაქტი, რომ ოსები იბრძოდნენ ქართველების მხარდამხარ, ადასტურებს იმას, რომ ოსები საქართველოს თავის სამშობლოდ თვლიდნენ და თავს ვალდებულიად მიიჩნევდნენ, ქართველებთან ერთად ებრძოლათ მის დასაცავად.

1640 წელს კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა თავი შეაფარა შიდა ქართლს. ამ დროს მან შეადგინა ოსთა ძეთა დასი და მათ მიუჩინა წერა-კითხვის მასწავლებლნი, რომლებმაც გახსნეს სკოლები.

1690 წელს, თეიმურაზ I-ის მსგავსად, შიდა ქართლს თავი შეაფარა კახეთის მეფე არჩილ II-მ. მან შეჰყარა ოსთა მოწინავე პირნი და უქადაგა სწავლა-განათლების მნიშვნელობა, რაზეც ოსებმა თანხმობა განუცხადეს.

შემდგომ, უკვე XVIII საუკუნეში, კერძოდ 1706 წელს, არჩილ II-მ რუსეთში გაიყოლა რამდენიმე ოსი, სადაც მათ გააცნო რუსული სასტამბო საქმეები. ამასთანავე, აჩვენა ახალჩამოსხმული ქართული ანბანის ასოების ყალიბები. ოსებს ქართული საბეჭდი ასოების ნახვა ძალიან მოსწონებიათ.

1707-1711 წლებში ოსეთი, მისი დაუმორჩილებლობის გამო, ორჯერ დალაშქრა მეფე ვახტანგ VI-მ, დაუნგრია ციხესიმაგრეები, დაიმორჩილა და დაუხარკა ისინი.

მეთვრამეტე საუკუნეში ოსთა შესახებ საინტერესო ცნობები აქვს დაცული ვახუშტი ბატონიშვილს ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ოსების ყოფაცხოვრების შესახებ გამოყოფილია ცალკე თავი.

ვახუშტი ბაგრატიონი ოსებს ფიზიკურად ლამაზ და თვალტანად ხალხად ახასიათებდა. თუმცა, ამბობდა, „ვერ შემმართვეულნი ბძოლასა შინა“. <sup>1</sup> ოსების ვერ შემართვების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: მათ იციან ღამით თავდასხმა მტერზე. მაგრამ ეს ფაქტი მათ სულაც არ ამცირებს. ჯერ ერთი, ეს გახლდათ ბრძოლის ტაქტიკა. ამ ტაქტიკით, ანუ ღამით მტერზე თავდასხმით, მრავალი ბრძოლაა მოგებული.

ვახუშტი ბატონიშვილი ოსი ქალების შესახებ ამბობს, რომ ოსი ქალები მისდევნენ მრუშობას და რომ ოსეთში გავრცელებული იყო მრუშობა.

ეს მოსაზრება ვახუშტი ბაგრატიონისა, ჩემი აზრით, სუბიექტურია, რადგანაც მრუშობა და ღალატი ცოლ-ქმარს შორის ოსებში მკაცრად ისჯებოდა. ოსეთში ადრე ცოლის ღალატი ქმრისადმი ცოლისა და საყვარლის მოკვლით ისჯებოდა. შემდეგში კი ქალს ყურსა და თმის ნაწილს აჭრიდნენ და სახლიდან აგდებდნენ. XIX საუკუნის შუა ხანებშიც კი სხვისი ცოლის შეურაცმყოფელს ვირზე უკუღმა შესმულს დაატარებდნენ სოფელში, ან ლაფს ასხამდნენ.

ოსი ხალხის სულიერი კულტურის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: ოსნი არიან უნიგნურნი და უცოდინარნიო. ეს ბუნებრივია, რადგანაც ოსები იყვნენ ველიდან აყრილი და მთის ვინრო ხეობებში მაცხოვრებელი ხალხი. მაგრამ ვახუშტი ამ ცნობასთან ერთად დასძენს, რომ ოსები ბუნებრივად არიან ნიჭიერნი და მიუთითებს, ოსნი გონიერად მოუბრობენო. ვახუშტი აღნიშნავს, რომ ოსთა სოციალურმა ზედაფენებმა და აგრეთვე მათ, ვისაც მეზობელ ხალხებთან ურთიერთობა უხდება, იციან იმ ხალხების ენაო. ამდენად, ოსეთში ბევრს სცოდნია ქართული, ყაბარდოული და თურქული ენები; უნდა ყოფილიყვნენ ქართული სწავლა-განათლების მქონე პირებიც.

<sup>1</sup> გ. თოგოშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ. გვ. 31.

მეზობელი ხალხების ენის ცოდნას ოსები დიდ მნიშვნეობას ანიჭებდნენ და საამისოდ ღონისძიებებსაც მიმართავდნენ. დაინტერესებული მხარეები ერთმანეთში ცვლიდნენ ახალგაზრდა ყმანვილებს ურთიერთობების, ენების და ზნე-ჩვეულებების შესასწავლად. შტედერი (წერდა XVIII ს. 80-იანი წლების დასაწყისში) აღნიშნავდა, რომ ოსები უცხოელებს აძლევენ აღსაზრდელად თავის ვაჟებს, ხშირად მთელი სოფლისას.

ოსთა სულიერი კულტურის შემადგენელი ნაწილებიდან ვახუშტი ვრცლად საუბრობს ოსთა რელიგიაზე. „სარწმუნოებით არიან ძუელად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი, და უფრო დუალნი. არამედ აწინდელ ჟამთა დუალნი სახელითა ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხავენ დიდმარხუასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღვდელთა პატივს უყოფენ და თაყვანს-სცემენ, და სხვას სრულიად უმეცარნი. არა უვისთ მღვდელი, და უნათლისღებონი არიან, თვინიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათვლიან. ხოლო თაგუარნი, ქურთულნი, ვალიგირი, ფაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი, და დაბალნი გლეხნი ქრისტიანენი, გარნა უმეცარნი ორივეს სჯულისანი რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტიანნი და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მაჰმადიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მსგავსნი კერპისა, რომელსაც უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირავენ ელიას თხასა და ხორცსა შესჭამენ თვითონ, ხოლო ტყავსა გასჭიმავენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყვან-სცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სეტყუანი და მოსცეს ნაყოფნი ქვეყნისანი“<sup>1</sup>.

აი ასეთი გახლდათ ოსების რელიგიური კულტურა XVIII საუკუნეში.

ვახუშტი ოსთა ენის შესახებ ამბობს: „ენა აქუთ ძუელი, დუალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად, ვინაითგან ჩერქესთა ენა სხვა არს“<sup>2</sup>.

ეს ცნობა მკვლევრებს სხვადასხვანაირად ესმით და სამეცნიერო პოლემიკის საკითხს წარმოადგენს.

აი ასეთია ცნობები XVIII საუკუნეში ოსი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე და მის კულტურულ და რელიგიურ განვითარებაზე.

საერთოდ, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბაგრატიონის შეფასება და ცნობები, განსაკუთრებით კი უარყოფითი დახასიათებები გაზვიადებულია ხოლმე, მაგრამ ამავე დროს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები არის ძვირფასი და შეუცვლელი მკვლევართათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ საკითხით.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება IV, გვ. 639.

<sup>2</sup> გ. თოგოშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ. გვ. 37.

## **ქართულ ოსური ურთიერთობები საქართველოს რუსეთის იმპერიაში ყოფნის პერიოდში**

რაც შეეხება XIX საუკუნეს, ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო შემდეგი: 1864 წლიდან, ანუ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ქართლში სამუშაოდ მოდიოდნენ ოსები, რომელთაც სამუშაოზე არ იყვანდნენ მემამულეები. ამიტომაც მემამულეებს მეფის რუსეთის ხელისუფლებამ შესთავაზა ასეთი რამ: თუ ისინი ოს ხიზნებს სამუშაოზე აიყვანდნენ და საცხოვრებელ ფართსაც გამოუყოფდნენ, მაშინ მთავრობა მათ თითო აყვანილ და დასაქმებულ ოს მუშაზე თითო თუმანს გადაუხდოდა. ამ წინადადებას ქართლის მემამულეები დათანხმდნენ.

კიდევ უფრო გაღრმავდა ურთიერთობები ქართველებსა და ოსებს შორის XIX საუკუნეში.

ქართულ კულტურულ ტრადიციებზე აღზრდილმა ოსმა პოეტმა ი. იაღლაზიძემ (1770-1830 წწ.) ოსური ანბანის შესადგენად გამოიყენა ქართული ანბანი. მან ქართულიდან ოსურ ენაზე თარგმნა რამდენიმე ნაწარმოები და თვითონაც წერდა ლექსებს ქართულ ენაზე.

ქართველ და ოს ხალხს შორის ურთიერთობა შეიცვალა XX საუკუნის დამდეგს. ეს მოხდა საქართველოს დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს – 1918-1921 წლებში.

თავის დროზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მტრულად შეხვდა საბჭოთა რუსეთი, მაგრამ, სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის გამო, რუსეთს არ შეეძლო 1918-1920 წლებში საქართველოს საშინაო საქმეებში უშუალოდ ჩარევა. სწორედ ამიტომ, რუსეთი შეუდგა საქართველოში რუსეთის მეხუთე კოლონის ორგანიზებასა და ამოქმედებას ხელისუფლების წინააღმდეგ. რუსეთის ხელისუფლება საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად იყენებდა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების სეპარატისტულად განწყობილ ძალებს და მოსახლეობას. მათ შორის იყვნენ ოსებიც.

საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ პირველი დიდი ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლის ორგანიზება საბჭოთა რუსეთმა 1918 წლის ზაფხულში შეძლო დუშეთის მაზრაში. აქ შეიარაღებული გამოსვლა ერთობლივად იყო დაგეგმილი რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის და რუსეთის კავკასიის არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს მიერ. რუსეთის კავკასიის სარდლობამ დუშეთის მაზრაში შემოგზავნა სამხედრო ინსტრუქტორები და შემოტანილ იქნა დიდი რაოდენობით იარაღი (მაშხანები და ტყვიამფრქვევები). ქართველმა ბოლშევიკებმა დუშეთის მაზრის ზოგიერთ სოფელში მიიმხრეს გლეხობის ნაწილიც (ეს ნაწილი იყო, ძირითადად, პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები). ბოლშევიკებმა ამავე დროს მიიმხრეს დუშეთის მაზრის ოსი და სომეხი მოსახლეობა. აჯანყებულებმა რამდენიმე სოფელში დახოცეს სოფლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და გვარდიელები. აჯანყების დაწყების დროისთვის დუშეთში ქართული რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის ძალები მცირე ძალები იმყოფებოდა. ამით ისარგებლეს ბოლშევიკებმა და მათმა შეიარაღებულმა რაზმებმა დუშეთი დაიკავეს. 1918 წლის 25 ივ-

ნის დღემეთის მარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. საბოლოოდ ეს ანტი-სახელმწიფოებრივი გამოსვლა დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სწრაფი და სწორი სამხედრო მოქმედებით მოაგვარა.

საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შემდგომ გადაწყვიტა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ყოფილიყო რამდენიმე ავტონომიური ერთეული. ასე გაჩნდა საქართველოში რამდენიმე ავტონომიური წარმონაქმნი, მათ შორის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“.

ქართველი ხალხის ნების უკითხავად და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, 1922 წლის 20 აპრილს „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი შეიქმნა. ოლქის შემადგენლობაში ოსურ სოფლებთან ერთად გადავიდა 40 ქართული სოფელი და ერთი ქალაქი (ცხინვალი), სადაც 20 ათასამდე ქართველი ცხოვრობდა, ხოლო ოსი მოსახლეობის რაოდენობა 1100 ადამიანს შეადგენდა.

„სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნა საქართველოს ტერიტორიაზე ხელოვნური და უკანონო იყო და მას არავითარი ისტორიული სამართლიანობა არ გააჩნია. იგი უკანონო იყო შემდეგი ფაქტორების გამო:

1. შიდა ქართლში მცხოვრებ ოსებს, როგორც ეთნიკურ ჯგუფს, ისტორიული სამშობლო სხვაგან აქვთ.

2. საქართველოს ტერიტორიაზე (შიდა ქართლში) ოსთა ისეთი რაოდენობა არ ცხოვრობდა, რომ ოსურ მოსახლეობას ავტონომია მოეთხოვა.

3. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქს სრულიად უკანონოდ მიაკუთვნეს ქართული სოფლები და ქალაქი ცხინვალი.

საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ავტონომიის შექმნაში იმალებოდა ნელი მოქმედების ნაღმი, რომელიც ადრე თუ გვიან აფეთქდებოდა. როდესმე აუცილებლად დადგებოდა საკითხი უკანონოდ შექმნილი ავტონომიის გაუქმებისა, რასაც ავტონომიის პირობებში მცხოვრები ხალხი, კერძოდ, ოსები არ შეეგუებოდნენ, ამას მოჰყვებოდა დაპირისპირება რეგიონში. რუსეთი თავის მხრივ მის მიერ მინიჭებული ავტონომიის გაუქმებას არ დაუშვებდა და საბაბიც ექნებოდა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევისა.

საბჭოთა კავშირის დაშლა მტკიცეულად მიმდინარეობდა. საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში აგორებულ ეროვნული მოძრაობის დიდ ტალღას მოსკოვი სხვადასხვა საშუალებებით ებრძოდა და ცდილობდა მის ჩახშობას. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენდა სეპარატისტული ძალების ნაქეზება და ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების პროვოცირება.

1991 წლის 21 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ოფიციალურად გამოცხადდა დაშლილად. მის ადგილას კი შეიქმნა 12 დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც შემდგომში შეეიდა სხვა ახალ სეპლმნიფო გაერთიანებაში, კერძოდ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ).

საქართველო ერთადერთი სახელმწიფო აღმოჩნდა, რომელმაც უარი განაცხადა ამ გაერთიანებაში გაწევრიანებაზე. რუსეთის გავლენისგან ბოლომდე თავი

დაღწევა ოფიციალური საგარეო პოლიტიკური კურსი იყო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისა. რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევა უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად.

საქართველოს ამგვარი პოლიტიკური კურსი სრულიად მიუღებელი გახლდათ რუსეთისთვის, რომელმაც სასწრაფოდ აამოქმედა დასჯის აპრობირებული მეთოდი პატარა და დაუმორჩილებელი საქართველოს წინააღმდეგ. პირველ რიგში, რუსეთმა ხელი შეუწყო საქართველოში არსებულ ავტონომიებში სეპარატისტულ მოძრაობას.

მოსკოვიდან იყო მართვადი ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე პროცესები, რომლებიც წმინდა წყლის ანტიქართული ისტერიის სახეს ატარებდა.

1988 წლის აპრილში ცხინვალში მოეწყო პირველი მასობრივი დემონსტრაცია. დემონსტრანტთა მოთხოვნა იყო „სამხრეთ ოსეთის“ ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანება. ამ ანტიქართულ მოძრაობას სათავეში ედგა ოსური სეპარატისტული მოძრაობა „ადამონ ნიხასი“, რომლის მეთაური ალან ჩოჩიევი თანაგრძნობას უცხადებდა სეპარატისტებს.

1989 წლის მაისში ოსი მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იმდროინდელ გენერალურ მდივანს წერილი გაუგზავნა, რომელშიც საქართველოს კომუნისტურ ხელმძღვანელობასა და ქართველ ერს ბრალად წაუყენეს ოსი ხალხის სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული შევიწროება, ოსური ბოლშევიკური ინტელიგენციის მოსპობა, ოსეთის ტოპონიმიკური სურათის შეცვლა და ა.შ. წერილის ავტორები სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანებასა და მის რუსეთის ფედერაციაში შესვლას მოითხოვდნენ.

1989 წლის სექტემბერში, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიის გადწყვეტილებით, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ენად გამოცხადდა ოსური ენა. ეს კი, რა თქმა უნდა, ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შეზღუდვის ხარჯზე მოხდა.

1989 წლის ოქტომბერში „ოსეთის მშრომელების“ და „ადამონ ნიხასის“ მიმართვაში საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობისადმი წამოყენებულ იქნა ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ გაერთიანების მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, პირველ ეტაპზე, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი რესპუბლიკად გარდაქმნებოდა და მოსკოვს დაექვემდებარებოდა. 1989 წლის 10 ნოემბერს ზემოაღნიშნული და სხვა ანტიქართული მოთხოვნები ოფიციალური გახდა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატების საბჭოს სესიის გადწყვეტილებათა სახით.

რა თქმა უნდა, ქართული საზოგადოება ამ ყველაფერს რეაქციის გარეშე ვერ დატოვებდა. ქართულმა საზოგადოებამ, საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა სცადეს, არ დაეშვათ „სამხრეთ ოსეთში“ მოვლენების ანტიქართული კუთხით განვითარება. მათ საზოგადოებას მოუწოდეს, მონაწილეობა მიეღოთ 1989 წლის 23 ნოემბერს ქალაქ ცხინვალში დაგეგმილ მიტინგის მიმდინარეობაში. ქართველი ხალხი აქტიურად გამოეხმაურა ამ მოწოდებას და ცხინვალისკენ

ათიათასობით ადამიანი დაიძრა. ხოლო საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას ამ აქციისთვის არათუ ხელი არ შეუშლია, არამედ ავტობუსებიც კი გამოუყო მომიტინგეებს გადაადგილებისათვის. მაშინდელი შ/ს მინისტრი კოლონას მიაცილებდა. მომიტინგეებმა მშვიდობიანად მიაღწიეს ცხინვალის მისადგომს, აქ კი მათ გზა გადაუღობეს რუსეთიდან მართული ძალების მიერ მობილიზებულმა ოსი ეროვნების მოქალაქეებმა.

ოსურ სეპარატიზმს ასაზრდოებს რუსული იმპერიალიზმი. ეს კარგად არის ცნობილი ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილისათვის. ასევე კარგად იყო ცნობილი, თუ როდის და რით დასრულდებოდა ეს პროცესი. ყოველივე ეს დასრულდებოდა მაშინ, როდესაც ამას რუსეთი მოინდომებდა.

„სამხრეთ ოსეთში“ სეპარატისტული პოლიტიკური პროცესები რუსეთის გეგმით წარიმართა: 1990 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა დეკლარაცია „სამხრეთ ოსეთის“ სუვერენიტეტის შესახებ; ნოემბერში „სამხრეთ ოსეთი“ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა, ხოლო დეკემბერში სეპარატისტებმა „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ „სამხრეთ ოსეთთან“ იმდენად დაიძაბა ურთიერთობა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა ტერიტორიული მთლიანობა, მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ და დადგენილება „ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ (1990 წლის 11 დეკემბერი).

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა აქტიურად უჭერდა მხარს ოს სეპარატისტებს. 1991 წლის იანვარში გამოვიდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის, მიხეილ გორბაჩოვის, ბრძანებულება „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ. ოსი სეპარატისტების ანტიქართული მოქმედებების გამო დაიძაბა ურთიერთობა სამაჩაბლოს ოს და ქართველ მოსახლეობას შორის, დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები, რასაც შედეგად ამ კუთხის ჩამოშორება მოჰყვა – დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

სამწუხაროდ, ოს ხალხს საქართველოში ცხოვრების დროს ყოველთვის ჰქონდა ის გრძნობა, რომ ისინი არ იყვნენ საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები. მათ ასევე ჰქონდათ უსაფუძვლო შიში იმისა, რომ ქართველი ხალხი მათ რაიმეს დაუშავებდა. მათ ამის ცრუ შიში XX საუკუნის მიწურულშიც გააჩნდათ. სწორედ ამ უაზრო შიშის გამოყენება შეძლო სათავისოდ რუსეთის სახელმწიფომ.

ბოლოს, რა შეიძლება ითქვას ქართველი და ოსი ხალხების მთელი ამ ისტორიული ურთიერთობის შეჯამების საფუძველზე:

– ოსი ხალხის ისტორია წინააღმდეგ ქართველი ერის ისტორიასთან. აქედან გამომდინარე, საქართველოს ისტორია ოსი ხალხისთვის უცხო და მიუღებელი არაა.

– კარგი იქნება, თუ ოსი ხალხი გაიაზრებს, რომ მათი მხრიდან ქართველი ხალხის და საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა არის შეურაცყოფა იმ წინაპრებისა,

რომლებიც თავდადებით ებრძოდნენ მტერს საქართველოს დასაცავად და მისთვის სიცოცხლესაც სწირავდნენ.

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას სამაჩაბლოში, ეს გახლავთ ხელოვნურად შექმნილი მდგომარეობა და მას არავითარი საერთო არ აქვს ისტორიულ სამართლიანობასთან. ხოლო ის, რაც არაბუნებრივი და უსამართლოა, ადრე თუ გვიან აუცილებლად დასრულდება და აღდგება ისტორიული სამართლიანობა და ყველაფერი დაუბრუნდება ცხოვრების იმ კალაპოტს, როდესაც ქართველი და ოსი ხალხები ერთად მშვიდობიანად ცხოვრობდნენ საქართველოს ამ რეგიონში.

## **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა**

### **წყაროები**

1. „ქართლის ცხოვრება“, I ტ.
2. *გ. ბაგრატიონი*. აღწერა სამეფოსა საქართველოსი, „ქართლის ცხოვრება“, IV ტ.

### **ლიტერატურა**

1. მღვდელ-მონაზონ ნიკონ ჯობნაშვილის ხელნაწერი.
2. *ზ. ჭიჭინაძე*, ოსების ჩამოსახლება ქართლში.
3. *ზ. ჭიჭინაძე*, ოსეთის ისტორია, 1914 წ.
4. *გ. თოგოშვილი*, ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ.
5. *რ. თოფჩიშვილი*, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები.
6. საქართველოს ისტორია XIX ს.
7. საქართველოს ისტორია XX ს.

**THE RELATIONS OF GEORGIAN AND OSSETIAN  
PEOPLES AND THEIR MERIT TO EACH OTHER**  
**Summary**

**A** lot of has been written on relations of Georgian and Ossetian peoples and numerous works have been published on the existing conflict between these nations and about the reasons which caused this opposition, but the author doesn't share the opinions of most of them.

The work "The Relations of Georgian and Ossetian Peoples and their Merit to Each Other" (from ancient times till present day) discusses the interdependence of these two peoples from ancient period until now. The survey is based on the relevant historical sources and literature. In the article the historical facts are analyzed and estimated in a new way.

## ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხები მარიამ ლორთქიფანიძის შრომაში

ქვეყნის გაერთიანებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ისტორიისა და მისი პოლიტიკური სიძლიერისათვის. თუ ერთიანი იყო ჩვენი ქვეყანა, მაშინ მისი შინაგანი მდგომარეობა და პოლიტიკური პრესტიჟიც მაღალ დონეზე იყო, რაც სახელმწიფოს ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებაზეც კარგად და კეთილად მოქმედებდა. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს გაერთიანებასთან ერთად დადგა. ამ მხრივ უძველესი წყაროს წარმოადგენს „მატიანე ქართლისაი“ – XI ს-ის უცნობი მემკვიდრის ნაშრომი. ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისას ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეა, რაც გარკვეული სახით „ქართლის ცხოვრებაში“ აისახა. არაბთა მფლობელობის დროს დაქუცმაცებული რეგიონების გაერთიანებით და ახალი ქართული სამეფო-სამთავროების შექმნით იწყება ქვეყნების სახელმწიფო გაერთიანების პროცესი. ესაა ერთიანი ფეოდალური მონარქიის გაერთიანებისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი. სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების შედეგად ქვეყანა გაერთიანებისაკენ მიდიოდა. ეს გაერთიანებისათვის ბრძოლის მეორე ეტაპი იყო.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხი ფართოდ აქვს განხილული და გაშუქებული თავის შრომებში აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს. ის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საწყისად მიიჩნევს VIII ს-ის მეორე ნახევრის ბოლოს. მისი აზრით, ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პრობლემათა განხილვასთან დაკავშირებით საჭიროა ყურადღება შევაჩეროთ ერთ საკითხზე, სახელდობრ, ამ გაერთიანების ორ ეტაპზე. ამ საკითხის ერთი მხარეა ძირითადი ქართული მიწების გაერთიანება და საფუძვლის ჩაყრა საქართველოსათვის, როგორც ერთიანი სახელმწიფოსათვის, რაც X-ის 80-იან წლებში განხორციელდა (ბაგრატ III), ხოლო ამავე საკითხის მეორე მხარეა „საქართველოს“ გარეთ დარჩენილი ქართული მიწების შემდგომი შემოერთება და სახელმწიფოებრივი ცენტრალიზება, რაც, მეფე ბაგრატ III-დან მოყოლებული, საბოლოოდ დავით IV აღმაშენებლის დროს სრულდება.<sup>1</sup>

მ. ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“ განხილულია IX-X სს. საქართველოს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება; მაგრამ, რასაკვირველია, არა მთლიან-

<sup>1</sup> მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963. გვ. 19.

ნად, არამედ ის ეტაპები, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის გაერთიანების უწყლო პროცესთან. მასში აღნიშნულია, რომ IX-X სს. საქართველო განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყანაა.<sup>1</sup> განვითარებულია სოფლის მეურნეობის თიხის ყველა ძირითადი მიმართულება. ამავე პერიოდში მიმდინარეობდა ქვეყანაში მთლიანი რიგი დაუსახლებელი ადგილების დასახლება და მათი მაქსიმალური ათვისება.

მ. ლორთქიფანიძეს ნაშრომებში, რომელიც ეხება ფეოდალური საქართველოს პერიოდს, მსჯელობს იმდროინდელი საგარეო ფაქტორებზე, ეკლესიის როლსა და ეროვნულ თვითშეგნებაზე.

ამ პერიოდისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანიშნურებული იყო სოფლის მეურნეობა, ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ამ პერიოდში მინის დასამუშავებლად გამოყენება დაიწყო ე.წ. ქართული, „დიდი გუთისა“, რამაც ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების გაზრდას. აღსანიშნავია ისიც, რომ მგვენახეობა ჩვენი IX-X სს-ში განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა და ის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. დიდი ადგილი უკავია ამ დროისათვის მესაქონლეობასაც.

ამრიგად, გაერთიანების ხანის ფეოდალურ საქართველოში, შეიძლება ითქვას, თავს იჩენს ეკონომიკური აღმავლობა და მეურნეობის სხვადასხვა დარგების დაუფლება. რაც ხელსაყრელ პირობას ქმნის ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის. VIII-X საუკუნეები საქალაქო ცხოვრების აღმავლობით ხასიათდება – ქალაქები უდავოდ მხარს უჭერდნენ ქვეყნის გაერთიანებულ ძალებს. ბუნებრივია, ქალაქის მოსახლეობა დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების შექმნით: X ს-ში საქართველოს გაერთიანებას, პირველ რიგში, აპირობებს ეკონომიკური აღმავლობა, ამის შემდეგ კი ძირითადი საზოგადოებრივი კლასების დარაზმვა ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში, რაც სოციალური და ეროვნული მომენტითაა განპირობებული, ხოლო ქვეყნის გაერთიანების პროცესს აჩქარებს უშუალო საგარეო საფრთხის არსებობა.<sup>2</sup>

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა არაბთა და ბიზანტიელთა უღლისაგან განთავისუფლების პარალელურად მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ გაღერთანებელ საქართველოს, ერთი მხრივ, თურქ-სელჩუკების ნიშააღმდეგ უნდა ებრძოლა, ხოლო მეორე მხრივ – ბიზანტიის. საქართველოს საბოლოო გაერთიანება კი თურქ-სელჩუკთაგან ჩვენი ქვეყნის განმენდას გულისხმობს. არაბთა მკლავებლობის დროს დაქუცმაცებული რეგიონების გაერთიანებით და ახალი ენაწილი სამეფო-სამთავროების შექმნით იწყება ქართული ქვეყნების ერთ ააქლანჯად გაერთიანების პროცესი. VIII ს. დასასრულსა და IX ს. დასაწყისში აღსანიშნავია ტერიტორიაზე რამდენიმე ადრეულ ფეოდალური სამთავრო შეიქმნა ამ სამთავროების წარმოშობა უკავშირდება ცალკეული პერიფერიების საზოგადოებრივ და ეკონომიკურ აღმავლობას არაბთა მფლობელობის ნიშააღმდეგ მიმდინარეული დასახული

<sup>1</sup> მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1975, გვ. 58.

ბრძოლის პირობებში. VIII ს. დასასრულს, ქართველი ხალხის მიმღე ბრძოლის შედეგად, ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, კახეთის, ხოლო, მეორე მხრივ, ტაო-კლარჯეთის ადრეფეოდალური სამთავროები.

VIII ს-ის 80-იან წლებში კი ხაზართა დახმარებით ლეონ აფხაზთა ერისთავმა გააერთიანა ეგრის-აფხაზეთი, თავი ბიზანტიელთაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა და მეფის ტიტული მიიღო.

დამოუკიდებელი პოლიტიკური ფეოდალური სამთავროს ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც წლების მანძილზე მიმდინარეობს. ამ დროისათვის კახეთი ქართლის სამეფოს, ხოლო შემდეგ ქართლის საერისთავოს ფარგლებშია მოქცეული.<sup>1</sup> X ს-ის დასაწყისში კი კახეთი უკვე ცალკე არსებული ფეოდალური სამთავროა საკუთარი მთავრით სათავეში. თუმცა კახეთის ასე ცალკე ფეოდალურ სამთავროდ გამოყოფა პირდაპირ არ მომხდარა, სავარაუდოდ, ამ ფაქტს ხელი შეუწყო 50-იან წლებში ნანართა ბრძოლამ არაბთა წინააღმდეგ.

VIII ს-ის დასასრულსა და IX ს-ის დასაწყისში კახეთი გაერთიანდა ნანართა მოთავეობით და განთავისუფლდა არაბთა უღლისაგან.<sup>2</sup> ამ დროის სახალიფოში დიდი სამოქალაქო ომისა და დინასტიების შეცვლის ეპოქა დადგა. სწორედ ამ მდგომარეობით ისარგებლეს ნანარებმა. 754 წელს მეორე აბასიან ხალიფას ბრძოლით უხდება ნანართა დამორჩილება და დახარკვა. მებრძოლი ნანარებისათვის VIII-ის დასასრულს უფრო ხელსაყრელი დრო დგება. ამ დროიდან დაიწყო არაბთა ხალიფატის დაშლა. X ს-ის II ნახევრისათვის უკვე არსებობდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები: ფატიმიდების სახალიფო ეგვიპტეში, კორდოვის ხალიფატი პირინეის ნახევარკუნძულზე, საკუთრივ აბასილების ხალიფატი ბაღდადის ცენტრში,<sup>3</sup> გარდა ამისა, ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში გაჩნდა უამრავი საამირო, ამ პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის იყო ჯაფარიდების თბილისის საამიროც, რომლის ტერიტორია დღითიდღე კლებულობდა და X ს-ის მიწურულისათვის ფაქტობრივად მოიცავდა მხოლოდ ქ. თბილისს და მის შემოგარენს.<sup>4</sup> VIII ს-ის დასასრულიდან, დაახლოებით მას შემდეგ, როცა იქმნება კახეთის სამთავრო, ტერმინი „კახეთის“ მნიშვნელობა ფართოვდება და არმიერიდან ის კახეთ-კუხეთ-გარდაბნის, ანუ ახალი ფეოდალური სამთავროს აღმნიშვნელ სახელად იქცა. მას შემდეგ, რაც კახეთის მთავრები ჰერეთს იპყრობენ და კახეთის სამთავროს უერთებენ, ტერმინი კახეთი ჰერეთსაც მოიცავს. თავდაპირველად კახეთის სამთავროს ორგანიზაცია ჩრდილო რაიონებში იწყება. მთა, რომელმაც უკეთ შეინახა თავი, იწყებს ბრძოლას არაბთა უღლის გადაგდებისა და სამთავროს ჩამოყალიბებისათვის. ამ ბრძოლის სათავეში ნანარები დგანან. კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებისას ამ პოლიტიკური

<sup>1</sup> მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 141.

<sup>3</sup> ზ. პაპასკირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990, გვ. 7.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 8.

ერთეულის ცენტრად შეიძლება ყოფილიყო უჯარმა, მაგრამ უჯარმამ მალე დაკარგა მნიშვნელობა და სამთავროს ცენტრმა თიანეთში გადაინაცვლა.<sup>1</sup> XI საუკუნეში სამეფოს ცენტრი თელავშია.

VIII ს. 70-იან წლებში კახეთში დიდი აჯანყებაა არაბების წინააღმდეგ. საფიქრებელია, რომ აჯანყებულ კახეთთან ქართლსაც აქვს კავშირი; მაგრამ IX ს. დასაწყისიდან, როდესაც ქართლის საერისმთავრო რეალურ ძალას აღარ წარმოადგენს, კახეთის მთავარი ახალ მოკავშირეს იჩენს ხალიფას წინააღმდეგ მებრძოლ თბილისის ამირას სახით. კახეთის მთავრები მოხერხებულად სარგებლობენ ამ მდგომარეობით და თბილისის ამირასთან ერთად ებრძვიან ხალიფას ხელისუფლებას. თვითონ თბილისის საამირო კახეთისათვის საშიშ ძალას არ წარმოადგენს. კახეთის მთავრები მხოლოდ იყენებენ მაჰმადიანთა ამ ბრძოლას საკუთარი ინტერესებისათვის. იმ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც IX-X საუკუნეებში შეიქმნა ამიერკავკასიაში, კახეთის სამთავრო სრულიად გარკვეულ ხაზს ატარებს – მისი მიზანია დაცვა თავი არაბთა აგრესიისაგან და შეძლებისდაგვარად იზრუნოს საკუთარი სამთავროს ფარგლების გაფართოებაზე. 908-914 წლების მძიმე ამბებისაგან კახეთი შედარებით იოლად გამოვიდა: აბულ-კასიმმა კახეთში უჯარმისა და ბოჭორმის ციხეები დაიჭირა, მაგრამ კვირიკემ მას მორჩილება გამოუცხადა და კახეთი დარბევას გადაარჩა.

არაბებთან ბრძოლის პარალელურად კახეთის სამთავრო აქტიურად მონაწილეობს იმ ბრძოლაში, რომელიც ქართლის დაუფლებისათვის წარმოებს... მაგრამ ქართლისათვის ბრძოლაში კახეთის მთავარი დამოუკიდებლად არ გამოდის. შიდა ქართლს ერთმანეთს ძლიერი მეტოქეები ეცილებიან და კახეთის მთავარი მხოლოდ ერთ-ერთი მებრძოლი მხარის მოკავშირეობით კმაყოფილდება.<sup>2</sup> კახეთის სამთავრო საზღვრების გაფართოებას თავისი მეზობლის, ჰერეთის სამთავროს, ხარჯზე ცდილობს. ბრძოლა კახეთსა და ჰერეთს შორის ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობდა. ნიშანდობლივია, რომ, როგორც კი ეგრის-აფხაზეთის სამეფო ანარქიამ მოიცვა, კახეთის სამთავრო იწყებს ბრძოლას შიდა ქართლისათვის, მაგრამ კახეთს არც ამჯერად გაუმართლა. ახლა უკვე ის დროა, როდესაც საქართველოს გაერთიანების საქმე რეალურ საფუძველზე დგება და კახთა მთავრის მიერ ქართლის დაპყრობის ცდას დავით კურაპალატი აღუდგება წინ. იმ დამარცხებათა შემდეგ, რომელიც X ს. 50-60-იან წლებში კახეთის სამთავრომ განიცადა ეგრის-აფხაზეთსა და ჰერეთთან ბრძოლაში, საუკუნის დასასრულისათვის ის გარკვეულ წარმატებებს აღწევს. მართალია, კახეთის სამთავრო ვერ იპყრობს შიდა ქართლს, მაგრამ იჭერს გარყასა და წირქუალის ციხეებს.

ჰერეთის ქართული სამთავრო არაბთა ბატონობის ხანაში სხვა ქართულ ადრეფეოდალურ სამეფო-სამთავროთა გვერდით წარმოიქმნა. ჰერები ქართლის სამეფოს მოსაზღვრე ძველი ალბანეთის მიწა-წყალზე განსახლებული ერთ-ერთი ტომი

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. II, თბ., 1973, გვ. 384.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 398.

იყო, რომლის შერწყმა ქართულ ტომებთან ჩვენს ნელთაღრიცხვამდე დაინყო. ჰერების კულტურულ-ეთნიკური შერწყმა ქართველ ტომებთან ქართლის მიერ ჰერეთის ტერიტორიის პოლიტიკურ შემოშტეკივებასთან ერთად მიმდინარეობდა. არაბთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგაც ჰერეთი პოლიტიკურად არაბთა ხელისუფლების ქვეშ მყოფი ქართლის საერისმთავროს ფარგლებშია მოქცეული, რასაც ადასტურებს არჩილის საქმიანობა სწორედ ჰერეთის ტერიტორიაზე. ჰერეთის დამოუკიდებელი სამთავროს ორგანიზაცია დაახლოებით VIII საუკუნის დასასრულზე უნდა მოდიოდეს.<sup>1</sup>

ვახუშტი ბაგრატიონი ჰერეთის სამთავროს შექმნას ქართლის ერისმთავარ ჯუანშერის გარდაცვალებას უკავშირებს, რომლის სიკვდილის თარიღად ის 787 წელს ასახელებს. ჰერეთის გამოყოფას ქართლის საერისმთავროდან დაახლოებით იმავე პრობლემებმა შეუწყვეს ხელი, რომელთაც შესაძლებელი გახადეს კახეთის გამოყოფა იმავე ქართლის საერისმთავროდან. არაბებთა ურთიერთობის თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ჰერეთის სამთავრო, ძირითადად, კახეთის საწინააღმდეგო ხაზს ატარებს, რაც კიდევაც უწყობს ხელს მის მომძლავრებას. ჰერეთის დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის სათავეში მთავარი დგას, რომელიც უკვე IX ს-ის დასასრულს იღებს მეფის ტიტულს. ჰერეთის მთავრები უნდა იყვნენ ბაგრატიონთა დინასტიის ერთი შტოს წარმომადგენელი.

ჰერეთის ტერიტორიას „მეფეთა ცხოვრება“ შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკუარისა ჩრდილოეთით მცირისა ალაზნისა თავიდგან ვიდრე ტყე-ტბამდენ, რომელსაც ან რქვიან გოლგოლა და ამან ჰერიის ალაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თუისი ჰერეთი, და ამის გამო ჰქვიან ჰერეთსა ჰერეთი“.<sup>2</sup>

დაახლოებით 915-920 წწ.-ში კახთა ქორეპისკოპოსი კვირიკე და ეგრის-აფხაზეთის მეფე კონსტანტინე ჰერეთს ლაშქრობენ. ჰერეთის მეფე ადარნასე დამარცხდა. ჰერეთი ახერხებს დამარცხების შედეგად დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, მაგრამ ამან ვერ მოუტანა გამარჯვება. ისინი კვლავ მარცხს განიცდიან. კახეთის მიერ ჰერეთის შემოერთება უძველესი დროიდანვე დაწყებული ისტორიული პროცესის კანონზომიერი დაგვირგვინებაა, პროცესისა, რომელიც ფაქტობრივად მთელი ქართული მიწების ერთ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანებით უნდა დამთავრებულიყო. ჰერეთის გაერთიანება სხვა ქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან იმ ზოგადი პროცესის ერთი მხარე იყო, რომელიც საბოლოოდ საქართველოს გაერთიანებით და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნით დასრულდა.

აღ. საქართველოს პარალელურად ადრეფეოდალური სამეფო დასავლეთ საქართველოშიც ჩამოყალიბდა. VIII ს. მანძილზე თანდათან ძლიერდება აფხაზეთის საერისთავო. ის სარგებლობს ეგრისის დასუსტებით, ნელ-ნელა იერთებს აფშილეთსა და მისიმიანეთს და აფხაზთა სამთავროდ ყალიბდება. VIII ს-ის დასასრული-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III ტ. 1967.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955. გვ. 5.

სათვის აფხაზთა სამთავრო ახორციელებს მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ერთ პოლიტიკურ ერთეულად და განთავისუფლებას ბიზანტიის ვასალობისაგან.<sup>1</sup>

ამ დროისათვის, ძველი ეგრისის სამეფო საგრძნობლად დასუსტებული იყო. VI საუკუნეში ბიზანტია-ირანს შორის ეგრისის მიწა-წყალზე წარმოებულმა ხანგრძლივმა ომმა დიდი ზარალი მოუტანა დასავლეთ საქართველოს; ირანმა თანდათან დაკარგა პოლიტიკური გავლენა დასავლეთ საქართველოს სამთავროებზე. VI ს-ის დასასრულს მას გამოეყო აბაზგია და ის უშუალოდ ბიზანტიის იმპერიას დაუქვემდებარდა, ასევე თანდათან გამოეყო მისი მთიანეთი, სვანეთი, აფშილეთი და სხვა წერილი პოლიტიკური ერთეულები. ეგრისი მთლიანად ბიზანტიის გავლენაში მოექცა, ბიზანტიელებმა აქ მეფობაც გააუქმეს და ეგრისის მეფის ხელისუფლება ეგრისის პატრიკოზის (მთავრის) ხელისუფლებით შეცვალეს.<sup>2</sup>

VIII ს-ის დამდეგს ეგრისში საერთოდ აღარ ჩანს ადგილობრივი ხელისუფალი. ამავე ხანებში თანდათან ძლიერდება აბაზგიის საერისთავო, რომელმაც შედარებით ნაკლებად განიცადა როგორც ირანელთა, ასევე არაბთა შემოსევა-თარეშები. თავდაპირველად აბაზგიის გაძლიერებას ბიზანტიის იმპერიაც უჭერდა მხარს, როგორც თავის დასაყრდენს დას. საქართველოში.<sup>3</sup> დასავლეთ საქართველოს ქართული ფეოდალური სამთავროს ორგანიზაცია კახეთის სამთავროსაგან განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობდა. აქ მთავარ გარეშე ძალას ბიზანტია წარმოადგენდა, რომელიც ღრმად იყო შეჭრილი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკასა და იდეოლოგიაში. აღნიშნული გარემოება საკმაოდ აფერხებდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანების პროცესს. VII ს-ის I ნახევარში აფხაზთა სამთავროს უხდება ბრძოლა, ერთი მხრივ, ბიზანტიისა და, მეორე მხრივ, არაბების წინააღმდეგ. ის ხელმძღვანელობს ანტიარაბულ ფრონტს დასავლეთ საქართველოში, იღებს ბიზანტიის ვასალობას, და ამავე დროს თავს ქართლის მფლობელის, არჩილის ვასალად აცხადებს.<sup>4</sup>

VIII ს-ის 80-იანი წლებისათვის ლეონ I-ის მემკვიდრე, ლეონ II, აერთიანებს მთელ დასავლეთ საქართველოს (ეგრის-აფხაზეთს), ხოლო საუკუნის დასასრულისათვის თავისუფლდება ბიზანტიელთა ვასალობისაგან და იღებს მეფის ტიტულს.<sup>5</sup> ამგვარად, „აფხაზთა სამეფოს შექმნა ორ ეტაპად წარმოებდა, VIII ს-ის 80-იანი წლებისათვის აფხაზეთის მთავარმა ლეონ II-მ გააერთიანა აფხაზეთი და ეგრისი და VIII ს. დასასრულისათვის ეს გაერთიანებული ქვეყანა გაათავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან, ლეონი თავის ბრძოლაში დასავლეთ საქართველოს გასაერთიანებლად ეყრდნობოდა ეგრისის მოსახლეობას და ბიზანტიის მხარდაჭერას, ხოლო

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ II, გვ. 41.

<sup>2</sup> ს. ჯანაშია, შრომები I, გვ. 98-99, 1967.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 417.

<sup>4</sup> მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალ. დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

<sup>5</sup> С.Н. Джанашиа, О времени и условиях возникновения Абхазского царства, Шრომები II, 1967. გვ. 339.

ბიზანტიელთა წინააღმდეგ უკვე ხაზართა მხარდაჭერა გამოიყენა; რაც ხაზართა ეკონომიკური ინტერესებითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული.<sup>1</sup>

ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება აფხაზთა ერისთავის მეთავეობით, ჩანს, განხორციელდა როგორც ნებაყოფლობითი აქტი.<sup>2</sup> ქართული საისტორიო ტრადიცია ლეონის მიერ აფხაზეთისა და ეგრისის „დაპყრობას“ დინასტიურ ქორწინებას ეგრისის მფლობელ ქართლის ერისმთავრის, არჩილის, მემკვიდრის იოანეს გარდაცვალებასა და ჯუანშერის მოხუცებულობას უკავშირებს, რომელთა ნათესავად ლეონს თვლის.<sup>3</sup> ეგრის-აფხაზეთის სამეფო ტერიტორიულად მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს. ...ამ სამეფოს შემადგენლობაში შევიდა: ქართველებით (სვანებით) დასახლებული სანიგეთის მიწა-წყალი,<sup>4</sup> ტერიტორიულად ამ სახელმწიფოს უდიდეს ნაწილს ქართული მიწები შეადგენდა და ეთნიკურადაც მოსახლეობის უმრავლესობას ქართველი ტომები წარმოადგენდნენ. ეგრის-აფხაზეთის დედაქალაქი ქ. ქუთაისი გახდა – ძველი ქართული ქალაქი, ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი.

აფხაზეთის სამეფოს მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად დგება საეკლესიო დამოუკიდებლობის საკითხი. ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფას ბიზანტიის ეკლესიისაგან სრულიად მართებულად ლეონს, აფხაზთა პირველ მეფეს უკავშირებს.<sup>5</sup> ი. ჯავახიშვილი აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფას ბიზანტიის ეკლესიისაგან და აღმოსავლეთ საქართველოს (მცხეთის) ეკლესიის გაერთიანებას VIII–IX სს. ბიზანტიაში ხატმებრძოლეობასთან და ბიზანტიის დასუსტებასთან, ე.ი. აფხაზეთის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებასთან აკავშირებს.<sup>6</sup> აფხაზეთის ეკლესიის ბიზანტიიდან გამოყოფას მჭიდროდ უკავშირდება ამ ეკლესიაში გაბატონებული ენის საკითხი. ს. ჯანაშია აფხაზეთში ქართული ენის გაბატონებას IX საუკუნით ათარიღებს. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის ქართული ენა მშობლიური იყო და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ამ ღონისძიების მხარდამჭერის როლში უნდა გამოსულიყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბერძნული ენის, ისევე როგორც ეკლესიიდან ბერძნული გავლენის, საბოლოო განდევნა ერთბაშად ვერ განხორციელდებოდა.

ამრიგად, აფხაზეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას უკავშირდება აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფა ბიზანტიის ეკლესიისაგან. ჯერ აფხაზეთის ეკლესია მოიპოვებს ავტოკეფალიას (VIII ს.), შემდეგ ხდება დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანება (VIII ს. ბოლო ან IX ს. დასაწყისი), ხოლო ბოლოს (IX ს. II ნახ.) აფხაზთა

<sup>1</sup> М. Лордкипанидзе, Возникновение новых феодальных государств, Очерки истории Грузии, т. II, гл. IV. Тб., 1988. с. 275.

<sup>2</sup> ს. ჯანაშია, შრომები, II, 1967, გვ. 339.

<sup>3</sup> მატჩანე ქართლისაი, ქართლის ცხ. ტ. I, გვ. 252, 1955.

<sup>4</sup> ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი, თსუ შრომები, I, 1936, გვ. 142.

<sup>5</sup> მ. ლოთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1960. გვ. 119-120.

სამეფოს ეკლესია გამოეყოფა კონსტანტინოპოლის სამწყსოს და მცხეთის ტახტს უერთდება, აფხაზთა კათალიკოსი კი სრულიად საქართველოს კათალიკოსს ემორჩილება. საეკლესიო რეფორმა აფხაზეთში X საუკუნეში სრულდება.<sup>1</sup>

ბიზანტიის გავლენა დასავლეთ საქართველოში, მიუხედავად პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისა, მინც დიდხანს ვრცელდებოდა და მისი აღმოფხვრა ცხოვრების ყველა სფეროში თანდათან ხდებოდა. დასავლეთ ქართველები ცდილობდნენ ყოველგვარი შესაძლებლობის გამოყენებას ბიზანტიის წინააღმდეგ; ამ მხრივ აღსანიშნავია მათი მონაწილეობა 821-823 წწ. დიდ მოძრაობაში, რომელსაც თომა სლავი ხელმძღვანელობდა.<sup>2</sup> VIII ს-ის დასასრულს, ბიზანტიის იმპერია იძულებულ შეიქმნა ეცნო საქართველოში შექმნილი ვითარება, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმპერიის მიერ ხელის აღებას ამ ქვეყანაზე.

მეორე დიდი სახელმწიფო, რომელთანაც ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ურთიერთობა ჰქონდა, არაბთა სახალიფო იყო. VIII ს. შუა წლებისათვის დასავლეთ საქართველო გაიწმინდა არაბთაგან და ეს ქვეყანა „კრძალულ იყო არაბთა მიშისაგან“. მაგრამ არაბები ადვილად არ თმობდნენ პოზიციებს ამიერკავკასიაში. ჩანს, IX ს. დასაწყისში არაბები მინც ახერხებდნენ დასავლეთ საქართველოში შეჭრას, სადაც 830 წელს არაბთა წინააღმდეგ აჯანყებულ დასავლეთ საქართველოს დასახმარებლად ბიზანტიის იმპერატორ თეოფილეს (829-842) სამხედრო ექსპედიცია გაუგზავნია; მაგრამ ბიზანტიელნი სასტიკად დამარცხდნენ.<sup>3</sup> ამის შემდეგ ჩვენ აღარავითარი ცნობა არა გვაქვს არაბთა შეჭრის შესახებ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სამაგიეროდ, ეგრის-აფხაზეთის მეფენი აქტიურად იბრძოდნენ აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი არაბი სარდლების წინააღმდეგ. 852-854 წწ. ბულა თურქის დამსჯელი ექსპედიციისას, არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ თბილისის ამირას მხარდასაჭერად გამოვიდა ეგრის-აფხაზეთის მეფეც; და დამარცხებული „ნარვიდა მკოტი გზასა დვალეთისასა“.<sup>4</sup>

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის დღის ნესრიგში თავიდანვე მწვავედ იდგა ქართლის საკითხი. აფხაზთა მთავარი ლეონი ჯერ კიდევ VIII ს. 80-იან წლებში აბამს ურთიერთობას ქართლის ერისმთავარ ნერსესთან და არაბთაგან ლტოლვილ ერისთავს ოჯახიანად შეიკედლებს და პოლიტიკურ თავშესაფარს აძლევს. IX ს. 80-იანი წლებიდან კი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩარევა შიდა ქართლისათვის წარმოებულ ბრძოლაში სრულიად რეალურ სახეს იღებს. შიდა ქართლთან ერთად ეგრის-აფხაზეთის მეფეები ჰერეთის დაპყრობასაც ცდილობენ, მეფე კონსტანტინე ჰერეთში ხელთ იგდებს არიშსა და გავაზს.<sup>5</sup> ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩრდილოეთიდან ალანთა ქვეყანა ემიჯნებოდა. ნიშანდობლივია, რომ განზე გამ-

<sup>1</sup> Очерки истории Грузии, т. VI, Возникновение новых феодальных государств, т. II, 1988. გვ. 291.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 432.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 432.

<sup>4</sup> მატინე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 256.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 264.

დგარი აფხაზეთის წინააღმდეგ ბიზანტიელები თავისი ვასალი ალანების დახმარებას და მოკავშირეობას იყენებენ.<sup>1</sup> IX ს-ის შუა წლებში კი ოსები უკვე ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მოკავშირენი იყვნენ და ზურგს უმაგრებდნენ მას მტრებთან ბრძოლაში. როგორც ჩანს, ქრისტიანობა ოსეთში ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მხარდაჭერით შევიდა, ეგრის-აფხაზეთის ხელისუფალნი ქრისტიანობის შეტანით და ქრისტიანობაზე დაყრდნობით ცდილობდნენ თანდათან თავისი გავლენის გავრცელებას ოსეთზე, ეს პოლიტიკა გარკვეულ წარმატებას აღწევს; ამისი აშკარა მონაწილეობა ოსთა მთავრის მონათვლა უშუალოდ ეგრის-აფხაზეთის მეფის მონაწილეობით... საბოლოოდ, ოსთა შემომტკიცება ეგრის-აფხაზეთის სამეფომ ვერ შეძლო, მაგრამ მაინც ნიშანდობლივია, რომ IX-X საუკუნეებში, ე.ი. ეგრის-აფხაზეთის სამეფოს სიძლიერის ხანაში, ადგილი აქვს ჩრდილო კავკასიაზე გავლენის გავრცელების ცდას. როგორც ჩანს, აქ ეყრება საფუძველი იმ ფართო გეგმებს, რომლებიც საქართველოს გაერთიანებისა და ძლიერი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის შემდეგ ხორციელდება.<sup>2</sup>

IX ს. დასაწყისში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობს ადრეფეოდალური სამთავროს ჩამოყალიბება. ამ სამთავროს ჩამოყალიბებას საფუძველი ჩაუყარა ქართლის ერისმთავარმა აშოტ ბაგრატიონმა; ეს პოლიტიკური ერთეული ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია ტაო-კლარჯეთის სამთავროს ან „ქართველთა სამეფოს“ სახელწოდებით. VIII ს. დასასრულსა და IX ს. დასაწყისში აშოტ ბაგრატიონი ქართლში არაბების სამსახურში იმყოფებოდა. აშოტ ქართლის ერისმთავრისა და არაბების ხელისუფლება ქართლში აშკარად დაუპირისპირდა ერთმანეთს და IX ს. დასაწყისში აშოტი დიდი ამალით სამხრეთის სამფლობელოში გადავიდა. აშოტი არტანუჯს დაემკვიდრა და აქედან დაიწყო ახალი სამთავროს ორგანიზაცია. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო აშოტ ბაგრატიონის აქ დამკვიდრების დროისათვის, არაბთა შემოსევების შედეგად, საკმაოდ დაზარალებული იყო.<sup>3</sup> აქ დამკვიდრებისათვის აშოტს არაბებთანაც უხდება ბრძოლა. იქნებ, არაბებს შავშეთ-კლარჯეთზე ხელი არ მიუწვდებოდათ, მაგრამ ისინი საქართველოს ამ კუთხეს მაინც არ ელევიან და ყოველთვის ცდილობენ მის შემომტკიცებას. სულ მალე, აშოტი რეალური ხელისუფლების მოპოვებისათვის თვით იღვწის. აშოტი შავშეთსა და კლარჯეთში მკვიდრდება და რეზიდენციად არტანუჯს ირჩევს. როგორც ჩანს, აშოტი აქედან განავრცობს თავის ხელისუფლებას მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, კერძოდ იმ პროვინციებზე, რომელნიც შემდეგ სამთავროს შემადგენლობაში შევიდნენ. აშოტის დროს სამთავროს ფარგლებში შედიოდა შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი. აშოტი აფართოებს სამთავროს საზღვრებს.<sup>4</sup>

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 440.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 445.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 446.

<sup>4</sup> მატიაზე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 253.

IX ს. დასაწყისში საერთაშორისო ვითარება აშოტის საქმიანობის სასარგებლოდ შეიცვალა. საგრძნობი ხდება სახალიფოს დასუსტება. ამ გარემოებას კარგად ასახავს ქართული წყარო და შენიშნავს, რომ „მოუძღურებულ იყვნეს სარკინოზნი, და განდიდნა აშოტ კურაპალატი“.<sup>1</sup> აშოტმა გაილაშქრა და დაიპყრო შიდა ქართლის ნაწილი, მან თავისი ხელისუფლება განავრცო „კლარჯეთიდან ვიდრე ქსნამდე“.<sup>2</sup> ბაგრატიონთა გვარის მემკვიდრე სუმბატ დავითის ძე აშოტის მიერ დაპყრობილ ქვეყანათა საზღვარს ბარდაგამდე ავრცობს. ეჭვს არ იწვევს ცნობა აშოტის მიერ შიდა ქართლის ნაწილის დაპყრობის შესახებ, მაგრამ, ჩანს, ეს შიდა ქართლიც ვერ შეინარჩუნეს მისმა მემკვიდრეებმა; ის არაბებმა დაიკავეს და აშოტის შვილებს საკუთრივ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თემები დარჩათ. აშოტ I-ის სიკვდილის შემდეგ, სამთავროს ხელისუფლება თანდათან ნაწილდება მის მემკვიდრეებს შორის და შეიქმნება ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის ორი მმართველი შტო: ტაოსი და კლარჯეთისა. ტაოს შტოც, თავის მხრივ, ორად იყოფა. ტაოს შტოში IX ს. დასასრულიდან მკვიდრდება („ადარნასე“) „ქართველთა მეფობა“. მის შემდეგ „ქართველთა მეფობა“ მის შვილზე, დავით II-ზე გადადის (923-937). 937-945 წწ. მეფობა მის ძმას, ბაგრატსა აქვს, რომლისგანაც ეს პატივი მისი ძმის (სუმბატის) ვაჟიშვილზე ბაგრატზე გადადის, და ამ ბაგრატის შტოში დამკვიდრება საბოლოოდ „ქართველთა მეფობა“ (ბაგრატი III). ამავე ტაოს შტოს განაყოფია ბაგრატი ერისთავთ-ერისთავი და დავით ერისთავთ-ერისთავი, რომელსაც ტაოს მეფეს უწოდებენ.<sup>3</sup> „ქართველთა მეფეებში“ პირველად ბაგრატი III-ის მამის გურგენის ტიტულატურაში ჩნდება „მეფეთა-მეფე“, რაც სუმბატის თქმით, მისი შვილის, ბაგრატის მეფობითაა განპირობებული.

აშოტ ბაგრატიონმა ვრცელი და ძლიერი სამთავრო შექმნა, მას დიდ ანგარიშს უწევდნენ მისი თანამედროვე ქართველი თუ უცხოელი სახელმწიფო მოღვაწეები, დიდად აფასებდნენ აგრეთვე მემკვიდრეებიც. აშოტის დროს განსაკუთრებით აღზევდა ბაგრატიონთა გვარი და სათანადოდ დასაბუთდა კიდევ ამ გვარის პოლიტიკური ხელისუფლების კანონიერება. ბაგრატიონები წარმოშობით სამხრეთ საქართველოდან, ქართული პროვინციიდან, სპერიდან იყვნენ.

როგორც ჩანს, აშოტ-კურაპალატის მეორე-მესამე თაობაში ცხარე ბრძოლა სამთავროს ფარგლებში მოქცეულ ორ ძირითადად სამთავრო სახლს შორის საზღვრების დადგენისათვის. მესამე თაობის შემდეგ კი ამ ორი ძირითადი შტოს საშფლობელოს საზღვრები მეტ-ნაკლებად დადგენილია. ქართველთა მეფობას ტაოს შტო დაიმკვიდრებს, ხოლო კლარჯეთის შტო – არტანუჯელ-კლარჯეთის ხელმწიფობას. ქ. არტანუჯი იყო არტანუჯელი-კლარჯი ხელმწიფეების რეზიდენცია. ქართველთა მეფეების რეზიდენცია კი ბანა უნდა იყოს. უფროსობა ტაოს შტოს აქვს და

<sup>1</sup> იქვე, გვ. 253.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 253.

<sup>3</sup> С. И. Джанашиа, Об одном примере искажения исторической правды. Тб., 1947, гв. 19-20.

ნომინალურადაც ტაოს სახლი ითვლება უფროსად, თუმცა, ფაქტობრივად, კლარჯეთის შტო სრული დამოუკიდებლობით სარგებლობს.

ძნელია თქმა, თუ რეალურად რაში გამოიხატება ამ ორ სახლს შორის უმცროს-უფროსობა. ფორმალურად კი ასეთი ვითარებაა: ტაოს შტოში მკვიდრდება როგორც უმაღლესი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული – კურაპალატობა, ასევე „ქართველთა მეფობაც“.<sup>1</sup>

ორივე სამთავრო სახლი სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს, რაც აფერხებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საბოლოო გაერთიანებას.

ტაო-კლარჯეთის სამთავროს ორგანიზაცია მინების შემომტიციების პარალელურად და თანადროულად ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში და, რაც მთავარია, საეპისკოპოსო კათედრების დაარსებაში გამოიხატება.<sup>2</sup> აშოტ კურაპალატის დროსვე იწყება დიდი საეკლესიო მშენებლობა, რომლის ხელმძღვანელადაც გრიგოლ ხანძთელი გვევლინება. მიუხედავად საკმაო რაოდენობის საეპისკოპოსოების არსებობისა, საგვარეულოს გაყოფისთანავე ორივე მხარე თავის პროვინციებში ერთმანეთის საპირისპიროდ საეპისკოპოსო კათედრებს აარსებს. ადარნასე ქართველთა მეფემ IX ს. ბოლოს და X ს. დასაწყისში ტაოში, ბანაში დააარსა ახალი საეპისკოპოსო. დაახლოებით იმავე ხანებში არტანუჯელი-კლარჯი მფლობელები აარსებენ ტბეთის ახალ საეპისკოპოსო კათედრას.<sup>3</sup>

შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრებული აშოტი ბიზანტიის იმპერატორისაგან კურაპალატის ტიტულს იღებს, რაც მის ვასალობას, იმპერატორის მოხელეობას ნიშნავს. ამგვარად, „ქართველთა საკურაპალატო“, რომელიც IX ს. დასასრულს „ქართველთა სამეფოდ“ იქცევა, მთელი თავისი არსებობის მანძილზე (IX–X) ბიზანტიის იმპერიის ვასალია. ეს ვასალობა, როგორც ცნობილია, მხოლოდ საზღვართა დაცვასა და სამხედრო კავშირში გამოიხატება.<sup>4</sup>

ქართველთა სამეფოში არსებული რეალური ვითარება, რაც ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოს წარმომადგენლების ფაქტობრივ დამოუკიდებლობაში ვლინდება, შესაძლებელს ქმნის ამ სამეფოს შიგნით დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის, ტაოს სამეფოს, ჩამოყალიბებას. ტაო განსაკუთრებულ სიძლიერეს X ს. II ნახევარში აღწევს, როდესაც ამ პოლიტიკური ერთეულის სათავეში დგას მეფე დავით III ბაგრატიონი, რომელსაც მიეკუთვნება ტიტული „დიდი“, და აღმოსავლეთის კურაპალატი. ნიშანდობლივია, რომ მანამდე ასეთი ტიტული არც ერთ ბაგრატიონს არ ჰქონია. დავით III–ს განსაკუთრებული ადგილი უკავია X ს. II ნახევრის საქართველოს ისტორიაში. ის დიდ და წარმტებულ ბრძოლებს აწარმოებს ტაოს საზღვრების გასაფართოებლად და აქტიურად მეთაურობს გაერთიანების საქმეს. X ს. არაბთა დასუსტება აღმოსავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებს არაბების წინააღმდეგ

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 455.

<sup>2</sup> მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 211.

<sup>4</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 467.

ბრძოლის გააქტიურების შესაძლებლობას აძლევდა... ბაგრატიონი მფლობელები ენერგიულად იბრძოდნენ მაჰმადიანთა წინააღმდეგ. ბიზანტიის იმპერია იძულებული იყო თავით ქართველთა მიერ მაჰმადიანთათვის წართმეული მინა-წყალი ქართველთა სამფლობელოდ ეცნო. ასე შემოიერთა დავით ტაოს მეფემ ბასიანი.<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, 976-979 წლებში მცირე აზია სამოქალაქო ომის ასპარეზად იქცა, ბრძოლას იმპერატორის წინააღმდეგ სათავეში ედგა მცირე აზიის სამხედრო არისტოკრატის ერთ-ერთი უძლიერესი წარმომადგენელი ბარდა სკლიაროსი. საიმპერიო ხელისუფლებას დიდად გაუძნელდა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლა და დახმარებისათვის ტაოს მეფე დავითს მიმართა. დავითთან შუამდგომლობა ათონის მონასტერში ბერად შემდგარ იოანე-თორნიკეს სთხოვეს. დავით III-მ იოანე-თორნიკეს სარდლობით გაგზავნა 12000 ცხენოსანი რაზმი, რომელიც შეიჭრა ბარდა სკლიაროსის მიერ დაკავებულ მინა-წყალზე, დიდი დახმარება აღმოუჩინა უკვე რამდენჯერმე დამარცხებულ და დაფანტულ საიმპერიო ჯარებს და გადამწყვეტი როლი შეასრულა სკლიაროსის დამარცხების საქმეში.<sup>2</sup> იმპერატორმა ბასილი II-მ შეინარჩუნა ტახტი და იმპერიაც სკლიაროსის მიერ საიმპერიო ტახტის ხელში ჩაგდებას გადარჩა. აღნიშნული დახმარების საფასურად მიღებული „ზემონი ქვეყანანი“ მართლაც მნიშვნელოვანი შენაძენი იყო ტაოს სამეფოსათვის, მაგრამ ეს მხარენი, ხელშეკრულების თანახმად, დავითს მხოლოდ მის სიცოცხლეში ეძლეოდა. ასეთი პირობა კი მიუღებელი უნდა ყოფილიყო დავითისათვის, რომელიც საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. ამიტომ დავითი ეცდებოდა მიღებულ მხარეთა მყარად შემოერთებას ტაოს სამეფოსათვის, რომელიც მან თავის შვილობილს, მის მიერ ქართლისა და დასავლეთ საქართველოს ტახტზე გამეფებულ ბაგრატ III-ს უანდერძა.<sup>3</sup>

987 წელს ბარდა სკლიაროსი ხელმეორედ აჯანყდა. მის წინააღმდეგ ბრძოლა ბასილი II-მ ბარდა ფოკას დაავალა. იმავე წელს ფოკა და სკლიაროსი შეთანხმდნენ საერთო მოქმედებაზე იმპერატორის წინააღმდეგ, მაგრამ ბარდა ფოკამ მოატყუა სკლიაროსი, დაატყვევა ის, დაიმორჩილა მთელი მცირე აზია და თვითონ დაუპირისპირდა იმპერატორს. დავით III-მ ბარდა ფოკას მხარი დაიჭირა. როგორც ჩანს, ფოკა დავითს დაპირდა გამარჯვების შემთხვევაში სამემკვიდრეო მფლობელობაში გადაეცა მისთვის იმპერატორის მიერ ადრე დროებით ბოძებული ქვეყნები, მაგრამ 989 წელს ბარდა ფოკას აჯანყება მარცხით დამთავრდა.<sup>4</sup>

იაჰია ანტიოქელის მიხედვით, იქმნება შთაბეჭდილება თითქოს დავით კურაპალატმა მთელი თავისი სამფლობელო უანდერძა ბიზანტიას, რითაც იხსნა ქვეყანა დარბევისაგან. მაგრამ არისტაკეს ლასტივერტელის ერთი ცნობა თითქოს უფლუ-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 477.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 478.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 480.

<sup>4</sup> ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მისი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 309.

ბას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქმე სწორედ მხოლოდ „ზემონი ქვეყანანის“ გადაცემას ეხება. მოგვითხრობს რა XI ს. 20-იან წლებში მეფე გიორგი I-სა და ბასილ იმპერატორს შორის ე. წ. „დავით კურაპალატის მემკვიდრეობის გამო“ წარმოებულ ბრძოლის შესახებ, არისტაკესი აღნიშნავს, რომ ბრძოლა იმ მიწებისათვის წარმოებდა, რომელნიც იმპერატორმა უწყალობა დავით კურაპალატს.

ბიზანტიასთან განცდილი მარცხის მიუხედავად, დავით კურაპალატი ენერგიულად განაგრძობდა ბრძოლას საკუთარი სამფლობელოს გასაფართოებლად და ახლა უკვე ის თავის მეზობელ მაჰმადიან მფლობელებზე იწყებს შეტევას. 990 წ. დავით III-მ აიღო მანასკერტი, განდევნა ქალაქიდან მაჰმადიანი და იგი ქართველებითა და სომხებით დაასახლა. 998 წ. ტაოს ლაშქარმა გაბრიელ ოროპინტრეს მეთაურობით მაჰმადიანთა 100 000-იანი ლაშქარი დაამარცხა, მტრებს არჭეშამდე სდია და დიდი ალაფით დატვირთული დაბრუნდა. დავით კურაპალატის ეს ბრძოლა ამიერკავკასიის მაჰმადიანი მფლობელების წინააღმდეგ მიზნად ისახავდა ტაოს სამეფოს მოსახლერე ქართული და სომხური პროვინციებიდან მაჰმადიანი მფლობელების განდევნას, სომხური მიწა-წყლიდან მაჰმადიანი მოსახლეობის აყრას და ამ მხარეების ქრისტიანი ქართველებითა და სომხებით დასახლებას.

X ს. დასასრული ის ხანაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როდესაც ქართული მიწების ერთ პოლიტიკურ სხეულად შეკვრის საკითხი ყოველმხრივ მომზადებულია წინარე ხანის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებით. აღნიშნული გარემოება სათანადო გამოხატულებას პოვებს ფეოდალური საზოგადოების მონივრულ და პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ დიდი მნიშვნელობის ისტორიული აქტის, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების გეგმა X ს. 70-იან წლებში ქართლის აზნაურთა იმ მონივრულ წრეში შემუშავდა, რომლის იდეური ხელმძღვანელი ქართლის ერისთავი იოანე მარუშის ძე იყო.

იმ დროს, როდესაც ძალიან გამწვავდა ბრძოლა შიდა ქართლისათვის, ქართლის ერისთავმა იოანე მარუშისძემ, იმდროინდელ ქართველ მეფე-მთავართა შორის ყველაზე ძლიერს, დავით კურაპალატს მიმართა წინადადებით, რათა მან ან თვითონ დაიჭიროს ქართლი, ან „უბოძოს ბაგრატს ძეს გურგენისა...<sup>1</sup> ეს ბაგრატი დავითის შვილობილი იყო. 975 წელს დავით III-მ ბაგრატ გურგენის ძე ქართლში შეიყვანა და აზნაურებს მისი დამორჩილებისაკენ მოუწოდა; 978 წელს იგი შეიყვანეს აფხაზეთში და დალოცეს მეფედ. ამგვარად, დავით კურაპალატის უშუალო ჩარევითა და მხარდაჭერით განხორციელდა ბაგრატის გამეფება, რამაც დასაბამი მისცა ეგრის-აფხაზეთ-ქართლისა და ტაო-კლარჯეთის პოლიტიკურ გაერთიანებას.<sup>2</sup>

იმდროინდელი ქართული სახელმწიფოებისაგან განსხვავებული განვითარების გზა განვლო თბილისის საამირომ. იგი არაბთა მიერ შექმნილი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული იყო. თბილისის ამირას უშუალოდ ხალიფა ნიშნავდა. მისი ტერიტორია თანდათან შემცირდა და X ს. მიწურულისათვის ფაქტობრივად მოი-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 488.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 789.

ცავდა მხოლოდ ქ. თბილისსა და მის შემოგარენს. თბილისის საამირო მაჰმადიანი მფლობელების ხელში რჩებოდა და გაერთიანების პროცესში არ მონაწილეობდა.

ქართულ ადრეფეოდალური სამთავროებისაგან განსხვავებით, განვითარების თავისებური და განსხვავებული გზა განვლო „თბილისის საამირომ“. ის არაბთა მიერ შექმნილი ადმინისტრაციული ერთეული იყო საქართველოში. განვითარების გზაც განსხვავებული იყო დანარჩენი ქართული სამეფო-სამთავროებისგან.

თბილისში არაბთა მიერ საკუთარი მოხელის დანიშვნა უკვე არაბთა სიძლიერეს გულისხმობდა. ქალაქში არაბული ნაწილები და გარნიზონი ჩააყენეს. გარდა თბილისისა, ამირები იდგნენ რუსთავსა და დმანისში.<sup>1</sup>

თბილისის მაჰმადიანურ მოსახლეობას, რომელსაც ძირითადად ქალაქის გაბატონებული არისტოკრატია წარმოადგენდა, ამირას კარზე თავისი წარმომადგენელი ჰყავდა ქალაქის რეისის სახით.<sup>2</sup> თბილისში მაჰმადიანური სჯულის მეცნიერი ყალიც იყო. ქართველ მოსახლეობას გადასახადის გადახდა დაეკისრა, თუმცა ქართველთა ვალდებულებები არაბთა მიმართ ამით არ ამოიწურებოდა.

ამ პერიოდისათვის (IX ს. 80-იანი წ.) თბილისში ზის ამირა ჯაფარი, რომელიც დასაბამს აძლევს თბილისის ჯაფარიან ამირათა დინასტიას. ამ დინასტიის პირველ წარმომადგენელს წყაროებში ვხვდებით აბულ კასიმ აბუსაჯის ძის შემოსევის დროს. მოვიდა აბუ-საჯის ძე ტფილისს, და მას ჯამსა ამისა იყო ჯაფარ ძე აღისა.<sup>3</sup>

ჯაფარასანთა შესახებ ცნობებს გვანდის ნუმიზმატიკური მასალაც. წყაროებით ცნობილია საქართველოს მეფე ბაგრატ IV დროინდელი თბილისის ამირა ჯაფარ<sup>4</sup> და მისი ორი ვაჟი – მანსური და აბულ ჰეიჯა<sup>5</sup>, რომელნიც ერთმანეთს ტახტს ეცილებოდნენ XI ს-ის შუა ხანებში.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანება ძნელად, თუმცა მაინც მოხერხდა, რაც დიდი დამსახურებაა ბაგრატ III-ისა, რომელიც მოგვიანებით ცხადდება (გვევლინება) ერთიანი საქართველოს მეფედ. ის პირველია, რომელიც იწოდა: „აფხაზთა და ქართველთა“,<sup>6</sup> ე.ი. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ. ქვეყნის გაერთიანებისათვის არსებული ხანგრძლივი ბრძოლა ქვეყნის (საქართველოს) გაერთიანებით დაგვირგვინდა.

---

<sup>1</sup> მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, მსკი, ტ. 30, 1954.

<sup>2</sup> დასახ. ნაშრომი, გვ. 152-154.

<sup>3</sup> მატიაწე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 263.

<sup>4</sup> მ. ლორთქიფანიძე, თბილისის საამიროს ისტორიიდან, „მომხილველი“, II, 1951, გვ. 197.

<sup>5</sup> რ. კიკნაძე, XI-XII სს. თბილისის ისტორიიდან, ტ. V, ისტ. ინსტიტუტის შრომები. 1996, გვ. 12.

<sup>6</sup> მატიაწე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 278.

## THE ISSUES OF UNIFICATION OF FEUDAL GEORGIA IN THE WORKS OF MARIAM LORDKIPANIDZE

### Summary

A struggle for the unification of Georgia was going on simultaneously with the activities carried out against the Caliphate and Byzantine Empire. The general economic rise in the country hastened the process of its unification. The composition of several new kingdom-principalities in VIII-IX centuries interfered with the inevitable process of consolidation, as each of them had a visible claim for leadership.

A continuous combat against the Arab conquerors began from the outlying districts of the Empire. The first Georgian land to win freedom was Kakheti and it did that in the 80s of VIII century, the centre of the newly established principality was Tianeti. In the East was founded the kingdom of Hereti, which was joined to Kakheti at the end of X century. The Byzantine Empire had a desire to establish a powerful base in the Caucasus for undertaking military campaigns against the Arab Caliphate and it showed evident support for the foundation of the powerful Western Georgian kingdom of Abkhazia, but at the end of VIII century, the ruler of Abkhazia Leon II obtained freedom even from Byzantium and crowned himself. One more Georgian political unit was established in the South-West of the country named Tao-Klarjeti, whose rulers got the title of "King of Kartvelians" at the end of IX century. Finally, the amalgamation of Georgia was implemented by David III Curopalates from Tao with the intellectual support of a great Georgian patriot Ioane Marushidze – the envoy and representative of the Abkhazian king in Inner Kartli. These two men played a vital role in the historical process of unification of Georgia.

## ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაანის თხზულება

ძართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაანის თხზულება, ალბათ, მისი მცირე მოცულობისა და თამარის ისტორიკოსების თხზულებებთან შედარებით (ისინი ხომ, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე პერიოდზე დაწერილი) მწირი ფაქტოლოგიური ინფორმაციის გამო ნაკლებადაა მეცნიერულად შესწავლილ-დამუშავებული.

ეს თხზულება სრულად ანასეული ქართლის ცხოვრების შევსებულ პირში აღმოჩნდა. მისი პირველი ნაწილი, კერძოდ დემეტრე I-ის ცხოვრების ამსახველი ფაქტები ჭალაშვილისეულ ნუსხაშიც არის შესული. გამომდინარე იქიდან, რომ თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულება გიორგი III-ის ცხოვრების ამსახველ ფაქტებსაც შეიცავს, ჭალაშვილისეული ნუსხის გადამწერს, როგორც ჩანს, საჭიროდ აღარ უცენია ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაანის თხზულების ბოლომდე გადაწერა.<sup>1</sup>

საინტერესოა ის ფაქტი, თუ როდის შევიდა თხზულება ქართლის ცხოვრებაში. ნ. შოშიაშვილი XVI-XVII-სს. ათარილებს მას, რადგანაც თხზულება გადამწერის ანდერძის შემდეგაა შეტანილი კრებულში? თუმცა ჩნდება პასუხგაუცემელი კითხვა: რატომ უნდა შეეტანათ ლაშა-გიორგის მარეაბილიტირებელი თხზულება ქართლის ცხოვრებაში XVI-XVII სს-ში? თუ ფაქტოლოგიური მასალის შევსებისათვის მოხდა ეს, მაშინ შეიძლებოდა მხოლოდ დემეტრე I-ის ცხოვრება შეეტანათ მასში, როგორც ჭალაშვილისეულ ნუსხაში, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიორგი III-ის, თამარისა და ლაშა-გიორგის ცხოვრებას თამარის ისტორიკოსი და ჟამთააღმწერელი ავსებენ.

აქ უფრო უპირიანი იქნებოდა რაიმე პოლიტიკურ მიზეზებზე გვესაუბრა. კერძოდ, თუ როდის შეიძლებოდა დასჭირებოდა სამეფო კარს ამ თხზულების „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანა. თხზულების ავტორი იმ ნაწილში, რომელშიც უშუალოდ ლაშას ცხოვრებას ეხება, აშკარად ცდილობს მეფესა და დიდგვაროვნებს შორის კარგი ურთიერთობის წარმოჩენას. მაგალითად, ლაშა იყო: „მოყუარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, მთავართა მათითა პატივითა...“<sup>2</sup>, აგრეთვე „და იყვნეს გამგედ და თანამზრახად ყოველთა საქმეთა მისთა მისისავე მშობლისობითგან მხარგრძელი ზაქარია, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი და ივანე ათა-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაანე; წინასიტყვაობა. ტფ. 1937.

<sup>2</sup> ნ. შოშიაშვილი, „ანასეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი – მრავალთავი ტ. V. თბ. 1975; გვ. 45-55.

<sup>3</sup> ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაანე, ქართლის ცხოვრება ტ. I, თბ. 1955. გვ. 370.

ბაგი".<sup>1</sup> აქ აღსანიშნავია სიტყვები „მისისავე მშობლისობითგან“<sup>2</sup>, ანუ ისინი „იყვნენ გამგედ და განზრახად ყოველთა საქმეთა“ თამარის დროიდან მოყოლებული და მათ არც ლაშას მეფობაში ჰქონიათ რაიმე შეფერხება. მის შემდეგ მემატინანე არგუმენტებს გვათავაზობს და გვიყვება, თუ როგორ აიღეს მათ კარი, არდაველი, ხლათი და სხვა. აგრეთვე როდესაც ლაშას გარდაცვალებაზე საუბრობს, იგი საგანგებოდ ხაზს უსვამს დიდებულებისა და განსაკუთრებით მასთან განძაში დაპირისპირებული ივანე ათაბაგის რეაქციას – „ტიკვილი და ნაცრისა თავსა სხმანი ვაზირთა და დიდებულთა და ყოვლისა სამეფოსაგან და თვით მისისა გამზრდელისა ივანე ათაბაგისაგან“.

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მემატინანე დემეტრე I-სა და გიორგი III-ის ცხოვრების აღწერისას დიდებულებთან თავის დადებით დამოკიდებულებაზე შეგნებულად აქცენტს არ აკეთებს, რადგანაც მას განსაკუთრებულად სჭირდება თამარისა და ლაშას ერთნაირი კეთილგანწყობის ნარმოჩენა მხარგრძელებისა და სხვა დიდებული საგვარეულოებისადმი.

თუმცა სხვა წყაროები (ყამთააღმწერელი) მეფესა და დიდებულებს შორის ურთიერთობის სულ სხვა ფაქტებს გვთავაზობს. ივ. ჯავახიშვილი კი ფიქრობს, რომ იმ დროს მეფე და დიდებულები მონინააღმდეგე დასებად იყვნენ დაყოფილნი.<sup>3</sup>

რუსუდანს თავისი მეფობის პირველ წლებში სჭირდება მეფესა და დიდებულებს შორის ზემოთ ხსენებული დამოკიდებულების უკეთესობისაკენ შეცვლა (მით უფრო, რომ თავისი სისუსტის გამო ის საქმეს ისედაც ვერ ართმევს თავს) და სწორედ ამ დროს იწერება ეს თხზულება, რომელიც დაჟინებით ცდილობს როგორც ლაშას სახელის, აგრეთვე დიდებულთა უფლებების დაცვასაც. ანუ, როდესაც ლაშა-გიორგის მეფობაში მეფესა და დიდებულებს შორის დაწყებული დაპირისპირება უკვე რუსუდანის მეფობაში დიდებულთა გამარჯვებით დასრულდა, ამ დროისათვის მხარეები ცდილობენ წარსულის უმტიკინეულოდ წარმოჩენას. სწორედ ამ დროს უნდა ყოფილიყო ყველაზე სასარგებლო როგორც სამეფო კარისათვის, ასევე დიდებულთათვის, რომ ეს თხზულება შესულიყო ქართლის ცხოვრებაში.

თუმცა ამ ეტაპზე ამის დამტკიცება შეუძლებელია, რადგანაც ამ საკითხს უფრო მეტი კვლევა და არგუმენტები სჭირდება.

აღსანიშნავია აგრეთვე ამ ძეგლის სტრუქტურა. მას არც სათაური და არც ავტორი არ გააჩნია. ამიტომაც ივ. ჯავახიშვილმა მას პირობითად „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატინანის თხზულება“ უწოდა.<sup>4</sup>

იგი ოთხ ნაწილად იყოფა მეფეთა ზეობის მიხედვით. არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი, რადგანაც დემეტრე I-ის, გიორგი III-ის და თამარის მეფობაც საქართველოს „ოქროს ხანა“-ზე მოდის და ავტორიც ლოგიკურად ამ ხანას ლაშა-გიორგის მეფობით აგრძელებს.

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> ივანე ჯავახიშვილს ეს სიტყვა დამახინჯებულად მიაჩნია. იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ. 28-37.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VIII, თბ. 1977, გვ. 244-245.

გამომდინარე ლაშა-გიორგის დამოკიდებულებიდან ქორწინებისადმი, სასულიერო წოდებასთან მისი დაპირისპირებიდან, დროსტარების, მრუშობისა და უმარხულობის გამო ივ. ჯავახიშვილს უადგილოდ ეჩვენება<sup>1</sup> მემატიანის შემდეგი სიტყვები: ლაშა იყო მოყვარული „მონაზონთა და მღვდელთა მათითა პატივითა“.<sup>2</sup> მაგრამ მემატიანე თითოეული მეფის ზეობას მსგავსი სიტყვებით იწყებს. მაგალითად: თამარი იყო „ღმრთის მოშიში“, აგრეთვე „მონაზონთა და ეკლესიათა მოყუარე“; გიორგი III იყო „კეთილის მსახური ღმრთისა, საყდართა, ეპისკოპოსთა, მეუღაბნოეთა, მღვდელთათვის კეთილისმყოფელი“; დემეტრე I კი „საყდართა და ეკლესიათა, მღვდელთა და მონაზონთა კეთილისმყოფელი, შემწირველი სოფელთა და აგარაკთა“.<sup>3</sup> ანუ მემატიანე ამ კონტექსტშიც მათი ტრადიციების გამგრძელებლად სახავს ლაშას.

ჩვენი ვარაუდით, მთელი თხზულება ლაშას პიროვნების რეაბილიტაციადა და მისი სახელოვანი წინაპრების გვერდში დაყენებას ემსახურება. არა მგონია, წინამორბედ მეფეთა ცხოვრების აღწერა ინფორმაციული ვაკუუმის ამოვსებას ისახავდეს მიზნად – ეს არის ლაშას მათთან გაიგივების მცდელობა. ამას გვაფიქრებინებს ზოგიერთ საკითხში ლაშაზე დასმული განსაკუთრებული აქცენტები და თხზულების დანერის დროს არსებული ვითარება. ჩვენც სწორედ ამიტომ ვაკეთებთ აქცენტს ავტორის ცნობებზე ლაშას შესახებ.

კიდევ ერთი არგუმენტი ზემოთ მოყვანილი აზრის სასარგებლოდ: თხზულებაში „ოქროს ხანის“ ყველა მეფის ცხოვრებაა, გარდა დავით აღმაშენებლისა, მაგრამ მემატიანე ლაშასთან შესადარებლად ამ „ხარვეზსაც“ ავსებს, როდესაც ამბობს, რომ ლაშამ „...რომელ მისითა მკლავითა ომნი დასხნა და გარდაიხანდა სიმცროსავე შინა სწორნი დავით პაპისპაპისა მისისანი“.

ჩვენ ზოგადად უკვე განვიხილეთ, თუ რა მიზნებს ისახავდა ავტორი. ახლა შეძლებისდაგვარად გამოვარკვიოთ, თუ რომელ „დასს“ განეკუთვნებოდა იგი. ივ. ჯავახიშვილს იგი ცალსახად მეფის მოტრფიალედ და დიდებულთა მონინალმდგედ ჰყავს დასახული<sup>3</sup> (უამთააღმწერლის საპირისპიროდ). მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მემატიანე ლაშა-გიორგის მხოლოდ წინაპრების მსგავსად დასახვას ცდილობს და მისი ტენდენციური გადაცდომები შუა საუკუნეების სამეფო კარის ისტორიკოსის ფარგლებში ჯდება. აგრეთვე არ უნდა დაუუკარგოთ მას ტენდენციურობას მოკლებული ფაქტებიც. მაგალითად, „მეფემან აილო ოროტი და ყოველნი ციხენი და მიმდგომნი მისნი ვიდრე ნახჭევანამდე და განძას კართამდის აილო შანქორი“<sup>4</sup>. აღსანიშნავია სიტყვები „განძას კართამდის აილო შანქორი“. მართლაც, ლაშამ მთელი შანქორი გაიარა და მივიდა განძამდე. ქალაქი კი დაიმორჩილა, მაგრამ ალბა ვერ შეძლო. ისე ჩანს, თითქოს დამორჩილებას მემატიანე ალბად არ თვლის, მა-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 244-245.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, იქვე.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, იქვე.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, იქვე.

შინ როდესაც ცალსახად ამბობს, „მეფემან აილო ოროტი და ყოველნი ციხენი მიმდგომნი მისნი“. ლაშა-გიორგისთან მწყრალად მყოფი ჟამთააღმწერელი კი განძას აღებულად თვლის. თავად სიტყვის გაგება „განძის კართამდის“ ცალსახად ნიშნავს, რომ ლაშა ქალაქში არ შესულა.

ავტორი მაინც სამეფო სახლის წევრი ან მხარდამჭერი ჩანს, მაგრამ არა „მედასე“ ან პირადად გიორგი IV-ის მოტრფიალე, არამედ შუამავალი მეფესა და დიდებულებს შორის. როდესაც ლაშას მემკვიდრეზე საუბრობს, ამბობს: „და არა დარჩა ცოლსა თანა გვირგვინისა შვილი“.<sup>1</sup> ე.ი. მან იცის. რომ ლაშას ჰყავს შვილი, მაგრამ ეს არ არის „გვირგვინისა შვილი“ და არცა აქვს პრეტენზია მის გამეფებაზე. პირიქით, ადღეგრძელებს რუსუდანის ძეს. ის რომ ლაშას ახლობელი, მოტრფიალე ან მეგობარი ყოფილიყო, ალბათ, სხვანაირად იფიქრებდა.

მემატიანის მიზანდასახულობა უფრო ცხადი გახდება, თუ გავიზიარებთ ი. ანთელავას აზრს, რომ თხზულება XIII საუკუნის 30-იან წლებშია დაწერილი<sup>2</sup>, ანუ მაშინ, როდესაც საქართველო უკვე აოხრებულია და არის მოსაზრება, რომ ამაში ლაშა-გიორგის წვლილიცაა.

რაც შეეხება თხზულების დაწერის თარიღს, ი. ანთელავა საკმაოდ მართებულად აბათილებს ნ. მოშიაშვილის აზრს იმის თაობაზე, რომ თხზულება XVI–XVII საუკუნეებშია დაწერილი. ამ ძეგლიდან აშკარად ჩანს, რომ გიორგი IV-ის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი ჯერ განელეებული არ არის და ავტორი ამ ფაქტს განსაკუთრებული გლოვით აღნიშნავს, რომელიც აღემატება დემეტრეს, გიორგი III-ის და თვით თამარის გარდაცვალებით გამოწვეულ სევდასაც. ამასთანავე, იგი დღეგრძელობას უსურვებს რუსუდანსა და მის ძეს, განსხვავებით წინა მეფეთა შთამომავლებისაგან, რომლებიც ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილნი იყვნენ. აგრეთვე, გელათი მოიხსენიება, როგორც „მონასტერი ახალი“ და მრავალი სხვა ფაქტი<sup>3</sup>, რომელთა ჩამოთვლას აღარ შეუდგებით, რადგანაც ნათელია, რომ თხზულების ავტორი აშკარად თანამედროვეა აღწერილი ამბებისა.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ავტორის მიზნებისა და ვინაობის დადგენის ცდებიც ცხადყოფენ ამას. ამასთანავე თხზულება დაწერილია არა უგვიანეს 1235 წლისა, ანუ მონღოლების ხელმეორედ გამოჩენამდე. ამას ცხადყოფს შემდეგი ფრაზა მათთან მეფის შებრძოლების შესახებ: მონღოლები „გაექცნეს, გარდაიხუენეს, განვლეს დარუბანდის გზა“. აქ ავტორი სარგებლობს მათი პირველი გამოჩენის შემდგომ სამეფო კარზე გაბატონებული იდეოლოგიით, როდესაც მონღოლთა უკან გაბრუნება, დამარცხების მიუხედავად, გამარჯვებად აღიქვას (გავიხსენოთ რუსუდანის მიერ ჯალალ-ედ-დინისადმი გატეხული პასუხი და რომის პაპისადმი გაგზავნილი ეპისტოლე). ბუნებრივია, ასეთი იდეოლოგია სამეფო კარზე 1235 წლის შემდგომ ველარ იქნებოდა.

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> ი. ანთელავა, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის დათარიღებისათვის, კრ. „საქართველო და აღმოსავლეთი“, თბ., 1984, გვ. 141-145.

<sup>3</sup> იქვე.

ი. ანთელავას აზრით, თხზულების პირველი ნაწილი ლაშა-გიორგის სიცოცხლე-ში უნდა იყოს დაწერილი, რადგანაც ავტორი თამარის გარდაცვალების შემდგომ მას(ლაშას) თითქოს ცოცხლად იხსენიებს: „წელნიცა მრავალჟამეულ არიან და ცხოვრება მათი კეთილად წარმართებულ“. ეს მოსაზრება საკამათოა, რადგანაც ეს რომ ასე იყოს, ავტორი ტექსტის გაგრძელებისას ლაშას გარდაცვალების შემდგომ თავად გააკეთებდა ამ ადგილის რედაქტირებას. აქ ან გადამწერის შეცდომასთან უნდა გვექონდეს საქმე, ან სიტყვა „მრავალ-ჟამეულ“ სხვანაირად უნდა გავიგოთ (მაგალითად, როგორც ბედნიერება). წინააღმდეგ შემთხვევაში ტექსტი ვერ იქნებოდა ერთი მიზანმიმართულებითა და ერთ კონტექსტში დაწერილი, რასაც ჩვენ ზემოთ ვამტკიცებდით. ბუნებრივია, ავტორი წერას ვერ დაიწყებდა იმ მიზნით, რომ მას მეფის უცაბედი გარდაცვალების შემდეგ გააგრძელებდა. არადა, ჩვენ შეძლებდით დაგვარად დეკლარაციით, რომ ავტორი აქ ერთ მიზანს ემსახურება.

ი. ანთელავა ტექსტის მეორე ნაწილს XIII საუკუნის 30-იანი წლებით ათარი-ლებს. რადგანაც რუსუდანი, რომელიც „ალარ საგონებელ იყო სიციცხლესა“ ძმის გარდაცვალების შემდგომ, თითქოს ალარ ჩანს ისეთ მგლოვიარედ. ამასთანავე მას უკვე ვაჟიშვილიც ჰყავს.

ივ. ჯავახიშვილი კი ძეგლს რუსუდანის მეფობის პირველ წელს – 1222-23 წლებ-ში დაწერილად მიიჩნევს<sup>1</sup>, რადგანაც რუსუდანი მას მგლოვიარედ ეჩვენება. თუმცა ი. ანთელავას ზემოთ მოყვანილი არგუმენტები აბათილებს ამ მოსაზრებას. მაგრამ ამასთანავე თავად ივ. ჯავახიშვილის არგუმენტებიც აბათილებს ი. ანთელავას მიერ შემოთავაზებულ თარიღს (1230-იანი წლები). კერძოდ, თხზულებაში რუსუდანის მეფობა იწყება, მაგრამ დასაწყისშივე წყდება იმიტომ, რომ მემკვიდრე მეტი არა-ფერი დაუწერია. ამასთანავე მემკვიდრე საკმაოდ კმაყოფილი ხვდება რუსუდანის გამეფებას და მისი დიდი იმედიც აქვს. აგრეთვე მას მინიშნებაც არ აქვს იმის თა-ობაზე, თუ რა მოუტანას ქვეყანას რუსუდანის გამეფებამ (ჯალალ-ედ-დინის შემოსე-ვა და ქვეყნის აოხრება), პირიქით, მას საკმაოდ აღმატებული ტონით იხსენიებს.

ვგიქრობთ, შესაძლებელია ამ ორი მოსაზრების შეჯერება. რუსუდანისათვის სრულიად საკმარისი იქნებოდა 2 წელიწადი ძმის სიკვდილით გამოწვეული დარდის გასაქარებლად და ყრმის შესაძენად. ხოლო თხზულება რომ XIII საუკუნის 30-იან წლებში დაწერილიყო, საეჭვოა რუსუდანზე მემკვიდრე ასე მაღალფარდოვნად ესაუბრა, უკიდურეს შემთხვევაში, რაიმე უარყოფითზე არ მიენიშნებინა მანამ. სა-ვარაუდოა, რომ ძეგლი დაიწერა ლაშა-გიორგის გარდაცვალებიდან 2-3 წლის შემ-დგომ, ანუ 1224-1225 წლებში.

ძეგლის ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანია მასში დაცული უხვი ქრონოლოგიური მასალა. თუმცა ზოგიერთი მათგანი გადამ-წერთა მიერ არის აღრეული (მაგ. დვინის ალება და რუქნ-ად-დინის დამარცხება). ფაქტოლოგიური მასალით კი ძვირფასია მეფეთა გარდაცვალების და დაკრძალვის ადგილების მოხსენიება. აგრეთვე ეს არის ერთადერთი ქართული ნარატიული წყა-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VIII, თბ. 1977, გვ. 244.

რო, რომელიც დემეტრე I-სა და დავით V-ის ურთიერთობას ეხება<sup>1</sup>. თუმცა ეს თხზულება არ ყოფილა გამიზნული დემეტრე I-ის ცხოვრების აღსაწერად, რადგანაც იმ დროს არსებობდა ჩვენთვის უკვე დაკარგული იოანე ჭიმჭიმელის „შესხმა-მითხრობა“, რომელიც მის ცხოვრებას აღწერდა.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატინის თხზულების წაკითხვისას მთავარია ჩვენ თვითონ რამდენად ღრმად ჩავწვდებით მის იდეოლოგიას და გავიგებთ, სად უნდა ვენდოთ მას და სად არა, რა მიზანს ისახავს ავტორი თითოეულ ფრაზასა თუ თხრობის მიმართულებაში.

**BEKA KOBAKHIDZE**

## **THE WORK OF THE HISTORIAN OF LASHA-GIORGI**

### **Summary**

**T**HE work of Lasha-Giorgi's historian belongs to those sources that have not been studied thoroughly yet. It has been used mainly for its informational background.

On the basis of hermeneutic analysis of the work, we try to reveal the ideology of the author and his place in XIII century Georgia. Besides, in terms of reviewing the existing scientific works and observing the epoch of the historian, we name a new date of its composition and adoption into "Kartlis Tskhovreba" ("The Life of Kartli" or "The History of Georgia").


The article will help the interested society to comprehend the main essence of the historian's work; to acknowledge it in context of the epoch of the author and, as a result, to evaluate his objectiveness towards King Lasha-Giorgi's life and activities.

---

<sup>1</sup> *მ. ლორთქიფანიძე*, საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. III, თბ., 1979, გვ. 13.

## შაქის ისტორიისათვის


ქ. შაქი აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაშია და ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ განვითარებულ ქალაქად ითვლება. იგი გამოირჩევა ძველი შენობა-ნაგებობებით და ამ მხრივ ტურისტებისათვის მიმზიდველ მხარეს წარმოადგენს. მის სხვადასხვა უბნებში მდებარეობს რამდენიმე ქართული ეკლესია (გიში, ზედგზისი, ვეძისი), რომელთაც აზერბაიჯანელები ალბანური კულტურის ძეგლებად მიიჩნევენ. განსაკუთრებით მიმზიდველია შაქის ძველი უბანი – ვინრო ქუჩებითა და კეთილმოწყობილი სახლებით, რომლის თავში მდებარეობს 1771 წელს



აშენებული სარკეებიანი, აღმოსავლურად მოხატული ხანის სასახლე – ხის ლურსმნებით გამაგრებული. გადმოცემის თანახმად, ხანს არქიტექტორისათვის უკითხავს – ამაზე უკეთესი სასახლის აშენებას შეძლებო? – შევძლებო. – ჩემს სამფლობელოში ჩემზე უკეთესი სასახლე არავის უნდა ჰქონდესო და ამის გამო ხანმა იგი სიკვდილით დასაჯა. სასახლეს გარშემო არტყია მაგარი ციხე-გალავანი, რომლის შიგნითაც მრავალი ძველი შენობაა. ციხის მშენებელს ხანისთვის უთქვამს: „ისეთ მაგარ ციხეს ავაშენებ, შენს შთამომავალს კარს თუ მტერი მოადგა, გაქცევასაც კი ვერ მოახერხებსო“. მართლაც, რუსები რომ შემოერტყნენ ციხეს შახმაც გაქცევაც ვერ მოასწრო (11, 53).

ძველად შაქი საქართველოს, მის აღმოსავლეთ მხარეს – ჰერეთს ეკუთვნოდა და ზშირად მთლიანად ჰერეთის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. მაგალითად, 1037 წ. თბილისის აღლყასთან დაკავშირებით, „მატიანე ქართლისაი“ გადმოგვცემს: „მოადგეს ტფილისსა მტკუარსა ამერით, ზემოთ და ქვემოთ, აფხაზთა მეფის ლაშქარი, და წყალსა იმიერიოთ, ისნიოთ კერძო, მოადგეს ლაშქარი კახნი და ჰერნი“ (6, 297). სუმ-

ბატ დავითის ძე „კახნი და ჰერნის“-ს ნაცვლად წერს – „ნანარნი და შაქნი“ (6,283). პოლიტიკურ ასპარეზზე შაქის პირველი გამოჩენა VII ს-ში კავკასიაში არაბების შემოსვლის პერიოდს უკავშირდება. ამ დროისათვის აქ არსებობდა ერთგვარი ფედერაციული წყობილების მქონე პოლიტიკური ერთეული ქართლის საერისმთავროს სახით, რომლის ერისმთავრის უფლებამოსილება ვრცელდებოდა მთელ ქართლზე ვახტანგ გორგასლის დროინდელ პოლიტიკურ საზღვრებში. ქვეყანა მრავალი საერისთავოსგან შედგებოდა (ქართლი, კახეთ-კუხეთი, ჰერეთი, ხუნანი, სამშვილდე, ეგრისი, არგვეთი, კლარჯეთი, წუნდა, ოძრხე), რომელთა ერისთავები თავიანთ სამფლობელოში ავტონომიური უფლებით სარგებლობდნენ.



VII ს-ში ამ გარემოებით კარგად ისარგებლეს არაბებმა, რომლებიც, ქართლის საერისმთავროს დაქუცმაცების მიზნით, ნანილ-ნანილ იპყრობდნენ აღმოსავლეთ საქართველოს და ცალკეული ადმინისტრაციული ოლქების მმართველებთან დებდნენ საზავო ხელშეკრულებებს. სწორედ ამ პროცესში ფიგურირებს პირველად შაქი: ხალიფა ოსმანის (644-656) ბრძანებით, არ-რანს გალაშქრებულმა არაბმა სარდალმა „შაკკანისა და კამიზარანის მფლობელებთან ზავი დადო ხარკის გადახდის პირობით“ (შაკკანი და კამიზარანი = შაქი და კამბეჩოვანი) (7,85) (8,62).

შაქის სამხედრო-პოლიტიკური მომძლავრება უკავშირდება VIII ს-ის დასაწყისში ჰერეთის მმართველის – არჩილის სახელს, რომელმაც „აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატოს ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნენ კაცნი წარმართნი და მხეცის ბუნებისანი. და იძულებით მონათლა არჩილ იგინი“ (6,244). ამავე არჩილმა შემდგომში შაქი სამართავად გადასცა კლარჯეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლებს, ადარნასე ბრმის ძმისწულეებს: „ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი, რომელ დასწუნეს მამის ძმისა თუაღნი, წარმოვიდეს ტარონით შაკიხად (ანუ შაქში), სამნი ძმანი, და დაემკვიდრეს მუნა ბრძანებითა არჩილისითა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა რანით კერძი, უმკვიდრო ქმნილიყო და დაემკვიდრეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის“ (თელავთან) (6,244).

787 წელს ჰერეთი დამოუკიდებელ სამთავროდ იქცა, რომლის ხელმძღვანელები, კლარჯეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლები ქვეყანას მართავდნენ შა-

ქიდან. ამდენად, შაქი იქცა ჰერეთის სამთავროს (შემდგომში – სამეფოს) პოლიტიკურ ცენტრად, სადაც 949 წლამდე ცხოვრობდნენ ქრისტიანობის მონოფიზიტურ-მწვალებლური მიმდინარეობის აღმსარებლები. 949 წელს ჰერეთში ჩატარდა საეკლესიო კრება დინარ დედოფლის თაოსნობით, სადაც გაიმარჯვა დიოფიზიტობამ: „იმხანაკ დისწულ იყო გურგენ მეფეთ-მეფისა და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებლად დინარ დედოფალმან“ (6,266).

1010 წელს ჰერეთზე თავისი ძალაუფლება გაავრცელა საქართველოს მეფე ბაგრატ III-მ, თუმცა 1014 წელს ახალი მეფე გიორგი I-ის მცირეწლოვნობით ისარგებლეს ჰერეთის დიდებულებმა და დამოუკიდებლად გამოაცხადეს მხარე. კახეთ-ჰერეთის გაერთიანებული სამეფოს მმართველი გახდა კვირიკე III დიდი (1014-1037). ქვეყნის პოლიტიკურმა ცენტრმა თიანეთში გადმოინაცვლა. კვირიკემ სამეფო 4 საერისთავოდ დაყო, მათგან ერთ-ერთი აღმოსავლეთ ჰერეთსა და შაქს მოიცავდა: „ჰერეთს დასვა ერისთავი მაჭისა და მისცა მაჭის წყლის (მდ. ანიმის) ქვეით და აღმოსავლეთი შაკინითურთ და ხუნზახითურთ“ (1,151).

1104 წელს დავით აღმაშენებელმა დიდი ძალისხმევის შედეგად მოახერხა ჰერეთ-კახეთის საქართველოსათვის დაბრუნება, თუმცა გიჟისა და შაქის საბოლოო შემოსამტკიცებლად კიდევ დასჭირდა გარჯა. მეფემ 1117 წელს „დაიპყრნა გრიგოლის ძენი, ასათ და შოთა და აღილო ციხე გიმი“ (6,334). შემდგომ წლებში დავითმა უფრო აღმოსავლეთით შირვანი დაიპყრო და იქაური საქმეების ზედამხედველად სვიმონ მნიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი დანიშნა, რომლის განკარგულებაშიც დატოვა ჰერ-კახთა ლაშქარი (6, 344). დავითის მემკვიდრეების დროს საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი მდ. თეთრ-წყალზე (ჩალან უსუნზე, იმავე აღ-სუზე; შამახიის მთებთან) გადიოდა.

შაქის დაკარგვა დროში განწელილი პროცესი იყო და მრავალ გარემოებასთან იყო დაკავშირებული. უმთავრესად უნდა აღინიშნოს მონღოლების ფაქტორი, რომელმაც საქართველო წელში განყვიტა და მისი ძლევამოსილება ისტორიის კუთვნილებად აქცია.

ჩინგიზ ყაენის იმპერიის დაშლის შემდეგ კავკასიაში გაბატონებისათვის ერთმანეთს ებრძოდა ორი მონღოლური ქვეყანა: კასპიის ზღვის ჩრდილოეთიდან ოქროს ურდო და სამხრეთიდან ილხანთა სახელმწიფო. XIII საუკუნის 60-იანი წლებისათვის, როდესაც დაიწყო შაქის ჩამოშორება, საქართველოში გაბატონებული იყვნენ ილხანები. მათ, ოქროს ურდოსაგან მოსალოდნელი საფრთხის გამო, საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარზე ააგეს დამცავი ნაგებობა – ე.წ. „სიბა“: „და ვითარ მოინა სთუელი (შემოდგომა), წარვიდა ყაენი (ილხანების) ქუეყნად შარვანშასა, საზღვართა საქართველოსათა, ადგილსა რომელსა უწოდიან ჩალანუსუნი, ესე იგი არს თეთრი წყალი. და შეკრეს ლობითა წყლის პირი, რომელსა სიბად უწოდეს. რამეთუ გონებდა გამოსვლასა ბერქა ყაენისასა (ოქროს ურდოსი). და ამათ ყამთაგან იწყეს სიბასა ზედა დგომად თათართა და ქართველთა“ (9,254).

მართლაც, 1262 წელს „გამოვიდა დიდი ყაენი ბერქა ვხასა დარუბანდისასა აურაცხელი ლაშქრითა“ (9,254). ილხანების ყაენმა აბალამ, რომლის რეზიდენცია იყო

მტკვრის სამხრეთით ქ. ბარდავში, „ვითარ აგრძნა ძლიერება და სიდიდე სპათა ბერქასათა, არღარა განვიდა მტკუარსა, არამედ შეიარა ნაპირი და განსავალი ყოველი, და აღილო ზომი ყველგან, და დააყენა ლაშქარი სადა შეკრებებიან მტკუარი და რასხი, და მუნითგან ვიდრე მცხეთამდე. ბერქამან მოაოხრა ქუეყანა შირვანისა, ჰერეთი, კახეთი და ყოველი იორის პირი და მოვიდა ლაშქარი თფილისამდე, მრავალი სული ქრისტიანე მოსწყვიდეს“ (9,254).

ივ. ჯავახიშვილი, სპარსულ წყაროებზე დაყრდნობით, აღნიშნავს: „პირველი ბრძოლა აყსუს, ანუ ჩალაუსუნის პირას მომხდარა მენინავე ნანილს შორის და აქ ბერქა ყაენის ჯარის ერთი სარდალთაგანი – ნოლაი, თვალში დაჭრილი, შირვანისკენ გაქცეულა. მაშინ აბალა ყაენის სარდალმა იაშმუტმა მტკვარი გადალახა და შებრძოლება განიზრახა, რომ ბერქა ყაენის 300 000 ჯარისკაცითურთ მოსვლის ამბავი შეიტყო. ამის გამო იაშმუტი სწრაფად გამოლმა გამოვიდა და ყველა ხიდები ჩაშალა. ბერქა 14 დღის განმავლობაში მტკვრის გადმოლახვას ამაოდ ცდილობდა, რაკი ეს ვერ მოახერხა, თბილისისკენ იბრუნა პირი, რომ იქ ხიდზე გადასულიყო და აბალას ჯარს ზურგიდან დასცემოდა“ (10, 185). ასეთი ამბების მსხვერპლად იქცა ჰერეთი, რაც, ლოგიკურია, მის ეკონომიკურ და უპირველესად დემოგრაფიულ ვითარებას კატასტროფულად გააუარესებდა. ამიტომაცაა, რომ „ქ.ცხ“-ში 1278 წელს ყაზან ყაენის აღწერის შედეგების შესახებ ვკითხულობთ: „უმრავლესი მოოხრებულ იყო, და უმეტეს ჰერეთი და კახეთი, რამეთუ კამბეჩის ვაკენი მოოხრებულ იყო გამოსვლასა მას თათართასა, ოდეს გამოვიდა ყაენი დიდი ბერქა“ (9, 274).

როდესაც ოქროს ურდოს ლაშქარი თბილისისკენ მიინევედა, თვითონ ბერქა გარეჯის მთებში დამკვიდრდა დროებით, სადაც „შეედვა საღმობა რამე ბერქასა და მოკუდა. ვითარცა იხილეს სპათა მისთა სიკუდილი ყაენისა, მთასა წარიღეს მკუდარი და განვლეს კარი დარუბანდისა ესრეთ დამშვიდდა ქუეყანა“ (9,254). 300 000-იანი ლაშქრის მოოხრებულ თარეშს დაემატა ილხანების მძარცველობითი ფინანსური პოლიტიკა და მოხელეთა ბოროტმოქმედება, რამაც მინის მუშაკი ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ მას მინის დამუშავებას გაქცევა ერჩივნა (10,397).

ამ მოვლენების დეტალურად აღწერის შემდეგ აღარ უნდა იყოს გასაკვირი ჰერეთის ქართველებით მჭიდროდ დასახლებული ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ქალაქის, წარსულში პოლიტიკური ცენტრის – შაქის გაათათრება, ქართველების ეთნიკურ უმცირესობად ქცევა, რადგან სიბას გადმოლახვის შემდეგ შაქი იყო ის უმნიშვნელოვანესი ქალაქი, რომელიც პირველი მიეგება 300 000-იან მხედრობას. უბრძოლველობით დასვენებულმა და ძლევაპოსილებით აღვსილმა ბერქა ყაენის ლაშქარმა, არ მიეცა რა დამალულ აბალასთან პირისპირ შებრძოლების შესაძლებლობა, მთელი ჯავრი შაქზე და შემდეგ ჰერეთ-კახეთის დანარჩენ ნაწილებზე იყარა და მიწასთან გაასწორა იქაურობა. ბერქას მოულოდნელი სიკვდილისა და ოქროს ურდოს სამხედრო ძალების საქართველოდან გასვლის შემდეგ ბურთი და მოედანი ილხანებმა ჩაიგდეს ხელში. აქ დარაჯად მდგომმა მრავალრიცხოვანმა მონღოლმა მეომრებმა კი დაიწყეს ქართველებისგან დაცლილ შაქსა და საარიშიანოში ჩამოსახლება და უპრობლემოდ დამკვიდრება, რამაც ინტენსიური ხასიათი მიიღო. დიმიტრი ჯა-

ნაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მათ დაისადგურეს ნუხსა და ალტაშ-არეშში, საცა ბლომად და უხვად მოიპოვებოდა საქონლის საკეები და ადამიანებისათვის საზრდო, ამის გამო შეთხელდა ამ მხარეში ქართველობა და გამრავლდნენ მონღოლები“ (12,89). ვითარების დამშვიდების შემდეგ ქართველთაგან მთებში გახიზნული შაქის მკვიდრნი თუ ჩამოვიდოდნენ მშობლიურ ქალაქში. ეთნიკურ-დემოგრაფიის მხრივ ვითარება შედარებით გამოსწორდა გიორგი V ბრწყინვალის დროს. ის რომ არა, XIV ს-ის მიწურულისათვის სეიდ აჰმედი უკვე შაქის დამოუკიდებელი მმართველი იქნებოდა შირვანელი იბრაჰიმის მსგავსად, მაგრამ 1386 და 1392 წლებში, თემურ ლენგის პირველი და მეორე შემოსევების დროს, ვხედავთ, რომ შაქისელი სეიდი გიორგი VII-ის მხარესაა (3,73). ეს ორი გარემოებით უნდა აიხსნას: 1) გიორგი V ბრწყინვალის მეფობისას ქართველობა და ქრისტიანობა საკმაოდ გაძლიერდა შაქში; 2) თავრიზის მმართველმა (თემურ ლენგის შვილმა) მირანშაჰმა ეჭვი შეიტანა სეიდ ალის ერთგულებაში (შეიძლება პირველი ფაქტორის გამო) და მის განკარგულებაში მყოფი მიწები ააოხრა. ფაქტია, რომ სეიდ ალი შაქისელი გიორგი VII-ის მხარდამხარ იბრძვის 1398 წელს ნამონყებულ კავკასიის მონღოლთაგან განმანათავისუფლებელ ლაშქრობაში და ამ მისიას ეწირება (ერთი წლის შემდეგ კი შაქის ახალი მმართველი (ორლატთა ტომიდან) სეიდ აჰმედი თემურ ლენგის უზარმაზარ სამხედრო ძალასთან დაპირისპირებას ერიდება და მის ქვეშევრდომობაში შესვლას არჩევს).

ქართველთა მოძლიერებაზე ჰერეთში ისიც მეტყველებს, რომ 1399 წელს ქვეყანაში მოულოდნელად შემოჭრილ თემურ ლენგის 100 000-იან ლაშქართან გენერალური ბრძოლის გადახდაც მოასწრეს ხიმშიას ხეობაში, თანაც იმ დროს, როცა ექსტრემალურ სიტუაციაში მოუწიათ თავდასაცავად შეყრა და სრულად მობილიზება ვერ შეძლეს.

1399 წელს, როდესაც თემურ ლენგი უკვე მოადგა კავკასიას, „დამპყრობელს მორჩილებით ეახლა შირვანის მფლობელი იბრაჰიმი, რომელმაც შაქის ახალი მფლობელი სეიდ აჰმედიც მას შეავედრა. თემურ ლენგმა სეიდ აჰმედს შაქის მფლობელობა დაუმტკიცა და ეს ახალი ყმები მათი ჯარებით თავის ლაშქართან ერთად საქართველოს შეუსია ჰერეთის მხრიდან“ (3, 70). ამდენად, ეს თარიღი უნდა ჩაითვალოს შაქის საქართველოსგან საბოლოო ჩამოშორების თარიღად. ამ წელს მონღოლებმა ტყე გაჩეხეს და ჩუმად შეაღწიეს კახეთ-ჰერეთის ცენტრში. ირანში მოღვაწე ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ხეობის მფლობელმა ხიმშიამ გააფთრებული ბრძოლა გაუმართა მონღოლებს. მის ჯარს შეადგენდა „ყველა შემძლე და ხელგამომავალი“ (4,93), მაგრამ როცა ქართველები მიხვდნენ, რომ მონღოლების რიცხოვრივი უპირატესობა პირისპირ ბრძოლისას გადამწყვეტი იქნებოდა და „თურქნი გაიმარჯვებდნენ“, ხეობაში გამაგრება არჩიეს და იქიდან გააგრძელეს თავდაცვითი ბრძოლები პარტიზანული მეთოდით.

ამ ომში ქართველების დამარცხებას დამღუპველი შედეგები მოჰყვა. მონღოლებმა ჰერეთ-კახეთში თარეშის დროს „ვინც ნახეს, მოკლეს. საღრები დაუქცივნეს, ხევნარნი და ვენახები აუჩეხეს და სახლები დაუნეეს და ნიგვზის ხეებს ტყავები დააძვრეს“ (4,93). მონღოლთა ბოროტმოქმედება ერთ თვეს გაგრძელდა და, ალბათ,

გასაგებია, თუ როდენ უსაზღვრო იქნებოდა მარბიელთაგან მოყენებული ზარალი, რომლებიც მხოლოდ „ზამთრის სიძლიერემ შეანუხა და აიყარა და ყარაბაღში მივიდა“ (4,93). ვახუშტის გადმოცემით, „გარნა იყო ალაზნის შესართავიდგან ვიდრე სამგორამდე შენობანი დიდნი ფრიად, არამედ მოოხრდა გამოსვლასა ბერქასასა და შემდგომად ლანგ თემურისაგან, რომელნი სჩანან დღესაც“ (1,528).

აოხრებული და გაუბედურებულ საქართველოს თემურ ლენგის რვა გზის ლაშქრობის შემდეგ სულის მოთქმა უჭირდა, შესაბამისად, შაქის დაბრუნების საკითხი შორეულ პერსპექტივად იქცა(ამის ერთგვარ მცდელობას ადგილი ჰქონდა ლევან კახთა მეფისა და მისი ვაჟის ალექსანდრე მეორის დროს), მაშინ როდესაც ერთიანი ქვეყანა უკვე ცალკეულ სამეფოებად იშლებოდა.

1466 წლიდან შაქის სახანოს დასავლეთიდან, ძლიერი, ერთიანი საქართველოს მაგივრად, ბევრად მოკრძალებული კახეთის სამეფო გაუმეზობლდა, მათ შორის საზღვარი ქ. შაქსა და სოფ. გიშს შორის მდინარე გიშის წყალზე გადაიოდა.

### ლიტერატურა

1. *ვახუშტი ბატონიშვილი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. 4, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
2. *ვახუშტი ბატონიშვილი*, საქართველოს აღწერა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913.
3. *ნ. ბერძენიშვილი*, აღმოსავლეთ კახეთის ისტორიიდან, მიმომხილველი III, თბ. 1953.
4. *ს. კაკაბაძე*, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, თბ. 1926 .
5. *გ. მარჯანიშვილი*, ჰერეთი, თბ. 2005.
6. *„მატიანე ქართლისაი“*, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ 1955.
7. *დ. მუსხელიშვილი*, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ. 1966.
8. *თ. პაპუაშვილი*, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ. 1970.
9. *ჟამთააღმწერელი*, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ. 1959.
10. *ივ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ. 1941.
11. *მოსე ჯანაშვილი*, საინგილო, თბ, 1996.
12. *დ. ჯანაშვილი*, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა, თბ., 2000.

## ON THE HISTORY OF SHAK

## Summary

THE article comprises interesting information about an old Georgian city of Shak, which presently belongs to the Republic of Azerbaijan. The accent is put on the fact that, from its appearance on the political scene in the 7<sup>th</sup> century till the great clash of two Mongolian states in the 13<sup>th</sup> century in the Caucasus and concretely in Georgia, Shak unimpeachably was a virgin Georgian city, but after the collision of Hulaguians and Golden Horde in 1262, the city was so profoundly devastated that the Georgians found themselves in ethnic minority in one of the largest cities that had been populated by Georgians for centuries.

During the reign of Giorgi V the Brilliant, the situation in Shak evidently improved for the Georgians, but the numerous assaults and bloody invasions of Tamerlane at the end of the 14<sup>th</sup> and the beginning of the 15<sup>th</sup> centuries played an incredible role in losing the city, and the recapture of this significant Georgian territory became the goal of future generations.

## საქართველო-გერმანიის ურთიერთობის ისტორიიდან

ჩვენი ქვეყნის ისტორიოგრაფიაში ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაიზერულ გერმანიას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სწორედ გერმანიის მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური თუ ფინანსურ-ეკონომიკური მხარდაჭერით შეიქმნა. გერმანიის ხელისუფალნი საქართველოს თავიანთი კავკასიური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პლაცდარმად გადაქცევას ლამობდნენ. საქართველოსადმი მხარდაჭერა თვით გერმანიის რაიხის ინტერესებში შედიოდა. პრაგმატულად მოაზროვნე გერმანელები სათანადოდ აცნობიერებდნენ საქართველოს სტრატეგიულ მდებარეობას, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის უნიკალურობას და ცდილობდნენ კავკასიაში ძლიერი სახელმწიფოს შექმნით სერიოზული პრობლემა შეექმნათ რუსეთისათვის.

რუსეთს საქართველოს სახით ეყოლებოდა ძლიერი, გერმანიაზე ორიენტირებული ძალა. ასე რომ, გერმანიის გეგმები საქართველოსადმი შორს მიმავალი და მრავალმხრივი იყო.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და გერმანიას შორის 1918 წლის 28 მაისს ქ. ფოთში გაფორმებულ ხელშეკრულებას, სადაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აკაკი ჩხენკელმა და გერმანიის წარმომადგენელმა საქართველოში გენერალ-მაიორმა ფონ ლოსოვმა ხელი მოაწერეს „დროებით შეთანხმებას საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“, რომელიც ფრიად დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ აქტს წარმოადგენდა. ხელშეკრულება ხუთი მუხლისგან შედგებოდა.

პირველი მუხლის მიხედვით: საქართველო გერმანიასთან ურთიერთკავშირის საფუძვლად აღიარებდა 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის დადგენილებას.

მეორე მუხლით, საქართველო ნებას რთავდა გერმანიის მთავრობას ომის დამთავრებამდე ესარგებლა სარკინიგზო ხაზით – ოთხთა კავშირის სახელმწიფოების ჯარისა და სამხედრო მასალის გადასატანად. რკინიგზაზე კონტროლისათვის იქმნებოდა საგანგებო კომისია გერმანიის ხელმძღვანელობით, რომელიც იმოქმედებდა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებულად.

მესამე და მეოთხე მუხლები ეხება საზიარო დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის შექმნას და ბოლოს, მეხუთე მუხლი გვაუწყებს, რომ ეს შეთანხმება რაც შეიძლება მალე უნდა შეიცვალოს ოფიციალური ტრაქტატით.

ძირითადად, ხელშეკრულების მთავარ მიზანს შეადგენდა: „ა. გერმანიის მთავრობის მიერ საქართველოს ფაქტიური აღიარება და ბ. ომის პერიოდში საქართველოს სარკინიგზო ხაზზე გერმანიის კონტროლის დაწესება“.<sup>1</sup>

მრავალ კონვენციათა შორის ქ. ფოთში დაიდო ორი დამატებითი ხელშეკრულება. მათგან შეთანხმების პირველი მუხლი ეხება სამეურნეო საკითხებს, ხოლო მეორე მუხლს რაც შეეხება: ეს მუხლი სახავს პარიტეტულ სანყისებზე ქართულ-გერმანული სამთო-სამრეწველო საზოგადოების შექმნის მომავალს, რომელსაც საქართველოს მთავრობა გადასცემს ნიაღის ექსპლოატაციის განსაკუთრებულ უფლებას. მაგრამ, საკანონმდებლო წესით წინასწარ იმტკიცებს მონოპოლიურ უფლებას სამთო მრეწველობაზე. ამ საზოგადოებას სახელმწიფო გაუწევს ზედამხედველობას. არსებული სამთო საწარმოებისა და შეძენილი უფლებების ლიკვიდაცია მოხდება განსაკუთრებული კანონებით, შეთანხმების საფუძველზე. მოპოვებული მადანის ექსპორტს შეფერხება არ შეექმნება, თუ აქ გადმოცემული სქემა სავსებით შეეფერება ომის პერიოდში განსაკუთრებული ძალით გაბატონებულ სახელმწიფო სოციალიზმსა და გაერთიანებული, გეგმაზომიერი საქმიანობის იდეებს.

მესამე მუხლში გამოთვლავნდა გერმანიის დიდი ინტერესი ნედლეულისადმი, რომლის მთელი რაოდენობა ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ შეეძლო შეეძინა და გაეზიდა გერმანიას.

მეოთხე მუხლით გერმანია გვპირდებოდა, მოეგვარებინა საქართველოსთან საზღვაო კავშირი და გაეადვილებინა საფაბრიკო საქონლის ნახევარფაბრიკატებისა და სურსათის შემოტანა საქართველოში.

მეორე დამატებითი შეთანხმება სულ ორი მუხლისაგან შედგებოდა და იგი ითვალისწინებდა გერმანელი კოლონისტების ინტერესებს, რომლებიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ტერიტორიაზე დაასახლა რუსეთის მთავრობამ. ეს იყო მათი უფლებებისა და პრივილეგიების შენარჩუნება გერმანიაში თავისუფალი დაბრუნების შემდეგ, ხოლო გერმანიის მთავრობას კოლონისტებისათვის მფარველობა უნდა გაენია.

ზემოთ ჩამოთვლილ შეთანხმებათა გარდა, ქ. ფოთში ხელი მოეწერა კიდევ სამ დამატებით კონვენციას. ეს ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოსა და გერმანიას შორის ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, შედგებოდა ორი მუხლისაგან.

### *მუხლი I*

საქართველოს მთავრობა ვალდებულია დაუშვას გერმანიის ვალუტა, ისევე როგორც თავისი ქვეყნისა, განუსაზღვრელად როგორც კანონიერი გადასახდელი საშუალება და მასთან მტკიცე კურსით, რაც ჯერ კიდევ ზუსტად უნდა განისაზღ-

---

<sup>1</sup> ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1929 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, წიგნი I, თბ., 1990. გვ. 86.

ეროს. კურსის განსაზღვრა უნდა მოხდეს მაშინვე ამ შეთანხმების დადებისას განსაკუთრებული შეთანხმებით ორივე მთავრობას შორის.

მშობლიურ ვალუტად აღიარებულია მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ კანონით დაწესებული ფულის სახეობანი.

## **მუხლი II**

მოქმედება ამ შეთანხმებებისა, რომელიც ძალაში შედის დღიდან მისი ხელმოწერისა, წყდება მაშინ, როდესაც დადებულ იქნება საბოლოო სახელმწიფოებრივი ხელშეკრულება ფულადი და სავალუტო ურთიერთობის მონესრიგების შესახებ ორივე ქვეყანას შორის, გარდა ამისა, თითოეულ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ამ შეთანხმებაზე წინასწარ ექვსი თვით შეტყობინებისას.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის საქართველოს მთავრობას არ გააჩნდა საკუთარი ვალუტა და ჯერ კიდევ აღარარსებული ამიერკავკასიის კომისარიატის ფულადი ნიშნებით – ბონებით სარგებლობდა. ამის მიუხედავად, ქართული ფულის შემოღებისათვის მზადება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დაიწყო. იმისათვის, რომ შექმნილიყო ქართული ფულის ერთეული და მას მტკიცე საფუძველი ჰქონოდა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ დაადგინა, რომ ამ მიზნით საქართველოს ხელისუფლებას კრედიტი ევროპაში უნდა აეღო, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლების იმდროინდელ მესვეურებს პოლიტიკური ორიენტაცია გერმანიაზე ჰქონდათ აღებული. გადაწყდა, რომ კრედიტის გამოყოფისა და სხვა ფინანსურ-ეკონომიკური საკითხების შესახებ გერმანიის მმართველ წრეებს მოლაპარაკებოდნენ. ამ მიზნით 1918 წლის ივნისში ბერლინს საგანგებო მისიით ეწვია ქართული სამთავრობო დელეგაცია აკაკი ჩხენკელის მეთაურობით. დელეგაციაში ასევე შედიოდნენ – ზუზუბა ავალიშვილი და ნიკო ნიკოლაძე სხვა წევრებთან ერთად. მისიამ შეძლო, რომ ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებზე გერმანიის სამინისტროებთან, ბანკებთან, ფირმებთან მიეღწია შეთანხმებას კრედიტის გამოტანის თაობაზე. რაც შეეხება ფინანსურ ხელშეკრულებას, იგი გაფორმდა 1918 წლის 15 აგვისტოს.

სწორედ ქ. ფოთში დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ამდგვარ დახმარებას. გერმანიის ფინანსური დახმარება უზრუნველყოფდა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებას. კაიზერული გერმანიის დახმარებით უნდა მომხდარიყო ქვეყნის სახელმწიფოებრივი მშენებლობის დაწყება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის მიხედვით, გერმანელთა „გეგმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის ძალიან ფართო იყო და ყოველმხრივი. იგი შეეხებოდა როგორც

---

<sup>1</sup> გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, შეადგინა და დასაბუქდად მოამზადა მ. გაბრიჩიძემ, თბ., 1942, გვ. 43-44.

ფინანსურ, ისე საერთო ეკონომიკურ მხარეებს, ჩვენი სახალხო მეურნეობისას ფულის საკითხის მოწესრიგებით დაწყებული".<sup>1</sup>

ამგვარად, საქართველოს სპეციალური სამთავრობო მისიის მოღვაწეობა გერმანიაში წარმატებით დასრულდა, თუმცა მის მიერ დადებულ შეთანხმებას განხორციელება არ ეწერა.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება, ბუნებრივია, ხვდებოდა, რომ ამიერკავკასიაში ჩამოსულ გერმანელებს უპირველესად საკუთარი სტრატეგიული თუ ეკონომიკური მიზნები ამოძრავებდათ და ის სამხედრო-პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური დახმარებაც, რომელიც მათ საქართველოს გაუნიეს, გერმანიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდანვე გამომდინარეობდა. ამრიგად, საქმე ეხება საკითხს საქართველოში გერმანიის რეალური ინტერესების შესახებ. გერმანელები საქართველოში მოვიდნენ არა ნაციონალ-დემოკრატიებისა და სოციალ-დემოკრატიებისათვის, არამედ მარგანეცის, სპილენძის, ხე-ტყის და სხვა ბუნებრივი სიმდიდრისათვის.

მართლაც, თავიანთი ყოფნის პერიოდში „გერმანელებმა საქართველოდან გაიტანეს 31 000 ტონა მარგანეცი; 40 350 ცალი ცხერის ტყავი; 66,7 ტონა სპილენძი; 1, 201 ცალი ავტოსაფარი; 360 ტონა მატყლი; 340 ცალი რეზინის საღებავი; 45 ტონა ძონძები და სხვა.“<sup>2</sup>

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება დადებით შეფასებას აძლევდა გერმანელთა ყოფნას ჩვენს ქვეყანაში. ნოე ჟორდანიას თქმით, „საქართველოს სუვერენულ უფლებათა პატივისცემისა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის დაუწინიარო მთავალი მოგვცა გერმანიის ჯარის სარდლობამ. ჩვენ სოციალისტები და დემოკრატები – ისინი მონარქისტები, აზნაურები; განსხვავება პოლიტიკური და იდეოლოგიური იყო. მიუხედავად ამისა, ჩვენი ურთიერთმოპოვების დამოკიდებულება იყო ლოიალური, მეგობრული, გულწრფელი.“<sup>3</sup>

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის აზრით: „თუ გერმანელებმა ჩვენში შემოსვლით და აქ ყოფნით იმ დროს რითიმე ისარგებლეს, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ყველაფრის ანგარიში რიგიანად გაასწორეს.“<sup>4</sup>

საგულისხმოა, რომ იგივე გერმანელები იმავე დროს სრულიად სხვაგვარად მოიქცნენ უკრაინაში. იქ ისინი თვითონვე ნიშნავდნენ და აყენებდნენ მთავრობას.

ერთი სიტყვით, იქცეოდნენ ისე, როგორც გამარჯვებული დაპყრობილ ქვეყანაში. ასეთი ურთიერთობა იმით აიხსნება, რომ უკრაინაში ამ პერიოდში სრული ანარქია, ქაოსი, შინაური ბრძოლა, ბოლშევიკების თარეში, პარტიათა ჭიდილი მიმდინარეობდა, უწესრიგობა და უთაობა სუფევდა, ხოლო გერმანელები ამ ქვეყანაში და-

<sup>1</sup> *კ. კანდელაკი*, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, ნიგნი მეორე, პარიზი, 1960 გვ. 184-185.

<sup>2</sup> *ა. სურგულაძე*, საქართველოს მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ. 1972, გვ. 613.

<sup>3</sup> *ნ. ჟორდანია*, ჩემი წარსული, თბ. 1990, გვ. 91.

<sup>4</sup> *კ. კანდელაკი*, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, ნიგნი II, პარიზი, 1960, გვ. 184-185.

ინტერესებულნი იყვნენ წესრიგის დამყარებით და ისეთი მთავრობის შექმნით, რომელსაც თვითონ ხალხი აირჩევდა.

სრულიად განსხვავებული ვითარება იყო საქართველოში, აქ მთელი ერი მთავრობის ირგვლივ იყო გაერთიანებული და სრული წესრიგი სუფევდა.

აღსანიშნავია, რომ 1918 წლის 28 მაისს დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა მეტად საჭირობოროტო საკითხს. კერძოდ, საქართველოს თურქთა მხრიდან უდიდესი საფრთხე – ოკუპაცია ელოდა, ამიტომ საჭირო შეიქმნა საზღვრების გაძლიერება. სწორედ ქ. ფოთის შეთანხმების წყალობით გერმანიის მთავრობა მხარდაჭერას უცხადებდა საქართველოს ხელისუფლებას როგორც სამხედრო სფეროში, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისითაც. გერმანია აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის სრული გარანტი.

1918 წლის 28 მაისს გენერალი ფონ-ლოსოვი ვალდებულებას იღებდა მიეღწია იმისათვის, რომ გერმანიის მთავრობას გამოეცხადებინა თავისი მზადყოფნა საქართველოს მხარდასაჭერად რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკებაში ჩვენი ქვეყნის რუსეთის იმპერიის ფარგლებიდან გასვლასთან დაკავშირებით. მისი გამოყოფის შემდეგ კი ეცნო საქართველო თავისუფალ და სუვერენულ სახელმწიფოდ. აგრეთვე, ზოგადად განისაზღვრა საქართველოს ტერიტორიული შემადგენლობა. მისი საზღვრები მოიცავდა ყოფილ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს და სოხუმის ოკრუგს.

ამ განსაზღვრებით, ბათუმის ოლქი გამოყოფილი იყო საქართველოს ფარგლებიდან, მაგრამ ბათუმში განცხადებულ თურქეთის პრეტენზიებს თბილისის ორ მაზრაზე (ახალქალაქი, ახალციხე) გერმანიის წარმომადგენელი არ ღებულობდა, რაც, რა თქმა უნდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაყინებული მოთხოვნის შემდეგ გადანყდა.

ასევე საყურადღებოა, რომ ქ. ფოთში ხაზგასმით იქნა აღნიშნული შემდეგი გარემოება: სოხუმის ოკრუგი საქართველოს წარმომადგენს სანამ ქვეყანა აყალიბებს ცალკე სახელმწიფოს კავკასიის ფარგლებში, მაგრამ თუ შეიქმნა კავკასიის ხალხის კონფედერაცია საქართველოს მონაწილეობით, სოხუმის ოკრუგის მოსახლეობას უნდა მიეცეს უფლება, თვითონ გადაწყვიტოს კავკასიის ქვეყნებს შორის თავისი მდგომარეობის საკითხი.

ამ ტექსტიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში აფხაზეთის მოსახლეობას შეეძლო აერჩია საქართველოსთან შეერთება, მთის ხალხთა კავშირში გაერთიანება ან კავკასიის კონფედერაციაში შესვლა განსაკუთრებული სახელმწიფო – კანტონის სახით. აქედან ჩანს, თუ როგორი მნიშვნელობა ენიჭებოდა კავკასიის ხალხთა პოლიტიკური გაერთიანების გეგმას სწორედ იმ მომენტში, როცა გარემოებათა გამო აუცილებელი გახდა ამიერკავკასიის კავშირის დაშლა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1918 წლის 28 მაისს ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც საქართველოსა და გერმანიას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებდა. ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა ერთიორად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა თურქეთის მთავრობის საოკუპაციო გეგმის შესახებ.

ასეთ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების გაძლიერებას. სწორედ ამ მიზნით, 1918 წლის ივნისში თბილისში ჩამოვიდა ორი ბავარიული ათასეული და გერმანიის სამხედრო დიპლომატიური მისია გენერალ კრეს-ფონ კრესენშტაინის ხელმძღვანელობით.<sup>1</sup>

ამ ჯარის ნაწილი გაიგზავნა ბორჩალოს მაზრაში ავაზაკთა ბანდებისაგან გასანმენდად.

გერმანელი ოფიცრები დანიშნეს ინსტრუქტორად საქართველოს არმიაში. 1918 წლის 11 ივნისს, 17 საათზე, გოლოვინის პროსპექტზე გაიმართა გერმანულ-ქართული შეიარაღებული ძალების ერთობლივი სამხედრო აღლუმი, რომელსაც ესწრებოდნენ: საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი, გერმანიის ელჩი გრაფი შულენბურგი, სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, გენერალ-ლეიტენანტი გაბაშვილი და უფროსი ლეიტენანტი ემილიო კაიზერი. ოფიცერთა ჯგუფის თანხლებით სამივე სახეობის ჯარი (ქვეითი, კავალერია, არტილერია) ჩამწკრივდა სასახლიდან დაწყებული დიდი ტაძრის მიმართულებით. „მთავრობის მეთაურმა ჩამოუარა ჯარს, მიესალმა მათ ჩამოსვლას კავკასიაში და გამოთქვა რწმენა, რომ პირისპირ მდგომი გერმანიისა და საქართველოს ჯარი ერთმანეთთან სრული კონტაქტით შეძლებენ ნესრიგის დაცვას ჩვენს ქვეყანაში. შემდეგი სიტყვა ნარმოთქვა გრაფმა შულენბურგმა, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ ამიერიდან გერმანიის საიმპერატორო ჯარი და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები მუდმივ მეგობრულ ურთიერთობაში იქნებიან და ერთმანეთის ინტერესებს დაიცავენ“.<sup>2</sup>

საგულისხმოა, რომ გერმანული ჯარის საქართველოში შემოსვლამ, მართალია, ქვეყანა თურქული უღლისაგან იხსნა, მაგრამ გარკვეული უარყოფითი შედეგებიც მოიტანა. კერძოდ, ნააქეზა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ბორჩალოს მაზრაში ჩამოსახლებული გერმანელი კოლონისტები, რომლებიც უკვე მზრუნველობით ეპყრობოდნენ ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას. აღინიშნა მათი ძარცვისა და შეურაცხყოფის არაერთი ფაქტი. ქართველი საზოგადოება აღაშფოთა გერმანელთა ერთი ნაწილის არაკორექტულმა საქციელმა. შეურაცხყოფილი გლეხები იმუქრებოდნენ, რომ იარაღით დაიცავდნენ თავიანთ ღირსებასა და თავისუფალი მოქალაქის სახელს. მოსახლეობაში ანტი-გერმანული განწყობილების შექმნას გერმანელებიც ამჩნევდნენ.

1918 წლის 24 ივნისს თბილისში ჩამოვიდა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და ბულგარეთის დელეგაცია. ნოე ჟორდანიასთან საუბარში, ეხებოდა რა საქართველოს მშრომელთა დამოკიდებულებას გერმანიის ჯარისადმი, გერმანიის დელეგაციის მეთაური კრეს ფონ კრესენშტაინი აღნიშნავდა, რომ ქართველი ხალხი უარყოფითად ეკიდება გერმანელთა ყოფნას საქართველოში. არა და ისინი აქ მოვიდნენ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობის სურვილის თანახმად. ნოე ჟორდა-

<sup>1</sup> ლ. ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი), ნაწილი I, ქართული-ევროპული ინსტიტუტის უფრნალი „ივერია“, თბილისი-პარიზი, 1992, I, გვ. 152.

<sup>2</sup> გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს. გვ. 53-54.

ნამ თავი აარიდა პირდაპირ პასუხს და დიპლომატიურად შენიშნა, რომ „საქართველოში გერმანელთა ყოფნით ქართველი ხალხის უკმაყოფილება გაუგებრობაა“.<sup>1</sup>

გერმანელი ჯარის დისლოკაციის ადგილს შეადგენდა: თბლისი, ქუთაისი, ფოთი, გორი, სამტრედია, თეთრი წყარო, სენაკი, ოჩამჩირე, ბორჩალოს მაზრა და სხვა.

გერმანული ჯარი თვითნებობას განაგრძობდა. ისინი გადასახადს აწერდნენ სოფლის მოსახლეობას, გადაუხდელობის შემთხვევაში ძალით აგროვებდნენ მას. გერმანიის საჯარისო ნაწილები გრძნობდნენ, რომ ქართველი გლეხობა იარაღს აისხამდა და გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდა. ბრძოლის ცეცხლი უკვე დანთებული იყო მთელ რიგ რაიონებში და ეს რომ საერთო ხანძრად არ გადაქცეულიყო გერმანელები მოსახლეობის განიარაღებას ახდენდნენ. ამას თან ახლდა ძალადობა, დაპატიმრება, ცემა-ტყევა.

ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა ის გარემოებაც, რომ ხშირად ჯარი ცალმხრივად ერეოდა გერმანელ კოლონისტთა და მეზობელი სოფლების ურთიერთობაში, არბევდა ქართულ, სომხურ ან თათრულ სოფლებს კოლონისტების სასარგებლოდ. თვითონ ასამართლებდა და ახდევინებდა მათ ჯარმას. არაერთხელ მაგალითი ყოფილა, რომ კომისრის ჩარევასაც კი ვერ გადაურჩენია საქართველოს მოქალაქე გლეხკაცი ფიზიკური შეურაცხყოფისაგან.

თეთრი წყაროს რაიონიდან 1918 წლის 15 ივლისის თარიღით თბილისის გუბერნიის კომისრის სახელზე გაგზავნილ დეკრეტში ნათქვამია: გატყობინებთ, რომ თეთრი წყაროს რაიონში გერმანელებმა, სოფელ ასურეთის მცხოვრებლებმა 25 კაცის შემადგენლობით, 15 გერმანელი ჯარისკაცისა და 1 გერმანელი ლეიტენანტის თანხლებით, განიარაღეს რამდენიმე სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, ამასთან განიარაღებისას გლეხების მიმართ იყენებდნენ მკაცრ რეპრესიულ ზომებს: ქალებსა და მამაკაცებს როზგებით სცემდნენ და სისხლს ადენდნენ, კლავდნენ გლეხების ძაღლებს, იჭრებოდნენ სახლებში და ახდენდნენ ჩხრეკას. გლეხობა ტერორიზებულია. იყო მილიციელების განიარაღების რამდენიმე შემთხვევა. გერმანელები სრულიად არ უწევდნენ ანგარიშს ადმინისტრაციასა და აცხადებდნენ, რომ თვითონ ისინი კარგად დაამყარებდნენ წესრიგს ჩვენში.<sup>2</sup>

გერმანელთა მთვრალი ჯარისკაცები დაეხეტებოდნენ ქალაქში, რკინიგზის სადგურებში, ლანძღავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ხშირი იყო მკვლელობის, ქალთა გაუპატიურებისა და სხვა დანაშაულთა ფაქტებიც.<sup>3</sup>

საყურადღებოა აგრეთვე, რომ კაიზერული გერმანია საქართველოში ჩამოსვლის დღიდან თანაუგრძნობდა ადგილობრივ მონარქისტებს. გერმანელები ქართველებს ბაგრატიონთა ერთ-ერთი წარმომადგენლის ანდა, სხვა შემთხვევაში,

<sup>1</sup> ლ. ჯავახიშვილი, საქართველოს სახელმწიფო დიპლომატია და ქართული პრესა 1918 წელს, თბ. 1998, გვ. 303.

<sup>2</sup> გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს, გვ. 69.

<sup>3</sup> ა. სურგულაძე, საქართველოს მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 612.

გერმანელი პრინცი კაიზერ ვილჰელმ მეორის ვაჟის იოაჰიმის გამეფებას სთავაზობდნენ. ამ საკითხზე სერიოზული მოლაპარაკება მიმდინარეობდა მოსკოვში საქართველოს წარმომადგენელსა და რუსეთში გერმანიის ელჩს გრაფ მირბახს შორის.

მონარქიის რესტავრაციის იდეას მხარი დაუჭირეს ფეოდალებმა, კერძოდ, გორის მაზრის ქართველმა თავადებმა, რომელთაც გერმანელთა მეშვეობით სოციალ-დემოკრატიული მთავრობის გარეკვა სცადეს. ამ ნაბიჯის გადადგმისაგან გერმანელებმა თავის შეკავება ამჯობინეს. ხოლო შეთქმული ფეოდალები მთავრობამ დააპატიმრა. საგულისხმოა, რომ ნოე ჟორდანიას აღნიშნავდა: „მათი გამარჯვებით მოხდებოდა დიდი უბედურება – სამოქალაქო ომი, ქართველებსა და გერმანელებს შორის შეტაკება, სოფლების აჯანყება, ნამდვილი ანარქია, ხოლო თავისუფალი საქართველო დაიღუპებოდა ექვს თვეში“.<sup>1</sup>

გერმანია ხშირად მიმართავდა კონტრევოლუციური ელემენტების მხარდაჭერას, მაგრამ ამ მიმართულებით მხოლოდ მაშინ დგამდა გარკვეულ ნაბიჯებს, როდესაც ეს ნაბიჯები მას გარკვეულ სარგებლობას უქადდა. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ გერმანიის პოლიტიკა ემყარება არა უანგარო სიმპათიას ამა თუ იმ პარტიისადმი, არამედ მათ ძალას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომ პერსპექტივას, მის სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას სწორედ გერმანია უზრუნველყოფდა, რომელთანაც ურთიერთობა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგანაც 1918 წლის შემოდგომაზე, კერძოდ ნოემბრის თვეში, გერმანიაში რევოლუცია მოხდა. კაიზერ ვილჰელმ მეორის ხელისუფლება დაემხო და საქართველოში მყოფი გერმანული მისიაც აქვე დისლოცირებული საკუთარი ჯარის ნაწილებითურთ იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო და ამიერკავკასიაში ასპარეზი გამარჯვებული ინგლისელებისთვის დაეთმო.

1918 წლის 26 დეკემბერს ფოთიდან გავიდა გერმანიის ჯარის უკანასკნელი ეშელონი.

ინგლისელები საქართველოს განიხილავდნენ ომში დამარცხებული გერმანიის მოკავშირედ. საქართველოს მთავრობამ მაინც სცადა ინგლისელებთან საერთო ენის გამოთხება, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში, თუმცა უშედეგოდ. ლოიდ ჯორჯის მთავრობამ კატეგორიულად უარყო საქართველოს მთავრობის წინადადებები სავაჭრო- ეკონომიკური ურთიერთობების ტვირთბრუნვისა და მარტივი საქონელგაცვლის დამყარების თაობაზე, რითაც, ფაქტობრივად, ხელი აიღო ჩვენს ქვეყანასთან ეკონომიკურ თანამშრომლობაზე.

ნოე ჟორდანიას აღნიშნავდა: „პირველი ინგლისელი, რომელიც მოვიდა ჩემთან სადარბაზოდ, იყო გენერალი ბრედფორდი. მქონდა მთავრობის სხდომა. შემოვიდა და პირველივე წარმოთქმული ფრაზიდან აშკარა გახდა, რომ იყო უქმეხი და უზრდელი, მბრძანებლური ტონით. მომიხდა სასტიკი შეტაკება. დაგვემუქრა, დიდხანს

<sup>1</sup> ნ. ჟორდანიას, ჩემი წარსული, თბ., 1990.

აქ ვერ იბატონებთო და წავიდა. ცოტა ხნის შემდგომ მუქარა სისრულეში მოიყვანა, სომხები შემოგვისია.<sup>1</sup>

სწორედ დიდი ბრიტანეთის ამგვარმა პოლიტიკამ გაუხსნა გზა საბჭოთა რუსეთს თავისი ექსპანსია განეხორციელებინა და ამიერკავკასიის უკანასკნელი დამოუკიდებელი სახელმწიფო დაეპყრო. სავესებით გასაზიარებელია ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლის გენერალ შალვა მალლაკელიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანელთა უბედურება საქართველოს უბედურებაც იყო, რადგანაც ძლიერ მფარველს მოკლებულმა საქართველომ სულ ორიოდვე წელს იარსება დამოუკიდებელი სახელმწიფოს რანგში.

## ლიტერატურა

1. *ზ. ავალიშვილი*, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, ნაწილი I, თბ., 1990.
2. გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა მ. გაბრიჩიძემ, თბ., 1942.
3. *ნ. ჯავახიშვილი*, საქართველო-გერმანიის ფინანსურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1998.
4. *ლ. ჯავახიშვილი*, საქართველოს სახელმწიფო დიპლომატია და ქართული პრესა, 1918.
5. *ა. სურგულაძე*, საქართველოს მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ VI, თბ., 1972.
6. *ნ. ყორღანია*, ჩემი წარსული, თბ., 1990.
7. *კ. კანდელაკი*, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, პარიზი, 1960.
8. *ა. სონლოლაშვილი*, გერმანელები საქართველოში, თბ., 1995.
9. *ც. ცუხიშვილი*, ინგლის-საქართველოს ურთიერთობა, 1918-1921, თბ., 1995.
10. *დ. ვაჩნაძე*, სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი), ნაწ. I, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი „ივერია“, თბილისი-პარიზი, 1992.

---

<sup>1</sup> *ნ. ყორღანია*, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ.

## FROM THE HISTORY OF GEORGIAN-GERMAN RELATIONS

### Summary

"The trouble of Germans defeated in World War I was the trouble of Georgians too, because a young country devoid of strong protector had been independent only for two years."

*General Shalva Maglakelidze.*

THE work "The history of Georgian-German relations" includes some facts about the diplomatic, military, political and financial-economic relations of the government of independent Georgia and Kaiser Germany, beginning from the agreement made between these two countries on May 28, 1918 till December 26, 1918 - the date when the last German troops left the Georgian territory.

The work objectively reveals the advantages and disadvantages of Georgian-German collaboration and shows the purposes of the German government in Georgia and the expectations of the Georgian political elite oriented on Germany in their foreign policy.

The work also analyses the facts regarding the period between the withdrawal of the German troops from Georgia and the arrival of the English army. This short episode clearly exposes the attitude of the English towards the small independent country.

## სარჩევი

წინათქმა .....	13
მადლოვის წერილი .....	16
<i>გიორგი ხუბუა</i> , სიტყვა მარიამ ლორთქიფანიძეზე.....	17
<i>ნ. ჯაფარიძე</i> , <i>მ. შანიძე</i> , ძვირფასო ქალბატონო მარიამ! .....	19
<i>ოთარ მიმინოშვილი</i> , ნუ გეშინია, დედა! .....	20
დიდი მადლობა ყველას .....	21

## ცხოვრების და შემოქმედების დიდი გზა

<i>ლევან კიკვიძე</i> , მარიამ ლორთქიფანიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა) .....	25
<i>Levan Kikvidze</i> , MARIAM LORDKIPANIDZE (LIFE AND ACTIVITIES) (Summary) .....	30
აქადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია შემდგენლები: <i>ნათელა ვაჩნაძე</i> , <i>ლევან კიკვიძე</i> .....	31

## მოგონებები

<i>გიგა ლორთქიფანიძე</i> , ჩემი და მარიკა! .....	45
<i>ოთარ ჯაფარიძე</i> , სიტყვა სიყრმის მემოგარზე .....	46
<i>ირინე ასათიანი</i> , მარიკა ლორთქიფანიძე .....	50
<i>გიორგი ასტამაძე</i> , მარიამ ლორთქიფანიძე სტუდენტის თვალით .....	53
<i>მერაბ კალანდაძე</i> , ღვანდომოსილი მეცნიერი და პედაგოგი .....	56
<i>გიორგი კალანდია</i> , ისტორიისთვის დაბადებული ისტორიკოსი .....	59
<i>დევი კაციტაძე</i> , მარიამ ლორთქიფანიძე – მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე .....	60
<i>ელენე მაჭავარიანი</i> , ძვირფასი მასწავლებელი დღესაც ახალგაზრდული შემართებითა! .....	64
<i>ქეთევან ნადირაძე</i> , მეცნიერის შრომა .....	65

**ზურაბ პაპასქერი, ზოგიერთი შტრიხი მარიამ**

ლორთქიფანიძის პორტრატისათვის ..... 68

**ელენე ცაგარეიშვილი, მოგონება** ..... 76

**დურმიშხან ცინცაძე, დიდაბული მოძღვარი** ..... 78

**კოტე ჩოლოყაშვილი, აპადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე** ..... 81

**ქვენად კოლეგებისგან**

**საქართველოს არქეოლოგია და ეთნოგრაფია**

**ოთარ ჯაფარიძე, ძნის ხეობაში 1986 წელს ჩატარებული**

დაზვერებითი სამუშაოების ანგარიში ..... 85

**Otar Japaridze, ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS IN THE GORGE**

OF THE RIVER KSANI IN 1986 (Summary) ..... 96

**ვახტანგ ჯაფარიძე, ანტიკური და ვახტანგ გორგასალის**

დროინდელი თბილისის არქეოლოგიისთვის ..... 101

**Vakhtang Japaridze, ON THE ARCHAEOLOGY OF TBILISI IN**

ANTIQUITY AND DURING THE REIGN

OF VAKHTANG GORGASALI (Summary)..... 114

**ნინო ჩიქოვანი, ეთნიკური და რელიგიური ფაქტორები ქართველთა**

კულტურული თვითიდენტიფიკაციის პროცესში

(ისტორიული ასპექტი) ..... 116

**Nino Chikovani, ETHNIC AND RELIGIOUS FACTORS IN THE PROCESS**

OF GEORGIANS' SELF-IDENTIFICATION

(HISTORICAL PERSPECTIVE) (Summary)..... 131

**თამილა ცაგარეიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე**

და ქართული ეთნოგრაფია ..... 133

**Tamila Tsagareishvili, MARIAM LORDKIPANIDZE AND**

GEORGIAN ETHNOGRAPHY (Summary) ..... 135

**„ქართლის ცხოვრების“ საკითხები**

**მანანა სანაძე, აქამენიანთა პირველი მგრძანებელი კიროსი**

და „ქართლის ცხოვრების“ ნებროთი ..... 136

<b>Manana Sanadze, THE FIRST RULER OF ACHAEMENIANS'</b>	
– CYRUS AND NIMROD OF "THE LIFE OF KARTLI"	
(KARTLIS TSKHOVREBA) (Summary) .....	149
<b>მზექალა შანიძე, ერთი ადგილის გაგვიხსნათვის</b>	
თამარის მეორე ისტორიაში .....	150
<b>Mzekala Shanidze, ON THE MEANING OF ONE PASSAGE</b>	
IN THE TEXT OF "SECOND HISTORY OF	
QUEEN TAMAR" (Summary).....	154
<b>ვალერი სილოგავა, მარიაშ ლორთქიფანიძე –</b>	
„ქართლის ცხოვრების“ მკვლევარი .....	155
<b>Valeri Silogava, MARIAM LORDKIPANIDZE –AN EXPLORER OF</b>	
"KARTLIS TSKHOVREBA" (Summary) .....	172
<b>საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები</b>	
<b>ზაზა ალექსიძე, „სიმეგრულსა ბერძენთასა წუ დაუტყვევებთ“</b> .....	173
<b>Zaza Alexidze, "DON'T BETRAY THE LOVE OF GREEKS"...</b> (Summary) .....	182
<b>თამარ ქორიძე, საქართველოს ეკლესიური</b>	
გაერთიანების ისტორიიდან (X ს.) .....	183
<b>Tamar Koridze, FROM THE HISTORY OF UNIFICATION OF</b>	
THE GEORGIAN CHURCH (X C.) (Summary).....	189
<b>როზეტა გუჯეჯიანი, ეკლესიის „შეუვალობის“ წესი</b>	
საქართველოს ტრადიციულ ყოფაში .....	191
<b>Rozeta Gujejiani, THE CHURCH "IMMUNITY" RULE</b>	
(SHEVALOBIS TSESI) IN THE GEORGIAN	
TRADITIONAL MANNER OF LIFE (Summary).....	198
<b>ხალოვნების ქაბლავი – ისტორიის მასალა</b>	
<b>ირინა მირიჯანაშვილი, ჯავახეთში არსებული „სალოშეთის“</b>	
დარბაზული ეკლესიის კომპოზიციური თავისებურება .....	199
<b>Irina Mirijanashvili, CREATIVE PECULIARITIES OF JAVAKHETI</b>	
SALOSHETI HALL-TYPE CHURCH (Summary).....	207

<i>ალექსანდრე აბდალაძე,</i> <i>ბონდო კუპატაძე, ზაქარია და ივანე მხარგრძელთა</i> ჰორელიეფი ჰარიძის ეკლესიაში .....	208
---	-----

<i>Alexandre Abdaladze,</i> <i>Bondo Kupatadze, THE ALTO-RELIEVO OF ZAKARIA AND IVANE</i> MKHARGRDZELI IN HARIDJ CHURCH (Summary).....	213
--	-----

**ისტორიული გეოგრაფია და ტოპონიმია**

<i>დიმიტრი ლეთოდანი, აფხაზ-აბაზგების განსახლება,</i> მათი სახელის და ტოპონიმ „აფხაზეთი“-ს გავრცელება საქართველოში .....	214
---	-----

<i>Dimitri Letodiani, THE SETTLEMENT OF ABAZG-ABKHAZIANS</i> AND SPREAD OF THEIR NAME AND TOPONYM “ABKHAZIA” IN GEORGIA (Summary).....	232
--	-----

<i>დევი ბერძენიშვილი, ტაოს ისტორიული გეოგრაფიიდან</i> .....	234
<i>Devi Berdzenishvili, FROM THE HISTORICAL GEOGRAPHY OF TAO</i> (Summary) .....	248

**საქართველოს სამეფო კარი**

<i>გვანცა აბდალაძე, გიორგი IV ლაშა (ფსიქოლოგიური პორტრეტი)</i> .....	250
<i>Gvantsa Abdaladze, A PSYCHOLOGICAL PORTRAIT</i> OF KING GIORGI IV LASHA (1210-1223) (Summary) .....	258

<i>ვაჟა კიკნაძე, გიორგი V ბრწყინვალის ოჯახური გეოგრაფიისათვის</i> (გიორგი V-ის მეუღლის ვინაობის დადგენისათვის) .....	259
---	-----

<i>Vazha Kiknadze, TO THE FAMILY BIOGRAPHY OF GIORGI V</i> (AN ATTEMPT OF RECONSTRUCTION OF THE NAME OF KING GIORGI'S SPOUSE) (Summary) .....	266
---	-----

**ქართული ფეოდალური საგვარეულოები**

<i>ალექსანდრე მარუაშვილი, ზვიად II მარუშიანის</i> დიპლომატიური მოღვაწეობა .....	267
--	-----

<i>Alexandre Maruashvili, THE DIPLOMATIC SERVICE</i> OF ZVIAD II MARUSHIANI (Summary).....	278
---	-----

*მიხეილ ბახტაძე*, XI-XIII საუკუნეების მოღვაწე  
დადინათა გენეალოგია .....279

*Mikheil Bakhtadze*, THE DADIANI FAMILY TREE  
IN XI-XIII CENTURIES (Summary) .....290

**ქველი საქართველოს სამხედრო ხელოვნება**

*ჯაბა სამუშია*, შამქორის ბრძოლა ..... 291  
*Jaba Samushia*, SHAMKORI BATTLE (Summary) .....304

**საქართველო და რუსეთი**

*გურამ კუტალაძე*,  
*გიორგი ჟუჟუნაშვილი*,  
*ირმა ტალახაძე*, რუსეთის იმპერიული  
აოლიტიკა და მესხი კათოლიკეები .....306

*Guram Kutaladze*,  
*Giorgi Zhuzhunashvili*,  
*Irma Talakhadze*, IMPERIALISTIC POLICY OF RUSSIAN  
EMPIRE AND MESKHEIAN CATHOLICS (Summary) .....313

*ოთარ ჟორდანია*, რუსული ჯილდოები საქართველოში  
1918-1919 წლებში. წმინდა გიორგის ჯვარი .....314

*Otar Zhordania*, RUSSIAN MILITARY AWARDS IN GEORGIA,  
1918-1919 ST. GEORGE'S CROSS (Summary) .....328

*ქეთევან პავლიაშვილი*, თეოკრატიული სახელმწიფო და გლობალიზაციური  
მოღვაწის ევოლუცია რუსეთის იმპერიის მაგალითზე .....330

*Ketevan Paviashvili*, THE THEOCRATIC STATE AND THE EVOLUTION OF  
GLOBAL MODELS ON THE EXAMPLE OF THE  
RUSSIAN EMPIRE (Summary) .....342

*ვახტანგ გურული*, პრორუსული ორიენტაციის ალტერნატივა .....343  
*Vakhtang Guruli*, THE ALTERNATIVE OF PRO-RUSSIAN

ORIENTATION (Summary) .....357  
*მერაბ ვაჩნაძე*, დასავლეთ საქართველოს შესვლა რუსეთის  
იმპერიის ქვეშევრდომობაში (1803-1810 წლებში) .....358

<b>Merab Vachnadze, ADOPTION OF WEST GEORGIA UNDER THE SUPERVISION</b> OF THE RUSSIAN EMPIRE (1803- 1810) (Summary) .....	366
<b>მერი ვახნაძე, კავკასიის არმიის გენერლები</b> და ოფიცრები 1904- 1905 წლებში .....	367
<b>Meri Gabedava, GENERALS AND OFFICERS OF</b> CAUCASIAN ARMY IN 1904- 1905 (Summary) .....	372

**საქართველო და ევროპა**

<b>ანდრო გოგოლაძე, მეფე-ხუცესის ტრანსფორმირებული</b> ვარიანტი და ბუას ეპისტოლეში .....	373
<b>Andro Gogoladze, A TRANSFORMED VARIETY OF PRESBYTER</b> (KING-PRIEST) IN THE EPISTLE OF DE BUA (Summary) .....	383
<b>დimitრი შველიძე, ევროპა – 1832 წლის შთქმეულთა გეგმებში</b> .....	384
<b>Dimitri Shvelidze, EUROPE IN THE PLANS OF 1832 CONSPIRACY (Summary)</b> .....	389

**ქართული სოფელი**

<b>გივი ჯამბურია, სოფელი წინამძღვრიანთქარი (არჯაკალი)</b> .....	390
<b>Givi Jamburia, TSINAMDZGHVRIANTKARI VILLAGE (ARJAKALI) (Summary)</b> .....	397

**ქართული ეპიგრაფიკა**

<b>გიორგი ოთხმეზური, რამდენიმე წარწერა ქახეთიდან</b> .....	399
<b>Giorgi Otkhmezuri, A FEW INSCRIPTIONS FROM KAKHETI (Summary)</b> .....	410

**საქართველოს ისტორიის უაქტები**

<b>ქეთევან ქუთათელაძე, სამეფოს ორად გაყოფის მცდელობა</b> XII ს.-ის II ნახევრის საქართველოში .....	411
<b>Ketevan Kutateladze, AN ATTEMPT TO DIVIDE THE GEORGIAN KINGDOM</b> INTO TWO PARTS IN II HALF OF XII C. (Summary).....	420

**საღვთისმეტყველო და მხატვრული სისტემა კვლ საქართველოში**

<b>ნესტან სულავეა, იაკობ ხუცესის „მუხანიკის წამების“</b> საღვთისმეტყველო და მხატვრული სისტემის ურთიერთმიმართებისათვის .....	421
---	-----

<i>Nestan Sulava</i> , REGARDING THE INTERDEPENDENCE OF DIVINE AND ARTIFICIAL SYSTEMS IN JACOB KHUTSESI'S "THE MARTYRDOM OF SHUSHANIK" (Summary) .....	435
--	-----

**ქველი ქართული სიმბოლიკა**

<i>ლია წერეთელი</i> , თამარ მეფის მოწიგებელი გამოსახულება ნიშანი და მისი სიმბოლიკა .....	436
<i>Lia Tsereteli</i> , THE MARK AND SYMBOL ON THE COIN OF QUEEN TAMAR (Summary) .....	450

**ქველი აღმოსავლეთი**

<i>ნანა ხაზარაძე</i> , მასალები სამეფო ხელისუფლების ისტორიისათვის ქველ ფრიგიისში .....	451
<i>Nana Khazaradze</i> , THE MATERIALS FOR THE HISTORY OF THE AUTHORITY OF THE KING IN OLD PHRYGIA (Summary) .....	458

**ახლო აღმოსავლეთი**

<i>გურამ ლორთქიფანიძე</i> , „ცედაკა-ცედაკას“ ინსტიტუტი ებრაულ კულტურაში .....	459
<i>Guram Lordkipanidze</i> , TZEDAKAH INSTITUTION IN JEWISH CULTURE (Summary) .....	462

**მონაწილეები უკვნიან**

**ქვირვას მასწავლებლებს**

<i>ალექსანდრე ბოშიშვილი</i> , დოლენჯიშვილების სამთავრო .....	465
<i>Alexandre Boshishvili</i> , DOLENJISHVILI PRINCEDOM (Summary) .....	474
<i>ლერი თავაძე</i> , მითები და ლეგენდები დავით აღმაშენებლის შესახებ (ლათინური, ებრაული და ეთიოპური წყაროების ანალიზის საფუძველზე) .....	475
<i>Leri Tavadze</i> , MYTHS AND LEGENDS ABOUT DAVID THE RESTORER (ACCORDING TO LATIN, HEBREW AND ETHIOPIAN SOURCES) (Summary) .....	492

<i>ლევან იზორია</i> , ძართველი და ოსი ხალხების ურთიერთობათა შესახებ უძველესი დროიდან დღემდე ....	493
<i>Levan Izoria</i> , THE RELATIONS OF GEORGIAN AND OSSETIAN PEOPLES AND THEIR MERIT TO EACH OTHER (Summary) .....	505
<i>ლევან კიკვიძე</i> , ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხები მარიამ ლორთქიფანიძის შრომებში .....	506
<i>Levan Kikvidze</i> , THE ISSUES OF UNIFICATION OF FEUDAL GEORGIA IN THE WORKS OF MARIAM LORDKIPANIDZE (Summary) .....	520
<i>ბექა კობახიძე</i> , ლაშა-გიორგის დროინდელი მემატინის თხზულება .....	521
<i>Beka Kobakhidze</i> , THE WORK OF THE HISTORIAN OF LASHA-GIORGI (Summary) .....	526
<i>ვასილ პაპიაშვილი</i> , შაქის ისტორიისათვის .....	527
<i>Vasil Papiashvili</i> , ON THE HISTORY OF SHAK (Summary) .....	532
<i>გიორგი ყაჭეიშვილი</i> , საქართველო-გერმანიის ურთიერთობის ისტორიიდან .....	534
<i>Giorgi Kacheishvili</i> , FROM THE HISTORY OF GEORGIAN-GERMAN RELATIONS (Summary).....	542

მიუღწეველი შეიქნა კრებულში გამოქვეყნებული სტატიების სამეცნიერო აპარატის  
გაერთიანება, რისთვისაც ზოდის ვიხლით მკითხველის წინაშე (*შემდგენლები*).

გამომცემლობის რედაქტორები **ცირა ჯიშკარიანი**  
**ნაჭა კაჭაბავა**  
კომპ. უზრუნველყოფა **ხაიუთა ბადრიძე**  
**ლელა ნიკლაური**

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.  
[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge) (25-14-32)